

ქართული კლასიკური გეგლოგა

გვიგონლ ჩიგეულნიანი

1804 ~ 1883



თბილისი
1959

ქართული ქალაქიური მწიკლე

გვიგონ მკვლევანი

თხზულებათა
სრული
კრებული



«საბჭოთა მწიკლე»

**აკაკი განერეღიას და ჯუმბერ ჭუმბურიძის
შესავალი ნერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით.**

გრიგოლ ორბელიანი

კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი

გრიგოლ ორბელიანი დაიბადა 1804 წლის 2 ოქტომბერს ქ. თბილისში.

პოეტის საგვარეულო ხაზი აღწევს ორბელ ბარათაშვილის სახელამდე (XVI ს.). ამ შტოს ეკუთვნოდა ყაფლან ორბელიშვილი, განთქმული ქართველ მწერლის სულხან-საბაჲ პაპა, მე-17 საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი და გავლენიანი ფეოდალი. გრიგოლ ორბელიანი ამიტომ უწოდებდა თავის თავს „ყაფლან-შვილს“. მთელი ორი საუკუნის მანძილზე მისი წინაპრები დიდ როლს თამაშობდნენ ქართველი მეფეების კარზე.

გრ. ორბელიანის ბავშვობამ და ყრობამ ჭანელო საქართველოს ისტორიის იმ პერიოდში, როცა „ქედმოუხრელი ივერია“ მხოლოდ პოეტის ახლო ნათესავების წარმოდგენებში ეოცხლობდა. ჭერ კიდევ მწვავე იყო მოგონება ალა-შაჰად-ხანის მიერ თბილისის გაოხრებისა, ხოლო პატარა კახის გპირულ ღვაწლზე ყრმა გრიგოლს ბევრი რამ უნდა სმენოდა ხანდაზმულ თანამედროვეთაგან.

გრიგოლის მამას, დიმიტრის (იგივე ზურაბ) საქართველოს უკანასკნელ მეფეებთან უმსახურნია და კახთ ბატონთან კი ნათესაური კავშირითაც ყოფილა შეკრული. საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგ დიმიტრი ჭერ სამხედრო სამსახურში შესულა, მონაწილეობა მიუღია მთავარმართებელ პავლე ციციშვილის მიერ ქ. ერევნის აღებაში 1804 წელს, ხოლო შემდეგ

უზენაეს სასამართლოში დაუნიშნავთ „ზასედატლად“. პოეტის მამას შინაურა განათლება ჰქონია მიღებული.

გრ. ორბელიანის დედა ზორეშანი ერეკლეს ქალის ელენეს ასული იყო. ამ-რიგად, დედის მხრივ პოეტი ბაგრატიონთა გეარს ენათესავენობდა. ზორეშანი იშვიათი სულიერი და ზნეობრივი თვისებებით შემკული არსება ყოფილა, როგორც პოეტის ბიოგრაფი გადმოგვცემს, „ამ კეთილმა დედამ ჩაუნერგა გულში გრიგოლ ორბელიანს მისგან განუშორებელი ღვთის შიში, ერთგულება მამულისა, განუზომელი პატივისცემა მშობელთა და ნათესავთა“, ხოლო „პოეტიც ცრემლით და კრძალებით მოიგონებდა ზოლმე კეთილსა, ნაზსა, ღვთის მოშიშ-სა და ჰქვიან დედას, რომელმაც გზა სიყვითისა ასწავლა მას და სული აღუქპო მარადეამ გამოუღვეელი სიყვარულითა და სათნოებით. მისი პატივისცემა ძვირ-ფასი მშობლისადმი აღმატებოდა ჩვეულებრივს შვილობირის სიყვარულსა“.*

დმიტრი და ზორეშან ორბელიანებს გრიგოლის გარდა კიდევ სამი შვილი ჰყავდათ: ზაქარია, ილია და ეფემია, — შემდეგში დედა ნიკოლოზ ბარათო-შვილისა.

გრიგოლ ორბელიანისათვის წერა-კითხვა უსწავლდება ანჩისხატის დეკანოზმ დმიტრი აღექსი-შესხიშვილს, რომელიც თავისი დროის ცნობილი მწიგნობარი იყო. შემდეგ პატარა გრიგოლი მშობლებს შეუყვანიათ ახალი მმართველობის მიერ დაარსებულ კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც მომავალ პოეტს ქართულს ასწავლიდა მღვდელი ხელაშვილი, აგრეთვე ჩინებული მცოდნე ენისა. სასწავლებლის დამთავრებამდე გრ. ორბელიანი გადასულა ახლად გახსნილ სა-არტილერიო სკოლაში. 1816 წელს მომავალი ოფიცერი შედის იუნკრად 21-ე საარტილერიო ბრიგადაში, სადაც მან 1820 წლამდე დაჰყო. იმავე წელს პარტუპეი-აუნკრის ჩინით ვადადის საქართველოს გრენადერის პოლკში, 1821 წელს გრ. ორბელიანი პრაპორშჩიკია.

გრ. ორბელიანის დიდი სამხედრო კარიერის დასაწყისი ემთხვევა საქართვე-ლოში პროკონსულ ა. პ. ერმოლოვის მმართველობის წლებს (1816 — 1827). გვიან, 1855 წელს, მოსკოვში უსაქმოდ მცხოვრები და მთავრობის მიერ სამუდამოდ „დამყვებელი“ ერმოლოვი ერთ თავის წერილში გულთბილად იგონებს მამან უკვე სახელმწიფოებელ ქართველ სარდალს და დასძენს: „მე მიყვარდა ეს ბელადი, ვიცნობდი მას პოლკში გრიშას სახელით“. 1822 წელს გრ. ორბელიანი ჰარელი ლეკების დამარცხების მონაწილეა ალაზანთან. 1826 წელს მამაებრად ებრძვის სპარსელებს შამქორთან და განჯაში, რისთვისაც ღირსეულად იქნა დაჩილდოე-ბული. ერმოლოვის ატესტაციიდანაც ჩანს, რომ ოფიცრის სამხედრო გამოცდა გრ. ორბელიანს კარგად ჩაუბარებია.

გრ. ორბელიანის ბედის ეარსკვლავი არანაკლები ძალით ანათებდა გრაფ პასკევიჩის მმართველობის დროსაც. „ტოლუბაშის“ ავტორს დიდ სიზარულს ჰგვრიდა საქართველოს დაუძინებელი მტრების დამარცხება რუსეთ-ირანისა დ

* მ. მუხარბია, ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა. თბ., 1904.

რუსეთ-ოსმალეთის ომებში 1826 — 1829 წ. წ. და არც ისე ძნელია წარმოდგენა ქართველი ოფიცრის სიამაყისა იმ დროს, როცა კავკასიის მხედრობის მიერ ძლეულ ირანელი და თურქი სერასკირები თავიანთ ბაიარალებს ჰხრიდენ აბას-აბდ-თან და ირაკლი-თაფსთან, ერევანსა და ხერთვისში, ახალქალაქსა, ყარსსა და ხალციხეში. ამ ადგილების იერიშით აღებვისას გრ. ორბელიანს მამაკობით უსაზღვრებია თავი.

1829 წელს გრ. ორბელიანი კახეთში ახლდა ალექსანდრე კიევიუძეს, რომელიც სამხედრო საზღვრების უფროსად იყო დანიშნული. მეორე წელს იგი მონაწილეობას იღებს გრაფ პასკევიჩის ექსპედიციაში და ქარბელაქნის ლეკებს მოშმინებს. იმავე წელს მონაწილეობს გენ. სტრეკალოვის მიერ ზაქათალის აღებაში.

1831 წელს გრ. ორბელიანმა ადგილობრივი ხელისუფლების დაგალობით კავკასიის აქეთა მხარის მთავარსარდლოს გენ. პანკრატევის ბრძანებით) რუჯეთს წაიხსა კავკასიის კორპუსში შერჩეული ჯარისკაცები ნოვგოროდში დაბანაეებულ საგანგებო ქვეითი პოლკისათვის. გზად რამდენიმე ხანს მოსკოვსა და პეტერბურგში დაჰყო. თავის დღიურში პოეტი იგონებს შეხვედრებს რუსეთს გადასახლებულ შარიაშ დედოფალთან და ქართველ უფლისწულებთან, ერკლად აგვიწერს ღირსშესანიშნავე ადგილებს, გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს თეატრებში ნახულ სპექტაკლებზე. ასე, მაგალითად, გრ. ორბელიანი იგონებს მცირე თეატრის ერთ წარმოდგენას: „წვედით თეატრში, ხალხს არ იყო ისე მრავალ, ვითა უწინარეს. წარმოდგენა იყო ქაღალდის მოთამაშის ცხოვრება, საუბოლოდ ითამაშეს, უფრო მაჩალოვმა, ასე რომ, დევსწყევლე ყოველი მოთამაშე“¹. ფრანგი დრამატურგის დიუკანეს მელიოდრამაში მოჩალოვი ასრულებდა ახირებულ მარკიზ ეორე დე ეერმონის როლს და გრ. ორბელიანის აღტაცება საეგებით ემთხვევა თანამედროვეთა ცნობებს გამოჩენილი რუსი მსახიობის თამაშზე.

პეტერბურგი, იმპერიის იმდროინდელი ცენტრი, დიდს შთაბეჭდილებას ახდენს ქართველ ოფიცერზე. გრ. ორბელიანი აღწერს პეტერბურგის, ცარსკოე სელოსა და პეტერგოვის შესანიშნავ სასახლებს. პოეტი, რომელსაც უკვე ეგემნა სამხედრო ცხოვრების სუსტი, მიაბიტური აღტაცებით ათეალიერებს ხელოვნების ჭეღვრებს, გულანსმით ეცნობა პეტრე პირველის მიერ დაარსებულ კუნსტამერის რაიტერტებსა და ერიტაჟის დარბაზებს, მოხიბლულია „რაფელის ლოკითა“ და „ჰეირფის ბიბლიოთეკით, რომელსაც შიდა ეწყო თხზულებანი ფილოსოფოსთა ვალამბერისა, ეოლტერისა და დიდეროტისა“. გრ. ორბელიანი საგანგებოდ აღნიშნავს აგრეთვე საქართველოდან გადასახლებულ ფრანოზ და დიმიტრი ბატონიშვილებთან შეხვედრებს, უსაუბრნია მათთან „პირველ მუსიკოსებზე“ — მოცარტზე, ვებერზე, როსინზე და კერუბინზე. ამასთან — სოფელ გრუზინოში პირადად გაეცნობია ცნობილ რეაქციონერ გრაფ პასკევიჩს, უშუალოდ მოუსმენია ნიკოლოზ I მისაღება არმიისადმი...

¹ „წერილები“, 1, 217.

1831 წლის ნოემბერში გრ. ორბელიანი ჩადის ქ. ნოვგოროდს. აქ მან ერთი წელიწადი დაჰყო და აი, მისი გარეგნული ცხოვრების მწყობრი რიტმი ერთბაშად იცვლება: 1833 წლის მარტში გრ. ორბელიანს აპატირებენ ნოვგოროდში და სააწრათოდ გზავნიან თბილისში. პოეტს ბრალდებოდა კავშირი თავად აზნაურთა იმ შეთქმულებასთან, რომელიც 1829 წლიდან ნზადდებოდა საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ ნაციონალურ-ფეოდალურ მონარქიის აღდგენის მიზნით (როგორც ცნობილია, ეს შეთქმულება 1832 წლის დეკემბერში გაცემულ იქნა). გარკვეული კვლევა-ძიების საფუძველზე კავკასიის სმხედრო ხელისუფალთა თვალში გრ. ორბელიანი სრულიად მოულოდნელიად მტრულ ფიზიონომიის ოფიცერი აღმოჩნდა: პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ პატრიონებთან მას არა მარტო მოყარტა და როსაზზე უსაუბრნია არამედ (და უმთავრესად) ძველი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხებზე. წიბით უტარებია არა მარტო ჭარისკაცის წესდება, არამედ ქართული თარგანიც ცნობილი დეკარისტის პოეტის რილეევის ნაწარმოების „ნ.ლიეიკოს აღსარება“ (როლის დედანი გრ. ორბელიანს ნოვგოროდში გახსრეისას უბოვეს). ჩეულებრივ დღიურებს გარდა თარულად უწერია პატრიოტული ლექსები (ნოვგოროდშია დაწერილი, მაგალითად, „იარალის“) და დღიურ „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგში“, რომელშიაც აეტროი აშკარად იცავს საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისა და ეროვნული რეგულარული ჭარის შექმნის იდეას.

როგორც ჩანს, გრ. ორბელიანი აქტიურად არ ყოფილა ჩაბმული შეთქმულ ორგანიზაციაში. სხვათა შორის ეს უნდა აიხანს 1827—1832 წლებში მისი ხშირადგილმონაცვლობითაც, რაც სამსახურებრივი საქიროებით იყო გამოწვეული. მაგრამ შეთქმულებთან პოეტის მჭიდრო იღვერი კავშირი სადაც არაა მიუხედავად ამისა, გრ. ორბელიანს აშკარა დანაშაული არ დაუბტყიდა და გაანთავისუფლეს საქმის საბოლოო გამოძიების დამთავრებისთანავე. ავღობრის ყაზარმებში სამი თვის პატიმრობის შემდეგ იგი, როგორც მეშვიდე კატეგორიის მცირე დანაშავე, „კავკასიის ხაზზე“ მოქმედ ჭარში გაგზავნეს. აქედან გრ. ორბელიანი 1833 წლის მიწურულს გააშფესეს ნეეის საზღვეთ პოლკში, რომელიც ეილნონა იყო დამანაკებული. დიდი ვაი-ვაილახითა და გზაზე სხვადასხვა თაიერაკის გამოკლით გრიგოლ ორბელიანმა თავის პოლკს 1834 წლის 2 მაისს მიაღწია.

პოლიტიკური რომანტიზმის ბურუსი გაიფანტა. ოფიცერი გრ. ორბელიანი ისევ დაუბრუნდა სამხედრო მოღვაწეობის ასპარეზს. აქედან იწყება პოეტის ცხოვრების მეორე პერიოდი (1833 — 1858).

ხუთი წელი გაატარა გრიგოლმა აჩანყებულ და შემდეგ დაპარცებულ პოლონეთში, სადაც მოსახლეობას მკაცრი რეპრესიებით ამოშინებდა გენერალ პასკევიჩი, მისი ყოფილი უფროსი კავკასიაში. ბალტიისპირა ქალაქებში ყოფნისას პოეტს ერთი წუთითაც არ იეიწყებდა მშობლიურ თბილისს, ნათესაებებსა და მეგობრებს. ყაზარმული ცხოვრება ან საკლუბო გართობები არ აეიწყებდნენ მას გამოვლილ ჭირ-ეარამს, ქართულ ნადიმს, მანანა ორბელიანისა და ალექსანდრე კავკავაძის სალონებს. „ყოველთვის ახალის სიამოვნებით ვიგონებ დღესა მას.

როდესაც ეკატერინა ქედრაცეილი დაღისტნელ ლეკსავით ლეკურს თამაშობდა და იმდროინდელი ბროლის ფიცარი, აფიკარი, გულს დაგვეკონოს" — სწერდა პოეტი სალომე ქავჭავაძეს 1835 წელს რიგიდან აქ დ.სწერა, სხვათა შორის, პოეტმა თავისი ლირიკული შედევრა „ჩემს დას ეფემიას“ (1835).

1837 წელს გრ. ორბელიანმა აიღო შეეზღუდა და საშობლობსაეცნ გამოეშურა. 1838 წლის აგვისტოში ის შტაბს-კაპიტნის ჩინით ხელშეკრულდ ჩაირიცხა საქართველოს გრენადერის პოლკში, რომელიც ქ. გორში იდგა. ამიერიდან მომავალ გენერალი ფრთხილი და გ-რგენულად პირობებს შეგუებული ოფიცერია. არც ერთი ხმაინალაი სიტყვა არ წასცდენია იმ გატაცებებზე, რომელთაც ავლბარის ყაზარმებში პატიმრობა არგუნეს წილად, არც ერთი პირდაპირი საყვედური არ გამოუთქვამს გადასახლებულ შეთქმულთა მკაცრი ბედის გამო, ან მოსკოვსა და პეტერბურგში უქმად მსხდომ ბატონიშვილებზე, რომელნიც 1832 წლის შეთქმულების სულის ჩამდგმელნი იყვნენ. მხოლოდ ზოგიერთ მის ლექსში ისმის ყრუ გმინვა „რ ა ყ ი ფ კ ა ც თ ა“ ბედის გამო.

1839 წელს გრ. ორბელიანი გენერალ სიმბორსკის რაზშია, რომელსაც დაეკლებული ჰქონდა დიეცისის მოხდენა შეეკეს პროვინციიდან რუთულამდე — ამ წელს ჩრდილოეთ და სამხრეთ დაღისტანში კავკასიის ჭარბს ლაშქრობა უნდა ჩაეტარებინათ შეამზობ მთიელთა მეთაურის შამილის ძლიერებისა და გაუღენის აღმოფხვრის მიზნით. სიმბორსკის რაზმს მთიელებთან ბრძოლა მოუხდა მდინარე სამურის გასწვრივ მდებარე ნხარებებში და გრ. ორბელიანი მონაწილე იყო ამ ექსპედიციისა.

1841 წელს გრ. ორბელიანი მონაწილეობს პოლკოვნიკ მოსე არღუთინსკის რაზმის შიგ გურიის გლეხობის აჯანყების ჩაქრობაში. გურია „და-წყნარეს“ იმავე წლის სექტემბერში.

1842 წლის აგვისტოში გრ. ორბელიანი დაინიშნა საქ. გრენადერის პოლკის ერთ-ერთი ბატალიონის უფროსად. ამ ხანებში მას ქ. ალექსანდროპოლში ეხედავთ.

1842 წელს გრ. ორბელიანი აეარის (დაღისტანი) შიწებს იცავდა შამილის ჭარბისაგან. ენერგიულმა მოქმედებამ და ადინი-ტრაკიულმა ნიქმა ის ჩქარა დააწინაურა. 1843 წელს გრ. ორბელიანი დაინიშნა აეარის მმართველად. ან, როგორც ის თავის თავს ზემორობით უწოდებდა, „აეარის ხანად“. ამ წლის 2 ივნისს გრ. ორბელიანი ჩავიდა ხუნძახში, აეარის ყოფილი ხანების რეზიდენციასში.

გრ. ორბელიანი დიპლომატიური უნარით აღჭურვილი მმართველი და იმავე დროს უღმობელი ოფიცერი იყო მთიელებთან ბრძოლაში. შუა აზიის საშუალო საუკუნეთა მუსლიმანური სექტის, ნაქშენდიეს ორდენის მისტიკური მოძღვრების მიმდევარ მურხანბეის წინააღმდეგ გრ. ორბელიანი მოქმედებდა როგორც შეფის რუსეთის კოლონიალისტური არმიის ერთ-ერთი თვალსაზიო ხელმძღვანელი. მთიულთა ნაციონალურ-რელიგიური მოძრაობა, მურხანბეის, სახელით ცნობილი (1826 — 1859), ქართველი სარდლის სახით უდიდეს მტერს წააწყდა.

თხუთმეტი წელიწადი იმსახურა გრ. ორბელიანმა დაღისტანში. ჭერ როგორც

სხვადასხვა ოლქების მმართველმა და პოლკის უფროსმა, შემდეგ — როგორც მთელი დაღისტნის ჭარების სარდალმა, იშვიათად ჰყოლია ჰაზაეთის მასავეთ დაქვინებული შტერი. გრ. ორბელიანი მონაწილე ან უშუალო ხელმძღვანელი იყო მთელი რიგი აულების აღების შამილის დაღისტანში. იბრძოდა ქუთაისთან (1846) და სალთან (1847), გერგებლითან (1848) და ქუბთან (1849), ტაბასარანსა და ყაითალში (1854 — 1855), ქურისა და სალათაუს სოფლებში... ეს არ შეზღვედნო და ვისთან არ უსაუბრნია — იმპერატორიდან მოყოლებული უბრალო დემოკრატამდე. „გამოეარეთ ამაღათ ბეგის სოფელი და აწ ეზივარ სულთანეთის ოთახში“ — ატყობინებს იგი 1842 წ. 5 მაის იღია ორბელიანს და მკითხველს აგონდება პერსონაჟი მარლინკის ცნობილი რომანისა „ამაღათ ბეგი“. „მაჟი-მურატი“ კი მოვიდა ჩემთან სტუმრად; მაგრამ ყოველ დღე ავღარია და ვერსაით წვედით. მხოლოდ ეინადირეთ კი მწევრებითა“ — წერს იგი სხვა ადგილას (1852 წ. 13 თებერ. წერილი ზაქათალიდან). გრ. ორბელიანის „წერილების“ ორი ტომი ბრწყინვალე ანალებია ავტორის მრავალფეროვანი და მდიდარი ოფიცრული ცხოვრებისა. ისინი მოგვითხრობენ ხმლისა და კალმის თავდასასუვალს; სარდალიღამით ანთებს ჩირაღდნებს დაღისტნის ბნელ ხეობებში, ხოლო გათენისისა იერიშზე მოჰყავს თავისი პოლკი; ომის დაცხრომისა და ზარბაზნების ქუხილის შემწყვეტის უშალ კი კარავშივე მიუჯდება მაგიდას და მხიარულ ბარათებში ნათესავ-მეგობრებს აუწყებს შეამზობეთა აულების დალაშქრის, მურიდების ამოხიცვისა, ათისწლოვანი ტყეების გაკაფვისა და თოვლით დაფარული ბლიკების ქვეითად გადალახვის ეპიზოდებს. გრ. ორბელიანს ხმალდახმალ უბრძოლნია მთიულეთთან და მისი დარტყმის ძალა უგემნიათ შამილის განთქმულ ნაიბებს. თვითონ შამილი ბრავმოკრული ამბობდა ხოლმე: „ეველოკიმოვი და ორბელიანი ჩემი ყველაზე დიდი მტრები არიან დაღისტანში... ხელში თუ ჩამივარდა ორბელიანი, მე პას გავგლეჯ. ალბათ ისიც ასე მომეცქევა“.

1857 წელს გრ. ორბელიანმა იერიშით აიღო უაღრესად მნიშვნელოვანი ანტირევგიული პუნქტები სალათაუში — ჰეელი და ახალი ბურთუნაი. პოეტის ერთი ბარათები და სამხედრო რელაქიები საესეა დაწერილებითი ცნობებით სიამაღისმღვრელ შეტყეებათა შესახებ, ხოლო დაღისტნელი ისტორიკოსი კატეგორიულად მოგვითხრობს: „ხალხი ამბობდა, რომ ეს წელწადი ეკუთვნის თავად ორბელიანს და უნაყოფოა მასთან ბრძოლო... მოკლული იქნა სამი გულადი ნაიბი; გიტინაუ-ნაიბი ჰიდატლისა, შამხალი, ნაიბი ტინდალისა და ბოდულალისა, და ისმაილი — ნაიბი ტენხუცალისა... არც ერთი ლაშქრობის დროს არ დადუპლა აძენი ნაიბი. ბურთუნაიში ციხე-სიმაგრის აგების შემდეგ შამილი ჰიკავდა ცხვარს, რომელსაც მგელი ყისერში სწვდა და რომელსაც ხსნის იმედი ააპარჯია“*.

სალათაუს დაპყრობა უცნაურესი ფურცელი იყო გრ. ორბელიანის ოფიცრული კარიერის მრავალწლიან პატიანეში. 1858 წელს იგი, მრავალი ორდენით

* იხ. Сказание очевидца о Шамиле, пер. с арабского. („Сборник сведений о кавк. горцах“. I, стр. 51. Тиф., 1873).

დაქილდობული და გამოჩენილი გმირი, თბილისში გადმოყავთ კავკასიის მთავარ-მართებელ ბარიატინსკისთან. გრ. ორბელიანის ცხოვრების მეორე ხეობი (1833 — 1858) ამით დასრულდა.

1859 წელს გრ. ორბელიანი დაინიშნა მთავარმართებლის საბჭოს თავმჯდომარედ. იმავე წელს მცირე ხნით გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც სხვათა შორის ზირადად შეხვდა ყოფილ იმამს შამილს. იმპერიის სატახტო ქალაქში ძველი პტრების ასეთი გამოცნობა თითქოს ფინალია როგორც მათი ურთიერთობისა. ისე მთლიანად კავკასიის ომის ხანგრძლივი ისტორიისა. და ეს ფინალი ძალზე ლირიკულად ელერს: „შამილა გავიცან პეტერბურღში; კარგი დარბაისელი კაცი ყოფილა. მაგრამ გაოცებული იყო ყოვლითა მით, რასაც მხედავდა... დიდის სიმწარით მიამბო, რომ მილაატეს ყოველთა მათ, ვინცა იყვნენ დაახლოებულნი ჩემთან და ვინცა ჩემს მფარველობის ქვეშე და ჩემის მოწყალეობით მსცხოვრებდნენ-ნო! იმათვე ამიკლეს სრულებით, ასე რომ, ეს თეთრი ჩოხა ბარიატინსკიმ მიწყალაბო, და ამგვარი მრავალი მელაპარაკა“.

* * *

გრიგოლ ორბელიანის ლირიკული ლექსების, პოემის ვარიანტების, დღიურებისა და თარგმანების უმეტესი და უმნიშვნელოაენეს ნაწილი პოეტის ცხოვრების პირველსა და მესამე პერიოდებს (1824 — 1832 და 1860 — 1883 წწ). მეორე პერიოდში გრ. ორბელიანს მხოლოდ 14 ლექსი დაუწერია და ისიც სპორადულად (1833 წლიდან 1851 წლამდე).

ჩვენ თანმიმდევრულად განვიხილავთ ყველა ამ პერიოდის ნაწარმოებს.

ჩერ ზოგადი შენიშვნები.

გრიგოლ ორბელიანის მხატვრული შემკვიდრების განხილვას ჩვეულებრივ იწყებენ რომანტიკულ სკოლასთან დაკავშირებით. ქართული რომანტიზმი თავისებურ მოვლენას წარმოადგენს იდეური და მხატვრული თვალსაზრისით. განსაკუთრებით ეს ითქმის გრ. ორბელიანის მაგალითზე, რომლის შემოქმედება სპეციალური ქართული სინამდვილითაა ნაკვები. ამავე დროს „საღვთაქმლოს“ ფეტორის პოეტური მეთოდი ჩინებულად ითავსებს რეალიზმის ელემენტებს. ჩვენო პოეტის მსოფლმხედველობისათვის უცნობია აგრეთვე ევროპელ რომანტიკოსთა ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელი მისტიციზმი, გრ. ორბელიანს ბუნების ყოველ აქტში არასოდეს არ უძებნია გამოვლინება ღვთაების ნებისა. სუბიექტურა დუალიზმი, ძიება უნივერსისა და სიკვდილის ფილოსოფია ძალიან შორისაა „იარაღის“ ავტორის მსოფლმხედველობისაგან.

სასოწარკვეთილებისა და იმედგარეუების მოტივები, რომელნიც გრ. ორბელიანის პოეზიაში ისმის (უმთავრესად მეორე და მესამე პერიოდში 1833 — 1883 წწ.) მოკლებულია იმ თანმიმდევრულ და რეაქციონერ შინაარსს, რომელიც დასავლეთის ბეერი რომანტიკოსის პესიმიზმს ჰყვება. გრ. ორბელი-

* „წერილები“, II, 277-278

ანისათვის სრულიად უცნობა იგრეთვე ფრ. შლეგელის მიერ პოეტის აუცილებელ თვისებად აღიარებული უნარი „ტრანსცენდენტური დაციენისა“, ე. ი. ისეთი სულიერი განწყობილება, როცა შემოქმედს თავისი იდეალის სიმალლიდან უაზრო თამაშად მიაჩნია ცხოვრება და თვითონ სამყაროც. „სოფლის წარშეაღებაზე“ კმუნება გრ. ორბელიანის ლირიკაში მისტიკურ ელფერს არ ატარებს, იგი გარემომოქცევი სინამდვილით არის ნაკარნახევი და კონკრეტულ შინაარსს შეიცავს მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს გრ. ორბელიანისათვის უცნობი იყო რომანტიკოსების ესთეტიკური პრინციპები, პირიქით, იგი ზოგჯერ ცდილობდა კიდევ ამ უკანასკნელის დამოწმებით გაემართლებინა, მაგალითად, საკუთარი შიღრეკილება პოეტური ფსალმუნებისადმი: „ფსალმუნნი არის თავის უფლებებითი ამალღება სულისა დეთისადმი. ნახე ისტორია ლიტერატურისა შლეგელის მიერ“ — წერდა პოეტი ერთ ადგილას*.

რ.საკვირველია, გრ. ორბელიანის პოეზიაში მკაფიოდაა გამოხატული რამდენიმე ძირითადი რომანტიკული ტენდენცია. უწინარეს ყოვლისა — გონების წინაშე გრძნობისა და ფანტაზიისათვის უპირატესობის მინიჭება, რაინდული — წარსულის იდეალიზაცია, სულის ამალღებულ განწყობილებად სიყვარულის აღიარება, ბუნების კულტი და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს პოეტისათვის წარმოადგენს ცხოვრების მიმღობის ფორმებს და არა სინამდვილიდან გაქცევის საშუალებებს სილაზის კულტიც გრ. ორბელიანის ლირიკაში ოდნედაც არ გულისხმობს სინამდვილის მიღმა მისი არსებობის ვარაუდს. მშეენიერება და ადამიანური ნეტარება საქართველოს გარეშე არ წარმოედგინა და სხვაგან არ უძებნია იგი აქი ეელურ ტომებში ან შორეულ აღმოსავლეთში, უმთავრესად ინდოეთში, ეზმანებოდათ შემოქმედისათვის შესაფერა გვერდნა გერმანულ რომანტიკოსებს, ფრანგ შატბრიანს, ინგლისური „ტბის სკოლის“ წარმომადგენელ კოლრიჯს? გრ. ორბელიანს კი ფიქრდაც არ მოსვლია, თითქოს ქართულ ლხინსა და „კოჭრით ნაავის შუბლის გაგრილებას“ რომელიმე ინდოელი ფაქირის რელიგიური ნიტვანემჭობინებოდა.

გრ. ორბელიანი ორგანიულად ახამებდა ერთმანეთთან სინამდვილის მძაფრ შეგრძნობასა და წარსულის იდეალიზაციას, მაგრამ არასოდეს არ მიუშარათავს ძველი საქართველოს დიადი სურათებისა და გულის მოკვლევი აწყყოს ისეთი დაპირისპირებისათვის, რომ ეს უკანასკნელი მახინჯ, სასაცილო და გროტესკულ ფორმაში გამოეხატა. მიუღებელი სინამდვილეც მისი ღრმა და სერიოზული დაკვირვების საგანი იყო გოფმანისეული გაორებისა და კონტრასტის ხერხი ჩვენს

* საქართველოს არქივში: „1832 წლის საქმე“, რეეული XXI. გრ. ორბელიანი გულისხმობს ფრ. შლეგელის ლექციების კურსს „ძველი და ახალი ლიტერატურის ისტორია“, რომლის რუსულ თარგმანი პირველად დაიბეჭდა 1826 წელს პეტერბურგში, მეორედ — 1834 წელს (მდრ. ამ გამოცემის გვ. 179-184. შლეგელის აზრი ძველ აღთქმაში შეტანილი დავითის ფსალმუნების შესახებ).

მთავრად განიხილონ და თანამედროვეობასთან მისი დანაშაულები სხვა რიგის შიგნითა. ვიდრე რომანტიკულ პოეტიაში პრინციპულად დებოკიდებული მეფობის ფუნქციისა და სინამდვილის ანტიგონისტური დაპირისპირებისა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მსოფლიო რომანტიკულ შერეობაში გრ. ორბელიანის საყვარელი ავტორი ყოფილა რაინდული წარსულის მხატვარი, რელიგიური ტენდენციის ვალტერ სკოტი და არა ამ უკანასკნელის წინამორბედნი ისტორიულ პროზაში (ე. წ. „პრერომანტიკოსების“ რომანები გრ. ორბელიანის „სისულულედ“ მიახნა და მათ „წაკითხვის ღირსად“ არ სთვლიდა).

გრ. ორბელიანის ლირიკა, ისევე როგორც მისი გენიალური დისწულის ნიკ. ბარათაშვილისა, აგრეთვე ორგანიზულად ითავებდა სახეების რელიგიურ სისტემას, პლასტიკურ ელემენტს და მრავალაუქუნოვანი ქართული პოეზიის ტრადიციით ნაკარნახევ ქანძრთელ სენსუალიზმს, რ. ც საერთოდ უჩვეულო მოვლენა ევროპული რომანტიზმის რეპრეზენტული ფრთის ტიპური წარმომადგენლებისათვის. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელთა შემოქმედებას (განსაკუთრებით გერმანულ ლიტერატურაში) სახეების ბუნდოვანებასთან ერთად ახასიათებდა სიყვარულის სპირიტუალისტური გაგება (ნოვალისი) ან მისი ავადმყოფური ინტერპრეტაცია (ბრენტანო და სხვ.).

ქართული რომანტიზმის მთავარი ფესვები თვითონ საქართველოს ისტორიულ სინამდვილეშია და ნაკვებია ეროვნული სოციალ-პოლიტიკური ვითარებით, ეთიკური და მხატვრული ტრადიციებით. განსაკუთრებით ეს ითქმის გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის პოეტური მეჭვიდრეობის მაგალითზე.



პოეტური ნაწარმოებების გარდა, 1824—1858 წლების მანძილზე გრ. ორბელიანს დაუწერია (და ზოგის გადათეთრება მოუსწრია) შემდეგი ორიგინალური პროზაული თხზულებანი: „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგის პერიოდის დღიურების“ (1831), რომელიც მოსკოვსა და პეტერბურგის პერიოდის „დღიურების“ (1831-1832) გადათეთრებული ნაწილია, „ამბავი რიგის დოქტორალში ნათქვამი“ (1835), სხვადასხვა ეტიუდები და შენიშვნები: „ენდემი“ (1824), „ზამთრისა ქარი გრიალებს“ (1829), „ნ. ე. მ.“ (1832), „ქაზრნი მსწავლულთა ჩვენის პლანეტის შემქმნისათვის, ანუ მიწისა“, „ცნობა ლექების შესახებ“ და კონსპექტი „საქართველო ჩემის დროისა“. პოეტის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პროზაული თარგმანები „ალღელორია“ (1824), „სამნი მეგობარნი“ (1832) პერდერიდან, „მაცთუნებელი“ (მოთხრობა შვეიცარიელი მწერლის ცმოკისი; 1832) და „საღამოს ჩაიზედ“.

ჩამოთვლილ თხზულებათაგან, რასაკვირველია, ყველას ერთნაირი იდეურ და მხატვრული ღირებულება არა აქვთ. ბევრ მათგანს გრ. ორბელიანის შემოქმედების ანალიზის დროს მხოლოდ დამხმარე მასლის მნიშვნელობა ენიჭება. უწინარეს ყოვლისა ცალკე უნდა გამოიყოს გრ. ორბელიანის პატრიოტული ნაწარმო-

* იხ. „წერილები“, I, 12.

ებნი, რომლებიც საქართველოს რაინდულ წარსულის ხოტბას შეიცავენ ან გვაცნობენ ავტორის სულისკვეთებასა და პოლიტიკურ მრწამსს 1832 წლის შეთქმულების მზადების პერიოდში. ესენია პოემა „ტოლუბაში“ („საღლეგრძელის“ პირველი ვარიანტი), „ალსარება“ (მიბაძეა რილევისა), „პეი, ივერიაე“, „მისი სახელი კი ცხვითა“, „იარალის“ და „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“. სამშობლოს სიყვარულის მოტივი ამ ნაწარმოებებში გაშლილია ავტორის წარსული დიდებისა და მისი აწევის დაპირისპირების ფონზე. ეს მომენტი განსაკუთრებით ხაზგასმულია პოეტის ლირიკულ ლექსებში. გრ. ორბელიანს ეზმანება თავისუფალი და განახლებული საქართველო, იგი მტერზე შურისძიების გრძნობითაა გამსჭვალულ და მზადაა სიცოცხლე შესწიროს მიმულის დახსნის საქმეს.

პოემა „საღლეგრძელის“ ტექსტის ისტორია ასეთია. ნაწარმოების თავდაპირველი სათაურია: „ტოლუბაში ანუ ოპის შემდეგ ლბინი და საღლეგრძელო. 1827 წელსა“. ეს არის პოემის პირველი, მოკლე ვარიანტი, ჩვენამდე ავტოგრაფის სახით მოღწეული. არსებობს მეორე ვარიანტი (ავრეთვე მოკლე). სხვისი ხელით გადაწერილი, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: „ტოლუბაში. (მიბაძეა ქუკოსკისა). (ესე ლექსნი 1826 წელს სპარსეთის ომში არის ნათქუამი, როდესაც ირაკლის თავაზედ იყვნენ ჯარნი დაბანაკებულნი)“. პოემის საბოლოო რედაქცია მოხდა 1870 და 1879 წლებში, იგი ამჟამად „საღლეგრძელოს“ სახითაა ცნობილი და პირველ და მეორე ვარიანტებთან შედარებით გავრცობილია (ამ უკანასკნელს ვეხებით პოეტის შემოქმედების მესამე პერიოდის დახასიათებისას).

მეორე (არა ავტოგრაფული) ვარიანტის ცნობას, თითქმის „ეს ლექსნი 1826 წელსა სპარსეთის ომში არის ნათქვამი, როდესაც ირაკლის თავაზედ იყვნენ ჯარნი დაბანაკებულნი“ ავტოგრაფული ხელნაწერის სათანადო ადგილს ზუსტად არ უნდა იმეორებდეს, რადგან თარიღი ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება. საქმე იმაშია, რომ 1826 წელს რუსის ჯარი ირაკლის თავისთან (ერევანთან) ჯერ კიდევ არ იყო დაბანაკებული, ერევანი პასკევიჩის სარდლობით კავკასიის ჯარმა მხოლოდ 1827 წლის 1 ოქტომბერს აღო. უფრო სწორია პირველი ვარიანტის ავტოგრაფული თარიღი — 1827 წელი. უნდა გავითვალისწინოთ ავრეთვე ისიც, რომ ეს თარიღიც „ტოლუბაში“ დაწერის ქრონოლოგიას არ განსაზღვრავს: პირველი ვარიანტი მუშავდებოდა 1832 წლამდე და თარიღი უმოკრესად ნაწარმოებში გამოხატულ ისტორიულ მომენტსა და ნაწარმოებზე მუშაობის დაწყების წელზე მიუთითებს.

სანდო და მნიშვნელოვანია მეორე ვარიანტის ცნობა. რომ „ტოლუბაში“ არის „მიბაძეა ქუკოსკისა“. გრ. ორბელიანს მოეპოვება სხვა „მიბაძეა“

* იგი რომ უეჭველად პოემის მეორე ვარიანტია იქიდანაც კარგად ჩანს, რომ შეიცავს ერეკლე II, დავით სარდლისა და ზაქარია [ანდრონიკაშვილის] და თამარ მეფის ხოტბას, რომელიც პირველ ვარიანტში არაა. მაშასადამე, ამ ვარიანტის ავტოგრაფულ (ამჟამად უცნობ) ლეიდანში თარიღი „1826“ შეუძლებელია ყოფილიყო.

ვაე ქუკოვსკისა“. მაშასადამე, იგი ავტორის განმარტებდა უნდა მივიჩნიოთ. მართლაც, გრ. ორბელიანის „ტოლუბაში“, ისევე, როგორც პოემის საბოლოო რედაქცია („სადღეგრძელო“), უეჭველად დაწერილია ცნობილი რუსი რომანტიკოს-პოეტის ვ. ქუკოვსკის ნაწარმოების „**Певец во стане русских воинов**“ (1812) შიბაძეით; მაგრამ „ტოლუბაში“ არაა უბრალო ვარიაცია აღნიშნული ნაწარმოებისა. ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში დიდი ხანია გამოთქმულია ანალოგიური მოსაზრება. ამემაღ ეს საკითხი სპეციალურად არის შესწავლილი*.

ილანინშავია, რომ თვითონ ვ. ქუკოვსკის პოემაე არაა მთლად ორიგინალური — იგი შიბაძეა ინგლისელი პეროპანტიკოსის თომას გრეის (1716—1771) პატრიოტული ოდისა „**The Bard**“, რომელშიც ავტორი ინგლისის ეროვნული დიდების მთავარ ეპოქებს მიმოიხილავს. გრეის ნაწარმოების ცენტრშია ბარდო, სახე იმ ძველი პრაფესიონალი მომღერლებისა, რომლებიც ხოტბებს ასხამდნენ გმირებს, ან სხვადასხვა ისტორიულ თუ ლეგენდარულ ამბებს ჰყვებოდნენ ზეპირად. ქუკოვსკის პოემაშიც მომღერალი (Певец) წარმოსთქვამს სადღეგრძელოებს და რუსეთის ისტორიის გმირებს იგონებს.

ქუკოვსკის „მომღერალი“ ეძღვნება 1812 წლის სამამულო ომს. პოემაში ამ ომის გმირებია შექმნილი (კუტუზოვი, რაეისკი, ერმოლოვი, მილორადოვიჩი. კონოენციინი, ორლოვი, კისაროვი, კუტაისოვი, ბაგრატიონი და სხვები). პოემის დასაწყისში (მეორე სადღეგრძელოში) მოხსენებულია სვიატოსლავი, დონსკოი, პეტრე პირველი და სუვოროვი, სხვა ადგილას — სახალხო მომღერალი ბოიანი, ლომონოსოვი, დერეჟინი და სხვ.

„ტოლუბაში“ ისევე, როგორც „სადღეგრძელოს“ საბოლოო რედაქცია, კომპოზიციურად და ცალკეული მოტივების მხრით ხშირად უშუალოდ მისდევს ვ. ქუკოვსკის პოემას. ამ ნაწარმოებთა შორის ბევრი თემატიკური ომონტია საერთო, ხშირად ამა თუ იმ თემის გაშლის მხრეაც სრულს დამთხვევას აქვს ადგილი. მიუხედავად ამისა, „ტოლუბაში“ (და „სადღეგრძელო“) არაა უბრალო ეარიაცია, იგი მართლაც შიბაძეა და არა განმეორება. უმთავრესი განსხვავება ამ ორ პოემას შორის ისაა, რომ ვ. ქუკოვსკის ნაწარმოების ცენტრშია ავტორის თანამედროვენი, 1812 წლის მონაწილე გმირები, რომელთაც პოეტი კონკრეტულად ასახელებს და შესაფერისად ამკობს მათ; გრ. ორბელიანის წინაშე კი ეს ამოცანა არა დგას. ქუკოვსკის პოემაში შექმნილია რუსი გენერლების გმირული თვისებანი, რომელნიც მათ გამოიჩინეს ბოროდინოს ბრძოლაში. სხვა მოტივებს (ისტორიული წარსულის მოგონება, სიყვარულისა და მეგობრობის ხოტბა და სხვ.) ვ. ქუკოვსკის პოემაში დამატებითი ნიშნავლობა აქვთ. „ტოლუბაში“ კი (და პოემის ბოლო რედაქცია) მკითხველს არ უქმნის დროის, ეპოქის სრულ ილუზიას. ყველა სადღეგრძელო, რომელ-

* ქ. კუმბურიძე. გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ და ვ. ქუკოვსკის „მომღერალი“ რუს მეომართა ბანაკში (სტალინის სახ. უნივერსიტეტი. ტ. 53. გვ. 179-204, 1954).

საც ტოლუმბაში წარმოთქვამს, შეიძლება წარმოთქმულიყო არა მარტო რუსეთ-ირანის ომში 1827 წელს, არამედ სხვა დროსაც და ისიც მხოლოდ და მხოლოდ ქართველ მეომართა შორის. ნაწარმოების არც ერთი ტაეპი არ გეანიშნებს, რომ პოეტი პასკევიჩის არშიაში იმყოფება. პირიქით — პოემის მიხედვით ჩანს, რომ „ირაკლის თაფასთან“ მხოლოდ ქართველები არიან დაბანაკებულნი. ტოლუმბაში ასე მიმართავს შემოვლებს:

ძმნო! აღეგსოთ ფიალა წინაპართ მოსახსენებლად,
რომელთაც მამულისათვის სისხლი შეჰსწირეს აქ მსხვერპლად;
თვით გორი ესე წითელი არს მათ მხნეობის მაჩვენალად,
რომელიც მტერთა შემუსვრით შეიქმნა სიმარედ ვრცელად.

გრ. ორბელიანი შეზღვევს კომენტარს ურთავს სქოლიოში ამ ადგილს: „გარნიზონის მდინარეს და ერეკანს შუა მეფე ირაკლიმ დაამარცხა და შეიპყრნა აზათხან. იმავე ადგილს ორმა ჩვენმა როტ.მ დაამარცხა ისანხანი და ნალიხანი, რომლისა შემდგომ მივედით მეგობრები ქართველნი და ირაკლის თაფზე, საიდანაც აიღო ამა მეფემან ერეკანი, იმ გორაზე ელხინობდით“. — როგორც ვხედავთ. ეს შენიშვნა არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ მინიშნებას რუსული მხედრობის შესახებ. თვითონ ტექსტში კი იმაზე კრიტიკულ არაა დაძრული — არც ერთი მხედართმთავარი ან ომის უშუალო ღონაწილე პოემაში დასახელებული არაა. „ირაკლის თაფასთან“ ქართველი მეომრების მისვლა და ლხინი კი მხოლოდ და მხოლოდ წარსულის შოგონებებს აღძრავს პოეტში:

მიწსთან გასწორებულან ძვილთ დროთა გმირთა სადგურნი!
ქრპან აღგავა მათნიცა მიწისა პირით საფლავენი
წინაპართაგან რალა გვშთა? — დიდებისა მოედანის
მათი სახელი, მათ ზრმალი და დიდნი მათი საქმენი.

„ტოლუმბაში“ პირველ ვარიანტში ამ წინაპართაგან მოხსენებულია მხოლოდ ვახტანგ გორგასალი. საქართველოს სხვა ისტორიული გმირები თანდათან გამოჩნდნენ პოემის მეორე ვარიანტში და განსაკუთრებით „სადღეგრძელის“ ბოლო რედაქციაში.

„ტოლუმბაში“ მამულისადმი სიყვარულის ჰიმნს წარმოადგენს. პოემის ამ ვარიანტში ტოლუმბაშის პირით პოეტი მიმართავს თავის სამშობლოს:

ჰე, მამულო, სასურველო ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ აღპთრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღესილო?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დაჰსთხოოს თვისი
სისხლი,
არა დაკლას თავი თვისი შენდა დახსნად, ვითა
მსხვერპლი

სამაგიეროდ პოემაში ერთი სიტყვით არაა აღნიშნული მნიშვნელობა იმ სა-
ომარო ექსპედიციისა, რომლის მონაწილეც პოეტი იყო. ამრავად, გრ. ორბელიანის
„სადღევგრძელოს“ პირველი ვარიანტი (ისევე, როგორც მეორე ვარიანტი და საბო-
ლოო რედაქცია) ვ. ჟუკოვსკის პოემის ერთგვარ ანტიპოდს წარმოადგენს ძირი-
თადი თემის შერჩევის თვალსაზრისით.

აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ გრ. ორბელიანის „სადღევგრძელოს“ ეს თავისე-
ბურება — რუსული მილიტარისტული ჯარის მოუხსენებლობა და ამ ჯარის მხო-
ლოდ ქართულ ნაწილზე ყურადღების გადატანა (თანაც ქართველი მეომრების
მართოდენ ისტორიულ მოგონებათა ბურუსით შემოსვა) — ახასიათებს ნიკოლოზ
ბარათაშვილსაც ლექსში „ომი საქართველოს თავადაზნაურ გლეხ-
თა პირისპირ დაღისტანისა და ჩეჩნელთა 1844-ს, მძღვე-
ნელოთბასა ქვეშე ლუბერნიის მარშლის თავადის დიმიტ-
რი თამაზისა ძის ორბელიანისა“ (1844). ნიკოლოზ ბარათაშვილიც
კავკასიის ომში ქართველების მონაწილეობას ისე აგვიწერს, თითქოს მხოლოდ
ესენი ეწვეიან ბრძოლას დაღისტანში. პოეტი იგონებს საქართველოს ისტორიულ
გმირებს — ერეკლე II, დავით სარდალს — და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება.
თითქოს მიიღვლა წინააღმდეგ „ქართლის ძეთა“ ერთობლივ გამოსვლას
იმპერატორის ნება კი არ მართაეს, არამედ ერეკლე II აჩრდილი. პოეტის მზერა
დანისლულია პატრა კახის, მისი სარდლების და საერთოდ ფეოდალური საქარ-
ველოს სპათა ზმანებით. ამიტომაც აღნიშნული ლექსის პირველ ვარიანტს
ქვე ბუნებრივი დასასრული „მეფესა (ვ. ი. ერეკლეს) თავი შესწირეთ, ვაგლა-
ხი ეციოთ წარპართა“ (გვიან პოეტმა ცენზურისთვის შემდეგნაირად გაასწორა ე-
ტაები: „ომპერატორსა ემსხვერპლეთ...“, თუმცა ეს ტიტული სრულიად არ
შეეფერება ლექსში ასახული ისტორიული სახეების ანსამბლს*.

ნ. ბარათაშვილი რომ იცნობდა „ტოლუბაშის“ რომელიღაც ვარიანტს — სა-
ევეო არ უნდა იყოს. ნიკ. ბარათაშვილი რომ კარგად იცნობდა თავის ბიძის ნა-
წერებს, ჩანს მის ბარათებიდან გრ. ორბელიანისადმი. 1833 წელს კეთილმოზილთა
სასაწყალებლის შევირდების მიერ შედგენილ აღწახანში შეტანილია გრ. ორბელი-
ანის „იარალის“, ხოლო ამ აღმჩანის მონაწილე სხვებთან ერთად ნიკ. ბარათა-
შვილიც იყო. ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ გრ. ორბელიანს მისი უნიკიერესი
კასრული თავის ლიტერატურულ მეტრად სთელიდა. ნ. ბარათაშვილის განთქმული
სტროფი „მერანია“, რომელიც იწყება სიტყვებით „ნუ დავიმარხო ჩესა მამულ-
ში... — წინამორბედს პოელობს სწორედ „ტოლუბაშის“ ვარიანტებში:

ვაი თუ ჩქმან, გლახ შემან ბედმან, აქ განმისაზღვრა მეც აღსასრული!

ვაი თუ მოჰკვედ ესრეთ ყარიბად; გულს არ დაშეცეს სატრფოის ცრემლი
და სხე...

¶

* უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. ჩვენი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1947, გვ. 85-87.

გარდა პატრიოტული მოტივებისა, „ტოლუბაში“ შეიცავს მეგობრობის, სიყვარულისა და საქართველოს ბუნების ხოტბას, რაზედაც თავის ადგილას გვექნება საუბარი. ეს ნაწარმოები შეიქმნა 1827—1832 წლებში, ე. ი. ცნობილი „შეთქმულების“ პერიოდში. იგი ჩინებულად გამოხატავს პოეტის ეროვნულ შეგნებას: პასკევიჩის არმიის ოფიცერის მკერდქვეშ ძვერს გული მამულზე შეყვარებული პატრიოტისა, რომელიც მზადაა „და აკლას თავი თვისი“ მისდა „დაახსნად, ვითა მსხვერპლი“.

ეროვნული კონცეფცია, რომელიც საფუძვლად უდევს „სადღეგრძელოს“ პირველ ვარიანტს („ტოლუბაში“) უფრო მკაფიოდ გამოხატულია ავტორის ამავე პერიოდის ლირიკულ ლექსებში და სხვა „მიზაქვებში“. გრ. ორბელიანის ასეთ პირველ პროგრამულ ლექსად (პატრიოტულ თემაზე დაწერილ ლირიკულ ნაწარმოებთა შორის) უნდა ჩაითვალოს „აღსარება“ (1831), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა 1832 წელს შეთქმულთა წრეში. იგი წარმოადგენს ცნობილი დეკაბრისტი პოეტის კონდრატო რილეევის (1795—1826) დაუმთავრებელი ნაწარმოების „**Ныльвице**“-ს ერთ-ერთი თავის („ნალივიცოს აღსარება“) მიზაქვასა და გადმოქართულებას. რილეევს, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ რესპუბლიკანელ პოეტს, თავდაპირველად განზრახული ჰქონია დაეწერა პოეტი პოემა ამ სათაურით. ამჟამად ცნობილია მხოლოდ საერთო გეგმა პოემისა და ცალკეული ადგილები. გრ. ორბელიანი სცვლის რილეევის ლექსის შინაარსს. იგი გაქართულებულია. ნაწარმოები გაუღწეოლია „მტრის სისხლის დასათხევად მოსურნე“ ქართველი არისტოკრატი-პატრიოტის სულისკეთებით. როცა 1832 წლის შეთქმულებთან კავშირის გამო გრ. ორბელიანი გაჩხრავეს და დაატუსაღეს ნოვგოროდში, ჟანდარმერიის პოლკოვნიკმა სხვათა შორის ჰკითხა მას „ნალივიცოს აღსარება“ თქვენ თარგმნეთ თუ არათ. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ „აღსარების“ ერთ-ერთი პირი ჟანდარმერიას უპოვია შეთქმულთა ყველაზე რადიკალური წევრის, რესპუბლიკანელი სოლომონ დოდაშვილის ბინაზე. მეორე შეთქმულისათვის, გიორგი ერისთავისათვის გრივოდ ორბელიანს თვითონ გადაუცია თავისი „მიზაქვა“, ხოლო თბილისში ყოფნისას დიდი წარმატებით წაუკითხავს იგი შეთქმულთა წრეში. ყოველივე ეს ნათლად მოწმობს „აღსარების“ მნიშვნელობას 1832 წლის შეთქმულებასთან გრივოდ ორბელიანის იდეური კავშირის თვალსაზრისით.

„აღსარების“ ლირიკული პერსონაჟი თვითონ ავტორია, ნაცვლად რილეევის პოემის გმირის, უკრაინელ პატრიოტ ნალივიცოსი. ლოკალიზებულია ადგილიც. სადაც პოეტი წარმოთქვამს თავის აღსარებას: ვარშავის ნაცვლად დასახელებულია მცხეთა. „ივერიელთა“ მტრებად გამოყვანილი არიან „ლეკი, ოს-

* გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება. ტფილისი, 1935, გვ. 97. გ. ერისთავს „აღსარების“ ქართული თარგმანისათვის „გივი ამილახერის აღსარება“ უწოდებია (იქვე).

მალა და სპარსი“*. ამრიგად, გრ. ორბელიანის ლირიკულ მონოლოგში ნამდვილი მისიზმარტები შენიღბულია ისტორიული სახელებით. მიუხედავად ასეთი გულისა, ლექსი ძალზე გამჭვირვალეა:

ყოჩხეთი მტანჯს მაშინ მე, ვახედავ რა ტყვედ ქმნილს მამულსა!
როს ენახო თავისუფლებით, ვახედვ მაშინ სასუფეველსა!
სიყრმით ჩემითგან გულს ცეცხლი თავისუფლების აღმენთო;
რა შესმა ძველთ დროთ ღიღინი, ცეცხლი ცეცხლზედა დამერთო!
ესრეთ სარცხვინო შიშითა ვინ იყო მაშინ ძლეული?
ტყვეობას ვინ არ ერჩიენა სიკვდილი მამაცული?
ქედმოდრეკილი უღელს ქვეშ, სიმწარით დღეთ თვისთ ვინ ჰსწყევდა?
მთავართ განისვენებდნენ და მზე ნათელსა მოპყენდა!

როგორც ეხებათ, „აღსარებაში“ დახასიათებულია პოეტის თანადროული სინამდვილე წარსულთან დაპირისპირებით („ეს რეთ სარცხვინო შიშითა ვინ იყო მაშინ ძლეული?“), ლექსში საუბარია არა წარსულზე, არამედ აწმყოზე:

ლკი, ოსმალო და სპარსი, ეით შგელნი განუძლომელნი,
უწყალოდ ჰგლეჯენ ჩენს მამულს, სისხლითა ჩენით დებულნი,
ჰსჭულსა უძლურად შექმნილსა, ჰსთვლემს მცხეთას
გამოუფხიზლად;

ერი ღაღადებს ვაებას და ვერეინ აღსდგამფარველად,
შის ეამის მტრისა სისხლისა ვარ დასათხევად მოსურნე
და ამა ფიქრით მოტულსა, სახე მაქეს ჰმუხვნილ, მრისხანე.
შე თავისუფლებისათვის სული მარადის მიკენისი.

ხმა საიდუმლო მარად ეამს მეჩუტრულების მე ყურსა,
ეამი არს მტერი მამულის მივსცეთ მახვილსა ლესულსა.

„აღსარება“ თავდება ამბოგებისა და ბრძოლისათვის მზადყოფნის დეკლარაციით:

თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ [ვის] მოუსყიდის?
წარსწყმდები მამულისათვის, ეიცი, ვგრძნობ და აღვიარებ.

* იმ პარალელური ადგილებით:

1) მსჯელსა უძლურად შექმნილსა ჰსთვლემს მცხეთას გამოუფხიზლად
Давно вакоя в Варшаве дремлет.

2) ლკი, ოსმალნი და სპარსი, ეით შგელნი განუძლომელნი

„Жид, Унят, Летвиа, Поляк // Как стаи кровожадниа врагов.

გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებიდან პირდაპირ მიემართება იდეური, ემოციური და სტილიური ძაფები პოეტის უფრო გვიანდელ პატრიოტულ ლექსებთან. ესაა ერთი გამმა, ერთი სულიერი მღელვარების სფეროში წარმოშობილი ფიქრები და განცდები. შემდგომს ლექსებშიაც საქართველოს გმირული სულისა და „წინაპართა სისხლის“ მოგონება გრ. ორბელიანს სჭირდება აწმყოს შეცულის, თანამედროვეთა გაოთხიზლებისა და გაღვიძების მიზნით. ისტორია როდი იყო მისთვის მხოლოდ მელანქოლიური ჰერეტის ობიექტი ან მარტოოდნ თელწარმტაცი დეკორუმი. ისტორიული მოგონება პოეტში აღძრავს „შორით მოსულის“ წინააღმდეგ ბრძოლისა და თანამედროვეებში სულიერი აქტიუზაციას გამოწვევის სურვილს. გრ. ორბელიანს ეს აზრი პირდაპირ დეკლარაციულად აქვს გამოთქმული უსათურო ლექსში „ჰე, ივერიიე“:

ჰე, ივერიიე! ვიდრე იყო ქედმოდრეკილი,
ვიდრემდის სხეათა უცედრებითა გფარვიდეს ძალი,
რად არა გახსოვს ძენთა ხრმალთა კრიალი,
ქლევათა მათგან, როს დიდებით იყაე მოსილი.

წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არღა მდინარებს.
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გეახარებს!
შორით მოსული ჩემს მამულში მყუვედრის ცხოვრებას
ბოყვრულად გემტერობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს
აღერსობას...

ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას!
ბედო! ნუ გძინაეხ, განიღვიძე, ისმენდ ვაებას!

„მეორე უსათურო ლექსი — „მისი სახელი კიცხეთა“ — კიდევ უფრო ახლო გეაგრძობინებს მეამბოხე პოეტის სულისკვეთებას 32 წლის შეოქმულების მზადების პერიოდში:

მისი სახელი კიცხეთა მარადის იხსენებოდეს
ეინცა სამღრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჰგრძნობდეს,
და ეინცა მისსა ტყვეობას გულსიგრილითა ჰხედავდეს
და მის დახსნისთვის უზრუნველ თვის სიცოცხლეს
კი ჰზოგაედეს.

მტერსა ხანჯალზედ აღგებულს ეინცა სიამით არ
ჰსკვრეტდეს
და სმენა მისთა კენესათს გრძნობათა არა უტკობდეს!
რასასურველ არს სიცოცხლე, ვაით ამსოფელს მოსული
და სამარემდის კენესითვე უღელსქვეშ დამწარებული!

„აღსანიშნავია ფრაზული პარალელები ამ ლექსისა „აღსარების“ ცალკეულ ტრაპებთან. მაგ. „ვიდრე იყო ქედმოდრეკილი...“ შდრ. „ქედმოდრეკილ უღელქვეშ...“ ან „უღელქვეშ დამწარებული“ („აღსარ.“) აგრეთვე: „ერი ღალადებს ვაებას“ („აღს...“) შდრ. „განიღვიძე, ისმენდ ვაებას“ („ჰე, ივერიიე“) და ა. შ.

სჯობს იგი მოკედეს და ანუ არ იქნას დაარსებული,
მხვედრი ესრეთი ეჯღაბი არს ვისთვისც განწმადებული!
ვისაც ნუგეში ცხოვრების იმედიც არა ჰშთამოდეს,
რომელ ოდენამე ცის ქარი თავისუფლებების აღმოჩნდეს! —
ვაი მას, სად მხოლოდ ძალა რა მსაჯულოვნობდეს...
სად სჯულზედ მჯდომი ხანჯალი" კანონთა

აღასრულებდეს!

მოყვანილი ტაეების პოლიტიკური სარჩული იმდენად განჭვირვალა, რომ იგი
ერკელ განწმადებებს არ მოითხოვს. ადვილი ამოსაცნობია ის ადრესატი, ვისდა-
მიცაა მიმართული პოეტის მძვინვარება. გრ. ორბელიანი კრიტიკულად* აფასებთ
სონამდვილეს, პოეტის გულწყრომას იწვევს მის მანუღში პოლიტიკურ-ბიურო-
კრატიული რევიმის თავგასულობა, რომელიც ქვეყნის მიერ თავისუფლების
დაკარგვას მოჰყოლია. პოეტი მზადაა დასტკბეს ხანჯალზე წამოგებული მტრის კენე-
სით და ჰკიცხავს ყველას, ვისაც ამ „თავისუფლების ცისკრის“ მი-
ლადინი არ აქვს.

ერთ-ერთ პროზაულ კონსპექტში, რომელიც 30-იან წლებს ეკუთვნის და და-
სათურებულა „საქართველო ჩემის დროისა“, გრ. ორბელიანი
სხეათა შორის ჩამოთვლია ყველა იმ სწაძალეს, რასაც ამ პერიოდში ჰქონდ.
ადვილი საქართველოში და რასაც შემდეგ ხალხის სტიქიური ამბობება მოჰყე-
ბოდა ხოლმე: სასამართლო, გარყენილი მოხელენი, და მათი
უსამართლობა და ქრთამობა... ლოთობა და ცემბატყება
ჩინოვნიკებისა და ხალხისაგან დადაღისი წყევლისა... ბუნ-
ტი კახეთში,** და მის უმთავრესი მიზნები: კომისიონერე-
ბი, აფიკრებისა და სალდათებისაგან შეუტაცხყოფ
ცილ-შეიღებისა სოფლებში... ერმოლოეა და მისგან და-
ჩაგვრა თავადებისა“.

* აღსანიშნავია ერთი საგულისხმო ფაქტი: ეს ლექსი („მისი სახელი კიცხვი-
თა...“) შეტანილია „აღსარების“ იმ ხელნაწერ ასლში, რომელიც გ. ერისთავს
ჰქონია (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება. გვ. 97). ჩამატებულია იგი
„აღსარებაში“ ტაეის „სახე მაქვს ჰმუნხნილ მრისხანე“ შემდეგ (ვიდრე ტაეამდე
-შე თავისუფლებისათვის...“). ასეთი კონტამინაცია შესაძლოა თვითონ გრ. ორ-
ბელიანისაგან მომდინარეობდეს?! როგორც არ უნდა იყოს, გრ. ორბელიანის
„ნიბაძეა“ და აღნიშნული ლექსი თანამედროვეებს აღუ-
თქვამთ ერთ იდეურ მთლიანობად. მაგრამ აქვე უნდა დაეხსო-
ნოთ, რომ ლექსი „მისი სახელი კიცხვითა“ რილევის „ნალიეიკოს აღსარებიდან“
არ მომდინარეობს და სრულიად ორიგინალურია. დოდაშვილისეულ ხელნა-
წერში გრ. ორბელიანის ორიგინალური ლექსი პირდაპირ ჩამატებულია და მისი
თუნდაც შორეულად ექვივალენტური ტაეები რუსი რევოლუციონერი პოეტის ნა-
წარმოებში არ მოიპოვება.

** იგულისხმება კაბეთის აჯანყება 1812 წელს.

ეს ამონაწერი ძალზე მნიშვნელოვანია არსებულ რეკიმიზაღმე გრ. ორბელიანის დამოკიდებულების ნათელსაყოფად 30-იან წლებში. მის პოლიტიკურ და სოციალურ პროტესტს კონკრეტული სინამდვილე ჰქვევავდა.

გმირული წარსულის მოგონებისა და ბედშვებ აწმყოს შეცვლის სურვალს გრ. ორბელიანი შესანიშნავად გადმოგვცემს ერთ-ერთ თავის საუკეთესო ლექსში. „იარალის“ (1832), რომელიც ავტორს ნოვგოროდში დაუწერია. ეს ლექსი, „დღსარების“ მსგავსად, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა 1832 წლის შეთქმულთა შორის და გრ. ორბელიანს ისიც განიხრეკისას უბოვეს ნოვგოროდში.

„იარალის“ მიძღვნილია პოეტის პეტერბურგელი ნაცნობის იარალი შანშიაშვილისადმი. ეს უკანასკნელი თან ახლდა რუსეთს გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებს, კერძოდ, ფარნაოზ ბატონიშვილს, და გრ. ორბელიანს იგი 1831 წელს გაუტყვინა პეტერბურგში (უნდა მოვიგონოთ, რომ გრ. ორბელიანი ხშირი სტუმარი ყოფილა ფარნაოზ ბატონიშვილისა და უეკველია, ამ უკანასკნელის წრეში გაიქნობდა იარალის, რომელიც უკანასკნელი ქართველი მეფეების კარის მკლასანი, თარზე დამკერველი და მოძღერალი ყოფილა, ლექსიდანაც კარგად ჩანს, რომ იარალი შანშიაშვილი თავისი მფარველი ბატონიშვილის პოლიტიკური იდეალების ერთგული იყო. ამით აიხსნება თანამზრახველობის და განდობის ტონი, რომლითაც პოეტი თავის პატრიოტულ ოცნებებს უზიარებს იარალის. მამულიშვილურა სულსჩვევება, თავისუფლებისადმი ღრმა სიყვარული და ფეოდალური წარსულის ზოტბა, რომლითაც გამსჭვალულია „იარალის“, სავსებით ორგანიული და გასაგებია უნდა ყოფილიყო რუსეთში გადასახლებულ ქართულ ლეგიტიმურ წრეებთან დაახლოებული პირისათვის. ერეკლე II და გიორგი XII მომსწრეს, ძველი საქართველოს დავიანებულ ტრუბადურს ბევრი რამ საინტერესო უნდა მოეთხრო ახალგაზრდა პოეტისათვის. ლექსი „იარალის“ პოეტური გამოძახილია მათი საუბრებისა.

„იარალის“ ვრცელი ლირიკული ლექსია, რომელიც ნატვრით იწყება და შედეგ ერთგვარი ბილვის მხატვრული ზორცმეხმით იშლება. პოეტი მიმართავს თავის პეტერბურგელ ნაცნობს და ნატვრის მასთან ერთად სამშობლოში იქდეს. „ველსა მწყანეს“ და „გახებულელთა დეინისგან შეუბლთა კოჩრისნი იევი განუგრილებდეს“ ასწერს რა ქართულ სუფრას, პოეტურ წარმოდგენს:

შენ მომიხრობდე,
მე ყრმა გისმენდე
გამოუცდელი მოხუცებულსა,
თუ ვით ივერნი,
ლომგულნი გვირნი,
პბრძოდნენ, მსცხოვრებდნენ დროსა წარსულსა.

პოეტის წინაშე იშლება გმირული ხანა ჩვენი წარსულისა, სურათები იმ პერიოდისა, რომლის უშუალო მხილველი და მოწმე იარალი იყო მტერზე „შურდუ-

ლებრ“ სწრაფად მისეული „მხნე ჰაბუკების“ მოგონებისა და დახასიათების უმაღლესი პოეტი ამბობს:

დანატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შეჰსწირა მსხვერპლად;
დანატრი ღრთათა, როს აქვნათ ტრფობა მამულისადმი გულს აღბეჭდილად.

და ამგვარი ლირიკული რეპლიკის შემდეგ პოეტი ისევ ახასიათებს ივერიელთა სხვადასხვა თვისებას — ბრძოლის უნარსა და სიმამაცეს, სარწმუნოებას და ერთგულებას, ღბინსა და გართობას; იშვიათი რიტმიული ექსპრესიით გაღმოგვეყქს აბაზზე ჭირითის სურათს, და იგონებს:

ამ ვაკეაღობრიეს შექცევას იგი (მეფე ირაკლი) სიამით მარად უმზერდა შორით.
ეისცა ეწერა დიდება ხახებ, ვინცა არღა არს, ე ი ს თ ე ი ს ა ც ე ჰ ს ტ ი რ ი თ.
წარსულთა ღრთათა, დიდების ღრთათა, ყოელი კეთილი თანა წარიღეს,
აწ უცხო ცის ქვეშ, ზოგსა ვჰჰვერეტთ ოხრვით, და ცრემლია
ზოგის წმინდა სამარეს.

ამ სტროფს უშუალოდ მიჰყვება ტაეებები, რომლებშიც მთელი ლექსის იდეურ მწკერგალს წარმოადგენს:

ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი.

ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით,
ერთისა დაკვრით.

უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰცემდეს?
მაგრამ ამოდ, ჩემო იარალი,
არს ჩემი ნატერა და ჩემი როტვა!

ამრიგად, „იარალის“ ამ ადგილასაც მოისმის ის ძახილი, რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილს უსათაურო ლექსშიაც („ჰე, ივერიაე“) ისმის: „ბედლონ უ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას“. ამავე ღროს პოეტს თითქო „ამაონატერად“ მიაჩნია ისეთი გმირის გამოჩენა, რომელსაც შეეძლოს „ვეშაპის“ ძირს დაეშა და თუ ასეთად „ზოგსა სჰვერეტს ოხრვით“. ისიც საშობლოს ვარეთ, „უცხო ცის ქვეშ“ (ამჟამად — გრ. ორბელიანი რუსეთს გადასახლებულ ბატონიშვილებს გულისხმობს იარალისადმი მიმართულ ლირიკული მონოლოგის ამ ადგილას).

უკვე განხილული ლირიკული ლექსების შინაარსიც ნათლად მეტყველებს გრ. ორბელიანის ეროვნული შეგნების, მისი პატრიოტული სულისცვეთებისა და პროტესტანტული განწყობილების შესახებ. ამ ლექსებში მხატვრულადაა გამოხატული გასული საუკუნის 30-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის ოპოზიციური დამოკიდებულება ცარიზმისადმი საქართველოში. შემ-

* შტრ. ტაეები „აღსარებიდან“: „...და ვერვინ აღსდგა მფარველად“.

ოქვევითი როდი იყო, რომ გრ. ორბელიანის „იარაღის“ ხელნაწერის სახით იყო გავრცელებული ქართველ შეთქმულთა შორის და მას ზეპირადაც წარმოთქვამდნენ.

შეთქმულების იდეებით შთაგონებული გრ. ორბელიანის პატრიოტული შემოქმედების ანალოზის სისრულისათვის აქვე მოკლედ უნდა განვიხილოთ პოეტის დღიურის ერთი ნაწილი „მ გ ზ ა ვ რ ო ბ ა ჩ ე მ ი ტ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ პ ე ტ ვ რ ბ უ ლ ა მ დ ი ს“ (1831), რომლის გადათეთრებული, საბოლოო (ავტორისეული) რედაქცია უკვე გამოქვეყნებულია*. ზოგიერთი ადგილი ამ დღიურისა მისი ზემოთ გარჩეული ლექსების პროზულ კომენტარადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ.

თავის დღიურში გრ. ორბელიანი აკვიწრს 1831 წლის ზაფხულს (9 ივნისს) სობილისიდან რუსეთს გამგზავრებას. მას საგანგებოდ აქვს აღნიშნული, თუ როგორ „ჩუქად შეიკრიბენ“ მისი „კ ე შ მ ა რ ი ტ ი“ მეგობრები (შეთქმულნი? ა. გ.) და გააცილეს იგი. შეზღვევ ავტორი გადმოგვცემს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, ვნება სანახედრო გზის გასწვრივ მდებარე ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლებს. აკვიწრს მცხეთას, დუშეთს, ანანურს; დღიურში ასევე აღწერილია მთიანი საქართველოს მდიდარი ბუნება, კაიშურის და ფასანაურის, თერგისა და დარიალის, ლანდშაფტები. განსაკუთრებით საყურადღებოა მცხეთაში მისვლა და სვეტიცხოვლის ნახვა. „რა ვიხილე მცხეთისა მონასტერი... გ ა რ დ მ ო მ კ ე ი ვ დ ნ ე ნ ო ვ ა ლ თ ა გ ა ნ ც რ ე მ ლ ნ ი, ვ ი ხ ი ლ ე რ ა ს ა ფ ლ ა ე ი მ ე ფ ი ს ი რ ა კ ლ ი ს ა, რ ო მ ლ ი ს ა თ ა ნ ა ა რ ს დ ა მ ა რ ხ უ ლ ი დ ი დ ე ბ ა დ ა ყ ო ვ ე ლ ი კ ე თ ი ლ ი ი ე ვ რ ი ს ა ო“ — წერს პოეტი (გვ. 70). ეს სიტყვები უმაღლეს ავონებენ მკითხველს არა მარტო „ტოლუბაშის“ მეორე ვარიანტისა და „სილდგარძელის“ ცნობილ ადგილს („დიდებდა იევერიისა მისთან (ირაკლისთან, ა. გ.) მ ა რ ხ ი ა ს ა მ ა რ ე ს“), არამედ იარაღისადმი მიმართულ სიტყვებს ერეკლესა და მისი ეპოქის შესახებ: „ვისცა ეწერა დიდება სახეს“... „წარსულთა დროთა, დიდების დროთა ყოვლი კეთილი თანა წარაღეს“.

ყაზბეგის, ვლადიკავკაზის, ეკატერინოგრადის, და სტავროპოლის მოკლე აღწერისა და სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობების მოყვანის (საგ. ყაბარდოს შესახებ) შემდეგ ნაწარმოების ბოლო, მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ავტორის საუბარს გენერალ ივანე აფხაზთან, რომელიც მას პირველად 21 ივნისს არღონის ციხეში შეხვედროდა და შემდეგ კი აგვისტოს სტავროპოლში გასაუბრებდა; დღიურის დამუშავებული ნაწილი წყდება 7 აგვისტოს თარიღზე, როცა ავტორი ჭერ კიდევ ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, სტავროპოლშია.

გრ. ორბელიანისა და გენ. აფხაზის დიალოგი, როგორც ეს არა ერთხელ ყოველა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისა არა მარტო გრ. ორბელიანის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ვასაგებად, არამედ 1832 წლის შეთქმულთა პროგრამის ზოგიერთი მომენტის კარ-

* პ. ინგოროყვამ 1928 წელს გამოაქვეყნა დღიურის ერთი ადგილი (იხ. ე. „ქართული მწერლობა“, 1928, № 6-7, გვ. 247-250), ხოლო მთლიანად — 1940 წელს (იხ. „მნათობი“, 1940, № 2. ადგილები აქედან მოგვეყვას).

ვად გაცნობის თვალსაზრისითაც *. საუბრის თემა — საქართველოს პოლიტიკური
 ვითარება და მისი განთავისუფლების გზები. დიპლომის დასაწყისში აფხაზს
 გრ. ორბელიანი ახასიათებს „ვიტარცა ქეშმარიტსა ძესა მამულე-
 სასა“. ეს უკანასკნელი იმ აზრისაა, რომ თუ რუსნი იძულებული იქნებიან და-
 ტეკონ საქართველო, მაშინ ქვეყანა „მყის შეიქნება მსხვერპლად უწესობისა,
 შინაგანისა განხეთქილებისა და ზედა დასხმისა დაუძინებელთა მტერთაგან“.
 გრ. ორბელიანი საწინააღმდეგო შეზღუდვებს გამოსთავაზებს: „საქართველო, შე-
 დგომად რუსთა დატევიებისა, ვგონებ იყოს ესრეთ ძლიერ, რომელ შეიძლოს დატე-
 ვტერთაგან საზღვრისა თვისისა. ოცდაათს წელიწადს საქართველოს თუ არ მომატე-
 ბია ზალნი, ვგონებ არცა დაკლებოდესო“. იეანე აფხაზი არ იზიარებს მოსაუბრის
 ან რწმენას და უხსნის გრ. ორბელიანს — საქართველოს მოსაზღვრე აზიურ სახელ-
 შვიფობებში „პოლიტიკები მდგომარეობა ფრიად შეიკვალა, ვის უხილავს ყიზილ-
 ბაშისა და ოსმალის ესრეთი განწყობილი ჯარი და ესრეთი თოფხანა“, ხოლო „სა-
 ქართველო ურედულოდ (რეგულარული ჯარი, ა. გ.) ვერცა ერთსა თვესა ვერ გა-
 უძლებს მტერთათ“. გრ. ორბელიანი ამაზე უპასუხებს, რომ „რედულის გაწყობა
 ადვილად მოხდება საქართველოში, ანითომ რომ, იქმნებიან რა თვით დამ-
 ცველნი თვისისა საზღვრისა, თუაღით დაინახვენ რედულის სარ-
 ვებლობასა“. გარდა ამისა, გრ. ორბელიანს სწამს, რომ ოსმალეთმა და სპარსეთმა
 დაინახეს თავიანთი შეცდომა — საქართველოს შევიწროებამ როგორ მიუახლოვა
 მათ „სამშინელი მუხობელი“. პოეტი ოპიონისტურად აფასებს დამოუკი-
 დებელ საქართველოს მომავალს; „ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართვე-
 ვლოს გაოხრებულს და კვლად აღდგინებულს არარაისაგან. ესრეთთა საკვირვე-
 ლბათა აწარმოებს მხოლოდ მხნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნოე-
 ბისა“. იეანე აფხაზს სწამს, რომ „ქართველნი არიან მხნენი“, მაგრამ რეგულარული
 ჯარის „გაწყობა“ მას ნაადრევად და შეუძლებლად მიიჩნია. ამავე დროს იგა-
 ითვალისწინებს ქართველთა სურთო დაბალ განებრივ დონეს, გაუნათლებლობას და
 სხვ. „ღმერთმან ნუ იწებოს საქართველოს დატევიება რუსთაგან ას წლამდის; მი-
 შინ აღარა შეშინის ამისთვის, რომელ საქართველოს ეუოლება მის დროსა მრ-
 ვალნი მსწაელულნი კაცნი, საზოგადოება შეიკვლება, იგრძნობს ყოველსა საჭირო-
 ებასა, და, ყოველი კეთილი, ახალი სასარგებლო დაწყებულება ადვილად აღსრულ-
 დებეს; ახლა კი ვინ იყისრებს, ან ვინ გაუგონებს. — აწინდელი ჩვენი საზოგადო-
 ება არს მკედარ მამულისათვის. მსცხოვრებენ უაფანოდ, დახეტებიან უგზოდ.
 ვითარცა ბნელსა ღამესა შინა; ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლო-
 ბისათვის, რომლისა მისაღებლად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა. არცა უბატი-
 ურსა ვხასა, რომელსა ზედა ვლენან. ანგარება არს წათვისი თაყვანსაქემი კერპი.
 რომლითაცა გვეკარგება პატიოსნება — გარნა ნუ გვოსიო რომელ ესე იყოს ბუ-
 ნებითი თვისება ქართველთა; არა, ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდა-
 ათის წლის მოტრიალებისა“. ამაზე გრ. ორბელიანი უპასუხებს:

* საქითხისათვის იხ. პ. ინგოროეკას წერილი („მნათობი“, 1940, № 2
 და „ქართული მწერლობა“, 1928, № 6-7).

„ამა ერისა სულისა დამდაბლებასა აღვილად აღზო-
ცენ იგინი, ეინცა იქმნებთან, შემდგომად რუსთა და-
ტრევებისა, ერის მმართველნი, უკეთუ იქმნებთან გონე-
ბიან და შორს მხედველ“. როგორც მკითხველი ხედავს, გრ. ორ-
ბელიანისა და ივ. აფხაზის დიალოგში დაპირისპირებულია ორი თვალსაზრისი,
ორი იღეა — საქართველოს დამოუკიდებლობისა და არსებულ
ვიტარებასთან შეგუებისა. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ დია-
ლოგში ორეკლა შეხედულებათა ანალოგიური სხვაობა შეთქმულთა გარკვეული
ჩვეუებისა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მომენტიც, თავის დროზე აღნიშნული *:
გრ. ორბელიანი თითქოს დაეკეებულა თავის პოზიციაში, თუმცა საბოლოოდ იგი
მანც საქართველოს დამოუკიდებლობის მონახე რჩება. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭ-
დილება იქმნება, თითქოს გენერალ აფხაზის ზოგიერთი შეხედულება პროზაული
გადმოცემა თეთონ პოეტის ფიქრებისა, რომლებიც ზოგიერთ მის ლირიკულ ლექ-
სებშია გამოხატული. ასე მაგალითად, აფხაზის აზრი „აწინდელი ჩვენი საზოგა-
დოების შესახებ“, რომელსაც „ოცდაათის წლის მოჩილებების ნა-
ყოფად“ პატრიონება დაუქარგავს, სრულს პარალელს პოულობს ლექსში „ჰე-
იერიაჲ“:

ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას

ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწვემსი არ უეის,
ვიტარცა მგლისა, ეგრეთ მშიერ კაცის ეშინის,
ეინცა განადგებს საღმრთოს ვალსა და გზის პატივის,
დასასრულ მანც საშინელად ესრეთ წახდების.

ასევე ივანე აფხაზის მიერ გამოთქმული აზრი აღეკსანდრე მეფის შემდეგ
საქართველოს ცალკეულ ნაწილებად დაქუცპაცებისა („საქართველო არს დაგლე-
ჯილი ნაწილ-ნაწილად“) და ქართველი ტომების ერთმანეთთან მტრობისა და
შუღლის შესახებ (რაც ქვეყნის გაერთიანებას ხელს უშლიდა), მშვენიერ პარალელს
პოულობს გრ. ორბელიანის შემდეგ სიტყვებში:

შიში, სიმაბლებე სულისა, შური, მფლობელნი აწ ჩვენნი
არიან მარად მონების ნაყოფნი ესე საქანი!—
ძველი ქებული სამეფო უფსკრულსა შთაუნთქავს ესრეთს,
რომ ჩვენზე მტერნი აღმსდგარან
და ჩვენ კი ვებრძვით ურთიერთს.

(„აღსარება“).

ღლიურში ფიქსირებული დიალოგი ნაწილობრივ მანც გადმოგვემს პოეტის

* იხ. პ. ინგოროყვას წერილი. „მნათობი“, 1940, № 2, გვ. 92.

არსებდან მომდინარე მეორე, სეპტიკურ ხმას, რომელიც „მოგზაურობაში“ მოსაუბრე აფხაზის პირითაა გამჟღავნებული. ჩვენი დაკვირვებით, „მოგზაურობის“ ზოგითი ადგილი წარმოადგენს პოეტის საუბარს თავის თავთან. უმოთხრესად კი „მოგზაურობა“. რასაკვირველია, მკაფიო პროგრამული გადმოცემა შეთქმულთა იმ იდეებისა, რომელნიც პოეტის მთელ რიგ ლექსებში მხატვრული სახეებითაა გამოხატული.

* * *

1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედების განხილვა სრული არ იქნებოდა, თუ ჩვენ გვერდს აუვლიდით პოეტის ერთ-ერთ უთაროდო ლირიკულ მიძღვნას „გულნი ივერთა“. ეს ლექსი პოეტმა შეიტანა ჯერ 1854 წელს დაწერილ ნიკოლოზ I ქებაში („ტოლუბაშიდან“). ხოლო შემდეგ — თავის პოემაში „სადღეგრძელო“. აი ეს ლექსი:

გულნი ივერთა აქეთ მსხვერპლად მზადა, შენდა შესაფერ-შესაწირავედ,
ტაძარი შენი არს გულსა ჩვენსა, მოვედ მშვიდობის ჩვენდა საკმევად,
კმა არს რაჟ ყვარგე აქამდის, აწ შენში ვპოვოთ კარგული.
ამადღეს ქელი ივერის შეებდით დამიწებული.
მტერთა შემუსერთ, შენის მხნეობით, კეთილდღეობით აღგაჯავადლე,
სწავლათა პოვონ აქ თვის სადგური მისისა ნათლით ჩვენ განგვანათლე!
მტერი შეძარწუნდეს, რა მოახლოვდეს შენსა საზღვარსა მხნეობით მცველსა.
ამაძრის დღენი, დიდების დღენი უკ-მოუქციე ივერისა.

ეს ტაქები დაწერილია 1832 წლამდე, არა უგვიანეს 1832 წლისა. ლექსი აღმოჩნდა 1832 წლის შეთქმულთა იმ საქმეებში, სადაც მოთავსებულია ნოვგოროდში პოეტისათვის ჩამორთმეული ხელნაწერები. საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ჩვენებაში გრ. ორბელიანს განუცხადებია, რომ მას განზრახული ჰქონია ამ ლექსის შეტანა იმპერატორისადმი ნაყარაუდევ მიძღვნაში.

საკიციალურ ლიტერატურაში ორი საწინააღმდეგო აზრია გამოთქმული ამ საკითხზე: ზოგს პოეტის განცხადება მიაჩნია არაგულწრფელად, ზოგს კი პირიქით:— სრულიად არ ეეჭვება იგი. მაგრამ საკითხის ასე დასმა უსაფუძვლოა: გრ. ორბელიანმა ზემოთ მოტანილი ტაქებში მართლაც შეიტანა ხელმწიფისადმი მიმართულ სადღეგრძელოში 1854 წელს, შემდეგ კი — პოემის საბოლოო რედაქციაში, ე. ი. მან განახორციელა ის განზრახვა, რომლის შესახებ გამომძიებელი კომისიის წევრისათვის (გენ.-მაიორ ვოლხოვსკისათვის) მოუხსენებია ჯერ კიდევ 1833 წელს. პოეტის გულწრფელობაზე ისიც მეტყველებს, რომ „გულნი ივერთა“ უეჭველად იგულისხმებს (დაუსახელებლად) ნიკოლოზ I, რომელმაც „სწავლის ნათელით“ უნდა

* „1832 წლის საქმე“, რე. XXI, ფურც. 4050 /ა (საქ. არქივი).

„აყეაელოს“ პოეტის ქვეყანა და ივერიას „უკმოუქციოს თამა-
ის დღენი, დიდების დღენი“.

ამ ლექსის ვრცელი ვარიანტი ავტორმა დასწერა 1854 წელს. იმპერატორი
აქ უკვე დასახლებულია და მასში შეტანილია ე. წ. ყირიმის ომით (1853-1856)
შთაფრთხილი ტაეპები. ეს ვარიანტი უსათაუროა, მაგრამ ერთ-ერთ ხელნაწერში
მას ავტორისგან აწვიაზე მიწერილი აქვს: „ესეც ტოლუბაშის არის“.
მასსადავად, ამწერადაც პოეტი შეფის სადღეგრძელოს ვარაუდობდა, როგორც თი-
ვისი ერთადერთი პოემის საბოლოო რედაქციის ნაწილს. პოემა „სადღეგრძელო“
კი ძირითადად ჩამოყალიბდა 1870 წელს და იმპერატორისადმი მიძღვნილ შიკ
მიხვდა (სხვა ახალ თავებთან ერთად, რომელთაც პოემის აღრიხედელ ვარიანტებ-
ში — „ტოლუბაში“-ს სახელით რომაა ცნობილი — არ ვხვდებით). მიძღვნას აქ
ჩამოყალიბებული აქვს ყირიმის ომით გამოწვეული სტრუქტურები და თავისი ლაი-
ნიზმით უახლოვდება პირველ ვარიანტს („გულნი ივერთა“), თუმცა თავსა და
ბოლოს დაპატებული აქვს სტრუქტურები, რომლებიც ოდის კომპოზიციურად და
ომატიკურად პოემისათვის უფრო შესაფერ ნაწილად აქცევეს: „სადღეგრძელოს“
ბოლო რედაქცია (1870) ამ ადგილას ავტორი ამვლავებს ტენდენციას — თავისი
ნაწარმოები დაუახლოვოს ეუკოესკის „მომღერლის“ სათანადო ადგილს. რუსი პოე-
ტის ნაწარმოებში მომღერალის (Певец) მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოს
მამულისადმი და ბეფეთა და წინაპართა ფერფლის პატივსაცემად (რომელიც იწყება
სიტყვებით **Огняне вубок сей, друья!**) მიჰყვება მეომართა ოთხტაეპიან-
შეძახილი — **За них! за них, всю вашу кровь.** ამას მოსდევს მომღერლის
სადღეგრძელო შეფისადმი (ალექსანდრე პირველისადმი) **Тебе сей вубок, русский
царь!**.. ზუსტად ამგვარი თანმიმდევრობაა დატული გრ. ორბელიანის პოემაშიც:
ერეულ სადღეგრძელოს, რომელიც იწყება სიტყვებით „მანო, აღვასოთ ფილა
წინაპართ მოსახსენებლად“ მიჰყვება ოთხსტრუქტურინი შეძახილი მხედრები
სა („გვირნო, მამულის მადიდნო...“), ხოლო ამას მოსდევს ნიკოლოზ I სადღეგრ-
ძელო („ხელმწიფეე ჩვენო...“). ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება მხოლოდ
ერთადერთი დასკვნის გამოტანა: „გულნი ივერთა“ ავტორს დაუწერია როგორც
ხელმწიფისადმი განწარხული სადღეგრძელოს ერთ-ერთი პირველი ვარიანტი, იგი
ამ ლექსს უყურებდა, როგორც ხელმწიფის ქების თავდაპირველ მონახაზს. ამ-
ედროს „გულნი ივერთა“ პოეტს თავიდან ეე ნაეარაუდვეე
ქონია „ტოლუბაშის“ (იმავე „სადღეგრძელოს“) ერთ-ერთ
აწილად, რასაც მას ეუკოესკის ნაწარმოებებისადმი „მი-
აქვა“ აეალეებდა.

* სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას თეითონ ავტორის მინაწერი ქების მეო-
ლე, ყირიმის ომისდროინდელი (1854 წლის) ვარიანტის აწვიაზე „ესეც ტო-
ლუბაშის არის“. პოეტს არ შეეძლო „ტოლუბაში“ შეეტანა ხელმწიფის
ქება მეორე ვარიანტის სახით, რადგან ეს დაარღვევდა ისტორიულ პერსპექტივას:
1826-1828 წლების რუსეთ-ირანის ომთან დაკავშირებით ყირიმის ომის ამბებზე

მაშასადამე — „გულნი ივერთა“ შეუძლებელია დამოუკიდებელ ნაწარმოებად ჩაითვალოს. ავტორს იგი თავიდანვე „ტოლუბაშის“ (შენდეგ „სადღევრძელოს“) შემთავალ ნაწილად ჰქონია განზრახული. მაგრამ საკითხებია — რატომ არ მოხდა „გულნი ივერთა“ „ტოლუბაშში“ თავიდანვე? საქმე ისაა, რომ „ტოლუბაშის“ ვარიანტები დაუმთავრებელია, ისინი, სახელდობრ, ვარიანტებია ერცლად შოფიქრებული პოემისა, რომელმაც საბოლოო სახე ახლოდ 1870 და 1879 წლებში მიიღო. ვინც გრ. ორბელიანის პოეტური მუშაობის ხასიათს კარგად იცნობს, მას ისიც მოეხსენება, რომ პოეტი დიდხანს ამშავებდა თავის ნაწარმოებებს, წერდა ცალკეულ თავებს, სტროფებსაც კი, შემდეგ აერთებდა მათ. ცალკეული ნაწილების დამოუკიდებელი მოფიქრების და ვარიანტებად შეთხზვის (და შემდეგ მათი ერთმანეთთან შერწყმის) ასეთი მაგალითები „სმირია გრ. ორბელიანის ლირიკული ლექსების მიმართაც კა“ „სადღევრძელოს“ ტექსტის ისტორიის საფუძველზე ეს ფაქტი უფრო თვალსაჩინოა.

ამიტომ „გულნი ივერთა“ არ შეიძლება განსაკუთრებულ დისონანსად მივიჩნიოთ გრ. ორბელიანის ლირიკაში 1832 წლის შეთქმულებასთან მისი იდეური კავშირის თვალსაზრისით. იგი წარმოიშვა, როგორც ეუკოესკის პოემის სათანადო ადგილის აუცილებელი, ქართული, ვარიანტია. ეს იქედანაც კარგად ჩანს, რომ ავტორმა „გულნი ივერთა“ გაერკობილი სახით შეიტანა „სადღევრძელოში“ 1870 წელს, როცა დიდი ხნის გარდაცული იმპერატორის ქება სრულიად ახიუთ სავალდებულო წარჩინებული ქართველი გენერლისათვის — რაიმე თავის მართლების ან ეიზისათვის პოეტს იგი არ დასჭირვებია, რადგან ამის საჭიროება საერთოდ არ არსებობდა.* უბრალოდ: ავტორი იცავს ისტორიულ პერსპექტივას — 1826-1828 წ.წ. რუსეთ-ირანის ომი სწარმოებდა ნიკოლოზ I-ის დროს და ამ უკანასკნელის მოხსენიება „სადღევრძელოში“ ერთგვარ პოეტურ პარალელს წარმოადგენდა ეუკოესკის პოემის სათანადო ადგილას აღექვსანდრე I მოხსენიებისა 1812 წლის ამბებთან დაკავშირებით. „გულნი ივერთა“ დაწერილია ლიტერატურული ინერციის ზეგავლენით, პროტოტიპისადმი თავისებური მიბაძვით — პოეტს

ლაპარაკი ძალზე სახამუშო ანაქრონიზში იქნებოდა. აშკარაა: გრ. ორბელიანს მხედველობაში ჰქონდა მეორე ვარიანტის ის ნაწილი, რომელიც „გულნი ივერთას“ სახით (1 ვარიანტი) დაუწერია ჟერკიდევ 1832 წლამდე. მართლაც და, პოემის საბოლოო რედაქციაში ხომ ეს ნაწილი მოხდა?

* გვიხსენოთ „აღსარება“, აგრეთვე ლექსი „ჰე, ივერიაე“, რომლის ბოლოსტროფი ავტორს ცალკე ჰქონია დაწერილი („ცხოვარს ვემსგავსეთ...“) და შემდეგ შეუერთებია ლექსისათვის.

** თანაც: თავის სიცოცხლეში პოეტს ნიკოლოზ I სახელის შემცველი ტაეტი პოემის არც ერთ ბეჭდურ გამოცემაში არ შეუტანია. ამაზე — სათანადო ადგილას.

უნდა სადმე ხაზი გავსვა დროისა და ეპოქისათვის. ამავე დროს არ უნდა დავი-
ვიწყოთ, რომ „გულნი ივერთა“ პატრიოტულ მოტივსაც შეიცავს — მას ეზმანე-
ბა „თამარის დღენი, დიდების დღენი“, რომელიც რუსეთის მონარქმა უნდა დაუ-
ბრუნოს ივერიას. რუსეთთან შეერთების პროგრესულ მნიშვნელობას ქართული
არისტოკრატის გარკვეული ნაწილი ხელადა იმაში, რომ რუსეთი საქართველოს
მტრებს გაუნადგურებდა, რომ მის (ივერიის) საზღვრებს მუსლიმანური საყარო
ამიერიდან ვეღარ გადმოლახავდა. როგორც ჩანს, ეს შეხედულება გრ. ორბელიანს
მთლიანად არ დაუტოვებია 1832 წლის შეთქმულების პერიოდშიაც, ე. ი. მაშინაც.
როცა პოეტის პოლიტიკური რადიკალიზმი და ცარიზმის მიერ საქართველოში და-
მკვიდრებული ბიუროკრატულ-პოლიტიკური რეჟიმისადმი პროტესტანტული გან-
წყობილება მასში განსაკუთრებით ძლიერი იყო. აქი ასეთი იდეური კომპრომისი.
რომელსაც პირველი შეხედვით ერთგვარი წინააღმდეგობის ბუქედიც აზის, შესამ-
ჩნევია პოეტის დღიურშიც „მგზავრობა ჩემი...“?! მაგრამ ზედმეტად მივეჩინა
გაზეიადება „გულნი ივერთას“ (და საერთოდ ხელმწიფის სადღეგრძელოს) მნიშვ-
ნელობისა გრ. ორბელიანის მსოფლმხედველობის ანალიზის დროს. ვინც ამ ნა-
წარმოების წარმოშობის ისტორიის გაითვალისწინებს, მას არ შეუძლია უფრო
დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს მას, ვიდრე იგი ამას შეიცავს. ხელმწიფის სადღე-
გრძელოს საფუძველზე პოეტის ორთოდოქსალურ მონარქისტად აღიარებას არა-
ერთარი საფუძველი არა აქვს, მაგრამ მისთვის გვერდის ავლა ან მიჩქმალვა გამარ-
ოლებული არაა.

რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა როდი გვინდა, თითქოს გრ. ორბელიანისათვის
უცხო იყო მონარქიული რუსეთის ინტერესები. მას არა ერთხელ გამოუთქვამს.
„ლიტურებსა და წერილებში, კერძოდ ნიკოლოზ პირველის ქებაც, მთელი ნახევარ-
ი საუკუნე იმსახურა გრ. ორბელიანმა სამხედრო და სამოქალაქო სარბიელზე.
ვითარცა რუსეთის არმიის გენერალმა და აღმინისტრატორმა. პოეტის ეპისტოლა-
რული მეგვიდრეობა საესეა დითორამპებით საქართველოს სხვადასხვა მთავარ-
პარტებლებსა და რუსეთის ხელმწიფეთა მისამართით. მაგრამ პოეტის
კერძო ბარათებშიც ამგვარ დითორამპებთან ერთად
არაერთხელ გაისმის შეკავებულ ბოლშაქ, განსაკუთრებით
70-იან და 80-იან წლებში. ჩვენ უფრო ერცლად ამის შესახებ მოგვიხდება საუბარ-
ი ქვემოთ, გრ. ორბელიანის ცხოვრების მეორე და მესამე პერიოდების დახასია-
თებისას. აქ მხოლოდ აღენიშნავთ, რომ „იიარალის“ აეტორს, როგორც ჩანს, სა-
ქართველოში ბიუროკრატული რეჟიმის არც ერთი პერიოდი არ მიიჩნდა ბედნიერ
ხანად. „ოთხმოცი წლის განმავლობაში ხომ ვნახეთ, რაც
ბრძანდებოდა და უბრუნატორები და ვიგეგმეთ მამოზრდიე
მათი მზრუნველობა ჩვენზე... შორიდაამ მოსული ჩინოვნი-
ნიცი, რომელიცა არ იცნობს ხალხსა, რომელმანც არ იცის მისი ენა, ჩვეუ-
ლება, ცხოვრება, ისტორია, აბა რისთვის გაიხეთქს თავსა? რა მოაგონდება წარ-
სულის დროებდამ? რა კეშირი აქვს აქაურთა მცხოვრებთა, რომ იფიქროს,
გული დაეწოს ხალხის ბედნიერებისა და გულმოსვენებით ყოფაცხოვრებისათვის!
სამიათასის ვერსტიდამ მოსულა აქა ჩინოვნიცი მხოლოდ

იმისათვის, რომ მიიღოს ჩინები, იშოვნოს აქედამიქი-
დაში. ფულები, და გაჰსწიოს მშვიდობიანად თავისივე
ქვეყანაში! მე ბევრი მინახავს დიდრანის სასახლეები რუსეთში აქაურის ფუ-
ლით აშენებული. ქართულს ენას აღარ ასწავლიან დიშნაზიაში და აღარცა სევი-
ნარიაში...“ ასე სწერდა გრ. ორბელიანი გენ. ნიკო ქავჭავაძეს 1881 წლის
7 აგვისტოს“. აქედან ჩანს, რომ თავისი სიცოცხლის მიწურულ-
შიაც გრ. ორბელიანი ისევე ფიქრობდა, როგორც 1832
წლის შეთქმულების ხანაში. მოვიგონოთ მისი სიტყვები ლექსიდან „ჰე, ივერიაე“
(1832):

შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,
მოყვარულად გვმტერობს, გეტაცებს ყოველს, გვიქმს
აღერსობას...

ზედმეტი არ იქნება, თუ გაიხსენებთ პოეტის სიტყვებსაც კონსპექტში „საქარ-
თველო ჩვენი დროისა“, რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ იყო ციტირებული.

სახვასშით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნამდვილი
გრ. ორბელიანი უმთავრესად მის პოეტურ მემკვიდრეო-
ბაში ჩანს. და თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქუკოსკის პოემის ზეგაულე-
ნით წარმოშობილ ხელმწიფის ქებას და განსაკუთრებით მის მეორე ვარიანტს
(რომლის გამოქვეყნება პოეტს საპიროდ არ უცვნიდა), გრ. ორბელიანს არც ერთ
თავის პოეტურ ნაწარმოებში არ მოუცია მონაჩქილი რეჟიმის ოდ-
ნაფი, თუნდაც შერბილებული, გამართლება, კავკასიის არც ერთი თავაგმართებ-
ლის სახელი არ გახმავრებულია მის ლირიკულ პიესებში, არც ერთს ბძოლას, მილი-
ტარისტული რუსული არმიის მიერ ჩატარებულს, არ უპოვია გამოხმავრება პოეტის
რომელსამე მხატვრულ ქმნილებაში (ხომ საოცარია, რომ გრ. ორბელიანის ქნარი
საგანგებოდ არ შეხებია თვით კავკასიის ომსაც, რომლის მონაწილე თვითონ იყო
და რასაც ერთგვარი ქედმაღლობით ამაღლიდა კიდეც ახალ თაობას). პასკევიჩე-
ბისა, ფორანოვებისა და ბარატინსკების სახელები დარჩნენ გრ. ორბელიანი:
ოფიციალურ რელაციებსა და კერძო მიმოწერაში (რომელთა პუბლიკაცია ავტორს
აგრეთვე ფიქრადაც არ მოსვლიდა), მის ლირიაში კი საქართველოს ისტორიული
გმირების განსხვავსნებული სახელებია ამტყვევლებული. თავისი პოემა გრ. ორ-
ბელიანმა 1832 წლის შეთქმულების ცნობილ წვერს — აღქსანდრე ორბელიანს
მიუძღვნა და მშობლიური ქალაქის ქუჩებში „შორით მოსულ“ მოხელეთა
და გენერალთა მაგიერ მუშა ბოქულაძეები და ლობიანები შენიშნა. ერთი სიტყ-
ვით — კავკასიის არმიისა და სამოქალაქო აღმინისტრაციის გამოჩენილი მოღვაწის
გრიგოლ ორბელიანის ოფიციალური ბიოგრაფია სრულოდ გამოთიშულია მისი
ლირიკიდან. გრ. ორბელიანის შემოქმედება მთლიანია, იგი ნაკვებია ქართული
არისტოკრატიული წოდების სტლიური ტრადიციებით, XIX საუკუნის საქართველოს
თავისებური ისტორიული სინამდვილით და ყოველივე ამის ახსნისა და ანალიზის
დროს პოეტის ბიოგრაფიის ოფიციალურ მხარეს რაიმე განსაკუთ-

“ გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. III (ხელნაწერი).

რებულისა და მნიშვნელოვანის თქმა არ შეუძლია. ზედმეტი არ იქნებოდა, თუ წევნ უფრო გულისხმიერი ვიქნებოდით იმ ყრუ გუგუნის მიმართ, რაც ხანგამოშვებით ისმოდა პოეტის გარეგნულად სევბედნიერი ცხოვრებისა და ღნებისას, მისი ბრწყინვალე კარიერის წლებშიც და განსაკუთრებით კი — სიცოცხლის მწუხრის ეპოს.

გენერლისა და ყოფილი მთავარმართებლის გრიგოლ ორბელიანის ოფიციალური ბიოგრაფია ეკუთვნის კაკაასის საშხედრო და სამოქალაქო ისტორიის ანალებს, მისი პოეზია კი (რომელიც კემშარიტა პატრიოტი შემოქმედის სულის ელიურს წარმოადგენს), -- ქართველი ხალხის კულტურულ საგანძურს.

* * *

ძამულისადმი სიყვარულისა და საქართველოს გაბრუნული წარსულის იდეალიზაციის მოტივებთან ერთად გრ. ორბელიანის პოეზიაში — პირველი პერიოდის ნაწერებში (1824-1832) — ფართოდაა წარმოდგენილი თითქმის ყველა ძირითადი თემა საერთოდ მისი შემოქმედებისა: სიყვარულისა და მეგობრობის კულტი, ბუნების ხოტბა და სევედა წარმავალობისა (უკანასკნელი განსაკუთრებით გაძლიერდა მეორე პერიოდში (1833-1858) და კიდევ უფრო ღრმად გამოიხატა პოეტის ცხოვრებისა და მხატვრული შემოქმედების შემე პერიოდში).

გრ. ორბელიანი, ისევე როგორც ყველა რომანტიკოსი, აღიარებს გულის, გრძნობის პრიმატს ტონების წინაშე, ამდენად იგი რაციონალიზმის უარყოფელად გვევლინება. პოეტის შეხედულებით გული ერთადერთი საწყაულია სიყვარულით თრობისა და თავდაიწყებისა. მაგრამ ეს გრძნობა იმავე დროს სულიერ სფეროს ეკუთვნის და თუ ის მუდმივად დაიხადგურებს ძლიერი პიროვნების არსებაში („მტკიცე“ გულში) — სულიერი უკეადების საწინააღმდეგე იქცევა. გრ. ორბელიანის სატრფიალო აღსარებანი ამ ლიტერატურის ვარიაციებს წარმოადგენენ.

ჭერ კიდევ „ტოლუბაშის“ პირველ ვარიანტში (1827) გრ. ორბელიანი პატრიოტიზმთან ერთად დიდ ადგილს უთმობს სიყვარულის თემას. ეს გრძნობა მას მიიჩნია უმაღლეს ადამიანურ თვისებად და ბედნიერებად. „ტოლუბაში“ მთავრდება სიყვარულისადმი მიძღვნილი ჰიმნით (მოგვყავს რამდენიმე ადგილი):

ძანო, ივიწყეთ მცირეს ეპოს მტერი, ომი და დიდება!
მოიგონეთ სიყვარული, სიცოცხლისა სიტკბოება,
რომლისთვისაც შევიწირავსთ გული და სრულად ცხოვრება,
შეგსკვათ დღინო! მის სადღეგრძელოდ გვედირსოს ხილვა ეგება *

* ამ სტროფის ორი უკანასკნელი ტაეპი პოემის საბოლოო რედაქციაში (1870) შეეცლილია უფრო სრულყოფილი და მრავალისმეტყველი ტაეპებით;

ზღწერიება დღეთა ჩვენთა არს სიყვარულის ყვავილი;
რა განჭრეს მისი სიტურფე, სიხარულს ნულარ მოელი;
თუმც მწელი არს მისი მოწყვეტა, მით რომ არს ეკლით მოხილი,
მაჲა სიძნელე სუსტს გულს ჰკლავს და მტკიცე მით არს აღზრდილი.

პიტების აზრით სიყვარული ვაყვაცობისა და გამბედაობის წყაროცაა:

ტრფობის ალითა * ვისაცა ჩვენს შორის გული ეწოდეს
და სახე სატრფოს მარადის ვის სულსა აღბეჭდეთ თან ჰსდევდეს,
ამა სოფელსა მას რა ჯ! წინასაბრკმელად აღუდგეს?
გულს სიყვარულით, ხელს ხმალით რას არა აღასრულებდეს?—

აღსანიშნავია, რომ პოემის ამ პირველ ვარიანტში სიყვარული უკვე გაგებულია როგორც ადამიანის მთელი არსების მოცეველი განცდა, როგორც „სულიერა ტკობა“ და უკვდავებასთან ზიარების ერთადერთი საშუალება. თვით უკვდავებასაც ეკარგება აზრი სიყვარულის ვარჯშე. შორს მყოფ სატრფოს მისამართით პოეტი ამბობს:

ვისდამი სუნთქვა თვითოეული
თვითოეული გულისა ძგერა!
არს სიყვარულის ჩვენისა მსხვერპლი
იგი ჩვენს ფიქრსა სად განეშორა?!

ჰე, ჩემო ღმერთავ! აწ შენ მოგმართავ, კვალად ისინო შორით სიტყვანი!
ყოველთ ჩემ ფიქრთა, ჩემთ უბნობათა, იღუმალ ოხრეთ ხარ შენ საგანი!

რომ სახე შენი, თვალთა დანშულმან, თანა წარვიღო იმიერ სოფელს,

რომლის შუქი აღგვამლღებს, რომლით სული გეინო-
თღღება,
რომლით კაცი მშენიერობს, მაშინ თეით ღმერთს ემსგავ-
სება.

მაგრამ ფრიად დამახასიათებელია, რომ სიყვარულის ასეთი გაღრმავებული გაგება გრ. ორბელიანს მოცემული აქვს ერთს თავის პროზაულ ეტიუდში „ზამთრისა ქარის გრიადებს“, რომელიც მას 1829 წელს დაუწერია ნინო წმინდაში. აი სათანადო ადგილიც: „[სიყვარული] გვატკობს, გვახარებს თვით ტანჯვასაცა შინა თვისსა, და აღგუამაღღებს ყოველთა მდახალთა და უღირსთა სხუათა ვნებათაგანთა“.

* საბოლოო ვარიანტი: „სიყვარულისა ალითა“.

მუნ სანუგეზოდ, მუნ საშეებელად, და რათა მითვე ეპსცნა უკვდო-
გებო.

რაა, გინდ მოგვედუ? მაინც შენდაში სულს სიყვარული თანა წარაყვება!
უკვდაეება არს სულის დატკობა, რომელს დასასრულ
არა ექმნების!

მაშ სახე სულის დამატკობელი, იმიერ სოფელს არ განგეშორდების!
და სიყვარული ჩვენთ ღღეთ მაშვენი სიოცხლესთანა არა დაშტრდების!
თვარა სიყვარულს თუ დაუკარგვიდე, უეკდაეებაშან მის წილ რა მომცეს?
უშენოდ თვითცა სასუფეველი ვით საპყრობილე ჩემთვის შეიქმნეს.
(„ტოლუბაში“. 1827).

ამ სიტყვებში გამოხატულია სიყვარულის კოდექსი გრ. ორბელიანისა, მისი
Ars amatoria-ს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება: სიყვარული იდა-
მიანს არა მარტო სულიერ სიტკობებს ანიჭებს, არამედ აზიარებს უკვდაეებასაც
და თვით ეს უკანასკნელიც უსიყვარულოდ შეიძლება „საპყრობილედ“ იქცეს.
ამასვე იმეორებდა პოეტი 1832 წელსაც შემდეგს ორტეპიან ლექსში:

რა უნდა აქვნდეს სულსა უკვდავი,
თუ მასში განაქრეს კვლავ სიყვარული?

მაგრამ გრ. ორბელიანისეული განსაზღვრა სიყვარულისა ამ გრძნობის სპი-
რიტუალისტურ გაგებას არ გულისხმობს. ზემოთ მოყვანილი ტაეპების ავტორთ-
სათვის სასიყვარულო საგანი არასოდეს არ ყოფილა რომელიმე განყენებული რო-
მანტიკული იდეა. გრ. ორბელიანი ნამდვილ, სრულყოფილ ტრფობას გულისხმობდა

გული ურჩისა დასამშვიდად მცირედ გონება
შემრჩომილა და მისიცა გსურს დაბნელება („მუხამბაზი“, 1829).

არ უწყვი, თუ ალი ტრფობის ეითარ ძლიერ გულს მეგზვნების („მ...დში“. 1831).
შენცა მიმუხლთე, გონებაო, და მას ემონე.
ვინც მტაცა გული, მოსვენება და სიამოვნე (1832).

ისმინე ჩემი, ჰე, სიყვარულო!
ტრფობისა ეცხლი გულს არ განმიქრო!
გული სურვილით მარად დამითრო,
და ტრფობით მთვრალი არ განმაუხიზლო (1832).

სიყვარულითა და ლეინითა ჩემებრ დაითვერ
თორემ გონებით გინდ ცა განვლო, ჩემებრ იქმნა მტვერ. (1832).

ამ მშვენიერ, პოეტურ ფორმულებში სიყვარულის იდეასთან ერთად შო-
რეულად და ბუნდოვანად გამოკრთის რეალური არსებაც, როგორც ადრესატი პოე-
ტის სათუთი მიმართებებისა. ხოლო გრ. ორბელიანის მთავარ სატრფიალო ლექსებ-

ში რომელთა ინიციალების ქვეშ ყოველთვის ცოცხალი არსებანი იგულისხმებიან (სოფიო ორბელიანი, ნინო ჰავჭავაძე, ვინმე „მ“... და სხვები) პოეტი მათ გარეგნულ ნაკეთობასაც გვიხატავს. ასევე იქცევა გრ. ორბელიანი ყარაიხბელური მონოლოგების ციკლშიც, მაგრამ თუ საკუთარი გატაცების საგნებზე მსჯელობასაც იფიქსურებს მშვენიერების ან განსულიერებული ეროტიკის მეხობებზე გვევლინება, ყარაიხბელთა მუხამბაზებში პოეტი იშვიათად სცილდება გარეგანი ზეგნების თაყვანისცემას. მიუხედავად ამისა, აქაც გრ. ორბელიანი სატრფოასადმი შიშობის დროს მეტიწილად კეთილშობილების ტონს იცავს.

სიყვარულის ვაგებში გრ. ორბელიანის შეხედულებებს არავითარი ეგო-ლოგია არ განუცლიათ.

ამიტომ როდესაც გრ. ორბელიანის სატრფილო ლირიკის შესახებ გვხვდება საუბარი, საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მის ლექსებში სიყვარულის გრძნობის სულიერ მხარეს უპირატესი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, პირველს პერიოდშივე და პოეტის ყველაზე მნიშვნელოვან (და ქრონოლოგითურად ყველაზე ადრინდელ) ნაწარმოებში „ტოლუბაში“ (1827). ამით ყოველგვარი საფუძველი ეცლება მტკიცებას, თითქოს გრ. ორბელიანი პირველ პერიოდში უმთავრესად ფიზიკური, ხორციელი ანუ ეროტიული სიყვარულის მეხობებ იყო და ალ. ჰავჭავაძისა, ბესიკისა და საიათნოეის ზეგავლენას განიცდიდა. ჩვენ ამ საკითხს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.

გრ. ორბელიანის სატრფილო ლირიკის საუკეთესო ნიმუშები ეძლეება უმთავრესად ნინო ჰავჭავაძეს, შემდეგ სოფიო ორბელიანს. პოეტის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ გრ. ორბელიანი უიშვითად ყოფილა შეყვარებული ნინოზე. თავის შიშობებში ნინოსადმი პოეტი მეტიწილად კდემამოსილია, წრფელი და ფაქიზი გრძნობით აღვსილი, თუმცა ხანგამოშვებით მას შიშობა ვნებაც ეუფლება.

როს გებდავ, მნათო! ღიმილით ჩემ კერძო წარმოვლენილსა
ვიფიქვებ ყოველ სიმწარეთ, ბედისგან მოვლინებულსა,
სულსა ღელვა მშვიდდების...

(„ნ...დმი“ 1829).

20-იანი წლების ტფალისის უმშვენიერეს ქალს, დაქვრივებულ და მტირალ წინოს იგი მიმართავს:

მამ მოვედ, მნათო! ჩემს გულზედ შეწუხებულის შვენებით,
ნაცვლად შენსა მე ვიკენესო, შენის ჯმუნეთა მიღებით.
თუ ოცნებით ტრემილსა აფრქვევ, ეგე ცრემლი, ოჰ, ვით გშვენის!
ვითა ნამი ზეციური თვალთა შინა გამობრწყინვის,
ვარდებრივთა ღაწუთა ზედა მარგარიტნი ვამოვკვივის.
თუ შეჰსწყეიტო, შევიწინებ, გიმზერ ჩუმად და მიხარის
(„მტირალ ნ...ს“. 1829).

ერთ-ერთ პროზაულ ეტიუდში („ნ. ე. მ“) გრ. ორბელიანი შემდეგნაირად

ავგიწერს რუსეთს გამგზავრების წინ ნინოსა, ეკატერინესა და ვინმე მ-სთან შეხვედრას (ეტიული დაწვერილია პეტერბურგს, 1832 წ. 9 ნოემბერს):

„გახსოვთა დღე იგი, ოდესაც მე გულითა—მწუხარებისაგან სიმწირობულითა, მოვედ რა თქვენდა ნ... გამოსასალმებლად, გიხილეთ მუნ შეინივნი ერთად ნ. ე. მ., ვითარცა მშვენიერი გრაიანი, მჭლომარეი მოაქირზე ფანჯარასთანა და უმზერდით უმწვილურისა სიამოვნებითა საშინლად აღრეულთა ღრუბელთა, და ისმენდით უშიშრად ქუხილთა, რომლისა გრგვინეთა განიმეორებდენ მთანი, — უმზერდით უშიშრად და არა უწყოდით, თუ უსაშინელს ამა ღრუბელთა არიან ღრუბელნი ვნებათანი, ცხოვრებისა ჩვენისა დამამწარებელ და დამაბნელებელნი, რომელნიცა ჭერეთ არა შეხებიან გულთა თქვენთა, აქამომდის უმანკოთ, წმინდათ და ნათელთ. მოვედ თქვენდა და მსურდა მხიარულად მეჩვენა თავე ჩემი, მარამა მხიარულისა სახის ქეუე ვერა დაეფთარე თვალთაგან თქვენთა მწუხარებითი მდგომარეობა გულისა ჩემისა, შევამცნიეთ მქუნვარება და იწყევით ჩემდა ნუგეშისცემა. მე ვიჭეჭ მღუმარედ; ვისმენდი სიტყვათა თქვენთა, მსურდა მეცა უბნობა, და ვერცა ერთისა სიტყვისა ვერა შევეძელ წარმოთქმად. გახსოვთა რა გესმით ჩემგან სიტყვა მ შ ე ი დ ო ბ ი თ, თვალნი თქვენნი უნებლიეთ აღიესნენ ცრემლითა, ერთი და ორიც გარდმოგცივიდათ მშვენიერთა დაწვეუდა; ხოლო ბაგენი ღომილთა მსკდილობდნენ დაფარეას მწუხარებისა თქვენისას. — ახი ვითარ მშვენიერ იყვნით წამსა მას; ვითარ გშვენოდით ცრემლნი. — არა გიხილავსთა მშვენიერსა ვაზაფხულსა დიდსა ვარდი ახლად გაშლილი, რომელსა ზედაცა ბრწყინვალეს ზეცუსა ნაბი, ანუ არა ვახსოვთა მზიანსა დღესა, მოწმენდილი ცა, გარმომცვრეველი წვიმისა, რომლისა თვითეული მარცვალნი, მზისა სხივითა განბრწყინებულნი, მსკეივიან მარგარიტებრ და ასიამოვნებენ თვალთა: ესრეთ იყვნენ ცრემლნი თქვენნი. არა ეპმალაუ, სიხარულმან განანათლა და განაბნია მწუხარებითი სიბნელე სულისა ჩემისა. ნუთუ ვარ ესრეთ ბედნიერ, რომელ ღირს-ვიქმენ ცრემლისა თქვენისა? ნუთუ გულთათვის თქვენთა მენიშენელობ რასმე? ამა პაზრმა სრულიად მავიწყა, რომელ წამსა მას გველმებოდით. ესრეთა მცირე-და სიხარული ავიწყებთ მრავალთა სიმწარეთა.—აწ შესაძლო არს, რომელ არცა დღე იგი, არცა ნუგეშისცემა და აღარცა თვით მე, ვახსოვართ თქვენ. მარამა დღე იგი ორაოდეს არ აღიხოცების გონებისაგან ჩემისა; და ოდესცა მეწვევის მწუხარება ანუ უბედურება, რომელნიცა არიან კაცთათვის აუცილებელ და განუყრელ სი-ცოცხლესა თანა ჩვენსა, მაშინ მომაგონდების, ჰე გრაიანი! ცრემლნი თქვენნი, ჩემთვის გადმოცვიულნი, და ვიქნებთ მით ნუგეშეცემულ“. აქედანაც კარგად ჩანს, თუ როგორი სულიერი ძაფებით ყოფილა პოეტი დაკავშირებული ნინოსა და მისი დის წარესთან.

გრ. ორბელიანის ტრფობას ნინოსადმი ჰკვებავდა ძლიერი, ვაკეაკურო ვნება-გაშუქებული ზნეობრივი იდეალით, გრძნობის სისპეტაკითა და რაინდული თავ-შეკავებით. ნინოსადმი დამოკიდებულებისას იგი მზადაა გრძნობას დაუმორჩილოს თავისი გული, მაგრამ ზოგჯერ ჰღალატობს ნება:

პრავალგზის ვფუტაე არ გნახო, მაგრამ ყოველ უამს გეძიებ.
 როს გხედავ გულსა სიხშილსა მღუმ-რედ მყოფსა აღმიგზნებ.
 მაშინ მე, შმაგი, ყოველთა გარე ჩენს საგანთ ვივიწყებ;
 ხან ვქსწყევ შენთა სიტურფეთა და ხან კი მათე ვაღმერთებ.
 პრავალგზის ეჭფუტაე, გივიწყო: და ექქმნადა ნება გონების,
 მაგრამ როს გხედავ, გონების რჩევა სრულიად არ მესმის,
 გული ხელმწიფებს და უფრო უძლავრესად შენ
 გეტრფის,
 და გულის მონად შექმნილი გონებაც შენდა მოქ
 ფრინეის.
 („ნ...დმი“. 1830).

განცდების ასეთი გამმა ნაწილობრივ ახასიათებს გრ. ორბელიანის ლექსებსაც სოფიო ორბელიანისადმი, რომელზედაც იგი აკვანშიევ იყო დაწინდული.

1835 წელს გრ. ორბელიანი სწერდა სალომე ჰავეკავაძეს: „ახ! ჩემი სოფიო სად არის, ნეტავ ვახსოვარ თუ შარშანდელს თოვლსაეით არღა ვმყოფობ იმის-თეის. — ბედს უყურეთ, მე ვარ დასაელეთს, ის აღმოსაელეთს, როდისღა უნდა შევიყარნეთ! * მაგრამ სოფიოს არ დაუცდია საქმრობ ჩაოსვლისათვის და იგამ ხანებში რუს მოხვლე ბეზაკს გაჰყოლია. სოფიოსადმი მიძღენილი პოეტის ლექსი „გამოსალმება“. შესანიშნავია სტრუქონები:

ნამდელი ტრფობა ვინა რა სიტყვათ ეძებდეს, ეერ ჰპოვებს,
 რათა გამოსთქვას თვის გრძნობა და მისთვის ოხრვით მღუმარებს.

ტრფობა უძლურთ გულთ წყაროს ჰგავს, მათაგან გარდმოქანებულს,
 რაოდენ ველზე შორსა ჰვალს, ეგოდენ დაუძლურებულს.
 ვსრეთი გული ან ცრემლით, ან განშორებით განაქრობს
 თვისსა სიყვარულს, თვის ტანჯვათ და მერმე ნებით კი ლხინობს.
 რა ჩემებრ გული კლდოვანი მიიღებს ეშყის ბეჭედსა,
 დრო იმას ველარ შეჰმუსრავს, თუ არ შეჰმუსრავს თვით კლდესა.

ამ ლექსშიაც პოეტი იცავს იმ აზრს, რომ სიყვარულის მუდმივობის პირობა სულიერად ძლიერი ადამიანის არსებაშია, სიმორე არაფერს აკლებს ქეშპარობ ტრფობას, ხოლო „უძლურთ გულთ ტრფობა“ მიაგავს მთადან დაქანებულ წყაროს, რომელიც ველზე გაშლისას თანდათან „უძლურდება“. შესანიშნავია, რომ გრ. ორბელიანს იმავე წელს პეტერბურგს დაწერილ ლექსში „ღამე“ გადმოცე-

* „წერილები“, ტ. 1, გვ. 25. შდრ. იქვე, გვ. 230. აგრეთვე ი. მუნარაგია, ქარ-ფელი. შწერლები, I, გვ. 54.

მული აქვს შორის მყოფ სატრფოსთან სულიერი გაერთიანების ნახევრად სიზმარე-
ული განცდა:

ჩვენ ორთა ჰაზრნი, თვით სულნი ერთად შეერთდნენ, შედუღდნენ,
და სიტკბოების ზღვის შინა გრძნობით დამთვრალნი შთაფლდნენ!
გულთ ძგერა არაა გვესმოდა, ვერცალას თვალნი ზედვიდნენ,
უენოდ ქმნილნი, უგონოდ განვედით ამა სოფლით ჩვენს..

სადა ვიყავით მაშინა, რომელსა სასურველ მხარეს?

ცნობა გვეკარგა წამს მარა სამოთხე იყო წამი ეს!

ჭფრინვიდნენ ეპინი და ჩვენ კი მათ ფრენა არა გვსმენიეს!

ე ს რ ე დ გ ო ნ ე ბ ა მ ა რ ა დ ი ს ტ რ ფ ო ბ ი ს ა ლ ს ა ლ უ ბ ო ც ი ე მ .

მაშინ ვჰსცან, ეპინი სამოთხის რომ ამა სოფელს არიან.

„ღამე“ ირაციონალური ხილვის შემცველი ლირიკული ლექსია და მინი-
მსგავსი რამ არ მოიძებნება ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში. პოეტის
სასიყვარულო კოდექსის თანახმად სატრფოს სიზმარე სრულიად არ ანელებს სი-
ყვარულის გრძნობის ინტენსივობას, იგი ზოგჯერ თვალზილულ ზმანებასა და
სულთა თანაზიარობაში გადადის. მაგრამ, ვიმეორებ, გრ. ორბელიანის ლირიკაში
სიყვარულის ასეთი გაგება ორგანიულად ითაყსებს წანმრთელ სენსუალიზმს, რე-
ლურ ობიექტს და ამ ობიექტის მკაფიო, პლასტიკურ გამოსახებას. ქართველ რომან-
ტიკოსთა შორის ამ მხრივ გრ. ორბელიანს განსაკუთრებით ენათესავება ნიკ.
ბარათაშვილი. ორივენი თავიანთი მუშის გმირებს გვიხატავენ რეალისტური ფერე-
ბით, ამიტომაც ძნელი არაა მათი ლირიკული პერსონაჟების გარეგნული პორტ-
რეტების აღდგენა. ისინი საგანგებოდ გამოჰყოფენ ხოლმე რაიმე დამახასიათებელ
ნიშანს (ნაწინაეები, აფურცელილი ლაწებები...) და აჰყავთ იგი თავბრულამხვევი შთა-
გონების მომნიჭებლის რანგში. გრ. ორბელიანის ყურადღება ზვირად სახის რო-
მელიმე ნაწილზეა ფიქსირებული:

მაგ გარდის ნაცვლად მასუნე ვ ა რ დ ს შ ე ნ ს ლ ა წ ვ თ ზ ე დ გ ა შ ლ ი ლ ს ..
(„მუხამბაზი“, 1829).

ე ა რ დ ე ბ რ ი ვ თ ა ლ ა წ ვ თ ა ზ ე ლ ა მ ა რ გ ა რ ი ტ ი ნი გ ა ლ მ ო გ ც ი ე ვ ი ს
(„მტირალ ნ...ს“, 1829).

ნოფიო ორბელიანს კი ასე მიმართავეს:

ვ ი რ დ ი ხ ა რ ? — ა რ ა ,

ზ ა მ ბ ა ბ ი ? — ა რ ა ,

მ ა გ რ ა მ შ ე ნ ს ლ ა წ ვ თ ზ ე დ ა ლ ყ ვ ა ე ბ უ ლ ნ ი

ა რ ი ა ნ ო რ ნ ი ე შ ე ზ ა ე ბ უ ლ ნ ი . („ ს ო ... ო რ “ , 1840) ,

ნ. ბარათაშვილიც ასე ხატავდა თავისი შთაგონების „საგნებს“, მასაც ხიზ-

დღედა „პაწაწა ტუჩნი ავარდებარ ნაფურცლნი“ და „ბუღდეშური ფეფეხი“, რომელთაც წამიერად გაიფლევს პოეტის თვალწინ ღამით ყოხახზე. ნ. ბარათაშვილი თითქოს თავის ბიძას დასესხებია ლექსიკონს, როცა ფიგურებთ შემდეგს ტიპს მის ლექსიდან „ღამე ყაბახზე“ (1836):

„ამა სიტყვაზე ღაწვთზედ ვარდი მყის იფურცლა“. აი მეორე შეხვედრა: გრ. ორბელიანი:

მრწამს, რომ ღაწვთზედა გარდაკვრია ნუშის ყვავილი

მაშინ მის ზედან დაკონებოს მკლავს მე სურვილი („მუხამბაზი“, 1829).

შდრ, ბარათაშვილი:

• •
ვინ ბოგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს

• • •
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს? („საყურე“, 1839).

გრ. ორბელიანი უფრო გვიან ისევ იმეორებს პირველად „მუხამბაზში“ ხმა-რეზულ და შემდეგ ნ. ბარათაშვილისათვის მიმზიდველად ქცეულ ამ გამოთქმან („ზედ დაკონების...“):

ეგ ჩემი მკელენი

ზილფები — გველნი

ვინ დაადგინა ვარდთ-ღაწვთა მკველად.

რომ დღე და ღამით

ესრედ განცხრომით

ზედ ხელმწიფობენ მაგ თვალთ-მწველთა

და ზედ დაკედოებით

სულ ამობლობით

ვარდთ დაკონოს ღაწვთზედ გაშლილთა?

(„ღრაფ...ობ.“ 1840).

მორთალია, ნიკ. ბარათაშვილის პატარა გრაფიურაში არა ჩანს გრ. ორბელიანის მიერ დახატული „ზილფები — გველნი“, მაგრამ „საყურეს“ ავტორი სხვა შედარებით აშკარად თავის სატრფოს აღნიშნულ პოეტურ სიმკაულთა:

შენნი დალალნი ყრილობენ გველად

სუეტაკს შვერდზედა ტრფობისა ველად (1842).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის სატრფოლო ლექსების ურთიერება სტილისა, ლექსიკური მსგავსებისა და სახეთა ერთნაირობის სფეროთი როდი ამოიწურება. ერთნაირა შათი ფორმაც სულიერი ტყვეობის გამოხატვისა. ასე, მაგალითად, ორივენი „ცრემლის შეშრობას“ უკუწოდნენ, როგორც შინაგანი ტანჯვის ექსპრესიულ ნიშანს. არსებითად გრ. ორბელიანის ფრაზამ — „შეშრომენ ცრემლნი და ესეცო

შეეხება მომაკლდა" („ჩემს დას ეფემიას“, 1835) — დაჰბადა, ნაწილობრივ მაინც, შესანიშნავი სტროფი ნიკ. ბარათაშვილისა:

„შეევიშრობ ცრემლსა, კირთ მანელებელს
გულსა დაიწევე დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს
შეეპსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს“ (1843).

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე დღემდე შეუძმჩნეველი მეთრე ფაქტი: გრ. ორბელიანმა ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილს ლექსში („მეკ. ჭ...სას“, 1829) პირველად გამოიყენა სამტაუბიანი სტროფი, რომლის პირველი ორი ტაეპი ხუთმარცვლიანია, მესამე კი — ათმარცვლიანი. მაგ.:

წინანდლის ვარდო (5)
სულითა ტრედო (5)
გულითა წაინდაე, ვით მთისა წყარო (10).

ნიკ. ბარათაშვილის ორი ლექსიც ეკატერინესადმი („თავადის კ-ის ასულს კე...ნას“ და „საყურე“) დაწერილია სწორედ ამ საზომით:

ხმით მშეენიერით (5)
ტკბილის სანაღურით (5)
ჰაეროვანო სულს ელხინები (10). („მეკ...ნას“. 1839)

და:

ვითა პეპელა (5)
არხვეს ნელნელა (5)
სპეტაკს შრომანას, ლამაზად ახრილს (10). („საყურე“ 1839).

გრ. ორბელიანი წინამორბედი ნ. ბარათაშვილისა სულიერი სიყვარულის პოეტური განსახიერების სფეროში.

მაგრამ გრ. ორბელიანის სატრფიალო ლირიკა სხვა, უფრო მსუბუქ ტონებსაც გამოსცემს. პოეტს აქვს ლექსები, რო-ლებშიაც ქალის მარტოოდენ სილამაზება შე-ქებული, წინ წამოწეულია ეროტიული განცდა, „ეშყი“, ერთგვარი ფრიგოლური ელემენტიც კი. ასეთია მისი საალბომო ლექსები: „ს“ (1832), „ე-სა“ (1832), „ალ ბომში“ (1832) და ზოგიერთი პატარა ფრაგმენტიც 1831-1832 წლებისა. სანიმღ-შოდ მოვიყვანოთ პირველ ლექსს:

მერცხალნი — თვალნი შენნი,
გონებისა სხივთ მომფენნი
ვარდნი — შენნი ბაგენი.
მარად მოლიმარენი.
თოვლ-ღვინო — შენნი ღაწენი,
მათზედ გარდაშლილ ზილფენი!

შენი წელი — კიპაროზ!
და შენი ხმა — სირინოზ!
ხან სიამით მავსებენ,
ხან ცრულთ შაფრქვევინებენ:
ზოგჯერ მტ.ნჯვენ, შმაგყოფენ
და ხან უტებრ მალხენენ! (1832)

ძნელი არაა დაეინახოთ, რომ ამ ლექსის საერთო ტონი, სიტყვიერი მასალა, თვით ინტონაციაჲ კი არსებითად განსხვავდება გრ. ორბელიანის სატრფიალო ლირიკის იმ ნიმუშებისაგან, რომელთა უმრავლესობა პოეტის ღრმა და ნამდვილი სიყვარულის თემაზეა დაწერილი. ამ ლექსში პოეტის სერიოზული გრძნობის გამოშხატეული სახეებიდან და გაზოთქმებიდან მხოლოდ ორიოდ ნამსხერვეია შემორჩენილი...

გრ. ორბელიანის კალამს ეკუთვნის მთელი ციკლი ლექსებისა, რომლებშიც გამოხატულია მისი სიყვარული ლხინისადმი, ცხოვრებით ტკბობა და დროსტარებით გამოწვეული აღტაცება. პოეტი წანმრთელი ჰედონისტური სულისკვეთების მატარებელი იყო, იგი შეგნებულად მიისწრაფოდა გართობისა და ნაღიმის მოყვარულთა წრეში. გრ. ორბელიანის პირადი წერილები შესანიშნავ მასალას გვაწვდის იმ გარემოს გასათვალისწინებლად, სადაც პოეტს უხდებოდა თავისი ქაბუკური სიხალისის გამოვლინება. გრ. ორბელიანი რეჟიმონ ანხორციელებდა ყოველივე იმას, რასაც თავის მეგობარ ანტონ ორბელიანს უჩივდა:

ჰე, ქაბუკო, სიხარულით დღენი შენნი ანეტარე
იმხიარულე, შეექეც, ილხინე და შეიყვარე;
ერთს წამსაც ნუ დაჰკარგავ, გაქენდეს ს.ხე მოცინარე,
სიცოცხლითა აწვე დაჰსტები, მხიარულობს გული ვიდრე.
(„ანტონს“, 1829)

განწყობილებათა ამ რკალში ექცევა გრ. ორბელიანის მიერ თარგმნილი „ლხინიკ“ პუშკინისა.

მხიარულებისაკენ მოუწოდებდა გრ. ორბელიანი არისტოკრატიული წრის ქილებსაც. ასე, მაგ. ახალგაზრდა ეკატერინე ქავჭავაძეს პოეტი მიმართავდა:

იმხიარულე,
ვიდრე სიცოცხლე
შენი მშვენიერებს ვით ყვავილთ ჩაჰვი;
ვიდრემდის შენ ზე,
დაუნათის ვით ნზე
სიჭაბუკისა ნათელ ვარსკელავი (ეკატერინე ქ-სასა, 1829).

„მირზაჯანას ეპიტაფიაში“ (1832) პოეტი თავის გმირს ათქმევინებს:
დალუბე გუშუი და ღვინოში ყოვლი სიმწარე,
რომ გზა ცხოვრების განგლო ლხინით, ვით მე ვიარე.

ერთსადაიმავე დროს „ღვინოთი და ეშუით“ თრობა აქვს ასახული პოეტს თიგის „მუხამბაზში“ (1829):

ზოგჯერ მღიმიარე გიმზერ ოდეს ეშხით აღვსილი,
მრწამს რომ ლაწუთ ზედა გარდაგვერია ნუშის ყვივილი!
მაშინ მას ზედა დაკონების მკლავს მე სურვილი.
მაშ გინდა მომკლა, გეტყვი თმენის არა მაქვს ძალი,
ისმინე, ვდნები, ცნობა არ მაქვს, ვგიყვლები ეშხით.
ნუ მასმევე ღვინოს, უღვინოდა ვარ მთვრალ შენის ეშხით.

ამ ლექსში, რომელიც აღმოსავლური ანაკრეონტიზმის მშვენიერია ნიმუშია, გრ. ორბელიანი აგრძელებს ალ. კავჭავაძის, ბესიკისა და საითნოვას ლირიკის ხაზს. როგორც ყოველი ტიპიური ანაკრეონტიზმის ნიმუში, გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზიც“ (და სხვა ანალოგიური ემოციის შემცველი ლირიკული გამოთქმებებირველი პერიოდისა) განცდათა სირთულით არ ხასიათდება და პოეტის შემოქმედების პერიოდისა ეკუთვნის. მეორე პერიოდში კი გრ. ორბელიანმა ამ ტინარის საუკეთესო რეალისტური ნიმუშები შექმნა.

ქართული ლხინისადმი სიყვარული გრ. ორბელიანმა გამოხატა „სიღღვერძელს“ პირველ ვარიანტშიაც (1827) და ლექსში „ი ა რ ა ლ ი ს“ (1832), ნამდვილი ზახუსის ჰიმნად შეიძლება ჩაითვალოს ტოლუბაშის სიტყვები:

და შენ, ჰე, ღვინოვე ყოვლად ძლიერო
ლხინით, შექცევით გულნი აღგვიგზნე!
გულის ჰირთ მღვენო ნიჰო ციერო,
ვინ არს რომელ გსევას და არ აღხინე?

ძილზე პოპულარულია „იარალის“ პირველი სტრიქონები:

ჩემო ირალი, ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს,
ჩვენებურადა
ძველებურადა
ვსვამდეთ!
ვიძახდეთ:
იარი-ირალი!

ჩვირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზედა დასტრიალებდეს,
ყნოსვა დამტკბარნი მის სუნით,
მადასა განგვიღვიძებდეს,
კახურის ღვინით აღვსილი
აზარფეშადა ხელს გეეპყრას.

მოთალო, თეეზი, შწვანილა
აგეიქრელებდენ წინ სუფრას.

გრ. ორბელიანის პირველი „მუხამბაზისა“ და „იარალის“ აქ მოტანილი სტროფები წარმოადგენენ ერთგვარს *introduction*-ის პოეტის იმ მუხამბაზებისა და ლექსებისა, რომლებშიც ავტორმა შემდეგში (მეორე პერიოდში) მთლიანად გააცოცხლა ქალაქის სასიძღვრო ფოლკლორი, ძველი ტფილისის ენარული სურათები და ნატურმორტები.

• • •

ბიძგელი პერიოდის გრ. ორბელიანის ლირიკასა და ეპოსში საპატიო იდგილი უკირავს იგრეთვე მე გ ო ბ რ ო ბ ი ს თ ე მ ა ს. ჭერ კიდევ „სადღეგრძელის“ პირველ ვარიანტში მეგობრობის სადღეგრძელოს წარმოსთქვამს ტოლებში. ეს სადღეგრძელო წინ უსწრებს სიყვარულის ექებას და შვიდ სტროფს შეიცავს, უგელა ის, დახვეწილი და აზრობრივად გაღრმავებული, შევიდა პოემის საბოლოო რედაქციაში. მოგვყავს უკანასკნელი სტროფი, რომელიც თითქმის უცვლელად შეორდება ნაწარმოების 1870-1879 წლების რედაქციამდე:

მეგობრობასა წმიდასა შეეწიროთ სრულად, რაც გვაქვდენ,
დავნერგოთ გულსა გრძობა ეს, და აღთქმა არა გვაიწყდეს...

იოანეთ ცოცხალნი მგობრად, და ვინც ბრძოლასა დაეცეს,

ღრმენი, კურთხევა მეგობართ თან გავაყოლოთ საპარეს!

„წმინდა მეგობრობის“ ეს დეკლარაცია გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის კონკრეტული მაგალითებითაა გამართლებული. ამ მხრივ იგი ნამდვილი რაინდი იყო და ქართული ტრადიციების მიმდევარი. იშვიათია ქართველი პოეტი მე-19 საუკუნეში, რომლის სული ასე ფართოდ ყოფილიყო გაღებული მეგობრობის უწმინდესი გრძნობისათვის. გრ. ორბელიანის შესახებ არსებული მემუარული და ეპისტოლარული ცნობები ერთხმად გვიზატყვენ მის უაღრესად გულისხმიერ, მომხიბლავ და ლხინსა თუ გასაქირში ერთგულ აღამიანად. ცნობილია, თუ როგორი მეგობრული სიყვარულით იყო იგი დაკავშირებული თავის დისწულ, ახალგაზრდა ნიკოლოზ ბარათაშვილთან. პოეტს რამდენიმე ახლო მეგობარი ჰყოლია კბატუკბაშვიე-მისი ერთ-ერთი ასეთი მეგობარი ყოფილა ანტონ ორბელიანი, რომელსაც პოეტი 1834 წელს ქ. ვილნოდან სწერდა: „საყვარელო ძმო ანტონს ეს არის პირველი ჩემი წერილი, რა გამოველ ქალაქიდან. ღმერთმა შეგვარცხვინოს ჩვენი ორნივე.— სად არის სიყვარული ჩვენი? სად დაიკარგა ძმობა და მეგობრობა ჩვენი სიყვარით-გან დამტკიცებული ბოძებებითა და საყვირითა“ („წერილები“, I, გვ. 19).

აღსანიშნავია, რომ გრ. ორბელიანის პოეტური კმნილებები იხსნება ამ ანტონ ორბელიანისადმი მიძღვნილი ლექსით, რომელშიც პოეტი სხვათაშორის ურჩევს მას:

მეგობრობასა სიციცხლე, სიყვარულსა მიეც გული!
ამათგან ჩვენი ცხოვრება არს ტურფად აღყვავებული
წუხილი გაქეს? მათ მიეყრდნე, მყისვე ჰყონ განქარვებული.

მოგეცნე იმედი, ნუგეში, სიამოვნება, ღიმილი.

(„ანტონს“, 1829).

ამ ლექსის დაწერიდან ხუთი წლით ადრე შილდაში მყოფი პოეტი, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, სწერს პატარა პროზაულ ეტიუდს „ან. ღმი“, რომელიც მეგობრის წინაშე ლირიკულ აღსარებას წარმოადგენს და ზემოთ მოყვანილი ლექსის დამატებად ან ავტორის ფსიქოლოგიური ვითარების გამომხატველ სურათად შეიძლება მივიჩნიოთ:

„მე ვიყავ თავისუფალ ყუაილოვანსა დროსა სიკაბუკისასა; მაშასადამე, ვიყავ ბედნიერცა, ვინაითგან აწეყო დამატებობდა და მომავალიცა აღმითქეადა უმეტეს ბედნიერებასა. — გარნა, ახ! ყოველნივე ესე იმედნი და თვით თავისუფლებაც განჰქრნენ გულისა ჩემისათვის, ესრეთ მჰსწრაფლიად, ვითარცა საამურისა სიზმრისა ოცნებანი. ბაგეთა ჩემთა დაივიწყეს ღიმი, და სიამოვნებანიცა არღა მყოფობენ დამჰქნარსა ჩემისა გულისათვის. რომელიცა მოცულ არს მწუხარების ღრუბლითა. — შექცევათა და ლხინთა შინა ვერღა მიპოვინეს შეგებანი. ყოვლგან თავსა ჩემსა ეხედავ მარტოდ დაჰშთენილსა; ზოგჯერ ვსეირნობ წალკოტსა შინა. და მუნცა მშვენიერნი ყუაილნი ჰსტკნებთან მკუეუნვარეთა ფიქრთაგან ჩემთა. — ეწყოდე, მეგობარო ჩემო! რომელ მიზეზი ესრეთისა ჩემისა უბედურებისა არს სიყვარული, რომელიცა უკეტეს ეგზნების, რაოდენცა მირბიან დრონი. რეამან წელიწადმან ვერ შეამსუბუქნა ტანჯვანი ჩემნი, და ოხრეთაცა ესოდენსა დროსა ემაღავ გულსა შინა ჩემსა. არს უკვე რეა წელიწადი, რა გონება ტბრძვის გულსა, რომელსაცა ვახედა დასასრულ მძლეველად. — აჰ შეჰსწყდა ყოველი მოთმინება ჩემი. ახ! საყვარელო მეგობარო! რჩეუთა შენთა ესრეთისა ჩემსა მდგომარეობასა შინა, ძალ ედვათ მოცემად ჩემდა რომლისამე ნუგეშისა, გარნა შენცა ხარ ჩემგან განშორებულ, და ვარ ესრეთ დაჰშთენილ შესაჰმელად მწუხარებათათვის. — მშვიდობით, მეგობარო ჩემო! ვხედავ უფსკრულსა წინაშე ჩემსა და არა ძალმიძს მორიდებად. — ახ! ნეტარ წერილსა შენსა ძაღედვა მოცემად ჩემდა წარსულისა ბედნიერებისა, და განაჰქრალისა ჩემისა თავისუფლებისა უკუმოქცეად. — მშვიდობით. შ ი ღ დ ა . 1 8 2 4 წ ე ლ ს ა . ეს პატარა ნაწარმოები მშვენიერი ნიმუშია სანტივენტალური პროზისა, რომელშიც შეიძლება ვერადგარი ლიტერატურული პიზა უფრო სკარბობდეს, ვიდრე ბიოგრაფიულად გამართლებული მომენტები ავტორის ცხოვრებისა (პოეტი გვარწმუნებს, რომ უკვე რეა წელიწადია მასში „გონება ებრძვის გულსა“ და სიყვარულისაგან „უფსკრულსა წინაშეა“. გაიხსენოთ, რომ ესაა თქმული 1824 წელს. რაცა გრ. ორბელიანი 20 წლისა იყო, მაშასადამე უკვე 12 წლიდან ყოფილა იგი სიყვარულისაგან უნუგეშოდ გულგასენილი). მგრამ გრ. ორბელიანის ღრმა მიგობრული სიყვარული ანტონისადმი — ეკვს არ იწვევს.

აღსანიშნავია, რომ 1835 წელს დაწერილ ლექსში „ჩემს დას ეფემიას“ პოეტი შებღვნიარად იგონებს მეგობრებს შორის გატარებულ სიკაბუკის ხანას:

სიცოცხლე ჩემი, ძლივს გაშლილი სასიხარულოდ,
ძლივ დილა ჩემი, მზისა ნათლით გაბრწყინებულად.

მიჩვენებდნენ მე ამა სოფლის ყვაველია მხოლოდ.
და ახლად ლაშქარს აღმინებდა გულს სიყვარული,
რომლისა სხივნი თვით ეკალთა შექქნიდენ ვარდად,
რომლით აღვსილი არა ვსცნობდი ჭმუნვისა ცრემლთა.
მეგობართ შორის უზრუნველი დაკვლერდი მარად
და სიამოთა ვემზერდიცა დღეთ მოაქალთა!

დაპატიმრებულ პოეტს თითქოს მეგობრის ხმაც მოესმა ყაზარძის კედლებში:

მაგრამ მახსოვს კი, ერთ გზის მესმა კიკიკი მერცხლის.
და სწორედ ვიტყვი, მრწამდა იგი ხმად მეგობრისა.
იმეორ სოფლით ჩემს ნუგეშად ნოვლინებული,
და მის პასუხად მსურდა მეცა თქვა სიმღერისა!
მაგრამ შემზარდა, რა ნაცულად ხნის გახდა ხრიალი.
და კედლთაცა დაყრუბულთ წარშოსთქვეს ბანი!

გრ. ორბელიანი ყველა თავისი სულიერი სიმძიპილოს დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეგობრის ხმას, როგორც განამხნეველ ნუგეშს. და თვითონაც ასევე მზად იყო მეგობრის დასახმარებლად. საერთოდ მეგობრისადმი გრ. ორბელიანის უანგარო სიყვარული ძალზე მიმზიდველი ფერცულია მისი ცხოვრების მატრიანში.

გრ. ორბელიანის პოეზიაში დამუშავებული მეგობრობის თემის ტრადიციას სათავე რუსთაველის პოემაშია.

* * *

გრ. ორბელიანი ბუნების დიდი მოძღვრალია. ეს მან გააცოცხლა მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში საქართველოს გოლიათი მთების ზვიადი სახე, მთებიდან დაქანებული მდინარეების ხაურო, ფერთა თამაში ცისკრისა და მზის ჩასვლის ეამს. ნანაძღვ არც ერთ ქართველ პოეტს არ უცდია ასე ახლო მისვლა ბუნების შინაგან მიტერიასთან, არავის შეუტანია ეგზომ დინამიკური ელემენტი ლანდშაფტებსა და პეიზაჟებში, როგორც ქეშნარიტი რომანტიკოსი, იგი ბუნებაში ეძებს თავისი ტიციელებისა და სიხარულის თანაზიარობას, ესმის ყველთა ფშვინვა და ფრინველთ ყრიაშული, ნოზიბლულია ცის ტატნობზე ვარსკვლვთა ციპკიპიათ, მზის მოელე.რე სხივებით, მთავარიანი ღამეების იღუალებით. მთელი ქართული პოეზიაა დავალებული გრ. ორბელიანის მიერ ბუნების ამგვარი ამეტყველებისაგან. ნიკ. ბარათაშვილი და ი. ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი და აკაკი წერეთელი, ვთუა ფშაველა და ყაზბეგი თავისებურად აღრმაევენ გრ. ორბელიანის მიერ დამკვირვებულ ტრადიციას.

ბუნებისადმი ღრმა სიყვარულს გრ. ორბელიანი გამოქვეყნებს არა მარტო თავის ლექსებში, არამედ ზოგიერთ თავის კაბუკობის დროინდელ პროზაულ ეტიუდებშიც. ასე მაგ. ფსიქოლოგიურ ეტიუდში „ზამთრისა ქარი გრილეზს“ (დაწერილია ნინოწინდამი 1829 წელს) პოეტს აღწერილი აქვს ზამთარი. ფეტორი აღნიშნავს თუ როგორ „არდა ისინი უკვე სააშური, დამატყვევებელი

ატყენა ბულბულთა და სხვათა ფრინველთა. ფოთელნი, დამქანარნი, ჰსცივიან კვითლად, რომელნიცა ოდესმე შემოსიენდნენ ხეთა ესრეთ მშვენიერად და აგრილებდნენ თვის ქვეშე მგზავრსა განსასვენებლად მწოლარესა. ყოველნი გაზაფხულისა სიტურფენი მოსპო ზამთრისა ხელმან და დაასო მათზედა ბეჭედი სიკედლისა“. ავტორს გაჰყავს პარალელი აღამიანის ცხოვრებასა და ბუნებაში დროების ასეთს მონაცვლობას შორის: „ახ! სიკაბუჯისა დღენი ჩვენნი, ესრეთ მშვენიერნი და ესრეთ ტკბილნი, არა ემზავსებთანა გაზაფხულისა ყვაილთა, ბუნების შემემკობელთა, და ესე ზამთარი შევმუხვნელსა სიბერესა ჩვენსა“.

გრ. ორბელიანს თავიდანვე ახასიათებდა არაჩვეულებრივი ემოციონალური მისვლა ბუნებისთან, მისი პლასტიკური აღქმა, შეუკავებელი სურვილი შთაბეჭდილებათა ფიქსაციისა. ამ მხრივ უპარესად საინტერესოა ბუნების აღწერები ვრ. ორბელიანის დღიურში „მგზავრობა ჩემი...“; მოვეყვანთ სამ ადგილს. კაიშაურში ჩასული ავტორი ჰყვება:

„სალამო იყო მშვენიერი. მზე მიეფარა მათა და უკანასკნელი სხივი მისი ცეცხლებრ აღანთებდნენ თოვლიანთა მათა ათასფერად. წმინდასა ჰაერსა მოჭქონდა სუნუნელეზა ყვაილთა. ქვეშე ფერხთა ჩემთა არაგვი შორის უფსკრულსა შინა მიმოიკლავებოდა თეთრად ძაფსავით და გრილი მისი ისმოდა საზარლად. საშინელნი მთანი, ერთმანერთზედა აღყვანილნი ცათამდის, დიდებულეზით მდუმარებდენ. ვიჭქვ კლდესა, უფსკრულსა ზედა გარდაკიდებულსა, და ესპერეტრი მდინარეთა მთათაგან გარდმოქანებულთა და უფსკრულთა შინა დაკარგულთა“ (გვ. 71). ანაურში მისულ პოეტს ისევ იტაცებს ბუნების სანახაობა: „გზაზედ დაგვიღამდა. მთოვარე მშვენიერად ანათებდა თოვლიანთა წვერთა: გარეშე ჩვენსა ყოველივე იყო მდუმარებასა შინა დაფლული, მხოლოდ არაგვი ყვირილითა რბიოდა და აყრუებდა ირესა. კაცი იხილავს რა დიდმშვენიერებასა ბუნებისასა, უნებლიეთ მდუმარებს დაფიქრებულს. ნათელი მთოვარისა, ძლიეს მოწვდენილი ჩვენდამი უფსკრულსა შინა, სიწყვედიადე და მდუმარება ტყეთა, დრილი არაგვისა, — ყოველივე ესე აძრწუნებდა გრძნობათა და ენასა ჰყოფთა უქმად“ (გვ. 71). ყაზბეგში ავტორის წინაშე უკვე ამოძრავებული ბუნების გრანდიოზული ბანორამა გადაიშლება: „აქედამ დაიწყების საკვირველი იგი სიჩქარე თერგისა, რომელიცა ყოველთა მხილველთათვის არს გასაკვირველი. — მიიღებს რა გარდმოქანილთა მთათაგან მდინარეთა, თერგი დუღდების, ჰრისხდების, და ვითარცა გაცოფებულს პურის ქათმა და ჰრბის გრილითა. ეერარასა ძალუქს წინაღულდგეს მისსა გაყურსა სიჩქარესა. შეხვდებთანა მას დიდრონნი, საზარლნი ლოდნი?—პლტუნის მალა და მათზედა გარდაველების; და მაშინ წარმოუდგების თვალთა მშვენიერ შადრევანად, ანუ შთად აღმასებრ გარდმოფანტულად“ (გვ. 73). დღიურის ეს ადგილები წარმოადგენენ წინამორბედს მისი შესანიშნავი ლირიკული ქმნილებისა „სალამო გამოსალმებისა“ (1841):

მზე ჩაცხენა: მის შუქი გამოსალმის უამს კვავასსა
თავსა ეხევეა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!

ბუმბერაზ მთანი მღუპარედ ცათამდის აყუდებულნი[•]
 ჰსხედან, ვით ღვენი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი
 მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ დაჰსწოლიან,
 და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ეშუქრებიან.
 გაზაფხულისა ველითა ტყე შემოსილი სიმწვანით,
 მთებისა კალთებს შეამკობს სატყობ სუნნელთა მოფენით
 წყალნი მთით დაქანებულნი, აღმასებრ უბსკრულს
 ჰსცვივიან,
 თერგირბის, თერგიღრიალებს, კლდენი ბანს
 ეუბნებია.

შართალია, ეს ლექსი 1841 წელს ბუნების უშუალო ხილვით არის შთაგონებული, მაგრამ პოეტი ქვემოცნებულად იმეორებს თავის ადრინდელ შთაბეჭდილებასაც: პირველი შეხედვით შეიძლება გვეფიქრა, თითქმის ავტორის თავისი დღიურის ზოგი ადგილი რიტმიულად გაუმართავს.

„მგზავრობაში“ გადმოცემული შთაბეჭდილებები ჰკვებავენ „სადღეგრძელოს“ უკანასკნელ რედაქციაში შეტანილ ზოგიერთ სტროფასაც, რომლებიც ბუნების ხოტბას შეიცავენ. აქაც განმეორებულია ცალკეული ფრაზები ზემოთ მოყვანილი პროზაული ადგილებისა:

სადა შევხარით ლაქვარდად ცისა კამარას მორთულსა,
 მასზე მავალსა ხელმწიფებრ, მზეს ბრწყინვით განსხივებულსა,
 ღამით ეარსკვლოვანს ფირუზსა, მთოვარით განათებულსა|
 სიციოხლის მომფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა|
 სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცამდე
 ასულნი
 და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე
 მსროლელნი,
 უფსკრულნი — ჩაბნელებულნი, კლდენი — თვალგად
 დუწვდენელნი
 სად მონადირე სდევს ჭიხესა და მის ქვეშ ჰვლენან
 ღრუბელნი.

„ტოლუბაშის“ პირველ ვარიანტში (1827) ბუნების ხოტბა არაა (ეს ვარიანტი დაიწერა პოეტის რუსეთს გამგზავრებამდე). როგორც ჩანს, პირველი ძლიერი შთაბეჭდილება საქართველოს დიდი მთებისაგან პოეტს 1831 წელს მიუღია, ყოველ შემთხვევაში მყინვარისა და თერგის ბრწყინვალე პროზაული აღწერა ამ ხანს ეკუთვნის. 40-იან და 70-იან წლებში კი, როდესაც გრ. ორბელიანი „საღამო გამოსალმებისას“ წერდა და „სადღეგრძელოს“ საბოლოო რედაქციას ამუშავებდა, მის პოეტურ ცნობიერებაში კვლავ ამოტივტივებულია 1831 წელს დარიალის ხეობის ზღურბლთან მიღებული შთაბეჭდილებანი. რასაკვირველია, გრ. ორბელიანს ზშირად უხდებოდა კავკასიის და კერძოდ საქართველოს დიდი ბუნების ჰერეტა.

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით ნიშნეულია ფაქტი, რომ პოეტი ისევე პირველ შთაბეჭდილებათა წრეში იმყოფება ზემოთ დასახელებული ორი ნაწარმოების შექმნისას. აქვე შევნიშნავთ, რომ გრ. ორბელიანს „მგზავრობის“ ხელნაწერი 1833 წლის შემდეგ ხელთ არ ჰქონია (ეს დღიური ეანდარპერიოდიკოს პოეტს ჩამოართვა ნოვგოროდში დაპატიმრების დროს).

ბუნების სურათს გვახატავს გრ. ორბელიანი აგრეთვე 1832 წელს დაწერილ ლექსში „ღამე“. პოეტის განცდები აქ მთავარიან ღამეშია გალხობილი:

მთოვარე ამივთ მოწავე, სიამით ნათელს მოჰფენდა,
ნიაეი სუნნელთ ყუაეილთგან ჰკრეფდა და ქროლით მოჰბერდა,
ბულბულიც ბუჩქში ფარულად ვარდსა გალობით შეჰსტრფოდა,
და მით გულს ცეცხლი ტრფობისა უმეტეს აღმგზნებდა.
ვაზნი ფერცელთა გარდაშლით ჩემზედ კამარას შეჰსდგმიდნენ,
მუნ სული ჩემი და გული ეშხის მახითა დაებნენ...

ბუნებასთან პოეტის ასეთი თანაზიარობის მიუხედავად არ შეიძლება ითქვას, თითქოს გრ. ორბელიანი ზუსტად იმეორებდეს რომანტიკულ პეიზაჟს და არსაიდან ჩანს, რომ იგი ბუნებაში ეძებს აბსოლუტთან, უნივერსსთან მიახლოებას. არც ერთს მის ლანდშაფტს არ აქვს გადაფარებული მისტიკური საპისელო. ბუნების სიდიადით გამოწვეული აღტაცება პოეტისა უშუალოა და ჩანს რთული. ბუნება თვითონაა შემყული ფერებისა და სუნნელების მოქადაგებელი ძალით, რომელსაც შეუძლია სიტკბოება განაცდევინოს ყველა ნომაცვდავს, გზაზე მიიავალ და დაღლილ ადამიანებს. გრ. ორბელიანის მიერ ბუნების აღქმის დამთხვევა რომანტიკოსების მიერ ბუნების კულტთან არაა წმინდა ლიტერატურული ფუნქციით გაპირობებული, იგი ორგანიული მოვლენაა ქართული პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. რასაკვირველია, გრ. ორბელიანიც რომანტიკულად აღიქვას ბუნებას, მაგრამ ზოგად ფილოსოფიური და განყენებული მსჯელობის ელემენტი ამ აღქმას თან არ ახლავს. ჩვენს შეხედულებას ნათელყოფს თუნდაც ერთი პარალელი: „ღამეში“ პოეტი გახარებულია, რომ მთავრით გაშუქებულ არეში მან მოახერხა შორეული და საყვარელი არსების ხილვა და მასთან სულიერი გაერთიანება. ასეთი ბედნიერი ზმანების წუთებში იგი უქმყოფილოა ცისკრის ქაშის ნოახლობით და აცხადებს „დღისა და ექსწყველენ ნათელი, რომ ურთიერთი გაგეყარნა“. ნოვალისის ცნობილ „ღამისადმი პიმენებში“ აგრეთვე უკუვადებულია „დღის უტიფარი ნათება“, რომელიც მკაფიოდ აჩენს საგნებს და რაც ხელს უშლის პოეტს გარდაცვილ სატრფოს (სოფლიო კუნის) იმატერიალური ხილვით დასტკბეს მთავარიან ღამით. ამრიგად ნოვალისის ლირიკაში ღამის ხოტბას თანმიმდევრული და პრინციპული მნიშვნელობა აქვს, გრ. ორბელიანთან კი იგი მოკლებულია ასეთს განზოგადოებულ და მისტიკურ შინაარსს, მეტიც — იგი კერძო ხასიათის ბიოგრაფიულ მოქმედებად უნდა მივიჩნიოთ. ქართული რომანტიკოსი პირიქით, სწორედ სინათლეს, ცისკრის სხივებით განათებულ სამყაროს უძღვრის თავის საუკეთესო სტრიქონებს:

ვიმ, ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა.
გულისა ქანუწვის გამქარველს, სიცოცხლის დამატკობელსა!..
ღმერთო, ეინ მიჰსწვდეს შენგან ქმნილს მისფერ უთვალავს შენებას?
ს ი ბ ნ ე ლ ე ს ა ქ რ ო ბ ნ ა თ ე ლ ი თ, ს ი კ ვ დ ი ლ ი თ ჰ ბ ა დ ა ვ
ც ო ე რ ე ბ ა ს!

(„სადღეგრძელო“, 1870)

ესაა თქმული პოეტის ცხოვრების მწუხრის ეპოსი. მაგრამ გრ. ორბელიანი ჰა-
ბუკობიდანვე ეტრფოდა დღის ნათელს:

ვითა ღამეში გზასა მავალი
ჰგრძნობს იღუმალად სიამოენესა,
ოდეს ვარსკვლავი დილის წინ მსრბოლი
ძირთოლვარებს ზეცას ლაქვარდოვანსა
და მოასწავებს დღესა ნათელსა... (1832)

გრ. ორბელიანის დაუმთავრებელი ლექსის ეს ტაქეები აბსოლუტურად გა-
მორიცხავენ მის პეიზაჟებში რომანტიკული მისტიკის საღებავებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1833 წლამდე გრ. ორბელიანს პესიმისტური ლექ-
სებიც უწერია. მაგრამ სევდის ტონი არაა ძირითადი გრ. ორბელიანის ლირიკისა-
თვის აღნიშნულ ხანაში. ამიტომ პესიმისტური განწყობილების შემცველ ნაწერებს
შევეჩხებით პოეტის შემოქმედების მეორე პერიოდის განხილვისას, როცა უიმედო-
ბისა და სევდის განწყობილებამ უფრო ღრმად იჩინა თავი მის ლირიკაში.

* * *

მოკლედ უნდა შევეჩხოთ გრ. ორბელიანს, როგორც პ რ ო ზ ა ი კ ო ს ს ა და
მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ს, მისი შემოქმედების პირველ პერიოდში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს „მ გ ზ ა ე-
რ ო ბ ა ს“ (1831) პოეტის ეროვნული და პოლიტიკური იდეალების გაცნობის
თვალსაზრისით გარკვეულ პერიოდში, 1832 წლის შემთქმულების ხანაში. „მგზა-
ერობა“ ლიტერატურულად დამუშავებული ნაწარმოებია, იგი ავტორს დაუწერია
სამგზავრო. შენიშვნების საფუძველზე და სტილისტურად დაუხვეწია. „მგზავრობა
ჩემი“ პოეტის 1831-1832 წლების დღიურის შემავალი და პირველი ნაწილია. და-
ნარჩენი ნაწილის¹ დამუშავება კი ავტორს არ დასცალდა.

„მგზავრობა“, როგორც დღიურის ლიტერატურულად დამუშავებული ნაწი-
ლი, 30-იანი წლების ქართული დოკუმენტალური პროზის საუკეთესო ნიმუშია.
დღიურები უწერია პოეტს აგრეთვე პოლონეთსა და ბალტიისპირა ქვეყნებში

¹ გამოქვეყნებულია ცალკეული ნაწილები. მთლიანად დაიბეჭდა წინამდებარე
გამოცემაში.

მოგზაურობისას. როგორც ეთქვით, ამ რკალიდან ლიტერატურული ღირებულება აქვს მხოლოდ „მგზავრობას“, დღიურის დანარჩენი ნაწილი კი მხოლოდ მწერლის ბიოგრაფიის მასალად გამოდგება.

ყურადღებას იქცევს გრ. ორბელიანის მიერ 1824-1832 წლებში დაწერილი სამი პატარა მოუთლობის პროზაული ესკიზი „ან[ტონის] დ[მი]“ (1824), „ზამთრისა ქართი გრიალებს“ (1829) და „ნ. ე. მ“ (1832); სამივე ზემოთ იყო დასახელებული. ისინი ფსიქოლოგიური მინიატურების ნიმუშებია, სტრუქტურული და მშუვეხული და ქართული რომანტიკული პროზის საწყისებად შეიძლება ჩაითვალოს. ნაკლები მნიშვნელობა აქვს გრ. ორბელიანის ჩანაწერებს „ცნობა ლეკების შესახებ“ (1830) და „პაზრნი მსწავლულთა ჩვენის პლანგტისა შექმნისათვის, ანუ მიწისა“. არც ერთი ამთავანი საკუთრივ პროზას არ განეკუთვნება. ინტერესს არაა მოკლებული მხოლოდ პროზაული ესკიზი „ამბავი რიგის დოშპიტალში ნათქვამი“ (1835), რომელშიაც მოთხრობილია თავდადებული ომადღად დარჩენილ გოგონასი, რომელმაც მრავალი დამცირება, დასჯა და ტყვეობა გამოიარა და ბოლოს შემთხვევით გზად შეხვედრილმა „კურთხეულმან იმპერატრიცამ“ იხსნა. ავტორი ჰუმანიურად მსჯელობს და თავისი პერსონაჟის ბედში ხედვს „ყოვლად უზენაესის მსაჯულის სიმართლესა, და მისს მარჯვენსა უბიწოების მფარველსა“.

გრ. ორბელიანის კონსპექტი „საქართველო ჩემის დროისა“ მხატვრული პროზის ქანას არ განეკუთვნება, თუმცა მის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ავტორის მსოფლმხედველობის შესწავლის თეატრალური თხზულებით. ამ კონსპექტის იდეურად ყველაზე საინტერესო ადგილი ზემოთ იყო მოყვანილი.

პროლექტიული იყო გრ. ორბელიანი, როგორც მთარგმნელი აგრეთვე პირველ პერიოდში, 1824 — 1832 წლებში. ეტყობა, გრ. ორბელიანისათვის განსაკუთრებით ახლობელი ყოფილა ეუკოვსკის და პუშკინის პოეზია.

ეუკოვსკის პოემის „*Песнь во стане русских воинов*“ ზეგავლენის გარდა, გრ. ორბელიანის შემოქმედებაში რუსი რომანტიკოსისადმი განსაკუთრებული ყურადღება გამოიხატა აგრეთვე მისი ორი ლირიკული ლექსის თარგმანით. ესენია „*პოე, სოფელი*“ (1830) და „*მას უხაროდეს*“ (1832), რომელიც თავისუფალი გადმოკეთებაა ეუკოვსკის ელეგიური ლექსისა „*Песня (подражания немецкому)*“. ქართველ მთარგმნელს იგი შეეკვიცილად აქვს გადმოღებული (აქლია უკანასკნელი სტროფი). ორივე ლექსის თემა და ემოციური ტონი სავსებით ეხმარება ქართველი რომანტიკოსის ლირიკის მოტივებს (სეგდა. მკმუნარება).

გრ. ორბელიანს პუშკინის ორი ლექსი აქვს ქართულად გადმოღებული. ესენია: „*ლხინი (მიზაძეა პუშკინისა)*“ (1830) და „*მიზაძეა პუშკინისა*“ (1847). პირველი მართლაც თავისუფალი მიზაძეაა პუშკინის რეატაპიანი ლექსისა „*Веселый пир*“ (1819) და ქართული აქსესუარითაა გადატვირთული (ჯამი, აზარფეშა, ყანწი და სხვ.), იგი ორგანიულად შედის გრ. ორბელიანის იმ ლექსებ-

ში, რომლებიც ანაკრონტულ მოტივებს შეიცავენ. მეორე „მიბაძვა“ კი წარმოადგენს პუშკინის ცნობილი ლექსის „Дар выпросный, дар случайный“ გავრცობილი სახით გადმოღებას. „მიბაძვის“ მეორე ნახევარი სრულიად დამოუკიდებელი საწარმოებია, ხოლო პირველი სამი ტაეპი („სიცოცხლე ფუჟო“ და შმღ.) რუფინის სახით შეორდება და აბოლოებს მთელ ლექსს, რაც პუშკინის ლექსში არაა. ასეთი ხაზგასმა რუსი პოეტის ნაწარმოების იმ ტაეპისა, რომელიც ავტორის იქვსა და ნაღვლიან კილოს შეიცავს, საეხებით შეეფერებოდა გრ. ორბელიანის ელემენტურ განწყობილებას მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მეორე პერიოდში, როცა კმუნვისა და სვედის ტონი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლენდა მის ლირიკაში.

მოტიანილი მავალითებიდან ჩანს, რომ გრ. ორბელიანი შეტყვევით სთარგმნიდა რუს ავტორებს, ხოლო თარგმნის პროცესში ორიგინალის ქართულად გადმოღებისას ცდილობდა მიეღო არა დედნის მექანიკური ასლი, არამედ საკუთარი სულიერი ვითარებისათვის შესაფერი ნაწარმოები. ამიტომ უწოდებდა იგი მათ „მიბაძვებს“.

ორიგინალთან ასეთი დამოკიდებულების ძალზე თვალსაჩინო და იდეურად გაართლებულ მავალითს წარმოადგენს „მიბაძვა კონდ. რილევის ლექსისა“ „ნალივიაკოს აღსარება“ (1831), რაზედაც ჩვენ თავის ადგილას ვრცლად გვქონდა საუბარი. აქი მიბაძვის ორბელიანისეულმა მეტოდმა აქცია ეს ნაწარმოები ქართველ შეთქმულთა საპროტეგარულ მხატვრულ ქმნილებად, პოლიტიკური აგიტაციის ხელისშეწყობ დოკუმენტად.

გრ. ორბელიანი პირველი სერიოზული ქართველი მთარგმნელია კრილოვის არაკებისა. 1832 წელს მან სთარგმნა სამი ნაწარმოები შესანიშნავი რუსი დიდაქტიკოსისა „ეირი და ბუღბუღი“, „სოფლელნი და მდინარე“ და „ნადირთა ქირი“. საზევე თარგმანის სთათურის ქვეშ აღნიშნულია „(კრილოვიდამ)“. მაშასადამე, აქ მიბაძვას ადგილი არა აქვს.

გრ. ორბელიანის ეს თარგმანები თავისი დროისათვის სასიმუშოდაა შესრულებული. კერძოდ, „ეირი და ბუღბუღი“ ქართული თარგმნითი ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევაა.

საგანგებოდ უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ გრ. ორბელიანი სთარგმნის კრილოვის ისეთ იგავ-არაკებს, რომლებშიც მართლმსაჯულების კანონის დარღვევა და დაბალთ ჩაგვრაა გაიციხული. ეს საკითხი გრ. ორბელიანის წინაშე წვეავედ იდგა როგორც პირველ პერიოდში, ისე შემდგომაც. მაშასადამე პოეტ-კრილოვის დიდაქტიკური ლექსებიდან შეგნებულად შეურჩევია მისთვის საინტერესო ნიმუშები. მოვიგონოთ როგორ თავდება გრ. ორბელიანის ერთ-ერთი ორიგინალური ლექსი 1832 წლისა: „მისი სახელი კიცხვითა“;

ვაი მას, სად მხოლოდ ძალა რა მსაჯულთა ვნებდეს,
სად მსჯულთა მჯდომი ხანჯალი კანონთა აღასრულებდეს.

კრილოვის ორი იგავ-არაკიც „სოფელნი და მდინარე“ და „ნადირთა ჳირი“ ძალმოზრებობისა, ჩავგრისა და უკანონობის წინააღმდეგაა მიმართული. ინტერესს არაა მოკლებული ისიც, რომ გრ ორბელიანს გაუმძაფრებია ერთი მათგანის, „სოფელნი და მდინარე“-ს, დიდაქტიკური დასკვნა თავისი მიზნებისა და იმდროინდელი ქართული სინამდვილის შესაბამისად:

იქ სამართალი ვით ჰპოვოს, საწყალმან ანუ უძლურმან, სადაცა ქრთამებს იყოფენ მწერლები მდივანბეგებთან*.

გრ. ორბელიანის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ოთხი პროზაული თარგმანი „ალელორია“ (1824), „სამნი მეგობარნი“ ჳერდერისა (1832), შვეიცარელი მწერლის ცშოკეს მოთხრობა „მაკოუნებელი“ (1832) და „საღამოს ჩაიზედ“ (1832). პირველში მოთხრობილია აღმოსავლური ამბავი სულთანის ვეზირისა და მისი ერთგული მეუღლის ფათმისი, რომელიც ბილწი ზრახვებით მასთან მისულ სულთანს შეარცხვენს და უკანვე გააბრუნებს. მეორე ეტუდიც დიდაქტიკურ-ალეგორიული ხასიათის პატარა ნაწარმოებია, რომლის ბოლოს დამოძღვრის ხასიათი აქვს: „სოფელსა შინა ამისა კაცსა ჰყავს სამნი მეგობარნი; მხოლოდ სიყვდილისა ეამსა, ოდესცა უფალი მიუწოდს მას სამსჯეროსა შინა თვისსა. მსცნობს მათ კაცი: — ჳეყენიერნი სიამენი, რომენიცა არიან კაცი-სა უსაყვარლესი მეგობარ(ნი), დაუტეეებენ მას პირველ; — ნათესავნი და მოყუ-ასნი გააცილებენ სამარისა კარაზღე — და მოაქციევენ სახლად თვისად. — ხოლო მესამე მეგობარი, რომლისთვისცა არაფრად ზრუნვიდა სიცოცხლისა დროსა, — არიან საქმენი კეთილნი: მხოლოდ ესენი არა დაუტეეებენ კაცსა; ესენი წარუძღვებიან მას დიდისა მსაჯულისა ტახტისადმი; ესენი იმეტყველებენ მისთვის მჳერმეთჳეელად; და მხოლოდ ესენი მოუბოეებენ მას წყალბაბასა და ჳილდოსა“. იოჳან ჳერდერის ამ ჰაწია ნაწარმოების ჳუმანისტურ ლეიტმოტივს ჩვენ ვხვდებით გრ. ორბელიანის ორიგინალურ შემოქმედებაშიაც (მღრ. „ფსალმუნი“, 1879).

„მაკოუნებელი“ მოთხრობილია თავგადასავალი ახალგაზრდა ცოლ-ჳმრისა, რომელთაც სიზმრად და ცხადად სდევნით ვიდაც დემონიური ბრსება. მოთხრობა ძალზე ბუნდოენია, მასში სინამდვილე და ფანტასტიკა გოფმანისებური სტილითაა ერთმანეთთან შეზავებული. გრ. ორბელიანს გულდასმით უსწორებია იგი, მაგრამ მისი საბოლოო სტილისტური დახვეწა ვერ მოუსწრია... „საღამოს ჩაიზედ“ ლიტერატურულად განსაკუთრებულ რასმე არ შეადგენს. ოთხივე თარგმანი რუსულიდანაა შესრულებული.

* შღრ. დედანი:

„ На младших же найдуть еще управы там,

Где девятся они со старшим пошлым“.

1860 წელს „ცისკარში“ (№ 3) დაბეჳდილია თარგმანის პირველი ვარიანტი:

„სადაცა ქრთამებს იყოფენ მდივანი ნაჩალნიკებთან“.

გრ. ორბელიანის მიერ 1865 წელს თარგმნილ გოეთეს ლექსს „მთ.ნი მაღალ-ნი“ ვეხებით პოეტის შემოქმედების უკანასკნელი პერიოდის მიმოხილვისას.

■ ■ ■

„შექმულების“ დამარცხებამ, კაბუკობის დროინდელი პოლიტიკური იდეალების კრახმა, პირადად განცდილმა უბედურებამ (ყაზარმაში პატიმრობამ) უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს გრ. ორბელიანზე. აქედან იწყება ახალი ხანა ანუ მეორე პერიოდი გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებაში. თუ რაოდენ მწვავე იყო ამ პერიოდის დასაწყისი, ამაზე თვითონ გრ. ორბელიანი მოგვითხრობს ერთ ბარათში ნაცნობისადმი: „სწრაფად მივფრინდი ტფილისს (1833 წლის ზაფხულში, ა. გ.), მაგრამ უფრო სწრაფად აელაბრის ყაზარმებში ამოვეყვ თავი, სადაც სამი თვე ვიჭექე, დღევიშივით დღეშილსა და ამ ქვეყნიური არაბობის შესახებ ფილოსოფიურს მსჯელობაში გართული. სწორედ ამ დროს დედაც მომიყვდა. ვხედავდი ჩემის ფანჯრის პატარა ჭეჭრუტანიდან, როგორ გასაყენეს კუბო. მტერსაც კი არ ვუსურვებ გამოსცადოს ჩემი ტანჯვა. ქედ ვიჭექე, ყველა დავივიწყე, დედის სიკვდილიც კი. რამდენსავე დღეს უქმელ-უსმელი, უძილო და უტყვი ვიყავი, ცრემლი არ გადმოვიგდია. რამდენსავე დღის შენდევ გამომიშვეს კიდევ, თითქოს დედის სიკვდილით მევიდოს ეს თავისუფლება. მაშინ სახლი დაცალკერებულნი და დამწუხარებულნი დამხდეს, სადაც 28 დღე ვიყავი, ვითომ აწეწილ საქმეების გასარიგებლად, მაგრამ ნამდვილად კი, ვგონებ, სულ არა გაიკეთებია-რა. ღამე, მოგარის შეუჭნედ, თვალცრემლიანი ვეამბორე დედის საფლავსა და წაველ კავკასიის ნავაგინსკის რაზნში სამსახურად, სადაც დროებით ვიქმენ გამწესებულნი“. ასეთი განწყობილებანი გახდა საბაბი პოეტისათვის დაეწერა ერთ-ერთი შედევრი გასული საუკუნის ქართული პოეზიისა „ჩემს დას ეფემიას“ (1835). ეს ლექსი იშვიათი ფსიქოლოგიური დოკუმენტია პოეტის იმდროინდელი სულიერი ვითარების განსაცნობად:

• • •

სიცოცხლე ჩემი ძლივ გაშლილი სასიზარულოდ,
ძლივ დილა ჩემი, შხისა ნათლით გაბრწყინებულნი,
მიჩვენებდნენ მე ამა სოფლის ყვავილთა მხოლოდ,
და ახლად ლამპარს აღმინებდა გულს სიყვარული,
რომლისა სხივნი თვით ეკალთა შექქნიდნენ ვარდად,
რომლით აღესილი არა ვპსცნობდი კმუნვისა ცრემლთა,
მეგობართ შორის უზრუნველი დავმღერდი მარად
და სიამითა უმზერდიცა დღეთ მომავალთა!
აჲ სად წარვიდნენ ნეტარების წამნი ძვირფასნი,
რომე აჩრდილიც არა დაჰშთა ჩემდა ნუგეშად,
რომ გლახ ჩემს გულსა მოსეულნი კმუნგათა დასნი
ესრედა ჰგლოჯინ უღონო მსხვერპლს შეუბრალებლად?

უცებ გრიგალმა უბედობის დაშკროლა ესრეთ,
რომ ცა, მომფენი ჩემდა ნათლის ჭფარა ღრუბელთ ქვეშ;
სიტკბოს ფიალი წარიტაცეს მის წყეულთა ფრთეთ,
და დამცა უფსკრულს ვაებისა უწყედ. უწყედ.

ლექსში შესანიშნავადაა გადმოცემული პოეტის განცდები ყაზარმაში პატრი-
არობისას. ციხიდან გამოხვლისა (როცა მას „ვაების ბჭე გაუღეს“) და მძიმე სუ-
ლიერი განცდების შემდეგ პოეტი თითქოს საბუდამოდ ეთხოვება სიჭაბუქეს, სი-
ხარულსა და მომავლის იმედს:

არლა აჰყავდეს გული ჩემი ორ გზის ამ სოფლად,
მახვილი გულით ვერ აპგლიჯონ შემდეგ სიხარულთ.

ვისგან და ვისთვის განიხაროს აწ გულმან ჩემმან?
ვისა შევებრალდე, რომ ეგებ მით გული განჰგრილდეს?
ღრუბელი კმუნვის განმიბნიოს აწ ვისმან
ღიმმან?

უდროდ დაებერდი და ცხოვრებით გული როს
დაჰსტკბეს?

სიყვარულისა სურვილი მას ვერ დაუთრობს
გულს,

მისი სიციოცხლე ვერა დასტკბეს მართლ
სიხარულით.

ვინც სოფელს მუხთალს, საამურის ოცნებით
ადესილს,

უმზერს აწ ვით მე, მიუნდობელ, გამოცდილ
თვალთ.

ხვალე არლა მწამს, ვით ღამეში მაცთური სხივია.

თვითელი ტაეები ამ პოეტური აღსარებისა დიდი გულწრფელობითა და ღრმა
ემოციითაა გამსჭვალული. „ჩემს დას ეფემიას“ შეუდარებელი მხატვრული ძალით
გამოხატავს იმ გარდატეხის დასაწყისს, როცა გრ. ორბელიანის მთელი არსება
სულის სიღრმემდე შესძრა „უბედობის გრიგალის ქროლვამ“.

1833 წლიდან ძლიერდება პოეტის შემოქმედებაში გაუფანტავი სევდისა და
პესიმისტური განწყობილების მოტივი, რომელიც უცხო არ ყოფილა გრ. ორბე-
ლიანისათვის მისი ცხოვრებისა და შემოქმედების პირველს პერიოდშიც. მაგ. ლე-
ქსში „ანტონს“ (1829), რომლითაც იხსნება მისი პოეტური კრებული, ავტორი
მიმართავს თავის მეგობარს:

ნუ გგონია სიჭაბუქე მარად იყვეს განუყრელი:
ულმობელ დროს მიაქვს იგი, მასთან ყოველი სიხარული.
სიტკბობება სიციოცხლისა, არცღა გვრჩეების სიყვარული.

ფრიად მსწრფლად გვესტუმრების, ახ, სიბერე
შეკმუხენილი.

ამ სიბერესა, სულიერ სიცივესა და დროის უღმობელობაზე ლაპარაკობს ჰუბუი პოეტი თავის პატარა ეტიუდშიაც „ზამთრის აქარი გრიალებს“ (1829): ადაპიანის ხანდაზმულობა და მოხუცებულობა მას თოვლიან ზამთარს აგონებს, ხოლო სიჭაბუკე — ყვავილოვან გაზაფხულს: „არა წარეალსა სიჭაბუკეცა, ჩვენი ესრეთ მსწრაფლიად, ვითარცა გაზაფხული, რომლისა სიტურფითა ჟერეთ არა დაემტკბარეართ, და თანა არა მიაქვსა ყოველი ჩვენი სისხარული, სურვილი და იმედნი, რომელნიცა ჟერეთ არა აღსრულებულან. — არა ვხედავთა მწუხარებითა, რომელ ანაზდეულად სიბერეჟან, ვითარცა ზამთარჟან, დათოვა თავი ჩვენი, და გაყინულისა ხელისა თვისისა ჩვენდა შეხებითა, განგვიგრილა გული ჩვენი ყოვლისა მშვენიერებისა ტრფიალებისაგან! — არა ვგრძნობთა, რომელ სიყვარულიცა, ესე მშვენიერი სიციოცხლისა ჩვენისა ყვავილი, რომელიცა გვატკბობს, გვახარებს თვით ტანჯეასაცა შინა თვისისა, და აღგვამადლებს ყოველთა მდაბალთა და უღირსთა სხვათა ვნებათაგან — ესე დღეთა ჩვენთა სიტკბობეცა ჰქრების, ჰსენობს რა სიბერისა სიახლოესა! — არა ვქრეთა განკვირვებით, ვარდებრივთა დაწვითა აღრიან დამქკნარად, ღიმილთა — ბაგვითა ზედან გამქკრალად, თვალთა, სულისა სარკეთა — შთაცვიწულ და ნათელკლებულ, მეხსიერებასა — დაკარგულ — ახ! სიბერისა დროსა სიციოცხლე ჩვენი არს მხოლოდ თვლემა. მაშინ ჩვენთვის მოჟავალი არის ბნელი და წარსულიცა დაგიწყებულ; და თუ ვითარჟე ვონებასა შინა ჩვენსა წარმოგვიდგების დღე რომელიმე, აღვისილი სიანონებითა, დასატკობლად შეკმუხენილთა დღეთა სიბერისათა, ისიცა ესრეთ გვეჩვენების, ვითარცა სიზმარი, ანუ ვითარცა ელეა დამესა ბნელსა, რომელიცა ჰქრების მყისეე და არა უტევეებს თვის შემდეგ კვალსაცა“. — ეს ამონაწერი მოწმობს, რომ გრ. ორბელიანი ჰუბუკობიდანეე ყოფილი დაფიქრებული ეკლუზიასტეს თემაზე, ყოველი მატერიალურის და თვალთხილულის ჰკნობასა და წარმატლობაზე, მაგრამ პირველ პერიოდში მისთვის ამ თემას უმთავრესად ზოგად ფილოსოფიური და თეორიული მნიშვნელობა აქვს. ჰუბუი პოეტი მხოლოდ წარმოიდგენს სიციოცხლის დასასრულს, როცა მისი გონების წინაშე აღიმართება სიყვარლის იდეა: „ვარდებრივ დაწვებს აღრიან დამქკნარად“, „ბაგვითა ზედა გამქკრალ ღიმილს“ და „თვალთა, სულისა სარკეთა, შთაცვიწულს“. ეტიუდის ეს ადგილი შორეულად გვაგონებს ანალოგიურ ტირადას პეტრარკას განთქმული დიალოგიდან „სიციოცხლისადმი ზიზღის შესახებ“.

გრ. ორბელიანის პირველი პერიოდის ლირიკაში მოთავებია სხვა ნიმუშებიც, რომლებშიც პესიმისტური აზრებია გამოთქმული. მაგ. ეუკოესკის თარგმანს ამოფარებული პოეტი ამბობს:

პოი, სოფელო! რად ხარ ესრეთ მდიდარ ოცნებით?
შენსა მომდევნსა ეჩვენები ტურფად, ცთუნებით,

შენში კეთილსა საცხოვრებლად აქვს წაბი ოდენ!
კმუნვა არს უფრო — სიაჟენი მალად ფრინვენ.
(„ეუკოესკიდაჲ“, 1830)

უიმედობითა და მელანქოლიითაა შეფერილი ზოგიერთი სხვა ლექსიც ამ პერიოდისა. მაგ. ლექსში „გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი“ (1832) პოეტი „უ რ წ მ უ ნ ო ს ო ფ ლ ის მ უ ხ თ ო ბ ა ზ ე“ მსჭელობს, ხოლო „მ ი რ ზ ა ქ ა ნ ა ს ე პ ი ტ ა ფ ი ა შ ი“ (1832) ცოცხალ ნაცნობს ათქმევინებს:

მ უ ხ თ ა ლ ს ა მ ს ო ფ ე ლ ს გ ს უ რ ს ვ ის ა ც ა ი ყ ო ბ ე დ ნ ი ე რ ,
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ ა დ ა ლ ე ი ნ ი თ ა ჩ ე მ გ ბ რ დ ა ი თ ვ ე რ ,

• • •

თორემ გონებით ვინდ ცა განვლო, ჩემებრ იქმენა მტვერ.

ნიუხედავად ყველა ამ მაგალითებისა, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ თავის ცხოვრების პირველ პერიოდში გრ. ორბელიანი ღრმად შეეძრწუნებინოს სიბერესა და სიკედილზე, ან სოფლის წარმავლობაზე ფიქრს. მისი მსოფლიო სევდა ჭერ კიდევ არ იყო ღრმა და ორგანიული პოეტისათვის. ამიტომაც არც ერთს მის ლექსში სოფლის ამოებაზე მსჭელობა არ გადადის რეზინაიციასში, იგი ბედისაღმი მორჩილებას ოდნედაც არ გულისხმობს. პირიქით — ამ ხანაში გრ. ორბელიანი ამბობებისაკენ მომწოდებელია და მებრძოლი პოეტი-აგიტატორი („ნაღვავიკოს აღსარება“, „მისი სახელი კიცხეთა“ და სხვ.), ამასთანავე სიკაბუჯის დღეებისა და გზაფხულის მესობზე. დამახასიათებელია, რომ ზემოთ მოყვანილი პროზაული ამონაწერი ასე თავდება: „ჰე, გაზაფხულო! ჰე, სიკაბუჯე! დამატკბეო, დამატკბეო, ეღრემდის ჰსცხოვრებთ ჩემთანა ესოდენ, რა: ოდენცა იყოს ჩემთვის საკმაოდ სამარემდის, ანუ სიკოცხლეცა ჩემი შეჰსწყეიტეთ მაშინ, ოდეს მოვიდეს დღე იგი განურისა ჩენისა, რათა ეჰსთქვა უკანასკნელსა ეამსა: „თუმცა ეკედები, მარამა სიკოცხლე ჩემი იყო ესრეთ ნათელ, ვითარცა მშვენიერი განთიადი გაზაფხულისა“— რ მა გ რ ა მ გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ის ე ს გ ა ნ თ ი ა დ ი გ რ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ც ხ ო ე რ ე ბ ა შ ი ს წ ო რ ე დ 1 8 3 3 წ ლ ის გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ს დ ა ს რ უ ლ დ ა . ამის შემდეგ სიკაბუჯის დღეები მისთვის მოგონების საგნად იქცა:

მ ა გ რ ა მ შ ი თ უ ფ რ ო გ უ ლ ი გ რ ძ მ ო ბ დ ა ფ ა ს ს დ ა კ ა რ გ უ ლ ის ,
წ ა რ ს უ ლ თ ა დ ლ ე თ ა ი გ ო ნ ე ბ დ ა რ ა ნ ე ტ ა რ ე ბ ა ხ .

ესრეთ აშვენებს სიტურფითა ვარდა სამარჯს
ესრეთ მშვენიერთ ბაგეთ ზედან იელვებს ღიმი,
თუმცალა გულში უზომოსა ჰფარავს სინწარეს.

(„ჩემს და ვეფემიას“).

ამიერიდან სიკაბუჯისა და სიყვარულის ღრმა გრძნობა მისთვის უმთაფრესად მთავრად იქცევა. მეორე პერიოდში გრ. ორბელიანის სევდის და პესიმის უადრესად კონკრეტული, ბიოგრაფიული და იმავე დროს საზოგადოებრივი სარჩული აქვს: პოეტის იდეალები დამსხვრეულია, იგი იძულებულია გამოეთხოვოს საშობლოს თავისუფლების აღდგენის ილუზიას. პოეტი ცდილობს წარსუ-

ლის შთაბეჭდილებები არ ამფოთებდნენ, დაეწყებას მისცეს ყველაფერა, რაც მის სანუკვარ ოცნებას შეადგენდა:

ჰეი, გონებაე, დაივიწყე ჩემს სანუგეშოდ,

რაც იყო — იყო, ნუ იგონებ დღესა წარსულსა:

მის მოგონებით მხოლოდ გულსა მიკლავ უწყალოდ,

და ფუტსიცოცხლეს მაწყვევლინებ გამწარებულსა (1843).

სრულიად ლოგიკურია, თუ სწორედ ამ პერიოდში გრ. ორბელიანი წერს შე-სანიშნავ ლექსს „ჩემი ეპიტაფია“ (1839), რომელშიაც სიყვილის თემა დამუშავებულია იშვიათი ემოციური ძალით და არა დრამატიულ ბაჰოსს მოკლებული სტილიზაციით, რაც მის ადრინდელ პესიმისტურ გამონათქვამებს ახასიათებდა. ამ ლექსში წარმავლობის გრძნობა ძალზე პედალიზებულია:

როს ვიყავ ცოცხალ, ვითა შენა, მკითხველო,

მეცა მიყვარდა, მეც ვპსტიროდი, ვიღზენდი,

და დაფიქრებით დავპზურდი საფლავებსა!

მერგო რიგი, და აწ ჩემს საფლავს დაპზურ შენ!

ამ ზენა — მსჯელსა ვერა არსი ვერ ასცდეს:

ვერცა ხელმწიფე დიდებისა გვირგვინით,

ვერცა გლახაკი შემოსილი ძონძითა,

ვერცა სიჭაბუკე შეგნებითა შემეული

და ვერც მოხუცი დაღალული ზიცოცხლით!

ყველა იცვალოს, ყველა მოკვდეს, დამიწდეს,

და მხოლოდ წრფელი სული, წმინდა, ცხოველი

მღვთადა აღვიდეს ნაწილაკი მღვთაებრი (1839).

სწორედ ამ ხანებში, თავის ცხოვრების მეორე პერიოდში (1847) აქვს თარგმ-ნილი პოეტს პუშკინის ლექსი „Дар напрасный“, რომელსაც „პუშკინის მიხა-ძვა“ ეწოდება. უეჭველია, გრ. ორბელიანის სულიერ განწყობილებას გამოხატავენ ტაუპები:

სიცოცხლევ ფუტო,

უბრალოვ ნიუო,

რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა,

და თუ მიწოდა

არსით სოფლადა,

რასათვის მიმცა მსხვერპლად ტანჯვასა?

რად მომცა სული

ენებით აღვსილი,

გონება ეკვით შემფოთებული,

და აწმყო — არად,

წარსული სიზმრად,

და მაცთუნებლად თვით მომავალი?

ჭერ კიდევ უზარმაზი პატიმრობისას (1833) წერს გრ. ორბელიანი ლექსს „მ უ-
ხ ა მ მ ბ ა ზ ი“ („არვისთვის მე დღეს არა მცალიან“), რომლის პერსონაჟს პოეტრი
ათქმევიანებს 1832 წლის შეთქმულებზე:

„ბ ე დ მ ა ნ დ ა ა მ ბ ხ ო რ ა ყ ი ფ ნ ი კ ა ც ნ ი“.

თვითონ გრ. ორბელიანი ამ „ბ ე დ მ ა ნ დ ა მ ბ ხ ო ბ ი ლ რ ა ყ ი ფ - კ ა -
ც ნ ბ ს“ ეკუთვნოდა სულიერად და იდეურად, ამიტომ „წარსული სიზმრად, ხო-
ლო აწმყო — არად“ მიაჩნდა. ეს საზოგადოებრივი და ფსიქოლოგიური ნიადაგი
კვებავდა გრ. ორბელიანის სევდასა და პესიმიზმს მეორე პერიოდში, რამაც უკი-
დურესი სახე პოეტის ცხოვრების ბოლო წლებში მიიღო.

მაგრამ გრ. ორბელიანი ძლიერი ნების აღამიანი იყო, დაჭილღობული ცხოვ-
რების დიდი ენერგიით, პრაქტიკული მოღვაწეობისადმი მიდრეკილებით, აქტიური
სულით, სინამდვილის მძაფრი შეგრძნობითა და დაკვირვების უნარით. მან გადა-
აფასა თავისი აღრინდელი მისწრაფებანი, უსარგებლოდ და სახიფათოდ სცნო
ცარიზმის წინააღმდეგ გაბრძოლება, დაადგა შეგუებისა და კომპრომისის გზას,
ოფიციალურად აღიარა კიდევ მეფისადმი ერთგული სამსახურის საქიროება. მე-
ორე პერიოდი გრ. ორბელიანის ცხოვრებისა, როგორც მკითხველიც დაინახავდა
ზემოთ მისი ბიოგრაფიის ქრონოლოგიის გაცნობისას, ბრწყინვალე სამხედრო კა-
რიერის ხანაა. თავისი ხმლით გრ. ორბელიანმა ბევრი სარგებლობა მოუტანა მო-
ნარქიულ რუსეთს სწორედ ამ პერიოდში. ერთ-ერთ ბარათში შეთქმულებთან
კავშირის პოეტი თავის „გ ა მ ო უ ე დ ე ლ ო ბ ი თ“ (?) ხსნის, რაც იმას მოწმობს,
რომ გრ. ორბელიანს თავისი ნამდვილი ბიოგრაფიის შიჩქალაუც კი სწავლია ა!
ხანაში. მაგრამ რასაც ფარავდა პოეტის ოფიციალური
მდგომარეობა და ბრწყინვალე საომარ გამარჯვებათა
მაუწყებელი რელაციები, მის მხატვრულს შემოქმედე-
ბაში მქდაენდებოდა აწმყოზე ჩივილით, „რ ა ყ ი ფ ი კ ა ც ე -
ბ ი ს“ მოგონებით, ღრმად შინაგანი სევდით. ოფიცერ გრ.

ორბელიანის გარეგანი ცხოვრების პარალელურად, როგორც სრული კონტრასტი,
მიმდინარეობდა პოეტ გრ. ორბელიანის შინაგანი ცხოვრება. მაგრამ ქართველი
რომანტიკოსის ეს შინაგანი პატრიოტული სამყარო ნაკლებადა გამოქვეყნებული
მეორე პერიოდის მხატვრულ ქმნილებებში. ისიც მანიშნებელია, რომ გრ. ორბე-
ლიანს სამხედრო მოღვაწეობის ყველაზე მდიდარი და სევებედანიერი
ხანა (აფარიის მმართველობის პერიოდიდან (1843 წ.) მოყოლებული კავკასიური
ომის დასასრულამდე (1859) იმავე დროს ყველაზე უფრო ღარიბია ლიტე-
რატურული პროდუქციის მხრივ. გრ. ორბელიანს ამ წლებში მარტო-
ოდენ ორი ორიგინალური ლექსი („პეი, გონებაჲ“, 1843 წ., „მოგონება“, 1851 წ.)
და ერთი „პუშკინის მიბაძეა“ (1847) აქვს დაწერილი. საერთოდ, გრ. ორბელია-
ნის ცხოვრების მეორე პერიოდი ნაკლებ პოეტური ნაყოფიერებით ხასიათდება:
1833-1858 წლების მანძილზე მას სულ 14 ლექსი აქვს დაწერილი.

ამ ლექსების ძირითადი მოტივებია, პესიმიზმთან ერთად, ყარაჩო-

ხელური ლხინი, მსუბუქი ტრფობა (ანაკრონტიზმი) და სიყვარულის გამოტირალი.

მეორე პერიოდში წარმოშობილი პესიმოზმის ამსახველი ლექსების შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას დანარჩენის შესახებაც ამ პერიოდის გრ. ორბელიანის ლირიკაში.

გრ. ორბელიანის პირველი პერიოდის „მუხამბაზსა“ და „იარალისში“ ასახულ ლხინისა და ანაკრონტული თემის შესახებ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ მოტივის დამუშავებისას გრ. ორბელიანი აგრძელებს ბესიკისა და საითანოვას ხაზს. მეორე პერიოდის ლექსები „მუხამბაზი“ (არავისთვის მე დღეს არა მცალიან...), „სავათნავას მიბაძვა“, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, „მუხამბაზი“ (სულთ ერთო...) და 1860 — 1861 წწ. დაწერილი „ღიმიტრი ონიკაშვილის დარღები“ და „მუხამბაზი“ (გინდ მეძინოს) აღრმავებენ აღნიშნულ თემას. შეიძლება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გაუგებრად გვეჩვენოს პოეტის შიერ ყარაჩოხელური ნადიმისა და ფიზიკური ტრფობის ასეთი ხოტბა იმ დროს, როცა თვითონ ყაზარმობის მძიმე დღეებს განიცდიდა და შემდეგ დიდხანს საშობლოდან იყო გადასახლებული (პირველი სამი ლექსი ავღაბრის ყაზარმაშია დაწერილი, ხოლო მესამე — ქ. ვილნოში), მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ პოეტის ამ ლექსებში ჩვენ საქმე გვაქვს მოგონებების არაჩვეულებრივ ინტენსივობასთან და არა რომელიმე უშუალო მომენტის ფიქსაციასთან — ვასაგები ზდება მათი წარმოშობის მოტივიც: პოეტი სევდისა და მარტოობის უამსაცოცხლებს ნაცნობი თბილისელი მოქალაქეების კოლორიტულ სახეებს, მათი ფსიქოლოგიისა და ყოფის სურათებს, — არსებითად იგი ერთობა.

გრ. ორბელიანი დაახლოებული იყო მშობლიური ქალაქის დემოკრატიულ ფენებთან, ზედმიწევნით იცნობდა და პუმანიურად ეყარობოდა მათ. სიკბაუჯის ზანაში პოეტი ხშირად უქეიფვინა თბილისის ყარაჩოხელებთან, ზოგ ამთგანს (მაგ. ლობიანას) ლხინის მოყვარული თავადის „ადუტანტსაც“ ეძახდნენ (მას თურმე ვილაობით ცოცხალი მიჰქონდა პოეტთან). გრ. ორბელიანს არასოდეს არ გაუწყვეტია კავშირი ქალაქის ამ დემოკრატიული ფენების წარმომადგენლებთან, ოღონდ გარკვეული დისტანციის დაცვით, რაც ბუნებრივად იბადებოდა ხოლმე ყაფლანაინთა ბრწყინვალე წარმომადგენელსა და მეკრივეთა და მეთევზეთა წრედან გამოსულ ყარაჩოხელთა შორის. სწორედ ამ დისტანციის წყალობით შესძლო გრ. ორბელიანმა მათი ხასიათების რეალისტური დახატვა. მუხამბაზები გრ. ორბელიანს თავისი პერსონაჟების მონოლოგებად ან სიმღერებად აქვს მოფიქრებული: პოეტი ახშობს, ანეიტრალებს თავის ჰმას, თვითონ ყარაჩოხელებს ამეტყველებს, აბსტრაგირებულია მათგან. ცნობილია, რომ რომანტიკულ ლირიკასა და ეპოსში ნაკლებ იგრძნობა მანძილი ავტორსა და გმირს შორის, მართალია, გრ. ორბელიანის მუხამბაზებშიაც ზოგჯერ ყარაჩოხელის ნიღაბქვეშ თვითონ ავტორი მკეუნვარებს, ლხინსა და ლეინოში ეძებს თავდავიწყებას ან

რომელიმე სევედიან მოტივს მღერის, მაგრამ მისი ხმა სურათოდ ძალიან იშვითად ისმის ამ ეპარის ნაწარმოებებში. გრ. ორბელიანის მუხამზაზღები რეალისტური ხა სიათის ნაწარმოებებია, მიუხედავად მათი ძალზე ტრადიციული ფორმისა. მუხამზაზღებში აისახა თბილისის მოქალაქეთა გარკვეული წრის პრიმიტიული ფსიქოლოგია, თავისებური ყოფის დეტალები, მეტყველების მანერა და სტილი, ენობრივი სისადავე და ეარგონი, — ყველა ძირითადი ატრიბუტი ყარაიხელთა ცხოვრებისა და სულიერი ცხოვრებისა. ამიტომ არასოდეს არ უნდა აეუროროთ პოეტის ხმა, მისი არქაიზებული პათოსი და აზროვნების მუდმივ სერაიოზული ხასიათი (დამახასიათებელი „სადღეგრძელისა“, „გამოსალკებისა“, „თამარის სახისა“, „ჩემს დას ეფემიასა“ და სხვა ამ რანგის ლექსთა ავტორისათვის) რომელიმე ლოპიანასთვის და მახასიათებელ თბილისურ სიტყვის მოქცევასა და ინტონაციაში. „სადღეგრძელს“ ავტორის პოეტიკის თვალსაზრისით მისი მუხამზაზღები სტილიზებული ნიმუშებია — ამ ფორმის თემები და მხატვრული ფაქტურა გრ. ორბელიანს მუხამზარეულად აქვს მიღებული (თუმცა შემდეგ დახვეწილი და უფრო გასუფთავებული).

გრ. ორბელიანს გულწრფელ ჰუმანიზმთან ერთად არ აკლდა ერთგვარი ირონიაც თავისი ლექსების პერსონაჟების მიმართ, იგი მათ დაჰყურებდა ზემოდან, იმ დარდიმანდული ქედმალლობით, რომელიც ხელს არ უშლიდა პოეტს იმავე დროს ეპეოკრატი და მათთან ტრაპეზის გამზიარებელი დარჩენილიყო. გრ. ორბელიანის ცხოვრებაში უკანასკნელად განმეორდა ფეოდალურ სასახლეებში ტრადიციულად დამკვიდრებული ჩვეულება არისტოკრატიისა და მომღერალ მეთარეთა თანამეინახობისა. თუ ოდესღაც გრ. ორბელიანის სისხლიერი წინაპარი. საქართველოს უდიდესი მეფე ერეკლე I-მ საიათნოვას მუხამზაზღებს ისმენდა თავის სასახლეში, მისი გვიანი ნაშეიერი თეითონ მიდიოდა ქალაქელ მომღერლებთან და სიმღერებს უწერდა. რეალური ტრუბადური ფიქტიურით იყო შეცვლილი. საიათნოვა ამბობდა:

სიტყვას ვიტყვი — ცამ ქუხილი დაიწყოს!

გრ. ორბელიანის პერსონაჟი კი ამბობს:

სიყვარულმა მათქმევინა,

თორემ მე ვინ, ლექსი — ვინა!

და ეს რეპლიკა უმაღლეს ამხელს გრ. ორბელიანს, რომელიც უფლებას არ უტოვებს ყარაიხელს მართლაც პოეტად წარმოიდგინოს თავი, რადგან ამ პროფესიის მუხამზაზღის ავტორი-არისტოკრატი თეითონ იტოვებს და ამშვენებს კიდევ მას

გრ. ორბელიანს საყვედურობდნენ, თითქოს მან ბაზრის კილო შემოიტანა ქართულ პოეზიაში. ეს საყვედური დაუმსახურებელია. გრ. ორბელიანმა მოახდინა მუხამზაზღის ხელახალი კანონიზაცია მხოლოდ და ისიც გარკვეული მიზნით. გრ. ორბელიანის ამ ეპარის ნაწარმოებებმა დაიმსახურეს დიდი მოწონება ილია

კავებამისა, რომელმაც ზოგი მათგანი ზეპირად იცოდა და საჭაროდაც კითხულობდა.

გრ. თრბელიანი თავის ლირიკულ გმირებს ხატავს როგორც ლაღი ბუნების ადამიანებს, ნადიმისა და ღვინის მოყვარულ მოქალაქეებს, ამავე დროს თვითყული მათგანი აღკურვლილია ხასიათისა და გარეგნობის ინდივიდუალური ნიშნებით; პოეტი იძლევა უაღრესად კოლორიტული სახეების მთელ გალერეას. ექსპანსიური, ჰომრავი და „ქალების ლხინი და თაიგულია“ ბეჟანა მკერვალი, რომელიც უკით პეპელა სხვიადისხვა ყვავილისა ზედ დაფრინანეს და ჰკვამს მათგან სუნუნელა, უა „რადგან რაყიფი დიდ-კაცნი დამსობიან“, მას „დაჩენია ბუთი და მოედანი“. ამიტომ ის არ აპირებს გარეთუზნის ტურფებთან წასვლას და არისტოკრატიულ სალონში, „სალომესთან სადილად“ მიიქარის („არვისთვის დღეს მე არა მცალიან...“). მეორე მუხამბაზის მიხედვით, ბეჟანა, რომელიც სალომეს „მაკრატლის გვირგვინს“ უწოდებს, იმავე დროს სხვებისკენაც იცქირება, ქალებისადმი მისი ტრფობა განურჩეველია, „ვარდიც უყვარს, იაც უყვარს“, თანაც პირველს აფრთხილებს: „ნუ გწყინს, ვარდი! ყვავილთ მეფევე, რომ ზოგჯერ იასაც ვსუნავ“ („სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“). „ლხინის პაპა“ მირზაჯანა მაღათაშვილი, „სახით არაბისტნელი“ და „ქუდჩაყეცილი“, ღვინისა და ემზისათვის არის დაბადებული, იგი მუდამ ტოლუმბაშია და ნადიმი უყვარს მეთარე ალავერდისა და მომღერალ ყოფა ბულბულთან ერთად („სულით ერთონ“); დიმიტრი თნიკაშვილი „ცეცხლშია ჩაეარდნილი“ და „ნაბად გახეული“ ძაღლისავით ჰკვია ქუჩაში, რადგან „ერთის ვისმეს მოაჯირის ფანჯარას ყარაულობს“, სადაც მისი სატრფო უნდა „გამობრწყინდეს მზესავით“ და თუ ეს სატრფო „ლაშაზ თვალებით შეხედავს“ და „სიონიზის ხმას გააგონებს“, მაშინ „ემზისავან გონება გამოცლილი“, რომელსაც არ ესმის „მზე ბრწყინავს თუ თოვლი მოდის“, „თავს კამდე აიღებს“ და ძაღლიცემულს შეუძლია „ქვეყანას ებრძოლოს“. ამის შემდეგ იგი „ყელზე ჩითმერდინიანი“ „ქვე-ქვე გასწევს ორთაქალისკენ“ და იქ დარდმანდებს შორის სუფრაზე „საკინ ჩამოხსნილი, ხელში ჩამით“ სატრფოს სადღეგრელოს შესეამს („ღიმ. ონ. დარდები“). ასევე უანრული სურათთა დახატული მუხამბაზში „გინდ მეძინოს“, რომელიც მეთევზე ლობიანას მონოლოგს წარმოადგენს. ეს ნაწარმოები საუკეთესოა გრ. თრბელიანის ამ ციკლის ლექსებს შორის. მუხამბაზის მიხედვით ყარაიხელის ტიპი დახტულია როგორც გარკვეული ემოციების ადამიანი, სატრფოზე შეყვარებული და ერთგული ყმა, რომელსაც „ათი გზა აქვს და ათივე სატრფოსკენ მიდის“. ძილში მას სატრფო სულში უზის, თვალს თუ გაახელს — წაწწამზე. იგი ნატრობს — ორთაქლის ბაღში ნახოს სანატრელსა არსებამ, როცა „დარდმანდის ლხინში“ ტოლუმბაშადა და ქამი უპურია ხელს, ან როცა მუშტი-კრეშია, — მაშინ შეიძლება შეუყვარდეს იგი სატრფოს და უთხრას „ძვირფასი ხარო“.

ყარაიხელთა ხასიათები გრ. თრბელიანის მუხამბაზებში დახატულია რეალისტრად, მიუხედავად მათი რამდენადმე შელამაზებისა. უწინარეს ყოვლისა, რეალისტურია მათი პორტრეტული დახასიათება, მოქმედების გარემო (ორთაქალის ბაღები. „მტკერის პირი ჩარხთან“ და ასე შემდეგ), ძალზე მარტივი ფსი-

ქოლოგია, სიყვარული კრივისა და ლხინისადმი, ოღონდ პოეტის ჰუმანიზმს უნდა მიეწეროს მათი აღჭურვა ხასიათის ზედმეტი კეთილშობილებითა და მოკრძალებით („გინდ მეძინოს“). მაგრამ თავისი პერსონაჟების ნაწილობრივ შელამაზებასთან ერთად გრ. ორბელიანი ზოგ მათგანს ხ:ტავს ზერეღე და ფუჰსაეატ პირად, რომლისთვის ფამილარობა და უზრდელობა უცხო არაა. მხოლოდ ყარაჩო-ხელს შეეფერებოდა ქალზე ასეთი მონოლოგი ბეჟანა მკერვალისა:

ქალზე ვარ ასე ფიქრით მოცული,
ხელში ქობა დამრჩების მოუვლელი,
მებლანდების თვალეში ზოგის წელი,
ზოგის ხვეენა-ალერსი ტყბილი.

არც „სახით არაბისტენელის“ კოჰანინის ნაღმიბა მთლად დარღიბანდული;

ვითა ბალი უყვავილოდ, უვარდოდ,
არა მიყვარს ლხინი უეშხ-უსატრფოდ.
მოდო, მნათო, სავსე თასი სალხინოდ
ჩაგვირიგე, თუ გინდ ისე უპროშტოდ („სულთა ერთნო“).

ერთ-ერთ ლექსში პოეტს გამოხატული აქვს თავისი გმირის ფამილიარული ხასიათი. მაგალითად. ბეჟანა მკერვალი შემდეგნაირად მიმართავს სალომე ჰავჰა-ვაძეს მისი ასულის (სოფიოს) დაბადებაზე:

ეჭვი ვის აქვს, მამა ვინც არს?
ჩემს ნაკერსა ვცნობ ფრიად შორს!

პოეტი თითქმის გვეუბნება — აი როგორ ხალხს დარჩენია ბურთი და მოედანი „რ ა ყ ი დ ი დ-კ ა ტ ა და მ ხ ბ ი ს“ შემდეგ!

გრ. ორბელიანი იცნობდა არა მარტო ბესიკის, საიათნოვას, დიმიტრი და გიორგი თუმანიშვილების აღმოსავლურ-მუხამბაზურ პოეზიას, არამედ საერთოდ აღმოსავლური, სპარსულ-აზერბაიჯანული პოეზიის ბევრი ცნობილი წარმომადგენლის შემოქმედებასაც. მაგ. დაღისტანში, სამხედრო სამსახურში ყოფნისას იგი კითხულობდა საადის რუსულად თარგმნილ ნაწარმოებებს; თვითონ უთარგმნია აზერბაიჯანულიდან XVIII საუკუნის თელსაჩინო პოეტის ე ა გ ი ე ის თხზულებანი და ა. შ.² როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთა ქმნილებებში მას უმთავრესად სატრფილო ლირიკის ნიმუშები მოსწონდა. გრ. ორბელიანს იზიდავდა მუხამბაზი, როგორც ერთ-ერთი ტრადიციული ფორმა ქალის ფიზიკური ხოტბისა და ანაკრონტიული განწყობილებების გადმოცემისა. ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუში „გინდ მეძინოს“ ყურადღებას იქცევს ძალზე დახვეწილი სახეებით და ფაქიზი გრძნობით გამთბარი შედარებებით. XIX ს. ქართულ პოეზიაში აღნიშნულმა ჟანრმა არც იცის, მაგალითად, ასეთი, ემოციურადაც სუფთა ტაეკები:

² იხ „წერილები“, ტ. II, გვ. 63 (სადის შესახებ) და 163 (ვალუფის შესახებ).

რტო ალვისა შენი წელი მგონია,
მაგ წელზედაც ცისარტყელა მგონია,
ეგ თვალები — ცაში ელვა მგონია,
ვარდის სუნთქვა — შენი სუნთქვა მგონია.

მაგრამ გრ. ორბელიანის მუხამბაზების მხატვრული აქსესუარი ძირითადად აღმოსავლურია. თანაც ბევრი სახე და შედარება პოეტისა სახუშარო ხასიათისაა, ისინი პირდაპირ მონოლოგის წარმომთქმელის დასახასიათებლად, ტიპიზაციისათვისაა გამოყენებული.

აღმოსავლურ ხასიათისაა, მაგალითად, „მუხამბაზებში“ რამდენჯერმე შექცებული ხალი. „სავათნავის მიბაძვაში“ ნათქვამია:

მაგონდების რა მის ლაწვზელა ხალი,
სიყვარულის გულს მეგზვნება ახ ალი!.. (1833).

მუხამბაზში „სულით ერთნო“ ამ ხალის მნიშვნელობა ჰიპერბოლურადაა გაზრდილი:

სატრფოს ხალი არს ტახტი სიყვარულის,
ეს ფილა იყოს სადღეგრძო ხალის!

საინტერესოა ამ გავზიადებული შედარების წარმოშობის სათავე. გრ. ორბელიანი 1834 წელს სწირდა თავის მეგობარს ანტონ ორბელიანს: „ცუდია უეშუოდ ცხოვრება. ესრეთი კაცი ემსგავსება ფუტუროს ხესა. — ვალკის ქალაქში სოფიო კრუზე და აქ პეტრონელა; ამ უკანასკნელისა, რადგანაც ეარ აზიატი, მოაწონს ლოყაზე ხალი, და იმასაც უხარიათ ესრეთი ქება. ამიტომ ზომ იცი ვეროპაში ხალის ქება არ იციან, გემო არ აქვსთ.“ („წერილები“, I, 20). ამგვარადვე წერდა პოეტი თავის ძმას ზაქარიას 1837 წელს: „ერთი ქალი საკურელად ჰგავს ელენას, მარჯუნა ლოყაზედაც ხალი აქუს, *дешатский вкус* მე პირველმა შემოვიტანე ამათში ხალის ქება, რომელსაც დეიარქვი პრესტოლ *Юшан*“ (იქვე, 44). მგონი ნათელია, თუ როგორ ეითარებაში წარმოშობილ პოეტურ ასოციაციებიდან მომდინარეობს გრ. ორბელიანის მუხამბაზების მხატვრული სახეები. რასაკვირველია, არც ერთი თავისი სერიოზული გატაცების ობიექტს არ შეამკობდა პოეტი ამგვარი შედარებით.

გრ. ორბელიანის მუხამბაზებში ნატამალიც არ მოიპოვება იმ ღრმა და სერიოზული სასიყვარულო გრძნობისა, რომელიც ასახულია პოეტის საუკეთესო სატრფილო ლექსებში. მეორე პერიოდში, როცა გრ. ორბელიანის მუხამბაზების პერსონაჟები ძილშიაც თავიანთ სატრფოებს ხედავდნენ, თვითონ პოეტმა ორჯერ განიცადა ღრმა იმედგაცრუება სიყვარულში: 1835 წელს გრ. ორბელიანის დანიშნული სოფიო ორბელიანი სხვას გაჰყვა. ხოლო 1851 წელს მან სამუდამოდ გამოითვრა მეორე უნუგეშო სიყვარული ნინო ჯაქეაძისადმი.

1835 წელს რიგშია დაწერილი ლექსი „სო...ორ...“ რომელშიაც, როგორც ზანს. ამოდ სთხოვდა პოეტი თავის სათაყვანებელს:

შენთა სიტურფეთ
 როს გუნდნი მოტრუეთ,
 ვით ფარვანანი გარე დაჰფრინვენ,
 და შექცევაში,
 სიამის ზღვაში
 გონება გართულს როს მიგიზიდვენ,
 მე — განშორებულს,
 სვეგაშწარებულს,
 მაშინ გონებით თუ დამივიწყებ
 არ შევინანებ,
 ოლანდ კი შენს გულს
 ზოგჯერ ეახსოვდ ჩემდამო ერთგულს.

1835 წლის შემდეგ სოფიო ორბელიანის სახელი ქრება მის სატრფიალო ლირიკაში. შავრამ ვრ. ორბელიანს შემდეგაც ჰქონია გატაცებები. 1840 წელს იგი წერს ლექსს „ა ლ ბ მ შ ი დ რ ა ფ ი ნ ი ა ო პ ე რ მ ა ნ ი ს ა ს“, რომელიც მიძღვნილია გორში მდგომ გრენადერთა პოლკის უფროსის მეუღლისადმი. ლექსში გამოხატულია მანდილოსნის ფიზიკური და სულიერი ღირსებებით აღტაცება, ვიდრე სიყვარულის უშუალო და ღრმა გრძნობა. ეს ლექსი პოეტური ტირადაა სიყვარულზე, და სრულიად კონკრეტულ სურვილებთან ერთად სიყვარულის ზოგად დახასიათებასაც შეიცავს. პოეტი შენატრის იმთ, ვისაც „ბ ე დ ი მ ი ს - ე ე მ ს“ საშუალებას, „სულამობლომით დაეკონოს“ მის ილაწეებზე გაშლილ ვარდს“ ან ხელი შეახოს „კვიპაროზ წელს“. პოეტი შეჭახოვს ქალს — ნუ გამოიჩენს „უგრძნობლობასა და გულქვაობას“, რადგან

უსიხარულოდ,
 უსიყვარულოდ
 რა სანატრელ არს სიბრავლე დღეთა?
 მაშ რამ გეახაროს,
 რამ გეანუგეშოს,
 ან კჳუნვის ცრემლი ვინა მოგვხოცოს,
 თუ სიყვარული,
 ზეგარდმო მადლი
 ღეთისა კურთხევად არ მოგვევლინოს?

მიუხედავად ამისა ვრ. ორბელიანის დამოკიდებულება ოპერმანის ქალიადმი, როგორც ჩანს, არ ვასცილებია მსუბუქი გატაცებისა თუ მოწონების ფარგლებს და სერიოზულ გრძნობად იგი არ ქცეულა... ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა ერთი დეტალი: ლექსში ოპერმანის ქალისადმი ვრ. ორბელიანი 1840 წელს იმეორებს იმავე სურვილს, რასაც გამოთქეამდა სოფიო ორბელიანისადმი მიძღვნილ ლექსში 1835 წელს.

ვარდი ხარ?—არა!

ზამბახი?—არა!

მაგრამ შენ და წვეთზედ

აღრვავებული

არიან ორთე შეხავებულნი.

ნეტარ მას ბუღბუღს, ვინც

შენს ვარდს, ზამბახს

ზედ დამღერს მარად, ვით ეშაის

ბანაქს.

ვინც დასუნოსა,

თმა ლადანასა

დაუდევნელად ბროლ მჭერდზე

გაშლილს;

ანუ შეეხოს

შენს წველს კვიპაროზს..

(„სო...ორ...“ 1835).

ეჰ ჰემი მკვლელნი

ზილფები მკვლელნი

ვინ დაადგინა ვარდ-ლაწვეთა

მკვლელად?

. . .

და ზედ დაკვდომით

სულამობდომით

ვარდთ დაგეკონოს

ლაწვეთზედ გაშლილთა?

. . .

ან ვინ შეგეხოს

შენ წელ-კვიპაროზს

ხან ნიავებრ მსულელს, ხან

ხელმწიფურად?

(„ალბომში ღრაფინია

ოპერმანისა“ 1840).

ესაა გმოციისა და შთაბეჭდილების გადატანა ახალ ობიექტზე, დიდი ზნით ადრე გამოქვეყნებული პოეტური სახეებისა და ასოციაციებისათვის შესაფერი დასაყრდენის პოვნა. მაგრამ პოეტის ღრმა გრძნობები ამ ახალ ობიექტს მაინც არ მიემართება. ეს იქიდანაც ჩანს, რომ გრ. ორბელიანი თავის ნაშდვთს სასიყვარულო გრძნობებს ნინო ჭავჭავაძისადმი ამ პერიოდშიაც გამოსთქვამს. სოფიო ორბელიანთან ფსიქოლოგიური გამოთხოვების შემდეგ მას კიდევ აქვს ინედი მეორე და, ჩანს, გაცილებით უფრო ძლიერი სიყვარულის აღორძინებისა. აღსანიშნავია, რომ ლექსი სოფიო ორბელიანისადმი დაწერილია რიგაში 1835 წლის ნოემბერს, ხოლო ამავე წლის 13 დეკემბერს პოეტი წერს ლექსს „...“, რომელიც ნინო გრიბოედოვს ეძღვნება. გრ. ორბელიანი მიზართავეს მას:

ჰე, საყვარელო, ეის მიერ ძვირფასად მიღირს კვალად სიცოცხლედ,

ვინც დღენი დაშწარებულნი წყნარის ღიმილით მინათლედ!

ვიღრემდის ტანჯვით ვითენდედ, შენგან სიშორის სიმწარეს?

და ვიღრე ცრემლით შორითგან ეუნზერედ სასურველს მხარეს?

ან გული რად ვერ გივიწყებს ჩემის სიცოცხლის

შეენებას?

რომ უგრძნობლობით ქვაქმნილი ვერ სცნობდეს თვისა ობლობას?

თვით სიშორეთა შემექმნა ეშყის ცეცხლზედ ცეცხლ-

დამმართი,

მაკვირს ესდენ სიყვარულსა ვითარ იპყრობს გული ერთი?

ვპსცან ტანჯვით არა გამქრალა გულს შინა ტრფობა
ნამდვილი,

თვარა აქამდის სიმწარის შემაზრებოდა მე ცრემლი.
ნინოს უნდა გულისხმობდეს გრ. ორბელიანი თავის შესანიშნავ ლექსშიაც
„საღამო გამოსალმებისა“, რომელიც დაწერილია 1841 წლის მაის-
ში, ელადიკაგაზში. ამ ლირიკულ პიესაში შეუძლებელია ნაგულისხმევი იყოს
სოფიო ორბელიანი, რადგან დიდი ხნით გათხოვილ ქალს იგი სატრფოს ვერ
უწოდებდა, ხოლო პოეტის ღრმა ემოციური თრთოლევა, ამ ლექსში გადმოცემუ-
ლი, ოპერმანის მეუღლეს სრულიად არ შეეფერება (გარდა ანისა, გრ. ორბელიანი
1840 წელს დაწერილ ლექსში ამ უკანასკნელს კავკასიისგან შორს მყოფად გუ-
ლისხმობს: „და შორს კავკასია, და მეც მუნ მყოფსა ნუ მოგვიგო-
ნებ გულსიგრალით.“ — მიმართავს პოეტი მას). „საღამო გამოსალმებისა“
კი აგვიწერს გრ. ორბელიანის გამოთხოვებას საყვარელ არსებასთან, რომლის
წინაშე იგი ღრმა გრძნობებით არის ანთებული:

მიღიხარ, სატრფოე? მშვიდობით! მარად დღე ჩემი კურთხევა,

არღა აამონ აწ თვალთა გული შენისა ხილვითა,

წარვიდეს ჩენი სიცოცხლე უშენოდ შრომით, ზრუნვითა.

ეტლი ჰრბის, სატრფო მშორდების... თანა ჰსდევს ჩემი მას სული,

ვმზერ... შორს ძლივსლა ჰსჩანს... აღარ ჰსჩანს... რაღასა ეუშვერ შმაგქმნილი?*

სიშორის ნისლმა მიჰფარა თვალთაგან ეტლი მიმსრბოლი,

და გულით ოხრეა სიწარის აღმოუტევე უნებლი..

მშვიდობით! ეინცა დამატებე სიცოცხლის ნეტარებითა,

აწ ეისთვის გული მიკენესის, სული ჰწუხს განშორებითა.

აწ დავპთი მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს შეიღობა!

ასეთი ფაქიზი, გულდაკოდილის გრძნობითა და ყოვლისმიტევებელი ტონით
გრ. ორბელიანი მარტო ნინო გრიბოედოვზე წერდა. როგორც ამ ლექსში, ისე
სხვა, „ნ...ს“ ინიცილებით ცნობილ მის ლექსებში, პოეტის ენება გასხივოსნებუ-
ლია სულიერი სიფაქიზითა და მარტოობაშიც სატრფოს-დნი მუდმივი ერთგულ-
ბის შევნებით. შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ პოეტს მხოლოდ ნინოსადმი
ჰქონდა ერთადერთი და ღრმა საყვარული. დამახასიათებელია, რომ 1835 წლის
მარტში (როცა მისი დანიშნული სოფიო ორბელიანი ჯერ კიდევ არ იყო გათხოვი-
ლი) ზაქარია ორბელიანი სწერდა თავის ძმას ნინოს გამო: „ბიჭო! არა გრცხე-
ნიან? რათ მატყუებდი, შენ ჩემზე მეტად გყუარებთ იო“ (იხ.
„წერილები“, I, 227). მაშასადამე, გრ. ორბელიანის ღრმა საყვარული ნინოსადმი
მისი ახლო ნათესაეებისათვის კარგად იყო ცნობილი. მაგრამ ნინო ასევე ღრმა
გრძნობით არ უპასუხა მასზე გამოჩნერებულ პოეტს. 1835 წლის შენდევ სანმა
წელმა (1838 წლადე) გრ. ორბელიანი-ათვის მართლაც სააშობლოს გარეთ
„შრომასა და ზრუნეში“ განვლო. სამშობლოში დაბრუნებულს კი, როგორც ჩანს,

* შდრ. გამოთქმას ლექსში „ნინოსადმი“ (1830): „მაშინ მე, შმაგი...“ და სხე.

ამიორ უცდია თავისი პარეელი და ძლიერი სიყვარულის განახლება (1840 წელსა დაწერილი ოთხტაეპიანი ლექსი „ეინცა განახოს“ (ჩვენი დაკვირვებით ისიც ნინოსადმია მიძღენილი), ხოლო „სალამო გამოსალმებისა“ — 1841 წელს). 1843 წლიდან იწყება გრ. ორბელიანის მრავალწლიანი სამხედრო მოღვაწეობა დაღისტანში. 1843 წლიდან 1860 წლამდე, ე. ი. მთელი 17 წლის მანძილზე, გრ. ორბელიანმა დაწერა მხოლოდ ერთი ორიგინალური ლექსი „მოგონება“, რომელიც ატარებს თარიღს და დაწერის ადგილს „წინანდალი, 1851“.* იგი მიძღენილია ნინოსადმი. ეს მშვენიერი ლირიკული ნაწარმოები ბევრის მოქმელია: „ზეგარდმო მადლო“, ნინოსადმი სიყვარული, პოეტს თავის სულის სიღრმეში ჰქონია ჩატ-ნილი და სათუთად უტარებია იგი კაცკასიური ომის მრისხანე წლებში. მაგრამ ხანდაზმული პოეტის ეს გრძნობა მაინც წარსულის მოგონების სა-მოსელშია შებურვილი. ამიტომაც იგი სწორედ მოგონებების სახით გადმოიღვარა უკანასკნელად 1851 წელს. წინანდალში ჩასული პოეტი ოხსენებს თავის „გულ-მხიარულ კაბუეობას“ და მამართაეს ნინოს:

აჰა, ადგილი, აჰა ის არე,
სად ხელმწიფობდი მშვენიერებით,
ქალაქი იგი, იგივე მდინარე
და გაზაფხული მის ფეროვნებით!

გახარებულო შენის მშვენებით
ნიაეც ფრთეთა ამოდ გაშლიდა;
ხან შენსა კაეებს ნახად შეხებით
ხან შენსა ლეჩაქს ეთამაშიდა.
საცა შენ იყავ, მუნცა მე ვრბოდი,
გულმხიარული, სულ აღტაცებით,
ეთა წყალბას ცისას ეელოდი
შენ ერთს მოხედვას ლობიერებით!
სულ განაბული, ეთ ანგელოხსა
გიმზერდი კრძალვით, გულ ძვერით, სურვით;
გისპენდი ტებილად ხმა სირინოხსა,
ტრფიალი შენდა სულის შეწირვით!
აწ მასეე ადგილს ეპში მარტო კმუნვით,
და დრო წარსული თვალწინ მეხატვის,
როს გულს მინათდი მშვენების სხივით,
მსურდა ცხოვრება შენთან და შენთვის!

* ჯერ კიდევ 1835 წელს პოლონეთში მყოფ პოეტს სწერდა ნინო ქაეგაეადე:
„Когда бог приедет Вас опять в Цивандли, каждое местечко в уголок
вдаться напишнает Вас. როცა მე და კატხია ვთამაშობთ ბილიერს, მაშინვე ფუცკ
მოვგაგონდება“.

ღრანი წარვიდნენ... თანა წარიღეს
 გულისა გრძნობა, ძალი ტრფობისა;
 მარამა მე კი მარად მახსოვდეს
 იგივე ღრანი ნეტარებისა.
 აწ არც კი მიცნობ, — გულით იცვალე —
 ამ მოგონებამ არ შეგაწუხოს;
 შენ განსვენებით მხოლოდ იცოცხლე
 დამე, თუ გინა, საფლავმა მფაროს.
 („მოგონება“, 1851)

ასე გამოიტირა პოეტმა თავისი სიყვარული ნინოსადმი. გრ. ორბელიანს ამინ შემდეგ სიყვარულზე აღარ უმღერია.



ზემოთ მოყვანილი ლექსით იხურება გრ. ორბელიანის შემოქმედების მეორე პერიოდი. მთელი ცხრა წლის განმავლობაში (1860 წლამდე) პოეტს მხატვრული არაფერი დაუწერია. 1858 წლიდან იწყება მისი ცხოვრების მეცამე პერიოდი (1858-1883). ესაა გრ. ორბელიანის სამოქალაქო მოღვაწეობისა და ხელახალი პოეტური გამოღვივების ხანა.

1859 წელს პეტერბურგიდან დაბრუნებული გრ. ორბელიანი ორი თვით ასრულებდა კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობას. 1862 წელს მას მისცეს ინტენტივის გენერლის ჩინი. 1860-1862 წლებში მეორედ ასრულებდა მეფის ნაცელის მოვალეობას, ხოლო 1864 წელს მესამედ ეკავა ეს თანამდებობა. რამდენიმე წელს იყო თბილისის გენერალ-გუბერნატორად. ამ დროს (1865 წ.) მოხდა გადასახადებისაგან შევიწროებული თბილისელი ამქრების აჯანყება („ბუნტი“), რომელიც პოეტმა-მთავარმართებელმა შეატყა და ჩააქრო.

1866 წლის შემდეგ გრ. ორბელიანს აღარ უმასხურნია.

1871 წლის 7 ივნისს გრ. ორბელიანს გადაუხადეს სამხედრო-ადმინისტრაციული მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი. მის პატივსაცემად გამართულ სადილზე გრ. ორბელიანმა განაცხადა: „გაიილო რამ სარგებლობა ჩემმა სამსახურმა-მეთქი თუ არა? არ ეიცო. ვიცი მხოლოდ ის, რომ დიდებულ ტახტს კეთილსინდისიერად ვემსახურებოდი“. ამავე წელს თბილისში ჩამოსულმა იმპერატორმა ალექსანდრე II პირადად მიულოცა გრ. ორბელიანს საიუბილეო თარიღი და გადასცა ანდრია პირველწოდებულის ორდენი — უმაღლესი ქილო იმპერიაში. პრაგრეულ ქართულ ინტელიგენციას და მის პრესას ამ იუბილეში მონაწილეობა არ მიუღია.

70-იან წლებში გრ. ორბელიანი ჩაება ე. წ. „მამათა და შვილთა“ ბრძოლაში. მწერლობის საკითხებში თეორიულად იგი იცავს არქონისტულ პოეტკას, რამაც 70-80-იანი წლების მის ბარათების ენაზედაც კი იქონია გავლენა — ავტორი ართულებს სინტაქსსა და ორთოგრაფიას (30-და 50-იანი წლების ბარათები გაორლებით უფრო მარტივი ენითაა ნაწერი). ამ პერიოდის წერილებში მკითხველის

წინაშე წარმოსდგება მოგონებებში წასული გეტერანი კავკასიური ომისა, აწმყოთი შემფოთებული არისტოკრატი, გულგასენილი და მზიარული ერთსა და იმავე დროს. გრ. ორბელიანი ზანთრობით ძველს მამაპაპულ სახლში ცხოვრობს თბილისში, ზაფხულობით ტაბახმელაში, კოლაში ან ბორჯომშია. თანამედროვეებზე ძალზე შთამაგონებლად მოქმედებდა უმაღლესი ორდენებით შემკული მისი მკერდი, თითქმის ლუგენდარული თავგადასავალი ზანგრძლივ ომებში გამობრძმედილი მეომრისა, ქალაქის დემოკრატიულ ფენებთან პოეტის დარდიმანდული ნადიმობანი. ამავე დროს მას გულს უკლავდა ძველი მეგობრების სიმორე ან სიკვდილი. ამათგან „ზოგნი სამუდამოდ ძილს მისცემიან დალისტინს ვიწროებში“, ზოგნი ღრმა მოხუტებულობაში სწვრდენ მას ბარათებს რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან; კავკასია, ეს „ვეებერთელა დრაკონი“, გონძმრეველად წვეს და ყოფილი გენერალს უცერს — „ძინავს თუ მართლა მომკვდარა“; დალისტინის ზეობებში ბილიკების ნაცელად ახლა ფართო გზები გაუყვანიათ, „გუნბის ეტლები მიჰქრიან“, შამილი კალუგაშია; ყველაფერი ეს ზმანება უფრო იყო ძველი ოფიცრისათვის, ეიდრე სინამდელიე. მოგონებანი, რომელნიც გრ. ორბელიანს კავკასიურ ომიდან გამოჰყვა, მხოლოდ მისთვის გასაგებ ერუანტელს ჰკერიდნენ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში...

გრ. ორბელიანიშა თავისი ცხოვრების ამ შესაშვ, უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით მწევედ იგრძნო ყუფლანიანთა გეარის აგონია. 70-იანი და 80-იანი წლების ბარათები პოეტისა აღსაესეა გოდებით ქართული არისტოკრატის დეკარგულ დიდებაზე, მის ეკონომიურ და ფიზიკურ გადაგვარებაზე, თბილისის იერის შეცვლაზე. ქართულ ლიტერატურაში არ მოიბოვება მეორე მწერალი, რომელსაც ასეთი სიმძაფრით ეგრძნოს თავისი წოდების კატასტროფის მოახლოება და მასათვთ შემტრწუნებულს მოეთხროს ამ კატასტროფით გამოწვეული შიშის შესახებ. ტაბახმელის გამქვირვალე ჰაერი მხოლოდ ნაწილობრივ თუ ამშვიდებდა პოეტს: „გუშინ და დღეს გამოიღარა, გამობრწყინდა მზე, გათბა. ჰაერი შეიქმნა მშვენიერი, გრილი, რბილი, ნებიერი, გამაცოცხლებელი, და მეცა დავებეტება მარტო მინდორში და ფიქრები ჰრბიან ისევ წასულთ წელიწადებისაყენ, როცა გვიხაროდა სიცოცხლე და მოველოდით მუხთალ სოფლისაგან ვინ იცის რეებსა.“ * გრ. ორბელიანის ბარათების მთავარ ლეიტმორტივად ამიერიდან იქცევა „ოთქმა ქართველი თავადაზნაურობის ეკონომიურ სიდუხჭირებზე, ქართული ენის დენენსა და დაკნინებაზე, ბიუროკრატიისა და ვაჭართა კლასის აღვირაზსნილობაზე. „რა ვქენა, როგორ არ შეევსწუხდე, ვუყურებ რა საქართველოს გამწარებით მდგომარეობასა? თავადაზნაურობა გლუხებითურთ დაგრდომილი უიმედოთ, უნუგეშოდ, სიგლახაკითა; ქართული ენა დევნილი არქიერისაგან და მის თანამეპაზრე ნეეეროვისაგან: ერთმან აღხოცა ეს ენა ღიმნაზიაში, ახლა მეორეცა მსცდილობს ყუვლოს ღონისძიებითა მოჰხსნას სემინარიაშიაიც; მოხელენი, ზელაღებულნი ხალხის მოელისაგან...“* თავად-აზნაურთა მამულების გაყიდვა პოე-

* ბარათი ისაკ თუმანიშვილისადმი, 1878 წ. (საქ. არქ. № 175).

** ბარათი სოფიო ნიკოლისადმი, 1873 წ., 16 სექტ. („წერილები“, ტ. III).

ტის ღრმა გულისტკივილს იწვევდა: „სულ უფასოდ წაგვივა მამულები და დარჩება გაწყალებული, ულუკმა პუროდ, უნუგეშოდ საბრალო ჩენი თაედაზნაურობა, რომელიც იყო აქამომდე ამ ქვეყნისა პატრონი, მფარველი, მებრძოლე, შემნახველი ათასწელწილების განმავლობაშიო.“ — სწერდა ის. ამასვე უჩივის პოეტი ბარათში ეკატერინე დადიანისადმი 1879 წელს.¹⁰⁰ ზოგჯერ პოეტის ეს ჩივილი ნამდვილს გოდებაში გადადის:

„ახლა მოვიდეთ საზოგადოდ საქართველოსთან და განსაკუთრებით ჩვენს გვართან — არც ერთს საუკუნეში, როდესაც ჩინისები და ლანგთემურები, არაბები და ოსმალ-სპარსები შემოდრიოდნენ და აობრებდნენ ჩვენს მხარესა, მგონია, ჩვენი საბრალო საქართველო არ იქნებოდა ისეთს ვანწირულს მდგომარეობაში, როგორც ვართ ერთობ ჩვენ ამ დროს და მეტადრე ჩვენი გუარაი უწინ შტრისაგან დამწუარს სახლსა ვაშენებდით ნელ-ნელა, რადგანაც მიწა გვრჩებოდა გაოხრებისაგან და მოველოდით მომავალში უკეთესობას; ახლა აშენებულის სახლადამ გვერეკებიან გარეთ და აღარ ვიცით საით წიეფვარნეთ, რადგანაც ფეხქვეშოდამ გვეღება მიწა, და მომავალიცა აღარ არის ჩვენთვის; ჩვენი საყაფლანიშვილო მპული ერთიანად იყიდება; გაჩქარებულნი მოგვდევენ სოლადანნი, ქავეკავაძანნი, ანდრონიკაანნი, ვაჩნაძიანნი, ციციანნი, თარხნიანნი, ერისთვიანნი და სხვანი. — ...იყიდება მამუკას შვილის კოტეს მამული, იყიდება დაეით ქავეკავაძმ სახლ-კარი, ნაფარული, წინანდალი, მუკუზანი, და ერთის სიტყვით, იყიდება თითქმის მთლად საქართველო... ახლა ვის, ვის შევკბლავლოთ, ვის შევაგონოთ ესრეთი სამწუხარო მდგომარეობა საქართველოს არა თუ თაედაზნაურობისა, თვით გლეხობაც ამავე ტაფაში იწვიან...“¹⁰¹ მრავლის მეტყველია მისი ბარათი მის. ლორის-მელიქოვისადმი 1881 წლის 16 იენისის თარიღით: „...ჩემად, კენესით და ოხერთ, კედება და ჰქრება ის სახელოვანი თაედაზნაურება, რომელიცა ათასის წლის განმავლობაში მამაცობით ებრძოდა მთელს აზიასა ქრისტეს სარწმუნოებისა და მამულის დასაცველდა. საქართველო მრავალჯერ გაოხრებულა მონღოლთაგან, სპარსთა და თურქთაგან, ლანგთემურ-შაჰ-აბაზისაგან, მაგრამ დაემორჩილა მხოლოდ რუს ხელმწიფესა იმ იმედით, რომ მის მფარველობის ქვეშე ეღიბრსება მშვიდობიანად და კეთილდღეობით ცხოვრებასა! ახლა რასა ვკზნედაეთ ასე დაცემული სულითა არა ყოფილა არა ოდეს. გაუძლებელი სიგლახაკე და უიმედობა გვიბნელებს გონებასა, შეგეიპყრასასოწარკეთილება, მოველით რა დღედღე, რომ გამოგვრეკენ სახლიდამ, მამულიდამ; გულზე გავწევს სიძიმე ვაებისა, მწუხარებისა და ესრეთი უნუგეშო მდგომარეობა რამდენისამე ათასის სულისა, მგონია არ იყოს კარგი თვით ზელმწიფისთვისაცა“. გრ. ორბელიანი პირდაპირ ვევედრება მეფა:

¹⁰⁰ ბარათი სოფიო ნიკოლაისადმი, 1874 წ. (იხ. „წერილები“, ტ. III).

¹⁰¹ „ღროება“, 1885, № 190.

¹⁰² წერილი ივანე (ორბელიანისადმი?) 1878 წ. („წერილები“, ტ. III).

წარჩინებულ მოხელეს: „მოგვეშველეთ, შეგვეწიეთ, მოიხმარეთ რაც ძალი და ღონე გაქვს, გამოიხსენით ესენი პრიკაზის ტყვეობისაგან, თქვენის სახელის სადიდებლად, რომ მთელი საქართველო საუკუნოდ იყოს მლოცველი და მაკურთხებელი თქვენი და საქართველო გამოიხსნას ისევე საქართველოს შვილთა“. ბარათის ავტორი არ ერიდება იმპერატორის ერთგული მოხელე დაარწმუნოს რომ საქართველო გადაშენების გზაზეა შემდგარი სწორედ მეფის რუსეთთან შეერთების შემდეგ. ამასვე სწერდა იგი სხვა ნაცნობ-მეგობრებსაც.

ყველგან სიკვდილის მსახერალ ხელს ხედავს პოეტი, აწუხებს ხაესმოძებული ტაძრებისა და საგვარეულო აკლამების ბედიც: „ფიტარეთი, ჩვენის მამა-პაპების სასაფლაო, უფალს თაირავს გაუხდია ცხერების ფარეხად“ — გულმოკული აღნიშნავდა იგი ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლის ხილვის დროს, სადაც, სხვათაშორის, თავისი შორეული წინაპრის, დიდი ყაფლან ორბელიშვილის საგანე ეგულებოდა.

როგორც ყოველთვის, მძიმე სულიერი მღელვარებისა და უიმედობის წლებში, გრ. ორბელიანი არც ახლა ღალატობდა თავისი ხასიათის მეორე თვისებას — ცხოვრებისადმი ხალისიან დამოკიდებულებას, ინტერესს ლხინისა და გართობისადმი; ბევრი მისი კერძო ბარათი აღბეჭდილია ჰუმორით, მოჭარბებული გონებააბნეილობითაც. სრულიად ორიგინალურ ელფერს მატებს ყოველ მას ნათქვამს, ქცევასა თუ ნაწერს ასეთი შეხამება იერემიას გოდებისა სანგეინურ სიხალისესთან: ბრწყინვალე სამხედრო წარსულის მოგონებით გართული პოეტი პრეფერანსს თამაშობს მოხუცი გენერლებისა და მეგობრების სინედრაონში, მათთან ერთად ქეიფობს ორთაქალისაყენ დაძრულ ტივზე, ხოლო სენტიმენტალურ გულჩეილობას ამკვავებს რომელიმე ხანგადასულ კნენას გარდაცვალების გამო ან კიდევ დრამატული პათოსით გამსქვალულ ეპისტოლეებს წერს საკუთარი გვარის ისტორიულ ბედზე ღრმად ჩაფიქრებული. ნეკრივი ავებულების მამაკაცი, შინაურთაში კურკას სახელით ცნობილი, თავისი შეტრეცილი ბაკენბარდებითა და ფართო შუბლით, გრ. ორბელიანი, საერთო სიყვარულსა და პატივიცემის იმსახურებდა, — „იარალის“ ავტორი უაღრესად კოლორიტული ფიგურაა ეპოქის ფონზე.

მაგრამ ბევრი რამ გრ. ორბელიანის ბიოგრაფიიდან ამჟამად ანაქრონიზმად ისმის ისევე, როგორც მისი ეპოქის ბევრი სხვა მოვლენაც. სპაგეიროდ უღარესად საგულიანზნო პოეტის აქტიური მონაწილეობა ქართული ლიტერატურისა და კულტურის სარბილზე. 80-იან წლებში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხი, რომელსაც გრ. ორბელიანი არ გამოხმადურებოდა. მას აინტერესებდა საქართველოში პოლიტექნიკური სკოლის დაარსების საკითხი (1875), მონაწილეობას იღებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში, გულისყურით ადევნებდა ლიტერატურაში ახალი ნაწარმოებების გამოჩენას და ცნობილია, მაგალითად, თუ როგორი აღტაცებით კითხულობდა ყაზბეგის მოთხრობებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეში. 1880-1881 წწ. გრ. ორბელიანი თავმჯდომარეობდა იმ კომისიას, რომელიც

რუსთაველის პოემის ხელნაწერებს აწერებდა ერთმანეთთან. ამ კომისიაში შედგენენ იმდროინდელი გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი, ი. მეუნარგია და სხვ. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ორბელიანის მოადგილედ ამ კომისიაში იყო „შვილთა“ ბანაყის მეთაური ილია ჭავჭავაძე. ამრიგად 80-იან წლებში გრ. ორბელიანი ახალთაობასთან ერთად მოღვაწეობს ქართული მწერლობის ასპარეზზე.

გრ. ორბელიანმა ღრმა მოხუცებულობას მიაღწია. ხშირად უჩიოდა იგი თავის მარტოობაზე: „კარგია, ვისაცა ჰყავს ცოლი, ვისაც ჰყავს ქვეყანაზე ვინმე გულშემატკივარი და ჩემსავით არა გდია ოთხს კედელს შუა“ — სწერდა პოეტი ერთს თავის ნაცნობს.[•]

გრ. ორბელიანი გარდაიცვალა 1863 წლის 21 მარტს და იშვიათი პატივით იქნა დაკრძალული ქაშვეთის ეკლესიაში. დასაფლავების დღეს პოეტის ცხედართან, სხვებთან ერთად, სიტყვები წარმოთქვეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. ილიამ თავის სიტყვაში სხვათა შორის თქვა: „...იგი იყო მპყრობელი ჩვენის ქართული ენისა, იგი იყო მეუფე ჩვენის სიტყვიერების ძალღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო ნწერალი და მთქმელი, მაღალი ნიჭით ცხებული“.

• • •

1869 წელს გრ. ორბელიანი ინტენსიურად მუშაობდა „სადღეგრძელოზე“. ამ წლის 5 იანერის თარიღით იგი სწერდა ალექსანდრე ორბელიანს: „ჩემო ბატონო, ბიძივე ალექსანდრე! მომირთმევია ჩემი ტოლუბაში, პირველი თავი, გთხოვ კარგად გადაავლო თვალი, და რაც არ მოგეწონოს, წაშალე და გამომიგზავნე, რომ მეორეს თავს ხელი მიეჭყო“.^{••} ერთი თავის შემდეგ პოეტი ისევ ატყობინებს თავის კონსულტანტს: „მომირთმევია უწინდელი ტოლუბაში ახლა სახელ გამოცვლილი; წაიკითხეთ და ისევ მალე მიბოძეთ თქვენის სხვადასხვა ზედმიწერილი“ (ბარათი 1869 წ. 25 თებერე. თარიღით).^{•••} შემოდგომაზე პოეტს თითქმის დამთავრებული ჰქონია ძირითადი რედაქცია პოემისა. 18 ოქტომბერს იგი ატყობინებდა ალექსანდრე ორბელიანს: „ჩემო ბატონო ბიძივე ალექსანდრე! პაულებს მსთქვა „რაცა დაეპსწერე, დაეპსწერე“. მეცა მოვახსენებ, რაცა შემეძლო, ის შევიძელ. — კარგია და გაეათავოთ! ნუღარ შემიყვან განსაძედელში სხვადასხვა მოთხრობებით საქართველოზე. ჩვენი ისტორია საესეა დიდსაქმეებით, დიდმაჰა-ცობით და მამულაათეის თავდადებით სიყვარულითა. ყოველთა ამათთვის დიდი მწერლობა უნდა და მას მწერალსაცა „საწერელი ზღვა უნდა“ და მე კოდაზე პატარა წყაროს მეტი არა მაქვს. — მომირთმევია შენი რეეული, რომელსაცა ჩა-

[•] წერილი ტასო ოგლობეიოსადმი, 1878 წ. 10 ივნ. თარიღით („წერილები“, ტ. III).

^{••} იქვე.

^{•••} იქვე.

უმატე შენგან ნათქვამი სახელები, და სხოლიობებში შენ თვითონ განმარტე, ვინცა არიან იგინი. — შენი ერთგული გ რ ი გ ო ლ ი. 18-ს ოკდომ: 1869*.

1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილის გარკვეული წვლილი „სადღეგრძელოს“ საბოლოო ვარიანტის დამუშავების პროცესში — თავისთავად ბუერის მეტყველი ფაქტია. ამის შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ალექსანდრე ორბელიანისადმი მიძღვნასაც, რომელიც თავდაპირველად პოემას წინ უძღოდა (პოეტმა იგი მხოლოდ 1879 წლის გამოცემაში დაურთო პოემას ბოლოში).

1870 წელს გრ. ორბელიანი კიდევ მუშაობდა თავის პოემაზე. ნაწარმოებზე გამოქვეყნდა 1871 წელს ეტრნ. „ქრებულის“ № 1-ში. პოემის სათაური საბოლოოდ ასე გაფორმდა:

ს ა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ო

ანუ

ომის შემდგომ ლხინი, ერეენის სიახლოვეს.

მკითხველი საზოგადოება და იმდროინდელი სალიტერატურო პრესა გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებს აღფრთოვანებით შეხვდა.

„ტოლუბაშის“ I და II ვარიანტებთან შედარებით „სადღეგრძელოს“ საბოლოო რედაქცია ხასიათდება პატრიოტული მოტივის გააერთიანებით, ისტორიული გმირების რიცხვის გაზრდითა და მისი იდეალიზაციით. სწორედ ეს მომენტი განასხვავებს ძირითადად გრ. ორბელიანის ნაწარმოებს ყუკოესკის „მომღერლისაგან“.

„სადღეგრძელო“ არაა სიუჟეტური ნაწარმოები. იგი წარმოადგენს ლხინის მეთაურისა და მხედრების მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოებს, რომელთაგან თვითთული გარკვეული თემის ან ამა თუ იმ ისტორიული გმირისადმი მიძღვნილია. პოემა იწყება ომის შემდეგ, ბინდისას „ცეცხლებით განათებული“ და დაღუპებული არის აღწერით, სადაც ქართველთა ჯარის ბანაკია დაცემული. „ითოვარის სული შუქით მოფენილ“ გარემოში „მორიგი საესე ფიალით“ ჯარი ეთხოვება „ომში დაცემულ“. შემდეგ სადღეგრძელოს ლხინის მოთავე იღებს იმ „წინაპარა მასახსენებლად, რომელთა დაჰსდევს სიცოცხლე მამულის ასამალელბლად“, და რომელთა „დიდების მოედანი“, „მათი სახელი, მათი ხმალი და საქმენი სახლოვანნი“ კიდევ ცოცხლობენ, თუმცა „მათი სფლავნი დროს შეუუმუსრაეს და აღუგეია“. თამადა მოუწოდებს ქართველთა „პატივით მიმართონ თელნი წარსულთა ექელთა საუკუნეთა“, რადგან „მათში სახელნი ჰსჩანან ნათელნი // გმირთა, მამულის განმადიდეთა“.

„სადღეგრძელოს“ საბოლოო რედაქცია აქამდე იწერებდა „ტოლუბაშის“ პირველ ვარიანტს. შემდეგ იწყება თვითონ ამ „მამულის განმადიდე გმირთა“ ქება. პირველად დასახელებულია მეფე ფარნაოზი (და არა მხოლოდ ვახტანგ გორგასალი. როგორც I ვარიანტში). პოეტი აღნიშნავს მის დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე („შენ ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა // შენ მოეც ქართველს წაგნი პირელით“). ამას მოსდევს „ქრისტეს ნათელით განათლებული მეფე შარიათ“. რომელიც „ბრწყინავს გვირგვინით“ და „ჯვარისა ძალით გარე-მორტყმუ-

ლი შექმნილს კერპთა მათის ბომონით“. შემდეგ მკითხველის წინაშე წარმოსდგება სახე „რუზარადს მგელ-ლომ გამოსახული“ ვახტანგ გორგასალისა. „რომლის შეხედვით სპარსელნი თრთოდენ“. შესანიშნავ ტაეპებს უძღვენას პოეტი დავით აღმაშენებელს, რომელიც „გაობრებულ ივერს“ „ზუციის წყალბად მოვლენია“ ახასიათებს მის დიდ სახელმწიფოებრივ ღვაწლს ქართველი ხალხის წინაშე. უწოდებს „უძლეველ ნებდართ მთავარს“, რომელმაც აღადგინა და „ფენიქსებრ განაახლა“ ივერი, თანაც „შირვან-დგრებენდამდე ხმლით შემოხაზა“ მისი საზღვარი. დავით აღმაშენებლის ზოტბას მოსდევს თამარის გარეგნობის პლასტიკური აღწერა:

ვარსკვლავად გვინათის სახე ნათელი
თვალნი სიანის გამომაცენნი,
სარო-ტანადი, ნაზად მრხეველი,
თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი,
ეთარცა ღმერთა მშუენიერების,
ქველ-მოქმედების, სახიერების,
ვით მტრედი მადლის მშვიდი და წყნარი,
ეგრეთ მშენებით მოვალს თაპარი.

თამარის „გვირგვინი უპყრავს დიდებას და სათნოებას“, „მუზნი განდიდებენ მოსსა მეფობას“, ხოლო

მის დროშას მოსდევს დიდი ორბელი,
შოთა უკედავი, ბრძენი ქუონდიდი,
მხედართ-მთავარი დიდი მხარგრძელი
და გამრეკელი, ლომებრ გულადი.

თამარისადმი მიმართულ სადღეგრძელოში გადმოცემულია ერთი სცენა დედებში ლაშქრის თავმოყრისა საქართველოს ყველა კუთხისა და ტომის წარმომადგენელთა დახასიათებით. აქ არიან: კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, აბჯრით დამშვენებული ფშავ-ბეჯესურნი, მკლავით ძლიერი ქართლელი, ფეხმარდი ოსი, ბრძოლაში შეუპოვარი მთიელი, სწავლით ქებული მესხი, ზრდილი ივერი, მშვიდღოსანი აფხაზი და მკვირცხლი გურული და მეგრელი. თამარი მათ ლოცავს ქვარით და ამხნეებს ლაშქარს. ქართველნი იღებენ კარნუს (არზრუმს) და სინოპს, გასცდებიან არვზს, თავრიზს, ყაფლანქუს და „ღუთის რისხეას დასცემენ ყაზმინს“... დავითისა და თამარისადმი მიმართული ქება მოწობს გრ. ორბელიანის დიდ სიყვარულს ძველი საქართველოს გმირული წარსულისადმი, ქართლის ცხოვრების საუკეთესო ფურცლებისადმი.

თამარის ზოტბის შემდეგ პოეტი ასახელებს ქეთევან დედოფალს, რომელიც სპარსელებმა აწამეს თავრიზში 1624 წელს შაჰ-აბასის ბრძანებით. თეიმურაზ I-ის ცნობილ „ქეთევან დედოფლის წამებასთან“ ერთად გრ. ორბელიანის პოემის ეს ადგილი მოკლე, შავრამ საუკეთესო აღწერაა საქართველოს გამოჩენილი დედოფლის „ტანჯვისა მამულისათვის“. ამასთან ერთად „ნათელგვირგვინად მოსჩანან კახეთის მხსნელი გმირები # ელისბარ, შალვა, ბიძინა მტარელისგან დატანჯუ-

ლები“. ყიზილბაშთა წინააღმდეგ 1659 წლის კახეთის აჯანყების ამ შეთაურთა სახელები XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში გ. ერისთავის შემდეგ („ოსური მოთხრობა“) გრ. ორბელიანმა მოიხსენია საქართველოს ეროვნულ გმირთა შორის. პოეტი არ იეიწყებს აგრეთვე ნარაბდის გმირებს — ცხრა ძმა ზერხეულიძეთ, მეფეთა ერთგულ ამილახვარს (ზედგინიძეს) და „ოთხ ზაალს“, რომლებსაც ერეკლესთვის დიდი საშასხური გაუწევათ. შემდეგ პოეტი ქრონოლოგიურ უკან დახევის მიმართავს. შეაქებს ვახტანგ VI სჯულმდებელს, „სწავლის მოყვარესა და გონება ამალღებულს“ და დასძენს:

უცხოთა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი,
დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დამიწებული!

პოემის ეს ნაწილი — მოცულობით ქველა დანარჩენ სადღეგრძელოზე ვრცელი — მთავრდება ერეკლე II ხოტბით. გრ. ორბელიანი უსაზღვროდ შეეყვარებულა ძველი საქართველოს ამ უღიდეს სახელზე. იგი მას „ივერიის ნუგეშდიდების“, „თავისის დროის გამშვენებელს“ და „მამაცთა შორის საკვირეულებას“ უწოდებს. ერეკლე დახასიათებულია როგორც „მტერთა შემმუსვრელი“, რომლის „დღენი... ემსგავსნეს ჩასვენებულსა ბრწყინეთ მზეს“. პოეტი ფიქრობს, რომ

მამული ველარ იხილავს ირაკლის ხმალსა მდელგარეს,
დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს.

ეს ტაეპები გეხედება ჭერ კიდევ „ტოლუბაშის“ მეორე ვარიანტში, რომელიც ჩენი დაკვირებით 40-იან წლებშია დაწერილი (და არა 1826-1827 წლებში, როგორც აქამდე ფიქრობდენ). ამ ტაეპებს მიჰყვება ერეკლეს შესანიშნავი ძის ლეენის დახასიათება. მოხსენებულია ლეკების დაცემა ყვარულზე, ქართველთა გმირობა, — ქვაბულიშვილების, რატიშვილის, ბოსტას, დავით ბარათაშვილის და ბებურიშვალის მამაცობანი და „კახეთის თვალის ყვარელის გამოხსნა“ ლეკებისაგან. შემდეგ შექებულია დავით სარდალი (ორბელიანი) „და ზ.ქარია, მიწისა მგელი“ (ანდრონიკაშვილი), აგრეთვე „გუნდნი და გუნდნი ვაყვაცთა“, „აზატ-ხანის დამმხოზნი“, „თემურის მეგრძოლინი“, „ასპინძის გმირები“ და სხვანი, „რომელთ შეჰლებეს მტრის სისხლით მტკერის ზვირთნი აღუღებულნი“. ისტორიულ გმირთა ვრცელი სადღეგრძელო-ხოტბა მთავრდება ანა-მამამდ-ხანის შემოსევისას „სამასი არაგველის გმირობისა და თბილისისათვის ბრძოლის სურათის აღწერით, როდესაც „წაჩ და თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერი“.

ამ ვრცელი სადღეგრძელოს უკანასკნელი სტროფი, რომელსაც მხედრები იმეორებენ, ისტორიული გმირების ღვაწლის ზოგად დახსიათებას შეიცავს:

გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოჰსთქვამს შთამოჰვალობა!
თქვენთა საქეთა მოთხრობით ნოხუეს ცრემლ-მოედინება,
მხნეობით აღტაცებული კაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!

ამ ტაბეებს მოსდევს სადღეგრძელო ნიკოლოზ I-ისა:

ხელმწიფე ჩვენო,
ძლიერო ბრძენო,
ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა
მხედარნი შენნი,
ერგულნი, მხნენი,
ეკსეამთ შენს სადღეგრძელოს მოწიწებითა.

შემდეგ ხელმწიფის სადღეგრძელოში გაფანტულია ტაბეები (ზოგან შეცვლილ და ახალი რედაქციით) ლექსისა „გულნი ივერთა“. პოეტი შექალაქდებს რუსეთის მონარქს „ქველად გამქრალი სწავლის ლამპარი კვალად აღუნთოს“ ივერთას, დაუბრუნოს მას „თაძარის ღღენი დიდების ღღენი“. პოემის ეს ადგილი — ხელმწიფის სადღეგრძელო — წარმოადგენს გავრცობილ ვარიანტს ლექსისა „გულნი ივერთა“. პოემაში მას ის ადგილი უჭირავს, რაც ალექსანდრე I-ის სადღეგრძელოს ეუკოესკის „მოძღვრალში“ (დ.წ. ამის შესახებ იხ. ზემოთ).

თითქოს სრულიად მოულოდნელი იყო ამ პოეტური დაღადისის შეტანა პოემაში 1870 წელს. როცა ნიკოლოზ I დიდი ხნის გარდაცლილი იყო. მაგრამ აქ ორი გარემოება გათვალისწინებული: 1. გრ. ორბელიანის თავიდანვე ჰქონია განზრახული პოემას საბოლოო ვარიანტში (ნ.წარმოების დასრულებისას) მონარქს ქების შეტანა. ავტორს ამას აიძულებდა კომპოზიციური პარალელიზმი ეუკოესკის პოეზისადმი. 2. ეს ქება ერთადერთი ადგილი უნდა ყოფილიყო ნაწარმოებისა, რომელიც მიუთითებდა პოემაში ნაგარაუდრე ეპოქაზე, კერძოდ 1827 წელს ერევნის აღებაზე, რაც ნიკოლოზ I ხელმწიფობის პირველ წლებში მოხდა (აქვე აღნიშნავთ. რომ ტაბეები „ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა“ ბექედური სახით პირველად გამოჩნდა გრ. ორბელიანის ლექსების 1884 წლის გამოცემაში, პოეტის გარდაცვალების შემდეგ. „კრებულში“ დაბეჭდილ ტექსტში და 1873-1879 წ.წ. გამოცემებში აგრ. არ მოიპოვება: როგორც ჩანს პოეტი დიდხანს მერყეობდა აღრესატის უშუალო დასახელებისას. თ ა ე ის ს ი ე ო ე ხ ლ ე შ ი პ ო ე ტ ს ი გ ი ა რ გ ა ძ ო უ ქ გ ე ე ნ ე ბ ი ა).

ხელმწიფის ქებას პირველი ვარიანტის („გულნი ივერთა“) და მეორე. ყირიმის ომის დროინდელი ვარიანტის („ტოლუბაშიდან“) * შესახებ დაწერილებით ვიღწაბრავთ ზემოთ. „სადღეგრძელოს“ საბოლოო რედაქციაში პოეტმა მესამე. გადამუშავებული ვარიანტი შეიტანა და ამით შეაქროს ის ხარეზი, რაც მისი პოემის აღრინდელ ვარიანტებს ჰქონდა ეუკოესკის ნაწარმოების სათანადო ადგილთან შესაბამისობას თვალსაზრისით.

ეს რაც შეეხება ხელმწიფის ქების კომპოზიციურ ფუნქციას „სადღეგრძელოში“. როგორია მისი იდეური ფუნქცია?!

გრ. ორბელიანის შემოქმედების I პერიოდში „გულნი ივერთას“ წარმოშობა

* აღნიშნული ტაბეები („ნიკოლოზ დიდო...“) ავტორმა პირველად შეიტანა ხელნაწერ ვარიანტში („ტოლუბაშიდან“) 1854 წელს.

იდეური თვალსაზრისით განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან შემთხვევის არ წარმოადგენს. 1832 წლის შეთქმულების იდეური მონაწილის მსოფლმხედველობა, როგორც ჩანს, „ივერიის დიდების“ აღდგენის ერთ-ერთ შესაძლებელ ფორმად ზოგჯერ, დაეკების შემთხვევებში, სთელიდა რუსეთის ძლიერი მონარქის პირად მოწადინებასა და მისი ჯარების გამოყენებას საქართველოს ისტორიული მტრების წინააღმდეგ. ამგვარ შეხედულებას ხელი არ შეუშლია პოეტისათვის — იმავე მონარქის რეიზის დამხობის მხურვალე მოსურნე ყოფილიყო 1832 წლის შეთქმულების ხანაში. თავისი შემოქმედებისა და ცხოვრების მესამე პერიოდში კი ადრინდელ პოლიტიკურ იდეალებში იმედგაცრუებულ გრ. ორბელიანს „სადღევრძელოში“ შეაქვს გარდაცვლილი იმპერატორის ქება რომელიც უფრო ვედრებას მიაგავს, ვიდრე ლეინონასეამ თამაღის მიერ წარმოქმულ პანეგირიკს. სასოწარკვეთილი და უიმედო პოეტი, რომელიც 70-იან წლებში ძველი საქართველოს ნანგრევების წინაშე იდგა, თავის სულიერ განწყობილებებს მიაწერს 1827 წელს „ირაკლის თათასთან“ მდგომ, მართალია, ივერიის ძველ დიდებულზე რომანტიკულად შეყვარებულს, მაგრამ არც მთლად უიმედო, მებრძოლ და ახალგაზრდა გრ. ორბელიანს. „სადღევრძელოში“ ლაპარაკობს არა პასეიეიის არმიის ოფიცერი და 30-იანი წლების მებრძოლი ქართველი პატრიოტი, არამედ მოხუცო პოეტი, სასომხილო არისტოკრატი 70 იანი წლებისა, რომელსაც ზოგჯერ „ძველი ივერიის აღდგენის“ ძალზე მცდარი და ილუზორული პერსპექტივა ასაზრდოვდა: გარდაცვლილი დესპოტი მისი უსაფუძვლო იწედის დასაყრდენი ვერ აქნებოდა! პოემის შემდეგი სადღევრძელო მიმართულია ნაპოლისადმი, რომელსაც ავტორი გვიხატავს დედამიწის უღამაზეს კუთხედ:

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?
 ერთ გულადი, პურადი, მებრძოლი შაგის ბედისა?!

მამულის სიყვარულით ანთებული პოეტი მოუწოდებს ქართველთ:

სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ეამს გრძელსა,
 თუ ფუქი მისი სიკოცხლე ვერა რას არგებს მამულსა?
 მის სადიდებლად ჩვენც შევხედეთ უშიშრად ათას ბახილსა,
 და მოვკვდეთ, თუკი სიკვდილით ვადიდებთ მი.სა სახელსა!

მამულის ხობას ცელის სადღევრძელო მეგობრობის დმი. პოემის ამ იდეოლას ავტორი გამოთქვამს ღრმა ჰუმანისტურ შეხედულებებს ადამიანის მოვალეობის შესახებ. იგი ქადაგებს „კეთილ საქმეს“ „სხვისი ტყვილის“ გაგების აუცილებლობას. გრ. ორბელიანის აზრით ადამიანი უნდა „სდევნიდეს სულმოკლეობას“, „დამჩაგვრელ ძალას და მის უსამართლობას“, „კაცის წამილწველს, უშინდურს ანგაარებას“, „ყოველს რაც უშლის კაცისა სულის მადლობას“. ამ პოეტური ტირადის მწვერვალია განთქმული სტროფი:

ან ეს რაცა ვსთქვი, რადა ესთქვი, თუ რაც მინდოდა ეერა ესთქვი?
და ვერ ვსთქვი რაცა, ის წყლულად გულს დაშთა და მით ვიტანქი!
მაგრამ, თუ ვინმემ აქ ჰპოვა აზრი ნაცნობი გულისა,
ვიეწყებ, რაც ესეი სიმწარე ეკლიანს გზაზე სოფლისა!..

1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი მონაწილისათვის სრულიად
გასაგები უნდა ყოფილიყო, რის „თქმა აც“ ეწადა, მაგრამ ივერ სთქვა“
გრ. ორბელიანმა. ალ. ორბელიანს ალბათ ჩინებულად ესმოდა აგრეთვე პოეტის
მიერ ნართულად აღნიშნული მის მიერ „შესმული სიმწარეც“ (გრ.
ორბელიანი, უეკველია, თავის ძველ იარებზე მიუთითებს ამ მიძღვნაში). უკა-
ნასკნელი ტაევი მიძღვნისა ღრმა პესიშიზმითაა გამსჭვალული:

ეკმზერ მწუხარებით მომავალს და ექსწყეელი ფუქად
წარსულსა.

თანაც ეს სტრიქონები, მთელ მიძღვნასთან ერთად, იდეურად აუქმებენ რუ-
სეთის მონარქიადში მიპართულ პოეტურ ვედრებას.

„სადღეგრძელო“ შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებია, მაგრამ მას თან ახლავს
ზოგიერთი თვალსაჩინო ნაკლიც. ესაა: ალაგ-ალაგ სტილისტურად დაუხვეწაეი
სტრიქონები, სუსტი რითმები (რაც პოეტას ლირიკულ ლექსებშიაც ხშირია).
ზედმეტი მჭევრმეტყველებისა და დამრიგებლობის ტონი (რასაც თეით აეტორიცი
გრძნობს!).

• • •

საქართველოს წარსული დიდების აღდგენის სურვილი, აგრეთვე კაცთმოყვა-
რობისა და ჰუმანიზმის მალალი იდეალები, რომლებიც „სადღეგრძელოშია“ გა-
ზოთქმული — ძირითადი მოტივებია გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედებისა
საერთოდ შესავე პერიოდში. ამ ხანებში წერს გრ. ორბელიანი აგრეთვე თავის
საუკეთესო პატრიოტულ ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკ-
ლესიაში“ (1877), სოციალური მოტივის შემცველ განთქმულ „მუშა ბო-
ქულაძე“ (1877) და შესანიშნავ „ფსალმუნს“ (1879), რომელიც პოეტის
ზნეობრივი იდეალების გამოხატველ ნაწარმოებად უნდა მიეჩნით.

„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ XIX საუკუნის ქართული პო-
ეზიის ლირიკული შედეგების რიცხვს ეკუთვნის. ეს არის მონოლოგი ვშობ-
ლიური ქვეყნის ბედზე ღრმად ჩათფრებული მოხუცი პოეტისა, რომელიც ბეთა-
ნიის განთქმული ფრესკის წინაშე დგას და მოწიწებით შესტკერის თამარის სა-
ხეს; იგი „ტრემლობრეული ემთხვევა“ თამარის „ფერხთ“ და ამბობს:

მიხარის — გიმზერ,
ექსწყეუარ — და გიმზერ,
და ესრეთ მზერა ისურს სიკვდილამდე,
არ გამოფხიზოდდე,
რომ აღარ ეჭვრძნობდე,
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..

მიეცით ნიქსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას:
ნიქს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვიარსებლობას!
კაცი ის არის, ვინ არის ზეგარდმო მადლით ცხებულო
მის მხოლოდ ღვ-წლი არს კეთილ, მით მხარე დაშვენებული!

მეგობრობის სადღეგრძელო თავდება მოწოდებით:

ვიყვნეთ ცოცხალნი მეგობრად და ვინცა ომში დავეცს,
ცრემლნი, კურთხევა მეგობართ თ-ნ გაეყოლოთ საწარეს! *

მომდევნო სადღეგრძელო ეძღვნება სიყვარულს. პოემის I და II ვარიანტები უკვე შეიცავეს ამ ადგილს და ჩვენ მას შევეხებთ პოეტის სატრფიალო მოტივების ანალოზის დროს. მაგრამ სიყვარულისადმი მიძღვნილი სადღეგრძელოს საბოლოო რედაქცია უფრო გავრცობილია, გარბმავებული და დახვეწილი, რაც აგრეთვე აღნიშნული გეგმონდა ზეპოთ. პოემა მთავარდება ბუნების გამოლეიძების აღწერით. ქართულ პოეზიაში იშვიათად მოიპოვება განთიადის ისეთი წარმტაცი სურათი, როგორც ვ. ორბელიანის კალმითაა შესრულებული. „სადღეგრძელოს“ ეს ფინალი პოეტური მწვერვალია საერთოდ გ. ორბელიანის პეიზაჟურ მხატვრობაში. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორ სტროფს:

ცისკარმან აღმოსაელეთი ვარდისა ფერად შეპლება,
ცას სიხარული მოჰფინა და ქეყანასა შეენება!

აენტენე ცეცხლის ალებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი,
ცა მშვენიერობს, ნათლდება... მასა შევენატრით წილველნი!
ილუვა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან!
ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!
მოჰქრის დილისა ნი-ვიც გულისა მაგრილებელი;
ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა და ბალში ფოთოლთ შრიალი!

პოეტი მიესალმება „მიძინებულ ბუნების“ ასეთს გაღვიძებას, დილის შუქს და მიმართავს მას:

სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკედილით ჰბადავ ცხოვრებას!..

ამრიგად პოემა იწყება ბინდის დაცევის აღწერით და მთავარდება განთიადის ზეიმის გამოსახვით. ღამისა და დილის კონტრასტული დამირისპირების ასეთი, თითქმის მუსიკალური სიმფონიის ლეიტმოტივის მსგავსი, ვანეთარება ვ. ორბელიანის უსიუეტრო პოემას ერთგვარ კომპოზიციურ მთლიანობას ანიჭებს.

„სადღეგრძელოს“ ბოლოში აქვს მიძღვნა ალექსანდრე ორბელიანისადმი. ამ მიძღვნაში პოეტი მოაგონებს თავის ადრესატს, რომ მათი „ძანი და ტოლნი ვაეკაცნი“ აღარ არიან ცოცხალთა შორის და „ძველთაგან დეშვით მე და შენა“. პოეტის ღრმა მწუხარებას გამოხატავენ შემდეგი ელეგიური სტრიქონები:

* ეს ადგილი ასევეა „ტოლუბაშის“ I და II ვარიანტში.

ქვეყნის გულმომკვლელო სინამდვილით შეძრწუნებული პოეტი თამარს ეუბნება, რომ ოდესღაც „ყვავილოვანი შენი წალკოტი“ „ალარ ბრწყინავს შეგ-დროთა ძალით ფერ-წახდენილი“, რომ „ვით განელილსა სიზმარსა ტკბილსა“ და „მზეს დიდებულად ჩასვენებულს“ „ეიფონებთ შენს დროს“, რომ „გული გვიმაგრავს და „სრულიად არ წაქსწყდეთ ეის შემდრისხაენიო“. იგი ევედრება თამარს „მოხედოს ბედკრულს“ მის „სატრფოს-მამულს“ და აკურთხოს ჭვარით, რათა მისი „ივერი აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერთად სხვა ერთა შორის“ წმინდა საყდრით, მდიდარი ენითა და „სწავლისა შუქით განათებულ“. თამარის მიერ ნაკურთხი მომავალი საქართველო პოეტს წარმოუდგენია „ზნე-ამალღებულ“ და „სულიერად განახლებულ“ ქვეყანად, სადაც „გამქარალა ბნელი უმეტრებისა“ და სადაც კვლავ „ისმის სიტყვა ქართული რუსთაველისა“. ამ ეცდრებას მოსდევს ღრმად პესიმისტური ტაყბები:

...მარამ ცად თვალნი
 გაქვს მიქცეულნი,
 და მე ველარ მცნობ გულ-შემუსვირისა,
 დამცირებულსა,
 ხნა მიღებულსა,
 ბედ-დაქარგულის ივერიის ძეს!
 ეჭვით აღვისილსა,
 უსასოდ ქმნილსა,
 გულ-უიმედოს, გაუხარებულს!..

უიმედობითა და ტრაგიკული პათოსით გამსჭვალული ეს ტაყბი მოწმობს, რომ „ეჭვით აღვისილ“ გრ. ორბელიანისათვის დაბნული იყო საქართველოს მომავლის რწმენა. ოგი კითხულობს:

ვაპ, თუ რაც წახდეს,
 ველარა აღჰსდგეს,
 ველარ აყვავდეს ახლის შევენებით?
 და რაც დაეცა,
 ის წარიტ:ცა
 შევმან ყორანმან ეით უმწე მსხვერპლი!

ლექსს აქვს ტიპიური რომანტიკული დასასრული:

ჰე, ცრუ სოფელო,
 დაუნდობელო,
 შენში კეთილი სად არს ფერ უცეღელ?
 დიდება ჩვენი
 ცად სხიე იმფენი,
 ნუთუ ესლა გვაქვს, ვახედავთ რასაცა?
 დაყრუებულსა,
 გზა შეუვალისა,

უდაბურს ტყეში ტძარს დარღვეულს.

სად სახე მეფის

დიდის თამარის

სჩანს ძველს კედელზედ გაძობილულად..

გრ. ორბელიანის შემოქმედების ერთ-ერთი ძილიანი თემა — საქართველოს შიშვე და დუხჭირი აწმყოს საყითხი და ოცნება „აღიარე ივერიის“ წარსული დიდებას აღდგენისა მის უკანასკნელ პატრიოტულ ნაწარმოებში სასოწარკვეთილების შეგნებითა გაშუქებული. შაგრამ იქვით აღვსილ პოეტს ივერიის ზელახალი აღორძინება არ სჯერა.

„თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ იშვიათი ემოციონალური ნაწარმოებია, ოგი მოელი სისავისით ამხელს გრ. ორბელიანს, როგორც პოეტს, და ადამიანს, რომლის სანუქვარ და ამო ოცნებას „ძველი ივერიის“ დიდების ზელახალი ხილვა შეადგენდა.

მეუხედავად გრ. ორბელიანის პატრიოტიზმის წოდებრივი ფესვებისა და ისტორიულ ასპექტში სრულიად გასაგები შეზღუდულობისა, მისი პატრიოტულმა ქმნილებებმა, უწინარეს ყოვლისა „სადღეგრძელომ“, „იარალიმ“ და „თამარის სახემ“ დიდი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების განმტკიცების მხრივ XIX საუკუნეში. ამავე დროს ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებთა მხატვრული ღირსებები დიდი და მრავალფეროვანია.

• • •

გრ. ორბელიანის შემოქმედების მესამე პერიოდში მკაფიოდაა გამოხატული აგრეთვე კაცთოყვარეობის. ჰუმანიზმისა, და, ამასთან დაკავშირებით სოციალური შოტიეებიც. „სადღეგრძელოს“ საბოლოო ეარიანტში (1870) გამოთქმული აზრები წოდებრივი განსხვავებებისაგან დამოუკიდებლად ნიჭისა და ღირსებისადმი პატივისცემის შესახებ, ადამიანის სიცოცხლის მიზნად „ეთილი საქმისა“ და „დაცემულის აღდგენის“ აღიარება შემდგომს გაღრმავებას პოულობენ ლექსებში „მუ შა ბოქუ ლაძე“ (1879) და „ფსალმუნი“ (1879). ფიქრობენ, რომ ამით გრ. ორბელიანმა ერთგვარი ხარკი გაიღო ეპოქის მოთხოვნილებათა წინაშე და აგი ძალუწებურად გამოეხმურა ახალი თაობის პროგრესულ იდეებს. ეს შეხედულება მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება გავიზიაროთ. საქმე ისაა, რომ გრ. ორბელიანის შემოქმედებაში ფილანტროპიული იდეები და საზოგადოების დაბალი ფენების ბედ-ილბაღისადმი ინტერესი შეიმჩნევა უფრო ადრეც, მისი პოეტური ბიოგრაფიის I და II პერიოდებში (1827-1858 წწ.) ჩვენ უკვე აღნიშნული გვეონდა, რომ გრ. ორბელიანის კალამს ეყუთენის პროზაული ესკიზი „ამბავი რიგის ლოშპიტალში ნათქვამი“ (1835), რომელშიაც თანაგრძობის ტონითაა მოთხრობილი თუგადასავალი ოზლად დარჩენილი გოგონაი, რომელსაც მრავალი დამტკირება უგებნია. 1832 წელს გრ. ორბელიანმა თარგმნა პერდერის „სამნი მეგობარნი“, რომელშიაც გამოთქმულია ის აზრი, რომ მხოლოდ „საქმენი კეთილნი“... „არა დაუტევებენ კაცსა, ესენი წარუძღვებიან მას დიდისა მსაჯულისა ტახტისადმი“

(ე. ი. ღმერთის წინაშე. ა. გ.). ყოველივე ამის შემდეგ მოულოდნელი არ უნდა იყოს პოეტის სიტყვები „სადღეგრძელოში“ (1870):

რა არის ჩენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვეკმნეთ ნუგუმ-მცემელი?
თუ არა ვსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მუარველი?

„ფსალმუნი“ (1879) ერთგვარად აჯამებს პოეტის ზნეობრივ და ჰუმანურ შეხედულებებს:

ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღეთისა დიდების?..

ვინც ძლიერებას ხმითა მღლით ამცნო სიმართლე
და ძმას დაცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინა.

როგორც მკითხველო ხედავს, გრ. ორბელიანის ჰუმანიური იდეები ძალზე ხანდაზმულნი ყოფილან და ისინი მარტოოდენ გარეგანი მიზეზების ზეგავლენის შედეგად არ წარმოშობილან 70-იან წლებში. აქვე უნდა მოვიგონოთ გრ. ორბელიანის „დ. ო...ის დარდები“ და ზოგიერთი მისი მუხამაზაზი, რომ ეს აზრი უფრო დამაჯერებელი გახდეს მკითხველისათვის. ჰუმანიზმი სრულიად ორგანიული და ბუნებრივი ნაწილია გრ. ორბელიანის პოეტური ბიოგრაფიისა. ეს გარემოება პირველად ჭერ კიდევ ი. ჰაქიაძემ აღნიშნა.

მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწარმოებად, გრ. ორბელიანის ჰუმანიზმის თვალსაზრისით, უნდა ჩაითვალოს მისი განთქმული ლექსი „მუშა ბოქუ-ლაძე“ (1877). ეს ერთადერთი ლირიკული კმნილებაა პოეტისა, რომელიც სოციალურ მოტივს შეიცავს. ლექსი წარმოადგენს მონოლოგს მუშისას, რომელიც თვითონვე აგვიწერს და ახსიათებს თავის სულიერ, ფიზიკურ და ნივთიერ მდგომარეობას. ესაა აღსარება შრომისაგან წელში გაწყვეტილი, უილაჟო და ღონემიხდილი აღამიანისა, რომელიც სოციალური ანტაგონიზმის მსხვერპლი გამხდარა. ლექსი იწყება მუშის გარეგნობის აღწერით, მკითხველი ხედავს „ოფლით გასერილსა და მტერიანს“, „კისერჩაუნგებულ“, „მედით დაჩაგრულ“ და „სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილ“ პროლეტარს, რომელსაც „სიცოცხლე ტანჯვად გადაქცევია ლექმა პურის შოვნით“. მას განუცდია „ძმის ღალატი, მოყვასთაგან დაჩაგვრა“ „იუდასგან ანბორი“ და „საყვარლისაგან — წყეული სიყვარული“. მუშას „ბედად დაშთენია“ „ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლექმისა“. მან იცის რომ

სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა,
მე ვმუშაობ... სხვანი კი იმღერიან!

მუშას „ისმის ბაღით ქიანურის, ლხინის ხმა“ და „საუთნავას გულდამწველი სიტყვები“, მაგრამ ხმის აყოლება ვერ გაუბედნია, „რცხენია“ („მე მათი

რბ ტოლი ვარო“) და თვალში „ერემლ-მორეული“ თავისთვის ჰკენების, თავის ზედებს წყევლის:

წყველ იყოს ეინცა მუშა აყურთხა
მოკლებული ყოველგვარის შეებასა
კაცთა შორის კაცად არ მიჩნეული..

მაგრამ გრ. ორბელიანის მუშა ადამიანურ ღირსებებს მოკლებული როდია: მას „აქვს კეთილის გრძობა“, იგი, მაგალითად, „გონებაშიზიდული“ ყურს უგდებს ხოლმე „მღვდლის ლაპარაკს“ და თუმცა მისი სიტყვები „ზოგჯერ არ ესმის“, მაინც „უხარიან მათი სქენა“; ამ დროს მუშის „გულში ჰქრება ღელვა სიბოროტისა“, იგი „გრძნობს სიმშვიდეს ლოცვებისა“, თუმცა სოციალური უთანასწორობის სურათებსაც ხედავს, იცის, რომ „ეს ქვეყანა შექმნილია „განცხრომის ძისთვის“, „ველთ სიმწვანე, ცის ლაქვარი, მზის შუქი და გაზაფხულიც“ ამ „განცხრომის ძეს“ „ეტრფიან და ატკობენ“. ერთის სიტყვით—იგი „მეფეა“, მუშა კი — „ქალღადაც“ არ მიჩნეული. მუშის სიტყვით „სიღარიბე კაცის გულს ახდენს“ და „სულის სხივსა და გონებას აბნელებს“. მონოლოგი მთავრდება „განცხრომის ძისადმი“ მიმართვით:

ეჰ, ძმავე, წადი. შენ შენს ვზაზე სიმღერით,
მე ჩემს ბარკსა როგორმე იქ მოვიხსნი,
სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,
საუკუნოს განსასვენსა ალაგსა!..

ამრიგად, გრ. ორბელიანის მუშის რწმენით სოციალური უთანასწორობა, ღარიბებისა და მდიდრის გათიშულობა მუდმივი და ფატალურად გარღვეული მოკლენა; ეს რწმენა გამოირტხავს მასში აქტიურ სულს. ბრძოლის სურვილს, არსებული სინამდვილის შეცვლის იმედს. გრ. ორბელიანის მუშა სოციალურ ფენებს შორის დისტანციისა და ზღვიარის წაშლას მხოლოდ „საუკუნოს განსასვენსა ალაგსა“ (ე. ო. საიქიოში) მოვლის.

„მუშა ბოქულაძე“ ერთსა და იმავე დროს ასახავს როგორც თეთონ ავტორის ძალზე განყენებულ, ზოგად ჰუმანიურ თვალსაზრისს დაჩაგრული ფენის წარმომადგენლის სულიერ ვითარებაზე, ისე კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს, მშ-იანი წლების ქართველი პროლეტარი-ბოგანოს შეგნებასაც. მუშა ბოქულაძე ერთის მხრივ ხაზს უსვამს საყუთარ არაქებაში ზოგად კაცობრიულ თვისებებს, აგრეთვე რელიგიურ განწყობილებას („სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშ ცემისა, ზეციურის მადლით განათებული“), ბოროტისა და კეთილის ბრძოლას თავისთავში და ა. შ. ხოლო, მეორე მხრივ, იგი სრულიად მართებულად ხედავს ამ „ბოროტებისა“ და „სულიერი სიბნელის“ სათავეს საზოგადოებაში ორი მოპირისპირე მანაკის—ღარიბებისა და მდიდრების—არსებობაში საერთოდ სოციალური დისტანციის ფაქტში: „თეთ მცე მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა მ შენთვისა ეარ დაბადებით მსახურადო“, — მიმართავს იგი „განცხრომის ძეს“.

ნაწილობრივ რეალური, ისტორიული საფუძველი მოკაუება მუშა ბოქულა

ძან პასივიზმსაც, მის უმოქმედობასა და სოციალური პერსპექტივის უქონლობას, რამდენადაც 80-იანი წლების ქართველი პროლეტარი ჭერ კიდევ არ იყო რევოლუციური შეგნებით და მომავალში სოციალური უთანასწორობის მოსპობის რწმენით აღჭურვილი. ამიტომ მის ჩივილს შეუძლებელია მიეღო ტიპური სოციალური პროტესტის ფორმა ამ დროისათვის და გრ. ორბელიანსაც არ შეეძლო ბუნებაში არ არსებული მოვლენის აღნიშვნა. ასეთი რამ, როგორც ცნობილია, არც „მუშა ბოქვლადის“ წინამორბედი ლექსის ავტორს ილია ჭავჭავაძემ აღნიშნავს, თუმცა „შ რ ო მ ა ს ა ხ ს ნ ი ს“ იღვას იგი ჭერ კიდევ 80-იან წლების გარიყრაზე ჭადგებდა. მიუხედავად ამისა, გრ. ორბელიანი უეჭველად აკარბებს, რადგან მისი მუშა ბოქვლადე დაჯილდოებულია არა ტიპური ნიშნებით, უწინარეს ყოვლისა, რელიგიური გრძნობით შეფერილი ბრმა მორჩილებით ბედისადმი, სრული სასოწარკვეთილებით. ფაქიზი თვითანალიზით. ყოველივე ეს ქართველი მუშისათვის დამახასიათებელი არაა. მუშა ბოქვლადე არ გამოთქვამს მკაცრ სამდღურავს გაიცხრომის ძეთა მიმართ, რომელთაც თვითონ ემსახურება. და ექსპლოატორებისადმი მკაფიოდ გამოხატული სიძულვილის ასეთი უქონლობა მუშის არსებობაში სრულიად გაუმართლებელია ფსიქოლოგიურად და ისტორიულადაც.

მიუხედავად ყოველივე თქმულისა, „მუშა ბოქვლადე“ ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია გრ. ორბელიანის ღირსიკაში. პოეტმა დაინახა საზოგადოების შინაგანი გათიშულობა და გულწრფელად თანაუგრძნო სოციალური უსამართლობის მსხვერპლთ მუშა ბოქვლადის ს.ხით. გრ. ორბელიანის ლექსი აგრეთვე შესანიშნავია თავისი მხატვრული ღირსებებით: „მუშა ბოქვლადე“ ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია ქართული თეთრი (ურითმო) ლექსისა, თუმცა თეთრი ლექსის სხვა ნიმუშებიც მოეხოვება მას („ჩემი ეპიტაფია“, „ფსალმუნი“, „დავებრი“ და სხვ.). ქართულ პოეზიაში გრ. ორბელიანის „მუშა ბოქვლადის“ შემდეგ ასეთი სრულყოფილი და ორიგინალური თეთრი ლექსი საერთოდ არ დაწერილა.

• • •

1864 წელს გრ. ორბელიანმა „ლერმონტოვიდამ“ სთარგმნა გოეთეს გენიალური ლექსი „მ გ ზ ა ე რ ი ს ლ ა მ ე უ ლ ი ს ი მ დ ე რ ა“ (Wanderers Nacht-
lied, 1770), რომელსაც ლერმონტოვისეული თარგმანის მიხედვით („Горные веруны-
ны“) ქართულში სათაურად აქვს „მ თ ა ნ ი მ ა ლ ა ლ ნ ი“. გრ. ორბელიანის თარგმანი ძალზე გაერკობილია, მაგრამ დედნის სული მაინც აქვს შერჩენილი. გრ. ორბელიანი პირველი სერიოზული მთარგმნელია მსოფლიო კლასიკოსის ამ ქმნილებისა ქართულ ენაზე.

სომეხებისა და დაცხრომისადმი მოწოდება, რომელიც გრ. ორბელიანის ამ თარგმანში ისმის, თვითონ პოეტისათვის მიუღწეველ ოცნებად დარჩა. იგი ღრმად იყო შემთოთებული ძველი ივერიის დიდების ილდგენის შეუძლებლობითა და თა-

ვისი წოდების ისტორიული ხედვით. გრ. ორბელიანის ლირიკული კრებული იხუ-
რება პოეტის გარდაცვალების წელს დაწერილი ორტაეპიანის ლექსით, რომელიც
მთელი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ტრაგიკულ ფინალად ეღერს:

დაებერდა, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩაედევარ სიმწარით.

გრ. ორბელიანის ეს თვითგამოტირალი იმავე დროს მთელი ქართული რომან-
ტიკული პოეზიის უკანასკნელი მნიშვნელოვანი პოეტური სიტყვაა, აღსაყვამ აბა-
შარტი ბიოგრაფიული, არამედ ღრმა საზოგადოებრივი და ისტორიული შინააბ-
სით.



გრ. ორბელიანის შემოქმედების განხილვა სრული არ იქნებოდა, თუ ჩვენ ახ
შევეხებოდით მის ადგილს ე. წ. „მამათა და შვილთა“ ბრძოლაში, აგრეთვე პოე-
ტის შეხედულებებს ენისა და სტილის საკითხებზე.

როგორც ცნობილია, მამათა და შვილთა ლიტერატურულ-იდეოლოგი ბრძოლა
დაიწყო 60-იან წლებში, როდესაც ეურნ. „ცისკარში“ დაიბეჭდა თერგდალეულთა
ზელადის ილია ჭავჭავაძის სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალუას ძის
ერისთავის კოზლოვის-მიერ „შეშლილის“ თარგმანზედა“ („ცისკარი“, 1861, № 4).
ძველ და ახალ თაობათა პირველი ბრძოლა, რომელშიაც გრ. ორბელიანს მონაწი-
ლეობა არ მიუღია (უეჭველია, — სამსახურებრივი მოუღუპლობის გამო), მიმდ-
ნარეობდა „ცისკრის“ ფურცლებზე 1861 — 1863 წლებში. თავდაპირველად გმ
ბრძოლა უმთავრესად ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების, აგრეთ-
ვე ენისა და სტილის საკითხებს მოიცავდა: ახალი თაობა მოითხოვდა მწერლო-
ბის დაახლოებას ხალხთან, ძველი ენობრივი ორამების, კერძოდ ოროთგრაფი-
ული და გრამატიკული არქაიზმის, უკუგდებას, ისინი ილაშქრებდნენ ანტონ კ-
თალიკოსის ავტორიტეტის წინააღმდეგ, უარყოფდნენ მაღალ სტილს და ა. შ. ყო-
ველივე ეს „მამების“ უკმაყოფილებასა და გულისწყრომას იწვევდა.

ხელმწიფედ პოლემიკა ახალი სიმწეავით დაიწყო 1871 წელს. შეტაკების საბაზ-
გახდა ისევ ილ. ჭავჭავაძის გამოსვლა, კერძოდ, მისი ცნობილი „გამოცანები“
(1871 წ. დეკემბერი), რომლებიც ხელნაწერების სახით გავრცელდა საზოგადოებაში
და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია „მამებს“ შორის. „გამოცანებში“ იგულისხმებო-
დნენ (დაუსახელებლად) ქართველი თავადაზნაურობის წარჩინებული წარმომადგენ-
ლები — მარშალი რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი და ივანე მუხრან-ბატონები, ისევე
ჭავჭავაძე, ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, გრ. ორბელიანი და სხვ. ამ პირთა
შეუსრულებათ ახალი თაობის („თერგდალეულთა“) ზეგავლენით გამოტანილი
დადგენილება სპეციალურად მოწვეული თავადაზნაურობის ყრილობისა, რომე-
ლიც თვალისწინებდა 1871 წელს საქართველოში ჩამოსულ იმპერატორ ალექსანდ-
რე II-სადმი ადრესის მიართვებას თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ,
პედისნაცვლისა და თავადაზნაურთა რეაქციული ჩგუთვის ზეგავლენით რევაზ
ანდრონიკაშვილს შეუცვლია ადრესის პროექტი და უნივერსიტეტის ნაცვლად უბო-

გვა თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნა *. ილიას მერვე გამოცანა ეხებოდა გრ. ორბელიანს. აი ისიც:

მობუცია იგი ქმუხი,
პირად ბადრი, ტანდბალი,
საქმით წმინდა, გულმხურვალე,
სიტყვატყბილი, ჭკვეამალაი.
ქველთაგანა ვგლა დაგვრჩა
გრძნობით საესე გონიერი,
მაგრამ გაუბედივია,
თუმცა უყვარს თვისი ვერი.
ის ქველის და ახლის შუა
შემეერთავი ხილია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზე ჰკილია.

ეს ეპიგრამა, დანარჩენ „გამოცანებისაგან“ განსხვავებით, პოეტისადმი განსაკუთრებული პატივისცემით იყო გამსჭვალული. მიუხედავად ამისა, გამოცანებმა გრ. ორბელიანის აღშფოთება გამოიწვია. 1872 წელს პოეტმა დასწერა „გამოცანების პასუხი“, რომელიც ამჟამად „პასუხი შეილთას“ პირველი ვარიანტის სახითაა ცნობილი. იგი ახალი თაობისადმი შიშართული ძალზე დამამცირებელი ეპითეტებით იწყება:

კოლო-ბუზებო,
ლიბერალებო,
ქვეით გლახებო, პატრიოტებო
გზა დაკარგულნო,
წყალწალეებულნო.
კატის კნუტებო, სიდგანა კნავით?

და სხე.

გრ. ორბელიანმა თავისი პასუხი დაბეჭდა „ცისკარში“ 1874 წელს სათაურით „პასუხი უღირსთა შეილებთა“. ესაა მეორე, საბოლოო ვარიანტი „პასუხი შეილთასი“. მკვახე ტონი აქ შერბილებულია, ამოღებულია ძალზე დამამცირებელი ეპითეტებიც, რომლებიც პირველ ვარიანტში გვხვდება („კოლო-ბუზებო“, „კატის კნუტებო“, „ეირი წაეიდა, ვირი მოვიდა“ და მისთ.), სამაგიეროდ იგი უფრო გავრცობილია და იდეური თეაღსაზრისით საანტერესო მასალას შეიცავს.

ცნობილია ილია ქავეჭავაძისა და აკაკი წერეთლის საპასუხო ლექსები გრ. ორბელიანის „გამოცანების პასუხზე“ (ილიას „პასუხის პასუხი“, აკაკის „ხარაბუზა

* ი. ქავეჭავაძე, თხზ. სრული კრებული. ტ. I. გვ. 387-390; თბ. 1951.

დენერალს“, „კოლონუზების პასუხი“, „პატრიოტის აღსარება“, ს. მესხის წერილი „ჩვენი მამები და შვილები“ (1872) და სხვ.) *
ამრიგად, გრ. ორბელიანი ძველი და ახალი თაობის ბრძოლაში აქტიურად მხოლოდ 70-იან წლებში ჩაება.

გრ. ორბელიანის საპასუხო პამფლეტის ორივე ვარიანტის მიხედვით შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ პოეტის შეხედულებანი ახალი თაობის („შვილების“) შესახებ. ყველა მათ გრ. ორბელიანი უწოდებს „ცრუ პოეტებს“, „ცრუ ლიბერალებსა და პატრიოტებს“, რომელნიც „ვაბოროტებით კსწვევლიან მამებს“. ამათი (მამების) დრო კი, პოეტის შეხედულებით, იყო „დრო მამაკობისა“. იგი მოაგონებს შვილებს, რომ

მამანი თქვენნი
თავის დროს ძენი,
თავის დროს იყვნენ სახელოვანნი!
ოსმალ-სპარსები,
დალისტნის მთები
ქებით მეტყვიან დიდთა მათ საქმეთ.

მამებს „სისხლით დაუცავთ მამული თვისი“, „ენა, საყდარი, სარწმუნოება“. შემდეგ „დრო შეცვლილა“, „ისწავლა“ გამეფებულა და „შვილები-სათვის გაღებულა სახლი სიბრძნისა“, მაგრამ მათ არ გაუმართლებიათ მამების იმედი: „ისწავლად მისულნი წამხდარან ზნეობით“ და სამშობლოში დაბრუნებულთ ჰედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობის დროს „უსასოება და ურწმუნოება უმანკოთ გულში ღრმად ჩაუნერგიათ“. „და დაიწყველა თქვენი აქ მოსვლა და თქვენი სიბრძნის ნაყოფი შხამიო“. — ამბობს პოეტი. განსაკუთრებით აღშფოთებულა გრ. ორბელიანი შეილთა ერთი ნაწილის, „ეურნალისტი მწერლების“, მიერ შშობილი ენის დაკნინების გამო: „მათ უსწავლელთა, ცრუ რუსთაველთა, სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი, ენა მაღალი! მის ძალი, მადლი უწყალოდ წაბდა უწმინდურთ ზელშიო“ — აცხადებს იგი და დასძენს: „ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით, რა ენა წაბდეს ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“.

შემდეგ გრ. ორბელიანი მოითხოვს შვილებისაგან: „აჰა დიდების და სახელების ასპარეზოა თქვენთვის დაცლილი“ და „ხმალის ტრიალით, ძლევის ყიფით“ რომელიმე „იმ თქვენმა გვირმა“ „ზელს ბაირალით ძირს დააცეს ყარსი“. პოეტს ეეპეება ახალი თაობის ამგვარი გვირობისა და უმატებს „გაი საბრალოს,

* გრ. ორბელიანისა და „შვილების“ პოლემიკა საკმაოდ ამომწურავადაა შესწავლილი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა მიერ და ამიტომ აქ ზედმეტად ვთვლით დაწერილებით ვილაპარაკოთ მის შესახებ. ჩვენ სრულიად განზე ვტოვებთ ახალი თაობის მეთაურთა „პასუხებს“, რადგან ის დიდ ადგილს დაიკავებდა.

ჩვენს საქართველოს თქვენ დაგზადებთ მის სადიდებლადო“. მას არ სწამს ახალთაობის „მაღალი ფრაზები“ „საზოგადოების სულით აღდგენაზე“, „ერთობისა, ძმობისა და მამულისათვის თავის განწირვის“ შესახებ; „სიტყვა — სიტყვაა, საქმე კი — სხვაა.“— განმარტავს იგი. და ბოლოს ახალი თაობის „სიცოცხლეს ფუჭად მიმავალს“ უწოდებს, აბრალებს მათ „უქმობას, არაარაბასა და უმეცრების ამაცუობას“.

ახალი თაობის საუკეთესო ნაწილის მისამართით არც ერთ ამ ბრალდებას არ გააჩნდა საფუძველი. გრ. ორბელიანის პოლემიკური სისასტიკის ახსნა ამჟამად მხოლოდ ისტორიულ და ფსიქოლოგიურ პლანში შეიძლება. „შვილების“ განსაკუთრებული დეაწლი ქართველი ხალხისა და მისი კულტურის წინაშე ბოლოს თვითონ გრ. ორბელიანმაღ შეიჯნო: ცნობილია მამათა და შვილთა ორი ბანაკის მეთაურების, თვითონ გრ. ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის, საუკეთესო პირადული და საზოგადოებრივი ურთიერთობანი 80-იან წლებში, როცა თაობათა ბრძოლა დაცხრა და იგი ისტორიის კუთვნილება შეიქმნა (1875 წელს „ცისკრის“ დახურვით ეს ბრძოლა არსებითად შეწყდა).

• • •

გრ. ორბელიანი საერთოდ ძალზე მწვავედ განიცდიდა ქართული ენის დაცვას. ცნობილია მრავალი მისი ბარათი, ამ საკითხებზე მიწერილი სხვადასხვა პირისადმი. დამახასიათებელია პეტრის შემდეგი სიტყვები: „ვისაც არ უყუარს თავის სამშობლო ენა, მას, უბეველია, არ უყუარს თავის მშობელნიცა, თავის წინაპარნიცა, თავის მამულიცა; ენა არის შემნახველი მამაპაპის ყოფა-ცხოვრებისა. მათი სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია“ (წერილი სალომე მიურატისადმი 1877 წ., 12 ავეისტოს თარიღით).* ენის დაცემის ერთ-ერთ მიზეზად ეგი სთვლიდა „ეფრნალისტი მწერლების“ (ახალი თაობის გარკვეული ნაწილის) მხრივ ქართულის ნორმების უტოღინარეობას. გრ. ორბელიანის კალამს ეკუთვნის სპეციალური კრიტიკული წერილი „მ გ ზ ა ვ რ ო ბ ა ს ე ვ ა ნ ე თ ი ს ა კ ე ნ გ: წი“, რომელიც მან „ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით დაბეჭდა ე. „ცისკარში“ 1874 წელს (№ 9-10). აგრეთვე სატირული ლექსი „დროებისათვის წლის იუბილე“, მიმართული ს. მესხისა და მისი გაზეთის წინააღმდეგ (1876). ეს ორი პოლემიკური ხასიათის ნაწერი შუქს ღენს გრ. ორბელიანის შეხედულებებს გრამატიკისა და სტილის საკითხებზე, აგრეთვე მის დამოკიდებულებას ზოგიერთი თერგდალეულის მოღვაწეობისადმი 70-იან წლებში.

კრიტიკული „განხილვა“ „მ გ ზ ა ვ რ ო ბ ა ს ე ვ ა ნ ე თ ი ს ა კ ე ნ“ ენება ცნობილი თერგდალეულის გ. წერეთლის მოთხრობას „მგზავრის წერილები, ანუ ეპიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“. წერილის ავტორი აფრთხილებს მკითხველს: „მე არ შევეხები ავტორის იდეასა, არცა მისსა მიმართვასა. მე ვძებნებ ქართულს მოთხრობასში მხოლოდ ქართულის ენის სიწმინდესა. მსგავსად სხვათა ენათა ქართულსაცა აქვს თავისი თვისება. თავისი კანონები მართლწერისა და უბნობისა, ესე იგი, თავისი ღრამშ-

* შტრ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I. გვ. 105.

ტივა, რომელიც ასწავლის ყოველს ამა ს თეორეტიკულად და რომლისა ზედ-
მიწვენიდ ცოდნა საჭირო არის მწერალთათვის. „მწერალმან უნდა იცოდეს
ენა, რომელსზედაც მსწერს, ან ტეორეტიკულად, და ანუ პრაქტიკულად“. გრ.
ორბელიანი დასასურებად უთვლის „ეხლანდელთ მწერალთ“, რომ „ივინ
გულმბურვალედ“ შეუდგნენ „აღდგენას ჩვენისა დაერდომილისა ენისა, მაგრამ
ზოგიერთის წერასში მოჰსჩანს მრავალი შეტომილება“ იმის ვამო, რომ „მათ
არა ჰქონიათ შენთხევა ღრმად შესწავებისათვის ქართულისა ენისა“ და „არა
არ იან ჩუეულნიცა საღმრთოს წერილისა, რომელიცა
არის, მართლად გამოუღვევლი საუნჯე ჩუენის ენისა-ო“. შემდეგ პოეტი თავს იმართლებს ქალების წინაშე („რომელიცა ყოველსა დროსა
ყოფილან და აწუა არიან უკეთესნი ენის დამფასებელი“) გრამატიკის სიკეთებზე
რომ უხდება საუბარი და დაძენს: „რა ეპქმნა, არცა მე მკუეს ამასში ბრალი, ეს
გახლავსთ ერთი ნამცეცა ნაწილი პლატონის. ღრამმე-
ტიკისაო“ (იველისხმება პლატონ იოსელიანის „ქართული ენის ღრამმეტიკა“).
როგორც ავტორის განცხადებიდანაც ჩანს, იგი თავისი გრამატიკული ზასიათი:
შენიშვნებში პლატონ იოსელიანის ნორმებს ემყარება. პლატონ იოსელიანი კი
როგორც ეს ცნობილია, გრამატიკული არქაიზმის დამცველი იყო. გრ. ორბელიანის
კრიტიკულ „განხილვაში“ მოიხილება მთელი რიგი ადგილები, რომლებიც თითქ
მის სიტყვასიტყვით იმეორებენ პ. იოსელიანის შეხედულებებს ქართულ ენისა
და საერთოდ სალიტერატურო მეტყველების ნორმებისა და სტილის შესახებ*.
გრ. ორბელიანი ამ წერილში იცავს:

1) ძველს ორთოგრაფიას. იგი წერს: „იშეიდას ენასა აქვს ისეთი სრული ან-
ბანა, როგორცა ქართულსა“... „მაშასადამე, ამ ასუების უარის-ყოფა, გადა-
გდება უკეველად სავნებელი არის ენისათვის“. „ანტონ კათალიკოსმა, დიდ-
მცოდნემ ქართულისა ენისა, არა თუ დაიკლო, არამედ
მოუმატა ისო ჟა“.

2) მორფოლოგიამ, მაგალითად, თავგამოდებით იცავს იმ აზრს, რომ „ყო-
ველი „შემოქმედებითი ზმნა“, საზღურებითს სქესში, პირველი პირი უნდა და-
წეროს ისე, რომ მეორე ასო ზმნისა იყოს პ, რადგანაც ზმის ამოსვლაშიაც სწორედ
ასე გვეხმის, მაგალ. „ეკსწერ, ეკრძნობ, ეკლავ“, და სხუანი, ხოლო მეორესა და
მესამეს პირსში დაიწერება ასოთი პ, მაგალ. „პსწერ, მსწერს, მკრძნობს, მკლავს“
და სხუანი“. ასეთივეა დასაზღობით ავტორის შეხედულებანი ქართული სინტაქსის
საკეთებზე.

3) ქართული სალიტერატურო ენის ნიმუშად გრ. ორბელიანს უწინარეს
ყოფისა მიაჩნია „სდრთისა და ბერძნულის ენით გადმოღებული ქართულად
საღმრთო წერილი ესრეთის მშუენიერ სიტყვაობითა და ძლიერებითა“. თუ
შომხრეა ძველთაგან შემუშავებული არქაული ნორმები უცვლელად დარჩეს.

4) ენის პროგრესისა და ახალი სტილის მიმართ გრ. ორბელიანი კონსერ-

* დიწერ. იხ. ჩეენს ნარკვეეში „პლატონ იოსელიანი“ (1932) (წიგნში „ლიტერა-
ტურული ნარკვეეები“), 1948, გვ. 122 — 126.

ვატორი რჩება, იგი წერს: „ახალი სტილი გერა ოდეს ვერ შეგსტულის ენის ბუნებითა თვისებასა... ენის თვისება მყოფობს მარადის შეურყევლად. ენა არ არის მოგონებული ერთისა ვისგანმე, რომ მეორესა შეეძლოს ძირიანად შეცულა მისი“.

5) ენის დემოკრატიზაცია, რომელსაც თერგდალეულები მოითხოვდნენ, გრ. ორბელიანის შეპდევს კორექტივს იწვევს: „ზიარად ამბობენ აწინდელნი მწერალნი: „ხალხის ენაზედ ვაწეროთ“. მაშ რა ენაზე უნდა დაასწერონ? მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდეთ: ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შემუშავებელი. ვიდრე დაქვლოვებული მწერალი მასალას მას არ გადაარჩევს კარგსა უვარგისისაგან, არ ვაჰყენდს, არ ვაიშუენიერებს და დიდებულებითა არ აღიყუნს სალიტერატუროს სამფლობელოსში... ტალახი დარჩება ისევე ტალახად“.

ყველა ამ პრინციპების უგულბელოფასა და „ენის წახდენას“ ხედავს პოეტი გ. წერეთლის ამ მოთხრობასა და საერთოდ „ახალი მწერლების“ მეტონაწილის მოღეაწობაში. „ეკოლიკის“ ენობრივი და სტილისტური შეცდომებზე აღნუსხვის შემდეგ გრ. ორბელიანი მიმართავს ახალ თაობას: „ყოვლის მხრით დაღაღება ყვედრებისა ქართულის ენის წახდენისათვის უნდა გესმოდესთო“. მისი შეხედულებით ქართულ ენას, როელიც „ეს რეთ ლამაზად და დიდებულებით ჰბრწყინა ეს ჩუენს საღმართოს წერილში“, „უფროზილბოდნენ და ინახავდნენ შეურყევლად“ „ბერები მონასტრებში, ეკლესიებში მღუღლები“ და „ჩუენი ქალები“, ახლა კი რედაქციებში ირყენება იგიო. პოეტი განსაუტრებით თავს ესხმოდა ვაზეთ „დროებას“ და მის რედაქტორს ს. მესხს. მისი სატირული ლექსი „დროების ათი წლის იუბილე“ (1876) ასე იწყება:

ვერ ისწავლა მესხნი წერა,
ვერა!... ვერა!...

ამ ლექსში იგივე საყვედურებია გამოთქმული, რასაც ავტორი გ. წერეთლას მოთხრობის „განხილვაში“ გამოთქვამდა ენის „წახილწვისა“ და „გაბაზრების“ შესახებ. ამგვარი შეხედულებისათვის გრ. ორბელიანს არ უღალატნია. იგი ზოლომდე დარჩა აგრეთვე ძველი სალიტერატურო ენის ნორმების დამცველი. *

ამრიგად, გრ. ორბელიანი და პ. ისეულიანი მამებს შორის პრინციპული და თანმიმდევრული დამცველნი იყენენ ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური არქაიზმისა. ზიარად ეს დაცვა მათს უკიდურეს კონსერვატიზმსაც მოწმობს ენის საკითხებში. მართალია, ორი თაობის ლიტერატურულ ბრძოლებში გრ. ორბელიანს ეხედებით პაექრობის უკანასკნელ სტადიაზე, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს: თეორიული თეალსაზრისი, რომელსაც გრ. ორბელიანი იცავდა 70-იანი წლების დასაწყისში, მს. უკვე ჰაბუეობოდანვე ჰქონა გამოშუაფებული: გრ. ორბელიანის პოეტური პრაქტიკა I პერიოდისა მშენიერი

* ნ. აღანია, ეურნალ „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში (ხელნაწერი). ამ მკვლევარის დასკვნით „ძველი საწერლო ენის მოტრფივალე პოეტს 80-იან წლებშიც არ სურდა დროიკმული ენობრივი ფორმების განდევნა მართლწერილან“.

ილუსტრაცია მის მიერ გვიან წამოყენებული გრაბატიკული არგუმენტებისა. პ. იოსელიანთან ერთად იგი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა ძველი თაობის იმ ბანაკში, რომელიც არქაული ენისა და სტილის ნორმებს იცავდა.

უკანასკნელი წლების ქართულ სალიტერატურო პრესაში იყო ცდა გრ. ორბელიანის „რეაბილიტაციისა“ ამ სფეროში, ლამის იგი ენის სისადავისა და დემოკრატიზაციის დამცველის როლშიაც კი გამოჰყავთ. ამის საბუთად მოჰყავთ გრ. ორბელიანის ზოგიერთი გამოანათქაამები, რომელნიც არ ეთანხმებიან პოეტის თეორიულ დებულებებს, აგრეთვე სადა შეტყველების ნიმუშები მისი ნაწერებიდან. მაგრამ ერთია თეორია და მეორე — მისი პრაქტიკული რეალიზაცია. ჭერ კიდევ ა. მელნარგია აღნიშნავდა „თვითონ პოეტი არ მისდევდა თავის თეორიას თავის ნაწერებშიო“,* თუმცა არც ეს შეხედულება მთლად საუბუქლიანია: გრ. ორბელიანი მხოლოდ ზოგიერთი ქანარის ნაწარმოებებში არ იცავს გარკვეულ კანონებს გაბირობებულ თავის სტილს. ასეთია, მაგალითად I და II პერიოდის (1832-1858) კერძო ბარათები,** რომელთა გამოქვეყნება მას არ უფიქრია. ეს ბარათები ყოფილი რუსიკოზმებით აპრელებული, ჩვეულებრივი, სასაუბრო შეტყველების ნიმუშები. სამაგიეროდ ამ პერიოდში გრ. ორბელიანს თავისი სტილისა და ენის შესაბამისად აქვს დაუშვებელი „დღიურის“ ერთი ნაწილი („მგზავრობა ჩემი...“), პროზაული ესკიზები და თარგმანების ნაწილი (ნიმუშები ზემოთ გვაქვს მოყვანილი). საკმარისია თუნდაც ზერელე გაცნობა მათი, რომ დავრწმუნდეთ — რაოდენ დიდი უფსკრულია გრ. ორბელიანის შეგნებულ ლიტერატურულ მეტყველებაში და შემთხვევით დაწერილ მის კერძო ბარათებს შორის. მაშასადამე, გრ. ორბელიანი სრულიად შეგნებულად იცავდა და თავიდანვე პრაქტიკულადაც ანხორციელებდა საკუთარ მეთოდს: ჩვეულებრივი სასაუბრო შეტყველების („ხალხის ენის“) გადაყენება სტილის კატეგორიაში პოეტის აზრით ამ მეტყველების დახვეწას და ამჟღად ბუღ სტილად ქცევას გულისხმობდა (წინააღმდეგ შემთხვევაში „ტალახი ისევ ტალახად დარჩებოა“ ამბობდა იგი). გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ და მისი ლირიკული ლექსები „ჩემს დას ეფემიას“, „იარალის“, „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ — ამჟღად ბუღი, კეთილშობილი პათეტისა და არქაიზებული შეტყველების საუკეთესო ნიმუშებია. გრ. ორბელიანის ენა და სტილი ამ ნაწარმოებებშია მხილბული. რაც შეეხება პოეტის „მუხამზაზგეს“, მათი ენობრივი სისადავე თვითონ ქანარის მზანზარული ფაქტურიდან მომდინარეობს: ესაა ინტონაცია და სასაუბრო შეტყველება ქალაქური ფოლკლორისა, გამოყენებული პოეტის მიერ დაბალი ფენების მოქალაქეთა ტიპიზაციისათვის. მათი ენისა და ინტონაციის აღრევა „სადღეგრძელოს“ ავტორის ხმაში, ვიმეორებთ, სრულიად შეუწყნარებელია.

არც ისაა მართალი, თითქოს გრ. ორბელიანმა თავისი კერძო ბარათების ენა

* ქართული მწერლები, I, გვ. 172.

** გამოცემულია ჩვენი რედაქციით ორ ტომად 1936 — 1938 წწ.

ძალზე გამარტივია პირველი პეროდის მიმოწერასთან შედარებით, 60-იანი წლების შემდეგ. ასეთი შეხედულება აღმოცენებულია სრული გაუგებრობის ნიადაგზე. პირიქით — გრ. ორბელიანმა სწორედ 60-იანი წლების შემდეგ უფრო ხაირთულა არქაიზმის მიმართულებით თავისი ეპისტოლარული სტილი (რასაკვირველია, იმ ბაჩათებში, რომლებიც რაიმე სერიოზულ საკითხებზე დაწერილი და არა საშინაო მიმოწერაში). საკმარისია მკითხველი გაეცნოს მის ვრცელ წერილებს, მაგალითად, ეკატერინე ჰავკავაძე-დადიანისადმი, ან სალომე მიურატისადმი, რომ დარწმუნდეს — ამ ეპისტოლეთა ენა და სტილი ავტორის გრამატიკული თეორიის ილუსტრაციებად გამოდგებოდა.

ყოველივე ზემოთ თქმული იმას როდი ნიშნავს, თითქოს გრ. ორბელიანისათვის სრულიად უცხო იყო კომპრომისები ახალი სალიტერატურო ენის ფორმირების წინაშე. თვით პლატონ იოსელიანიც მიესალმა გ. ერისთავის მიერ „ახალი ენის დაბადებას“, მაგრამ ეს გარემოება არ მოწმობს გამოჩენილ არქაისტის მიერ საკუთარი პოზიციების დათმობას. გრ. ორბელიანსაც გამოუთქვამს თავისი აზრი ზოგიერთი „მკვლარი სიტყვების“ გამოყენების წინააღმდეგ, მაგრამ ეს როდი სცვლის ჩვენს საერთო წარმოდგენას პოეტის ენობრივი პოზიციების შესახებ. ისევე, როგორც ზოგიერთი მისი რეალისტური ლექსი (მაგ. „მუხამბაზები“) გრ. ორბელიანს რეალისტად არ აქცევს. აივე — პოეტის ნაწილობრივი კომპრომისები ახალი სალიტერატურო ენის წინაშე არ მოწმობენ მის პრინციპულ გადახრას ენის დემოკრატიზაციისაკენ. ნიკ. ბაჩათაშვილსაც უწერია სადა ენით კერძო ბაჩათები, აქვს ცალკეული რეალისტური ნაწარმოებანი („ბედი ქართლისა“, „ღამე ყაბაზზე“) და ქართული ფოლკლორის ზეგავლენით შექმნილი კულეტებიც (მაგ. „მადლი შენს გამჩენს“), მაგრამ იგი რეალისტი არაა და ვენიალური ქართველი რომანტიკოსის სტილისა და ენისათვის უმთავრესად დამახასიათებელია ისეთი შედეგები, როგორცაა „ჩემი ლოკვა“, „ხმა იდუმალი“, „სულა ბორბო“ და სხვ. რეალისტურობა ან რეალიზმის ელემენტები არ გულისხმობენ რეალიზმს. ახალი სალიტერატურო ენის ფორმების შექმნა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში აგრეთვე არ მოასწავებენ მათს პრინციპულ გადასვლას ენის დემოკრატიზაციის ნიადაგზე.



მაგრამ თუ გრ. ორბელიანი ენის თეორიულ საკითხებზე მსჯელობისას პრინციპულ არქაისტად გველინება, თავის შემოქმედებაში იგი უკიდურესი არქაისტი მაინც არაა. მისი სტილი კეთილშობილურია და ღრმად ემოციური; პოეტი ცხვირების ყველა ღირსშესანიშნავ მოვლენაზე სერიოზული ტონით მსჯელობს და მისი ზომიერად არქაიზებული შეტყუვლება მხატვრული გამოხსახელობის იშვიათი ძალით ხასიათდება. გრ. ორბელიანი საეცემით ამართლებს თავისავე შეხედულებას მხატვრული ფორმის დანიშნულების შესახებ: „გამოჩენილნი შვერალნი გვიხატვენ ჰაზრსა არა თუ მხოლოდ ნათლად, არამედ ღამიზის-ფორმითაც სიტყუაეა მათი მომდინარებს, ვითარცა წყალი, ხან მძიმედ დიდებულნი სიამყითა, ხან დაშვებულნი, ვითარცა დაწყნარებით რონინება ქალისა, და ხან მქუხარედ, ვითარცა შემამარწუნებელი რისხუა მამინ, მსმენელიცა უნებლიეა

მიხსდევს სიტყვისა მის მიმდინარეობის ძალსა გულთ გახარებული, გონებით მიზიდული, ღონე-მიტაცებული, ღამონებული". * „საღამო გამოსაღმებისა“, „ჩემს დას ეფევიას“, „იარალის“ ან „თარალის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ გრ. ორბელიანის ამ *Ars poetica*-ს მხატვრობა - გაძარტლება.

მაგრამ გრ. ორბელიანის სტილსა დ. თორმას თან ახლავს ზოგიერთი თვალბაზინო ნაკლავი. მისი ენა ხშირად მძიმეა. აზრის გამოხატვისას პოეტი აწყდებოდა ბერკოლებებს, რომელთა ვადაღახვა მას უჭირს ამ ს სფეროთ პოეტიკ გრძნობს.

გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედება ასახავს ქართული სალიტერატურო ენის საერთო ვითარებას გასული საუკუნის პირველ ნახევარში, განვითარების ამ ეტაპს, როცა ძველი და ახალი სამწერლობო ენის გაყრის პროცესი დაიწყო.

გრ. ორბელიანის სალექსო ფორმები მოწმობენ ევროპული, უმთავრესად რუსული სალექსო კულტურის ზეგავლენას (მაგ. კომპოზიციის, სტროფიკის სფეროში). ეს ზეგავლენა განსაკუთრებით დაეტყო გრ. ორბელიანის რითმებს: პოეტის ლირიკულ შედეგებშია კი მეტწილად გამჭრალა ქართული კლასიკური ლექსის ზუსტი რითმის კულტურა (რუსული ეპური რითმის მიხედვით გრ. ორბელიანი ხშირად ტაქთა მხოლოდ ბოლო ხმოვნებს რითმავს, მაგ. გვეპყრას სუფრას, უძრავად: ორად, გვირი: ძლიერი („იარალის“), სასიხარულოდ: მხოლოდ, ესრეთ: ფრთეთ, ქვეშ: უნუგუშ, ნელიად: სოფლად, კვალთ: სიხარულთ („ჩემს დას ეფევიას“). უკანასკნელ რითმ-ში კი მხოლოდ ბოლო თანხმოვნებია შერითმული (კვალთ: სიხარულთ)! ეს დეტექტი შესამჩნევია აღ. ჰაუპტმანის პოეზიაშიც.

ჩანს. ნ.წილობრივ ეს გარემოება გახდა მიზევი იმისა, რომ გრ. ორბელიანს ქართული თეთრი ლექსის შესანიშნავი ოსტატია.

შედარებით სწორი რითმებით გრ. ორბელიანს დაწერილი აქვს „მუხამბაზება“, მაგრამ ეს აიხსნება ენარის სტერეოტიპული, მზამზარეული კადენციით (ვინა ვარ: ვინა ვარ; სადა ვარ: მზადა ვარ და ა. შ.). არა სწორი, ყრუ რითმები მის ტაქტებს ზოგჯერ სილაბურ ლექსწყობას უახლოვებენ. მათი მეტრული პროფილი ყოველთვის მკაფიო არაა, მიუხედავად ზომათა მრავალფეროვნებისა. მაგრამ გრ. ორბელიანის პოეზიის ემოციური სამყარო იმდენად მდიდარია, რომ ზემოთ აღნიშნული დეტექტები ბოლოს მიინე ვერ ანელებენ მისი ლექსების შინაგან დინამიზმს.

გრ. ორბელიანის ლირიაში დაძლეულია აღმოსავლურ-ირანული ყვავილოვნება-სტილისა, პოეტური „სამკაულების“ თვითმიზნური სიჭარბე. ყველა კომპონენტი ლექსიკისა ორგანიულად მომდინარეობს თემის ხასიათიდან. მეტწილად ისინი პოეტის არსებობაში ემოციის ან აზრის აღმოცენების უშუალო შედეგს წარმოადგენენ, ამ უშუალობითაა აღბეჭდილი გრ. ორბელიანის პატრიოტული პათოსი, რომა გრძნობიერებით აღსავსე მისი სუფთა სატრფიალო ლირიკა და ბოლოს — მისი ფერებით მოელვარე პეიზაჟი.

აკაკი განურელია.

დეკემბერი, 1957 წ. თბილისი.

გრიგოლ ორბელიანის პროზა

როგორც ცნობილია, ქართველ რომანტიკოსთა უფროსმა თაობამ მხატვრული პროზა ვერ განავითარა. გასული საუკუნის პირველ ნახევარში ლირიკა ყველაზე შესაფერისი ენა იყო აღმოჩნდა ჩვენი რომანტიკოსების განწყობილებათა გადმოსაცემად. მხოლოდ ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან, ქართული პროზის საერთო აღორძინებასთან დაკავშირებით, განვითარებას იწყებს რომანტიკული პროზაც და მტკნავად იყვება ის ხარვეზი, რაც ასე საგრძნობი იყო ქართული რომანტიკული სკოლის ისტორიაში.

მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ჩვენს რომანტიკოსთა უფროს თაობას პროზაული შემეცნების მხრივ სრულებით არაფერი დაუტოვებია: შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს ცალკეულ ესკიზებს, მცირე მოთხრობებს, მოგონებებსა და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებით წინაშეწინაა გრ. ორბელიანის ლიტერატურული შემეცნება. ვარდა იმისა, რომ გრ. ორბელიანს საკმაოდ უთარგმნია ვერძელ და რუს მწერალთა პროზაული ქაზნები (ცოკესი, ჰერდერისა და სხვ.), მას უწერია ორიგინალური მხატვრული ესკიზები — ლირიკული პროზის საუცხოო ნიმუშები და, რაც მთავარია, უწარმოებია დიდი ერუდიციითა და ფართო ინტერესებით აღბეჭდილი დღიურები, რომლებშიც გამოვლინდა როგორც ავტორის პირადი შთაბეჭდილებანი და მისწრაფებანი, ისე ეპოქისათვის დამახასიათებელი განწყობილებები და ტენდენციები. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, თუ გრ. ორბელიანის პროზაული შემეცნებებიდან ჩვენ ამ დღიურებს ცალკე გამოვყოფთ და საგანგებოდ შევცხებთ.*

დღიური, როგორც განსაკუთრებული ლიტერატურული ფორმა, უცხო არ

* აქ ჩვენ სპეციალურად აღარ ვეხებით გრ. ორბელიანის მხატვრულ ესკიზებს, როგორცაა „ან...დმი“, „ზამთრისა ქარი გრძალვს“ და სხვ., რომლებშიც ახალგაზრდა ავტორი უკვე დაკარგულ სიჭაბუქესა და ბედნიერებას მისტირის. საერთოდ კი, გრ. ორბელიანის ლირიკულ პროზაში იგივე მოტივები და განწყობილებები იჩენ თავს, რაც ძირითადად დამახასიათებელია მისივე პოეზიისათვის. სხვა პროზაული ნაწერების შესახებ იხ. ამავე გამოცემის შენიშვნებში.

არის ქართული მწერლობისათვის. უკვე მე-18 საუკუნის დამდეგს სულხან-საბა ორბელიანი თავისი „ეკრაპაში მოგზაურობით“ ამის ჩინებულ ნიმუშს იძლევა, ხოლო შემდგომ ავტობიოგრაფიული თხზულებები, როგორც თაიანთი ხასიათით ენათესავენთან დღიურს. საერთოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართველ მწერალთა შემოქმედებაში (საკამარისია გაეიხსენოთ ტიმოთე გაბაშვილი, დავით გურამიშვილი, იესე ოსეს შვილი და სხვ.). ე. წ. „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაშიც გრძელდება ეს ტრადიცია ისეთი ძეგლების სახით, როგორცაა გრიგოლ ბატონიშვილის „მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნოდე“, გიორგი ავალიშვილის „მოგზაურობა თბილისით იერუსალიმისადმი“, გაბრიელ რატიშვილის „მცირე რამ მოთხრობა რუსიისა“ და სხვ. ამ მხრივ მე-19 საუკუნის ლიტერატურაც ამზობს თავის სიტყვას. მაგრამ თამაზად შეიძლება ითქვას, რომ წარსულ საუკუნეებში ბევრს არ დაუტოვებია ისეთი მნიშვნელობის დოკუმენტური პროზის ნიმუში, როგორცაა გრიგოლ ორბელიანის „მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“.

„მოგზაურობა“ წარმოადგენს დღიურს, რომელიც პოეტს უწარმოებია 1831 წლის 9 იენისიდან 1832 წლის 31 აგვისტომდე, იმ დროს, როდესაც მან მთავარსარდლის გენერალ პანკრატიევის ბრძანებით კავკასიის კორპუსის დარჩეული ჯარისკაცები წაიყვანა პეტერბურგს „საგანგებო ჭვეითი ჯარის პოლიკისათვის“.

1832 წლის შეთქმულების გამქლავების შემდეგ გრ. ორბელიანი გაჩხრიკეს და, სხვა ნაწერებთან ერთად, მას დღიურებიც ჩამოართვეს (იმხანად პოეტი ნოე-გოროდში იმყოფებოდა). „მოგზაურობა“, შეთქმულების სხვა მასალებთან ერთად, ენდარმერის არქივში მოხვდა. ამის შესახებ პოეტს შემდეგი განუცხადებია იონა მელნარჯიასთან ერთ-ერთი საუბრის დროს:

„სამჯერ დააქვდა ჩემი დღიურები. ერთხელ დონში ჩაეცინდით და კინაღამ მეც დაეიხრჩვი; მეორეჯერ, როცა აეარის ხანი ვიყავი შაჰილის დროს, უცებ წინანდალში შემხვდა გამოქცევა და ტანისაძისები და წიგნები იქ დამეკარგა. მესამეჯერ, გამჩხრიკეს, როცა პოლიტიკური ორგულობა შემწამეს და სხვა წიგნებთან ერთად ჩემი მესამე და უკანასკნელი დღიურებიც დამეკარგა. შემდეგ ბევრი ეიხვეწე, ბევრი ეიმუდარე, მაგრამ არავინ ყურადღება არ მომაქცია და დღესაც დაკარგულად ვთვლი იმ წიგნებსა და დღიურებს“.

მხოლოდ 1928 წელს მიაკვლია „მოგზაურობას“ პ. ინგოროვამ და გამოაქვეყნა პირველი ცნობები მის შესახებ^{••}, ხოლო 1940 წელს მანვე დაბეჭდა „მოგზაურობის“ ე. წ. „ლიტერატურულად დამუშავებული“ ნაწილი^{•••}.

• ლიტერატურის მატთან, წიგნი 1-2, 1940, გვ. 385, ს. ციხიშვილის პუბლიკაცია. შეად. ი. მელნარჯია, ქართული მწერლები, I, 1941, გვ. 53-54.

შენიშვნა: აქ მცირე შეცდომა მოხდის პოეტს: „პოლიტიკური ორგულობის“ დროს ჩამოართველი დღიური ქრონოლოგიურად პირველი იქნება და არა უკანასკნელი.

•• ქართული მწერლობა, 1928, № 6-7.

••• მნათობი. 1940, № 2.

გრ. ორბელიანს გზადაგზა უწარმოებია დღიური და, ცხადია, მგზავრობის დროს მხოლოდ შავად უწერია. დღიურმა ამ სახით მოაღწია ჩვენამდე. გამონაკლისს წარმოადგენს „მგზავრობის“ მხოლოდ ერთი ნაწილი, კერძოდ, მგზავრობის აღწერა თბილისიდან სტავროპოლამდე (დღიური 1831 წ. 9 ივნისიდან 7 აგვისტომდე), რუსეთში ყოფნისას დღიურის ეს ნაწილი გრ. ორბელიანს გადაუთეთრებია და, როგორც ჩანს, სტილისტურადაც უფრო დაუხვეწავს. ჩვეულებრივ, დღიურის აზნაწილს უწოდებენ „მგზავრობას“ და მას ანცალკეებენ დღიურის შემდეგი ნაწილებისაგან — ე. წ. „მოსკოვისა და პეტერბურგის პერიოდის“ დღიურებისაგან. პატივცემული მკვლევარი პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ „ეს ტექსტი „მგზავრობისა“ წარმოადგენს არა უბრალო დღიურს, არამედ წმინდა ლიტერატურულ ნაწარმზე. რომელსაც საფუძვლად პეტრის დღიური დასდებია. „მგზავრობა“-ს შენარჩუნებელი აქვს დღიურის თბრობის ქარგა, რაც მას დოკუმენტალური პროზის ხასიათს ანიჭებს“.

სინამდვილეში კი დღიური ერთი მთლიანი ნაწარმოებია როგორც ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით, ისე შინაარსისა და განწყობილებების მხრივაც და ამჟამად ჩვენს მიერ აღდგენილი ტექსტი სავსებით აშართლებს სათაურს: „მგზავრობა ჩემი დღიური და პეტერბურგის“ (ხაზი ჩვენია), განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ „მგზავრობის“ ერთი ნაწილის გადათეთრება და სტილისტურად დახვეწა ავტორის მოუსწრია, დანარჩენისა კი ვერა“.

საკუთარი განცდილისა და ნაზრევის ქალღღმურ ფიქსირებას გრ. ორბელიანი. საერთოდ. დიდ ყურადღებას აქცევდა. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია მისი წერილი ილია ორბელიანთან 1835 წლის თარიღით:

„გააკეთე პანორმის ტურნალი, რომელშიაც ჩაწერე ყოველდღე ცხოვრება შენი; როგორ ვაატარე დღე იგი, რა ილაპარაკე, რა გააკეთე, რა გაიგონე. **В ОТНОШЕНИИ ВОЕННЫХ.** სად იდგა თქვენი პოლი ანუ ოტრადი, და როგორის წესით, და აღწერე იგი ადგილი с описанием обычаев, права жителей тамошних, сколько дозволено твоим (...) сиречь ?)... ესე შენთვის დიან სასარგებლო და სასიამოვნო იქნება შემდეგ, პირველად რომ გონება შენი უშეტეს და უშეტეს განიხსნება და შეეჩვევა განმსჯელობასა, და მეორედ რომ რამდენსავე წელს უკან შენი წარსული დღეები ცხადად წინ წარმოგიდგება და მით პსენობ, თუ რაოდენი დღეები უბრალოდ, ფუქვად განგიტარებია“.

პ. ინგოროყვა, გრ. ორბელიანის „მგზავრობა“, მნათობი, 1940, №2. გვ. 88, შეად. მისივე, გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები, ქართული მწერლობა, 1928, №6-7, გვ. 240, 244. ხაზი ავტორისა.

„მგზავრობის“ გადათეთრებული ნაწილი შესრულებულია მელნით. დანარჩენი ნაწილი კი თავდაპირველად თითქმის ყოველთვის ნაწერია ფანქრით და შემდეგ გატხოველებულია მელნით.

გრ. ორბელიანი, წერილები, I, 1936, გვ. 36. ა. გაწერელის რედ.

ამიტომ ბუნებრივია, რომ თვითონ პოეტის გულმოდგინედ აწარმოებდა დღიურს. ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანსა და მძიმე წუთებში დღიური მისი უახლოესი მესაიდუმლო იყო. ამიტომ არის ასეთი უშუალოდ აღბეჭდილი გრ. ორბელიანის დღიურები: „...საკუთრებით კი „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“.

„მგზავრობა“, უწინარეს ყოველისა, ყურადღებას იქცევს იმით, რომ მასში შეუფარავლად გამოქვეყნებული გრ. ორბელიანის პოლიტიკური სიმამათიები. „მგზავრობა“ იმ დროსა დაწერილი. როდესაც გრ. ორბელიანი უკვე შეთქმულების წევრი იყო და აღფრთოვანებით წერდა ისეთ პატრიოტულ ლექსებს, რომლებშიც მკვეთრად გამოვლენილი მეფის რუსეთის საწინააღმდეგო სულისკვეთება. ამიტომ სავესებით ბუნებრივია, რომ „მგზავრობაში“ იხინა თავი პოეტის პოლიტიკურმა რადიკალიზმმა. გრ. ორბელიანი აშკარად მოჰხრება რუსეთის ზელისუფლების დამხობისა და ავი საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებებს.

ავტორის პოზიცია ყველაზე ნათლად გამოჩნდა მის ცნობილ დიალოგში გენერალ ივანე აფხაზთან“. ეს დიალოგი ორ მამულიშვილს შორის საქართველოს წარსულისა, აწმყოსა და მომავლის შესახებ მრავალმხრივად საგულისხმო, როგორც ეპოქის ყველაზე დიდი ტყვიელების გამომხატველი.

ამ დიალოგის მიხედვით, ი. აფხაზი ისეთავე გულმხუარეულ მამულიშვილია, როგორც თვითონ გრ. ორბელიანი. მაგრამ მისი სიყვარული სამშობლოსადმი როდი გულისხმობს საქართველოდან რუსეთის ზელისუფლების განდევნას. თუკი არც ის არის სავსებით კმაყოფილი შექმნილი ვითარებით; როგორც გრ. ორბელიანი აღნიშნავს — „...მწუხარებითა უბნობდა ქართველებზე, რომელთაც აღზოცის შორის კეთილშობილური სიამაყე და სიყვარული მამულისადმი და არან მონებასა ქვეშე, დამდაბლებულნი სულითა“. დიალოგის დასასრულს ი. აფხაზი ეცხადებს: „ღმერთი არს მოწამედ, რომელ შთლად ქართველთ არ უყვარსთ ეგოდნად მამული თვისი, როდენათაც მე მარტოს, ასე რომ, თუ სიკვდილითა ჩებითა შეიცვლებოდეს საქართველოს მდგომარეობა ესრეთ კეთილად. ვითარცა მშურს მე, წამსავე ამას სიხარულითა გადაეარდებოდი თანჯრიდამ სასიკვდილოდ. — ეკლად ვამბობ. რომ დრომ, დრომ უნდა აღადგინოს საქართველო“. მაგრამ ცხოვრებაგამოვლილი და მრავლის მნახველი ი. აფხაზი, ითვლისწინებს რა ისტორიულ ვითარებას, სრულად შეგნებულად უპერს მხარს საქართველოში რუსეთის ძა-

* გენერალ-მაიორი ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზი, ჩანს, ავტორიტეტით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის, მაგრამ ცხადია ისიც. რომ იგი შეთქმულების თანამზრახველი არ იყო. ეს აშკარაა „მგზავრობაში“ ჩართული დიალოგიდანაც. მაგრამ, როგორც იტყევა. შეთქმულების ხელმძღვანელები იყენებდნენ მის სახელს და ზოგიერთ წევრს არწმუნებდნენ, რომ გენერალი აფხაზი შეთქმულების მონაწილეა (იხ. ვიორგი ერისთავის ჩვენება — გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1935, გვ. 243).

ლაუფლებას. იგი კატეგორიულად წინააღმდეგია რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტისა, რადგან ხედავს, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგად ქართველი ხალხი გადარჩა ფიზიკურ განადგურებას და რუსეთთანაც გზით იგი დაუკავშირდა ახლ, რუსულ-ევროპულ კულტურას. ამიტომ ი. აფხაზი საუბრის დასაწყისშივე ამბობს:

„ღმერთო, ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, რომელ მძულეზულ იყენენ დტვევებად საქართველოსა, რომელიცა მუსივე შეიქმნების მსხვერპლად უწესობისა, შინაგანისა განხეთქილებისა და ზედა-დასახმისა დაუძინებელთა მტერთაგან“.

უკვე აქედან ვხედავთ, რომ ი. აფხაზი ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილის წარმომადგენელია, რომელმაც თავიდანვე შეგნებულად გაიზიარა რუსეთთან საქართველოს დაკავშირების აუცილებლობა და ამიტომ უფრო „ზომიერი“ პოზიცია დაიკავა. კროკორე ი. აფხაზის განცხადებიდან ჩანს, ქართველ პატრიოტთა ამ ჩვეული დევიზია: „ღრომ უნდა აღადგინოს საქართველო“.

გრ. ორბელიანი ი. აფხაზის ამ მსჯელობას თავის მოსაზრებებს უპირისპირებს კერძოდ, იგი აცხადებს, რომ საქართველო შეძლებს დამოუკიდებლად არსებობას, რადგან ახლა პოლიტიკური სიტუაცია სავსებით შეიცვალა — მაჰალიანური სახელმწიფოები „...არაღა მოინდომებენ, რომელ საქართველომ კელავცა მოსთხოვოს მფარველობა რომელსამე ძლიერსა სახელმწიფოსა ევროპასა შინა“; დამოუკიდებელი საქართველო შეძლებს რეგულარული არმიის შექმნას და რომ „... ერისა სულისა დამდაბლებასა ადვილად აღხოცენ იგინი, ვინცა იქმნებიან, შემდგომად რუსთაგან დატევებისა, ერის მმართველნი, უკეთუ იქმნებიან გონებიან და შორსმხედველ“.

მაგრამ გრ. ორბელიანის ამ მოსაზრებებს საკმაოდ ადვილად აბათილებს ი. აფხაზი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თვით გრ. ორბელიანი ძალზე მიუდგომლად და კეთილანდისიერად გადმოგვეცხს თავისი ოპონენტის შეხედულებებს. თითქოს თვით დღიურის ავტორიც გარეშე მსმენელია ამ დიალოგისა და ცდილობს ობიექტურად ასწრო-დასწროს ორივე მხარის მიერ წამოყენებული არგუმენტები. საერთოდ, ჩანს, რომ ი. აფხაზის მსჯელობას გრ. ორბელიანზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. შემთხვევით არ ამბობს გრ. ორბელიანი დიალოგის დასაწყისში: „ახ! ვითარ ძლიერად და მართლად აღსწერა (ი. აფხაზმა — ჯ. ჭ.) წინდელი მდგომარეობა საქართველოსა, რომელიცა უყვარს, ვითარცა ჭეშმარიტსა ძესა მამულისასა“. ხოლო საგანმანათლებლო კომისიისათვის გრ. ორბელიანს განუცხადებია: ქალაქ სტავროპოლში მე ვინახულე გენერალ-მაიორი თავადი აფხაზი, რომელიც მიდიოდა მოქმედ არმიასი პოლონელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მან თქვა: ღმერთსა ვსთხოვე, რომ ეს ომი მალე წარმატებით დამთავრდეს, ვინაიდან შეიძლება ამაზე იქნეს დამოკიდებული საქართველოს ბედი, რადგან თუ იქ რუსეთს საქმე გაუბრუნდდა, საქართველოს მიტოვებდნო. მე გამოიკვირდა, მაგრამ ი. აფხაზმა ამისნა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა რუსთაგან საქართველოს დატოვებას. შემდეგ გრ. ორბელიანი ამტკიცებს, რომ მე აღრე მქონდა კამათი ალ. ორბელიანთან და ელიზბარ ერისთავთან იმის თაობაზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლად არ

სებობა არ შეუძლია. და რომ უფრო დაცრწუნებულთაგან ჩემი აზრის სიმართლეში, შევეკითხე გენერალ აფხაზს. მისი პასუხის შემდეგ კიდევ უფრო დაცრწუნდი ჩემი მოსაზრების სისწორეში*.

მიუხედავად ამისა, როგორც გრ. ორბელიანის შემდეგი საქმიანობა ცხად-ყოფს, მას არ შეუწყვეტია კავშირი 1832 წ. შეთქმულების მონაწილეებთან და იმხანად არსებითად არ შეუცვლია თავისი პოლიტიკური პოზიცია.

ასე რომ, „მგზავრობაში“ ჩართული ეს დიალოგი კარგად გააზიარებს ეპოქის ტიპიურებს, ქართულ საზოგადოებაში არსებულ განწყობილებებს; იგი გვიჩვენებს ორ ტენდენციას, რომლებიც იმხანად არსებობდა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში.



მაგრამ გრ. ორბელიანის პოლიტიკური თვალსაზრისის სრულყოფილად გამოკეთსათვის არ კნარა მხოლოდ იმის ჩვენება, რომ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში იგი შეთქმულების წევრია და თანამემკუდლებს იარაღისაკენ მთუწოდებს. საინტერესოა ვაიროვეს საკითხი, თუ რა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური იდეალი ამოძრავებდა პოეტს, როგორი იყო მის მიერ არჩეული სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა.

„მგზავრობა“ ამ მხრივაც იძლევა საინტერესო მასალას.

თქმა იმისა, რომ გრ. ორბელიანი იმხანად მონარქისტი იყო და სამეფო ტახტის იქნეთ ვერაზ ხედავდა, არ არის მართებული. „მგზავრობაში“ გვხვდება ადგილები, საიდანაც ჩანს გრ. ორბელიანის სიმპათია რესპუბლიკური წყობილები-

* საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ლენინგრადის ფონდი, XVIII, გვ. 3505.

საგამომძიებლო კომისიას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ივანე აფხაზთან გრ. ორბელიანის დიალოგისათვის. ეს დიალოგი მთლიანად უთარგმნიათ კომისიისათვის. კომისიისათვის აგრეთვე უთარგმნიათ ის ადგილი, სადაც გრ. ორბელიანი ხაზგასმით ლაპარაკობს ყაბარდოელთა თავდადებულ ბრძოლაზე თვისუფლებისათვის: „ყაბარდოელნი არიან თავისუფლების მოყვარენი, რომლისათვისცა ებრძვიან ესოდენთა წელთა რუსთა, რომელთაცა შეიწროეს ფრიად, და ამცირეს და დაიპყრეს მთელი ყაბარდო; გარნა სიყვარული თავისუფლებისა ვერა აღოცეს მათ შორის. ესენი არიან მხნენი და ყოველთვის საოპრად განზადებულნი და მარადის ეძიებენ შემთხვევასა, რათა დაიხსნან მამული თვისი რუსთაგან“ (ავტორგრაფში განსაკუთრებით გაუსეიათ წითელი ხაზი სიტყვებისათვის: „დაიპყრეს მთელი ყაბარდო; გარნა სიყვარული თავისუფლებისა ვერა აღოცეს მათ შორის“).

ესა და მთელი რიგი სხვა ადგილები „მგზავრობის“ ავტორგრაფში ხაზჩამოსმულთა და აწერია „Переход“. აღსანიშნავია, რომ ეს „სიყვარული“ ხაზჩამოსმულ გვერდები დღეურის მხოლოდ გადათეთრებულ ნაწილში გვხვდება. ეს ფაქტი იმით იხსნება, რომ „მგზავრობაში“ ამ ნაწილში ავტორის თვალსაზრისისა და განწყობილებების უფრო შეუფარავ გამოვლინებასთან გვაქვს საქმე.

სადმი. თ. მაგალითად, ნოვგოროდში ჩასული პოეტი თავის დღიურში (1831 წლის 24 ოქტომბერს) შემდეგს წერს:

„ფიქრმა ნოვგოროდისათვის არ დამაძინა დიდს ხანს. გონებაში წარმომიდგა რესპუბლიკური უწინდელი ამათი მმართველობა, სიმდიდრე, ვაჭრობა და მხნეობა ამის მოქალაქეთა, ვე ჩ ე ვ ო ს ზარი (ანუ ბუკი), რომლითაც შეიკრებოდა ხალხი მძიმის საქმის გარდასაწყვეტლად; ნოვგოროდის რაყფობა მოსკოვის მეფეებთან და შემდგომად დამხოზა მისი მრისხანე იოანეს მეფის მიერ ვიღრე იყო რესპუბლიკად, ნოვგოროდი ყვაილოვნობდა ვაჭრობითა, მხნეობითა, სიმდიდრითა და იყო სხვათა რუსებზე უმეტეს განათლებულიცა და თვით თათართ მონგბასაცა ვადურჩა; გარნა აწ აღარც იჩრდილი ჰსჩანს უწინდელისა მის შემძლებლობისა. — რკინის ხელმან შეიპყრა და განაქარვა ყოველი დიდბა მისი.“

არაა შემთხვევითი, რომ „ნოვგოროდის რესპუბლიკას“ იგონებს პოეტი მოსკოვის დიდგლეირების დროსაც:

„აქვე არს ნოვგოროდის ზარი ოთხას ოცი პუდინანი; ვგონებ ესე იყო (გ. ჩის) ზარი (ანუ ბუკისა), რომლისა ხმაზე შეიკრიბებოდნენ ნოვგოროდელნი რესპუბლიკის დროსა, გარდასაწყვეტლად მძიმის რესპუბლიკის საქმისათვის, ქალაქს გარეთ. ნოვგოროდელთა ზარი ესე გამოაცილეს დიდის ტირილითა. ვითარ არა ეტირნათ ამა ზარისათვის, რომლისა ხმა რაოდენსავე საუკუნესა შეჭრებდა ვეჩეს, ანუ შესაქრებელსა ადგილს და მოაგონებდა მათ თავისუფლებასა, რაჲ შელიცა მიანიჭა მათ დიდმან თავადმან იაროსლავმან. — ვიდრემდის ზარი ექცეოდა ნოვგოროდს, რესპუბლიკური სული და აღრეულობა არა განქარდა მათ შორის; ხოლო შემდგომად მრისხანე იოანეს მეოთხემა, რა შემუსრა ქალაქი იგი ზარისა ესე გარდმოიტანა მოსკოვს და ამ სამრეკლოსა ზედა დაჰკიდა“.

ამ ადგილების მიხედვით, აშკარაა, გრ. ორბელიანის თანაგრძნობა რესპუბლიკისადმი, აშკარაა, რომ პოეტი სახელმწიფოებრივ კეთილდღეობას რესპუბლიკურ წყობილებას უკავშირებს. გრ. ორბელიანის ასეთი მსჯელობა არაა მოულოდნელი და ისტორიულად გაუგებარი, რამდენადაც ახლა უკვე ენობილია, რომ 1832 წლის შეთქმულების ზოგიერთი მონაწილისათვის არ იყო უცხო ეპოქისათვის დამახასიათებელი რესპუბლიკური იდეები (მაგალითად, ს. დოდაშვილისათვის და სხვ.). გრ. ორბელიანიც მათ რიცხვში ყოფილა**.

რასაკვირველია, ახლა ძნელია თქმა, თუ რამდენად გამოყვეთილი და გაყნობიერებული ჰქონდა გრ. ორბელიანს რესპუბლიკური სახელმწიფოებრივი წყობი-

* უნდა აღინიშნოს, რომ დღიურის ამ ადგილსა და მასთან დაკავშირებულ გრ. ორბელიანის „რესპუბლიკანურ სიმპატიებს“ ჭერ კიდევ 1928 წელს მიიქცია უპრადლება მეკლდეარმა პ. ინგოროყვამ (იხ. მისი, გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები, ქართული შწერლობა, 1928, № 6-7).

** 70-იან წლებში გამართული პოლემიკის დროს ა. წერეთელმა პოეტს „ნოვგოროდის ლიბერალი“ უწოდა („ხარაბუზა ლენერალს“). საინტერესოა, რა ცნობა ჰქონდა ა. წერეთელს, როდესაც გრ. ორბელიანს იმდაგვარად ახასიათებდა?

ბილგის ხასიათს. თავისთავად ის ფაქტი, რომ პოეტი ერთმეორესთან აიგივებს ნოვეგოროდის ვეჩეს (სახალხო კრებას) და რესპუბლიკურ წყობილებას, იმაზე მიუთითებს, რომ მას მთლად ნათლად არ ჰქონდა ჩამოყალიბებული რესპუბლიკური პრინციპები.

ახლა ძნელია იმის თქმაც, თუ რამდენად ორგანული იყო გრ. ორბელიანისათვის ეს პრინციპები და იგი, როგორც შეთქმულების წევრი, ემხრობოდა თუ არა თავის სამშობლოში რესპუბლიკის დამყარებას.

მაგრამ, მეორეს მხრივ, ნოვეგოროდის ვეჩეს აპოლოგია იმითაა საინტერესო, რომ ნათელაჰოფს, თუ რაოდენ იტაცებდა იმხანად გრ. ორბელიანს დემოკრატიული მმართველობის ფორმები და თავისუფლების იდეები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ „მგზავრობაში“ პოეტმა ხშირად მოწოდებით ლაპარაკობს მონარქიული ხელისუფლების წარმომადგენლებზე, სულ ერთია, იქნებიან ისინი ქართველი, თუ რუსი მეფეები. მაგრამ საქმე იმაშია, რომ გრ. ორბელიანი, ამ შემთხვევაში, აღტაცებულია აღნიშნულ პიროვნებათა ისტორიულად დამსახურებული დიდებით (მაგალითად, ერეკლე მეორისა, პეტრე პირველისა და სხვ.). ზოლო ტირანი მეფეებისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ „მგზავრობის“ ავტორი გულწრფელ აღშფოთებას გამოთქვამს. შემთხვევითი არაა, რომ პოეტი ყოველთვის თანაუგრძნობს ცალკეული ხალხის, ქალაქებისა და პიროვნებების ბრძოლას თავისუფლებისათვის (ყაბარდოელთა, ნოვეგოროდისა, მართა პოსადნიცის, მინინი და პოეარსკისა, ასევე რუსეთის სახელმწიფოს ბრძოლას ნაპოლეონის წინააღმდეგ და სხვ.). აღსანიშნავია ისიც, რომ გრ. ორბელიანი თავის „მგზავრობაში“, განსხვავებით მამდევნო პერიოდის დღიურებისაგან, არსად არ იძლევა ნიკოლოზ პირველის აპოლოგას, თუმცა ამის შესაძლებლობა მას ხშირად იქვს. და ეს სავსებით გასაგებია დამოკიდებულება შეთქმულების მონაწილისა ცოცხალი იმპერატორისადმი.

მართალია, შეთქმულების წლებშიც გრ. ორბელიანმა სავსებით ვერ გაწვევითა კავშირი მონარქისტულ ტრადიციებთან და მას მაშინაც სწამდა, რომ, მაგალითად, რუსეთის დედოფალი (ამ შემთხვევაში მარია თედორეს ასული, პაეღე პირველის მეუღლე) მოწოდებულია იყოს ლტაკთა და დაჩაგრულთა ჰემმარტი მფარველი: „და, მართლად, ეის ჰშენის უმეტეს მფარველობა და მოღვაწეობა გლახათა, უძღურთა ყრმათა, თუ არ თვით დედას იმპერატრიცას“ (ეს ის ტენდენციაა, რომელმაც შეთქმულების დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო მკვეთრად იჩინა თავი გრ. ორბელიანის აზროვნებაში), მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ამ ხანებში გრ. ორბელიანი უკრიტიკოდ არ უყურებს მონარქიულ ხელისუფლებას და მისი პოლიტიკური რადიკალიზმი საექვეო არ არის (რაც სრულებით აღარ ახასიათებს პოეტს მოღვაწეობის შემდგომ პერიოდში).

გრ. ორბელიანის „მგზავრობაში“ უხვადაა წარმოდგენილი პოეტი-მოგზაურის შთაბეჭდილებანი, ნახული და გაგონილი. უნდა აღინიშნოს, რომ პოეტის თვალში მიქცეულია როგორც საყოთარო შინაგანი სამყაროსაკენ, ისე გარეშე საგნებისა და

მოვლენებისაკენ და ხშირად ეს უკანასკნელი ტენდენცია უფრო ძლიერია, ვიდრე პირველი. უნდა ითქვას, რომ სწორედ ამის გამო ზოგჯერ პოეტის დღიურების ლირიკულობა კლებულობს, სათანადო სისრულით არაა წარმოდგენილი ავტორის ინტიმური ცხოვრების ეპიზოდები, რაც ერთგვარად განცვიფრებას იწვევს, რადგან ასეთი ტენდენცია არ იყო მოსალოდნელი რომანტიკოსი პოეტისაგან, მით უმეტეს, ისეთ ინტიმურ დოკუმენტში, როგორცაა დღიური, სადაც ავტორის განცდები, საუბარი საკუთარ თავთან ყოველთვის წინაა წამოწყული. სამაგიეროდ, იზრდება დაძველებული მწერლის ფიგურა, რომელსაც საგნებისა და მოვლენების-გან აღძრული მხოლოდ საკუთარი განწყობილებები და ემოციები კი არ აინტერესებს, არამედ ხშირად თვით ეს საგნები და მოვლენები. „მგზავრობაში“ გამოვლენილი ეს ტენდენცია ფრიად საყურადღებოა და მიუთითებს იმაზე, რომ თვით ისეთი რომანტიკოსის შემოქმედებაშიც, როგორცაა გრ. ორბელიანი, რეალისტური ინტერესები იჭრება და ამზადებს ნიადაგს უფრო ფართო რეალისტური ტენდენციებისათვის ქართულ მწერლობაში.

გრ. ორბელიანი თავის „მგზავრობაში“, დაწყებული თბილისიდან, ვიდრე პეტერბურგამდე, ვრცლად აღწერს ისტორიულ ძეგლებს, ქალაქებს, ხალხის ზნეჩვეულებებს და სხვ. აღსანიშნავია, რომ პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რუსეთში კეთილმოწყობილ ადგილებს, საცხოვრებელ სახლებს, საკომუნიკაციო საშუალებებს. ყოველივე ამის იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. გრ. ორბელიანი საგანგებოდ ჩერდება კულტურულ-სააღმწარდგლო, საქველმოქმედო, სამეცნიერო და სამხედრო დაწესებულებებზე. იგი გადმოგვცემს მათი დაარსების ისტორიას, აღნიშნავს მათ მნიშვნელობას სახელმწიფოსათვის და ა. შ. პოეტი-მოგზაური დაწვრილებით აღწერს საქურელის პალატას, ერმიტაჟს, სხვადასხვა მონასტრში დაკულ ექსპონატებსა და რელიქვიებს. საერთოდ, გრ. ორბელიანი აღტაცებულია რუსეთის ქალაქების; განსაკუთრებით კი მოსკოვის, ნოვგოროდის, პეტერბურგისა და პეტერგოფის ისტორიული ძეგლებითა და კეთილმოწყობით.

ამ დეტალური აღწერილობებითა და ისტორიული ცნობებით აღსაყვამდე დღიურიდან მკითხველის წინაშე წარმოდგება ფართო ინტერესებისა და განათლების მქონე ავტორი, რომელსაც მხოლოდ ცნობისმოყვარეობა კი არ ამოძრავებს, არამედ. უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს იმ ხალხის ისტორიისა და კულტურის ყოველმხრივ გაცნობა, რომელთანაც მას ურთიერთობა უზღდება, სულ ერთია, იქნება ეს დიდი ვარი, თუ პატარა ტომი.

თვით პოეტს ერთ-ერთი ჩვენების დროს საგამომძიებლო კომისიისათვის განუცხადებია, რომ საკუთრივ რუსეთის ისტორიისა და ძეგლების დაწვრილებით ილწურავს ის მიზანი ჰქონდა, რომ მე მსურდა თანამემამულეებისათვის გამეცნო რუსეთის სიძლიერე, რაც თავისთავად .ჩანს გვირგვინების ილწურიდან, რომლებიც რუსეთში მოიპოვა და რომლებიც საქურელის პალატაში ინახებოდა. და თუ იქვე კეთილგანზრახვას ყოველთვის შესაფერისად ვერ ვასრულებ, — განავრცობს ვრ. ორბელიანი, — ყოველ შემთხვევაში, იქ სამსახურში მყოფ და აღზრდილი

ქართველთაგან მე ვარ პირველი, რომელმაც ეს ღირსშესანიშნაობანი აღწერაო^ა.

უნდა ითქვას ისიც, რომ ავტორის ინტერესების სფერო მხოლოდ ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება: რუსეთში მყოფ გრ. ორბელიანს ქართულ ბატონიშვილებთან უსაუბრია არა მარტო საქართველოს ბედზე, არამედ მუსიკისა და მხატვრობის საკითხებზეც, უნახავს რუსული სპექტაკლები, მოუსმენია იტალიელ ხელოვანთათვის, დაფიქრებულა თეატრისა და, საერთოდ, ხელოვნების მნიშვნელობაზე საზოგადოებისათვის და საკუთარი შთაბეჭდილებანი და მოსაზრებანი აღნიშნავს დღიურში. ეს ჩანაწერები მნიშვნელობას არ არის მოკლებული პოეტის ესთეტიკური მიდრეკილებების გასარკვევად. საინტერესოა ითქვას ისიც, რომ გრ. ორბელიანს განზრახული ჰქონია სპეციალურად შეეტანა დღიურში მსჯელობა თეატრის მნიშვნელობაზე, მაგრამ ეს ველარ მოუხერხებია და ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე საყურადღებო შენიშვნამ მოაღწია. ეს შენიშვნები არსებითად სათაურებია განზრახული თემებისა: **«Влияние театра на нравственность»** აღწერა თეატრისა. სადაც არ არს, მუნ არცა არს განათლება ხალხისა^ა.

* * *

გრ. ორბელიანის მომდევნო ხანის დღიურებიდან ჩვენამდე მოუღწევია მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ფრაგმენტს, რომელიც დაწერილია 1836 წელს. გრ. ორბელიანის დღიურის ეს ნაწილი თავისი მნიშვნელობით ვერ შეედრება მისსავე

^ა საქ. ცენტრ. სახელმწიფო არქივი, ლენინგრადის ფონდი, რვ. XXII. გვ. 4348.

რა თქმა უნდა, „მგზავრობაში“ წარმოდგენილ ყოველგვარ აღწერას საგანმანათლებლო და მეცნიერული მიზანი არ ჰქონდა. მაგალითად, რუსეთის ქარების დისლოკაციის აღნიშვნა საქართველოდან ჩრდილო-კავკასიამდე, როგორც სამართლიანად ფიქრობს მკვლევარი პ. ინგოროყვა, თბილისელ შეთქმულთა დაეაღების შედეგი უნდა იყოს (იხ. პ. ინგოროყვა, გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები, ქართული მწერლობა, 1928, № 6-7, გვ. 251, შეად. მისივე, გრ. ორბელიანის „მგზავრობა“, მნათობი, 1940, № 2, გვ. 93).

^ა ამ მხრივ შეად. პეტერბურგის აღწერაში ქვეთავი — „საზოგადო საღიზნო აღგილი“, სადაც ავტორი მოკლედ მსჯელობს თეატრის მნიშვნელობაზე.

რაც შეეხება „მგზავრობაში“ უხვად წარმოდგენილ ცნობებს რუსეთის ისტორიისა და სხვადასხვა ღირსშესანიშნაობის შესახებ, აშკარაა, რომ ავტორი ასეთ შემთხვევებში, გარდა საკუთარი თვალით ნახულისა, იყენებს გარკვეულ აღწერილობებსა და ისტორიული ხასიათის ნაშრომებს. კერძოდ, როგორც გამოირკვეა, გრ. ორბელიანს საკმაოდ უსარგებლნია ნ. კარამზინის ცნობილი ნაშრომითაც „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“ (ამის შესახებ დაწერილებით იხ. მ. გოციძე — გრ. ორბელიანის „მოსკოვის აღწერა“. მნათობი, 1956, № 3, გვ. 171), ზოლო კარამზინის მეორე თხზულების — „რუსი მოგზაურის წერილების“ გველენაზე ჟერ კიდევ 1935 წ. მიუთითა პროფ. მ. ზანდუკელმა (იხ. ახალი ქართული ლიტერატურა, I, 1935, გვ. 192, უფრო დაწერილებით იხ. მისივე, ახალი ქართული ლიტერატურა, I, 1956, გვ. 146-147).

„მგზავრობას“, მაგრამ იგი ყურადღებას იქცევს, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ მასში საკმაოდ ვრცელად აღმოცემული „გადასახლებაში მყოფი“ პოეტის ცხოვრების ეპიზოდები, გამოკვეთილია პოეტის პოლიტიკური პოზიცია 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ და გამოძღვანებულია ის სოციალური შეხედულებები, რომლებიც იმხანად გრ. ორბელიანს ჰქონია.

დღიურის წარმოების მანერის მხრივ და საგნებისა და მოვლენებისადმი ავტორის დამოკიდებულების გადმოცემის თვალსაზრისით, ეს ფრაგმენტი საესე-ზით ანალოგიურია „მგზავრობისა“ და ამ საკითხებზე მსჯელობას აღარ ვაე-გრძელებთ.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გრ. ორბელიანს ი. მეუნარგიასთან ერთ-ერთი საუბრის დროს განუცხადებია, რომ სამჭერ დამელუპა ჩემი დღიურები, კერძოდ კი, როდესაც დონში ჩავცივნიდით და კინაღამ მეც დავიხრჩიეთ*. ჩვენთვის ცხა-დია, რომ დღიურის ის ნაწილი, რომელსაც ამჟამად ვეხებით, დონზე დაკარგუ-ლი დღიურების გაგრძელებას წარმოადგენს. მარცხს, რომელიც პოეტს დონზე შეემთხვა, ადგილი ჰქონდა 1834 წელს, ხოლო დღიური, რომლის შესახებაც ჩვენ ვმსჯელობთ, როგორც ვთქვით, დაწერილია 1836 წელს.

პოეტის მოგზაურობა იწყება სოფელ კლაუსტუციდან და მთავრდება დინა-ბურგში მისვლით, სადაც იგი პოსპიტალში წვება (შემდეგ, რამდენიმე ფურცლს გამოშვებით, მოსდევს ფრაგმენტი, რომლის მიხედვითაც გრ. ორბელიანი ისევ სამხედრო მანევრებში იღებს მონაწილეობას). დღიურიდან ჩანს, რომ გრ. ორბე-ლიანი ამ ხანებში კოვნოსა და ვიტებსკის გუბერნიებში იმყოფება, ან უფრო სწო-რად — ვილნოსა და ვიტებსკისა, რადგან კოვნო ჭერ კიდევ არ ითვლებოდა სა-გუბერნიო ქალაქად.

ამ განუწყვეტელი მგზავრობის მიზანი ხან მანევრებია, ხან, როგორც თვით პოეტი ვაუწყებს, მათი ბატალიონი პოლონეთიდან მოსულ ახალწვეულებს (რე-კრუტებს) აცილებს დინაბურგისაკენ**.

ამ მოგზაურობის დროს გრ. ორბელიანის დაკვირვებულ თვალს არაფერი ეპარება და მისთვის საინტერესოსა და ღირსშესანიშნავს ინიშნავს დღიურში. ამ ჩანაწერების მიხედვით ჩვენს თვალწინ ცოცხლდება პოეტის ფიგურა მის ბუ-ნებრივ პოზაში.

უნდა ითქვას, რომ ის მებრძოლი სული, რომლითაც გამსჭვალულია 1832 წლის შეთქმულების პერიოდში დაწერილი გრ. ორბელიანის „მგზავრობა“, დღიუ-

* ლიტერატურის მატრიანე, წიგნი 1-2, 1940, გვ. 385.

ასეთსავე ცნობას დონზე მომხდარი შემთხვევის შესახებ ვპოულობთ ი. მეუნარგიას წიგნშიც (იხ. ცხოვრება და ღვაწლი თ. გრ. ორბელიანისა, გვ. 30), შეად. თვით პოეტის წერილი ზაქარია ორბელიანთან 1834 წ. 2 აპრილის თარიღით (წერილები, I, გვ. 11).

** შეად. წერილი ილია ორბელიანთან 1836 წლის 16 სექტემბრის თარიღით (იხ. წერილები, ტ. I, გვ. 41).

რის ამ ნაწილში უკვე აღარ ჩანს; „მგზავრობისათვის“ დამახასიათებელი პოლიტიკური რადიკალიზმი აქ შეცვლილია პოლიტიკური ოპორტუნიზმით. პოეტი უკვე „პოლიტიკურად ორგულს“ როლს აღარ ასრულებს. გრ. ორბელიანი საბოლოოდ დგება მონარქიული ხელისუფლების მხარეზე და რწმენა „დიდსულვანი ხელწიფისადმი“ მტკიცედ იცილებს ფეხს მის შეგნებაში. აი, სინამდვილე, რამდენიმე ადგილი დღურიდან:

„დაქანცული 7-ია ივლისსა მოვედით ქალაქს ბონევეესს, მარამი ვითარკა უბნობს ციციანოვი, ნუგეშსა ვჰსცემ თავსა ჩემსა პაზრითა მით, რომელ ყოველსავე ამას მოითხოვს ჩემგან სამსახური ხელწიფისა*, რომელიცა არა დაჰკარგულ ჰყოფს არაეისსა სამსახურსა უწილდოდ“.

ანდა: „არ დამავდებს მეცა უნუგეშოდ ღმერთი, რომელმანცა დამიხსნა მგ თვრამეტისა ძლიერის ომისაგან, საყარობილსგან, წყალში დაღუპისგან, და სნეულებისგან, რომელმანცა მიმიყვანა თითქმის სამარემდის. იგი მოახედინებებს ჩემზედ მოწყალის თვალთ ჩემსა ხელწიფესა, მართლად დიდსა და დიდსულვანსა“.

ან კიდევ: „იღეს ვჰსცანიოთ, რომ ხელწიფით არ მობრძანდება ჩემის კორაულის განსახალეულად და ამ ამბავმა ფრიად შეგააწუხა. მრავალნი მოველოდით მისგან ჭილდოსა, და ყოველთა ერთობრივ გვსურდა, გვწყუროდა ხილვა ესრეთ დიდებულისა ხელწიფისა, რომელიცა ტანით, სახით, გონებით, სულისა შემძლებელობით, დიდსულვნობით არის მართლად ხელწიფით“.

ასევე არაა შეშხევეითი გრაფი პასკევიჩის ის აპოლოგია, რასაც ადგილი აქვს დღიურში.

სამაგიეროდ დღიურში არის ერთი მომენტი, როდესაც პოეტი პირდაპირ უთითებს სოციალურ ბოროტებაზე და თავის დემოკრატიულ სიმბათიებს ამტკიცებს, რაც არც ისე ხშირია გრ. ორბელიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. აი, ეს ადგილი:

„აქ მითხრეს, ვითომც ღრაფინა სტრა... ესრეთ უყვარს ძაღლები, რომ მათთან სტოლზე ზის ერთად სადილათ და ინახავს უპრავლესთა ძაღლთა. Вот выская черта обриваюнной женщины: так как она бездетна, то не только нежные материнские ласки, но и подати собираемые с крестьян и всегда почти омоченные слезами в потом, расточать им собак. На что жалеть этот видный и [...] класс людей, собака лучше их!“

ამავე დღიურში გრ. ორბელიანი სასტიკად ილაშქრებს პროსტიტუციის წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამის მიუხედავად პოეტი მაშინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ვერ ხედავს: პროსტიტუცია მას აღამიანის მხოლოდ პირადი უღირსობის გამომხატულებად მიაჩნია.

დღიურის ამ ნაწილის მიხედვითაც პოეტის ღრმა სულიერი ტკივილები მისთვის არაიშვიათად საქართველოა და აქ მოჩანს ის კეთილშობილი სიყვარული

* იგულისხმება იმპერატორი ნიკოლოზ პირველი.

მშობლიური მიწისადმი, რაც ქართულ წყერლობას მუდამ ახასიათებდა. აი, ერთი ასეთი ადგილი:

„შრავალნი სოფელნი, განზნულნი ეაკესა ადგილსა ზედა, შეკობილსა ლაზაზის ქალაქებით და აქ-იქ ლაზაზის მიზებით, ფრიად აამებდა თვალთა: ერთის შეხედვით ემზგავსებოდა საქართველოსა უნებლიეთ აღმოუტრევე ოხრეა გული-საგან ჩემისა. ნუთუ მხოლოდ შეიზგავსებითა, ანუ შედარებით უნდა ეინუგეშოთავი ჩემი? ნუთუ არღა შეღირსების ყოფნა მუნ, სადაცა მოისწრაფიან ყოველნი ფიქრნი და სურვანი ჩემნი? მაქვს სასოება და იმედი ლეთისა მიმართ: მფარველობა მისი ცხ:დად ეიგარძენ რ:ედენჭერმე და ამისთვის არ ვსწუხებარ, გინა სადა გარღმავლოს შე ბოროტმან მხედრმან ჩემმან“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღიურში არის რამდენიმე ადგილი, რომლებშიც განწყობილებებით ენათეს:ებბა ნ. ბარათაშვილის შე:ოქმედებას. ასე, მაგალითად: „ღა რაი არს ბედნიერება? — მე აწ მგონია, რომ ბედნიერება მყოფობს სიპრთელეში, მარამა, როცა ეიყ:ე მრთელ, მაშინ ეგონებდი შტ:ბსკაპიტნობაში; მო:იეიდა იგი, გაჰეხარდა, და კეალად ახალი სურეილი ბედნიერებისა აღჩნდა გულსა შინა ჩე:სა. ესრეთ ერთი კიბე აღიყ:ენა მეორის:დმი, ერთი სურეილი ქშობს მეორესა და სიკვდილამდის დასასრული არ აქვს სურეილა ბედნიერებისათვის. — ნეტარ მას, ვინცა არს ემეყოფილ მით, რაიცა მოუეღენია მის წილად ბედსა მისსა; ვინცა დამყუღრობებული, დამშვიდებული სულითა მიგას გზასა ზედა ცხოვრებისას; მაგრამ, ახი უნეტარეს არს იგი, ვინცა ცხოვრებითა თვისითა მოიპოვა გინა ერთი ფურეკელი ისტორიასა შინა. — ეითარცა ბრწყინვალე ეარსკვლავი სჩანს საუყუნეთა შინა სახელი ში:ი, რომელსაცა შთამომავლობა შეპ:ზურს კეთილმოიწიებითა და კურთხევიით“.

ამ სტრიქონებს კარგად ეხმარება ნ. ბარათაშვილის პოეზია და განსაკუთრებით ლექსი „ფიქრნი ეტყვის პირას“. მაგრამ, ცხადია. ამ შემთხვევაში, პირდაპირ გავლენაზე როდი ელაპარაკობთ: აქ ერთი და იმავე ლიტერატურული მიმართულების პოეტების მსოფლმხედველობათა და ერთი და იმავე ეპოქით ნაკარნახევე განწყობილებათა მსგავსებას ეპოულობთ*.

ავტორი, სიერთოდ, იჩენს კარგი ფსიქოლოგიური დაკვირვების უნარს. ისეთია, მაგალითად, მოხუცი აღამინის მუდმივი უქმეყოფილების მიზების შესახებ მსჯელობა, შეყვარებული ქაბუკის ხასიათის ანალოზი და სხვ., რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ, თუ ჩვენნი რან:ნტიკოსების პირველმა თაობამ მხატვრული პროზა ვერ განაეითარა, ეს „ტალანტის სიმციროთ“ კი არ აიხსნება, არამედ ამას შესაბამისი გარეპოებნი უძევეს საფუძვლად, რომელთა განხილვა ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს**.

* მსგავსი შეხვედრების შესახებ უფრო დ:წვრილებით იხ. ს. ჭილაია — „გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული ურთიერთობისათვის“, ლიტერატურული წერილები, I, 1946.

** ამ საკითხის შესახებ იხ. ჩვენს წიგნში — „ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“, 1958.

დაოდენნიმე ძელები და რამდენიმე ნაგლეჯი ტანისამოსისა მოუთხრობენ ამოე-
ბასა ამა სოფლისასა! ნუთუ შართლად ამით დასრულდება ცხოვრება ჩვენი? ნუთუ
ამედი, სინიდისი, ესე საიდუმლო ხმა განგებია, ესე საიდუმლო მსაჭული ჩვენი,
ნუთუ სიყვარული და სურვილი კეთილისა საქმისა მოცემულ არს ჩვენდა მხო-
ლოდ მისთვის, რათამცა განაქრნენ. დალზნენ ხორცთა თანა ჩვენთა? — არა!
ქმრწავს სიტყვა მღვთაებრივისა კაცისა: „არა მოვკვდები, არამედ გარდავიტყვი
სიკვდილისაგან ცხოვრებად“. — „ღმერთო, მიუტევე ამთ შეცოდებანი მათნი“, —
ვმსთქვი და გამოველ გარე დაფიქრებულნი“.

მაგრამ. უნდა ითქვას ისიც, რომ მე-19 საუკუნის პროზაში ბევრს არ უწე-
რია ასეთი ქართულით.

გრ. ორბელიანის დღიურების სტილი, რამდენადაც ეს შავად ნაწერშია შგ-
საძლებელი, საკმაოდ ლაიხარულია, დახვეწილი და ფაქიზი. ენა შედარებით
სადაა, ოღონდ სიწმინდე აკლია — რუსიციზმებისაგან არაა დაზღვეული (ცხადია,
ეს უკანასკნელი შენიშვნა ნაკლებად შეეხება „მგზავრობის“ გადათქორებულ
ნაწილს). მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო გარემოება: გრ. ორ-
ბელიანის პროზაულ ხელნაწერებში ჩვენ ხშირად გვხვდება ცალკე გამოწერილი
რუსული და უცხო სიტყვები, რომელთა ქართული შესატყვისი პოეტს ეერ მო-
უნახავს. ასევე მოქცეულა იგი „მგზავრობის“ წერის დროსაც. ცხადია, ავტორი
საგანგებოდ ეძებდა ქართულ სიტყვას და ცდილობდა ბარბარისმებისაგან
(უმთავრესად რუსიციზმებისაგან) თავი დაეღწია. ეს მისწრაფება ჩანს თვით-
ტექსტშიც: გრ. ორბელიანი რუსულ, ან უცხო სიტყვას, რომლის თარგმნასაც იგი
ეერ ახერხებს, ფრჩხილებში სვამს. სამწუხაროდ, მიუხედავად ამ საგანგებო
ღონისძიებისა. თავის დღიურებსა და პროზაულ თარგმანებში პოეტს ყოველთვის
ეერ მოუხერხებია ენის სიწმინდის დაცვა (ენის სიწმინდის თვალსაზრისით,
ამთაგან მკვეთრად გამოირჩევა გრ. ორბელიანის ორიგინალური მხატვრული
ესკიზები).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ გრ. ორბელიანის დღიურებში შესამჩნე-
ვად ქარბობს არქაული ორთოგრაფია, მაგრამ ეს წესი ყოველთვის დაცული არ
არის. ეს გარემოებაც ფრიად საყურადღებოა: მართალია, გრ. ორბელიანი თავისი
დღიურების — ამ ინტიმური დოკუმენტების გამოქვეყნებას ალბათ არასდროს არ
ფიქრობდა და ამიტომ ამ მხრივ საგანგებო ყურადღებას ირც აქცევედა არქაული
ორთოგრაფიის დაცვას. მაგრამ თვით ამ ფაქტის დადასტურება პოეტის დღიუ-
რებში მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თავისთავად ტენდენცია მართლწერის
გამარტივებისა უკვე იწყებოდა მე-19 საუკუნის 30-იანი წლების ქართულ
შეწერლობაში*.

ჯუმბერ ჭუმბურიძე.

* ჩვენ აქ აღარ ვეხებით გრ. ორბელიანის დღიურის ფრაგმენტს, რომელიც
1839 წლით თარიღდება. იგი ასახავს შაჰილის რაზმების წინააღმდეგ ბრძოლის
რამდენიმე ეპიზოდს და მნიშვნელოვანს ირას შეიცავს (იხ. ამავე გამოცემაში).

წ ი ბ ი კ ა

1827—1883

ა ნ ტ ო ნ ს

ჰე, ჰაბუკო, სიხარულით დღენი შენნი განატარე,
იმხიარულე, შეეჰეც, ილხინე და შეიყვარე;

- ერთსა წამსაც ნუ დაჰკარგავ, გაჰენდეს სახე მოცინარე,
4. სიცოცხლითა აწვე დაჰსტკები, მხიარულობს გული ვიდრე.

ნუ გგონია სიჰაბუკე მარად იყვეს განუყრელი:

ულმობელ დროს შიაქვს იგი, მასთან ყოელი სიხარული,
სიტკბოება სიცოცხლისა; არცლი გვრჩების სიყვარული,

8. ფრიად მსწრაფლად გვესტუმრების, ახ, სიბერე შეკუმხვნილი.

ვით ვარდისა სიტურფენი მალე ჰსკვნების და განჰტრების,
ანუ სიზმარს საამურსა ხილვა ტკბილი გვეჩვენების,
ესრედ მსწრაფლ ჰრბი, სიჰაბუკევე, კვალნიც შენნა ვერა

ჰსჩნდების,

12. ლაწვთ ვარდობა, ბაგეთ ღიმი საუკუნოდა გვშორდების.

მეგობრობასა სიცოცხლე, სიყვარულსა მიეც გული!

ამთგან ჩენი ცხოვრება არს ტურფად აღყვავებული.

წუხილი გაქვს? მათ მიეყრდნე, მყისვე ჰყონ განჰარგებული,

16. მოგცენ იმედი, ნუგეში, სიამოვნება, ღიმილი.

ნეტარ მას, ამა სოფელსა ვინცა იგრძნო სიყვარული!
ბედნიერება, თვით სუნთქვა, მის მიმართ აქვს შეწირული,
უიმისოდ, ვისაც არ სურს, არცა უწყის სიხარული,

20. ვისგანაცა გული უძგერს, ვისთვისაცა არს სულდგმული!

ახ, მეც ვიყავ ბედნიერი, მეც მიყვარდა, მეც ვსტკებოდი...
ჰე, დღეო სიხარულისაჲ, ესრედ მსწრაფლად სად წახვედი?
მშვენიერო, გახსოვს ოდეს შუქით ღამეს მინათებდი?

24. როს გხედავდი განშორებულს, ჩემს შორის სულს ვერ
გჰპოვებდი!

მუხროვანი, 1829 წელსა.

ნ... დ მ ი

როს გხედავ, მნათო! ღიმილით ჩემ კერძოდ წარმოვლენილსა
ვივიწყებ ყოველთ სიმწარეთ, ბედისგან მოვლინებულსა,
სულისა ღელვა მშვიდდების, გული კეალად ჰგრძობს
სურვილსა

4. და ვნანობ, მიწყევვის თუ სიცოცხლე დამწარებულსა.

[1829]

მ ა ს ვ ე

- ამა სოფელს დაჰშთოზიეს მხოლოდ ესე სანატრელი:
ოდეს განენვლი ცხოვრების გზას და მეწევის აღსასრული,
ჩემსა სულსა, რომელიც აწ შენდამო მაქვს შეწირული,
4. სამოთხის წილ შენს ზილფებში აღუნიშნე მას ადგილი!

ტბილისი, 1829 წელსა,
მაისის 7 დღესა.

ეკატერინა ჭავჭავაძისას

წინანდლის ვარდო,
სულითა ტრედო,
გულითა წჷინდავ, ვით მთისა წყარო!

4. ვითა ცისკარი,
ხარ ჰოცინარი,
რომე მხილველის გული ახარო.

8. იმხიარულე,
ვიდრე სიცოცხლე
შენი მშვენიერებს, ვით ყვაეილთ ჯაჭვი;

ვიდრემდის შენ ზე
დაგნათის, ვით მზე,
12. სიჰაბუკისა ნათელ ვარსკვლავი!

კმუნვის ღრუბელი,
გულ-დამაზნელი,
ვიდრე მხიარულს არ შეგხებია;

16. ვიდრე ამ სოფლის
დაუდგრომელის
ვარდნი ეკლადა არ გარდაცვლია!

წინანდალი,
22 ივლისს [1829 წ.]

მტირად ნ... ს...

- თუ ტურფანი თვალნი შენნი ცრემლთ აფრქვევენ მწუხარებით,
სულისა შენის ტანჯვანი არ არს უკეთუ ოცნებით,
მაშ მოვედ, მნათო! ჩემს გულზედ შეწუხებულის შეენებით,
4. ნაცვლად შენსა მე ვიკვნესო, შენის კმუნვისა მიღებით.
თუ ოცნებით ცრემლსა აფრქვევ, ვგე ცრემლი, ოჰ, ვით გშენის!
ვითა ნამი ზეციური თვალთა შინა გამობრწყინვის,
ვარღებრივთა ლაწვთა ზედა ჰარგარატინი ვადმოგცვივის,
8. თუ შექსწყვიტო, შევინანებ, გიშერ ჩუმაღ და მიხარის.

ტბილისი, 1829 წელსა.

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

ნუ მასმევ ღვინოს,—უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით,—
თვარა მიმუხთლებს და წარმოჰსთქვამს ენა ყოველსა,
ესდენ ხან კრძალვით დაფარულსა ღრმად ჩემსა გულსა:

4. უიმედოსა შენდა მომართ ჩემს სიყვარულსა,
ტანჯვათა, ოხრვათ, იღუპალად მომდინარ ცრემლსა,
ჩემს შესაბრალისს გაშმაგებას ცნობათ დაფანტვით...
ნუ მასმევ ღვინოს,—უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით!

8. გულის ურჩისა დასამშვიდად მცირედ გონება
შემრჩომია-ლა და მისიკა გსურს დაბნელება!
მის დასამონად იცი, კმარა შენი შვენება,
ერთი მოხედვა ტრფიალებით, მცირ ყურადღება!

12. იცი, მარამა თასს კი მაძლევ მლიმარეს სახით,
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით!

რადგან არ იშლი ჩემს საკვდავად შენს სასტიკ სურვილს
და ჯილდოდ ვარდსა მაძლევ ოდეს შევსვამ თასს ალესილს;

16. მაგ ვარდის ნაცვლად მასუნე ვარდს, შენთ ლაწვთზე გაშლილს,
და მაშინ გინა სიხარულით შევსვამ თვით სიკვდილს!
რათ მინდა ღვინო, თუ ვერ გეტყვი: გეტრფი მთვრალ ეშხით!
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით!

20. ზოგჯერ მლიმარე გიმზერ ოდეს ეშხით ალესილი,
მრწამს, რომ ლაწვთ ზედა გარდაგკვრია ნუშის ყვავილი!
მაშინ მას ზედა დაკონების მკლავს მე სურვილი.

- მაშ გინდა მომკლა, გეტყვი, თმენის არლა მაქვს ძალი,
24. ისმინე, ვდნები, ცნობა არ მაქვს, ვვიძღვები ეშხით.
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით.

ნ... ე მ ი

მნათობო! თვით შენ აღმიხსენ, რა მემართების, რასა ვჰკრძნობ,
როს გხედავ, რადა ვჰწითლდები, რად ვჰკრთები, ვჰშიშობ და
ვჰხარობ?

- 4 მაშინ რად ენა სდუმდების, როს შენთან უბნობას ვჰცდილობ,
და რისთვის ნაცვლად სიტყვათა, მხოლოდ ოხრვითა
ვმეტყველობ?

მრავალგზის ვფუცავ არ გნახო, მაგრამ ყოველ ჟამს გეძიებ,
როს გხედავ, გულსა სახმილსა მდუმარედ მყოფსა აღმიგზნებ.
მაშინ მე, შმაგი, ყოველთა გარე ჩემს საგანთ ვივიწყებ;

- 8 ხანა ვჰსწყევ ვენთა სიტურფეთ და ხან კი მათვე ვალმერთებ.

მრავალ გზის ვფუცავ გივიწყო, და ვჰკმნაცა ნება გონების;
მარამ როს გხედავ, გონების რჩევა სრულიად არ მესმის...

- 12 გული ზელმწიფებს და უფრო უძლიერესად შენ გეტრფის,
და გულის მონად შექმნილი გონებაც შენდა მოჰფრინვის!

ზაქათალას, 1830^წწელ[სა],
ნოემბრის 7 დღესა.

[დავით ორბელიანზე]

ორ გვამთა ტრფობა ჰეშმარიტი არ არს ამ სოფლად,
მაშ არ ღირს ტრფობა, რომ სიცოცხლე შევსწიროთ
მსხვერპლად,

შენ ხარ ჰე, დავით! ამა ჰაზრის დასამტკიცებლად;

4. ტრფობით დამიწდი—და ვისთვის ხარ მოსაგონებლად.
მე მახსოვს ლამე, როს მთოვარე ჰყენდა შუქს ნელსა,
ვითარ გისმენდი იღუბლად, ცრემლთა მტრქევევლსა,
მახსოვს და ესტირი მეგობარსა, უდროდ გამქრალსა.

[1830?]

ღ[ავით] ყორ[ლანაშვილს]

შენი წიგნი ასე მატკობს, მახარებს,
ვით ყიზილბაშს ყალიონი და ჰალვა.
ვამბობ – ნეტა ბედი როდის მალირსებს,

4. რომ შენს გრიგოლს, ჩემო დავით, ეხილვა!

ტულით,
სექტემბრის 26 დღესა,
1831 წელსა.

მ... დ მ ი

(ქსძვერს გღახ გუღის ხმანუე)

თაყვანის-მცემელთ როს გუნდი თავსა გვეღება ფარვანებრ,
რადა გსურს ყოველთ მათგანსა ერგენებოდე მშენიერებრ?
მათ უგულოთა ქებათა რად ისმენ სიამოვნებით,

4. რომ ესრედ ფრიად ჰხარობენ შემცდარნი იმედოვნებით?

ვით დაკარგულს მე მათ შორის, გულს მხედებიან იქვნი ისრად;
არცა სიტყვით, არც მოხედვით არა ღირს მყოფ სანუგეშად.
რომ მით ეგებ სულის ღელვა, ესრედ მტანჯი დამიწყნარდეს,

8. გაშმაგებით სიყვარულის ძალა იგებ დამიმშვიდდეს...

არ უწყი, თუ აღი ტრფობის ვითარ ძლიერ გულს მეგზნების!
არ უწყი, თუ მას ეამს ვითარ სული ჩემი იტანჯების!

მაგრამ გიცნობ, მისთვის მრწამხარ... კვალად ლხინი გულს
მეწვევის,

12. შორით ვზივარ, შორით გიმზერ, შემოგხარი და მეციცის!

ბულკოვა,

1831 წელს, დეკემბრის (?) 9-სა.

ი ა რ ა დ ი ს

ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს,

4. ჩვენებურადა,
ძველებურადა,
ვსვამდეთ,
ვიძახდეთ:
იარი-არალი!
8. ჯეირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზედა დასტრიალებდეს,
ყნოსვა დამტკბარი მის სუნით,
მადასა განგვიღვიძებდეს.
12. კახურის ღვინით აღვსილი
აზარფეშაცა ხელს გვეპყრას,
მოთალი, თევზი, მწვანელი
აგვიპყრელებდნენ წინ სუფრას.
16. ცა მშენიერი,
ცა მშობლიური
მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათიდეს,
გაცხელებულთა
20. ღვინისგან შუბლთა
კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს...
შენ მომითხრობდე,
მე ყრმა გისმენდე,

24. გამოუცდელი მოხუცებულსა,
თუ ვით ივერნი,
ლომგულნი გმირნი,
ჰბრძოდნენ, ჰსცხოვრებდნენ დროსა წარსულსა.
28. გისმენდე, თუ ვით მღვდარის ხმაზე
ჰაბუკნი მხნობით ალტაცებულნი,
მტერთ საძიებლად, დაცემად მათზე
შეგროვდებოდნენ წამს შეჭურვილნი.
32. ვაჟ მას მტერსა, ვის ანუ კლდენი,
ანუ ტყეთ სიღრმე ვერ დაჰფარვიდნენ,
ვითა შურდულებრ. ტრედთ შავარდენნი
მეესეოდნენ და შემუსვრიდნენ.
36. დაენატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა
შეჰსწირა მსხვერპლად,
დაენატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი
გულს აღბეჭდილად,

როს ერთგულება, სარწმუნოება,
ივერთ თვისებას შეადგინებდნენ,
40. ოდესცა ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა განადიდებდნენ...
44. გისმენდე, თუ ვით დღესასწაულსა,
შექცევით, ლხინით მოწოდებულნი,
ჰაბუკ მხედარნი ყაბახსა* ვრცელსა
ტურფად დარახტულ და დაკაზმულნი,
ვით ალვა რგულნი, ცხენზედ უძრავად,
ესრედ მოჰქრიან ვითა ნიაფი;
48. ჰკრეს ნაღარასა—განიყვინენ ორად,
აჰა, საამო სჩანს სანახავი.

* სადაც ეხლა არის სასეირნო ბაღი ალექსანდროვსკისა, იყო დიდი საჯი-
რითო მშენიანი, სახელად ყაბახი.

52. ცხენთა გრიალი,
შუბთა ტრიალი,
ჯირითთ სრიალი,
ყურთ მაჯთ ბრიალი,
ცხენით ქვე ხტონა,
კვალად შეხჯომა,
56. უზანგთა ცემა
და ხმალთ კრიალი!..
ზოგი არწიესა
ზეცას მფრინავსა
ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა.
60. ჯირითი ზოგის
ზუზუნით მოჰქრის
და მოხელა ქვაზე* თასს ნიშნად დგმულსა.

ამ ვაჟკაცობრივს შექცევას იგი** სიამით მარად უმზერდა შორით,
64. ვისცა ეწერა დიდება სახეს, ვინცა არლა არს. ვისთვისაც
განსტირით.
წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოველი კეთილი თანა
წარიღეს,
აწ უცხოთა ცის ქვეშ, ზოგსა ვჰკვრეტთ ოხრვით, და ცრემლით
ზოგის წმიდა სამარეს!..

68. ვან აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით,
72. ერთისა დაკვრით
უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს?
მაგრამ ამაო, ჩემო იარალი,
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!

* ყაბაზის თავს და ბოლოს იდგნენ ორნი ჭიანი, რომელთა ზედაც დაჰსმიდნენ
თასსა და ესროდნენ ჯირითს და ვინც მთარტყამდა, თასი იმისი იყო ჯილდოდ
გამარჯვებისა. უკანასკნელ ჯირითში კონა ვრისთავმა გაიმარჯვა.

** მეფე ირაკლი.

76. სად აზარფეშა, სად არს მწვანელი?
 ღვინის წილ—კვასი, მზისა წილ—ყინვა!
- გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყველიადასა
 სადღა იხილოს ცა მშობლიური?
 80. შენ ხარ პეტერბურღს, მე ნოვლოროღსა.
 გარეთ მკლავს ყინვა და შინ „უგარი“.
 გულს ეწუხების რა აგონღების ღღენი წარსულნი ნეტარებისა,
 მაგრამ მოთქმითა ნუგემ-ეცემის და კმუნვა ვითცა
 შემცირღებისა.

მარტის 8-სა, 1832 წელს,
 ნასლეღნიკის პრინც პრუსკის შტაბი,
 [ნოვლოროღი].

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

- ყოველთ სულთა, საცხოვრებლად.
სასიამოდ, საშეგებლად.
4. გაზაფხულით განიღვიძეს!
ნიაფი ჰქრის სუნნელების!
მდღელო ნაზად აღმწვანდების!
და მზემ სხიფნი ჰყო უნათლეს.
8. დრო საამო! როს ბულბული
ვარდსა შესტრფის ეწყით ბმული:
როს სიტურფე, სიხარული
ყოველთათვის აღმოჩნდების;
როს უმეტეს ტრფობის აღი
12. გულსა შინა აღეგზნების!
16. გაზაფხულის გამს სასურველს
ყოფლი იშვებს, ყოფლი ჰხარობს!
მხოლოდ ჩემს გულს დამწარებულს
ხმა ბულბულის აღარ ატკობს.
ჩემთვის აღარ ტურფად ვარდი
ჰშლილობს, ჰფშინავს სუნნელებით!
20. ჩემთვის აღარ განთიადი
აღმობრწყინდეს ნეტარებით!
არ მახარებს დღე ნათელი,
არც ყვავილის ფეროვნება,
ცრემლთ მიმრავლებს გაზაფხული
24. მის სიტურფე და მშვენება!
- ჩემს უყვარს გულსა დაღრეჯილს,
ცა მოღრუბლული რისხვითა;

28. როს გრიგალს, ჰეჰას და ქუხილს
 ისმენს ჭეყანა კრძალვითა!
 მაშინ სიკვდილსა მღუმარედ
 სიამოვნებით მოველი,
 რომ მას შევერთდე სამარედ
32. ვისთვისაც ვიყავ სულდგმული!
 ვინც იყო ბედნიერების
 ჩემის სიცოცხლის საგანად;
 მხოლოდ ცრემლთ სიამოვნების
36. ვისთანა ვჰსცნობდი სადენად.
 რომლის ვიხილე სიკვდილი
 და მე კი დავჰშთი ამ სოფლად!—
 რომლის სიკვდილმან მე გული
 მომიკლა და მჰყო გლახ ობლად.
44. ამა ურწმუნო სოფლისა
 აღრე ვისწავე მუხთლობა:
 მისსა ყოველსა კეთილსა
 აქვს მხოლოდ წამი მყოფობა,
 მის ეამით არლა მახარებს
 არც გაზაფხული მოსვლითა.
 და არცა გულსა მიწუხებს
 მე იგი თვისის წასვლითა.
- 50.

მარტის 28 დღეს, 1832 წელი,
 ნასლედნიკის პრინციის პრუსიის შტაბი.

გ ა მ ო ს ა ლ მ ე ბ ა

ს—ს

ვითა ცის ნამი დილითა ჰბრწყინვალებს ახლად შლილს

ვარდზედ.

მარგარიტ-ცრემლნი ცრემლთა ჰსდევს ნიშნად კმუნებისა შენს

ლაწვთზე...

სატრფოვ! გშორდები და სიტყვა ვერ მიპოვნია სათქმელად.

4. ანუ შენთ ცრემლთა საშრობლად, ანუ ჩემ სანუგეშებლად!

ვერცა ცრემლთ ვაფრქვევ, ვერც ვუბნობ თვისსა სიყვარულს,

თვის ტანჯვათ.

და მით ვარ უფრო უბედურ, რომ ვერ აღმოვსთქვამ მსკავსად

სხვათ.

ნამდვილი ტრფობა გინა რა სიტყვათ ეძებდეს, ვერ ჰპოვებს,

8. რათა გამოსთქვას თვის გრძნობა და მისთვის ოხრვით

მდუმარებს.

ესე არს საშიშ შემკმელი, ცეცხლი უხილავ, უალო,

არ აჩენს გარეთ ნიშანსა, შიგნით გაოხრებს, ჰე, გულო.

ტრფობა უძლურთ გულთ წყაროს ჰგავს, მათათაგან

გადმოქანებულს.

12. რაოდენ ველზე შორსა ჰვალს, იგოდენ დაუძლურებულს.

ესრეთი გული ან ცრემლით, ან განშორებით განაქრობს

თვასსა სიყვარულს, თვით ტანჯვათ და მერმე ნებით კი ლხინობს.

რა ჩემებრ გული კლდოვანი მიიღებს ეშყის ბეჭედსა,
16. დრო იმას ველარ შეჰმუსრავს, თუ არ შეჰმუსრავს, თვით
კლდესა.
გეტრფი, ვიდრემდის ვუმზერ მე მზის შუქსა, ნათელს მთოვარის,
ვიდრემდის ოხრვა გინდ ერთი, მკშთომია ნიშნად სიკოცხლისა

პეტერბუდი, ივლისის 15-სა,
1832 წელს.

ლ ა მ ე

მთოვარე, აშიკთ მოწამე, სიამით ნათელს მოჰყენდა,
ნიაფი სუნნელთ ყვავილთგან ჰკრეფდა და ქროლით მოჰბერდა.
ბულბულიც ბუჩქში ფარულად ვარდსა გალობით შეჰსტროფოდა.

4. და მით გულს ცეცხლი ტრფობისა უმეტეს აღმეგზნებოდა.

ვაზნი ფურცელთა გარდაშლით ჩემზედ კამარას შეჰსდგმიდნენ.
მუნ სული ჩემი და გული ეშხის მახითა დაებნენ...

ნელიად წამთ სელა, ლოდინი მოუთმენელსა მტანჯვიდნენ,

8. და ვით ჯადოთი მოზიდულს, თვალნი ერთ მხარეს უშერდნენ.

ეს რამ იელვა ღა განქრა? ნუთუ.მაკთური ოცნება?

რადა შეირყა ვარდთ ბუჩქი? გული რად ესრედ მიკვდება?

ვიდრე თვალთ ნახეს, სულმან ჰსცნა საყვარლის მოახლოება,

12. ჯერ თვალთ ძლივ ნახეს და მე კი მასა დაუწყე ბაგება...

ჩვენ ორთა ჰაზრნი, თვით სულნი ერთად შეერთდნენ,

და სიტკბოების ზღვას შინა გრძნობით დამთვრალნი **შედლდნენ,**

შთაეფლნენ!

გულთ ძგერა არღა გვესმოდა, ვერცალას თვალნი ხედვიდნენ,

16. უნოლ ქმნილნი, უგონოდ განვედით ამა სოფლით ჩვენი..

სადა ვიყავით მაშინა, რომელსა სასურველ მხარეს?

ცნობა გვეკარგა წამს, მარა სამოთხე იყო წამი ეს!..

ჭფრინვიდნენ ეამნი და ჩვენ კი მათ ფრენა არა გვსმენიეს:

20. ესრედ გონება მარადის ტრფობის აღს აღუხოციეს.

მთოვარე, აწიკთ მოწამე, სიამოვნებით დაგვეზერდა!

- ნიავე სუნელთ ყვაველთგან ჰკრებდა და ქროლით მოგებერდა!
ბულბულიც ბუჩქში ფარულად ვარდსა შეჰყეფდა, შეჰსტრფოდა!
24. და მით გულს ცეცხლი ტრფობისა უმეტეს აღმეგზნებოდა!--

მაშინ ვჰსცან. ჟამნი სამოთხის რომ ამა სოფელს არიან,
მარამ, ახ, ჟამნი მის ტკბილნი ესრედ მალაიდ რად ჰრბიან?
გულისა სურვილთ დაცხრომას რომ არ სრულებით გვაცლიან?

28. ეს არს საწუხარ, რომ ბოლო თვით სიხარულსაც ჰქონიან.

ცისკარმან აღმოსავალით ჟამნი განყრისა გვიჩვენა,
მალაიდ წარსვლა მის ღამის ვიგრძენით მხოლოდ მაშინა.
ღლისა დავჰსწყეფლე ნათელი, რომ ურთიერთი გაგეყარნა,

32. და განშორების ბაგება ტრფობის ბეჰედად შეგვექმნა.

პეტერბუდი, 23 სექტემბერი,
1832 წელს.

მირზაჯანას ეპიტაფია

- მუხთალს ამ სოფელს გხურს ვისაცა იყო ბედნიერ,
სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ!
დალუპე ვშეში და ღვინოში ყოელი სიმწარე,
4. რომ გზა ცხოვრების განვლო ღვინით, ვით მე ვიარე,
რომ შავბედის წინ შეუპოვრად ხმაბალივ დაჰმღერ!
თორემ გონებით გინდ ცა განვლო, ჩემებრ იქმნა მტვერ!

2-სა ოქტომბერს, 1832.
სანკატერბულს.

ს

მერცხალნი—თვალნი შენნი,
გონების სხივთ მომფენნი!
ვარდნი—შენნი ბაგენი,

4. მარად მოლიმარენი.

თოვლ-ღვინო—შენნი ღაწენი,
მათზედ გარდაშლილ ზილფენი! -
შენი წილი—კიპაროზ!

8. და შენი ხმა—სირინოზ!

ხან სიამით მავსებენ.
ხან ცრემლთ მაფრქვევიებენ:
ზოგჯერ მტანჯვენ, შმაგ-მყოფენ

12. და ხან უცებრ მალხენენ!

ქუთეიბულს, 18 ოკტომბერს,
1832 წელსა.

ე—სა

ვინცა გაგიცნობს,
ეშუით ტანჯვას ჰსცნობს...
და ვინც ვერ გიცნობს,
4. მაშ რას კეთილს ჰსცნობს!

პეტერბურს,
24 ოქტომბერს [ა].
1832 წელსა.

აღბო მ შ ი

როს გარდაშლიდე,

მეც ღამხეღაფდე,

განიღიმებდე,

4. მომიგონებდე.

მარამა ვა თუ მე ესრეთ ვარ შესაბრალო ბედისა,
რომ არღა მოგაგონდები მეორედ გადაშლამდისა?

[1831-1832]

მისი სახელი კიციხვითა მარადის იხსენებოდეს,
ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჰგრძნობდეს.
და ვინცა მისსა ტყვეობას გულსიგრილითა ჰხედავდეს

4. და მის დახსნისთვის უზრუნველ თვისს სიციცხლეს კი

ჰზოგავდეს.

მტერსა ხანჯალზედ აღგებულს ვინცა სიამით არ ჰსჭვრეტდეს
და სმენა მისთა კენესათა გრძნობათა არა უტკობდეს!
რა სასურველ არს სიციცხლე, ვაით ამ სოფელს მოსული,

8. და სამარცმდის კენესითვე უღელსქვეშ დამწარებული!

ჰსჯობს იგი მოკვდეს და ანუ არ იქნას დაარსებული!

მხედრი ესრეთი ვაგლახი არს ვისთვისც განმზადებული!

ვისაც ნუგეში ცხოვრების იმედიც არა ჰშთომოდეს,

12. რომელ ოდესმე ცისკარი თავისუფლების აღმოჩნდეს!—

ვაი მის მხარეს, სად მხოლოდ ძალა რა მსაჯულოვნობდეს...

სად ჰსჯულზედ მჯდომი ხანჯალი კანონთა ალასრულგბდეს!

[1832]

- ქე, იფერიავე! ვიდრე იყო ქედმოდრეკილი,
 ვიდრემდის სხვათა ყვედრებითა გფარვიდეს ძალი.
 რად არა გახსოვს ძეთა შენთა ხრმალთა კრიალი,
 4. ძღვეათა შათგან, როს დიდებით იყავ მოსილი.
 წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არლა მდინარებს.
 თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რალა გვახარებს!*

- შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,
 8. მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმსალერსობას...
 ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას.
 ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას!

- ცხოვარს ვემსგავსეთ; რომელსაცა მწყემსი არ უვის,
 12. ვითარცა მგლისა, ეგრეთ მშიერ კაცის ეშინის,
 ვინცა განაგლებს საღმრთოს ვალსა და გზის პატივის.
 დასასრულ მაინც საშინელად ესრეთ წარხდების.

[1832]

* ამ სტრიქონის შემდეგ ავტოგრაფში გადანახულია ეს ოთხი ტაეპი:
 [სადაღა გჰპოოთ სიწმინდე ჩვენთა ზნეთა,
 აწ იქების მოქმედი სიბილწეთა,
 ეს ნაყოფი მოსულთ მტერთ-მოყვარეთა.
 ვინ აღმოჩნდეს მომცემი წარსულთ დღეთა!]

- დღესა ამას სიყვარულმან სოფელსა აღმოგაცენა,
რათა იპყრა კაცთა გულნი, შენით ბრწყინვიდეს ქვეყანა.
შშვენიერების ყვავილნი სრულიად შენზედ მოჰტინა.
4. და ჰრქვა: იყავ მშვენიერ, ნ[ინა]!
კუბიდონმან თვისის მხრით მკეთერი ისარი მოგიძღვნა.
რომელშიაც სიმწარესთან სიტკბოება შეურივნა...
შენგან კოდლი, მწარედ გლახ გული, კვალად სურვილით
შენვე გმონებდეს,
8. თავისუფლებას შორს განაგებდეს და ტყვეობასა თვისსა
ჰხარობდეს!

[1832]

ფრაგმენტები. წერილი ლექსები.

დათარიღებულ ორტაყეზიანი რითმიანი ლექსები

(1827—1833)

1

- რა მგამა. თუ ქვეყანაზე დასკვნების ვარდნი. იანი,
2. თუკი მაჩვენებ ღიმილით მარგალიტთ ბაგე—ლიანი.

1827 წ

- ოოს ბულბული ვარდს შექსტროფოდეს, უგალობდეს, შექხაროდეს.
2. მაშინ ყვავსა რად არ ჰსცხვენის, რომ მათ შუა სამძღვრად
დაპჯდეს?

მარტის 3-ს, 1832,
პირველ ვოლოპტი.

3

- სიყვარულსა ჯერ არს რათა მარად სურვა დაპბერვიდეს.
2. თვარა ვითა ცეცხლს უნიეთოდ, არ უძს დიდხანს ენთებოდეს.

აპრილის 29, 1832,
მუნვე.

4

- საამოა სახილველად ოდეს ვარდი ნ[ინას] ეპყრას,
2. მარა ვინ ჰსცნას, ვინა სუნავს: ნ[ინა] ვარდს, თუ ვარდი ნ[ინას?].

თებერვლის 3-სა, 1833 წელსა,
პოსელენიე.

სატრფიადო დექსები

ა. თხზულებიანი რითმიანი გუბლექტები

1

- ზღვის კიდეს დგომით მარგარიტი ვით იპოვების,
ტრფობისგან წყლულნი მხოლოდ ობრვით ვითა განპქრებისს
ვის გტანჯავთ სურვა, შევედ მედგრად ზღვას მწუხარებისს!
4. რომ მიხვდეთ საგანს, და მაშინ ფასს ჰსცნობთ სიტკბობისს!

აგისტოს 7-სა, 1832 წელს.
პეტერბურს.

2

- სიყვარული არს თავდავიწყება,
სატრფოსთვის ვინ არ ევედრა ზეცას,
რომ არც კმუნვა და არც მწუხარება
4. არა შეეხოს მის სახეს ტურფას.

[1832]

3

- გრწამდეთ, ვის გული არ უძგერს ტრფობით,
ვითა სიზმარი მის დღენი განპქრეს,
ვერცა სიამით, ბედნიერებით
4. ამა სოფელსა ვერა რით დატკბის.

[1832]

4

ისმინე ჩემი, ჰე, სიყვარულო!
 ტრფობისა ცეცხლი გულს არ განმიჭრო,
 გული სურვილით მარად დამითრო,
 და ტრფობით მთერალი არ განმაფხიზლო!

[1832]

- ნეტარ კვლავცა შენი ხილვა მელირსოს,
 საამურის ხმის დავეტებო სმენას,
 მას წამს სანატრელს ვით შემედაროს
4. ან მეფე ტახტზე, ან ლმერთნი ზეცას!

[1832]

6

- მარა არ იწვის თუ გული შენი ჩერებრივ ტრფობითა,
 ვერა ჰსცნობ ჩემთა მოთქმათა, ვერც ტანჯვას დაღუშვებითა.
 სულისა ჩემის სადგურად არს თვალნი შენნი ცეცხლებრნი.
4. დამწველ-დამტანჯნი, მარამა ზოგჯერმე დამატკობელნი.

[1832]

7

- ოდეს ოხრვით მაგონდების სანატრელი დღე წარსული.
 გონება ვერ მიპოვნია სანუგეშად, ვერცა ცრემლი.—
 ბედის ვარსკვლავს შორს ძლივს ვხედავ, ღრუბლით მოცულს
 და მკრთოლგარეს,
4. დამპშთომია შევებისა წილ ტრფობის ხსოვნა გულს მქმუნვარეს—

[1832]

8

- შენცა მიმუხთლე, გონებაო, და მას ემონე,
 ვინც მტაცა გული, მოსვენება და სიამოვნე.
 ვისიცა სახე მარადჯამსა თვალთ ეოცნების,
4. მღევნის და ხარობს, რომ ისმენს ჩემს ხმას მწუხარების,
 ცრემლნი საამოდ, კენესა ლხინად ვის ეჩვენების.

[1832]

ბ. რითმიანი ორტაქტედი.

1

- წყალში წრე განიერდების მისთვის რომ ბოლოს გან[ქ]ქარდეს:
2. ვიცი, რომ ბოლოს მეც ეშვის სიციოფე მიმცენს სამარეს!
[1832]

2

- რა უნდა აქენდეს სულსა უკედავი,
2. თუ მასში განქქრეს კვლავ სიყვარული.
[1832]

ღრო და სიშორე ვერ გაპყრის ორთა გულთ ერთად
შეტკობილს.

2. ურთიერთათვის, რომელნიც შობილ იქნების ამ სოფელს.
[1832]

4

- შენგან კოდილი მწარედ, გლახგულო, კვალად საშველით
შენვე გენებდეს.
2. თავისუფლებას შორს განაგდებდეს და ტყვეობასა თვისსა
ხარობდეს.
[1832]

გ. ნაწვეუტები (ურითმო და რითმიანი)

1

- აწ სად ხართ, გმირნო! გზა ცხოვრებისა
2. განვლეთ დიდებით და მოგვეფარეთ.
[1832]

- ესრეთთა ბნელთა ღამეთა ვარდი, მდღლოთა მშვენება,
2. მოჰყენს საამოდ სუნნელთა, თუმც თვალთა არ ეხილვება.
[1832]

3

...მარამა ბედი უკვე წილსა ჰყრის
2. და ჰსწერს სახელთა თვისთა მსხვერპლთასა!

[1832]

4

...მის სახე, მის ხმა არიან მარად
2. ჩვენის გონების თანამღეწარნი.

[1832]

5

რა ვჰყო, ვინცა იწვის ეშხით, აქვს ნუგეშად მოთქმა ოდენ.

[1832]

6

ჰე იგი მზე მძულს. რომლიცა ნნათობს და ჩვენ კი არ გვათბობს.

[1832]

აჰა ცისკარიც მზის წინამსრბოლი
მოჰფენს ვარდის ზღვას აღმოსავალით,
ღამე იღვევა მისის ნათელით
4. და განიღვიძებს დღე სიხარულით.

[1832]

8

აწ ვხარობ, მარამა მტანჯაეს ეს ფიქრი,
2. რომ სიხარულსაც აქვს დასასრული.

[1832]

9

სიტკბოება არის სიცოცხლე და არა წელიწადები.

[1832]

10

სიციოცხლე შვენის სიყვარულითა.

[1832]

11

არა უძღურს ჰყოფს გულსა ტანჯვანი.

[1832]

12

სატრფოს ერთი შემოხედვა მრავალთ სიმწარეთ გვაფიწყებს.

[1832]

13

აჰა, ყარიბი, ძველ დროთ მოწამე,
 ცრემლთ შეუშრობლად მისთვის მტირალი...

4. და ჭავჭ[ავადე] ჩენი ბულბული
 მასაც შეეხო მისი კალამი...

[1832]

14

ვითა ლამეში გზასა მავალი
 ჰგრძნობს იდუმალად სიამოგნესა,
 ოდეს ვარსკვლავი დილის წინ მსრბოლი

4. მკრთოლვარებს ზეცას ლაქვარდოვანსა
 და მოასწავებს დღესა ნათელსა...

[1832]

15

შენ ჰე, დღეო, ნათელი, ოდეს მათთ მიეფარებისა
 და ლამისა სიბნელეცა ჭეყანას მოეფინების,
 როს დღენი აწ[ა]შემქცენი საუკუნოდ განგეშორდების.

[1832]

რ უ ს თ ვ ე ლ ბ ე

(ფრაგმენტები)

1

4. დრომან შემუსვრის [მან] მოყვარემან
ვერა შემუსრა მის თხზულებანი,
ღამესა ბნელსა ვით მთოვარემან
ბრწყინვით გამოვლო საუკუნენი.

[1832]

2

4. ნეტარ ვინც ჩანგით განაცხოველებს
ჩამთა ცხოვრების მსწრაფლ წამაელთა.
ძველთა დროთაგან მისი თხზულება,
ვით მარგარიტი დაგვშთა საუნჯეთ.

[1832]

3

მის მიერ ჩანგი დაკრული ესმა ექვსს საუკუნესა.

[1832]

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

- არავეისთვის მე დღეს არა მცალიან;
სალომესთან სადილად შეძახიან!
ამას ვამბობ მე ბეჟანა მკერვალი,
4. ქალებისა ლხინი და თაიგული.
შვენებიოთა, საცა ვინ არს ქებული,
მისი კარი ჩემთვის არს გაღებული;
საცა მივალ, თან მიმაქვს სიხარული.
8. მარამა დღეს არავეისთვის მცალიან,
სალომესთან სადილად შეძახიან!
- მისი სახე, ვით მთვარე გაბადრული,
ბროლის მკერდზე მზის შუქი მოფენილი,
12. „ჩემო ბეჟან“!—მისგან სინახით. თქმული,
როს მაგონდეს, როგორ არ მოკვდეს გული
ესდენ ხანი მისთვისა დადაგული?
ამიტომ დღეს არავეისთვის მცალიან,
16. სალომესთან სადილად შეძახიან!
- ხშირად ხილვა ეშხის ძალსა გვაკლებენ.
მისთვის გუშინ თუმცა სურვით მელოდნენ,
მარამ, გინა ცრემლებითა აივსნენ,
20. არც დღეს გავალ გარეთუბანს,* მომწყინდნენ:
სხვა ტურფანი მარად მათ მაყვედრებენ...
მარამა დღეს არცა მათთვის მცალიან,
სალომესთან სადილად შეძახიან!

* სადაცა მსცხოვრებდნენ ორბელიანნი.

24. ვით პეპელა სხვადასხვა ყვავილისა
 ზედ დაჰფრინავს და ჰსვავს მათგან სუნნელსა,
 მეცა, ზოგთან შევექცევი სადილსა,
 ზოგთან ვახშამს, ხშირად ღამესაც მთელსა...
28. ჩემს ქეიფში ვინ იყოს ამ სოფელსა?!
 მარამა დღეს არავისთვის მცალიან,
 სალომესთან სადილად მეძახიან!

- ქაღებზე ვარ ასე ფიქრით მოცული,
 32. ხელში ქობა დამრჩების მოუვლელი!
 მებლანდების თვალებში ზოგის წელი,
 ზოგის ხევენა, ზოგის ალერსი ტკბილი!
 ნეტარ მათთან ლხინში აღმომხდეს სული!
36. მარამა დღეს არავისთვის მცალიან,
 სალომესთან სადილად მეძახიან!

- ბედმან დაამხო რაყიფი დიდ-კაცნი,*
 მარამ მე კი ისევ ის ვარ, ბეჟანი,
 40. რომელს დარჩა ბურთი და მოედანი.
 ახ, რა რიგად ვიქიკიკებთ დღეს ორნი!
 შახტი, ბეჟან, შენია დრო და ლხინი!
 დამეხსენით, დღეს მე არა მცალიან,
 44. სალომესთან სადილად მეძახიან!

ავლაბრის კაზარმაში, 1833 წ.

* კაზარობას

საგათნავეს მიზაძვა

საგათნავე მჭვიან, არუთინა ვარ,
ანაზანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ!

ს ა ვ ა თ ნ ა ე ა

ქიანურო! მილლად, ტკბილად დაუქარ!
ვინცა გაქოს, თაფი მდაბლად დაუქარ.
შენსა მტერსა კბილის კრიქა აუქარ!

4. ხინიკო, ხინკიკო!

ავი კაცის წვერი წყევით აივსოს,
ჩემი თასი წითელ ლენით აივსოს,
ჩემი გული კვალად ლხინით აივსოს.

8. ხინიკო, ხინკიკო!

ერთხელ მეც მეჭირა სიამის ვარდი,
შავმან ბედმან უცებ დამკრა, დავარდი,
სოფლის გარეს, ვაის მხარეს გავარდი!

12. ხინიკო, ხინკიკო!

უზრუნველად დავმღერდი ერთხელ მეცა...
გესლით საგსე აწ გულს ისარი მეცა...
ნუგეშად პურობილსა მექმნას მე ცა!

16. ხინიკო, ხინკიკო!

ქიანურო! აქვე გული მისმინა,
ვის ვეტრფოდი სულით, და მანც მისმინა...
სიამით აწ ველარ ვნახო მის მინა!

20.* ხინიკო, ხინკიკო!

მგონდების რა მის ლაწვხედა ხალი,
სიყვარულის გულს მეგზვნება ახ, ალი!
მოფშორდი, ექსცან ოხრვა, კენესა ახალი,
24. ხინიკო, ხინიკო!

სიყვარული არს თავის დაეიწყება!
ეაის უფსკრულს ვგდივარ,—მაგრამ გონება
მაინც მასვე შორით ეტრფიალება.
28. ხინიკო, ხინიკო!

ბედმან აღრე შწარე ფიალით მასვა;
არ იკმარა, გულს ლახვარი დამასვა!
არ შეკმარა,—განმაშორაცა მას, ეა!
32. ხინიკო, ხინიკო!

ბედლო! ჩემის ლხინის ძაფი რად ჰსწყვიტე?
კიანურო! შენც სიმი რაღად ჰსწყვიტე!
მაშ შენც, ჩემო თავო უბედლო, ხმა ჰსწყვიტე!
36. ხინიკო, ხინიკო!

მოეც, მუშაკო,* ბულბულად ქებულო,
ჩემს კიანურს ადგილი წალკოტს** ბოლო.
ეგებ ვინმემ ჰსთქვას: ვაჟ გრიგოლ საბრალო!
40. ხინიკო, ხინიკო!

ავლაბრის კახარმაში კყრობილი.

1833 წ.

* გიორგი თფმანისშვილი, რომელიცა თავის ლექსებში იწოდება მუშაკად.

** „წალკოტი შრაგალყვაფილოფანი“, ლექსების წიგნი, რომელიცა აქუნდა მას

საღამეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ*

სიხარულო, შევბავ, ლხინო,
ახლისა აკენის გუშაგნო!
მზევ, შინ შემოდო!

4. თქვენ, სულსა აღნაგსა ახლად,
დაჰფრინვეთ თვალ მოუღულად!
მზევ, შინ შემოდო!

- მე. მისსა მშობელ ვენერას
8. დაუმლერ ტკბილსა „მზე შინას“!
მზევ, შინ შემოდო!

- გიმლერ, გალხენ,—განისვენო,
ჩემო მაკრატლის გვირგვინო!
12. მზევ, შინ შემოდო!

ეჭვი ვის აქვს, მაშა ვინც არს?
ჩემს ნაქერსა ესცნობ ფრიად შორს!
მზევ, შინ შემოდო!

16. ნუ გწყინს, ვარლო, ყვაგილთ მეფევ,
რომ ზოგჯერ იასაც ვსუნავ,
მზევ, შინ შემოდო!

- რა ვქნა, გულს ვერ ვეტყვი უარს.
20. ვარდიც მიყვარს, იაც მიყვარს!
მზევ, შინ შემოდო!

მარამ რაყიფთ ვმზერ შენთან როს
მწვენ. გულს მისმენ ცეცხლის უთოს,
24. მზევ, შინ შემოდის!

შენ სანთელი, მე ფარვანა!
დაე დაიწოს ბეჟანა!
მზევ, შინ შემოდის!

25. სიყვარულმა მათქმევინა,
თვარა მე ვინ,—ლეკსი ვინა?
მზევ, შინ შემოდის!

იღნა, 1334 წ.

ნ...

ჰე, საყვარელო, ვინ მიერ ძვირფასად მიღირს კვალად
სიციცხლე,
ვინც დღენი დამწარებულნი წყნარის ღიმილით მჩნათლე!

4. ვიდრემდის ტანჯვით ვითმენდე, შენგან სიშორის სიმწარეს?
და ვიდრე ცრემლით შორიდგან ეუშხერდე სასურველს მხარეს?

სანატრელ ჟამი შეყრისა, როს მოვალს სიტკბოებითა;
ცამ შეკმუხნილმან ჩემდამო. როს მოიღაროს შეებითა?

8. ან გული რად ვერ გივიწყებს ჩემის სიციცხლის შეწებას?
რომ უგრძნობლობით ქვა-ქმნილი ვერ სცნობდეს თვისსა
ობლობას?

თვით სიშორეცა შემეკმნა ეშყის ცეცხლზედ ცეცხლ-დამმართი
მიკვირს ესდენ სიყვარულსა ვითარ იპყრობს გული ერთი?

12. ვჰსკან, ტანჯვით არა გამქრალა გულს შინა ტრფობა ნამდვილი,
თფარა აქამდის სიმწარის შემაშრებოდა მე ცრემლი!

ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა, დამბერვედ ეშყის ცეცხლისა.
ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი უზომო სიყვარულისა.

დეკემბრის 13-სა.
1835 წელსა,
[რიგა]

ჩემს დას ეფემიას

ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შეგებად სასიხარულოდ.

ლხენად გლახ გულის უდროოდა მწარ დამჰქნარისა.

დაო სასურველი ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ.

4. და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ მხედრისა
ცხოვრების ბნელ გზას შენ მინათი შეგების ვარსკვლავი
შენის ღიმილით შეჰმუხვნილი სახე მინათლე,
შენი აღერსი მშვიდი, წყნარი, მიხარის შორით,
8. და გულ დაჩაგრულს მენატრების კვალად სიცოცხლე!

სიცოცხლე ჩემი, ძლივს გაშლილი სასიხარულოდ,

ძლივ დილა ჩემი, მზისა ნათლით გაბრწყინებული.

მიჩვენებდნენ მე ამა სოფლის ყვავილთა მხოლოდ.

12. და ახლად ლამპარს აღმინთებდა გულს სიყვარული,
რომლისა სხივნი თვით ეკალთა შეჰჰმოდენ ვარდად,
რომლით აღესილი არა ვჰსცნობდი ჰმუნვისა ცრემლთა.
მეგობართ შორის უზრუნველი დავმღერდი მარად
16. და სიამითა უმზერდიცა დღეთ მომავალთა!

აწ სად წარვიდნენ ნეტარების წამნი ძვირფასნი.

რომე აჩრდილიც არა დაჰშთა ჩემდა ნუგეშად.

რომ გლახ ჩემს გულსა მოსეულნი ჰმუნვათა დასნი

20. ესრედა ჰგლეჯენ უღონო მსხვერპლს შეუბრალებლად?
უცებ გრიგალმა უბედობის დამჰქროლა ესრედ,
რომ ცა, მომფენი ჩემდა ნათლის ჰფარა ღრუბელთ ქვეშ:
სიტკბოს ფიალი წარიტაცეს მის წყვეულთა ფრთით.
24. და დამცა უფსკრულს ვაებისას უმწედ, უნუგეშ.

- სადაც ოხრვანი, აღმოსულნი გულისა სიღრმით,
 არვის ესმოდნენ და ჰქრებოდნენ ზღუდეთა შორის
 სადაცა ჰსწვავდნენ, ვითა ცეცხლი, ლაწვთ ცრემლნი დენით,
 28. და მათ არ ჰსწყვეტდა არავისი ხელი ნუგეშის;
 სად ვერა ჰსცნობდი ცისკრის ბრწყინვას, ვერც მწუხრის ტამსა.
 სად დღე უნათლჳ იყო ღამედ, ღამე—უფარსკვლავ,
 და სად სიკვდილსა ვინატრიდი ვით ცის ნუგეშსა.
 32. თუმცა სამარეს შეედრების სადაცა ვიყავ.

- მწუხარების დროს ჟამნი მსწრაფლნი ვლიან ნელიად,
 და უბედურის სახეზედა ღრმად ჰბეჭდვენ თვის კვალთ.
 არლა აჰყვავდეს გული ჩემი ორგზის ამ სოფლად,
 36. მახვილი გულით ვერ აჰგლიჯონ შემდეგ სიხარულთ.

- ვიყავ უსაგნოდ, უიბედოდ, მაგრამ ოდესმე
 გულსა რალაცა გაელვებით განახარებდა...
 ან დავიწყებით, ან შებრალებით წარსულ სიამე
 40. თითქოს ჩემს გულში სურვით ნაცნობს ძველ კვალს ჰპოებდა;
 თითქოს ჰსცდილობდა განბნევისა გულის სიბნელის
 და ვით თვის სადგურს, ჩვეულებრივ მუნ დამკვიდრებას!
 მაგრამ მით უფრო გული გრძნობდა ფასს დაკარგულის.
 44. წარსულთა დღეთა იგონებდა რა ნეტარებას.
 ესრედ ამშვენებს სიტუროფითა ვარდი სამარეს,
 ესრედ მშვენიერთ ბაგეთ ზედან იელვებს ღიმი,
 თუმცალა გულში უზომოსა ჰფარავს სიმწარეს;
 48. ესრედ ვარდს დამჰქნარს დაეცემის უდროდ ცის ნამი.
 უჩინოდ ჩემთვის მდინარებდნენ თვისითა წესით
 დღენი და თენი, და ვერც ვჰსთვლიდი მე მათსა დენას.
 შემაშრნენ ცრემლნი, მაგრამ არ თუ ჰმუნვათ განქარვით,
 52. არ-თუ ვისგანვე მოვისმენდი ნუგეშის ცემას.

- არა! წყვიდალსა მას სადგურსა სხივი ნუგეშის
 ვერ მოეფინნენ საშეებელად გულსა უბედურს.
 ვაი მას, ვინცა ჰრაცხს ნუგეშად, ვით მე მიმარჩის,
 56. რომ შეგეჩვიე მწუხარებას და ვაის სადგურს!

ქმუნვისა ცეცხლით გულსა დამწვარს აგრილებს ცრემლი.
შემაშრინენ ცრემლნი და ესეცა შეება მომაკლდა.

60. ბაშინ შემექნენ გონება ჩლუნგ და ქვადა გული,
და ან რაც ვიყავ, ან რაცა ვარ, ყველა მაფიწყდა.

მაგრამ მახსოვს კი, ერთ გზის მესმა ჭიკჭიკი მერცხლის.
და სწორედ ვიტყვი, მრწამლა იგი ხმად მეგობრისა,
იმიერ სოფლით ჩემს ნუგეშად მოვლინებული,

74. და მის პასუხად მსურდა მეცა თქმა სიმღერისა!

მაგრამ შემზარდა, რა ნაცვლად ხმის განხდა ხრიალი.
და კედელთაცა დაყრუბულთ წარმოსთქვეს ბანი!

78. ხმა ეს უცნობი იყო ველურ და საზარელი,
გავოცდი, ვასდუმენ და ხმა ჩემი მევე ვერ ვსცანი.
მის ჭამით ვიყავ, ვით სამარეს, უხმოდ, უსიტყვოდ,
ვიდრე დასასრულ ვაების ბჭე არა განმიღეს.

72. პირველად მზის შუქს თვალთ ვერ უძღეს, დავშოთი უნათლოდ,
შემდეგ სიამით მიმოვხედე გარეშე არეს:—

მდინარე იგი. იგივე შთანი, ნიავე მომუენნი,
წალკოტნი, ველნი, უწინდელებრ აღმწვანდებოდნენ.

76. იგივე უღრუბლო, უცვალებელ ცა ნათლოვანი,
მხიარულ ყრმანი თამაშობით მოიმღერაიდნენ.

გამოვემსწრაფლე სამშობლოსას, სადაც ვგონებდი,
წარსულთა ტანჯვათ. მწუხარებათ დავიწყებასა;
მარამან იყოს წყეულიმცა ესრეთი ბედი:

80. მშობლის ხვევნის წილ შევხვდი ახალს მუნ ვაებასა!..

ვისგან ნუგეშსა მოველოდი, მისი სამარე
თვალთ-იხილეს და არ დაბრმავდნენ მყისვე ეს თვალნი!
უგუნურადა დავკმზერდი მის საფლავს მდუმარე,

84. და გლახ გულისა სანუგეშოდ ვერ ეპპოვე ცრემლნი!

ვისგან და ვისთვის განიხაროს აწ გულმან ჩემმან?
ვისა შევკბრალდე, რომ ეგებ მით გული განკვრილდეს?
ღრუბელი ქმუნვის განმიბნიოს აწ ვისმან ღიმმან?

88. უღროდ დავბერდი და ცხოვრებით გული როს დაჰსტკბეს?

სიყვარულისა სურვილი მას ვერ დაუთმობს გულს.
მისი სიციცხლე ვერა დასტკბეს მართლ სიხარულით.
ვინც სოფელს შუხთაღს, საამურის ოცნებით აღფსილს.

92. უმზერს ვით აწ მე, მიუნდობელ, გამოცდილ თვალით
ხვალე არღა მრწამს, ვით ლამეში მაცდური სხივი.
ვინ სთქვას: ხვალეცა ვიქნები მე ვით დღეს ბედნიერ?
ვისწავლე ესე, როს განმეჭრო ბედის ვარსკვლავი,
96. და აწ თუ განვლის დღე მშვიდობით, მწუხრს პირჯგაოს ვიწერ:

მაგრამ ნუგეშად, ჩემდა შეებად, სასიხარულოდ,
ლხენად გულისა, უღროოდა მწარ-დამჰკნარისა.
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ

100. და განმისვენე კვეთებათგან ბოროტ მხვედრისა!
მისთვის ელოცავ ცას, შეენი დღენი ჩემთვის შთომილნი.
არ შეჰსწყდნენ, ვიდრე კვალად ჩემთა თვალთ არ გიხილონ
და მაშინ, ოდეს საუკუნოდ მივლულო თვალნი,
104. მშობლიურ მიწა ხელთა შენთა გულს დამაყარონ

რიგა, 1835 ზ

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

სულთ ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით
თასით, ჯამით, ყანწით, აზარფეშებით!

ლხინის სუფრა მოჰფინეთ ყვაეილებით;

4. ალავერდა* დასვით თარით ნაქებით,
ყოჯა ბულბულ ტკბილის ხმით აღულუნეთ,
დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

ლხინის პაპა,** სახით არაბისტნელი,

8. ღვინისა და ეშხისათვის შექმნილი,
ტოლუმბაშად დასვით ქუდ ჩაეცილი!
მის შკოლაში ვინ არა ვართ ნასწავლი?
ორმოცი წლის რომ შეიქნეს,—გააგდეთ,
12. დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

სიკაბუჟე, ვით მაისი მშვენიერად

აღყვავდების და მისებრ ჰქრების ჩქარად:

ვაი ვისთვის ეს დრო განვლის უგრძობლად,

16. და ცის ალით—ეშხით არ ჰყოფს გულ-დამწვრად!
სიკაბუჟე არს ლხინის დრო, მერწმუნეთ:
დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

ვითა ბალი უყვავილოდ, უვარდოდ,

20. არა მწყვარს ლხინი უეშხ უსატრფოდ!

* იყო გამოჩენილი მომღერალი მეფეებისე დროს.

** მირზაჯანა მადათოგი.

მოდის, მნათო, სავსე თასი სალხინოდ
ჩაგვირიგე, თუ გინდ ისე, უპროშტოდ.
შენი თასი არს სადგური სიამეთ!

24. დიპლიპიტო დაჰქარ-დაარაკუნეთ!

სატრფოს ხალი არს ტახტი სიყვარულის,
ეს ფიალა იყოს სადღეგძო ხალის,
ვისც არ უყვარს, რა ნახოს კეთილ სოფელს?
28. შაენი ფიქრნი განსტვენენ, -- მტანჯნი გულის...
გულში ეშხით, ხელში ჯამით ილხინეთ,
დიპლიპიტო დაჰქარ-დაარაკუნეთ!

ვისთა დღეთა მწუხარამდის ნათლად განცლეს?
32. ვისი მზე არ ღრუბელსა მიჰფარვიეს?
ვისი ბედის კოჭი სულ აღწუ დაჯდეს?
არ მიენდოთ დამღუპავს, წყეულს ხვალეს!
დღეს მოხარულთ, დღესვე ისიაპოვნეთ,
36. დიპლიპიტო დაჰქარ-დაარაკუნეთ!

მიმოხედეთ, რავდენთ ველარ იპოვნით
ერთად მსხდომთა, მოხარულთ თქვენთან ყოფნით.
სად არიან? ზოგნი შორს ვლენან ოხრვით:
40. ზოგნი უდროდ განვიდნენ სოფლის ღზინით!
ამ თქმაში რად, ცრუ? ღნო, თასში შთაკვინდით,
და ჰირთ მდევნი. ღვინო ტკბილი დანწარნეთ?..
დიპლიპიტო დაჰქარ-დაარაკუნეთ!

რიგა, 1835 წ.

სო... ორ...

ვარდი ხარ?—არა!

ჯამბახი?—არა!

მარამ, შენ ლაწეთზე აღყვავებულნი.

4. არიან ორნივე შეზავებულნი!

ნეტარ მას ბულბულს, ვინც შენს ვარდს, ჯამბახს

ზედ დამღერს მარად, ვით ეშყის ბანაკს:

ვინც დასუნოსა

8. თმა ლადანასა.

დაუდევნელიდ ბროლ მკერდზე გაშლილს:

ანუ შეებოს

შენს წელს კიპაროზს,

12. სიყვარულისა სარტყელით ნოფლიდ...

სიცოცხლე მისი.

ვითა მისი

ნეტარებითა აჰყვავდეს ახლად,

16. და ვითა დილა გაზაფხულისა. საამრდ განვლონ მის

დღეთა ნათლად!

ვუ ორნი თვალნი,

ორნი ვარსკვლავნი

ეშყის სადგურნი ზრწყინდენ ვონებით.

20. მათ ტრფიალებით

ნიჰმართავ ვისცა,

განიხსნას მისთვის სიხარულის ცა!

შენთა სიტურფეთ,

24. როს გუნდნი მოტრფეთ.

ვით ფარვანანი გარე დაბურთინდენ.

- და შექცევაში,
სიამის ზღვაში,
28. გონება გართულს როს მიგიზიდვენ,—
მე განშორებულს,
სვე გამწარებულს
32. მაშინ გონებით თუ დამიფიწყებ,
არ შევინანებ,
ოღონდ კი შენს გულს
ზოგჯერ ვახსოვდე ჩემდამო ერთგულს!

1835 წელს, ნოემბრის 24-
რიგაში.

ჩემი ეპიტაფია

როს ვიყავ ცოცხალ, ვითა შენა, მკითხველო,
მეცა მიყვარდა, მეც ვჰსტიროდი, ვილხენდი,
და დაფიქრებით დაჰმზერდი საფლაგებსა!

4. შერგო რიგი, და აწ ჩემს საფლავს დაჰმზერ შენ!
ამ ზენა-ჰსჯულსა ვერა არსი ვერ ასცდეს:
ვერცა ხელმწიფე დიდებისა გვირგვინით.
ვერცა გლახაკი შემოსილი ძონძითა,
8. ვერც სიკაბუკე შენებითა შემკული
და ვერც მოხუცი დაღალული სიცოცხლით!

- ყველა იცვალოს, ყველა მოკედეს, დამიწდეს,
და მხოლოდ წრფელი სული, წმიდა, ცხოველი,
12. მღვთადა აღვიდეს ნაწილაკი მღვთაებრი.

გორი, 1839 წ.

ადბომში ღრ[აფინია] .აბ[ერმანისას]

- შეპსტრფი სალამოს,
ტკბილ სუნნელ-მყუდროს.
მის სინნელესთან სინათლე რეულს:
4. კა ვარსკვლოვანსა,
 ლაევარდოვანსა,
და შორით კავკაზს სახე დიდებულს!
 მე მდუმარებით
 ვკმზერ გაცეებით
შენზე მთოვარის შუქსა მოდგმულად.
 და ღამე ესე,
 სიტურფით საესე,
12. მრწამს, რომ შენგან არს დამშვენებულად!
 მრწამს, ჩვენის ცისა
 მშვენიერისა
შენ ხარ ვარსკვლავი, მოსული ქვეყნად!
16. მან ინეტაროს
 ვის მოფინოს
გულს შუქი შენი ტრფობისა ნიშნად!
 მრწამს, ცის ნათელი,
20. ვარდის სუნნელი,
ერთად რეულნი სულად ქცეულა,
 და შენს წმინდა გულს,
 სიკეთითა სრულს,
24. უმანკოს, წრფელსა, დამკვიდრებულა.
 ეგ ჩემნი მკვლელნი,
 ზილფებნი-გველნი,
ვინ დაადგინა ვარდ-ლაწვთა მცველად.

28. რომ დღე და ღამით,
 ესრედ განცხრომით
 ზედ ხელმწიფობენ ჩემ თვალთა მწველად?
 ნეტა ვის მისცეს
32. ბედმან ჩხვედრი ეს,
 რომ გადაშლიდეს მაგ გველთა-მცველთა.
 და ზედ დაკვდომით,
 სულ ამოხდომით
 ვარდთ დაგეკონოს ღაწვთზე გაშლილთა?
 ანუ ეგ თვალნი,
 ელვა მოსილნი,
 ვისა უზერენ მინაზებულად?
40. ან ვინ შეგეხოს
 შენ წელ კიბარბოს,
 ხან ნიავებრ მსგლეღს, ხან ხელმწიფუჟრად?
 როს მშვენიეროა,
44. ბაჟეთა ვარდთა,
 განაღებ მკერდალ ღვალთ ზე-ახილვით.
 მაშინ ნათელი,
 ცით ზოგლენილი,
48. გვირგვინოსან გყოფს თავს გარდმოფენით!
 მაშინ მეც მესნის
 ხმა ანგელოზის,
 სულის. გონების ცადა აღმტაცი!
 არ ვიცი, სად ვარ!
 გულ-ტკბილად კი ვარ,
 ეჭრანობ ამ სიტკბოსა... ეს მხოლოდ ვიცი
 მაშ უგრძნობლობით,
 გულ-გაქვავებით
56. ნუ დააბნელებ ნიჭთა ციურთა!
 უსიხარულოდ,
 უსიყვარულოდ
50. რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა?
 მაშ რამ გვახაროს,
 რამ გვანუგეშოს,
 ან ქმუნვის ცრემლი ვინა მოგვხოცოს.

64. თუ სიყვარული,
 ზე-გარდმო მადლი,
 ღვთისა კურთხევად არ მოგვევლინოს?
 შენსა მელექსეს
68. მაქვს ვედრება ეს,
 რაც ვერ ეპსთქვი ენით, მიხვდე გულითა!
 და შორს კავკაზსა,
 და მეც მუნ ზყოფსა,
72. ნუ მოგვიგონებ ვულ-სიგრილითა!

1842-სა, მაისის 5 დღესა,
გორს.

* * *

ვინცა გნახოს, კვლავცა გნახოს, არ იკმაროს, კიდევ გნახოს;
თუ მოგწორდეს, ცრემლით გძებნოს, და რა გპოვოს მან
გალმერთოს.

- მისი სიტყვა, მისი ფიქრი, თუ არ შენდა, არსად იყოს,
4. შენთან მის დღე ბრწყინვალეობდეს, უშენოდა დაეზნელოს!

გორი, 1840.

სალამო გამოსადმებისა

მზე ჩაესვენა: მის ზუჭი გამოსალმის ეამს კავკასსა,
თავსა ეხვევა აღერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი მღუმარედ ცათაზღვის აყუღებულნი.

4. ქსხედან, ვით დენი, სპეტაკის ყინულ გვირგვინთ შემკულნი!

მათ კლდოვან გვერდთა შავადა დრუბელნი ზედ დაქსნოლიან,
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან.

გაზაფხულისა ველითა ტყე შემოსილი სიმწვანით.

8. მთებისა კალთებს წავამკობს სატკბო სუნნელთა მოყენით.
წყალნი მთით დაქანებულნი, აღმასებრ უბსკრულს ჰსცვივიან,
თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!

შეწუხებული ეუმზერ გზას და მასზე ეტლსა მიმსროლსა,

12. მიმტაცსა ყოვლის კეთილის, რაცა გვაქვს ამა სოფელსა,
რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს ზეციურისა სხივითა.

და აღგვაძიდლებს ამ სოფლით სულისა აღმადგურენითა!

მიდიხარ სატრფოვ? მშვიდობით! მარად დღე ჩემი კურთავევა

16. ცად მიმართ შენთვის შექნება, ვიდრემდის სული მელევა.
არღა აამონ აწ თვალთა გული შენისა ხილვითა,
წარვიდეს ჩემი სიცოცხლე უშენოდ შრომით, ზრუნვითა.

ეტლი ჰრბის, სატრფო მშორდების... თანა ჰსდევს ჩემი მას სული

20. ვმზერ... შორს ძლიესლა ჰსჩანს... აღარ ჰსჩანს... რალასა
 ეუმზერ შშავ-ქმნილი?

სიშორის ნისღმა მიჰყარა თვალთაგან ეტლი მიმსროლი,
და გულით ოხრვა სიმწარის აღმოუტივე უნებლი...

- მშვიდობით ვინცა დამატკბე სიციცხლის ნეტარებითა,
 24. აწ ვისთვის გული მიკენესის, სული ჰსწუხს განშორებითა,
 ვის ხილვა არღა შემშოსავს სიხარულისა ნათლითა,
 არ განმასიენებს მწუხარეს აღერსის ხმითა ტკბილითა!
 მარამ ამ სოფელს შენს გარდა ვინა მყავს მანუგეშებლად,
 28. რომ შენც განშორდი, დამტოვე, მწუხარებისა მე მსხვერპლად?
 წახველ, წარმტაცე ყოველი საამებელი სულისა,
 და ვინ განმიღოს აწ კარი ბედისა დაკარგულისა?
 ან მე უგუნურს რად მრწამდა ბედისა დაუსრულება?
 აწ დაეჭვითი მარტოდ... მშვიდობით შენს გულს ნუ ჰშორდეს
 მშვიდობა!
 არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა,
 ჰსჯობს ენა ჰსდუმდეს, ხმა შესწყდეს, მოთქმით რა ერგოს
 გულ-წყლულსა?
 შედამდა... მარტო ვზი კმუნვით; ჩემი იივილი ვის ესმის?
 32. დაყრუვდა არე... მხოლოდა ხმა ისმის ზოგჯერ გუშავის.
 მხოლოდ ჰსჩანს, მთანი მდუარეჲ აყუდებულან ცათამდის,
 და ყაზიბეგსა საანოდ ზედა ვარსკვლავი დაჰნათის
 წყალნი მთით დაქანებულნი, უფსკრულსა იკარგებიან,
 40. თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!

1841 წ., მაისის 1 დღესა,
 ვლადიკავკაზი.



- ჰეი, გონებავ, დაივიწყე ჩემს სანუგეშოდ,
რაც იყო — იყო, ნუ იგონებ დღესა წარსულსა:
მის მოგონებით მხოლოდ გულსა მიკლავ უწყალოდ,
4. და ფუჰ სიცოცხლეს მაწყვევლინებ გამწარებულსა!

თბილისი, 1843 წ.

მ ო გ ო ნ ე ბ ა

- აჰა ადგილი, აჰა ის არე,
სად ხელმწიფობდი მშვენიერებით;
ჰალაკი იგი, იგივე მდინარე
4. და გაზაფხული მის ფეროვნებით!
საცა შენ იყავ, მუნცა ყვავილნი
უმეტეს სუნნელთ აღმოფშვინვიდენ;
მზე ბრწყინვალედა; აშიკ-ბულბულნი
8. შენდამო ქებას ტკილად გალობდნენ!
გახარებული შენის მშვენებით
ნიაფიც ფრთეთა-ამოდ განშლიდა;
ხან შენსა კავებს ნაზად შეხებით,
12. ხან შენსა ლეჩაქს ეთამაშიდა!
საცა შენ იყავ, მუნცა მე ვრბოდი,
გულ-მზაარული, სულ აღტაცებით;
ვითა წყალობას ცისას, ველოდი
16. შენს ერთს მოხედვას ლმობიერებით!
სულ განაბული, ვით ანგელოზსა,
გიმზერდი კრძალვით, გულ-ძგერით, სურვიით;
გისმენდი ტკბილად ხმა სირინოზსა,
20. ტრფიალი შენდა სულის შეწირვით!
აწ მასვე ადგილს ვჰზი მარტო კმუნვით,
და დრო წარსული თვალ-წინ მეხატვის,
როს გულს მინათდი მშვენების სხივით,
24. მსურდა ცხოვრება შენთან და შენთვის!

- დრონი წაეიდნენ... თანა წარიდეს
გულისა გრძნობა, ძალი ტრფობისა:
მარამა მე. კი მარად მახსოვდეს
28. იგივე დრონი ნეტარებისა!
- აწ არც კი მიცნობ,--გულით იცვალე...
ამ მოგონებამ არ შეგაწუხოს:
შენ განსვენებით ოღონდ იცოცხლე
32. და მე, თუ გინა, საფლავმა მუაროს.

წინანდელი. 1951 წ.

დიმიტ[რი] ონიკაშვილის დარღები

როდის შობრძანდებით, ჩემო ბატონო
ფეხ-ქვეშ გაგეშალო ფიანდახადა!..

ს ა გ ა თ ნ ა ე ა

ეს რა ცეცხლში ჩავარდნილვარ, სადა ვარ?
გული მეწვის, სასიკვდილოდ მზადა ვარ?

ძალსავეითა ვჭვდივარ ა იმ ქუჩაში,

4. ვჭყარაულობ ერთის ვისმეს კარებსა.

ერთს მოაჯირს, ორ პატარა ფანჯარას;

ეგებ ჩემი მზე იქიდან აღმოჩნდეს!..

ენხისაგან გონება გამოცლილსა,

8. მზე ბრწყინავს, თუ თოვლი ნოდის არ მესმის!

განა ღამით ძილი არის-ლა სადმე,

ანუ დღისით განსეენება სულისა?

ან ეილასა აგონდება სადილი,

12. ანუ ღამით აბანოში ღებინები?.. -

ნაბად-გახეველი ვჭვდივარ ქუჩაში:

ვობრავე, მაგრამ ჩემი დარდი ვის ესმის?

ვინც გაივლის, მკითხავს: აქ რას აკეთებ?

16. — შენ რას ნაღვლობ, მე რას გიშლი, რა გინდა?

მითილი ხარ. თორემ არა მკითხავედი,

მოდი ამ ვირს ენებზე ელაპარაკე!

ჩემი დარდი, თვალის ჩინი აქ არის;

20. ერთი ზითხარ, მე სად უნდა წავიდე?
 თვალის ჩინო, დროა რომ შემებრალო:
 მომარჩინო ამდენ დავიდარაბას!
 გამობრწყინდე მოაჯირზე მზესავით,
24. პირ-დავემხო, მიწას მადლით ვემთხვიო!
 გამაგონო სირინოზის ხმა უენი,
 სიყვარულის სიტყვით გული მიღბინო!
 აბა, შემომხედდე ლამაზ თვალებით,
28. ნახე, როგორ გავდიდჯაცდე, გავმეფდე?
 მაშინ მნახავ თავი ცამდის ამელოს.
 ჩემზე მეტად არსად არეინა ჰსჩანდეს!
 შემიძლია მაშინ ვებრძო ქეეყანას,
32. უენი ეშხი იზდენს მამცემს ძალასა!
 ქულ ჩაქეცით, ყელზე ჩით-მერდინითა,
 რა ქევ-ქევით გავსწევ ორთაქალისკენ!
 მტკვრის პირს, ჩარხთან, თავის ლაზათებითა,
36. სუფრა გაშლით, დამხედნენ იქ დარდიმანდნი;
 იქა მნახონ, რა შეეკმნილვარ, ვინა ვარ,
 რა მადანი მიპოვნია ბედისა!
 საკინძ ჩაპოხსნილი, ხელში ჯამითა
40. სიხარულით ესვამდე უენ სადღეგრძელოს!

კოჯორი, 1860 წ.

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

მუნამბახო, რა ტყბილი რამ ხმა ხაიო.

ხ ა მ მ ი - მ გ ლ კ ო

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარი
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარი

- ყმასავითა მე ერთგული შენი ვარ,
4. გინდა მკლავდე, არას გეტყვი—შენი ვარ.
სადაც წახვალ, მე მაშინვე იქა ვარ,
გინდ ვერ მნახო, იცოდე რომ იქა ვარ,
რას გაწუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ!
8. ჩემთვის ჩუმად ვამბობ: „რა ლამაზი ხარ“!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარი
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარი

- რტო აღვისა, შენი წელი მგონია,
12. მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,
ეგ თვალები—ცაში ელვა მგონია.
ვარდის სუნთქვა—შენი სუნთქვა მგონია.
როს მელირსოს, ვსაქტვა: „გეთაყვა, ჩემი ხარი“

16. გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარი

ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!

20. მინდა რამ ვჰსთქვა—შენი სახელი მოდის!
ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის?
ერთხელ მაინც მკითხე: „აგრე რათა ხარ?“
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!
24. ჩემს დარდებსა ვინ ინაღელის, ვინ არის?
ვის რათ უნდა, ლოპიანა ვინ არის?
მკვდარია თუ ცოცხალია, ვინ არის?
28. ქვეყანაში აბა რაა, ვინ არის?
შენ არ მეტყვი, ვიცი სულით ნაზი ხარ!
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!
32. ორთაქალის ბალში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ!—
36. მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირთუასი ხარ!“
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

კოჯორი, 1861 წ.

პასუხი შვიდთა

- ჰე, განუსჯელნო,
უმაღლო შვილნო,
საუბედუროდ ცუდ დროს შობილნო,
4. სადღაც მიმალვით,
რას ჰროტავთ, ჰენავით,
გაბოროტებით რათა ჰსწყევთ მამათ?
უკადრისობით
8. და უმეცრებით
ვერ დააბნელებთ მათ სახსენებელს,
მხოლოდ თქვენ სიტყვებით
თქვენვე ინანებთ.
12. თქვენსვე გულს უკბენს უსამართლობა!
დრო მამებისა,
მამაკობისა,
წარვიდა მათთა სახელთა ქებით,*
16. მამანი თქვენნი,
თავის დროს ძენი,
თავის დროს იყვნენ სახელოვანნი!
ოსმალ-სპარსები,
20. დალისტნის მთები,

* ლენერალი ივანე აფხაზი. ალექ. ჰავჭ., ვასილი ბებუთოვი, მოსე არლუთ., ივანე ანდრონ., ზაქ., ილია და სოსიკო ორბელ., იასონ და ნიკო ჰავჭ., ნიკო ფრისთავი, ნიკო ამილახვარი, დავით ვახვახოვი, ზაქ. ანდრონ., ივანე ბ-გრატიონი, იოსებ თარხ., ქობულაძე, სვიმ., შალიკოვი, ბაქრაძე! და ას სამოცნი, სხვანი დაბოტილნი და დაჭრილნი უკანასკნელს ბრძოლაში ესენი უნდა იყვნენ თქვენგან გასალანძლავნი?

- ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!
 მათ დაიფარეს,
 სისხლით დაიცივეს
24. სისხლ-შემოსილი მამული თვისი,
 და სასო ღვთისა,
 მცველი ერისა,
 ენა საყდარი, სარწმუნოება!..
28. დრო შეიცვალა,
 გაშეფუდა სწავლა,
 გაგელოთ შეილებს სახლი სიბრძნისა!
 სწავლის მამები,
32. პროფესორები,
 თქვენთვის მოკლილნი, თქვენთვის მქადაგნი,
 თქვენ გასწავებდენ
 და მზად გაძლევედენ
36. რაც შეეძინათ საუკუნოებს!..
 ჩვენც ვჰსუგეშობდით,
 გულით ვჰხარობდით,
 შეილი მამასა ემჯობინება!
40. და მოგელოდით
 დიდის იმედით
 სიხარულისა ლელვით აღვსილნი!
 ვითმინოთ, მოვლენ,
44. და გაგვინათენ
 ჰსწავლისა ლამპრით დაერდომილს მხარეს!
 ჩვენც ჰივეგებოთ
 მხიარულებით,
48. ღირსთა შეილებთა კურთხევის სიტყვით!..

მოვიდენ... და რა?
 სულ ჩაგვამწარა...
 ვაი ჩვენს იმედს... ვაი თქვენს მოსვლას!..

52. პირველად იწყეს,
შკოლა გამართეს...
ესთქვით ახლა მხარე გაგვინათლდება!..
ყმანი საწყალნი,
56. უბიწო გულნი,
ჰსწავლად მისულნი, წაჰხდნენ ზნეობით!..
უსასოება,
ურწმუნოება,
60. უმანკოთ გულში ღრმად ჩაუნერგეს:
*—ლოცვა რათ გვინდა?
ღმერთი რათ გვინდა? *
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი!-
64. და დაიწყებულა
თქვენი აქ მოსვლა,
და თქვენი სიბრძნის ნაყოფი უხამი!
ღმერთი არ არის?..
68. შენთვის ნუ არის!
შენ რა გაწუხებს, რომ ჰსუფევს სხვისთვის?

- სხვათა ხელი ჰყვეს
კეთილსა საქმეს:
72. სტამბით მოჰფინონ სწავლა მამულსა!..
აღჩნდნენ მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!..**
76. მათ უსწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,
სრულ წაგვებილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი,

* ნათქვამი იმავე შკოლის მოწაფისაგან ლ. მე...საგან.

** წაიკითხეთ „ღრობა“ და იხილავთ ქართულის ენის დაპრანჭვას.

80. მის ძალი, მადლი,
 უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!...
 ერის ცხოვრება,
 მისი დიდება,
84. მის ისტორია დაცულ არს ენით;
 რა ენა წახდეს,
 ერიც დაეცეს...
 წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..

*

88. ახლა რას ელით?
 მამათ რად ჰსწყევლით?
 ვიგემეთ თქვენის ღვაწლის ნაყოფი!
 ძველთ უძველესი
92. არს ესე წესი,
 რაც ვერ ჰქმნეს მამათ, ისი ჰქმნან შვილთა!
 შვილნო, გამოჩნდით,
 ჰსწავლითა, საქმით!
96. მამის გალანძღვა შვილს ვერ აღიღებს!
 ცუდ მეტყველებით
 ვერ ამაღლდებით,
 დიდებას ეძებთ? კეთილი ჰქმენით!
100. თქვენი დიდება
 ჩვენც გვეამება:
 მის სხივის შუქიც ჩვენც მოგვინათებს!..
 აჰა დიდების
104. და სახელ-ქების
 ასპარეზია თქვენთვის დაცლილი!..
 რაღასა ელით?
 რატომ გვირგვინით
108. არ შეიმოსვის ვინცა გყავთ ღირსი?..
 რომ ბრძოლის ცეცხლი
 ასტყდეს ფიცხელი,
 ხმლისა ტრიალით, ძღვევის ყიფინით,

112. იმ თქვენმა გმირმა,
სულით ძლიერმა,
ხელს ბაირალით ძირს დასცეს ყარსი!
რომ მისმა ხმამა,
116. ქუხილის მსგავსმა,
შეჰსძრას ქვეყანა მის აღსადგენად?..
ვაი საბრალოს,
ჩვენს საქართველოს,
120. თქვენ დაებადეთ მის სადიდებლად!..

- ან სად არიან?
აღარ ისმიან
თავისუფლების მალალ ფრაზები:
124. „მოყვასს—შეწვენა,
ბოროტსა—დეგნა,
საზოგადობის სულით აღდგენა!..
ერთობა, ძმობა,
128. ზნეთ ამალღება,
მამულისათვის თავის განწირვა!..
სიტყვა—სიტყვაა,
საქმე კი—სხვაა...
132. ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!..

*

- გონების ბრწყინვას,
ჰაზრების ელვას,
წმინდისა გულით კეთილის თესვას,
136. ნეტაეი მიხვდეთ,
ნეტაეი მისწვდეთ,
მალალსა ცაში შავარდნის ფრენას!..
და გულით ოპხრავს

140. ის, ვინცა ჰხედავს
თქვენსა სიციხელს ფუჰად მიმავალს...
თქვენსა უქმობას,
არარაობას,
144. და უმეცრების ამაცობასა..

- ჰე, სასურველო
გმირთა მამულო,
ნუთუ შენ მართლად ესრედ დამცირდი.
148. რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა,
დაეხელმწიფნენ ცრუ პოეტები?
ცრუ ლიბერალნი,
152. პატრიოტები,
შ[ი]ს[ხ]ი, მეველე, შელიქ ალები.

1874 წელსა,
ახალციხიდან.

დროების ათი წლის იუმბილე

ფერხული და ბუქნა

ვერ ისწავლა მესხიმ წერა

ვერაი.. ვერაი..

და არც ჰსჯერა,

4. რომ მან წერა

ვერ ისწავლა, ვერა, ვერა!

ბუქნა:—ჰოო, ჰოო, ვერაი ვერა!

ათი წელი,

8. ასი წელი

რას არგებს,

უნიკობა

თუ თან ჰყვება

12. მწერალსა?

ბუქნა:—ჰოო, ჰოო, რას არგებს?

ნეტა მესხის

რათ არ ესმის

16. ვედრება,

რომ მან ენა

წავვიხდინა,

წაბილწა?

20. ბუქნა:—ჰოო, ჰოო, წაბილწა!

მოგვაწყინა
ბაზრის ენა
სომხისა:

24. ბილქამ, ალბათ,
არხანათ
იღბალი.
ბუქნა:—ჰოო, ჰოო, მოგვეწყინდა!

28. ღრამატიკას
და ლოლიკას
არ დასდევს;
არახუნებს,

32. თითქო კეტებს
ჰსტემს ყურსა!
ბუქნა: — ჰოო, ჰოო, არახუნებს!

- გაი რა დრო
36. სამწუხარო,
მოგვესწრო,
რომ ხმა ცისკრის
აღარ გვესმის საამო!

40. და დაბნელდა
უდროოდა მნათობიცი!
ბუქნა: — ჰოო, ჰოო, გაი დროსა!

- რომ კრებულა
40. მარილ-ქებული
დაეკარგეთ
და დაეკმდუმდით,
დაემორჩილდით

44. დროებას.
ბუქნა:—ჰოო, ჰოო, გაი დროსა!

- ფუ ამ დროსა
უნიკოსა
48. უკაცოს,

რომ ღროება
წინ გვიძღვება
მესხითა.

52. ჩვენის ენის,
ჩვენის ქვეყნის
მფარველად!!!
ბუქნა:—ფუ, მესხის და მის ღროებას,
58. ფუ ჩვენცა,
ჰოო, ფუ ჩვენც.

[მარტი, 1876]

თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში

- შენს წმინდა სახეს,
შეენებით საესეს,
სახიერებით განსხივებულსა,
4. ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
კრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის—გიმზერ,
8. ვჰსწუხვარ—და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილ ამდე,
არ გამოფეხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე
12. ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..
ყვავილოვანი
წალკოტი შენი,
შენის დიდების სხივ-მოკლებული,
16. აღარა ჰშვენის,
აღარ გვიბრწყინვის
შავ დროთა* ძალით, ფერ წახდენილი!..
და, ვით განვლილსა
20. სიზმარსა ტკბილსა,
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,
გჟული გვიმაგროს,
24. სრულად არ წაეჰსწყდეთ ცის შემრისხავნი!

* შემოსვლა ლანგ-თემურისა და შამ-აბახისა, რომელთა საშინლად გააოხრეს ჩვენი ქვეყანა. ჭართველთა დაარქვეს შავი დრო ამით შემოსვლასა.

- ხნით დამაშვრალი,
 დაღონებული,
 28. შენადვე, მიფევე, მოველ ვედრებით:
 მოხედო ბედკრულს
 შენს სატრფოს—მამულს,
 და ჯვარით * შენით აკურთხო კვალად-
 შენი ივერი
 32. აღსდგეს ძლიერი,
 და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
 წმიდით საყდართი,
 ენით მდიდართი,
 36. სწავლისა შუქით განათებული
 ზნე ამაღლებით,
 ძლევის დიდებით,
 საშობლო მიწის სიყვარულითა!—
 40. და გაგვიცოცხლდეს,
 რომ კვლავც მოგვესმეს
 სიტყვა ქართული რუსთაველისა.
 რომ განვიღვიძნეთ,
 44. სულით განვახლდეთ,
 და განქრეს ბნელი უმეცრებისა!..
 ...მარამ ცად თვალნი
 გაქვს მიქცეულნი,
 48. და მე ველარ მცნობ გულ-შემუსვრილსა,
 დამცირებულსა,
 ხმა-მიღებულსა,
 ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს!
 52. ეჭვით აღვისილსა,
 უსასოდ კმნილსა,
 გულ-უიმიდოს, გაუხარებელს!..
 ვაჰ თუ რაც წახდეს
 56. ველარა აღასდგეს,
 ველარ აღყვავდეს ახლის შეენებით?

* როდესაც საქართველოს ჯარი შეიჭრებოდა სალაშქროდ, თამარ მეფე თვით აკურთხებდა მას ჯარსა ჯვარითა.

- და რაც დაცა
ის წარიტაცა
60. შავმან ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი!
ჰე, ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?
64. დიდება ჩვენი,
ცად სხივ-მიმფენი,
ნუთუ ესლა გვაქვს, ვაზხედავთ რასაცა?
დაყრუებულსა,
68. გზა შეუვალსა,
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,
სად სახე შეფის,
დიდის თამარის,
72. სჩანს ძველს კედელზე გამოხატულია!..

1877 წ.

მუშა ბოქუღაძე

- რას მიყურებ აგრე გაკვირვებითა,
ნუთუ სახე არ გინახავს მუშისა?
მკერდი ღია, ოფლით გასვრილ, მტერიანი,
4. ფერით რკინა, კისერჩაიანგებული,
კაცი გულით, დაჩაგრული ბედითა,
სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,
ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქცევია
8. შოენისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა!..
ან რა გიკვირს?—ჩემ შუბლზედა ღარები,
წვერ-ულვაში უდროდ გათეთრებული,
ნიშანია გულში ღრმათა ტკივილთა,
12. დიდთა შრომათ, ღრმათ ფიქრებთა მწარეთა,
უიშედოდ, უნუგეშოდ ყოფნისა!..
ჰსჩანს არ იცი, რომ არიან ღარიბნიც,
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება!..
16. ნუ გიკვირს კი, ჰსჯობს ჩემ გულში ჩახედო,
წაიკითხო სიმწარისა ამბები:
ძმის ლალატი, მოყვასთაგან დაჩაგვრა,
მეგობრისგან იუდასი ამბორი,
20. საყვარლისგან—წყვეული სიყვარული,
ნაზის ხელით გულს დასმულნი დაღები!
სოფლის გარე უწყალოდ განდევნილსა
დამაფიწყდა რაცა ვიყავ ოდესმე!..
24. და აწ მხოლოდ დამშთა ესე ჩემს ბედად:
ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლუკმისა...
და მიდის დღე, მიდის ღამე ამ ყოფით!

- ნუ მიყურებ ასე გამწარებულსა;
28. სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა...
მე ვმუშაობ... სხვანი კი იმღერიან!..
ბედნიერნი, გულითა უზრუნველნი!..
ბალით მესმის კიანურის, ლხინის ხმა,
32. საფათნავას გულ-დამწველი სიტყვები...
გულით მინდა მეც აქედან ხმა მივჰსცე,
მარამ მრცხვენის: მე მათი რა ტოლი ვარ?
და ღრმად ვჰმალავ გულში სიმწარის ოხრვას,
36. მალევით ვ-წმენდ თვალში მორეულ ცრემლსა...
ეჰ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა ჰყენისს?..

- მაშ ვინა ვარ, რა მჰქვიან ამ სოფელში,
თუ სიამის ერთი დღეც არ მახსოვდეს?
40. სიჭაბუკე ტანჯვით შრომამ წაიღო
და ვერ ვჰხედავ მომავალშიც ნუგეშსა,
მცირედ სხივსა სიხარულის ნათლისას...
წყეულ იყოს, ვინცა მუშა აკურობა,
44. მოკლებული ყოველ-გვარის შვებასა,
კაცთა შორის კაცად არ მიჩნეული..

- რას მიყურებ დაღონებულს, ფერ-მიხდილს?
მოვჰხუცდი და რა მაქვს მოსაგონებლად,
48. თუ არ ჩემი ვაებითა ცხოვრება?
რა მიამა? რომ მოვკვდე რა ვინანო?..
როგორც მოველ, ისე განვალ ამ სოფლით,
სიციოცხლისვე ღროსა დავიწყებულნი..
52. რად ვიშობე, თუ ეს ბედი თან დამჰყვა?
ვინ ვადიდო, ვინ დავსწყევლო?—არ ვიცის
მაგრამ ჩემთვის დღე სიმწარით დამდება...

- რათ მიყურებ აგრე გაოცებული?
56. ნუთუ მართლა კაციც არა გგონივარ,

- რადგანაც ვარ სიღარიბის სამოსლით,
 არა მქონდეს კეთილისა გრძნობაცა!..
 მაშა მღვდელი ლაპარაკს რომ დამიწყებს,
60. ყურს რათ ვუგდებ გონება მიზიდული?
 მის სიტყვები ზოგჯერ თუმცა არ მესმის,
 მაგრამ გულს კი უხარიან მათ სმენა!
 სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშ-ცემისა,
64. ზეციურის მადლით განათებული.
 გულში ჰქრება ღელვა სიბოროტისა...
 ეპგრძნობ სიმშვიდეს... ლოცვაებსა ვიგონებ...
 მაგონდება დღენი ყმაწვილობისა,
68. ხმა დედისა, მისი ტკბილი ალერსი...
 თვალ-წინ ვჰხედავ დიდხანს დავიწყებულთა...
 და აღარ ვჰსწყევ ჩემ შობის დღეს, ჩემს ბედსა!..
 მაშინ შრომაც დიდად მიადვილდება,
72. და მას ლამეს მძინავს ისე მშვიდობით,
 თითქოს ჩემ ქობს დაჰფრინვენ ანგელოზნი...

- განცხრომის ძვე, ნებიერად გაზრდილო,
 ეს ქვეყანა შენთვის არის შექმნილი!
76. ველთ სიმწვანე, ცის ლაგვარდი, მზის შუქი,
 გაზაფხული, სუნნელების ნიავეთ,
 შენ გეტრფიან, გახარებენ, გატკობენ!
 შენთვის ჰბრწყინვენ თვით ლამაზნი თვალებიც;
 ნაზი წელი რხევით შენსკენ რონიენებს;
 მიმოჰქრიან შენთვის ზღვაში ხომალდნიც,
 ხელოვნების ძვირთ საუნჯეთ მზიდღელნი.
 თვით მეც, მუშა, ჩენის ღონით, ოფლითა,
 შენთვისა ვარ დაბადებით მსახურად:
 დილითვე ვგვი ქუჩის უწმინდურებას,
 რომ მის სუნი არ ეწყინოს შენს ცხვირსა,
 და შორით გმზერ, კრძალვით მლოდვე წყალობის...
 88. შენ ხარ მეფე... მე ძალღადაც არ მაგდებ!..
 რაღა გითხრა, ნუთუ ეხლაც ვერ მიხვდი,
 რა ძნელია შოვნა ლუკმა-პურისა?

- როგორ ახდენს სიღარიბე კაცის გულს
92. და აბნელებს სულის სხივსა, გონებას?
ეჰ, ძმავ, წადი, შენ შენს გზაზე სიმღერით...
შე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი,
სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,
96. საუკუნოს განსასვენსა აღავსა!..

[1877]

ფსაღმუნო

ვინ აღვიდეს მალალსა შას მთასა წმიდასა,
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?..

- სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ.
4. ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვალ
და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ენებიით...

ვინცა ამ სოფლის დიდებასა მზეებრ მნათობსა,
მონებრ არ მიჰსდევს, ჰსცნობს რა მის შუქს ფუქვარჰავალსა
ვინც ძლიერებას ხმითა მალლით ამცნო სიბართლე
და ძმას დაცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინა!..

იგი აღვიდეს მალალსა შას მთასა წმიდასა,
ღვთისა დიდების გალობითა ნათელ-მოსილი.

აზარფეშაზე

ბედსა რად ჰსწყველი? რად ჰსწუხარ? რას გარგებს სულმოკლე-ბა?
შე უგუნურო, დალიე, ქვეყანა შენი იქნება!

კინტოს სიმღერა

- რა გინდა ჩემგან. არ დამეხსნები?
ვიწვი, შეღება ეშხის ალები!
შინდა დაგწყველო,—ენა არ მომდევს.
4. ვფიქრობ გეჩხუბო,—გული არ მომდევს,
ვამბობ გაგიქკე, —ფეხი არ მომდევს!
ვაი, ამ ცეცხლში როგორ გაეები!
რა გინდა ჩემგან, არ დამეხსნები?

* * *

ინედო, ნუთუ ღმერთი ხარ, რომ ფიქრი ყოვლის შენკენ ჰრბის!
რომ ჩვენი სოფლად სიციოცხლე უშენოდ არა ნათლდების?

- შენ გულს უმშვიდებ ნუგეშით ამა სოფლისგან დევნილსა,
4. შენ ცრემლსა უშრობ მტირალსა, შენ ატკობთ გამწარებულსა.
თვით საპყრობილეს, დავრდომილს, სასიკვდოდ განმზადებულსა
შენ შვიების შუქით უნათებ ბნელ ჯურღმულს და მის ბნელ გულსა:

- და თვით მას ეამსა, ოდესცა უბადრუკს ყოვლი უტევებს.
5. სამარის კარად შენ მარტო მასა თანაჰსდევ მეგობრულ.
და იქ უჩვენებ სხვა სოფელს, სხვა დღესა დაულამოსა,
ზეკად ღვთაებრივ ცხოვრებას, ნეტარსა, საუკუნოსა.

დავბრდი ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო.
გულს მიქლავს უიმედობა, საფლავს ჩაედევარ სიწმინდით...

1983 ♣

Ե Յ Ա Ն Ո

1827 — 1870

სადღეგრძელო

ანუ

ომის შემდგომ ღამე ღზინი, ერევნის სიახლოვეს

შესწყდა ბინდისას ომი საზარი,
დადუმდა არე, სად ჰქუხდა ბრძოლა;
გამარჯვებითა მოილხენს ჯარი;

4 ურდო ცეცხლებით განათებულა!

აჰა, მთოვარეც ნელიად შუქსა,
ვითა ნუგეშსა მოგვტენს საშეებლად;
შევექცეთ, ვინც დღეს გადურჩით ომსა:

3. კვლავცა გვექმნების ზეცა მთარეელად!

ძმანო, მორიგის სავესე ფიალით,
ჩვენცა მოუსხდეთ ცეცხლსა ანთებულს:
ვესალმით, ვინცა სიკვდილის ხელით

12. დაეცნენ ომში დღეს რისხვით წასულს!

და შენ, ჰე, ღვინოვ, ყოვლად ძლიერო,
ღზინით, შექცევით გულნი აღგვიგზნე;
გულის კირთ მღვენო, ნიჰო ცხერო,

16. ეინ არს, რომელ გსვა და არ აღზინე!

მხედარნი

- ჰოი, შენ ღვინოვ, ყოვლად ძლიერო,
ლხინით, შექცევით გულნი ალგვიგზნე:
გულის ქირთ მღვენო, ნიქო ციერო,
20. ვინ არს, რომელ გსვა და არ აღზინე?

საღლეგრძელი

ძმანო, აღვავსოთ თიალა წინაპართ მოსახსენებლად.
რომელთა დაჰსდვეს სიკოცხლე მამულის ასამალღებლად.
რომელთა სახე დიდების სხივს მოგვეფენს გასამხნეებლად.
რომელთა სული მაღალი ჩვენც მიგვიზიდებს ცად მაღლად!

- ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჰსჩანს ველსა ზედა ჰშთონილი.
რომლისა კვამლი ჰაერში ჰარის შებერვით არს მქრალი.
ვგრეთ იქმნების აღზოცილ ამ სოფლით მისი სახელი,
25. გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი!

ვინ გვითხრას, ვინა გვიჩვენოს, სადა ჰსცხოვრებდენ ძველ-
გმირნი?

დრომან შემუსრა, აღჰგავა მიწით მათნიცა საფლავნი:
ჩარამ, ჰსკოცხალან ჯერედაც დიდების მათ მოედანი.
მათი სახელი, მათ ხმალი. საქმენი სახელოვანნი!

- ძმანო, პატივით მივმართოთ თვალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა,
მათში სახელნი ჰსჩანან ნათელნი
36. გმირთა, მამულის განმადიდეთა!..

- ეს ვინ გამოჩნდა? ვისი აჩრდილი
დაჰმზერს ივერსა ჩაფიქრებითა?
ნუთუ ველჰრა უცვნია შეილი...
40. მისგან აღზდილი ტრფიალებითა?

- 44 შენ, ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა,
 შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,
 შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
 და ერთობისა წესი და ძალი!
48. და ივერიის აღჩნდა მეფობა,
 და განძლიერდა შენისა სიბრძნით,
 შორსა განითქვა მისი გმირობა
 და მის მეფენი დიდების ბრწყინვით!
- ქრისტეს ნათელით განათლებული,
 გეფე მირიან ჰბრწყინაეს გვირგვინით,
 ჯვარისა ძალით გარე-მორტყმული,
 შეჰმუსრავს კერპთა მათის ბომონით!
- და განჰქრა ახლის ალთქმისა ძალით
 ძველის ივერის ბნელი რწმუნება;
 ქართველთ მიხედეს ცას სიხარულით
 და საუკუნო ჰსცენეს მუნ ცხოვრება!..
60. მუხარადს მგელ-ლომ გამოსახული,
 ხელსა მახვილით, ვინ მოვალს გრგვენვით?
 ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი,
 ნზად არს საომრად სახე-შერისხვით!
64. ესე არს გმირი ის გორგ-ასლანი,*
 რომლის შეხედვით სპარსელნი ჰთრთოდნენ,
 მისწვდნენ სადაც მის ძლიერნი მკლავნი,
 მტერთა შელეწდენ და შემუსვრიდენ!

* ვახტანგ მეფეს მუხარადზე აქენდა გამოსახული მგელი და ლომი და ამისათვის ყიზილბაშთა უწოდეს გორგასლანად, ან მგელ-ლომად. საშინელი იყო ყიზილბაშ-ოათვის ძალი მუხარადისა ამის.

ზეცა წყალობად, ნუგეზად, ივერსა გაოხრებულსა,
 მეფედ მოუღლენს დავითსა, * ზეგარდმო სიყრმით ცხებულსა.
 მხედართ-მთავარსა უძლეველს, გულ-მოწყალესა მსაჯულსა.
 68. ზე-ჩაგონებით გასწავლულს, ენა მდინარე მეტყველსა!..

დავით ჰსთქვი: „იყავ ქალაქნი!“ და აღმოცენდნენ ქალაქნი!
 განჰვლე უდაბნო ოხერი,—საესეღ დაბებით შეჰქმენი!
 დაჰქარ წერაქვი,—და აღჩნდნენ ტაძარნ, ტურფად ნაშენნი!
 72. მუნ შენთან ლმერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი ივერნი!

ხმა-ჰყავ და აღსდგა ივერი წინიქსებრ განახლებული,
 დიდების სხივით შემოსილ, მშვიდობით აღყვავებული!..
 აღმხედრდი ლაშქრად,—და ილტვის სულთანნი **

შეძრწუნებული.

76. შირვან, დერბენდი ჰყავ სამზღვრად, შენი ხმლით
 შემოხაზული ***

ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი,
 თვალნი სიამის გამომაცენნი,
 სარო-ტანადი, ნაზად მრხეველი,
 30. თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი! ***

ვითარცა ლმერთა მშვენიერების,
 ქველ-მოქმედების, სახიერების,
 ვით მტრედი მადლის მშვიდი და წყნარი
 34. ეგრეთ მშვენიებით მოვალს თამარი!

სხივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი,
 უპყრავს დიდებას და სათნოებას;

* დავით აღმაშენებელი, რომელიც გამეფდა მაშინ, ოდესცა საქართველი იყო სრულიად გაოხრებული მაჰმადიანთაგან.

** შემახის სულთანნი გაიპარა მშვენიებული მეფის დავითის ჯარის მიხედვითა.

*** მაშინ საქართველოს სამხლევარი იყო: ანი, შამახია და დერბენდი (იმა-ღე ქართლის ცხოვრება).

**** ანტონ კათალიკოზის სიტყვა.

88. წინაშე მისსა ძლევა და მუხნი
განადიდებენ მისსა მეფობას!

92. მის დროშას მოჰსდევს დიდი ორბელი,
შოთა უკვდავი, ბრძენი ჭყონდიდი;
მხედართ-მთავარი დიდი მხარ-გრძელი
და გამრეკელი, ლომებრ გულადი!

96. თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს* ლაშქარი;
კახი ფარ შუბით, თუში ხმლით, ფშავ-ხევისურს ჰშვენის აბჯარი.
მკლავით ძლიერით ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი.
96. ოსი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი!

100. მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი, გურული, მეგრი მკვირცხლობით..
თამარი ლოცავს ჯვართა, ჯარს ამხნევს გულის უხვებით:
100. გული მეფისა ზღვა არის, უსანზღვროება წყალობით!..

გალაშქრდნენ, მისწვდნენ კარსუსა,** ერთის შეტევით მიღეწეს!
ლომებრ მისცვიდნენ სინოპსა, მის ციხე ზღვაში გარდაგდეს.
განვლეს არეზი***, თავერიზი, ყაფლანქუ გარდაიარეს,
104. და მტვერი გაოხრებისა, ლეიის რისხვად ყაზმინს თავს დასცეს!

დრონი იცვალნენ იხილეთ, ქეთევან ნაზად აღზრდილი****
მამულისათვის იტანჯვის. სარწმუნოების დამცველი,
ხორც-დაგლეჯილი შანგებით, ჰგერდზედა ცეცხლ-ანთებული,
106. სულის სიზალღეს გვიმტკიცებს ზეცად დიდებით აღმსვლელი!

* დიდუბეს ეძახდნენ იმ მინდორს, სადაც ეხლა არის ნებეცის კოლონია, მუშ-
თაიდის ბალი და მწვითი აუკალისავენ, — დიდუბეში იდგა თამარ მეფის სასახლე.
რომელშიც იყო მეორე მისი ქარაჭილი.

** კარსუ ქალაქია, აწინდელი აზრუმი.

*** კნ. პანკევიჩიან 1827 წელს სწორეთ ამ გზით განვლია ძლევა-შემოსილი-
რუსის ჯარითა მიანამდის.

**** ქეთევან დედოფალი

ნათელ გვირგვინით მოჰსჩანან კახეთის მსხნელნი ვმირები
ელისბარ, შალვა, ბიძინა* მტარვლისგან დატანჯულები!..
ტარივათ შესაწირავათ მახვილით განგმირულები,

112. ღმერთს ავედრებენ მამულსა მათ უკანასკნელ სიტყვები!

აჰა, ცხრა ძმანი, სახელ-განთქმულნი,
ძმანი გულითად შეთვისებულნი;

ერთ წმიდა მსხვერპლი, ცად შეწირულნი.

116. ერთ ეამს, ერთს ომში ერთად დაკლულნი.**

აჰა, ერთ-გული ამილახვარი***

თავდადებითა მეფისთვის მკვდარი!..

და მეფის ძალი ოთხნი ზაალნი,****

120. თითო ერთ ჯარად დაფასებულნი!..

აჰა, სჯულისა წიგნითა ვახტანგ სვე-დანწარებულა.*****

სწავლის მოყვარე, მფარველი, გონება ამალღებული!

უცხოთა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი,

124. დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დამიწებული!

აჰა, ივერის ნუგეშ-დიდება,

თვისის დროისა გამშვენებელი,

* ელისბარ იყო ჩოლოყაშვილი; შალვა და ბიძინა—ქსნის ერისთავნი.

** ხერხეულიძის ძენი განთქმულნი ვაკაკობითა, დაიხოცნენ ერთად მარაბ-
დის ომში პირისპირ შაჰაბახისა.

*** ერთმა ზედგინიძის გვარისაგანმა გააფრთხილა მეფე (ეგონებ გიორგი XI)
შეთქმულებაზე, რომ ღამე მოკვლას უპირებენ. მეფე არ უჯერებდა, ზედგინიძე თა-
ვის სიტყვის დასამტკიცებლად და მეფეს გადარჩენიათვის დაწვა მეფის ლოგინ
ში, რომელშიაც იმავე ღამეს მოჰკლეს და აჭყენეს შეთქმულთა. ამ თავდადებისა-
თვის ზედგინიძის გვარეულობასა მეფემ მისცა ამილახრობა, რომელისაც შთამო-
ბეაღლნი არიან ვხლა ამილახერიანი.

**** ესენი იყვნენ ერთ. დროს, გვარად: ორბელიანი, ბარათაშვილი, ანდრონი-
კაშვილი-კუხიანი და ბორტისხვილი მაჩაბელი. მეფე ირაკლი იტყობდა: „თითო
ზაალ ღირს თითო ჯარად“.

***** მეფე ვახტანგ მარხია ასტრახანში.

128. მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა კახი, მეფე ირაკლი!*
წარბშეკმუნენილნი, ხმალ-ხელ მოწვდენით.

132. ეჟი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!
ერთის შეხედვით, მტერთა შემუსვრით
ბრძოლა წამსავე გარდასწყდებოდა!

136. დღენი ამისნი ემსგავსენეს ჩასვენებულსა ბრწყინვით ნზეს,
მის შუქი თუმცა გვინათებს, მარამ ველარ ეზზერთ მისს სახეს!
მამული ველარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელღარეს,
დიდება ივერისა მასთან მარხია სამარეს!

140. მეფისა დროშით სად მიხვალ, ჰე, ლევან,** სულით ნათელო?
შენ მხოლოდ მამის იმედო, უდროდ მზე დაბნელებულო!
მსხვერპლო ბნელისა მტერობის, შეუბრალებით შექმულო!..
შეირყა ტახტი მეფისა, რა შთახვედ საფლავს ლომ-გულო.

რა ცეცხლი გაჩნდა გაღმა-მხარს, რა გრგვინვა მოდის
ბრძოლისა?

144. მთლად დაღისტანი მოაწვა გასაოხრებლად ყვარლისა!
ოკდარვა დღეა, რაც ისმის ხმა ომის შეუწყვეტლისა!
გაჰირდა... ციხე მისუსტდა... სად არის ხელი მხსნელისა?
ორასის მხედრით სოლომან, ოთარი და რატიშვილი,***

* კახელები ეძახიან მეფე ირაკლის პატარა კახად; სიმღერაშიაც მოიხსენი-
ებენ: „ბატონი მეფე ერეკლე ჩვენი პატარა კახია“.

** მეფე ირაკლის შვილი, მალალ გონიერი და ვაჟკაცი. მეფემ ჩააბარა ამას
დიდ-ვაჟკაცობისათვის თავის ბაირალი და ორი ათასი გამოჩენილი ვაჟკაცობითა
მხედარნი. მეფემ ამის რჩევით დაადგინა მორიგის ჯარი (იხ. ბუტყოვის ზაპისკა).
ამბობენ ერთიმეც ლევან მოაწამლა მისმა მეუღლემ (ნათქვამია ალ. გ—ძის ორბე-
ლიანისაგან).

*** სოლომან და ოთარი აყენენ ძმანი კვაბულაშვილნი.

ნოდარის ძენი, და ბოსტა*, დავით** და ბებურიშვილი
142. გაჩნდნენ... დაჰკივლეს... ხმალ და ხმალ შუა გააპეს ლექთ
დალი
და გამოიხსნეს მბრწყინავე კახეთის თვალი ყვარელი!

152. დიდებულ სახით, გულუშიშარი
ვინ არს, რომ მისგან მტერი იშიშვის?
ჯარის იმედი, მტკიცე საფარი,
ძლევა მის ღროშას წინა მიუძღვის!

156. შენ ხარ, ჰე დავით,*** გზირი ლომგული,
ვინც იყავ მტრისთვის, ვით ცისა რისხვა:
მარჯვენას გეპყრა სიკვდილის ცელი,
სადაც შეჰსძახე, მუნ იყო მტერთ სრვია!

160. და ზაქარია,*** მიწისა მგელი
ანაზღეულად მუნ აღჩნდებოდა,
სადაცა მტერი გალაღებული,
მისგან შემუხრვას არ მოელოდა!

164. ვითარცა ქექა, მისი დაცემა
მტერთა ზედ იყო ესრედ საზარლად;
სადაც იელვა მახვილმა მისმა,
მუნ მტრის სიცოცხლე განქარდა მსწრაფლად!

* მეფე ირაკლის, ძალიან დამარცხებულსა აღაზნის პირზე კარვლებიანგან დაუდგა დაღალულობით ცხენი. მეფეს სწავრა ქაზიყის მოურავს თამაზ ანდრონიკაშვილს ცხენი და მან მოახსენა: „ბატონო, შემომიჯექით და ორნივე ერთად მოვრჩებით. თორემ მტერა ააღო მოკვდეუა“. „მუნც შევარცხვინა და შენი ცხენიცა“, უპასუხა ბატონმა ამ დროს მოადგა ყმაწვილი კაცი, — ჩამაბტა ცხენითა და მიართვა და ამით მეფე მორჩა განსაცდელისაგან. ეს ყმაწვილი კაცი იყო ბოსტა. რომლის გვარი მეფისაგან გააზნაჲრ-შვილებული ვლაც არიან ბოსტაშვილები.

** დავით იყო ბარათაშვილი.

*** დავით სარდალი ორბელიანი, განთქმული ვაყაყობითა და სარღლობითა ეს იყო მიზეზი დიდის გამარჯვებისა ახატ-ხანზე ერევანთან და ასპინძის ომშიაც ოსმალ-ლეკებზე.

**** ზაქარია ანდრონიკაშვილი, ქიხიყის მოურავი, დიდი ვაჯაკი. ლეკნი ამას ეძახდნენ „მიწის მეულად“.

გუნდნი და გუნდნი ვაჟკაცთა ჰსჩანან მამულის მფარველნი!
ზოგნი აზატის დამძხობნი, ზოგნი თემურის მებრძოლნი!
168. აი ასპინძის გმირები, ღირსებით თაყვან-ცემულნი,
რომელთ შეძლებეს მტრის სისხლით მტკვრის ზვირთნი
აღელებულნი!

აი სამასნი გმირები* დუშეთით თბილისს მოსულნი
მეფის შეწევნად, და მის წინ, მისთვისე შეფიცებულნი:
— „თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა განვჰსდევნეთ მტრის
ძალი,

172. იყოს შერცხევილ, ვინც ჩვენგან, შინა წაფიდეს ცოცხალი!“
და გარდიწერეს პირს-ჯვარი... ვაჟკაცებრ ხმალი იშიშვლეს...
და შავარდენებრ მივარდნენ სპარსთა ურიცხვსა სიმრავლეს!
შეჰსძრეს... ვაჰთანტეს... მარამა... ზედ თავიც თვისი
დააკლეს...

176. ფიცი ვაჟკაცთა წმიდა არს... მათცა სიკვდილით შემოწმეს!
თავგანწირულმა გმირობამ ვერა დაჰსძლია შავ-მხვედრი...
წახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერი...
და სად დაჰსთხიეს გმირთ სისხლი აწ ეჰმზერთ სიამით ბაღთ
მწვანეთ.

180. მუნით მოისმის ღმირის ხმა გულ-უზრუნველთა მოღმირთ!
და მას წმიდასა ალაგსა, თაყვან-საცემსა ღირსებით,
გლახ-უმეტრება ფეხ-ქვეშე ჰსთრგუნავს გულითა
უგრძნობით!..

გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
184. თქვენთა სახელთა ამაყად წარმოჰსთქვამს შთამომავლობა
უქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუც ცრემლ-მოედინება.
მზნობით აღტაცებული ჰბუჟი ხმალსა მიჰსწვდება!

* სამასნი არაგველნი მოვიდნენ თბილისს დუშეთიდან ალა-მამადზანის შე-
ნოსვლის დროს, შეჰფიცეს მეფეს და ერთიც აღარ გამოვიდა ცოცხალი ომიდან,
ესენი იყვნენ ვახტანგ ბატონიშვილის ხელ-ქვეითი და კრწანისის ბაღებთან დაიხოც-
ნენ (ნათქ. თ. აღუქ. ვახ. ორბელიანისაგან).

მხედარნი

- გმირნო, მამულის მადიდნო, .თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
: 88. თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა.
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება.
მხნობით ალტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწედება!

სადღეგრძელო

192. ხელმწიფევე ჩვენო.
ძლიერო ბრძენო,
ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა!
მხედარნი შენნი,
ერთგულნი მხნენი,
196. ვჰსვამთ შენს სადღეგრძელოს მოწიწებითა!
გულნი ივერთა გვაქვს მსხვერპლად მზადა, შენდა შესაფერ-
შესაწირავად:
ტაძარი შენი ჰსდგას გულსა ჩვენსა, მოვედ მშვიდობის
ჩვენდა საქმევად:
200. ძველი ივერი.
შენი ივერი,
შენდა მოჰმართავს თვალსა და გულსა:
შენგან მოელის,
რომ ლამპარს ჰსწავლის
204. კეალად აღუნთებ ძველად გამჰქრალსა!
შენგან მოელის,
ვით გაზაფხულის
ყვავილი მზისგან აღმოცენასა!
208. განახლებული,
განათლებული,
ქენიქსებრ იწყებს აღმა-ფრენასა!
მტრისა მძლეველსა,
212. ჩვენსა მფარველსა,
მარჯვენას შენსა განავრცობ ჩვენზე;

- ახლის ცხოვრებით
 აღგზავილდებით,
 216. ვითარცა მდელი მზის შარავანდზე!
 მტერბ შეძრწუნდეს,
 რა მოახლოვდეს
 მხნეობით დატულს, შენსა სამზღვარსა!
 220. თამარის დღენი,
 დიდების დღენი,
 შენ მოუვლინე შენსა ივერსა!..
 ღმერთო, გვისმინე,
 224. მეფეს მოჰფინე
 ძლევა, კურთხევა, მაღლი ზეციერ!
 ჩვენდა დიდებად,
 ბედნიერებად,
 228. მეფე გვიცოცხლე მრავალ-ჟამიერ!

მხუდარნი

- ღმერთო, გვისმინე,
 მეფეს მოჰფინე
 232. ძლევა, კურთხევა, მაღლი ზეციერ!
 ჩვენდა დიდებად,
 ბედნიერებად,
 მეფე გვიცოცხლე მრავალ-ჟამიერ!
 236. მრავალ-ჟამიერ!
 მრავალ-ჟამიერ!

საღვთობა

- ჰე, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული
 არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?
 ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დაჰსთხიოს თვისი სისხლი.
 240. არ დააკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი
 ვინ არ შეეჰსტრფით მას აღვილს; სად აღგვეხილნეს პირველ
 თვალნი?

სად ჰრბიოდა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩენი?
სად გეფარვიდა ნებიერად ხვევნა-ალერსი მშობლისა,
244. და სად აღგვენთო პირველად გულს ცეცხლი სიყვარულისა.
სად აწ ნაზისა რხევითა კეკლუცნ, გულის მიმტაცნი,
ტაძრად მიდიან ტემლითა ჩენთეის მხურვალედ მლოცავნი!

სადა შევჭხარით ლაქვარდად ცისა კამარას მორთულსა,
248. მასზე მავალსა ხელმწიფებრ, მზეს ბრწყინვით განსხივებულსა,
ლამით ვარსკვლოვანს ფირუზსა, მთოვარით განათებულსა!
სიციოცხლის მოჰფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა!

სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცაღმდე ასულნი
252. და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე მსროლელნი;
უფსკრულნი—ჩაბნელებულნი, კლდენი—თვალ-გადუწვდენი,
სად მონადირე ჰსდევს ჯიხვსა და მის ქვეშ ჰვლენან
ლორუბელნი.

სად ველნი, ფერით ზურმუხტნი, ნაზადა აღმწვანდებიან.
255. მათზე კასკასით წყარონი, გახარებულნი მორბიან;
მათ სიკამკამეს ყვავილნი თავ-დახრით განცვიფრდებიან:
გულს მათი ხილვა უხარის, თვალთ კვალად ენატრებიან:

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?
260. ერი—გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!..

მამულისათვის ფიალა სავსე ვჰსვავთ სიამოვნებით,
264. და იქმნეს აღყვავებული კეთილ-დღეობით, დიდებით;
იქმნეს მის ქედლი აღყვანილ ცათამდის ძეთა მხნეობით,
და სიყვარულის მისდამი ვჰხარობდეთ გულსა აღზნებით!

სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ეამს გრძელსა,
268. თუ ფუჟი მისი სიციოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!

მის სადიდებლად ჩვენც შევპხვდეთ უშიშრად ათასს მახვილსა.
და ზოგჯერდეთ, თუკი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სახელსა!

მხეარნი

272. ჰე, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვისილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხოოს თვისი სისხლი.
არა დაკლას თავი თვისი, შენ დიდებულ, ვითა წსხვერპლი!

საღლეგრძელო

276. ვაი ვინცა ეშხის ცეცხლით ჩემებრ გულსა მკვდრადა ჰხედვენ...
მგტრამ, ჰე შენ, ზეგობრობავ, შენბისვარსკვლავად აღგვეგზენ!
გვინათლე ცხოვრებისა გზა, ზედა ყვავილნი მოჰფინენ,
და განჰვლოთ გულის სიმტკიცით, შენც თანა-მგზავრად
შეგვექმენ!

280. რა არის ჩვენი სიციცხლე, თუ არა საქმე კეთილი?
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვეკმნეთ ნუგეშ-მცემელი?
თუ არა ვჰსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?
სხვის კენესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?

284. ამ პაჭრის გულსა დანერგვით ვჰსდევნიდეთ სულ-მოკლეობას!
ვჰსდევნიდეთ ძალას დამზავრელს და მისსა უსამართლობას;
ვჰსდევნიდეთ კაცის წაშვილწველს, უწინდურს ანგაარებას;
ვჰსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა სულის მალლობას!..

288. მიეცი თ ნიჭსა გზა ფართო, თაყვანის-ცემა ღირსებას:
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარის-შვილობას!
კაცი ის არის, ვინ არის ზეგარდმო მადლით ცხებული;
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დაშენებული!

კმარა მოძღვრობა... დავლიოთ... ვინ იცის ხვალ ვინ

მოგვაკლდეს?

292. ნაცვლად ლხინისა, იქნება ვისმე გვითხრიდნენ სამარეს?*
ოხ! ვით ძნელ არს მეგობრისთვის, მეგობარსა რომ მარხავდეს,
ანუ ჰსჭვრეტდეს საშიშს ალაგს, შენწეობას ვერ აძლევდეს!

მისთვის ეს ეამი ლხინისა მოვჰსწყვიტოთ, ვითა ყვაფილი.

296. რომლისა სუნი, სიტურფე, არა არს ჯერეთ გამქრალი!
ხვალის იმედით არ ვჰკარგოთ ეს ეამი მალხინებელი,
თვარა მერწმუნეთ, რომ ხვალე ხშირად არს მაცდუნებელი!

მეგობრობასა წმიდასა შევჰსწიროთ სრულად რაც გვაქვდეს!

300. დავლიოთ მისთვის ფიალა და აღთქმა არა გვაფიწყდეს...
ვიყვნეთ ცოცხალნი მეგობრად და ვინცა ომში დაეცეს,
კრემლნი, კურთხევა მეგობართ თან გავაყოლოთ სამარეს!

მხედარნი

აწვე შევიტყუო, ჰე, ძმანო! ვინ იცის ხვალ ვინ მოგვაკლდეს?

304. ნაცვლად ლხინისა, იქნება, ვისმე გვითხრიდნენ სამარეს.
ოხ! ვით ძნელ არს მეგობრისთვის, მეგობარსა რომ მარხავდეს,
ანუ ჰსჭვრეტდეს საშიშ ალაგს, შემწეობას ვერ აძლევდეს!

სადღვრძელო

ძმანო, ივიწყეთ მცირეს ეამს მტერი, ომი და დიდება.

308. მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკბება;
რომლის შუქი აღგვამალდებს, რომლით სული გვინათლდება,
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება!

სად ხარ, სიყვარულის დღევ, აღარა უკმოიქცევი?

312. ღიმილით შენსა შეყრასა ნუთუ ამაოდ ვისურვი?

* ერეენის ფორშტატში მოჰკლეს სვიმონ ვაჩნაძე; ჯაყან-ბულაღის ომში ჭაბ-რიელ სოლოლაშვილი და ჟრდთ აბბატის სიახლოეს სვიმონ ჭაჭავაძე, სამნივე მშვენიერი და სასუე გონებითა ყმაწვილნი კაცნი. გაბრიელი იყო დასახატავი ცხენოსანი იმ დროს, როდესაც საქართველოში იყვნენ მრავალნი გაჭოჩენილნი ცხენოსანნი.

გულისა მნათი, ლამპარი ნუთუ ჩემთვისა განჰქარდა
და ჩემი ბედნიერებაც წასულთა დღეთთან წარვიდა?..

316. გული რა იგრძნობს სიყვარულს, სიცოცხლეს მაშინ აჰყვავდეს.
ნეტარ ის ქაში, როს სატრფო თავსა ჩენსა გვევიწყებდეს:
მას შევსტრფოდეთ, შეეხაროდეთ, თავს ვეგლოდეთ, ის
გეტანჯავდეს:
ხან უწყალოდ გულს გვიკლავდეს, ხან ლმობითა
ნუგეშგვცემდეს!

320. რა ნახოს კეთილ უგრძნობმან ტრფობისა ძნელთა კირებთა.
ვის არ შეეხო ეშხი გულს, არ ებრძვის გულის წყლულებთა?
მიჰხედეთ ვარდსა, მაშინ ჰფენს უმეტეს სუნნელებათა!
ოდეს ნიაფი შეხებით შეარყევს მისთა რტოებთა!

324. სიყვარულისა ალითა ვის ჩვენში გული ეწოდეს,
და სატრფოს სახე მარად ვის სულსა აღბეჭდვით თან ჰსდევდეს.
ამა სოფელსა, მას რაი წინა საბრკმელად აღუდგეს?
გულს სიყვარულით, ხელს ხმალით, რას არა აღასრულებდეს?

328. მაშ აბა, ძმანო, გულის სატრფოსთვის
ფიალა სავსე შევსვათ წყურვილით!
ვისურვოთ, რომელ მის ცრემლი კმუნვის
გაშრეს, ვით ღვინო, ამა ფიალით!
შეებისა დღენი მისთვის არ შეჰსწყდეს,
332. არ ვნახოთ იგი კმუნვისა ღრუბლით!
ახ, სატრფოს ხილვის დღე როს აღმოჰსჩნდეს.
ენა გვემუნჯოს მეტ სიხარულით!
ჰე, ჩემო ღმერთავ!
336. აწ შენ მოგმართავ!
მისმინო კვალად შორით სიტყვანი:
ყოფელ ჩემ ფიქრთა,
ჩემთ საუბართა,
340. იღუმალ ოხრვათ, ხარ შენ საგანი!

თუ-არა შენზე,
ვუბნობდე სხვაზე!
ბრალი არს ენა და მის როტვანი!

344. ვაი-თუ ჩემმან, უდროდ შავ-ბედმან, აქ განმისაზღვრა მეც
აღსასრული!
ვაი-თუ მოვკვდე, მეც ობოლ-მწირად, გულს არ დამეცეს
სატრფოის ცრემლი.
არ მესმას მისი ხმა ნუგეშისა, სიკვდილის ეამის დამატკობელი?
არა ვემთხვიო, ბაგით ძლიერ-ცოცხლით, უქანასკნელად
მშვენიერს მის გულს.
348. რომ სახე მისი, თვალთა დახშულმან, თანა წარვიღო იმიერ
სოფელს
მუნ საშვებელად, მუნ სანუგეშად; და რათა მითვე ვპსცნა
უკვდავება!..
რაა გინდ მოვკვდე? მაინც შენდამო სულს სიყვარული თანა
წარჰყვება!..
არს უკვდავება, სულის დატკობა, რომელს დასასრულ არა
ექმნების.
352. მაშ სახე, სულის დამატკობელი, იმიერ სოფელს არ
განგეშორდების.
და სიყვარული, სულის მაშენი, სიცოცხლეს-თანა არა
დაჰშრტების.
თვარა სიყვარულს თუ დავჰკარგვიდე, უკვდავებამან მის წილ
რა მომცეს?
უსიყვარულოდ სასუფეველი, ვით საპყრობილე, ჩემთვის
შგიქმნეს!..

მხედარნი

356. მაშ აბა, ძმანო, ერთიკ სატრფოსთვის
ფიალა სავეტ შეესვათ წყურვილით;
ვისურვოთ, რომელ მის ცრემლი კმუნვის
გაშრეს, ვით ღვინო ამა ფიალით!

360. ცისკარმან აღმოსავლეთით ვარდისა ფერად შეპლემა,
 ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შეენება!
 აწთნენ ცეცხლის ალებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი;
 ცა მშენიერობს, ნათლდება... მასა შევნატრდით მზილველნი!
364. ილევა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან!
 ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!
 მოჰქრის დილისა ნიაფიც გულისა მაგრილებელი;
 ფშვინვა დაიწყეს ყვაილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი!
368. ოჰ, რა ღამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!
 დაიჟმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით, ჰვალობს ბულბული?
 ირაკლის თაფაც * გამოჩნდა... აჰა მთაც კიღობანისა!.. **
 აი მყვირალა ზანგისა და ბურჯნი ერეგანისა!..

გათენდა

372. ვინ ან დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა,
 გულისა კმუნვის გამქარველს, სიცოცხლის დამატკბობელსა!..
 ღმერთო, ვინ მიჰსწდეს შენგან კმნილს, მისს ფერ უთვალავს
 შენებას?
 სიბნელეს აქრობ ნათელით; სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!..
376. ურდოც შეიძრა... ხმაურობს... დაჰკრეს ნაღარა ცისკრისა...
 განემზადება საომრად რაზმი და რაზმი ჯარისა!
 აი თოფიცა გავარდა... აი რბის ცხენი მხედრისა!
 ამ მშენიერსა დილასა, კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა?
380. ჩვენც ავდგეთ, ძმანო, და ერთიც გამარჯვებისა დავლიოთ!
 და დღეს ვინც ვეღარ დაბრუნდეს, ის ცრემლით მოვიხსენიოთ!
 დასრულდა, განჰქრა, სიზმარებრ ესე ღვინიცა ღამისა...
 წარვიდეთ, სადაც მიგვიწოდს ხმა საიდუმლო მხედრისა!

* საჩხღის ბლთან ირაკლის თაფა, მარჯვნივ ზანგისა. ამ გორაზე იდგა მეფე ირაკლი, როდესაც დაიმორჩილა ერეგანი.

** არარატის მთა.

თ. აღექსანდრე ვახტანგისძეს ორბელიანს

384. აწ სად არიან იგინი, მას ეამსა ლხინში ვინც იყვნენ?
ძმანი და ტოლნი, ვაჟაკნი, რომელნი ხილვით გვალხენდნენ?..
განგვზორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყვარდნენ,
თვალთ მიგვეფარნენ... წაყიდნენ... ძველთაგან დაფშითთ მე
და შენ!..
388. ან ეს რაცა ვჰსთქვი, რადა ვჰსთქვი. თუ რაც ზინდოდა ვერა
ვჰსთქვი?
და ვერ ვჰსთქვი რაცა, ის წყლულად. გულს დაშთა და შით
ვიტანჯი!..
მაგრამ, თუ ვინმემ აქ ჰპოვა აზრი ნაცნობი გულისა,
ვიფიწყებ, რაც ვსვი სიმწარე ეკლიანს გზაზე სოფლისა!..
392. ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარიან, რა მინდა?
რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ვერც კი ვგრძნობ, რაცა მიყვარდა?
დღე ყოველ, ეამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა.
ვპწზერ მწუხარებით ზომიანლს და ვჰსწყევლი ფუჰად წარსულსა..

[1827—1870]

მიზაძვები
და
თარგმანები

1830 — 1864

* * *

[ქუკოესკიამ]

პოი, სოფელო! რად ხარ ესრეთ მდიდარ ოცნებით?
შენსა მომდეგსა ეჩვენები ტურფად, ცთუნებით.
შენში კეთილსა საცხოვრებლად აქვს წამი ოდენ!
კუნუვა არს უფროთო—სიამენი მალიად ჰფრინვენ

ბედნიერება დღეთა ჩვენთ არს სიყვარულის ყვავილი.
რა განქრეს მისი სიტურფე, სიხარულს ნულარ მოელი.

მუხროვანი,
1830 წელსა,
იენისის 3-სა დღესა

ღ ხ ი ნ ი

(მიბაძეა ჰუჭინისა)

- მე იგი მიყვარს ლხინი, სად თავისუფლება მეფობდეს,
სადაცა ვულ-წრფელობითა ყოველი მხიარულობდეს,
სადაც სალამოთ ცისკრამდის მხოლოდ „დალიე“ ისმოდეს,
4. და ჯამი—აზარტეზასა და ყანწი თასსა შეჰსცვლიდეს;
მეც ვჰსვჰრეტდე ჩემსა სატრფოსა, ან მას ჩემი ხმა ესმოდეს.
და იგი ცისკრად ხვეენაში წარსულსა ლხინსა მყვედრიდეს.

ხაჭათალას ჯინჯიხოლის კოშკი.

1830 წელსა.

ნოემბრის 9-სა.

ა ლ ს ა რ ე ბ ა

[მიბაძვა კონდ. რილევის ლექსისა: „ნალივაიკოს აღსარება“]

- 3ე, სულეირო მამაო, ნუ მეტყვი: ა მ ი თ შ ე ჰ ს ც ო დ ა ვ:
ესრეთსა შენსა მოძღვრებას მხოლოდ უბრალოდ დაჰკარგავ!
რა მგამა იყოს საშინელ, სატანჯველ ჩემთვის ეს ცოდვა;
- 4 თუკი მით თავისუფლება მამულსა უკმოექცევა!
ეს საიღუმლო, რაიც ვჰსთქვი, ოღონდა აღესრულოსა!
კოდვანი თათართ, ურიათ მზა ვარ მივილო ჩემს სულსა!
8. და მისთვის ნულარ ეცდები ზეციურ რისხვით მაშინო,
ან საუკუნოდ ტანჯვითა ჩემ შორის ნანვა აჩინო!
ჯოჯოხეთი მტანჯს მაშინ მე, ვჰხედავ რა ტყვედ ქმნილს
მამულსა!
როს ვნახო თავისუფლებით, ვჰხედე მაშინ სასუფეველსა!
სიყრმით ჩემითგან გულს ცეცხლი თავისუფლების აღმენტო;
12. რა მესმა ძველთ დროთ ლიღინი, ცეცხლი ცეცხლზედა
დამერთო!
- ესრეთ სარცხვინო შიშითა ვინ იყო მაშინ ძლეული?
ტყვეობას ვის არ ერჩინა სიკვდილი მამაცეული?
ქედმოდრეკილი უღელს ქვეშ, სიმწარით დღეთ თვისთ ვინ
ჰსწყევდა?
16. ნთოვარით განისვენებდნენ და მზე ნათელსა მოჰყენდა!
მაშინა აქენდათ ივერთა რა სიკვარული კავშირად,
აღესილი მათი სიამით ცხოვრება ჰრბიოდა ნათლად.
აწ გესლოვანთა მუხთლურებ ჩვენ შორის ჰსთესეს მტერობა:
20. კავშირი შეჰწყდა და მასთან ივერთა კეთილდღეობა!—

შიში, სიმდაბლე სულისა, შური, მფლობელნი აწ ...ენნი
არიან მარად მონების ნაყოფნი ესე საძაგნი!—

24. ძველი ქებული სამეფო უფსკრულსა შთაუნთქავს ესრეთს,
რომ ჩვენზე მტერნი აღმსდგარან და ჩვენ კი ვებრძვით
ურთიერთს.

ლექი, ოსზალო და სპარსი, ვით მგელნი განუძღომელნი,
უწყალოდ ჰგლეჯენ ჩვენს მამულს, სისხლითა ჩვენით ღებილნი,
ჰსჯულსა უძღურად შექმნილსა, ჰსთვლემს მცხეთას

გამოუფხიზლად;

28. ერი ღალატებს ვაებას, და ვერვინ აღსდგა მფარველად.
მის ქამით მტრისა სისხლისა ვარ დასათხვევად მოსურნე
და ამა ფიქრით მოკულსა, სახე მაქვს კმუხენილ, მრისხანე.

მე თავისუფლებისათვის სული მარადის მიკენვისს,

32. და ეს ოცნება ღღედაღამ, ვითა აჩრდილი თან მდევნის:
მოსვენებასა არ მაძლევს ნათესავთ შორის გინა ვჯდვ.
გინა საყდარში შესული გულმხურვალეებით ვილოცდე:
ხმა საიდუმლო მარად ქამს მეჩურჩულეების მე ყურსა.

36. ქამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ღესულსა:
ეუწყვი მე მართლად, რომ ჯერ არს სიკვდილსა იგი ელოდეს
ვინც ერის მაწუხებელსა პირველად წინა-აღუდგეს!
მარა, მოძღვარო მითხარ მე, ვის? სად? რომელსა მხარეს?

40. თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ მოუსყიდის?
წარესწყმდები, მამულისათვის, ვიცი, ვგაძნობ და აღვიარებ;
და მისთვის ესრედ ჩემს სიკვდილს ადრევე სიამით ვაკურთხებ!

ტბილისი

[1831]

ქუკოვსკი დამ

- მას უხაროდეს, ვისაცა ლხინი
მაისის ვარდი, ხმა იაღონის
და ეშუი, დღეთა ჩვენთა მაშვენი,
4. ვითარცა უწინ, აწც იამების;
იმედსა ჯერ ვინც არ უცდენიეს.
ვინცა სიხარულს დასცქერის ოდენ,
ვის გული ტრფობით არ დაჰსკნობიეს.
8. და ოხრვა, კენესა მას არა ჰაცნობენ.
- ვითა პეპელა ყვაფილთ დაჰფრინაეს;
მარად მხიარულ, დაუდგრომელი;
იფიწყებს იას, როს ზამბახს ჰსუნაეს,
12. და ჰსვამს სიტკბოსა, ტყვედ წაშა ქმნილი
ეგრეთ ნეტარ მას, გულისა კმუნვა,
დავიწყებითა ვინც განაქარვა,
ვინც ოხრავს დღესა, იცინის ხვალე,
16. და მისი, ესრედ მირბის სიცოცხლე!
- მაგრამ ვაი მას, ვისაცა ლხინი,
მაისის ვარდი, ხმა იაღონის
და ეშუი, დღეთა ჩვენთა მაშვენი,
20. უწინდელსავით არ იამების!
ვისაც განექრო ბაგეთ ღიმილი,
ვინც უთხრა ოხრვით იმედს „მშვიდობით!“ -
ტრფობისთვის ვისაც დაეხშო გული
24. და მზერს სამარეს სიამოვნებით.

1832 წელს,
თებერვლის 22 დღეს,
ნასლედნის პრუსკის პოლკის შტაბი.

ვირი და ბუღბუღი

(კრილოვიდამ)

4. ვირმა ბუღბუღი ერთხელა
ახლოს მჯდომარე იხილა,
და უთხრა: ქება შენის ხმის
თუმცა ბევრთაგან მსმენია,
მაგრამ არ მჯერა, ეიდრემდის
ჩემთ ყურთ არ გაუგონია.

მისთვის დიდად მსურს გისმინო, და ვიქმნა მე თვით
მსაჯულად!

8. რა ესმა ესე ბუღბუღსა, შექსძახა თავისებურად:
ხან დაუსტვინა, დამლერა, ხან ზედ დაჰკენესა საწყალად;
ზოგჯერ ნაზადა; ნაზადა მისი ხმა მისუსტდებოდა,
და მაშინ ვითა საამო შორს სალამური ისმოდა,
12. და ხან ხმა მალღივ რაკრაკით არესა განალღვიძებდა...

16. რა მისი გახდა ხმა არეს,
მყისვე დადუმდა ყოველი;
ნიაფი შეჰსდგა, შეჰსწყვიტეს
სხვათა ფრინველთაჲ ძლივილი;

- მწყემსმაც ძირს დასდგა დუღუკი, მის კმუნვის გამჰარეებელი,
მგზავრს დააფიწუნა თვისი გზა, და შედგა მისი მსმენელი!
ბუღბუღმა თვისი გრძნობანი. თუ სიყვარული, თუ ტანჯვა
20. რაკა ვარდისგან ნიელო, ყველა სიძღვრით წარმოსთქვა.
ბოლოს დადუმდა. და მაშინ ვირმა ყურები დაუშვა, და ჰრქვა:

„ჰო! მართლად, შენი სიმღერა არა მოაწყენს მსმენელსა,
მაგრამ კი შებრალები, რომ ვერ იცნობ ჩვენსა მამალსა.

24. ცოტა მისგანც რომ გესწავლა მის საკვირველი ჰანგები,
მაშინ მერწმუნე, რომ უფრო შეიქნებოდი საქები!“
ეს საჯვა ბულბულს რა ესმა, კინაღამ გული გაუსკდა;
ჯაფრით აფრინდა საბრალო, და ცხრა მთას იქით გადვარდა!
28. ჰე, ლმერთო, ჩვენცა დაგვიბსენ ესრეთის მსაჯულისაგან!

პეტერბული, 30 სექტემბერს,
1832 წელსა.

სოფელენი და მდინარე

(კრილოვიდამ)

- სადღაც ერთსა სოფელსა,
პატარას ხევში წყარონი ჩაუდიოდენ ახლოსა.
მაგრამ ეს ხევი უჩინოდ ყოველს წელს აღელდებოდა,
და მაშინ იმა სოფელსა საშინლად გააოხრებდა:
4. ზოგისას ბაღსა ახდენდა,
ზოგსა სახლებსა უქცევდა,
ზოგისა ცხვარი, ქათამი, ზოგის წისქვილი მიჰქონდა,
და ესრედ ძალად, ყოველ წლივ ხარჯსა სოფლიდამ
მოჰკრეფდა...
- ბოლოს ერთს დღესა სოფელენი,
მოთმინებიდან გასულნი,
შეჰკრბნენ, იყვირეს, არჩიეს
და ბოლოს ასე გადასქრეს,
რომ წყაროთ ბატონს შეჰსჩიელონ, არზა მთართონ მდინარეს,
რომელიც მძიმედ, თაე-მდაბლად, განცხრომით ქალაქს ჩაუდის.
მისგან კაცისა დაჩაგვრა არა ჰსმენია არავის!
12. — ჩვენს შეწუხებას წყაროთგან რა იგი ესრეთს მოისმენს,
მათა შეჰსტუქსავეს, წაართმევს და მოგვეცემს დანაკარგსა ჩვენს:
ამა იმედით სოფელენი საჩრვლელადა წავიდნენ,
და რა ახლოსა მივიდნენ,
20. ნახეს: რაც კარგი მათ ნივთი წყაროთგან იყო წაღებულ,
სრულებით ყველა მდინარეს თვითონ მიჰქონდა შუაგულ!..
მცირე ხანს გაოცებულნი მწარედ სოფელენი უმზერდნენ,
მერე შეჰხედეს ერთმანეთს და თავ-დაკიდვით დაბრუნდნენ.
- *
24. იქ სამართალი ვით ჰპოვოს, საწყალმან, ანუ უძლურმან.
სადაცა ჭრთამებს იყოფენ მწერლები მდივანბეგებთან?

პეტერბურლი, 6-სა ოკტომბერს.
1832 წელს.

ნადირთა ქირი

(კრილოვიდამ)

- ჯოჯოხეთს შინა ნაშობნი, ქვეყნისა შესაძრწუნებლად,
ცათა წყრომისა ნიშნადა მოვლინებული ამ სოფლად,
ქირი აღმოჩნდა ტყეებში, განერთხო ყველგან გესლი მის.
4. და დაფრთხნენ შიშით ნადირნი, შეუპოვარნი მანამდის,
ვერცა ხეებში, ვერც მთებში ვერა მპოვნელნი საფარისი
გამალებულა სიკვდილი, ცელითა ყველგან მიმორბის.
და უწყალოსა ხელითა, ნადირთა, ვითა თივას მკის.
8. აღივსნენ მთანი და ხეენი, მსხვერპლთაგან მისის სიმძაფრის,
და თვით იგინიც, რომელნი როგორმე ცოცხლად გადურჩნენ,
მარად წამს მლოდე სიკვდილის ფეხებსა ძლივსა ათრევენ,
სახე იგივე აქვსთ ნადირთა, მაგრამ გულით კი იკვალნენ.
12. უბედურობის დროს ესრეთ კაცნიც ამაყნი მდაბლოვნენ
ვით ბერი დამშვიდებულა
და აღარ მტერობს ცხეარს მგელი;
მელა სოროში შემძვრაღა,
მარხულობს და არს მლოცველი
16. მადა შეპკერია ყველასა, აღარ ვის ახსოვს საქმელი,
გვრიტნიც ერთმანეთს დაშორდნენ, გუგუნი მათი არ ისმის.
თვით სიყვარული აღარვის არ აგონდება მათ შორის;
20. და მის სიცოცხლე რაღა არს, განუქრეს სიყვარული ვის?
ამ ვაების დროს მოიხმო ლომმან რჩევაში ნადირნი.
მოდიან, მოლაწლაწებენ, ძლივს კბილით სულის გპერელნი.
შეპკრბნენ და მეფის გარეშე დადუმებულნი ჩამოსხდნენ;
24. თვალყური მეფეს მიჰმართეს და მისგან სიტყვას ელოდნენ.
— „ჰე, მეგობარნი! ჰრქვა ლომმა: მრავალ-გვარ შეცოდებითა,
ცა განვარისხეთ ფიცხელად და გესჯის ამ სნეულებითა.

28. შევედროთ ღმერთთა და ცოდვით ჩვენ ზორის მეტი ვინც იყოს, მან თავი თვისი ნებითა ღმერთებსა მსხვერპლად შეჰსწიროს! ეგებ მათ ჩვენზე გამწყრალთა, მოწყალეს თვალით მოგვხედონ, გვისმინონ ლოცვა მხურვალე, და რისხვა თვისი შესწყვიტონ! ვის არ გსმენიათ, ჰე, ძმანო, რომ უწინაცა ბევრჯელა,
32. ღმერთების დასამშვიდებლად მსხვერპლი ასე შეწირულა?
და ესრედ, გულის სიწმინდით
ყველამ ცოდვანი წარმოჰსთქოს,
ან უნებლიეთ, ან ნებით,
36. -ზაიცა ვის შეეცოდოს!
ახ, არა ვმალავ, ჩემთვისაც ეს აღსარება არს ძნელი,
მით, რომ არც მე ვარ მართალი,
საბრალო ცხვრებსა ბევრჯელა,—აბა რისთვისა? — უბრალოდ
40. ტყავსა ვაძრობდი უწყალოდ;
და ხან, ახ,—წყუულს ეშმაკსა, ვინ არა შეუცდენია?
მწყემსებშიც გამიგლეჯია!
და თავი, ჩემის ნებითა, აქ მსხვერპლად მომიმზადია.
44. მარამ ჰსჯობს, რომე ჯერ ყველამ ჰსთქვას ცოდვა თვისი
რიგრიგად
და ცოდვით იყოს, ვინც მეტი, ის შეიწიროს აქ მსხვერპლად.,
რომ ღმერთნი უფრო არ გასწყრნენ მართლისა სისხლის
დათხევით“.
- ჰე, მეფე, ჩვენო კეთილო! ჰრქვა მელამ კულის მოქნეით:
48. მეტისა სიკეთისაგან ეგე მგონია ცოდვადა!..
თუ სინიღისსა მიედოთ, აქამდის მშიერებს დაგვხოცდა;
და ამასთანა, ბატონო, მართალსაცა მოგახსენებთ,
რომ ცხვრებსა კიდევ უხარისთ, რომ თქვენ მათ შექმას
ინებებთ.
52. და მწყემსებზე, კი ახია;
იმ უკულო ხალხს თვის თავი ჩვენს მეფედ დაუსახია!
დადუმდა მელა. მის შემდეგ სხვა პირ მოთნენი ვინც იყვნენ:
ლომს კრძალვით მოახსენებდნენ,
56. რომ მის ცოდვანი მსუბუქნი სათქმელად არც კი ეღირნენ.
მერე ტიგროსმა და დათემა და მგელმა,—ყველამ რიგრიგით,
საერთოდ თვისნი წარმოსთქვეს შეცოდებანი სიმშვიდით.

60. მირამა მათი საქმენი,
თვით უსჯულონი, უღმრთონი,
ვერც ერთმა ვერა გაბედა,
გამოეცხადა ცოდვადა,
და სულ, ვინც იყვნენ, ან კბილით, ან კლანჭებითა ძლიერნი,
64. არა თუ მხოლოდ გამართლდნენ, კინალამ გახდნენ წმიდანი!—
თავმდაბლად წამოიღმუელა, რა რიგი ერგო კამბეჩს მშვიდს:
„მეც ცოდვილი ვარ! რა მექნა? შიმშილობისა წელიწადს,
რა ვერსად ვჰპოვე საქმელი, მაცდინა წყეულ ეშმაკმა,
68. და მღვდლისა თვისი ძირიღამ ურთი მოვგლიჯე მე ლუკმა“.
რა ესე ესმათ, შეჰყვირეს მგელთა, დათვთა და ტიგროსთა:
„ოჰ, ეს უსჯულო, ეს უღმრთო, რას ამბობს, არა გესმისთა?
რაღა გიკვირდეს აბა, რომ ცა ჩვენზე იყვეს გამწყრალი?“
72. სად გაგონილა სხვის თივა, და მერმე მღვდლისა, შექმული?
მაგ რქიანს ესე ქვეყანა სულ ცოდვითა აუვისია,
ეგ უნდა მსხვერპლად დაიკლას, მაგისი ცოდვა მეტია,
რომ ხორცი ჩენი და ზნენიც სრულიად მით განიწმინდნენ.
76. ჭანჭკრეს ეს სენი, და ღმერთნიც ჩვენზედ გამწყრალნი
დამშვიდნენ!“
ესრედ ნადირთა განჰსაჯეს,
და დასაკლავად საბრალო კამბეჩი წამოაქციეს.

*

80. ამბობენ, ვითომც ბევრჯელა კაცებშიაცა მომხდარა,
რომ ვინც ყოფილა მშვიდ-წყნარი, ის დამნაშავედ გამხდარა!

ოკდომბრის 14-სა,
სანკტაეტერბულს, 1832 წელსა.

მიზაძვა პუშკინისა

Дар напрасный, дар случайный

სიცოცხლე ფუჟო,
უბრალოვ ნიჟო,
რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა.

4. და თუ მიწოდა
არსით სოფლადა,
რასათვის მიმცა მსხვერპლად ტანჯვასა?

8. რად მომცა სული.
ვნებით აღვსილი,
გონება ეჭვით შეშფოთებული.

12. და აწმყო - არად,
წარსული სიზმრად,
და მაცთუნებლად თვით მომავალი?

ანუ საგანი
რა არს, ვერ ვჰსტანი,
ამა სოფლადა ჩემისა მოსვლის?

16. და გულ-უგრძნობით,
უსასოებით,
ვალ დაბრმავებით გზასა სიცოცხლის'

27 მათ რად არ მეტყმის
რა ვჰმზერ ჩემის დღის
ესრედ უმადლოდ ერთგვარ დენასა:

24 სიკოცხლევ ფუქო,
ჟბრალოვ ნიქო,
რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა?

თემირხანშურა, 1847 წ.

მთანი მალაღნი

Горныя воршны

(ლერმონტოვიდამ)

- მთანი მალაღნი,
მიმშვიდებულნი,
4. ლამისა ბნელში მიეცნენ ძილსა;
მყუდრონი ველნი,
ტკბილ საყნოელნი,
გულს უგრილებენ შრომით ძლეულსა!
ხმა არსით ისმის...
8. არა რა იძვრის...
არც გზაზე მტვერი, არც ხის ფოთოლი!
ჭფშვინვენ სიმშვიდით
ცა ვარსკვლავებით,
12. ქვეყანა ტკბილად მოსვენებული!..
— რა გაქვს, ძმავ მგზავრო.
გულს სამწუხარო,
ამ დროს შეშფოთვით რომ მიაკენებ?..
16. შედეგ წამს ოდენ,
მიმოიხედენ...
და გულს მშვიდობით შენც განისვენებ.

კოდა, 1864 წ

ვატნანტეზი

„ეუკოვსკიძამ“

- ჰოი, სოფელო, რად ხარ ესრედ მდიდარ ოცნებით,
შენსა მომღვსა ეჩვენები ტურფად—ცდუნებით,
შენში კეთილსა საცხოვრებლად აქვს წამი ოდენ.
4. კმუნვა არს უფროთო—სიაშენი მაღიად ფრინვენ.

* * *

გულნი ივერთა აქვთ მსხვერპლად მზადა, შენდა შესაფერ-
შესაწირავეად.
ტადარი შენი არს გულსა ჩენსა, მოვედ შშვიდობის ჩენდა
საკმევეად!
კმა არს რაჲ ვკარგეთ აქამდის, აწ შენში ფჰპოთ კარგული.
4. ამაღლდეს ჳედი ივერის შევ-ბედით დაშიწებული.

მტერთა შეზუსერით, შენის, მხნეობით, კეთილდღეობით
აღგვაყვავილე.
სწავლათა ჰპოვონ აჳ თვის სადგური მისისა ნათლით ჩვენ
განგვანათლე!
მტერი შეძრწუნდეს, რა მოახლოდეს, შენსა საზღვარსა
მხნეობით მცველსა.
9. თამარის დღენი, დიდების დღენი, უკ-მოუქციე ივერისა.

[1832]

ღ

* * *

ლეკი, ოსმალო და სპარსი, ვით მგელნი განუძლომელნი,
უწყალოდ ჰგლეჯენ ჩვენს მამულს, სისხლითა ჩვენიო ღებულნი.
სჯულსა უძღურად შექმნილსა, ჰსთვლემს მხეცთ არ ~~ჩვე~~ ~~გა~~
გამოუფხიზლად.

4. ერი ღალადებს ვაებას და ვერვინ აღსდგა მფარველად.
მის ჭამით მტრისა სისხლისა ვარ დასათხვევად მოსურნე
და ამა ფიქრით მოცულსა, სახე მაქვს კმუხვნილ მრისხანე.

მე თავისუფლებისათვის სული მარადის მიკენესის;

8. და ეს ოცნება დღე და ღამ, ვითა აჩრდილი თან მდევნის:
მოსვენებასა არ მაძლევს ნათესავეთ შორის გინა ვჯდე,
გინა საყდარსა შესული გულმხურვალეებით ვილოცდე.
ხვა საიდუმლო მარად ჭამს ნეჩურჩულების მე ყურსა.
12. ეამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ლესულსა.

ვუწყი მე მართლად, რომ ჯერ არს სიკვდილსა იგი ელოდეს,
ვინც ერის მაწუხებელსა პირველად წინააღუდგეს!
მარა, მოძღვარო! შითხარ მე, ვის? სადა? რომელსა მხარეს?

16. თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ მოუსყიდნიეს?
წარვწყმდები მამულისათვის, ვიცი, ვგრძნობ და აღვიარებ;
და ესრეთს ჩემსა სიკვდილსა ადრევე სიამით ვაქურთხებ!

[1832]

ტოლუბაში*
ანუ
ომის შემდეგ ღზინი
და
სადღეგრძელო

1827 წელსა

ტოლუბაში

დადუმდა ბრძოლის გრგვინვა სახარი,
ველი მოიკვა მყუდრომ საღამოს.**
მხოლოდ მაშვრალი ჰსცდილობს მხედარი.

4. ცეცხლი ალაგზნოს და განისვენოს.

აჰა მთოვარეც ნელიად შუქსა
მოჭყენს სიამით ჩეენდა საშეებლად!***
შევექცეუ ვინც დღეს გადაერჩით ომსა.

8. კვლავცა გვექმნების ზეცა მფარველად.

ძმანო! მორიგის საესე ფიალით
გარემოუსხდეთ ცეცხლსა ანთებულს;
ვესალმით ვინცა გვშორდა ამ სოფლით
12. და მრისხანებით ამა დღეს წაყრულს.

* პირველი ვარიანტი-აეტოგრაფი (რედ.)

** გადახაზულია ორი ვარიანტი:

ა „წყარო სისხლისა შეჰსწყდა საღამოს“.

ბ. „და მოუწოდა მყუდრო საღამოს“.

*** გადახაზულია პირველი ვარიანტი:

„ვითა ნუგეშსა ჰქუნს საამურად“.

- და შენ ჰე ლვინოვ! ყოველად ძლიერო!
ლხინით, შექცევით გულნი აღ[გ]ვიგზნე!
გულის ქირთ მღევნო! ნიქო ციერო,*
16. ვინ არს, რომელ გჰსება და არ აღხინე?

დასტადული

- ოი შენ ლვინოვ! ყოველად ძლიერო!
ლხინით, შექცევით გულნი აღ[გ]ვიგზნე,
გულის ქირთ მღევნო! ნიქო ციურო;
20. ვინ არს, რომელ გჰსება და არ აღხინე?

ტოდუბაში

- ძმანო! აღევსოთ ფიალა, წინაპართ მოსახსენებლად,
რომელთაც მამულისათვის სისხლი შეჰსწირეს აქ მსხვერპლად
თვით გორი ესე წითელი არს მათ ჩხნეობის წაჩნელად,**
24. რომელიც მტერთა შემუსვრით შეიქმნა სამარედ ვრცელად.

- ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჰსჩანს ველსა ზედა ჰშთომილი
რომლისა კვამლი ჰაერში ქარის შებერვით არს მქრალი,
ეგრეთ იქმნების აღხოცილ ამ სოფლით მისი სახელი,
28. გზა ცხოვრებისა ვინც განელო და არ აღბეჭდა ნავალი.

- მიწასთან გასწორებულან ძველთ ღროთა გმირთა სადგურნი!
ქარმან აღგაგა მათნიცა მიწისა პირით საფლავნი!***
წინაპართაგან რალა გეშთა?—დიდებისა მოედანი!
32. მათი სახელი, მათ ხრმალი და დიდნი მათი საქმენი!

* ხელნაწ. „ციურო“.

** გარნიჩაის მდინარეს და ერევანს შუა მეფე ირაკლიმ დაამარცხნა და შეიპყრ-
ნა ახათ-ხან; ამავე ადგილს ორმა ჩვენმა როტამ დაამარცხა ასანხანი და ნალი-
ხანი, რომლისა შემდგომ მოვედით მეგობრები ქართველნი და ირაკლის თაფზე.
საიდამაც აიღო ამა მეფემან ერუენი, იმ გორაზე ვლხინობდით. — (ავტორის
შენიშვნა).

*** გარიანტი (გადამახულია): „...ამა ჰვეყანას საფლავნი“.

35. ძმანო! სიამით მივპართოთ თვალნი
წარსულთა დღეთა საუკუნეთა!
მათ შორის ჰსჩანან სახე ნათელნი
გმირთა მამულის განმადიდეთა.

40. მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული *
ველსა მახვილით ვინ მოვალს გრგვინვით? **
ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი.
მოსილ არს მეხიო, ელვით და რისხვით.

დასტადული

გმირნო, მამულის მადიდნო! თქვენთ გშვენისთ ქება, დიდება!
თქვენთ სახელთ სიამაყითა წარმოჰსტკვამს ჰშთამომავლობა!
თქვენთ საქმეთ სმენით სიამის მოხუცს ცრემლ მოედინება!
44. მხნობით აღტაცებული, კაბუჯი ხრმალსა მიჰსწვდება!

ტოდუბაში

ჰე მამულო სასურველო! ვინ გახსენოს რომ მის გული
არ აღჰტოროლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვისილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დაჰსთხიოს თვისი სისხლი,
48. არა დაკლას თავი თვისი, შენდა დახსნად, ვითა მსხვერპლი!

ვინ არ შეეჰსტრფით მას ადგილს, სად აღჰგვეხილნეს პირველ
თვალნი!

სად ჰრბიოდა მხიარული სიყაწვილე ნათლად ჩვენი
სად იდუმალ ცრემლთ აფრქვევენ აწ ჩვენთვის გულის სატრფონი!
52. სადაცა არს უწმინდესნი წინაპართ ჩვენთ სამარენი!

* ვარიანტი იქვე: „თავსა მგელ-ლოში, ხელსა მახვილი,
ვინ არს გმირი ეს რომ მოვალს გრგვინვით?“

ამ ტაეების ზემოთ აეტოგრაფში გადაბახულია:

„აჰა მიხედეთ! ძველთ დროთა გმირნი
დამტევებელნი იმიერ სოფლის;
მოსილნი ნათლით, ცით მიმავალნი,
მოსიწრაფიან დაცვად მამულის“.

** ვახტანგ მეფეს მუზარადზე აქენდა გამოსახული მგელი და ლომი: და ამის-
თვის ყიზილბაშთა უწოდეს გორგ-ასლანად ანუ მგელ-ლომად. საშინელ იყო ყიზილ-
ბაშთათვის ხილვა მუზარადისა მის. (აეტორის შენიშვნა).

მამულისათვის ფიალა საესე ესვათ სიამოვნებით,
და იქმნას აღყვავებული კეთილდღეობით, დიდებით!
იქმნას მის ქელი აღყვანილ ცათამდის ძეთა მხნეობით,
56. და სიყვარულით მისდამი ვახარობდეთ გულსა აღგზნებით.

უმეტეს ჩვენთა სიცოცხლეთ ვრაცხილეთ ჩვენსა მამულსა;
მის დიდებისთვის სიამით წინ შექვხვდეთ ათასს მახვილსა!
მოსრულმან ხილვად ჩვენთ საფლავთ ჰსთქვას ამოხრებითა
თვის გულსა:

60. „რომელ უბრალოდ არც ამით უვლიესთ ამა სოფელსა!“..

დასტადული

მამულისათვის ფიალა საესე ესვათ სიამოვნებით
და იქმნეს აღყვავებული კეთილ-დღეობით, დიდებით!
იქმნას მის ქელი აღყვანილ ცათამდის ძეთა მხნეობით,
64. და სიყვარულით მისდამი ვახარობდეთ გულსა აღგზნებით!—

ტოღუბაში

ვაი! ვისცა თვალნი ჩემებრ ტრფობით გულს თვისს მკვდარად
ჰხედვენ!

მარამ, ჰე, შენ მეგობრობავ! შეების ვარსკვლავად აღგზენი
გვინათლე ცხოვრებისა გზა, ზედა ყვავილნი მოჰფინენ,
68. და განვლილ სიხარულითა თანა-მავალად შეგვექმნენ.

მისი არს მხედრი სანატრელ, ჰხედა ვისაცა მეგობარი,
მის სიცოცხლე სიხარულით სიკედილადმდე არს დამტკბარი:
როს ეწვევის წწუხარება, ან გულსა ჰწუნვისა ისარი,
72. განჰქარცდების წეგობრისგან, აღყვავედების გული მქენარი.

ჰე მეგობრობავ წჰიდაო! ფიალად აღქაფებული,
შენდა არს ერთგულთ ხმათაგან, ვით მსხვერპლი შემოწირული:
ხელი ხელსა, ბაგე ბაგეთ! განვაახლოთ სიხარული
76. შევსვათ ძმანო დავამტკიცოთ ურთიერთთა სიყვარული.

ამა კავშირთან განჰსდევნოს ჩვენგან შორს სულმოკლეობა,
შევხედეთ უშიშრად სიკვდილსა, შევმუსროთ მტერთა

მრავლობა;

სიცოცხლით ვპოოთ სახელი, ან სიკვდილითა დიდება.

80. ცუდ არს ჭაბუკის უბრალოდ განქარვებული ცხოვრება.

შევექცეთ ვიდრე ეამი გვაქვს, ვინ უწყის ხეალ ვინ მოგვაკლდეს,
ნაცვლად ლხინისა იქმნება გეთხრიდენ ვისმე სამარგს.

ოხ ვით ძნელ არს მეგობრისთვის, მეგობარსა რომ მარხავდეს,

84. ანუ ჰსჭვრეტდეს საშიშ ალაცს, შექწეობას ვერ აძლევდეს.—

დღე აწინდელი აზისთვის მოვსწყვიტოთ ვითა ყვავილი:

როშლისა სუნი, სიტურფე არ არის ჯერეთ გამქრალი:

ხვალის იმედით არ ვკარგოთ დღე ეს სიამით აღესილი,

88. თვარა მერწმუნეთ, რომ ხვალე ფრიად არს მაცთუნებელი...

მეგობრობასა წმიდასა შეეწიროთ სრულად რაც გვაქნდეს,
დავენერგოთ გულსა გრძნობა ეს, და აღთქმა არა გვაღიწყდეს...

ვიყვნეთ ცოცხალნი მეგობრად, და ვინც ბრძოლასა დაეცეს,

92. ცრემლნი კურთხევა მეგობართ, თან გავაყოლოთ სამარგს.

დასტადული

ჰე მეგობრობაე წმიდაო! ფიალა აღქაფებული,

შენდა არს ერთ-გულთ ძმათაგან, ვით მსხვერპლი შემოწირული:

ხელი ხელსა, ბაგე ბაგეთ! განვაახლოთ სიხარული,

96. შევსვათ, ძმანო! დავაპტიციოთ, ურთიერთთა სიყვარული.

ტოდუბაში

ძმანო! ივიწყეთ მცირეს ეამს მტერი, ომი და დიდება!

მოიგონეთ სიყვარული, სიცოცხლისა სიტკბოება,

რომლისთვისცა შევიწირავსთ გული და სრულად ცხოვრება,

100. შევჰსვათ ღვინო! მის სადღეგრძელოდ გვეღირსოს ხილვა ეგება!

სადა ხარ, სიხარულის დღევ! აღარა უკმოიქცევი?

ღიმილით შენსა. შეყრასა ნუთუ ამოდ ვისურვი?

ნუთუ გულისა სიამე დამეპქნო საუკუნოდა?

104. და ჩემი ბედნიერება წარსრულთ დღეთთანა წარვიდა?

ოდეს გულმან იგრძნოს ტრფობა, სიციცხლე მაშინ აღჰყვავდეს;
რა არს უამეს, როს სატრფო თავსა ჩვენსა გვავიწყებდეს.

მას შეჰესტრფოდეთ, შეგჰხაროდეთ, შეგჰფრთინვიდეთ, იგ
გეტანჯავდეს,

108. და საამოს ეშყის ცეცხლით გულსა ჩვენსა დაგვიწვავდეს!

ბედნიერება დღეთა ჩვენთ არს სიყვარულის ყვაფილი;
რა განჰრეს მისი სიტურფე, სიხარულს ნულარ მოელი;
თუმც ძნელ არს მისი მოწყვეტა, მით, რომ არს ეკლით

მოსილი,

112. მარა სიძნელე სუსტს გულს ჰკლავს და მტკიცე მით არს

აღზრდილი.

რა ნახოს კეთილ უგრძობმან ტრფობისა ტკბილთა კირებთა?
ვის არ შეეხო ეშყი გულს, არ ჰხარობს თვისთა წყლულებთა.
მიხედეთ ვარდსა! მაშინ ჰფენს უმეტეს სუნნელებათა, *

116. ოდეს ნიაფი შეხებით შეარყევს მისთა რტობთა. - -

ტრფობის აღითა, ვისაცა ჩვენ შორის გული ეწოდეს,
და ხახე სატრფოს მარად ვის სულსა აღბეჰდვით თან ჰსდევდეს,
ამა სოფელსა მას რაჲ! წინა საბრკმელად აღუდგეს?

120. გულს სიყვარულით, ხელს ხმალით რას არა აღასრულებდეს? —

ვინ არ არს მსხვერპლად განმზადებული,
თვისი სიციცხლე ვინ არ წაჰრსწყმიდოს?
ოლონდ სიამე მას მოუსყიდოს,

124. ვის მიერც უკრთის სურვილით გული!

ვისდამი ჭუნთქვა თვითოეული,
თვითოეული გულისა ძგერა!

* წაშლილი ვარიანტი: „მაშინა მოჰფენს ვარდიცა უმეტეს სუნნელებათა“.

128. არს სიყვარულის ჩვენისა მსხვერპლი,
იგი ჩვენს ფიქრსა სად განეშორა. *
როს ვარდის სუნთქვა მოაქვს ნიაესა,
არა ვგრძნობთ სატრფოს ტკბილსა სუნთქვასა?
ანუ როს ვჰხედავთ ვარსკვლავსა დილის,
132. მომფენსა ნათლის და მკრთოლვარესა;
ვინ არ ვჰსცნობთ მასში სატრფოსა გულის.
სიამოვნებით მოციინარესა? —
136. გინდ ეამსა ძილის თვალთა დახშულსა,
წამსავე იგივე წარპოვედიდგების;
მაშინ სიზმარი ჰსჯობს სიცოცხლესა,
და სინანულით განგვეღვიძების, — **
140. მაშა სატრფოსთვის კვალადცა ერთგზის
ფიალა სავსე შევსვით წყურვილით,
ვისურვოთ რომე მის ცრემლნი კჰუნვის
განშრეს ვით ღვინო ამა ფიალით!
144. დღენი შეებისა მისთვის არა ჰსწყდეს, ***
ჰშვენოდეს მარად სიამის ნათლით!
ახ! სატრფოს ხილვის დღე როს აღმოჩნდეს,
რომ ენა გვბმოდეს მეტ სიხარულით. —

* ოთხი ტაეპი („ვისდამი სუნთქვა“ და შემდეგი) ავტოგრაფში აშინაზეა მიწერილი. დედანში წაშლილია მიმდევრო ტაეპები, მისი პირვანდელი გვერდოვანი:

[მის სახე, მის ხმა თან არა გვდევსა]
ვის სახე, ვის ხმა ყველგან მარადის
გინა სად ბედმა გარდაგვარესა
განუშორებლად ჩვენს ფიქრს თანასჭიდვეს.

ამ ტაეპებიდან ორი უადგილოდაა შეტანილი 1928 და 1935 წ.წ. გამოცემათა ტექსტში (შდრ. შესაბამისი ადგილი).

** ამის შემდეგ გადახზულია ორი ტაეპი:

„ყოველთ ჩემთ ფიქრთა, ნემთა უბნობად, იდუმალთ ობრვით, ხარ
შენ საგანი!..“

თუ არა შენზე, უბნობდეს სხვაზე, უწყოდე ჩემი ვნის როტეანი!..“

*** ვარიანტი იქვე: „საამო დღენი მისთვის არა ჰსწყდეს“.

ჰე ჩემო ლმერთაე! აწ შენ მოგმართაე, კვალად ისმინო

შორით სიტყვანი!

148. ყოველთ ჩემთ ფიქრთა, ჩემთ უბნობათა იღუმალთ ოხრვათ
ხარ შენ საგანი!
თუ არა შენზე, ეუბნობდე სხვაზე? უწყიდე ჩემი ენის როტვანი!

ვაი თუ ჩემმან, გლახ შავმან ბედმან, აქ განმისაზღვრა მეც
აღსასრული!

ვაი თუ მოვქვედე ესრეთ ყარობად, გულს არ დამეცეს სატრფოის
კრემლი!

152. არ მესმას შენი, ხმა საამური, სიკვდილის ეამის დამატკბობელი!
არა ვემთხვიო ბაგით ძლივ ცოცხლით, უკანასკნელად

მშენიერს შენს ხელს:

რომ სახე შენი, თვალთა დახშულმან. თანა წარვილო იმიერ
სოფელს.

მუნ სანუგეზად, მუნ საშვებელად. და რათა მითვე ვჰსცნა
უკვდავება.

156. რაა გინდ მოეკვდე? მაინც შენდამო სულს სიყვარული თანა
წარჰყვება!

უკვდავება არს სულის დატკბობა, რომელს დასასრულ არა
ეკმნების!

მაშ სახე, სულის დამატკბობელი, იმერ სოფელს არ
განგეშორდების!

და სიყვარული ჩენთ ღღეთ მაშენი სიცოცხლესთანა არა
დაშტრდების!

160. თვარა სიყვარულს თუ დაეკარგვიდე, უკვდავებამან მის წილ
რა მომცეს?

უშენოდ თვითცა სასუფეველი, ვით საპყრობილე ჩემთვის
შეიქმნეს.

[1827—1832]

ტ ო ლ უ ბ ა შ ი *

[მიბაძვა ქუკოსკისა]

[ეს ლექსნი 1826 წელსა სპარსეთის ომში არის ნათქვამი, როდესაც
ირაკლის თაფახედ იყვნენ ჯარნი დაბინავებულნი]

დადუმდა ბრძოლის გრგვინვა საზარი,
ველი მოიცვა მყუდრომ სალამოს,
მხოლოდ შამშვრალი სცდილობს მხედარი
ცეცხლი აღაგზნოს და განისვენოს.

3. აჰა მთვარეცა ნელიად შუქსა,
მოჰფენს სიამით ჩუენდა საშვებლად,
შევექცნეთ ვინც დღეს გადავრჩით ომსა,
კვლავცა გვექნების ზეცა მთარველად.

12. ძმაო, მორიგის საესე ფიალით
გარე მოუსხდეთ ცეცხლსა აღნთებულს;
ვესალმოთ ვინცა გვშორდა ამ სოფლით,
და მრისხანებით ამა დღეს წარსრულს.

16. და შენ ჰე ღვინოე, ყოვლად ძლიერო!
ლხინით შექცევით გულნი აღგვიგზნე!
გულის ქირთ მდევნო ნიქო ციერო,
ვინ არს რომელ გსვა და არ აღხინე.

* მეორე ვარიანტი. (რედ.).

დასტადული.

ჰოი ზენ ლეინო, ყოვლად ძლიერო
[და სამნი სხუა სტრიქონნი]

ტოღუბაში

- ჰე მამულო საყვარელო ვინ გახსენოს რომ მის გული,
არ აღთრთოლდეს სიხარულით აღტაცებითა აღვსილი?
20. ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხიოს თვისი სისხლი?
არა დაჰკლას თავი თვისი ზენდა დასხნად, ვითა მსხვერპლი!

- ვინ არ შევტრფით მას აღგილსა სად აღგვეხენის პირველ თვალნი
სად რბიოდან მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენი,
24. სად იღუმაღ ცრემლს აფრქვევენ აწ ჩვენთვის გულის
სატრფონი,
სადაცა არს უწმინდესი წინაპარ ჩუნთ სამარენი.

- უმეტეს ჩვენსა სიცოცხლეს ვრაცხიდეთ ჩვენსა მამულსა,
მის დიდებისთვის სიამით წინ შევხვდეთ ათას მახვილსა,
28. მოსრულმან ხილვად ჩვენს საფლავთ სთქვას ამოხვრითა თვის.
გულსა,
რომელ უბრალოდ არც ამათ უვლიესთ ამა სოფელსა.

- მამულისათვის ფიალა სავსე ვსვათ სიამოვნებით,
და იქმნას აღყვავებული კეთილ-დღეობით დიდებით,
32. იქმნას მის ქედი აღყვანილ კათამღის ძეთა მხნეობით,
და სიყვარულით მისდამი ვხარობდეთ გულსა აღგზნებით.

დასტადული

მამულისათვის ფიალა, სავსე ვსვათ სიამოვნებით...
[და შემდგომნი ტრიქონნი]

- აჰა იფერთა ნუგეშ დიდება,
თვის საუკუნეს განშშვენებული,
36. მამაცთა შორის საკვირველება
პატარა კახი მეფე ირაკლი.

40. განრისხებული, ხმალ ხელმოწედედნით,
ვაჟ მას მტერსა, საც აღჩნდებოდა
მტერთა შემუსვრით ველზედ მოფენით
ბრძოლა წამსავე გარდაწყდებოდა.

44. დღენი იმისნი ემზგავსენ ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს.
მის შუქი თუმცა გვინათებს მარა ველარ ვხედთ მის სახეს.
მამული ველარ იხილავს, ირაკლის ხმალსა მღელვარეს.
დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს.

48. თვალნი ცეცხლებრივ, სახე მრისხანე,
ვინ არს რომ მისგან მტერი ესრეთ ჰკრთის? *
სპათ ჩვენთ იმედი და სიაჰოვნე
ძლევა მის დროშას, წინა მოუძღვის.

52. შენ ხარ ჰე დავით, ** გმირი ლომ გული,
ვინც იყავ მტერთთვის, ვით ცისა რისხვა.
მარჯვენას გეპყრა სიკვდილის ცელი,
საცა შესძახე, მუნ იყო მტერთ სრვა.

56. და ზაქარია, მიწისა მგელი
ანაზღეულად მუნ აღჩნდებოდა.
სადაცა მტერი განსვენებული,
მისგან შემუსვრას არ მოელოდა.

60. ვითარცა ჰეჰა მისი დაცემა
მტერთა ზედ იყო ესრეთ საზარლად,
საცა იელ[ვა] მახვილმა მისმა,
მუნ მტრის სიციოცხლე განჰქარდა მსწრაფლად.

64. გმირნო, მამულის მადიდნო თქვენა ხართ ჩვენი დიდება,
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთ საქმეთ სმენით მოხუცთ ცრემლ მოედინება,
მხნეობით ალტაცებული. ჰაბუკი ხმალსა მისწყდება.

* ხელნაწ. „პსრთისკ“

** დავით სარდალი ორბელიანი. (შენიშვნა ავტორისა).

დასტაღული

გმირნო მამულის მადიდნო [და შემდგომნი ლექსნი]

ტრღუბაში

68. ვაჟ ვისაც თვალნი ჩემებრ ტრფობით თვის გულს[ა] მკდარად
ხედაედეს,
მაგრამ შენ ჰე მეგობრობავ, შეგების ვარსკვლავად აღეგზნენ.
გვინათლე ცხოვრებისა გზა, ზედა ყვავილნი მოჰფინენ,
და განვლოთ სიხარულითა, თანა მაგალად შეგვექმენ.—
72. მისი არს მხვედრი სანატრელ, ჰხვდა ვისაცა მეგობარი
მის სიცოცხლე, სიხარულით სიკვდილადმდე არს დამტკბარი,
როს ეწვევის მწუხარება ან გულსა კმუნვის ისარი,
განჰქარდების მეგობრისგან, ალყავდების გული მჰკნარი.
76. ჰე მეგობრობავ წმინდაო, ფიალა აღქაფებული
შენდა არს ერთგულ ძმათაგან ვით მსხვერპლად შემოწირული,
ხელი ხელსა, ბაგე ბაგეს განვაახლოთ სიხარული,
შეესვათ, ძმანო, დავამტკიცოთ ურთიერთთა სიყვარული.
80. ამა კავშირმა განსდევნოს ჩვენგან შორს სულმოკლეობა,
შევჰხვდეთ უშიშრად სიკვდილსა შევემუსროთ მტერთა მრავლობა
სიცოცხლით ვპოოთ სახელი ან სიკვდილითა დიდება,
ცულ არს ჰბუჯის უბრალოდ განქარებული ცხოვრება.
84. შევექცევით ვიდრე ეამი გვაქეს, ვინ უწყის ხვალ ვინ მოკვდება,
ნაცვლად ლხინისა იქნება გვითხრიდნენ ვისამე სამარეს,
ჰო ვით ძნელ არს მეგობრისათვის, მეგობარსა რომ
მარხვიდეს,
ანუ სჰვრეტდეს საშიშ ალაგს, შემწეობას ვერ აძლევდეს.
88. დღე აწინდელი ამისთვის მოვსწყვიტოთ ვითა ყვავილი,
რომლისა სუნი, სიტურფე არა არს ჯერეთ გამჰქრალი,
ხვალის იმედით არ ვკარგოთ დღე ეს სიამით აღვსილი,
თვარა მერწმუნეთ, რომ ხვალე ფრიად არს მაკეთუნებელი.

92. მეგობრობასა წმინდასა შევსწიროდ სრულად რაც გვეკონდეს, დავენერგოთ გულსა გრძნობა, ეს აღთქმა არა გვაევიწყდეს. ვიყენეთ ცოცხალნი მეგობრად და ვინც ბრძოლასა დაეცეს, კრემლი კურთხევა მეგობართ თან გავიყოლოთ სამარეს.

ქასტაღული

96. ჰე მეგობრობავე წმინდაო, ფიალა აღქაფებული [და შემდგომნი სტინხნი].

ტოღუბაში

- ძმანო. ივიწყეთ მკირე უამს, მტერი ომი და დიდება. მოიგონეთ სიყვარული, სიცოცხლისა სიტკბობება, რომლისთვისცა შეგიწირავსთ გული და სრულად გონება,
100. შეესვად ლეინო მის სადღეგრძლოდ, გვეღირსოს ხილვა ეგება. სადა ხარ, სიხარულის დღევ. აღარ უკუ მოიქცევი, დიმილით შენსა შეყრასა, ნუთუ ამაოდ ვისურვი, ნუთუ გულისა სიამე დამეჭვნო საუკუნოდა
104. და ჩემი ბედნიერება წარსრულთ დღეთთანა წარვიდა. ოდეს გულმან იგრძნოს ტრფობა, სიცოცხლე მაშინ აღყვავდეს, რა არს უამეს როს სატრფო თავსა ჩვენსა გვაევიწყებღმს მას შევტრფოდეთ, შევხაროდეთ, შევფრფინვიდეთ, იგ გვტანჯიდეს
108. და საამოს ეშყის ცეცხლით გულსა ჩვენსა დაგვიწვავდეს. ბედნიერება დღეთა ჩვენთ არს სიყვარულის ყვავილი, რა განჰქრეს მისი სიტურფე, სიხარულს ნუღარ მოელი, თუმცა ძნელ არს მისი მოწყვეტა, მით რომ არს ეკლით მოსილი,
112. მარამ სიძნელე სუსტ გულს კლავს და მტკიცე მით არს აღზრდილი. რა ნახოს კეთილ-უგრძნობმან? ტრფობისა ტკბილთა ჰირებთა, ვის არ შეეხო ეშყი გულს, არ ხარობს თვისთა წყლულებთა, მიხედეთ ვარდსა მაშინ ჰფენს ზმეტრეს სუნნელებათა,
116. ოდეს ნიაფი შეხებით შეარყევს მისთა რტობთა.

ტრფობის ალითა ვისაცა ჩვენ შორის გული ეწოდეს,
და სახე სატრფოს მარადის სულსა აღბეჭდვით თან ჰსდევდეს,
ამა სოფელსა მას რაჲ წინა საბრკველად აღუდგეს,

120. გულს სიყვარული, ხელს ხნალი რას არა აღასრულებდეს.

ვინ არა არის განწმადებული,
თვისი სიცოცხლე ვინ არ შესწიროს,
ოლონდ სიამე მას მოუსყიდოს
ვის მიერ უკრთის სურვილით გული.

124.

როს ვარდის სუნი მოაქვს ნიაესა,
არა ვგრძნობთ სატრფოს, ტკბილსა სუნთქვასა,
ან რასა ვხედავთ ვარსკვლავსა დილის
მომფენსა ნათლის და მკრთოღვარესა:

128.

ვინ არ ვიცნობთ მასში სატრფოსა გულის.
სიამოვნებით მოცინარესა;

132.

ვინდ ეანსა დილის თვალთა დახშულსა,
წამსვე იგივე წარმოგვიდგების,
მაშინ სიხმარი ჰჯობს სიცოცხლესა
და სიხარულით განგვეღვიძების.

136.

ვისდამი სუნთქვა გლახ თვითეული,
და თვითეული გულისა ძგერა,
არს სიყვარულის ჩენისა მსხვერპლი,
იგი ჩვენ ფიქრსა საღ განეშორა.

140.

მაშა სატრფოსთვის კვალადცა ერთგვის
ფიალა სავესე შეესვათ წყურვილით,
ვისურვოთ რომე მის ცრემლნი კმუნვის
განშრეს ვით ღვინო ამა ფიალით.

144.

დღენი შეგებისა მისთვის არა ჰსწყდეს,
ჰმენოდეს მარად სიამის ნათლით,
ახ სატრფოს ბილვის დღე როს აღმოჩნდეს.
რომ ენა გვებოდეს მეტ სიხარულით.

- ჰე ჩემო ღმერთაჲ, აწ შენ მოგმართაჲ, კვალად ისმინო შორით
სიტყვანი.
148. ყოველთ ჩემთ ფიქრთა, ჩემთ უბნობათა, იღუმალთ ოხვრათ
შენ ხარ საგანი.
თუ არა შენზე, უბნობდე სხვაზე, უწყოდე ჩემი ენის როტვანი.
ვაჲ თუ ჩემმან გლახ შავმა ბედმან აქ განმისაზღვრა მეც
აღსასრული.

152. ვით ბრძოლის ღმერთი თვით მბრძანებელი
მოსილ არს მეხით ელვით და რისხვით.

156. ეს არს მტერთა ჳირი იგ გურგ-ასლანი,
რომლის შეხედვით სპარსელნი ჳსრთ[თ]ოდენ.
მისწუდნენ სადაცა მის მხენი მკლავნი,
მტერთა შელეწდნენ და შემუსვრიდნენ.

160. ვარსკვლავთა შორის სახე ნათელი,
თვალნი სიამის გამომაცუნნი,
ტანად საროჲ, მკერდ შუქ ფენელი,
თითნი ნარნარად ბროლის ნათაღნი.

164. ვითარცა ღმერთა მშენიერების,
ქველმოქმედების, სახიერების,
ვით ტრედი მადლის, უმანკო, წყნარი,
ეგრეთ შენებით მოვალს თამარი!

168. სხივ ცისკროვანი მისი გვირგვინი,
უპყრას დიდებას და სათნოებას,
წინაშე მისსა ძლევა და მუხნი,
განადიდებენ მისსა მეფობას.

ტოდუბაში

ძმანო, აღვაესოთ ფიალა წინაპართ მოსაგონებლად,
რომელთაც მამულისათვის სისხლი შეღწირეს აქ მსხვერპლად,
თვით გორა ესე წითელი არს მათ მხნეობის მჩენელად,
172. რომელიც მტერთა შემუსვრით შეიქმნა სამარედ ვრცელად.

ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჰსჩანს ველსა ზედა ჰშთომილი.
რომლისა კვამლი ჰაერში ქარის შებერვით არს მქრალი,
ეგრეთ იქნების აღზოცილ ამ სოფლით მისი სახელი,
176. გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი.

მიწასთან გასწორებულმან ძველ დროთა გმირთა სადგურნი.
ქარმან აღგაენა მათნიცა მიწისა პირით საფლანგი,
წინაპართაგან რალა გეშთა? დიდებისა მოედანი,
180. მათი სახელი, მათ ხრმალი და დიდნი მათნი საქმენი.

ძმანო! სიამით მივმართოთ თვალნი,
წარსულთა ძველთა საუკუნეთა!
მათ შორის ჰსჩანან სახე ნათელნი,
184. გმირთა მამულის განმადიდეთა.

მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული
ხელ მახვილითა ვინ მოვა გრგვინით?

ვამ თუ მოკვდენ ესრეთ ყარიბად, გულს არ დამეცეს
სატრფოჲს ცრემლი.
188. არ მესმას შენი ხმა საამური, სიკედლის ჟამის
დამატკობელი.

არა ვემთხვიო ბაგით ძლივ ცოცხლათ უკანასკნელად
მშვენიერს შენს ხელს,
მუნ სანუგეშად, მუნ საშეებ[ე]ლად და რათა მითვე ვცნა
უკვდავება,
რა გინდა მოვკვდე, მაინც შენდამო, სულს სიყვარული თანა
წარყვება.

192. უკვდავება არს სულის დატკობა რომელს დასასრულ არა
ექნების.

მას სახე სულის დამატკობელის, იმიერ სოფელს არ
განგვზორდების
და სიყვარული ჩვენთ დღნთ მაშენი სიცოცხლესთანა არად
მოკვდების.
თვარა სიყვარულს თუ დაეკარგვიდე, უკვდავებამან მის წილ
რა მომცეს,

196. უშენოდ თვითცა სასუფეველი ვით საპყრობილე ჩემთვის
შემეკმნეს.

დასტადული

ბედნიერება დღეთა ჩვენთ არს სიყვარულის ყვავილი,
რა განაჰკრეს მისი სიტურფე, სიხარულს ნულარ მოელი,
თუმც ძნელ არს მისი მოწყვეტა, მით რომ არს ეკლით
მოსილი.

200. მარამ სიძნელე სუსტ გულს ჰკლავს, და მტკიცე მით არს
აღზრდილი.

„ტოღუბაში“ -დან]

- ხელმწიფევე ჩვენო,
ძლიერო, ბრძენო,
ნიკოლოზ დიდო სულგრძელეებითა,
მხედარნი შენნი,
ერთგულნი შენნი,
სადღეგრძელოს ესვამთ მოწიწებითა!
გულნი ივერთა
8. გვაქვს მსხვერპლად მზათა,
შენდა შესაფერ შესაწირავად.
ტაძარი შენი
არს გულსა ჩვენსა,
12. მოვედ მშვიდობის ჩვენდა საკმევად*.
ძველი ივერი,
შენი ივერი
შენდა მომართავს თვალსა და გულსა,
16. შენგან მრელის,
რომ ლამპარს სწავლის
კვალად აღუნთებ, ძველად გამქრალსა!
შენსა მარჯვენას,
ძღვეის მარჯვენას,
20. და სამართალსა განაურცებ ჩვენზედ;
აწლას ცხოვრებით
აღყვავილდებით

* წინა ოთხი ტაეპი („გულნი ივერთა“... ვიდრე „საკმევად“) № 84 ხელნაწერში ორ ტაეპადაა ჩაწერილი.

24. ვითარცა მდელი მზის შარავანდზედ!
 შენგან მოელის
 ვით გაზაფხულის
 ყუავილი, მზისგან აღმოცენასა!
28. განახლებული,
 განათლებული,
 ქენიქსებრ იწყებს აღმაფრენასა!
 მტერი შეძრწუნდეს.
32. რა მოახლოვდეს
 შესა სამზღვარსა, მხნეობის მცველსა:
 თამარის დღენი.
 დიდების დღენი.
36. შენ მოუვლინე ივერიელსა!
 ქრისტეს საფლავი.
 ვით შორს ვარსკვლავი
 მწუხარეთ მნათობს ესოდენს წელსა:
40. დატყვევებული,
 შეგინებული,*
 თმენით, იმედით მიგელის მხსნელსა!
 მხსნელსა მიგელის,
44. ქვეყანაც სწავლის.
 გარმონიისა, პოეზიისა,
 ძველნი ბერძენნი,
 ნათლისა ძენი,
48. აწ მონა, მტერი ბარბაროსისა!..**
 არა წმინდებას,
 ურწმუნოებას,
 ფრანგი, ინგლისი წინა მიუძღვის;***
52. ასაოტებლად,
 ასაოხრებლად,
 ჩენის ქვეყნისა წმინდისა საყდრის!

წაკითხვები: * შეშინებული. ** ბარბაროსისა. *** მოუძღვის (საქ. ლიტ. მე
 ხეუმის ზელნაწ. № 84).

56. დროა, გვიბრძანე,
სტამბოლს მიგვეზაუნე.
ზე აღსდგე ხრმლითა. ივერო ძველო!
ვით სული ერთი,
ქართლი, კახეთი,
60. აბხაზ. გურია, იმერ-მეგრელო!
დავსცეთ ცის რისხვა
მიწით აღმოფხვრა,
ქრისტიანობის ბარბაროს მტერსა;
64. ძლევის გალობით,
ღეთისად მადლობით,
აღვმართავთ ახლად სოფიოს ჯვარსა!
დროა გვიბრძანე,
სტამბოლს მიგვეზაუნე,
68. შურით ლაღადებს თუმც დასავლეთი...
როს განიშლების
დროშა დიდების
72. პაშინ ირწმუნონ: შენთან არს ღმერთი!
ღმერთო გვისმინე,
მეფეს მოჰფინე .
76. ძლევა. კურთხევა, მადლი ზეციერ!
ჩვენდა დიდებად,
ბედნიერებად
მეფე გვიცოცხლე მრავალ-ჟამიერ!

5 აპრილის 1854 წელსა.
თემირხანშერაში.

ჩემი ეპიტაფია*

როს ვიყავ ცოცხალ, ვითა შენ მკითხველო
მეც მიყვარდა, მეც ესტიროდი, ვილხენდი.

- და დაფიქრებით დავმზერდი საფლავთ ქვათ
4. მერგო რიგი, და აწ ჩემს საფლავს დაჰმზერ შენ?
გხედების შენც რიგი და შენს საფლავს დაჰმზერს სხვა;
მეფეს გლახაკთან შეასწორებს ეს რიგი:
მიწა მიწადეე გარდიქცივის ცვლილებით
5. და ცადა აღვალს ნაწილაკი მღვთაებრი

* პოეტის ვარიანტი (რედ.).

ჩემი ეპიტაფია*

როს ვიყავ კოცხალ, ვითა შენა მკითხველო.

შეცა მიყვარდა: მეც ვჰსტიროდი, ვილხენდი,
და დაფიქრებით დაგამზერდი ზოგჯერ საფლავთ:

4. მერგო რიგი, და აწ ჩემს საფლავს დამზერ შენ.

ვერცა შენ აჰსცდი ამ რიგს, ჩემო მოყვასო,
ვერც მეფე შემძლე მის დიდების გვირგვინით,
ვერც შემოსილი ძონძით გლახა უღონო,

9. ყველა დამიწდეს; ყველა დაღუპეს, დაირღვეს
და მღობად აღვიდეს სული წმინდა, უკვდავი!

* მეორე ვარიანტი (რედ.).

გამოცანების პასუხი

[„პასუხი შეილთა“-ს ვარიანტი]

- კოლო ბუზებო,
ლიბერალებო,
4. კეჟით გლახებო, პატრიოტებო.
გზა დაკარგულნო,
წყალ-წაღებულნო,
კატის კნუტებო, სიღვანა კნავით?
8. მოვლეთ რუსეთში,
აფრიკაშია,
მობრძანდით ისევე უანზანონი,
ვირი წაფიდა,
ვირი მოფიდა,
12. კაცად ვერ იქცა თვით ქაბის მალღაჯ
თუშნი, ოსები,
ფილოსოფები,
ფინანსისტები, ვიშ ნეტარებავ?
16. გოგრა ცარიელ,
ჯიბე ცარიელ,
მილიონებზე მალლა მყვირალნი!
მსხვილ ბეჭიანსა,
20. ნანზირიანსა,
ბარგი აჰკიდეთ, აჰგზავნეთ მთაში.
თქვე ცრუ მარაბო,
შინ დიდ-გულეებო,
24. გარეთ კი მხდალნო, მოკუნტულეებო

- უღონოებო,
 უსაქმოებო,
 საქართველოსთვის დიდად ნზრუნველნო.
28. ის ლიბერალი,
 ბურთივით წრგვალი,
 ზნეობის მცველი ამას ჰქადაგობს:
 „ლოცვა რად გვინდა?
 ღმერთი რად გვინდა?
 ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი“.
 ჩხირ—პაიკებო,
 ცრუ პოეტებო,
36. თქვე ჯაგლაგებო, ჟურნალისტებო!
 არც რუს-ფრანგები,
 არც ინგლისლები,
 არც ქართველები, მაშ ვინა ჰყრიხართ?
40. თქვე უსწავლელნო.
 ცრუ რუსთაველნო,
 რად წაგვიბილწეთ ენა მდიდარი?
 ენა მაღალი,
 მის სიღრმე, ძალი,
44. წახდა უწმინდურს თქვენს ხელში ჯიჯგვით.
 მტრობა ენის
 არს მტრობა ქვეყნის,
48. ჩირქი რად მოსცხეთ ტაძარსა წმიდას?
 სულითა სუსტნო,
 სწავლითა სუსტნო,
 სუსტნო ღონითა, რის ხართ მომქმედნი?
 რა ბრძოლის ეცხელი
 ასტყდეს ფიცხელი,
 ხმლისა კრიალით. ძლევის კიჟინით,
 თქვე ქაჩუებო.
56. კიანქველებო,
 ხელს ბაირალით ვერ დასცეთ ყარსი.
 თქვენში ვტრიალებ,
 თქვენში ვღრიალებ.

60. გულით კი ვწუხვარ თქვენს უნიკობას.
 ვაი საბრალოს,
 ჩვენს საქართველოს,
 თქვენ დაეზადეთ მას სადიდებლათ!
64. თქვენ არ შეკრთებით
 ამა სიტყვებით,
 ბევრნი ზოვიდნენ თქვენისთანები
 კოლო-ბუზები,
 ლიბერალები,
66. ცრუ პოეტები, პატრიოტები
 აკაკიები,
 ბაკაკიები,
 რიონელები, გოგიტელები.

[1872]

3 6 2 8 5

(1824 — 1873)

1. დ დ ი უ რ ე ბ ი

(1831—1839)

მგზავრობა ჩემი ტფილისიდან კეტიკოვლამდის

1831-სა წელსა, მ-სა იენიხსა, დღესა სამშაბათსა. განთიადმან მპოვა უკვე ტანჩაქმულ. მთელსა ღამეს მტანჯაედა მოუსვენებლობა; ათასნი ფიქრნი არყვედენ გონებასა ჩემსა და განაშორებდენ ძილსა.— აჰა მოვიდა დღე იგი განყრისა ჩვენისა. — ეუზნობდი ხშირად გულსა შინა ჩემსა და ვემზადებოდი წასასვლელად შორს...

გულითადნი, კეშმარიტნი მეგობარნი ჩემნი შეიკრიბენ ჩემად, რომელთაცა გამომაცილეს ვერამდის: აქ გადმოხტენ დროჰკით და გამომესალმნენ.— გული ჩემი შეიწროვდა, თვალნი აღმეგსენ ცრემლითა, რა მესმა მეგობართაგან ჩემთა უკანასკნელი სიტყვა მ შეიღობით: რა მოვიხილე და ვიხილე თავი ჩემი მარტოდ დაშთენილი.— ახ! ამ ეამითგან თვითოეული დღე, თვითოეული ბიჯი განმშორებს მე ყოველთა მათგან, რანიცა იყვნენ საამო-სატრფილოდ გულისა ჩემისათვის და რომელნიცა შეადგენენ სიამოვნებასა და ბედნიერებასა ჩვენის სიცოცხლისასა. განმშორებს ადგილსა, სადაცა * აღნთო ლამპარი სიცოცხლისა ჩემისა და სადაცა სიყმაწვილე ჩემი რბიოდა ნათლად მხიარულებით.— რომელმან ბოროტმან სულმან ალაგზნო ჩემ შორის სურვილი ძიებად ბედნიერებისა იმიერ მათა, მხარესა უცხოს!.. და არა საკმაოდ ვიყავა ბედნიერ საშუალ თქვენთა, მეგობარნო ჩემნო! კარნი გულისა თქვენისანი არა იყ-

* ავტოგრაფში შემდეგ გადაშლილია: „მივიღე პირველი ნიშანი ცხოვრებისა“.

ნენა' მაღაღებამ ჩემთვის განღებულ, მისაღებელად სიხარულთა ჩემ-
თა და განსაკურნებლად გულისა, ოდესმე განუსჯელისა სიყვარუ-
ლისაგან, და ოდესმე დამამწარებელისა ბედისაგან, დაკოდლისა.—
ახ! აწ განშორებამან მასწავა ფასი ყოვლისა და ეაკურთხებ მა-
რადღებამს მხედრსა მას, რომელმანცა შეგვეკრა ჩვენ განუწყვეტე-
ლითა მეგობრობისა ჯაკვიითა.

დაფიქრებული მოვედ მცხეთას. დღე იყო მორბულული, ვი-
თარცა გული ჩემი. რომელიცა გამოფხიზლდა. ვიხილე რა შორით
მცხეთისა მონასტერი. ესე არს დიდებულებითი და უწმიდესი ძეგ-
ლი ივერიისა და ჩვენთაგანი ვინ არა თაყვანსა ჰსცემს მას კეთილ-
მოწიწებითითა კრძალვითა! ესე არს ნაშთი და მოწაჲ წარსულისა
ივერიისა დიდებისა, შემკველი მეფეთა საფლავთა და მხილველი
მრავალთა საუკუნეთა. მრავალთა ივერიასა შინა ცელილებათა, მის
დაშობისა და კვალად აღდგინებისა.—უნებლიეთ გარდმომცვიდნენ
ივალთაგან ცრემლნი, ვიხილე რა საფლავი მეფისა ირაკლისა, რო-
პელსა თანა* არს დამარბულ დიდება და ყოველი კეთილი ივერი-
ისა... გარდმომცვიდნენ ცრემლნი. რომელნიცა იყვნენ ტკბილ გუ-
ლისა ჩემისათვის: რამეთუ იყვნენ უკანასკნელ ხარკად საქართვე-
ლოს განმადიდებელისა მიმართ.—მაშაქო! დრო, ყოვლისა შემ-
პუსრველი, ვერა შემუსრავს დიდებულთა საქმეთა შენთა, რომელ-
ნიცა აღმოჩნდებიან ვარსკვლავებრ მომავალთა საუკუნეთა შინა, და
ესე აწ თითქმის დავიწყებული ყოველთაგან, შეუმკობელი საფლავი
შენი იქმნების ყოველთათვის ოდესმე თაყვანსაცემელად.

აქ მომწიეს შინადამ წიგნი ჩემის ძმის ზაქარიისა¹, რომელიცა ჩემ-
სავით მოსიარულობს ამოოდ, შორს ნათესავთა თვისთაგან და თვი-
სისა მამულისა.—აჲა წერილის კითხვით გზადაგზა, მიველ საღამოს
ღართისკარს.

10-ბა — განველეთ რა ხუთი ვერსი, შევედით ხეობაში, რომე-
ლიცა ზევით და ზევით უფრო ვიწროვდების. გზა მიდის არაგვის
მარჯვენა; შემდგომად გზა გაეყრება არაგვს, მოუხვევს მარცხნივ
საშაბუროსკენ და გადავა დუშეთს. 25-ი ვერსტია.

11-ბა — შევისვენეთ დუშეთს, რომელიცა არს უფრო სოფელი,
ვიდრე ქალაქი. მას შინა არს ოთხკუთხიანი ქვიტვირის გაღაღანი

* ატილოგრაფშია: „რომელთა თანა“.

კოშკებით, რომელიც არს აღშენებული ჯიმშერ არაგვის ერისთავისშვილისაგან. მარმარილოს ქვა არს კედელში, დატანებულ კარს ზევით, რომელზედაცა ჰსწერია:

„მე ამალღებულის, გვირგვინოსანის, საქართველოს მეფის თეიმურაზის აღზრდილმან და ძისა მისისა კახთა მეფისა ირაკლის² მიერ წყალობა განმრავლებულმან, ჩვენ ტომობით ჩოლაყაშვილმა არაგვის ერისთავმან ჯიმშერ³ აღვაშენე ღუშეთის სასახლე კოშკ-გალავანიტურთ და შევემკევე, რაოდენ ძალ მედვა, და ვინც აღმოიკითხოთ, ჰხსენებასა ჩემსა ჰყოფდეთ განსრულდა კათათვის კგ, ქორონიკონსა ულთ, ჩღნა“⁴.

ის სასახლე აწ ლაზარეთად არს გარდაქცეული. აქა დგას ერთი როტა ხერსონის პოლკისა.

შემდგომად ტბილისის აღებისა ალა-მაჰმად-ხანის მიერ, მეფე ირაკლი მობრძანდა შეწუხებული ღუშეთს, სადაცა დედოფალი⁵ იყო გამოხიზნული, და ჰსთქვა: „გმადლობ, ღმერთო! ვითარცა მოველ შიშველ ამ სოფლად, ეგრეთცა მივიქცევი ამიერ...“ ვითარი ჰსწავლა არს ამა სოფლის აზოებისათვის.—მწუხარებამან ჰსძლია სულსა მამაციასა და არლა აცოცხლა დიდს ხანს.—აქ ზაქარია ქიზიყის მოურავმან⁶ მიაართვა ახალი თვისი ტანისამოსი მეფე ირაკლის, რომლისაცა ყოველი სიმდიდრე დაშთა ტბილისში მტერთა.

12-ხა.—გავიარეთ ანანური, სადა არს ციხესა შინა აღშენებული მშვენიერი საყდარი ღმრთისმშობლისა არაგვის ერისთავის ბარძიმ მდივანბეგისაგან⁷.—და კანკელი არს შეწირული კვალად არაგვის ერისთავის ჯიმშერისა მიერ, ამილახვრის ასულით ანნა-ხანუმითურთ, ჩეფობასა ქართლსა შინა თეიმურაზისასა, და კახეთსა ირაკლისა. მხატვარი ყოფილა ვილაც ნიკოლოზ, რომელსაცა კარგათ დაუხატავს კანკელი, ჩღნგ⁸.

ანანურთან კვალად შევერთდით არაგვს, გზა ვიწრო მიდის მარჯვნივ არაგვის ნაპირსა, ფრიად ვიწრო ხეობაში.—მარჯვნივ და მარცხნივ მაღალს მთებზედ ჰსჩანან განბნეულად მთიულეთის სოფლები.—გზაზედ დაგვიღამდა. მთოვარე მშვენიერად ანათებდა თოვლიანთა მთებისა წვერთა: გარეშე ჩვენსა ყოველივე იყო მღრმარებასა შინა დაფლული, მხოლოდ არაგვი ყვირილითა რბიოდა და

ყოფებდა არესა. კაცი; იხილავს რა დიდმშვენიერებასა ბუნებისასა. უნებლიეთ მღუმარებს დაფიქრებული.—ნათელი მთოვარისა, ძლივს მოწვდენილი ჩვენდამო უფსკრულსა შინა. სიწყვდიადე და მღუმა-რება ტყეთა, ღრიალი არაგვისა, ყოველივე ესე აძრწუნებდა გრძნო-ნათა და ენასა ჰყოფდა უქმად.—მე და ჩემმან ამხანაგმან დავიქვე-ოთეთ და ისრე მოვედით ფასანაურს. სადაცა დგას ნახევარ როტა ააღლათი.—32-ი ვერსტი.

13-სა.—კვალად არაგვის პირ-პირ ვიარეთ 15 ვერსი ვიწრო გზით ხეობაში და მოვედით ქვიშხეთსა; სადაცა ჰსდგას მთიულე-თის პრისტავი, რომელსაცა მთიულეები უწოდებენ ბატონად. აქ გავედით არაგვისა ხის ხიდზედ. აქედამ დაიწყება მალალი და ძნელი ასავალი კაშაურამდის, 4 ვერსი. სადაც დავიღამეთ.

სალამო იყო მშვენიერი. მზე მიეფარა მთათა და უკანასკნელნი სხინი მისნი ცეცხლებრ აღანთებდენ თოვლიანთა მთათა ათას-ფრად. წმინდასა ჰაერსა მოჰქონდა სუნნელება ყვავილთა. ქვეშე ფერხთა ჩემთა არაგვი შორს უფსკრულსა შინა მიმოიკლანკებოდა თეთრად ძათსავით და გრიალი მისი ისმოდა საზარლად. საშინელ-ნი მთანი, ერთმანერთზედა აღყვანილნი ცათამდის, დიდებულებით მღუმარებდენ. ვიჯექ კლდესა ზედა, უფსკრულსა ზედა გადაკიდებულსა, და ესჭვრეტდი მდინარეთა.—მთათაგან გარდმოქანებულთა და უფსკრულთა შინა დაკარგულთა. განკვირვებით ვუმზერდი * კა-ციისა სადგურთა. ზოგთა ღრმათა უფსკრულთა შინა აღშენებულთა; და ზოგთა მალალთა მთათა ზედა, ცისა მეზობლად დად-გინებულთა. აღმოსავლეთით, მარცხნივ ჩემსა, აღმოდოდა მთოვა-რე ბრწყინვალეებით; მაშინ, ოდესცა მშვენიერი სალამოს ვარსკე-ლავი სიამით ჰფენდა ნათელსა ლომისა საყდარსა ზედა დასავლე-თით.—კაცისა ხელი ფრიად სუსტ არს აღსაწერელად დიდებულე-ბითისა ბუნების მშვენიერებისა. ყოვლადშემძლებელობა შემოქმედი-სა აღბეჭდილ არს ამა მთათა ზედა, რომლისა ხილვითა განცვიფ-რდების, ჰკრთების და იკარგების გონება კაცისა.—ვიყავ მარტო. გული აღივსო კეთილმოწიწებითა და უნებლიეთ მუხლნი მოვიდ-რიკნე, ხელნი განვართხნე და თვალნი მივმართე ცად მიმართ, ენა ჩემი ვერა წარმოჰსთქვამდა ვერცა ერთსა სიტყვასა, მარამა არაო-

* პირველად დაუწერია: „ესჭვრეტდი“, შემდეგ გადაუნაზავს.

დეს არ მილოცნიეს ესრედ გულსმოდგინედ და ესრედ მხურვალე-
ბით. ვითარ მას წამსა.

14-სა.—შევისვენეთ კაშაურს, სადაცა დგას ერთი როტა სალ-
დათი და ერთი ზარბაზანი. კაშაურში დგას ცხრა კომლი კაცი
არაგველნი. ახლოს მისა კვალად სჩანან სოფლები, ეგრეთვე მცი-
რედნი, აქა-იქ განბნეულნი.—მთიულნი მიესალმებიან სიტყვითა
ამით: გ ზ ა მ შ ვ ი დ ო ბ ი ს ა.—ლომისა საყდარიჲსდგას არაგვს გაღმა,
ფრიად მაღალს მთაზედ. და მთიულთაგან ფრიად პატივეცემულ
არს.— აქ ახლად ამოდირდა ჯეჯილი.

15-სა.—გამოელეთ ძნელი აღმართი და ფრიად ვიწრო გზა ლუ-
ტისა და ჯვარის მთისა. 8-ა ვერსი.

აღვედ ჯვართან. რომელიცა არს აღმართულ ერმოლოვის ო
დროსა ქანანოვის მიერ, და უნებლიეთ შემოვხედე საქართველოს.
თვალთათვის დაკარგულს, ხოლო გულისთვის მარად განუშორე-
ბელს, და პირველი ჰაზრი იყავით თქვენ. საყვარელნო მეგობარნო!
ახ! სიშორე თქვენგან მამწარებს ფრიად. იღუმალნი ოხრვანი აღ-
მოდინან გულისა სიღრმით და იკარგებიან ჰაერში. ჰოი, ბედო!
მაღირსება! კვალად საქართველოს და მეგობართა ხილვასა. ეპოება
მათ. კვალად ესრეთ. ვითარცა დაუტყვე იგინი. ანუ გრძნობათა
შინა მათა ეპოვებ ჩემდამო ცვლილებასა?—ამა უმაღლესსა მთასა
ზედა, ჯვართანა, სადაცა დასრულდა საქართველოს საზღვარი.
ესევე უკანასკნელსა სტაქნით ლეინოსა. თქვენს სადღეგრძელოს, მე-
გობარნო! და გესალმებით, იქნება საუკუნოდ.—მშვიდობით! მივალ
და მივეცემი ამა დაუდგრომელის სოფლისა არმურს.

ჯვარიდამ კობამდის არის დაღმართი 8-ა ვერსი. გზა იყო
ფრიად ცუდი. ჩამოწოლილსა მათათაგან დიდსა თოვლის ზეგვსა ზე-
და იყო ვიწრო გზა გაკეთებულნი.—კობს დამხვდა 33-ი ზარბაზანი
ახლად გაკეთებულნი და 18 მორტირა. მიჰქონდათ ტბილისში. აქა
დგას ერთი როტა სალდათი კაზარმებში. კობი არის დიახ პატარა
სოფელი ოსებისა, ქრისტეს სარწმუნოებისა.—ამ სოფლის მარცხ-
ნივ ხეობაში ჩამოდიან ცარგი. რომელსაცა აქვს დასაწყისი თრუსის
მთილამ, ეგრეთვე მდინარეთა არაგვსა და ქსანსაცა.

16-სა.—კობიდამ გამოელეთ რაოდენიმე ვერსი და გზის მარ-
ჯვნივ არის სოფელი, სახელად სივანი, სადაცა არს საყდარი, რომ-
ლისა სანახავად წაეელ განგებ.—გზა იყო ფრიად ვიწრო მისასვ-

ლელი. კართან დამხვდა ბებერი დედაკაცი, რომელსაც ეტყობოდა, რომელ არ იამა ჩემი მისვლა, ვგონებ იმიტომ, რომ ვეგონე რუსი.—შევედ და განვკვირდი, ვიხილე რა დიას ბნელი ტალარი, ძლივს ვიპოვე მეორე კარი, რომლიდამაც შევედ საყდარში, ეგრეთვე ბნელში, მუნ ვიხილე ერთი ისევე ბებერი დედაკაცი და მეორე კიდევ სხვა, ეგრეთვე მოხუცებული.—ოთხი კიბის ფეხი ქვისა იდგა ასასულელად, სადაცა იყო ტაძარი. მღვდელი შემოსილი უდი-აკნოდ სწირვიდა. აღვანთე რაოდენივე წმინდა სანთელი და ვიხილე ჯვარი ვეცხლით შექედილი, შეწირული არაგვის ერისთვის-შვილის ბაინდურისაგან¹⁰ და მეუღლისა მისისა ფანასკერტელის* ცი-კისშვილის ქაინოსროს ასულის თამარისაგან.—ჯვარცმის თავსა და ბოლოს არს გამოსახული ფრინველი ლომისა თავითა, რომელთა ფერხში უჭირავსთ წიგნი. მარჯულ და მარცხნივ იესოსა არს გა-მოსახული ხარი და წმიდა გიორგი. ვგონებ ესე ნიშნავდეს ოთხთა მახარობელთა, თუმცა უმეტეს ემზგავსების დანაშთომსა კერპთ-მსახურებისასა, რომლისაგანცა არა სრულიად გამოსულან მთის ხალხნი.—მღვდელმა მითხრა, რომ მითომ თამარ შეფისაგან იყოს აღშენებული საყდარი ესე; გარნა ვგონებ, რომ არც იმან იცის სწორედ.—საქართველოში თითქმის ჰსჯულად არის დადებული, რომელ ყოველსა ამგვარს ძველს შენობას მიაწერენ თამარ მეფეს, თუმცა მრავალნი ესრეთნი არიან სხვათა მეფეთაცაგან აღშენე-ბულნი.

აქედამ მოვედით ყაზიბეგის სოფელში, 18 ვერსი. აადაცა დგას ბ.კირედი კამანდა სალდათისა.

17-ხა.—აქედამ დაიწყების საკვირველი იგი სიჩქარე თერგისა, რომელიცა ყოველთა მხილველთათვის არს განსაკვირვებელ. — მი-იღებს რა გარდმოქანილთა მათაგან მდინირეთა, თერგი დულდუ-ბის, ჰრისხდების და ვითარცა გაცოფებული ჰყრის ქაფთა და ჰრბის გრიალითა. ვერარასა ძალუძს წინააღუდგეს მისსა გიჟურსა სიჩქა-რესა. შეხვდებიანა' მას დიდროანნი, საზარელნი ლოდნი,—ჰხლტების მალა და მათზედა გარდაველებს; და მაშინ წარმოუდგების თვალ-თა მშენიერ შადრევანად, ანუ მთად აღმასებრ გარდმოჟან-ტულად.

* ავტორაფშია: „ფანსკნეტელის“.

დღესა ამას სამ ადგილს გავედით თერგსა ხის ხიდებზედა და ოვედით ლარსს, სადაცა ჰსდგას ერთი როტა. 16-ი ვერ. შუა გზაზედ არის გაკეთებული პოსტი, სახელად დარიარი, სადაცა არს ერთი როტა ერთის ზარბაზნით. ადგილი ესე არს საზარელი სამყოფი. ოთხთა საშინელთა მალალთა კლდეთა შუა არს აღშენებული პოსტი ესე, სადაცა კაცი ვერარასა დანახავს ას ნაბიჯზედ, თუ არ გამხმართა კლდეთა და მალლა ცის მეტსა, და თერგი ღრიალითა თვისითა უმატებს საზარელებასა.—უბნობენ, ვითომც ორნი აფიცარნი გაგიჟებულყვენენ აქა ცხოვრებითა, და არცა საკვირველ არს.

ლარსს შემხვეენ მომავალნი პეტერბურღით ტფილისს გ. ე. და ს...შეილი¹¹; თუმცა ხილვა ჩვენი იყო პირველ და მცირეს ხანსაც, გარნა გაცნობა იყო მოკლედ და გულწრფელობით.—კაცი ვერაოდეს ქალაქში, ანუ დიდსა საზოგადოებასა შინა, ეერა იცნობების ესრეთ მოკლედ და ზედმიწევნით, ვითარცა გარეობასა შინა; რამეთუ კაცი, შევალს რა საზოგადოებასა შინა, ჰფარავს მასკასა ქვეშე ბუნებითა თვისთა ჩვეულებათა, ხასიათსა და თვისებათა, და ისრე იქცევის მუნ, ვითარცა არს კანონი და ჰსჯული დადგინებული საზოგადოებასა შინა*; ხოლო გარეობასა შინა არა ესრეთ არს, მუნ კაცი ჰსჩანს, ვითარცა სარკესა შინა: განშორებულ არს რა საზოგადოებისაგან, არა ჰფარავს არცა ნაკლულოვანებათა თვისთა და არცა ღირსებათა.

18-ხა.—თერგისა მარცხნივ მიდის გზა ფრიად ვიწრო და ადგილადგილ კლდეთა ქვეშე დასანთქმელად განმზადებულთა; ხოლო რაოდენცა მიახლოვდების ელადიკავაკას, ევოდენ ხეობა განიერ-

* ამის შემდეგ ავტორს გადაუხაზეს: „ამისთვის ესრეთ ძვირად ვხედავთ ქალაქთა შინა ორთა ჰუმარიტთა მეგობართა, ანუ ორთა აშოკთა. რომელთაცა სიყვარული დიდხანს გავრძელებულყოს. საყვარელი ხედავს რა აშოკსა თვისსა მტვერმეთქველად, მახვილ-გონებთან, ქცევასა შინა მარდსა, ჰგონებს, რომელ ესე არს ხატი ყოველთა სრულებათა, ფიქრობს და უხარის; ხოლო რა დაახლოვდებიან, ჰსენობენ ურთიერთთა მოკლედ: მაშინ რაოდენნი მათ შორის ნაკლოვანებანი აღმოჩნდებიან, რაოდენნი სიბილწენი და ღვარძლნი, რომელნიცა იყვენენ ესრეთ უბილავად და ესრეთ დაფარულ საზოგადოებასა შინა; მაშინ გულში გაჩნდება პირველად სინანული, სიგრილე და შენდგომად შექულება და განშორება, რომელთაცა ესრეთ ხშირად ვხედავთ მაგალითთა“.

დგბა და თერგიცა ჰქარგავს ნელნელად გიჟურსა სირბილსა. მთებზედ და ხეობაში არის ტყეცა. გამოვლეთ 18 ვერსი და გამოვედით მთებიდგან, ვითარცა საპყროპილეთგან, და ვიწყე თავისუფლებით სუნთქეა.—მართლიად, თერთმეტი დღე ვერარასა ვხედავდი, თვინიერ საშინელთა მათათა და ღრმათა უფსკრულთა. განვლეთ კვალად შვიდი ვერსი და მივედით შუადლისას ვლადიკავკაზს¹².

საკურგელ არს, თუ ვითარ გადმოვიდა ამა მათათა რუსის ჯარი, ნოზეალი ვანჯილამ 1796 წელსა; მაშინ, ოდესცა გზა ესე სრულიად არ იყო გაკეთებული.—არავითარსამე ძლიერსა ჯარსა ვერა ძალუის გადმოსვლად ამა მათათა ზედა, უკეთე წინააღმდეგების მას გინა ფრიად მცირედი ჯარი. მოსასვლელი არსაით არს. გზა არს ფრიადი ვიწრო, რომელიცა ადვილად სრულებით აღიბოცების: ჩასჰრას ორსა ანუ სამსა ადგილსა გზა, რომელსაცა ნყისვე დაჰფარავს თერგი; და მაშინ კვალად ოცდაათმან წელიწადნან უნდა იმუშაოს, რომელ გაკეთდეს ესრეთ, ვითარცა არს აწ: ესე იგი, ერთი საურმე გზა.—ზამთარში საშინელი ზეფენი ავსებენ ხეობასა, ესრეთ რომელ თოვლისაგან შედგების დიდი მთა, რომელსა ზედაცა აკეთენ გზასა ფრიად ვიწროსა და გადადიან ისრე. ზაფხულში დამდნართა თოვლთაგან შედგებიან მდინარენი, რომელნიცა ყოველს წელს წარიღებენ ხიდებთა და ახდენენ გზასა. ზამთარ და ზაფხულ ყოველსა წელსა, ყოველსა დღესა ნუშაობენ გზასა ამას.

19-სა.—შევისვენეთ ვლადიკავკაზს, რომელიცა ჰსდგას თერგის მარჯვნივ. გარეშე აქვს შემოვლებული წამხდარა თხრილი, რომელიცა ვეკობ ციციანოვის¹³ დროს არის გაკეთებული. აქა არს შტაბკვარტირა ვლადიკავკაზის ღარნიზონის პოლკისა. ქალაქსა ამას ესანზღვრებიან თავაურნი და სხენი მთის ხალხნი, ჩაჩანი, და ყაბართო—პატარა და დიდი. ძალიან შიში იყო უფრო უწინ მთის ხალხისაგან, ასე რომ ახლაც საქონელს, ორს ანუ სამს ვერსტზედ, უჯაროთ ვერ უშვებენ. საძოვრად; მაგრამ კნიაზ აფხაზოვმან¹⁴, რომელიც ეხლა არის მუნ კამენდანტათ, ძალიან შეაძრწუნა მთის ხალხნი. ჯარით შევიდა თავაურის ხეობაში, სადაცა ორჯელ დამარცხდნენ რუსნი, დაამარცხა თავაურნი, დასწვა რაოდენიმე მათი სოფლები, გამოართვა პიჯელთა გვართა ნზევლად შვილები, შეიპყრა პირველნი ხალხის აწმლელნი და ავაზაკნი, ჩიცხვით სამოცამდის, რომელნიცა ავაზაკობდნენ საქართველოს გზაზედ და დაეცნენ

20-სა ბრილადას, და კვალად წაართვა ბაჟი თაგაურთა, რომელნიცა იღებდენ ჩვენთა ვაჟართაგან, რუსეთით მომავლთა.

კნიაზმა დაპატიჟა სალილათ, და დღე ესე განკატარე ფრიად მზიარულებით. საღამოზედ წავედით თინარდის თამაშობის საყურებლად, სადაცა მოუვიდა კნიაზს ამბავი, რომ ხიდები რუსეთის გზაზედ წაუხდენია წყალსა; ამისთვის ჩვენცა დავრჩით კვალად ვლადიკავკაზსე 20-სა ივნისსა.—?ე და ალექსანდრემ საგინწაშვილმა¹⁵ წიგნები დავსწერეთ ქალაქში და გავატანეთ ჩემს ბიქს, რომელიცა დავაბრუნე აქედამ.

21-სა.—გამოვლეთ 32-ი ვერსი და მოვედით პატარა არდონის ციხეში. გზაზედ ბევრი წყლები არის გასასვლელი, რომელნიცა წვიმისაგან ადიდებულნიყვნენ და წაეხდინათ ხიდები.—წყალში ვადამიბრუნდა პოვოზკა.—აქა არს 4-ი ზარბაზანი.

22-სა. გამოვლეთ დურდურის რედუტი, რომელსაცა შინა არს 8-ი ზარბაზანი და ერთი ოტდელენიე სალდათი. 16 ვერსი.

აქედამ მოვედით ურუხის რედუტში. 18 ვერსი. აქა დგას ერთი როტა სალდათი და 12-ი ზარბაზანი.

აქ შევიხდა ლენერალი აფხაზოვი, რომელმანცა ეკატერინოლრადანდის¹⁶ გააცილა ღრაფინა პასკევიჩისა¹⁷.—მშენიერბა საღამომ გამოგვიწოდა გარეთ. ცა იყო მოწინდელი და ვარსკვლავნი ბრწყინვალეებით კრთოლგარებდენ. ამა შემთხვევამან დავვაწყებინა უბნობა ასტრონომიასა ზედა. მოგვიტანეს ჩაი და ლაპარაკი უნებლიეთ შეიცვალა საქართ ელოზე: კნიაზმა ფრიად კანონიერად და მკვერმეთქველად აღსწერა ზნეობა ქართველთა, და აქო გონება და გამბედველობა ჩეფე გიორგისა¹⁸.

23-სა.—ურუხის ხიდი იყო წამხდარი ადიდებულის წყალისაგან და ამისთვის ოთხი საათი დავვიგვიანდა, ვიდრემდის ეპოვნიდით ფონსა და გავიდოდით.—ჩენის უბედურობით, აქაც ჩემი პოვოზკა გადაბრუნდა მარტო და სხვა არავისი.—გზაზედ დავვიღამდა და დავდექით ჩერქეზის სოფლის სიახლოეს. წვიმამ ასრე შეგვაწუხა, რომ თითქმის არავის დაუძინია მთელს ღამეს.—23-ი ვერსტი.

24-სა.— გამოვლეთ 12-ი ვერსი და მოვედით ეკატერინოლრადის კარახტინში. კარებში მოგვეგება ერთი ბებერი წითელცხვირა სალდათი რკინის მავით, რომლითაცა გვართმევდა ბილეთებს საქართველოდამ მოსულთა და არ გვეკარებოდა, რათა არა შეგვე-

ხეს, ეშინოდა ჩვენგან, რადგანაც ვეგონეთ ხოლერიანნი და ჰირიანნი. — მაშაში ველარ დაეტივა მრავალი ბილეთები, რომლისაცა ნახევარი გასციენდა მიწაზე, — წითელცხვირამ აკრიფა მიწილამ შიშველის ხელით ბილეთები და ისევ მაშაშივე ჩააწყო და მით დიცივა და დაამტკიცა კანონი და რჯული კარახტინისა. ბევრი ვიცი-ნეთ ამგვარს მის სიფრთხილზე.

26 ხა. — ტანისამოსი გამოგვართვეს საბოლოებლად.

ვლადიკავკასილამ დაიწყების ყაბართოს მამული: ყაბართო განი-ყოფების ორად, დიდად და მცირედ. ამ ორთა განჰყოფს მდინა-რე თერგი, რომლისა მარჯულ არს მცირედი ყაბართო და ესამ-ზღვრების ჩაჩანსა და ჩრდილოეთით მოზდოკსა; ხოლო თერგისა მარცხნივ არს დიდი ყაბართო, რომელიცა განვრცელდების ელბ-რუსის მთამდის და ესაზღვრების დასავლეთით ყარაჩაელთა, ჩრდი-ლოეთით — მდინარესა მალკას, თერგის შეერთებამდის. — დიდ-სა ყაბართოსა შეამკობენ გაშლილი მინდორი, მრავალნი მცირედნი მდინარენი და ტყე.

უწინ ძლიერი ხალხი იყო; გარნა საშინელმან ჰირმან გაწყვი-ტა, და შემდეგ ბრძოლამან პირისპირ რუსთა. უმეტესი ნაწილი ხალხისა, წინააღმდეგი ყოვლისა მორჩილებისა, გაიქცა ყუბანის იქით. — ყაბართოელნი არიან თავისუფლების მოყვარენი, რომლი-სათვისცა ებრძვიან ესოდენთა წელთა რუსთა, რომელთაცა შეაიწ-როეს ფრიად, დაამცირეს და დაიპყრეს მთელი ყაბართო; გარნა სიყვარული თავისუფლებისა ვერა აღხოცეს მათ შორის. ესენი არი-ან მხნენი და ყოველთვის საომრად განმზადებულნი და მარადის ეძიებენ შემოხვევასა, რათა დაიხსნან მამული თვისი რუსთაგან.

სტუმართმოყვარეობასა არათუ ოდენ ყაბართოელნი, არამედ ყოველნი კავკასიისა ხალხნი ჰრაცხვენ უწმიდეს ზოვალეობად. — სტუმარი, გინა იყოს უცნობი, შევალს რა მათდა სახლსა შინა, იქმ-ნების შეუხებელ ყოველთა მისთა მტერთაგან და პატივცემულ ყო-ვლისა სახლობისაგან; და უკეთუ გითხრა ოდესმე ძმობა, ანუ მეგობ-რობა (ყონალ), მაშინ სიკვდილამდის ექნება ესე გრძნობა განუწყ-ვეტელად და მეგობრისათვის არცა სიმდიდრესა და არცა სიციოც-ნლესა თვისსა არა დაზოგავს.

ვითარცა სხვათა კავკასიელთა, ეგრეთვე ყაბართოელთა უწყვიან

სისხლისა ზღვევა სისხლითვე, — უკეთუ ნათესავი მოუკლეს ვისმე, მაშინ ნათესავი მოკლულისა ყოველსა ღონისძიებასა იხმარებს, რათა ანუ მკვლელი და ანუ ახლო ნათესავი მისი შეჰქმნას მსხვერპლად შურისძიებისა. — დედაკაცი არიან მათ შორის პატივცემულნი, ესრეთ რომელ ვინმე მისდევდეს სასიკვდილოდ მტერსა თვისსა, და ამან უკანასკნელმან მიახწივა დედაკაცთან, მაშინ მფარველობასა ქვეშე დედაკაცისასა იქმნების შეუხებელ.

ყაბართოელთა აქვსთ ბუნებითი გონება და მეხსიერება; გარნა უმეცრებასა შინა არიან დაფლულნი. უყვარსთ უქმობა. საქმე მათი არს იარაღი, ცხენი და ბრძოლა. — უწინ იყვნენ მდიდარნი ჯოგებითა; გარნა აწ ბრძოლამან პირისპირ რუსთა გააღარიბა ესრეთ, რომელ დიახ ძვირადღა იპოება ყაბართოში კარგი დარჩეული ცხენის ჯოგი.

ყაბართოელთა ჰქონდათ ჩვეულება, რომელ ომში გამოსულიყვნენ ლამაზის ტანისამოსით: თავადნი და აზნაურნი იცმენ ომში მუზარადს, ჩაჩქანს, სამკლავეს და ხმარობენ მშვილდ-ისარს, ხოლო ხმალი, ხანჯალი, თოფი, დაბანჩა მარადის შინაც განუშორებლად არტყიათ. უწინ არაოდეს არ დაუტევებდენ ომში მკვდარსა თვისსა და არცა დანებდებოდნენ ტყვედ: მრავალჯერ იყო მაგალითი, რომელ შენწყვედული ყაბართოელი, რა ველარ ნახავდა გზასა გასაქცეველად, დაამსხვრევდა იარაღთა თვისთა და მხოლოდ ხანჯლითა, ანუ ხრპლითა შეუტევედა მტერთა და ისე მოკვდებოდა. — ტყვეობასა ერჩივნათ სიკვდილი. — ყაბართოელნი ომობენ ცხენზე.

თავადნი აძლევენ შვილთა თვისთა გასაზრდელად და სასწავლებლად გამოცდილთა აზნაურთა თვისთა, რომელნიცა ასწავლიან ცხენზე ჯდომას, იარაღის ხმარებას და ვაეკაცობას (ჩვეულება ესე იყო ოდესმე საქართველოშიცა). ყაბართოელნი არიან ტანადოვანი და მარდნი. მათის ქალების წელი და კაცების ფეხი განთქმულ არიან მთელს ქვეყანას. — ესენი არიან მაჰმადის სარწმუნოებისანი (სუნნი).

თავადი ყაბართოში იგი შეიქმნებოდა ძლიერ, ვინცა გამოაჩენდა ომში მხნეობას და სახლში პურადობას; მასთან მივიდოდენ მრავალნი აზნაურნი (უზდენ), ემსახურებოდენ და ომში გაჰყვებოდნენ ჯარად.

ყაბართოელთა განავრცელებს ხელმწიფება თვისი სხვათა კავკა-

სიის ერთა ზედაცა: ინგუზნი, ოსნი, აბაზელნი და ბისლინელნი, — იყვნენ მოხარკენი მათნი; მხოლოდ ჩაჩნელნი ებრძოდენ მარადის და არა მორჩილებდენ მათ.

ყაბართოს თავადი თვისითა ამალითა, რომელიცა იქმნებოდა რიცხვით ასი, ანუ ორასამდის, წაყვდიოდა რომელსამე ზემოხსენებულთაგანისა სოფელსა შინა, მოჰკრეფდა ხარჯსა ესე იგი: ცხვარსა. ძროხასა, ცხენსა. და რაოდენი დროცა დაჰყოფდა მუნ, ამაღა მისი და თვითცა იქმნებოდნენ სოფლის ხარჯზე. უკეთუ სოფელში აღმოჩნდებოდა ვინმე გველეხი ყაბართოელისა, ანუ ქურდი და ანუ რითამე დამნაშავე, მაშინ თავადი უბრძანებდა და ღამე მიუგორებდენ ლოდსა დაწნაშავეის კარებთან; ესე ნიშნავდა ბატონის რისხვასა და სახლის დაბეჭდასა: ვერ ვისა ძალედვა შინაურთაგანსა გამოსვლა გარეთ და ლოდზე გარდმობიჯება, და ესრეთ იქმნებოდენ შემწყვედეულ, ვიდრემდის არ აღასრულებდენ ბრძანებასა თავადისასა. ესრეთთა დამნაშავეთა ხშირად ართმეოდენ ქალსა, რომელიცა იქმნებოდა ანუ საკუთარი დამნაშავეს შვილი და ანუ ტყვე. რა დააპირებდა თავადი სოფლიდამ გამოსვლას, მაშინ მოვიდოდნენ სოფელნი და გაუშლიდნენ თავადის წინ ნაბადსა, რომელსაცა ზედა გაიხდიდა თავადი ტანისაპოსს: სოფლელნი, რა იხილვიდნენ თავადის ტანისამოსსა ნაბადზე, მისცვიდნებოდნენ და აიტაცებდენ თავისთვის, და ესრეთ ვასცრცვიდნენ თავადს, რომელ უბრალოს ტანისამოსით გამოვიდოდა სოფლით. — ჩვეულება ესე იყო ყოველთვის, რო'ელ შემდგომად ხარჯის მოკრეფისა თავადი დაუტევებდა სოფელში იმ ტანისამოსს, რომლითაცა მოვიდა მუნ პირველად. — მოკრეფილსა ხარჯსა ამას არაოდეს არ აიღებდა თავადი თავისთვის, არამედ დაურიგებდა აზნაურთა თვისთა და ამაღასა. რომელნიცა ახლდნენ მას, და თვით მხოლოდ კარგსა საჯდომსა ცხენსა და ანუ ჯოჯისათვის ჰკაც ცხენსა ამოარჩევდა, და კვალად. თუ იქნებოდა, ტყვესაცა. — სარგებლობა თავადისა იყო ესე, რომელ ესრეთითა ვაცემითა უმეტეს მიემატებოდნენ მას სხვანიცა აზნაურნი და მით უფრო განძლიერდებოდა.

სომეხნი მარადის ამა შემთხვევასა შინა მოვიდოდნენ თავადთან და თვისითა მანქანებითა დასტყუებდენ მრავალსა ცხვარსა და ძროხას, და ყოველთვის დროსა ამას თავადის შეიწყობით აზღვევნიებდნენ დანაკარგსა თვისსა.

უკეთუ თავადის შვილმა დააშავა რაიზე, მაშინ ყადის გადაწყვეტილებით უფროსის გვარის თავადივე რამდენჯერმე დაჰკრავს ჯობსა. — ამა შემთხვევასა შინა არს კანონი, რომელ თავადი, რომელიცა ჰსცემს თავადსა, მხარს ზევით ვერ შეაპაღლებს ხელსა და საკრავად. — თავადის მოკვლა ვერ შეუძლიან გლეხსა, თუგინდ მოასწროს ქურდობაზე.

ქორწილი მათი არს ესრეთ: პირველად გაგზავნიან პატრივე მულთა მათ შორის კაცთა ქალის სათხოვნელად, და თუ ქალის მამას მოეწონა სასიძოს აწუ გვარი და ანუ მის ვაჟკაცობა, მაშინ ეთანხმება მათ და შეურიგდება, თუ რაოდენიც უნდა მისცეს სიძემან ქალისათვის ანუ საქონელი და ანუ ფულად, რომელიცა არათუ ქალის მამასა. არამედ ეკუთვნის ქალის განზღვლსა. და მასვე დროს გაუპრიან ქებონს, ვითარცა არს ჰსჯული მაჰმადიანთა. — შემდგომად ერთისა, ანუ ორისა წლისა. და არა უმაღ, მოვალს სიძე ნათესავერით და მეგობრებით თვისით ქალის წასაყვანად. დიახ ჩუმათ და სიფრთხილით, რომ ქალის მეზობლებთა არა შეუტყონ იქ მოსვლა; თვარა ნოჰპარევენ ცხენს, იარაღს და ანუ ძალით წაართმევენ მათ. — (ფრიად ხშირად მოხდების, რომელ რა ჰსცნობს ქალის წაყვანას რაყიფი, მაშინ თავის მეგობრებით და ნათესავერით გზაზე, დახვდება და იწყებენ ბრძოლას, და ქალიცა დაჰშთების მას, ვინცა იქმნების მძლეველ). — სიძე შემოისვავს თავისთან ცხენზე და ნიშნულსა თვისსა და წაიყვანს თავის ახლოს ნათესაეთან და ანუ მეგობრის სახლში, სადაცა იცხოვრებს ერთი წელიწადი. სახლის პატრონი ამ ერთ წელს თავის ხარჯით და თვით ტანსაცმელითაც შეინახავს ახალთა ამათ მეუღლეთა ყოვლის პატრივისცემით. — შემდგომად ქმარი უკვე წარიყვანს ცოლსა. სახლსა შინა თვისსა და იქილამ გამოუგზავნის ფეშქაშებს იმ სახლის პატრონსა სადაცა დაჰყო ესოდენი დრო, და მით გარდხედის მის მოვალეობასა. — დიდი სირცხვილია, თუ დღე შევიდა კაცი თავის ცოლთან. — რძლებსა არა ძალუძსთ დედამთილთან დახსდომა და ერთად პურის ჰამა, და ვერცა უმცროსსა რძალსა უფროსთან; ეგრეთვე თვით ძმებშიცა ესრეთი უფროს-უმცროსობა არს. — თავადის ქალი თუ არ თავადმავე, ვერ ძალუძს აზნაურსა შერტოს ცოლად.

რიფი არს, რომ თავადის უფროსს ცოლთან შევიდნენ აზნაური და ამაღა თავადისა, პატრივსა ცემლად მისა; ეგრეთვე მოსულნი ვაჰარ-

ნიცა სომეხნი. — უკეთუ გზაზე აზნაურმან და ანუ გლეხმან დაი-
ნახა თავადის ცოლი, მაშინვე, თუ ცხენზე იჯდება, მყისვე გადმოხ-
ტება შორს, ხელს თავისკენ აიშვერს (თავის დაკერვა არს იმათში).
და დადგება, ვიდრემდის თავადის ცოლი არ გასცილდება მას. —
ქალნი არ ერიდებიან კაცთა და არცა იფარვენ სახესა.

გლეხთა კაცთა არა უწყვიან არაეითარიმე მუშაობა, თვინიერ
ფეტვის თესვისა და თივის თიბვისა; ხოლო დედაკაცი არა ესრეთ
არიან ზარმაცი. ყოველი შინაური საქმე აღსრულდების დედაკა-
ცისა მიერ, და თვით ტანთსაცმელსაცა ქმრისა თვისისათვის და ყოვ-
ლისა სახლობისათვის ქსოვს და ჰკერავს ცოლი.

ყაბართოელნი არ ეწყობიან არცა ჩიბუხსა და არცა ლოთობას
ეგრეთ, ვითარცა სხვანი კავკასიელნი. — უბნობენ, ვითომც უწინ
იპარსვიდნენ ყაბართოელნი წვერსა, და უკვე ჰირიანობისა შემდეგ
იწყეს პირველად დაყენება წვერისა, ნიშნად გლოვისა, და დასას-
რულ დაჰშთა ჩვეულებად.

ჩაჩნელთა და აბაზელთა არა ჰყავთ არცა თავადნი და არცა
აზნაურნი, მუნ ყოველნი თანასწორ არიან.

31-სა. — კარახტინში დაერჩით შვიდი დღე.

31-სა გამოვედით ეკატერინოლრადის კარახტინით და მოვედით
სალდათსკის სტანიცაში, რომელიც 1825 წელსა წაახდინეს ჩერქეზთა.

ეკატერინოლრადით დაიწყების დიდი შიშველი მინდორი, სა-
დაცა იყო საშინელი ბრძოლა ლანგთემურისა და ტახტანიშისა¹⁸:
ესე უკანასკნელი იყო ხანი თათართა (ანუ „ზოლოტოის არ-
დისა“) რომელთაცა ეპყრათ რუსეთი 250 წელი. ლანგთემურმან
ჰსძლია ტახტანიშსა და განვლო დონამდის და ისევ უკმოიქცა. ესე
იყო მეორე და უკანასკნელი ტახტანიშისა დამარცხება ლანგთემუ-
რისაგან. — ამა თათრების დამარცხებით, რუსეთმან იწყო განძლი-
ერება უმეტეს და უმეტეს ესრეთ რომელ თათარნი, უწინდელნი რუ-
სეთის მფლობელნი, შეიქმნენ შემდეგ ყმად მათდა. — სალდათსკის
სიახლოეს ჰსჩანან მრავალნი მცირედნი გორაკანი, განბნეულნი
ფრიად ახლოს-ახლოს, და ემსგავსებიან საფლავებთა; უბნობენ,
ვითომც აქ დამარხულ იყვნენ ბრძოლასა შინა დახოცილნი*.

* თავდაპირველად დაუწერია: „მკედარნი“, შემდეგ გადაუბაზავს.

ეკატერინოლრადით დაიწყება უკვე ლინია. ვიდრე ელარლიკამდის. — ეკატერინა ხელმწიფე²⁰ იყო აღშენება ამა ლინიისა, სადაცა გზაენიდა ციმიირის მაგიერ დამნაშავეთა, და გარდმოსახლა მცხოვრებნი შიგნით რუსეთით, სადაცა იყო ხალხის სიმრავლე.

1-სა ივლიხხა. — მოვედით ალექსანდროესკაში.

2-სა. — შვეისვენეთ. ამ სოფლის ბეჭედზე არის გამოსახული სათიბელი, ნამგალი, ორთითი, მარგილი * და საბეგვი, რომლითაცა ჰბეგვენ ძნას, ლეწვის მაგიერ. ძალიან მომეწონა ესრეთი გამოსახვა გლეხების ბეჭედზე.

3-სა. — გამოველეთ 40-ი ვერსტი უწყლო მინდორი და მოვედით საბლაში; აქედამ 4-სა ნოვოსერლიევკას, სადაც ჩვენი მაიორი გავიხიდა ავით ხოლერით; მაგრამ ჩვენის ცდილობით და ექიმობით მოვარჩინეთ: მალ-მალ ტანზე უსვავდით რომსა, სპირტსა და ვზელდით.

5-სა მოვედით სტაეროპოლს²¹, სადაცა გამოგვიცხადეს ამ თვის თექვსმეტობის დარჩენა.

ეკატერინოლრადით აქამდის გზა არს ფრიად მოსაწყენი. თვალი ვერასა ხედავს, თუ არ შიშველსა მინდორსა, რომლისაცა არა ჰსჩანს დასასრული. წყალი თითქმის არსად არს, თვით სოფლებშიაცა ჰსმენ ჰიადამ აყროლებულსა და ზოგან მწარესა წყალსა. — კაცი ვერა იხილავს ამა ადგილსა შინა დაშთენილთა რასმე ძველთა დროთაგან შენობათა, ვითარცა სხვათა ქვეყანათა შინა იბოების ესრეთ ხშირად კვალი წარსრულთა დროთანი, რომლისა ხილვითა წარმოგვიდგების წინაშე თვალთა ანუ დიდება რომლისამე ხელმწიფისა და ანუ შემძლებლობა რომლისამე ერისა. — უწინდელთა ამა ადგილის მფლობელთა თათართა არა დაუტევეს თვის შემდეგ არცა ერთი ნიშანი თვისისა შემძლებლობისა. ჩინგის-ხანის²² ჩამომავლობა ესე გამოვიდა თათარიიდან, ვითარცა ყოვლად შემქმელი ცეცხლი, და კვალი მისი იყო გაოხრება ქვეყნისა მის, რომელსაცა ზედა ველიდენ იგინი. და თვის სადგურად აღმოირჩიეს ადგილი ყაზანი²³ და ასტრახანი²⁴, ვიდრე ყირიმამდის. ნაწილი ამათი იყო საქართველოშიაცა, რომელმანცა ჰსცნა ფრიადი საშინელება მათი ომშია. აწ უწინდელის მხნეობის აჩრდილიც არღა ჰსჩანს მათ შორის.

* ავტოგრაფშია: „მარგლი“.

6, 7, 8, 9. 10-სა იგლისა. — სტავროპოლი. მცირედი ქალაქი, ესე არს ახლად აღშენებული. და თუმცა არა არს მდიდარ შენობითა, გარნა სწორე და განიერი ქუჩები ფრიად ამშვენებენ ქალაქსა, რომლისაცა აწინდელი ღენერალი ემმანუელი²⁸ ცდილობს უმეტეს და უმეტეს განვრცლებასა. გარეშე ქალაქისა არს ტყეცა, და ეგრეთვე შიგ ქალაქშიაცა (როზნა). ფრიად საამო სანახავი თვალთათვის. თითქმის ყოველ სახლთან არს პატარა ბაღები, რომელსაცა შინა უდგასთ ხეხილი: ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ტყემალი და აღუბალი. — აქა არს ორი საყდარი რუსისა და ერთი სომხისა. ქალაქსა ამას არა აქვს მდინარე და სმენ წყალსა აქაც ჰვებიდამ.

ქალაქთანვე არს მცირედი გორა, რომელსაცა ზედა ყოფილა უწინ მიწის ციხე, რუსთაგან აღშენებული; გარნა აწ ნხოლოდ დანგრეული ჰსჩანს თხრილი, რომლისა სიახლოეს ყოველს ორშაბათს არის ბაზარი, ესე იგი: დღესა მას შეიყრებიან გარეშე სოფლებით გლეხნი კაცნი, რომელთაცა მოაქვსთ გასასყიდლად ფქვილი, ქათმები, ინდოურები, საზამთრო და სხვა ამგვარი სოფლის მოსაყალი და ძალიან იაფობაცარის. — აქ იყო უწინ თათრის სოფელი და ეწოდებოდა ჩეთყარაღაჯ.

11-სა, კვირა დღეს, მე და მაიორი²⁹ წავედით წირვაზე. ხალხი იყო მრავალი, უფრო გლეხთაგანი, რომელნიცა არიან ფრიად მლოცავნი და მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა. — უნდა კაცმან მისცეს სიმართლე ამათ, რომელ ყოველს სოფელში საყდარი არს ფრიად შემკობილი.

მაიორმა სადილათ დამპატიეა. — „საყვარელო გრიგოლ! — ჰსთქვა მაიორმა და ამოიღო ზანდუკიდამ აზარფეშა, — მოდი, ამით დღეს მოვიგონოთ საქართველო და დავლიოთ უკანასკნელი დაშთენილი ბუტილკა კახურის ღვინით“. — აზარფეშისა და კახურის ღვინის ხილვამ ფრიად გაჰახარა: ვინცა არა ყოფილხართ შორს უცხოს ჰვეყანას, არ გეცოდინებათ ის სიამოვნე, ის აღტაცება, რომელსაცა ჰგრიანობს თვისისა მაჴულით განმორებული, იხილავს რა გინა მცირედსა რასმე თვისისა მაჴულისასა.

— „მერწმუნე მაიორო! — უთხარ მე, — რომ ამ ეამით უფრო უმეტეს შემიყვარდით; ამისთვის, რომელ მეჰამულენნი შენნი, ესე იგი რუსნი, არაოდეს დაუტევებენ საქართველოს, თუ არა წყევითა და კიცხვითა; თუმცა ვიცით, რომელ საქართველოში მიიღეს მათ

ბედნიერება, სიმდიდრე და უპაღესნი ხარისხნი, რომლისაცა არ არიან ღირსნი; და თქვენ კი გზედავთ პირველსა რუსსა, რომელიცა იგონებს საქართველოს ესრეთ სიამოვნებით“.

— „თოთხმეტი წელიწადი ვიყავ მე საქართველოში, — მიპასუხა მან, — და ესოდენი დრო კაცისათვის არს თითქმის საუკუნე. შევეჩვიე იქაურს ჰაერს, ცხოვრებას ჩვეულებათა, ვპოე მუნ ყოველი, რაიცა აწ მაქვს, და ესეცა ჩემი საყვარელი ცოლი (ესე ჰსთქვა და აკოცა მას). და ვიყავ მუნ კმაყოფილ ჩემითა ცხოვრებითა. საქართველოს არა ყოველნი იცნობენ, ოც წლამდის მიენზავსება იტალიას. საქართველოს სადღეგრძელო იყოს!“

მიუჯახებთ სტაქენები და გამოვცალეთ; მაგრამ ძალიან ვნანობდით, რომ აღარა გვქონდა სხვაცა ოთხი და ხუთი საესე.

საღამოზე წავედით სასეირნოდ და შევედით კაპიტან ფრიდრიქსთან, ²⁷ ცოლიან კაცთან, სადაცა წაფიქიბხეთ გაზეთებში სიკვდილი კონსტანტინესი ²⁸ და დიმიჩისა ²⁹ და პეტერბურღში ხოლერის გამოჩენა და ხალხის აღრეულება.

ფრიდრიქსის ცოლმან წამაკითხა თვისი აღბომი, რომელსაცა შინა განკვირვებით ვიხილე ქართული ლექსებიც, დაწერილი ანტონ ყარ. ³⁰ მიერ:

ბულბული მწუხარია, ვარდი შემომწყარალია,
ნარგისს გზენის წამლისთვის, თუმცა თვით მკურნალია.

მათარგნინეს რუსულად და ბევრი ვიცინეთ ამ ლექსებზედ. ვახშმათაც აქ დაგვპატიფეს.

12-ხა—დამნიშნეს კამანდით სოფელში დასადგომლად დუბოვკას, სადაცა ვიყავ 13, 14, 15, 16, 17.

მარტობამ ძალიან შემაწუხა და ამისთვის მოველ ისევ სტავროპოლს. სადაცა გამოგვიცხადეს, რომ რადგანაც პეტერბურღის გზაზედ ძლიერი ხოლერა გაჩენილა, ამისთვის, ვიდრე სრულიად არ გაწყდება ეს სნეულება, აქ უნდა დარჩეთო. ძალიან მეწყინა ეს ანბავი, მით უფრო უმეტეს, რომელ სტავროპოლშიაცა იყო ხოლერა, თუმცა არა ძლიერი.

8 ხა აგვისტოს. — მოვიდა ლენერალი კნიაზი ივან ნიკოლაიჩი აფხაზოვი, დანიშნული ღრაფ პასკევიჩთან ³¹ არმიაში პირისპირ პოლშელთა. ფრიად გვიამა ურთიერთისა ხილვა. შემდგომად სხვადა-

სხვათა უბნობათა პოლშის ბრძოლისათვის, ვიწყეთ საქართველოზე.—ახ! ვითარ ძლიერად და მართლიად აღსწერა აწინდელი მდგომარეობა საქართველოსა, რომელიცა უყვარს, ვითარცა ჭეშმარიტსა ძესა მამულისასა. ვითარ მწუხარებითა უბნობდა ქართველებზე, რომელთაცა აღზოცეს თვის შორის კეთილშობილური სიამაყე და სიყვარული მამულისადმი და არიან მონებასა ქვეშე, დამდაბლებულნი სულითა.

უ ბ ნ ო ბ ა რ ე ე ნ ი

კ ნ ო ა ზ [ი]: ღმერთო, ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, რომელ იძულებულ იყვნენ დატევებად საქართველოსა, რომელიცა მყისვე შეიკმნების მსხვერპლად უწყევლობისა, შინაგანისა განხეტკილებისა და ზედა-დასხმისა დაუძინებელთა მტერთაგან.

მ ე: საქართველო, შემდგომად რუსთაგან დატევებისა, ვგონებ იყოს ესრეთ ძლიერ, რომელ შეიძლოს დაცვა მტერთაგან სამზღვრისა თვისისა. ოცდაათს წელიწადს საქართველოს თუ არ მომატებია ხალხი, ვგონებ არცა დაჰკლებოდეს*.

კ ნ ო ა ზ [ი]: არა ძალუძს: ამისთვის, რომელ პოლიტიკებრი მდგომარეობა შესამზღვრეთა სახელმწიფოთა აზიასა შინა ფრიად შეიკვალა. ვის უხილავს ყიზილბაშისა და ოსმალოს ესრეთი გაწყობილი ჯარი და ესრეთი თოფხანა. საქართველო, იქნების რა დატევებულ რუსთაგან, ვითარ წინააღუდგების მათ. ერეკლე იყო ჭკვიანი და მხნე მეფე: ხედვიდენ მას მხნეობის მაგალითად თავადნი და აზნაურნი, რომელთაცა უყვარდათ მამული, სარწმუნოება, მეფე და იბრძოდნენ ვითარცა ლომნი, —მაშინ, ოდესცა ყიზილბაშთა, ბუნებითად მხდალთა, არა ჰქონდათ არცა წესი ჯარში და არცა მხნე-

* ამის შემდეგ გადახაზულია: „ჯარდა ამისსა, ტბილისის წახდენა ალა-მაჰმად-ხანის მიერ იყო დიდი შეცდომა ყიზილბაშთათვის, ამისთვის, რომელ ამა მიზეზით დაუმეზობდნენ მათ რუსნი, ესოდენნი საშინელნი მათთვის შესამზღვრავნი, და ვგონებ, რომელ ყიზილბაშთა და ოსმალთთ არღა მოინდომონ, რომელ საქართველომ კვალად მოსთხოვოს მფარველობა რომელსამე ძლიერსა სახელმწიფოსა“.

ეს ადგილი ავტორს გადაუხაზავს იმიტომ, რომ მსგავსი მსჯელობა მას ჩაუმატებია დიპლომატის მომდევნო ნაწილში.

ობა სპასალართა; მაშინ ვამბობ, ქართველთა შეეძლოთ ბრძოლა პირისპირ მათთა. ხოლო აწ გამოიკვალა დრო და შეიკვალნენ ივინიცა, გააწყეს მათ რეღული * და ჩვენ ველარ ძალგვიძს, რომ გაწყობილს ჯარს ვებრძოლოთ ისევ იმ ლონისძიებით, ვითარცა იბრძოდნენ მეფეების დროსა. რეღულსა უნდა ვებრძოლოთ რეღულითვე. ნუ გგონია, რომ ჩვენის გლეხების თოფი იყოს სახმარ ომში, რომელსაჲსა სამჯერ ვერ ესრვის საათში, მაშინ ოდესცა მინუტში უნდა ოთხჯერ მაინც ესროლოს*; ერთის სიტყვით, საქართველო ურეღულით ვერცა ერთსა თვესა გაუძლებს მტერთა.—და, გარდა ამისსა, ოცდაათმან წელიწადმან ფრიალ შეჰსცვალა ერთი. არღა მდგომარეობს ჩვენ შორის იგი მხნეობის სული, რომლითაცა იქნებოდნენ უწინ.

შე: რეღულის გაწყობა ადვილად მოხდება საქართველოში; ამიტომ რომ, იქნებთან რა თვით დამცველნი თვისისა საზღვრისანი, თვალთ დაინახვენ რეღულის სარგებლობასა; თვით მეფე ერეკლემაც იცოდა უმჯობესობა რეღულისა და გააჩინა მორიგის ჯარი, და მაშინ არცა ერთი ტყვე არ დაკარგულა.—ამას ადვილად მოახდენენ მაშინ ივინი, ვინცა დარჩებიან ერის** მმართველად, და ვაჟკაცობაში ქართველნი ნაქებნი არიან და უყვარსთ მამულიცა; ესე დამტკიცდების მით, რომე საქართველო, ესრეთი მცირედი სამეფო, ვერ დაიცავდა ვერცა სამზღვარსა თვისსა და ენასა და ვერცა სარწმუნოებასა, თუ არ განსხვავებულითა ვაჟკაცობითა და სიყვარულითა მეფეთა და მამულისადმი.—ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვლად აღდგინებულს არარაისაგან. ესრეთთა საკვირველებათა აწარმოვებს მხოლოდ მხნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისადმი.—გარდა ამისსა, აწ თვით უიზილბაში და ოსმალოცა ხედვენ შეცთომილებათა თვისთა, რომელ საქართველომ, მათგან შეიწროებულმან, დაუმეზობლა ესდენ საშინელი მათთვის მეზობელი რუსეთი და არღა მოინდომებენ, რომელ საქართველომ კვლავცა მოსთხოვოს მფარველობა რომელსამე ძლიერსა სახელმწიფოსა ევროპასა შინა. ყიზილბაშნი ჰსწყევდენ აღა-

* შემდეგ გადაბახულია; „გარდა ამისსა, ერთის კაცის პატრონა შგორის თოფისათვის არ გამოდგება“. ** პირველად ავტორის დაუწერია „ხალხის“, შემდეგ გადაუბახავს.

მაჰმად ხანს ტფილისის წახდენისათვის, რაიცა იყო მიზეზად რუსების გადმოსვლისა.

კნიაზ [•]: მართალ არს, რომე ქართველნი არიან მხნენი; გარნა რელულის გაწყობა აგრე ადვილი ნუ გგონია, ამიტომ, რომ რელულის დაწყობის დროს, ჯერ-არს პირველად შევიდნენ სასახურში სალდათად, სამაგალითოდ სხვათათვის, პირველნი თავადნი და აზნაურნი, რომელთაცა აქვთ პატივი და ხმა ჩემბაძულეთა შორის თვისთა; ჯერ-არს მათდა, რათა შეჰსწირონ მსხვერპლად სიმდიდრე და თვით სიცოცხლესა, ვისაც ვითარ ძალუეს, საზოგადოობისა ბედნიერებისათვის, და არა მიხედოს საკუთარსა თვისსა სარგებლობასა; ამით ოდენ ჩაიყრება მტკიცედ საფუძველი რელულისა.—აბა, ჩემო გრიგოლ! დაჰისააფლე გინა ერთი კაცი, რომელჰანცა დასდვას ნაწილი სიმდიდრისა თვისისა საზოგადოობისა სარგებლობისათვის. ესრეთი მსხვერპლი არს სათნოება, რომელსაცა ჰკრინობს მხოლოდ გონებითა და გულითა განათლებული კაცი. უმეკარი და უმსწავლელი ვერა მიხედების ამა ამალღებულსა გრძობასა, რომელსაცა აწარმოებს მხოლოდ სიყვარული მამულისადმი. თქვენ, ახალგაზდანი! თქვენ უნდა ეცადნეთ ყოვლის ღონისძიებით მამულისათვის. პირველად უნდა ისწავლოთ, გონება განინათლოთ, და მაშინ დაინახავთ და გაჰართავთ ნაკლულოვანებათა. და ამა მიზეზით ვამბობ, რომელ ღმერთმან ნუ ინებოს საქართველოს დატევება რუსთავან ას წლამდის; მაშინ აღარა მეშინის, ამისთვის, რომელ საქართველოს ეყოლება მას დროსა მრავალნი მსწავლულნი კაცნი, საზოგადოება შეიკვლება, იგრძნობს ყოველსა საწიროებასა, და ყოველი კეთილი, ახალი სასარგებლო დაწყობილება ადვილად აღსრულდების; ახლავინ იკისრებს და ან ვინ გაუგონებს.—აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკედარ მამულისათვის. ჰსცხოვრებენ უსაგანოდ, დეებურტებიან უგზოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა: ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლობისათვის, რომლისა მისალღებლად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა და არცა უპატიურსა გზასა, რომელსა ზედა ვლენან. ანგაარება არს მათთვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაცა გვეკარება პატიოსნება; გარნა ნუ გგონია, რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა; არა, ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის მორჩილებისა.

მე: ამა ერისა სულისა დამდაბლებასა ადვილად აღხოცენ ივინი,

ვინცა იქნებიან, შემდგომად რუსთაგან დატევებისა, ერის მმართველნი, უკეთუ იქნებიან გონებიან და შორსნხედველ. ძალა იქმნების მათ ხელში, აღაშენებენ და გააწყობენ სასწაულებელთა; სხვათა სახელმწიფოთაგან მოუწოდებენ მსწავლულთა კაცთა და ხელოსანთა, როჩელნიცა იქნებიან პირველნი მთესველნი სწავლათა და ხელოსნობათა საქართველოსა შინა, და შემდგომად რაოდენთამე წელთა ნაყოფი უეჭველად აღმოცენდების, მით უფრო უპეტეს, რომელ ქართველთა აქვსთ ბუნებითი გონება.*

ქნაზ [ი]: ეგე ყოველი შესაძლო არს, გარნა ჯარისა და სასწაულებელთა შენახვისათვის საქირო არს ხაზინა; საქართველო არს ღარიბი სამეფო, და სხვა რომელი სახელმწიფო გვენდობა ჩვენ ვალად.—გარდა ამისსა, საქართველო არს დაგლეჯილ ნაწილ-ნაწილად. ალექსანდრე მეფის³¹ ხემდეგ, რომელნაცა განუსჯელად განჰყო საქართველო, — ქართლი, კახეთი, იმერეთი, საათაბაგო, ლუჩია³² — მის დროთ აქამომდე იყვნენ ურთიერთის მტერნი და სისხლი ინთხოდა მოუწყუეველ. აწ ძლიეს შეერთდნენ და ამიერითგან უნდა შეერთხორცდნენ და შეადგინონ ერთი მთელი: წებოთი მიკრული არ დადგების დიდს ხანს, თუ მზე არ შეაერთებს და არ შეადუღებს მას. ჩვენი მზე არს დრო; დრომან უნდა განგვანათლოს, გვასწავოს ურთიერთთა და მამულისა შეყვარება და შეგვეერთოს ერთითა გულითა, ერთითა ფიქრითა ყოველნი ნაწილნი ძველისა საქართველოსანი; მაშინ იქმნების, თუმცა არა ფრიად ძლიერ, ვითარცა სხვანი სახელმწიფონი,—გარნა შემძლებელ დაცვად თვისისა სამზღერისა. გარეშემოზღუდულ არს რა საქართველო მტერთაგან, ჯერ-არს, რათა ყოველი ქართველი აღინთოს მამულის სიყვარულითა და თვითოველმან აღირჩიოს გზა ლეონიდისა.³³

ღმერთი არს მოწამედ, რომელ მთლად ქართველთ არ უყვარსთ ეგოდნად მამული თვისი. რაოდენათაც მე მარტო³⁴, ასე რომ, თუ სიკვდილითა ჩემითა შეიცვლებოდეს საქართველოს მდგომარეობა ესრეთ კეთილად, ვითარცა მსურს მე. წამსავე ამას სიხარულითა გადავარდებოდი ფანჯრიდამ სასიკვდილოდ.—კვალად ვამბობ, რომელ დრომ, დრომ უნდა აღადგინოს საქართველო.

* ამის შემდეგ გადახაზულია: „და მახვილ მებსიერება“. ** ამის შემდეგ გადახაზულია: „აბბახეთი“.

ემა ამახ შემოვიდა პოდპოლკოვნიკი ილინსკი³⁵ და მიგვიწვია ჩაიხედ, ლაპარაკი შეესწყვიტეთ და წავედით მასთან. აქ გავიცან პოლკოვნიკი ფლილე³⁶ და დავრჩი აქვე ვახშმათ.

4-სა აგვისტოს.—დილა ადრიან მიველ აფხაზოვთან, რომელიცა იყო მზად წასასვლელად. მივე წიგნი ჩემს ძმას ზაქ[არიასთან]³⁷, რომელიცა ჩავაბარე. გამომესალმა, დამლოცა და მომცა ფოტოში წიგნები გასაგზავნად.—ამავე დღეს საღამოს მოვიდა ღრად სიმონიჩი³⁸, რომელთანაც მიველ მეორეს დღეს 5-სა აგვისტოს და ძალიან იამა ჩემი ნახვა.

6-სა.—ვიყავ წირვაზე ფერისცვალობის დღეს, სადაცა აკურთხეს ვაშლი ყურძნისა ნაცვლად; მომაგონდა საქართველო და მისი ჩვეულება დღესა ამას. ამოვიოხრე და ოხრვა ჩემი დაიკარგა ჰაერში და ესმა არავის. ვახშმათ მე და ლელ[შერტი]³⁹ ვიყავით ერთად და საამურის უბნობით განვატარეთ მეორეს საათამდის.

7-სა. ღრად სიმონიჩმა დაგვპატივა გამოსალმების სადილზე, რომლისა შემდეგ გვაკოცა და გაემართა პეტრებურლისკენ. კახურის ღვინის სმა დღესაც მეღირსა: არა ვფარავ, რომელ მის კუბრის სუნიცა იყო საამოდ ჩემთვის.*

29-სა აგვისტოს.—გამოვესალმე ზახარ იოსებჩის სულხანოვს და შალიკოვს⁴⁰, რომელთა თანა ერთად ვიდევ ერთს თვემდის და ფრად მხიარულად გავატარეთ დრო.

30-სა.—გავიციან შარვაშიდძე,⁴¹ მომავალი პეტერბუდით, რომელიცა ანაზღეულად შემოვიდა ჩემად. კარგი ყმაწვილი ყოფილა, დიახ მიამა იმის გაცნობა; უამბე საქართველოს ანბები და გზის მდგომარეობა. ორ საათამდის დაჰყო ჩემთან.—გამოსალმების დროს წიგნები გავსცვალეთ, იმან პეტერბუდში გამატანა და მე ტბილისსში, სადაცა მიეშურებოდა წასასვლელად.

1-ს სექტემბერს. გამოვედით სტავროპოლით. დღე იყო სიციხიანი. გზაზე შე[მ]ხვდა პოდპოლკოვნიკის ტიმერმანის⁴² ცოლი, მიმა-

* აქ მთავრდება „გზავრობის“ გადათვრებული ნაწილი.

ტექსტის დასასრულს ავტორს მიუწერია: „(აქედამ) (ეს) უნდა დაიწყოს—29-სა აგვისტოს გამოვესალმე...“ აქვე დაუსვამს გამოტანის ნიშანი (*). შემდეგ, შესაბამისი ტექსტის დასაწყისში, გვხვდება გამოტანის ნიშანი და ფრჩხილებში: „ეს“. ასეთი მინაწერი გრ. ორბელიანის მხრივ გასაგებია, რადგან ტექსტის გაგრძელება მართლაც, ხელნაწერის დასასრულს გვხვდება. (ლენინგრ. ფონდი, XXI).

ვალი საქართველოში.—განვლე 32 ვერსი და მოვედ მოსკოვის სოფელში, სადაცა დამპატიება მთვრალმა მღვდელმა, რომელიცა პირველად შეხვეწებოდა არაყის სმას და მერმე წამეჩხუბა, რატომ არაყს არა სვამო,—შენ უთოოდ ნებრისტი ხარო (ესე იგი არაქრისტიანე). ძლივს მოვიშორე თავიდან. აქედამ გავიარე კვალად 18 ვერსი და დავიღამეთ დონსკოისში.

2-ხა.— მოვედით ბეზოპასნაში, 20 ვერსი, სადაცა გამოვიცვალეთ ურმები და დავიღამეთ პრედრადნას. 22 ვერსი. ამ გზაზე დგანან, ქვის კაცები მუხლგამდის ნიწაში ჩაფლულნი, ზოგისა სახე არს დედაკაცისა.— ვგონებ, ესენი იყვნენ ოდესმე კალმუხთა ღმერთნი, ამისთვის რომელ სახე და ქუდი არს გამოსახული კალმუხისა, რომელნიცა მრავალნი ჰსცხოვრებენ აწცა ამა მინდორსა ზედა.— აქაურნი გლეხნი უბნობენ, ვითომც უწინ ცოცხალნი კაცნი გაქვებულან თავის ცოდვით.

8-ხა.— გამოვლეთ მედვედის კოლოდეცი, 18 ვერსი, და მოვედით ლეტნიკში. 30 ვერსი.

4-ხა.— გავიარეთ პესჩანიე კოპანი, 24 ვერსი, და დავიღამეთ ვანუჩის ელარლიქს, 25 ვერსი, რომელსაცა უწოდებენ მართლად (ენუჩად) მყრალად.— აქედამ დაიწყება დონის ყაზახების მამული.

5-ხა.— ამ სოფლის ახლოს ჰსდგას გორაკზედ საყდარი, რომლისა გალავანში მარხია დეისტვიტელნი კამერლერი სვისტუნოვი **, გარდაცვალებული 1818 წელს მეავეს წყალზე. საფლავზე ჰსდგას მარმარილოს პამიატნიკი, რომელსა ზედა დაყუდებული მარცხენას ხელზე დედაკაცი თეთრის მარმარილოსი ჰსტირის და მარჯვენით უჭირავს ფიალა (ციყა). მშვენიერი ხელოვნება არს.

ნოვოიელორლიქს გამოვიცვალეთ ურმები, 24 ვერსი, და დავიღამეთ მეჩეთინსკის სტანიცაში [ი]. 26.

6-ხა.— დღე იყო ძალიან წვიმიანი, ხარების ურმებით მოვედით კალანციის სტანიცაში, 28 ვერსი, რომელსა ჩამოუდის მცირედი მდინარე კალანიკი. აქ ემზადებოდნენ ყაზახები საქმბენლად ავაჯაკთა, რომელნიცა აღმოჩენილიყვნენ ამა მინდვრებში.— რადგანაც არ იყო მოზადებული ურმები, ამისთვის აქვე დავიღამეთ.

7-ხა.— გამოვლეთ სტანიცა ანუ ყაზახის სოფელი, სადაცა გამოვიცვალეთ ურმები. რა მოუახლოვდით ამ სოფელსა, გამოჩნდნენ ქალაქნი როსტოვი **, ნახჩევანი **, დიდი სოფელი აქსაი და ჩერქასკი

ქალაქი * და სხვანი მრავალნი ყაზახის სტანიცები მდინარესა დონზე გამწკრივებულნი. — თვალათთვის ფრიად საამო-სახილველია ესრეთი შენობა, უფრო შემდგომად შიშველთა სტავროპოლის მინდორთა, რომელიცა არს ფრიად მოსაწყენი, სადაცა სოფლები მხოლოდ შარავზაზე ჰსდგანან და დიახ შორიშორს, სადაცა არათუ ტყე, არამედ ჯავიცა არსად იპოება, თუ არ სოფელში განგებ ჩარგულნი რამდენიმე ტირიფს ხენი.

დღესა ამას გავედით მდინარესა დონს აქსაისთან ხიდზე, რომელიცა ძვეს ზედ წყალზე. ასე რომ ზოგ ადგილს წყალი ამოდიოდა ხიდში, რომლისა ნაპირებსა ჰსცემ[დ]ენ დიდროანნი ტალღანი, მრავალთა ნავებთა და ტივთა დაეფართ მდინარის კიდე. — აქ ვნახე პირველად დიდროანნი ნაენი იალქნებით. მდინარე ესე არს სავესე თევზითა, რომლითაცა ვაქრობენ აქაურნი მცხოვრებნი. აქ იქერენ მრავალს სტერლედს, რომელიცა არს ჭგემრიელესი თევზი. — დავიღამეთ აქსაისში.

8-სა. — დილაზე კაცი მომივიდა მარორისაგან, რომელსაც დავეპატიუნე სტერლედზე. ფრიად გემრიელი საქწელი არს. აქედამ წავედი წირვაზე საუდარში. დედაკაცი იყვნენ უმრავლეს კაცთა. საყდარი იყო მდიდრად შემკობილი, რავდენიმე ხატნი მარგალიტით მოჭედნი იყვნენ. მღვდელმა დაურიგა კაცთა სეფისკვერი და დიაკვანმა ქალებს ჩამოურიგა.

ყაზახის ქალები იცმენ ესრეთ: ყელიდამ წელამდის კაბა იკვრება ლილებით, რომელიცა მდიდართა ასხიათ ოქროსი, ანუ მარგალიტისა. წელზე, ფრიად მაღლა, ძუძუებთან, არტყიათ ქაშარი, ვგრეთვე მდიდართა, ოქროსი ანუ მარგალიტისა. კაბას ნაოქი აქვს დიახ ცოტად ასხმული ილლის ქვეშ. კაბა არის სახელოებიანი და გრძელი ფეხებამდის. — გაუთხოვართა ქალთა თმა აქვსთ დაწნული ერთნაწინავად, რომლისა ბოლო არს შეკრული ლენტითა და ჩაშვებული უკან წელზე; თავზე ახვევიათ ხელსახოცი, რომლისა ერთი წვერი არის ჩაწეებული ნაწნავზედ. ქმრიანთა დედაკაცთა მხოლოდ თავზე ახვევიათ ხელსაოცი და არა აქვსთ ნაწნავი და ამით გაირჩევიან ქმრიანნი უქმროსთან. ფეხზე აცვიან ჩლუქი და ბაწმავი. — თუკა არიან რუსისა ჩამოწავლობანი, გარნა სხვადასხვათა ერთა თანა შერევისთა

* ავტორაფშია: „სახლებიანი“.

სახეცა აქვსთ დედაკაცთა ფრიად განსხვავებული რუსთაგან: შავ-
თვალწარბნი აქვსთ ჩერქეზული, სახისა დაწყობილება აქვსთ ნო-
ღური და კალმუხური, სითეთრე აქვსთ რუსისა.

წირვის შემდეგ გამოვედი აქსაიდამ და მოვედით ქალაქს ნოვო-
ჩერქასკში 11, 25 ვერაი, მდინარესა ზედა დონეცსა.

8-ხა.— შევისვენეთ. აღწერა ამა ქალაქისა, ყაზახების გ:მოჩენა,
ჩვეულება მათი, ომი, სათავე დონისა და მისი მდინარეობა, ხალ-
ხის სიკახმპავე.

ამ ქალაქის შესავალთან არის ვაკეთებული ტრიუმფალნის კარი,
რომლისა მარჯულ და მარცხნივ ჰსდგანან მარსი და მინერვა და
ხელითა უჩვენებენ შესავალსა, რომელსა ზედაცა ზევიდამ ორთა
ანგელოზთა უპირავსთ გვირგვინი და რტო დაფნის ხისა. კარის
თაგზედ სამხედრო არმატური არს ვაკეთებული, რომლის ქვე[შ]
ჰსწერია ლექსი ესე ოქროს ასოებით:

Объемлемы восторгом, радостью сердца,
Спать по сретению монарха и отца:
Се Александр днесь тужо благость нам явил,
Чем в первый раз Великий Петр нас озарил.

ესრეთი კარი ჰსდგას ქალაქის გასავალშიცა; 1817 წელსა არს
ვაკეთებული კარნი ესე ალექსანდრე ხელწიფის¹⁰ მოსვლისათვის
და ახლა კი ძალიან დაძველებულა.

ღრაფ პლატოვმა¹¹, რომელიცა იყო ატამანი დონის ყაზახები-
სა, ვადმოასახლა აქაურნი მცხოვრებნი ძველ ჩერქასკიდამ, რომელ-
საცა შინა ზაფხულში, დონის ადიდების დროს, ნაგებით დადიან
ქუჩაში, ესრეთ დაჰყარავს ხოლმე დონი ქალაქსა აზას, და ამა მი-
ზეზით აღმოარჩია საქალაქოდ ადგილი ესე ნოვოჩერქასკი, თუმცა
ვგონებ, რომ უმჯობესი იქნებოდა აქსაი საქალაქოდ, ამისთვის,
რომელ იდგებოდა დონის მდინარეს კიდესა ზედა და ვაქრობითა
უმეტეს გამდიდრდებოდა.

10-ხა.— წაველ ღრაფ პლატოვის საფლავის სანახევად, რომელი-
ცა არს ჯერ შეუსრულებელს სობოროსთან, რომელიც არს მისგან-
ვე დაწყებული; საფლავზე ჰსდგას მარზარილოს პაშიატნიკი, აღშე-
ნებული ძისა მისგან; ერთსა მხარესა ზედ ჰსწერია ოქროს ასოებით:

დრაფ მათევი ივანოვის ძე პლატოვი —
დაიბადა 1751 წელსა 8-სა აგვისტოსა
სტარიჩერკაზსკის სტანიცაში,
გარდაიცვალა 3-სა იანვარს 1818 წელსა.

მეორეს მხარეს გამოსახულ არს ძე მისი მწუხარე, წინაშე მამის სახისა და უპირავეს ფარი და ოქროს ასოებით ჰსწერია (ოტუუ ბლალოდარნი სინ). პამიატნიკზე ძევს კივერი და ატამანის ბულაფა მოქროვილი.

ამა დონის მამაცმა განადიდა სახელი ყაზახებისა ღირსსახსოვარსა ბრძოლასა შინა. 1812 წელსა. იმპერატორმა ალექსანდრემ თავყვანისცა ამის საფლავს გამოსაჩინებლად მისთა ღირსებათა და სამსახურთა.

ყაზახნი არიან რიცხვით 250.000-მდის სულნი.— აქაურთა კეთილშობილთა არ შეუძლიანთ ჰყვანდესთ ყაზახნი ყმად: ესენი არიან თავისუფალნი და მხოლოდ მოვალენი, რომ თავის ცხენით და იარაღით უნდა საომრად გავიდეს, როდესაც ერგება რიგი.— რა შეიქმნება ყაზახი ჩვიდმეტის წლისა, მაშინ დაიფიცებს და აღირიცხება უკვე სამსახურში 25 წლამდის.

ამ დღეს გამოვედით ჩერქასკით და დავიღამეთ ბობრიკოვში, 56 ვერსი.

11-სა.— აქედამ გაგზავნილ ვიყავ წინ ჩემის კაპანდით; გავიარე სოფელი ლიხოვ, 22 ვერსი, და დავიღამე კამენსკის სტანიცაში, რომელიცა ჰსდგას მდინარის დონეცისა ნაპირას. 22 ვერსი. აქ გავიცან ლეკარი ფედორ ვასილევჩ შალახოვი ⁸⁰.

12-სა.— დავიღამეთ ასტახოვს, 12 ვერსი, მდინარესა დლუბოკოვზე.

13-სა.— მოვედით ფრიად გვიან ღამე სვინოვს.

14-სა.— ნივნიე ლაზოვიე, 30 ვერსი, და დავიღამეთ სესტრაკოვოს. 20 ვერსი

15-სა.— სუხოლოლის პოსტი, 29 ვერსი, კაზანსკის სტანიცა, 15 ვერსი, სადაც გავედით პარომით მეორედ მდინარესა დონსა, რომლისა ნაპირს გადმოვარდი პოვოზკით და ძალიან ვიტკინე მკლავი.— ამ სტანიცაში ჰსდგას ლამაზი საყდარი, რომლისა გალავანში ვნახე მოხუცებული, გადამდგარი მატროსი, რომელსაცა 28 წელიწადი ემსახურნა ზღვაზე და დაბრუნებულა თავის სახლში, არლა-

ვინ დახვედრია თავის ნათესავთაგანი. ამისთვის აღმოუჩვენია ერთი კუთხე ამა გალაგნისა, განსატარებლად დაშვარებულთა სიბერისა დღეთა. — ამოვიოხრე და ვასთქვი: ვითარ ბედნიერ არს იგი, ვინცა სიცოცხლესა თვისსა ატარებს სახლსა შინა მამისა თვისისა და სა-
შუალ ნათესავთა თვისთა მოსვენებით.

დაბნელდა რა მოვედით დედოვის სოფელში. მკლავის ტკივილმა არ დამაძინა მთელი ღამე.

16-ბა. — შევისვენეთ. — სოფელი ესე ჰსდგას მდინარისა დონის სიახლოეს, რომლისა ნაპირი არს ტყიანი. აქ ყოველს სახლზედ არს მიკრული პატარა შავი ფიცარი, რომელსაცა ზედა არს გამოსახული ზოგან ბოჩკა, ზოგან ნიჩაბი, კიბე, ცული, დიდი ჩანგალი და სხვა-ნი ამგვარნი იარაღნი, რომლითაცა მაშინვე უნდა მიეშველნენ, სა-
დაცა მოეკიდება ხახლსა ცეცხლი. ესრეთი კარგი დაწყობილება არს ყოველს რუსების სოფელში.

აქაურნი მცხოვრებნი არიან მალროსსიელნი, რომელთა დედა-
კაცნი იცმენ ტანისამოსს ფრიად საძაგლად: პერანგი და წილქვეით
მაგრა მოჭირებული მატყლის შალითა და ანუ უბრალო მაუღითა
შეადგენს მათსა ტანისამოსსა.

აქედამ დაიწყება უკვე ვორონეის ლუბერნია⁵¹, ანუ ნამდვილი
რუსეთი.

17-ბა. — გავიარეთ რა სოფელი შიჩოვი, 23 ვერსი, ჩემი პოვოზ-
კა კვალად გადამიბრუნდა, ფეხები თოკებში გამებლანდა, ცხენები
დაფთხნენ და მათრიეს დიდს ხანს, ვიდრემდის სალდათებმა ძლივს
არ დააყენეს ცხენები. ბედნიერება ჩემი იყო, რომ ცოტა ქვიშიანი
ადგილი იყო. სალდათებმა ძლივს ამაყენეს და ღმერთს მადლობა
შევჰსწირე, რომ დავრჩი ცოცხალ; თუმცა სრულიად ვიყავ დამსხვ-
რეული. — შუადღისას მოვედით სოფელს მამონს, დონის პირზე. —
სახლის პატრონმა მომიმზადა მაშინვე აბანო და მართლა ძალიან
მარგო.

18-ბა. — გამოვლეთ კოზინის პოჩტა, 20 ვერსი, და მოვედით
შუადღიდან მეორე საათზე ქალაქს პავლოვსკს⁵². 19 ვერსი. — დიდი
მოსავალი ჰსჩანდა პურისა მინდორზე. — ქალაქი ესე ჰსდგას დონის
სიახლოეს და ფრიად არს მცირე, რომ უწოდონ ქალაქად; თვით
შენობითაც არს ღარიბი. ადგილი არს ქვიშიანი, ასე რომ თვით
ქუჩებშიაც უძნელდება კაცს სიარული: ეტყობა ფრიად, რომ ანუ

დონი უწინ აქ მდინარეობდა და ანუ აღიღების დროს ჰუარავდა ამა ადგილსა.—აქ არის ოთხი საყდაოი.

19-სა.—მოვედით სოფელს ლოსევა, 21 ვერსი, რომელიცა ეკუთვნოდა მიცვალებულს კონსტანტინეს ცესარევიჩს⁵⁴. აქ მიგვიპატიუა ამა სოფლის ზედამხედველმა, სადაცა წავიკითხეთ მოსკოვის გაზეთებში ვარშავის აღება და პასკევიჩის ვარშავის თავადობა⁵⁵.—გემრიელის ზაკუსკის შემდეგ გამოვესალმეთ სახლის პატრონს და მოვედით სოფელს შესტკოვს. 14 ვერსი.

20-სა.—გავიარეთ ქვეითი იკორეცი, 34 ვერსი, და დავიღამეთ მოჟაისკში⁵⁶. 27 ვერსი. განსაკვირველი მოსავალი ჰსჩნდა პურისა; მთელი მინდორი იყო სავსე პურის დიდროანის ძნებით, დადგმულნი თივასავით.—ფრიად მდიდარია ეს ლუბერნია პურითა.

აქ შემხვდნენ თერთმეტი ურემი, კვერცხი მიჰქონდათ მოსკოვს გასასყიდლათ.

21-სა.—ბაღაჩოვკას გამოვიცვალეთ ურმები. 23 ვერსი. დღე წვიმიანი იყო და მივედით უსმანს, 15 ვერსი, სადიდგანაც ჰსჩანს საყდრები ვორონეჟისა⁵⁸, სადაცა მოვედით მეორეს საათზე შუადღიღამ.—აქ გავედით მდინარესა ვორონეჟს ხიდზე, რომელსაცა ქვითა ჰკირწყლავდნენ. 12 ვერსი. შევედით ქალაქში, რომელიც არს ლამაზათ აშენებულ, განსაკუთრებით იგი ნაწილი ქალაქისა, რომელიცა არს მოსკოვის მხრისკენ.—ძალიან ვნანობდი, რომ არა მქონდა დრო კარგათ გამეჩხრიკა ქალაქი.—ტრახტირში ეჭამეთ სადილი მე და სიერ.⁵⁷ ვითამაშეთ ბილიარტი და ბევრი ვიციინეთ დამთვრალს კომისიონერზე, რომელიცა ეჩხუბებოდა ტრახტირჩიკს.—აქედან გამოვედით სამს საათზე სადილს უკან და მოვედით ბინდისას ეივოტინოესში, 25 ვერსი, რომელიცა ჰსდგას ტყეში.

22-სა.—შევისვენეთ ეივოტინოის, რადგანაც არ იყო მომზადებული ურმები. სოფელი ესე არს მცირედი და ფრიად ღარიბი.—ცა მოიღრუბლა შავად და მთელი დღე და ღამე-ჰსწვიმდა.

23-სა.—გამოვედით ამა სოფლიღამ, გზა იყო ძალიან ატალახებული, ცა იყო მოღრუბლული და ცივი ქარი ჰქროდა ჩრდილოეთით. გაელეთ სოფელი ივან ღრილორიჩის სენიაფინისა⁵⁹, რომლისა სახლი და მისი ხოზიასტვენას შენობანი უცხოოდ იყო აშენებული. გამოვიცვალეთ ურმები. ხლეგნოე, 30 ვერსი, და მოვედით ღამე ქალაქს ზადონსკს⁶⁰, 27 ვერსი, რომელიც ჰსდგას დონის მდინარესთანა და არს პავლოვსკზე უცუდეს.

24-ბა.— გამოვედით მდინარესა დონსა მესამედ, ხიდზე გაკეთებულს ნაევბზე.—რეა ვერსზე არს სოფელი მშვენიერი, სახელად ხნე-ლინეც, რომელიცა ეკუთვნის მიკულინს⁸⁰. ანან თავის ხარჯით აუ-შენა გლეხთა თვისთა ქვითკირის სახლები, პლანზე დახურული კრამიტით. აქავე აქვს ამას თვისი სასახლე—ფრიად მდიდარი, მშვენიერი ბაღი და ორანჟერეია. ამ სოფლიდამ ცხრავერსტზე არის ამისვე სოფელი იზვოლკა, აგრეთვე აშენებული მდიდრად. — აქედამ ორსვერსზე გამოვიცვალეთ ურმები; გზა იყო ტალახიანი და ძალიანაც ციოდა, თუმცა იყო მზიანი დღე. მოვედით ქალაქს ელევს⁸¹, რომელიცა არა არს დიდი, გარნა ფრიად შეშვობილი ქალაქია, რომელსაცა ჩამოუდის მდინარე სოსნა.—სალამოზე, ურმების გამოცვლის დროს, პოლიცემისტერმა მიგვიპატიჟა ჩაიზედ მე და მაიორი **ბე...** პოლიცემისტრის ცოლმა, რომელიცა იყო ლამაზი, დაიწყო ფორტოპიანოს დაკვრვა, და ჩემი გულისთვის იმღერა ახალ ოღნაგო⁸² და ათმაბუტაშლარო⁸³. მეც დიდი მადლობა უთხარ და ვაქე მისი ხმა და ლამაზად გამოთქმა ქართულად. მაიორმაც ლიტარაზე დაუკრა, ერთის სიტყვით, ნეჯლიში გაინართა. ამ შექცევაში ვახშმის დროც მოვიდა.—პოლიცემისტარი უწინ გუსარი ყოფილა, მაშასადამე უყვარს ჩაყლაპაცა. მე ვასწავლე ალავერდი—იახშიოლ და ძალიანაც მოეწონა. ვახშმის უკან პოლიცემისტრის ცოლს დაუწერე აღბომში სახსოვრად ლექსები:

როს გარდაშლიდე,
მეც დამხედავდე,
გაიღიმებდე,
მომიგონებდე.

მარამა ვამე თუ ესრეთ ვარ შესაბრალო ბედისა,
რომ არლა მოგაგონდები მეორეს გარდაშლამდისა.

შუალამისას გამოვესალმეთ და მოვედით განთიადისას ისპალნის.
27 ვერსი.

25-ბა.— გამოვიცვალეთ ურმები ნიკოლაევკას, 18 ვერსი. გავიარეთ ქალაქი ფორემოე⁸⁴, 22 ვერსი, დიახ ცუდი, და დავიღამეთ სოფელსა ბოლშიე პლოტი. 18 ვერსი.

26-ბა.—გავიარეთ სოფელი ნიკიტინსკი ღრაფის ბობრიცკისა⁸⁵, 27 ვერსი, და დავიღამეთ ქალაქსა ბოლოროდიცკში⁸⁶, 25 ვერსი, რომელიცა ვმგზავსება უფრო სოფელსა, ვიდრე ქალაქსა.—სალამო-

ზე, რადგანაც ვიყავ დეჟურნი, წავლელ მაიორთან რეპორტის მცხატე. — გზაზედ შემხედნენ რამდენიმე დედაქაცნი. ერთსა მათგანსა ეკირა ტაშტი სპილენძისა და არაკუნებდა. ვკითხე მიზეზი და მითხრეს, რომ ჩვეულება ესე არს დაშთენილი ძველთაგანვე გლახთა შორის, რომელ ოდესცა დანიშნენ ქალსა, მაშინ ნათესავნი მისნი ქალნივე ამა ტაშტის ცემით დაივლიან ყოველს ქუჩას და ამა რაკუნით ატყობინებენ დანიშნულის ნაცნობთა და მეგობართა ქალის დანიშნევას, რათამცა მოვიდნენ ვეჩერინკაში ანუ ღამის სათველათ დანიშნულთან.

ამ ღუმბერნიაში დედაქაცნი იხურეენ თავზე კოკოშნიკს (ანუ არახინი), ესე იგი წინადამ შუბლზე ამალღებულა გვირგვინსავეთ, მაგრამ ამოჭრილა მთვარესავეთ და ორსავე მხარეს რქები აქვსთ: გარდა ამისსა, მძიეები, ასხმული ძაფზედ, ჰკიდიათ დიახ ხშირად. ერთის ყურიდამ მეორემდის ყელზე და კისერზე ფრად გრძლად: ზოგთა დედაქაცთა მხოლოდ პატარა ორი რქები აქვსთ გაკეთებული შუბლზე, თხებავეთ. — გაუთხოვარნი ქალნი ვერ გაიკეთებენ ამა რქებთა, ვიდრემდის ქმარს არ შეირთავს. სასაცილო თავის დახურვა.

აღწერა ვეჩერინკისა

რუსეთში არს ჩვეულება გლახთა შორის, რომელ ზამთარში. ოდესცა საშინელი თოვლი დაჰფარავს მიწასა და დედაქაცთა არა ძალუძთ გარეთ მუშაობა, მაშინ ზამთრის დიდროანთა ღამეთა შინა ატარებენ დროსა ესრეთ: გაუთხოვარნი ქალნი ყოველს ღამეს შეიყრებიან ერთად რომელსამე სახლში და მუნ სიმღერის თქმითა ართეენ თითისტარსა და ზოგჯერ მოიგონებენ სხედასხვათა თამაშობათა. — ყმაწვილნი კაცნი, ეგრეთვე უცოლონი, მოვლან მუნ, დაუკრდენ ჩონგურს (Бабушкин), თამაშობენ ერთად ქალებთან, ეარმიყებიან და ხშირად მოხდების, რომელ აქვე შეჰფიცვენ ურთიერთთა ცოლქმრობას და სიყვარულსა თვისსა დაამტკიცებენ საქმითა ქორწინებაჲდის... გათენებამდის ესრეთ ატარებენ ზამთრისა ფრად გრძელთა ღამეთა. — მრავალჯერ ყმაწვილი კაცი მოიტაცებს ამა ვეჩერინკიადამ საცოლოსა თვისსა და დაქორწინდების დაუკითხავად ქალის მშობელთა, რომელთაცა არა ეწყინებათ ესრეთი ქცევა ქალისა თვისისა. — ჩვეულება ესე არს უფრო ნოვლოროდის ღუმბერნიაში.

აღწერა ქორნილისა

ვიდრემდის უფროსი ძმა არ დაქორწინდების, უმცროსსა არა ძალუხს დაქორწინება; ეგრეთვე უმცროსი და ვერ გათხოვდებოდა, ვიდრემდის ჰყავს გაუთხოვარი და უფროსი.

27-სა.— განვლეთ სოფელი დიდლოვო, 25 ვერსი, და მოვედით სალამოზე ქალაქს ტულას⁶⁷, სადაცა მომცეს სახლი დასადგომად ტბილისის ლოსტინიცაში. აქ დავრჩით სამი დღე.—აღწერა ამა ქალაქისა, ზავოდებისა. ანგლიჩანი ნედერეონსი⁶⁸. თეატრი.

1-სა ოკლომზებრს.— განვლეთ ქალაქი სერპუხოვი⁶⁹ მდინარესა ზედა ოქას, რომელსა ზედა გავედით ხიდზე. აქედამ წაველ წინ ურმების მოსამზადებლად სოფელსა ლოპოსას. 27 ვერსი.— შეველ ტრახტირში და ვიხილე სავედ მუეიკებითა, რომელნიცა დიდროანის ჩექმებითა და ლაპტებით, გაქონილის თულუფებით ისხდნენ წმინდა სტოლზე და ჰსვამდნენ ჩაის. ტრახტირშიცა მითხრა, რომ თითო ოცდაათს ჩაშკას ჩაის სვამს და ზოგნი უფრო უმეტესს; მანამ მუცელი არ გეებერებათ, ხელს არ აიღებენ.— დაბნელდა და მოველ სოფელს... 16 ვერსი.

2-სა.— მოვედით ქალაქს პოდოლსკს⁷⁰, 16 ვერსი, ფრიაღს მცირედს და ცუდს.— აქ ვნახე სალამოზე ანაზდუღლად შენშინი და მურზახანოვი⁷¹, და მოველოდით დარჩომილს უკან სერპუხოვს კამანდას.

3-სა.— სენატორმა მეჩნიკოვმა⁷² დიდის აღერსით მიმილო. რადგანაც მოგვივიდა ანბავი, რომ დარჩენილს კამანდას არ აძლევდნენ ურმებს, ამისთვის მაიორმა მთხოვა და წაველ უკანვე.— გზა იყო საზარლად ტალახიანი და დღე წვიმიანი. შუალამისას მოველ ლოპოსნას, სადაცა დამხვდა კამანდა და ძალიან გამეხარდა.

4-სა.— დილა ადრიან გამოვედი ამა სოფლით. რა განვლეთ ხუთი ვერსი, მოვიდა* თოვლი, რომელსაცა გვაყრიდა პირში საშინელი ცივი ქარი: ბუჭი იყო ესრეთ საზარელ, რომ მთელი დღე ხუთ ვერსზე მეტი ველარ გამოვლეთ. ცხენები დაგვიდგნენ, სალდათები კინალამ არ დამეხოცნენ.— დავიღამეთ კნიაზ ტრუბეცკის⁷³ სოფელში, რომელიცა არის მარჯვნივ დიდის გზიდან.

5-სა ოკლომზებრსა.— თუმცა ქარი ჰქროდა, გარნა არა ეგრეთ

* ამის შემდეგ გადახზულია: „საშინელი“.

ძლიერ, ვითარცა გუშინ და არცალა მოდიოდა თოვლი. სანებით მოვედით ადრე პადოლსკსში.—15.—აქ ურმები არ დამიხვდა მომზადებულნი; ამა მიზეზით მე და ისპრაენიკს მოგვივიდა ჩხუბი და დაერჩი ეს ღლეც აქ.

6-ხა.— მოვედით ლაზე სოფელს დანილოვკას, რომელიცა არს მოსკოვთანვე, სადაცა იდგა მაიორი ადრე მოსულის კამანდით. 30 ვერსი.—ტულიდამ აქამდის საძაგელი გზა იყო, ფრიად ტალახი ჰქონდა ამ გზაზე. აუარებელი ურმები შარავზას ახდენენ ძალიან.

8-ხა.— მოვატანიენ დროშკა დილით და წავედ მოსკოვს იმედითა ამით, რომ ეგების ვნახო ვინმე საქართველოდამ კუპეწი, რომელმანცა იცოდეს ბატონისშვილების სასახლე.—აქ თუ არ იცის კაცმა რომელს ქუჩაში დგას ვინც უნდა, ვერაოდეს ვერ იპოვის, მეტად დიდი ქალაქი არის. გზაზედ შეხვდა ჩენი აფიკარი, ჩემზე ადრე მოსული აქ, რომელსაცა ეკითხა სომხის კუპეწები. ამან წამიყვანა პირველად კრემლს, შემდეგ ბაზარში, სადაცა გვასწავეს ქუჩა სომხის კუპეწებისა. წავედით იქ, მაგრამ შინ არ დაგვიხვდნენ.—სალამოზე წავედ დიდს თეატრში.—რა შეველ, გავოცდი, ერთბაშად არ ვიცოდი, რა ნებილეა პირველად: დიდშენიერი საზარელი შენობა, თუ მდიდარი დეკორაცია, ანუ მომესმინა გრძნობათ დატყვევებელი მუზიკა, თუ აკტორების უბნობა.—ბრაველი ხალხი იყო შეუკრილი, ექვსივე იარუსი და ძირის კრესლეზი იყო საესე. წარმოდგენა იყო „თავისუფალნი მსაჯულნი, ანუ ბარბაროსობის დრონი“¹⁵. პირველნი გამოჩენილნი იმპერატორის აკტერნი წარმოადგენდნენ.—შემდეგ იყო „პირველი სიყვარული“¹⁶, ვოდევილი, მშენიერად იქლერდა აკტრისზ და მასუკან ბალეტი—„ნინა, ანუ სიყვარულით გაგიგებული“¹⁷. არ შეიძლება აღწერა თეატრისა, უთოოდ უნდა იხილოს თვით, რომ იგრძნოს ყოველივე სიამოვნება და ის გონების მიტაცება.

აქ ვნახე ბატონისშვილი ოქროპირ¹⁸, რომელსაცა იამა ჩემი ხილვა და მიმიწვია თვისად, თარხნიშვილი ესტატე¹⁹, მურზახანოვი: შენშინი და პოპეიკა დოკტორი²⁰.

* ამის შემდეგ მიწერილია რუსულად: „Влияние театра на нравственность“, ხოლო შემდეგ ფანქრით, ძალიან მკრთალად, წერია: „აღწერა თეატრისა. სადაცა არ არს, მუნ არცა არს განათლება ხალხისა“. ჩანს, აკტორს ვანზრახული ჰქონია აქ ჩაემატებინა თეატრის მნიშვნელობის დახასიათება.

10-სა.—წაველ ბატონისშვილის ოქროპირის სანახავად, მაგრამ შინ არ დამხვდა. იქიდან მიველ გიორგი ავალოვთან ⁸⁰, რომელსაც ფრიად იამა ჩემი ნახვა ანაზღეული და ეგრეთვე დავით ქავე-
[ავაძეს] ⁸¹.—სადილათ არ გამიშვა კნენამ ელისაბედ დიმიტრენამ ⁸².
მუნ გავიცან კნიაზ ციციანოვი და დავილოვი ⁸³.—თუმცა მთხოვეს.
მაგრამ არ დავდეგ ვახშმათ და აღუთქვი მეორეს დღეს მისელა.

მოსკოვში ირიცხების 1600 საყდარი (ანუ რუსულად სოროკსო-
როკოვ) *.

11-სა.—წაველ დონსკის მონასტერში ჩემის ნათლის არხიმანდ-
რიტის ათანაძის ⁸⁴ სანახავად, მაგრამ მწირველი იყო მას დღეს და
ველარ ვიხილე. ეს ორი დღე ძალიან სიციფები იყო. აქედამ წაველ
კნიაზ ავალოვთან სადილათ, რომლისა შემდეგ წავედით ორნივე
ბატონისშვილს ოქროპირთან და იქიდან ვიახელ დედოფალს მარი-
ამს ⁸⁵, რომელიცა ბრძანდებოდა ავათ და იწვა ქვეშაგებში. აქ გა-
ვიცან ბატონისშვილი ირაკლი ⁸⁶; მშენიერი ყმაწვილი კაცია, რომ-
მელმანცა მიმიპატიეა თეატრში და თვით კი აღარ წამოვიდა. მე
ესტატე და ვახტანგ ციცი[იშვილი] ⁸⁷ წავედით თეატრში. ხალხი არ
იყო ისე მრავალ, ვითა უწინარეს. წარმოდგენა იყო „ქალაღდის მო-
თამაშის ცხოვრება“ ⁸⁸, საუცხოვოდ ითამაშეს, უფრო მაჩალოვმა ⁸⁹,
ასე რომ, დავსწყევლე ყოველი მოთამაშე.

თეატრის შემდეგ წაველ ავალოვთან ვახშმად, სადაცა მითხრა
კნიაზ დავილოვმა ხელმწიფის ⁹⁰ მოსელა მოულოდნელად. ამის მი-
ზეზით ველარ დავსდეგ იქ დასაძინებლად, თუმცა პირობა მივეც
და წამოველ სერპუხოვის ზასტაეასთან, სადაცა ვიდექ კამანდით.

12-სა.—წავედი კამისიონიერსტოვში პრაგონის მისაღებლად.—
გვეგონა, რომ ხელმწიფე ინებებს ჩვენს ნახვას და ამისთვის მთელი
დღე მზადებაში განვატარეთ.—კრემლი აღივსო ხალხითა, რა იხი-
ლეს დილაზე სასახლეზე ფლადი; ესე არს ნიშანი ხელმწიფის მობ-
რძანებისა. ხელმწიფე მიბრძანდა მანეთში რაზვოდში,—იქიდან უს-
პენსკის სობოროში. ხალხი წინდაუკან დასდევდა, არ აძლედა
გზას და ჰყვიროდნენ უ რ ა ს და უძახოდნენ: ხელმწიფე, ძალიან
გვიყვარხარ. ხელმწიფე თავს უკრავდა და ეუბნებოდა: დარწმუნე-
ბული ვარ, დარწმუნებული.

* აეტორს ფრჩხილებში ჩასმული აქვს მხოლოდ „სოროკ-სოროკოვ“.

13-ბა.—კამანდა გამოვიდა მოსკოვით ტვერსკის ზასტაეაში და მე კი დავრჩი კომისიონერსტეოში საქმის შესასრულებლად. ვნახე ჩემი ნათლია არხიმანდრიტი ათანაძე, რომელსაცა დიახ იამა ჩემი ნახეა, მკითხა საქართველოს ანბაეი, თავის მცნობთა და დამლოცა წმიდის ღმრთისმშობლის ხატით. საბრალო დაყრუებულა.—საღამოზე მიველ ბატონისშვილს ოქროპირთან, სადაცა დავრჩი სადილათ, რომლის შემდეგ მოგვიტანეს ნახევარ მტევანი ყურძენი. სიცილით მე თითო მარცვალს ვიღებდი.—სადილს უკან დაბნელდა კიდეც. გამოვეთხოვე, თუმცა არ მიშვებდნენ იმ ღამეს და წამოველ კამანდისკენ, მაგრამ საშინელი თოვლი მოვიდა და ქარი ასტყდა; ამისთვის მიველ ავლოვთან და დავრჩი მუნ ეს ღამე. — ლაპარაკი გვექონდა მეფე ირაკლიზე, ქართლის ცხოვრებაზე, ქართულს ლექსებზე, რომელიცა აქვსთ მრავალი და კარგი ნათქვამები დიმიტრი ბაგრატიონის²¹ მიერ.

14-ბა.—დილა აღრიან გამომაცილა ავლოვმან ტვერსკის ზასტაეაზდის, სადაცა გამოვესალმე, დამლოცა და მოხოვა, რომ დაბრუნებაზე უთოოდ იმასთან ჩამოეხდე.*

მოსკოვი

სამრეკლო, რომელსაცა ჰქვიან ივან ველიკი ანუ იოანე გიგი

სამრეკლო ესე ეკუთვნის ყოველთა კრემლის სობოროთა და აქეს სიმაღლე ჯვრით ორმოცდაექვსი საენი და აღლნახევარი. ბორის ლოდუნოვმან²² აღაშენა ესე მას დროსა, ოდესცა საშინელი სიყმილი იყო რუსეთში და მცხოვრებნი ყოველის ქალაქით და სოფლით ჰგროვდებოდნენ მოსკოესა შინა საძიებლად საზრდოისა მუშაკობითა და ანუ მოწყალების თხოვნითა. მოსკოევი აღიესო ესრეთითა ერითა. ბორის ლოდუნოვი ხედავდა უბედურებასა ერისასა და ჩაოდენცა ძაღედვა, ექმნა შემწედ მათ. და ჩათამცა ესოდენმან შეკრებილმან ერმან უქპობითა თვისითა არა აწარმოვოს აღ-

* ამის შემდეგ ავტორს დაუსკამს გამოტანის ნიშანი (*) და მიუწერია: „მოსკოვის აღწერა. რიცხვი ხალხისა, მინინ და პოფარსკი“. ასეთი მინაწერი ავტორისა გასაგებია, რადგანაც მოსკოვის აღწერა მოთავსებულია ხელნაწერში რამდენიმე ფურცლის შემდეგ.

რეულობა რაიმე, რომელიცა სიმშობის დროსა მოხდებოდა ადვილად, მოიგონა ლოდუნოვმან აღშენება სხვათა მრავალთა შერობათა შორის სამრეკლოისა(ცა ამის, რომელსაცა უწოდებენ დიდ იოანედ.— ძველადვე ადგილსა ამას ზედა იყო აღშენებული დიდის თავადი იოანე დანილოვის ძისა კალისტისა⁹² მიერ მცირე საყდარი (იოანე მაცხოვრის ლესტიციისა), და რათგანაც იყო დაძველებულ. ამისთვის ლოდუნოვმან დააშლევინა და ამა სამრეკლოში დაასტივა სულ დაბლა, სადაცა არს აწცა საყდარი იოანე მაცხოვრის ლესტიციისა; სამრეკლოს ქვეშე აწინდელი სახელი არს და ამა მიზეზით უწოდებენ სამრეკლოსა ამას დიდ იოანედ, რომელიცა შესრულდა 1600 წელსა.— ცრუდმიტრი⁹³, რა აღვიდა მოსკოვის ტახტზე, აკეთებინებდა კატოლიკეს საყდრად (კასტელ).

ამა სამრეკლოსა შინა, ადგილსა მას, რომელიცა არს საწუალ ქვეითისა და მეორეს ატაგისა, სადაცა აღის კიბე გარე შემორტყმული,— ძირიდან წვერამდის არს 409 კიბის ფეხი ასასვლელი. სამრეკლოსა ამას შინა არს 33 ზარი, რომელთაგან უდიდესი და უპირველესი არს უსპენსკის ზარი, ანუ სადღესასწაულო, რომელსაცა აქვს სიმძიჱე ოთხი ათასი პუდი, და სხვანიცა არიან თუმცა დიდროანნი, გარნა ამაზე უმცირესნი და თვითოეულთა აქვსთ სახელი თვისი.

აქვე არს ნოვლოროდის ზარი ოთხას ოცი პუდიანი: ვგონებ ესე იყოს (ვეჩის)⁹⁴ ზარი (ანუ ბუკისა), რომლისა ხმაზე შეიკრბებოდნენ ნოვლოროდელნი რესპუბლიკის დროსა, გარდასაწყვეტელად მძიმის რესპუბლიკის საქმისათვის, ქალაქს გარეთ. ნოვლოროდელთა ზარი ესე გამოაცილეს დიდის ტირილითა. ვითარ არა ეტირნათ ამა ზარისათვის, რომლისა ხმა რაოდენსამე საუკუნესა შეჰკრებდა ვეჩეს, ანუ შესაკრებელსა ადგილს და მოაგონებდა მათ თავისუფლებასა, რომელიცა მიანიჭა მათ დიდმან თავადმან იაროსლავმან⁹⁵.— ვიდრემდის ზარი ესე ეკიდა ნოვლოროდს, რესპუბლიკური სული და აღრეულობა არა განქარდა მათ შორის: ხოლო შემდგომად მრისხანე იოანნე მეოთხემა⁹⁶, რა შეეუსრა ქალაქი იგი, ზარიცა ესე გარდმოიტანა მოსკოვს და ამ სამრეკლოსა ზედა დაჰკიდა.

გარდა ამისსა, ფრიად უდიდესი ზარი, რომელსაცა უწოდებენ ზარების მეფედ, არს თორმეტი ათასი პუდიანი, გარნა არს ზიწაში.

ჩაფლულ ესრეთ, რომელ სრულიად არა ჰსჩანს. ამის მიზეზს უბნობენ ზოგნი, ვითომც ჩამოვარდნილიყო და სიმძიმით ჩაფლული-ყოს მიწაში და ზოგნი ამტკიცებენ, რომელ აქვე, ამა ორმოსა შინა ჩამოუსხაეთ, გარნა არა გამოსულა სრულად ჩამოსხმაში; ამისთვის დაშთენილა აქვე. ვისაც ჰსურს ხილვა ამისი, არს კიბე ჩასასვლელი, სადაცა წარმოუდგების თვალთა უდიდეს დარბაზად. ზარსა აქეს სიმაღლით 19 ფუტი და სამი დუიმი, სიმგრგვლე 60 ფუტი და 9 დუიმი, სისქე ზარის კედლებისა არს ორს ფუტამდის.

უსპენსკის სობორი

ისტორია მოგვითხრობს მოსკოვის მიტროპოლიტის პეტრეს⁹⁸ წინასწარმეტყვეობასა დიდის თავადის იოანეს დანილოვის ძისა მიმართ ესრეთ: უკეთუ შენ, დიდო თავადო!—ჰრქვა პეტრემან იოანესს,—სიბერესა ჩემსა დაასვენებ და აღმართავ აქა ღმრთისმშობლის ტაძარსა, მაშინ იქმნები უდიდებულეს ყოველთა სხეთა თავადთა და ნათესავი შენი აღწალდების, ძვალნი ჩემნი დაჰშთებიან ქალაქსა ამას შინა, წმიდანი აღირჩევენ აქ სადგურსა თვისსა და ხელნი მათნი აღავლენ მხართა ზედა მტერთა ჩეენთათა.—დიდმან თავადმან უსმინა მოხუცსა აძას და 1326 წელსა დაიწყეს აღშენება ტაძრისა ამის და შეასრულეს 1327, და აკურთხა როსტოვის ეპისკოპოზმა პროხორემან⁹⁹, რამეთუ მიტროპოლიტი პეტრე აღსრულდა ამიერით აღშენებამდის.—ესე იყო თითქვის პირველი მიზეზი მოსკოვის ესრეთ განვრცელებისა, ვინაითგან მას დროს ქალაქი ესე იყო ფრიად მცირ და ახალ ნაშენი.—მას დროს მიტროპოლიტთა აქვნდათ დიდი უფლება ერსა ზედა, და ესე რა გარდჰოვიდა ვლადიმირის ქალაქით მოსკოვს და თან გადმოიტანა სამიტროპოლიტო, ამისთვის პირველნი აზნაურნი და უბრალო ერნიცა ჰსცდილობდნენცა ცხოვრებასა მუნ, სადაცა იჩყოფებოდნენ დიდი თავადი და მიტროპოლიტი, და ამა მიზეზითა განვრცელდა მოსკოვი უმეტეს და უმეტეს.

განვლო მრავალმან დრომან და ტაძარი ესე დაძველდა. ამისთვის მიტროპოლიტის ფილიპპეს¹⁰⁰ თხოვნით დიდმან თავადმან იოანე ვასილის ძეჰან¹⁰¹ აღაშენებინა აწინდელი ესე სობორი იტა-

ლიდამ დაბარებულს არხიტექტორს ამუროლ არისტოტელ ბოლონ-სკისა¹⁰² და 1479 წელსა შეასრულეს.—სიმაღლე აქვს ორმოცდა-ცამეტი ადლი და სიგანე ოცდათუთხმეტი. ტაძარი ესე არს ნაქუ-რთხი გერონტი მიტროპოლიტისგან¹⁰³.

პირველად, ვიდრე შევიდოდეთ ამა სობოროს გასაჩხრეკლად, გავესინჯოთ ისტორია.

რუსეთმან განაგდო * მძიმე უღელა თათართა, რომელნიცა აოხრებდნენ უმეტეს ორისა საუკუნოისა და იყვნენ მისა მარძანე-ბელ.—განვლო რაოდენმან წელმან რუსეთის თავისუფლებასა შინა და ახალი უბედურება მოეველინა მას ზეცით: აღსდგნენ ცრუ მეფის ძენი ** და შეარყიეს რუსეთი. დაჰსთესეს მათ უთანხმოება, აღრე-ულება ერის შორის, რომლისა სისხლსა ამდინარებდნენ მსხვერპლად თვისად, და დასასრულ მიხედნენ საგანსა თვისსა; აღვიდნენ მოსკო-ვისა ტახტსა ზედა***, ხოლო ჯდომა მათი მას ზედა იყო არა მტკიცედ: პატივის მოყვარეთა კარისკაცთა ჰპოეს გზა მეფის ტახ-ტისა შეპყრობად. აღრიეს ერი, ამდინარეს სისხლი მათი, გადმოა-გდეს ტახტით საშინელად მას ზედა მჯდომნი და თვით იქმნენ მე-ფედ. ხოლო არცა ესენი იყვნენ ბედნიერ. აღადგნენ პოლშელნი და შეიპყრეს მოსკოვი და იქ ნენ თვითცა განდევნილ მუნით.—ეს-რეთსა საშინელსა მდგომარეობასა შინა იმყოფებოდა რუსეთი, ოდესცა დეპუტატთა, ყოვლის ქალაქით შეკრებილთა, შემდგომად სამისა დღის მარბულობისა, აღმოიჩინეს ამა უსპენსკის სობოროსა შინა მეფედ ჩვიდმეტის წლის ყრმაწვილი მიხეილ¹⁰⁴ (პირველი მეფე აწინდელისა ხელმწიფთა გეარისაგან), რომელიცა ჰსცხოვრებდა მა-შინ დედით თვისით იპატივესკის მონასტერს შინა.—ყრმაწვილი მე-ფე ესე, მომავალი დასავიროვენიებლად, შედგა ტირილით ამა სო-ბოროს კართან და ვერ ჰბედაკდა შესვლას, ხოლო ერი ჰკოცნიდა ტანისაპოსის კალთას და ევედრებოდა, რათა მიიღოს ესოდენ ინე-ლი მოვალეობა ერის მოვლისა, რომელიცა არს ფრთად სატრფია-ლო მხოლოდ პატივის მოყვარეთა სულთათვის.

რა შევალს ტაძარსა ამას შინა, მაშინვე იგოძნობს ვითარსაღა-ცა კეთილმოწიწებასა; შექმუხენილი დიდებულება შენობისა, პატიფ-

* თავდაპირველად ფანჯრით დაუწერია: „ჯანთაიუსუფლდა“. ** ცრუდმიტრი (ავტორის შენიშვ.). *** შუისკი (ავტორის შენიშვ.).

საცემი სიძველე, სუსტი სინათლე, ფანჯრები თავან შემოსული, -- ყოველივე ესე უნებლიეთ თავყვანს აცემინებს ამა ტაძრისათვის, რომელსაცა შინა, უმეტეს სამასის წლისა, რუსეთის ხელნწიფენი ეკურთხებიან მეფედ ვლადიმირ მონომახის ¹⁰⁵ გვირგვინით.

ალექსანდრე იმპერატორის ¹⁰⁶ კურთხევის ჟამს, მიულოცა სიტყვითა ამით მიტროპოლიტმან პლატონმან: ¹⁰⁷ „გვირგვინი ესე თავსა ზედა შენსა, ხელნწიფეო, არს დიდება ჩვენი, ხოლო (პოდვილი) შენი, კვერთხი ესე არს მშვიდობა ჩვენი, ხოლო შენდა მღვიძრებად (твое бденье) (დერჯავა) ესე არს უშიშროება ჩვენი, ხოლო მზრუნველობა შენდა (попечение), პორფირა ესე არს გარეშემოზღუდვა (ограждение) ჩვენი და შენი შემოსილება (описание) ყოველი მეფის შემოსილება (цтварь) არს ნუგეშისცემა ჩვენი და შენდა ტვირთად“.

1440 წელსა მიტროპოლიტმან ისიდორემ ¹⁰⁸ მოინდომა კათოლიკეს სარწმუნოების შემოტანა რუსეთში და წარაკითხვინა დიაკონს წერილი მერვე ფლორენტიის კრებისა, და მოიხსენია პაპა ეგგენიოს ¹⁰⁹ ლიტურგიისა ჟამსა.—ერი გაოცდა ესოდენ კანდიერის გაბედვითა და არა იცოდა რა ექმნა, ყოველნი მღუპარებდენ. მაშინ მართოდ დიდმან თავადმან ვასილი ვასილის ძემ ¹¹⁰ სიმტკიცითა თვისითა და ნებითა შეაყენა გაძეგმელი სარწმუნოებისა, და წართვა მიტროპოლიტობა.—აქ მიტროპოლიტმა ფილიპემ ¹¹¹ არ მისცა კურთხევა თვისი მრისხანე მეფეს იოანეს, რომელსაცა უთხრა წინაშე მრავალ შეკრებილისა ერისა ნრავალი უსჯულოება მისი და მით შეიქმნა მსხვერპლად მეფის რისხვისა.—წმიდად შერიცხული ესე ფილიპე ნოკლა სკურატოვმან ¹¹² მეფის იოანეს ბრძანებით ტვერში, ოტროქის მონასტერში.—ამა სობორსა შინა აღსრულდების მარადის კურთხევა ნეფეთა, მიტროპოლიტთა და ქორწინება მეფეთა. აქ მოვიდოდნან თავადნი და მეფენი პარაკლისის სახლენად, ოდესცა რუსეთი იყო საშიშროებასა შინა და ანუ ოდესცა იკინი გავიდოდნან მოსკოვით სხვათა ქვეყანათა შინა.

1812, ოდესცა ნაპოლეონი გავიდა მოსკოვით, მაშინ კარნი ანა სობოროსი პპოეს დახშულ. უბნობენ, ვითომც მრავალი სასწაული გამოეჩინოს და ანისთვის ნაპოლეონის ბრძანებით დაეხშოსთ ესე ფრანცუზთა, რომელთა აქ ყოფნის დროს იყო სობორი ესე გარდაქცეული მალაზეინად.

იკონასტასი—ძველებურად—არს ხატებით შედგენილი ხუთ რიგით ერთიერთმანეთზე; მხატვრობა არს ძველებური, თუმცა შემდეგ განუახლებიათ მრავალს ადგილსა.—ფრანცუზთა თუმცა სრულიად განძარცვეს ყოველი სიმდიდრე ამა სობოროსი, გარნა აწცა ფრიად არს შემკობილი მდიდრად: ვეცხლი, ოქრო, მარგალიტი და ძვირფასნა თვალნი ამშვენიერებენ იკონასტასს. საშუალ საყდრისა ჰკიღია (паникадила) ვეცხლისა ოცპუდიანი, რომლისა ნაცვლად უწინ იყო სამოცი პუდიანი, რომელიც ფრანცუზთა წარიღეს.

უპირველესი ხატი არს აქა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა ვლადიმირსკისა და ჰსდგას სამეფო კართვან მარცხნივ, რომელიცა თუმცა არა არს დიდ, გარნა ფრიად ძვირფას, ორას ათას რუბლად არს დაფასებულ. ერთი ზურმუხტი ამისი ოთხმოც ათას რუბლად არს დაფასებულ.—ესე არს დახატულ მოციქულისა და მახარებელისა ლუკას მიერ და გადმოტანილ კონსტანტინეპოლით კიევს, და აქედამ 1160 წელს თავადმან ანდრეი ბოლოლუბსკიმ¹¹³ გარდმოიტანა ვლადიმირის ქალაქში, სადიდამაც 1395 წელსა გარდმოიტანეს მოსკოვს, მას დროს, ოდესცა საშინელი ლანგთემურ შემოვიდა რუსეთში ცეცხლითა და მახელითა.

მარჯვენე სამეფო კარისა არს ხატი ყოვლად მოწყალისა მაცხოვრისა; რომელიცა ბერძენთა მეფემან იმპანული¹¹⁴ გამოუგზავნა ნოვლოროდს ნიქად, და სხვანიცა მრავალნი ხატნი არიან ფრიად მდიდრად შემკობილნი.

გარდა ამისსა, არს ღირსსახსოვარი ხატი ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობლისა იერუსალიმისა, რომელიცა არს დახატულ წმიდათა მოციქულთაგან, ქრისტეს ამალღების შემდეგ მეთუთხმეტეს წელიწადს, ღვოსთმანიასა შინა, სადიდაჰაც გარდმოტანილ არს კოსტანტინეპოლს და მუნით დიდმან თავადმან ვლადიმირმა¹¹⁵, რა მიიღო ნათლისღება, გადმოიტანა სხვათა ხატთა შორის ესეცა კორსუნის ქალაქით და დაასვენა ნოვლოროდს სოფიოს სობორსა შინა. ხოლო მრისხანე მეფემან იოანე, რა შემუსრა ნოვლოროდი, გარდმოიტანა ხატი ესე მოსკოვს.

პირველათ ჩარიგებულთ სვეტებზე არს სამი დასაჯდომი ადგილი: იმპერატორისა ანუ მეფისა, პატრიარხისა და მეფისა გვარისა.

ვეცხლის კიღობანსა შინა ძვეს უფლისა ჩვენისა (прям), რომე-

ლიცა ჰოუტანიათ სპარსეთით ელჩთა რუსიაზეგს და მურადბეგს¹¹⁶ მეფის მიხედვით ფეოდორის ძისათვის.—ესრეთსავე ვეცხლის კიდობანსა შინა არს ნაწილი ღმრთისმშობლის (რიზისა). ოქროსა ოთხკუთხიანს, ძველის მუშაობისა, კიდობანში არს ლურსმანი უფლისა ხევისა იესო ქრისტესი, მოტანილი 1686 წელს საქართველოს მეფის არჩილის¹¹⁷ მიერ.—და სხვათა მრავალთა წმიდათა ნაწილნი არიან აქ შენახულნი.

საკუჭნაო (призница), რომელსაცა შინა არს მრავალნი ძვირფასნი საეკლესიო შესაძკობელნი ნივთნი, არს ღირსახსოვარ კვალად მით. რომელ აქ 1547 წელსა განრისხებულმან ერმან შოკლა ბიძა მრისხანეს მეფის იოანესი, თავადი იური¹¹⁸.—აქა სხვათა ძვირფასთა სახარებათა შორის არს ერთი, რომელიცა დაფასებულ არს ეკატერინა მეორის ბრძანებით 200,000 რუბლად.—მრავალნი მდიდრად შემკობილნი ჯვარნი, ბარძიმ-ფეშხუნნი, სხვადასხვაგვარად გაკეთებულნი, ზოგნი ოქროსი, ზოგი ძვლისა, და მრავალნი სხვანი საეკლესიო ნივთნი, არიან შეწირულნი სხვადასხვათა მეფეთაგან.

სობორი წმიდის მიხეილის მთავარანგელოზისა ემსგავსების ფრიად შინაგანითა შენობათა უსპენსკისა სობორს და არს ჩინებულ მით, რომელ მას შინა მარხიან უწინდელნი დიდნი თავადნი და მეფენი.—აჰა, საფლავი იოანე დანილოვის ძის კალისტისა, რომელიცა არს დამაფუძინებელი მოსკოვის დიდებისა. ესე პირველი გადმოვიდა ვლადიმირით მოსკოვს და შეკქმნა სატახტო ქალაქად.—ამის სიახლოეს არს საფლავი სვიმეონ ამპარტავანისა¹¹⁹.—ორს საფლავს იქით მარხია დიდი თავადი დიმიტრი იოანეს ძე დონსკოი¹²⁰, რომელმანცა ჰსძლია მამაის, ზოლოტოი არდის (თათართ) ხანსა კულიკოვის მინდორზე.—სამხრეთის მხარეს, იკონასტანთან მარხია დიდი იოანე მესამე, რომელიცა იქნა პირველ მეფედ რუსეთისა. ამან გამოიყვანა რუსეთი თათართ მონებისაგან.

აჰა, საფლავი უბედურისა მეფისა ვასილი შუისკისა¹²¹ დასაველთის მხარეს. ამან გადმოაგდო ტახტით ცრუდიმიტრი და თვით დაჰსჯდა მასზე, ხოლო პოლშელთა, აიღეს რა მოსკოვი, შეიპყრეს ესე ტყვედ და ვარშავაში გარდაიცვალა ამიერიით 1612 წელსა, სადაცა იყო დამარხულ მინდორში, საფლავის ქვის ნაცვლად იყო

სვეტი, რომელზედაც ეწერა: „აქა ძევს მეფე მოსკოვისა“. შემდეგ მეფემან მიხეილ ფეოდოროვიჩმან, რომელიცა მარხია აქვე, გარდ-
მოატანინა ამა სობორსა შინა გვამი შუისკისა.

მიხეილის საფლავის სიახლოეს მარხია მეფე ალექსეი მიხაილო-
ვის ძე¹²². ამის უშორეს ვხედავთ საფლავსა ალექსანდრე საფალი-
რევის ძისა¹²³, ყაზანის მეფის შვილისას. აქვე არის საფლავი
მეფის იოანე ალექსის ძისა¹²⁴, რომელმანცა ნებით დაანება ტახტი
უმცროსსა ძმასა თვისსა პეტრე პირველსა¹²⁵. მასთანვე არს საფლავი
ყმაწვილის მეფის ფეოდორისა ალექსის ძისა¹²⁶. აქ მარხია პეტრე
მეორე¹²⁷, რომელსაცა უწოდებდენ ტკბილ იმედად. იმპერატორის
ჩამოშავლობითგან მხოლოდ ეს ერთი მარხია მოსკოვს.

სამხრეთის მხარეს ჰსჩანს საფლავი მრისხანე მეფისა იოანე ვა-
სილის ძისა, რომელმანცა ყოველგვარ ურჯულოებითა ააყროლა
რუსეთი (თუ შეიძლება ითქვას ესრეთ) და სიკვდილის ეპესა მიიღო
სხიმა და მოკვდა ბერად.—რალა დროს სინანულთა.—აქვე მარხიან
ძენი მისნი: იოანე და ფეოდორ¹²⁸. პირველი შეიქმნა მსხვერპლად
მამის რისხვისა და მეორემან ჩვილგულოვნობით და ირინე ფეოდო-
როვნის შერთვით უჩვენა გზა სამეფო ტახტზე ასვლად ბოროს ლო-
დუნოვსა, რომელმანცა მოაკვლევინა ძე მისი—დიმიტრი ულლიჩის
ქალაქს¹²⁹, დამარხული აქვე, და თვით შემდეგ აღვიდა ტახტზედა.

მეორეს სვეტთან მარხია მიხეილი¹³⁰, თავადი ჩერნილოვისა,
ტანჯვით მოკლული არდაში თათრებისგან.

ამა სობოროს საკუჟნაოსა შინა, სხვათა ძვირფასთა ნივთთა შო-
რის, არს ორი ჯვარი—ვეცხლისა და ოქროსი. პირველი არს შეწირუ-
ლი მრისხანე იოანე მეფისაგან, რომელსაცა შინა ზის ფრიად დიდი
მარგალიტი, ზურმუხტი $\frac{1}{3}$ (дюйма), ლაგვარდი, ესოდენვე დიდი,
და ორი ლალი, რომელთაცა აქვთ სიგრძე $\frac{3}{4}$ გრისა და სიგანე
 $\frac{1}{4}$ გრე. მეორე ოქროს ჯვარი არს მეფის ფეოდორ ალექსის ძის
მიერ შეწირული და შემკობილი აღმასებითა, რომელთაგანი არს
ერთი სიგრძით და სიგანით $\frac{1}{3}$ გრისა, გარდა აღმასთა, არს შე-
ქედილი ზურმუხტით, იაგუნდით და 201 მარგალიტის მარცვლით.

მეფე ფეოდორ იოანეს ძის დროით შემოვიდა რუსეთში ჩვეუ-
ლებად, რომელ ვისაცა აქენდა რაიმე სათხოვნელი ხელმწიფისა-
თვის, იგი მეფის სახელზე არზასა თვისსა დაზღებდა ამა სობოროში
რომელსამე მეფის საფლავსა ზედა და იყო შეუხებელ, ვიდრემდის

თვით მეფე არ აიღებდა გასაჩხრეკლად. შემდგომად, რა გარდაი-
ტანეს პეტერბურში ტახტი მეფასა, ჩვეულებაცა ესე აღიხოცა *.

აქ არს მონასტერი ჩუდოვი (ანუ სასწაულთა) **, რომელსაცა
შინა მარხია უკანასკნელი მეფე ყაზანისა სვიმეონ ¹³¹.—აქ მონასტერ-
სა შინა იყო შეპკრობილ დ[იდი] თავადის ვასილის ვასილის ძის
მიერ მიტროპოლიტი ისიდორი, რომელმანცა მოიწადინა რუსეთი-
სა გაფრანგება. ისიდორი ესე გაიქცა მუნით და მოკვდა რომსა
1413 წელს ¹³².—აქა ბერად შემდგარმან ღირსეა ოტრეპიევმან ¹³³
დააწყო პირველად კადნიერი და განსაკვირველი პაზრი მოსკოვის
ტახტის შეპკრობისა, რომელიცა აღასრულა ესრეთ გასაოცებლად
ღმერთის დარქმევითა.

ამა მონასტერსა იყო სახლი საარქიერო, რომელიცა შემდეგ
სრულიად შეიკვალა შენობით. აქ დაიბადა მემკვიდრე ალექსანდ-
რე ნიკოლოზის ძე. ¹³⁴.

აჰა, წითელი ანუ ლამაზი კიბე (красная) ***, რომელიცა მიიყ-
ვანს მარცხნივ იმპერატორის სასახლის ბალკონზე და მარჯვნივ
გრანოვიტის პალატაში****. ამა მოაჯირსა ზედა გამოდიან მეფენი.
რათამცა დაენახვნენ შეკრებილსა ერსა. აქ პირველნი დარბაისელნი
შეიკრიბებოდნენ და მოემზადებოდნენ მეფის წინაშე წარსადგომ-
ლად, აქ მიეგებებოდნენ კარისკაცნი სხვათა ქვეყნის ელჩთა მისა-

* ხელნაწერში ამის შემდეგ გაკეთებულია გამოტანის ნიშანი (*), ასეთივე
ნიშანი გვხვდება დასაწყისში „ჩუდოვის მონასტრის“ აღწერისა, რაც მოთაქმ-
ებულია რამდენიმე გვერდის შემდეგ (განსაჯ. საქმ. ფონდი, № 171). ეს მოუთითებხ
იმაზე, რომ ავტორს სურდა ამ აღწერის გადმოტანა „წითელი ანუ ლამაზი
კიბის“ აღწერის წინ. ჩვენც ასე მოვიქცეთ. ** ავტორს ფრჩხილებში ჩასმული
აქვს მხოლოდ „სასწაულთა“. *** თავდ. პირველად „კიბია“ ნაკვლად ავტორს ფან-
ქრით დაუწერია „მოაჯირი“. ამას მოსდევს ფანქრით ნაწერი ფრჩხილებში ჩასმუ-
ლი სიტყვა: „красная“; „красная“ თავზე აწერია მეუღით სიტყვას „კიბე“.
**** ამ ტექსტის ხეშობთ ავტორს თავდაპირველად ფანქრით დაუწერია და შემ-
დეგ გადაუხაზავს: „აჰა წითელი ანუ ლამაზი მეიდანნი (краснои), რომელიცა მიი-
ყვანს მარცხნივ, ადგილი, რომელიცა ძვეს სამეფალ მთაქარანგელისისა (თავდა-
პირველად დაუწერია: „არხანგელ“—ჯ. კ.), ესპანესისა და ხარების სობოროთა,
და დაფარულ დასავლეთით იმპერატორის სასახლით და გრანოვიტის პალატით,
არს იგი ღირსსახსოვარი მეიდანნი, რომელსა უწოდებენ კოანად ანუ წითელ-
ლამაზად“.

ღებულად. ამ სასახლის წინ, მეიდანზედ, მეფენი უმასპინძლებდნენ ერსა. ეკატერინა მეორეს გახელნწიფების დროსა მეიდანი ესე იყო სავსე საკმლითა და ღვინის შადრევანნი მსცემდნენ მალა. ამა მეიდანსა ზედა, შემოსილნი პორფირით და გვირგვინით, მეფენი მიიღებენ მილოცვას შეკრებილისა ერისგან. ამა მოაჯირით აღრეულთა სტრელცთა გადმოათრიეს ხელნწიფის მეგობარი ბოიარინი მათეფევი¹³⁵ და მოკლეს. და სხვათა ძრავალთა ჩინებულთა საქმეთა არს მოწამე ესე მეიდანი და ესე მოაჯირი.

საშუალ გრანოვიტის პალატისა მსდგანან ოთხკუთხედ სვეტნი, შემკობილნი ძველებურად ბერძნულებრ; ფრინველნი, ნადირნი და სხვადასხვანი ცხოველნი არიან გამოსახულნი ოქროთი. შესავლითგან მარცხნივ არს ადგილი ბუჭიკანტებისათვის, სამს სკამეიკებზედ ამფიტეატრად გაკეთებული; შარჯენივ კუთხეში მდიდარს ოქრომკერდით ხავერდის ბალდახინს ქვეშ მსდგას ტახტი ხელნწიფისა, ოთხკიბიანი; მთლად მთელს პალატაზე გარე შემოკრულ არს (ТЕМНОМѢШНО-ШЕИ) ხავერდით; ფანჯრებშუა მშენიერად არს გაწყობილნი ღერბნი ბრონზისა, სქლად ოქროდ ნაფერი. ქერიდამ ტახტის პირის-პირ არს ჩაწოსახედავი მკირე ადგილი, დაფარული ეგრეთვე ხავერდით, რომელსაც უწოდებენ სამალაევად (ТАШНИК). უბნობენ ვითომც ესე იყო გაკეთებული განგებ მისთვის, რომელ დაქორწინების უწინ მეფეთა ანუ მეფის ძეთა იხილონ აქედამ საცოლო თვისი მოთვის დროსა, და მით ან უარჰყონ და ან შეირთონ ცოლად.— რუსეთი, იყო რა მონებასა ქვეშე თათართასა, მიიღო მან ჩვეულე-პაცა მათი; ქალნი ერიდებოდნენ კაცთა და იყვნენ შემწყვედეულ ოთახთა შინა თვისთა.— ხოლო ზოგნი უბნობენ ამა სამალავისათვის. რომელ ადგილი ესე არ იყო განშაღებული საცოლოს საჩხრეკლად. არამედ აქედგან უყურებდნენ მეფის ცოლნი და ქალნი ელჩის მიღების ცერემონიასა და სხვათა დიდთა სადღესასწაულო კრებათა, და თვით იყვნენ უხილველ მათგან.— დიახ, შესაძლებელ არს, რომელ სამალავი ესე იყო ორთავე ამა მიზეზთათვის განშაღებული.— ტახტზე მსდგას მდიდარი კრესლი, საცა უწინ, 1682 წლით, ეიდრე 1706, იდგა შეერთებული ტახტი ორთა ძმათათვის ერთად დასაჯდომლად, იოანე და პეტრესათვის, ვიდრემდის პირველმან უთავაზა პუორეს, რათგანაც იყო სუსტგონებისა და არა შემძლე ხელნწიფებად. პალატა ესე აღშენებულ არს 1443 წელსა.— აქ მრისხანე იოანენ

მეფემან იდღესასწაულა აღება ყაზანის ქალაქისა და უმასპინძლა სამხედროსა თვისსა ელჩთა და დარბაისელთა: სამი დღე იყო ლხინი, რომელთაცა შინა მარტო საჭუქარი დაეხარჯა ოთხასი პუდი ვეცხლი, და ამაზე უფრო უმდიდრესი სტუმრობა ჰქონდა აქვე ბორისს ლოდუნოვს, დატსკელის კოროლის ფრიდრიქსის მეორის ძის პრინცის იოანეს¹³⁶ მიღების დროს.—და, დასასრულ, ყოველნი ხელმწიფენი, შემდგომად კურთხევისა, შემოვლენ წითელის მოაჯირით პალატასა ამას შინა და ჰსჯდებიან თვისსა ადგილსა და მიიღებენ მოლოცვასა თავადთა, აზნაურთა და მოქალაქეთაგან.

იმპერატორის სასახლე არს ოთხი ატაგიანი, შეერთების გრანოვიტის პალატას და არს აღშენებულ იმპერატრიცას ელისაბედისა¹³⁷ დროს და არს ფრიად უმდიდრესად შემკობილი.—ვინ არ დაფიქრდება, იხილავს რა იმპერატორის კაბინეტს: ბიურო, სტოლნი და სრულიად მებელი გამოაცხადებს, რომელ აქ მუშაკობს ხელმწიფე სასარგებლოდ და სადიდებლად თვისისა მამულისათვის და ჰსჩხრეკს თვითოეულსა საქმესა თვითოეულსა კაცისასა, რომლისა ბედი ჰსწყდების აქა.

ესე არს სპალნა (დასაძინები ოთახი) ხელმწიფისა: აქა არა არს არცა აზიური განცხრომა, არცა საგანნი—დამატებობელნი და გამაზაზებელნი გრძნობათანი. არა, ყოველივე არს მარტივად შემკობილი და გამოაჩენს ცხადად, რომელ ხელმწიფე, შემდგომად შრომათა, აქ მხოლოდ განსვენებლობს და არა ნებიერობს, ვითარცა* ხელმწიფენი აზიისანი.

კრემლში არს ოთხი მეიდანო.

ორუკეინის პალატა (ანუ საჭურველისა)**

დიდებულებითი შენობა ესე არს აღშენებულ 1810, ზედამხედველობასა ქვეშე კნიაზ მიხეილ დიმიტრის ძისა ციციანოვისა¹³⁸, და შემკობილ გარეგან სტატუებითა და (ბიუსტებითა), რომელნიცა წარმოადგენენ ანუ მხედარსა და ანუ გმირსა ვისმე რუსეთის ისტორიასა შინა ჩინებულთა. და ესე გამოსახვანი ფრიად შესაფერ არს

* ამის შემდეგ გადახზულია: „სარდნაპალი და ანუ“. ** ხელნაწერში მხოლოდ „საჭურველისა“ არის ჩასმული ფრჩხილებში.

ამა შენობისათვის, რომელსაცა შინა არს შენახულ ყოველი ძველ-ბური საქურველი.

ფრიად ლამაზი კიბე შეგიყვანსთ (ორუხენის) საქურველის პალატაში, სადაცა განცვიფრდების კაცი სიმდიდრითა, იშვიათითა აქა სხვადასხვა შენახულთა ნივთთა, რომელნიცა არიან:

1) გვირგვინი მონომახისა—დიდის მოკმაზვისა ანუ მორთვისა (Иарга), რომელიც ემზავსების ქულსა წვეტიანსა, რომელზედაც არს ოქროს ჯვარი. გვირგვინი ესე არს ოქროსი, ბერძულის მუშაობისა, რომელსა ზედა სხედან ოთხი იაგუნდი, სამი ლალი, ოთხი ზურმუხტი და ოცდათორმეტი მარგარიტი.—უწინ ამა გვირგვინითა ეკურთხებოდნენ დიდნი თავადნი სამეფოდ.

2) გვირგვინი მონომახისავე მცირედის (ნარიადის); არს ეგრეთვე შემკობილი, ვითარცა პირველი, ხოლო უმცირეს მისა.

3) ოქროს სკიპტრა, —თავზე ადგას გვირგვინი ჯვრით, ორია-ვიან არწივთა ზედა დამტკიცებული, და არს ერთი ადლი, და შემკობილ ორას სამოცდარვა ალმასით, ოცდათექვსმეტის იაგუნდით და თუთხმეტის ზურმუხტით.

4) (Церпача) — ესე არს ოქროს ბურთი, რომლისა სიმგრველე არს ცამეტი ვრე და სიმაღლე ცხრა, შემკობილი ოცდათვრამეტის ალმასით, ას ოცდასამის იაგუნდით, ორმოცდაცამეტის ზურმუხტით, ბურმითსკის ექესი და ოცდაათის ყაფის მარგალიტებით.

5) ოქროს ჯვარი, ძელი ჰემმარიტის ნაწილით, ქრისტეს საფლავის ქვის ნატეხით და სხვათა მოწამეთა ნაწილებით. აქვს სამი გრე ნახეიარი და შემკობილ ექვსის იაგუნდით, ექვსის ზურმუხტით, ორის ალმასით და ფრიად დიდროანის ბურმითსკის შვიდის მარცვლით და 123 ორიენტალის მარგალიტებით.—ეგრეთვე თვით კოტი არს შემკობილი სხვადასხვა ძვირფასის თელებით.

6) ოქროს ჯაჭვი მონომახისა, გამოგზავნილი ბერძენთ ხელწიფის კომინისაგან ვლადიმირისადმი; სიძძივე ამისი არს 2 გირვანჯა და 17 მისხალი.

7) წილია ბარმანი—ესე არს მგვრგვალს დიდს საყულოსავით, რომელსაცა ჩაიკვამდნენ მეფენი კურთხევის დროს კაბაზედ. ესე არს რაღაც ფრიად სქელი ოქროს მატერია.—ბარმი არს სიტყვა ბერძული და ნიშნავს სიმძიმესა და ანუ ტვირთსა.—ნივთნი ესენი არიან ფრიად უძველესნი. შვიდნი საუკუნეჲმან განვლო და ესენი

დაშთნენ შეუშლელ.—პეტრე პირველამდის მეფენი ჰხმარობდნენ კურთხევის დროსა და დიდთა დღესასწაულობას ამა ნიეთთა, რომელნიცა არიან სრულიად ნაჩუქებნი ბერძენთ ხელმწიფეთგან.—და აწ, ხელმწიფის კურთხევის დროს, ყოველნი ესე საბეფო ნიშანი გამოაქვსთ ბალიშზე დაწყობილნი.

8) ტახტი მონომახისა, არს ნიგეზის ხისა მურდახილგებად გამოქრილი, რომლისა ფერხად არიან ლომნი მურდახილგებადვე გამოქრილნი. სვეტებზე არის ჩამოშეებული ბალდახინი პირამიდის გვარად, რომლის თავზე არს ორთავიანი არწივი.

9) გვირგვინი მეფისა იოანე ალექსეევის ძისა, არს გაკეთებული მონოპახის გვირგვინის გვარად, რომელზედაც არს რვაას ოთხმოცდაერთი სხუდასხუანი თვალნი ძვირფასნი, ვარსკულაებად და არწივებად გამოყვანილნი. გვირგვინის ჯვარის ქვეშ არს ფრიად დიდი ლალი.

10) გვირგვინი პეტრე პირველისა, ალექსის ძისა, ეგრეთვე არს ვითარცა ძმისა მისისა იოანესი, მხოლოდ ამაზედ არს რვაას ორმოცდაშვიდი ძვირფასი თვალბ და გვირგვინის ჯვრის ქვეშ უზის ლალის მაგიერ შინარაი.

11) გვირგვინი ეკატერინა პირველისა¹³⁸ არს განსხვავებული სხვათაგან მუშაობითაც და სახითაც და არს უძვირფასესი ამა პალატა შინა: ორი ათას ხუთას ოცდათექვსმეტი ალმასი, ოთხი იაგუნდი, ჩვიდმეტი ზურმუხტი, ხუთი (შინარაი) და ერთი (ვენისა): გარდა ამისსა, ჯვრის ქვეშ ჰზის საკურველ დიდი ლალი, რომელიცა არს ნასყიდი ჩინეთის სატახტო ქალაქში პეკინს.—და თვით პეტრე ხელმწიფემ დააკვირგვინა მეუღლა თვისი უსპენსკის სობოროში ამა გვირგვინით.

12) გვირგვინი ყაზანის სამეფოსი,—სახითა თვისითა არს განსხვავებულ სხვათაგან, და არს ოქროს სევადით, ქუდის მსგავსი. სხუდასხუა ყვავილებად არს შეწყობილი იაგუნდნი, რუბინნი, ფირუზნი და ფრიად მსხვილნი მარგალიტნი. სიგრძე აქვს 6 1/2 გრე და სიგანე 5 გრე. თავზე აქვს მშვენიერი დიდი სადაფი, რომელზედაც ზის ფრიად ძვირფასი იაგუნდი.

13) გვირგვინი ასტარხანის სამეფოსი,—სრულად არს სხვაგვარ; ზედ გვირგვინზედ სახლსავით აღვას, რომელზედაც ზის დიდი ზურმუხტი და ორსავე მხარეს დიდნი მარგარიტნი. სიგრძე შვიდი

გრე, სიგანე $5\frac{1}{4}$ გრე და არს შემკობილ 36 ალმასით, 31 იაგუნდით, 8 იაგუნდის ნაპერწყალით, 15 რუბინით, 31 ზურმუხტით, 35 ყაფის მარგალიტით.

14) გვირგვინი: ციმბირის სამეფოსი არს უ[მ]დარეს სხვათა; მასზედ არს 30 ალმასნი, 100 იაგუნდი, ორი ლალი, 14 ზურმუხტი, პურმითელი მარგალიტი 15; სიგრძე აქვს $8\frac{1}{2}$ გრე, სიგანე $4\frac{1}{2}$.

15) გვირგვინი სტანისლავ აგვისტოსი¹⁴⁰, უკანასკნელის პოლშის მეფისა, არს ოქროსი, ჯვრით და არ არს შემკობილი თვლებითა.

16) გვირგვინი საქართველოს სამეფოსი, — ემზგავსების იმპერატორის გვირგვინს, არს ჩამოსხმული ოქროსი, შემკობილი თვლებითა, გვირგვინზე არს ვაშლი ანუ ბურთი და ჯვარი, ეგრეთვე ოქროსი.

17) დერჟავა მეფის იოანე ალექსის ძისა, — ოქროსი, ემალით და მდიდრად შემკობილი თვლებით.

18) მეორე დერჟავა — საიმპერატორო, ანუ პეტრე პირველისა.

19) ორი სკიპტრა ნეფეთა, იოანესი და პეტრე პირველისა, არს ერთ მსგავსად გაკეთებული მონომახის გვარად, სიგრძე მათი არს $15\frac{1}{2}$ გრე და არს ოქროსი ფინიფტით და შემკობილი ძვირფაის თვლებით; თავზე აქვსთ ორთავიანნი არწივნი.

20) სკიპტრა სტანისლავ აგვისტოსი, პოლშის მეფისა, — თორმეტი გრიანი და არს მთელის აკვამარინისა, ოქროში გაკეთებული.

21) სკიპტრა საქართველოს მეფისა, არწივით თავზე, — არს ოქროსი, მწვანეს (ემალით) დაფარული და შემკობილი თვლებით.

სამეფო ტახტნი სხვათა ხელმწიფეთაგან ნაჩუქებნი

1) ტახტი ანუ კრესლა ბერძნული, სპილოს ძვლისა, — მიართვეს დიდს თავადს იოანე მესამეს ვასილიევის ძესა ბერძენთ ელჩთა, რომელნიცა თანა მოჰყვნენ მოსკოვს სოფიოს¹⁴¹, თომა პალეოლოლის ასულს, დანიზნულს ამა თავადის საცოლოდ.

2) ტახტი მეფის ბორის ფეოდოროვის ძის ლოდუნოვისა, — არს გამოგზავნილი სპარსეთის ყენის შაჰ-აბაზისა¹⁴² მიერ 1605 წელს და

არს ფრიად მდიდარ, — აღმასნი, ფარუზნი, იაგუნდნი და ზურმუხტნი მოფენილ არს ტახტზე.

3) ტახტი მეფის მიხეილის ფეოდორის ძისა, — სხვადასხვა თელებით არს შემკობილი და ჰზის მასზე ორთავიანი ჭარწივი.

4) ტახტი ალექსეის მიხეილის ძისა, — არს დიდებულად გაკეთებული ძველებური ხელოვნებით, — სხვადასხვანი ნაკვეთნი არიან გამოსახულნი ოქროსა. წინა პირზე ჰსხედს 876 აღმასი და 122 სხვანი თვალნი. ორთა ვეცხლის ანგელოზთა უპყრავსთ უკანით გვირგვინი. — ტახტი ესე მიართევს სომეხთა, რომელნიცა ეპრობდენ ისპაანში.

5) ორსაჯდომი ტახტი მეფეთა ძმათათვის, იოანე და პეტრესი, — არს სრულიად განსხვავებულ სხვათავან, — სიგანე აქვს ორ ადღზე უმეტეს, საშუალ არს განყოფილ ორად და ამისთვის ეჩვენება ორ ტახტად, ერთად დადგნულად. საშუალ განყოფილს ადგილსა ამალღების წვეტი, რომელიცა წარზოდგენს რალასაც ცხოველს. განყოფის ადგილს პირისპირ არს დარჩომილი ალაგი, მოუარული ხაგრდით. უბნობენ, ვითომც ელჩის ნიღების და ანუ სხვათა დიდსა დღესასწაულობის დროსა, ამა დაფარულსა ადგილსა იდგა სოფიო¹¹³, და ხელწიფეთა, რომელიცა ასწავლიდა ძმათათვისთა ყრმაწვილთა მეფეთ პასუხის ნიგებასა და ანუ რაიცა უნდა ექმნათ მათ. ტახტი ესე ლამბურღში გაკეთებულ არს მთელის ვეცხლისა. — აქვე არიან ტახტნი პეტრე მეორისა, ეკატერინა მეორისა და პავლე პირველისა¹¹⁴ და სხვათა: მარამა ესენი არიან მხოლოდ მდიდარნი საჯდომნი კრესლანი და არა ტახტნი.

აქვე არიან ხუთნი დიდნი ოქროს ჯაქენი, რომელნიცა ეკუთვნოდენ სხვადასხვასა დროს სხვადასხვათა მეფეთა, და მრავალნი ძველებურნი მეფეთა ტანისამოსნი, რომელთა შენახვას თუმცა ჰსცდილობენ, მარამა დროსა, ყოვლისა შემმუსრველსა, ცხადად გამოუჩენია შემძლებლობა თვისი და დაუძველებია ივინი. — სხვათა შორის ჰსჩანს ტანისამოსი და ჩექმები პეტრე პირველისა, პორფირანი სხვადასხვათა ხელმწიფეთა, მდიდარნი ხალიჩანი, — შემკობილნი ძვირფასად, ცხენის ჩულნი და მრავალნი ბატერიის ნივთნი.

კაცისა უპირველესი საჭურველი იყო ჯოხი, და შემდეგ, ოდესცა დრომან და საჭიროებამან აჰსწავა და მოაგონებინა კაცსა სხვადასხვანი საჭურველნი, მაშინ ჯოხი დაჰშთა მხოლოდ დასაყრდნო-

ბელად მოხუცებულთათვის. ყოველსა დროსა, ყოველთა ერთა შორის მოხუცებულნი იყვნენ პატივცემულ და აღმორჩეულ ერის მმართველობასა შინა.—ესე ფრიად საქები ჩვეულება შეიცვალა მრავალს ადგილს. და ვინაითგან მოხუცი არა განოვიდოდნენ აროდეს უჯობოთ, ამისთვის უწინდელი უბრალო ესე საჭურველიცა შეიქმნა დასასრულ ნიშნად ღირსებისა.— შემდგომად მრავალთა დროთა, ჯობნი შემკობილ იქმნენ სხვადასხვათა ძვირფასის თვლებითა და უწოდეს მას კვერთხად,—და ესე აწცა არს უმთავრესთა სამღვდელთა შორის დაშთენილ; ხოლო ვინაითგან კვერთხი, განსაკუთრებით და ბადებასა შინა არონისა და მოსესი¹⁴⁶, არს ნიშანი მფლობელობისა, ამისთვის ჩვენთ დროთაცა შინა დაჰშთა ნიშნად უმთავრესისა ღირსებისა;—რუსეთის მეფენი პეტრე პირველამდის გამოვიდოდნენ სალაშის დროს კვერთხითა; ხოლო უფრო უწინარეს ჰხმარობდენ წკებლას, და ოდენ პეტრე პირველიდამ შემოიღეს სკიპტრა.

კვერთხნი სხვადასხვათა მეფეთა, აქ შენახულნი, არიან ესენი:

1) კვერთხი ვეცხლისა, რომელიცა არს უძველეს სხვათა და ეკუთვნოდა ანდრეი ბოლოლუბსკის; ამისთვის უმეტეს ექვსას ორმოცდაათის წლისა არს ესე, დაფერილ ოქროთი, და თავზე ორსავე მხარეს არს არწივის თავნი და სხედან მცირედნი იაგუნდნი. ოდესცა რუსეთში შეჰსწყდა მეფობა და აღმოიჩინეს ხელმწიფედ ყრმაწვილი მიხეილ ფეოდორიჩ რომანოვი, მაშინ პირველ დარბაისელთა, როჰელნიცა შეადგენდენ პირველთა ერის მრჩველთა, აღმოაჩინეს ელჩნი და არხიეპისკოპოსი, რომელსაცა გაატანეს კვერთხი ესე, ვითარცა ნიშანი ხელმწიფობისა, მისართმევად მიხეილისადმი.

2) კვერთხი ვეცხლისა, ოქროს სევადით, დიდის თავადის იოანე დანილოვის ძის კალისტისა,—ზიართო პეტრე შიტროპოლიტმან.

3) კვერთხი ოქროსი, დიდის თავადის ვასილის დიმიტრის ძისა¹⁴⁶; მას ზედა არს ჯვარი, რომელსაცა ზედა არს ზამზახი და არს მდიდრად შემკობილი 807 სხვადასხვა თვლებით. კვერთხი ესე არს გამოგზავნილი ამა თავადისთვის საბერძნეთის იმპერატორის მანუილისა პალეოლოღისა¹⁴⁷ მიერ, ოდესცა ამისა ძემან შეჭრთოცოლად ასული დიდისა ამის თავადისა ანნა.

4) აჰა, მოწამე საშინელისა შურისძიებისა, (კოსტილი) დიდის თავადის ვასილის ვასილევის ძის ბნელისა, ვინაითგან მოაჰკლდა

თვალთა სინათლესა უბედური ესე თავადი ესრეთ: თათართა შიშიმე უღელი ედვა უკვე რუსეთსა, მარამა თავადნი რუსეთისა კვალად მტერობდნენ ურთიერთთა.—ესრეთ იყვნენ მტერნი თავადი ესე ვასილი და ბიძა მისი იური დიმიტრის ძე, რომლისა შემდეგ ძე მისი ვასილი გადაემტერა თავადსა აპას და, დასასრულ, მეორე ძე იურიისა, დიმიტრი შემეიაკა¹⁴⁸, როკელმანცა ორჯელ წაართვა დიდსა თავადსა ვასილს მოსკოვის ტახტი და ორჯელვე მიუბრუნა. შემდგომად, ოდესცა თავადი ვასილი, თათართ ტყვეობილად დახსნილი მოსკოველთაგან, მოვიდოდა ტროიცერლევების საყდარს მადლობის შესაწირავად ღმრთისადმი დახსნისათვის, მაშინ გზაზე შეხვდა თავადი დიმიტრი იურიევის ძე შეზიაკი, შეიპყრა და დათხარა თავადნი და მისთა სახლობითა წარგზავნა უღლიჩს, და თვით დასჯდა რა მოსკოვის ტახტსა ზედა, ჰქანა მრავალნი უსამართლოებანი და მით წინააღმდეგ თვისსა აღადგინა მთელი მოსკოვი და ამისთვის დაუბრუნა კვალად ტახტი ესე უსინათლოს ვასილს, რომელიცა ჰხმარობდა ამისთვის (კოსტილსა) აპას და არა კვერთხსა.

5) კვერთხი შავის ხისა, რომლისა თავზე ლამაზ ხელოვნებით არს ჩამოსხმულ ვეცხლის ლოპი და კროკოდილ—მოჩხუბარნი;—მესამე იოანე ვასილიევის ძისა არს.

6) კვერთხი ძელისა შიბაქად, შედგენილი 14 ნაწილით,—ეკუთვნის ეგრეთვე მესამე იოანეს ვასილევის ძეს.

7) კვერთხი შესაკეცი, მაპონტის ძელისა, შვიდის ნაწილით შედგენილი, რომლისა თავზე არს ბურთი და მასზე ორთავიანი არწივი. ამას ზედა არს გამოჰრილ კარგის ხელოვნებით ისრაილისა მეფენი და მოციქულნი. იმპერატორჰან მაქსიმილიანე¹⁴⁹ გამოუგზავნა დიდსა თავადსა ვასილი იოანეს ძესა¹⁵⁰.

8) კვერთხი თევზის ძელისა, ოქროთ დაფერილი, თავზე აქვს სამთავიანი არწივი, შემკობილი ძვირფასის თვლებით,—არს გამოგზავნილ პაპა გრიგოლის მერვესგან¹⁵¹ მრისხანე მეფის იოანეს ვასილიევის ძისადმი, რათამცა აღიკუთროს თანაშემწედ ავსტრიის და პოლშის, პირისპირ ოსმალთა.

9) შიბაქად გამოჰრილი თეთრის ძელისა კვერთხი მრისხანე მეფის იოანესი,—შემკობილი ოქრონაფერავის ვეცხლითა, რომლისა ბოლო არს წვეტიანი რკინისა; სიმძამით არს საპი გირვანქა. ამით დადიოდა მარადის მრისხანე და ოდესცა ელაპარაკებოდა

კაცთა მათ, რომელთა ზედა ჰქონდა თუმცა მცირედი რაიმე ეჭვი, მაშინ რკინის წვეტით ჰსჩხვლეტდა ფერხსა მისსა და ესრეთ ჰსტანჯავდა მოუბარსა მასთან.

10) მარტორქის კვერთხი მეფის ბორის გოდუნოვისა, — ოქროთი და ვერცხლით შემკობილი.

11) კვერთხი მეფის მიხაილ ფეოდორიჩისა, პატრიარხის ფილარეტისა¹⁵³ და მეფის დედისა, მონოზნის მართასი¹⁵³ — არიან ერთგვარნი შავის ხისა და შემკობილი თვლებით.

12) ჭარვის კვერთხი, ლაბაზის ხელოვნებით გაკეთებული, — გამოუგზავნა კურლიანდის ლერცოლმან იაკობ¹⁵⁴ პატრიარხს ფილარეტს.

13) ვეცხლის კვერთხი ყვავილებით, — მიართვა მეფე მიხეილს ლოლსტინსკის ელჩთა.

14) კვერთხი საზიარებელი, — სადაფის გარდა არა აქვს შემკობა. მეფენი ზიარების დროსა ჰხმარობდენ ამასა.

15) კვერთხი ინდოეთისა. შავის ხისა, ოქროთ შემორტყმული და თვლებით შემკობილი, რომელთა შორის არს ერთი დიდი ლაფვარდი. — იურღენის მეფის ძე ავლან-მაჰმად¹⁵⁵, შეშინებული ძმითაგან თვისთა, — აბაეშისა და ილბასარისა, — რომელთა დასთხარგს თვალნი მამასა თვისსა და წაართვეს ტახტი, გამოიქცა რუსეთს მეფე მიხეილის დროს, რომელსაცა მიართვა ესე კვერთხი. — ცოლად შეირთო ციმბირელის მეფის ასული და მოკვდა მოსკოვს.

16) მდიდარი წკებლა მეფის ალექსის ასულის სოფიოსი, — ოქროთ შემოვარაყებული და თვლებით შემკობილი.

17) წკებლა შავის ხისა, ოქროთ შეპოვარაყებული, — იმპერატრიცა ეკატერინა პირველისა. ამა წკებლით იმპერატრიცა ელისაბედ პეტროვნამ აღასრულა აღთქმა თვისი და წარვიდა ქვეითად 1744 წელს, მაისის 27, მოსკოვით ტროიცე-სერდიევის ლავრაში.

18) აქვე არს ორი წკებლა იმპერატორის პეტრე მეორისა, რომელთაგანი ერთი არს ჩამოსხმული (ყერუაჩი), — ერთი ადლი და 4 გრე არს სიგრძით.

19) (ბულავანი) არიან აქ ოქროსნი ზვიდნი და ვეცხლისა თორმეტი და ერთი ხისა, სადაფით შემკობილი, რომელნიცა ეკუთვნოდნენ სხვადასხვათა მეფეთა და გამოჩენილთა რუსეთში კაცთა. — შორის სხვათა ბულავათა არს ერთი ცრუდიმიტრის ცოლის მარი-

ნასი¹⁵⁶. ესე არს ეციოვლი ოთხკუთხიანი ბროლისა, რომელშიაც არს ჩაწყობილი მურდახილებად ძვლები.—შაპაბაზმან¹⁵⁷ გამოუგზავნა ამას ასტრახანში, სადაცა იმყოფებოდა მარინა მაშინ.

20) (ბუზდიხანნი) ძვირფასის თვლებით შემკობილნი არიან ცხრანი, რომელთა შორის ერთი არს უმდიდრეს სხვათა, მირთმეული საქართველოს მეფის თეიმურაზის დავითის ძისა¹⁵⁸ მიერ მეფე ალექსისადმი 1655 წელსა, ბროლისა, დავარაყებული ოქროთი; მას ზედა ჰსხედან ას ათი აღმასი, ას სამოცდაათი იაგუნდი და ოცდათექვსმეტი ზურმუხტი.—ჯვალად მეფისა ამისადმი გამოგზავნილ არს მეორე შაპაბაზისაგან¹⁵⁹ ფირუზებით შემკობილი (ბუზდიხანი).

აკ არიან შეკრებილნი ფრიად ძვირფასნი ძველებურნი ნივთნი: პორტრეთი პეტრე პირველისა, ექვსი მედალნი, რომელთაცა შინა ჰქვეს თჳანი მეფეთა: მიხეილისა, ალექსისა, პეტრე პირველისა, პეტრე მეორესი, ანასია¹⁶⁰ და ელისაბედისა; ოქროს საათნი იმპერატრიცათ ელისაბედის და ეკატერინა პირველისა; ოქროს პოდნოსო, სიმძიმით 21 ფუნტი და 60 მისხალი; ფრიად ძვირფასი ბრილიანტის ჯილა ეკატერინა მეორისა; სახარება ნემენსურნი; მდიდრად სადაფზე თვლებით მოკედლილი ხელსაბანი.—ერთს ვეცხლის თასზე ეწერა რუსულად: „ამ ქვეყნის დიდების სურვით ჰკარგავ დიდებასა ზეცისასა“. მეორეს მხარეს ეწერა: „აქე უფა ლი და სთხოვე მას ხელნწიფისათვის დღეგრძელობა; ეს თასი არს პატიოსნის კაცისა, დალიე ამით სხვის სადღეგრძელო“.

ფრინველი [ყუი(?)] გაშლილის ფრთებით და მხედარი, ბერძულეებრ აღჭურვილი.

ქარვის ჯანდრაკი და სხვანი უმრავლესნი ძვირფასნი ნივთნი: ესე იგი, ოქროს და ვეცხლის ჯანები, სტაქნები, ფიალები, საწერლები, სხვადასხვაგვარნი ღვიანის სასმელნი და სტოლის იარაღნი არიან უმრავლესნი, რომელნიცა ეკუთვნოდნენ სხვადასხვათა მეფეთა.

აღწერა ამისი ფრიად განგრძელებოდა; ამისთვის ამა მღზეუმიდამ გაღვიდეთ განსაკუთრებით (ორუყენის) პალატაში, რომელიც არს პირისპირ მუზეუმისა, სადაცა ყოველგვარნი საქურველნი აწყვიან რიგზე: დროშანი, მახვილნი (шты), მშვილდ-ისარნი, ფარნი, მუზარადნი, ჩაჩქანნი, ხრმალნი, თოფნი, დაბანჩანი და სხვანი მრავალგვარი ხმარებულნი ძველად საქურველნი.

დროშანი არიან ხუთნი: მრისხანე მეფის იოანეს დროშა არს უძველეს სხვათა, რომელზედაც არს გამოსულ სახე მაცხოვარისა და მეორეს მხარეს ვილაც წმიდა.—ამათ შორის არს ერთი სახელმწიფო დროშა, რომელიც იხპარების მხოლოდ ხელმწიფის კურთხევის დროს და დამარხვისა, პეტრე პირველისაგან შემოღებული: ესე არს ყვითელი განდიდურისა, რომლისა საშუალ არს ორთავეიანი არწივი იმპერატორის გვირგვინით, გულზე მოსკოვის ღერბი. რომელსა გარე ავლიან სხვანი სამფლობელოს ღერბნი.

მრავალთა სხვადასხვაგვართა მახვილთა შორის არს საბერძნეთის იმპერატორის კონსტანტინესი¹⁶¹. ამის პირზე არს გამოსახული ღმრთისწამობელი; ბოლო მახვილისა ამის არს განიერ და მოხრილი.—ორნი ფრიად მდიდარნი ხრმალნი არიან ხონტქრისაგან გამოგზავნილი ეკატერინა მეორისადმი შერიგების დროს. და, დასასრულ, არს შპალა უკანასკნელის პოლშის მეფის სტანისლავისა აგვისტოსი.

უძველესნი მუხარადნი (мухом) არიან დიდის თავადის მსტისლავისა ვლადიმერის ძისა¹⁶², ალექსანდრე ნეველისა¹⁶³ და ალეის—უახანის მეფისა¹⁶⁴, რომელიცა არს ფოლადისა და მრავალ ადგილს უირუხები ჰსხედს მასზე.

ფართავან არს ღირ[ს]სახილველი სახელმწიფო ფარი ანუ საიმპერატორო, რომელიც არს უძველეს სხვათა, რამეთუ ფარი ესე იყო დიდის თავადის მსტისლავის ვლადიმირის ძის ტახტზე ასვლის ჟამსა, 1125 წელსა. ამასთანავე არს მახვილი სახელმწიფო ანუ საიმპერატორო. ეს ორნი ნიფთნი, დროშა და ბურთი, გამოაქვსთ მარადის ერთად ხელმწიფის კურთხევის დროსა.—და კვალად ფარი მეფის ალექსის მიხაილოვის ძისა, არს ნაბდისა, შემკობილი ოქროთ და ვეცხლით.—ღიმიტრის დონსკოის პატარა (донецки) ყმაწვილობის დროსა ეცო, ოდესცა მოსკოვის ჯარს წინაუძღოდა პირისპირ ბიძისა თვისისა—სუზდალის თავადისა.—ფრიად კარგის ხელობისა ჩაჩქანი (чеховцы), რომელზედაც ჰსწერია (С нами Бог, и:хтоя: [нам?]), ნოვლოროდელის მართა პოსადნიცისი¹⁶⁵, ბორეცკის ასკისა, რომელიცა წინააღუდგა იოანე მესამეს ნოვლოროდის თავისუფლებისათვის.

უმრავლესთა თოფთა შორის არიან ღირსნი ხილვისა ძველბურნი, ოსმალურნი თოფნი, ყარაბინანი და სხვანი; გარნა უმეტეს

სახსოვარნი არიან: თოფი ელისაბედ იმპერატრიცასი, ანგლიური. შემკობილი ადგილ-ადგილ ბრილიანტით; ძველებური თოფი, რომლისა კონდახი სადაფით არს გაკეთებული, ჩახმახი მოოქროვილი და ლულა თვლებით მოქედილი; სანადირო ბრესლავის თოფი, ორლულიანი, რომელნიცა ერთმანეთში ჩაიწყობიან ესრეთ, რომელ ერთის გასროლით საფანტითაც და ტყვიითაც გაისროლება.—მრავალნი სანადირო დანანი და ხანჯალნი; ამათ შორის არს ძველებური (бердыши), რომლითაც იყენენ შექურვილნი ცრუდიმიტრის მცველნი.

აქ არს სრულიადი შექურვა სხვადასხვათა ერთა, ე. ი.: ინდოეთური, ჩერქეზული, ქართული, თათრული, ყიზილბაშური, ოსმალური და სხვათა ევროპიის ერთა.

აქა არიან რაოდენნივე მდიდარნი საყვირნი (погои) ძველად ხმარებულნი ომის დროს ჯარის შესაკრებად და ანუ გამარჯვების შესატყობლად. თვით თავადნი და მეფენი ჰხმარობდენ ესრეთთა საყვირთა.

კარლ მეთორმეტის¹⁶⁸ (ნოსილკი), პოლტავის ომში დაშთენილი.—კარლი დაჰსკრეს ფეხში და რათამცა არა შეშინდეს ჯარი მისი, უბრძანა მან ამ ნოსილკებით ტარება თვისი და ისე გაცხარებულს, საშინელს ომში დაჰქონდათ; შემდგომად სრულიად დამარცხებული განივლტო ბენდერს და ესე (ნოსილკანი) და ლიტაევრანი, რომელთა ზედაცა აჩნევია ფრიად ტყვიები, დაჰშთენ ომის ადგილს.

ამა საქურველთა გარდა, რომელთა თვითოეული აღწერა იქმნებოდა ფრიად გრძელ, არს ცხენის იარაღნი, რომელთა შორის უჩინებულესნი არიან: უნაგირი ეკატერინა მეორისა, ხონთქრისგან გამოგზავნილი შერიგების დროს, შემკობილი ძვირფასის თვლებით; ყაჯარი ამ უნაგირისა, ეგრეთვე მის ხონთქრისგან გამოგზავნილი, თვლებით არს მოქედილი. ამ უნაგირს აფასებენ 200.000 რუბლად: ერთიცა არს ესრეთივე ძვირფასი უნაგირი ამავე იმპერატრიცისა, კვალად ხონთქრისგან გამოგზავნილი; ძვირფასი ხალიჩა ეკატერინა მეორისა,—ხონთქარმან გამოუგზავნა მარგალიტებით და თვლებით მოქედილი; ჩული ცხენისა, რომელიცა მიართვა მენშიკოვმან¹⁶⁷ პეტრე პირველსა; ხაერდის მდიდარი სანას (მარხილი) ხალიჩა მეფის ალექსისა; ესრეთივე მეფის მიხეილისა; წყვილი უმდიდრესი (морж)

წმინდა ოქროსი, თვლებით მოქედლი, — მეფე ფეოდორის ალექსის ძისა. გარდა ამით, ცხენის იარაღნი მრავალნი არიან: ვეცხლის აღვირნი — თვლებით მოქედლინი, ძველებური ხაჯირდის ყაჯარნი მარგალიტებით, უნაგირნი ყიზილბაშური და რუსულნი სხვადასხვა დროთა და სხვადასხვა მეფეთანი.

რა გამოვალს ორუგეინის პალატით, წარმოუდგების სამ რიგათ დაწყობილნი ორსავე კიბის მხარეს სხვადასხვაგვარნი ზარბაზანნი ნაპოლეონის ჯარისა, 1812 წელს წართმეული რუსთაგან: 875 ზარბაზანნი ესე არიან ფრანკუზთა, ავსტრიელთა, პრუსსელთა, ნეპოლიტანელთა, ბეარელთა, ვესტფალელთა, საკსონელთა, ლანოვერთა, იტალიისა, ვირტემბერლისა, ლიშპანიისა, ლოლლანდისა და პოლშის სახელმწიფოთა. — ორუგეინის პალატით ნიკოლსკის კარისკენ არს უდიდესი შენობა არსენალისა, რომლისა კუთხეთან და კარებთან ჰქვეს ფრიად დიდნი, კანონიერად ჩამოსხმულნი და გარეთგან სხვადასხვა ნაკვეთებით შემკობილნი ოთხნი ზარბაზანნი, რომელთა შორის უდიდესი არს სახელად (Дробовикъ Россиискій); მას ზედა არს დაწერილ, რომელ მეფის ფეოდორ იოანეს ძის ბრძანებით ჩამოუსხავეს მოსკოვის ანდრეის ჩობოვის ¹⁶⁸ 1586 წელს, ორი ათას ოთხასი პუდიანი. — პირთან აქვს გამოსახული მეფე ფეოდორი, ცხენზე მჯდომი, სკიპტრით და გვირგვინით, რომლისა ჰსწერია სახელი. — სხვა ორნი ზარბაზანნი ამავე ხელმწიფის დროს არიან ჩამოსხმულნი ამავე ოსტატისაგან, — პირველი არს 430 პუდიანი და მეორე — 370 პუდიანი; ხოლო მეოთხე უგრძელესი ამ ორთა არს, მეფის ალექსის მიხაილოვის ძისა ბრძანებით ჩამოუსხავეს ოსტატ მარტემინ ოსიფოვის ¹⁶⁹ 1590 წელს. ესე არს 779 პუდიანი.

არსენალის პირდაპირ ჰსდგას შშვენიერად აღგებული შენობა სენატისა.

კრემლი არს მოწამე მრავალთა საუკუნეთა და დიდთა საქმეთა, აქა აღსრულებულთა. აქა აღჩნდა პირველი ჰაზარი რუსეთის განთავისუფლებისათვის, ოდესცა თათართ მონებისა ქვეშე იყო შემმუსრვილი და მკენესარედ; აქ დიმიტრი დონსკოიმან განშალა შავი დროშა პირისპირ მამიისა, თათრის ხანისა; აქ იოანე ვასილის ძემ დაამსხვრია შასმა, ანუ სახე ხანისა; აქ აღჩნდა და დამტკიცდა თვითმპყრობელობა; აქ ვასილი შუისკი ჯვრითა და მახვილით შემოუძღვა სპასკის კარებით აღრეულსა ერსა ცრუდიმიტრის მოსაკვდევ-

ნად; აქა აჩვენებენ ადგილსა მას. სადაცა ესე, გადმოვარდნილი თანჯრით, უტევებდა სულსა თვისსა. კრემლი შეიპყრეს პოლშელთა და თვითვე იქმნენ განდევნილ მუნით; აქ შეიქმნა ათის წლის ყრმა-წვილი პეტრე ხელმწიფედ და, დასასრულ, ნაპოლეონ იჯდა აქ თავის ჯარით და შეიქმნა მისთვის სამარცხ.

თუმცა აღარ არს სატახტო ქალაქად, გარნა აქ მიიღებენ გვირგვინსა და კურთხევასა ხელმწიფენი.

კიტაის ქადაქის ნაწილი

კრასნი პლოშჩადი ანუ წითელი მოედანი, ესე იგი დამაზი

რა გამოვალს კრემლითგან ნიკოლსკის კარებით, წინა დახედების კრასნის პლოშჩადი ანუ მოედანი, რომელიც არს უდიდესი სხვათა მოედანთა და ღირსსახსოვარ წით, რომე მრავალნი დიდნი საქმენი აღსრულებულან აქა. აქა მოედანსა იდგნენ მტერნი მოსკოვისა, — ოლღერდი¹⁷⁰ — თავადი ლიტვისა, ედილეი¹⁷¹, კაზანელნი, ყირიმის ხანი მაჰმად გირეი¹⁷² და თვით ტახტამიშიცა, ზოლოტოი არდის (თათართა) ხანი, ამღები და განძაობრებელი კრემლისა. ოდესცა ღმრთის რისხვით მოეწვინა რუსეთს თითქმის ერთს დროს ურთიერთა შორის განხეთქილება და მტერობა, ზედა დასხმა ყაზანელთა თათართა, დატყვევნა დიღის თავადის ვასილის ბნელისა, რომლისა სახლობა და მასთან ყოველნი პირველხარისხოვანნი გვამნი განვიდნენ მოსკოვით, მაშინ თითქმის სასოწარკვეთილებისადმი მიწვენილი ერი შეკრბა ამა მოედანსა და, შემდგომად მრავალთა ბაასთა და ყვირილთა, აღმოირჩიეს მპართეველნი. — აქვე გამოვიდა მეფე იოანე, ჯერეთ ყმაწვილი მეფე, და წინაშე შეკრებილისა ერი-სა აღიარა თვისი შეცდომილებანი და ჰსთხოვა დეპუტატთა ნიტევება; და შემდგომად შეიღანი ესე მანვე, ესე იგი მრისხანე მეფე იოანემან. შეღება სისხლითა როსსიელთათა: აქ იყო აღმართული 18 ჩამოსარჩობი, დულდებოდნენ ქვაბნი და საშინელნი ცეცხლნი ელგზნებოდნენ სატანჯველად და მოსაკვდენად კაცთათვის. სისხლითა ჯერეთ შეუშრობელს ნიწაზე ეწყვნენ ცულნი და სხვადასხვაგვარნი იარაღნი დასატანჯველად. მოედანი ესე იყო დაცარიელებულ, ხშირად და ხშირად ისმოდა მიოლოდ კვნესა დატანჯულთა

და კასკასი (пашахей) მტანჯველთა. აქ 1570 წელსა, 25 ივლისსა, ორასნი ნოვგოროდელნი საშინელ ტანჯვით დახოცეს მრისხანეს მეფის ბრძანებით. ამა მოედანსა ზედა ეგლო სამი დღე გვამი მოკლულისა ცრუდომიტრისა და ბასმანოვისა¹⁷³, და მრავალნი ამგვარნი საქმენი მომხდარან ამა მოედანსა ზედა, და, დასასრულ, აქ იყო მეფის ალექსის მიხეილოვის ძის დროსა (Семейственный судилища) სახლობის სამსჯავრო, ესე იგი, დამნაშავესა პირველად თავის სახლში დაარიგებდენ, აუწყებდენ ყოველთა მისთა შეცოდებათა და მიჰსცემდენ პაემანს, რათამცა თავი თვისი განამართლოს კეთილზნეობით, და თუ არც მაშინ მოიქცეოდა კეთილად, მაშინ მოუწოდებდენ ამა მოედანსა ზედა, სადაცა გამოუცხადებდენ მის ყოველსა ცუდსა ქცევასა, კიდევ ურჩევდენ და აძლევდენ დროს კეთილის გზაზედ მოქცევად; და უკეთუ არცა მაშინ დაუტევებდა გარყენილსა ზნესა თვისსა, მაშინ მოხუცი მსაჯულნი წინაშე ჰსჯულისა გამოაცხადებდენ მისთა სიგარყენილეთა და დამნაშავე იქმნე ბოდა დაჰსჯილ თვინიერ ყოვლისა გამართლებისა და მიტევებისა.

აწ საშუალ ამა მოედნისა არს აღმართულ (памятник) ძეგლი ნიჟელოროდის მოქალაქის კოზმა მინინის და თავადის პოჟარსკისათვის¹⁷⁴, ჩამოსხმული ბრონზისა, თუჯის (пшестал) ზედ 1818 წელსა, 20 თებერვალს. მარჯვენის ხელით მინინი უჩვენებს კრემლს და მარცხენით აძლევს მახვილსა პოჟარსკის, რომელიცა არს მჯდომარე, ნაავანტყოფარი დაკოდებით, ერთის ხელით ართმევს მინინს მახვილსა და მეორითა იღებს თავის თავქვეშიდამ ფარს, რომელსა ზედა არს გამოსახული მაცხოვარი. მშვენიერად არს ჩამოსხმული ესე პამიატნიკი ეკიმოვისგან, ხოლო მოგონებულ მარტოსისა¹⁷⁵ მიერ. წინა პირზე ჰსწერია ოქროს ასოებით: „მოქალაქეს მინინს და თავადს პოჟარსკის მადრიელი რუსეთი, 1818 წელსა“.

ამ მოედნის ბოლოსა, სპასის კარების პირდაპირ, არს ადგილი, რომელსა უწოდებენ (аионъ е мечи), ანუ თხემისა ადგილი.

უწინ; დღესა შაიობისასა, უსპენის სობოოით მოვიდოდნენ შემოსილნი სამღვდელონი პოკროვის სობოროში, ხელწიფეს ეპირა აღვირი ცხენისა (ვირის ნაცვლად), რომელსა ზედა იჯდა პატრიარხი. ჩვეულება ესე აღიხოცა 1678 წელსა.

მონასტერსა შინა ბერძნისა, ნიკოლაევსკისა მარხიან მეუღლა საქართველოს მეფის ქაიხოსროს ლეონის ძისა¹⁷⁶, სარდალი ფარსადან პაპუნაშვილი¹⁷⁷ და ოთარ ჩოლაყაშვილი¹⁷⁸.

დღესა ამას* გამოვლევ 50 ვერსი და მოველ სოფელს სოლნეჩნის გორას, სადაცა ხალხი იყო შეყრილი მრავალი. ერთბაშად გამოჩნდნენ რამდენიმე კარეტები; გზა, გზა,—დაიძახეს, იმპერატრიცა მობრძანდება. შიშით ჩემა კუჩერმა კინალამ თხრილში არ გადამაგლო პოვოზკით.—აქ გამოიცვალა ცხენები ხელმწიფამ და თვით კი კარეტაშივე ბრძანდებოდა. ხალხი გარემოვებვია საყურებლად, და წარემართა მოსკოვისკენ.

15.—გამოვლეთ ქალაქი კლინი¹⁷⁹, 21 ვერსი, რომელიცა ჰგავს უბრალო სოფელს და მოვედით ზავიდოვოს. 24 ვერსი.

16.—მოვედით სოფელს ლოროდნას, 26 ვერსი, მდინარეს ვოლდაზე, და რადგანაც ურმები არ იყო მომზადებული ჩვენთვის ამისთვის აქვე დავიღამეთ.—სოფელი ესე ეკუთვნის თვით ხელმწიფის გვარსა.

მოსკოვიდამ დაიწყება უცხოვრებას გაკეთებული ახლად გზა სწორე, ანუ (შოსსე), რომელზედაცა არს დაყრილი მსხვილად დანაყილი ქვა, არეული ქვიშაში, რომ აღარ ატალახდეს გზა. ზოგან დიდროანი მთები არს გავაკებული და ზოგან ღრმა ღვლე აესილი მიწით, გზის სისწორისათვის. ხიდებზე არის გავლებული თუჯის არწივები პერილებად. გზის საჩვენებლად ორსავე მხარეს არის ჩამწკრიბებული თითო საეენზე წმინდად გარანდული მორგვები, შეღებილი ლურჯად. გზა ესე უღირს მრავალ მილლიონად ხელმწიფეს.—ყოველს შვიდს ევრსტზე არის აღშენებული კაზარმა გზის პირზე, სადაცა ჰსცხოვრებენ სალდათნი, გზის მასურებელნი, რომელნიცა ნახვენ რა გინა მცირედს წახდენილს გზას, მაშინვე გაასწორებენ.—გზის ორსავე მხარეს არს გავლებული თხრილი.—ესრეთი გზა შოსსე არს პეტერბურლამდის.

17 ხა—მოვედით ქალაქს ტვერს¹⁸⁰, 30 ვერსი, მდინარესა ვოლდაზე. მრავალი სოფლებია გზაზე ხშირად და ხშირად.

* იგულისხმება 14 ოქტომბერი 1831 წლისა.

მოსკოვიდამ დაიწყების უკვე დილიდანსით სიარული პეტერბურ-
ლამდის. დილიდანსი არს კარეტა რვა ჩასაჯლომით, ოთხნი შიგ-
ნით კარეტაში სხედან, აძლევენ თითო ასს რუბლს, ორნი წინ და
ორნი უკან, ვგონებ სამოცდათხუთმეტ რუბლათ.—დილიდანსი მი-
დის სამს დღეს და ღამეს პეტერბურლამდის.

18-სა.—ტვერიდამ გამოვედით მდინარესა ვოლდას, ხიდზე—
დიდრონს ნავებზედ გაკეთებულს.—ქალაქი ესე ჰსდგას ამა მდინა-
რესა კიდესა ზედა, რომელსა შეერთდების აქავე მდინარე ტვერცა
და ამა ორთა მდინარეთ, რომელზედაცა ჰსტურავენ დიდრონნი
პარკანი. თითქმის მთელს რუსეთს ევაქრება ტვერი: ვოლლითა
კასპიის ზღვამდის და ტვერცათი პეტერბურლამდის. ქალაქი ესე.
თუმცა არ შეედრება მოსკოვს, მაგრამ კარგი შენობები აქვს. აქვე
არს სასახლეცა ხელმწიფისა.

დღესა ამას მოვედით სოფელს ნედნოის, 30 ვერსი.

ტვერს შეჰსწყდება შოსსე. ჯერ ვერ შეუერთებიათ პეტერბურ-
ლით და მოსკოვით წამოღებული ახალგაკეთებული გზა: ამისთვის
დღეს გზა იყო ცნელი სატარებელი, ქვიშიანი და ადგილ-ადგილ
სიბის ქვით მოკირწყლული, რომელზე სიარული დიან აწუხებს კაც-
სა. ახალს გზისათვის, ე. ი. შოსსე, ჯერ ეხლა დაუნიშნავთ ჩარქო-
მილის ხეებით ადგილი.

ამ სოფელში ვნახე ცხვრები თითქმის უკუდონი.

სალამოზე მოვიდა ჩემთან მაიორი კაროტკოვი.¹⁶¹ ვილაპარაკეთ
ერმოლოვზე, პასკევიჩზე და პოლშის ომზე და დასასრული უბნო-
ბისა ჩვენისა სასაცილო იყო,—დამთვრალს დათვზე და ურიაზედ.—
ცოტა შეუძლოთ ვიყავ და ბევრის ლაპარაკით მაიორმა ძალიან
შემაწუხა, ასე რომ, როდესაც მითხრა ღამე მშვიდობისა, სია-
მოგნებით პირჯვარი დაეიწერე და ეპსთქვი: დიდება ღმერთს.

19-სა.—დღეს დილაზე შეგვხდა ღენერალი კლეიმინელი¹⁶², მიმა-
ვალი მოსკოვს.

ამ სოფელში გამოვედით ხიდზე მდინარესა ტვერცას და მოვე-
დით ქალაქს ტარეოკს¹⁶³, 33 ვერსი, რომელიცა არს მცირედი და
ნაქები ტუფლებითა.—ამ ქალაქში შემხვდა ივანე ყორანოვი¹⁶⁴ თა-
ვის ცოლით. მომავალი პეტერბურლით.

გზა ამ ქალაქამდის არს ცუდი, ქვიშიანი, ჩასაფლობი.

ამ ქალაქში დედაკაცებს ხურავთ კოკოშნიკი (ანუ მაღალი სქელი არახინი) ერთის, ფრიად მაღალის, სწორე რქითა.

აქედამ მოვედით ბინდისას სოფელს ბუდოვს. 24 ვერსი. საკურველი მოლაპარაკე და ალერსიანი სახლის პატრონი ქალი დამხვდა და ლამაზიცა...

მოსკოვისა და ტვერსკის ლუბერნია დიახ დიდი ტყიანი არის ფიჭვისა და მცირე ნაყოფიერი. მრავალნი სოფლები არიან ერთმანეთზედა მიბმულნი, ასე რომ არცა სახნავი და არცა სათიბი აქვსთ საკმაო.

20-სა. — გამოვლეთ 14 ვერსი და გამოვედით სოფელს ვიდროპუსკისა, სადაცა გამოვიცვალეთ ურმები და გამოვედით ჩეორედ მდინარესა ტვერცას, და მესამედცა სოფელს ნიკოლაევთან ხიდზე. — საღამოზე მოვედით ქალაქს ვიშნი ვოლოჟოკს¹⁸⁵. 33 ვერსი. გზა არის ზოგან ქვით მოკირწყლული და ზოგან გაფიქრული, მაგრამ ორივე ძალიან შემაწუხებელი არს ურემში ნჯდომთათვის, თუმცა კი ტალახი ფრიად ცოტა არის ავდარში. — ამა ქალაქთანვე არს დასაწყისი მდინარისა ტვერცასი. — ამ ქალაქის შესავალთან არის მცირედი საყდარი ფიცრისა, სადაცა, ამბობენ, ვითომც ყაზანის ღმრთისწობლის ხატი აქ გამოჩნდა და რამდენჯერაც მოასვენეს აქაურს სობოროში, იმდენჯერ იწავე ადვილს თავითათავთ გადავიდა. ამ სასწაულისათვის იქვე აღუშენეს ესე ფიცრის საყდარი და მუნ დაასვენეს.

21-სა. — ამ ქალაქის სიახლოეს არის საკურველი განგებ გაკეთებული წყალის შესანახავი, რომელსაცა აღავსებენ მდინარითა სნათი და, როდესაც საჭირო იქმნება, გამოუშვებენ წყალსა და დიდროანნი მრავალნი ნაგებნი (напечи) საქონლით წავლენ ზოგნი პეტერბურს მდინარითა მსტით და ზოგნი ტვერცით ტვერის ქალაქისკენ და ქვეით ლუბერნიებში. — ამავე ქალაქში ჰქეტენ მდინარესა მსტას, განგებ, წყლის მოსაგროებლად, რომელ ნაგებმა ადვილად იმუშაოს. დიახ კარგად არის გაკეთებული მანინებით კარები, რომლითაცა შეაგუბებენ მდინარესა.

აქედამ დაიწყება კვალად ახალი სწორე გზა — მოსსე, მაგრან ხატილოვის სოფლამდის 30 ვერსს ჯერ ეხლა მუშაობდენ. ფრიად ძნელი გასაკეთებელია გზა ესე. — შუა ტბაზე მიწით არის აესილი და გატანილი გზა, ეგრეთვე დიდროანთა ქაობზედ. — ხატილოვიდან

ედროვამდის 32 ვერსია; სრულიად კარგი გზაა, რომელზედაცა ჰსდგას ორი დიდი პირამიდებრივი სვეტი ქვისა, რომელზედაცა არს გამოსახულ სტოლზე გვირგვინი, ნიშანი ნოვლოროდის ლუბერ-ნიისა, ანუ ღერბი.

განსაკვირვებელია ამა გზის კეთება, დიდი ღვაწლია და ამას-თანა რაოდენი მილიონი ფული იხარჯება.

22-სა.—მოვედით და გამოვეცვალეთ ურმები ზიმნელორიეს, 20 ვერსი, რომელიცა არს ვალდაის ქალაქთან¹⁸⁶, ნაქები ზარებითა. ამის სიახლოეს არს ტბა, რომლისა საშუალ არს მცირედი კუნძუ-ლი ტყიანი, ფრიად ლაპაზი, სადაცა ჰსდგას მდიდრად აღშენებუ-ლი მონასტერი, რომლისაცა იყო დღეობა. გზაზე მრავალი ხალხი ჰსჩნდა მუნ მიზავალი. მრავალნი მცირედნი ნაენი ჰსცურავდენ გარეშე კუნძულისა და წარმოუდგენდენ თვალთა მშვენიერს სახილ-ველს.

მესამე საათს მოვედით იეილბიციას. 20 ვერსი.

დღეს კარგი თბილი დარი იყო, მაგრამ უმზეოდ, რომელიცა დიდხანია აღარ მიხილავს. მარადის მოღრუბლულმა ცამ პოხონ-დრია გამხადა.

22-სა.—მოვედით და გამოვეცვალეთ ურმები სოფელს რახინოს. 26 ვერსი.—აქედამ ქალაქს კრესტცი¹⁸⁷, 19 ვერ., სადაცა ოთხი. ანუ ხუთი სახლი არს აღშენებული კარგათ. სხვა სულ უბრალო სოფელს ჰვავს.

გზაზე საუცხოვო ხიდები არის გავლებული თუჯის პერილებით.

24-სა.—დავსწინაურდი ნოვლოროდის ქალაქს მისასვლელად და მოველ სოფელს ზაიცოვოს, 28 ვერსი, სადაცა არს აღშენებული მდიდარი სასახლე ორი ატაგიანი ლოსტინიცად, მგზავრთათვის დასადგომად. მუნ შევედით ზე და ზაიორი კარ[ოტკოვი] სადი-ლის საქმელად. კარებთან მოვეგეგება წმინდათ მორთული დედაკა-ცი და მიგვიწვია ლამაზათ შექობილს ოთახში: მოგვართო ჩვენის მოთხოვნით წმინდა დაგებულს სტოლზე ორ რიგი საქმელი, რომე-ლიცა თითო-თითო ღირს აბაზად. ესრეთი სასახლეები არის აღშე-ნებული სახელმწიფოდ.—მოსკოვიდამ პეტერბულამდის.—ყოველს სტანკიაზე. ამ სასახლეებში მგზავრი ფულით ყველას იშოვნის.

აქედამ მოველ სოფელს ბრონნიცას. 26 ვერსი.

მოსკოვიდამ პეტერბულამდის ამ დიდს გზაზე გლეხნი კაცნი

კარგათ ჰსდგანან სახლებში: ორი და ზოგთა სამიატაყიანი ხის სახლები უდგასთ მინის ფანჯრებით; მაგრამ სრულიად არა იციან სტუმართმოყვარება, წყალს არ დააღვინებენ მგზავრს უფულოდ და, გარდა ამისა, არიან ფრიად ამაყნი და ბრიყნი. ერთს სამოვარის მოღუღებაში ორს შაურს ართმევენ; ეგრეთვე ნახევარ სტაქან რძეშიაღა.

სალამოზე გამოველ ამა სოფლის სიახლოესთან მდინარესა მსტას ხიდზე. — აქედამ გააქვსთ დიდის არხით წყალი მდინარეს ვოლხოვადის, რომელზედაც იმუშაებენ ბარკანი, მაგრამ ჯერ არ შეუსრულებიათ.

რა მოეახლოედი ნოვლოროდს, გაველ მდინარესა მცირეს ვოლხოვს, რომელზედაც არს ვადებული დიახ კარგი ხიდი თუჯის პერილით. დადამდა, რომ შეველ ქალაქში, და ველარ მოვითხოვე ვეარტირა; ამისთვის დავდექ იტალიანის ტრაბტირში.

ფიქრმა ნოვლოროდისათვის არ დაჰაძინა დიდს ხანს. გონებაში წარმომიდგა რესპუბლიკური უწინდელი ანათი მმართველობა, სიმდიდრე. ვაქრობა და მხნეობა ამის მოქალაქეთა, ვეჩევის ზარი (ანუ ბუკი), რომლითაც შეიკრიბებოდა ხალხი წძიმის საქმის გარდასაწყვეტლად; ნოვლოროდის რაყიფობა მოსკოვის მეფეებთან და შემდგომად დამხობა მისი მრისხანე იოანეს მეფის მიერ. ვიდრე იყო რესპუბლიკად, ნოვლოროდი ყვავილოვნობდა ვაქრობითა, მხნეობითა. სიმდიდრითა და იყო სხვათა რუსებზე უმეტეს განათლებულა და თვით თათართ მონებასაცა ვადურჩა: ვარნა აწ აღარც აჩრდილი ჰსჩანს უწინდელისა მის შემძლებელობისა. — რკინის ხელმან შეიპყრა და განაქარვა ყოველი დიდება მისი.

25-სა.— დილაზე მომგვარეს დალაქი, ყმაწვილი ბიჭი, დიახ კობტურათ * მორთული ფრაკით და დუხებით დასხმული და დიდის კომპლემენტებით მომპარსა წვერი; ახალი მოსული ვარო პეტერბულით. ერთი აბაზი ვამომართვა.

* შემდეგ გადახაზულია: „და ფაქაზათ“.

[აღწერა ნოვლოროდისა]*

წაველ წირვაზე ძველს სოფიისკის სობოროს, ** რომელიცა ჰსდგას უწინდელს ძველს ციხეში დიდის ვოლხოვის მდინარეს იქით. ამა მდინარესა ზედა არს აღშენებული ფრიად უძვირფასესი და უმშვენიერესი ხიდი თერთმეტკამარიანი, რომლიდამაც *** არის მდინარეზე გადაკიდებული ორი თუჯის მოაჯირი, რომლიდამაც კვალად კიბე ჩადის ქვეით სხვა ქვის მოაჯირზე.—ხიდზე არის გავლებული თუჯის პერილები და კვალად თუჯისავე არის ფანრის ჩამოსაკიდებელნი ოქროს ეარაყით, რომელიცა თითოს ნხარეს არის თერთმეტ თერთმეტი.

ნრაველნი დიდროანნი ბარკანი იდგენენ წყალის ნაპირას და მკირედნი ნაენი ჰსცურვიდნენ; მშვენიერი სანახაფია ეს ხიდი. ***

შვევდ ძველს სობოროს, რომლისა არხიტექტორა არს ძველებური; მრავალნი სვეტნი დიდროანნი ხშირად-ხშირად ჰსდგანან. ესრეთ რომელ სანნი კაცნი დიახ ჯიწროდ გაივლიან ერთად და აბნელებენ საყდარს.—ესე არს იგი სობორო. სადაცა ეკიდა ვეჩევოსის ზარი ანუ ბუკი. —თაყვანი ვეც ვლადიმირის და ანნის ნაწილებთ და წირვა მოვისმინე მეორეს საყდარში, სადაცა საამურად ჰგალობდნენ მგალობელნი. — უწინ უნდა მაგარი ციხე ყოფილიყო. უწინდელ დროებისათვის, ამიტომ რომ ერთის მხრით ჩამოუდის მდინარე ვოლხოვი და მეორით ჰქონია დიდად ღრმა თხრილი, რომელიცა ეხლაც ეტყობა.

ხიდი ესე არს აღშენებული აწინდელის ხელმწიფის დროს 1830

* ეს სათაური ფანქრით არის ჩაწერილი. საფიქრებელია, ავტორს განხრახნული ჰქონდა აღწერა ნოვგოროდი უფრო ვრცლად, მსგავსად მოსკოვისა და პეტერბურგისა. მაგრამ ასეთი ვრცელი აღწერილობა დღიურში არ ჩანს. ** სოფიისკის სობორო აღშენებულ არს 1045 წელსა კეთილმოწმუნე თავადის ვლადიმირის იაროსლავის ძისა მიერ, სადაცა აქვე მარხიან თავადი თეოდორე—ძნა აღეჭანდრე ნეცკისა, დედა ვლადიმირისა—კნეინა ანა და თავადი მსტისლავი.

სოფიოს ხატი იერუსალიმიდამ არის გადმოტანილი. ვოლხოვის ხიდზე არს სასწაულთმოქმედი ჯვარი (შენიშვნები ავტორისა). *** ავტოგრაფშია: „რომელიდამაც“. **** ნოვლოროდის აღების დროს, იოანე ბარბაროს მეფემ უბრძანა მხედართა თვისთა ხალხის გადაყრა ზიდითვან. ყრმანი, მოხუცნი, დედაკაცი იღუპებოდნენ იმა მდინარესა შინა. გარდა ახისა, მიედარნი ნაეებით დაჰსცურვიდნენ და, შემწეობის ნაცვლად, შუბებითა ჰხოცდენ. (შენიშვ. ავტ.).

წელს, ზედამხედველობასა ქვეშე ლერცოლის ალექსანდრეს ვიკტემ-ბერლისა 188.

დღეს, მერვეს საათზე შუადღიდან, მობრძანდა მეგვიდრე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე. ყველა საყდრებში ზარებსა ჰრეკდნენ. შემბრძანდა სობოროში, პარაკლისი ახდევინა და წაბრძანდა მოსკოვისკენ. ხალხი უყვიროდა უ რ ა ს.

26.—ჩაესხედით მთელი კამანდა—300-სი—პაროხოლში (ორთქლით მავალი ნაფი). ესე არს დიდი სუნდო, რომლისა საშუალ არს გაკეთებული ორი თუჯის ფეჩი და სხვა მრავალი რიგი მაშინები, გარედამ, ორსავე მხარეს, აქვს ძითო ჩარხი, რომელნიცა გახურებულის ფეჩების ორთქლით ტრიალებენ წყალში და მიაქვსთ. დიახ ჩქარა, ვეება ესე შენობა.—ამ მაშინების ორსავე მხარეს არს გაკეთებულნი ოფახნი, დიახ ლაშაზნი და ფაქიზათ, სადაცა ვისხედითა აფიცრები; იმ მხარეს იყო მცირედი ზალა სკამებით და დასაჯდომად ვიწროს კრაოტებით. ამ ზალიდამ სხვა, მეორე პატარა ოთახში იყო შესავალი და აქედამ სხვა, კვალად ოთახში საწოლში, სადაცა რდგა ლამაზი დივანი, პატარა მგრგვალი სტოლი და სკამები. ეს ოთახები არის ფანჯრებიანი, რომლიდამაც უყურებს წყალსა. მეორეს მხარეს იყო ორი ესრეთივე ოთახნი.—საშუალ პაროხოლისა არის დიახ მალა ატანილი ფეჩებიდამ თუჯის ტრუბა, რომლიდამაც ხრიალით ამოდის ბოლი.—გარდა ამისსა, ფეჩისადგილებიც არის გაკეთებული ორსავე მხარეს.

საღდათნი ისხდნენ მალა პალუბაზე (ანუ ჩვენის ოთახებეს პანზე). მესამე საათზე შუადღიდან აუშვეს პაროხოლი და გამოვედართეთ სიმღერის თქმით. ესრეთი მკზავრობა იყო ჩემთვის სრულიად ახალი და ფრიად სასიამოვნო. თუმცა ჰაერი იყო ცივი, მაგრამ დიდი ხანი ვიდეგ ბანზე და უყურებდი მდინარისა ორთავე კიდეთ, სადაცა მრავალთა მონასტერთა მდიდარნი შენობანი და სოფლები არიან თითქმის მოუწყვეტლად მობმულნი და წარმოადგენენ მშვენიერს სახილველს. კიდენი იყვნენ დაფარულნი მრავალითა ბარკებითა და სხვანი კვალად უმრავლესნი მოჰსცურვიდნენ.—თხუთმეტს ვერსზე მარცხნივ ჰსდგას შტაბკვარტირა იმპერატორის ავსტრიის პოლკისა, დიახ მდიდრად აღშენებული, რომლისა პირისპირ, მარჯვნივ ჩვენსა, არის მშვენიერი შენობა ხეობისა და ფქვილის ზავოდებისა, რომელნიცა ეგრეთვე ორთქლის მაშინე-

ბით ეწეობენ, ესე იგი: ხერხენ ხეებს და თქვიან პურსა. ამა შე-
ნობათა სიახლოეს, მაღლობზე, ჰდვას მცირელი, გარნა ლამაზი
ორიატაჟიანი სასახლე, სადაცა ჩამოხდება ხოლმე ხელმწიფე პარო-
ხოდით.

აქ დაბნელდა და შეშფიცდა კიდევ ძალიან და დიდის უსიამოვნო-
ბით ჩაველ ლამაზს ოთახში, სადაცა ჩემნი ამხანაგნი თამაშობდნენ
ქალაღს. მე დავეჯექე ფანჯარასთან და კვალად დაუწყე ჰერეტა
მდინარესა, რომლისა კიდენი სოფლების სანთლებით ჩირაღდნებად
ენტებოდნენ. ფრიად ძრვილი ცემა ჩარხებისა წყალშია, დიახ მცი-
რედ არწევდა და მით ატყობინებს კაცსა ოთახში, რომ ჰსცურავს
წყალზე.—ამ ჩხრეკაში დიახ ტკბილად დამძინებოდა ფანჯარასთან-
თერთმეტს საათზე, ოდესცა მოვედით სოსნიცკის ნავთსაყუდელ-
ში,—70 ვერსი,—მაშინ გამომაღვიძეს.—ასე მომეწონა ეს პაროხო-
დი, რომ არ გაველ სოფელში, მოვიტხოვე ჩაი და დავიძინე კრაოტ-
ზე.—ამ პაროხოლში, ამავე ოთახში, რამდენჯერმე ბრძანებულა
ხელმწიფე თვით და ხუთს საათზე მისულა ნოვლოროდს, 70 ვერ-
სი.—და ჩენი ფიქრები დიახ შორს ფრინვიდნენ ამ ლამეს, ესე იგი,
თქვენთან, გეგობარნო ჩენო! მე ვიყავ თქვენ შორის უხილავად და
თქვენ კი ვერა გვარძნობდითა მე.

პაროხოლის აფიცარმა მიანბო დიდი ზარბაროსობა იმპერატო-
რის ავსტრიის, პრუსკის ნასლედიკის და სხვათა სალდათთა პოლკ-
თა, რომელნიცა აბუნტდნენ ხოლგრის დროს ამაზე, რომ ზითომ
აფიცრები სამსალით ხოცდნენ სალდათთა და აბრალებდნენ ხოლე-
რას: ას ექვსი აფიცარი საშინელის ტანჯვით დახოცეს და სამი
ღენერალი. ბუნტი ესე მოხდა 17-სა ივლისს და იყო ოცდაშვიდამ-
დის. შემდგომად ღენერალ-ადუტანტმა ორლოვმან¹⁹⁹ დაამშვიდა
ამით, რომელ აღუთქვა ხელმწიფის სახელით შიტევება პირველთა
მოჯანღეთა: ამათ უნდოდათ ნოვლოროდის აღება და გაობრება
მისი; მაგრამ განხეთქილებამან ურთიერთთავე შორის ვერ აღას-
რულებინა ესრეთი შათი განზრახვა.—ნართლმსაჯულოვნება აწ
ჰსდევნის და ჰსჯის პირველთა მოჯანღეთა.

27-სა.—გამოვედით პაროხოლით და დავიღამეთ სოფელს ჩუ-
დოვო, 9 ვერსი, რომელიცა ჰსდვას დიდს პეტერბულის შარავზაზე.

მდინარე ვოლხოვი მდინარებს 360 [ვერსი] ლადოჟსკის ტბაში,
რომლიდამაც შეერთვის მდინარესა ნეეას ნარიინის კანალ-ით პე-
ტერბულს.

28-სა.—მოვედით პომერანიეს სოფელს. 26 ვერსი. დღე იყო თოვლიანი. ჩემს სახლის პატრონს გლახს კაცსა ორიატაჟიანი სახლი ედგა ხისა, ორპირ მინის ფანჯრებით. კედელზე ოთახში ეკიდა დიდი საათი და რამდენიმე სამოვარი იდგა მეორეს ოთახში. ამას ამისთვის უწერ, რომ თითქმის ყოველნი ასე ჰსცხოვრებენ გლახნი მოსკოვით პეტერბუდამდის.

29.—გამოვლეთ ტოსნა, 32 ვერსი. და ბინდისას მოვედით იჟორას. 24 ვერსი.

30.—შევისვენეთ.

31-სა.—დილით აღრიან მომივიდა წიგნი პეტერბულით [აივ...(?)]. რომ ღრად სიმონიჩი მოვა დღეს სადილათ ცარსკის სელოში¹⁹⁰. ბატონისშვილს თეიმურაზთან¹⁹¹ და შენც უთოოდ უნდა გადმოხვიდეო.

1-ს ნოემბერს.—გამოვლეთ კრასნოე სელო და მოვედით პავლოვსკის სოფელში. 24 ვერსი.

2-სა.—შუალამისას მოვედით ორანიენაუშში¹⁹², საცა არს შტაბკვარტირა ობრასცოვის პეხოტნის პოლკისა.

3-სა.—შევისვენეთ. კრონშტატი¹⁹³, ზღვის ხილვა და ხომალდი; სისახლე. ბალი, არხი.

4-სა.—ღენერალ ტიმოტმა¹⁹⁴ გაშინჯა ჩვენი ჯარი.

5-სა.—გამოვემართე ჩემის კამანდით ცარსკის სელოსკენ. სადაცა ჰსდგას როტა ჩემი. გზა არს მშვენიერი და მდებარეობა ადგილისა ფრიალ საამურა: მარცხნისა მხრით, გზის ახლოს, არს ლურჯაო განერცელებული ზღვა, რომელზედაც უმრავლესნი ნაენი, ბარკანი. სუდნობი. პაროზოდნი ჰსცურავდენ სხვადასხვა მხარეს. ზღვის კიდეზე არის დაჩები, ესე იგი, სასახლენი და ბაღნი, საზაფხულოდ აშენებულნი მშვენიერად. აგრეთვე გზისა მარჯვენო მრავალნი დაჩანი და სოფელნი ერთმანერთზედა მიბმულნი არიან.

დაეიქვეითე, რათამცა უმეტესად დაესტკებ ესრეთითა სახილველითა. გამოვლეთ პეტერლოფი¹⁹⁵, სადაცა არს სასახლე ხელმწიფისა და უძვირფასესი და უფრცველესი ბალი, რომლისა ქება განთქმულ არს. ამის სიახლოეს არს სტრელნა, სადაცა არს კვალად სასახლე ხელმწიფისა და ბალი. არათუ ყოველს ვერსზე, არამედ ყოველს ბიჯზე სხვადასხვა ახალი საგანი წარმოუდგების თვალთა: ზოგან თვით ბუნება, ზოგან ხელოვნება, აქ სიმდიდრე შენობათა,

იქ სიგლახაკე, განგებ დანგრეული. დიდმშენიერი სანახავი უნდა იყოს ზაფხულში.—ასე გამოვლენ ქვეითად უგრძობლად 18 ვერსი, რომ სრულიად არ დავლალუვარ.—დავიღამეთ სოფელს პუსტონკას.

6-ხა.—დღე იყო მოღრუბლული და ცივი. მდებარეობა ადგილისა იყო ეგრეთვე მშენიერი, ვითარცა გუშინ. აქ, პუსტონკასთან, არს აღშენებული მონასტერი წმიდის სერლისა, ფრიად მდიდარი. გზაზე დაჩები იყვნენ ერთმანერთზედა მობმული და ერთმანეთზედ ჰდიდრად შემკობილი.—დღეს შვიდი ვერსი, რომელიცა გამოვლენ ქვეითად, ღირს მრავალ მილიონად.

ზაფხულში გამოდიან პეტერბულით ამა დაჩებში და ჰსცხოვრებენ მუნ ერთს, ანუ ორს თვეს, და არა მცირეს დრო არს მხიარულად განტარებისათვის; რაოდენი ათასნი თუმნები დაუხარჯავთ თვითოეულსა.—ფრიად შეჰსცდებიან იგინი, ვინცა ჰსწერენ განცხრობითსა ცხოვრებასა აზიასა შინა. დარწმუნებით ვიტყვი, რომ თვით ყუენიცა არა ჰსცხოვრებს [სუდანში(?) ეგრეთ შემკობით და ეგრეთ განცხრობით, ვითარცა აქაურნი თავადნი და აზნაურნი; ამისთვის, რომელ აზიასა შინა არა უწყვიან არცა ბაღისა და არცა სახლისა შემკობა ესრეთ დიდმშენიერად და ესრეთ გემოვნებით, ვითარცა აქ, და არცა საკვირველ არს. ვინაითგან აზია ღიახ შორს ჰსდგას განათლებასა შინა ევროპისაგან.

გამოვლენ ცხრა ვერსი და მარჯვნივ გავედით შარავხიდან მოკლეს გზაზე და ამისთვის ველარ გავსინჯე სოულად ესრეთი ძვირფასი გზა პეტერბულამდის.—სალამოზე შევეყარეთ კვალად ღიღს გზას პულკოვის სოფელთან, სადაცა ჰსდგას ახალი ჩემი როტა. 25 ვერსი.

7-ხა.—შევისვენეთ და მოველოდი როტის კომანდირს ფრო-
[ლოვს],¹⁹⁶ წასულს აქედამ ორენბაუში ჩასაბარებლად კამანდი[სა].
დღეს გავიცან აქ აფიცარი, გეარად ლეგერევი¹⁹⁷, რომელმან
ცა დაეპატრეო სადილათ.

11-ხა.—სალამოზე წაველ პეტერბულს. გზაზედ დამიღამდა. მრავალი ხალხი ირეოდა მშენიერს გზაზედ, რომელიცა ენზავსე-ბოდა ქალაქის ქუჩას.—შორს გამოჩნდა ცეცხლის ალი, რომელიცა ანთებდა ღიღსა სიერცესა.—ესე იყო პირველი ნიშანი პეტერბულის გამოჩენისა. ქუჩებში ანთებულნი უნრავლენსნი ფარნები გამოაჩენდნენ შორით ესრეთსა ცეცხლსა.

მეექვსე საათზე მიველ ღრაფ სიმონიჩის სახლში, რომელიცა იდგა ნეესკის პროსპექტზე დიდის კანუშნის დემუტის ტრახტირში. ლელშერტმა ¹⁹⁸ წამიყვანა სასეირნოდ ნეესკის პროსპექტზე.

12-სა. — დილით მოვიდა ღრაფის სანახავედ ბატონისშვილი ლუარსაბ¹⁹⁹, რომელთანაც წარმადგინა ღრაფმა. — აქედამ წავედით ბატონისშვილს ფარნაოზთან ²⁰⁰. რომელიცა ჰსდგას ფონტანკაზე. დიახ სიამოვნებით მიგვიღო ფარნაოზმა, რომელიცა არს დიახ კევიანი კაცი და დაგვპატიჟა შაბათს სადილად. აქედამ წავედით პრასკოვია ნიკოლაეფთან ²⁰¹, რომელიცა განკვირდა ფრიალ ჩემს ანაზღეულად მისვლას.

შუა დღილამ შვიდს საათზე წავედით თეატრში, იტალიანსკის ოპერა იყო, სადაცა დაგვატყვევა იტალიილამ ახალმოსულმა ქალმა, გვარად მორიკონი ²⁰², მშენიერის სიმღერითა; სკრიპკაზე უკრავდა სოლოს ბემი ²⁰³. ოხ! ვითარი ძლიერება აქვსთ ჩვენთა გრძნობათა ზედა სიმღერასა და მუზიკას. სმენა მათი ზოგჯერ აღმაფსებდა გა მოუთქმელითა სიხარულითა და საიდუმლოთა სურვილთა განაღვიძებდა გულსა შინა ჩემსა და ზოგჯერ წყნარად, ტკბილად დამაფიქრებდა, მაწუხებდა და წარსრულთა კინილა დავიწყებასა შინა დაფლულთა სიამოვნებათა, წმუხარებათა აღადგენდა და წარმომიდგენდა ცხადად გონებასა შინა ჩემსა; ხოლო სმენა რომელთაჲე ხმათა იყო დამატყვევებელ, რომელიცა ნახად გარეშემოეხვია გულსა ყოვლითა სიტკბობითა, ვითარცა ჯადო და გონება წარიღო შორს; მაშინ ქვეყნიერი აღარა მახსოვდა და არცაღა ვგრძნობდი თავსა ჩემსა! — სადა, რომელსა მხარეს ეიყავ მას თამსა? არ ვიცი! გამოფხიზლდი ანაზღეულად და ვიბილე ფარდა ჩამოშვებული და ყოველნი მხილველნი გროვდებოდნენ კარებთან გასასვლელად. წყნარის სიამოვნებით (რომელიც იგრძნობების და ვერა ითქვის) აღვსილი აღვსილქეგ და გამოველ თეატრით. — ბემო და მორიკონო! არ დაგიფიწყებთ, ვიდრე ვარ ცოცხალ!

18-სა. — თვინიერ ყოვლისა საგნისა დავიდოლი და ვჰსჩერეტდი ნეესკის პროსპექტზე უმრავლესთა ხალხთა, ვითარცა განგებ შეკრებილთა, ქვეითად, დროშკით, კალასკით, კარეტით, სანებით მიჰოვალთა.

სადილი ვსჯამეთ მეოთხეს საათზე. სანთლები გვენთო სადილზე, ასე აღრე ლაქდება აქა.

წავედით პატარა თეატრში, სადაცა იყო „კარლ მეთორმეტე“ ²⁰⁴, წარმოდგენა, მაგოამ არ იყო მოსაწონი.

14-ბა.—მესამე საათზე წავედით სადილათ ფარნაოზ ბატონის-
 შვილთან. რომელმანცა წარმადგინა თაქის მეუღლას ანნასთან²⁰⁶; გა-
 ვიციან მისი ქალები—სალომე და ელენა²⁰⁶. აქავე ვნახე ბატონის შვი-
 ლები ანასტასია და რიფსიმე²⁰⁷. ყველამ სიამოვნებით მიმიღეს.
 მეშვიდეს საათზე, ჩემის თხოვნით, გაპოყევა ნიკოლაი დავითიძე²⁰⁸
 [ჩე...(?)] იმერეთის დედოფალს მარიამთან²⁰⁹, რომელმანცა მისაყვე-
 დურა, რომ რატომ პირველად არ მოველ მისდა.

15-ბა*.—პირველს საათზე, წირვის შემდეგ, წაველ კვალად დე-
 დოფალთან, შემდეგ დარია სეპენოვნასთან,²¹⁰ რომელმანცა მიმიწ-
 ვია სადილათ, მაგრამ, რადგან დედოფალმან აღრევე მიბრძანა.
 ვეღარ დავსდევ. სადილათ მიველ დედოფალთან და დავსხედით
 ჩვენ მარტო ორნი და მესამე მის მოლარე, მოხუცებული დედაკა-
 ცი.—დედოფალი არის ფრიად საამურის სახისა, ეტყობა დიდკა-
 ცობა და არს მხიარულის გულისა და ჰკვიან, ტკბილმოუბარი.—
 სადილს უკან აღარ გამომიშვა დიდს ხანს.

სერღეი ჩილაევი²¹¹ აქ ვნახე ანაზდეულად. მამა იონა²¹² გავი-
 ცან აქვე.

პ ე ტ ე რ ბ უ რ ღ ი

პეტერბურღი ძვეს ორსავე მხარეს მდინარისა ნევისა, რომლისა
 თერთმეტნი ტოტნი შეადგენენ ათს კუნძულს.—ქალაქსა ამას სიმგრ-
 ველე აქვს 34 და საშუალი სიგრძე 9 ვერსი. იგი განიყოფების 12 დიდ
 ნაწილად, რომელთაგანსა თვითოეულსა ჰყავს უფროსად ჩასტნის
 პრისტაევი, და 54 კვარტალად, რომელთაცა ეგრეთვე ჰყავთ თვი-
 თოეულს ზედამხედველი პოლიციის ჩინოფნიკთაგანი. სამი ათასამ-
 დის ქვითკირისა და ხუთი ათასთ ხის სახლთა შინა ჰსცხოვრებენ
 ოთხას ათასამდის მცხოვრებნი—ესოდენთა უპრაველესთა შერობათა
 განჰყოფენ ოთხას ოთხმოცდასამი ქუჩანი და ას სამოცდაშვიდი
 ხიდნი,—ზოგნი თუჯისა და ზოგნი გრანიტისაგან,—შეაერთებენ

* „15 სა“—ამის შემდეგ ავტორს გამოტანის ნიშანი დაუსვამს და სქოლიოში
 მოუწერია: წაველ „წიოვანზე კახანაყის სობოროსში. აღწერა სობოროსი“. მაგრამ
 ამ აღწერის აქ ჩამატება მიზანშეუწონლად ვცანით. ამის შესახებ იხ. აქვე—„კახან-
 აყის სობოროს“ აღწერა, გვ. 230.

მდინარეთაგან განყოფილთა უშორესთა ქალაქის ადგილთა უმთავრესთა მის ნაწილთა თანა.

რუსის ეკლესიანი არიან ას ჩვიდმეტნი და სხვათა სარწმუნოებისანი ოცდარევა.—ცხრა აკადემია და მსწავლულთა საზოგადოობა მსკდილობენ განვრცელებასა მსწავლათასა. დიდი პუბლიჩნის ბიბლიოტეკა (თუმცა სხვათა მცხოვრებთაცა აქვსთ ჩინებულნი ბიბლიოტეკანი) და უძვირფასესი ბუნებითის კაბინეტი შეამსუბუქებენ შრომათა მსწავლულთა.

ორმოცდაათს პუბლიჩნის, სახელმწიფოს ხარჯით, სასწავლებელთა შინა, რომლისა თაეი არს უნივერსიტეტი, ყმაწვილნი მსწავლობენ უფულოდ. ერთსა შინა მათგანსა ათასზე მეტნი მოწაფენი ირიცხებიან და სხვათა შინა მსწავლობენ მრავალნი ასნი. გარდა ამისა, კვალად არს ორმოცი პანსიონი, რომელნიცა ეკუთვნიან სხვადასხვათა კაცთა.

თოთხმეტნი ღოშპიტალი და ბოლნიცა არიან სახელმწიფოს ხარჯზე, სადაცა მრავალნი ათასნი სნეულნი ჰპოებენ უფულოდ განკურნებასა და აკურთხებენ სახელსა მათ მფარველისასა. ორას ორმოცდათექვსმეტი ფაბრიკა და მანუფაქტურა არს აქა, სადაცა გლახაკი ჰპოებს მუშაობასა და საზრდოსა თვისსა.

სამი ათასი ფანარი ზამთარში ყოველს ღამეს ანათებს უმთავრესთა ქალაქის ნაწილთა და ორას სამოცდაექვსი ბუტკანი და ცვისათვის წესისა და უშიშროებისა ქუჩათა შინა არიან გარიგებულნი.

პირველს ნიშანზე რომელსამე სახლში ცეცხლის მოკიდებისა, მაშინვე მორბიან ყოველს ქალაქის ნაწილიდამ მისაშველებლად, ათას ხუთასამდის კაცი ასის დიდროანის ცეცხლის გამაქრობელის ჯრუბებით.

ვისაცა მსურს ბილგა ამა დიდშემკობილისა და უმწვენიერებისა ქალაქისა,—აღვიდეს ქალაქის კოშკსა ზედა და გადმოხედოს მუნით. ვითარი დიდებულებითი და სააპო სახილველი წარმოუდგების წინაშე თვალთა! ერთის შეხედვით იხილავს დიდებულად ნევის მდინარეობასა, მის ტოტებით და კუნძულებითურთ, სადაცა არს მწვენიერად გაკეთებულნი ბაღნი და საღბინო სასახლენი მცხოვრებთა.—პირველად იხილოს პეტროვისკის კუნძული, მის ღამაზის ტყითა, რომლისა ახლოს მსჩანს კუნძული კრესტოვისკისა, სადაცა უყვარსთ ღბინი, სეირნობა აქაურთა მოქალაქეთა; მის იქით კუნძუ-

ლნი: ელაღინი, კამენნი, მშეენიერისა სასახლით, სადაცა ზაფხულ გაბრძანდებიან ხელმწიფის გვარობა, ხოლო მარჯვნივ, მის უშორეს, ფრიად შემკობილნი ბაღნი ღრად სტროლონოვისა²¹³. პირდაპირ ჰსჩანს ციხე მის ოქროთ დავარაყუებულით სამრეკლოთი; მარჯვნივ ანბარები პურისა და პენკისა; დიდროანნი შენობანი ღოშპიტალთა, მედიკობიურლიჩესკის აკადემიითურთ; კვალად მარჯვნივ ჰსჩანს ღრად ბეზბოროდკოს²¹⁴ ბაღი და სოფელი ოხტა; წინ ტავრიჩესკის სასახლე ჩინებულითა თალითა და ბალითურთ; ახლოს მისა კავალერლარდის და პრეობრაჟენის კაზარები და ინსტიტუტი კეთილშობილთა ქალთა. მარჯვნივ, მის უშორეს, პატიყსაცემი მონასტერი ალექსანდრე ნევესკისა. როდენმე უშორეს წარპოუდგების თვალთა, ფრიად სააპურსა ველსა ზედა ტყითა, აშენებული ძველებურ გვარად სალხინო ციხე ჩისმა, სახსოვრად ძლევისა ოსმალთა ზედა ღრად ორლოვისა²¹⁵ მიერ. მის იქით ჰსჩანს პულკოვის გორაკებნი. კვალად მის მარჯვნივ შენიშნავთ უმშეენიერესთა შრავალთა საზაფხულო სახლთა პეტერლოვის გზაზე, მონასტირსა წმიდის სერგიისა და სალხინოს ციხეს სტრელნას, რომელიცა ეკუთვნოდა განსვენებულს დიდს თავადს კონსტანტინეს²¹⁶; მის უკან დუდოროვსკის მთას, რომელიცა არს ამა ფრიად ვრცელსა მინდორსა ზედა მხოლოდ ერთი და, დასასრულ, ნათელს დღეში იხილავთ სალხინოთა ციხეთა: პეტერლოფს, ორანიენბაუმს და მის პირისპირ კუნძულს კრონშტადტს.

მდინარენი, პეტერბულისა განმყოფელნი ნაწილ-ნაწილად, არიან ესენი: 1) დიდი ნევა, 2) პატარა ნევა, 3) დიდი ნევა, 4) პატარა ნევა, 5) მოიკა, 6) ეკატერინსკის არხი, 7) ფონტანკა, 8) კრუჟოვი ანუ ნიკოლსკის არხი, 9) ქალაქის თხრილი, 10) ლილოვის არხი. 11) შავი წყალი, 12) კარპოვკა, 13) პრიავკა და 14) ტარანოვკა.*

[პირველი ადმირალტეისტვოს ნაწილი]**

პირველი ადმირალტეისტვოს ნაწილი დაიწყების საზაფხულო ბალითგან და გავრცელდების ნევისა და მოიკას შუა, ვიდრემდის მოიკა შეერთდების ნევას, და არს უჩინებულესი და უმშეენიერესი

* ამ ტექსტის დასრულებას შ მდეგ სქოლიოში წერია: „წირვაზე შესვლა“.

** ზელნაწერში დღიურის ამ ნაწილს სათაური არ აქვს.

ნაწილი ქალაქისა. აქ არს მეიდნები: მარსოვის ველი. ანუ ცარც-
 ცინის მინდორი, დიდი, მშვენიერი სასახლის მეიდანი, რომელიცა
 შვერატდების ისაკიევის და პეტროვის მეიდნებთან: პუბლიჩნის
 ძეგლნი (ПАМЯТНИК): 1) სტატუი პეტრე დიდისა, 2) სტატუა სუფო-
 როვისა²¹⁷, ნევის ნაპირზე. მარმარილოს სასახლისა და თავადის
 სალთიკოვის²¹⁸ სახლს შუა; კლუბნი არიან: 1) დიდი მეშჩანსკის
 კლუბი—ბულვარის პირისპირ, 2) პატარა მეშჩანის კლუბი ისაკი-
 ევის მეზღანზე, 3) დიდი სატანციო კლუბი—ნევესკის პროსპექტზე,
 4) ვაჟრების კლუბი—ანგლის ნაბერეჟნაზე; ხიდნი: 1) ნევაზე: ისა-
 კიევის ხიდი, ტროიციისა ანუ პეტერბულის ხიდი, 2) მოიკაზე: მი-
 ხაილოვისა, კონუშენისა, მწვანე ანუ პოლიციისა, წითელი, ლურ-
 ჯი, კოცნისა და ანგლის ნაბერეჟნასი. 3) კრუკოვის არხზე: კრუ-
 კოვის ხიდი; უმთავრესნი ქუჩანი: სასახლის ნაბერეჟნა, დიდი მილ-
 ლიონისა, პატარა მილლიონისა, დიდი ნევესკის პროსპექტი, დიდი
 მორსკისა, პატარა მორსკისა, ღორხოვისა, ანგლის ნაბერეჟნისა
 (დალერნის), დალერნის ქუჩა, კრუკოვია პერეულოკი, ლოლლანდის
 ნაბერეჟნა, აგურის ქუჩა და სხვანი მცირედნი.

მეორე ადმირალტეისტვოს ნაწილი

ძვეს მოიკასა და ეკატერინის არხის შუა და დაიწყების საზაფ-
 ხულო ბაღთან კრუკოვის, ანუ ნიკოლის არხამდის, დიდს თეატრ-
 თან და ნიკოლის საყდრამდის. აქ არს მეიდნები: დიდი მეიდანი
 დიდს თეატრთან, კაზანსკის სობოროს წინ და ნიკოლის საყდრის
 წინ; აქ არს ანგლის კლუბი წითლისა და ლურჯის ხიდთ შუა და
 არს უძველეს პეტერბუღში; ხიდნი ეკატერინის არხზე: კანუშენის
 ხიდი, კაზანისა, კაშენისა, ანუ ქვისა, კაკუშკინისა, ვოზნესენსკისა,
 ხარლამოვისა, ალარჩინისა; ნიკოლის არხზე: კანალისა, აფიცერი-
 სა, ტორლოვისა და კაშინისა; უმთავრესნი ქუჩანი: დიდი და პა-
 ტარა მეშჩანისა, ვოზნესენსკის პროსპექტი, სტოლიარნისა, ახალი
 პერეულოკი, დემიდოვის პერეულოკი, კონნისა, კრივისა. აფიცე-
 რისა, ფონარნისა, პრაჩჩინისა, ტორლოვისა და ნიკოლის პერე-
 ულოკი.

მესამე ადმირალტივისტვოს ნაწილი

ძვეს ეკატერინის არხისა და ფონტანკას შუა. მიხაილოვსკის ზამკილამ კრუკოვის არხამდას. მეიდანნი: 1) სენნოი (ანუ თივის), 2) ტოლკუჩი რინოკი, აპრაკსინის²¹⁹ სახლთან, 3) ნიკოლის რინოკი, 4) ობუხოვის, 5) სემენოვსკის ხიდებთან, 6) მიხაილოვსკის ზამკის წინ; პუბლიჩნის სტატუანი: პეტრე პირველი ცხენზე, მიხაილოვსკის ზამკის წინა; ხიდნი ფონტანკაზე: 1) პრაჩეჩნისა, 2) სემიონოვისა, 3) ანიჩკისა, 4) ჩერნიშოვისა, 5) სემენოვსკის, 6) ობუხოვის, 7) იზმაილოვისა და 8) კალინკონისა; უშთავრესნი ქუჩანი: ნევსკის პროსპექტი, დიდი და მცირე სადოვისა, ლაროხოვის პროსპექტი; (პერეულკები) ანიჩკოვისა, ჩერნიშოვისა, მუჩნოი, სპასკოისა და ვონნოი; ობუხოვის პროსპექტი, ვოზნესენსკის პროსპექტი, დიდი და მცირე პოდიაჩესკის ქუჩები და სხვანი მცირედნი.

მეოთხე ნაწილი ადმირალტივისტვოსი

ძვეს საშუალ კრუკოვის არხისა, მოიკისა და ფონტანკისა და არს უმცირესი ნაწილი ქალაქისა, რომელსაცა უწოდებენ კოლომნად. აქა არიან ხიდნი 1) კრუკოვის არხზე: კანალნოი, აფიცერსკი, ტორლოვოი, კაშინი, ნიკოლსკი და სემენოი. 2) ეკატერინის არხზე: პიკალოვ, ალარჩინ და პატარა კალინკინი. 3) ფონტანკაზე: დიდი კალინკინი. 4) პრიაეკაზე: კუზნეჩნოი, ბანნოი და მატისოვსკოი. 5) მოიკაზე: სუხარნოი და ხრაპივოცკი; ქუჩანი დიდს კოლომნაში: აფიცერსკისა, ტორლოვისა, პეტერლოვის პროსპექტი, მიასნოი, ანგლისკის პროსპექტი და სხვანი მცირედნი; პატარა კოლომნაში: კანონერსკისა, წიროკი, პრიადილნისა, პაკროვისა, და სხვანი მცირედნი ქუჩანი.

ნარვსკის ნაწილი

ძვეს ობუხოვის ხიდით მარჯვნივ ფონტანკისა და ქალაქის მექას შუა ეკატერინოლოვამდის და ტარანოვკამდის. მეიდანნი: ორნი დიდნი უჩენისათვის, რინოჩნის მეიდანნი კალინკინის ხიდთან. სამნი ხიდნი არიან გადებულნი ტარანოვკაზე: ქუჩანი: ნოვია მესტა, სერედნია, კუზნეჩნა.

მოსკოვის ნაწილი

შეიცავს ადგილს—ჩრდილოეთით საშუალ ფონტანკის, ქალაქის თხრილისა და მოსკოვის ქალაქის კარებთან -დასავლეთით, და ანიჩინის ხიდს შუა—აღმოსავლეთით. უმთავრესნი ქუჩანი: 1) დიდი პროსპექტი—ანიჩოვის ხიდიდამ ლილოვის] არხამდის, 2) ვლადიმირსკისა, 3) ბოლშია აფიცრისა, 4) ბოლშია სრეჟნაა, 5) ნაბერეჟნა და მოსკოვის პროსპექტი ობუხოვის ხიდიტვან ქალაქის კარებამდის.

ღიტეინის ნაწილი

განგრძელდების ანიჩოვის ხიდიდამ და ლილოვის არხიდან ფონტანკის სიგრძეზე ნევამდის და ტაერიჩესკის სახან[ლემდის]. აქ არს მეიდანნი: 1) სენნაა. ლიტეინი სახლთან, 2) დიდი მეიდანი, სადაცა ასწავლიან სალდათთ პრეობრაჟენის კაზარპებთან; ქუჩანი: ლიტეინაა, ვოსკრესენსკაა და სხვანი მცირედნი.—ნაწილი ესე ქალაქისა არს უმაღლეს მღებარეობით თვისითა სხვათა ზედა და ჰაერი-თაცა არს უმთელეს.

როჟდენსტვენის ნაწილი

ძვეს საშუალ ლილოვის არხისა, მარცხნივ დიდის ნევსკის პროსპექტისა და ნევისა. აქა არს უმთავრესნი ქუჩანი ნევსკის პროსპექტი და ვოზნესენსკის ნაბერეჟნა.

კარეტნისა, ანუ იამსკის ნაწილი

ძვეს ნევსკის პროსპექტით მარჯვენვ, ლილოვსკის არხსა და ნევის შუა, დიდს მოსკოვის ქუჩამდის.

ვასილიევსკის ნაწილი

მთელს ვასილიევსკის კუნძულს ლალერნის (ღაენით) შეიცავს. პუბლიჩნის მეიდანნი: 1) ბირჩისა და კოლლეღის შუა, 2) პირფელის კადეტსკის კორპუზისა და აკადემის ხულოეესტვოს შუა, სადაცა ჰსდგას რუმინცოვის²⁰⁰ ობელისკი, 3) მეოცე ლინისა და ლა-

ლერნის (ლაენის) შუა, სადაცა ხშირად არის მანევრები, 4) ვრცელი (რინოკი) დიდს პროსპექტზე, რომელსაცა უწოდებენ ანდრეევსკად; ხიდნი: ისაკიევსკისა, დიდს ნევაზე, 18 პლაშკოტზე, ტუჩკოვისა, პატარა ნევაზე და სამნი ხიდნი შავს წყალზე; უმთავრესნი ქუჩანი: სამი პროსპექტი—დიდი, საშუალი და მცირე, რომელთაცა განჰყვეთს ოცდაოთხი ლინია, რომელთაცა შუა ძეგს განიერნი და სწორე ქუჩანი.

პეტერბურლის ნაწილი

ესე არს მთელი კუნძული, სადაცა არს ციხე პეტრე-პავლოვსკისა, პატარა სახლი პეტრე პირველისა და სხვანი მრავალნი მდიდარნი შენობანი. ხიდნი: პეტერბურლისა, 35 პლაშკოტებზე, ვიბორლსკისა, კამენო ოსტროვისა, კარპოვსკისა, სამპსონოვსკისა და პეტროვსკისა, რომელიცა წარიყვანს პეტროვის კუნძულში; ქუჩანი: დიდი პროსპექტი, ბერძნის პროსპექტი, პატარა პროსპექტი, დიდი ლრებეკი, დიდი ზელონი, დიდი ნიკოლის ნაბერეჟა, დიდი პუშკარსკისა, დიდი რაზნოჩინისა, დიდი დგორიანსკისა და კონნია.

ვიბორლის ნაწილი

აქ არს დიდრონი ლოშპიტლები, სახომალდო (ვერფ) და სხვანი დიდროანი შენობანი და არს ქუჩა უმთავრესი სამპსონსკისა.

1820 წელსა პეტერბურლსა შინა ირიცხებოდა ლუქნები ბირგასთან 243, სარდაფნი 17 და 10 (პაკლაუზი), სხვადასხვათა ქალაქის ნაწილთა შინა (რინკა) 9, რომელთა შინა იყო 549 ლუქნები; გოსტინის დგორში—309 ლუქანი, აპრაკსინის დგორში—210 და შჩუკინის დგორში—265 ლუქანი; წიგნების ლუქნები—30, სამათემატიკო იარაღის მალაზეინები—7, მოდნის მალაზეინები—60, სხვადასხვა ფარჩისა და ლუხების მალაზეინები—70, კანდიტერების ლუქნები—34, პორტერას—38, თამბაქოსი—150, თავისუფალნი აფთეჟანი—32, ლეინის სარდაფები—262. ტრახტირნი—46, პიტეინიე (სასმელი) სახლები—102, არაყის ლუქნები, სადაც შტოფებით ჰსყიდიან—42, ხარხენა—101, სახალხო აბანო—24.

აღწერა ღირსსახსოვართა სახილველთა ამა ქადაქსა შინა

კახანსკის სობორო

15-ს ნოემბერს, 1881 წელს.* პირველი ჰაზრი ამა დიდმშვენიერისა სობოროს აღშენებისა იყო პაულე ხელმწიფისა, რომლისა სიკვდილის შეპდევ, 1801 წელსა, განსვენებულმან აღექსანდრე იმპერატორმან თავისის ხელით დასდვა საძირკველსა შინა პირველი ქვა, და შემდგომად ათისა წლისა, ესე მშვენიერი და ძვირფასი ტაძარი შესრულდა; 15-ს სექტემბერს 1811 წელი აკურთხა მიტროპოლიტმა ამბროსიმ.²²¹

ნეესკის პროსპექტის მხარეს ჰსდგანან 132 სვეტნი და წარმოადგენენ ნახევარ სიშვერგლეს, რომლისა ჰსწორე სიგრძე არს 40 საენი. სვეტნი ესე არიან სიმაღლით 42 და სისქით 4 1/2 ფუტი.*²² ნეესკის პროსპექტიდამ დიდს შესაველთან ჰსდგანან ეგრეთვე ოთხნი მაღალნი ბრონზის სტატუანი: მოციქული ანდრია პირველწოდებული²²², იოანე ნათლისმცემელი²²³ და დიდნი თავადნი—ვლადიმერ და აღექსანდრე ნეველი. ესე ყოველნი ჩამოუსხაჰს პროფესორს იაკიმოვს. კვლად დიახ უცხო სანახავია დიდი მშვენიერი კარი, ეგრეთვე ბრონზისა, რომელსა ზედა გამოსახულ არს სხვადასხვანთ საგანნი და ბ ა დ ე ბ ი დ ა მ. —სიმაღლე საყდრისა ჯვართურთ არს 33 საენი და რვა გრე.—შინაგანი საყდრისა შენობა, ვითარცა სხვანი რუსეთის ეკლესიანი, არს ჯვარედინად: სიგრძე—34, სიგანე ორთა კარებთ შუა 26, და დასავლეთის მხარეს—12, ხოლო სიმაღლე თალამდის—26 საენი. თალის სიგანე 9 საენი არს და შემკობილ

* როგორც ავტორის მინაწერებიდან ჩანს. მას სურდა „კახანსკის სობოროს“ აღწერა ჩემატებინა 1831 წ. 15 ნოემბრის დღეურში (იხ. აქვე, გვერდი 223), სადაც უპაარაკია წირვაზე წასვლის შესახებ. მაგრამ ეს ჩვენ შესაძლებლად ვერ ვცანით, რადგან თხრობის თანმიმდევრობა დაირღვეოდა.

საერთოდ კი, რადგან ამ აღწერის დროს ავტორს არავითარი თანმიმდევრობა არ აქვს დაცული და თანაც ხელნაწერის ფურცლები არეულია, ჩვენ საჭიროდ ვცანით გარკვეული თანმიმდევრობით დაგველაგებინა ეს მასალა და მსგავსი აღვილების აღწერილობანი ერთად მოვეთავსებინა, მაგალითად, აღწერანი მონასტრებისა, სასაზღვებისა, ინსტიტუტებისა და სხვ. ** ამის შემდეგ გადახაზულია უაჩქარო ნაწერი: „მაღალნი ბრონზით ჩამოსხმულნი სტატუანი—გაბრიელ და მიხეილ მთავარანგელოზნი—ჰსდგანან („ჩამოსხმულნი ბრონზითა სდგანან“—მეორედბა—ჯ. კ.) ღრანიტის პიედესტალზე. ორსავე მხარეს ამა სტატუათა!“.

16 პილასტრით კორინთულის ორდენისა. ამას ზედა არს ამალღებული თავი ჯვრითა, რომელიცა არს დიახ სქლათ დაფერილი ოქროთი.

შინაგანი შეშკობილება აზა ეკლესიისა ცთანხნების გარეგანსა მისსა დიდებულებასა.—ვინ არა განჰსცვიფრდების, იხილავს რა 56 მთელის გრანიტისაგან სვეტთა, მშენებრად გარანდულთა. სამეფო კარი და გავლებული მოაჯირი კაზანის ღმრთისწობლის წინ არის მთლად ჩამოსხმული ევრცხლისა. ღმრთისწობლის შეშკობილება არს დაფასებული ასი ათას რუბლად.—სამეფოს კარს ზემოთ არს ევცხლისეე, ფრიად მძიმედ ოქროთ დაფერილი სხივი, სახელითა უხილავისა და ყოვლად საუკუნოისა, შეზაგებული უძვირფასესთა ქვათაგან.—კანკელის წინ უმთავრესისა ტაძრისა ჰსდგანან ოთხნი ევცხლისა დიდროანნი (კანდელაბრნი) შანდლები.—ხელმწიფის სადგომი არს მარჯნიე მზარეს და გაკეთებულ სხვადასხვაფერ მარმარილოთი, გადაკრული მწვანეს ხავერდით, მძიმედ ოქროს ნაკერით და მას ზევით ოქროს ასოებით ჰსწერია (Сердце царя во руце Божий), ანუ „გული ჰეთისა ხელთა შინა ღმრთისათა“.—ამის პირისპირ არს ადგილი მქადაგებელისათვის, რომელსა ზედა არს დაწერილი (Придите чуда, послушайте меня, страху Господню и вычю нас), ანუ—„მოვედინ, შეიღნო, ცხინეთ ჩენი, შიში უფლისა გასწაოთ თქვენ“. საყდარი არის მოკირწყლული სხვადასხვა ფერის მარმარილოთი მოზაიკურად.—ამა ეკლესიის აშენებაზე არს დახარჯული ოთხი მილიონი და ორას ათასი რუბლი.

აქავე არს მრავალნი დროშანი, წართმეულნი ბრძოლასა შინა 1812 და 1814. ას შვიდი ბაირადი არს ფრანკუზებისა და შვიდი ყიზილბაშების. ოცდარვა ციხის გასაღებნი და დაეუს²²¹ საზარშლო კვერთხი არს მარცხნიე სვეტზე.

და, დასასრულ, მიველ პატივსაცემლად თავადის კუტუხოვის-სმოლენსკის²²⁵ საფლავისა, რომელმანცა განათავისუფლა რუსეთი ბონაპარტის შემოსვლისაგან. უნებლიეთ ამოვიოხრე და ვჰსაქვი: აჰა, სოფლისა ამოება.

ღონის ყაზახთა შენკოჰსწირეს აზა ეკლესიასა 40 პუდი ვეცხლი, რომელიცა წაართვეს ფრანკუზთა ზოსკოგიდამ დაზრუნების დროს. ამა ვეცხლიდამ ჩამოასხმენ ოთხთა ზახარობელთა და შეამკობენ ამავე საყდარსა. ჩინებულს ხელოსანს პროფესსორს მარტოსს დაუწყებია უკვე ამის მუშაობა.

მონასტერი წმიდისა აღექსანდრე ნეველისა*

ამა მონასტრის აღსაშენებლად პეტრე პირველმან აღმოაჩინა ადგილი ნევის კიდესა ზედა, რომელსაცა ეწოდებოდა ვიკტორია (ძლევა); ამისთვის ჰგონებდნენ, რომელ ამა ადგილსა დიდმა თავადმა აღექსანდრემან²⁸, 13-სა საუკუნეს ნახევარს, ჰძლია სპათა შვედისა და დათსკისა, ერთად შეერთებულთა.

პირველი შენობა ამისი იყო ხისა, ხოლო 1716 წელსა აღაშენეს ქვითკრისა. — პეტრე პირველმან გარდმოატანინა 1724 ნაწილი წმიდისა ამის ვლადიშერის ქალაქით, როდენსტვენის მონასტრით. იმპერატრიცა ელისაბედმან 1750 წელსა შეაპკო კუბო [рассы(?)] ვეცხლითა 3600 ფუნტი, რომელიცა შიილო პირველად კოლივანსკის მადნიდამ. — ხოლო აწინდელი ესე დიდშეგნიერი, და უძვირფასესი ეკლესია აღაშენებინა ეკატერინა ნეორევი (ზოდჩის) სტაროვის²⁹ ჰლანით 1750.

მონასტერსა ამას გარეშე ავლია კედელი. აქ არს ვრცელი ბაღი და სასაფლაო. — ძველს ხარებობის საყდარში ნარხია მრავალნი მეფის ასულნი და პეტრე პირველის ძე, სამის წლისა. სხვათა ჩინებულთა კაცთა საფლაოთა შორის ჰსჩანს სუეოროვისაცა, რომლისა საფლაოთან ზემოთ არს ბრონზის ფიციარი მიკრული კედელზე და ჰსწერია დიახ მარტივად: აქა ძევს სუეოროვი. — ვინ არ გაჰსცვიფრდება! ვინ არა ჰსცნობს ამა სოფლის ამოებბას. იხილავს რა ესრეთსა მამაცსა მტერად გარდაქცეულსა.

დიდს მონასტრის საყდარსა შინა არს მრავალი ძვირფასი სანახავი და მათ შორის აღექსანდრე ნეველის გვირგვინი და პეტრე პირველისა კრაოტი, რომელსა ზედა ებრძოდა სიკვდილს და განუტევა სული. — სიკვდილის ჟამსა ჰსთქვა გარეშე მის მღვდმარეთა: „ჰსცანიოთ ჩემგან, თუ ვითარ არს გლახაკ კაცი!“

ამ მონასტერსა შინა არს აკადემია და სემინარია, რომელთაცა შინა მოწაფეთა აჰსწავლიან და ახზადებენ სანდღელოდ.

* სათაურის ქვემოთ გადაბაზულია ფანქრით ნაწერი: „უწინ ამა ადგილსა ვიკტორია“.

სმოლნის მონასტერი

ჰსდგას ნევის კიდესა ზედა როჯდესტვენის ნაწილში, და არს აღშენებულ იმპერატრიცა ელისაბედის მიერ 1748 წელსა, ხოლო უმეტეს განვრცელებულ და გაწყობილ ეკატერინე მეორისაგან, რომელმანცა დაუნიშნა მილლიონნახევარი ამ შენობის შესანახავად. პაელე იმპერატორმან, ვითარცა სმოლნის მონასტერი და ეგრეთვე სხვანი ვოსპიტატელნის და საკეთილმოქმედონი სახლნი, მიაბარა მეულასა თვისსა წარია ფედოროვნას²²⁸. და, მართლიად, ვის ჰშეენის უმეტეს მფარველობა და მოღვაწება გლახაკთა, უძლურთა ყრმათა, თუ არ თვით ღედას იმპერატრიცას?

ხუთასნი ყმაწვილნი ქალნი (რომელთაგან სამასნი არიან კეთილშობილნი და ორასი მეშჩანისა) იზრდებიან ამა მონასტერისა უფრცულესთა შენობათა შინა. ივინი განწყობებიან სამ კლასსად, და უნდა დაჰყონ ამ ინსტიტუტში (სასწავლებელში) კეთილშობილთა ქალთა ცხრა წელიწადი, ხოლო მეშჩანისა—ექვსი წელიწადი, გამოუშვებლად თავის სახლში.

ყოველს სამს წელიწადს გამოუშვებენ ასთა ქალთა, რომელთა ნაცვლად მიიღებენ ეგოდენსავე რიცხვსა კენჭისყრით; ვინათგან მრავალნი აძლევენ ქალთა თვისთა სასწავლებლად, ესრეთ რომელ გარდმეტობს რიცხვი მსურველთა დადებულობის რიცხვსა, და ამისთვის კენჭისყრით ვისაც ერგება, იგი იქმნების მიღებული.

რადგანაც ძველი სასწავლებელი შეიქმნა შემდგომად ფრიად ვიწროდ, ამისთვის მარია ფედოროვნამ* აღაშენებინა ძველთანვე სხვა ახალი. ფრიად ძვირფასი და შემკობილი.—წინა მხარეს აქვს სივრცე ასი საფენი და უბნობენ, ვითომც აშენებაზე დახარჯულა 800,000 რუბლი.

ძველს სასწავლებელში დაჰშონენ მეშჩანის და ვოენნოსიროტსკის სახლის ქალნი და ეგრეთვე ლაზარეთი.

ვითარცა კეთილშობილთა ქალნი, ეგრეთვე მეშჩანისაცა ჰსწავლობენ ერთგვარად ჰსწავლათა და ხელსაქმეთა და არა აქვსთ არავითარიმე განსხვავება გავდილობასა შინა, მხოლოდ გარდა ამისსა. რომელ მეშჩანის ქალთა არა აჰსწავლიან მუზიკას.

* ხელნაწერშია: „ფედოროვმან“.

ქალნი ესე, განყოფილნი სამ კლასსად, არიან განსაკუთრებია ზედამხედველობასა ქვეშე ოსტატთა ქალთა. თეთრი, ცისფერი და მწვანე ლენტი განარჩევენ კლასებთა. ყოველს წელიწადს 210,000 რუბლი ეხარჯება ხაზინას ამის შესანახავად.

ციხე

პეტრე პირველმან დააწყო საძირკველი ამა ციხისა თავის დაბადების დღესა — 30-ს მაისს 1706 წელსა, ბლონდელის, ვოზანის და პალანისა²²⁹ პლანზე. პირველად იყო ზედამხედველი მუშაობისა იტალიანელი ანდრეი ტრესსინი²³⁰; გარნა შეასრულა ინგენერის პოლკოვნიკმა მინიხმა²³¹ 1740 წელსა. — ეკატერინა მეორემან გრანიტით ამოატანინა ის მხარე, რომელიც არს ნევისკენ. — შიგნით დივთა, ლამაზთა კარებთა შინა მარცხნივ არს ნიშანი, რომელსაცა ზედა არს დანიშნული უწინდელი წყალის ადიდება და ამალღება.

აქ არს სობორო წმიდათა მოციქულთა — პეტრე და პავლესი²³², რომელიცა არს აღშენებულ ეგრეთვე პეტრე პირველისაგან. — სამრეკლო არს სიმაღლით 55 საგენი, რომლისა თავი არს ოქროთ დაფერილი: 2814 ოქრო დახარჯულა დაფერვაზე.

თვით საყდარშია მარხიან ხელმწიფის გვარნი, უფრო პეტრეს სახლიდამ, გარდა პეტრე მეორისა, რომელიცა არს დამარხულ მოსკოვში. — აქა არს ერთი საფლავი, რომელიცა მიიზიდაეს გულსა და თვალთა აქ მოსულისას და ჰყოფს ადგილსა ამას უწმიდესად. ესე არს საფლავი პეტრე პირველისა. და ვინ არ თაყვანსა პსცენს მას? ეკატერინე მეორემან დასვა თავის ხელით საფლავსა ამასთან ოსმალოს ბაირალი (დროშა), ღრავ ორლოვისგან წართმეული 1772 წელსა ძღვევითა არხიპე[ლალის(?)] ოსმალთა ზედა. — იმპერატორს ალექსანდრეს დაუკრვენიებია მის კუბოს თიცარზე მგელადი 1803 წელსა, სადღესასწაულოდ ასის წლის პეტერბურლის აშენებისათვის მოგონილი.

საყდრის შიგნით სამს კედელზე ჰკიდიან ღროშანი, რუსის პხნობის გამომაჩენნი, ოსმალოსი, პრუსიისა, პოლშისა და ფრანკუზიანნი, და სხვადასხვათა ციხეთა გასაღებნი ეგრეთვე შეამკობენ კედელთა. აქ არს კვალად პატარა შავი პური, რომელიცა მოართვეს ვარშაველთა გასაღებითურთ სუეოროვს 1794 წელსა.

ვინ არ განჰკვირდების და ვინ არ იხილავს სიამოვნებით ნამუშავარსა ყოვლად ძლიერისა ხელმწიფისასა, ხელავე¹ ორთა დიდთა სპილოს ძელის გამოქრითა (პანიკადილთა), რომელნიცა არიან ჩამოკიდებულ საშუალ საყდრისა: ესე არს საქმე პეტრე ხელმწიფის ხელთა. ვარდა ამისსა, დიდის პანიკადილის ვაშლში, ანუ ბურთში, არს ოთხი მედალი, სახსოვრად ღირსდიდებულთა საქმეთა მის მეფობისათა. ეგრეთვე მის მიერ არს გაკეთებულ, და კვალად ძელისა, ტაძრის ჯვარი.

დაუტევე რა დიდებული სობორი ესე, წარმოუდგების თავალთა მონეტნის დგორი (ზარაფხანა) ამის ლაბრატორიითურთ. შენობა ესე მშენიერი დაცყო პავლე ხელმწიფემ და შეასრულა ალექსანდრემან²³. განსაკვირვებელი სანახაეი არს. ორნი დიდროანნი პაროვის მაშინანი ატრიალებენ სხვათა მრავალთა მაშინათა, რომელთაგანცა კეთდება უბრალოს ვეცხლითგან წმინდად, უაქიზად და მზად მანეთები. — უბნობენ, ვითომც დიდსა მაშინას აქვს ჯალა სამოცის ცხენისა და მცირეს ოცდაათისა. — სიჩქარე და სისწორე მბეჭდავის მაშინებისა განსაკვირველია, — ერთს მინუტს შეიძლება მოჰსჭრან 60, ხოლო დღეში 100,000 და, თუ ძალიან სპირო არს, 300,000 ვეცხლის მანეთს და ოქროსას. კოლივანსკის და ნერჩინსკის მადნებიდამ მოაქვსთ ყოველ წლიე ორი ათას პუდამდის ოქრო-ვეცხლი* და ეკატერინობურდის მადნით ოცდაათამდის პული წმინდა ოქრო; მაგრამ უბნობენ, რომ არა აქვს ეგრეთ სიმძიმე და ამისთვის პირველად ლაბრატორიაში აღბილებენ; ზემოხსენებულთა ორი ათას პუდის ოქრო-ვეცხლისაგან** აღნობენ ოცდაათამდის პულს წმინდა ოქროს. — ერთის ფუნტის ოქროსაგან ჰსჭრიან 74% პოლუიმპერიალს და ერთის ფუნტის ვეცხლითგან 22 რუბლს და 75 კოპეიკას თეთრს ფულს. — ამა ანგარიშის მიხედვით იცნობების, რომელ რუსეთის მთის მადნებითგან ჰემოდის ყოველ წლიეს 178,800-მდის პოლუიმპერიალი და 1,820,000 მანეთი ვეცხლისა.

აქვე არს ღირსი ხილვისა პირველი (ბოტი) პეტრე ხელმწიფისა, შენახული განგებ საკუთრად ქვეთკირის შენობაში, რომელსაცა უწოდებენ რუსეთის ხომალდების პაპად.

* ხელნაწერშია: „ოქროს ვეცხლი“. ** ხელნაწერში კვლავ არის: „ოქროს ვეცხლისაგან“.

სხეებზე ციხესა ამას შინა არს კვალად სახილველი: არტილერ-
იის არსენალი (ინჟინერის სასწავლებელი) და დიდი შენობა, რო-
მელსაცა შინა არს სახელმწიფო ხაზინა.

პეტერბურის ხილთან, მარცხნივ, ჰსდგას მცირედი ხის სახლი,
დაბურული კრამიტით, ესე არს პირველი, 1703 წელსა აშენებული
სახლი, რომელსაცა შინა ჰსცხოვრებდა დიდი პეტრე.

ადმირალტიკო

თუმცა პეტრე პირველმან აღაშენა ადმირალტიკო პირველად
ხისა და შემდგომად ქეითკირისა, გარნა აწინდელი უდიდშენი-
ერესი შენობა, რომელიცა არს პირველი შემკობილება პეტერბუ-
რისა. არს ალექსანდრე ხელმწიფისა ბრძანებით აღშენებული (ზოდ-
ჩის) ზახაროვისაგან²³⁴. ფრიად ძნელ არს აღწერა ამ შენობისა,
გარეთის პირისა და სხვათა მის შემკობილებათა, რომელთაცა
ყოველს დღეს მხილველი განცვიფრდების მის დიდებულეებითის მდგო-
ნარეობითა. თვით შესავალი არს უმშვენიერეს და უდიდებულეს:
ფრიად დიდროანთა სვეტთაგან შემკობილი დერეფანი მიიყვანს
მშვენიერს ასავალთან, რომლისა მზგავსი არსად არს ვგონებ; ქვე-
ით ჰსდგანან დიდს ახოვანად სტატუანი ლერკულესისა და მინერ-
ვასი²³⁵.

პორტრეტნი პეტრე პირველისა, რუსეთის ფლოტის დამაფუძნე-
ბელისა, და ალექსანდრე ხელმწიფისა განამშვენიერებენ დიდსა სბო-
რნის ზალასა, რომელიცა არს ფრიად ჩინებულ თავის არხიტექტუ-
რობით. ორსავე მხარეს, კედლებზე, ჰკიდიან კარტინები, რომელნიცა
გამოაჩინენ პირველთა პეტრეს მამაცურთა მხნეობათა ზღვაზე.—
ესოდენივე და ეგრეთვე ლამაზი არს ზალა, სადაცა დიდი და
ჩინებული ბიბლიოტეკა ინახება ორმოც ათას წიგნამდის, და ყო-
ველწლივ უმეტეს ემატება.

განსაკუთრებით არს სახილველ მუზეუმ, რომლისა პირველი
ოთახი არს აღესილ სხვადასხვა მშვენიერთა (მოდელთაგან), ციხეთა
და ხომალდთა აშენების დროს ხპარებულთა მაშინათა. მეორეს ოთახ-
ში არს დიდს მინის შკაფებში ხრონოლოგიკებრ დაწყობილი მო-
დელნი რუსულთა ზღვის ნავთა, რომელნიცა არიან რითმე განსხვა-

ებულ სხვათაგან, -- ანუ ისტორიით და ანუ თვისის შენობით პირველის ლალერის დაწყებითგან, ვიდრე ას ოცდაათის ზარბაზნის ხომალდამდის, რომელსაც ჰქვიან მა დ ლ ი (Благодать). მათ რიცხვთა შორის არს მოდელნი ორთა ზვეციის ფრელატა, რომელნიცა შეიპყრა პეტრე პირველმან ნევაზე.

აქა არს პეტრე პირველის მხატვრობა და ჯოხი, რომელზედაცა არს დანიშნული სხვადასხვანი ზომანი, და რომლითაცა ყოველთვის მივიდოდა ადმირალტეისტგოში და თვითეულსა ხომალდის ნაწილსა ჰზომდა თავის ხელით. -- პორტრეთი პეტრესი, დახატული ლოლანდიაში, სადაცა ჰსწავლობდა ოცის წლის ყრმა ესე ხომალდის მუშაობასა საკრამში, უნებლიეთ მიიზიდავს მხილველსა და განაცვიფრებს შით, რომელ თვითმპყრობელი ხელმწიფე, დამტეიებელი სახელმწიფოს ტახტისა, უცხოს ქვეყანას ჰსწავლობს მუშაობას. რათამცა თვით იქნას * შემდეგ მოძღვრად და განზნაოლებლად თვისისა იმპერიისა. სადა არს მაგალითი, ნზავისი ამისი?

მესამე ოთახში არს ასტრონომიისა, ფიზიკისა და ოპტიკის ისტრუმენტნი (იარაღნი). ხოლო მეოთხეში არს ბუნებითის ღირსსახრობისათვის, სადაცა მრავალნი ძვირფასნი საუნჯენი შენახულ არიან.

იმპერატორის აკადემია ჰსწავლათა

პეტრე პირველმან დააფუძნა ფილოსოფის ბარონ ლეიბნიცის²³⁶ პლანისამებრ. პირველი პრეზიდენტი ამა აკადემიისა იყო ექიმი პეტრე პირველისა ბლუმენტროსტ²³⁷. -- ალექსანდრე ხელმწიფემ 120,000 რუბლი განუწესა აკადემიის შტატთა.

ვინ არ გაჰსწავლდებოდა, იხილავს რა ბუნებითსა და ხელოვნებითსა კაბინეთსა, რომელსაცა უწოდებენ კუნსტკამორად. -- 1698 პეტრე პირველმან იყიდა ამსტერდამში სხვადასხვა შეკრებილება თევზთა, ფრინველთა და შემდეგ, 1716 წელს, შეკრებილება ჩინებულისა ალბერტის ზებისა²³⁸, ხოლო 1717 რუიშევის²³⁹ ანატომიის (პრეპარატნი). -- ეკატერინა მეორემ იყიდა პალლასის²⁴⁰ შეკრებილება 20,000 რუბლად, ამა აკადემიის სასარგებლოდ, და შემდგომ დროთა შინა უმეტეს განამრავლეს ძვირფასი სანახავი ესე აკადემიკთა, რომელნიცა მოგზაურობენ სხვადასხვათა სახელმწიფოთა შინა.

* ხელნაწერშია: „ექმანას“.

მშენიერი სადაფთა (რაკოვინო) შეკრება ალექსანდრეს ხელ-
მწიფის დროს არს ნასყიდი. პეტრე ხელმწიფის კაბინეთი ღირსა-
ხილველის ნივთებით, რომელთაცა უმეტესი ნაწილი არს მისგანვე
გაკეთებული.

რუსეთისა, საბერძნეთისა, რომისა და სხვათა ახალნი მონეტნი
და ძველებური არიან ცალკე დაწყობილნი.

ალექსანდრე ხელმწიფის დროს არს ნაპოვნი სიბიბრში მიწილამ
ამოთხრილი საზარელის მამონტის ცხოველისა ძვლები.*

პირვედი კადეტის კორპუსი

იმპერატორიკამ ანნამ დააფუძნა ესე, ფელდმარშალის ღრადე მი-
ნისის²⁴¹ პლანით. ციმბირში დაკარგულის თავადის მენშჩიკოვის²⁴²
სახლი განაწესეს ამა სასწავლებლისათვის, რომლისგან გამოვიდნენ
მრავალნი დიდნი და ჩინებულნი კაცნი: რუმიანოვი²⁴³, ფერზენი²⁴⁴,
კამენსკი²⁴⁵, ვეისმანი²⁴⁶ და სხვანი მრავალნი.

სიმგვრგლე ამა ფრიად ვრცელისა და უცხოს შენობისა ბალი-
თურთ შეადგენს 727 საეენსა. (ლიცევის) წინა მხარეს, ნევისკენ,
აქვს სიგრძე 167 საეენი, ხოლო დიდი, სამეტაეიანი შენობა კადეტ-
სკის ღინიაზე განვრცელდების 366 საეენზე: აქა არს საწოლი და
სასადილო ზალები კადეტებისთვის, კვარტირანი ღენერალთა და
აფიცართათვის, რომელნიცა არიან მიჩენილნი კორპუსში, ეგრეთვე
დიდი სასწავლო ზალა, სადაცა ზამთრივ ჰსწავლობენ სამხედრო
სამსახურს. ქვეით ატაეაში ჰსცხოვრებენ მოსამსახურენი. სასწავლო
კლასნი, ანუ ოთახნი, არიან შიგნით, დიდს სამსატაეიანს სახლებში.

კადეტნი ირიცხებიან 800-მდის და არიან განყოფილნი როტე-
ბად. 37 აფიცარნი ასწავლიან სამხედროს სამსახურს და 50 ოსტატ-
ნი ჰსწავლათა. — გარდა ამისსა, კვალად ჰსწავლობენ 200 აზნაურ-

* აქას მოსდევს სათაური ზახვასით: „სრულიადი აღწერა კუნცამორისა“
ჩანს, აეტორს ვახუშტელი ჰქონია კუნსტკამერის ვრცლად აღწერა. სათაურის
ვერდით მოთაესებულა რუსული მინაწერი ფრჩხილებში: „Опыт о библиоте-
ке в [. . .] Академии Наук. Соч. Бажмейстера. Кабинет Петра Перво-
го, белнев [. . .]“.

ავტორი ხშირად პატარა ასოთი წერს—„Петр первый“, „Еватория пто-
рар“, ასევე—„академия наук“. მსგავსი შეითხვევები ყველგან გავასწორეთ.

თა ძენი. რომელნიცა არიან სუსტის აგებულებისანი და არა ძალუძსთ სახედროს სანსახურის ჰსწავლა. ესენი არიან ზედამხედველობასა ქვეშე დედაკაცთასა, განშორებულნი სრულიად როტის კადეტთაგან.

ხუთნი სავლედელთაგანნი მოძღვარნი, საჰნი ბერძნის სარწმუნოებისა. ერთი ლუტერანასა პასტორი და ერთი კატოლიკეს პატერი აჰსწავლიან ჰსჯულთა ღმრთისასა თვითოეულთა ამათგანსა აქვს განსაკუთრებით აქვე საყდარი.

აქა არს საჰნი ლაზარეთი, აფთიაქი და საჰნი ლეკარნი, რომელნიცა ჰსწამლობენ სნეულთა კადეტთა. ყოველს წლივ ასაჰლის უშეებენ კადეტთა კორპუსილამ აფიცრად, - ანუ არმიასი, არტილერიასი და ანუ ლეჰარდიასი. ვინც როგორ ჰსწავლას გამოაჩენს. — გამოსვლის დროს კორპუსილამ სახელმწიფოს ხარჯით შეუკრვენ პირველად ტანისამოსსა, რაც საჭირო არს აფიცრისთვის და, გარდა ამისსა, მიეცემათ ფულათაც.

ეგ ზაჰენის დროს, ყოველწლივ, რომელნიცა გამოაჩენენ უმეტესსა ჰსწავლასა, ხალისსა და კეთილზნობასა, იგინი მიიღებენ საჯილდოდ წიგნთა, ანუ მატემატიკისკის იარაღთა (ინსტრუმენტთა).

კორპუსსა აქვს თვისი წიგნის საბეჭდავი და ბიბლიოტეკა, რომელიდაჰაც კვირასი ოთხჯერ ყოველს კადეტს შეუძლიან გამოიტანოს წიგნი საკითხავად, ოლონდ კი ჰქონდეს ზაჰისკა როტნის კამანდერისგან.

დიახ, სახილველია დიდი და მშვენიერი ზალა აქაურის მუზეუმისა, რომელსა აქვს სიგრძე 161 და სიგანე 42 ანგლიური ფუტი. აქა არს ბიბლიოტეკა და ძვირფასი შეკრებილება სამხედროთა (მოდელთა), რომელიცა განიყოფების ოთხად ნაწილად, სასწავლებელად არტილერიისა, პონტონისსა, ინჟენერისა და მინერისა (ანუ ქანქანა) აფიცარათთვის. პირველს ნაწილში აწყვია მოდელნი (ანუ ნიმუშნი) გორჯილის სადულთა, წამლის წისქვილთა და გასაშრობთა, მაშინანი, თუ ვითარ წაშალი გარდააქციოს მარცულად. წამლის (апринимия) გასაშინჯი * და მალაზეინნი, გასახერეტი მაშინანი, ჩაჰოსასხაჰი ფეჩი და ფორმანი, მაშინანი ფალიის გასახერეტისა და ჩასასმელისა. ამათ მოშორებით თითქმის ყოველის გეარის ზარბაზნანი, რომელნიცა ხმარებულან ევროპასა შინა.

* თავდაპირველად უთარგმნია: „სანახავი“.

მის ლაფეტებითურთ, ყოველნი გვარნი ლაფეტთა, რომელნიც იხმარებოიან თხრილზე და კაზამატში, (ზარიადნის) ყუთნი და ფურანი (ურმები) საზიდავად (სნარიადებისა) და სხვადასხვანი მაშინანი, სიმძიმის ასაწეველად საქირონი.

მეორეს ნაწილში იმყოფება ყოველნი ხმარებულნი ევროპასა შინა პონტონნი, რომელნიცა არიან წარმოდგენილნი თვითოველნი საკუთარს ურემზე, მისის სხვადასხვა-იარაღებით ხიდის გაკეთებისათვის; მის უშორეს შეკრებილება თანსატარებელთა ხიდთა, პონტონისა, ტივისა და ბოჩებისაგან გაკეთებულთა, და კვალად ჯოჯობეთის მაშინა ასაგლეჯელად ხიდთა.

მესამეში აწყვია (მოდელნი) ფორთიფიკაციისა. მათ შორის არს გამაგრებული (პოზიცია), განკეთილი მათათაგან და სხვათა აღვილის სიმაგრეთაგან. სხვა მრავალნი, ლამაზთ დაწყობილნი ხიდის სიმაგრენი და მონტალამბერტოვის რედუტი²⁴⁷; უპირველესნი ციხენი ბასტიონებად და ტენალებად, სიმაგრენი კიდეთა; (მოდელი) ციხის აღებისა, ციხე განყოფილთა სიმაგრითა და მის განძლიერებისათვის წყალის შემოვლებისა. — რათამცა აჩვენოს ცხადად სხვადასხვაობა ძველთა და ახალთა სიმაგრეთა, არს გაკეთებული ოსმალოს ციხე; დასასრულ, წარმოდგენილ არს ციხენი, რომელნიცა იყვნენ წამლის მოგონებამდის თავისის მაშინებით, რომელნიცა იყვნენ ხმარებულ ციხის აღებისა და მის დაცვის დროსა, ეგრეთვე ყოველი, რაიცა საქირო არს ციხის აშენებისათვის. ყოველივე დაწვრილებით და ცხადად არს გაკეთებული და გაწყობილი. — დიახ საქებელია.

მეოთხეში აწყვია (მოდელნი), რომელნიცა ეკუთვნიან (მინერის) ქანქანის ჰსწავლას. — ყოველნი ესე (მოდელნი) ფრიად მშვენიერად არს გაკეთებული ხისა და (მეტალისაგან) და შეღებილნი ზეთის ფერთა. — ვისაც ჰსურს ხილვა თვით უმცირესისა ნაწილისა მოდელისა, ყოველნივე იგი გაიხსნებიან.

აქვე არს შეკრებილნი სხვადასხვაგვარნი სპილენძის ზარბაზანნი, რომელნიცა მიანიჭა ამა კორპუსს კონსტანტინე ცესარევიჩმან.

ზაფხულში, კვირაში ორჯელ, ამ ზალაში უფროსთა კადეტთა უკითხვენ სამხედრო ჰსწავლათა, აუხსნიან და აჩვენებენ (მოდელთა) ამათ.

ხუთას ოცდასამნი კაცნი არიან მიჩენილნი მოსამსახურედ კადეტთა და აფიცერთათვის. — კორპუსში მცხოვრებნი კაცნი და

დედაკაცი არიან 2750 მდის. — ამა უერცელისა სასწავლებლისათვის ყოველს წელს ეძლევა ხაზინიდაჲ 503,900 რუბლი.

კორპუსი ესე განილო 1732 წელსა და პირველს დღეს მიიღეს 55 კადეტნი მოწაფენი.

მეორე კადეტის კორპუსი

დაფუძნებულ არს ეკატერინა მეორისა მიერ 1762 წელსა. ესე ჰსდგას პეტერბულის მხარეს პეტროვკაზე (პეტრე ნევაზე). და არს ეგრეთივე ჰსწავლა და გამართულობა, ვითარცა პირველსა შინა.

კადეტნი არიან 700-მდის და ყოველს წელიე ხაზინას ეხარჯება ამის შენახვისათვის 435,019 რუბლი.

მორსკოი (ზღვის) კადეტსკის კორპუსი

დაფუძნებულ არს პეტრე პირველისაგან 1716 წელსა და იღვა უწინ ნევის კიდესა ზედა, იქ. სადაცა არს აწინდელი ზიმი დეორეცი (საზამთრო სასახლე) და აწოდებოდა მორსკის აკადემიად. 1731 წელსა განუმზადეს მას სახლნი 11-სა და 12-ის ლინიის შუა და დაარქვეს ჰორსკოი კადეტის კორპუსი. — ეკატერინამ გარდაატანინა კრონშტადში, ხოლო პავლემ ისევ გადმოიყვანა 11-სა 12 ლინიის შუა. მშენიერს ორსთალიანს სახლში, რომელსაცა შინა იზრდებიან 700 კეთილშობილნი ყმაწვილნი. რომელნიცა ჰსწავლობენ ყოველთა სწავლათა მათ, რაიცა არს საჭირო ზღვაში სამსახურისა და ხომალდის ცნობისათვის. სამოცდაჩვიდმეტნი ოსტატნი არიან მასწავლებელნი მათნი და ოცდაცხრა აფიცარნი წესისა მათ შორის დაცვისათვის.

ამა კორპუსისა * შესანახავად ხაზინიდაჲ იხარჯება ყოველს წელს 466,364 რუბლი.

გორნის კადეტსკის კორპუსი

ვასილიევსკის კუნძულში ნევის კიდესა ზედა ჰსდგას, 21-ის და 22-ის ლინიათ შუა, და იპურობს სიეოცესა 6400 კვადრატნის საფენსა. ფრიად მშენიერად არს აღგებულ და უფრო შორით ერგე-

* ხელნაწერში ზოგჯერ გვხვდება „კოლოპუზი“.

ნების დიდებულებითად. ეკატერინა მეორემ დააფუძნა ესე 1772 წელსა და უწოდა გორნის სასწავლებლად, ხოლო ალექსანდრე ხელწიფემ უმეტეს განამშენიერა და დაარქო გორნის კადეტ-სკის კორპუსად.

ესე არს განმზადებულ განსაკუთრებით აღსაზრდელად ობოლ-თათვის, რომელთა მამანი ექსახურებოდენ (გორნის ჩასტში). რიცხ-ვი ესოეთთა მოწაფეთა არს 110,—სახელწიფთ ხარჯზე, ხოლო სხვანი არიან პანსიონერნი, რომელნიცა აძლევენ წელიწადში 700 რუბლს; გარდა ამისსა, არიან (პოლუპანსიონერნი), რომელნიცა აძლევენ კორპუსს 350 რუბლს წელიწადში და მოდიან მხოლოდ ჰსწავლის დროს. აქ აჰსწავლიან ორგვარად: ობოლთა—გორნის ჰსწავლათა და პანსიონერთა — რაიცა არს საჭირო სამოქალაქოს, ანუ სამხედრო სამსახურისათვის.

აქა არს დიახ კარგი ბიბლიოტეკა და მუზეუმი, რომელსა შინა არიან სხვადასხვაგვარნი (მოდელნი), რაიცა არს ჰხმარებულ მა-დანთა შინა. (მუზეუმსა) ამას შინა არს კვალად შეკრებილცა სხვა-დასხვათა მონეთთა, მედლებთა რუსულთა და სხვა სახელმწიფოთა-თა და სხვანი ამგვარნი ღირსი ხილვისა ნივთნი. — ამა კორპუსსა ეკუთვნის კვალად ფიზიჩესკის კაბინეთი, ხიმიჩესკის ლაბრატორია და დიახ ვრცელი მინერალნის კაბინეთი, რომელსაც შინა არს 50,000 და უფრო უმეტეს დიახ ძვირფასნი სხვადასხვათა ძვირფასთა ქვათა ნატეხნი. აქ არს განსაკუთრებით საქებელნი ნივთნი: 1) (მალა-ხიტი), რომელსაცა აქეს 96 პუდი სიმძიმე და არსად არს ქვეყანა-ზე მსგავსი აზისი,—უფასო არს. — ესე არს ნაპოვნი ეკატერინას მეორეს დროს ლუმეშევის მადანში, რომელიც ეკუთვნოდა ტურჩა-ნინოვს, ¹⁸¹ 2) ზურმუხტის კრიალოსანი (чёрта)*, რომელსაცა აქეს 22 მსხვილი მარცვალი, 3) სამნი ღიდროანნი (лрузы) правильнейших кристаллов самородной серы, ღიშპანის (kont-ოდამ), 4) მოშორე-ბული მარცვალი (слюда), რომელიცა არს სრულიად ექვსმხრიანი პირამიდა, ბუნებით შექმნილი. ესე არს ნაპოვნი ჩებარკულის ტბასთანა, 5) შედუღებულნი მრავალნი მარცვალნი (ფიოლეტოვის) სოსანის (პლავიკისა), რომელსაგანცა თვითოეულსა აქეს 48 (плюс-кость) მხარე და უფრო უმეტეს ზოგთა და 6) ვინ არ განჰკვირ-

* ხელნაწერშია: „шетка“.

დება, იხილავს რა (პალმოვის) ხეს, რომელსა შინა შედუღებულ არს კაცისა ძელები.

ღიახ კარგი სანახავი არს სამაგალითოდ გაკეთებულნი მოწაფეთათვის მადანნი, რომელსაცა შინა წარმოდგენილ არს: 1) შინაგანი მდებარეობა მიწისა, 2) სხვადასხევაგარნი საპაღნო ადგილნი, თუ ვითარ იცნობების იგი, 3) სხვადასხევაგარნი მუშაობა, რომელიცა შეეფერება ადგილის მდებარეობასა და 4) რადგანაც მადნის მუშაობა ზოგჯერ ღიახ ღრმათ წაქა მიწაში, ამისთვის წარმოდგენილ არიან სხვადასხეანი დასამაგობელნი ბოძნი, რომელნიცა არიან ხმარებულ მადნებში.

ამა კორპუსის შესანახავად ხაზინიდან ეძლევა ყოველს წელს 135,924 რუბლი.

იმპერატორის ვოენო სიროტსკის სახლი (ანუ სამხედროთ ობოლთა სახლი)

ღაათუნა პავლე ხელმწიფემ და უჩეტეს განავრცელა; დანიშნა რიცხვი მოწაფეთა—200 აფიცართა შეილნი და სამასი სალდათთა. ამათთან შეაერთეს კვალად ასი ქალნი, ზოგნი აფიცრებისა და ზოგნი სალდათებისა.

ალექსანდრი ხელმწიფემ უბეტესად შეამკო შენობა ესე და გარდააყვანიან ქალნი სმოლნის მონასტერში.

შინაგანი გამართულობა ეგრეთვე არს, ვითარცა კორპუსთა შინა. მოწაფეთა ასწავლიან რაიცა არს საჭირო აფიცრისათვის და ოდეს შეასრულებენ ჰსწავლათა, გამოუშვებენ არტილერიაში, ინჟინერში და არმიაში.—285,000 რუბლი ყოველს წლივ ეძლევა ხაზინიდან შენახვისათვის ამა სასწავლებლისა.

ამავე სახლში იზრდებიან და ჰსწავლობენ 250 სალდათის შეილები, რომლისათვის ეძლევა ხაზინიდან 96,250 რუბლი.

სამხედროთა სასწავლებელთა თანა შეერაცხებიან ეგრეთვე:

1) დგორიანსკის პოლკი, 2,000 კაცთაგან შედგენილი.—ყმაწვილნი კაცნი ჰსწავლობენ სამხედროს სამსახურს. ამის შესანახავად ეხარჯება ხაზინას 807,459 რუბლი.—პეტერბულის მხარეს ჰსდგას. 2) დგორიანსკის კავალერის ესკადრონი, 236 კაცისაგან შედგენილი, რომლისა შენახვა უღირსთ ყოველს წელს 125,890.

იმპერატორის ვოსპიტატელნის (ანუ გასამზრდელო) სახლი

ესე ჰეშმარიტად ქრისტიანებრივი ქველის მოქმედებისა სახლი დააფუძნა პირველად ეკატერინა მეორემან 1767 წელსა სმოლნის მონასტრის სიახლოვს, შემდეგ სიშორის მიზეზით გადმოიტანეს პატარა მილლიონაზე და, ოდესცა მიიღო მთარგელობასა ქვეშე თვისსა იმპერატრიცამ ძარია ფეოდოროვნამ*, იყიდა 450,000 რუბლად სახლნი ღრათა რაზუმოვსკისა და ბობრინსკისა²⁴⁹, ბაღებითურთ და შეიღნებით, მოიკაზე, პოლიციისკის და კრასნის ხიდთა შუა. შინაგანი განწყობილობა ახალთა ამათ შენობათა უღირდათ 175.500 რუბლად. შემდეგ უფრო უმეტეს განავრცელეს უმშენიერესი ესე სახლი კეთილმოქმედებისა, ესრეთ რომელ აწ, ღრაფ სტროლონ-ვის²⁵⁰ სახლის გარდა, პოლიციისკის ხიდიდამ, ვიდრე ღროხოვის ქუჩაში, დიდ ჰეშჩანსკამლის, ეკუთვნის ვოსპიტატელნის სახლსა.

სახლსა ამისა შინა მიიღებენ ყოველს დღეს ათს და თორმეტსა ც ჩვილთა ყრმათა, როზელნიცა ორს თვეს დარჩებიან აქ და მიუჩენენ ძიბათა, და შემდეგ, თუ აღმოჩნდებიან მრთელის აგებულებისა, გაიგზავნებიან სოფელში ძიძებითურთ. აქვე, ამა ორს თვეს, ყვავილს აუქრიან. ყოველს თვეს დირექტორი დერევენსკის ეკპედციისა და ზედამხედველნი უვლიან ამა ყრმათა სოფლებში და მარადის მათსა მდგომარეობასა აცნობებენ ვოსპიტატელნის სახლსა.

სნეულთ ყრმათათვის არს ცალკე მომზადებული ლაზარეთი, სადაცა არს 175 საწოლი. თვითოვეულსა ყმაწვილსა ჰყავს თავის ძიძა, როზელსა ეძლევა, ხარჯის გარდა, 240 რუბლი. — გაბარებულნი სოფლებსა შინა ყმაწვილნი შვიდს წლამდის ჰქმთებიან სოფლებში, რომლისა შერდეგ მიიღებენ ვოსპიტატელნის სახლში, რომელიცა არს ლატჩინას²⁵¹ და მუნ ასწავლიან პირველ დასაწყისთა ჰსწავლათა. — რომელნიცა გამოაჩენენ უმეტეს მახვილ გონებას, იგინი მიიღებიან უკვე აქაურს ვოსპიტატელნის სახლში, სადაცა შეასრულებენ ჰსწავლათა.

ამ ვოსპიტატელნის სახლში განწყესებულ არს რიცხვი მოწაფეთა — 235 ვაენი და 335 ქალნი. ესენი განიყოფებიან ორ ნაწილად:

* ბელნაწერშია: „ფეოდ. როვნამ“.

პირველი ნაწილი ჰსწავლობს სხვადასხვათა ხელოსნობათა, ხოლო მეორე ჰსწავლათა: ვაენი ჰსწავლობენ ჰსჯულსა, არიფმეტიკას, წმინდათ წერას და ღრამბატიკას, და რა შვიქმნებიან ოცდაერთის წლისანი, და ზოგჯერ უფრო აღრეე, აძლევენ. ფაბრიკებში და სხვათა ხელოსანთა, ხოლო უმეტესსა ნაწილსა ჰგზავნიან ლატჩინის სახლში, სადაცა არს მათთვის განსაკუთრებით (ოტდელენიე).

ქალნი ჰსწავლობენ ეგრეთვე ზემოხსენებულთა ჰსწავლათა და, გარდა მისსა, კვალად ხელსაქმობათ. — მეთვრამეტეს წელსწადში შეუძლიანთ გამოვიდნენ ვოსპიტატელნის სახლიდამ და შევიდნენ მოსამსახურედ სავას ვისმე სახლში. თვითოეულსა ოცდახუთი რუბლი ეძლევათ გამოსვლის დროს, ხოლო დაქორწინების დროს ასი რუბლი.

არა მხოლოდ ამით კმაყოფილი იქმნა კეთილი გული მარია ფეოდოროვნასი, რომ მფარველობასა ქვეშე მისსა დაიცვან მხოლოდ სიცოცხლე თვისი უბედურთა ამათ ყრმათა: მისის ბრძანებით ასნი ვაენი, უბეტეს გონებიანნი, აღმოიჩივიან სასწავლებლად უმაღლესთა ჰსწავლათა, რომლისათვისცა მიჩენილ არს მათდამი ინსპექტორი და სხვანი ოსტატნი.—ივინი, რომელნიცა გამოვლენ ეგზამენში ნასწავლებულ, მიეცევიან მედიკობირურლიჩესკის აკადემიაში სახელმწიფოს ხარჯზე. სადაცა ჰსწავლობენ უკვე ექიმობასა. ხოლო დანაშთომნი განიწყესებიან ზოგნი აფთიექში, ზოგნი ბოტანიჩესკის ბაღში—პავლოვსკს და ლატჩინაში, და ზოგნი სხვადასხვათა კანცელარიათა შინა. რომელნიცა გამოაჩენენ გონებასა და ხალისსა ჰსწავლისადმი, მათთვის დაიდება ლომბარდში სამასი რუბლი, რომელსაცა მიიღებს გამოსვლის დროს თავის სარგებლით. ეგოდენიეე რიცხვი მიეცემათ პირველს საჭიროს ხარჯისათვის; ხოლო უკანასკნელთა, დანიშნულთა კანცელარიათა შინა და ბოტანიჩესკის ბაღში, — ეძლევათ ორასი რუბლი პირველთა და მეორეთა 150 რუბლი.

ეგრეთვე ასნი ქალნი აღმოიჩივიან გონებითა და კეთილზნობით გამოჩენილნი და ასწავლიან სათ ენათ—რუსულს, ნემენკურს და ფრანციკულს, ჰსჯულსა ღმრთისასა, რიტორებას და ლოდიკას, არიფმეტიკას, ლეომეტრიას, ისტორიას, ლეოლრაფიას და ბუნებითსა ისტორიასა, მხატვრობას, მუზიკას, სიმღერას და ტანციობას და, დასასრულ, ხელსაქმეთა, რათამცა შემდეგ იყვნენ სასარგებლოდ სახელმწიფოსათვას, ვითარცა გამზდელნი და მასწავლებელნი ყრმაწვილთა.

ქალბთაყა ამათ ეძლევათ საშასი რუბლი თავის სარგებლით გა-
მოსვლის დროს.

ამავე სახლსა ეკუთვნის სახლი მშობიარეთა, სადაცა არს ოცი
საწოლი, განმზადებული გლახაკთა დედაკაცთათვის და კვალად მათ-
თვისცა, ვინცა ჰყარვენ თვისსა ორსულობასა.—იგინი მოვლენ
რავდენსამე დღის წინ დაწოლამდის, თუგინდ არცა გამოაცხადონ
სახელი თვისი, დაჰყოფენ მუნ, ვიდრემდის სრულიად არ შეიქმნე-
ბის განკურნებული —ჰგონებენ, ვითომც წელიწადში 400-მღის დე-
დაკაცი შობენ აქა.

ამა სახლში მცხოვრებნი არიან 300-ანდის, რომელთა შენახვა
ულირსთ ყოველს წელს 800,000 რუბლადმდის.

აკადემია ხუდოჲესტე, ანუ ხელოსნობათა

ნევის მარჯვნივ მხარეს, ვასილიევსკის კუნძულში, საშუალ რე-
სამისა და გეოთხის ლინიისა აზალდების ესე ფრიად ნევენეირი
ტაძარი, შეწირული თავისუფლებითთა ხელოსნობათა მიძაოთ —
ესე ძვირფასი შენობა არს ოთხკუთხიანი, რომლისა თითო მხარე
არს 60 საგენი. წინა პირი არს ერთი უნევენეირესთა და ფრიად
შემკობილთა შენობათაგანი, რომელნიცა ანევენეირებენ აჰა ქალაქ-
სა. თალის თავზე ზის მინერვა; დიდახოვანნი სტატუანი ფერნეზის
დერკულესისა²⁶² და ფლორისა²⁶³ ალამაზებენ ორთავე მხარეთ
დიდისა შესავალისა, რომელსა ზედაცა არს დაწერილ: თ ა ვ ი ს უ ფ-
ლ ე ბ ი თ თ ა ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა თ ა .

ამის აშენებაზედ დახარჯულა 350,000 რუბლი ეკატერინა მეო-
რის დროს, ხოლო აღექსანდრე ხელმწიფემან უმეტეს განამევენეირა.
ამ სასწავლებელში იზრდებიან სამასნი ყმაწვილნი, რომელნიცა
მიიღებიან რვის წლიდამ ათამდის, სახელმწიფოს ხარჯზე და ასწა-
ვლიან თვისუფალ ხელოსნობათა *. სამს წელიწადში ერთხელ მი-
იღებენ 75-თა მოწაფედ და ეგოდენივე რიცხვსა, ჰსწავლის შემს-
რულებელთა, გამოუშვებენ.

* ამის შემდეგ წერია: „ესი იგი“ და სქოლიოს ნიშანია გაკეთებული. ასე-
თივე ნიშანი გვხვდება სქოლიოშიც. ჩანს, ავტორს სურდა ჩამოეთელა, თუ რას
ასწავლიან აკადემიაში.

ყოველს წელს ეძლევათ სახელმწიფოდამ 156,000 რუბლი ამ აკადემიის შესანახავად.

თვითოვეულსა მოწაფესა ძალუძს, რა შეასრულებს პირველს ჰსწავლას, აღმოიჩინოს სასწავლებლად იგი ხელოსნობა, რომლისა-ცა აქვს ხალისი და სურვილი. შემდგომად თორმეტის წლისა ჰსწავლისა, მოწაფენი გამოვლენ აკადემიიდან. დროსა ამას უნდა წარადგინონ თვითოვეულთა შრომა თვისი საზოგადოდ საჩხრეკლად. ეგზამენის დროს აძლევენ ოქროს და ვეცხლის მედალთა მათ, რომელნიცა გამოაჩენენ განსაკუთრებით დიდსა გონებასა (гений), მეცადინეობას და კეთილზნეობასა. რომელნიცა არა ერთგზის არიან დანიჭებულნი ოქროს მედლით, იგინი სახელმწიფოს ხარჯით მოგზაურობენ იტალიასა, ფრანციასა, ლერმანიასა შინა და სხვათა ქვეყანებთა, სადაცა ხელოსნობა არს აღყვანილ უმაღლესისა ხარისხამდის, რათამცა მუნ შეასრულონ ჰსწავლა თვისი მიხედვითა ჩინებულთა ხელოსანთ წარმოებათადმი.

ყოველს წელს სექტემბერში აკადემია განიღებს საზოგადოობისათვის ორს კვირას. მუნ დიდროანთა ზალათა შინა წარმოდგენილ არიან შრომანი მოწაფეთა, პროფესორთა და სხვათა ხელოსანთა. რათამცა გასინჯონ ყოველთა და ღირსებისამებრ მისცენ ქება ხელსანთა.—დრო ესე ეჩვენების დღესასწაულებად, რაშეთუ ყოველს დღეს უძრავლენი მხილველნი აღავსებენ ზალათა.

საანავლებელი ნშიდის ეკატერინა ორდენისა, ანუ ეკატერინის ინსტიტუტი

ესე საქებელი სასწავლებელი გლახაკთა კეთილშობილთა ქალთათვის აღაშენებინა პავლე ხელმწიფემ. თვითოვეულმან დედაკაც-მან, ვისაცა აქვს ორდენი წმიდისა ეკატერინასი, უნდა შეიტანოს სასარგებლოდ ამა სასწავლებლ[ლ]ისათვის ყოველს წლივ დადებული ნაწილი თვისისა შემოსავლისა.—რადგანაც მარია ფეოდოროვნა იყო ღროსმებისტერი ამა ორდენისა, ამისთვის იყო უმთავრესენი ზედამხედველი ამა სასწავლებელისა, რომელსაცა შინა ირიცხებიან 200-მდი ქალნი, რომელთაცა ზედა იხარჯება ყოველს წელს 60,000 რუბლი.

ინსტიტუტი ესე ჰსდგას ფონტანკაზე, უწინდელს იტალიანის სა-

სახლეში, რომელსაც აქვს სიგრძე სამოცდაოთხი სანეინი და არს ერთი უპირველესთა აქა შენობათაგანი.

აქა ასწავლიან ეგრეთ, ვითარცა სმოლნის მონასტერში და განიყოფებიან ქალნი ორ კლასსად; უფროსთა აცვიათ მწვანე, ხოლო უმცროსთა მოშავე კამლოტის ტანისამოსი.—სარტყელი და თავზე ლენტი არს წმიდის ეკატერინას ორდენის ლენტი, ესე იგი, წითელი ოქროკედის ნაპირებით.—გაოცდილნი ოსტატნი აქსწავლიან ყოველთა ჰსწავლათა და ხელოსნობათა, რაიცა არს საჭირო კეთილშობილთა და კეთილზდილოვანთა ქალთათვის. ექვს წელიწადს შესრულდება ჰსწავლა მათი. ყოველს სამს წელიწადს ნასწავლთა გამოუშვებენ და ეგდენენ რიცხესა მიიღებენ კენქესურითვე.

მარია ფეოდოროვნას სიკვდილის შემდეგ, ყოველნი ესე საკეთილშობილო სასწავლებლნი მიიღო მფარველობასა ქვეშე თვის სა აწინდელმა იმპერატრიცამ²⁵¹.

მარიინის ინსტიტუტი

ესე არს აღშენებულ და განწყობილ იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნას მიერ 1797 წელსა. აქა იზრდებიან ორმოცნი ობოლნი ქალნი. ესენი ჰსწავლობენ მხოლოდ რაიცა არს საჭირო სახლობისათვის და მშვიდობიანურის ცხოვრებისათვის. არცა მუზიკას და არცა ტანჯობას არა აქსწავლიან, გარნა მათ ნაცვლად უმეტეს ხელსაქმობათა და ხოზაისტობასა, ანუ სახლის მოვლასა.—ხელსაქმობა ამათი არს განსაკვირვებელ.

ინსტიტუტი ესე ჰსდვას ეკატერინის არხზე, და ყოველს წელს ეხარჯება საკუთრივ იმპერატრიცას 14,250 რუბლი.

სამშობიერო და საბებიო ინსტიტუტი

ჰსდვას ნარვის ნაწილში ფონტანკაზე და არს აღშენებულ იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნას მიერ. 1797 წელსა იყდა მშენიერი სახლი ღრაფ ზუბოვისა²⁵² და გააწყო მუნ ესე ინსტიტუტი.—ოცთა გლახაკთა, კმრიანთა ორსულთა დედაკაცთა შეუძლიანთ მოვიდნენ აქ რავდენსამე კვირას უწინ მშობიარობისა და

დაპშინენ უფულოდ, ვიდრემდის სრულიად არ განთავისუფლდების და შემდგომად მივა ისევ თავის სახლში თავის დაბადებულის შვილით.

აქვე არს საბებიო ინსტიტუტი, სადაცა ოცნი ყმაწვილნი ქალნი ჰსწაელობენ ბებიობას გამოცდილთა პროფესსორთაგან და, რომელნიც შეასრულებენ ჰსწავლათა, განიგზავნიებიან ლუბერნიებში ბებიებად და მიეცემათ მათ სამგზავროდ და ტანისამოსისათვის ხარჯი.

იმპერატორსკის ვოსპიტატენის სახლის ბოღნიცა გღახაკათვის

აჰა, ჰეშმარიტად ქრისტიანებრივი ქველისმოქმედება, ნიშანი კატმოყვარებისა. სახლი ესე არს განმზადებული დატანჯულისა კაკობრიობისათვის, სადაცა სნეული გღახაკი ჰპოებს შეწეობასა, შფარველობასა და განკურნებასა.

1803 სა წელსა აღაშენეს სახლი ესე ლიტენის ნაწილში და პირველსავე წელიწადს, ალექსანდრე ხელმწიფის დღეობას, 30 აგვისტოს, 1805 წელსა, განიღო ამა სახლისა კარნი უძღურთა. სნეულთა გღახაკათვის, რომელთა არა ჰყავსთ ამა სოფელსა შინა არცა შემწენი და არცა აქვსთ საფარი.—მას წელიწადს ოთხას შვიდნი ინვალიდნი იყვნენ მიღებულნი.

სახლი ესე არს ორი ეტაჟიანი, გარდა ძირისა მესამისა, სადა არს სამზარეულო, სახაბაზო და აბანო სნეულთათვის. ქუჩიდან ავლია რკინის მუჯირი* და სახლის უკან არს ვრცელი ბაღი.

ორს ეტაჟში არს ოცდაექვსი პალატი, ანუ ოთახნი, რომელთაცა შინა ეტევებიან ორას ორმოცდაოთხი კრაოტი სნეულთა დედაცაცა და კაკათვის.

გარდა ამისა, სნეულნი, რომელთაცა ძალუძსთ შინ მუშაობა და ანუ არა ჰსურთ განშორება თავის სახლისაგან, იგინი მოდიან აქ ყოველს.დღეს, მრავალ რიცხვნი, ექიმებთან, რომელნიცა ჰსჩხრეკენ მათთა სენტა, წყლულთა უხვევენ და აძლევენ აფთიექიდან უფულოდ წაშალთა, ვიდრემდის სრულიად არ განიკურნების.—სახელთა მოსულთა ავათმყოფთთა ჰსწერენ წიგნში ექიმნი, რომელთა რიცხ-

* ავტოგრაფშია: „მუჯარი“

ვი არს—ერთი მთავარ-დოქტორი, სამი დოქტურნი და რვა ლე-
ქარი.

სწეულთა დედაკაცთა, აქ მწოლარეთა, ჰყავსთ ზედამხედველად
დედაკაცივე მიჩენილი.

საშუალ ამის სახლისა არს საყდარიცა, რომელიცა ჰსდგას ეს-
რეთ, რომელ ავათმყოფთა შეუქლიანთ თავის საწოლზე მოისმინონ
ლოცვა და აკურთხონ სახელი მარია ფეოდოროვნასი, სახლისა ამის
აღმშენებელისა.

ამ სახლისა შენახვისათვის 1817 წელსა ორი მილიონი რუბლი
შეიტანეს ხაზინიდან. რომელიცა არს საკმაო სამარადისოდ

გამოსელის დროს, სენიდამ განკურნებულთა, ეძლევათ ყოვე-
ლივე მათი საკუთარი და გარდა ამისა რაჟდენისმე დღის საზრ-
დოცა. ვიდრემდის იპოყნიდეს ანუ ადგილს და ანუ მუშაობას, ხოლო
რორენიცა არიან განშორებულნი ადგილიდამ და ჰსურთ წარსე-
ლა თავის მაიულში, მათ ეძლევათ ხარჯიცა საზღავრო.

1818 წელსა მიეღოთ ორი ათას ოთხმოცდაათექვსმეტი ავათმყო-
ფი, რომელთაგან ათას რვაას სამოცინი განკურნებულნიყვნენ.—
მასიე წელს მოწესდენი ავათმყოფნი, რომელნიცა არა შორდებოდ-
ნენ სახლთა თვისთა და მიჰქონდათ უფულოდ წამალი, იყვნენ
28,006 კაცამდის. — 1805 წელიდამ, — ამა სახლის დაარსებითგან, ვიდ-
რე 1818 წლამდის, რიცხვი აქა მიღებულთა ავათმყოფთა შეადგენს
26,920, ხოლო მომსვლელ-წამსვლელთა ავათმყოფთა — 278,071
კაცთა.

მარმარილოს სასახლე

ესე დიდმშენიერი სასახლე აღაშენებინა ეკატერინა მეორემ
1770 — ვიდრე 1783 წლამდის, თავადის გრიგოლ ორლოვისათვის²⁵⁶,
ნიშნად მადლობისა მის საშსახურისადმი მამულისათვის; ამისთვის
ეწერა მასზე: შენობა (Ф д а н и е) მადლობისა. მაგრამ ორ-
ლოვან ველარ იცოცხლა მის შესრულებამდის და ხელწწიფამ ისევე
უკუნვე მოისყიდა მის შემკვიდრეთაგან.

ქვემო ეტაეა არს ხოლოდ თლილის გრანიტისა, ხოლო ორნი
ზემოთნი სხედასხვა ფერისა გარანდულის მარმარილოსი, — ფინ-
ლიანდრულისა და ციმბირულისა. ფანჯრის მინები არის სრულიად

ბროლის მინისა, ჩამსხდარნი ბრონზის (რამებში), ფრიად სქლად ოქროთ დაფერილთა.

მთელს სასახლეში პოლი და მშენებნი კარნი არიან მხოლოდ ხისა, სხვა დაშთენილი არს მარმარილო, ბრონზა და რკინა. კერი არის თითბრის თაბალით გადაკრული.

კოროლი პოლშისა, სტანისლავ პონიატოვსკი ²⁵⁷, აქ ჰსცხოვრებდა სიკვდილამდის. შემდგომად სასახლე ესე ეკუთვნოდა კონსტანტინე ცესარევიჩს და აწ ანზადებენ მემკვიდრისა ალექსანდრე ნიკოლაევიჩისათვის.

ტავრიჩესკის ევორეცი, ანუ სასახლე

სმოლნის მონასტრის სიახლოვს ჰსდგას ესე სასახლე, აღშენებული ეკატერინა მეორისა მიერ ფელდმარშალის კნიაზ პოტემკინისათვის ²⁵⁸ მისანიკებლად; და რადგანაც შემდგომად ყირიმის აღებისა 1788 პოტემკინმა * მიიღო ახალი წოდება ტავრიჩესკისა, ამისთვის სასახლესცა ამას უწოდეს სახელითა ამით.

უმთავრესსა შენობას ანუ პანტეონს დიდითა მალლის თალითა აქვს ორი ფლიდელი, რომელნიც განგრძელდებიან ქუჩამდის და მით შეადგენენ დიდსა მოედანს, რომელსა ავლია ქუჩიდან დიახ კარგი რკინის ღობე**.—სასახლე არს ერთეტაჟიანი.—და შემდგომად პოტემკინის სიკვდილისა, ყოველს შენოდგომას ჰსცხოვრებდა მუნ ეკატერინა მეორე.—შიგნით სასახლეში არის ორსავე ნხარეს ორ რიგათ ჩარიგებული გრილად დიდროანნი კოლონნები, ანუ სვეტნი, რომლითაც წარმოადგენენ დიდებულებითსა სახილველს.—აქედამ იყო გასაყალი საზამთროს ბაღში, რომელიცა თბებოდა მიწის ქვეშ გაკეთებულის პეჩებით და ტრუბებით, სადაცა ზამთარში სეირნობდა ხელმწიფა ეკატერინა აღყვებულს ხეებს ქვეშ.

აწ ამა ზალასა შინა არს დაწყობილ ძვირსანახავი ძველებური და ხელოსნობა, რომელნიცა ჩნახებოდნენ მიხაილოვსკის ზამოკში. ამა უძვირფასესთა შორის სხვათა საუნჯეთა არს განსაკვირვებელი

* ავტორადჟია „პოტემკინმა“. ** თავდაპირველად ავტორს დაუწერია „მოაჯირი“, შემდგმ შემუცელია „ღობით“.

მშვენიერი (ორუბა) ლაოკონისა²⁶⁰ და მშვენიერი მძინარე კლეოპატრა²⁶⁰. ორნივე დიდხოვნად არიან გათლილნი თეთრისა კარარის მარმარილოსი; მძინარე ენდომიონი²⁶¹ და დიანა²⁶², ამურ²⁶³ და პსიხეა²⁶⁴, აპკოლონი²⁶⁵ და ანტინოი²⁶⁶, ვითარცა უმაღლესნი (იდეალნი) კაცის მშვენიერებისა უნებლიეთ მიიზიდვენ თვისად ზეალთა.

ბალი არს ანგლიურათ გაწყობილი და ფრიად შემკობილი, თუმცა საზოგადობისათვის არ არს განღებულნი. მარამა ვისაცა ჰსურს, ბილეთს მიიღებს კანტორისაგან * და ყოველთვის ძალუძს ბილეთითა მით შესვლა ბალში.

ხოსროვ მირზა²⁶⁷ ამ სასახლეში იღვა 1829 წელსა.

ე რ მ ი ტ ა ქ ი

ტაძარი ესე არს აღშენებულ ეკატერინა მეორისა მიერ 1775 და შეწირულ ხელოვნებათაღმძი, და შეერთდების (ზიმნის დეორეცს) დაფარულითა გასაფალითა.—აქ იფიწყებდა თვისსა დიდებულებასა ეკატერინა და განისვენებდა შეძღვომად მძიმედ ხელმწიფობის შრომათა და საამურსა უბნობასა შინა მახვილგონებიანთა კაცთა თანა თვისისა სასახლისა ეძიებდა შექცევასა და კმაყოფილებასა სიცოცხლისათვის.—გაქალკეება (учащение) — ხალვათხანა ესე შეამკო ყოვლითა მით, რაიცა იწარჩობის ხელოვნებით, გემოვნებით და მსწავლულობით. მრავალნი ოთახნი ალავსო მხატვრობით; ჩინებულნი საწოლნი (постели) რაფაელისა²⁶⁸ გადაახატვინა რომში და განუმზადა მათ ცალკე гилберეს და დაარქო რაფაელის საწოლად (постель).—დიდი და ძვირფასი შეკრებლიება (прекрасны) ქვათა შეამკობენ ფრიად სიმღიდრითა თვისითა. ჩინებული კაბინეტი მონეტებისა და მედალთა განაპრავლებს უფრო უმეტეს სიმღიდრესა ამას.—აქა არს ფრიად ძვირფასი ბიბლიოტეკა, რომელსაცა შინა აწყვითა თხზულებანი ფილოსოფოსთა — დალამბერტისა²⁶⁹, ვოლტერისა²⁷⁰ და დიდეროტისა²⁷¹.—მშვენიერნი ლანდკარტნი ბუშინლისა²⁷² მისგანვე არიან ნასყიდნი.

* თავდაპირველად ავტორს დაუწერია: „გარანა ზედამხედველისაგან შეიძლება“, შემდეგ გადაუზაზავს.

ხოლო ალექსანდრე ხელმწიფემ უმეტეს განამშენიერა, შეამკო შინაგანი დაწყობილება და განამრავლა სიმდიდრეცა; ფრანციცულის შკოლის კარტინკებისათვის აღაშენებინა მშვენიერი (ღალღერეა). ოცდაათი ათასი ძვირფასნი (пшашае) ქვანი და (гемаиоа) წესისაძებრ დაწყობილ არიან ლამაზთა მინის შკაფთა შინა; ფრიად ჩინებულნი (взвжж) კოლივანსკ-ს (პორფირისა) და (яшши) აწყვიან და აკვირებენ თვალთა: ალექსანდრე ხელიწიფემ პარიეში 1814 წელს ყოფნის დროს მრავალნი ძვირფასნი ხელოვნებანი იყიდა ამ ერმიტაჟის შესამკობელად: უბნობენ, ვითომც პაულე პოტტერის²⁷³ კარტინკისათვის, რომელზედაც გამოხატულ არს ძროხა, მიცემულ არს 30,000 რუბლი.—ესე და სხვანიცა კარტინკანი აწყვია განსაკუთრებით ცალკე ოთახში, ზალასთან, სადაცა ძვირფასნი ქვანი აწყვია, ესე იგი. „წლის ოთხი დრო“^{*}—ლორარენის²⁷⁴, „გარდამოხსნა“—რუბენსისა²⁷⁵, „თოფის სროლა მრავალშეკრებლის ხალხით ანტვერპენში“—ტენირისისა²⁷⁶, „ხარებოლა“ ბერლდენისა²⁷⁷, და მრავალნი კარტინკანი პოტტერისა.—ანავე ოთახთა შინა ჰსდგანან ოთხნი მშვენიერნი სტატუანი: ლებეი²⁷⁸, ამურ და პსიხეა, აპკოლონი²⁷⁹ და მოთაბაშე მროკაეი (мшжжшшшшшш), თეთრის მარმარილოსი გათლილნი; კვალად რაოდენნემ ძეგლებური ღერკულანიდგან²⁸⁰ მოტანილნი, ესე იგი: ტრეტნი, (вжжж)—საქურველცს ხელოვნებით გაკეთებული, (вешшш)—მშვენიერის ბარელეეფით, ბლუდო, ჯაჰენი, ბეჰენი. (жшшшш) გრგოლნი და სხვანი ანგვარნი.—გვერდზე არს ოთახი, რომელსაცა შინა აწყვია მშვენიერთა მინის შკაფთა შინა ძვირფასი ქვანი, ბრილიანტნი, ალმასნი, ოქრო და ვეცხლი, ეგრეთვე დიდი საათი,—ლონდონიდამ მოტანილი ნებანიკის კოქსისა²⁸¹.

ამ ერმიტაჟში ირიცხება უმეტეს ოთხი ათასი კარტინა, ერთმანერთზედა უმშვენიერესნი და უძვირფასესნი, რომელთა ხილცა განაკვირვებს კაცსა.

გარდა ამისსა, ორნი ღალღერეანი არიან ჩინებულნი განსაკუთრებით, რომელთაცა შინა აწყვია დიდროანნი ოცდაათი კარტინანი სნიდერსისა²⁸² და არიან უპირველესნი.—ზეცირეს კაბინეტ-

* ხელნაწერშია „დღის ოთხი დრო“, რაც კალმისეული შეცდომის შედეგია (იხ. შენიშვ. 274).

ში, რომლითაცა შეერთდების ძველი ლალღერეა ახალთან, არს ლაშაზათ დახატული შაეის კარანდაშით ხელმწიფის სახლობა ანნა პავლოვნასაგან²⁸³. — ფრანციკულს ლალღერეაში უპირველესნი კარტიკანი არიან ღრეიკისა²⁸⁴, ლორრენისა, ფერნეტისა²⁸⁵, პუსსენისა²⁸⁶, ლობელინასი²⁸⁷, ფუეტისა²⁸⁸, ლალირისა²⁸⁹ და სხვათა. — აქვე არს სტოლი, ორი ბოძი და (БѢЖИ) (მაღახიტისა) და, დასასრულ, გამოსავალთან არის კარტინა ლებრუნის²⁹⁰ ქალისაკან დახატული (ГЕНИИ), ფრიალ მშვენიერად და ნარნარად, (ГЕНИИ), რომელიცა ჰსწერს ფარზე სიტყვათა ამათ: Alexandre le magnanime. Paris, 31 mars²⁹¹, 1814 წელს.

იმპერატორის ზიმნის ეგორეცი

ძველი საზამთრო სასახლე, რომელსაცა შინა ჰსცხოვრებდენ დიდი პეტრე და ზეულა მისი ეკატერინა და სადაცა მიიკვალნენ, იდგა იმ ადგილს, სადაცა არს აწ სასახლის თეატრი და პირველის ბატალიონის პრეობრაჟენის პოლკის კაზარმა. ხოლო აწინდელის სასახლის ადგილს იყო ლენერალ-ადმირალის ღრაფ ფეოდორ აპრკსინის²⁹² სახლი, რომელმანცა უანდერძა სიკვდილის ეამს იმპერატორს პეტრე მეორეს და ჰსცხოვრებდა მას შინა ანნა იმპერატრიცა.

იმპერატრიცა ელისაბედმან ღრაფ რასტერლის²⁹³ ზედამხედველობასა ქვეშე დააწყებინა აღშენება აწინდელისა სასახლისა 1754 წელსა და შეასრულეს 1762. — ამა სასახლის სიგრძე არს 450, სიგანე 350 და სიმაღლე 70 ფუტი*. გარეთსა პირსა შეამკობენ იონიჩესკის და კორინსკის სვეტნი და მრავალნი სტატუანი და (ИВЖИ) თავზე და მით ეჩვენების თვალთა სასახლე ესე როგორღაც მრისხანედ. — შინაგანი მისი შემკობილება, რალა თქმა უნდა, რომ იქმნების უძვირფასეს. — მუნ ჰსცხოვრებს იმპერატორი. — სასახლე ესე არს უდიდეს სხვათა ყოველთა ხელმწიფის სასახლეთა.

* ხელნაწერშია „ფუთი“. აეტორი ზოგჯერ ამდაგვარად წერს ზომის ერთეულის აღმნიშვნელ ამ სიტყვას.

ანიჩკოვის სასახლე

ჰსდგას ნეესკის პროსპექტზე, ანიჩკოვის ხიდის ახლოს და არს ერთი უაშენიერესთა და უდიდებულესთა შენობათაგანი, რომელნიცა შეაჰკობენ ქალაქსა ანას, და უფრო უპეტეს არს დაწვევებულ სასახლე ესე ბაღით (პავილიონებითურთ), რომელიცა არს გარეშეცოროტყმული თუჯის მოაჯირით, რომელიც არს ფრად ლაშაზათ გაკეთებულ და მდიდრად შემკობილი ბრონზითა.

სასააღე ესე არს აღშენებულ 1743 წელსა ღრაფ რასტერლისა მიერ და ხიდის მიზეზით დაარქვეს ანიჩკოვად. აწ მას შინა ჰსცხოვრებს მემკვიდრე ალექსანდრე.

პამიატნიკი პეტრე პირველისა

ჩინებული ხელოსანი ფალკონეტი²⁸⁴ იყო გამკეთებელი ამა ფრიად აღმატებულისა მონუმენტისა, რომელიცა წარმოადგენს პეტრე ხელმწიფეს, მჯდომარეს ცხენზე, რომელიცა ჰსდგას ყალბზე და უკანა კორის ფეხით ჰკლავს [გველს(რ)]. მარჯვენა ხელი აქვს გაშვებული ზღვისაკენ. მონუმენტი ესე არს სპილენძისა (ვეჭობ) * და ჰსდგას ფრიად დიდს ქვაზე, რომლითაცა შეადგენს სიმაღლეს 45 ფუტს. ქვა ესე არს ნაპოვნი 12 ვერსზე პეტერბულით სოფელს ლიახტან, და უბნობენ, ვითომ პეტრე ხელმწიფე ფრიად ხშირად აღვიდოდა ამა ქვასა ზედა.—პიდესტალზე ჰსწერია ოქროს ასოებით: -*Петру Первому. Екатерина Вторая*“ (ანუ—პეტრე პირველსა. ეკატერინე მეორე).

გარდა ამისსა, პეტერბულსა შინა არს სამი მონუმენტი. პირველი არს (ობელისკი) რუმინანციოვის ზადუნაისკისათვის²⁸⁵, აღმართული პავლე ხელმწიფისა მიერ 1799 წელსა. პირველად იღვა ცარინის მინდორში (რეიდან), ხოლო 1819 წელსა გარდმოიტანეს ასპარესსა ზედა პირველის კადეტსკის კორპუსის და აკადემიის ხულო. ეესტვოს საშუალ, რათამცა მოწაფენი ამა კორპუსისანი, რომელსაცა შინა ჰსწაჯლობდა პირველად მაჰაცი ესე, მიჰბაძვიდენ მას.—ობელისკსა აქვს სიმაღლე 82 $\frac{1}{2}$ ფუტი და არს მოშავო გარანდუ-

* ჯერ ფანქრით დაუწერია: „თუჯისა“, შემდეგ გადაუბაზავს.

ლისა გრანიტისა, შედგენილი სამის ნაჭრით. (Шьедестя), ანუ რომელზედაც ჰსდვას, არს მოწითალო მარმარილოსი. თავსა განამშვენიერებს მოოქროვილი ბურთი, რომელზედაც არს მოოქროვილი ფრთავაშლილი არწივი. შავს მარმარილოს ფიცარზე არს ფრიად მარტივი წერილი და მით უფრო უმშვენიერესი: „რუმინანკოვის ძლევათა“. — ესე მონუმენტი არს გაკეთებული ზედამხედველებასა ქვეშე სასახლის არხიტექტორის ბრენნისა²⁹⁸.

მეორე მონუმენტი არს ღრად სუვოროვის-რიმნიკსკისა²⁹⁷, აღმართული 1801. ესეც უწინ იდგა საზაფხულო ბაღთან, გარნა გარდმოატანეს ნევის კიდესა ზედა — მარმარილოს სასახლის და თავადის სალთიკოვის სახლის შუა. სტატუა არს ჩამოსხმული ბრონზისა და წარმოადგენს მამაცსა ამას რომაელთ მხედრის ტანისამოსით, მუზარადი (шлем) თავზე ხურავს, მარჯვენის ხელით უკირავს შიშველი მახვილი და მარცხენით ფარი, რომლითაც ჰფარავს იტალიის გვირგვინთა, მაღლობზე მდებარეთა.

დასასრულ, მესამე სტატუა დიდახოვნად პეტრე პირველისა ცხენზე, მიხაილოვსკის ზამოკის წინ. — იმპერატორი წარმოდგენილი აქს მზგავსად აგვისტო კეისრისა²⁹⁸, მშვიდობიანს ცხენზე, თავზე აქვს დაფნის გვირგვინი, ხოლო მარჯვენის ხელით უპყრია კვერთხი მბრძანებლობისა. — პავლე ხელმწიფემ დაადგმევინა აქ და ზედ ჰსწერია: „*Правнue праведу*“, 1800 წელს*.

აჰა, ფრიად უძვირფასესი და ღირსსახსოვარი გალავანი საზაფხულო ბაღისა ნევის მხრით, რომელიცა არს შედგენილ ოცდათექვსმეტის გრანიტის სვეტთავან და თუჯის ფრიად ძვირ. ხელოვნებით გაკეთებული მოაჯირით რომელიცა არს დიახ სქლად ოქროთ დაფერილი. ესე შეასრულეს 1784 წელსა და წარმოადგენს ფრიად მშვენიერს სახილველს, უფრო დიდის პეტერბულის ხიდიდამ.

ერთი ანგლიელი მოსულა აქ განგებ ამ გალავნის სანახავად ლონდონიდამ და ასე მოჰსწონებია, რომ უთქვამს: პეტერბულში ამაზე უკეთესი რალა იქნებაო, სხვა აღარა გაუსინჯავს რა, იქვე ჩამჯდარა ხომალდში და დაბრუნებულა ლონდონს.

* ამის შემდეგ გადაახულია: „ანუ შვილისშვილი პაპას“.

საზოგადო საღიხრო ადგილი

პირველი საღიხრო ადგილი არს თეატრი, რომელიცა ვამოაჩენს ხარისხსა ერის განათლებისასა და აქვს დიდი ძლიერება ზნეობასა ზედა, რამეთუ თეატრი არს ცხოვრებისა ჩვენისა წარმოდგენა. ყოველთა ბოროტთა საქმეთა, სარწმუნოებითა ჩვენითა შერაცხილთა ცოდვად, წარმოგვიდგენს თეატრი თვალწინ ყოველთა მათთა სიპილწეთა და არწმუნებს გრინობათა მხილველთასა. წინააღმდეგ ამისა, საქმენი კეთილნი გვეჩვენებთან ესრეთ მშვენიერად, ესრეთ ტურფად, რომელ გული ჩვენი აღივსების გამოუთქმელით სიხარულითა და მათ დაცვისათვის მაშინვე განემზადვის ყოველთა ტანჯვათა მოსათენად. ესრეთ ძლიერ შეეწევის თეატრი სარწმუნოებასა ჩვენსა.—თეატრი რაოდენცა არს უყეთეს, ეგოდენ ვარი. ანუ საზოგადოობა არს განათლებულ, ხოლო ქვეყანასა მას, სადაცა არა არს სრულიად თეატრი, მუნცა ავი არს განათლება ერისა.—თეატრი არს პირველი განწმენდელი ზნეობისა ჩვენისა ყოველთა სიბილწეთაგან. მუნ ვხედავთ ყოველთა ჩვენთა ნაკლულთაგანებათა.

პეტერბურღში არს სამი თეატრი: 1) ახალი დიდი, რომელიცა აღშენდა, ნაცვლად პატარა თეატრისა, ანიჩკინის და იმპერატორის ბიბლიოტეკას შუა და არს ერთი უმშვენიერესი შენობა. უწინდელი პატარა თეატრი, აქ ყოფილი, დაატკეცს და მით აღმოჩნდა ფრიად ლამაზი მოედანი ახლის თეატრის წინ 2) დიდი ძველი თეატრი და 3) ახალი ხის თეატრი სიმონოვსკის ხილთან.

დიდს მარხვაში თეატრული წარმოდგენა შეწყდების; ის ნაცვლად ხშირად კონცერტებს უკრვენ. — ზამთარში, კვირაობით და დღესასწაულობით, მაკერაღნი არიან, სადაცა არს დიდი ყრილობა ერისა და შემკობილ ესრეთ მდიდრად, როგორც შეეფერვანს ესრეთსა ქალაქსა, ვითარცა არს პეტერბურღი. — ინლელგარდის 18⁹⁹ ახალში იყო ჩემს დროს მასკარადი პუბლიჩნი.

ორი სატანციო კლუბნი ზამთრის თვეებში მოჰსცემს ფრიად საამურსა კმაყოფილებასა. ორნივე ფრიად მდიდრად არიან შემკობილ, სადაცა არს აღრჩეული საზოგადოობა, რომლისა მხოლოდ ჩვენნი არიან მიღებულ ამა შეკრებილებასა შინა; გარნა ჩვენსა ცალკეს მიიპატიეოს ახლად მოსული ვინმე მისი ნაცნობი, ხოლო

შეორეს სატანციოს კლუბში, როდესაც მოხდების ბალი, მაშინ ძალუძსთ აქ მიმსვლელთა ბილეთი მიიღონ ფასით.

გარდა ამ ორთა, არს კვალად ოთხი კლუბი, — განსასვენებლად და დროს გასატარებლად. აქა ქალაქის თამაშობა შეადგენს პირველს კმაყოფილებას.

უბრალო ერისთვის სალხინო ადგილნი არიან განგებ გაკეთებულნი, — ყინულის მთანი ნევაზე. ოდესცა გაჰყინავს მდინარესა ყველიერში, კაჩელანი და სხვადასხვა თამაშობანი. აქ ნევაზედვე აკეთებენ ხის სარაიათ, სადაცა თვალთმაქცებნი აჩვენებენ თვისსა ხელოვნებასა. ამგვარნი კაჩალანი აღდგომის დღეებშიაც იციან, მხოლოდ ყინულის მთათ ნაცვლად ხისას აკეთებენ; სარაიებში აჩვენებენ სხვადასხვათა ნადირთა და ჯამბაზნი თოკზე თამაშობენ. — დიახ კარგი სანახავია ამ დროს უმრავლესნი ზდიდრად შემკობილნი კარეტებნი, რომელნიცა ნელ-ნელად დადიან ამ უბრალოს ხალხის სიმრავლეში კაჩალებთან, რომელნიცა გამართულ იქმნებიან მარადის პეტროვის ჩეიდანზე, ან ქვის თეატრთან. ზოგჯერ თვით ხელმწიფის სახლობაც აბედნიერებს თვისის მოსვლით ამა უბრალოს ხალხის დღესასწაულობაში და ხანდისხან სმოლნის მონასტრიდამ და ეკატერინის ინსტიტუტიდამაც ქალნი მოდიან საყურებლად სასახლის კარეტებით.

ზაფხულში სასეირნო ადგილნი

მოვალს პირველი მაისი და ახალი სიამოვნება მოელისთ ქალაქის ნცხოვრებთა დიდსა პუბლიჩნის სასეირნოს ეკატერინოლოფში. სააჟურსა ტყესა შინა ჰსჩანან მრავალნი კარავნი, რომელთაცა შინა უბრალო ხალხი ჰლხინობს და შეექცევა. ხოლო აღმორჩეული გეამნი დადიან კარეტებით. ზოგნი ცხენით და ზოგნი ქვეითად სეირნობენ, რათაჲცა იხილონ სხვანი და ახილონ ვგრეთვე თავიცა თვისი სხვათა

სამების შეორეს დღეს არს უფრო უდიდესი სეირნობა საზაფხულოს ბაღში (Летний сад)

მაისის ნახეარს ყველანი გადიან სოფელში საცხოვრებლად: (Поселки) დარაბისელნი და მდიდარნი თავის დაჩებში და ქალაქის გარეთ საბაღებში, და ვისაც კი ძალუძს, ყოველნი ჰსციდილო-

ბენ, რომ იქირაონ შინე საზაფხულო სახლი, რათამცა წმინდის ჰაერით დაჰსტებენ და ისიამონონ მშვენიერის ბუნების ხილვით. ზოლო ვისაც თანამდებობა, ანუ სხვა რაიმე მიზეზი აყენებს ქალაქში, იგი ეძიებს განსვენებასა და სეირნობს ანუ საზაფხულოს ბაღში და ანუ საღამოზე ნავით იცურაოს კრესტოვსკის და ანუ ელაგინის კუნძულთაქენ და იქ ისეირნოს*. კვირაობით და დღესასწაულობით მრავალი ხალხი იყრება მარადის კრესტოვსკის კუნძულში; პატიოსანთა გვამთა მიაქვსთ მუნ ზოგჯერ საზრდო და იქ, გამართებულს ადგილს, ჰსხედან მყუდროდ და შეეკცევიან ბუნების შემკობილებით.

საზაფხულო შესაქცევი ადგილნი არიან: სალხინო იმპერატორის ციხენი (ЗАМКИ). ცარსკის სელო, პავლოვსკი, ლატჩინა, პეტროლოვი** და ორენინბაუმი, რომელთა მდებარეობა არს ფრიალ უნშვენიერესი.

29-სა ივნისსა 1832 წელსა და 3-სა ივლისსა ხელწვიფე ბრძანდებოდა თავის სახლობით და დიდი სეირნობა და შუშხუნის აშვება იყო***.

დღესა პეტრე პავლობას წირვა ზოვისძინე მარიამ იერეთის დედოფლისას, სადაც სადილათ მიმიწვია თარნაოზ ბატონისშვილმა. სადილის შემდეგ მე და ლუარსაბ ბატონისშვილი წავედით ელაღინს,

* აქ აეტორს ნიშანი (*) გ უკეთებია: როგორც ჩანს, მას სურდა აქვ ჩაემატებინა სქოლიოზი მოგვიანებით მიწერილი ტექსტი: „29-სა ივნისსა 1832 წელსა...“ მაგრამ ასეთი ჩამატება საქმოდ დაარღვევდა თხრობას და ამიტომ აღნიშნული ტექსტი ჩვენ დაწვებული აღწერის დამთავრების შემდეგ დაფურთვით, როგორც ეს არსებ; თად თვით ხელნაწერშია წარმოდგენილი. ** ამ სიტყვის თავზე აეტორს დაუწერია: „1-ს ივლისს მისი დღესასწაულობა“. *** სქოლიოში მიწერილი ამ ტექსტის დასაწყისი თავდაპირველად ასე იკითხებოდა: „29-სა ივნისსა 1832 წელსა, დღესა პეტრე-პავლობას...“ და ა. შ. მის მიხედვით, ქრონოლოგიურად, ამ ტექსტს წინ უსწოება ტექსტი: „1832, 6 იანვარი. წაალეურთხევა“ და ა. შ. მაგრამ სქოლიოში მიწერილი ტექსტის დასაწყისში აეტორს შემდეგ ჩაუმატებია: „29-სა ივნისსა 1832 წელსა და 3-სა ივლისსა ხელმწიფე ბრძანდებოდა თავის სახლობით...“ და ა. შ. რითაც ეს სქოლიო აეტორმა ბუნებრივად დაუკავშირა „ზაფხულში სასეირნო ადგილნის“ აღწერას. ამ კავშირზე მოუთითებს თვით აეტორის ნიშანი (*). რის შესაბამეც ლაპარაკი წინა შენიშვნაში გვქონდა. ამიტომაც, რომ დღიურის ადგილი—„1832, 6 იანვარი“ ჩვენ სწორთოდ გადავიტანეთ „ზაფხულში სასეირნო ადგილნის“ აღწერის შემდეგ.

სადაცა ფრიად მრავალი ხალხი იყო შეყრილი სასვირნოდ გამოსულნი. კუნძული ელალინი, კამენი და კრესტოვი საესე იყო ქალით, კაცით და მრავალით მდიდარის ეკიპაჟებით. ფრიად ადრიაინის ზაფხულის შემდეგ დღე ესე იყო მშვენიერი.—კუნძული ესე ფრიად სასიამოვნო სახილველია. წარმოიდგინეთ ზქელი ტყე, რომელსაცა შინა იკლანკების ლამაზნი გზები, სადაცა ლამაზნი სახლი აქა-იქ არიან განბნეულნი და ამასთანა ნევის მდინარისა ტოტნი. განყოფილნი მრავლად, ამა კუნძულთა გარეშე უვლიან, რომელსაცა ზედა მრავალნი განბნეულნი ნაენი ჰსკურვენ მოსვირნეებით. აქ იკვრის მუზიკა, იქ მომღერლები, ზოგნი ცხენით, ზოგნი კარეტებით, ზოგნი ქვეითად, ზოგნი სხედან, ზოგნი სვირნობენ, აქ მოხუცებული, იქ კობტა ყმაწვილნი.—ყოველივე ესე წარმოუდგების თვალთა მშვენიერ ცოცხალ კარტინად.—ელალინიში არს ლამაზი სასახლე ხელმწიფისა, გარეშემორტყმული ნშვენიერის ყვავილეებით და ბუჩქებით.—კამენის თეატრი და კრესტოვისკის მიხილ პაელოვიჩის³⁰⁰ სასახლე.—კუნძულნი ესე ერთნაერთზედა არიან მობმულნი. მხოლოდ ნევის ტოტნი გაჰყოფენ მათ და ლამაზნი ხიდნი კი შეა-
[ქ]რთებენ.—ჩვენებურს კაცს უთოოდ ძალიან მოეწონება, ამისთვის, რომ წარმოუდგენს ყოვლის ნშვენიერებით შემკობილსა თვისის მამულის მდებარეობასა.

მზე მიეფარა, მისნი სხინი ძლივს შემოდინოდნენ ფოთლებშრ და ოქროს ფრად შეღებდნენ მდინარესა.—დიდის სიამოვნებით აღესილნი დავბრუნდით შინ.

1832, 6-ი იანვარი.—წყალკურთხევა ხელმწიფის გამოსვლა. კრემონია მისი.

18-ხა იანვარს, 1832 წელს.—წაველ პეტერბულს ღრაფ სიმონიჩის გამოსასალმებლად, რომელიცა ენზადებოდა საქართველოს წასასვლელად და მე ნოვლოროდს.

19-ხა.—ვიყავ დედოფალთან, ბატონისშვილებთან, ეგრეთვე გამოსასალმებლად.

20-ხა.—სალამომდის დაჰყავ ფარნაოზ ბატონისშვილთან, რომელიდამაც წაველ თეატრში, ეგრეთვე გამოსასალმებლად. წარმოდგენა იყო „Горы от ума“—საწყალის უდროოდ. ნომკდარის ღრიბოედოვის³⁰¹ მიერ თხზულება.

21-ხა.—გამოვესალმე ღრაფს სიმონიჩის და მოველ პულკოვას, სადაცა ჩემი სახლის პატრონის შვილის დანიშვნა იყო.

დედოფალს გაუგზავნე თხუთმეტი რუბლი საჩუქრად, რომლი-
საგანაც მომივიდა ხელცახოცი.

22-სა.—პულკოვიდამ მოვედით იჟორას. 16 ვერსი. აქა შეკრბა
პატალიონი.

23-სა.—განვლეთ 12-ი ვერსი და დავისევენეთ სოფელს საბლას
და აქედამ მოვედით სალამოს ტოსნას, სადაცა 24-სა დავისევენეთ.

25-სა.—განვლეთ 15-ი ვერსი, დავისევენეთ სოფელში და დავი-
ლამეთ პომერანიეს, 11 ვერსი, და როტები გარეშე სოფლებში.

26-სა.—სოფელს ბაბინოს, 10 ვერსი, 27-სა სოფელს ჩულოვს,
სადაცა 28-[ს] დავისევენეთ.—აქედამ წავედით ღრაფ არაკჩევეის³⁰²
სოფლის სანახავად—ლრუზინოსი, 12 ვერსი.—აღწერა ამისი.

29-სა.—სპასკის პოლისტ. 24 ვერსი. სადილი ვსჰამეთ აფიცრებ-
პა ერთად ლოსტინიცაში. სადილს უკან წავედით სანახავად ღრაფ
არაკჩევეის პოლკის შტაბკვარტირისა. ფრიად კარგი არს შენობა
მანეისა, ლაზარეთისა, აფიცრების სადგომთა და სხვათა დაწყო-
ბილებათა. შევედით სასწავლებელში, სადაცა არს სამი კლასი და
ჰსწავლობენ სალდათის შვილები წერას, კითხვას, გალობას, არიფ-
მეტიკას და ლეომეტრიას.

30-სა.—მოვედით პოდბერეზიეს. 24 ვერსი. სალამოზე წავედით
მე და ფროლოვი³⁰³ ჩვენ ნაცნობთ აფიცრებთან,—ემელიანოვი³⁰⁴ და
ბიკოვი³⁰⁵,—რომელნიცა იდგნენ პოსელენის როტაში, სადაცა აღ-
ჩნდა პირველი ბუნტი. —გვაჩვენეს ადგილი, სადაცა ჰხოცდნენ
აფიცრებს გაცოფებულნი უგუნურებით სალდათნი. მას ადგილს
დაარქვეს Иирише место, ანუ თხემისა ადგილი.—აქ დავრჩით ეს
ღამე.

31-სა.—სადილს უკან მოვედით პოდბერეზიეს.

1-ს თებერვალს.—მოვედით ნოვლოროდს ქალაქს. 24 ვერსი.
შეველ თაყვანსაცემელად სოფიის სობოროში.

2-სა.—სოფელს სუტოკი, 20 ვერსი, სადაცა დაჰსდგა მხოლოდ
ერთი როტა, სხვანი გარეშე სოფლებში.

3-სა.—სოფელს მინუში, 20 ვერსი, სადაცა 4-ს დავისევენეთ.
ღიახ კარგათ არის აღშენებული ეს პოსელენი.

5-სა.—მე და ფროლოვი წავედით მედვედის, პოსელენის შტა-
ბის სანახავად და იქიდან მოვედით ემშიკის სოფელში მშალას.
20 ვერსი. ღიახ ღიდი სოფელია მდინარესა ზედა მშალას.

6-სა.—მოვედით კაროსტინეს, 25 ვერსი, რომელიცა ჰსდგას ელმენის ტბის³⁰⁸ ნაპირზე. აქა არს დიახ მცირელი, ექვსი ოთახიანი სასახლე ხელწიფისა, მარამა ფრიად ლამაზად შემკობილი და ბაღი აღუბლისა.

7-სა.—გაშინჯა ღენერალ ნაბოკოვმა³⁰⁹ რეკრუტის როტანი, ჩვენგან მოყვანილნი, და უბრძანა მიბარება ჩვენგან.

პეტეროფს წაველ 1832 წელსა, ივლისის 14-დღესა, კვირახ. სადილათ ვიყავ ბატონისშვილს თეიჟურაზთან.—ენახე ის განსაკვირველი ბალი, რომლისა ქება მართლად განთქმულ არის ქვეყანაზე.—მისი შადრევნები გააოცებენ მხილველსა: მათთაგან უპირველესი სასახლის წინ—სამფსონი³⁰⁸ ლომსა ჰხლეს და მის პირიღამ ამოდის ესრეთ ძლიერად წყალი, რომ ათ საეენზე უმეტეს ჰსცემს. ორ რიგათ არს ჩამწყრიებული სხვადასხვა სტატუები ბრონზისა, ოქროთ დაფარაყებული—წყლის მსროლელნი, ეგრეთვე ვაზანი და ჯამნი-შვიდ კიბეზე ჩამოსული წყალი წარმოუდგების სწორედ წმინდა მინად გადაკრულად პორტრეტებზე, რომელნიცა არიან გამოსახულნი კიბეზე.—ზოგი მინის ჯამად აღმოდის, ზოგი ბურთად, ზოგს უქირავს გველი და მის პირიღამ ესრვის მეორესა წყალსა.—დიდროანნი შადრევნებია, მარამა სამფსონზე უმცირესნი არიან სხვანი მრავალნიცა ამა ბალში; მათ შორის არს სახილველი პირამიდა.—ვინ არ განჰკვირდება, იხილავს რა მუხას და ფიჭვს, რომლისა ყოველს ფოთლის ძარღვიღამ აღმოდის წყალი,—ესე არს [.] ასე ხელოვნებით გაკეთებული, რომე ვერ გამოარჩევს სხვათა ხეთ შორის; კვალად სოკო დიდი, რომლისა ქვეშ განგებ გაკეთებულს სკამზე დაფუჯექ და გარე ჩემსა ჩამოვიდა წყალი; ეგრეთვე მის სიახლოეს, ესე იგი მუხასთან, მიწიღამ აღმოდის წვიმა. ერთს აუზში ძალდი დაჰსდევს ყუფით მცურავთა მყვირალთა იხეთა, რომელთაცა პირიღამ აღმოდის შადრევნად წყალი. მალალს გორაზე თაგის ბუდიღამ გამოდის ვეშაპი, რომელსაცა საშინლად დაუღრენია პირი, აქეთ და იქით დახვედრიან, ეგრეთვე დაღრენილის პირით, კოკოდილნი და პირიღამ ასხმენ წყალსა შადრევნად.—წყალი ესე ჩამოდის სხვადასხვაფერად მოკირწყლულს ქვით გორაზე და სრულიად ვჩვენების გადაკრულ მინად. სხვადასხვაგვარნი თევზნი, კუნი, ვაცნი, ცხენნი ათას რიგათ არიან წარმოდგენილნი შადრევნად, რომელთა თვითოეუ-

ლის აღწერა იქმნებოდა გრძელ და თითქმის შეუძლებელ ისრე, რომელ მიპსტეს ის სრულიადი ცნობა და ის სიაძოვჩე, რომელთაცა ჰერძნობს თვით მხილველი. ერთის სიტყვით, ყოველივე, რაიცა შექსძლებია გონებასა, ხელოვნებითა შეუმკია.—ერთს დიდს აუზში არიან მრავალნი თევზნი, რომელნიცა ზარის ხმაზე მოვლენ ნაპირას პურის საქმელად.—რა ჩამოვალს პირველს კიბეს სასახლიდამ, ფრიად მშვენიერად არს გაკეთებული გროტი (ანუ ოთახნი) კირის ქვებით, ხავსით და სადაფებით, რომელნიცა არიან მართულებით გადაბმულნი, აჩათუ ტალახითა აშენებულნი.—ვნახე ხელწიფის საბანებელიცა.

მონაღლებში არს შენახული პეტრე ხელმწიფის ტანისამოსი, ჯოხები, მისი ხელსაბანი, ქვაბი, ტაფა, თეფშები თუნუქისა (ОХОЖИИИИИ).

სალამოზე მობრძანდა ხელმწიფე და მიხვილ პავლოვიჩი ცარსკი აელოდამ.—აქა ვნახე ნიკოლაი ნიკოლაიჩი³⁰⁹, წითელს პერანგით. ძალიან ჰგავს ხელმწიფეს.

ბალი ესე დასრულდება სწორედ ზღვასთან და მით უფრო არს უმშვენიერესი სანახავი. მრავალნი დიდროანნი ნაენი იალქნებით *, პარახოდნი მიდიოდნენ პეტერბულით კრონშტაუს და იქილამ პეტერბულს.—სალამოზე მუზიკა უკრავდა სასახლის წინ.

პირველად რომ შევა ბალში, მცირეს შადრევნებსა ვასცილდება და მას უკან წარმოუდგება ნეპტუნი³¹⁰, ტრეზუპციით მდგომარე ზღვაზე, რომლის ქვეშე ზღვის კაცი, ცხენნი, თევზნი, კუპიდონნი³¹¹ სხვადასხვარიგათ ისერიან შადრევნებს.

სალამოზე ამოველ ისევე პეტერბულს, პირველს საათზე. მშვენიერი გზა არს, 26 ვერსი, სულ დაჩები,—მშვენიერად შემკობილნი. ღირსი არს პეტროლოფი, რომ რამდენიმე ათასი ვერსი გამოვლო განგებ ანის სანახავად მხოლოდ.

16-ხა. ** —სალამოზე ვიყავ ფარნაოზ ბატონისშვილთან, სადაცა შექდგომად სხვადასხვათა უბნობათა დიმიტრი ბატონისშვილთან³¹² ლაპარაკი გვექონდა პირველთ მუზიკანტებზე: მოცარტზე³¹³, რომელმანცა დაწერა „შექმნა სოფლისა“, და არს საკვირველი მისი თხზულება „ხოსი და იქმნას ნათელი“—და ბ ა დ ე ბ ი დ ა მ; ვებერზე³¹⁴: რომელიცა მოკვდა 38 წლისა. ამისი არს „ფრეიშციცა“, ფრიად საქე-

* ხელნაწერშია „იანქნებით“. ** იგულისხმება 15 აგვისტო.

ბელი მუზიკა; როსისინზე ³¹⁵, რომელმანცა, ყმაწვილმა ოცის წლისამ, დაწერა „სილვერსკის ცირულნიკი“ და სხვანი მრავალნი უცხო მუზიკანი: ხერუბინზე ³¹⁶, რომლისა „მწამს ერთი ღმერთი“ ფრიად საქებელ არს და უფრო—„და ეენო, და დაეფლა და აღსდგა მესა მესა დღესა საჟღავით“,—არს ფრიად საქურველი მუზიკა.

18-სა.—ვიყავ საღამოზე ფარნაოზ ბატონისშვილისას, სადაცა მე და დიმიტრი ბატონისშვილს გექონდა უზნობა მხატვრობაზე: მან აქო რაფაელის „მადონა“—ღმრთისშობელი, უფრო „რომის დაწეა“; კორრედეოს ³¹⁷ „დღე და ღამის გაყრა“—15 [МИЛЛИОННАЯ(?)]. „შობა იესო ქრისტესი“—4 [МИЛИОН(?)], მიქელ ანჯელის ³¹⁸ „ჯვარცმა“. ამანვე აღაშენა საქურველი გუბათი რომის პეტრე-პავლე[ს] საყდრისა, რომელსაცა აქვით სიმაღლე 60 საეენი.

ამერიკაში არს ერთი კლდე სიმაღლით 24 საეენი, რომლის წვერიდამ აღმოდის ერთად დიდი მდინარე და გადმოვარდების ესოდენსა სიმაღლესა. იტყვიან, რომ მის სიახლოეს მიწა ირყვევ მდინარის დაკემით და საზარელნი სხვადასხვა ხმანი გამოდიან მუნით.

22-სა აგვისტოს.—ვიყავ სადილათ ფარნაოზ ბატონისშვილთან. ლაპარაკი იყო ლეოლრაფიაზე. არს ქალაქი კოლა ³¹⁹, მდებარე ჩრდილოეთზე, სადაც წელიწადში რვა დღე არ ჩავა მზე, შტოკ-ლოლში ³²⁰—ერთი დღე.

საღამოზე მე და დიმიტრი ბატონისშვილმა [...] * საქართველოს სიღარიბეზე, რომელიცა ჰსწარმოებს მცხოვრებთა უცოდინობი საგან. თუ ვითარ და ანუ სადით ისარგებლოს. — ფაბრიკების გაკეთება და სხვანი ამგვარნი.

1832 წელსა, აგვისტოს 30 დღესა.—აღპართეს დიდი ქვა აღექსანდრე ხელმწიფის პამიატნიკად (ძეგლად) **. ხელმწიფის ფამილია წირვის შემდეგ, რომელიცა მოისმინეს აღექსანდრე ნეესკის საყდარში, მობრძანდა სახილველად: პირველად ხელმწიფე, ნასლენიკი, მიხაილ პავლოვიჩი და მათი სვიტა ცხენით, მათ შემდეგ იმპერატრიცა თავის ქალებით, ოქროს კარეტით. წინ მოუძღოდნენ ჩაჩქანჩაცმულნი ჩერქეზის ესკადრონი. ხელმწიფე ელოდა კიბესთან.

* აქ ავტორს გამოჩენია სიტყვა „ვისაუბრეთ“, ან ამდაგვარი. ** „ძეგლის“ მაგივრად თავდაპირველად დაუწერია „სახსოვრად“, შემდეგ გადაუბაზავს.

ჩამოსვა კარგით და ავიდნენ ზალა ფიცრულსავეთ გაკეთებულზე, ქვის სიახლოეს, სადაცა იდგა კარები.—კარისკაცი. ელჩნი და მრავალნი ხალხნი შეგროვდნენ საყურებლად.

ხელმწიფის ბრძანებით დაუკრეს ბარაბანი ლოცვისათვის, რომლისა შემდეგ სამჯერ დაუკრეს ზარი და დაიწყეს ქვის აწევა შუადღიდან ორს საათზე და აღმართეს ოთხის საათის შესრულებაზე. მაშინვე ქვის წვერზე გაშალეს ხელმწიფის ფლალი (დროშაზე არწივი გამოსახული). ხელმწიფემ დაიძაბა უ რ ა, ჯარბა და მრავალმა ხალხმა ბისცა ეგრეთვე ხმა.—დასასრულზე ხელმწიფე და იმპერატრიცა გადმოდგნენ ხალხისკენ და თავს უკრავდნენ.—იმავე ცერემონიით წავიდნენ სასახლეში.—სალამოზე ჩირალდანი იყო.

31.—ველიკი კნიაზმა ³²¹ გასინჯა ჩვენი ბატალიონი.

სალამოზე პირველი თამაშობა იყო ახალს თეატრში ნევსკის პროსპექტზე, რომელსაცა დაარქვეს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ნ ს კ ი: „მინინ და პოჟარსკი“ *.

[დღიური 1836 წლისა]

ხოფელი კლაუსცუცი. 5-სა ივლისსა, 1836 წელსა. დილით ადრე შივაჰენებდით კალასკას ბირჟისკენ გამოსასალმებლად მღ და სტარიკოვი¹. ურია ზარკუხის ტრაქტირში უკვე იყვნენ შეკრებილ აფიცრები ამავე საგნისათვის. სტოლზე ლამაზი ზაკუსკა იყო**, მასზედა იდგნენ ამსებულნი ღვინით რუშკები, აქა-იქ ფანჯარაში დაფანტული თამბაქო, ჩიბუხის კვამლით სავსე იყო ოთახი. ოთახის კარებთან იდგა ურია სახლის პატრონი და მოელოდა ბრძანებასა, ორი თუ სამი აფიცრები ეარშიყებოდნენ ურისს ქალსა. შეტად კარგს. „კნიაზის სადღეგრძელო იყოს“,—შეჰსძახა ერთმან მათგან-მან, შეეგდი რა მათდა. „ეი, შამპანსკი“,—დავიძახე.—პროჰკა აგარდა ჰერში და შიშინით აივსო რუშკები. „უფლებო, — ვჰსთქვი შე, —ღმერთმან ინებოს. რომ კეთილად დაბოლოვდეს*** ჩვენი ესე

* სიტყვებში „მინინ და პოჟარსკი“, ჩანს, ავტორი გულისხმობს სეკტაკლს. ** თავდაპირველად დაუწერია: „იდგა“. შემდეგ გადაუხაზაუ. *** ხელნაწერშია: „დაბოლოვდეს“.

პახოდი, კარგათ დასრულდეს ლაგირი და მოგვხედოს მოწყალეებითა ყოვლად მოწყალემან ხელმწიფემან! ურა!“ შემდგომად ორის საათისა დაეშალენით... სადილს უკან მეხუთე საათზე წაველ როტაში, რომელიცა იდგა დამზადებული წასასვლელად. „ზღაროვო რებიატა,—ზღრავეი ეელაემ, თქვენო ბრწყინვალეობა!“ „როგორ გამოესალმეთ თქვენს ხოზაიკებს“,—უთხარ ერთს სალდათს. „ჩვენი დრო წავიდა,—ჰრქვა მოხუცებულმან სალდათმან,—ჩვენთვის არლა ჰზრუნვენ ხოზაიკები, ახლა ემაწვილის სალდათების დროა,“ აგრ“. ამ დროს შევხედე, ლობესთან იდგნენ ორნი ლამაზნი გოგონი ტირილით. მე გამეცინა და უკამანდე: „პო ოტდელენიამ ნაპრაფო. მარშ. პესელნიკი ეპერედ“. პირჯვარი დაიწერეს, „Господи слагодихови“ ჰსტეგეს და „Не бeль снeжнaя зaбeлeлaчa“ შემოჰსძახეს და წავედით. საშინელი წვიმა ჩაგვიდოდა კისერში, ერთი ძაფიცა არ შეგვერჩა მშრალი, მარამა მთელს გზას სალდათები მოიმღერიდნენ.—ათს ვერსტზედ შევდექით დასასვენებლად ურიის კარჩმაში. შემდგომად მცირის ხანისა, სხვანიცა როტები მოვიდნენ. დასველებულნი, დაღალულნი აფიცრები შედჰკრბით საძაგელს, აყროლებულს კარჩნას ოთახში. ათისა ვერსტის გამოვლაჲ ერგეანშია, მარამა არა იშობოდა რა კარჩმაში არაყის ჩეტი. ვისაც რა ზაკუსკა ჰქონდა მოიტანეს, დიდის ღმეკით და პრანჰკვით დალიეს თითო რუმკა არაყი, ლაპარაკი განცხოველდა, დაიწყეს ოხუნჯობა, და დაგვაფიწყდა წვიმაცა და ტალახიცა.— მიყვარს ყოფნა ჰკვიანთ, ყმაწვილთ აფიცრებთანა; მათი უზრუნველობა, სიკაბუჯი, დაუდევნელობა და მარადის მხიარულებისთვის ნზად ყოფნა დაავიწყებენ სევდასა, შეწყუბებასა.

სამხედრო სამსახურში რას არა იხილავს კაცი, რას არა გამოჰსცდის! ვითარ ანაზღეული და ერთბაში ცვლილება არს და გარდასვლა სიმდიდრისგან სიღარიბეში, კალასკიდან საძაგელს ფურმანკად, მდიდრად შემკობილის ოთახითგან, ბალითგან პახოდში და წვიმაში, და ყოველსავე ამას მოითენენ ვითარილათაც სულის სიმტკიცითა და თითქმის უსინანულოდაც **, ნხოლოდ უზრუნველობითითა ღიწილითა წოხსენებენ ოდესმე ესრეთსა ცელილებასა.

* ამის შემდეგ გადახაზულია: „ნამოცილეს“. ** პირველად დაუწერია: „შეუნანებიათა“.

ლამე, მეთორმეტეს საათზე, მოვედით სოფელს მელუნის, 20 ვერსი.—როგორა ღირს ერთი სტაქანი ჩაი? იტყვიან: ერთ-ორ რუბლად! არა, ორი ათ[ა]სად და უფრო უნეტ.—ესე აწ ვჰსცან ამ ლამეში, მოვედით რა ამა სოფელში და ჩვენმა აღუტანტ^ა ტუფთა-ეგმა^ა მოგვაგება კარებთან ჩაი.—არ შემიძლიან თქმა იმა ყმაყოფილებისა, იმა სიამოვნებისა, რომელიცა ვიგარქენ მე მაშინ.

6-სა ივლისსა.—უბნობენ, ვითომც წვიმა მოაწაგებს ბედნიერებასა, ანუ კეთილად დასრულებასა პახოდისასა. ენახოთ, მართალ არსა?.. მეტადრე ჩემთვის დიახ საქირო არს ბედის გამოცელა.

45-ი ვერსტი გამოვლეთ* მთელს ლამეს საშინელს წვიმაში და ქარში. გამოვიარეთ მესტ. ვობოლნიკი^ა.

დაქანცულნი 7-სა ივლის[ს]ა მოვედით ქალაქს პონევეს^ა.** მარამა, ვითარცა უბნობს ციციანოვი^ა, ნუგეშსა ვჰსცემ თავსა ჩემსა ჰაზრითა მით, რომელ ყოველსავე ამის მოითხოვს ჩემგან სამსახური ხელმწიფისა, რომელიცა არა დაჰქარგულ ჰყოფს არავისსა სამსახურსა უჯილდოდ.—პატარა ოთახში დავდეგით ერთად მე, ტუფ[იაევი], სალმან^ა.

პონევეში არს პატარა ქალაქი ორის საყდრით, ერთის მეიღნით და სამის კანდიტერით.

8-სა.—გვქონდა დნეჟკა პონევეში. აქა შეიყრებიან სამნი გზანი: რიგისა^ა, ვილნისა^ა, კოვნოსი^ა.

9-სა ივლისს.—დილით მესამე საათზე გამოვედით პონევეით. რაოდენსა ვერსტსაც გამოვლიდით, ეგოდენ უმეტეს ლამაზდებოდა მდებარეობა ადგილისა და, დასასრულ, თორმეტს, ანუ ცამეტს ვერსტზე გამოჩნდა მშვენიერი სახილველი: მრავალნი სოფელნი, განბნეულნი ვაკესა ადგილსა ზედა, შემკობილსა ლამაზის ქალაქებით და აქა-იქ ლამაზის ზიზებით, ფრიად აამებდა თავალთა: ერთის შეხედვით*** ენზგავსებოდა საქართელოსსა! უნებლიეთ აღმოუტევე ოხრვა გულისაგან ჩემისა. ნუთუ ეხოლოდ შემზგავსებრთა, ანუ შედარებითა უნდა ვინუგეშო თავი ჩემი? ნუთუ არღა მეღირსების ყოფნა მუნ, სადაცა მიისწრაფიან ყოველნი ფიქრნი და სურვანი ჩემნი? მაქვს სასოება და იმედი ღმრთისა ზიზართ: მუარველობა

* ამის შემდეგ გადაზახულია. „მესტეჩკა“. ** ამის შემდეგ გადაზახულია: „სადაცა გვქონდა დნეჟკა“. *** ავტოგრაფშია: „შეხვედით“.

მისი ცხადად ვიგრძენ რაედენჯერმე და ამისთვის არა ვქსწუხვარ. გინა სადა გარდმაგდოს მე ბოროტმან მხვედრმან ჩემმან.

დღესა ამას გამოვლეთ 15-ი ვერსტი და დავდექით პომეშიჩკის ზეინიკის სოფელში, რომელმანცა მოგვეცა ურმები.

10-ხა.—გამოვლეთ მესტეჩკო რეშილოლი ¹⁰, 10-ი ვერსტი, და აქედანაც 19 ი, და მოვედით შლიახტის სოფელში. გზაზე გამექცა ერთი სალდათი.

11.—გამოვლეთ შატი¹¹, მესტეჩკო, — 8-ა ვერსტი, მესტეჩკო შეეიმი¹², — 14-ი და მოველით ერთს საძაგელს სოფელში, რომელის სახელი დამავეიწყდა.

სალამოზე წავედით მაიორ დანზალოსთან¹³, პაზრითა მით, რათა გაგვეცნოს ლამაზი მისი ხაზაიკა, გვარად ბარონესა შულც¹⁴. — აქ უნდა აღესწერო, თუ ვითარ აღექსევეი¹⁵ კმაღვდა არაყის სმას. რათამცა პოდდერეატ სახელი არპიის აფიკრებთა და შემდგომად იპოვნეს გოგობბა ბუტილკა მის ქვეშაგებში. — ფიქრეთ ჩენი სიცილი და აღექსევეის გაცოფება. — ვისტი ვითამაშეთ.

12-ხა.—გამოვლეთ 6-ი ვერსტი და მარჯვნივ წავედით 4-ს ვერსსა და დავდეგით სოფელსა პრაშალოლკის. სახლის პატრონი იყო რუსი, რომლისაცა ორნი ქალები იყვნენ საკურველი ლამაზები. — აქ აღესწერო [о староберях].

13-ხა.—მეორეს დღეს, მეშვიდეს საათზე შუადღით, გამოვედით ამა სოფლით და თექვსმეტი ვერსი გამოვლე ჩემის როტით დაუსვენებლივ. ლამაზი მდებარეობა უმეტეს განამშვენეირებდა მშვენიერსა სალამოსა. გზა მიდის ხეობაში. მარჯვნივ მდინარისა ვილეიკისა¹⁶, რომელიცა კოვნოსთან ნეერთდება მდინარესა ნემანსა. — კარკმასთან შევისვენე მეორეს დღის მეხუთე საათამდის.

14-ხა.—მეთერთმეტეს საათზე შეიყარა მთლად პოლკი ტყეში კოვნოს სიახლოეს. აქ მომიტანეს მელიტონის¹⁷ წერილი. პირველს საათზე გამოვედით ტყიდან პოლკის კოლონნით და დავდეგით მინდორზე კორპუსნის კამანდირის ლეისმარნის¹⁸ მოსალოდნელად. რომელიცა მოვიდა რა, გამოვლეთ ცერემონიით ზვოდებით და მოვედით ლავირში, რომელიცა იყო დადგმული მარჯვნივ კოვნოსა. ნემანის ნაპირზე. — მთელი კორპუსი იდგა ერთს ლინიაზე, ბატალიონებისა [გატოვი] * ვკოლონუ.

* ხელნაწერშია: „გატაფი“.

სალამოზე მოვიდა ჩემთან გ. ე.¹⁹ ფრიად გვიამა ურთიერთისა ხილვა და დარჩა იმ ლამეს ჩემთან.

15 და 16.—განვლეს დღეთა ამათ კარგებისა და ღირსების კეთებაში.

24-სა.—მოვიდა ვოენნის მინისტრი ღრაფ ჩერნიშოვი²⁰. საშინელი წვიმა იყო. მე ვიყავ დეეურნი. გამოვიქიმე მის წინ, მარამ არც კი მალირსა შემოხედვა. ახ! ვითარ მცირედ შეჩვენა მაშინ თავი ჩემი.

10-სა აგვისტოს იყო დივიზიონნის ღინეინოე უჩენიე კადრიოთ-არტილერიითა. კნიაზ გარჩეკოვი²¹ ჰსინჯავდა.

11-სა იყო ცერემონიალნის მარში წინაშე კორპუსისა კამანდირისა და კნიაზ გარჩეკოვისა. პირველად ზვოდებით НАРУЖУ ДИСТАНЦИИ. С ОТСУХОМ НА 2-Я ШАГА ШЕРЕНГАМИ, შემდეგ დივიზიონებით, მერმე ბატალიონის კოლონებით ეზვოდის დისტანციით, მერმე მთელის პოლკის კოლონით და, დასასრულ, ПАРШЕВУТЫМ ბატალიონებით ნახევარ ბატალიონის დისტანციით.—არტილერია და კავალერია იყო ეგრეთვე.

24-სა აგვისტოს მოვიდა კნიაზ პასკევიჩი²².

25-ს იყო ცერემონიალნის ნარში მრთელის კორპუსისა არტილერიით და კავალერიით. სალამოზე მოვიდა ლაგირის გასაშინჯავათ. ჯარი იდგა როტებით, ყოველი თავის ღინეიკაზე. ზარის დროს მთელის ზარბაზნებით ერთად დაცალეს.

26-სა.—მთელის კორპუსის ღინეინე უჩენიე.

დღესა ამას ლაგირში იყო დადგმული კარაგი, სადაცა იყო მიწვეული სადილათ ნეესუთე საათზე კნიაზ ვარშავსკი²³. კარებთან იყო ლამაზათ გაკეთებული თოფებით და ხნლებით პირამიდები ორსავე მხარესა. მუზიკანტები ყოვლის პოლკითგან გარეშე კარვია იდგნენ და უკვრდნენ. პოლკები იდგნენ ნუნდრით და ქულით გარეშე კარვისა და იმლერიდენ პესენნიკები. ზარბაზნები ისროლეს ხელმწიფის²⁴ სადღეგრძელოსათვის და კნიაზისა, იყვირეს უ რ ა. სადილს უკან გამოვიდა კნიაზი და სიამით დაჰყურებდა სალდათებს, რომელნიცა თამაზობდნენ.—სალამოზე ჩირალდანი იყო ლაგირში და პირდაპირ მალლა ნთაზე იყო ვენზილი კნიაზისა, თითქოს ცაში იწვოდა, ესრეთ იყო ლაშაზი სანახავი.—ყველგან განკრა ჩირალდანი, მარამა გორაზედ ისევე ენთო ახალ ვარსკვლავით. შევხედე რა,

უნებლიეთ აღმიჩნდა ჰაზრი: ორმოც, სამოც წელს შემდეგ სახელნი ჩვენნი განჰქრებიან ამა ჩირალდანსავით, მარამა სახელი ვარშაესკისა მომავალთ საუკუნეში აღენთების ყრჩხი [крякши(?)].

27-ხა.—დღეს იყო მანევრი მთელის კორპუსისა, რომელიცა დასრულდა აღებითა ქალაქისა და ლაგირისა.

6-სა ხეყდმზერს წავედით მე, იორდანი ²⁶ და მიიღელი ²⁸ კოვ-ნოში; ვიყავით წირვაზე, სადლი ვჰამეთ ტრახტირში და იქიღამ წავედით ლოშიტლის სანახავად. აქ ვნახე ის ოთახი, სადაც საშინე-ლისა ჰექისა და წვიმისაკინ შეეფარა და დაჰყო ერთს ღამეს ნაპო-ლეონმა ²⁷. აქ იყო თვით იგივე კსენზი, რომელსაც ეხილვა ნაპო-ლეონი. მე ვჰკითხე: ისიც ჩვენსავით კაცი იყო მეთქი!—ჰო, მიპასუხა ჩვენსავით იყო. Такой всё ямышьяныш.

აქედამ წავედით ვაგენდელის მონასტერში, რომელიცა არს ფრიად მდიდრად და მშვენიერად აღშენებული. მოკლე ისტორია ამა მონასტრისა: იყო პოლშელი თავადი გვარად პაც, მას ჰყვანდა და, რომელიცა შეუყ[ვ]არდა ესრეთ ძლიერ, რომ დაავ[წყ]და ღვიძ-ლი ნათესაობა და ჰმთავარდნენ ორნივე ცოდვაში... ბოლოს შეი-ნანეს და სინანულისა ნაყოფი არს მონასტერი ესე, სწორედ მას ადგილსა, სადაცა შეეშთვათ ცოდვა. შინაგანი მონასტერისა არს სხვადასხვაფერ მარმარილოსი. კედელნი არიან დახატულნი [ალფ-რესკისა] ²⁸. შემდგომად უკანასკნელის პოლიაკთა ბუნტისა ამა მო-ნასტერში დააყენეს რუსის ბერები.—ერთ ოთახში არის დიახ ძვირ-ფასი დიდი კარტინა, რომელიცა წარმოადგენს ყრმასა იესო ქრის-ტეს ტაძარსა შინა მქადაგებელსა. უბნობენ, ვითომც განსვენებულ-მან აღექსანდრემ იმპერატორმან ²⁹ აძლია ხუთი ათასი ოქრო და უწინდელთ ბერებთა უპასუხეს: ჩვენც წენი ვართო და ეს კარტი-ნაცაო და ამით დაინარჩუნეს საუნჯე ესე.—აძისა აღმშენებელნი არიან აქვე დაჰარბულნი. ჩაველ სარდაფში, ვნახე მათი კუბო, რომელთა შინა მხოლოდ იველები იყვნენ დაშთოძილნი. სად არს სიმ-შვენიერე ქალისა, რომელსანცა დააბრმავა გონება ძმისა? სადა არს გრცნობა და ძალა იგი სიყიარულისა, რომელთაცა დაავიწყეს და ძმასა? აწ ნხოლოდ რაოდენნიმე ძვლები და რამდენიმე ნაგლეჯი ტანისამოსისა მოუთხრობენ აჰაოებასა ამა სოფლისასა! ნუთუ ნარ-თლად აჰით დასოულდება ცხოვრება ჩვენი? ნუთუ იმედი, სინიდი-სი, ესე საიდუმლო ხმა განგე.ისა, ესე საიდუმლო მსაჯული ჩვენი,

ნეთუ სიყვარული და სურვილი კეთილისა საქმისა მოცემულ არს ჩვენ-
და მხოლოდ მისთვის, რათაჲცა განჰქრნენ, დალპნენ ხორცთა თანა
ჩვენთა?—არა! ჰმრწანს სიტყვა მღვთაებრივისა კაცისა: „არა მო-
ექვედები, არამედ გარდავიქცევი სიკვდილისაგან ცხოვრებად“.—
„ღმერთო, მიუტევე ამათ შეკოდებანი მათნი“,—ვჰსთქვი და გამო-
ველ გარე დაფიქრებული.

ღღეს ვჰსკანით, რომ ხელმწიფე არ მობრძანდება ჩვენის კორ-
პუსის განსახილველად და აჲ ამბავმა ფრიალ შეგვაწუხა. მრავალნი
მოველოდით მისგან ჯილდოსა და ყოველთა ერთობრავ გვსურდა.
გეწყუროდა ხილვა ესრეთ დიდებულისა ხელწიფისა, რომელიცა
ტანით, სახით, გონებით, სულისა შემძლებლობით, დიდსულოვნო-
ბით არის მართლად ხელმწიფე.

9-სა ხეკდემზერს.—იყო კორპუსის ცერემონიალის მარში, მაგ-
რამ მე ვერ წაველ სიცივისა გამო.

იყო საშინელი წვიმა და ქარი. საღამოზე ჩაისა სვამდენ ჩემს კა-
რაჲში ჩენნი მეგობრები. არ ვიცი, რისთვის გაველ გარეთ. იმ დროს
შემხვდა ერთი აფიკარი, როგორც ჩეჲში იტყვიან სუფათი. თა-
ვაზიანობამ მოითხოვა. რომ ზე მომეწვია კარაჲში იგი. კარაჲი გავლო
ნელ ნელად და ნელ-ნელად შევიდა*. არავინ მოელოდა მის მოსე-
ლას და არცავეის იამა. ამისთვის ერთმა, დაინახა რა იგი, შეჰსძა-
ხა: „ამისთანა ავდარში ყოველთვის ამისთანა კაცები იპოვებინო“.
ერთბაშად განხდა სიცილი და ტაშის დაკვრვა. საბრალო ასე შეკრ-
თა, რომ დიდი ხანი ვერა თქვა რა, სულელურის ღიმის მეტი.

13-სა.—ღამის 11-ს საათზედ მოვიდა კონოს ფელდმარშალი²⁰.

14-ს იყო ცერემონიის მარში, სადაცა ფელდმარშალთან იყვნენ
გამოგზავნილნი ხელწიფისგან ლენერალ-ადუტანტი ლობანოვ-როს-
ტოვსკი²¹, კნიაზ ლარჩკოვი²², კნიაზ დოლგორუკი²³.

15-ს იყო მანევრა. ფელდმარშალმა მადლობა უთხრა კორ-
პუსს²⁴.

16-ს.—დილით ვიყავ ალექსანდროვთან²⁵, დიტრიხსთან²⁶, მარამ
ესე უკა' ასკნელი ვერა ვნახე, რომელსაცა დაუგდე წიგნი ილიკოს-
თან²⁷.—საღამოზე მოვიდა ჩემთა[ნ] გ. ე.²⁸, რომელთა თანა განეა-

* შემდეგ გადახაზულია: „ამ დროს შეხვდა“.

ტარე სალამო და გამოვესალმე, ვინ იცის, ეგებ საუკუნოდ. ვინ იცის ამ სოფელსა ხვალ რა მოაქვს.

17-ბ. — მთელი დღივითა ჩვენი შეიყარა საყდართან პახოდნის ფორმით პარაკლისის სახდელად, რომლისა შემდეგ გამოვიარეთ დღივითის ნაჩლიკის წინ ცერემონიის მარშით ბატალიონის კოლონებით და სადილს უკან წაყვინდნენ პოლკები სხვადასხვა გზაზედ თავიანთ კვარტირებში. ჩვენი ორი ბატალიონი, — მესამე და მეოთხე, დარჩნენ გასაცილებლად დინაბურლისკენ რეკრუტებისა, რომელთაცა მოველოდით პოლშითგან ¹⁷. მე ჩემი როტით მოველ დღესა ამას აოფელს ლოპი, სადაცა დადგა ეგრეთვე მეშვიდე როტის ნაწილი და მისი კამანდირი ტროფიმოვსკი ¹⁸.

20-ბა. — მოგვეწია სტარიკოვმა, რომელიცა იდგა სოფელს ანდრუშიშკის, სამს ვერსზე ჩვენგან. გულწრფელობით, ოხუნჯობით და პიცილით განვატარეთ სალამო. დასაძინებლად წაველ პ. სტეფანოვთან ¹⁹ სოფელს დრასეიკი.

21-ბ. — გამექცა რეკრუტი პოლიაკი.

24-ბ. — მე, ტროფიმ[ოვსკი] და სტარიკოვი წავედით კოვნოს გზაზედ ვნახეთ ლუსარის პოლკი, ერთად შეყრილი პარაკლისის გადასახდელად. — კოვნოს ფორშტატის ერთს შრიის კარჩაში ²⁰ შევედით ორაგულის საქმელად, რომელიც იყო ძალიან ცუდად და ჩირქიანათ ²¹, როგორც შეეფერებათ ურიებს, გაკეთებული; მარამ ამის მაგიერ მოვისმინე დიდის სიაშოვნებით სიმღერის ხმა მეორეს ოთა ვიღამ, სადაცა იმღერიდნენ ერთი ქალი, ღიტარის შვერელი, და მეროე კაცი, — არ ვიცი მისი ქმარი, თუ ლუსარი. — საუცხოოდ იმღერიდნენ, დიდს ხანს უგდებ ულრი.

აქედამ თითქმის ძალად გაველ ქალაქში წასასვლელად. კოვნოშიმისოდ პატარა ქალაქი, აწ უფრო პატარად მეჩვენა, დაიშალა რა ლაგირი და განვიდა აქედგან კორპუსის შტაბი.

ვოლკის ტრახტირთან შეგვხვდნენ ტუფიაევი და ლალკოვსკი ²². ვნახეთ ბარონ გრანგელი ²³ და ლისენკო ²⁴, რომელსაც წვეჰსპივლეთ პომეშიკს რატოვტზე ²⁵, რომელიც არ გვაძლიებდა ურმებს პროვიანტის საზიდავად და უბრძანებდა თავის გლეხებს,

* შემდეგ გადახაზულია: „რომელიც იყო“. ** შემდეგ გადახაზულია: „გაყოფილი“.

რომ სალდათებს არა მისცენ რა საზრდო.—მოვედით ისევ ვოლკის ტრახტირში სადილათ, ტუფიაევიცა და ლალკოესკი იქ გველოდნენ. აქ სტარიკოვი ვარშიყებოდა ანულკას. სადილს უკან წავედით ბაზარში, მარაძა, რაც ვესურდა ვერა ვიშოვეთ რა. ამა მიზეზის გამო ტუფ[იაევი] გვირჩია სეირნობა. ლაპარაკით და სრულებით მოულოდნელად მიგვიყვანა ერთს დანგრეულს ხის სახლთან ნემანის ნაპირს, რომელსაცა შერჩომოდა როგორღაც ორი* ოთახი, ძლივს მდგომარე მეორე ეტაკაშა. სიცილით გვითხრა: ახლა დაბრუნება არ შეიძლებაო, უთოოდ უნდა გაჩვენოთო; ჩვენც 'შევედით, დაგვხდა კიბე, დამპალი, დაფუტურობებული, რომელსზედ შიშით და სიფრთხილით ავედით აქ წხოლოდ ერთი ფიკარი იყო გასასვლელად ოთახისკენ, ორსავე მხარეს ჩაქცეულნი. ამ ბეწვის ხიდსაც გავვედით. ერთბაშად სიცილი და კასკასი** მოგვესმა ოთახიდან, რომლის კარები გაეღო და ენახეთ სამნი დეუაკაცი, ჯერ ისევ ახალგაზდანი. რალა ვჰსთქვა, რომ ესენი იყვნენ გარყენილნი გოგონი, რომელნიც სიყვარულსა თვისსა ჰსყიდიან ხან ათშაურად და ხან უფრო უნაკლესად. ოთახში ყოველივე იყო უსაძაგელეს: კედელნიცა ჩამოხგრეულნი და გასვრილნი, კარტინები დაფხოეწილნი, დამველებული და ჩირქიანი ქვეშაგები, პოლი კუთხეში და ფეჩზედ საესე ძონძებითა და ნაგავითა, პატარა ნამწვი ქონის სანთლისა, ჩარქმული ხისა ჩიბუხის თავში, მგონია [უთოოდ (?)] სალდათს დარჩენოდა, ეგდო სტოლზე შანდლის მაგიერ.

აყროლებული სუნი იდგა ოთახში; ყოველთა ამით თანა მიუმატეთ დედაკაცთა სახენი, რომელსა ზედა ცხადად გამოიხატებოდა უსინდისობა და ყოველგვარი გარყენილობა***, მაშინცა მკირედ გამოიხატება ის კარტინა, რომელიცა ვიხილე მას ეჟმა****. —სამწუხარომან ფიქრძან შემიპყრა სრულებით, მოვესმინე რა ლაპარაკი მათი, თვინიერ ყოვლისა სირცხვილისა. ვჰსცან რა, რომ სრულებით არ ჰგრძნობდენ უსაძაგელესსა მდგომარეობასა და ხელოსნობასა თვისსა. აჰა, ცხადი მაგალითი, თუ სადამდის განირყვნების გული კაცისა. —ჯერ***** არიან ახალგაზდანი, მაშასადამე იცხოვრებენ ერთს. ანუ ორს წელსა კიდევ ესრეთ საძაგლად. „მას უკან რას იქმნენ, რა

* თავდაპირველად დაუწერია: „რამდენიმე“. ** ავტორაფშია: „კასკასკასი“.
 *** ამის შემდეგ გადახაზულია: „ლაპარაკი უსაძაგელესი, თვინიერ ყოველსა სირცხვილისა“. **** პირველად დაუწერია: „მაშინ“, შემდეგ გადაუხაზეს. ***** ამის შემდეგ გადახაზულია: „იღვე“.

უდროოდ დაბერდებიან?—ვკითხე ერთს ჩემს აზხანაგსა სვენი-
კოსს *.—ეს ხელობა ხომ აღარ ევარგება მათთვის?—„რამ უნდა
ჰქინან, —მითხრა მან, —თუ არ მოჰკლამს უსაზარლესი სნეულება სა-
შინელის ტანჯვითა, შხამი და მდინარე არიან მათნი მეგობარნი.
რომელნიცა შეჰსწყვეტენ საძაგელსა ცხოვრებასა მათსა.—ჩვენ ყო-
ველთვის ვჰსწუხვართ და ვნანობთ მისთვის, რომელსაცა შეემთხვე-
ვის ანაზღეულად და უდროოდ სიკვდილი, მარამა განგება, რო-
მელმანცა უწყის მომავალი, ჰხედავს მომავალსა ცხოვრებასა თვი-
თოეულისასა და იქნება განგებ და აღრე უგზავნის სიკვდილსა, რათა
ცხოვრება მისი შეჰსწყდეს აღრე, ვიდრემდის * შემდეგ განატარო
სიბოროტეში. აი, მაგალითი ამათგან ერთის ღედაკაცისა: მეშვიდე
წლისა რა შეიქმნა, გადმოვარდა მესაწე ეტაფიდამ, და რადგანაც
ემსახურებოდა ერთს თავადის სახლში და იყო ობოლი, ამისთვის
იყვნენ პირველნი გამოჩენილნი ექიმნი მის მკურნალად, რომელთაცა
მოარჩინეს; მეცამეტე წელიწადში ჩავარდა წყალში და დაიღუპა, ასე
რომ, ვერაფერ იხილა, მარამ მეთეფებმა თევზის მაგიერ გამოათრიეს
გოგო და ძლივს მოაბრუნეს; მეთექვსმეტე წელიწადს წავიდა სახ-
ლის გასათეთრებლად თეთრის მიწისათვის, რომლის გამოსატანად
შევიდა ქვაბში **. ერთბაშად მთელი გორა ჩაშლიქცა და დაფლა თვის
ქვეშ გოგო ესე, მარანა აქედანაც გამოიხსნეს კეთილმოქმედთა კაც-
თა.—რისათვის გამოიხსნეს კაცთა საშვერ სიკვდილისაგან?—რა-
თამცა განატაროს ესრეთ განრყენილად ცხოვრება თვისი და შემ-
დეგ სხვანიცა გამოუცდელნი და ობოლნი გოგონი მიიზიდოს თვის
მახეში გასარყენელად“.

შეწუხებულის გულით გამოველ ვარე. ვნახე ნიკოლ. სტეფანო-
ვი †, რომელმანცა მიაშობო არშიყოზა თვისი ვრან [გელის] †† საყვა-
რელთან, თუ ვითარ განატარა მთელი ღლე და ან როგორ მოასწ-
რო ერთად მჯდომთა სოფაზედ ვრან [გელმა]. ახ! სიჭაბუკეე, სიჭა-
ბუკეე! რა ძვირფასი ხარ, მარამა *** სილამაზესა შენსა ვჰსცნობთ,
როდესაც განგვშორდები საუკუნოდ. ყოველს მხარეს ჰაბუკ მოარ-
შიყეთ აქვსთ ერთი თვისება, ვერა დაჰფარვენ სიყვარულსა თვისსა,

* პირველად დაუწერია: „მაშინ, ოდესცა“. ** თავდაპირველი ვარიანტი: „რო-
მლისათვის შევიდა გამოთხროლს ქვაბში განოსატანად“. *** ამთა შემცველ გად-
ახაზულია: „იშვილი“.

განგებ ეძიებენ, რომ უანბოს ვისმე არშიყობა თვისი. აღუღებული, საესე გული სიყვარულითა მოჰკლავდა მას, თუ დაემარხა საიღუმლოდ.

სალაშო იყო მშვენიერი, რა გამოვედით კონოთგან მეორე გზაზედ—შოსეზედ. ქალაქს გარეთ მრავალნი ქალნი შემოგვხდნენ მოსეირნენი. დაბნელდა, როდესაც მოვედით ფონზედ. სადაცა პარომით გამოველთ მდინარეს ვილეიკაზე და მოვედით პაველ სტეფანოვთან, რომელიც სრულებით არ მოგველოდა. თუმცა ჩვენს დაწყობილს პლანში უნდოდა * მხოლოდ ხუთს მინუტს დაგყოფდით, მარამა ვისი პლანი აღსრულებულა ** ისრე, როგორც ჰსურებია? დიახ იშვიადისა! ესრეთ ჩვენიცა: დაგვიჭირა, მინამ სამოვარი აღუღდებოდა. ჩაის დროს მოვატანიენ რომი, კონოში ნასყიდი; ერთბაშად სენაში ქიანურის ხმა განხდა.—ვნახეთ, რომ იმ სოფლის მექიანურენი კი იყვნენ; ზერმე პესელნიკები გაჩნდნენ, ზერმე ვახშამი. ვნახეთ საათი, მეორე კი იყო შუალაძისა. მე იქვე დავრჩი დასაძინებლად და ტროფ [იბოესკი] წავიდა სტარიკოვთან.

25-ხა.—დილა იყო ფრიად მშვენიერი. წამოვედით მე და პ. სტეფა [ნოვი] თავის ძმით იუნცერით და ღრენლუნდი ** ქვეითად სტარიკოვთან, რომელიც იღვა ორს ვერსზე. გზაზედ ტყეში ვესროლეთ თოფები ნეჟაჰე. ჩეტხე საათზედ ნოვედით სტარ[იკოვთან], რომელიცა ეგრეთვე სეირნობდა. ვჰსჯამეთ ზაკუსკა, ვნახეთ ას სამი წლის კაცი, რომელიცა იყო ეგრეთ ნხნედ, რომ სამოც წლის მეტი არ ეტყობოდა. აქებდა უწინდელს დროს, აძაგებდა აწინდელს დროს და ვჰცან: ეს არის ჩვეულება ყოვლის მოხუცებულისა. ვიდრემდის სისხლი უღულს და გული უკრთის სიყვარულისათვის, კაცი მზიარულებს და გარეშე მისსა ეჩვენების მზიარულებავე. დაბერდების, ღონე წაერთმევა, გული თითქმის გაუქვავდება, გონება უბნელდება, მაშინ ჰგონია, რომ შეიცვალა ქვეყანა და ვერ მიმხვდარა, რომ შეიცვალა მხოლოდ თვით იგი ***, რომელმანცა განვლო თავისი გზა ცხოვრებისა და შესევა რაოდენცა შეხვდა თვის წილად სიხარული. აწ ამა სოფელში მისთვის არღარა დაჰშთა რა, ახლა მას გზაზედ მიდის სხვა,

* ამის შემდეგ გადახაზულია: „მცირე“. ** ხელნაწერშია: „აღსრულება“. *** ამის შემდეგ გადახაზულია: „რომ ქვეყანა ისევ ისრე არს, ვითარცა უწინ“.

ქაბუჯის გულითა და მოელის ნაწილსა თვისსა სიხარულისასა, და ქვეყანაცა ესე განიშლების მის წინ მშვენიერებითა, რომელსაცა უკვე ვერღა ჰხედავს მოხუცი ბნელისა თვალთა და გულითა.

პირველ საათზე მოვედით მე და ტროფ [იმოესკი] ჩვენს სოფელში ლოპს. საღამოზედ შემოვიდა ჩემი პატარა ბიჭი ნინიკა * მხიარულის სახითა, მომილოცა შტაბსკაპიტნობა და მომცა ბარათი იორდანისაგან მოწერილი *, რომელშიც ეწერა ესე. — რასაკურთხელია, რომ გამეხარდა; მაგრამ ჩემნი ამხანაგენი ეხლა მაიორად არიან. არა ჰმშურს მათთვის და არცა ვჰსწყეველი ჩენსა ბედსა, თუმცა დავრჩი მათგან შორსა. რა უყოთ! ლოცვა და მოთმინება! არ დამაგდებს მეცა უნუგეშოდ ღმერთი, რომელწანცა დავიხსნა მე თერაპეტიკისა ძლიერის ომისაგან, საჰყრობილესკან, წყალში დაღუპისგან და სნეულუბისგან, რომელმანცა მიმიყვანა თითქმის სამარეჟდის. იგი მოახედვინებს ჩემზედ მოწყალის თვალთ ჩვენსა ხელაწიფესა, მართლად დიდსა და დიდსულოვანსა.

26-ბ. დილით იყვნენ ჩემთან მოლოცვითა ტროფ [იმოესკი] და სვეშნიკოვი. პატარა ხანს უკან მოვიდა პავლე სტეფანოვიცა. ზაკუსკაზედ ერთბაშად მოგვესპა ხმა გაქენებულის ცხენისა. შეეხედე ფანჯარაში და ვნახე ტუფიაევი, მოსული კოვროთგან განგებ მახარობლად ჩემის შტაბსკაპიტნობისათვის. სადილათ მოვიდა სტარიკოვიცა, და დღე ესე განვატარეთ მხიარულებითა. საღამოზედ პესენნიკებიცა მოვიღნენ და მათ საყურებლად შეიყარნენ რუსი გოგონანი. ვახშის უკან სტარ [იკოვი] და სტეფანოვი წარვიდნენ თავიანთ სოფელში და ტუფიაევი დაწვა ჩემთან დასაძინებლად.

27-ბ. — მდინარეს ვილიას გაღმა ნაპირს იყო ერთის საყდრის დღეობა. რადგანაც პირობა შევჰკარით გუშინ იქ წასასვლელად, ამისთვის მეცბრე საათზედ მე და ტროფ [იმოესკი] პოვოზჰით ტუფ [იაევი] ცხენით წავედით პაველ სტუფ [ანოვთან], რომელთანაც ვჰსჰამეთ საუბრე. აქ ვნახე მოულოდნელად ორნი ლამაზნი დანი, რომელთა სახლში ვიდექ ერთს დღესა, მოვდიოდით რა კოვნოს. ესენიც კირმიტში მოსულიყვნენ. მეთერთმეტე საათზე გავედით პარომზე ვილი-

* თავდაპირველი ფარანტი: „მოვცე ბარათი იორდანისაგან მოწერილი და მომილოცა შტაბსკაპიტნობა“.

ას და მივედით წირვაზე საყდარში, სადაც რამდენიმე აფიცრები ჩენის პოლკისა იქ შეგვხდნენ.— სრულებით არა იყო რა არცა სასყიდელი და არცა სანახავი. მხოლოდ რუსის გლეხის გოგოები, ფაქიზათ ჩაცმულნი. თავის ჩვეულებისამებრ ხელდაკერით ერთად შეკრებილნი ქუჩაში დადიოდნენ და დამღერიდნენ ხმაბალივ.— აქ ვიყიდე ოთხი ბეჭედი, რომელთაგან ორი ვ. ჩუქე ორთ დათ მოსულთა.— სადილათ მოვედით სტეთ [ანოვთან]. სადამოზე ჩაიზე წავედით სტარ [იკოვთან], რომლისა ხაზაიკასთან იყვნენ ეგრეთვე შლიახტის ქალები, მოსულნი სტუმრათ. პირველად დაკეტილი კარები გაგვყოფდა ჩვენ, მაგრამ, როდესაც სტეთ [ანოვი] მოვიდა პესენნიკებით, მაშინ ქალები გამოცვიდნენ მათ საყურებლად და ჩვენცა გვქონდა შემთხვევა გაცნობისა და ლაპარაკისა. ოთახში დავიწყეთ აფიცართა ცელქობით ტანციობა უმუხიკოდ. იმ დროს დაკეტილი კარები გაეღო ნახევრად და დაგვიწყეს ყურება. მე პირველი შევედ მათთან, დავიწყე ლაპარაკი და ქალაღის თამაშობა და გაშლა, ნერმე სხვანიცა, და ორი გაყოფილი საზოგადოება შეერთდა ბოლოს.— სოფელში ორი საძაგელი მექიანურე იპოვნეს სადღაც. [დააწივლეს თავისი ქიანურები, მაგრამ ჩვენ რა გვენაღვლებოდა. დავიწყეთ ქალებთან ვალცი, ეკოსესი, თუშცა ესე არის დიდი ხანი დავიწყებული დიდს საზოგადოებასში.— მასუკან პოდუშეჩკი, რომელიცა აქ ვნახე პირველად ეს ტანციობა, კოცნებისთვის მოგონებული. ბოლოს ასე მოკლეთ გავიცანით, რომ, როცა მოგვიხდებოდა, ვჰკოცნიდით.

პირველს საათს შუალამისას წავედით მე, ტროფ [იმოვსკი], სვეშნიკოვი ქვეითად და ტუფ [იავევი] ცხენით და მოვედით ჩვენს სოფელში, რომელიცა იქმნება სამს, ან ოთხს ვერსზედ.— ტუფ [იავევი] ჩემთან დარჩა.— რა დავწექ დასაძინებლად, შემოვიდა ფე [ლ] დფე ბელი და ძრწოლის ხმით მითხრა, რომ სანნი რეკრუტნი პოლიაკები გაიქცნენო და ვერსად ვიპოვნეთო. გულში ელდა მეცა. არ განვლო ხუთმან დღემან, რა გაიქცნენ ორნი და ეხლა კიდევ. ეს რა უბედურებაა ჩემი! ბევრი ვიჯავრე, ვიანხლე, მაგრამ არა გაეწყობოდა რა. გავგზავნეთ ფონზედ აქეთ-იქით სალდათები საძიებლად, მაგრამ იმედი კი არა მაქვს პოვისა.

28-ხა.— მთელი ღამე შფოთვამ და მოუსვენებლობამ არ დამაძინა. დღეს დილით ავდეგ უქეიფოდ და გაჯავრებული; მოვაყვანიე კაბრალნის უნტერაფიცარი და ის სალდათნი, რომელთაც ებარათ რეკრუ-

ტები. დაუწყე როზგით ცემა, მაგრამ გულში კი ძალიან, ძალიან მებრალეობდა. ერთი წელიწადია ვაკამანდობ ამ როტას და აპათივის ცულათ არც კი შემიხედავს, ასეთი კარგნი სალდათნი არიან და ეხლა კი ერთბაშად როზგს ქვეშ მსტიროდნენ. მაგრამ რა შექმნა! ეგებ ამ შავალითმან სხვანი გააფრთხილონ. *—დანარჩენთ რეკრუტთ თავებში დავაპარსვინე **.

...და ოდესმე ყფა ძაღლისა გაღმა სოფლითა.—აქ დაბნელდა, მარამა აიხედეთ ზეით. სჩანს ვარსკვლავნი, თვალნი ზეცისანი ***, რომელთა ვერა მიჰსწვდების სიბნელე სოფლისა ჩვენისა, ჰბრწყინვენ და დამზერენ საქმეთა კაცისათა, მარამ ბოროტი ვერა აღიხედავს ლამე **** შეუძრწუნებლად. ვაი სულთა მისთა, იღუპალთა ბოროტთა საქმეთა, ყოველთა ბოროტთა განზრახვათა ჰყვანან მუნ მოწამენი.

გვსკამეთ ვახშამი, მე, ვილბოამ ^ა, პეტერსონმა ^ბ, ვირცანოფ-
[მა] ^გ, და ლეკარმა ^დ. ორნი ლაშაზნი ნეკის გოგონი გვემსახურეოდნენ. ოხუნჯობას ბოლო არ ჰქონდა.

1-ს ოკდომბერს.—მოვედით მესტეკოს იანოვოს ^ა, სადაცა გავმოვედით პარომზე მდინარესა ვილიას.

2-ს. **** —დნეკა.—აქ ვნახე ქორწილი ურიებისა სასაცილო გვარად: ტირილითა და მოთქიფი ქალსა თმას უკრექდნენ და თვალები აუკრეს ხელსახოცით, უბეში კვერცხი ჩაუდეს შეწვარი, შემდეგ გამოიყვანეს მუზიკის კვრით, რომელსაცა შეადგენდა ქიანური, სანთური და დაირასავით. სინალოლას სიახლოეს რდგნენ შეყრილნი ურიანი, რომელთა, იხილეს რა დასტა ქალთა მოპავალნი, მაშინვე კარავსავით გაშალეს (аппетит), რომელსა ქვეშე იდგა მეფე და სხვანი კაცნი. დედოფალი შეიყვანეს რა ფარდას ქვეშ, ერთბაშად მოხუცებულმა ურიამ დაიწყო სიმღერა ქუდმობდით და მაშინ დედოფალი სამჯერ შემოატარეს გარეშე მეფისა, რომლისა შემდეგ სტაქნით პიეო მიართვეს მეფეს და დედოფალს. შემდეგ მოვიდა ერთი ურია და წაუკითხა ხმაპაღლივ, ყოველთა გასაკონებლად, თუ რა შხითევი მიჰყვა დედოფალს. მერმე ორთა სხვათ ურიათ დაუწყეს დალოცვა მათ და მით დასრულდნ დაქორწინება.

* დაწერილი ეყოფილა: „გააფრთხილოს“ და შემდეგ გადაუკეთებია. ** ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ფუტელი აკლია. *** ამის შემდეგ გადაბახულია: „ბრწყინვენ“. **** ამის შემდეგ გადაბახულია: „ზეც-დ“. ***** ვილბოამ ფანქრით მიუწვრია: „აგვისტო“, რაც, ცხადია, შეცდომაა.

მ-სა.—გამოვლეთ 17-ი ვერსი და მოვედით სადაცა ერთის ქსენ-
ზის სახლში.

ჟ-სა.—გამოვლეთ 17-ი ვერსი და მოვედით ქალაქს ვილკომირს **.
ვითარ ძალა აქვს მუზიკასა და მღერასა გრინობათა ზედა კა-
ცისათა დღეს ვჰქან ცხადი მაგალითი: შუაგზაზედ შევიცვენეთ. ერ-
თი ჩემის როტის სალდათმა დაუკრა კლარნეტი, ერთმა რეკრუტმა
ჰიანური, ამ ხმაზედ მოგროვდნენ რეკრუტნი, დაივიწყეს დაღალუ-
ლობა და დარდი თვისი და დაიწყეს ვალცი და მაზურკა, მათთან
გაერივნენ დედაკაცნიცა, რეკრუტთა ცოლნი, და შეიქმნა ხელათ
ლხინი (როგორც ჩვენში იტყვიან).

მ-ს.—გვეკონდა დნეკვა ვილკომირს, რომელიც არის მცირე ქა-
ლაქი. აქ იყო გუშინ რედუტი, ანუ კლუბი, მაგრამ მე კი ვერ წა-
ველ, ყელი მტკიოდა და, ამასთანა რალა დავმალო, მეტად ლამაზი
სახლის პატრონი მყვანდა, სახელად დუნია. მიხაროდა, რომ ჩემნი
ამხანაგნი წაიდნენ რედუტში, დაერჩი მე მარტო სახლის პატრონ-
თან; ბევრი * ვეკურკურე, მაგრამ ვერა გაეხდი რა. ბოლოს წავე-
ჩხუბე, გავებუტე და წაველ დასაძინებლად. რა უყო! ძალათ სიყვა-
რული არ შეიძლება.

მ-ს.—დღეს დილით დაუგდე ტროფიმოვსკის, რომელსაცა უჩვენ-
ეს ჩვენი კვარ[ტირა],—ზაპისკა ესე: „ნეჩელო სკაზატ, კვარტირა ხო-
როშა, а ხოზაიკა еще лучше; по пусть она провалится в преис-
подию, или лучше, пусть злая болезнь положит печать свою на
ея лице, столь примпчиво! Злодейка! две ночи не спал, два дня
упрашивал, умолял всем красноречием и всеми глупостями насту-
пленной страсти; и чтож! я видел, я слышал как дверь ея комнаты
мало по малу отворялась и как неслышными шагами входил
к ней счастливый соеерпик! Пятьсот тысяч бомб и гранат! Я был
в аду! Пятьдесят тысяч блох ящали на меня. Вы поймете мою беско-
нпщцу, мои мученья. Не могу более писать, влость, досада бе-
рет. Прощайте, желаю более меня быть Вам счастливым“.

საკურვლად დასუსტებული ავდეგ დღეს. გულის ტკივილის ნიშ-
ნებმა მომიარეს კიდევ. არ ვიცი როდის მივალწევ დინაპურს.

* პირველად დაუწერია: „მაგრამ“, შემდეგ გადაუზაზავს.

ბედნიერება არს ჩემი, რომ კიდეც დარი არის კარგი.—დღეს გამოვლეთ 20 ი ვერსი და მოველით * მესტეჩკოს სტაშკუნიში⁵⁷.

ვილბოა ჯერ არ იყო მოსული ვილკომირიდან, ამისთვის მე დავარიგე სარაიებში რეკრუტები და ასე დავილაღე, რომ ძლივს მივახწიე ჩენს კვარტირაში.

გულმა უმეტესად დამიწყო ტკივილი. კსენზის სახლი, რომელშიცა ვიდეგ მე და სვეშნიკოვი, იყო ცივი და ჩამონგრეული. გულზე შეფენლაზოვსკის პლასტერის დასაკერებლად წაველ ძლივს რის ყოფით მეზობლის გლეხის სახლში. რა გაველ გარეთ, ოჰ, რა მშვენიერი ჩვენება იყო ცაში. ღამე იყო მთოვარიანი. ცა სრულებით მოწმენდილი. დასავლეთის მხარეს ერთბაშად აღსდგა ცეცხლისა სვეტი, რომლისა თავი ემზგავსებოდა შეკრულს ძნას. სვეტი ესე ნელ-ნელად განჰქრა და მის პირისპირ აღმოჩნდნენ ორნი სვეტნი სრულებით სპეტაკნი, ერთი მეორეზედ მოშორებით, და ამა ორთა სვეტთა ** შეაერთებდა თეთრივე კამარა (дуга), ბოლოს კამარა ესე გაგრძელდა, დაიკლავნა და *** შეიქმნა სწორედ გველი სპეტაკი. დასასრულ მრთელი ცა შეიქმნა ცეცხლისფრად. მე განკვირვებაში დამავიწყდა სნეულება ჩემი. დენშიკი ჩემი პირსჯვარს იწერდა მალ-მალ და აზბობდა შიშით: „უფალო შეპიწყალე — (Господи помилуй!). ეს რა არის“.—მრთელის სოფლის გლეხებიი შეიკრიბნენ სახილგელად ესრეთის მშვენიერისა და საკვირველისა სახილგელისა და ოხრვით აზბობდენ: „Ах! бить беде! бить опять вѣднѣ!“ ჩვენება ესე იყო მერვე საათზე მგონია.

7-ს.—დასუსტებული მოვდედი უკან პოვოხკით კამანდას, როდესაც მოვიდა ჩემთან უნკერი კისმენსკი⁵⁸ და მითხრა, რომ კნიაზ ლიდროიცი⁵⁹ გთხოვს, რომ ნება მისცეთ რეკრუტთა არაყის სმისაო ****; მეც შეეაყენე კამანდა, ჩავაბარე სვეშნიკოვს და წაველ წინ მესტეჩკოს ***** სკაეინს⁶⁰. 18 ვერსი.

8-ს.—დნეკვა.—ახ! რა ძვირფას არს სიმრთელე კაცისთვის! უმისოდ სიმდიდრე და თვით ღიდებაც არა არს საამო, არა არს

* ამის შემდეგ გადახაზულია: „მესტ., სოფელს“. ** ამის შემდეგ გადახაზულია: „ზედა იყო“. *** ამის შემდეგ გადახაზულია „სრულებით“. **** ამის შემდეგ გადახაზულია: „რომელიცა“. ***** პირველად დაუწერია: „სოფელს“.

ბედნიერება! მარამა მაშინ ვჰსცნობთ ფასსა მისსა, გვეწვევის რა სენი, ოდესცა უძლურობა შეგვიპყრობს და დაგვეცემს მკვნესარესა სარეცელსა ზედა; მაშინ მოუწოდთ მას ზვეწნითა, ვედრებითა, ვითარცა შემოწყარალსა მეგობარსა ჟანსა უბედურებისასა.—და რაი არის ბედნიერება?—მე აწ მგონია, რომ ბედნიერება მყოფობს სიმრთელეში, მარამა, როცა ვიყავ მრთელ, მაშინ ვგონებდი შტაბსკაპიტნობაში; ნომივიდა იგი, გამეხარდა და კვალად ახალი სურვილი ბედნიერებისა აღჩნდა გულსა შინა ჩემსა. ესრეთ ერთი კიბე აღიყვანს მეორისადმი. ერთი სურვილი ჰშობს მეორესა და სიკვდილამდის დასასრული არ აქვს სურვილსა ბედნიერებისათვის.—ნეტარ მას, ვინცა არს კმაყოფილ მით, რაიცა მოუვლენია მის წილად ბედსა მისსა; ვინცა დამუდრობებული დამშვიდებული სულითა მივალს გზასა ზედა ცხოვრებისასა; მაგრამ, ახ! უნეტარეს არს იგი, ვინცა ცხოვრებითა თვისითა მოიპოვა გინა ერთი ფურცელი ისტორიასა შინა.—ვითარცა ბრწყინვალე ვარსკვლავი სჩანს საუკუნეთა შინა* სახელი მისი, რომელსაცა შთამომავლობა შეჰპყრის ** კეთილმოწიწებითა და კურთხევითა.

აქ მითხრეს ვითომც ღრაფინა სტრა...⁹¹ ესრეთ უყვარს ძაღლები, რომ მათთან სტოლზე ზის ერთად სადილათ და ინახავს უმრავლესთა ძაღლთა. Вот высокая черта образованной женщины: так как она бездетна, то не только нежные материнские ласки, но и подати собираемые с крестьян и всегда почти омыченные слезами и потом, расточать на собак. На что жалеть этот низкий и [...]класс людей, собака лучше их!

9-ბ.—რა მოვახლოვდით მესტეჩკოს უციანი⁹² ორს ვერსზე, ტყეში ერთბაშად შეჰკვივლეს რეკრუტთა: „ვივატ, ვივატ!“ და თვრამეტნი შეცვიდნენ ტყეში. პირველს წამს ასე გაოცდნენ სალდათნი, რომ გაშტერებით უყურებდნენ მიმრბენელთ, მერე მყისვე გაიძვრეს რანცები. ერთი ნაწილი შევეზავნეთ ტყეში, მეორე გარე შემოვავლეთ და სულ ყველანი დავიჭირეთ.—მესტეჩკოში როზგით გავლაზეთ.—20 ვერსი გამოვლეთ.

10-ბა.—მოვედით მესტეჩკოს დოვლელს⁹³, 17 ვერსი, სადაცა გვეკონდა დნეჟკა 11-ბა.

* თავდაპირველი ვარიანტი: „ვითარცა ბრწყინვალე ვარსკვლავი ბრწყინავს საუკუნეთა შინა...“ ** თავდაპირველად დაუწერია: „მოიხსენებს“.

12-ბა.—მოვედით მესტეჩკოს დელუსს⁶⁴. 16 ვერსი.

18-ბ.—ელიპტუნ⁶⁵. 19 ვერსი.

14-ბ.—გექონდა დნენეკა. ავთა ვარ გულის ტკივილით:

15-ბ.—მოვედით ქალაქს დინაბურს⁶⁶. დასუსტებული და ძალიან ავითმყოფი ვიწვექ საძაგელს ურიის სახლში მარტო. უწამლოდ, უნუგეშოდ; მხოლოდ პატარა ნინიკა ჩემი გულზე ღდაკრეფით დამყურებდა მწუხარედ დადუმებული. ფიქრი სიკვდილისა, შორს ჩემთა ძმათა და მეგობართაგან⁶⁷, შორს ყოველთა მათგან, რომელნიცა სამარესა ზედა ჩემსა დაჰსცემდენ გინა ერთსა ცრემლსა,— მკმუნვარე ფიქრი ესე აღჩნდა ჩემს გონებაში და უნებლიეთ ვჰსთქვი ოხრეთა: „ახ! სადა ვარ, სადა ვჰკვდები!“—ცრემლნი წყაროსებრ გარდმოედინნენ თვალთაგან პატარა ნინიკას; მხურვალეებითა მომწვდა ხელსა ჩემსა და დამიწყო კოცნა ტირილითა. გული ამიღულდა და ორი ცრემლი მეცა გარდმომცვივდენ თვალთაგან,—ვიხილე უანგარო, კეშმარიტი, წმიდა ჩემდანი მისი სიყვარული მას წამსა, ოდესცა ვიყავ თითქმის ყოველთაგან ანუ დავიწყებულ, ანუ დატყვებულ და ანუ განშორებულ.—წამი ესე არ დამავიწყდების ვიდრე ვარ ცოცხალ.

16-ბ.—ვერღა შევძელ როტასთან სიარული. გამოვესალმე ვილბოას, სვეშნიკოვს, ზალმანს⁶⁸ და ნელ ნელა დროშკით კისმენსკიმ მომიყვანა დინაბურლის ლოშპიტალში. ოთახის სათბო, წაინდა ჰაერი ისე მიამა, რომ მაშინვე ვივრძენ უკეთესობა. აქ გავიცან რეველსკის პოლკისა პრაპ. რუკტიშელ⁶⁹, პრინც ვილელმისა⁷⁰ პოდპორ. პოპროკვი⁷¹,--დიახ კაოგნი აფიცრებნი.

17-ბ, 18-ბ, 19-ბა, 20-ბა დღითი-დღედ უკეთა შევიქენ.

21-ბ იყო პირველი თოვლი და 22-ბ და 23-ბ დღითი ყინვა.

14-ბ დეკემბერს⁷².—იყო ცივი დილა, რა მიედროდით ლინკოვო პოლენზე на contrary. ცივი ქარი მოგებერდა და ხანდახან მოვიდო-

* ამის შემდეგ გადახაზულია: „სიკვდილისა“. ** დედანში წერია „14 სექტემბერს“, მაგრამ ეს უსათუოდ შეცდომაა: ეს თარიღი ადრე, შესაბამის ადგილზე არის მოცემული ტექსტში; ამ რიცხვით აღნიშნულია ოქტომბრის თვეც. ხოლო 28 ნოემბერს, როგორც პოეტის მიწერ-მოწერიდან ვგებულობთ, იგი ისევ დინაბურგის ჰოსპიტალში წევს (იხ. წერილები, ტ. I, 173ი წ., გვ. 42), ასე რომ, აქ დეკემბრის თვე უნდა ვივარაუდოთ. ტექსტის შინაარსიც უფრო შეეფერება ამას.

და წვიმაცა. პოდგოზი, არტილერია, კავალერია უწყესობითა აღირჩევიდნ მოკლესა გზასა ლინკოვისაკენ¹ წასასვლელად. „Сегодня последний день, последнее уювание, последв[ий привал]! и кажется сама природа востает противу нас, не быть хорошему церемон. маршу, досадно, все наши труды пропали“, — ვეუბნებოდი ზემს ამხანაგს სტეფანოვს. — „Да, это досадно; что из этого. что наши [...]. А до сегодняшнего дня всегда говорил: отлично [...], доволен; если сегодня уред [фельдмар.] не поддержим славу. Впрочем надо [работать (?)]. Бог милостив!...“ *

[დღიური 1839 წლისა]

24-ს ნუხს¹ შევიყარენით მეათე საათზე დილით მთლად ოტრიადი, შემდგარი: სპერი კაცი — 2 ბატალიონი, გრუზი: სამი როტა კარაბინი, ორი ზარბაზანი ლელეისა, ორი გორნისა და ორი² ნუხის გა[რნიზონისა(?)] და, დასასრულ, მილიცია ნუხის პროვინციისა. — 280 კაცი, ცხენოსანი და ქვეითი.

დღესვე ტიზენლ[აუზენი]³ წავიდა გუნუქის ხეობაში ორი როტით გრუზინ. და ორით კარაბინერთა, რომ აღრევე ხეობაში დანიშნული ადგილები დაიქიროს და მით ოტრიადს შეუმსუბუქოს ასვლა მთაში.

25-ს გადავედით ნუხითგან. სოფელს ყარაბულახს და იჩას შუა გაეყრება გზა აღმა[...] და წავედით მარჯვნივ გიუნუქისკენ, ორს ვერსამდის. აქედამ შევცსვენეთ სოფელს შაჰმალის ბოლოს. აქედამ იქნება თორმეტი ვერსი გიუნუქამდის, სადაც დავედგით სოფლის თავში. ადგილი არის გაშლილი ვაკე ხეობამდის, მაგრამ ქვიანი და უბალახო.

დღეს შემოგვბდა ქართველების მილიცია, მიმავალი ყუბისკენ⁴ დიდს ოტრიადში.

26-ს. — აყრის დროს [გაიარა(?)] ტიზენლ[აუზენის] აღუტანტმა [ნაზიმ...]⁵, რომ ომი დაგვიწყესო. ამისთვის სიჩქარით წამოვედით, მაგრამ ორს ვერსამდის რომ გავიარეთ ლეკთა პატარა სოფლის

* დანარჩენი 13 სტრიქონის აღდგენა არ მოხერხდა.

შინ პირდაპირ გადასაელელთა შინის წყალში, დიახ ცუდი, პე-ხოტა მარჯვნივ მთაზე გადავიდა. დიახ ძნელს გზაზე და ბარგი, ცხენოსანნი წყალში გა[ვიდა(?)]*.

ამ გა[ლ]მოსვლამ დაგვეგვიანა კარგა ხანი. ეს ხეობა ოთხს ვერს იქით განიყოფება სამად. ჩვენ მარჯვნივ მოუხვიეთ და ხეობა უფრო შეიწროვდა. აქ კიდევ უნდა გავიდეს** წყალში და ავიდეს პატარა მდინანზე, სადაცა შევისკენეთ. აქედამ დაეინახეთ ღურბინდში, დიახ მაღალს მთის წვეოზე, ჩვენი ყარაულები და მთის შუა*** კლდეში ჩამსხდარნი ლეკნი, როგელთაც შეეკრათ ასავალი გზა.—ლენერალმა⁶ გვიბრძანა ჩვენს ორს როტას ორის მთის ზარბაზნით ასვლა. მაიორი აღუესკი* გაგვიძღვა.—მე ამაზე უსაზარელესი გზა არსად მინახავს. შვიდ ვერსამდის არის ვიწრო, ქვიანი, ტყიანი, ერთის კაცის ასავალი გზა. ღნერთმა დაგვიფარა, რომ ლეკებმა თვითვე გაუშვეს ეს გზა და გავიდნენ მეორე ახლოს მთაზე, სახელად სალვათ. თორემ ჩვენ იქ ასვლა არ შეგვეძლო და არც ტიზენლ [აუზენს] ჩამოსვლა. ზარბაზნები ცხენზე ეკიდა.—ოთხს საათზე შევერთდით ტიზენლ[აუზენს], რომელიც ეომებოდა ლეკთა.—სალამოზე გამოვცვალეთ 7-ი როტა და ეგირისა მე და გრენგამერმა⁷ როტებით. ამ დღესა ღენერალიც დანარჩომის ჯარით ამოვიდა.

27-ხა იყო გზის გასწორება და გაკეთება და წინ პიკეთთან თოფის სროლა.—მთა, როგელზედაც დადევით ლაგირათ, სახელად ჰქვიან ნუხი. საჰს ვერსზე ახლოს არა აქვს ტყე. წყალი ცოტა, ბალახი ახლად ამოდიოდა.—თუმცა ესე არის ძალადი მთა, მაგრამ სალვათ, როგელზედაც იყვნენ ჩასაფრებულნი ლეკნი და**** გადადის გზა [...] ულისა, უფრო უმაღლესია და დიახ ძნელი ასავალი. იმაზე ჯერ ისევ თოვლი იდვა ზოგიერთს ადგილას.—სალვათის მთის ერთი ქედრ ჩასდევს ნუხის მთას პარალელად და ზოგან დიახ ახლო მიუახლოვდება ნუხის მთის გზასა. ასე რომ, ახლო თოფისა მანძილია და შუაში დიდი, ღრმა ღრანტე უძევს.

დღეს შევიტყვეით, რომ წუხელის დარჩომილნი შვიდნი კლისუის სულთნის ლეკნი ოცდახუთის ცხენით ამოსავალში დაკარგულან.

* ამის შემდეგ რამდენიმე სიტყვის ამოკითხვა არ ხერხდება, რადგან ფანქრით ნაწერი საუბრით გადასულა. ** ამის შემდეგ გადახახულია: „ოროჯულ“ *** შემდეგ გადახახულია: „გზაზე“. **** ამის შემდეგ გადახახულია: „არის“

28-ბ.— მე მიბრძანა ლენერალმა სამოციის კაცით მისგლა სალვა-თის ტყიანს ქედში და იქილამ ლეკების გარეკა, რომელნიცა ჩვენს გზაზე ამვლელს-ჩაზვლელს თოფები ზ ჰოცდენ. წავედ, მივეც და-რიგება სალდათთა, დავიწერე პირსჯვარი და ჩაველ ღრმა ხევში. ზევიდამ მთელი ოტრიადი დამყურებდა. ასავალს ტყეში მომიხდა სროლა. საზარელია ქვების სროლა, მაგრამ გაეაქციე და გავმაგრ-დი ტყეში და ქედზე. პატარა ხანს უკან მომეშველა ერთი ზვოდით პრაპ. პახომოვი * და მას უკან ოცდახუთის კაცით სვიმონ შალი-კოვი *. ლეგერალმა ჩამოიარა გზის გასაწინჯავად და დაჰყურებდა ჩემს განკარგულებას.

სალამოზე დაებრუნდი. ერთი მილიციის სომეხი მომიკლეს და ერთი დაჰსკრეს და ერთიც სალდათი დამიკრეს.—სალამოზე დამი-ბარა ლენერალმა და მითხრა, რომ თუმცა დავხაროდი შენს მისე-ლასაო, მაგრამ რეზერვები (резервы) მიგყვანდაო. მე პრიკაზში ვა-ძლევ ამ ზამეჩანისაო; მაგრამ შენ არ შეგეხებაო; ამით სხვა უნდა გავაფრთხილოო. მე უპასუხე, რომ გზა ერთის კაცის ძლივს გასავა-ლი არის მეთქი, ამა მიზეზით რეზერვნი ისე მიმყვანდა მეთქი და სადაც ადგილის მდებარეობა იყო ვაკე, იქ ზვოდებათ მედგა და ხან პოლუზვოდათ მეთქი.—მე დიდათ მადლობელი ვარო მაგ საქ-მისათვისაო; შენნი სალდათებო კარგს ტიროლცებსავეთა ებლაუ-ქებოდნენ მთასაო და უშიშრად მიდიოდნენო, И ЮНОВИЦА ИМ.—თავი დაუკარ და გამოველ. აფიცრები შემომეხვივნენ და მილოცა-დენ გამარჯვებს.

29-ბ.— პორუჩიკი გრენგამერი *. [...] როტებით გაისტუმრეს გუნიუქს პროვიანტის მოსატანათ მაგრამ, რომ ჩავიდნენ ხევში, იქ დახედნენ წინაღამ ჩასაფრებულნი წეიდანზე ლეკებნი და ორისა მხრით მთილამ შეექნათ ძლიერი სროლა. ამათ მიაშველეს მაიორი ანტონოვი ¹⁰ ორის კარაბინ. როტით არე[...] მთაზე. და მაშინ ერთ-ბაშად დააკრვევინა ანტ[ონოვი] დაბრუნება. რა ნახეს ესე ლეკ-თა, მაშინვე შეპოუტიეს და მთილამ გადმოყარეს, გრენგ[ამერი] დაჰკრეს ფეხში.

პარილის 28-ბ მოვიდით ხაჩნაზს. აქედამ მიდის გრძელი და განიერი ხეობა თოვლიან მთებამდის. იქნებდა არა უმეტეს 12-ის

* პირველად დაუწერია: „მაიორი ანტონოვი“, შემდეგ გადაუსწავს.

ვერსისა, მარამა სამჯერ უნდა გავიდნენ წყალსა, რომელიცა არს დიახ ჩქარი და ძნელი გასასვლელი. ამ ხეობაზედ არის გზა დალი-სტინსაკენ, მარამ დიახ ძნელი ასასვლელია მთაზე, რომლისა იქითი მხარე კი უფრო უკეთესია. ლაგირისათვის დიახ კარგი ადგილია ხაჩმაზის თავში: წყალი, ტყე, ვაკე და მალალი, გაშლილი მდებარე-ობა. ზაფხულშიაც არ უნდა იცოდეს დიდი სიცხე.

მაისხს 17-ს მოგვივიდა ერთბაშად ბრძანება სიმბორსკისა ¹¹ წასვლისა ნუხისაკენ. ამაღამ დავედქით ხაჩმაზის ბოლოს.—გუშინ დაგვიქრეს სამი საღდათი, მიმავალნი ბუმისაკენ.

ღმერთი არის ჩემი მფარველი, ვისილა შემეშინდება!

დღეს, ვახშმის უკან, დაგვიბარა ტიზენლ[აუზენმა] როტნის კა-მანდირები და გამოგვიცხადა, რომ სულუჯლის სოფლის გაობრე-ბისა ბრძანება მომივიდა სიმბორსკისაგანო. ახლა ვითხოვ თქვენგან თქვენს [აზრსა], რა დროს უნდა წავიდეთ].—მე უთხარ, რომ თუ გვინდა, რომ იმ სოფელში მცხოვრებნი ხელში მოვიგდოთ, უნდა ანაზღვეულად, სრულებით მოულოდნელად დავეცეთ სოფელს, თო-რემ გაიქცევიან მთაში, თუ შეგვამცნიეს. ამისთვის, რომ სოფელი ესე პსდგას ძალიან მალალს მთაზე. რომლითგანაც დღისით შორს დაგვინახვენ და თავიანთ თადარიგსა ნახვენ; ჩემი ფიქრი ეს არის*: ასეთსა დროს ავიყარნეთ, რომ განთიადს სოფელთან ავი-დეთ. ამაზე სხვა როტნის კამანდირებიც მეთანახმნენ და პირვე-ლად ტიზენლ[აუზენიც]. მაგრამ შემდეგ სთქვა: რადგანაც სამი როტა წაეალთო და ერთი აქ დარჩება ლაგირის დასათარველად, ამისთვის საშიშიაო ღამე წასვლაო და ვაითუ ერთბაშად დაესხნენო. და ამასთანავე საშინელი [არის] ტყე, და უცნობი გზაო დაგვაბრ-კოლებსაო ღამე სიარულშიაო. და, ამის გარდაო, ათი დღე არ იქნებაო, რომ შალიკოვი ცხენოსანის კაცებით იმ სოფელში იყო და ვერვინ ნახაო. მაშასადამე, ზედდარწმუნებით ვიცოო, რომ ის სო-ფელი დაცარიელებულია და უბრალოდ ვეხეთქებით ტყეშიო. ამისა-თვის დილ[ით] წავიდეთო. ჩვენი რჩევა დაიშალა.

18-ს დილით სამი როტა—3-ი, 8 და 9—წავედით ზემო ბუმისა გზაზე. იქ, სადაცა მთის ქიმი დააწყდება გზასა. რვა ვერსამდის

* ამის შემდეგ გადაწახულია: „რომ“.

ხანმავითგან, გავედით პატარა წყალსა, შეუხვიეთ მარცხნივ ხეობა-
ში და შალიკოვი სტრელკებით გავგზავნეთ მთა-მთა. რა განვლეთ
ორს ვერსამდის, ჩვენმა ცხენოსანმა წინა კაცებმა დაინახეს გაშვე-
ბული ქოხებთან ცხენები. რა მიახლოვდენ, ერთბაშად თხუთმეტა-
მდის კაცები გამოკვიდენ სახლებიდან და გაიქცნენ. ერთი იმათგან-
ნი, რომელიცა ჰსწანდა იმათ უფროსად, მოკლეს თოფითა. იმისი
ოქროს და ვერცხლით შეკმაზული თოფი გამოაჩენდა იმის უფრო-
სობას.—ამ დროს შალიკოვმა შემატყობინა, რომ მითთგან ბევრი
ცხვრები ჰსწანსო. მე ვპსთხოვე [...] ტიზენლ[აუზენს] და შემდეგ
იმანაც მიბრძანა როტით წასვლა (და თვითონ * ორის როტით წა-
ვიდა სოფლისკენ). მარჯვნივ გადვიარე კარგა ** დიდი მთა, საშინ-
ლად ტყიანი და გავედით პატარა მინდორსა, მარამ არავინ გამო-
ჩნდა. შემდეგ გავიარეთ კიდევ ტყე და მეორე მინდორი გამოჩნდა.
მაშინ სტრელკებსა მარცხნივ მთის ძირი დავაჭვრინე და ლევოე
პლეჩოთი წინ წამოვსწიე, რომ ამითი მთის გზა შემეკრა იმათთვის.
ამ დროს შეგვამცნიეს და ორმოცამდის თოფი ერთად შემოგვეტ-
ყოცნეს, მაგრამ მაღალმა ბალახმა დაიფარა სტრელკები, რომელ-
თაც დაუშინეს] თოფები, და მაშინვე ურა დავაძახებინე, შეუტოეთ
და გაიქცნენ ზოგნი ბუჟის გზისკენ და ზოგნი უკანვე მთისკენ. ეს
უკანასკნელნი შეეჯახნენ ერთბაშად მარცხენა სტრელკებს, რომელ-
თაცა იქვე ააგეს შტიციებზე ცხრანი.

იმათი ქოხები [დაეშალე (?)] ბარგითა, რაც ვერ შეიძლეს წამო-
ღება, სადაც ორი დედაკაცი ბებერი დაეხოცათ სალდათებსა. ხუ-
თასზე მეტი ცხვარი, ოცდაათი საქონელი გამოვრეკე, ორი კაცი.
სამი დედაკაცი, ხუთი ყმაწვილი ტყვედ დავიჭირე. ორი სალდათი,
თოფები, ორი შტიკი, უნტერაფიც[რის] მუნდერი, სხვადასხვა
ნივთები წინადლე დაკრილი სალდათებისა ვიპოვნე იმ ქოხებში.
ეგრეთვე ღილები ტიფლის[აკი?] პოლკისა.

ამა საქონლით გამოვვედი ზემო ბუმისა გზაზე, იმ მინდორზე,
რომლის სიახლოეს ომი ქონდათ ტიფლ. [პოლკსა (?)], და მშვიდო-
ბით მოველ იმ მთასთან *** წყალზე, რომლიდამაც შევეუხვიეთ მარ-
ცხნივ და დაედევ ****, [რათა(?)] დავასვენო დაღალულნი სალდათ-

* თავდაპირველად დაუწერია: „ტიზენ“. ** თავდაპირველად დაუწერია:
„დაბ“. *** ამის შემდეგ გადაბახულია: „რომლ“. **** თავდაპირველად დაუ-
წერია: „დავისვენე“.

ნი და მოველოდით ტიზენდ[აუზენს], რომელიც ამ დროს ასუ-
ლიყო მთაზე. სოფელი დაეწო, მაგრამ ხალხი კი გაქცეულიყო, რა-
დგანაც დაენახათ ზემოდამ მიახლოებულნი.

მე აღარ მოუცადე იმათა და მოვედ ლაგირში მეოთხე საათზე
შუადღიდან. ორს საათს უკან დანაშთენი როტებიც მოვიდნენ.

19-ს გამოვედით ხაჩმაზის ბოლოდამ და მოვედით სოფლის ვარ-
თაშენის ბოლოს 14 ვერსამდის. კარგი ლაგირის დასადგომია.

20-ს მოვედით ზიგზიდის სოფელთან, სადაც ამა დღეს ჩვენი
ერთი ბატალიონიც მოვიდა. აქაც კარგი წყალია, საკმაო მინდო-
ბიცა, მაგრამ ძალიან ცხელა.

21-ს კარაბინების ბატალიონი ბუნითგანა შეერთდა აქ ჩვენთან
და ეგრეთვე ორი ზარბაზანი.

1-ი ბატალიონი იღვა: ორი როტა ნუხსა და ორი სოფელს და-
შავლი, ორმოცს ვერსზე ნუხითგან.

II. მხატვრული ესკიზები

(1824—1835)

ან...დღი*

მე ვიყავე ყვავილოვანსა დროსა სიკაბუკისასა, მაშასადაზე, ვიყავ ბენდიერცა, ვინაითგან აწმყოი დამატკობდა და მომავალიცა აღნიტყვამდა უმეტეს ბენდიერებასა. გარნა, ახ! ყოველნივე ესე იმედნი და თვით თავისუფლება განჰქრენ გულისა ჩემისათვის ესრეთ მჰსწრაფლიად, ვითარცა საამურისა სიზმრისა ოცენბანი. ბაგეთა ჩემთა დაიფიწყეს ღიმი და სიამოვნებანიცა არლა მყოფობენ დაჰჰკნარისა ჩემისა გულისათვის, რომელიცა მოცულ არს მწუხარებისა ღრუბლითა. შექცევათა და ლხინთა შინა ვერლა ნიპოვნიეს შეებანი: ყოვლგან თავსა ჩემსა ვებლავ მარტოდ დაჰშთენილსა. ზოგჯერ ვასეირნობ წალკოტსა შინა და მუნცა მშენიერნი ყვა ვილნი ჰსკენებთან მკმუნვარეთა ფიქრთაგან ჩემთა. -- უწყოდე, მეგობარო ჩემო, რომელ მიზეზი ესრეთისა ჩემისა უბედურებისა არს სიყვარული, რომელიცა უმეტეს უგზნების, რაოდენცა შირბიან ღრონი. რეზან წელიწადმან ვერ შეამსუბუქნა ტანჯვანი ჩემნი და ოხრავათაცა ესოდენსა დროსა ვმალავ გულსა შინა ჩემსა. არს უკვე ივა წელიწადი, რა გონება ჩემი ებრძვის გულსა, რომელსაცა ვხევაე დასასრულ მძლეველად. -- აჰ შეჰსწყდა ყოველი მოთმინება ჩემი. ახ! საყვარელო მეგობარო! რჩევათა შენთა ესრეთსა ჩემსა მდგომარეობასა შინა ძალედვით მოცემად ჩემდა რომლისამე მუგეშისა: გარნა შენცა ხარ ჩემგან განშორებულ, და ვარ ესრეთ დაჰშთენილ ქესაკმელად მწუხარებათათვის. -- მშვიდობით, მეგობარო ჩემო! **

* ანტონისადმი (დაწერ. იბ. შენიშვნებში). ** ამის შემდეგ გადაახულია: „მოძვერე, რაი ვჰყო“.

ვხედავ უფსკრულსა წინაშე ჩემსა და არა ძალმიძს მორიდებად. ახ! ნეტარ წერილსა შენსა ძალედვას მოცემად ჩემდა წარსრულისა ბედნიერებისა და განმკრალისა ჩემისა თავისუფლებისა უკმოქცეად.— მშვიდობით!

შილდა. 1824 წელსა.

[ზამთრისა ქარი ზრიალმბხს...]

ზამთრისა ქარი გრიალებს საშინელად და ფრთენი ზისნი ჰბერენ სიცივესა და ყინვას. ღრუბელთა დაჰთარეს შავად მშვენიერი ცა და არლა ისმის უკვე საამური, დამატყვევებელი სტვენა ბულ ბულთა და სხვათა ფრინველთა. ფოთელნი, დამკნარნი, ჰსცივიან ყვითლად, რომელნიცა ოდესმე შემოსვიდნენ ხეთა ესრეთ მშვენიერად და აგრილებდენ თვის ქვეშე გზაგრსა, განსასვენებლად მწოლარესა. ყოველნი გაზაფხულისა სიტურფენი მოსპო ზამთრის ხელმან და დაასო მათ ზედა ბეჰედი სიკვდილისა. გარეთ ჰსთოვს საშინლად, ჰსცენს ქარი ფანჯრებთა და შემომს[ტვენის] სხვა და სხვათა ხმითა. ვარ ესრეთ შემწყვდეული მარტო ოთახსა შინა ჩემსა, დაფიქრებით ვუმზერ ანთებულსა ბუხარსა და სამწუხარონი ჰაზრნი არყევენ გონებასა ჩემსა, და ვფიქრობ ესრეთ: ახ! სიკაბუკისა დღენი ჩვენნი. ესრეთ მშვენიერნი და ესრეთ ტკბილნი, არა ემზგავსებინა' გაზაფხულისა ყაფილთა. ბუნების შემაშკობელთა, და ესე ზამთარი შექმუხნილსა სიბერესა ჩვენსა! — არა წარკალსა' სიკაბუკეცა ჩვენი ესრეთ მსწრაფლიად. ვითარცა გაზაფხული, რომლისა სიტურფითა ჯერეთ არ დამტკნარვართ, და თანა არა მიაქვსა' ყოველნი ჩვენი სიხარული, სურვილი და იმედნი, რომელნიცა ჯერეთ არა აღსრულებულან. — არა ვხედავთა' მწუხარებითა, რომელ ანაზღდეულად სიბერეჰან, ვითარცა ზამთარმან, დათოვა თავი ჩვენი და გაყინულისა ხელისა თვისისა ჩვენდა შეხებითა განგვიგრილა გული ჩვენი ყოვლსა მშვენიერებისა ტრფიალებისაგან! — არა ვგომნობთა'. რომელ სიყვარულიცა, ესე მშვენიერი სიციცხლისა ჩვენსა ყვაილი,* რომელიცა გვატკობს, გვახარებს თვით ტანჯვა-

* თავდაპირველად დაუწერია: „ე.მ მშვენიერი ყვაილი სიციცხლისა ჩვენსა“.

საცა შინა თვისსა და აღგვამალებს ყოველთა მდაბალთა და უღირსთა სხვათა ვნებათაგან,—ესე დღეთა ჩვენთა სიტკბოებაცა ჰქრების, ჰსცნობს რა სიბერისა სიახლოესა!—არა ვეჭვრეთა! განკვირებით ვარდებრივთა ლაწვთა აღრიან დამკენარად, ღიმილთა— ჰაგეთა ზედან გამკრალად, თვალთა, სულისა სარკეთა,—შთაცვინულ და ნათელკლებულ. მეხსიერებასა—დაკარგულ.—ახ! სიბერისა დროსა სიცოცხლე ჩვენი არს მხოლოდ თვლემა; ჩაშინ ჩვენთვის მომავალი არაჲს ბნელ და წარსულიცა დავიწყებულ; და თუ ვითარმე გონებასა შინა ჩვენსა წარმოგვიდგების დღე რომელიმე, აღვსილი სიამოვნებითა, დასატკბობლად შექმუხენილთა დღეთა სიბერისათა, ისიცა ესრეთ გვეჩვენების, ვითარცა სიზმარი, ანუ ვითარცა ელვა ღამესა ბნელსა, რომელიცა ჰქრების მყისვე და არა უტევებს თვის შექმდე კვალსაცა.—ჰე, გაზაფხულო! ჰე, სიკბაუკევე! დამატკბეთ, დამატკბეთ, ვიდრემდის ჰსცხოვრებთ ჩემთანა, ესოდენ, რაოდენცა იყოს ჩემთვის საკმაოდ სამარემდის, ანუ სიცოცხლეცა ჩემი შექსწყვიტეთ მაშინ, ოდეს მოვიდეს დღე იგი განყრისა ჩვენისა, რათა ვჰსთქვა უკანასკნელსა ღამსა: „თუშცალა ვეკდები, მარაჲა სიცოცხლე ჩემი იყო ესრეთ ნათელ, ვითარცა ნმყენიერი განთიადი გაზაფხულისა“.

ნინოწმიდა. 1829 წელსა.

6. 0. 3.*

გახსოვსთა! დღე იგი, ოდესცა მე, გულითა — მწუხარებისაგან შეიწროებულთა, მოვედ რა თქვენდა ნ... გამოსასალმებლად, გიხილეთ მოულოდნელად სანნივე ერთად ნ. ე. შ., ვითარცა მშვენიერი გრაციანი, მჯდომარენი მოაჯიროზე ფანჯარასთანა და უმზერდით ყმაწვილურისა სიამოვნებითა საშინლად აღრეულთა ღრუბელთა და ისმენდით უშიშრად ქუხილთა, რომლისა გრგვინებათა განამეორებდენ მთანი,—უმზერდით უშიშრად და არა უწყოდით, თუ უსაშინელეს ამა ღრუბელთა არიან ღრუბელნი ვნებათანი,

* ნინო. ეკატერინე. მანანა (დაწვ. იხ. შენიშენაში). ინიციალს ე ავტორი ასომთავრულით წერს.

ცხოვრებისა ჩვენისა დამამწარებელ და დამაბნელებელნი, რომელნიცა ჯერით არა შეხებიან გულთა თქვენთა, აქამოდის უმანკოთ, წმინდათ და ნათელთ. მოვედ თქვენდა და მსურდა მხიარულად მიჩვენა თაჲ ჩემი; მარამა მხიარულისა სახის ქვეშე ვერა დავჭდარე თვალთაგან თქვენთა მწუხარებით მდგომარეობა გულისა ჩემისა. შემამცნიეთ მკმუნდარება და იწყევით ჩემდა ნუგეშისცემა. მე ვიჯგვ მღუპარელ: ვისმენდი სიტყვათა თქვენთა, მსურდა ზეცა უბნობა, და ვერცა ერთის სიტყვისა ვერა შევძელ წარმოთქმად. გახსოვსთა, რა გესმათ ჩემგან სიტყვა მშვიდობით, თვალნი თქვენნი უნებლიეთ აღივსნენ ცრემლითა, ერთი და ორიც გარდმოგცივდათ მშვენიერთა ლაწეთა ზედა, ხოლო ბაგენი ღიმილითა ჰსკდილობდენ დაფარვასა მწუხარებისა თქვენისას. ახ! ვითარ მშვენიერ იყვნით წამსა მას, ვითარ გშვენოდათ ცრემლნი, -არა გიხილავსთა! მშვენიერსა გაზაფხულისა დილასა ვარდი ახლად გაშლილი, რომელსა ზედაცა ბრწყინვალეებს ზეცისა ნამი, ანუ არა გახსოვსთა! მზიანსა დღესა მოწმენდილი ცა, გადმომცვრეველი წვიმისა, რომლისა თვითოეულნი მარცკალნი, მზისა სხივითა განბრწყინვალეებულნი, ჰსცვივიან მარგარიტებრ და ასიამოვნებენ თვალთა. ესრეთ იყვნენ ცრემლნი თქვენნი.* სიხარულმან განანათლა და განაბნივა მწუხარებითი სიბნელე სულისა ჩემისა. ნუთუ ვარ ესრეთ ბედნიერ, [რომელ] ღირს ვიქმენ ცრემლისა თქვენისა? ნუთუ გულთათვის [თქვენთა] ენისშენელებ რასჲ? ამა ჰაზრმან სრულად მივიწყა, რომელ წამსვე მას გესალმებოდით. ესრეთა მკირედი სიხარული ავიწყებს მრავალთა სიმწარეთა.**—აწ შესაძლო არს. რომელ არცა დღე იგი, არცა ნუგეშისცემა და აღარცა თვით მე გახსოვართ თქვენ! მარამა დღე იგი არაოდეს არა აღიხოცების გონებისაგან ჩემისა. ოდესცა მეწვევის მწუხარება, ანუ უბედურება, რომელნიცა არიან კაცთათვის აუცილებელ და განუყრელ სიცოცხლესა თანა ჩვენსა, მაშინ მომაგონდების, ჰე, გრაციანო, ცრემლნი თქვენნი. ჩემთვის გადმოცვი ნულნი, და ვიქმნები მით ნუგეშემულ.

პეტერბურსს. 1832 წელს. ნოემბრის 9-სა დღესა.

* ამის შემდეგ გადაბაზულია: „არ ვპალავ, რომელ წამსა მას“; „გახსოვსთა“. მარამა შესაძლო არს, რომელ არცა დღე იგი, არცა ნუგეშისცემა და არცა თვით მე გახსოვართ თქვენ“. ** ამის შემდეგ გადაბაზულია: „გახსოვსთა“.

ანგაში ჩივის ღოჭიბალში ნათქვამი

ვილენსკის* ღუბერნიაში ჰსცხოვრებდა პომეშიიკი N..., რომელიც იყო პატივსცემულ საზოგადოებისაგან და რომელიც იყო ღირსი ამ პატივისცემისა თვისითა პატიოსნებითა და სულისა კეთილშობილებითა.

ამას ჰყვანდა მეგობარი, გვარად ბოთინკო, რომელიცა, იყო რა მღაბიურისა შთამომავლობისა**, შეიქმნა შემდეგ სიმართლითა. ანუ უსამართლობითა, აზნაური და იყო მდიდარიცა.

პომეშიიკსა მოუკვდა ცოლი, რომლისა გამო მწუხარებითა არცა იმან იცოცხლა დიდი ხანი.—სიკვდილის ეამსა მოუწოდა მეგობარსა თვისსა და მხოლო ასული თვისი რვას წლისა ჩააბარა და მა[სთან] თორმეტი ათასი რუბლი და ას ოცი სული ყმა.

პომეშიიკი, როგორც შეეფერებოდა, დამარხეს.

ყმაწვილი ქალი წარიყვანა ახალმან მამამან თავის სახლში.— მაგრამ ანგარებამან შეიპყრა სული ბოთინკოსი. დაივიწყა კაცობრიობა და ფიცი მიცემული მაჰაკვდაეისა მეგობრისათვის და, ნაცვლად განდისა. ყმაწვილი ქალი იგი გახადა გოგოდ და მიუჩინა თავის ქალებს მოსამსახურედ, რათამცა სრულებით დაავიწყოს გვაროვნობა მისი და მით დაინარჩუნოს მისი ყმა და მამული.

გარეშე სხვა აზნაური თა ჰსცნეს ესრეთი ბარბაროსებრივი ქცევა ბოთინკოსი და ღუბერნატორს მიართვეს არზა. მარამა ქრთამმა დაჰფარა სიმართლე.

განვლო ჩაოდენმან წელიწადმან. ქალი იგი, ყოველთაგან დაიწყებულნი, მსახურებდა მუახლედ და მოითმენდა გინებასა, როზგით ცემასა და სხვათა მრავალთა უპატიურებათა; გარნა ღმერთი იყო მფარველ მისსა.

ყოველ წლივ უკეთესად ლამაზდებოდა და იყო ბუნებით მინიკებულ საკურველის მეხსიერებითა და გონიერებითა; მაშინ, ოდესცა ბოთინკოს შეიღებთა ასწავლიდნენ ოსტატნი, ქალი იგი მათის მხედვით და ყურადღებით იღუმალად ჰსწავლობდა თვით თავით თვისით წერასა და კითხვასა და ფრანკიკულს ენასა, თუმცა ბატონნი მისნი ჰსცდილობდნენ, რომელ ყრმა იგი დაჰშთეს სრულე-

* თავდაპირველად დაუწერია: „გროდენსკის“. ** თავდაპირველად დაუწერია: „შთამომავლობისაგან“.

ბითსა უმეცრებასა შინა]*. ერთხელ მოასწრეს ბატონებმა, როდესაც მოპარვით ბაღში კითხულობდა იგი ფრანციკულს წიგნსა. საბრალო გაწყვიტეს როზვით, მაგრამ არ იყვნენ ამით კმაყოფილნი.**

საძაგელმან ბოთინკომ და მის ღირსმან მეუღლემ მოიგონეს საზარელი ღონისძიება ქალისა ციბირში დასაკარგავათ.

ერთსა დღესა, შემდეგ სადილისა, ყმაწვილმა გოგომ მიართო*** ყავა თავის ქალბატონს, რომელმანაცა, შეხვრიტა რა, მაშინვე შეჰკივლა საშინლად და შემოიყარა გულსა. ქმარი მისი ამა კივილზე შემოფარდა ოთახში, ნახა თვისი ცოლი გულშემოყრილი, ფინჯანში ყავა და ოთახში ყმაწვილი გოგო. მაშინვე დააძახებინა ლეკარსა, რომელმანაც იხილა რა ყავა, ჰსთქვა, რომელ ყავაში არის შხამი გარეულიო.

საშინელისა ვინებითა და ცემითა შეიპყრეს ყმაწვილი ქალი და გაგზავნეს ქალაქში საპრობილეში, სადაცა იჯდა რამდენიმე წელიწადი, ვითარცა კაცის მკვლელი, ვიდრე გადასწყდებოდა სული.

დასასრულ შეასრულეს სიქმე და გაგზავნეს სხვათა კაცის-მკვლელთა და მუხანათთანა ერთად ციბირში კატერინის რაბოტაში, ანუ საუკუნოდ სამუშაოდ მადნებში მიწის ქვეშ. ესრეთ აღასრულა ბოთინკომ ბარბაროსებრივი განზრახვა თვისი.

ყოველთა კაცთა დაუტევეს საბრალო ქალი იგი, მარმა არ დაუტევია ღმერთმან და მისთვის არა წარწყმდა იგი.

აწინდელი იმპერატრიცა (რომლისა სახელი იყოს კურთხეულ, ვითარცა დედა ობოლთა, უძლურთა, ქერიეთა) მოვიდოდა სმოლენსკის**** ლუბერნისკენ. გზაზედ შეხვდა უბედურნი, სჯულისაგან დასჯილნი და მიძაველნი ციბირში, რომელნიც თითო ხელით იყვნენ მიბმულნი რკინის გრძელ ჯოხზედ. მათ შორის იყო ახალგაზდა ქალი თხუთმეტ ანუ თექვსმეტის წლისა.***** — სახე მისი თუშკა იყო ფერმიხდილ მწუხრებითა და უბედურებითა, მარამ***** იყო მშვენიერ***** და ცხადადა გამოჰსთქვამდამცა მისსა სულის უმან-

* ამის შემდეგ გადახაზულია: „ამაობაში ისწავლა ფრანციკული ენაცა და“

** შემდეგ გადახაზულია: „საშინელი ჰახრი გაუჩნდა ბოთინკოს ქალის ციბირში დასაკარგავათ“. *** თავდაპირველად: „მიუტ[ანა]“. **** თავდაპირველად დაუწერია: „გროდნენსკის“. ***** თავდაპირველი ვარიანტი: „...იყო ახალგაზდა მშვენიერი ქალი ჩვიდმეტ ანუ თორამეტის წლისა“. ***** ამის შემდეგ გადახაზულია: „გამოაჩენდა და გამო. გამოაჩენდა სულის უმანკობას და სასიკეთეს ღმერთსა-სადმი“. ***** ამის შემდეგ გადახაზ.: „და ცხადად“.

კოეზისა. ტანად იყო ნაზი, მარამ მედგრად მოვიდოდა გზასა ზე-
და უბედურებისასა და მით გამოაჩენდა სასოებასა თვისსა ღმრთი-
სადმი.

იმპერატრიცამ მყისვე ბრძანა შეყენება კარეტისა და თავის ხე-
ლით გამოხსნა* რკინის ჯოხისაგან მიბმული ხელი ქალისა, ჩასვა
თავისთან კარეტაში, გამოჰკითხა წერილად მისი ანბავი და იყო
ჭრიად მხიარულ, რომ ღმერთმან მიჰსცა შემთხვევა უსამართლოდ
დასჯილის გამოსახსნელად** ესრეთის უბედურებისაგან.

ქალი ახლა ჰსცხოვრებს სასახლეში, დაუბრუნეს მას ყმა და მა-
ბული და სარგებელით ფული.

ბოთფინკოც ცოცხალია და არის ზოდსუღშ[ი]. დაიბარეს პეტერ-
ბურღში და მის აქეთ აღარსადა [სჩანს]. რისხვა ღმრთისა და რისხვა
ხელმწიფისა] დაიჭუხებს მისს თავზე. ვინ არა ჰსცნობს კეთილსა
სულსა იმპერატრიცისასა და ვინ არა ჰხედავს მას შინა ყოვლად
უზენაესის მსაჯულის სიმართლესა და მისსა მარჯვენსა] უბიწოების
მფარველსა.

1835 წ.***

* შეიძლება გადაიხ.: „მიბმული ხელი“. ** თავდაპირველად დაუწ.: „გაანთა-
ვისუფლა“. *** ხელნაწერში ეს თარიღი სათაურის ქვეშ არის მიწერილი.

III. შენიშენები და ჩანაწერები

(1830—1865)

[ცნობები ლეკების შესახებ]

პირაქეთ მსახლობელნი ლეკნი განიყოფებიან სამ გოზად, ანუ ფარგლად: 1) ქარისა *, 2) თალისა და 3) ელისოს სასულთნო.

ქარში მცხოვრებელნი თოხუმნი არიან: 1) ჩაფარალი, 2) ნოჰლარი (რომელიც ზაქათალაში სცხოვრებენ), 3) თებელლუ. 4) ჩამჩილარ, 5) ხააელი.—ბელაქანში არიან ორნი თოხუმნი ლეკნი: 1) ალაჯიანი, ანუ თებელის თოხუმი, რომელნიცა იქნებიან ორმოც სახლად და 2) ანაფიანი, ანუ ჩიმჩილარ, რომელიცა იქნება ოც კომლად.—ეს ორნი გვარნი მოსულან ქარიდამ და დაუფუძნებიათ ბელაქანი. ამ ორთ თოხუმთ გარდა, ბელაქანში მცხოვრებნი სხვანი, თათარნი არიან და მამულის გამო ამ ზემოხსენებულთ თოხუმთ ემსახურებიან.—ესენი არიან მხენელნი, ვენახისა და ფურცლის მუშაკნი.—ალაჯიანთ უძვეთ ამათში ორი წილა და ანაფიანთ ერთი.—ბელაქანი აქლეს სახელმწიფოს ხარჯსა წელიწადში შეიდას მანათს.—კატეხში საშინი თოხუნი არიან: ჩაფარალიანი, ნოჰლარი და ხააელი.—თალაში არაფის თოხუმი და კურმუტისა.

პირაქეთ მსახლობელნი ლეკნი:

პირველი გზი	ბელაქანი და წაბლოვანი—ლეკი და თათარი . . .	600	კომლი კაცი	2180
	კატეხი და ყაბიზდარა—ლეკი	300	"	
	ყარაქაჯილი —ლეკი და თათარი	140	"	
	მაწუხი — "	140	"	
	ქარი და გოვანი —ლეკი	1000	"	

* ქარს იველად ფიფინეთი ერქვა (ავტორის შენიშვ.).

მეორე გლსი	თალა	—ლეკი და თათარი	800	კომლი	კაცი	2350
	მუხრანის და სპანჩი	—ლეკი და თათარი	700	"	"	
	ჩარდახი	—ლეკი	150	"	"	
	ჯინიხის, ალიახუარის და მამრიხის					
		—ლეკი და თათარი	700			

მთის სოფლები, რომელიცა შარს აძეგს

ნიშლინში	60	კომლი	546
თალასა და მუხრანს, კუსური	146	"	
თალას ქალაქი	150	"	
ჯინიხის, ბაშჯინიხის	160	"	
ჯინიხის ქალაქიდან	30	"	

ოდჯა შარისა

ხოზან ქოლი და ყიბური	200	კომლი
* ალიბათი	400	"
* მოსული	200	"
ჟადარი	30	"
ბაიმათლი	20	"
ქურდექური	15	"
დემურ, ნ ფიდრი	8	" —აიყარ.
ვერხვიანი	200	"
პატარა ლაიჭი	100	"
ყინდირკალი	30	"
ლალალი	60	"
* თასმალი	140	"
* ხაგამი	50	"
დიდი ლაიჭი	12	"
ყარა პ.ლდური	40	"
ბაბალი	30	"
* შოთყვანი	30	"
* ყორალანი	20	"
ალმალი	400	"

1955 კომლი არიან

* ვარსკვლავები ნიშნავს ენგილოს სოფლებს, რომელნიცა უწინ ჭარბულნი იყვნენ (აქტორის შენიშვ.).

ოქა თაღისა

ბუღანლუ	300 კომლი
ფადარლუ .	140 "
* ყანდაზი .	60 "
* ჭაფანაქრი .	15 "
	<hr/>
	515 "

შუხახის ოქა

ბახარი .	30
* წნგიანი	15
	<hr/>
	45

: 830 წილსა, თებერვლის
26 დღესა.*

საბართველო ჩემის დროისა

1) მდგომარეობა ქართლისა, კახეთისა, სომხითისა, თბილისისა ზეზღეგ მის გაოხრებისა ალა-მაჰმად-ხანისაგან¹.

2) საგურაშო, ღართის კარი, ვიშბორი, ვითარცა სადგურა-
ლექთა.

3) გაფერანებული მხარე მანგლისისა, აღბულაღისა ახალციხეზდის.

4) დასახლება ქვეშის სოფლისა ორბელიანთგან გადმოყვანილთ
ქაფებით. შემდეგ დუმანისი.

5) ტაბახმელის კოშკი, ჩეენის მასში ყოფნა და მდევარი კოჯ-
რისაჲცნ. იქ ყარაულენბი.

6) ქართლში ეკლესიები, რომელთ გუმბათებზე** იყო აშენებუ-
ლი აღიზის აგურით კედელი სათოფურებით, ვითარცა უკახასენე-
ლი ნავთსაყუდელი ლექთა დევნისაგან.

7) დასახლება გაოხრებულის ატენისა.

8) დასახლება გაოხრებულის ბორჯომის ხეობისა.

* ბელნაწერში ეს თარიღი ტექსტის დასაწყისშია მოცემული. ** ბელნაწერ-
შია: „გუმბათებზე“.

9) კოდის დასახლება დაეით სარდლისაგან², რომლიდამ შემდეგ
შენდნენ სოფლები: მარაბდა, ბორბალა და კიდევ...—ჩემის დრო-
ისა გამოჩენილნი კაცნი და ქალნი.

10) ივანე სარდალა, ორბელიანმა², ნიშნად ერთგულებისა რუ-
ყეთისადმი, მოიპარსა წვერი და მრავალთა თავადისშვილთა მოპარს-
ვინა წვერი თავისთანავე, ასე რომ ტომრები, ბაღით გატენილნი.
გადაყარეს მტკვარში.

11) სასამართლო, გარყვნილნი მოხელენი და მათი უსამართლო-
ბა და ქრთამობა.

12) სომხები—პერეგოდჩიკები.

13) ლოთობა და ცემა-ტყეპა ჩინოვნიკებისა და ხალხისაგან ლა-
ოლისი წყევისა.

14) ბუნტი კახეთში და მის უმთავრესი მიზეზი. კამისიონერები.
აფიკრებისა და სალდათებისაგან შეურაცხყოფა ცოლ-შვილებისა
აოფლებში.

15) ერმოლოვი * და მისგან დაჩაგვრა თავადებისა. ზურაბ ორ-
აქელიანი]: * „არა, როდის გავლანძღე ეგ მამაძალღი?“ ასლან
ორბელ[იანი] * ერთხელაც არ იყო მისგან მიწვეული ათს წელი-
წადში, ვიდრე ყიზილბაშების ჯარი არ შემოვიდა განჯას და არ
აბუნტდა შამშადილო და ყაზახი. მაშინ კი ასლან დაიბარა და გაგ-
ზავნა ყაზახში პრისტავად. განჯის ომის შემდეგ ერმოლოვიმა ჰკით-
ხა: „ასლან, სწორედ მითხარ, გიყვარვარ თუ არა?“—ამან უპასუხა:
„სარდალო, არც უწინ მიყვარდი და არცა ახლა!“ ეს ამბავი იცო-
აალალოში.

16) ერმოლოვის განკარგულება კარგის ჩინოვნიკების რუსეთი-
დამ გადმოყვანისა.

17) ქარი და ქიზიყი და ყოველ დღე მათ შორის ბრძოლა.

18) გაღმა მხარი კახეთისა და თითქმის ყოველ დღე ბრძოლა
ლეკებთან ბაღებში, მინდორში და თვით სოფელში.

19) თბილისი საკუთრივ თავის სამზღროთ, მეიდნებით, უბნებით.
ქუჩებით.

20) აღგილი მეფეთ სასახლისა, სალაყბო, ნალარახანა, გარეთ-
უბანი, ყაზახი, ავლაბარი, კუკია.

21) მაშინდელი საზოგადოება: მუხრანიანნი, ყაფლანიანნი, ბე-
ბუთაანნი, არლუთაანნი, ერისთავნი, თარხნისშვილები, ციციანნი,
ბარათაანნი, ქალაქის მელიქი და ნაცვალი, ენდრონიკაანნი, ჩოლო-
ვაშვილები, ქავკავაძეები, ვაჩნაძეები, ნოდარისშვილები.

ჰაზრინი მსწავლულთა ჩვენის კლანების შემენისათვის ანუ მიწისა

ტაუტ¹ და ღერმეს² წინადასდებენ ხაოსსა, რომლისაგანცა მოქმედებითა სტიხიისათა გამოვიდა განყოფილება ყოველთა ნაწილთა.

ექიკურ³ ჰგონებდა, რომ სოფელი (мир) წარმოასდგა ატომთაგან, რომელთაცა დაუტევს რა მოძრაობა პირველდაწყებითსა ათვისსა სწორესა (прямою) გზასა ზედა, შვერთდენ და წარმოადგინეს სხეულნი (тела) სოფლისა.

დეკარტ⁴ აწარმოებს სოფელსა ადრეყოფილისა ფრიად მტკიცისა მასისაგან, რომლისაცა ნაწილნი, მოძრაობისა და ხებისა გამო (трение), გარდაიქმნენ მცირედ ბურთებად, (груды) კუთხებიან ნაწილაკებად და ფრიად თხელ (тонкую) მატერიად.—თხელ მატერიამ გამოხატა (образовала) მზე და უძრავნი ვარსკვლავნი; მცირედთბურთთა—ფერი, ანუ მატერია გრიგალთათვის (вихрь); ხოლო კუთხებიანთა სხეულთა (тела)—პლანეტნი თანამეზღავრეთა (сопутники) და კომეტთა თანა.

ლეიბნიც⁵ ჰგონებს, რომ სოფელი ესე წარმოებულ არს სითბოსაგან, რომელიცა არს მიზეზი შინაგანთა მოძრაობათა ბუნებასა შინა, ჰაზრისამებრ მისისა, მიწა წარმოსდგა დამწვარისა (обгорелого) და დამდნარისა სხეულისაგან.

მალლეტ⁶ ჰფიქრობს, რომ მიწა* (земля) იყო პირველად მზე და გამოიწვა; წყალი მას ზედა დასხმულ არს სხვათა პლანეტთაგან.

ბუფფონ⁷ ჰგონებს, რომ მიწა (земля) ჩვენი წარმოსდგა მზისა ნაწილისაგან, კომეტისა მიერ მოგლეჯილისა.

დელიუქ** ჰპოებს, რომელ უწინარეს სოფლისა დაბადებისა, იმყოფებოდენ მძიმენი სტიხიოსნი თვინიერ ყოვლისა შვერთებისა (продство), რომელთაცა, შემდგომ შვერთებისა (сродства) და მოძრაობისა გამო, გამოხატეს უკვე სოფელი. ჰაზრისამებრ მისისა, აწინდელი დედამიწა იყო ზღვისა ძირი.

ნეგტონ⁸ ჰფიქრობს, რომ სრულიად სოფელი არს (исадея жидкого вещества) ნაძირალი თხელისა ნივთიერებისა, მსგავსი (иссаждающим) წყლის ორთქლთა, და რომელმანცა გამოხატა ყოველნი სხეულნი სხეულნი.

* ავდაპირვ. დაუწერია: „დედამიწა“. ** „იუ“-ს თავზე დაუწერია რუსული. „ი“.

ლელომეტერი¹⁰ ჰგონებს, რომ ყოველნი სხეულნი, მიწისა“ სიმ-
გრველის შემადგენელნი, შედგებიან სხვადასხვათა სტიხიათაგან:
ჟეცლისა, ნათლისა, ჰაერისა, წყლისა, ელექტრის მატერიისა და
ჰალნიტის მატერიისაგან.

გარდა ჰაზრთა ამათ, არს მრავალნი სხვანიცა. დროსა ზედა მი-
წის დაარსებისა ფილოსოფოსნი ეგრეთვე არ არიან თანახმანი. ბუ-
ფონისაზებრ, მის დროით, რა ნზისაგან მოგლეჯილ არს კომეტისა
პიერ რომელიმე ნაწილი, ჩვენის მიწისა მაწარმოებელი, განელილა
75,000 წლამდის. იგი ჰგონებს, რომ 930,000 წლის შემდეგ მიწა
გაიყინება** (ამისთვის, რომ იგი ჰგონებს, რომ მიწა ქამით-ქამად
უმეტეს ცივდება) და რომ მთლად ბუნება მოკვდება.

გარეგანი სახე მიწის სიმგრველისა, რა დაარსებულა, შეიცვალა.
სიმართლესა ამას ამტკიცებენ ცვლილებანი, რომელნიცა აქამომდის
შობდებიან მასზე***. იტალიასა შინა, მოდენის¹¹ სიახლოეს, 14
ფუტს სიღრმეზე, ჰპოებენ დანაშთენთა და ნაოხართა ქალაქისათა;
ქალაქისავე ამის ქვეშ, 26 ფუტზე, ჰპოებენ ხეთა ნაზის ფოთლებით:
ბოლო კიდევ უღრმეს პოებენ ქვიშის (ცემი) ზღვიურის სადაფებით.
1538 წელსა, დროსა საშინელისა მიწის ძერისასა, ამალდა მიწისა,
წიალთაგან ნეაპოლისა¹² სიახლოეს, ახალი შთა—400 ფუტი სიმაღ-
ლით და სამი მილი სიმგრველით. 1707 წელსა კუნძული სანტო-
რინი¹³ ამოვიდა ზღვის ტალღათგან.

[სხვადასხვა ზენიზენა]

ფრანციაში არის ცამეტი თეატრი, ესე იგი, უპირველესნი სა-
ხელნიწიფო ხარჯზე, თუმცა სხვანიცა მრავალნი ეკუთვნიან სხვადა-
სხვა [რიგიანთა(?)] კაცთა: თეატრი ლერკოლ ბერრიისა, ვოდვეილი-
სა, კომიჩესკის ოპერა, დიდი ოპერა, Varietés, ოდონ. იტალინს-
კისა, Gaité, ფრანკუზისა, მოსოვეჩ, ესე იგი, ამბებისა, ოლიმპი-
ჩესკის ცირკი, თეატრ Porte st. Martin, Ambiegu.

ერთობით ამ თეატრთა აქესთა წელიწადში შემოსავალი ექვს
მილიონ ნახევრამდის ფრანკი.

* თავდაპირველად ფანჯრით დაუწერია: „ქვეყნისა“. შემდეგ ამ სიტყვის თავზე
ბელნით აღუნიშნავს: „მიწისა“. „ქვეყნისა“ ხელნაწერში გადახზული არ არის.

** თავდაპირველად დაუწერია. „გაცივდება“. *** თავდაპირველად დაუწერია: „მასზედა“

ერთი ქალი დაიბადა ნიდერლანდში, რომლისა თვალების კაქ-
 ლების გარეშე მოვაშობს სიტყვანი, მარჯვენა თვალზე — Na-
 poleon Empereur, ანუ ნაპოლეონ იმპერატორი, და მარცხენაზე—
 Empereur Napoleon, ანუ იმპერატორ ნაპოლეონი. ამ ქალსა ფრან-
 ციაში ფულით ნახავს ვისაც უნდა.

ამერიკაში, ჩრდილოეთის შხარეს უპოვნიათ რიდასიკ მხეცის
 ყბა და ნაწილი ბეკისა (ყრბეტ). ყბა არს 20 ფუტი სიგრძე (ანუ
 სამ საფენამდის) და 1200 გირვანქა სიმძიმით (ანუ ოცდაათი პული).
 Позвонок აქვდათ 16 გრეი და ტეინის ნახერეტს (ანუ шогвое
 отверстие) ცხრა გრე სიგანე (в попереки). — ეს ძელები გადმო-
 უტანიათ ნიუ-იორკში.— ასეთი მხეცი რამ ყოფილა საზარელი ტა-
 ნითა, რომ თვით სპილოც მასთან თავგად გამოჩნდებოდა.

პაროზოდი გაკეთდა პირველად ამერიკაში, სოედინენის შტატ-
 ში, 22 წელიწადია, ანგლიჩანელის მიერ, სახელად¹...

ანგლიაში ირიცხება ჯარი—რაცა ჰყავს ხმელეთზე—109,000 ქვეი-
 თი და 8,818 ცხენოსანი. ამავე რიცხვში არიან ჯარნი, რომელნი-
 ცა იმყოფებიან ორთავე ინდოეთში.—ამა ჯარის შესანახად ყო-
 ველს წელს ეხარჯებათ 6,830,109 ფუნტი სტერლინგი, რომელიცა
 იქს 170,752,625 რუბლს ასსიგნაციას.

ევროპაში არის 205 მილიონამდის მცხოვრებნი, სადაცა უპირ-
 ველები სარწმუნოება არს ქრისტიანებრი.

ბერძნების სარწმუნოებისანი ირიცხებიან—	51.500,000	კაცი
ფრანგების სარწმუნოებისა	99,000,000	
სახარებისანი	44,000,000	
მაჰმადისა	5,000,000	
წარმოთნი	500,000	
ურინი	3,500,000	

ორმოცდაცამეტ ევროპის ხელმწიფეთ გვართა შინა იქმნებიან
 1,200 სულნი, რომელთა ყოველწლივ შენახვაზე ეხარჯებათ 260 მი-
 ლიონამდის.

ანგლიაში, ფრანციაში და ავსტრიაში არის რიცხვი მსწავლულ-
 თა, აქიმათა, ადვოკატთა და მწერალთა (писателей) 12,000 მდის.

უმაღლესი ეგვიპტის პირამიდა არის ხეოპსი¹.—ამის ასაშენებლად მოუხმარიათ 6,000,000 (ტონნი) ქვა. ამტკიცებენ. ვითომ ესოდნის ქვებით შეიძლება, რომ მთელს ფრანციას შეჰოავლონ კედელი, სიმაღლით ათი ფუტი და სიგანით შვიდი ფუტი.

რიცხვი	სასწავლებელთა და მოწაფეთა მთელს ქვეყანაზე არის	
	ევროპაში — 10,600	სასწავლებელი და 4,400,000 შაგირდნი
აზიაში—	1,600	" 500,000 შაგირდნი
აფრიკაში—	130	" 50,000 "
ამეროკაში—	1,000	" 380,000 "
ავსტრალიაში	100	" 25,000 "

სასწავლებელნი — 13,430 და 5,655,000 მოწაფენი

ანგლიაში მაშინით სამს საათზე ცოცხალ ცხვრიდამ ფრაკი გააკეთა: ესე იგი, გაკრიქა, დაართო, მოქსოვა მუდი და შეკერა ფრაკი. ამითი დიდი სანაძლეო მოიგო.

(ვარდელ)² — ეს ნორველიაშია*, უკანასკნელად ცაზე, ქვეყანაზე, ჩრდილოეთის მხარეს. აქა ზაფხულში ორი თვე მზე არ ჩადის და ეგრეთვე ზამთარში ორი თვე არა თენდება.

არს სალისბური³ ანგლიაში. აქ არს უმშვენიერესი სობორო ლოტიჩესკი (ანუ ძველებურგვარად)**, ფრიად ხელოვნებით აღშენებული, რომელსაც [აქვს ეგოდენნი ფანჯარანი, რაოდენიცა არიან დღენი წელიწადში და ეგოდენნი კარნი, რაოდენიცა იგენი არიან წელიწადში.

გალიციაშია ქალაქი შლიჩკა⁴. აქ არს ჩინებული მარილის მადანი, რომელიცა არს ფრიად ღრმათა მიწის ქვეშე ორმოთა შინა. რომელნიცა შეადგენენ ქვეშენელის ქალაქსა, სადაცა*** ქუჩანი, მალაზიენნი, თავლანი და [სამრეკლონი] (галоуны) გამოჩრილი არიან მარილისა ქვათაგან.

ჩინეთში, ქალაქსა ნანკინლსა⁵ არს ფარფორის კოშკი, ოცდაათი სატენი სიმაღლით.

* ამის შემდეგ გადახზულია: „სადაცა წელიწადში“. ** ავტორი ფრჩხილებში სვამს მხოლოდ სიტყვას „ძველებურგვარად“. *** პირველად დაუწერია: „აქა“.

იქვე ფურუ ქალაქს⁷ არის ფრიად თეთრი მარმარილოს ხიდი. როშელსაცა აქვს ასი თალი (СБОД).

ევვიპტეში დიდი პირამიდი არის სიმაღლით 448 ფუტი; სტატუია სტინკისის⁸ არს კლდისა, 27 ფუტი სიმაღლით გამოჭრილი. აფრიკაში მინდორი, სახელად სალარა⁹ არს სიგრძით 600 მილი, ხოლო მისი სიშგრავლე 60,000 კვადრატის მილი.

მის დობროი ნადეედი¹⁰, აქ არს მხოლოდ ზაფხული და ზამთარი. კუნძული სეშელ, ანუ მილე^{11*}. აქაური კუ 300-ს ფუნტს იწონის. მალელან¹² და სებასტიან კანო¹³ იყვნენ პირველნი, რომელთა გარეშემოვლეს ქვეყანასა 1519 წლითგან 1522 წლამდის. პირველი მოკვდა გზაზე.

კოლუმბი¹⁴ ღენუელია.

უკიანეში მრავალნი მთანი არიან შედგენილნი მცირედთა ცხოველთა ნიერ.

ატმოსფერის ჰაერი შედგების 21-ის ნაწილისა წმინდის ჰაერისაგან და 79 დამახრჩობელის ჰაერისაგან, ანუ (აზოტ).

ლონდონში ვესტმინსტერსკის ზალა¹⁵ არს უდიდესი ევროპაში. ჩინეთის ხელმწიფეს ჰყავს ორ მილიონამდის ჯარი.

პეკინში არის ორ მილიონამდის მცხოვრები; ლონდონში—მილიონამდის; პარიეში—600,000; ეგოდენივე სტამბოლში.

სიბჰვა, წარმოთქმული 1863 წელს თბილისის გუბერნიის თავად აჯნაუროთა ქრეგავში

მოვიდა დრო, როდესაც საქართველოსი ძველი ჩვეულება, ძველი წესი, — დამკვიდრებული, დამყარებული საუკუნოებიოგან, — უნდა დაირღვეს, დაიქცეს ** და მათ ნანგრევზე *** აშენდეს და დაფუძნდეს ახალი წესდებულება მებატონეთა და გლეხთა შორის. ან დღით საქართველო მიიღებს ახალსა სახესა, ახალსა ცხოვრებასა.

რაოდენსაც განვიხილავთ ამ საგანსა, მხოლოდ ვჰხედავთ ერთსა **** აუცილებლად: მებატონეთ უნდა შეჰსწირონ მსხვერპლი შედ-

* შემდეგ გადაახულია: „აქა არს“. ** თავდაპირველად დაუწ: „გაბუდდეს“. *** თავდაპირველად დაუწ: „მის საფლავზე“. **** თავდაპირველად დაუწ: „ერთსა გჰხედავთ ამ დროში“.

ლებისამებრი ზაგრამ ამ დანაკლისში, ვითარცა ქრისტიანენი, უნდა ვნუგეშობდეთ იმ ჰაზრით, რომ ასი ათასი სული თვისუფლდება. ასი ათასი სული გამოდის საშინელის მდგომარეობისაგან. — ნუ გეწყინს ეს სიტყვა. კაცი, ჩვენებრ დაბადებული, რომელსაცა საქვეყნოს საქმეში არა აქვს არცა ხმა, არცა რაიმე უფლება*, რომლისათვისცა** თითქმის სამართალშიც არა ჰსწერია სანუგეშოდ და [რომელსაც]*** არცა აქვს**** საკუთრება, რა არის მართლად, თუ არა ტყვე?—კიდევ ვამბობ: ნუკი გვეწყინება ეს სიტყვები, არამედ სულით მივჰმადლოთ კაცთმოყვარეს ხელმწიფესა. რომელმანცა ნუბითა თვისითა დაგვადგინა ჩვენ ჰემზარიტს, ქრისტიანურს გზაზედ.

ეს საქმე. რომლისათვისცა შევეყრილვართ აქა, არის მეტად ძნელი გადასაწყვეტად; მაშასადამე, გვპართებს, რომ გულდაშევიდებულად, სისხლაუღელველად, ყოველის ყურადღებით და მოთმინებით. შოვისმინოთ პროექტი, წარმოდგენილი ჩვენდა განსახილველად. და ამასთანავე ვესტყვა, რომ ნუცა დავემდურებით ვისმე, რომელიცა არა იყოს თანახმად ჰაზრისა ჩვენისა, რადგანაც იმედო გვაქვს, რომ ვინცა რას ამბობს****, ამბობს სიკეთისათვის საზოგადოებისა*****.

1863. *****

ჩემი ჰაზრი ბატონ-ჟოჯოხის საქმეში

1) საქართველოში სოფლები აშენებულან აწინდელთ ადგილებზე არა გამდიდრებისათვის მიწის შეწუშავებითა, არამედ შიშმა, მტერმა, ათასის წლის ბრძოლამ და გაოხრებამ შეჰკრიბნა მცირეს ადვილზე სიმრავლე ხალხისა მხოლოდ მისთვის, რომ მისცენ შეწევთა უერთმანერთსა მოპირდაპირედ მტერისა, რომელიცა ოთხსავე კუთხეს გარე არტყია საქართველოსა. ამ დროს მებატონენნი—მამუ-

* „თავდაპირველად დაუწ.: „რომელსაცა არა აქვს არცა ხმა, არცა რაიმე უფლება საქვეყნოს საქმეში“. ** თავდაპირველად დაუწ.: „არცა“. *** ამის შემდეგ წერია: „და“. **** ხელნაწერშია: „აქვსთ“. ***** თავდაპირველად დაუწ.: „იტ“[ყვის]. ***** თავდაპირველად დაუწ.: „ჩვენისა“. ***** ეს თარიღი ხელნაწერში წერილს თავზე აწერია.

ლის პატრონნი—იყენენ მეომარნი, მარადის განზადებულნი საბრძოლად და გლეხნი იყენენ მათის ღირსის შემწეობებელნი და მძლეველნი ხარჯისა მამულისათვის მებატონეთა, და ესენიცა ესრეთის შემოსავლითა ქსცხოვრებდენ, რასაკვირველია, ღარიბულად და დაჰშონენ ესენი აქამომდის ღარიბად. მიჰხედეთ ქიზიყსა: სიღნაღში რომ ერთი თოფი გაეარდეს, ხუთი ათასი კაცი გამოიბოდა მდევარზედ!—ესრეთი შევიწროებით დასახლება არის მთლად საქართველოში. დიახ იშვიათნი სოფლები, ისიც ახლად დაშენებულნი, არიან მდიდარნი მიწითა. ამის გამო საქართველო არის დიდად **მაღოზემელ[ს]იან**

2) რუსეთში, მალაზემელნის ღუბერნიებში, მიეცათ გლეხთა სახლ-კარი და ერთი ან ორი დესეტინა მიწისა სულზე, ესე იგი, **тыглы**!

3) ჩვენგან კი ითხოვს ცენტრალნის კომიტეტი გლეხთათვის სახლ-კარსა, ბაღებსა და მიწასაცა და თვითვე აღვიარებს, რომ აქაურნი პომეშჩიკნი არიან ასე მამულზე ნაკლებნი, რომ სამსა, ანუ ოთხსა აქვსთ უმეტეს ასის დესეტინისა სახნავი.

4) ვჰსთქვამთ, რომ მივეცით ნახევარი მაწა გლეხთა, როგორც დაუწყებია ცენტრალნის კომიტეტსა, რა წარმოსდგება აქედამ? უეპველი, აუცილებელი ხალხის გადასახლება, ამიტომ რომ ნახევარ მამულიდამ, რომელიცა მიეცემათ გლეხთა, შეხედება თითოს კომლსა, მომატებულთ სოფლებში, ზოგან სამი დღიური, ზოგან ხუთი, და დიახ ცოტა სოფლებია, სადაც შვიდი, ანუ ათი დღიური მიწა ერგება კომლსა. შეიძლება ცხოვრება მათი ესრეთ შევიწროებულს მამულზე?—ერთის ზხრით, მებატონენი უნდა დაჰშონენ სიგლახაკეში მამულის მოჰრითა გლეხებისათვის და, მეორეს ზხრით, გლეხნი უნდა მოელოდნენ შიმშილსა მამულის ცოტაობისაგან. ყოვლად შეუძლებელია ორისავე მხრისათვის ამგვარად ყოფა-ცხოვრება და თვით მმართველობისათვისაც დიდად სავენებელი.

5) და რადგანაც მამულის ნაკლულოვანება აუცილებლად მოიტანს ხალხის გადასახლებასა, მაშასადამე, მმართველობამ უნდა ადოევე მიიღოს ღონისძიება მათის მიღებისა და დასახლებისათვის ახალს მამულზე, სადაცა გლეხნი შეიქმნებიან სობსტვენნიკად. — ხაზინასა აქვს დიახ ბევრი მამული და ნისცეს განთავისუფლებულთა გლეხთა და ეგრეთვე ეკლესიაშაცა, დიახ მდიდარმა მამულითა. ამით ნებატონებსაც მიეცემათ დიდი შენწეობა და ამას თვი[თ] სიმართლესა წმოთხოვს.

6) თუ აქვსთ ვისმე საქართველოში ფული,—სომეხთ გარდა,— აქვსთ ისევე გლახთა და არა ზებატონეთა. განთავისუფლების შემდეგ გლახნი, ფულის მკონენი, უზღველად შეისყიდინან მებატონეთაგან მამულსა, და ამ შემთხვევაში უნდა შეეწიოს მათ ხაზინასა და მაშინ ესენიცა შეიქნებიან სობსტვენნიკად.

7) პრიკაზის ვალი აძევს მებატონეთა 1 $\frac{1}{2}$ მილლი., რომლის გირაოდ არის მათგან შეტანილი მამული, რა ეკვია, რომ ბატონ-ყმობის საქმე გადასწყდება რა და შემოსავალი ნახევარზე მეტი შემოკლდება, უწეტესი ნაწილი * გირაო მამულისა გაიყრდება. ხაზინამ შეისყიდოს ეს მამული და დაურიგოს განთავისუფლებულთა გლახთა 44 ი წლის ვადითა. ამგვარის შემწეობით ესენიც შეიქნებიან სობსტვენნიკად და ხაზინასაც არ დაეკარგება დანახარჯი.

8) ვინცა გლახთაგანი დარჩება მებატონის მამულზე, იმით გამოაჩენს, რომ გლახი არის კეთილს ცხოვრებაში და დარჩეს იგი სურვილისაებრ მისისა, როგორცა ხიზანი, ოღონდ კი მებატონესა და გლახსა ჰქონდესთ თავიანთი პირობაები, როგორცა ჰსურთ მათ, და ნუ გაერევა მათ შორის მმართველობა, ვიდრემდის საჩიჯარი არ გამოჩნდეს ერთის ხარადამ.—მე ვაძნობ, რომ ამ ინელს საქმეში არათუ მართო ხაზინა უნდა შეგვეწიოს, ეკლესიაშაც უნდა მიიღოს მონაწილეობა, რადგანაც ის არის საქართველოში დიდი მამულის პატრონი.

9) ამგვარს დაწყობილებას მოსდევს ისა, რომ გლახთაც ექნებათ საკმაო მამული და მებატონენიცა, რომელნიცა არიან დიახ შევიწროებულნი მიწითა და ქონებითა, იქნებიან, ვითარცა გლახნი, სობსტვენნიკად და იცხოვრებენ როგორმე თავის მიწის შემუშავებითა და შრომითა.

10) რასაკურველია, ამგვარად დაწყობილება და მის დაბოლოება მოითხოვს დიდს ხანსა, და რა უყოთ? ამ საქმეში აჩქარება კეთილს არას დაჰბადავს. ბატონყმობის საქმის გადაწყვეტა ასე ძნელია, რომ სხვათა სახელწიფოებში უსისხლოდ არ გადაარჩენილა. მაშასადამე, ათი წელიწადი, გინდა ოცდაათიც რომ განვიდეს, სამწუხაროდ არ უნდა მიაჩნდეს არცა მმართველობასა და არცა ხალხსა, რადგანაც ათასის წლის დაწყობილება, ჩვეულება, წესი, დებუ-

* ამის შემდეგ გადახებულია: „გირა.“

ლება უნდა დაირღვეს და აშენდეს სხვა ახალი წესი და ახალი ცხოვრება საქართველოსი, რომელიცა ამას იქით მიიღებს ახალსა სახესა და დაიწერება ახალი მისი ისტორია! და ესრეთი დიდად მძიმე და ძნელი საქმე როგორ უნდა დაბოლოვდეს მოკლეს ხანში? განათლებულს პრუსიაში დიდი ფრიდრიკი¹ შეუდგა ამგვარსავე საქმესა წარსრულს საუკუნეში დადასრულეს მხოლოდ ამ ახლოს ხანში.

11) რადგანაც გადასახლება ხალხისა აუცილებელია, რაღას ძალას გვატანენ მიწების გაყოფისათვის ცხლავე.

*

ხიზნობა იყო ძველს დროშივე და მოხდა იმ საზარელის მდგომარეობისაგან. რომელშიც იმყოფებოდა საქართველო მოუწყვეტელის ბრძოლისა გაჰო, როდესაც სპარსნი, არაბნი, მონღოლნი, სელჯუქნი, ლანგ-თემურ², შაჰ-აბბაზ³ შემოდიოდნენ ურიცხვის ჯარითა ჩვენს ქვეყანაში და უკიდებდენ ცეცხლსა აღმოსავლეთითგან დასავლეთადმდე. ხალხი იყრებოდა და მირბოდა ერთის მხრიდან მეორეს მხარეს თავის მოსარჩენად, რომისსვე შეეფაროს, შეეხებოდა. აქედან წარმოქმნა სიტყვა ხიზანი და დაერქვა სახელად ამგვარ-შემოსულთა კაკთა. ესენი იყვნენ თავისუფალნი. ამათგან მრავალნი, მშვიდობიანობის დროს, ისევ გადადიოდნენ უწინდელს ალაგსა და ზოგნი ჰრჩებოდნენ, და ესენი, თუ დასახლდებოდნენ ახალს ალაგსა და დაიწყებდნენ მიწას შეუქმნებას, ბაშინ მიწის მებატონეს აძლევდნენ ლალასა და ემსახურობდნენ, როგორცა იყო ჩვეულება. მ ფე ვახტანგის⁴ სჯულში დიად დაწერილებით იხსენება ხიზანის თავისუფლება და ძათა მოვალეობაცა მამულის პატრონისადმი. ხიზანსა ყოველთვის ჰქონდა უფლება სხვას ადგილს გადასვლისა.

განთავისუფლებისათვის გლმხთასა მებატონეთ შრომისაგან და სამჯროპინაროდ მათის მდგომარეობისა

ა) ბორჩალის უჩასტიის სოფელს ემირასანში მე მყვანან ჩემს საკუთარს შაჰულზედ მდგომარენი თხუთმეტი კომლნი გლეხნი თათარნი, რომელნიცა ირიცხებიან თერთმეტნახევარ ლიტრად მებატონის ხარჯისა და ბეგაოის მიცემაში.

ბ) ამათგანის ლიტრის გლეხზედ, დებულებისამებრ, მებატონის ხარჯი და ბეგარა არის ყოველ წელი: ორი დღე ხენა, ორი დღე ძნის ზიდვა ყვეარის ხარით და ურმით, სამი დღე ლეწვა ოთხის უღლის ხარით.—დღიურზედ რასაც მოხნავს—ერთი კოდი პური, ანუ ქერი და ანუ ფეტვი. ოთხი ურმით ყვეარი ხარით შებმულით ქალაქში ჩამოტანა პურისა, ქერისა და ანუ სხვისა რაისანე, რისაც საპიროება ექნება მებატონეს. თორმეტი მანეთი ფულათ მახტა. სააღდგომო ერთი ბატკანი და ერთი მოწველა ცხვრის ყველი. წელიწადში რანდენჯერაც მივა მებატონე, მასპინძლობა პურიცა, ხორაგით, ქერით და ბზით, ანუ თევით, რაც საპირო იქმნება ცხენებისათვის. წელიწადში ერთხელ ან ორჯელ პახოდში, ან ხატობას, ან ემირასანში მებატონის წასვლისა და წამოსვლისათვის თუ მებატონეს დასპირდება, იმ თერთმეტზე ლიტრამა და ნახევარმა უნდა მისცენ ცხენიანი კაცი და ბარგის ცხენი, ვიდრე ოთხს ცხენამდის.—ვინც ქერივი, ან ქალი გათხოვდება, თითო ხალიჩა, ან ფარდაგი შეძლების გვარად მებატონეს უნდა მიართოს.

გ) ამა გლეხთ სარწყავისა და ურწყავის სახნავის ჩემის საკუთარის შიწებიდგან გადაზოილის ხუთას ორმოცის დღიურიდგან მიეცემათ ორი წილი და მესამედი დარჩება ჩემს განკარგულებას ქვეშ ამგვარად: ერთს ლიტრას ერგება ოცის დღის მიწა სარწყავი და ათის დღის მიწა ურწყავი. გარდა ამისა, სამოცის დღის სათიბიდგან ორმოცდაექვსი დღისა, რომელიც იქს ლიტრაზედ ოთხის დღის სათიბს.—ამ თერთმეტ ლიტრასვე უნდა მიეცეს ცხვრისათვის საზამთროთ საერთო ორი იათაღის ალაგი ყორულად და სიღირხანის ალაგები საქონლისათვის დანარჩენის გაუყოფელი მამულების მიხედვით. სხვა. ტყე და საძოვარი. საერთო იქნება, ოღონდ გლეხთ თავისის შენობისათვის და დასაწყავი შეშა და ტყე არ დაეშლებათ, რაც თითონ მოუხდებათ, და გასასყიდავით სხვაზედ კი ნება არ ექნებათ.

დ) უსადბა, ანუ ფუძე, რაც მებატონეს და ანუ ამ გლეხებს აქვსთ დღეს, ესე იგი, სახლი, კალო, საბძელი, ბოსელი, ჩაფარი. ანუ შემოღობილი ბაღა, ანუ ვენახი, თავთავის სარგებლობაში დარჩებათ და ესევეთარის ფუძეებისათვის მებატონისაგან არცა რა ეთხოვებათ, გარდა ყოველის ზემორე აღწერილის ხარჯისა და ბეგარისთვის, რომელიც ამ გლეხების თანადასწრებით ვიანგარიშეთ და გადაეჭერთ რვა თუმნათ წელიწადში ლიტრაზედ.

ე) სხვა სახნავი მიწა, სარწყავი და ურწყავი, ანუ საძოვარი, რაც გადარჩება იმ სოფლის გარეშემო ზეობსენებულს განწილულთ მამულებს* გარდა, ყოველივე მებატონის საკუთარს განკარგულების ქვეშ დარჩება.

3) უკეთუ ეამთა ვითარების გამო მათგანი რომელიმე გლეხი ამოწყდება, ანუ მმართველობის დაუკითხავად ცოლ-შვილს გააპარებს და სხვა მხარეს გაიქცევა, მაშინ რაც უსადბა და ან სხვა მიწები პსკერია, დანარჩენთ გლეხთ უნდა მიიღონ და იმის მხვედრი ხარჯი მებატონეს აძლიონ, და უკეთუ გლეხნი არ მიიღებენ, მაშინ მებატონეს დარჩეს ყოველივე თავის განკარგულების ქვეშე.—თუ რომ გლეხმა მათგანმა რომელმანვე დაიწყოს მცოქარება, ანუ ლოთობა და სხვა ბედოფლათობა და არ მოიშალოს შედგომად წესდებულებითის** გარდახდევინებისა და ამის გამო მებატონეს დააკლდეს იმისგან თავის მხვედრი ხარჯი, ესეც იმგვარად უნდა აღსრულდეს, როგორც ამის ზემორე წეექცეს პუნქტში არის დაწერილი.—გარდა ამისა, თუ რომელმანვე გლეხმა ზემოხსენებული ფულის ხარჯი ფულად ვერ შეიძლოს მიცემა, მაშინ თავის დებულება რაც არის აღწერილი, ისე აძლიოს მებატონეს თავის ფასად, როგორც ზემო ანგარიშში არის ჩაფარდნილი, რომლის ანგარიშისაც სია დაფასებულებისა ცალკე იქნება დაწერილი.—და სხვა ყოველივე იმათი საკუთარი სასამართლოსი, ანუ პოლიციის საქმეები უმაღლესის რესკრიპტის ძალისამებრ*** უნდა აღსრულდეს.

ამ ხარჯებსა და ბეგარაში ზოგი არის ნაპატიებ და ზოგიც ნახსენები არ არის.

[**შენიშვნები თბილისის აშქართა პალატარების შესახებ**]

გალავას¹ სახლის აკლების დროს იყვნენ:

1) ამბარკუმ ეფენეიანც²—გალავას შვილი და სახლობა ამბობს და უნახავთ.

2) გრიგოლ იზმიროვი³ — იყო ბეპუთოვის ბაღში უსტაბაშებთან და უქადაგებდა მათ. ანის მთხრობლები არიან: 1) ბაჰყლების

* თავდაპირველად დაუწ.: „მამულეზხედ“. ** თავდაპირველად დაუწ.: „წყაღებულების“. *** თავდაპირველად დაუწ.: „ძალით“.

უსტაბაში მილდისი გრიქურა, 2) სირაჯის უსტაბაშმა ივანემ⁵ უთხრა ეს ამბავი ჩვენს საიბოვსა⁶.

3) სუნდუკიანც⁷ — ივან ადამიჩ ფორაქოვი⁸ უთხრა გალავას, რომ კვირას დღეს, როდესაც ხალხი იყო შეყრილი პოლიციის წინ, სუნდუკიანცი ელაპარაკებოდა აქა-იქ ხალხსა, რომ გალავა არის დამნაშავე და უნდა დასაჯოთ.

4) მოსიკო სოლალოვი⁹ — ამან დააგდო ხმა უსტაბაშებში, რომ ქამარზე და ქათმებზე იღებენ ხარჯსა.— ეს კობიემა¹⁰ იცის, რომ მელიც ემსახურება გოროდოვის უპრაღლენიეში, ეს იცის კიდევ ქურქჩის უსტაბაშმა პეტრუზ კონდახსაზოვი¹¹.

5) დანიილ იზმიროვი¹².

6) შაქარ სულხანოვი¹³—პრისტავი ალექსან. ზახარ. ბაბანოსოვი¹⁴ ამბობს, რომ მითომ ამას ეთქვას, რომ, დეე, გალავას შეილებიც დაიბოკონ, სულ იმის საქმეაო.

7) ნახარ ნახარბეგოვი¹⁵ — ამაზე ამბობს ივან ფორაქოვი, რომ მითომ ამას უთქვამს, რომ გალავას ხელი მოუწერია, რომ სალდათები გამოართონ ხალხსაო. ისევე ჰსთქვა პეტრე რიგიანოვი¹⁶.

8) ვასილი არტიმიჩ ვართანოვი¹⁷ — სატიოზე წისქვილის პატრონი. ამას ჰქონია დაბეჭდილი ტყუილი სია ხარჯისა, რომელსაცა ააღებს უჩვენებდა და აკითხებდა სიასა.

*

პეტროს სიმონიანც¹⁸ — არის დონის ნახევინიდამ, მოსულა აქა, რომ შეპსცვალოს სომხის სარწმუნოება, ჰქადაგებს თავისუფლებასა, და ამის თანაშემწენი არიან ხატისოვი¹⁹ და ერთი კიდევ, მგონია ჰინსაროვი²⁰. — ამათ უკანასკნელთა უნდა დატუქსევა და პირფლი კი გაიგდოს ნახევიანშივე.

*

1) მოსკოვში არის სტეფან ნახარიანც²¹, პროფესორი მოსკოვსკის უნივერსიტეტისა]. — ეს არის პრელსედატელი საზოგადოობისა „ВРАТЯ ЛЮДЯИ“. ამან გაასწავლა გოგობერიძე²², შანშიევის შვილები²³ დი სხვანი. ჰქადაგებს თავისუფლებასა, სომხების ნაციონალნობასა, სარწმუნოების შეცვლასა. ამასთანავე ერთად არიან პეტრე შანშიევი²⁴, ხატისოვი, სიმონიანცი და სხვანი, თანაშემწედ და განშავრტლებლად] ამა სწავლისა. ესენი ჰქადაგებენ материализმ.

* თავდაპ. დაუწ.: [„მარიანსკოვი“ (?)].

IV. კ რ ი ტ ი კ ა

(1873)

მგზავრობა სვანეთისაკენ გ: წ:

გ ა ნ ხ ი ლ ჯ ა

სვანეთის მხარეს ერთხელ მივიდოდნენ სანნი მგზავრნი: კიკოლიკი, ჩიკოლიკი და გ: წ: ესენი, თუმცა იყვნენ ერთისა ქტყციანი-სანი, მაგრამ წარმოადგენდნენ შესანიშნავსა სხუა-და-სხუაობასა—ჩტყლელებითა, ჰსწავლითა და მეტადრე ცხოვრებასზე მიხედვითა.

კიკოლიკი იყო უნივერსიტეტიდამ მოსული საქართველოსში კურს-დასრულებული, ხასიათითა დაწუნარებული, აუჩქარებელი და დიდად მორიდებული თავის ჰაზრებისა გამოთქმასში; ამასთანა* ღარბი, მრავლისა მომთმენი და მეძიებელი ლუკმა-პურისა თავის შრომითა და ოფლითა, და ამის-გამო ბზრუნველი უფრო თავისა თვისი[ს]თვის, ვიდრე საზოგადოების სასარგებლოდ; ესე იგი, ამას მიეღო კანონად ძველად ნათქვამი: „ჯერ თავო და თავო, მერე კოლო და შეილო“.

ჩიკოლიკი არის უსწავლელი, მაგრამ დიდად თავმომწონი: ჰსკდილობს ყოველს შემთხტყვასში, რომ თავი თვისი აჩტყნოს მსწავლეულად, და ამის-გამო მოუღალავად ჰროტავს რაც მოხვდება; ღარბისაში უყუარს ხუმრობა, მასხარობა, და ეძიებს ესეცა, სიღარიბის გამო, ამ ვეებას ქტყციანასში საზრდოსა.

გ: წ:, უმთავრესი პირი ამ მოთხრობასში, არის ახლად მოსული იმავე უნივერსიტეტიდამ, სადაცა ჰსწავლობდა კიკოლიკიცა, და ეს ორნი, სტუდენტობისავე დროს, იყვნენ ნაცნობნი, თუმცა კი, როგორც იტყვიან, „ამათი თხები ერთად ვერა ჰსძოვდნენ“.

* „ცოცხარში“ დაბეჭდილია: „აასთმანა“.

გ. წ., როგორც თვთვე გამოჰყავს მოთხრობასში თავი თვისი. არის დიან მალალ-ჰაზროვანი, ჰსწავლასში განვითარებული და კეშ-პარიტებისათვის მეტად თავგამოდებული! არა ვითარიმე შიში არ ჰიქვარებოდა მის გულსა, როდესაც ლაპარაკი შეეხებოდა სიმართლესა. მაშინ დიდის მამაცობით, მეტადრე კიკოლიკის წინ, მოურიღებლად გამოჰსტეჰქამდა ჰაზრსა ოვსსა და უფრო, როცა მისი შორს მხედველი გონება მიიქცეოდა ჩემსნს საბრალოს საქართველოსზე, — რომელაცა, იმის ჰაზრით, არის დაბნელებული ყოველქვარ-ანგაარებითა და უსწავლელობითა, — იმ დროს საყუარულით. აღტაცებული აღსადგინებლად მემამულეთა ზნეობისა, ჰქუხუდა მქვერმეტქუტლობა მისი აღსასპობელად ბოროტ-მოქმედებისა, განსაღვიღებლად თელემისაგან ჩემსნისა საზოგადოებისა და მისაღებლად ჰალისა ნათლოვან-ცხოვრებისა! და ესრეთსა აღტაცებისა ეამსა. როგორცა ვიეთიმე წინასწარ-მეტუტმლი, ზოგჯერ თავსა თვისსაც უწოდებდა წინამორბედად! (ეტყობა, მის შემდეგ არის ვილაცა მოასველელი, უფრო უმადლესი სახელითა ცივილიზაციისა). და ერთხელ, როდესაც კიკოლიკს შეუყვარდა მლუდლისა ლამაზი ქალი და უნდოდა მისი შერთუა, გ: წ: წარბ-შეჰუხენილი დიდითა რისხვთა აყვედრიდა ზას ესრეთ: „ჩემს, ესე იგი, გ: წ: და კიკოლიკი, არ უქდა ვაჰცირებდეთ უჰალღესსა ჩემსნსა ამ სოფლად მოვლენასა ეგზეთის გულის განაზებითა და სისუსტიითა! რათ დაივიწყე ჩემნი ჰოვალეობა და მიზანი ჩემსნისა სიცოცხლისა? განა ახლა ისეთი დრო არის, რომ ჩემსნისთანა ახალ-გაზდამ ეძიოს ბედნიერება თბილსა აწოლსში? ჯერ ხომ ერთი ნაბიჯიც წინ არ წარგვიდგამს საწინა აღმდგვად ქტსენის დამაბრკოლებელ მიზეზებისა თვს? ჩემს მხოლოდ უნდა ჯერ ვიბრძოდეთ პირის-პირ ყოვლისა სიბოროტისა, უსაზართლოებისა და დაჩაგურისა, ვიდრემდის არ ამოვფხვრით ქტსენით ყოველსა ამას უწმინდურებასა ძირიანად? ვიდრემდის არ ჰიგჰყენთ მთლად საქართველოსა ჰსწავლისა ნათელსა, არ განვაზნევთ პნელსა და არ აღვადგენთ ჩემსნსა საზოგადოებასა, ესრედ ჰწარედ დაცემულსა!“

ამის გამგონი, ვინ არ იტყვს, აი კაცო და მისი მალალი იღვა! მაგრამ, კიკოლიკს კი, როგორღაც, არა ჰსჯეროდა განხორციელება ამ იღვასი და იქუნეულებით იქნევდა თავსა და შორიდებითა არა რას უპასუხებდა.

ესრეთნი იყვნენ ეს სამნი პირნი, რომელნიცა, ტკბილს ლაპა-
რაკსში გართულნი, მივიდოდნენ სვანეთისაკენ, და რომელთა ხასია-
თები აღეპსწერე დიახ მოკლედ. მაგრამ, უმჯობესი იქმნება, რომ.
მკითხებულმა გაიგონოს თვთ მათი ტკბილი საუბარი, და ნახოს, თუ
როგორ არის სილამაზე ჩქმნის ენისა გამოჩენილი ამ მოთხრობას-
ში! მე არ შეევიხები ავტორის იდეასა, არცა მისსა მიმართ უასა; ე-
ვიძიებ ქართულს მოთხრობასში ნხოლოდ ქართულის ენის სიწმინე
დესა.

მსგავსად სხუათა ენათა, ქართულსაცა აქუს თავისი თვისება, თა-
ვისნი კანონები მართლ-წერისა და უბნობისა, ესე იგი, თვისი ღრამ
მატიკა, რომელიცა ასწავლის ყოველსა ავას თეორეტიკულად და
რომლისა ზედ-მიწვევით ცოდნა საკირო არის მწერალთა თვის. თუმ-
ცა ესეცა მართალია, რომ უცოდინარი გლეხი, რომელიცა არის
დიახ შორს ღრამმატიკისაგან, ლაპარაკობს კანონიერად; მაგრამ.
ესე ქსწარმოებს იმისგან, რომ სიყრმიდგანვე მას ესმის კანონიერი
ლაპარაკი და პრაქტიკულად ქსწავლობს ენასა, ასე რომ არა ოდეს-
არ შექსცდება და არ იტყვის:

„იმან მოვიდა, ის მოვიდნენ, ანუ ისინი მოვიდა“.
ანუ, „ჩემი ახალი სახელში მობძანდით“.

და ვინცა ამ გუარად ილაპარაკებს, მაშინვე ვიცით, რომ ის
უთუოდ არის სომეხი.

მაშასადამე, მწერალმან უნდა იცოდეს ენა, რომელს-ზედაცა
ქსწერს, ან ტეორეტიკულად და ანუ პრაქტიკულად.

ესლანდელთა მწერალთა მიეწერებათ მართლად დიდი ქება-
პისთუს, რომ ესრეთის ნეცადინეობით, ესრეთის ერთგულად მსა-
ხურებით, შეუდგნენ იგინი გულმხურვალედ აღდგენასა ჩქმნისა
დავრდომილისა ენისა, და არა არიან ეგენი ბრალეულ, თუ ზოგი-
ერთის წერასში მოქსჩანს მრავალი შეცთომილება, როგორცა პი-
რის-პირ ენისა თვისებისა, ეგრეცა მართლ-წერისა. მათ არა ქკონიათ
შემთხუტვა ღრმად შესწავებისა-თვის ქართულისა ენისა, და ამა მი-
ზეზითავე არა არიან ჩქმულნიცა საღრმთოს წერილისა, რომელიცა
არის, მართლად, მოუღვეელი საუნჯე ჩქმნისა ენისა, და რომელს-
შიაცა მაღალნი და ღრმანი ჰაზრნი არიან გამოთქმულნი ადკილად
და მეტად მშქმნიერის ქორბითა.

და რადგანაც არა რომელსამე კელოვნებას. ანუ საქმეს, არ მი-

გვემა უკეთესობა, თუ კრიტიკა არ მიეშველება მას და ცხადად არ აჩუქნებს ნაკლულევაწებასა, ანუ ურიგოებასა, ამის-გამო, მგონია, ახლა დროც იყოს, რომ კრიტიკამ მიაქციოს ყურად-ღება ჩუქნს მართლწერასზედაცა, და თვთ ენის თვსებასზედაცა, რათა მის ძალითა და შემწეობითა გაიწმინდოს ჩუქნი ენა ზოგიერთთა შეცთობილებათაგან, რომელნიცა, ანუ დაუდევნელობითა ანუ უცოდინარობითა, შემოეპარნენ ჩუქნსა ნწერლობასა და ახდენენ ენასა მეტად უწყალოდ. დიდად საშიშია, რომ უკანონობა არ დაიდუას შემდეგთა-თვის კანონად.

საქმე ესე, რომელსაცა შეუდევ მე, თუმცა არ არის ძნელი; მაგრამ რა ვჭმნა, ვჭგრძნობ კი, რომ საკითხავად დიდად არის მოსაწყენი, რადგანაც უნდა დავიწყო თავივად, ესე იგი, ანბანივად. რომელსზედაცა არის დამოკიდებული მართლ-წერა, და ამის გამო ამ სტატიასა, რასაკვირველია. წაერთმევა ეს პოეტოკური გულმომტაცი მომდინარეობა სიტყვსა, რომელიცა უნდა მარადის ახალისებდეს და აღვიძებდეს მკითხულის სურვილსა. მეტადრე მაწუხებს ის პაზრი, რომ, ვაითუ. არ მოეწონოთ ჩუქნთა ქალებთა, რომელნიცა ყოველსა დროსა ყოფილან და აწცა არიან უკეთესნი ენის დამფასებელნი. ისინი აქა ვერა ჰპოებენ ვერცა პოეტოკურად აღწერილსა ვარდის სუნნელსა, ვერცა მარგარიტ-ცრემლსა დატანჯულისა სიყუარულისაგან და ვერცა სიცილსა მახვლ-გონიერის მოთხრობისაგან. რა ვჭმნა, არცა მე მაქუს ამასში ბრალი. ეს გახლავსთ მხოლოდ ერთი, ნამცეცა ნაწილი პლატონის ღრამმატიკისა, და კარვად მოგეხსენებათ, რომ ჭილოსოფოსის ლაპარაკი მოითხოვს წარბ-შეკუმხვებით მოთმინებასა. პლატონი არის დამნაშავე თქუქნს წინაშე და არა მე, მარადის თქუქნი ერთ-გული, მშუქნი-ერნო, თქუქნგან და თქუქნ-თვის დაწვარი! პლატონს რომ არ დაეწერა ღრამმატიკა, არც ეს ჩემი სტატია დაიბადებოდა თქუქნ შესაწუხებლად!

პირუქლად, ვიდრე შევალ „კრებულის“ დაწვრილებით განხილვაში, ნება მომეცით, რომ მოგახსენოთ ორიოდე კანონი მართლ-წერისაცა და უბნობისაცა.

მართლ-წერისა-თვს

იმზადსა ენასა აქჳს ისეთი სრული ანბანა, როგორცა ქართულსა. ჩჳსს ანბანასში თვთოეულსა ხჳის ბგერასა აქჳს, საკუთრივ, გამოხატული თვის ნიშანი; ასო, რომლითაცა წარმოითქმის ის ბგერა; მაშასადამე, ამ ასოების უარის-ყოფა, გადაგდება. უეჭჳლად საენებელი არის ენისა-თვს. მრავალთა ენათა აქჳსთ მეტად გაძნელებული ანბანა, მაგრამ არა რომელიმე მათგანი, სიძნელისა-გამო. არა უარ ჰყოფს და არ ივიწყებს მართლ-წერასა, რომლისა შენახვასა დიდად ბეჯითადაც ყურს-უგდებენ.

რუსულს ანბანასში არის ოთხი სხჳა და სხჳა ი, ოთხი სხჳა და სხჳა ე, ორი იერი, და თვთოეულნი ესე ასონი, სრულიად სხჳა-და-სხჳას ადგილს მოიხმარებიან წერასში; ამის გარდა დაწერილი ო-ნი გარდაიქცევა ლაპარაკში ა-ნად და ე-ნი ო-ნად, და მრავალნი ამ გჳარნი არიან სიძნელენი; მაგრამ კანონების შესწავებითა ჰსძლევენ ესრეთსა სიძნელესა და არა ჰსცდებიან მართლ-წერასში; ღრანციკულს ენას უფრო უმეტესი სიძნელე აქჳს მართლ-წერასში. მაშასადამე, ჩჳსსა გჳმართებს, რომ ჩჳსნი მართლ-წერა დაეცუათ ნიტიკედ, და შეურყენელად, უფრო ამ მიზეზითაც, რომ პისი შესწავება არის დიდად ადვილ! ჩჳსს ისე ვჳსწერთ, როგორცა ვლაპარაკობთ, ასოების შეუცვლელად, და ვინცა ისწავლა მართლ-წერასში ანბანა, იმან მაშინვე იცის წერაცა და კითხჳაცა შეუცთომელად; მხოლოდ კი ორიოდ კანონი საკირო არის ცნობად, რომლისა მოსასმენად ვითხოვ თჳჳსნგან მკირედსა მოთძინებასა.

1) თუ ყური დაუგდეთ ხმისა ყელიდამ ამოსტლასა არაოდეს არ შევჳსცდებით წერასში, მაგ: აბა წარმოჳსთჳთ სიტჳა „ჰაერი. ჰაზრი“: თუ მაშინვე პირჳლად არ გაიგონოთ ხმის ბგერა ჰჳ მაგრამ კი მრავალნი შეცთომით, ანჳ დაუდევნელობით, ჰსწერენ „აერი. აზრი“.

2) ზოგიერთი სიტჳა, თითჳის ამოდის სტენითა: „თვთ, თვთოეული, თვს, თვსება“. მაგრამ კი ჰსწერენ: „თვით, თვითოეული. თვის, თვისება“ და სხჳანი.

3) როდესაც ე და უ მოიხმინება თითჳის ერთად, გაურჩევლად; მაშინ დაისმის ჳ ზემო ნიშნითა, მაგალ: „ზლჳა, ჳჳა, სხჳა. მაჳჳს, მიყჳარს, გჳარი“ და სხჳანი და არა: „ზლვა, ჳვა, სხვა. მაჳჳს, მიყვარს, გვარი“.

4) როდესაც ამ ტუნსა შეუდგება ე. მაშინ უნდა დაისუას ე-ის მაგიერ მ, მაგალ: „ჩტუნ, თქტუნ, ქტტუნ, ქტტუნა“ და სხვანი და არა: „ჩენ, თქვენ, ქვეშე, ქვეყანა“, და სხვანი; სიტყვს გამოთქმას-შიაც ასე გვესმის.

5) ყოველი „შემოქედებითი ზნა“, საზღურებითს სქესში, პირ-ტული პირი, უნდა დაიწეროს ისე, რომ გეორე ასო ზნისა იყოს ჰ, რადგანაც ხმის ამოსულაშიაც სწორედ ისე გვესმის, მაგალ: „ვჰსწერ, ვჰგრძნობ, ვჰკლავ, ვჰსქამ“ და სხვანი; ხოლო გეორესა და მესამესა პირსში დაიწერება ასოთი ჰ, მაგალ: „ჰსწერ, ჰსწერს: ჰგრძნობს, ჰკლავ, ჰკლავს“ და სხვანი. და ამით ჰსწერს, რომ ჩტ-ნი მართლ-წერა არის დაფუძნებული ჩტუნის ენის თვსებასზე.

6) „ზნის ზედა“ მა-ადის დაბლოვდება ასოთი დ, მაგალ „მზგავსად, კეთილად, კარგად, პირტულად, მტკიცედ, ცხადად, სოფლად“ და სხვანი; და არა „მზგავსათ, კეთილათ, კარგათ, პირ-ტულათ“ და სხვანი. ეს არის სიძნელე ჩტუნისა მართლ წერისა, და როგორ უნდა გუამძიშებდეს ამის შესწავება?

ჩტუნ, დიდად უცოდინართა ქართულისა ენისა, ვინ მოგტყა ის უფლება, რომ ესრეთის გაბედვით, ესრეთის კადნიერებით, უარ-ვჰყოთ, გადავაგდოთ და შეგვსტუალოთ ის წეს-, ის კანონი, რო-მელიცა დაჰსდტუნს ჩტუნისა ენისა-თვს დიდად მეცნიერთა ღრამბა-ტიკოსთა. თვთ ენის თვსებისავე გამოტლევითა; რომელთაგან საბერძნეთიდან ძტულად გადმოტანილი ჰსწავლა და კელოვნება ჩტ-უნსა ნხარესში ღრმად იყო დანერგილი და გარდაფენილი მთლად საქართველოსზე; რომელთაცა სირიის და ბერძულის ენით გარდ-მოიღეს ქართულ და საღრმთო წერილი ეს-ეთის მშტუნერ-სიტყუა-ობითა და ძლიერებითა; და რომელთაგან დაწესებულნი კანონნი ვერა შეგსტუალეს. ვერცა შავთელმა, ვერცა ჩხარუხაძემ და ვერცა თვთ რუსთაველმა? ანტონ კათალიკოსმა, დ-დად მცოდნემ ქართუ-ლისა ენისა, არათუ დ-აკლო, არამედ ნოუზატა ასო ფ. ახლა, ნუ-თუ მართლად, ჩტუნ უნდა დავეციწყოთ იგინი, რომელთა სახელ-ნი გვიბრწყინტუნს ჩტუნს ისტორიასა ესოდენტა საუკუნეთა განმე-ლობასში, და შეუდგეო გ: წ:-ის კტალსა და მის მიმდევთა, რო-მელნიცა ესრეთ უწყალოდ ჰრუტნიან ჩტუნსა მართლ-წერასა? ჯერ აღვიდეთ იმ სიბალღესზედ, როცელსზედაც იდგნენ ძტულნი მსწავ-ლულნი ქართულის ენის ცოდნასში, შეუთანასწორდეთ მათ, და

მერე... იყავნ ნება შენი. ეხლაკი, მგონია, უსაფუძვლოდ ვჭჩქა რობთ.

7) მაგრამ სასაცილო ეს არის, რომ სიტყუა „ტყუილი“ აბა რა ძნელია დასაწერად? მაინც კი ვიღამაც ჩაჰსწერა პირტულად, „ცისკარში“, „ტყვილი“. ეს დიდად მოეწონა „დროებასა“, მაგრამ შემდეგ კი გადაახტაფერა და გამოიყუანა „ტყულა“ და ახლა ასე მკვიდრობს „კრებულსშია!“—მგონია „კრებულის“ რედაქციას კი ამისთვის არ მიეწერება ქება.

8) ჩტუნ გუაქტს ერთი სიტყუა „და“, რომელიცა ზოგჯერ ჰნიშნავს კავშირსა, რუსულად ж და ზოგჯერ „დასა“—сестра. გასარჩევად ორისა ამის მნიშვნელობისა ძტულად დაჰსდტს ტ (გადაბმული) კავშირად; ხოლო მეორე „და“ სახელად, და ესრეთის გარჩევით დააშორეს ერთი მეორესა, რადგანაც მნიშვნელობითაცა არიან სხტა და სხტანი.—ახლა ეს საფუძვლიანი კანონი სრულიად დაივიწყეს. რათა?

ეგრეთტ, ხელი, ჰნიშნავს შმაგსა, გიყსა; კელი, მარჯტშნასა ანუ მარცხენასა, და ამ ასოებით გაირჩევა ეს ერთი სიტყუა ორისა მნიშვნელობისა; ამასაც ყურს არ უგდებენ!

ვიცი, ბევრნი გაწყრომით მეტყვიან: „ეს კანონები ვინ არ იცის?“ დიახ მართალია, თქტშნა იცით, მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ იცით და განგებ არა ჰხმარობთ. იხმარეთ კანონები მართლ-წერილსა, რათა არა დაგწამონ უცოდინარობა.

მე მოვიხსენიე აქა მხოლოდ ისა, რაცა „კრებულსში“ ვნახე შეცდომილებად მართლ-წერასში და ამით გავათავებ და გადავალ კანონიერ-უბნობასში.

სიტყუა-თუს

იდეა. ჰაზრი, დაბადებული გონებასში, არის ჯერ, ვითარცა არა არსი, უნაყოფო და უვარგისი, ვიდრე სიტყუა, განმაცხოვებელი ჰაზრისა. არა გამოსუქტამს მას ნათლად, არ გამოჰხატავს ცოცხლად, არა ჰყოფს თითქმის ხილულად, და არა მიჰქენს ათასთა მსმენელთა გასაწმედელად, გასანათლებლად სიბნელისა, ან გონებისა და ზნეობისა ნათისა! ამის-გამო სიტყუა არის პირტული მიზეზი ჰსწავლისა და განათლების მოფენისა ქტყანასზე! სიტყუამ გამოი-

უწინა კაცი ველურისა მდგომარეობისაგან; სიტყუამ დაუმზედა მას ზეცური გული. ჰყო იგი ლმობიერ, მოჰსცა შებრალება და აღი-
 უწინა სახიერებისა სიპაღლედ. სადაცა ჰსუფევს მეუფება სიყუარუ-
 ლისა და მოწყალებისა! აწცა სიტყვსავე ძალითა ირყევა ქტყუანა!..
 სიტყუა, გამომთქმელი ქვეშარიტებისა, არის უქუდავი და მოქმედ
 შარად-ყამს!.. დაირღუნენ ეგვტისა პირამიდები, ბაბილონი შთაჰ-
 ნთქა მიწამ; მაგრამ სიტყუა, თქმული მოსესაგან, ჯერეთცა არის
 კოცხაღ და ჰმფლობელობს ქტყუანასზე,* ვითარცა ჰსჯული სიტყუ-
 ამ დააყენა კაცი მალალსა მას დიდებისა ხარისხსზედ, საიღამაც აწ
 კლმწიფურად ჰბრძანებს, და ბრძანებასა მისსა მორჩილებითა ისმე-
 ნენ ჰაერი, ცეცხლი, უკიანე! სიტყუა არის ძალი მღუთაებრივი.
 რომლისა შემწეობითა კაცი შეიქანა მეფედ ქტყუანისა!

მაგრამ, რადგანაც ჰაზრი გამოითქმის ნათლად მხოლოდ სიტყურ-
 ბისა კანონიერად გაწყობითა, ამისთვის საჭირო არის, რომ კანო-
 ნები ესე იცოდეს მწერალმა და შეურყეველად იგი ჰმმარობდეს
 მათ; თორემ დარღუებითა მათითა ჰაზრი ბნელდება, ჰქრება, იკარ-
 გება და მკითხველსაცა ესმის მხოლოდ რაღაცა სიტყურში, გაუგე-
 პელნი, თითქოს უცნობისა ენისა.

ქართულსა ენასა აქუს ერთი დიდად მოსაწონი თვსება, რომ-
 ლისა მსვავისი იშვათად იპოება სხუათა ენათა შორის. თვსება
 ესე არის შემოკლება სიტყვსა ნათესაობითსა და მიცეპითსა ბრუნ-
 ვასში, მოსპობითა უქანასკნელის მარცვლისა, მაგ: „არსებისა, არ-
 სებასა“, ითქმის „არსების, არსებას“. თანდებულნი, ზ ე და, შ ი ნ ა.
 შემოკლებიან და გამოითქმიან: ზ ე, შ ი, მაგალ: „ქტყუანასა ზედა.
 სახლსა შინა“, ვიტყვთ: „ქტყუანასზე, სახლსში“; ამის გარდა, ა ქ
 მ ო დ ი, ვამბობთ: „აქმო“; „შენი არის, შენი არს, შენია“ და სხუა-
 ნი! ესრეთი თვსება ენისა, რომელიცა სიტყვს შემოკლებითა-
 რასაკვირველია კანონიერად—არ შეჰსცელის სიტყვს მნიშვნელო-
 ბასა, აძლევს დიდსა სიადვილესა, მეტადრე ლექსის წერასში.

აი კანონები, რომელთა დარღუტვა უეჭუტლად ახდენს ენასა:

1) თვსება ჩტმნის ენისა მოითხოვს, რომ „ზედშესრული“ და
 მისი „არსებითი“, Прилагательное и Существительное, იქცეოდნენ
 ერთს ბრუნვასში და ერთს რიცხუსში. მაგალ: „კეთილი კაცი. კე-

* „ცისკარში“ დაბეჭდილია: „ქტყუანასზე“.

თილისა კაცისა, კეთილსა კაცსა, კეთილმან კაცმან“ და სხუანი. „ზედნესრულსა“, თუ მოესპობა უკანასკნელი მარცვლი, მაშინ იგი გარდაიქცევა „ზმნისზედად“ და გადაებმის თავის არსებითსა ნიშნითა - ამით და შეიქმნება ვითარცა ერთი სიტყუა, და ამ შემთხვევაში მხოლოდ არსებითი ჰბრუნაეს და ზმნის ზედა კი დაჰშთება შეუცვლელად. მაშასადამე, აი კანონიერი თქმა:

კეთილისა კაცისა, ანუ კეთილ-კაცისა,

კეთილსა კაცსა, ანუ კეთილ-კაცსა.

კეთილმან კაცმან, ანუ კეთილ-კაცმან და სხუანი.

მწერალმან თუ უნდა ამოარჩიოს ამათში ის, რომელიცა უფრო მოსწონს და უფრო შეეთვსება მისს სტილსა და ისე მოიხზაროს წერასში.

მაგრამ, არაოდეს არ ითქვის: „კეთილი კაცისა, კეთილი კაცსა. ანუ კეთილი კაცმან“. მხოლოდ სომეხა კი ამ გუარად ლაპარაკობს ქართულად და იმას მიეტყუება; არ მიეტყუება კი ქართველს მწერალსა, რომელიცა ლაპარაკობს, ვითარცა სომეხი, როგორცა ვიხილავთ ამ „კრებულსში“!

2) ზმნა და მისი უფალი უნდა იქვეოდნენ ერთს პირსში, ერთს რიცხუთსში და ერთს დროსში, მაგალ: „ის მოვიდა, ისინი მოვიდნენ“, და არაოდეს არ ითქვის: „ის მოვიდნენ“, ანუ „იმან მოვიდა“! მაგრამ ასეკი ჰსწერენ „კრებულსში“, როგორცა შემდეგ ვიხილავთ.

3) თანდებულნი, „ზედა“, ანუ „ზე“. „შინა“, ანუ „ში“ მოითხოვენ მიცეპითსა ბრუნვასა; მაგრამ ჩუენს აწინდელს მწერლობასში ხშირად ვჰკითხულობთ: „ჩემი ახალი სახლში მობძანდით“! — ქართველი კი იტყუვს: „ჩემს ახალ-სახლსში მობძანდით“.

„ვიიმე, გენაცვა“, მეტყუან გაწყრომით ჩუენნი ქალები, „აგრე როგორ დაჰსწერენ ახლანდელნი მწერალნი, მეტადრე გ: წ: ? — არა. თქუენმა მზემ, ეგე მეტად დიდი „გამოგონება“ არის!“ (გამოგონებაც ახლად შემოღებულია).

მერწმუნეთ, ნეცა დიდის კრძალვით ვჰსწერ აქა ამ კანონებსა. რომელიცა ზედ მიწეენით იციან მეხუთის კლასისს ლიმნაზისტებმა და როგორ უნდა ეამხილო თავ-მოწონებულთა ზოგიერთთა მწერალთა ამ კანონების მოხსენებითა? მაგრამ, გავჰბედე ესე მხოლოდ

სიყუარულისა-გამო ჩემნის ენისა, რომლისა სიწმინდით შენახვა მსურს მე გულითა.

აი შეუდგეთ ჩემცა იმ სამთა მგზავრთა სვანეთისაჲენ მიმავალთა, რომელნიცა ყბედობისა-გამო დაევიწყე, და მოვისმინოთ ლაპარაკი მათი, აღწერილი „კრებულსში“ (№ 9 წიგნი).

შორს ნულარ წავალთ, გადაშალეთ 2-რე ფურცელი „მგზავრობის წიგნები“, სადაცა წაიკითხავთ: „ყოველი კაცის მონაწილე, ყოველი თავად აზნაურის მონახვერე“.

ეს არის სწორედ სომხის ლაპარაკი, რადგანაც ირღუშვა პირტ-პლი კანონი ზემო ნაჩემნი, რომლითაცა ზედ-შესრული და მისი არსებითი უნდა იქცეოდნენ ერთ ბრუნვასში. განა შეიძლება, რომ ზედ-შესრული, „ყოველი“, იყოს წრფელობითსში და მისი არსებითი, „კაცის“, იყოს ნათესაობითსში? განა რუსულად ითქმის „Всехъ и въ еяи еяи?“ ქართულადაც არ შეიძლება; და ჩემს ენასზე გამოვა ასე: „ყოველის კაცის მონაწილე, ყოველის თავად-აზნაურის მონახვერე“. აი, როგორცა თვთ ავტორი მასვე ფურცელზე დიდად კანონიერად ამბობს: „დიდის და პაწაწის მოკეთე“.

მაშა, რათა ჰსწერს ერთს ადგილს სრულიად სომხურად და შემდეგ კი დიახ კანონიერად და თანახმად ენის თვისებისა? ცხადად ჰსჩანს, რომ ავტორმა ზედ მიწევნით არ იცის ღრამმატიკის კანონები, და ამის გამო ვერ გაურჩევია. ვერცა პირტ-პლისა უკანონოება და ვერცა მეორისა კანონიერება! ამის-თვის კიდევ ვიტყვ: დიდად საშიშია, რომ უკანონოება არ დაიდუას შემდეგთა-თვის კანონად ენისა, რადგანაც ბევრნი ჰსწერენ ესრეთჲ დაუდევნელობით.

ენისა უკოდინარობა გამოჩნდება უფრო 3-ეს ფურცელ; სადაცა ამბობს: „კიკოლიკი არის წარმომადგენელი ამ დაძველებული და დამტვერიანებული ახალგაზდობისა“.

აბა, გავარკვიოთ ღრამმატიკულად წინა-დადება ესე?

კითხუა:

მიგება:

სად რის უფალი?

კიკოლიკი

ზმნა?

არის

ძიება? ესე იგი, ვინ, ანუ

წარმომადგენელი

რა არის კიკოლიკი?

ვისი, ანუ რაჲსა წარმომადგენელი?

დაძველებულისა და დამტვერიანებულია ამის ახალ-გაზდობისა.

მაშასადამე, აი რა გამოდის ქართულს ენასზე?

„კიკოლიკი არის წარმომადგენელი დაძველებულისა და დამტვე-
რიანებულისა ამის ახალ-გაზღობისა“.

და სწორედ ასეც ლაპარაკობს ქართველი, ჰსწავლულიცა და
უსწავლელიცა! ეს პირტყელი შესავალი სინტაქსისა, როგორ არ
უნდა იცოდეს მწერალნი?

10 ფურც: ჰსწერია „ტუდენტები დაგვიხედა“. მკითხველო, არ
ვაგონდება სომხური „ისინი მოვიდა“?

იმევე ფურც: „შავი სქელი წვერები გულზე გაფენილი“. განა
რამდენი წვერი ჰქონდა კიკოლიკს? ქართველი ამას დიახ ადვილად
იტყობა: შავი სქელი წვერი გულზე გაფენილი!..

12 ფურც: „მე თავი გაეაქნიე“. ქართულად ითქმის „თავი გა-
ვიქნიე!“ იქვე: „...ეს კაცი ან ქვეყნის მოკეთე უნდა იყოს, ან თვალთ
მაქცობით იმის შემპარავი...“ სრულებით ვერ გამიგია, რა უნდა
იყოს „იმის შემპარავი“?

იქვე „...თვალზე-დაწყურული, ცხვირ წამორილი, სახე პირდაპირ
მასკა არის“. ვჰსთქვათ, ავტორს დიდად უყუარს და ამის-გამო
ხშირად ამბობს მოთხრობასში, თვალზე-დაწყურული, ცხვირ-წამო-
რილი; მაგრამ, „სახე პირდაპირ მასკა არის“, რას ჰნიშნავს? იქვე
„...ერთმანეთის გვარ ფიქრებმა უცბად გონება წამიღეს...“ ამ სო-
ტუტებმა ასე წამიღეს მეცა, რომ სრულიად არა მესმის რა!

იქვე „...თავი უხეიროთ გაეაქნიე...“

ნეტავე გვითხრას, ხეირიანად თავის გაქნევა როგორ უნდა?
მაგრამ ზოგიერთნი მწერალნი ხშირად ჰხმარობენ თათრულ-სიტყუ-
ტებსა, რომელთა მნიშვნელობა, ეტყობათ, სრულიად არ ესმისთ,
მაგალ: „უხეირო სახე“, „ხეირიანი სიცილი“, აბა რას ჰნიშნავს?
„ხეირი“ თათრულია, ქართულად—მოგება, სარგებლობა, შეძინება!
„ქომბაგ“ თათრულია, ქართულად—მიშველება, შემწე. ახლა მითომ,
ქომბაგ რათა ჰსჯობია შემწეს?

„იღბალ“, არაბულია, ჩუქნებურად ბედი; მაგრამ კი ჰსწერენ:
„ბედ-იღბალი“, ესე იგი „ბედი, ბედი“ და აბა, რა თქმა არის?
ახალი უნდა შემოიტანონ ის სიტყვა, რომლისა თანაწყორი არ
იპოვებოდეს ჩუქნს ენასში.

13 ფურც: „... ტკბილი და ალერსიანი სიტყვებით, სკამი თა-
ვისი ხელით მომავლოდა...“

აქაც დაარღვია ის კანონი, რომელიცა ჰპრძანებს, რომ ზედ-შესრული და მისი არსებითი უთოოდ ერთად უნდა ჰპრუნეიდნენ! ქართველები იტყვან: „ტკბილის და ალერსიანის სიტყვთა სკამი თავის კელით მომაწოდა...“

იქვე „... ბევრი არის იქ ასეთი ყმაწვილები...“ კიდევ გამოდის ისევე ის სომხური: „ისინი მოვიდა“. ქართულად კი ასეა: „ბევრნი არიან იქ ასეთნი ყმაწვილები“! კანონია, რომ ზმნა და მისი უფალი იქცეოდნენ ერთს დროსში, ერთს რიცხუსში; ამის გამო ქართულად არ ითქმის „ყმაწვილები არის“.

საკურველია, ჩუნი ქართული ენა რათ გაასომხეს ასე უწყალოდ? მაგრამ მიზეზი ესრეთის ცუდილებისა შევიტყე დღეს „დროების“ № 44-ამ, რომელსშიაცა ვილაცა ჰსწერს, რომ „ახალი სტილი შემოდის“. ამ სიტყუამ უფრო გამაკვირვა და შემაწუხა. რათა ჰგონიათ ეს სტილი ახლად? ჰსწორედ ამ ენით ლაპარაკობენ თბილისის ბაზარსში სომხები, ურიები, თათრები და მოგვხსენებათ, თბილისის ბაზარი არ არის დღევანდელი შენობა? იქ ყოველთვის გაფონებთ: „ბატონო, ერთი ჩემი ახალი სახლში მობძანდით?... იმან მოვიდა; ვა, ერთი მოიტანე ცხენი ზედ დავჯდე“. აბა რათ გინდათ ეს ენა?

ახალი სტილი ვერა-ოდეს ვერ შეჰსცულის ენის ბუნებითსა თვსებასა. მართლია, დროთა განმავლობასში ზოგი-ერთი სიტყუა უფარვისობისა-გამო, ძუტლდება და აღარ იხმარება, მაგრამ ენის თვსება მყოფობს მარადის შეურყეველად. ენა არ არის მოგონებული ერთისა ვისგანჲ, რომ მეორესა შეეძლოს ძირიანად შეცულა მისი შეისწავლეთ არა ბაზრის არეული ენა, არამედ მდიდარი, მშუტნიერებით სავსე ქართული ენა, რომელსზედაც ლაპარაკობს, რომელსზედაც ლოკულობს და რომელსზედაც დაჰმღერის ქართველი კაცი ხშირად ამბობენ აწინდელნი წწერალნი: „ხალხის ენაზედ ვჰსწეროთ“. მაშ რა ენაზე უნდა დაჰსწერონ? მაგრამ, ეს კი უნდა ახსოვდესთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებელი; ვიდრე დაკელოვნებული მწერალი მასალასა მას არ გადაარჩევს, კარგსა უფარვისისაგან არ გაჰსწუნდს, არ გაამშუტნიერებს და დიდებულებითა არ აღიყუანს სალიტერატუროს სამფლობელოსში; მერე, იმ გაღამაზებულსა ენასა გამშუტნიერებულის ჭორბითა გადმოჰსცემს მოსახმარებლად ისევე იმასვე ხალხსა, რომელიცა არის პატრონი.

ენისა, და რომელიცა შეითვსებს იმას, ვითარცა საკუთრებასა; და ამ სახით უმეტეს და უმეტეს მშტსნიერდება ხალხის ენა და მით უმეტეს ნათლდება მისი გონება!

ესრეთ, დაკელოვნებული, მალა-ჰაზროვანი არხიტექტორი აღიღებს კირსა, ქუჩასა, ტალახსა და აღმართავს დიდებულებითსა „ზინის დგორეცა“, მშტსნიერსა ტულიერსა და წა პეტრე-პაველს გასაოცარსა ეკკლესიასა! არხიტექტორი თავის კელოვნებით თუ არ შეეწია შენობასა, ტალახი დაშთება ისევ ტალახად! მწერლობას-შიაცა ჰსწორედ ასე არის.

განჰელო ათასა წელმა, რა პირტსლად ითქუა ქართულად: „მიწყალე მე ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა, და მრავლითა მოწყალეებითა შენითა აღპხოცე უსჯულოება ჩემი!“ და რომელსა გლეხსა არ ესმის ეხლაცა მარტივად და მშტსნიერად გამოთქმული სიტყუა ესე, რომელიცა ეკუთვნის იმავეს გლეხის ენასა? თვთ ვეფხვის-ტყაოსანი რა არის, თუ არა იგივე სიტყუა ქართველის გლეხისა, მხოლოდ ლამაზად განწყობილი და გამოთქმული? მაშასადამე, სიტყუასა უნდა გაწყობა, გაწყობასა ჰსწავლა, ჰსწავლასაცა უნდა შეეწეოდეს ნიქი ბუნებითი! და ახლა, რა ეპქნათ ჩტსნ, რომ ვერცა ე-თსა ამათგანსა ვერა ეპპობთ ამ მოთხრობასში?—დაიჯერეთ, არა-ოდეს არ იტყვს ქართველი: „საკუთარი ფეხებით ჩემ აზრზე დამდგარეიყავ!“

„ფეხებით ჰაზრზე დგომა“!!! ვინ ნახა? განა ამისმა დამწერმა უნდა შემოიღოს ახალი სტილი? ეს ხომ მასხარობა არის და დაბრეყტება ჩტსნისა ენისა?

17, 18, 19, 20 ფურცლებში „... ტბილი და მეგობრული ყოფა-ქცევისა... ძმური მოქმედებით... ჩტსნი მხრის ყმაწვილებს..., უწინ-დელი ცხოვრებისა... დაუგუნურებით... უგუნური თავმოყვარებით... ბრძნული სიჩუმი... ხეირიანი მოქედებით...“ და სხუანი.

სულ ერთი და იგივე შეცთომილება, ერთი და იგივე უჰაზრობა ჰსწარმოებს მისგან, რომ არ არიან შეთანხმებულნი არცა ზედ-შეს-რული თავის არსებითთანა, არცა უფალი და ძიება თავის ზმნას-თანა! განა შეიძლება ასე წერა? აბა რა არის?... „აგრე ვიზამთო?“ მგონია იყოს აფხაზური; მაგრამ ჩტსნ რად გვინდა?

ესრეთის სომხის ლაპარაკითა სავსე არის ყოველი ფურცელი „კრებულისა“ და აღარ შევაწუხებ მკითხველსა; მაგრამ, ახლა ვნა-

ზოთ, როგორ ესმის ავტორსა მნიშვნელობა ზოგი-ერთის სიტყვსა?

22 ფურც: „... იმას გონება არაფრათ გაჰყვირს...“ ვინ გაიგებს, ვინ მიხუდება ამის ჰაზრსა?

მაგრამ, აი მალალ-გონიერსა, დაკვლოვნებულს მწერალსა, როგორ შეუძლიან გამშტმნიერება, გამდიდრება ენისა? ვინ იცის, რაოდენი შრომა, რაოდენი წუთალება, მიიღო ავტორმა, ვიდრე იპოვნინდა შესაფერსა სიტყუასა ცოცხლად დახატვისათჳს ჰაზრისა თვისისა? აი რას ჰნიშნავს ახალი სტილი? ახლაკი აღარა უჭირს რა ჩტმნსა საბრალოსა ენასა, რადგანაც შეიმკო იგი ახალ-ახლითა სიტყვთა: „აჰყარტალდებოდა!“ ვიშ, ამის სიმშტმნიერესა!—26 ფურც.

29 ფურც: „... კაროლი თავის ზღებულიანა...“

34 ფურც: „... უგნურების ღრეში“. ნუ გგონიათ რომ ეს იყოს ბეჰედის შეცთობა; „უგნურება“ ბევრს ადგილს ჰსწერია ახლის სტილის სიყუარულისა-გამო.

41 ფურც: „... კედელზე შემოასხიერტებენ... გარგვალეზულ ცეცხლში... გამგებულად იბრძვის... ჯერ გარიბალდის ფონი გასავალსა აქუს... იმას იმ დროს სჰიროდა კიკოლიკი... ხეპრული ახრები... გული მოიყვანა... ამისთანა ხარიბუა... ხელი დაურეკონ... ძირითადი აზრი... საიდაგან დაიმახსოვნებდა... თუ არ მოეცრუებინოს...“ და სხუანი მრავალნი.

წერასში, ანუ ლაპარაკსში, უნდა მარადის ჰსჩანდეს, ანუ გონიერება, ანუ სულელობა კაცისა! მაგრამ, მართლად, ამ საბრალოს მოთხრობასში რომ არა ჰსჩანს რა? სულელობა მაინც იყოს? ესეც ერთი ნიჰია ბუნებით!

აბა, როგორ არ გაეცინოს კაცსა ამ მოულოდნელს სიტყუასზე? „...დილა აღრიანათ ახანაგმა მომაყვირა“!!!

77 ფურც: „... ავატანეთ შე და ჩეჰა ამხანაგმა...“ მართლად, სასაცილოა, მაგრამ, მგონია, უფრო საწუხარო იყოს!

ნუ თუ მართლად ამასა ჰსწერს ქართველი ქაოთულად? ნუ თუ მართლად ჩტმნი ენა დაეცა ასე საშინლად, რომ სირცხვილადაც აღარ მიაჩნიათ დაბეჰუდა ესრეთისა უგუნურებისა? რისაგან წარმოსდგა სამწუხარო ესე მოვლენა? რასაკვირველია, მიზეზი არის ისტორიული მომდინარეობა ეპოთა ვითარებისა, რომლისა დაწვრილებით გამოკუთლევა წაგვიყუანს დიახ შორს; მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ქართულსა ენასა აღარა ჰსწავლობენ, ანუ არ ასწავლიან გულს-

მოდგინებით, არცა ღიმნაზიასში და აღარცა თვთ სემინარია-
ში, ასე რომ ახლა იშვალდა ქართველმა მღვდელმა იცის-ლა
ზედ-მიწევნით ენა თვისი; და უწინდელი დარბაისული, მახვლ-
გონებანი, მეტადრე ზრდილობიანი ლაპარაკი ქალებისა. ხომ
აღარსად ისპის! სამწუხაროდ ჩქმნდა ყოველივე ესე მართალია;
მაგრამ მაინც კი ჩქმნის ენის გასომხება არ უნდა დამკვიდრდეს
ჩქმნს მწერლობასში მწერლების უნიკობითა. აი ასე სავენბე-
ლია, როდესაც თავის-მოყურება გადასცილდება საზღუარსა!
აბა, ეს მგზავრობა რომ არ დაეებედა ავტორსა, ვითომ რა დააკლ-
დებოდა ჩქმნსა ლიტერატურასა? დააკლდებოდა მართო ერთი
რალაცა თხზულება, რომელიცა გამოაჩენს მხოლოდ უნიკობასა და
ენის უცოდინარობასა!

82, 83 ფურც:... აბა რა ქართულია? „ლაპარაკობს ზურგს
უკან“... „გიგმა რაც უნდა ილაპარაკოს, ვინ მოუვლის თავს?“ რა
უნდა ეთქვა ავტორსა „ვინ მოუვლის თავს?“ აი კიდევ მშტმნიერი
ახლად შემოღებული სიტუა? „...ჯანდაბამდინაც გზა ჰქონია“.

„ჯაპნაბა“ არაბულია, ქართულად ჯოჯოხეთი. ეტყობა ავტორსა
არ მოჰსწონს ჩქმნი ჯოჯოხეთი და ამიტომ სიხარულით გადასუ-
ლა იგი მაჰმადიანთ ჯაპნაბასში. რათა? განა ჩქმნი ჯოჯოხეთი ვერ
დაჰსწუავდა ავტორსაცა, მის მგზავრობასაცა და თვთ კიკოლიკსაცა?

84 ფურც:... აი კიდევ სასიამოდ გასაგონი ლაპარაკი? „...მი-
ჯვირეს მოზდილმა კავკასელმა სტუდენტებმა“. განა რუსები იტყ-
უნ: „Кавказский студент?“

86 ფურც: „...ჯერ უნივერსიტეტიდამ არ ჩამოსულა“. ჩქმნი ვი-
ტყვთ: ჯერ უნივერსიტეტიდამ არ გამოსულა!

101, 102 ფურც: „...ზანტ ბაასში გაერთებოდენ...“

108 ფურც: „... ეენიხობის ფონდმაც...“ ძლივს წმინდა ქართუ-
ლი გავიგონეთ!

119 ფურც: „... სამ სამი შაური მოაგროვეს გლეხის თავზე...“
გლეხის თავზედ შაურების მოგროვება, კარგი სანახავი უნდა იყოს!..
და მეტადრე „ჩაიქრიტინა“ უცხო რალაც არის!

131 ფურც „... მელიქალას გული გადაჰყარა... უსაქმური მუ-
შები... ბოლოს რითაც იქმნა, დაალბო საღათა?“?

ჰოო, აქ ეს სომხის ენა თავის ადგილას არის მოყურანილი. რა-
დგანაც „ღამბალი საღათა“ და მელიქალა სომხები არიან, და რა-

საკვირველია, ესენივე აღვიღალ შეიტყობენ ავტორის ჰაზრსა „ღა-
ილბო სალათა“... და უფრო ამ სიტყუას: „თვალ მოუხურავათ“!!
უცხო ქართულია!

როგორ მოვიფიქრებდი, რომ იმერეთში, სადაცა გვეგულეობ-
და ქართული ენა სიწმინდით, შეურევნელად შენახული, გამოჩნდ-
ბოდა მწერალი ასეთის გადარეულის ენითა? გაიგონეთ და დაიჯე-
რეთ, რომ მხოლოდ მოხსენებული კანონების დარღუტვასა მოაქტს
ვსოდენი შეტომილება და დაბნელება ჰაზრისა!

142 ფურც. ახლა მოიხსენეთ*, კიკელიკი როგორ ეარშიყება
ანსტიტუტიდამ გამოსულს ქალსა? „... თვალეების გადაჯლება ხშირად
დაუწყო იმის გავასა“!!! აი ეს არის პოეტიკურად გამოხატუა ეშ-
ხისა!.. „მიყურე რაებს ვიზამ...“

152 ფურც: „... უნდოდა კიდევ უფრო გაეჯავრებინა იმის გუ-
ლის დარღები“!!!

დარღების გაჯავრებან სადაურია, ვინ ლაპარაკობს ასე?

155, 156 ფურც: „... ძველ კაცებს არ გუობენ იმ ცელილებაში...
იზას პასუხი ვეღარ უკვირდებოდა... დიდის ჯახირით გასტანდა...
მაშინ იყო სტამბის გაწამოწია“!!!

განსტმნებული შამირხანა, როცა გაიგონებდა ამისთანა უგემურ-
სა ლაპარაკსა, იტყოდა: „მოდო და ლაზათი გაჰსწიე ამისთანა!
მართლად, აბა რა ჰქმნას ამისმა წამკითხავმა? იქინება კარგი ჰაზ-
რიც იყოს, მაგრამ რომ არ გვესმის?

ვიცო, დიდი ხარაკტერი უნდა მწერალსა, რომელიცა ჰსძლევს
თავის-მოყუარებასა, რათა დაინახოს და უარ-ჰყოს შეტომილება
თვისი მაშინ, მართლად, შეიმოსება იგი ახლითა ძალითა და გაა-
ნათებს მწერლობასაცა ახლითა ნიკიერებისა სხრჯთა. მაგრამ ამას
უნდა, ხარაკტერის გარდა, ცოდნაცა ენისა; თვარემ მარტო სურ-
ვილი კეთილისა უსარგებლოა!.. იხმარეთ როგორცა გნებაეთ, გინა
ახალი სტილი, გინა ძმული, ოლონდ კი დაუტევეთ თავის-მოყუარე-
ბა თქმნი და დაინახეთ შეტომილება პირის-პირ ენისა, რათა გა-
შოსთქუათ ნათლად ჰაზრი თქმნი და მით მოჰსცეთ ქართულსა
ენასა ნაყოფი კეთილი! ყოვლის მხრით ლალადება ყვედრებისა
ქართულის ენის წახდენისა-თვს უნდა გესმოდესთ!

* „ციკარში“ დაბეჭდილია: „მოიხსნეთ“.

აბა, არ გებრალდებთ ჩემნი ენა? „... ორი თუმანი სტატია და-
წერა და მისაო ფეხი“!! 164 ფურც: „... ბლუქუნას კიკოლიკი ეზარე-
ბოდა... სალათა თავის გულს ასქდებოდა... ქტყყანა მაგათ მოინე-
ლესო...“

186, 187 ფურც: „...ისინი ყოველთვის გამოვარგდებიან... ცივი
ყინული...“ ეს რა ამბავია? განგებ ხომ არ გვემასხარება ავტორი?
როგორ დაფიქვრო, რომ იმას ენახოს სადმე ცხელი ყინული? ანუ
რას ნიშნავს „გამოვარგდებიან“? „...აავსებენ თუ შავი, თუ დაჩრ-
დილებული ფიქრებით... შეიმალება თავის აზრის ტყავში...“

აღარას ვიტყვი, რა უკანონოდ არის ნათქვამი— „აავსებენ თუ
შავი, თუ დაბნელებული ფიქრებით“; მაგრამ, ჰაზრის ტყავი და
იმასში შემალვა?..—არ ვიცი, არ მესმის; მხოლოდ ვპარძნობ კი,
რომ უნდა იყოს რაღაცა მეტის-მეტი სიბრძნისა ბნელი უფსკრული.
რომელს შიაცა სრულიად ვერასა ვჰხედავთ და მგონია, ვერცა თვთ
ავტორი, რომლისა ჰაზრის ტყავი, ვინ იცის, იქმნება. როგორმე
იყოს ან გახეული, ან შერყეული!

ვითარცა ლამაზსა ტანსა უფრო გაალამაზებს შემკობილი სანო-
სელი და ჩემნცა მოგუწონს და შევხარით მას, ეგრეცა გამოჩენილ-
ნიცა მწერალნი გვიხატუნენ ჰაზრსა, არა თუ მხოლოდ ნათლად,
არამედ ლამაზის ძორძითაცა, და სიტყუაცა მათი მომდინარებს,
ვითარცა წყალი, ხან მძიმედ, დიდებულების სიაჰაყითა, ხან დამშ-
კდებული, ვითარცა დაწყნარებით რომინება ჭალისა, და ხან მქუ-
ხარედ, ვითარცა შეჰაძრწუნებელი რისხუა! მაშინ, მსმენელიცა უნე
ბლიეთ მიჰსდევს სიტყვსა მის მდინარეობის ძალსა, გულით-გახა-
რებული, გონებით-მზინდული. ღონე-მიტაცებული, დაძონებული!

აბა, ახლა წაიკითხეთ საზარელი კარტინა „ადატანჯულისა სამ
ყრობილესში სიცოცხლისა“, რომელსაცა ავტორი ადარებს თავის
ყოფნასა სევანეთსში: წაიკითხეთ ნიჭი ავტორის ლამაზ სიტყუაობისა
და თუ არ შეძრწუნდებით, მართლად, დიდი ვაჟაკობა მოგეწე-
რებათ...

„სულ ერთი და იგივე მღუნე ბუტბუტი ესმის თავის გარე მორ-
ტყმულს კედლებს იქით: ესმის ერთი და იგივე თოფის ხრაკუნი...
იმას ტანი თანდათან დაუშძიმდება“, „დადანჯებული გული ერთ
გვარონებით ბეზრდება“ ... მაშინ „თვითონ დამწყვედულიცა იწყებს
ბოუსევენარს წრიალსა... ზერე მთელი ტანიც დაიწყებს გულთან
შეხამებით ტოკვას“!!!..

ოჰ, ოჰ, რა საშინელებაა, მოუსვენარი წრიალი და მეტადრე გულთან შეხამებით ტოკვა?!!

„...ტენის ძაფები ეშლება და ბოლოს თუ გარეთ არ გამოიყვანე, ახალი აერი არ ასუნთქვე, თქვენი მტერი იმას მოუვიდეს!... გონება შემეჩერებინა!... ერთი და იგივე კაცის სულები მეჩრებოდნენ“!!..

ახლაკი, მართლად დროა, რომ ავტორი გარეთ გამოიყუანოს, ახალი ჰაერი ააუნთქოთ. თორემ თქმსნი მტერი, იმას მოუვიდეს!... და მე კი, მხოლოდ ამას მოგახსენებთ, რომ ქართულად არ ითქმის: „ვაება თოვლი“, ვაება არის კენესა, ტირილი, მწუხარება; ხოლო, „ვეება“, ნიშნავს სიღრმესა! რაჟცა ზეპირად ნათქვამსა მიეტყვეება შეცთობილება, იმას არ მოუთმენენ მწერლობასში.

217 ფურც: „...ერთი მე შენ თუ არ გაგლახე, ღმერთმან ნუ ქნასო“. რა გჰქმნა. სიცხესში ხომ არ ჰროტავს ჩუნი ავტორი? რას ნიშნავს „გადადეხარხარე“? ანუ „ცხადად გამოთქმულს ჰეშმარიტებას გვერდი შეუაროს“? ანუ „აღიერიდგან გადვიეცი თავს?.. თხელი პირის სახიანი... ასე ახურეშებული რომ დავინახე... ნუ თუ ხელი უნდა უშვას ამ საქმეს? ჩუნი ახალ გაზდა ქალობა დაიძრება“... და სხუანი, და სხუანი.

კარა, გვეყოფა, გავაოათ: მე დავილაღე, მაგრამ მგონია, მკითხველსა უფრო მოჰსწყინდა, და ახლა დროც არის, რომ ავტორს შევასხათ ჭება გალამაზებისა-ი-ვის კათულის ენისა და იმ სიტკბოებისა-თვს, რომლითაც აღვსენით, ეპკითხულობდით რა გზავრობასა სევანეთისაკენ

მაგრამ, სულ-გრძელო მკითხველო! ჩუნი სულებად გუაქუს ქართველთა, რომ ბალიდამ გამოსვლის ფანს, მებალემ მოგუართუას ყუავილების კონა. მეცა ეგრეთ. გესალეზბით რა, მასურს მოგართოთ სევდების გასაქარვებლად განგებ შენახული კონა. შეთხზული ავტორისაგან, რომელიცა მშუნიერის ქორმითა გვიხატავს შალალ-ჰაზროფანსა განზრახუასა თვსსა საქართველოს გასაბედნიერებლად! აი რას გვპირდება! საქართველოვ, კარგათ გაიგონე! ერთს ხეირიანს თესლს გავაგდეზ ჩემს ხალხსში“!!!.. მაღლობა ქართველებო, დიდი მაღლობა!!! სხუ რაღა გვინდა? გვიხაროდეს, ნეტარება ჩუნი აღსრულდა! ვიშ, ჩუნი ბედნიერებას!..

მაგრამ, ... მაგრამ, მოდით შევევედროთ გ: წ:, რომ თავისი „ხე-

ირიანი თესლი“ გააგდოს ისეც თავის... თავის... რავეცი, სადაცა ჰსურდეს, ოღონდ კი საბრალოს საქართველოს თავი დაანებოს, და მის კეთილ-განზრახვსა-თვის მოვახსენოთ დიდი მადლობა!..

ვგვრძნობ, რომ დიდად შეგაწუხებ სულ-გრძელო მკითხველო ვიცი, რომ გული დიდად შეგტკივა ესრეთის დაცემისა-თვის ქართულისა ენისა მართლად, ნუ თუ ეს არის ჩემნი ენა, რომელიცა ესრეთ მდიდრად, ესრეთ ლამაზად და დიდებულებით ჰბრწყინავს ჩემსს საღმრთოს წერილსში, ვეფხვის-ტყაოსანსში, ძმელთა და ახალთა ლექსებში და თუა სვანის სიმღერასშიცა, რომელიცა, ამ მოთხრობასში, ჰგდია ვითარცა მარგარიტი ნაოხარზე? რისგან მოხდა, რომ „საქართველოს ისტორია“ და „კაცია ადამიანი“ რამდენჯერმე წავეკითხე დიდის სიამოვნებით, და კიკოლიკის მგზავრობა მეჩემსა ესრეთ საზიზღრად? მაშ ამათ შორის, მართლად, რომელი არის ქართული? არა, ეს მგზავრობა არის რალაცა მახინჯი, დაბადებული ავტორის გონებასში! ესოდენი შეცთომილება, ესოდენი უცოდინარობა ენისა, ესოდენი უპაზრობა, როგორ უნდა იპოვებოდეს ერთს პატარას თხზულებასში? და უფრო ეს არის საკვირველი, რომ ასეთის გაბედვით, ასეთის გულ-დაჯერებით, ავტორმა დააბეჭდინა უნიკობა თვისი მაგრამ უსანზღურო თავის-მოყუარება ასე აბრმავებს მარადის კაცსა.

და ანუ თუთ რედაქციას რა პაზრი ჰქონდა, რა უხაროდა, რომ ჰბეჭდავდა ამას და არ შეიბრალა არცა მკითხველი და არცა თუთ ავტორი? უწინ ეს მაინც იყო, რომ ბერები მონასტრებსში, იკლესიებსში მღვდლები და მეტადრე დარბაისლობასში ჩემნი ქალეაი, დიდად უფროთხილდებოდნენ ჩემსს ენასა და ინახავდნენ შეურყეველად მისსა კანონებსა და მისსა სიწმინდესა, ვითარცა საუნჯესა. ახლა რედაქციის მეტი ვინლა დაჯერჩა ენის მფარველად, რომ ესეცა ასე დაუდევნელად, გულ-შეუტკივრად, ჰბეჭდავს ყოველსა არეულად დაწერილსა? ჩემის პაზრით. რედაქციას აძევს მოვალეობა, რომ სასტიკი ყურად-ღება მიაქციოს ჩემსს მართლ-წერაზე-დაც და კანონიერად ენის ხმარებაზედაც, თორემ სრულებით უსარგებლოდ დაჰშთება ესოდენი მისი ლტაწლი, ესოდენი შრომა და მეცადინეობა დაცვსა-თვის სიწმინდით ჩემსისა ენისა.

1873 წელსა.

V. თ ა რ გ მ ა ნ ე ზ ი

(1824—1833)

ა ლ ლ მ ლ ო რ ი ა

დღესა ერთსა მაჰადინ სულთანმან იხილა სიმაღლით სასახლისა თვისისა ჰაბუკი და ტურფა ქალი. ესრეთმან მისმან ხილვამან ალაგზნო მის შორის სიყვარული და სურვილმან მის ფლობისამან ალაგსო გული მისი: ესე იყო უსაყვარლესი მეუღლა დიდისა ვეზირისა სულეიმანისა.

მასეე ეამსა ბრძანა სულთანმან ვეზირისა თვისად მოწოდებად, რომელსაცა მისცა მან ფარმანი (ანუ ბრძანება) და უბრძანა, რათა დაუყოვნებლად წარვიდეს და განაცხადოს იგი ერთსა ფრიად განშორებულსა სამფლობელოსა შინა თვისისა სახელმწიფოისასა.

დიდმან ვეზირმან მოიდრიკა თავი თვისი, გულსა ზედან დაიდვა ხელი ნიშნად მორჩილებისა და უკმოიქცა თვისისა მეუღლისად. რომელსაცა ესრეთ მსწრაფლად გამოესალმა, რომელ ფარმანი იგი დაშთა დავიწყებით ოთახსა შინა მეუღლისა თვისისასა.

და რა სულთანს მაჰადინს მოხსენდა ვეზირის წარსვლვა, მყისეე შიისწრაფა მისსა საცხოვრებელსა. ფათმა (მეუღლა ვეზირისა) არა მცირედ გაჰწყვირდა, იხილა რა ანაზღეულად მოსვლვა სულთნისა. გარნა ფათმამან წინაღიგრძნო საგანი მოსვლისა მისისა და განერთხა წინაშე სულთნისა და ძრწოლისა ხმითა წარმოსთქვა სიტყვანი ესე:

„ლომი შეურაცხყოფს ნატაცებსა მგლისასა; ნადირთა მეფე არა დააცხრობს წყურვილსა თვისსა წყაროითა მით, რომლისაგანცა უკვე უსვავს ძალსა“.

სულთანს, შემკრთალი ესოდენ მოულოდნელითა პასუხის მიღებითა, განშორდა და არღა ჰსთქვა არცა ერთი სიტყვაი.

და ვითარცა ვეზირმან არა იხილა თვისთანა ფარმანი, მოაგონდა, რომელ დაუტყევა იგი მეუღლისა თვისისა ოთახსა შინა. დაუყოვნებლივ უკმოიქცა სახლად და ჰპოვა ფარმანი; ხოლო მუნვე ჰპოვა კვალად სულთანისა ფერხსაცმელიცა*, რომელიცა დაეიწყებით დაშოროდა სულთანსა გამოსვლის დროსა.

ვეზირმან, ამის მხილველმან, არა ვითარითავე სახითა არა განაცხადა იკვნეულება თვისი, წარვიდა, აღასრულა მიცემული მისდა ფარმანი იგი და, შემდგომად მოქცევისა თვისისა, მისცა სულთანსა ანგარიში წარმატებისა თვისისა. — ხოლო ვეზირმან ჰრქევა ფათმას. რომელ სულთანი ფრიად ჩემდა მოწყალე არს და მონიჭაცა მე მშვენიერი სასახლე, რომელსაცა შინა გემართებს დაუყოვნებლივ გარდასვლვად და გარდატანად მუნ ყოველთა სახლის შესამკობელთა და საქონელთა ამა სახლისაგან; ამისთვის გთხოვ, რათა გარდახვიდე მამისა შენისადმი მის დრომდე, ვიდრემდის სრულიად აღშენებულ და გაწყობილ იქნების ახალი ჩენი საცხოვრებელი.

ფათმა არაოდეს არა იკვნეულებდა სულეიმან ვეზირის სიყვარულსა ზედა; ამისთვის აღასრულა ნება მისი და წარვიდა მამისა თვისისადმი. ხოლო რა დასასრულ არა იხილა რვა დღე მეუღლე თვისი და არცა მიიღო მისგან ანბავი, მაშინ მიეცა ფათმა დიდსა მწუხარებასა. ფათმისა მამასაც ფრიად უკვირდა ესრეთი ქცევა სიძისა თვისისა; ამისთვის წარვიდა მისად და ჰკითხა მიზეზი. უკეთუ გნებავს, — მიუგო ვეზირმან სიმამრსა თვისსა, — ძალგძს ჩემზედა ჩივილი წინაშე სულთნისა.

„დიდო ხელმწიფეე! — ჰრქევა ფათმის მამამან და წარსდგა მაჰადინ სულთნის ტახტის წინაშე, — ვეზირმან მოიმიზდა ჩემგან უმშვენიერესი წალკოტი, დაფარული მტერთაგან დიდთა ზღუდეთა შორის. მან დაარღვია ზღუდე იგი, მოსწყვიდნა უმშვენიერესნი ყვავილნი, იგემა თვით უკეთილესნი ნაყოფნი და აწ უკმიბრუნებს წალკოტსა ჩემსა, ყოველთა მშვენიერებათაგან მოკლებულსა!“

„მართლად იტყვი შენ, — ჰრქევა სულეიმან ვეზირმან, რომელიცა ეგრეთვე იმყოფებოდა სამდივანოსა შინა, — თუმცა ჩემთვის ფრიად საწუხარ არს განშორება მშვენიერისა ჩემისა წალკოტისაგან, გარნა მას შინა ეპპოვ ლომისა კვალნი, რომლისა გამო გადაწყვეტით

* **ТУФАН** (შენიშვ. გრ. ორბელიანისა).

ვკსთქვი, რომელ უმჯობეს არს, რათა მოვითმინო განშორება წალკოტისგან (თუმცაღა ვიცი, როგრელ უიმისოლაღ ვერ ვიცოცხლებ) ვიდრე მივქსცე თავი ჩემი მსხვერპლად ესოდენ შესაძრწუნებელისა მხეცისა მძვინვარებასა“.

შემდგომად ზათისა მღუმარებისა ჰრქვა სულთანმან: „სულვიმან ვეზირო! მიიქცე წალკოტსა შინა შენსა და ნურაისა გეშინის. მართალ არს, რომელ თუმცა ლომმან დაუტევა მას შინა კვალნი თვისნი, გარნა ვერა წარიტაცა ნაყოფნი და ვერცა ერთი ყვაილი მას შინა ვერა დათრგუნა და განვიდაცა მისგან ფრიად სირცხვილეულ“.

სიხარულით აღტაცებულმა ვეზირმან ჰსცნა ლექსი ესე, რომელიცა სხვათა მუნ მყოფთათვის დაჰშთა გამოცანად. მან კვლად წარიყვანა თვისად მუღულა თვისი ფათმა და, რა ჰსცნა მისგან სახელდობრივ, თუ ვითარითა ღონისძიებითა ჰსძლია სათნობამან ფათმისამან ვნებასა ყოვლად ძლიერისა ხელმწიფისასა. ასწილ უმეტეს: შეუყვარდა ფათმაი გულწრფელობით და აღზნებით, ვიდრე უწინარეს.

შილდა. 1824 წელი.

სამნი მეგობარნი

ნუ ერწმუნები მეგობართა შენთა, ვიდრემდის არ გამოცადო იგინი. მრავალნი გიმეგობრებენ*, ოდესცა ხარ მდიდარ და ბედნიერ**, ღლეთა შინა უბედურებათასა და მწუხარებისათა—ფრიად ცოტანი.

ვილასაცა ჰყვანდა სამნი მეგობარნი: ორნი მათგანი უყვარდა მას უქეტეს მესამისა, რომელსაცა გულ-სიგრილით ექცეოდა და ზოგჯერ ივიწყებდაცა, თუმცაღა ესე უკანასკნელი გულითად*** იყო მიქსდა მიზიდულ. ერთგვის**** მტერთა დააბეზლეს იგი და მიუწოდეს სამსჯაეროსა შინა: „ჰე, მეგობარო ჩემო!—ჰრქვა მან,—ვინ წამოწყების თქვენგანი დასამოწმებლად სიმართლისათვის ჩე-

* თავდაპირველად დაუწერია: „მრავალთა ჰპოებ მეგობართ“, შემდეგ გადაუხაზავს. ** ამის შემდეგ გადაიხულია: „და ცოტათა“. *** თავდაპირველად დაუწ.: „გულწრფელობით“. **** გადახაზულია: „ღღესა ერთსა“.

მისა?—მე დამაბეზლეს და* რისხვა მკაცრისა მსაჯულისა შა-
შინებს“.

ერთი, დაბეზლებულისა მეგობართაგანი**, მასვე ეამსა მოებოდე-
შა, რომელ*** მრავალთა სხვადასხვათა საქმეთა გამო ვერ აღას-
რულებს თხოვნასა მისსა. მეორე გაჰყვა სამსჯავროსა კარამდის, შა-
რამა პაზრამან, თუ ვითარ უმოწმოს უბედურსა, შეაშინა იგი****
და უქუმოიქცა*****, ხოლო მესამემან, რომლისაცა დაბეზლებულ-
სა და საყვარელთა მეგობართაგან დატყეებულსა არა აქენდა სრუ-
ლიად იმედი*****, მესამემან არა დაუტყევა იგი: წინაშე სამსჯავ-
როსა წარსდგა ესე მასთან და ეუბნა დაბეზლებულისათვის *****
ძლიერად,—და მსაჯულმანცა ჰსცნა რა სიძარბოვანი დაბეზლებულისა,
მიანიჭა მას თავისუფლება და საჯილდაოცა შესაფერად.

სოფელსა შინა ამას კაცსა ჰყავს სამნი მეგობარნი; მხოლოდ
სიკვდილისა ეამსა, ოდესცა უფალი მოუწოდს მას სამსჯავროსა ში-
ნა თვისსა, ჰსცნობს მათ კაცი: ქვეყნიურნი სიამენი, რომელნიცა
არიან კაცისა უსაყვარლესი მეგობარი, დაუტყეებენ მას პირველ;
ნათესავნი და მოყვანნი გააცილებენ სამარისა კარამდე და მოიქ-
ცევიან სახლად თვისად; ხოლო მესამე მეგობარი, რომლისათვისცა
აჩაფრად ზრუნვიდა სიცოცხლისა დროსა, არიან საქმენი კეთილნი:
მხოლოდ ესენი არა დაუტყეებენ კაცსა, ესენი წარუძღვებიან მას
დიდისა მსაჯულისა ტახტისადმი, ესენი იმეტყველებენ მისთვის მკვერ-
მეთქველად და მხოლოდ ესენი მოუპოვებენ მას წყალობასა და ჯილ-
დოსა.

პეტერბურს. 1832 წელს,
ნოემბრის 3-სა დღესა.

ნემენცურით რუსულად
გადმოთარგმნილიდამ.

* გადასახულია: „მეშინის“. ** თავდაპირველად: „ერთმან დაბეზლებულისა
მეგობართაგანმან“. *** ხელნაწერშია: „რომელი“. **** პირველი ვარიანტი:
„მარამა მუნ შეშინდა მოწმობითა უბედურისათვის“. ***** გადასახულია:
„დაბრუნდა“. **** პირველი ვარიანტი: „რომლისაც სრულებით არ აქენდა
იმედი დაბეზლებულსა“. ***** პირველად დაუწ: „მისთვის“.

გაბთუნებალი*

საქმეთა დამაგვიანეს პრალის ქალაქში აპრილამდის. თუმცა მუნ მყვანდნენ მრავალნი მცნობნი, რომელთა შორის ვჰპოვებდი მრავალთა სიამოვნებათა, მარამა შინ — ჩვენს პატარა ქალაქში — მიმელოდა უმეტეს შვიდისა კვირისა ლაშაზი, ახალგაზდა ცოლი ჩემი, და მეცა მოუთმენელობით მსურდა ხილვა მისი. რა დაეჰქორწილდით, ჯერ ასე დიდს ხანს არ დაეშორებოდით** ურთიერთს. ფანნი თუმცა ყოველს კვირას მიგზავნიდა წერილსა, მარამა წერილნი ესე, აღესილნი უნარნარესითა სიყვარულის გამოთქმითა, მწუხარებითა დაშორებისათვის და მალე ხილვისა სურვილითა, უფრო უმეტეს აღანთებდნენ ჩემ შორის მოუთმენელობასა ჩემსა. მუნ, მუნ, ოცდაათობმეტს მიღზე პრალითვან, აღმოსაგლეთვის მხარეს, მუნ მიმელოდა ნეტარება ჩემი, და პაზრნიცა ჩემნი*** მიისწრაფოდენ მუნ მარად გაშს.

გისაც არა ჰყავს**** ლაქვარდოანი თვალეზიანი, გრძელითა ქერა ზილფებითა, თვით სიყვარულსავეთ მშვენიერი***** ოცდაორის წლისა საყვარელი ცოლი, დედა ორთა ყმაწვილთა, რომელნიცა***** სიმრთელითა და შვენებითა, ვითარცა ამურნი¹, არიან აღყვებულნი; ვინცა შემდგომად ხუთის წლის მეუღლეობისა არა ეტრფის ამა სასურველსა სულსა ათასწილ უმეტეს, ვიდრელა პირველსა დღესა ქორწინებისასა — იგი ვერა ჰსცნობს***** ჩემსი მწუხარებასა მამულისათვის ჩემისა.

მოკლედ ვჰსთქვა: ვიტანჯებოდი მოლოდებითა, და ოდესცა საქმენი ჩემნი შესრულდნენ, მაშინ სიხარულმან კინლაჲ ***** გამაგიეა. — სახლისა პატრონსა უთხარ, რომ მოამზადოს ანგარიში დანახარჯთა ჩემთა და გავიქეც მეგობრებთა და ნაცნობთა გამოსასალმებლად, პაზრითა მით, რომ ხვალ დილითვე უთროდ გაემგზავრო.

* სათაურის გვერდით რუსულად მიწერილია: „Искученъ“. ** ამის შემდეგ გადაბახულია: „ჩვენ ერთმანეთს ჯვარის დაწერითგან. ფანნი მართლად“. *** შემდეგ გადაბახულია: „ყოველსა წამსა მზარესა მუნ“ და სტრიქონის ბოლოს „ყოველსა წამსა“. **** ამის შემდეგ გადაბ.: „სიყვარული ოცდაორის წლის ცოლი“ და იქვე „ლაქვარდოანის“ ხემოთ წერია — „რიყინი“. ***** ადრე დაწერილი ყოფილია: „ვითარცა თვით სიყვარული“. ***** ამ სიტყვის ადგილას თავდაპირველად დაუწერია; „აღყვებულთა“. ***** გადაბახულია: „მისთვის უბრალოდ ვიტყვოდი“. ***** ეს სიტყვა შესწორებულია, ყოფილია: „კინდა“.

რა დილა გათენდა, სახლის პატრონი გამოცხადდა ჩემდა მღამულად თავის დაკრებითა და გრძელის ანგარიშითა. რა გაუსწორდი* მას, ვნახე, რომ ფული დამაკლდა, ასე რომ გზის ხარჯად არღა ნეყოფოდა; ამისთვისა დავაპირე მებანკირესთან თამასუქის გაცვლა ფულზე. უბეში ვნახე, არ იყო ბუმაენიკი. დაუწყვე ძებნა—უბეში, ჯიბეში, ყველა კუთხეში და ყუთებში, მარამა ვერსადა ვპპოე! დამეკარგა. იფიქრეთ, თუ ვითარ შევშინდებოდი. ბუმაენიკში იღვა თამასუქი უმეტეს ათას ხუთას ტალერისა, და ესე ხუმბრობა** არ არის ამ სოფელში!

გადავზალე*** ყოველნი ჩემი ნივთნი, ათჯერ ერთი ადგილითგან მეორეზე გადავწყვე: მარამა ბუმაენიკი ჩაიყლაპა. „როგორ მოვიფიქრებოდი ამას!“—ვეუბნებოდი თავსა ჩემსა. „ასეთია ბელი კაცი-სა! ერთსა წამსაც არ შეიძლება მოსვენებით ყოფნა! **** მაშინ, როდესაც გგონია, რომ განთავისუფლდი ყოველთა შრომათაგან*****, მაშინ ერთბაშად ეშმაკი ***** გამოძვრება***** და შენცა დაინთქმი*****. არა, ამა სოფელში არ უნდა არარაინათვის გაძხვარულდეს ფრიად,—და ეს მით უფრო უკეთესია*****, რომ არღა მოითმენ არცა ესოდენ შეწუხებათა და არცა ესოდენსა ტანჯვასა. მე ესე არა ერთხელ გამომიციდეს*****“.

კიდევ დავიწყე ძებნა, მარამა ვერსადა ვპპოე: ან დაგვარგე და ან მოშპარეს. რა ვპქნა?... მახსოვდა*****, რომ წინა ღღეს ამოვიღე ეს უბედური ბუმაენიკი და კიდევ ჩავიღე უბეში, სადაცა ჩვეულებრივ***** ვატარებოდი... იმაში***** ეწყო ფანისის წერილებიცა... მახსოვდა, რომ წინა ღღემს, რა ტანისამოსს ვიხდიდი,

* ამის შემდეგ გადახაზულია სიტყვები—„სახლის პატრონსა“ და ნაცვლად დაწერილია „მას“. ** ამის შემდეგ გადახაზულია „საკმე“. *** აბზაცის დასაწყისში გადახაზულია: „კიდევ დავიწყე ძებნა“. **** გადახაზულია ორჯერ: 1. „გგონია, აქ ძლოვს“ და 2. „ჰფიქრობ, რომ, აჰა“. ***** ამ სიტყვის ზემოთ აწერია: „გირთ“. ***** ამ სიტყვის წინ გადახაზულია: „მარამა“, შემდეგ კი „მასვე წამს“. ***** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „и, и, и, и, и, и, и“. ***** თა-ვდაპირველად ამ სიტყვის ნაცვლად დაუწერია: „დაიკარგები“. ***** ამის შემდეგ გადახაზულია სიტყვა: „ამიტომ“. ***** ბოლოში გადახაზულია: „მე“. ***** თავდაპირველად ეწერა: „მგონია“. ***** ამის შემდეგ გადახაზულია: „მქონდა“. ***** შემდეგ გადახაზულია: „იღვა“.

ჯიბეში მედო ბუმაჯიკი... საღლა ვეძებო? ვისაც ზუვარდებოდა ხელში ჩემი თამასუქი, მაშინვე შეეძლო დაეხურდავებინა ფულად.*

ბოლოს შექსწყდა მოთმინება ჩემი და დაუტევე ძებნა,— მარამა თაბრუ კი დამესხა. არაფინ** დამეწყეველი აქაჰომდის*** და მაშინ კი დაუწყე წყევლა მთელს ქვეყანას****. ძნელს***** მდგომარეობაში ვიყავ.

დაკარგვა ესოდენისა ფულისა არა თუ მხოლოდ მიშლიდა მალე შინ მისვლასა, წიაღში სასურველისა ჩემისა სახლობისა, არამედ თითქმის მალარიბებდაცა ***** ფიქრი და მოკმედება სრულიად წამერთო. ჰაზრნი ერთი მეორეზე უკანურნი ***** ერთი ჩეორეზე უგუნურნი მომდიოდენ ***** ჩემს თავში. სასოწარკვეთილებამ შემიპყრა სრულიად***** უწინდელნო დრონო, სადა ხართ! — ვფიქრობდი თითქმის გააგიჟებული. მაშინ, რას წამს ინატრებდი, მაშინვე ეშმაკო შენ წინ გამოცხადდებოდა! რაი გნებავს, მიბრძანე! რაღწლის უბედურებისაკან გსულს დაიხსნა თავი შენი: აღუთქვი მხოლოდ დაემორჩილო მას და ყოველი საქმეცა ***** აღგისრულდება. და რა, რა ურიგოა? და მეცა სწოვრედ ესრეთს მდგომარეობაში ვიყავ ***** რომ ყოველსავე გაგებდავდი. ოღონდ კი მეპოვნა ბუმაჯიკი. მაშინ მომაგონდა, რომ ერთის კვირის წინაა თუ შევხვდი ერთსა ფოიად გასაოცარსა კაცსა, რომელიცა სახით იყო ეშმაკეულის გეაოისა. გრიანტელმა დანიარა ტანში. მარა წყენამ ***** და სასოწარკვეთილებამ ესრეთ ძლიერ შემიპყრეს ***** რომ ვფიქრობდი: ეჰ, რაც მოხდეს, მოხდეს! ვინც გინა იყოს კი — გინდ ***** კაცი ეშმაკის სახით,

* პირველი ვარიანტი: „მაშინვე შეეძლო დაეხურდავებინა ფულად ჩემი თამასუქი“ ** შემდეგ გადახაზ.: „არ“ *** შემდეგ გადახაზ.: „მარა“ **** შემდეგ გადახაზ. „მდგომარეობა ჩემი იყო საშიხელ“, კვლავ — „ძნელ“. ***** სავედაპირკვლად დაწერილი ყოფილა: „ძნელი იყო ჩემი მკვლამ: რეოა“. ***** ამის შემდეგ გადახაზულია: „სრულ [ად] ვერც, ვფიქრობდი. და ველარც ვმოკმედობდი“. ***** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „СТРАШНО“ ***** ჩრველად ამ სიტყვის მაგიერ დაუწერია: გროვდებოდენ ***** ამის შემდეგ გადახაზულია: „ძველი დროები სჯობდენ“. ***** ამ სიტყვას ზემოთ რუსულად აწერია ძნელად ამოსაკითხი სიტყვა. ***** პირველად ეწერა: „ვიმყოფებოდი“. ***** ამ სიტყვის ქვემოთ წერია: „ПОСЛЕД“ **** ***** გადახაზ. ამ სიტყვის პირველი ვარიანტი: „იყვნენ“ ***** ამ სიტყვის წინ წაშლილია: თუ“

გინდ* ეშმაკი კაცისა სახით — ოლონდ მომიტანე ჩემი ბუმენიკი და შენი შევიქნები!*** არ მახსოვს, რომ ესრეთის უგუნურებაში*** ვყოფილვყო როდისმე.

ერთბაშად კარები დამირაკუნეს. „ვამე!**** ვსთქვი***** ჩემს გულში. ნუთუ ხსენებაზე ასე ადვილად ჰსჩნდება, ნუთუ მართლად უნდა იხუმროს ჩემზედ?... მიველ კარებთან; ჩემს ფიქრში მქონდა ის წითელკაბიანი, რომელსაცა ვსახავდი ეშმაკად და ჰსწორედ მეგონაცა, რომ მას შევხვდებოდი... და იფიქრეთ ჩემი ვაოცება! მართლად რომ ის იყო. რა გავაღე კარები. შემოვიდა გამომცდილი***** და მცირედ თავის დაქნევით მომესალმა.

ვითარი იყო იგი

უნდა გიამბოთ, თუ პირველად სადა და როგორ შემხვდა ხილვა ამა გასაოცარისა***** კაცისა, რომ მართლად არა ვეგონო ვისმე გიჟად.

ერთხელ სალამოზე შეველ ყავახანაში, სადაცა ერთხელაც ვიყავ მის წინათ ერთსა ჩემსა მეგობართანა, — შეველ გაზეთის საკითხავად. მუნ პატარა სტოლზე, ორნი ღრმად ჩაფიქრებულნი, თამაშობდნენ ჰანდრაკს: რაოდენნიმე ყაწვილნი კაცნი, თანჯარასთან შეჯგუფულნი***** სიტხარით***** ბასობდენ ცხოვრებისა***** შემდგომად სიკვდილისა და კაცობრივისა სულისა თვისებასა ზედა; დაბალი, ბებერსახოვანი კაცი წითელკაბითა***** ზურგზე ხელებზეწყობილი, დადიოდა წინ და უკან ოთახში. მეცა მოვითხოვე რუმკა ლიკორი და დაეჯეგ გაზეთის საკითხავად.

ვერაფინ მიიზიდა გონება ჩემი ესრეთ ძლიერ, ვითარცა ამა წითელკაბიანმა. ვუმზერდი რა მას, სრულიად ვივწყებდი, რასაცა ვკითხულობდი — ვივიწყებდი ისპანიის ბრძოლასა, რომელიცა იყო

* გადახაზ. ამ სიტყვის პირველი ვარიანტი: „ანუ“. ** გადახაზ. ამ ორი სიტყვის ვარიანტი: „და მე ვარ შენი“. *** გადახაზ. პირველი ვარიანტი: „განწირულებაში“. **** გადახაზულია ვარიანტი: „ჩემდა“. ***** გადახაზულია ვარიანტი: „ვიფიქრე“. ***** გადახაზ. ვარიანტი: „მატუნებელი“, რომელსაც ხემოთ აწერია — „Искуситель“. ***** გადახაზ. ვარიანტი: „უცნაურობისა“, რომელსაც ხემოთ აწერია — „чуждава“. ***** გადახაზ. ვარიანტი: „შეგროვილნი“. ***** შემდეგ გადახაზ.: „უბნობდნენ“. ***** ამ სიტყვას ხემოთ რუსულად აწერია: „взвешивая“. ***** ამ სიტყვას ხემოთ რუსულად აწერია: „нагроможденный“.

მას დროსა ჩემთვის ფრიად სასურველ. ტანისამოსი მისი იყო როგორც არა კაცური, თვით მის სახეშიაცა, მოძრაობაში და მიმოხედვაში* რაღაც უცნაური და ფრიად უსიამოვნო ჰქნნდა. ტანად დაბალი, მხარბეჭვანიერი, თუმცა ჰქნნდა სახით არა ფრიად მოხუცებულად — ორმოცდაათ წლამდის, — მარამა დადიოდა მოკუზვით, ვითარცა ბებერი**. შავი, ელვარე*** ქოჩორი ზოგან ჰქონდა**** დაეარცხნილ და ზოგან აბურძგვნილ. სახე ჰქონდა ყვითელ-მოშავო*****, ცხვირი ქორის ნისკარტივით; ნიკაპი გრძელი, წვეტიანი და მოკაეებულ; (СКУДЫ) გამოშვერილი, — ყოველივე საზიზღარი და საზარელი, განსაკუთრებით თვალები — შავნი, ანთებულნი*****. თვალები, რომელნიცა დაუცხრომელად მოძრაობაში იყვნენ, მაშინ ოდესცა სხვა ყოველნი სახის ნაკვეთნი კი დამშვიდებულნი გამოსთქვამდნენ თვით ჯოჯოკეთებრივსა (РАВНОДУШИЕ). „ვინ არის ესე?“ — ფიქრობდი მე, — ნასახიბაშია***** (ИНКВИЗИТОР), ავაზაკთ ატამანია, თუ ბოზა — სახჩობის თოკითგან გამომძვრალი. მგონია, რომ ქალაქის დაწვა, ყმაწვილის შამფურზე აგება***** ამისთვის იყოს შექცევა და ხუმრობა. არა ვჰმალავ, რომ მასთან მარტო ტყეში სიარულს არ მოვიდოდებოდა არაოდეს. ამ კაცსა, ეტყობა*****, თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ***** გაუშინია.

მარაჰა შევასციდი. წითელკაბიანი ყურს უგდებდა ყმაწვილკაცების უბნობასა და რამდენჯერჰე გაეცინა*****. მარამა, ღიერთო, დაგვიხსენ ესრეთის გაცინებისაგან! მის სიცილზე ტანში ერთანტელი მივლიდა. მეგონა სიცილის დროს თვით ჯოჯოხეთი იხსნებოდა*****. „ეს წითელკაბიანი, — ფიქრობდი მე, — თუ თვით სატანა არ არის, მაშ ეკუთვნის***** განსაკუთრებით ძეთა

* ამ სიტყვის ქვემოთ რუსულად წერია: „В МИНАХ“ (?). ** ვარიანტი: „მოხუცებული“. *** ამ სიტყვას ზემოთ აწერია „С ГЛАЗИ И“. **** ვარიანტი: „იყო“. ***** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „ЖЕЛТОСЫРУЮ“. ***** ამ სიტყვის ქვემოთ წერია: „СЕРЫКАМЫШ“ ***** ამ სიტყვის რუსული შესატყვისი იქვე: „НАЗАД“. ***** შემდეგ გადახზულია: „და შეწეა“. ***** ამის შემდეგ გადახაზ. „რომ“ ***** ვარიანტი: „არასოდეს“. ***** ვარიანტი: „გაიდი...“ ***** მთელი წინადადების ვარიანტები (გადახაზული): „აჲ მეგონა (რომ) თვით ჯოჯოხეთი იხსნებოდა; ესრეთი საყრველი მოძრაობა იწარმოებოდა (გამორიდებოდა); ამ გასაოცარის კაცის სახეზე ასეთი მოძრაობა შეიქმნებოდა“. ***** ვარიანტები: „არის“ და „აქვს“.

ჯოჯოხეთისათა“. და იფიქრეთ, რა ვნახე?.. ერთი ფეხი მისი, მარ-
ჯვენა, ჰქონდა როგორც ჩვენ, მართლმადიდებელთა კაცთა, ხოლო
მარცხენა – რალაკ კუნძსავით, ქვეშეთგან დაგრეხილი და დამა-
ლული მახინჯურს წილაში შესაკრავებით. თუმცა არა კოკლობდა,
მარაჟა ფეხსა ჰსდგამდა ფრიალ წყნარად*, თითქოს ეპარება**
რასჟეო. ფულით რომ ეჩვენებინა მას თავი თვისი, მაშინ თვით
ვოლტერნიც³ შეიქმნებოდნენ (СЪЕВЪРЯЕМЫИ)

ბრძოლა ისპანიისა სრულიად გავიდა ჩემის გონებითგან. თუმცა
ფუმზერდი გაზეიებს, მარა ვერა რასა ვხედავდი და სულ ქვეშ-ქვეშ
უყურებდი*** გასაოცარსა უცნობსა, რომელიცა სწორედ გულდა-
ჯგობით მეგონა ჯოჯოხეთითგან გამოსული.

ერთმა მოჩანდრაკე იაგანმან. ერთმაშად გახარებულმან მოგებისა-
თვის, შეჰსძახა: „ეხლა თქვენ ჰხსნა აღარა გაქვსთ****: წააგვეით!“
წითელკაბიანი მას დროს მიდიოდა სტოლის ახლოს****, შედგა,
შეხედა ცეცხლებრივის თვალებითა ქანდრაკსა***** და მასუკან მიუ-
ბრუნდა გახარებულს მოთაჟაშეს და უთხრა: „თქვენ შემკლარ-
ხართ*****. შემდგომად ორჯელ პაიკის წაწვევისა, თქვენ თითონ
შაჰნათი იქნებით“. გახარებულმა მოჩანდრაკემ გაიცინა მოგებაზე
დაჯერებულის სახით, ეგორემ თავი გაციქნია. რომ არსაით ეგონა
შველა*****, მერე დაფიქრდა, წასწია პაიკი... და მართლად
შესა ეხვევა***** შაათი***** უყო ტყუილად გახარებულსა.

მის შორის, ოდესცა მოჩანდრაკენი კიდევ ემზადებოდნენ და
სხმიდნენ პაიკებს სათამაშოდ, ერთმან ყაწვილთა კაცთაგან[ან]-
მან.***** ფანჯარასთანა მდგომიოებან. უთხრა წითელკაბიანსა:
„თქვენ, ბატონო, სულ გეცინებათ. ჰსჩანა*****, რომ ბაასი
ჩვენი თქვენც გასიამოვნებს*****. მარამა თქვენ სიცილზე

* ეპოინტი: „მარაჟა არა კოკლობდა და ფეხსა ჰსდგამდა...“ ** თავდაპირ-
ველად დაუწერა: „ქუდასავით“ *** ამის შემდეგ წაშლილია „ამა“. **** გა-
დახაზულია „თქვენ“. ***** თავდაპირველად ყოფილა: „წითელკაბიანი მას დროს
სტოლის ახლოს კიოდა“. ***** აი სიტყვის ნაცლად თავდაპირველად დაუწე-
რა: „თავაშობასა“. ***** ამის შემდეგ გადახაზულია: „თქვენ თითონ მართ
მაითი“. ***** გადახაზულია პირველი ვარიანტი: „ოქვინეულების ნიშნად მო-
გებაზედ“. ***** გადახაზ „პაიკის წაწვეაზე“. ***** ტექსტშია: „შა-
მაითი“. ***** ამის შემდეგ გადახაზ. „შდგომარემან“. * ***** სიტყ-
ვის პირველი ვარიანტი: „მეტუბათ“. ***** ეს სიტყვა თავზე აწერიდა
რუსულ სიტყვას „ВЗНАЕМЫИ“.

გეტყობათ*, რომ წინააღმდეგისა ჰაზრისა ხართ*** სოფლისა და საუკუნოებისათვის***. გიკითხავსა: თხზულება შელლინგსა?— „მიკითხავს“ — მიუგო წითელკაბიანი.

„მაშა თქვენის ღიმილითა რაი უნდა გამოჰსთქვათ?“

„ესე, რომ თქვენი შელლინგი არის ნახვილგონებიანი ნელექე***, რომელიცა ოცნებათა თვისთა ჰრაცხს ჰეშმარიტებად მხოლოდ ამით, რომ ვერ ვინ პასუხუბებს სხვაგვარად****, თუ არ ესრეთითავე ოცნებითა, რომელთა თანაცსაჰირო რისკვალად უფრო უმეტესი მახვილგონიერება. ფილოსოფოსნი, როგორც იყვნენ. ისრეთნივე არიან. ბრძანი ბაასობენ ყვაილთა ფეროვნებაზე*****, ყრუნი გარმონიაზე. მაკედონიის მამაცს[†] თუ დაჰსცალებოდა. ბოლოს მონინდომებდა კიბის მიღგას მთვარისადმი, რომ ეგებ ისიც დაეპყრა. ესრეთნი არიან ფილოსოფოსნიცა: არა კმაყოფილ არიან რა სამზღვრითა მით, რომლისა გარეშე ვერა გაჰსწვდების გონება*****, სობრძნითა თვისითა ფრად გადაჰსჰარბოიენ“.

ესრეთ უბნობდა წითელკაბიანი. აჰსტყდა ბაასი: ყმაწვილთა კაცთა უფრო უნეტეს დაიწყეს სიცხარითა უბნობა თვისი. მარამ იგი აღაო გაერია ნაჰ. ლაპარაკში, აილო შლიაჰა და წავიდა.

მის უამით***** ევლარსად უნ.ხე. მარამა მისი გასაოცარი სახე, ჯოჯობხეობრივის ნაკვეთებითა, დაჰშოა ჩემს გონებაში. ნეშინოდა***** და ახლა კი სრულეები მოულოდნელად, იღგა ჩემ წინა, ჩემს ოთახში.

„უკაცრავათ, — მითხრა მან, — თუ დაგიშალეთ რამე ჩემის მოსვლით. მგონია, თქვენ ხართ უფალი რობერტ ფონ... განა?“

„ღიან, სწორედ“, — მიუგე მე.

„რითა დამიმტკიცებთ მავას?“

„ეს რა უცნაური კითხვაა! — ვიფიქრე მე; უეკველად, ეს რომელი-

* პირველი ვარიანტი: „ღიმილი გამოაცხადებს“. ** პირველი ვარიანტი: „თქვენ ხართ სრულიად წინააღმდეგისა ჰაზრისა“. *** ამის შემდეგ გადაბ.ზ: „სრულიად წინააღმდეგისა ჰაზრისა“. **** ამ სიტყვას ხოსდეს ფრჩხილებში: „ჩიკა“. ***** გადაბ.ზულია ფრანზის პირველი ვარიანტი: „არვის ძალუძს პასუხუფოს მას სხვაგვარად“. **** ამ სიტყვის ზემოთ წერია: „ГЕБНУХ“. ***** შემდეგ გადაბ.ზ: „ფრად“. ***** შემდეგ გადაბ.ზ: „ვერსად“. ***** შემდეგ გადაბ.ზ: „მე“.

მე პოლიციის ჯაშუსთავანია“. ჩემს სტოლზე ეგდო ნახევარგახეული პაკეთი; ავიღე და უჩვენე მასზე დაწერილი გვარი ჩემი.

„ღიახ კარგი, — ჰრევა მან, — მარამა თქვენ ხართ ასეთის გვარისა, რომელიცა არის* თითქმის ყოველად საზოგადო: გერმანიისა, ვენგრიისა და პოლშის ყოველთ კუთხეში არიან ფრიად მრავალნი მაგ გვარისანი. არ შეიძლება, რომ სხვა რამე დამტკიცება წარმომიდგინოთ? მე თქვენდა საქე მაქვს. მე თქვენდა გამომგზავნის“.

„მოწყალეო ხელმწიფე! მიუგე ჯე. უკაპრავათ, მე ეხლა არა მცალიან სხვათა საქმეთა ჯვის**“. ვემზადები სამგზავროდ და მეც საკუთრივ ბევრი საქმე მაქვს***, რომელთაცა უნდა გარიგება. სხვებრ, მგონია, თქვენ შეჰსცდით და არა მე გინდივართ, არამედ სხვა ვინმე. ამისთვის, რომ მე აქაური არა ვარ და არცა ასეთი საქმე მაქვს, რომ სხვას ვისმე ვეჭირებოდე“.

დაშტერებით**** გამშინჯა თავითგან ფეხამდის და ჰსთქვა: „მართლა?“ და უნდოდა გასვლა, მარამა ცოტად დაფიქრდა, შედგა და დამიწყო კიდეც ლაპარაკი:

„მგონია, თქვენ გაქვსთ აქ, პრაგაში, სავაქრო საქმენი? თქენი***** ხომ არ არის ძმა, რომელიცა ჰსცხოვრებს ...ში და იმყოფება ცუდს გარემოებაში, რომ მოელის გაკუტრებას?“

ერთბაშად ავენთე ასე იის მოულოდნელის კითხვით, ამისთვის რომ ჩემის ძმის ცუდი მდგომარეობა ჯერ ერთმა სულმაც არ იცოდა, მისა და ჩემ გარდა. ამ დროს გამომსდელმან გაიცინა ასე ბოროტურებრ, როგორც თვით ბელზეფულმან⁵.

„ხელმწიფეო ჩემო! თქვენ კიდეც ჰსცდებით*****,— მიუგე მე.— მართალია, რომ მყავს მე ძმა, და არა მარტო***** ერთი, მარამა არცა ერთი პათგანი არც კი ჰფიქრობს გაკუტრებისათვის და არცა მოელის მაგგვარს საშიშსა რასმე საქმესა“.

„მართლა?“— წაჰოიბუტბუტა გამოჰცდელმან და მისნი ძვინებრნი, მკოელნი***** სახისა ნაკვეთნი შეიქმნენ კვალად უძრავნი.

„ხელმწიფეო ჩემო!“— უთხარ მე რომლისსამე წყენით*****.

* პირვ ვარიანტი: „შეიძლება“. ** შემდეგ გადაზახ: „მე“. *** გადაზახული ვარიანტი: „ჩემი საქმენიცა ბევრნი მაქვს“. **** ამ სიტყვას თავზე აწერია: „ПРАСТАВНО“. ***** შემდეგ გადაზახ: „ძმა“. ***** პირვ ვარიანტი: „შეჰსცდით“. ***** პირვ ვარიანტი: „მხოლოდ“. ***** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „სხვებრ“. ***** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „ჩინაჲ“

ამისთვის რომ ფრიად არ მიამა სხვისაგან სმენა ჩემის ძმის საქმეთ დახ-
ლართულობისათვის. და მეცა მეშინოდა, რომ მანქანებრივმან წი-
თელკაბიანის თავმან აქაც არ გამოაცხადოს, როგორც ჰინდ-
რაქში, თუ ვის მხარეზე არის სიმართლე.—„ხელწიფეო ჩემო! თქვენ
უქველად* არა იქ წარგზავნეს, სადაცა სავირო არის. უკაც-
რავათ, რომ გთხოვთ მალე გამომიცხადოთ** მიზეზი თქვენის
მოსვლისა. მე არა მცალიან,—ერთი წამიც არა მაქვს თავისუფალი...“

„მოითმინეთ ცოტას ხანს მაინც, მიპასუხა მან. მე უნდა გელა-
პარაკოთ ზოგიერთს მძიმე საქმეზე. თქვენ, გეტყობათ, ჰსწუ-
ხართ რილასთვისაც***,— როგორღაც შეშლილნი**** ხართ. ხომ
არა შეგმთხვევიათ რა უსიამოვნო რაიმე? თქვენ აქ ხართ უცხო
კაცი. თუმცა, მართლა, არც მე ვარ აქაური და ორი კვირის მეტი არ
არის, რა პირველად ვნახე პრაგა; მარამა ესე ნუ დაგაბრკოლებსთ
ჩემთანა გულწრფელობაში: მე ყოველშევე გამოსადევი ვარ*****,—
მქონან***** ღონისძიებანი... გამომიცხადეთ. თქვეცენ სახეზე გეტ-
ყობათ, რომე ხართ პატიოსანი კაცი. ფული ხომ არ გეჭირე-
ბათ?*****“

ამ დროს კიდე გაიცინა, ესე იგი*****, მოუქირა კბილები და
გაალო პირი—სწორედ***** თითქოს სულს მევაკრებოდა. უმეტეს
და უმეტეს ეზვი შემდიოდა თავში. ეუზნერდი კოკლსა მის ფეხსა
და როგორღაცა (судержный) შიში მაწუებდა*****. მსურდა რა
მალე მომეშორებინა თავითგან***** საშიში ესე სტუპარი.
უთხარ მას, რომ ფული არ მეჭირება.—„სხვებრ,—გჰსთქვი მე,—თქვენ
ასეთის დიდსულოვნობით მიცხადებთ ***** სამსახუ-
რა *****“, რომ ვალად ვრაცხ, რათა ვჰსცნა სახელი თქვენი.
გთხოვთ მიბრძანოთ...“

„სახელი ჩემი არარად გამოგადგებათ და არცა შეეხების ამ საქ-

* ამის შემდეგ გადახაზა: „წარგზავნეს“. ** პირვ. ვარ: „მოვითხოვ თქვენგან
მალე გამოცხადებას“. *** პირვ. ვარიანტი: „რალაზედაც“. **** ამ სიტყვას ზე-
მთო აწერია: „вас[е]троемъ“. ***** გადახაზა. ვარიანტები: „საქმის შეველა შე-
მიძლიან“ და „გამოგადგებიტ“. ***** პირვ. ვარ: „მაქეს“. ***** გადახაზა
ვარიანტი: „დაჭირება ხომ არა გაქვსთ ფულში?...“ ***** გადახაზა. პირვ. ვარიან-
ტი: „ანუ“. ***** შემდეგ გადახაზა: „ისოე“. ***** ამ სიტყვას ზემოთ
აწერია: „всапокиа“. ***** შემდეგ წაშლილია: „ესე“. ***** ამ
სიტყვას ზემოთ აწერია: „преднагае“. ***** შემდეგ გადახაზულია
„თქვენთა“.

მეს. მე მიწოდებენ დემონადნ. ახლა რა? როგორ გგონიათ: სახელი ჩემი გყოფსთა ჩემთახა გულწ-ფელად?*

„დემონადნ?“ წაპოვიდახე* მე და ასე ძლიერად ავირიე, რომ არღა ვიკოდი, თუ რაი მეთქვა. ვერ მიმხედარეიყავ, მეხუჭრება თუ არა? ამ დროს დამირაკუნეს კარები. შემოვიდა სახლის პატრონი და მომიტანა პოჩტიფან წერილი. რომელიცა მე გამოვართვი.

„წაიკითხეთ,— მითხრა მე წითელკაბიანმან. ჩვენ შემდეგაც შეგვიძლიან მოვილაპარაკოთ წუილი :გე უნდა იყოს პატივსაცემის** და საყვარელის თქვენის ფანისაგან“.

შიში უფრო და უფრო შეძატებოდა! ძნელს მდგომარეობაში ვიყავ.

„ეხლა იცითა?“— მითხრა კვლად წითელკაბიანმა თვისის*** მოპაკედანებელის ღიმილით: „იცითა, თუ ვინა ვარ მე და რაი მსურს თქვენგან?“

კინალამ არ წარმომცდა: „შენ ხარ სატანა და გსურს ჩაიშტება-რუნო საბრალო ჩემი სული!“ მარაჰა არა ვპსტქვი, რომ სულელად არ ეჩვენებინა თავი ჩემი.

„გეტყვიო უფრო უბეტესს, მითხრა მან. თქვენ მიდიხართ კ...ში (и выехи к:тати). მეც უნდა გავიარო იმ ქალაქზე არ ინებებთ ერთად წასვლას? ძე მივალ ხვალ და ჩემს კალასკაში თქვენთვისაც ადგალი იქმნება“.

მადლობა უთხარ და უბასუხე, რომ მე**** დილიდანში დავიკირე ადგილი.

აქ შეიკუმუხენა წარბები და მითხრა: „რა არის*****, ბატონო? კაცი თქვენ ვერას რაში დავიყოლიებთ! სწორედ გეტყვიო. ფრიად ძსურდა გავლაზე მეხილვა თქვენი ყაწვილები, ლეოპოლდი და აგვისტო! ნუაუ ეხლაც ვერ მიმხედარხართ, თუ***** ვინა ვარ მე და რაი მსურს?***** პითხარით ჰაინც რამე; ნება მომეცით***** როპე გაჩვენოთ***** სამსახური ჩემი...“

* პირე ვაზიანტი: „შეკვკელე“. ** თავდაპირველად დაუწერია: „თქვენის“. *** თავდაპირველად: „თვისი“. **** თავდაპირველად: „ფრიად ამაღლობთ, უთხარ მე“. ***** თავდაპირველად: „როგორია“. ***** არის შემდეგ წაშლილია: „მე“. ***** ამის შემდეგ რუსულად წერია: „...“ и:тати“. ***** შემდეგ წაშლილია: „შემთხვევა“. ***** თავდაპირველად: „გამოგვიცხადოთ“.

„ეჰ, აგრე იყოს!—უთხარ მე ბოლოს. თქვენ თუ ხართ ჯადო*, მაშა მიშეელოთ ჩემს მწუხარებაში. ბუმეჩნიკი დაჩეკარგა და არ ვიცი სად ვიპოვნო...“

„აბა ბუმეჩნიკი! რა დიდი საქმეა! არა შეიძლება, რომ უფრო სხვა რაიმე უჩეტესით...“

„არა ბუმეჩნიკი არის ძვირფასი ჩემთვის, არამედ თანასუქი ათას ხუთასის ტალერიაა, რომელიცა იღვა მასში. მიოჩიეთ. თუ რაი ვაქმნა?“

„როგორი იყო ბუმეჩნიკი?“

„მომწყანო, ნაპიობზე აბრეშუმით ნაქერი, ჩემის ვენზილით. ჩემა ცოლმა გამიკეთა“.

„მაშა თქვენის ცოლის ხელსაქმე** უფრო უძვირფასესია ათას ხუთას ტალერზე განა?*** კიდევ გაიცინა და მიჩვენა ეშმაკეული მეგობრული სახე; შემდეგ ჰსთქვა: „ადრევე მეტყოდით მაგას! ოასაკურველია უჩემოდ არ შეიძლება მაგ საქის გაჩეგება. რას მომცემთ, რომ თქვენის დანაკარგის მაგიერი მოგიოუნოთ?“

ამ დროს ასე მკვირცხლად და გასაოცრად**** მეპობხედა, რომ თითქოს ელოდა, რომ მეთქვა: მოგცემ ჩემს სულსა! მარამა, მე დაფჰტიქრდი რა და ვერა ვაბედავდი პასუხის ძიგებასა, მაშინ იმან ჩაიყო ჯიბეში ხელი და აპოილო ჩემი ბუმეჩნიკი.

„აჰა,—სთქვა მან.—მიიღეთ საუნჯე თქვენი ათას ხუთასის ტალერით და ყოველივე რაიცა გეკუთვნის“.

„მართლა?—წამოვიძახე*****,—საიღამ ჩავივარდათ იგე?—გავშინჯე რა ბუმეჩნიკი, ვაპოვე ყოველივე სრულებით და კინალამ არ გამაგეფა სიხარულმან.

„გუშინ, სადილის უკან,—ჰსთქვა მან,—მოვდიოდი მოლდავის ხილზე, ვნახე ბუმეჩნიკი და შევინახე“.

— „მართლა, მას დროს მეც იმ ხილზე გავიარე. მახსოვსცა, რომ ამოვიღე ბუმეჩნიკი, მარამა ჩავიღე კიდევ ჯიბეში...“

* თავდაპირველი ვარიანტი: „თუ თქვენ ხართ ჯადო“. ** წიშლილია: „ხელნაკერი“. *** ამის შემდეგ წაშლილია: „მართალია თუ არა?“ **** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „ყ.ჩ.ჩ.“ ***** პირველად ეწერა: „შეგჭიკელ“.

„უთოოდ როგორმე გაგვარდათ. ერთს საათამდის* ვიდექე მას-
ვე ადგილს ხიდზე და ვიყურებოდი ყოველს მხარეს, რომ ეგებ მობ-
რუნებულოყო ვინმე საძებნელად, მარამ არაფერს გამოცხადდა და
მეცა წაველ შინ. გაეშინჯე რა წერილნი შესატყობლად, თუ ვისა
ეკუთვნებოდა, ვნახე, ერთში ეწერა თქვენი სადგომიცა. ამისთვის პირ-
დაპირ მოველ თქვენდა. გუშინაც ვიყავ აქა, მარამა არა იყავით
თქვენ შინა“.

ღმერთო ჩემო! კაცის სახე როგორ მომატყუებელია! ახლა ჩე-
მის ღემონის საკოცნელადაც მზად ვიყავ. ყოველ ვე, რაც კი
შემეძლო მადლობა გამოსაცხადებლად, ყოველივე უთხარ. როგორც
უწინ ვჭწუხდი, ისე ეხლა მიხაროდა. მარამ მან არაფერი მოძინებინა.
„მომიკითხეთ თქვენი ტურთა ფანნი, მითხრა მან. მსურს თქვენთვის
ხედნიერებითი მგზავრობა. როდისმე ვნახავთ ერთმანერთს“.—ესე
ჰსთქვა და გავიდა.

გასათკარი კაცია! სწორედ მოჩვენებასავით გამომეცხადა.

ღაბრუნება და მისვლა**

ყოველივე მქონდა მომზადებული წასასვლელად***. სახლის პატ-
რონს უყავ ანგარიში****. ჩემა ბიჭმა აიკიდა პატარა ჩემი ჩემოდანი
და წინ წამიძღვა. მარამა კიბეზე, სრულიად მოულოდნელად, შემ-
პხვდა ჩემი ძმა—იგი, რომლისა საქმეთათვის ვიყავ მოსული***** მე
პრაგას.

რასაკურთველია, რომ მაშინვე დავშალე წასვლა. შევედ რა ჩემს
ძმასთან ჩემს ოთახში, ვჰსცან დიდის სიამოვნებით მისგან, რომ ცუდ-
ნი მისი მდგომარეობანი შეიცვალნენ მისთვის კეთილად. თუმცა ერთს
ადგილს დაეკარგა დიდი თავნი, მარამა მეორეში უფრო უმეტესი
მოეგო; და მისთვის თვით მოვიდა პრაგაში კარგათ საქმეთა გასა-
რიგებლად. „ეხლა მოსვენებითა ვარ,—მითხრა ძმამ,—მარამა ნეტა-
ვი იცოდე, თუ რაოდენი მოვითმინე! სიმწარე, შეწუხება, სასოწარკ-
ვეთილება—მგლეჯდნენ მარად წამს. არა, ახლა აღარ დავჰსტანჯავ

* პირველად ეწერა: „დიდი ხანი“. ** ამ ქვესათაურს ხეშოთ აწერია: „Ориг-
иналь путь“. *** თავდაპირე: „მოვემზადე წასასვლელად. წასვლისათვის“. ****
გადახაზულია: „გავესწორდი“. ***** თავდაპირველად დაუწერია: „მოველ“

ჩემს თავს: გამოვესალმები ვაქრობას. ფულს გავჰსცემ სარგებლით და ვიქმნები კმაყოფილ მცირედითაც. ესე ჰსჯობს ყოველ დღე შინით ცხოვრებას: დღეს ატრიალებ მილლიონებს და ხვალ კი ხარ გლახა და მტყუანი.* ახლა მოველ პრაგაში, შენდა** მადლობის სათქმელად, საყვარელო ძმაო, და რათა³ ეს გავფრიგდღე ყოველთა—ფრთოვანის მერკურის⁴ მოსამსახურეთა“.

მეც უნდა მეტრანტალა მასთან ქალაქში. მარამა ჩქარა კი შემამცნია, რომ ვჰსწუხდი შინაურებისათვის. ამისთვის მითხრა: „წადი, ძმაო, შინ. ტყუილად ნუ ჰქარგავ დროს***, ამიტომ რომ ჩემთ საქმეთ მალე მორჩენის იწვედი არა მაქვს****. მეც ალარ მოვიცადე: მოგაყვანიხე პოჩტის ცხენები და გავჰსწიე შინათკენ.“

გზაზე კიდევ ჩემის ფიქრითგან არ გადიოდა უცნაური დემონი*****. წითელი მისი კაბა, კოკლი ფეხი და საზიზლარი სახე ვერ დაევიწყე. უთოოდ, ვფიქრობდი მე, ქოჩორ***** ქვეშ, რომელიცა აშვენებს მის შუბლსა, დამალულია პატარა რქა. თუ ეს ასეა, მაშ სწორედ ველზეფულია და, ნგონია, რომ სიზმარშიაც არავის მოსჩვენებოდეს ესრეთის (пещероужный) სახით.

თუმცა, მართალია, რომ***** მომიბრუნა ჩემი ბუმბენიკი და ესე არს უეგელი დამტკიცება ჭეშმარიტისა პატიოსნებისა. მან წარიკითხა ფანჩისა***** და ჩემის ძმის წერილნი, წარიკითხა (ინსტრუქცია), რომელიცა იყო ჩემდა მოცემული საქმეთა გასარიგებლად. ამისთვის საკურველი აო არის, რომ იცოდა კარგად ყოველნი ჩემი საიდუმლონი. მარამა სახე მისი,—არა! შეუძლებელია, რომ ბუნება იყოს ესრეთ დაუდევნელ*****. რომ აწარმოოს ამისა მსგავსი რაიმე. მოკლედ ვჰსთქვა: მეფისტოფილის⁶ როდისმე ყოფნა თუ კი მგონებოდა, მაშინ***** მას დროს***** სწორედ დავერწმუნებოდი.

ესრეთთა ფიქრებთა მივეც თავი ჩემი, და არა ვჰმალავ, რომ შიამებოდაცა. ამა ფიქრებთა გამო მოწყენილად***** არ ვიყავ მაინცა. პატიოსანი ესე დემონი,—ვჰფიქრობდი მე,—დაეჰსდეთ, რომ

* ხემათ აწერია: „оцнхмшмшн“. ** გადახაზულია: „ამისთვის, რომ“. *** გადახაზულია: „მითხრა, ძმაო, არ დაგიკერ“. **** ვარიანტები: „მალეთ საქმეთ შესრულებიას“ და „მოვრჩე ჩემთ საქმეთ“. ***** ამის შემდეგ წაშლილია: „ვერ დავივიწყე“. ***** ამის ქვემოთ წერია: „под [...]“. ***** ამის შედეგ წაშ.: „ჩემი“. ***** ამის შემდეგ წაშ.: „წერილინი“. ***** ხემათ წერია: „депрднрнрнн“. ***** ამის შემდეგ წაშ.: „უეკველად“. ***** ამის შემდეგ წაშ.: „არლა“. ***** ამის შემდეგ წაშ.: „მაინც“.

იყოს ჰსწორე დემონი (ეშმაკი),—დაეჰსდვათ, რომ პატიოსნება მისი. იყოს მხოლოდ ძანქანებისა მახე, რომლითაცა ჰსურს შეიპყრას საბრალო სული ჩემი. იაშინ რა? რით შემაკდენდა?—სიმდიდრითა?.. არაოდეს არ ვჰყოფილვარ ვეცხლის მოყვარე. ხელმწიფობითა და ძლიერებითა? რქნება მიმელო ესენი ერთის კვირით, რათა მთელს ქვეყანაზე აღმედგინებინა მშვიდობიანობა და შემდეგ მივიქცეოდი კვალად (உடிமையு) ჩემს საცხოვრებელში და, ვითარცა* მეორე ცინციზატი⁹, საკუთარის ჩემის ხელებით შევამუშავებდი ჩემს მიწას.—მშვენიერის** ქალებით? მთელი პარამხანა რომ აღავსოს ელენებით, არიიდებითა და ამანდებითა?..¹⁰ მაშინაც არა! როდისაც ნავონდების*** ტკიბილი კოცნანი ჩემის ფანისა, მაშინ თვით უმშვენიერესი ჩერქეზის ქალიც ჩემს თვალში**** არარად გამოჩნდების. ქვეყანაზე არარისათვის მოვიდნომებ, რომ ვიყო დოკტორი ფაუსტი¹¹. და რა საჭიროა ჩემთვის? მე ვარ ბედნიერ!—ბედნიერ? არა, არა ვარ სრულად ბედნიერ, ამიტომ რომ ვარ ფრიად ბედნიერ! შიში, რომ ვაითუ მომაკლდეს***** საყვარელთაგანი ვინმე*****—ანუ ცოლი, ანუ შვილი და ანუ თვით მე შთაიარღე სიკვდილის ცელსა ქვეშე,—შიში ესე ძლიერად ნაწუხებდა. და ვინ იცის, ყოველივე ჩვენ შევეერთდებითა კვლად სამოთხეში? ნეტავი შეუძლოს ცნობა მყობადისა... დაეჰსდვათ, რომ სატანამ აღმითქვას აღსრულება ამა წყნარისა წადილისა ჩემისა; მაშინაც, შემდგომად სამოთხებრივისა ჩემისა ცხოვრებისა, რას დამანახებებს***** შორით ანდრემელეხის¹² მსახური*****, თუ არ ჯუროღნულსა თვისსა?...
 აი. თუ ვითართა [...]***** ოცნებათა გზაზე მოიცვეს გახურებულნი გონება ჩემი!

პრაგითვან ჩვენს ქალაქამდის ორ დღემდის სავალია. მივდიოდი თუმცა დაუსვენებლივ, მარამა მეორე დღის სალამოც მოახლოვდა და მე ჯერ***** კიდევ ვერ მივახლოებულვითყავ. ვეჩხუბებოდი სტანციებზე, ვაჩქარებდი***** პოჩტალიონთა ხან სიტყვით, ხან ფულისით, მარამა ვერა გავაწყე რა! დამიღამდა; არე უმეტეს და უმეტეს

* პირვ. დაუწერია: „შევიქმნებოდი მეცა“. ** პირვ. დაუწერია: „ლამახის“. *** პირვ. დაუწერია: „მოვიფიქრებ“. **** შემდეგ წაშლილია: „არლა მტყუნების“. ***** შედევგ წაშ.: „ვინმე“. ***** ვარიანტი: „ჩემთაგანი“ ***** წაშლილია ვარიანტები: „რაი შეუძლიან“ და „რა[ს] მაჩვენებს“. ***** შემდეგ წაშ.: „მაჩვენ“. ***** წერია გაურკვევლად რუსული სიტყვა. ***** შემდეგ წაშ. ზოგჯერ ვიყავ არა კიდევ, არა არლა“. ***** ვარიანტი: „ვაშუობდი“

ბნელდებოდა. ახ, სამი თვეა. რომ არა მიხილავს სასურველი* ჩემი ფანნა, საყვარელს** თვისის ყმაწვილებით. ცოცხლად წაომოვი დგენდი ჩემს გონებაში შეყრასა ჩვენსა და მოუთებნელობაა ჩემი მარად წამს მიმატდებოდა. ახ როგორ მოგებხვეი ათ! როგორ მივიკრავ ჩემს გულთან უმშვენიერესსა დედაკაცსა! ვითარ' ბედნიერება არის მისთვის, ვისაცა ჰყავს ნარნაოდ შეყვარებული ცოლი!

თუქცა, მართალია რომ უწინ, მანამ ვიცან ფანნი, გული ჩემი ერთეულ ეტრფოდა*** სხვასა. მე მიყვარდა იულია. მარაჲა ეს ამაყთა მშობელთა განგვაშოოეს: იგი მიათხოვეს ეოთს მდიდარს პოლშელს [სტაროსტას]¹³. სიყვარული ესე იყო ჩვენ ორთათვის ჯეო პირველი. ესრეთ ძლიერად გვიყვარდა ურთიერთი, რომ დანწარებულმან ბედმან კინალამ არ შთაგვაგდო ჩვენ სასოწარკვეთილებასა შინა. და გავშორდით რა. შეგვჭყიტეთ, რომ**** უთიერთი გვიყვალდეს, გვიყვარდეს, ვიდრე ვართ ცოცხალნი და, თუ შე იღებოდეს. შეიდეგ სიკვდილისაც. მხურვალეთა კოცნათა და ცრემლთა დაბ; ჰდეს ფიცი ჩვენი. მარაჲა ყოველთა იციან. თუ ვითარ აღ რულდებთან ესოეთნი ფუცვანი. იგი შეიქ ნა მდიდარი პოლშელის აზნაულის ცოლი. ხოლო მე ეახილე ფანნი. სიყვარული ჩემი ყანისადაღნი იყო არა შინაგვირვი****, არა ჯდ ეღეტეს ნარნარი. უნეტეს კეთილშობილი*****. იულია იყო ოდესმე: საგანად***** ჩემისა გონებისათვის; ნარანა ფანნი შეიქმნა უსიამოვნესი საზრდო***** გულისა ჩემისათვის.

შუალამილამ გავიდა ერთი საათი, შეველ რა ჩვენის ქალაქის დაძინებულთ ქუჩებში. პოჩტის სახლში შეველ და დაუტრევე მუნ ჩე-ი წსახური***** ჩემის ჩემოდანით, ამიტომ ომ მეც ეაპირებდი***** აქვე გაბრუნებას, თუკი ჩემს სახლში ყველას***** ვჰპოვებდი მძინარედ გავარიგე რა ასრე. წაველ გარეთუძანს, რომლისა ბოლოზე პატარა სახლი ჩემი შთვაოის სინათლეზე ჰსჩნდა შორითგან, რტოებთ-გარდამლილის ნიგვზის ჩრდილით.

* ვარიანტი: „საყვარელი“. ** ვარიანტი: „სასურველი“. *** ვარიანტი: „ეკუთვნოდა“. **** შეიდეგ წაშლილია: „ერთმანეთს“. ***** ან სიტყვას ზეით აწერია: „ИСТУПИЛИСЯ“. ***** ზემოთ აწერია: „УЛГОРОДИНА“. ***** ზემოთ აწერია: „ИДЕЯ“. ***** ზემოთ აწერია: „ПОТРЕБОВАТЬ“. ***** კ რველი ვარიანტი: „მსახური ჩემი“. ***** წაშლილია: „ძიადოდა აქვე გაგებრუნებულყავი, თუ კი ვნახავდი, რომ ჩემს სახლში; აქვე მიგბრუნებულეოვ ვ“. ***** წაშლილია: „ეძინებოდა“.

(Посещение)

მიველ ჩემს სახლთან; ყველა[ს] ჰსძინავს! ახ, ფანნი, ფანნი! ჩემი ესრეთ ახლოს ყოფნა რომ გკოდნებოდა*, წამსავე ამას რომ მიველე შენს ხევენაში, რაოდენთა ტანჯვითა და ვითარისა შიშისაგან დამიხსნიდი მე!—რამდენჯერმე შემოუარე სახლსა: არსადა ჰსჩანს სანთელი, ყველგან დაკეტილია** კარები! არ მინდოდა დამეშალა მოსვენებითა ძილი ჩემისა სახლობისა. უმჯობესია, ვფიქრობდი მე, რომ პირველთა მზისა სხივთა განანათლონ სიხარულევენი შეყრა ჩვენი, ამიტომ რომ შეულამისასა ესრეთსა შეყრასა*** დააკლდების სიამოვნება.

სიხარულით ვნახე, რომ კარი ბალის ბესედკისა არ იყო დაკეტილი. შეველ. სტოლზე იდგა ჩემის ცოლისა ხელსაქმის ყუთი; ძირსა აქა-იქ ეყარნენ ჩემის შეილების სათამაშონი, უთოოდ აქ განუტარებიათ საღამო. ახ, ვითარ მიხაროდა საშუალ ამ წერილმანკთა მოწამეთა ჩემისა ბედნიერებისაა. მე მეგონა, რომ უკვე ვზივარ ყოველთა ჩემთა საყვარელთა შუა. აქ მომინდა ღამის განტარება და დევწექ (სოფაზე). ღამე იყო თბილი. წყნარმა მთვარისა შუქმა და ხეებთა სუნნელებამ შემიყვანეს ტკბილს თელემაში.

ვისაც ორი დღე და ღამე განუტარებია უძილოდ, მას**** ყოველი ქვეშაგები***** ეჩვენების რბილად. დაღალულობისაგან მალე დამეძინა. მარამა, რა დავხუცი***** თვალეზი, ერთბაშად მომესმა კრიალი ბალის კარისა. წამოვხტი; ვნახე შემოსული კაცი ჩემს გონებაში მაშინვე ქურდად შევრაცხე; მარამა რა დავაკტერდი, იფიქრეთ ჩემი ვაოცება, რომლისა არც გამოთქვა და არც აღწერა ძალმძის! ესე იყო ძეგობარი ჩემი—წითელკაბიანი!

— „საიღამ გაჩნდი?“—იყო პირველი ჩემი კითხვა.

— „ჩარავითვან. ამ ქალაქზე გაჩოლე. ნახვეარ საათს უკან ვაპირებ წასვლას. მე მინდოდა აღმესრულებინა ჩემი აღთქმა*****—მენახეთ თქვენ და თქვენი ფანნა. თქვენმა მოსამსახურემ შითხრა, რომ თქვენც ეხლა მოხვედით და წახვედით შინ. მე მეგონა, რომ ვპაპობდი აქ დიდს არეულობას თქვენს შეყრის დროს, მარამ მოვპ-

* წაშლილია: „იყოღე“. ** ავტოგრაფშია: „დაკეტილია“. *** წაშლილია: „დავშალო მათი მოსვენება“. **** წაშლილია: „მისთვის“. ***** ავტოგრაფშია: „ქვეშაგები“. ***** წაშლილია: „დამეხუტენს“. ***** წაშლილია: „სიტყვა“.

სტყუელი. თქვეხ, ზართლა, აქ აპირებით ძილსა? როგორ შეიძლება ასეთს ნოტიოში? ციება კი არ გამოიძინოთ?“

მე გამოველ მასთან ბაღში. ასე შემაშინა ესრეთმა* ანაზღეულმა მის გამოცხადებამ. რომ სრულიად ვერთოდი. ჩემთვისაც ზართლა სასაცილო იყო ესრეთი (судебный) შიში; მარამა ვერ დავიხსენ კი თავი ჩემი მისგან. კაცი ასეა დაბადებული!.. მკრეღნი** ნაკვეთნი ჩემის პრაგელის მეგობარის სახისა მთოვარის სინათლეზე უფრო უსაშინელესად ჰსჩანდნენ, ხოლო თვალები მისნი ესრეთ ანათებდნენ და ხტოდნენ, რომ ვერ გამებედნა სწორედ შემებედნა მისთვის.

— „რა ძალიან შემაშინეთ!—უთხარ მე მას. მხედავთა, თუ როგორ ვჯანკალებ. საიღამ იცოდით ჩემი ამ ბესედკაში ყოფნა, რომ პირდპირ აქ*** მეძებდით? თქვენ თითქოს იყოთ ყოვლად მცოდნე“.

თავისებურად გაიცინა მან და ჰსთქვა: „იციითა ეხლა, თუ ვინა ვარ მე და რაი მსურს თქვენგან?“

— „მე ეხლაც ისე მცირედ გიცნობთ, როგორც პრაგაში. მარამა ხუმრობისათვის გეტყვით თქვენ როგორათაც იქ მეჩვენებით, თუ არ გეწყინებათ; ეს თუ ჯაღო არ არის, ვფიქრობდი მე მაშინ, მაშ უქველად თვით სატანაა“.

კიდევაც ბორტმხიარულებრ გაიცინა! „ხუმრობისათვის ვჰსთქვით, რომ ნათქვამი თქვენი იყოს მართალი,—მითხრა მან,—მაშინ მოინდომებდითა ჩემთან საქმის დაქერასა?“

— „მაგ შემთხვევაში გმართებსთ თქვენ, რომ მოამზადოთ ჩემთვის მრავალგვარნი**** მანქანებისა***** მახენი, ამიტომ რომ გარწმუნებთ, უფალო სატანავ, — ხუმრობისათვის ნება დანართევით გიწოდოთ ესრეთ,—რომ მე ვარ ბედნიერ და არა რაი არს ჩემთვის სასურველი“.

„ოჰო! თქვენს ცთუნებას არაოდეს არ მოეინდომებდი. მაგას ჰხმარობდენ უწინდელს დროში, როდესაც კაცთა ჰსჯეროდათ არაწინდათა სულთა გამოცხადებანი და, მით უმეტეს, ერიდებოდნენ***** მათ.—მაშინ არ იყო სხვა ღონისძიება მის მეტი, რომ უნდა (вечные переживания). მარამა მის დროით, რა კაცთა იწყეს ბრძენობა, კაპობრივნი სულნი ფრიად გაიაფდენ“*****.

* წაშლილია: „ვეელა ასო მითრთოდა“. **ზემოთ აწერია: „решето“. *** წაშლილია: „ამ ბესედკაში“. ****თავზე აწერია: „размышл(?)“. ***** თავდაპირველად: „გამოცდისა“. ***** პირველი ვარიანტი: „შინოდათ მათი“. ***** პირველი ვარიანტი: „კაცისა სულნი დიან იაფი შეიქმნა“.

— „მაინც ჩემი სული არ არის ეგრეთ იაფი, თუმცა გარწმუნებთ თქვენ, რომ ველზევეულსა ვპრაცხ. ვითარცა მრავალნი, ზღაპრად. მისხალი გონებისა უმეტეს იწონის*, ვიდრე პული ამოა დაჯერების (судебная)“.

— „აბა, კიდევ ეგ არის**, რომ თქვენს თავზე გულდაჯერებით გაქვსთ დიდი იმედი***, თქვენ მოკვდავნი!— ნება დაბრთვეით, რომ მეც**** გელაპარაკოთ იმ სახით, რომელიცა თქვენვე მომეცით.— და ეგ აულდაჯერებითი იმედი თქვენი მოუპოვებს ჯოჯოხეთსა უფრო უმეტესთ რეკოლუტთა, ვიდრე ათასნი მოკვარობელნი სატანის ტანისაშოსით. მის დროით, რა თქვენ თვით შერაცხეთ საუკუნოება მხოლოდ ერთ (ერთხანა) და ჯოჯოხეთი — ზღაპრად*****; მის დროით, რა თქვენ პატროსნება შეადარეთ***** ჩლუნგ გენებასა; სიტკბოსმოყვარებას უწოდებთ მხოლოდ საყვარელ სიამუსტედ; თავის შეყვარებასა—სულისა სიამაშაცედ; გულსმოდგინებასა საზოგადო სარგებლობისადმი—სისულელედ და მანქანებრივთა გარყვნილების მოქნილებათა*****—აჲ სოფელში ცხოვრებია ცოდნად.—ის დროით არღა არს დიდი სიძნელე თქვენ შესაპყრობლად***** ჯოჯოხეთისა (жужихи) ში. კეთილგონიერება გაქვსთ ენაზე. ხოლო გულში კი ათასნი ენებანი გფლობენ***** თქვენ. თვით უწმიდესი თქვენგანი არის იგი, ვისაცა შეხვდა ცოტა შემთხვევა შეცოდებისათვის .

— ეგ უკვე სწორედ სატანისეულია!— შეპესძახე მე.

„ნართლა?“ .სთქვა წითელკაბიანი სიცრულით უწინდელებრ. „ნართლა ჩე კი ვაზობ ნართალსა*****, სახელდობრ, ამიტომ, რომ***** თქვენ არ გჯერათ სინართლე. ვიდრეცდის კაცთა ჰსწამდათ სინართლე. მაშინ ჩვენ, ჯოჯოხეთისა შთამომავლობათა, უნდა გვეხმარა სიცრუე. ახლა უკუღმა: ჩვენ, საწყალნი ეშმაკნი, უნდა ბარადის დიუთთ კაცთა (автицодами)“.

* წაშლილია: „უმიძიმის[აღაცა(?) არს“ ** შემდეგ წაშ: „თქვენ მოკვდავნი“ *** შემდეგ წაშ: „თავსახედ; თქვენ თავზე“ **** შემდეგ წაშ: „იმ სახით“, ***** შემდეგ წაშ: „აღმოსავლეთის ბთხრობათა“. ***** პირე ეწერა: „მოუცვით გვერდნი“. ***** ზემოთ აწერია: „უკვობა“ ***** პირველი ვარიანტი: „შეპყრობისათვის“. ***** წაშლილია: „ხელმწიფობქვს“. ***** პირ. ვარიანტი: „სინართლეს“ ***** პირე ვარიანტი: „ამიტომ რომ, სახელდობრივ“.

— „მაგ შემთხვევაში თქვენ მაინც* არ იქმნებით ჩემს მეტოქედ**. ამიტომ რომ, უფალო ეშმაკო ფილოსოფოსო, მე მაგაში ვეთანხმები თქვენს პაზრსა“.

„აა. რახან აგრე ჰსთქვით, მაშ მოგილოცავთ, თქვენ უკვე მე შეკუთვნილი. ვინც მაძლევს მე ერთს ბეწვსა, მან მომცა უკვე მთლად თავიცა. მარამა მშვიდობით, აქ ნოტიოა და, მგონია, რომ ჩემი ცხენებიც მზად იყვნენ?“

იგი წაიდა. მე გავაცილე პოჩტის სახლამდის, სადაცა მართლად კალასკასა აბამდნენ.

„არ ამოხვალა*** ჩემთან ჩაღლა გოსტინიცაში (სასტუმრო-ში)?,—მითხრა მან; გამოსალმებისათვის დავლიოთ თითო სტაქანი ფუნჯი“.

მე ვეთანხმე და ჩემთვისაც სასიამოვნო იყო გათბობა თბილს ოთახში.

გ ა ნ ს ა ც ე დ ი

ფუნჯი მზად იდგა სტოლზე. შევედიოთ რა გოსტინიცაში (სასტუმრო). ვილაცა მგზავრი, მალალი და გამხდარი სახისა, ხანში შესული კაცი, წ-ნ და უკან დადიოდა ოთახში, ეტყობოდა მას დაღალულობა და იყო შეკმუხენილ. სკამებზე ეწყო ნიფთნი; მათ შორის შევაკინე დედაკაცის შალი, ჩალის შლიაპკა და გრძელნი (шпатель) პერჩატკები.

ჩვენ დავსხედით და დავიწყეთ სმა ფუნჯისა. ამ დროს შემოვიდა მსახური. „როდესაც ქალბატონი მოვიდეს, უთხრა მას მალაღმა, გამხდარმა კაცმა, მოახსენე, რომ მე დავსწუქ დასაძინებლად: ჩვენ ხვალ ძალიან ადრე გავემგზავრებით“. ესე ჰსთქვა და გავიდა. მეც ეგრეთვე არღა მოვიდნომე მიბოუნება**** ჩე:ს ბალის ცივს ბესედკაში: დავამზადებინე ჩემთვისაც ოთახი და ქვეშსაგები და***** ამოობა-

* ამის შემდეგ წაშლილია რამდენიმე ვარიანტი: „ვერ მიწოდებთ“, „ვერ შეგიძლიანთ“ და „ვერ მეწინააღმდეგებთ“. ** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „ПРОТН-ВНЖ“. *** პირე ვარიანტი: „არ შემოხვალთა...“ **** ამის შემდეგ წაშლილია: „ყოფსა“ ***** ამის შემდეგ წაშლილია „ამასთანავე“.

შიაც, ჩემს ამხანაგთან ლაპარაკში, დიახ მართებულად ვცლაპამდი⁰ ფუნჯსა. ფუნჯმა გამათბო და გამამხნევეა. შევასრულეთ რა ორორი სტაქანი, ჩამოვედით ჩვენ ძირსა. ცხენები მოიყვანეს და წითელკაბიანიც, ჩაჯდა რა კალასკაში, წითხრა: „მშვიდობით. კიდევ ვნახავთ ერთმანეთს“. და ცხენებმაცა მოიტაცეს იგი ქარივით.

შეველ კიდევ გოსტინიცაში. ვნახე დედაკაცი, რომელიცა იღებდა სკამითგან შალსა, შლაპას და პერჩატკებთა. მოიხედა მან ჩემკენ; მეც დავაკტერდი და არ უჯერებდი ჩემთ თვალთა. ესე იყო იულია, ჩემისა სიყვარულისა პირველი სავანი. თუმცა შემდეგ ექსცან, რომ იგი მიდიოდა თავის ქჩრით იტალიაში. სადაცა მიიზიდვიდა მას სურვილი მხარისა აზის ხილვისა. მარამა მას წამსა სრულიად ვერ მომეფიქრებინა, თუ საიღამ აღჩნდა აქ, და ამა ანაზღეულობითა** ვიყავ ძლიერად აღრეული. იგიცა ეგრეთვე.

შემდგომად მოკლედ*** დადუმებისა, ჰსთქვა მან: „ეს რომბერტის ჩრდილი ხომ არ არის?“

— „იულიავ!“—წამოვიღულულე**** და ვიგრძენ, რომ აღენთო ჩემ შორის ცეცხლი უწინდელისა სიყვარულისა: ესრეთ მოულოდნელ და ესრეთ დაბატყვევებელ ***** იყო ჩემთვის შეყრა ესე!—მე ვფიქრობდი თავაზიანად და პატივისცემით მისვლას მისად, მარამა მის თვალებში ბრწყინვიდნენ ცრემლნი და მეცა, ვითა გაგვიტებული*****, მივარდი და მოვეხევი

ოდესცა აღტაცებისა პირველნი წაწნი წარვიდნენ, მაშინ შევამცნიე, რომ მას ნახევარ ტანისამოსი ჰქონდა გაბდილი.

„ეს არ არის ჩემი ოთახი,—მითხრა მან. წამოდი ჩემთან, რომბერტ, ჩვენ ერთმანეთთან ბევრი სალაპარაკო გვაქვს“.

წავიდა და მეცა გავჰყევი მას. „აქ ჩვენ თავისუფლად ვართ“,—ჰსთქვა მან და დამსვა დივანზე. და, მართლაც, ჩვენ დიახ თავისუფლად და გულწრფელობით ერთმანეთს მოუთხრობდით ყოველსა მას*****. რაიცა შეგვმთხვეოდ[ა] ჩვენ. სიყვარული, რომელსაცა ვგონებდი ჩემს გულში გამქრალად, აღმოჩნდებოდა თვითოეულს ჩემს იუ-

* წაშლილია: „ესამდი“. ** თავდაპირველი ვარიანტი „მოულოდნელობითა“. *** წაშლილია: „მცირისა“. **** თავდაპირველი ვარიანტი: „წამოვიბუტბუტე“. ***** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „счастливымъ“ ***** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „ступленнымъ“. ***** წაშლილია: „თუ“.

ლიასადმი სიტყვაში. მე თითქოს ვიყავ* კიდევ ანთებულს სიჭაბუ-
კისა ბენდიერს დროში. იულია იყო უწინდელზე უფრო ულამა-
ზეს**. სიტურფენი მისნი ვარდებრ გაშლილიყუნენ და მეჩვენებო-
დნენ ყოვლითა მის ეშვისა ძალითა***, რომელიცა ესრეთ ძლიერ
მიწიდელობენ დასატყვევებლად. მეცა უწინდელზე გავლამაზე-
ბულვიყავ მის თვალებში: იქნება ამა მიზეზით ვეჩვენებოდი მე მას
ლამაზად, რომ შექადარებდა სტაროსტას, რომელიცა არა უყვარ-
და მას და რომლისაგანცა იულია იყო უბედურ. უნებლიეთ მომა-
გონდა ფანნი; მარამა არა, — ფიქრობდი მე, — იქნება ეს იყოს
ერთი, უკანასკნელი წამი ჩემს სიცოცხლეში!.. და ვცდილობდიცა,
უგუნურო, რათა დაეკარგა ყოველივე ჰაზრი ფანნისათვის.

ყოველივე წარსრული განახლდა გონებასა შინა ჩვენსა, ყოველი-
ვე მომდინარეობდა ნარნაოთ სიტყვებში და დასოულდემოდაცა
ცეცხლებრივთა შეხედვათა და კოცნათა მიერ. მოვიგონეთ პირვე-
ლი ჩენი ხილვა იულის დის ქორწილში; თუ ვითარ წამსავე მას
ვიგრძენით ურთიერთისადმი სიყვარული; თუ ვითარ შემდეგ შევხვ-
დით ლერკოლის ბაღში; თუ როგორ ვსეირნობდით ნათესავებთან
ჩავენით; თუ ვითარ მცირედ და მცირედ სიყვარული აღმოჩნდე-
ბოდა ჩვენთ თვალებში და ქვევაში, და ვითარ, დასასრულ. ჩვენ
ურთიერთს გამოუტხადეთ და შევჭვიცეთ სიყვარულში. შემდგომ, —
მარამ კმა არს: ჩვენ მას წამს ვქსცხაგობდით წარსრულს დროში;
ჩვენთვის არლა იყო მომავალი. სიყვარულითა დამთვრალთა დაგვა-
ვიწყდა ჩვენ, რომ არლა ვეკუთვნოდით ურთიერთს. ცრემლითა
ვიწყეთ ლაპარაკი ჩვენ განყრის დღეზე და ცრემლოვანნი ურთი-
ერთს მაგრად მოვებვიეთ.

— ოჰ! ვითარ სუსტ არს კაცი!

ერთბაშად კარები გაეღო. შემოვიდა ქმარი იულისა და
ჰკითხა: „ვინ არის შენთან, მეგობარო ჩემო?“

ჩვენ შევშინდით და წამოვხტით არეულობაში. ეჭვი შეუვიდა
ჩვენზე სტაროსტას, რომელიცა შედგა დადუმებული და მკვდარი-
ვით გაყვითლებული****, მარამ ერთბაშად გაკოფებული მივიარდა
იულიას, დაიხვია მკლავზე გაშლილნი მხრებზე მის წაბლისფეროვა-

* ვარიანტი: „გადავსახლდი“. ** აღშლია: „უტურფეს, ვიდრე“. *** წაშლი-
ლია: „თვისთა ძლიერებითა“. **** ხენით აწერია: „მამამამ“.

ნი თმები და დაჰსცა მიწაზედ უსულოდ. „მუხანათო!* უღირსო!“—
შეჰსძახა მან სიგიჟეში და დაუწყო მას ფეხით ცემა.

მე მივეშველე. მარამა ესრეთ ძლიერად მკრა ხელი გულში, რომ
განვერთხე მეცა მიწაზე და ძლიეს მოველ გონებაში. წამოვბტი.—
მან დაუტევა უბედური იულია და მოიწია ჩემზე. „შენც გაგიხეთქ
თავსა!“—შემომძახა მხეცურის ხმით. არა მქონდა რა იმედი ჩემს
ლონზე, წამოვავლე სტოლითგან ხანჯალი და ვაშინებდი მოკვლითა,
თუ წამსავე არ დაჩუმდებოდა. მარამა გაცოფებული მომვარდა, მტაცა
ორნივე ხელნი ყელში და წაძიქირა... ველარ ამოვიხუნთქე. ამ
განწირულებაში ვიქნევიდი ხანჯალს ყოველს მხარეს: რაძენჯერმე
მოვახებდრე ჩემს მეწინააღმდეგეს გვერდებში. ერთბაშად იგი დაე-
ცა: ხანჯლის წვერი გულში შერქომოდა.

იულია იღვა (в сѣдиргах). ქმარი მისი ახლოს მისა უკანასკ-
ნელს სუნთქვაში. მე ვღეგ. ვითარცა (всѣхъ).—„ოჰ, ნეტავ ესე
იყოს სიზმარი!—ფიქრობდი მე.—იყავნ წყეულ, წითელკაბიანო
იყავნ წყეულ, ჩემო ბუმაენიკო,—მიზეზო ყოველთა სიბოროტეთა
რა გეშველებათ თქვენ, საბრალო ჩემო შვილებო? ანუ შენ, სასურ-
ველო, წყნარო ჩემო ფანნივი?.. ვიყავ ჩემის შინაულის სამოთხის
შესავალთან**“, აწ ვარ შთავარდნილ ჯურღმულსა ჯოჯოხეთისასა
ებლა ვარ ფიცის გამტეხი და მკვლელი!

გოსტინიცაში გაელვიძათ მსაურთა ჩვენს ჩხუბზე. დაიწყეს სირ-
ბილი, კითხვა. მათი ხმა შემომესმა. გაქტევითა უნდა დამეხსნა თავი
ჩემი. ავიტაცე სანთელი და ჩავიბრინე*** ძირს კიბეზე.

შ ი შ ი უ მ ე ტ ე ს დ ი დ ე ბ ი ს

მე მინდოდა, რომ**** მანამ მართლმსაჯულოვნობის ხელში შთა-
ვარდებოდი, მიესულეყავ ჩეჰს მშვიდობიანს, უშფოთველს სახლში,
მოვხევიდი ცოლსა და შვილთა და საუკუნოდ მათ გამოვსალმე-
ბოდი. მარამა, ჩავსდიოდი რა კიბეზე, ვნახე, რომ ტანისამოსი
ჩემი იყო სისბლით შეღებილი. თრთოლა დამაწყებინა,—მეშინოდა,
რომ არავის ვეხილე და არ შევეყენებინე.

* თავდაპირველი ვარიანტი: „ორგულო“. ** თავდაპირველი ვარიანტი: „კა-
რებთა[ნ]“. *** წაშლილია: „გავიქეს“. **** წაშლილია: „ვიდრე“.

ქუჩის კარი იყო დაკეტილ. დავბრუნდი უკან, რომ ეგებ გამე-
სწრო* აიათიდან**, მარამა ერთბაშად მომესმა, რომ კიბეზე ჩამო-
რბოლნენ კაცები და ჰყვიროდნენ: „დაიჭირეთ! დაიჭირეთ“ — გავი-
რბინე აიათი და დავიმალე სარაიაში, საიდანაც იმედი მქონდა ბალ-
ში*** გადასვლისა და მინდერიით**** გაესულეიყავე ქალაქითგან; მა-
რამა კაცები ახლოს მომდევდნენ. ერთმა წამაელო ხელი კალთაში.
განწირულებაში (ხმანახაძის) წაგაქციე შეწინააღმდეგე ჩემი და
გადავაგდე სანთელი ახლოს დაგროვილსა თივაზე, რომელსაცა ერთ-
ბაშად მოეკიდა. როგორც მქონდა იმედი*****, ისეც დავიხსენ თავი
ჩემი. მე დამიტყვეს, უეჭველად მისთვის, რომ განეჭროთ ცეცხლი,
და მეც გამოველ ქალაქითგან.

დაყოვნების დრო აღარ იყო და არცა ფანისა***** და ჩემის
შვილების ხილვისა. „უშველე შენს თავს!“ — აჰა, თუ რაიცა ისმოდა
ჩემს სულში მარად წანს; აჰა, თუ რაი დააყრუებდა ყოველთა სხვა-
თა გრძნობათა ჩემთა. არეულნი ფიქრნი ალავსებდნენ ჩემს თავს.
ოდესცა მომაგონდებოდა გუშინდელი ჩემი დაბრუნება ჩემს სახ-
ლობისადმი, ოდესცა მომაგონდებოდა, რომ დღეს უნდა მეხილვა
ცოლი და შვილები, მაშინ ყოველივე სხვა მეჩვენებოდა სიზმრად,
ანუ გაგიყვებად. მარამა სისხლიანი. სველი ტანისამოსი, დილის ჰაე-
რი, (пришвышит все мои члены). წარმომიდგენდნენ, ჩემის უბედუ-
რებით, ფრიად ცხადსა დამტკიცებასა, რომე არცა ვარ სიზმარში
და არცა გაგიყვებაში. ესრთ მიფრბოდი, რომ ღონე აღარა მქონდა;
სული ძლივს მომებრუნებინა. თუ მქონოდა საჭურველი რაიმე, ან
გზაზე შემხვედროდა მდინარე, უეჭველად შევწყვეტიდი სიციცხ-
ლესა ჩემსა.

ოფლიანი, თითქმის უსულო, დაქანცული, გულში შიშითა, მუ-
ხლების კანკალით, მივდიოდი გზაზე ნელნელა. რამდენჯერმე დალა-
ლულობა შემაყენებდა და რამდენჯერმე მზად ეიყავე წასაქცევად,
და მაშინ, უეჭველად, რომ ვერა ავსდგებოდი.

ესრეთს მდგომარეობაში***** მივეთრივე პ... მდის, რომელიცა
არს. უახლოესი ჩვენის ქალაქითგან სოფელი, ვიდრე მოვიპაზრებდი,

* ამის შემდეგ წაშლილია: „გასვლა“. ** ამ სიტყვას ხეშოთ აწერია: „Дроп“.
*** შემდეგ წაშლილია: „გასულისა“. **** ხელნაწერშია: „მინდერიით“. ***** შემ-
დეგ წაშლილია: „ესრეთ“. ***** შემდეგ წაშლილია: „ავლუსტისა და ლეო-
ბოლდის“. ***** წაშლილია: „მიეახწიე“.

პირდაპირ წავიდე, თუ მოუარო სოფელსა.—ამიტომ რომ სავესე მთვარე ფრიად ანათებდა,—ერთბამად სოფელში დაიწყეს ზარების რეკა, და ეგრეთვე სხვათა ახლოს სოფლებშიცა.

უკრავდენ ბუკსა*. თვითოეული ხმა ზარისა ჰგლეჯდა გულსა ჩემსა. მოვიხედე უკან. დიდო ღმერთო ჩემს უკან საზარელი აღიოდა ალი! ცეცხლის სვეტი, ასული ღრუბლამდის და დაბნელებული ზრქელითა კვაპლითა, ტრიალებდა** ნას ქალაქზე, რომელსაცა ოდესმე ვუწოდებდი საყვარელ ჩემს ნამულად. და მე,—მე კი ვარ მის დამწველი—ოჰ. ჩემო ფანნიე! ოჰ, ჩემო შეილებო ვითარი მოძაკვდინებელი გამოღვიძება მოგიძხადათ თქვენ მანამან თქვენ-მანი..

აქ ძალადობრივმა სიმკვირცხლებმ*** დამიარა ყოველს ძარღვებში: თითქოს თმით ამწიეს, თითქოს მაჩქარებდენ ფეხებში ცემით****, რომელნიცა ფრთებივით შეიქეზნენ ისუბუქნი. „გაიქეც, გაიქეც!“—მიყვიროდა ყრუ ხმა დაუძლურებულს ჩემს სულში. და მეც გარეშემოუბინე***** სოფელსა. მალე მივახწიე ფიჭვის ტყესა. აღმური მინათებდა გზასა; ბუკის ხმანი ჰგლეჯდენ ყურთა ჩემთა—და ვითარცა ჩექნი მღვეარნი, არა მამღვედენ მოსვენებასა და უფრო უმეტეს მარბეინებდენ.

ტყის სიღრმეში, იქ, სადაცა მიეფარა ჩემგან აღმური, რომლისაგან ჩრდილი ჩემი მრისხანეს სახით მიმირბოდა წინ,—იქ დავეშვი ნამიანს ბალახზე და წარმოვიდგინე საშინელი ჩემი მდგომარეობა. არღა შემეძლო სირბილი შორს. რამდენჯერმე ვახეთქე თავი ჩემი მიწასა, და (в суровых местах) მოძრაობაში ფრჩხილებით ვსთხრიდი ხის ძირთა. მსურდა***** მომკვდარვიყავ, მარამა ვერა მეპოვნა სიკვდილი.

ფიცის გამტეხი, მკვლელი, მწველი,—და ესე ყოველივე ერბაზად, ყოველივე ერთს ებაშს, არა უმეტეს. ოჰ..., წითელკაბიანი უბნობდა მართალს: „თქვენ შორის არ არიან მართალნი, მათ გარდა, ვისაც

* ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „БЕДЪ“. ** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „ВЫ-
ДЪТЪ“. *** ზემოთ აწერია: „ВЪНУШЕСТВЕННАЯ ЖИВОТЪ“. **** ამის შემდეგ წაშ-
ლილია ორი სიტყვა: „მამურებდენ. მაჩქარებდენ“. ***** წაშლილია: „სირბი-
ლით შემოუარე“. ***** შემდეგ წაშლილია: „სიკვდილი და ვერა“.

არა აქვს შემთხვევა შეცოდებისათვის. დაუთმეთ ეშმაკს ერთი ბეწვი, — მაშინ გამოესალმეთ მთლად თავსა“. ოპ, რად მოიფიქრა იმ წყეულმა სატანამ ჩემდა მოსვლვა ჩემს ბესედეკაში! მე რომ არ დამეღია იმის ფუნჯი, მაშინ იულიას ვნახავდი დამშვიდებულის სულით. ასე რომ ყოუილიყო, სტაროსტაც ცოცხალი იქნებოდა; ჩემი მამეული სათარველიც არ აღკვამლდებოდა დამნაშავეთა* ჩემთა ხელთაგან და მეცა არა ვეგდებოდი აქ სასოწარკვეთილი, დამბლებული თვით საკუთართ ჩემთ თვალებში და დაწყველილი კაცობრიობისაგან!

შორის მისა მოუწყვეტლივ** ისმოდა გარეშე ჩემსა ზარების რეკა***, რომელნიცა მიმატებდენ რა შიშსა, განალღიძებდენ ჩემ შორის ახალთა ძალთა გასაქცევად****. მე მიხაროდა, რომ ჯერ არ თენდებოდა; იმედი მქონდა, რომ არავისგან შემცნეული, გავიზბენდი კიდევ რამდენსამე. მარაჲ ერთბამად მომაგონდა, რომ დღეს პირველი მაისია, ჩემის ფანნის შობის დღე! და მეცა, მტირალი, განვერთხი კიდევ მიწაზე. ოპ, ვითარ ბედნიერ ვიყავით ჩვენ! ვითარ სიხარულით ვატარებდით დღესა აჰას მშვიდობიანსა ჩემს სახლობაში! ხოლო დღეს: ვითარი დღეა! ვითარი ღამეა! — შიშმა დამიარა ყოველს ძარღვებში, რა***** ღობაგონდა, რომ ღამე ესე, სწორედ***** პირველ მაისის წინაღამეა*****, რომელიცა ძველებურის (решетномы) მოთხრობით ირიცხების წარმწყმედელად კაცობრიობისათვის: არაწმინდა სულნი შეცკრიბებიან, სალხინოდ ქვეყანაზე*****; ყოველნი კუდიანები შეიყრებიან ეშმაკთან ბლოკსბერლის¹⁴ წვერზე. ესე სულელური***** ზღაპარი ვითარ საკურვლად მიუახლოვდა ჭუნშარიტებასა! მდგომარეობა ჩემი იყო ესრეთი, რომ ამ ზღაპრისადაცა მჯეროდა. იქნეულებითი სახე წითელკაბიანისა ცოცხლად წარმომიდგა ყოვლითა მის (наверности) სიტყვათა და მოძრაობაში. ეხლა რად დაემალო! ეხლა

* ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „преступныи“. ** წაშლილია: „ზარების რეკა“. *** წაშლილია: „მოუწყვეტლივ“. **** წაშლილია: „სიხარბილისა“. *****თავდაპირველად: „როდესაც“. ***** ამის შემდეგ წაშლილია: „არის ღამე; წინაღა..“. ***** ნემცები უწოდებენ ღამესა ამა, ვ ა ლ ბ უ რ ლ ი ე ვ ი ს ღ ა მ ე დ (მთარგმნელის შენიშვნა). ***** შემდეგ წაშლილია: „ეშმაკი“. ***** პირველად დაუწერია: „უზუნური“.

აღარა რას (НЕ ПИЩАЕШЬ). გამომიჩნდი ეხლა, გამომცდელო, როგორც ჩემს ბაღში, — და ჩეც სრულიად მოგეცეპი შენ, მხოლოდ იყავ მხსნელი ჩემი, მხოლოდ ამოგლიჯე ჩემის გონებითგან საშინელისა ღამის წარმოებანი; მხოლოდ მოძგვარე** ჩემი ცოლი და შეილები, მომეც პატარა კუჩხე შორს მხარეს სადმე, სადაც შეგეძლოს გატარება უშფოთველად დანაშთოთა დღეთა სიცოცხლისა ჩგენისა!

ზარების რეკა მაყრუებდა. დილის სიცივევ განამხნევა დაქანცული სხეული ჩემი. „გაიქეცა გაიქეცა!“ — განხდა ივალად ხმა ჩემს სულში... ძლივს გაეახწიე რა ჯაგებს, გაპოველ შარავზაზე და გავიქეც.

კ ა ნ ი

აქ ძლივს ამოვისუნთქე თავისუფლებით. მარამ ჰაზრი მისთვის, რაიცა შემემთხვა, მაინც ჰგლეჯდა სულსა ჩემსა; ყოველივე ესრეთ ანაზღვეულად, ესრეთ საზიზღრად და ესრეთ საზარლად შემემთხვა***, რომ თვით მეც არა მჯეროდა შემთხვევა ესე. მოვიხედე — აღმური წარმოულდა ჩემთ თვალთა, ხელი შევახე ტანისამოსს — და**** მოთეცხო სისხლი უბედურისა სტაროსტასი. სისხლიანს ჩემს ტანისამოსზე***** შეუვა ექვი მას ვინცა შეზღებდა, — ვფიქრობდი მე, და გავიძრე მაშინვე კაბა*****; დავმაღე იგი ზოქელს ჯაგში. გავირეცხე ხელები ნამითა და***** გავქსწიე სიოილით. ნახევრად გახდილი...

„ვითარი ხარ ეხლა? ვეუანებოდი ჩემს თავს. — ვინ შემოგხედავს, ხომ დანთქმი! მორტო პერანგით დარბიან ტყეში მხოლოდ გიგინი და ანუ მკვლელი. ვიტყვი*****, რომ გამძაოცვეს... მარამა უმჯობესი იქმნებოდა, თუ შეახვედროდა ვინმე გლეხთაგანი და დაეთმო ჩემთვის (ნაგახი) თვისი. ძაშინ ტანისამოსი მაინც არ გამოჰაცხადებდა; დღე დავიმალებოდი ტყეში და ღაე სირბილით***** შორს განვმორღებოდი*****. მწარე არს ბედი ესე, მარამა

* ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „пронешестяна“. ** პირველად დაუწერია: „მომეც“. *** პირველად დაუწ: „მოხდა“. **** ამის შემდეგ წაშლილია: „ხელებზე“. ***** შემდეგ წაშლილია „კაბა“ ***** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „ВЕРХНЕЕ ПЛАТЬЕ“, ხოლო შემდეგ წაშლილია: „მას უჯან“. ***** შემდეგ წაშლილია: „გავიქეც“ ***** პირველად დაუწერია: „თუ ვსთქეა“. ***** პირველად დაუწერია: „ვირბენდი“. ***** პირველად დაუწერია: „ვაფიდოდი“.

ესეც საშეებელია*—სად ვიზოვნო საზრდო? სადა მაქვს ფული?—
აქ მოზავონდა მხოლოდ, რომ გადაგდებულს ჩემს კაბაში დამევიწყ-
და ბუშაენიცი და მით მოვაკელ ჩემს თავსა უკანასკნელი ხსნის
ლონისძიება.

შევდევ და ვფიქრობ: დაებრუნდეა ბუშაენიკისათვის? — მარამა
სისხლი სტაროსტასი, შედუღებული ზქლად ჩემს კაბაზე? არა! გინდ
მილლიონები იყოს იქ, მაინც ვერ გავებედავ მისვლას. დაებრუნდე,—
ჩემთ თვალთ წინ აღმოჩნდება აღმური, ასული ცათამდის ხელთა-
გან ჩემთა. არა! უმჯობეს არს ეიხილო ალი განღებულისა ჯოჯო-
ხეთისა. — წაგალ** წინ.

ერთბამად მომესმა მოახლოებულის ურმის ხმა***. ყური და-
უგდე: უეზელა ღ მიეშურებიან პოეარნის ტრუბებით**** ქალაქის
მისაშეელებლად. მყისვე დაუტევე გზა და შევდევ დიდს ჯაგში
საიღამაც ვუნზერდი მას, ვინც გაივლიდა. მციოდა ძალიან და*****.
გქანკალებდი ფურცელსავით. ბოლოს ვნახე მშვენიერი საგზავრო
ურემი*****, შებმული ორის ცხენით; ბარგი ეწყო ბევრი, მხო-
ლოდ იჯდა ერთი კაცი და მართავდა ცხენებს. იგი ნელნელა მო-
დიოდა; ახლოს ჩემსა შედგა, ჩამოხტა. გაშინჯა ყოველი მხარე
ურმისა და გზიდან გადავიდა მეორეს მხარეს ჯაგებში.

„აჰა. შემთხვევა თავის დახსნისათვის. — წამოიძახეს ჩეუს სულ-
ში.— ფეხები დატვრეული გაქვს, სიარული ძლივს შეგიძლიან. აჰა,
შველა! ტანისამოსი, ფული და ჩქარად სიარული... თვით ზეცამ
გიმწყალობდა ესე. ისაოგებლე წამი ესე! გაიქეც, ჩაჯეგ, მოიქნე
შოლტი***** და ყოველივე შენია! და შენცა გეშველება!..“

ელვასავით გამიარა ამ ფიქრმა და ელვასავითვე ყოველივე აღს-
რულებულ იქმნა*****. სასოწარკვეთილება და გაჭირება არა გან-
მსჯელობენ. გამოვხტი ჯაგითგან, ჩაეჯეგ. მივსწვდი ალვირთა, მოვა-
ბრუნე უკან ცხენები - წინააღმდეგ მხარეს ანთებულის ჩემის ქალა-
ქითგან. მას წამსვე პატრონი გამოიჭრა ტყითგან და, როდესაც
მოვექნე შოლტი დაფთხალთ***** ცხენებს, იგი მივარდა წინააღმ
ცხენებს და ჰსტაცა ხელი ალვირთა. მეცა მოუმატე ცხენებს შოლ-

* წაუშლია: „ბედი“ ** წაუშლია: „მივალ“. *** ზემოთ აწერია: „вверх
отъ“. **** წაუშლია „მისაშეელებლად“. ***** წაუშლია: „ეთითთოდი“. ***** ზე-
მოთ აწერია: „твояж“. ***** ზემოთ აწერია: „тнз“. ***** პიკრული ვარიან-
ტი: „აღესრულე“. ***** ხელნაწერშია: „დაფტხალთ“.

ტის ცემა,—გონებითგან გასულსა რა აღუდგების წინა?—გადახტ-
ნენ ცხენები და მეწინააღმდეგე ჩემი განერთხო** მიწაზე და
მძიმე ურემმა ზედ გადაიარა ამა უბედურზე. მომესმა ხმა გასრესი-
ლისა,—ითხოვს შეწეობას. სული ჩემი განგმირა ამა ხმამ,—რომე-
ლიცა*** არს ნაცნობი და საყვარელ გულისა ჩემისათვის. ყურთა
ჩემთა არ უჯერებდი და რაიცა ღონე**** მქონდა ვეწეოდი აღ-
ვირთა ცხენების შესაყენებლად და რათამცა ზეხილცა გასრესი-
ლი***** იგი. ვნახე, — და ვითარ წარმოვკსტკეა შეუძრწუნებე-
ლად!—ეს არის ძმა ჩემი. უეჭველად საქქენი მისნი შესრულდნენ
უმაღეს, ვიდრე მოელოდა იგი, და ანუ სხვა რაიმე მიზეზით დაბ-
რუნებულყო შინ.

მე ვიდრე მუხლმოდრეკით, უძრავი, ვითარცა მეხით მოკლუ-
ლი*****. ჩემ წინა იტანჯებოდა (в судорогах рывающихся). ამას არ
მოველოდი და ვერცა მოვიფიქრებდი. მოვეხეიე (и кривоному) ჩემის
ძმის სახესა ურმის თვალსა გაღვარნა გულზე. წყნარისა, ძრწოლის
ხმით ვეძახდი სახელსა, მარამა პასუხს არ მ.ძღვედა! არცა ესმოდა
ჩემი და ველარცა მცნობდა. მან განუტევა სული. მე, მე, სასოწარ-
კვეთილმა, მოვაკელ მას სიცოცხლე, ჩემთვის ეგოდენვე ძვირფასი,
ვითარცა საკუთარი ჩემი. ერთს ღამეს ორის მოკლვა! საზარე-
ლია!—თუმცა, ბართალია, რომ ორნივე უნებლიეთ აღსრულდნენ. მო-
მაკედინებელს კმუნვისა და გონების დაკარგვის***** წამსა, მარამა
მაინც ზომ აღსრულდნენ, და ესენი შეუდგნენ ესრეთს გარდახლო-
მილებას, რომლისაგახცა შეცნებლო ლტოლვად.

თვალნი ჩემნი აღივსნენ კრემლითა, მარამა***** ესენი იყვნენ არა
თუ კრემლნი მწუხარებისა მკვდარისა, საყვარელისა ჩემისა იმისათვის,
არამედ მწარენი კრემლნი სიცოფისანი პირისპირ ბედისა ჩემისა.
არაოდეს ჩემს სიცოცხლეში არ წამემწიკელა. თავი ჩემი (грудь) გა-
რდახლომილებითა*****. გული ჩემი იყო განღებულ ყოვლისა
კეთილშ[ობ]ილისა, ამაღლებულისა, კეთილისა და ქეშმარიტისადმი.

* პირველი ვარიანტი: „არა რა წინაღუდგებდა“. სიტყვებს „გონებითგან გა-
სულსა“ თავზე აწერია „преступлениями“ ** წაუშლია: „დაეცა“ *** თავდაპირ-
ველი ვარიანტი: „ამა ხმამ განგმირა სული ჩემი,—ხმა ესე...“ ****თავდა-
პირ ვარიანტი: „ძალა“. ***** ზემოთ აწერია: „рывающихся“ ***** წაშლილია: „დატუ-
შული“. ***** ზემოთ აწერია: „несудилие“. *****ამის შემდეგ წაშლილია:
„კრემლნი“. ***** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „преступлениями“.

და არაოდეს არ ეპკრძნობდი უტკბილესსა სიხარულსა, ვითარცა შემდგომად კეთილის საქმისა. და რა ახლა? წყეულმა მსუბუქაზროვნობამ — ერთ წამს თავი თვისის დავიწყებამან და წარმწყმედელმან შემთხვევისა, ანუ საჭიროებისა როცამან შემქმნეს მე საზარელებად*, შესაძრწუნებელად ყოველისა კაცობრიობისა და საგიებელად თავისა ჩემისა თვით ყოველთა უღირსთაგან. ოჰ! ნულარ იოცნებთ ფრიად სათნოებათა თქვენთათვის, სიმტკიცისა თქვენისა და კეთილგონიერებისათვის! ნუ დაადგენთ თავსა თქვენსა უმაღლეს ქვეყნიერისა! ერთი წამიცა საკმაო არს, წამი, რომელშიცა (и в прихоти) დაუტყვებთ** კანონთა თქვენთა: ერთი ესე წამი საკმაო არს. რომე თვით უწმინდესმან კაცმან ჰქმნას საქმენი სარცხენო, რომელნიცა შეეთვისებინან (заключением) მხოლოდ ბოროტმოქმედსა***. ბედნიერ არს. თუ (еще и не) გარემოებათა არა იქმნების მისთვის ესრეთ წარმწყმედელ, ვითარცა იყო ჩემთვის. ბედნიერ არს, თუ ძვალნი ძმისა თვისისანი არ მოჰყვებიან უმძინესა ურმის თვალ ქვეშ. წარმართულს მის გარდახლომილებით!

საჭირო არსა კიდევ ზნეობითი სწავლანი? არა, ვისთვისაც აქ არა არიან ცხადნი, იგი არავითართა არა ჰსცნობს და ვერც იგრძნობს.

მოვისწრაფებ დაბოლოებას ამა ბოროტშემთხვევათა მოთხრობისა, რომელთა მსგავსი არცა ერთსა მელექსესა არა გამოუხატავს უსაშინელეს.

ს ი ნ ა ნ უ ღ ი

მე ვკოცნიდი ჩემის ძმის ფერმკრთალსა სახესა. ერთბაშად ხმა მომესმა ტყუში. შევკრთი შიშით. ნუთუ**** დავეჭვინო უბედურის ჩემის ძმის გვანზე, რომლისაცა მსურდა განძარცვა და რომელიცა მოვკვალ? მანამ მოველ ცნობაში, ვიყავ უკვე გაუფლელს ტყის სიღრმეში, ხოლო გვამი, ცხენები და ურემი მივანდე მათ ბედსა. მხოლოდ ერთი ძლიერი გრძნობა ცოცხლად დაშთენისათვის ჩემ შორის გამხნევდებოდა და ყოველივე სხვა იყო მკვდარ. გონებადა-

* ხემოთ აწერია: „ყუდიხიდე“. ** ხემოთ აწერია: „უკლოხიტესე“. *** ხემოთ აწერია: „ალოდეშ“. **** ასის შემდეგ წაშლილია: „თავი ჩემი“.

კარგული ვეხეტებოდი (ყვეა ხხხ ხ ჰიჰიჰჰ). სადაცა ჯაგები იყო გაუსვლელი, სადაცა ხეთა რტონი იყვნენ ზქლად გადახლართულნი, იქ ვეძებდი გზასა. პირველი, ვინცა შეგვხვდებოდა შენ,—მაშინებდა * ჩემს სულში ხმა სინიდისისა,—რომ მოგკლავს შენ, ძმის მკვლელი, კაინო!¹⁵

უკანასკნელთა ღონეთა დაქანცულებასა აღეჩნდი ** ერთს გორაკაზე, განშორებულსა ტყის სიღრმეში. მზე უკვე ამოსულიყო და მე კი არ შეგრემცნია. ახალი სიციცხლე განეფინა ბუნებასა შინა. მომავდინებელი პირველ მაისის *** წინა ღამე წარვიდა და მასთან ყოველნი **** საძაგელნი ზენი გარდახდომილებანი: მარამა შევილნი მისნი, ვითარცა არაწმინდა სულნი. მიმიხტოდნენ გზაზე ჩემ წინ. მე ვხედავდი მტირალსა ფანნის დაობლებულის შეილებით, ვხედავდი უნუგეშოსა სახლობასა უბედურისა ჩემის ძმისასა, ვხედავდი სამსჯავროსა, ნასახჩიბაშსა, (შხაჰიჰიჰიჰ) და ჩამოსახჩობსა.

აქ სიციცხლე ჩემი შემეკმნა ტვირთვად. ნეტავი მოვეკალ სტაროსტას, ვეუბნებოდი ჩენს თავს. ხომ მაშინვე ვიყავ მოსაკვლელი *****. შე არ შევაცთინეა' ცოლი მისი? მე არა უმუხანათეა' ჩემს ფანნის, რომელსაცა ათასჯერ ვეფუცებოდი დაურღვეველს ერთგულებაში? მე არა ვარა' მამა (მახერი) საკუთართ ჩემთ შეილებთა თვალთში? და ანუ, რისათვის არა დაებრუნდი, ოდესცა აღმურბა მოიკვა ქალაქი ჩენი? ერთხელ მაინც ვაკოცებდი ცოლსა და შვილთა და, სულში მწარის შეებითა, შთავარდებოდი ცეცხლში. მაშინ ძმის მოკვლა ხომ აღარ დაამძიმებდა შემცოდველსა თავსა ჩენსა!

მე გეშინოდა სიციცხლისა, ამიტომ რომ გეშინოდა ახალთა შეცოდებათაგან, რომელნიცა თვითოეულს ბიჯზე მეჩვენებოდნენ აუცილებლად. ესრეთ საზარლად შევარყიეს მე ჩემთა ბოროტ შემთხვევათა, რომ თვითოეული სუნთქვა, სუნთქვა ცოდვილისა, მეგონა ახალ მიმედ ***** სულისა ჩემისა ცოდვად. მინდოდა მომეკლა თავი ჩემი, მარამა მის აღსრულებისათვისაც აღარა მქონდა ღონე. დასასრულ, გაებედე, რომ თავი ჩემი მიმეცა მმართველობისათვის და მის წინაშე ყოვე-

* პირველად დაუწერია: „რისხეთ მეუბნებოდა“. ** ამ სიტყვის ქვემოთ წერია: „იყუჩხაჰ“. *** წაშლილია: „ღამე პირველ მაისისა“. **** შემდეგ წაშლილია: „ჩემითა“. ***** წაშლილია: „ღირსი სიკვდილისა“. ***** ამის შემდეგ წაშლილია: „ცოდვად“.

ლივე აღმეარნა. მაშინ, თუმცაღა ვიქმნებოდი მწარეს მდგომარეობაში, მარამა ჩემის ფანჩის, ლეოპოლდისა და ავლუსტის ხილვის იმედი მექმნებოდა მაინც*^{*}; შევედრებდი მათ შეკოდების ჩემდა მოტყეებისათვის, მოვეხვეოდი, მივიკრავდი მაინც კიდევ ერთხელ მათ ჩემს გულში და იგინიც კრემლოვანთ თვალვებთ გამომადევნებდენ მაინც, რა დაუტყევებდი სოფელსა ამას საუქუნოდ; მაშინ შემედლო, რომ ჩემის სახლობისათვის მექმნა რომელნიჲე სასარგებლო გარიგებანი და რაოდენნიმე კეთილნი რჩევანი მეთქვა ჩენისა ცოლისათვის, რომელმანცა, მრავალთა გარემოებათა გამო, არა უწყოდა.

ამა პაზრთადმი (прямых) რომლისამე ნუგეშემით და დაემშვიდდი. განვიზადე რა თავი ჩემი სასიკედილოდ, დავაყრუებდი** ხმათა ფურჩისათა¹⁸, რომელნიცა შფოთავდნენ ჩენს სინილისში.

აღვსდეგ და წაველ, მარამა არ ვიცოდი, თუ სად მივალ. გრძობათა გაქეაებაში და მომაკვდინებელს მწუხარებაში სრულიად დამაფიწყდა. თუ რომლის მხრით შემოველ. ტყის სიზრტე და სიბნელე გარეშემომზღუდავდენ ყოველგნით. მე ვეცებდი, რომ ეგებ დამენახა აღმური, რომელსაცა უნდა მივეყვანე საჩსჯაროს წინაშე. მარამ სულერთია. ყოველსა*** გზას, თვითეულსა ბიჯსა მივჰყვანდი ერთისა და იგივე საკანისადმი.

განვიარე რა რაოდენნიმე ეამი, ვიხილე შორს სახლი ტყის ზედა მხედველისა. მალე ვპოე ბილიკი**** და წაველ*****.

გ ა მ მ ც ე დ ი

მომესმა ცხენების ჰიხინი და სიყვარულმან სიცოცხლისა კვალად განიღვიძა ჩემ შორის. ვჰფიქრობდი კიდევ ტყეში რამაღვას. — თუმცა ხარ უსაშინელესი შემცოდე ქვეყანაზე, — ვუბნებოდი ჩემს თავს. — მარამა კიდევ შესაძლო არს***** ბედნიერ ყოფად, თუ კი ეხლაც უშველი თავსა შენსა. სრულ ბოროტმოქმედად შენ ჯერ

* შემდეგ წაშ.: „მივიღებდი“. ** შემდეგ წაშ.: „ფურჩის“. *** წაშლილია პირველი ვარიანტი: „თვითეული“. **** პირველად დაუწერია: „კალიცა“. ხელთ კი აწერია: „тропинка“. ***** შემდეგ წაშლილია: „დაუდევნელად, თუ სადა მიმიყვანს“. ***** წაშლილია: „შეგიძლია იყო“.

არა ყოფილხარ, თუმცაღა იყავ ფრიად მსუბუქ ჰაზროვნად*. ესრეთ ვფიქრობდი მე და დაევიწყეთ ყოველნი ჩემნი წინა განზოახვანი და ფიქრში გადაესახლდი განზოახებულს სოფელის მხარეს, სადაცა განმხოლოებაში, მხოლოდ ცოლით და შვილებით, ვცხოვრებდი სხვა სახელ დარქმევით. თუმცა ესრეთ ვაფიქრობდი, მარამა გზიდამ კი არ დავბრუნდი და მივიდოდიცა პირდაპირ.

გზის მოხვევაზე ერთამად ვიხილე ცხენები, გადმობრუნებული ქალასკა დამტვრეულის თვალთ და უდიდესითა შეძრწუნებითა, ანუ ალტაცებითა, ჩემი წითელკაბიანი მეგობარი.

მიხილა რა*, თავის ჩვეულებისამებრ (ОСЛАНЯЯ ЛИЦЕ (?)) და მითხრა: „კაი დროს შემხედით!** აკი გითხარით, რომ ჩვენ კიდევ ვნახავთ ურთიერთს. — აქ ვიციდი*** მე მთელი ლაბე. კუჩერი გაიქცა ქალაქში კაცების მოსაყვანად. ჩვენდა შესაწვენელად, მარამა**** არ მოდის აქამდის“.

— „იქ უფრო დიდი შემწეობა უნდა, მიუგე მე. — ქალაქი იწვის“.

— „მეც აგრე მეგონა! — მითხრა მან. ამ მხარეს საზარელი აღმური ჰსჩანს. მარამა მითხარით, თქვენ აქ ტყეში რისათვისა ხართ? სად მიდიხართ? რატომ იქ არა ხართ და არა ჰშველით ცეცხლის გაქრობას?“

— „მე უნდა გავაქრო სხვა ცეცხლი, ჩემთვის უფრო უსაშინელესი“.

— „მეც აგრე მეგონა. აკი გითხარით თქვენ...“

— „დამიხსენით! მე ვიქმენ უსაძაგელეს შემცოდელ ***** — შევიქმენ მაცოტუნებელი, მკვლელი, მწეელი, მძარცველი *****, ძმის მკვლელი, — და ყოველივე შეგებთხეა მის წამით, რა განგზორდით თქვენ, ყოველივე ესე სამს საათში. მარამა ეხლაც, ვფუტავ, რომ მე არა ვარ ცუდი ესე“.

წითელკაბიანმა დაჰკრა კოჭლი ფეხი მიწასა, რა წარმოვსთქვი ესე, თითქოს მით გაპოაჩენდა ფრიადსა ჩემდა სიძულელივსა. მარამა ყოველნი სხვა ნაკვეთნი დაჰმთენენ იმავე მდგომარეობაში*****, თითქოს რკინად გადაქცეულნი. პასუხი არა რაი მომცა. აქ უანბე

* წაშლილია „მნახა რა“. ** ხემოთ წერია: [„ВОТ ЭТО ЯМ“ (?)]. *** წაუშლია: „ველი“. **** შემდეგ წაშ.: „აკამდის“. ***** ხემოთ აწერია: „преступникъ“. ***** ხემოთ აწერია: „грабитель“. ***** შემდეგ წაშ.: „თითქ“ და „როგორც“

მას ყოველნი შესაძრწუნებელნი ბოროტ შემთხვევანი, რომელთა მიზეზი იყო იგი*. სრულებით დაუღვეწელად იგი ყურს მიჰყრობდა.

— „იცითა“ ეხლა, თუ მე ვინა ვარ და რაი მსურს?“—მითხრა მან დასასრულ.

— „ჩემი სული! ჩემი სული!“—შეეკსძახე მე.—ახლა მრწამს, რომ შენ სწორედ ხარ იგი, ვინცა პრაგაში ხუმრობით მეგონევით“.

— „ვინა გგონივართ“

— „სატანა“.

— „მაშ დავარდი პირქვე** წინაშე ჩენსა!“ წარმოჰსთქვა მან ხრინწიანის, საზიზღარის ხმით. მოვიდრიკე მუხლნი, ვითარცა გიემან, ავიშვირე მალლა ხელები და შევლალადე***: „დამიხსენ მე! დაიხსენ ჩემი ცოლი და შეილები წარწყმედილებისაგან! იგინი უბრალონი არიან. გადგვიტანე ჩვენ სადმე უღაბურში, სადაცა გვეკონდეს ჰაერი, წყალი და საფარველი ბნელსა კლდის ქვაბში, და ჩვენცა ბედნიერად შევრაცხავთ თავსა ჩვენსა, ვითარცა სამოთხეში. მარამა განაქარვე ჩემს გონებაში პირველ შიისის წინა ღამე! თვარა თვით ქუეყნიერი სამოთხე შეჩვენების ჯოჯოხეთად. თუ კი ესე არ შეგიძლიან, მაშა მივალ მე სინანულით დასახჩობად“.

ექსთქვი რა ესე, მან შეურაცხებითა წამკრა კოკლი ფეხი თვისი გულში ესრეთ, რომ გადვიქეც გულაღმა. წამოეხლტი რა, მინდოდა კიდევ მოგხვეოდი მის ფერხთა და განნეორა თხოვნა ჩემი; მარამა მან შემაყენა ამა სიტყვეით: „აჰა, იხილეთ! აჰა, წუნარი, ღმობიერი**** კაცი! აჰა, ამაყი მოკიდაფი ყოვლითა მის გულისხმისყოფის ეღვარებითა! აჰა, ფილოსოფოსი, რომელსაცა ჰსძულს რა წინადგანმსჯელობანი*****, არა ჰსჯერა ეშმაკის მყოფობა*****, და რომელიცა იმედუღობს რა მსწაფელულობასა ზედა თვისსა, იკენეულებს საუკუნო ცხოვრებას ზედა! აჰა, იხილეთ! იგი გვცარგენოსან-ყოფს სარცხეინოთა საქმეთა თვისთა თაყვანისცემითა სატანისადმი!“

— „ახლა გიცან შენ, სატანაე! შევჰყვირე სიცოფეში. გიცან რკინეულისა შენის გულის შეუბრალებლობითა! მარამა აღარცა მე

* შემდეგ წაშ.: „იგი“. ** წაშლილია პირველი ვარიანტი: „მოიდრიკე მუხლნი“. *** წაშ. პირველი ვარიანტი: „შევედრე“. **** ხეოთ აწერია: „УУУУУУУУУУУУ“. ***** ხეოთ აწერია: „УУУУУУУУУУУУ“. ***** გადაბახულია: „ყოფნა“.

გთხოვ შებრალებასა შენ, ბოროტად დაპყნიებელსა კაცობრიობასა ზედა. არა! მე მინდა მოვისყიდო მოწყალება შენი, მოვისყიდო ჩემის სულითა, რომელსაცა შეეძლო კიდევ მოქცევად კეთილისადმი; შეეძლო კიდევ ეპოვნა გზა სინანულისა და ღირთისა სახიერებისადმი; რომელსაცა შეუძლიან ეხლაც გაგისხლტეს შენ მას დროს, როდესაც ჰგონებ დარწმუნებით მას შერად*.

შექუთვანით მიპასუხა მან: „უკაცრავათ, მოწყალებო ხელწიფევ, მე სრულებით არა ვარ ეშმაკი, როგორც თქვენ გგონიათ. მე ვარ კაცი, როგორც თქვენ.—თქვენ იყავით აქამდის (преступник). ახლა ხართ გიგი. მარაჰ, ეს მართალია! ვინცა დაიფიწყა სარწმუნოება, იგი უნდა გამოესალმოს გონებასაცა. მე შეურაცხყოფთ“ თქვენ. და თუცა შემქმნოს შემწეობა. მაშინაც არ შეგეწეოდით. თქვენს სულსა მე ა- ვითხოვ. იგი მომწიფდა ჯოჯობეთისათვის** ესრეთ***, რომ მისთვის არცა ერთი ფული აო**** დახარჯვია სატანას.

მ ე დ ი

რაოდენიმე წამი ვიდევ (в неодоушении) და არეულობაში. სირცხვილი და სიკოფე, სინანული და გამბედელობა ყოველსა შეცოდებასა ზედა, რომელიცა დამიხსნიდა წამსა მას. იბრძოდნენ ჩემ შორის (враги). ვერა წარმოვქსთქვამ მას, თუ **** ჩემს გულში მაშინ რაიცა ჰსწარმოებდა. ერთი ესე მკვირცხლი წამი შეადგენდაცა წიგნსა, თუ კი აღმეწერა წამი იგი. მარამა მაინც ვერ გამოვქსთქვამდი მას სრულებით ცხადად

— „თუ თქვენ არა ხართ იგი, ვინცა მგონიხართ,—ვქსთქვი მე დასასრულ.—მაშა მე მაინც უნდა მსურდეს, რომ იყოთ იგი. დამიხსენით მე! თვარა წარვსწყმდით. დამიხსენით! ამისთვის, რომ თქვენ ხართ მიზეზი ჩემის უბედურებისა“.

— „ეგოეთნი არიან კაცნი!“—ქსთქვა მან ბოროტულ გაღიმებით.

* ქვემოთ წერია: „презримо нас“. ** შემდეგ წამს: „დასატანას“. *** შემდეგ წამს: „იფად“. **** წაუშლია პირველად დაწერილი: „სატანას არ უღირს არც ერთ ფულად“. ***** შემდეგ წამს: „რაი მაშინ“.

თა*. „ივინი ჰრაცხვენ თავსა თვისსა წმინდად მაშინაც, ოდესღაც ხელნი ნათნი შესერილ არიან ძმისა სისხლითა“.

— „მართლად, ბატონო, სხვა არავინ, — მხოლოდ თქვენ იყავით მიზეზი გაუგონელთა ამა ღამის შეიარაღებულობათა. რისთვის მოხვედრით ჩემდა ბესედკაში, სადაცა ვეინა მშვიდობიანობით და უზრუნველად დილის მოლოდინებაში? თუ არ გაგელვძებნით, შე არა რაი შემემთხვეოდა“.

— „მე **გაგალვძებთ განა იუხანათობისა და მკვლელობისათვის? ეგრეთნი არიან კაცნი. ივინი ათასობით ჰხოცენ ერსა და აბრალებენ კი იმ შემადნესა, რომელმანცა (МРАВЕД) რკინა წყედიადთა მიწის (МРАВЕДИЯ). ხელმწიფეო ჩემო! მაშა სუნთქვაცა თქვენი არის დამნაშავე, ამიტომ, რომ უიძისოდ არა რა შეგემთხვეოდათ, მარამა უსუნთქოდ ვერცა იცოცხლებდით“.

— „მაშ რისათვის ჩემს ბალში კახადეთ თავი თქვენი სატანად და მეუბნებოდით ესრეთ მნიშვნელობით: „ვინცა დამითმობს მე ერთსა ბეწვსა, იგი უნდა გამი ესალმოს თავსაცა“.

— „ჰოდა რა? ტყუილს ხომ არ ვამბობდნი? ვინ დააპტიცა ეგრეთ ზარჯვედ ქეშმაოიტება ესე, ვითარცა თვით თქვენ? განა მე გთხოვდით, განა თქვენ მადლევით თმასა თქვენსა? — არა, ხელმწიფეო ჩემო! მაშინ, ოდესცა იხილეთ იულია, უწინდელი თქვენი დანიშნული, მაშინ უნდა მოგეფიქრებინათ *** ფანისათვის. თქვენ ფიად დარწმუნებული იყავით თქვენს სათნოებაზე, ანუ უკეთესად ვჰსთქვა, თქვენ სრულებით არა ჰფიქრობდით სათნოებისათვის, ხოლო ღიტინი **** (МРАВИЯ) შეადგენდა სრულსა მაშინდელსა თქვენსა სიბრძნესა. სარწმუნოება ***** და სათნოება გეტყოდნენ თქვენ: „მიიქეც შენს ბესედკაში“. არა, ბატონო, კაცი აროდეს არ უნდა მიენდოს გულსა თვისსა, რა ნოვალს წამი ცაუნებისა. პირველი მსუბუქი ჰაზრი, რომელსაცა შეუშვებენ გულში და რომელიცა იქმნების ციხეზას მძიმეთა შეცოდებათა. არს იგი ბეწვი, რომელსაცა მოვიღებების ეშმაკი“.

— „მართალს უბნობთ! მარამა შექედლოა წინადხილვა ამისა?...“

* პირველად დაუწერია: „ბოროტულის სიცილითა“. ** ამ სიტყვის წინ წაშლილია: „განა“. *** პირველად დაუწერია: „ამართებდათ ფიქრი“. **** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „ЩЕКОТАНИ“. ***** ზემოთ აწერია: „РЕДВЕНА“.

— „ღიახ, შეგედლოთ“.

— „შეუძლებელია. იფიქრეთ, თუ ვითარ შესაძრწუნებელნი გომოგებანი ზედმოებნენ ურთიერთა...“

— „თქვენ ადრევე უნდა გკოდნებოდათ* ეგენი. რატომ არა მოიფიქრეთ** მისთვის, რომ გამოცხადდებოდა იქნეული*** სტაროსტა, როდესაც თქვენ თვალდათვალ ისხედით იულიასთან? მისთვის, რომ ასტყდებოდა ცეცხლი, ოდესკა გადააგდეთ სანთელი თივაზე? მისთვის, რომ ჰკლავდით ძმასა, ოდესკა მიჰმართეთ ცხენები ურმის პატრონის გულზე—ვინაითგან იგი, გინა**** სხვა ვინმე ყოველი, კაცობრიობისამებრ არს ძმა***** თქვენი“.

— „შესაძლებელია. მარამა ნუ მიმიყვანთ უმეტესს (преимущественно) სასოწარკვეთილებაში. თქვე[ენ] უნდა მეთანხვით ამაში მაინც, რომ შეიძლებოდა, რათა პირველსა შეკოდებასა***** ჩემსა არა მობმოდნენ სხვანი, უმეტეს წარმწყმედელნი, თუ კი არ შეგროვებულსა***** ყოველი უშესაძრწუნებელსთაგანი ჩემ წარსაწყმედლად“.

— „ნუ გგონიათ უბრალოდ, რომ მე გეთანხმობთ მაგაში. რა შესაძრწუნებელია ესე, რომ სტაროსტა შეზოვიდა თავის ცოლის სანახავად? რა შესაძრწუნებელია ესე, რომ სარაიაში ეგროვა თივა? რა შესაძრწუნებელია, რომ უბედური თქვენი ძმა მოვიდოდა უზრუნველად თავის გზაზედ? არა, ხელმწიფეო ჩემო! მას, რასაცა***** ჰრაცხთ თქვენ აწ წარმწყმედელ გარემოებათა ზედმომბულებად, შეედლო სხვას დროს,—თუ კი თქვენ ჰე მმარტი გზა არა დაგეტევინათ,—რომელ მოეცა თქვენთვის უსიამოვნესნი წამნი*****. სოფელი აღესილ არს კეთილთა, მხოლოდ ცუდნი კაცისა თვისებანი შეჰქმენ მას ჯოჯობეთისა მზგავსად. არა ლესაგასა* კაცი ხანჯალსა და არა შეადგენსა* სამსალსა? რომ ყოფილიყო მშვიდი*****, რკინაცა გარდიქცეოდა მშვიდობიან სასარგებლო იარაღად და ბილახ-

* თავდაბ. ეწერა: „მოგეფიქრათ“. ** თავდაბ. ეწერა: „განა ვერ შეგედლოთ მოგეფიქრათ“. *** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „решившись“. **** თავდაპირველად დაუწ.: „ანუ“. ***** შემდეგ წაშ.: „შენი“. ***** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „правитель“. ***** ხელნაწერშია: „შეგროვებულულიყო“. ***** ამის შემდეგ წაშ.: „უწოდ“. ***** შემდეგ წაშ.: „კვეანა“. ***** შემდეგ წაშ.: „ბომ“.

ნაცა იქმნებოდენ მისთვისე საკურნებელად*. არა, ნუ ჰფიქრობთ
თავის გამართლებასა“.

აქ სასოწარკვეთილებისა კენესანი აღმოუტევე გულისა ჩემისა-
გან, ამიტომ, რომ. საქმენი ჩემნი გამომეცხადნენ** მე თვით
ყოვლითა მათ საძაგელებითა. „ოჰ! — შევსძახე მე, — ამა ლამემდის
ფიჟავ მე უცოდველ***, კეთილი მამა, ერთგული მეუღლე, წმინ-
დის სინიღისით. აწ მოვაკლდი განსვენებასა, პატივსა და ნუგეშის-
ცემასა“.

— „არა, ხელმწიფეო ჩემო, მაგაშიც გეწინააღმდეგებით. არა ამა-
ღამითგან შეიქმენით ვერეთნი, ვითარცა ხართ აწ, არამედ დიდი ხა-
ნია უკვე ხართ ერთი და იგივე. შეუძლებელია, რომ ერთს ეამსა ანგე-
ლოზი შეიკვალოს**** ეშმაკად, თუკი მას სულში არა აქვს საფუძვე-
ლი***** ყოველთა ეშმაკეულთა მიდრეკილებათადმი*****. თქვენ
არა გქონდათ***** მხოლოდ შემთხვევა, რომ ადრევე გამოგეჩი-
ნათ თვისებანი თქვენნი. თქვენ გაკლდათ მხოლოდ იულია და თვალ-
დათვალ ლამეში ხილვა. ფოლადი და ტალი იპყრობს თვის შორის
ცეცხლსა, თუმცა იგი არს უხილავი, — ჩამოჰკარით ერთი მეორეს:
ცეცხლი გამოჩნდების. და თუ ამასთანავე ნაპერწკალი მოხედება
წამლის (ნიჟრა), მაშინ მთელი ქალაქი, ყოვლითა მცხოვრებელითა
და საუნჯითა, აიგლიჯების და დაირღვევის საფუძველამდის. არა!
ნუ უყურებთ***** უცოდველობასა მათ კაცთასა, რომელნიცა უზ-
რუნველობით მიზღვევენ შემოცოდესა სახილველად, თუ ვითარ ჩამო-
ახრჩობენ მას. მრავალნი მათგანი შეხვდებოდნენ მასვე მხვედრსა,
მარამა აკლიათ მხოლოდ შემთხვევა“.

— „ესრეთ ვარ ნუგეშცემულ. ესრეთ მთელად სოფელი, თუ
თქვენ გერწმუნოთ, არა უკეთეს ჩემსა არს, და არცა თვით თქვენ“.

— „არა, ხელმწიფეო ჩემო, თქვენ კვალად შეჰსცდებით. არა
მართლად სოფელი, არამედ ნახევარი. მე მრწამს სათნოება, სიმტ-
კიცე და სულისა დიდებულება, მრწამს უშეტეს, ვიდრე გრწამდათ
თქვენ (мнимым) თქვენთა სულისა დიდებულებითა. მარამა მხოლოდ

* პირველად დაუწერია: „ემსახურებოდნენ მასვე სამკურნალოდ“. ** პირვ.
დაუწ.: „მეჩვენეს“. *** პირვ. დაუწ.: „უბრალო“. **** პირვ. დაუწ.: „გარდაიქ-
ცეს“. ***** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „ОСНОМ“. ***** ზემოთ აწერია: „ПО-
ШУДЖЕНИЕ“. ***** პირვ. დაუწ.: „გაკლდათ“. ***** გადახაზულია: „მათ
კაცთა“.

ნახევარ-სოფელი, და არა უმეტეს; განსაკუთრებით ჩვენს დროში, ოდესცა უტეტეს ნაწილსა ჰქონან ხარაქტერის (ზნის) საფუძვლად ვითარიაცა მძინარეობა, თავის შეყვარება და სულპოკლეობით პატივის-მოყვარეობა. ესენი გაქვენდათ თქვენცა. ამისათვისცა ჰსდგეხართ აწ თქვენ აქა, ვითარცა დასასჯელად განმზადებული (ოსურდენნი)*.

— „იქმნება, რომ თქვენ მართალს უბნობდეთ. მარამა მე ვარ არც-უტეტეს და არც უცუღეს სივითა კაცთა ჩვენისა საუკუნისა“.

— „როგორცა ხართ თვით თქვენ, ეგრეთ გეჩვენებათ სოფელიცა. ჩვენ არაოდეს არა ჩაეხედავთ ჩვენს გულსა და ვკსჩხრეკთ კი სხკათა. ყოველი ჩვენთვის არს მხოლოდ სარკელ“.

— „ღ[ვ]თისათვის, ხელმწიფეო ჩემო, შევქსათხე მე თითქმის გონებით გასულმა, დამიხსენით მე, ვიდრემდის არა წასულა დრო. რადგანაცა ვარ ცუდი, ბაშ არა შესაძლებელ არსა“, რომ შევიქანე უკეთეს?“

„დაიხ, შეგიძლიანთ. საჭიროება ჰკვეთს ძალასა“*.

— „დაიხსენ მე ცოლით და შეიღებითურთ. მე შეგიძლიანთ“ და მსურაცა უკეთესობა. ცხადად ვხედავ ყოველთა შეძრწუნებ[ი]თა. როცა ელთა ქმნად ვიყავ მიდრეკილ, თუმცა*** არაოდეს არ მოვიფიქრებდი თავისა ჩეჩისას მათდა მიღრეკილებასა“.

„[ეგ იქნება]****. მარამა თქვენ ხართ სუსტ და სისუსტე ხარაქტერისა ა-ის მარადის წყარო სარცხინოთა საქმეთა. მე დაგიხანია, თუ კი თვით თქვენ შეგიძლიანთ თავისა თქვენისა დახსნა. იცითა ეხლა, თუ ვინა ვარ მე და რაი მსურს?“

— „და ესრეთ ხართ თქვენ არსება ზეციური, ანგელოზ მთარველი ჩემი“.

— „მე არა უბრალოდ გეჩვენეთ თქვენ ბაღში უწინარეს ყოველთა შეკოდებათა თქვენთა. მე მინდოდა, რათა გამეფოთხილებინეთ მარამა იყავით ნუგეშებულ: ვინცა იცავს წმიდად სარწმუნოებასა ღმრთისადმი, იგი არა წარწყმდება“.

* ნემენკური ანდახა (Идеишиса—:მთარგმ. შენიშე). ** შემდეგ წამ.: „უკეთესობა. ღა-ი ვიყო უკეთესი“. *** შემდეგ წამ.: „არა მეგონა, რომ მე ვყოფილ“ და ზეცით—„აროდეს“. **** ეს სიტყვა წაუშლია. ზემოთ აწერია: „МОЖЕТ БЫТЬ-ЕЩЕ?“. როგორც ჩანს, თარგმანი არ მოსწონებია.

მას დროსა, რა მეუბნებოდა იგი, წითელი ტანისამოსი მისი მგჩვენა მართლად, რომ ენთებოდა, ვითა-ცა წმინდა ალი; და თითქოს მწვანე ცეცხლი აღჰოდოდა მიწითგან გარეშე ჩვენსა მარამა ესე იყო ფოთოლთა სიმწვანესაგან. დაჩრდილოებულნი თეონი ტრი-ალეზდენ და შეერთდებოდნენ საკვირველად წინაშე თვალთა ჩუთა, დასასოულ ყოველივე განჰქრა. მე ვიწეკ უგონოდ; არ ვიცოდი თუ სად ვიყავ მე და რაი დამეპართა*.

შემდგომ** გრძნობათა თითქოს ახლად დაიწყეს*** მცირედ და ჰცირედ გაცოცხლებად ჩემი; აღრეულნი, განშორებულნი ცერა-ნი**** ყურში მესმოდნენ; წინაშე თვალთა ჩემთა იყო ვითარდაცა (мерцание) სხივთა, გადახლართულთა ურთიერ შორის. ოდისცა თქიწნი, ბგერანი და ნათელი შეიქნენ ჩემთვის უმეტეს ცხადად, მაშინ დაჰფიქრდი ჩემისა ძდგომარეობისათვის, მარამა სრულქიით ვერ წარმოვიდგინე, თუ რაი დაჰეპართა.

— „რა არის ესე?—ფეიქრობდი მე.—გულთყრავა, გაგიყება. თუ მიკვდილის მოახლოება? უკეთუ სული გ ნშორდების ხორცსა და უკეთუ სული განეკრების სულსა. მაშა რაღა დაჰმთების?***** ნუთუ გრძნობათა თანა განჰქრების ქვეყანაცა? ნუთუ სული, ვითარცა (ничтож-ний) ძალი, განქარდების სამფლობელოსა შინა სხვათა ძალთასა? მაშინ კაციცა იქნებოდა (кაცн) ზღვის ქაფისა, დაგდებული მარად***** მოძრავსა, მარად ფერმცვლელსა***** ქვეყნისა უკენისა ზენაპირსა ზედა, რომელიცა გამოაჩენს თვის შორის აღმწვანებულთა კუნაულ-თა და დაუსრულებასა ზეციურისა სამყაროსისა. რა ესე (как) განიბნევის, პას დროსვე უნდა განქარდნენცა***** გაროჩენილნი კუნძულნიცა და ზეციური სამყაროცა.—არა, არა!—განხდა ბნა ჩემს სულში: შენ იყავ მხოლოდ ამით შეპკოდე, რომ დაჰქარგე სარწუ-ნოება ღმრთისადმი, დაჰქარგე თავი თვისი, მიენდა რა ამოციდითსა

* შემდეგ წაშლილია მთელი სტრიქონი: „შემდგომ თითქოს გრძნობათა თით-თქოს როგორღაც ახლად (კახალეიძეს) გამაცოცხალეს მე ნელ-ნელად“. ** შემ-დეგ წაშ: „დაიწყეს“. *** პირველად დაუჭერია: „ნელნე“. **** ებოთ აწერია „шумъ“. ***** ხეობთ აწერია: „Дух отвергается от души“. ***** პირველად დაუწ: „საუუნოდ“. ***** წაუშ: „საუუნოდ [изменяющихся(?)“ ***** აუშ: „განქრენ. იუტა“.

ფილოსოფი[ა]სა, ერთმხარეობრივთა* გონიერთა კაცთათა. სული ყველგან არს, არა არს გრიგალიანი (СНИЖИЯ); სული კაცისა არა არს ქაფი. მოეჟიდე მაგრად სარწმუნოებასა, რომელიცა არს** მოვლინებულ ღმრთისაგან და ღმრთისათვის; განსჯა მოცემულ არს ღმრთისა მიერ საცნობელად*** მსოფლიურისა ამაოებისა“.

ესრეთ ვფიქრობდი რა, განვახილნე თვალნი, და მალლა ჰაერში ჩემზე****, ღრუბლებით გარეშემორტყპული, მიმოვლიდა მოხუცი, რომლისა სახე გამოჰსთქვამდა მეგობრულსა***** სიმკაცრესა. მე არლა ვიხილე უკვე უძრავშეკუმხვნილი სახე, არამედ წარმომიღვა ვითაროცა უზენაესი, კეთილი არსება, წყნართა, მიშვიდვლითა სახითა, სავსე სხივ-ციცქროვანობაში. თვალთა ჩემთათვის იყო ფრიად მძიმედ არაჩვეულებრივი ელვარება; მე დავხუპე იგინი და კვლად დავჭვიქრდი. და არა შემძლო არც ერთისა ასოსი განძრევა.

— „რაი შემემთხვა***** და ანუ რა დამემართების?“—ფიქრობდი მე; ამისთვის, რომ მეჩვენებოდა, თითქოს ქალაქნი და სოფლები შირბიოდენ ახლოს ჩემსა; თითქოს ტყენი, ქართაა შერყეულნი. კრიალებდენ გარეშე ჩემსა; თითქოს მდინარენი მოწკრიალებდენ და ზღვის ტალღანი***** ეცემოდნენ ფრიალთა კლდეთა; თითქოს დასასრულ, განხდა ხმა მცირე ზარებთა მძოვარისა ნახირისა და ისმოდენ განზორებულნი მწყემსთა სიმღერანი.

— „რა მემართების? სადა დავეცევი მე?“—ფუნობდი მე ***** და ვოხრავდი წყნარად, მარამა დიდითა (напряжением) გულისათა.

სახე მოხუცისა ჯერ კიდევ მიმოვლიდა***** ჩემზედა, და თვალნიცა მისნი ჩემზედა იყვნენ მომართულნი ***** მშვიდობიანის მზრუნველობითა. „მე დაგიხსნი შენ“,—ჰსთქვა მან გამოუთქმელ-ტკბილის, მადლიანის ***** ხმით. „ნუ გეშინის! შენ ხარ ჰხსნილ. შენ იხილე ცხოვრება თვისი და იხილე სიკვდილი თვისი. უძლურო მოკვდავო! იყავნ კაცად. მეორედ არლა მოვალ შენდა დასახსნილად“.

* წაუშ.: „გონიერთა“. და ზემოთ ამ სიტყვისა: „СПИТЕСНИИ(?)“ ** შენდღე წაშ.: „წარმოგზავნი“. *** შემდეგ წაშ.: „ამაოებისა და“. **** შემდეგ წაშ.: „თითქოს“. ***** შემდეგ წაშ.: „სПРОГОСТ“: ***** პირველად დაუწერია: „მე-მართების“. ***** პირველად დაუწ.: „ლეღვანი“. ***** პირველად დაუწ.: „ვე-უბნებოდი (თავსა ჩემსა“. ***** ამ სიტყვისა ზემოთ აწერია: „НОСИМ“: ***** წაუშ. პირველად დაწერილი; „მოსწრაფებულნი“. ***** ზემოთ აწერია „ГЛАГОЛЕНИ“.

აქ დამიბნელდა კვალად თვალები და მეჩვენა, რომ თითქოს ვინ-
ყოფებოდე კლდის გამოქვაბულში, სადაცა კლდის ვიწრო გახეთ-
ქილში შემოდინოდა დღისა სინათლე. მარამა მოხუცი ჯერ კიდევ ჩემ-
ზე მიმოვლიდა. „ახლა გეშველა შენ,—მან მითხრა მე*,—და მეცა
დაგიტევებ შენ. წადილი შენი აღსრულდა“.

—„მარამა, წარმოჰესთქვი მე ოხრავითა, ჩემი ფანნი და ჩემი შვი-
ლები მომიბრუნე ამა უდაბნოში.“

— „ივინი უკვე არიან შენთანა“.

— „ხოლო ხაოვნაც** უბედურებათა ჩემთასა არა განაქრობა.
ჩემ შორის?“

— „განქარებულ არს, არღა შეგაწუხებს“.

მეუბნებოდა რა ამა უქანასკნელთა სიტყვათა, იგი ჰქრებოდა
ჩემზედა, ვითარცა ნისლში. თვალნი ჩემნი იყვნენ მიმართულნი შიშ-
ველთა კლდეთა ზედა გარეშე ჩემსა და ვერა გამეგო რა. მარამა
ვისყავ ესრეთ შემსუბუქებით, ესრეთ კარგათ... და მარამა მაინც კი-
დევ მეჩვენებოდა*** ყოველივე ესე თითქოს გაცხელების დროს, აღ-
რეულ (оцарившем).

მე**** ვიქარგებოდი ფიქრში, ვჰსჩხრეკდი რა გადმოშვერილთა
გარეშე ჩემსა კლდეთა.—და ერთბაშად უხილავმა ვილამაც სულმა
დაბექდა ტბილი კოცნა ბაგეთაზე ჩემთა.

ახალი ქვეყანა*****

კოცნამან მომაქცია ქვეყნიერად. მე მეგონა, რომ თვალები მქონ-
და ახილულ; მარამა აქ ვიგრძენ. რომ ივინი არა იყვნენ გახილულ-
ნი*****, ავიტომ რომ გაოეშე ჩემსა ისმოდა***** ფეხის ზმა და
მე კი ვერა ვისა ვხედავდი ქვაბში.

წმინდა ჰაერმან მომბერა. და ნარნარნი ბაგენი კვალად შეეხნენ
ბაგეთა ჩემთა. სიცოცხლისა გრძნობამ შემიბყრა***** მე კვალად.

* გადახ. პირველი ვარიანტი: „მსტვე მან“. ** შემდეგ წაშლილია: „ჩემთა“.
*** შემდეგ წაშ.: „აღრეულ „оцарившем““. **** შემდეგ წაშ.: „ფიქრში“.
***** გვერდზე ფრჩხილბაში მიწერილია: „смерт“, ***** პირვ. დაუწ. „მეხილვ-
ბოდენ“. ***** შემდეგ წაშ.: „ბრაგუნი“. ***** ზემოთ აწერია: „ინმჟჟ“.

მომესმა ჩურჩული პატარა ყმაწვილთა. სიზმარი და ქეშპ. რიტება-
არეულნი ერთად, მივლიდენ მე გარეშე და განერჩეოდნენ რა. მცი-
რედ და მცირედ შეიქცნებოდენ ჩემთვის უმეტეს ცხადად, მანამ, და-
სასრულ, მოველ გონებაში და მივიღე სრულის ძალით (оццущенно)
გარეგანთა გრინობათა ჩემთა.

ხელით ვსინჯავდი რა *, ვნახე. რომ ვიწვექ ხმელზე და მოუს-
ვენებ ლობით: სწორედ თითქოს ვაწუქ სოფაზე ჩემს ბალის ბეჟედკაში.
გავახილე თვალები და—ჩევი თანაჲ ჰსდგას, გადმოყუდებული **
ჩემზე. მან გამალვიდა ტკბილითა კოცნითა თვისითა. შევიღებმა სი-
ხარულით დაუკრეს ტაში, იხილეს რა განღვიძება ჩემი, მომვარდ-
ნენ საფაზე და ჰყვიროდნენ: „მშვიდობა თქვენი ნახვა, მშვიდობა
თქვენი ნახვა, მამავ!“ ცოლი ჩემი დასჯდა გვერდით ჩემსა და თვალ-
ცრეალოვანი მყვედრიდა, რომ სიცივეში მთელი ღაწე განვატარე
ბესედკაში, და თუ რომ წსახური ჩვენი, პეტრე, არ მოსულიყო
პოჩტის სახლიდან, აქამდინაც არვის ეკოდინებოდა მოსლვა*** ჩემი.

შაობა საშინელმა პირველ მისის წინაღამემ ესრეთ შეჰაძრწუ-
ნა ****, რომ ვიწვექ მე დიდი ხანი და ჯერ კიდევაც არ უჯერებ-
დი აუცა თვალთა და არცა ყურთა ჩემთა. მე ვეძებდი (оццущенно-
нно) ქებასა საშუალ უდაბურისა, მარამა ვხედავდი ***** ნხოლოდ
ჩემს ბალის ბესედკას. აქ ეწყვნენ ჯერ კიდევ განბნეულნი შეიღების
სათაჲშონი. სტოლზე იდგა ჯერეთაც ხელსაქმის ყუთი თანისა —
ყოველივე იყო ისევ ესრეთ ბესედკაში, როგორცა ჩემს შემოსვლისა
და დაძინების დროს *****.

— „კ ტრეც ეხლა მოვიდა პოჩტის სახლიდან? — ვიკითხე მე. — და
ჩას იქ ***** ეძინა მთელი ღამე?“

„დიახ! — მითხრა თანნომ და ნახად (подрав) ლოყაზე. — პეტ-
რე ამბობს, რომ შენ უბრძანე მას იქ იილი. თვით შენ რაში მოგა-
გონდა აქ ძილი? რატომ არ გაგვალვიძე? ნუთუ ჩვენთვის უჯობე-
სი იყო ძილი, ვიდრე სიხარული მოსვლისათვის შენისა? *****“

* ხემოთ აწერია: „оццущенно“. ** ხემოთ აწერია: „навести шизь“
*** პირველად დაუწ.: „მობრუნება“. **** პირველად დაუწ.: „растрепожил“.
***** შეიღებ წაშლილია: „მინცი“. ***** თავდაპირველად დაუწ.: ყოველივე იყო
ესრეთ, როგორცა ჩემს შემოსვლისა და დაძინების დროს ბესედკაში“. ***** შეი-
ღებ წაშ.: „მთელ“. ***** პიოვ. დაუწ.: „იქნება გავიან, რომ ძილი გვერჩინა
შენს მოსვლისათვის გახარებას“.

აქ მეცა თვით სიხარულით გავოცდი. „მაშ თქვენ გეძინათ განსვენებით? და არა რასა შეუწუხებიახართ?“ — ვკითხე მე.

— „ღიას განსვენებით. თუკი შეგეტყო შენი მოსვლა ბესედეკაში, მაშინ, რასაკურეელია, ძილი ჩემ დაიკარგებოდა. მაშინ მე შემოგპარებოდი და გეჩვენებოდი, ვითარცა მოჩვენება. იცი? — ხომ წუხელის“* იყო პიოველ მაისის წინაღამე, რომელშიაც ყოველნი კუდიანები და არაწმინდა სულნი შეიყრებიან მთებზე და აწინებენ ერსა“.

— „ჰო, მე ღიას კარგათ ვიცი ეგე“, — ვჰსთქვი და ვიფშენეტდი ავალეხს. სიხარულით მეციებოდა, ვჰსცან რა, რომ ყოველნი ჩემნი შეცოდებანი იყო *** მხოლოდ სიზმარი; ხომ არცა პოჩტის სახლი და არცა ქალაქი არ დამწვარიყვნენ; რომ არცა წითელკაბიანი კაცი პრაგითგან და არცა დაეიწყებული იულია არ მოსულიყვნენ ჩეუდა შესაწუხებლად****.

ზიეიკარ გულში კეთილი ფანნი მაგრად და ნარნარად. მის ახლოს და ლამაზთა ყმაწვილებთა თანა, რომელნიცა მისხდნენ მუხლებზე, ვგანობდი უმეტეს*****. ვიდრე როდისივე, ცოცხლად ბედნიერებასა. რომ მაქნდა გული უბიწო და სინიღისი წმინდა. გარემე ჩემსა მშენიერდებოდა ახალი ქვეყანა. მარამა რაცდენჯერზე ვიზნეულობდი და ვიგონებდი, ვართუ ესეც იყოს სიზმარი? ხშირად ზეგხედავ იი ჩვენის ქალაქის მშვიდობიანურთა სახლთა, რათა დაიეგვრებინა გული, რომ იგინი არიან მთელნი და მეცა არა დაიგდია ანთებული სანთელი თივაზე.

ჩემს სიცოცხლეში აროდეს არ ჰეხილვა სიზმარი ესრეთ (свѣтло), ესრეთ განცხადებული და ესრეთ შემადრწუნებელი, იგი ესრეთ ახლოს მოება ჰაზრთა, რომელნიცა (аринижи) ჩემს თავში დამიხების წან საფაზე. რომ მომატყუებლთა მის***** მოჩვენებათა სრულიად დამატყვევებს*****. და მხოლოდ დასრულებაზე, განთიადის წინ, შეიქნა სიზმარი უმეტეს ასახდენელ და გასაოცარ*****; მარამა ამასთანავე

* პირე. დაუწ.: „არა შეგაწუხათ!“ ** პირე. დაუწ.: „დღეს“. *** პირე. დაუწ.: „იყვნენ“. **** უძმდეგ ფრხილებშია ჩასმული: „требовать“. ***** წაშლილია: „ცოცხლად“. ***** უძმდეგ წაშ.: „ნიშნათა“. ამ სიტყვის ზემოთ კი გადაშლილია „приказ“. ***** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „отправил“. ***** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „улучшил“.

ფრთად სულისა გონებითნი ძალნი შეიქმნენ უცხოველეს, ვითარცა მარადის იქმნების რაოდენსამე წამს უწინ დიდის* გაღვიძებამდის.

ჩვენ წავედით დღესასწაულობით აღყვავებულს ბაღზე მხიარულსა ჩვენს სახლში, სადაცა ყოველნი შინაურნი მომეგებნენ მეგობრულისა მოკითხვითა. გამოვიცვალე რა ტანისამოსი, ავიღე მთელი კონა სათამაშო, რომელიცა მოუტანე შეილებთა, და შეველ საუზმისათვის ფანნის ოთახში. იქ გამახარა** ხილვამან*** ტურფისა ქაბუკის დედისა საშუალ მოთამაშეთა მის შეილებთა. თვითოეული შემოხედდა საყვარელისა ჩემისა მეგობრისა შთაასხამდა ჩემს სულში ტკბილსა აღტაცებასა. დაღუმებული მივეყრდენ მის გულსა, სიხარულევიანითა**** თვალებში ცრემლითა მივეც მისთვისცა ნასყიდნი პრაგაში საჩუქარნი***** და უთხარ: „ფანნიე, დღე ესე არის დღე შენის დაბადებისა“.

— „არაოდეს არ მიდღესასწაულნია დღე ესე ესრეთ მხიარულად. ვითარცა აწ,—მიპასუხა მან.—შენ კვალად დაბრუნდი ჩემდა. მე პოვეპატიე დღეს მეგობარნი და ნაცნობნი ჩვენი, რომ ერთად გვემხიარულნა. შენ ხომ არ გეწყინებთა ესე?—აბა, ახლა დაჯექ ჩემთან და მიამბე ყოველი, სრულებით***** უკანასკნელ წვრილმანკამდის, რაიცა შეგემთხვა უჩემოდ“.

(**Рокково**) სიზმარი უმეტეს ყოვლისა (**завиная мечта**) მას წამსა. ამისთვის ვფიქრობდი, რომ ჩქარა მომეშორებინა თავითგან სიზმარი ესე და უანბეცა დაწვრილებით. ფანნი მისმენდა***** დიდის უურადლებითა*****. — („Ну уж сои!“), — პრქვა მან დასასრულ ღმინილითა. „აგრე საყურველი არ არის, რომ დაუჯეროთ გასაოცართა ანბაეთა, რომელნიცა მოხდებიან პირველ მაისის წინალაგესათა. მაგ სიზმარში მთელი ქადაგება არს. იყავ მაშ კეთილ, შენ ჩემო კეთილო რობერტ, ამისთვის, რომ უეჭველად მაგას გეუბნებოდა შენ მფარველი ანგელოზი შენი. ჩაწერე მთლად შენი სიზმარი. ეგრეთი

* პირველად დაუწერია: „განთიადის“. ** ამ სიტყვას ზემოთ აწერია: „Иде-
ული“. *** შემდეგ წაშ.: „სამურისა“. **** აეტოგრაფშია: „სახარულევიანითა“.
***** პირველად დაუწერია: „საფეშქაშები“. ***** თავდაპირველად დაუწ.:
„ყოველი“. ***** თავდაპირველად დაუწ.: „ეურს მიკდებდა“. ***** წაუშლია:
„БЫВШАГО“.

სიზმარი უმეტეს ღირს არს* ხსოვნისა, ვიდრე სხვისა მთელი ცხოვრება. შენ ხომ იცი, ვითარ მრავალს ნიშნენ ჩემთვის სიზმარნი? იგინი, თუმცა არარას მოასწავებენ, მარამა მათში შეპყრობილ არს ფრიად მრავალი. მათში ვხედავთ ჩვენ თავსა ჩვენსა. სული არა ძვირად გამომჰვირვალებს მათში, ვითარცა უწმინდეს საარკემი*.

გამომცდელი და განსაცდელი ერთს დროსა

შემთხვევამან, თუმცა არა უმაღლეს ბუნებითებრმან, მარამა ჩემთვის ფრიად შესანიშნელმან, დაასრულა მასვე დღესა საკვირველბა** სიზმრისა ჩემისა.

სტუმრები, რომელნიცა მოწვეულ იყვნენ ფანისის მიერ ჩვენის სახლობის დღესასწაულზე, ისხდნენ ჩვენთანა სადილათ ბაღის ბესედკის მალლა ოთახში. დღე იყო უმშენიერესი. სიზმარი ჩემი უკვე არღა წარმომიდგებოდა ესრეთ ცოცხლად ჩემს გონებაში და ადგილს უთმობდა*** მხიარულებასა, რომელიცა გარეშემომზღუდვიდა მჭე ფხიზელსა.

ერთბამად მსახურმა მომახსენა, რომ უფალს, ბარონს დე მონს, დროსტოვით მოსულს, ჰსურს ჩემთან ლაპარაკი. ფანიმ შემამცნივა რა, რომ შევშინდი, მითხრა სიცილითა: „რათ უნდა**** შეგეშინდეს გამომცდელისა, თუ კი არა ჰყავს თანა***** განსაცდელი, და თუ გინდ განსაცდელითაც***** გამოცხადდეს, მაშინაც არ უნდა შეიშინო, როდესაც მე ვარ შენთან“.

მე ჩავედ ძირსა. მას საფაზე, რომელზედაც მეძინა იმ ღამეს, იჯდა ჩემი წითელკაბიანი მცნობი. იგი აღსდგა, მომესალმა როგორც ძველსა მეგობარსა, და მითხრა: „ჰხედავთა, რომ მე აღვასრულე ჩემი სიტყვა! მაშ გამაცანით თქვენს საყვარელს მეუღლასთან. რომელიცა ვჰსკან მე შემთხვევით მეგობრულის მის თქვენდამი წერილთაგან. მარამა ნუ იქმნებით კი იქვენულ*****. დიახ!“—ჰსთქვა მან

* ზემოთ აწერია: „привычательный“. ** ზემოთ აწერია: „неиспытанность“
*** პირველი ვარიანტი: „უთმობდა ადგილსა“. **** პირველი დაუწ.: „ნუთუ“. *****
თავდაპირველად დაუწ.: „ოდესცა გამოგცხადდება“. ***** შემდეგ წაუშლია: „მაშინ“. ***** ზემოთ აწერია: „предвещанье“.

კვალად და მიჩვენა ხელით ბალისკენ. — მე მოვიყვანე ჩემთან კიდევ ორნი* სტუპარნი, — ჩეპი ძაა და იისი ცოლი. ჩემი რძალი გიცნობსთ თქვენ. ჩვენ შევხვდით ანაზღეულად ურთიერთს დოზღენში და ეხლა ერთად ვმოგზაურობთ.

მე უპასუხე, რომ ჩემთვის დიახ სასიაროვნო იქმნების ხილვა მათი. ახ დროსა შემოვიდა კარებში ბალითგან სქელი კაცი და მასთან მოსდევდა დედაკაცი საგზავერო ტანისაბოსში. წარმოიდგინეთ თვით თქვენვე შეშინება ჩემი: ესე არის იულია, ცოლი სტაროსტასი.

იულია არ აღივრია ესრეთ, როგორც მე, თუმცა იგიცა შეიცვალა სახით. შეპდგოჰად პირველთა ურთიერთთა მოკითხვათა, მე წარვიყვანე სტუპარნი ჩემნი მალა და წარუდგინე მათ ცოლი ჩემი**.

ბარონი ეუბნებოდა ჩემს ცოლსა მრავალთა თავაზიანურთა ქებათა. არე ჯერ პრავაშივე ვგრძნობდი თქვენდამი განსხვავებით პარტივისკებასა, — ჰსთქვა ბარონმან. — იქ, თქვენის მეუღლის უცნობელად, ვჰსკან მე ყოველნი მცირედნი საიდუმლონი, როგელთაცა თქვენ არწუნებდით მეუღლესა თქვენსა თქვენს წერილებში.

— ყოველივე ვიცო, — ჩიუგო ფანნიმ. — ათას ხუთას ტალერად ჰსყიდულობთ თქვენ საიდუმლოთა ჩემთა. მარაჰა ამასთანავე მიინტოქვენ ხართ ბოროტი კაცი. თქვენ გაატარებინეთ ჩემს ქმარსა მთელი ღანე ფრიადს მოუსვენებლობაში.

„ჯეო ეგ რა არის, სასურველო ფანნიე, — უთხარ*** მე. შენ ხედავ გაპოპდელსა, და, აჰა, — წაოუდგინე მას მეუღლა სტაროსტასი, — აჰა, იულიაცა!“

ფანნი ცოტად შეკრთა****, მარაჰა დედაკაცთა შორის ესრეთი შეკრთომა არაოდეს ხანგრძლივ არ იქმნების. იგი მოეხვია იულიას, როგორც დასა თვისსა, და დაისვა თვის გვერდით ერთის მარით გამომდელი და მეორესა — განსაცდელი. „ესენი, რამდენიც შესაძლებელია, უნდა***** იყენენ შენგან დაშორებულნი!“ — ჩითხრა ფანნიმ მე პლეტურის ღიმილით.

—

* ეს სიტყვა („ორნი“) დედანში ორჯერაა გამოყენებული. ** თავდაპირველი ვარიანტი: „და წარუდგინე ჩემს ცოლს“. *** პირველად დაუწ: „იიუგჰ“. **** წაშლილია: „აირია. შეკრთა“. ***** წაშლილია: „შენგან“.

ფანნის და იულიას, თუმცა უწინ არა ეხილვით ურთიერთი, მარამა ჩქარა გაიცნეს მოკლედ ურთიერთი, უბნობდენ ერთად მეგობრულად და უხაროდათ. რომ მოუწყვეტლივ მაჯავრებდნენ*. მეცა განსაკუთრებით მიხაროდა, ეხედავდი რა ამ ორთა სასუოველთა დედაკაცთა; ორნივე არიან საყვარელნი, მარამა იულია არის მხოლოდ ტურფა დედაკაცი, ხოლო ფანნი გვერდით მისა არს ანგელოზი.

იულია, რაიც ვსცან მე შემდეგ, ვსვირობდი რა მასთან ბალში, იყო ფოიად ბედნიერ. მას უყვარდა სულით ქმარი თვისი კე ილშობილურთა მის თვისებათათვის. მარამა თვისსა მაზლსა, წითელკაბიანსა, განსაკუთრებით** პატივსა ჰსცემდა და იყო მისდა მიზიდულ, ვითარცა ყმაწვილი.

— „ურთად დიდს ხანს მოგზაურობდა მაზლი ჩემი.—ზითხრა მე იულიანი***,—და ახლა ჰსცხოვრებს პოლშაში, პატარა სოფელში, ჩემის ქმრის სიახლოეს. ვითარცა კეთილმოქმედი ფილოსოფოსი, წიგნებთა თვისთა და სოფლიურთა შრომათა შორის****. იულია მეუბნებოდა მისთვის და ამტკიცებდა. რომ არა არს ქვეყანაზე კაცი, უკეთილშობილეს მისა. აქა შენიშნე მე, რომ არაოდეს არ იცნობების***** კაცი გარეგანის სახითა.

პატივცემულსა ბარონსა უთხარ მე შემდგომ: „რისათვის მკითხავდით თქვენ პრაგაში ესრეთის საიდუმლოებითოს სახით: „იციოთა ეხლა, თუ ვინა ვარ მე და რაი მსურს თქვენგან?—აქა სიტყვათა ძლიერად შემარყიეს მე პრაგაში და ესრეთ ცოცხლად ისწოდენ იგინი***** ჩემთა ყურებში ძილის დროსა-.

— „ღმერთო ჩემო!—წამოიძახა ბაოონმან*****,—რამდენსაცა ეჰსკდილოდდი, რომ როგორმე თქვენთვის შემეტკობინებინა ეშმაწინიკათვის და თქვენგან მეცნა რამე, თუმცა მკირეფი ნიშანი დანაკარგისა თქვენისა*****. თქვენ ყოველთვის ასოეთის გულდაუკუდრებლობით (Исклонен) რომ თითქოს ელაპარაკებოდით თეი) საეველ***** კაცსა. და ამასთანავე მიხედავი შეგაპსნიეთ, რომ სქვენ

* ზეროთ აწერია: „правашии“. ** შემდეგ წაშლილია: „განუსახდებოდად“.
*** ხელნაწერშია: „ფანნი“ **** შემდეგ ფრჩხილზე ში წერია გაუთქველი რუსული სიტყვა. ***** პირველად დაუწერია: „უნდა იცნობებოდეს“ ***** წაუშლია: „ყურია“. ***** თავდაპირველად დაუწერია: „მან წითლკაბი“. ***** წაშლილია: „ეგოდენს“. ***** ზემოთ აწერია: „подвратных-решет“.

ჰსწუხდით; და ამასთანავე მე თითქმის არც კი ვიჭვენეულებდი, როცნ სწორედ თქვენ დაგეჰარგათ ბუმაენიკი“.

აქ უანბე მას სიზმარი ჩემი. „ხელმწიფეო ჩემო—წამოიძახა მან,— გაუჰარჯოს პირველ მაისის წინალამის არაწმინდა სულთა ეგე სიზმარი ღირსია, რომ ჰქონდეს მას აღგილი ზნეობითის ფილოსოფიასა და პსიხოლოლიაში. თუ თქვენ არ აღსწერთ მას ყოვლითა დაწვრილებითა, მაშ მე თვით ვიქმ მაგას და წარმოგიგზავნით თქვენ დასაბეჰტად. მუნ არიან უძვირფასესნი ჰსწავლანი“. ჩემთვისაც სასიამოვნოა, რომ ბოლოს მეცა წარმოვადღენ სახესა კეთილისა სულისასა; თვარა სხვარიგათ, მართალს გეტყვით, რომ არ მოვინდომებდი მაგ სიზმრის საეროდ გამოცხადებასა“.

ჩვენ განვატარეთ ერთად მთელი დღე: მე ჰემშარიტად ბრძენს ბარონ დემონთან და ფანნიმ იულიასთან. ვერ ვიხილეთ, თუ ვითარ მსწრაფლ გაფრინდა დრო, ყოველთა ჩვენთათვის თანასწორად სიხარულევეანი.

ოდესცა, გამოსალმების დროსა, გავაცილეთ ჩვენ ძვირფასნი სტუმარნი პორტის სახლამდის, მაშინ ფანნიმ მითხრა მე: „ეხლა გამოვესალმოთ და დავბრუნდეთ**“. ერთს ბიჯსაც მეტს აღარ გადაგადგმევინებ უტურფესისა ზენისა განსაცდელისა გასაცილებლად. პირველ მაისის წინალამის სიზმარში არიან ჩემთვისაც ფრად კარგნი დარიგებანი. იცი შენ, თუ ვინა ვარ მე და რაი მსურს შენგან?...“

დასასრული

თებერვლის 25-სა დღეს, 1833 წელს.

პირველი ევოლისტი 4-ს ჰებოტრის სალდათთა.

საღამოს ჩაიზმად

მუსაითობას შეჰყვა ბაასი; ბულალინმა, დამყარებულმა ოცდახუთის წლოვანების გამოცდილებითა და შეხურებულმა ბაასისაგან***. ცოტა დაივიწყა წესი მაღალის საზოგადოებისა, ხმა აიმაღლა:

არა,—ჰსთქვა ბულალინმა და გარდაიყარა სახიდგან გრძელი

* ზემოთ აწერია: „урон“. ** შემდეგ წაშლილია: „ნებას არ მოვცემ“.

*** ხელნაწერშია: „ბულალინი, დამყარებული ოცდახუთის წლოვანების გამოცდილებითა და შეხურებული ბაასისაგან...“

თმები, — მე არ დავემორჩილები მაგ საჭიროებას, მე ვერა ჰვბოვებ საკადრისად დედაკაცთ საზოგადო მდგომარეობას. რომ უყურებ. გჟული მიწუხს.

ჩაი ხომ არ გნებავთ, — უთხრა სახლის პატრონმა ქალმა.

მიბოძეთ. — დიახ, ეს ბარბაროზობა არის! მე ვერა ვხედავ ზნეობითს მიზეზს, რა მიზეზისათვის უნდა იყოს ბრმად მორჩილი დედაკაცი* და აიტანოს შეურაცხება ქრმისაგან. თვით უმძიმესი მდაბალი მონება? რატომ არ უნდა იყოს მათ შორის თანასწორობა?

გრაფინამ შეხედა, მაგრამ აღარ გაიღიმა.

მაგაში მართლა ძნელია ვიპოვნოთ ლოლიკური საფუძველი, — ჰსთქვა გრაფინამ.

Vae victis! წაიბუტბუტა იქ მჯდომმა ორმოცის წლის კაცმა.

რას ნიშნავს ეგ სიტყვა? — ჰკითხა ერთმა ქალმა, რომელიც იჯდა ამ კაცის გვერდით, მქონემ სასიამოვნო შავვრეძანის სახისამ. დამშვენებულმა** პირისფერის კაბითა. — მე დიდათ მსურდა დამემტკიცებინა, რომ მე ლათინური არ მესმის.

ეს სიტყვა ბევრს რასმე ნიშნავს, — უპასუხა*** კაცმა, — ეს ნიშნავს, ჰსწორეთ რომ ვსთქვათ იმას, ფრანციამ რომ ომი გამოუცხადოს კიტაიას, ჩვენში არავენ განჰკვირდებოდა შეგვეტყო — ფრანკუზებმა დააძარცხეს ჯარი რომელისამე ლიასი!

Tout de choses en deux mots, — თქვა სიცილით ქალმა პირისფერის კაბიანმა. — C'est une belle langue gue la langue turque!²

ფრანციულად შეიძლება ერთი სიტყვით გამოსთქვას ეგ სიტყვები — *parisque* (რადგან, მაგრამ, მახლას)****.

ხომ არ გგონიათ, — ჰკითხა სახლის პატრონმა ქალმა, რომელიც ეფარა ვერცხლის სამოვარს, — თუ რომ კიტაიელებს მიეღოთ სხვაგვარი აღზრდა, სულ სხვანი იქნებოდენ.

მე ამას ვფიქრობ, იმათთვის მომატებულად შეუძლებელი იქნებოდა ფრანკუზებად გადაქეულებიყვნენ, და რა საჭიროა, რომ ისინი გამოიცივალნენ? მე გახლდით კიტაიაში და***** გარწმუნებთ, კი-

* ამის შემდეგ გადახაზულია: „კაცისა“. ** თავდაპირველად დაუწერია: „რომელსაც ჰშენოდა“, შემდეგ გადაუხაზეს. *** თავდაპირველად დაუწერია: „მიოგო“. **** აზიანე გრ. თრბელიანს მიუწერია: „მახლას ახალი სიტყვაა, რომელსაც ხმარობენ ებლა“. ***** შემდეგ გადახაზულია: „მე“.

ტაიელნი უცხო და სასიამოვნო ხალხნი არიან, განსაკუთრებით იმა-
თი ქალები, თავიანთის* ბოტყლად პირმოყვანილობით, მალლა**
ქილოაწეულის თვალებით და კუნტულა ფეხებით, იმათის ზარმა-
ცულის იოხარობით და ყმაწვილურის შექცევით. ამათ ყველასა აქვს
თავისი სასიამოვნო მხარე.

ქალბა შეხედა სწრაფის თვალით და ტუჩები მოიკენიტა.

შეიბრაღეთ, ალექსეი პეტროვიჩი, — უპასუხა ბულაღინმა, გაიგონა
რა რამდენიმე ამის პასუხი — განა შეიძლება არ ვირწმუნოთ მოქ-
მედება განათლებისაგან? მაშ თქვენ აღზრდას არათ აგდებით? თქვენ
ამტკიცებთ, რომ კაცი არ გაკეთილშობილდება? ვერ ასწავლით,
რომ ჰქონდეს საფუივლიანი ცხედველობა ცხოვრებაზედ, გაუსწო-
როთ იმისი ნაკლულგანება?

მე ვგონებ მხოლოდ ამას, — უთხრა მშვიდათ ალექსეი პეტრო-
ვიჩი, — ქალის ბუნებისაგან კაცის ბუნება არ გაკეთდება.

მე კი ასე მგონია, — უპასუხა ბულაღინმა, — ყოველი დედაკაცის
ნაკლულგანება დამოკიდებული არის აღზრდაზე, ასე რომ, სხვა-
გვარ თუ აღეზარდათ, უეჭველად უპირატესნი და უმჯობესნი იქნე-
ბოდნენ კაცებზედ. მაგრამ ქალთ მართო აღზრდაში განუფრცვლე-
ბენ დაწვლილებითს ჩვეულების მხარეს და შებღვომ ზდილობიანის
სიძულელით უწოდებენ ყმაწვილებად.

ეს სიტყვები ერთის მხრით მართალია, — შენიშნა გრაფინამ და
შეძახდა ალექსეი პეტროვიჩს. — აღიარეთ, რომ ქალის აღზრდა მა-
ღალ ხარისხამდე არის უკუნუოად; უმეტესია ვინემ უკუნურად.
თითქო განგებ ონების მსჯელობის წინააღმდეგი იყოს. შეიძლება
ვივიქოთ, რომ ყოველი ქალი არის აღზრდილი. თვისის უბორო-
ტისის მტრისაგან, ასე გასაოცად ზოუნვენ ქალებზედ***. ქალს არ
შეუღლიან მოიპოვოს სიმდიდრე, როგორც კაცსა, და თითქმის
მამის საუფლისწულოსაც არის მოკლებული ჰსჯულითა; და ამასთან
კი შეაგონებენ ძდიდრულ ცხოვრებას და აჩევენ, რომ სიმდიდრე
არის აუცილებელი პირობა ქვეყანაში ცხოვრებისა; თვითონ ვერ
გაჭადავს კაცს ბისკეს ხელი; აძისდაგვარად აშინებენ ქალსა გაუთ-
ხოკობაზედ, როგორც შესარცხვენს რასმე უბედურობაზედ; მიიყ-

* შემდეგ გადაზახულია: „პირ“. ** შემდეგ გადაზახულია: „აწეულის“. *** თავ-
დაპირველად დაუჭერია: „ქალებისათვის“.

განუ იქამდის, რომ არ შეუძლიან დაიშვაროს თავში თავისუფალი
მდგომარეობა და ასწავლიან თავისუფლებას უყურებდეს, როგორც
არასაკადრისის საქმესა. მცირედი მოუფიქრებელი გამორჩევა შეიქმს
საუკუნოდ უბედურად. ამისთვის, რომ ასწავლიან მოუფიქრებლო-
ბას და კაპრიზებს (ეინიანობას), ერთის მინუტის დაფიწყება, ანუ
მიყოლა კმარა, რომ დაილუპოს საუკუნოდ. ესენი იციან და განუ-
ვრცელებენ კოცეტკობას, ავარშიჯებენ ითამაშოს მშობროებით*,
განაშორებენ ყოველსა საგანსა, რომელიც მიიყვანდა ქალთ ჰსწორე
გზაზედ! თვითონ თქვენ ბძანეთ, ეს ასე არ არის?

თქვენ ძალიან მშეენიერათ ლაპარაკობთ,— მიუგო ღიმილით ალექ-
სეი პეტროვიჩმა,— და თქვენი განძსჯა ჰსწორეთ მართალია. მაგრამ
ნება მიბოძეთ შეენიშნო, რომ მხოლოდ თქვენი აზრითვე დაიც-
ვათ ჩემს აზრთა. მაზედ, რაც შეეხება ქალის ბუნების სისუსტეს*,
თვითონ თქვენ ამტკიცებთ**, თქვენს სქესს არ შეუძლიან წინა აღლუ-
დგეს რომელსამე ძალის მოქმედებას. თქვენ ლაპარაკობთ ქალის აღ-
ზრდაზედ. მაგრამ აბა გაეჩხრიკოთ საზოგადო აღზრდა კაცთა,— მე
მგონია***, ათასჯერ ცუდი იყოს ქალებზედ?— განა ქალებზე მცირე
საენებელი შემთხვევები აქვს კაცსა? უფრო მომატებული შემადლუ-
ნებელი გზები არ უძევს კაცსა თავი დაილუპოს?

მაშ თქვენ ჰრჩებით თქვენ ჰაზრზედ,— გაუწყვიტა ლაპარაკი გრა-
ფინამ ირონიით.— ეგ ძალიან თამამი დამტკიცება არის.

ღიდი სიცრუეც იქნებოდა, დაუმატა ალექსეი პეტროვიჩმა.

მაშ რაზედ არის დამოკიდებული ზნეობითი ძალა კაცისა და
მათი უპირატესობა?

თქვენვე მაძლევთ მაგაზედ პასუხს, გრაფინავ, როდესაც ეცბთ
საზოგადორობას და თითქმის მეგობრობას იმ კაცთან, რომელზედ
იცით, თავის ტოლებში ღვინოს გადაჰკარავს ხოლმე. ქალზედ რომ
ეს შეიტყოთ, სახლში ხომ არ შეუშვებთ?

თქვენ მანდიდგან რა უნდა დააბოლოოთ?

ამას თქვენც დაამტკიცებთ, დედაკაცი კაცი არ არის, კაცი ისე
არ დაეცემა, როგორც დედაკაცი. ასე რომ, არამც თუ ფიზიკური,
ზნეობითი ბუნება კაცისა მტკიცეა დედაკაცზედ.

* თავდაპირველად დაუწერია: „სისუსტეზედ“. ** შემდეგ გადახუთლია:
„რომ“. *** თავდაპირველად დაუწერია: „გონებ“.

მაგრამ ეს მაინც,—მოისმა ხმა ბულაღინისა,—ჩვენ უნდა აღვი-
აროთ უპირატესობა ქალისა გრძნობაში, რაცა შეადგენს უმაღლეს
კაცის ღირსებას. ქალს ყოველთვის შეარჩევს კეთილშობილური შემ-
თხვევა, პატიოსნური გულწრფელობა; ვინც მიენდობა ქალის გულს,
უშველად უპასუხებს.

აქ ამდენი ქალები სხედან, რომ ვერ გავებდავ გიპასუხოთ,—უპა-
სუხა ალექსეი პეტროვიჩმა.

როგორ, თქვენ მაგაზედაც ბაასობთ?—უთხრა ბულაღინმა.

ღმერთმა დამიფაროს,—მიუგო ალექსეი პეტროვიჩმა,—მეც ვან-
ბობ და ვამტკიცებ: ქალს შეარჩევ დიდსულოვნებითა, გულწრფე-
ლობითა, მაგრამ უნდა კაცმა იცოდეს გვარი და დრო.—თორემ
ყოველთვის არა!

ყოველთვის, ყოველთვის,—დაიყვირა ბულაღინმა. სკეპტიკი (ურ-
წმუნო) დაჩუმდა.

დაამტკიცეთ წინააღმდეგი,—უთხრა* ბულაღინმა,—დაამტკიცეთ
ფაქტებით (საბუთებით).

ძალიან ბევრი საბუთებია!

მაშ ერთი მაინც გვიანბეთ.

უცხოა,—შეხედა გრაფინამ ალექსეი პეტროვიჩს,—თქვენ შიიყვა-
ნეთ თქვენი თავი იქამდის, რომ უნდა გვიანბოთ. ეგ იქნება თქვენი
სასჯელი. ინებეთ მოჰყვიეთ, გვიანბეთ. როგორც უფალი ბულაღინი
გაიძულებთ, დასაცველად თქვენის ურწმუნოებისა საბუთებს ვი-
თხოვთ.

მოგონილი არ უნდა იყოს,—დაუმატა სახლის პატრონმა ქალმა.

მე შემეძლიან გიანბოთ ქეშმარიტი ანბავი, თუ თქვენ ისურვებთ
გაგონებას,—უთხრა ალექსეი პეტროვიჩმა. საბუთი, რომელიც დაწე-
ლილებით შევიტყე, ქეშმარიტია.

საუცხოვოა, ჩვენ ყურს გიგდებთ.

მე ნებას მომცემთ, არ უწოდო ნამდვილი** სახელები,—ჰსთქვა
ალექსეი პეტროვიჩმა.

ნებას გაძლევთ,—უთხრა ხაზიაიკამ,— მაგრამ მერე ხომ ყურში
გვეტყვით ჩუმით?

* თავდაპირველად დაუწერია: „ჯანაგრძელა“. ** თავდაპირველად დაუწერია:
„ჰსწორე“.

— რადენსამე წლის წინათ რომ ბრძანებულიყავით მოსკოვს და შეგხდომოდათ* მისგლა საზოგადოებაში, მაშინ** მოგესმოდათ ხშირად სახელი ერთის ყმაწვილის კაცისა, რომელსაცა იკითხავდით: რა არის, ან ვინ არის ხოზრევსკი? — მაშინ მიიღებდით ორგვარ პასუხს— ქალებისაგან სხვას და კაცებისაგან სხვას. კაცები გეტყოდნენ, რომ მთლად სულელება გახლავთ ხოზრევსკი, მაგრამ ქალნი გეტყოდნენ: C'est un excellent garçon—საუცხოვო ყმაწვილი კაცია!

ერთს მოსკოვის დიდ სალონში, როდესაც მიღების დღე იყო, შეიყარნენ საქმაოდ სტუმარნი. ზემოხსნებულ სახელზედ ორგვარი პაზრი იყო გამოთქმული ზალაში და ზალის კუთხეში. ერთს კაცს, ოცდაათის წლისას, შავგვრემანს, შესანიშნველს სახის მეტყველებით***, ელაპარაკებოდა მასთან ახლო მდგომი გამოპრანქული მოსკვინი: ხოზრევსკი? Ce n'est rien du Tout! (სულ არაფერი არა არის რა!). ყმა და მამული არა აქვს, კარგი ნათესაობა სულ არა ჰყავს, სახით არ ვარგა, და ასეთი სულელი არის, როგორც ჩექმის ყალიბი! მაგრამ ყველგან აქვს კარი ღია. ღმერთმა იცის, ქალებს რათ მოსწონთ!—ამავე დროს ერთ მშვენიერს, გრაციულს კნინას, ყმაწვილ ქვრივს, რომელიც მოვიდა თავის ტანბოვის მამულიდგან ზამთარში მოსკოვში, ელაპარაკებოდა ცოტა ხანშესული, მაგრამ კვალად მიმზიდვის სახის ქალი, ამის (კუზინა) ბიძაშვილი — ნასტასია პავლოვნა****: ხოზრევსკი, ma chère (ჩემო საყვარელო), უცხო კაცია და შე გარწმუნებ, ის ასე სულელი არ არის, როგორც სხვანი გეტყვიან. იმას ტყუილათ მტრობენ. მართალია, ის არ არის სალონში მარჯვე, არ არის ფატ*****; C'est un homme sans pretensions (ის არის კაცი უპრიტენზიო!); მაგრამ იმასა აქვს მრავალი განსხვავებული ღირსება; et puis il a une si haute opinion des femme! (და ამასთანავე ქალნი არიან იმაზედ მაღალის აზრისანი). მე დღეს წარმოვადგენ შენთან! ის უთოოთ აქ მოვა; მაგრამ პირველის შეხედვით ნუ განჰსჯით,—ის უნდა ახლოს გაიცნო, რომ ის დაათასო.

* პირველად დაუწერია: „შეგხდომოდათ“, შემდეგ ვინი გადაუხაზავს. ** ამის შემდეგ წერია: „ხშირად“. როგორც ჩანს, გრ. ორბელიანს ამ სიტყვის გადახაზვა დაუიწყნია. აქ ეს სიტყვა უნდა გადაეხაზა, რადგან ფრაზაში იგი შემდეგ სხვაგან ჩაუმარტბია. *** თავდაპირველად დაუწერია: „შესანიშნველის სახისას“. **** ხელნაწერშია: „ანა პავლოვნა“, მაგრამ ტექსტში შემდეგ ყოველთვის გვხვდება „ნასტასია პავლოვნა“. ***** ხელნაწერის აშიაზე გრ. ორბელიანს გაუკეთებია შენიშვნა: „ფატ—კობტასავით“.

ამ ლაპარაკში შემოვიდა ახალი სტუმარი—ყმაწვილი კაცი, რომლის შენიშვნა არაფერში არ შეიძლებოდა.

აი ისა,—უთხრა მოსკვიჩმა თავისთან მდგომს ყმაწვილ კაცს,—ხედავთ? რა ფიგურა არის, მგონია, შესანიშნელი არა არის რა. აბა, ახლა უყურეთ*, ქალები როგორ მიიღებენ. ისინი წინ წამოღებენ კუთხიდან და შეფგვრემანი კაცი დადგა კნენას პირდაპირ კრესლასთან.—თუ იმისი მშვენიერი წარბნი მცირედ შეირხნენ ამ მინუტში!—მაგრამ ხოზრევსკის შემოსვლას არ მიეწერებოდა.—კნენას კუზინამ უპასუხა მძიმეთ თავის დაკვრით მიახლოებულს ხოზრევსკის: მშვიდობა თქვენი ნახვა, ტროფიმ ლუკიჩ, ძალიან მიხარიათ ყოველთვის, როცა თქვენა გხედავთ. დღეს მე მადლობას გათქმევენებთ; მე წარგადგენთ** ჩემს ბიძაშვილთან, რომელზედაც მე თქვენთან ბევრნი მილაპარაკებია. *Ma chère Aline!* (საყვარელო ალინა!) ეს გახლავთ*** ტროფიმ ლუკიჩი ხოზრევსკი. დეთის გულისათვის****, ძალიან ნუ დააფთხობთ.

Suis-je si formidable? (განა მე აგრე საშიშარი ვარ?)—ჰკითხა სიცილით კნენამ.

ხანდახან,—უპასუხა***** ნასტასია პავლო[ვ]ნამ.—როდესაც შენ კეთილ მოგივა დასცინო ვისმე, შენ შეუბრალებელი ხარ.

კარგი რეკამენდაციაა*****,—მიუგო კნენამ,—მაგრამ კარგი ზომიერება არის გაამხნეოს მკრთალი კაცი. ასე არ არის, უფალო ხოზრევსკი?

მე ეგ არ მაშინებს, კნენავ, —უპასუხა ხოზრევსკიმ ნელის ხმით.—მე არა მგონია შევიკმნე თქვენი მსხვერპლი.

მაგაზედ ვინ გაძლევთ თქვენ რწმუნებას?—ჰკითხა მშვენიერმა ქვრივმა და შეჰხედა შესანიშნელ მიწილდველის თვალით.

ქეშმარი[ტი] ცნობა თავის თავისა,—უპასუხა ხოზრევსკიმ.

— მართლა?

— დიახ, კნენავ. ნათქვამია*****, წაქცეულს არა ჰსცემენო.

* თავდაპირველად დაუწერია: „ნახეთ“, შემდეგ გადაუხაზავს. ** თავდაპირველად დაუწერია: „წარმოგადგენთ“. *** თავდაპირველად დაუწერია: „გახლავსთ“. **** თავდაპირველად დაუწერია: „თუ ქრისტე გწამს“. ***** შემდეგ გადახაზულია: „კუზინამ“. ***** ხელნაწერშია: „რეკამენდიცია“. ***** თავდაპირველად დაუწერია: „ნათქვამი ანდახა არის“.

— აქ დაბძანდით,—კნენინამ აჩვენა გვერდით კრესლა; წარმო-
იდგინეთ, რომ ვითომ ჩვენ დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ. ეს
არის უკეთესი ღონისძიება, რომ განვაშოროთ ჩვენგან ახალის გა-
ცნობის ცერემონიაობა, ასე რომ ჩვენი მუსაიფობა არ იყოს იძუ-
ლებითი.

ხოზრევსკი დაჯდა ნაჩვენებს კრესლოზედ პატივისცემის სახით.
თქვენ განუშორებელი მოსკოვის მცხოვრები ბძანდებით?

იმ დროით, რაც გრანიციდან მოველ.

დიდი ხანი იყავით გრანიციას გარეთ?

სამი წელიწადი

სად უფრო?

უმეტეს პარიჟში და იტალიაში.

განა იტალია ყოველ მხარეს ჰსჯობია?

იტალიაც ქვეყანა არის, როგორც სხვები.

რომლისამე მხრით, რასაკვირველია,—უთხრა ქალმა ღიმილით,—
მაგრამ ის მხარე არის მაღალი, უმშვენიერესი, ქვეყანა ხელოსნური.

მე არა ვარ ხელოსანი და არც უმეძლიან დავაფასო ხელოს-
ნობა,—მიუგო ხოზრევსკიმ მშვიდათ.

შეიძლება კაცი არ იყოს ხელოსანი, მაგრამ შეუძლიან დასდვას
ფასი ხელოსნობას; ხომ არ შეიძლება კაცმა არ იგრძნოს იმისი
მაღალი მოქმედება,—ჰსთქვა კნენინამ. თქვენ იყავით ვაიტიკანში? ^ა
მთელი დილა.

და არ შეიძლება იქიდგან არ გამოგეტანათ არავითარი გრძნო-
ბა. ეგ შეუძლებელია. მე ბევრნი მნახავნი შინახავს ვაიტიკანისა,
მაგრამ ვერაფერა ვნახე იქიდგან გამოსული ცივისსხლიანად.—ყვე-
ლანი არა ნებით აღიარებენ გენიისა ძალასა, ყველანი გრძნობდენ
რალაც გასაოცარს დაღაღვას, რომელიც არის დამამტკიცებელი
ძალა რაც არის მაღალი, უმშვენიერესი ჩვენზედ; ჩვენ არ შეგვიძ-
ლიან უყუროთ დიდ ხანს მაღალსა რასმე მშვენიერებას,—ის დაგ-
ვაწვება გულზედ თავისის დიდებულებით, სული ილალება.

მე ფეხები დამეღალა,—ჰსთქვა ხოზრევსკიმ.

თქვენ მაგ გულწრფელობით თქვენს თავს დალუჰავთ საუკუნოდ
აღინას ჰაზრში,—შენიშნა ნასტასია პავლოვქნამ; ამას უყვარს ხე-
ლოსნობა და თვითონაც მშვენიერი მხატვარია!

მე განეცვიფრდებოდი კნენინას კარკინებითა,—ჰსთქვა მშვიდათ

ხოზრევსკიმ,—მხოლოდ ამისთვის, რომ კნენინას დახატული იქნებოდა.

და არა ამისთვის, რომ კარტინა ყოფილიყო იშვიათი,—ჰკითხა ირონიით ალინამ.

გავბედამ შევნიშნო,—უპასუხა ხოზრევსკიმ შემკრთალმა,—კარგი კარტინები ბევრია?

და ასეთი ქალები ცოტანი არიან, როგორც ალინა, — უთხრა ნასტასია პავლო[ვ]ნამ,—ეს არ არის თქვენი აზრი?

მე ვერ გავბედამ აგრე ცხადად გამოვსთქვა,—უპასუხა* ხოზრევსკიმ.

თქვენ რა იცით, ბევრნი არიან, თუ ცოტანი ჩემსავით ქალები და ამ ხუთ მინუტში რით დაგიმტკიცეთ** ჩემი უპირატესობა სხვა ქალებზედ?—უთხრა კნენინამ დაცინებით.

ხოზრევსკიმ შეხედა და მერე თვალნი დახარა.

კნენინავ,—უპასუხა ხოზრევსკიმ, — თქვენ კიდევ მათქმევერნებთ რასმე სისულელეს. მე თვითონ ვიცი, რომ სულელი ვარ, მაგრამ რა ექნა, ამით არ უნდა მცხვენოდეს; მე რომ ვხედავ, ორივე ერთია, თქვენთან ხომ ყველანი სულელები ვართ. ადგა სკამიდან და მოეცალა ქალს, რომელიც მოახლოვდა კნენინას.

Au revoir (ნახვამდის), უთხრა კნენინამ; je suis toujours chez moi dans l'asont-soirée (მე ყოველთვის შინა ვარ საღამოთი)..

კნენინამ აიღო ლორნეტი და გადმოხედა საღონსა.

მე თქვენ მაპატიებთ, თუ რომ ვსარგებლობ უეცარის ნემთხვევით, რომელიც აქ შეგვყრის,—მოისმა კითხვა.

კნენინამ შეხედა: ნასტასია პავლო[ვ]ნას ადგილს იჯდა ის შავგერმანი ყმაწვილი კაცი, რომელსაც ესმოდა ლაპარაკი ხოზრევსკისა.

C'est vous, monsieur Vismar, — უთხრა ქალმა, წელან ვერ გიცანით.

მე არ გამიკვირდებოდა, რომ სულ არ გეცანით, კნენინავ,—უპასუხა ვისმერ. ეს ძალიან ბუნებითი არის. მაგრამ მესმოდა, როგორის გულმხურვალებით*** იგონებდით იტალიას. მე გავბედე

* თავდაპირველად დაუწერია: „მიუგო“. ** ხელნაწერშია: „დაგიმტკიცეთ“.

*** თავდაპირველად დაუწერია: „გულმხურვალებით“, შემდეგ გადაუხაზეს და შეუცვლია: „გულთბილობით“, საბოლოოდ კვლავ „გულმხურვალებით“ აურჩევია.

იმედი მიმეცა თავისათვის, რომ თქვენს გონებაში დარჩა ნიკორუნი შემთხვევანი* თქვენი რომში ბრძანების დროსა. — ეს სიტყვები იყო ნათქვამი დიდათ ზრდილობიანად, მაგრამ მარტო კნეინას ესმოდა სხვაგვარი ინტონაცია (გამოთქმა ყვედრებით)**. კნეინას კოტა გაეცინა არა მეგობრულად.

თქვენ მგონია არ იცით, — უპასუხა ჭალმა, — მე მაქვს შესაშურებელი და განსხვავებული ნიკი, მე მარტო მახსოვს ისა, რაც იყო ჩემთვის სასიამოვნო.

მაშ, მაგ შემთხვევაში, კნეინავ, მე თქვენთვის ვარ სრულიად უცხო, უცნობი კაცი და გაებედამ გაგაცნოთ თავი: მე გახლავარ იური ვეისმერ!*** მე ეხლა ვხედავდი როგორ აღერსიანათ და გულწრფელად მიიღებდით ახალ გაცნობას და ამისთვის მეც გავბედე.

მაგრამ გაცნობამდის ერთი პირობა უნდა იყოს.

ნება მიბოძეთ გკითხოთ, როგორი?

ორივე მხრიდან სურვილი უნდა იყოს დაახლოვებისა, და მე არა მაქვს მიზეზი არაერთი საფუძვლიანი, რომ მე და თქვენში იყოს ეს სურვილი.

რაც შეეხება, კნეინავ, ჩემის მხრიდან დიდი სურვილია; მე თქვენ ვერ მიცნობთ, მე ვარ კაცი ექსცენტრიული, მიყვარს ყოველი, რაც არის გასაკვირველი, რომელიც არის გამოსული საზოგადო წესიერებისაგან.

ეგ უცხო არის, თუ თქვენ ვერ კპოვებთ ჩემში, რომ გამოსულია საზოგადოების წესიდან ჩემი გულგრილობა ექცენტრიულ კაცებზედ, მაშინ მე თქვენ წინათვე გეტყვით, — თქვენ ჩემში ვერ იპოვით, რაც თქვენთვის სასარგებლო იქნება.

თქვენ თქვენ თავზედ ვერ განჰსჯით, კნეინავ. თქვენ მალალს გონებას ეჩვენება ყოველივე ასე ადვილად და წსუბუქად, რომელიც სხვათ მიიყვანს განცვიფრებამდის; თქვენ არ გესმით, რომ სხვანი ფიქროთაც ვერ გაბედვენ, რასაც თქვენ ხუმრობით აღასრულებთ.

პასუხნი შეუღლებოდენ ერთიერთმანეთს სისწრაფით, როგორც ხმლის*** ცემა მტერთა; მახლობელნი შენიშნავდენ ამაში მხოლოდ

* ხელნაწერშია: „შეთხვავანი“. ** თავდაპირველად დაუწერია: „გამოთქმის მნიშვნელობა“. *** ხელნაწერში ხოჯჯერ ვხვდებ: „ვეისმერ, ვისმარ, ვოისმერ ვაისმერ“. ჩვენ ყველგან დავტოვეთ „ვისმერ“, როგორც უმრავლეს შემთხვევაში ხმარობს მთარგმნელი. **** ხელნაწერშია: „ხლმის“.

მალალ სალონის ხუმრობით ბრძოლას, მაგრამ იყო სასიკვდილო ბრძოლა.

კნენინას შეეტყო* დამარცხება.

თქვენი ჰაზრი დიდათ სასიამოვნო არის, მაგრამ თქვენ კარგათ იცით მე ვერ მივიღებ მაგას,—უპასუხა კნენინამ.

ეგ სიმშვიდე არის ახალი დამამტკიცებელი საბუთი, რომ მე არა ვარ შემტოარი თქვენს განსაცვიფრებელ ნიჭიერებაზედ,—განგრძელა შეუბრალებელმა ვისმერმა. თქვენ, როგორც ყოველნი მალალნი ხელოსანნი, არა ხართ კმაყოფილნი თავის თავზედ, ამისთვის, რომ თქვენ** იცით, შეგიძლიანთ გექმნათ უმჯობესი და უმეტესი, რაც აქამდის გიმოქმედნიათ.

ლოელი განგრძელდა, ვისმერ ჰსჯობნიდა.

თქვენ, მგონია, ჰსჩემობთ ნიჭსა გამოიცნათ ყოველი ჰაზრი და გრძნობა, ვისაც კი ნახავთ,—და კნენინამ, იხმარა რა უკანასკნელი ღონისძიება, შეჰხედა თავის მტერსა, რომელის მხედველობა შეუღვა ალერსიან სიტყვებს.

მაგრამ მტერმა არაფრათ პატივი ჰსცა.

განგებამ მიანიჭა ყოველს ცხოველს*** რომლისამე საშუალობით დაიფაროს თავის თავი,—უპასუხა ვისმერმა სიცილით,—რა მიზეზისათვის გსურისთ ვიყო შეუქურველი ნიჭით, რომლითაც გამოვიცან საიდუმლო ჰაზრები და გრძნობა იმა კაცთა, რომელთანაც მაქვს საქმე; ეს არის მხოლოობითი ჩემი დამცველი საჭურველი.

თუ შიშში არ იქნებით?

ჰო! უთხრა ვისმერ.

მაგრამ ყოველი კაცი შეიძლება შეჰსცდეს, გარდა რომის პაპისა, თუ თქვენ კათოლიკე არა ხართ.

ღიახ.

თქვენ ხომ პაპა არა ხართ,—და ქალმა შეირხბივა თავის გრაცულ მშენიერი ხელი, ზრდილობიანად თითქო მიესალამა, და თერთრი ფერჩატკები გვანდა თეთრ დროშას****, როდესაც ციხიდგან, რომელზედაც არის შემომდგარი ჯარი საბრძოლელად, დაანახებენ დროშას, რომ შოილაპარაკონ შესარიგებლად.

* თავდაპირველად დაუწერია: „კნენინამ დაიწყო“. ** ხელნაწერიშია: „თქვენი“. *** ხელნაწერიშია: „ყოველი ცხოველი“. **** თავდაპირველად დაუწერია: „ბაიარახს“.

კნეინავ, ნება მიბოძეთ მოგილოცოთ, — უთხრა ვისმერ[მა] ირო-
ნიით, — თქვენ ძალიან გისწავლიათ სამხედრო ხელოვნობა, მე ვხე-
დავ, რომ თქვენ გავარჯიშებულხართ, თუმცა აღრევაც კარგათ
იციოდით. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, მე გამოცდილი მხედარი ვარ;
მე ეს ვიცი, რომ ბრძოლაში ყოველი ღონისძიება იხმარება მტრის
დასამარცხებლად, თვითონ ეგ ღონისძიება, რომელსაც თქვენ ხმა-
რობთ. შემინდეთ, თუ მე თქვენ არ დაგმორჩილდებით.

ამაზონკა[†] გასწორდა წელში ამ კვეთებაზედ.

უფალო ვისმერ, — უთხრა ქალმა, — თქვენ შეგეძლოთ უფრო სი-
მართლით მოგელოცნათ ჩემთვის სხვა ნიჭი, — სწორეთ მიგნებითი
ინსტიქტი, რომლითაც დავათასე თქვენი ნიჭიერება, აღრევე ვეგრ-
ძენ, სადამდის განიშლებოდა თქვენი ნიჭები. სრულიად განამართ-
ლეთ ჩემი ღოდინი და გავარჯიშებულხართ ასე, რომ უმეტეს ჩე-
მის იმედისა, და ვხედავ, რომ დედაკაცს თქვენთან არ შეუძლიან
ვერაფრის საქმის დაჭერა, და არ ვიცი, გაქვთ უფლება იამმარტა-
ენოთ ამითი? — ქალი ადგა.

კნეინავ, — უთხრა ვისმერმა, თითონაც ადგა და დაიდაბლა
ხმა, — მე ვიცი, რომ დიდი დანაშაული მაქვს, მე ვიცი*, ასე შე-
გაწუხეთ, რომ ქალის დიდსულოვნება ვერ იპოვნის შენდობას და
ლმობიერებას, — მე ვიცი**, ქალი შეუნდობს იმ კაცს, რომელიც
ყელსა ჰსჭრიდა, იმასაც, ვინც უღალატებს, მაგრამ არ აპატივებს
იმ კაცს, რომელიც სრულებით გამოიცინობს დედაკაცს. — მე ვეღარ
ვიპოვნი სავართალს თქვენის მოწყალებისას და მე უყვედრილათ
უნდა ვზიდო თქვენი მრისხანება.

მათნი თვალნი შეჩვლნენ ერთმანეთს, ერთს მინუტს იყო ჩემი***
ბრძოლა, უკანასკნელი და საშინელი.

Bon soir, monsieur Wismer****, — უთხრა კნეინამ, თითქო და-
მშვიდებულმა, იმა სტოიკურად, სადამდისაც მივა მხოლოდ მაღალი
სოფლის დედაკაცი. Sens reume[†], — უთხრა ქალმა და მისცა ხელი.

თითები ვისმერისა შეეხნენ ცივს ლაკის ფერჩატკს ქალისას
და კაცის ტუჩებზედ გამოიხატა არამეგობრული ღიმილი.

* ამის შემდეგ გადახაზულია: „რომ“. ** კელავ გადახაზულია: „რომ“.
*** თავდაპირველად დაუწერია: „მდუმ[არე]“. **** წინადადების დასაწყისში
გადახაზულია: „ბონსუარ“.

ვინ გელაპარაკებოდათ ეხლა თქვენ? უთოოთ უცხო ქვეყნის კაცი იყო,—ჰკითხა მძიმედ მორთულმა ბებერმა დედაკაცმა კნენიას.

არა, რუსი იყო,—უპასუხა კნენიამ,— მხატვარი არის, ვისმერ. მე გავიციან რომში, ნიუიანი კაცია.

აა!—სთქვა ბებერმა. ასე რომ ეთქვა—უტალანტოა, მაშინაც იმას იტყოდა ცივად: აა!

მეორე დღიდან ნასტასია პავლოვქნა გამოვიდა კუზნეცკის მოსტის ბოლოს მალაზიიდგან. შემოეყარა ხოზრევსკი.

საიდან მოსდიხართ, ტროფიმ ლუკიჩ!

თქვენის მშვენიერის კუზინადგან!—მიუგო ხოზრევსკიმ მძიმეს თავის დაკვრით.

სასიამოვნო ქალი არის.

ძალიან. ქალები ყველანი სასიამოვნო უნდა იყვნენ, ეს თქვენი კუთვნილება არის.

არიან ქალები, რომელნიც განსაკუთრებით სასიამოვნონი არიან, და უჩეტესად სხვებზედ,—უთხრა ნასტასია პავლოვქნამ,

ღიახ, და რომელთაც არ იციან, რომ არიან სასიამოვნონი,—ჰსთქვა ხოზრევსკიმ. როგორია ახალი ჰაზრი!

მაგრამ გაფრთხილდით,—დაუმატა ქალმა სიცილით,—არ შევიყვარდეთ, pour tout de bon⁷ აღინა, თქვენ ძალიან შიშში ხართ.

თქვენ რა გენაღვლებათ შიშში ვარ თუ არა, ვის რა სარგებელი აქვს მაგვარი ჩემზედ ფიქრით!

ნახვამდის,—უთხრა ქალმა მოწყალეობიანის ღიმილით,—ჩაჯდა თავის კარეტაში და თავი დაუქრა.

შემდგომ რაოდენისამე დღისა, კნენიას კაბინეტში ისხდნენ რაოდენიმე კაცთ საზოგადოება, ახლად ამდგარნი კნენიას მდიდრულის სადილიდგან. მოსაშხახურეთ დაჰქონდათ ყავა, მუსიფობა იყო ცხოველი და კნენიასთვისაც არ იყო საჭირო გარევა ლაპარაკში. იყვნენ ასეთი კაცი, რომელთაც იცოდნენ პირობა დიდის საზოგადოებისა: მუქთად არსადა ჰსქამენ* პურსა. კნიაზების სადილშიაც აძლევენ ხარჯს პურის ჰამისათვის, ძალიან ძვირათაც უჯდებთ,—უნდა იყოს მახვილგონიერი მოლაპარაკე, იცოდეს ანეგდოტები და bis mots (ტკბილი სიტყვები).

კნენიან იყო იმ დღეს უფრო მშვენიერი და მიმზიდველი, მუქ-

* ამის შემდეგ გადაზახულია: „დილის“.

თათ არ უყვარდა მიღება ხალხისა თავის კაბინეტში,—კაბინეტი ასე მშვენივრად იმის სახეს და თვითონ კაბინეტსა! მე ყოველთვის განაკვირვებით მოვიგონებ ხოლმე კნენინას კაბინეტს. ასე იყო მშვენიერ, საკადრისათ მოწყობილი, რადენი მაღალი ცოდნა შესაფერისა; ვითომ დაუდენელად ეწყო ყოველი სიმდიდრე, მაგრამ არა ნებით დაინახავდით მაღალ ხელოსნურს ნიჭიერებას ქალის ცნობაში. თვალში არა მოგხვდებოდათ რა უგემურ* შესანიშნავი.—იქ იყო იმ დღეს საზოგადოება, ვინც უნდა ყოფილიყვნენ, სტუმარნი—*à la fin*⁸ არისტოკრატები, რომელნიც ჰსჩემობდენ არტისტობას და არტისტნი, რომელიც ჰსჩემობდენ არისტოკრატობას. იქ იყო, ღმერთმან იცის რისთვის, ხოზრევსკიცა.—განსჯიდენ და ბაასობდენ ყველაზედ. მასუქან ლაპარაკი გარდავიდა ახალ შემთხვევაზედ, რომელსაც მთელი მოსკოვი ლაპარაკობდა, ქორწილზედ, რომელიც ჩაიშალა უმიზეზით.

ანბობენ, იმათ ერთმანეთი უყვართო.

ესე იგი, ვითომ უყვართ,—შენიშნა კნენინამ.

როგორ, ვითომ უყვართ? — ჰკითხეს ორმა თუ სამმა კაცმა კნენინას.

თქვენ იცით,—მიუგო კნენინამ,—ჩჩვილი ყმაწვილები რომ თამაშობენ ვაპრობანას, აძლევენ ერთმანეთს წვლილ კენკებს, რომელსაც ფული დაარქვეს; ჩვენც ისე ვთამაშობთ; რადგანაც სიყვარული არა გვაქვს. შეეცვალეთ სხვაგვარის სიტყვებით და ნიშნებით. მაგრამ ხანდისხან ჩვილ ყმაწვილებზედ** ჩვენ უფრო სულელები ვართ ხოლმე და იმათზედ უმეტესად გავერთობით ხოლმე და გვეგრა*** ძვირფას ღირება ჩვენის წვლილის ქვებისა, და მერე რომ მოვალთ გონებაზედ, გეცხვენიაან. ესრეთი პირობითი სიყვარულები ბევრი და ყველგან მინახავს, ქეშმარიტი სიყვარული კი არსად და, მგონია, არცა ვის ენახოს. როგორ გგონიათ, უ. ხოზრევსკი?

არ ვიცი, კნენინავ,—იყო პასუხი ხოზრევსკისა, მხოლოდ მე ვგონებ, რადგან სახელი არის, მაშ უნდა იყოს ისიც, რაც დასახელებულია.

* თავდაპირველად დაუწერია: „ცუდ“. ** ამის შემდეგ გადახაზულია: „როპელსაც“. *** თავდაპირველად დაუწერია: „გერწამს“.

წინააღმდეგ, — მიუგო საჩქაროთ კნეინამ, — სადაც სახელი არის, ხშირად იქ ნიეთი არ არის ხოლმე და სადაც არ არის სახელი, იქ ნიეთი არის.

ეგ მე არ მესმის, — მიუგო ხოზრევსკიმ, — მე მგონია ძნელად დამტკიცდება ეგა.

სულ არ არის ძნელი, — განაგრძელა კნეინამ; შენიშნეთ, რომელსამე ერსა არა აქვს სახელწოდება მისი, რაც შეადგენს საკუთარს მათს ხასიათს, ანგლურ ენაზედ არ არის (сѣкъ) სევდა; მის ეჯჯირტმა* თავის მოთხრობაში ფრანციუკული სიტყვა იხმარა — Ennui¹⁰. მთელი ხალხნი ასე ერთგვარად არიან სევდიანები, ამას სულ ვერ შენიშვნენ და არც ფიქრობენ დაარქვან სახელი.

ახლო მჯდომარემ დიდებულმა კაცმა ტაში დაუკრა კნეინას და ერთმა ყმაწვილმა ჰსთქვა: ერთი კიდეც არის დამამტკიცებელი თქვენის ჰაზრის სიმართლისა, კნეინავე, რუსულ ენაზედ არ არის სიტყვა, რომელიც გამოხატავს გრაციოზნოსტ (სინარჩარე), რადგანაც რუსის ქალებს აქვსთ ამაში უპირატესობა.

ნემენცებსა აქვსთ ორგვარი გრაციოზნობა და აქვსთ ორი სახელი, — მიუგო კნეინამ. სტუმართ გაეცინათ.

სად მიბრძანდებით, — უთხრა კნეინამ ერთ დიდებულ კაცსა, როჟელიც ადგა სკამიდგან.

მე კლუბში მელიან, bon soir, chère princesse¹¹. ლამე მშვიდობისა, საყვარელო კნეინავე. სხვა სტუმრებთაც იღეს შლაპები.

დღეს თქვენ ყველანი იელსკისთან იქნებით? — ჰკითხა კნეინამ.

დიახ, თქვენც ხომ იქნებით?

არა.

მაშ სად იქნებით?

აქა, ამ ოთახში. დღეს მე მეზარება წასვლა.

ეგ არ გეკადრებათ დღეს არ გვეჩვენოთ იქა, მრავალი ხალხი იქნება.

Reason de plus (მომატებული რეზონია), — მიუგო ქალმა, — ზსურს თქვენთვის მრავალგვარი კმაყოფილება.

ისინი გავიდნენ. ხოზრევსკის უნდოდა გასვლა მათთანავე, თავი დაუკრა კნეინას.

თქვენც იელსკისასა ხართ საღამოზედ, უ. ხოზრევსკი?

თუ სასაცილო არ იქნება შევადარო თქვენთან, როგორღაც მეც მეზარება იქ წასვლა.

მაშ აქ დარჩით, ვიყბედოთ.

ხოზრევსკი დამორჩილდა. საათნახევარს უკან, როცა კნენამ ზარი დაუკრა და უბძანა ჩაის მოტანა, ხოზრევსკი კილევ იჯდა კნენასთან კაბინეტში. თუ მე თქვენ მკითხავთ, კნენა აღინას რით მოსწონდა ტრაფიმ ლუკიჩი ხოზრევსკი, მაშინ მე უნდა მოგახსენოთ ქეშმარიტება, რომელიც ქალთ სურთ დაჰფარონ; მაგრამ არ ვიცი, რა მიზეზისათვის მალეენ, ამისთვის რომ ყველამ იცის ესე. მოვითხოვ ბოდიშს აქ ბძანებულ და აქ არ ბძანებულთ მშვენიერ გვამებთან ამ სიტყვებზედ: ქალებზედ უმეტესად არავისა ჰსძულს თანასწორება და ქალებს არა მოსწუინდებათ რა ისე, როგორც ზნეობითი ზომიერება კაცებთან. ყოველი დედაკაცი აღიარებს ამას, როდესაც ახლო გაიცინობს კაცსა. ისურვებს, რომ კაცი ან უნდა იყოს იმაზედ მაღალი, ანუ დიდათ მდაბალი ზნეობითა. ქეშმარიტად სასიამოვნო არის ქალისათვის შეხედეს კაცსა, რომელიც მას განაკვირვებდეს, ანუ კაცსა, რომელიც განკვირდებოდეს მისგან. ამ უკანასკნელის კმაყოფილებით სტკებმოდა სრულიად კნენა ზემოხსენებულ საღამოზედ, რომელნიც იყვნენ მარტონი—კნენა და ხოზრევსკი.—ესრეთი ნარნარი და მოწიწებითი განცვიფრება არ შეხვედრია არას დროში კნენას.—ლაპარაკი კნენასი, შედგომილი მანალოგებით, მომდინარეობდენ წყაროსაებ; კნენა მშვიდ ყურისმგდებელთან კობტაობდა ტალანტებითა, ჰსწავლითა, ფილოსოფიურის მხედველობითა, ღრმა აზროვანებითა, დამამტიკებელის საბუთებითა, გრძნობაებით, სულის ძალით, ყოვლითა, რაც ჰქონდა შემზადებული მასალა მის გონებას. ქალმა გამოაშტერა საბრალო კაცი, სეტყვასავით დააყარა თავზედ თავის მომატებული გონიერებითი ნიჭები, დააბრმავე თავის ბრწყინვალეობითა, ტერით ჰყო თვისის უპირატესობითა.—ქალი ლაპარაკობდა მშვენიერად და ხოზრევსკი უსმენდა ესრეთის დაბრმავეულის რწმუნებითა, როგორც წარმართნი ისმენდენ წინასწარმომასწავებელსა პიფიისა¹² სიტყვათა, ანუ, უმჯობესად ვსთქვათ, როგორც ჩნვილი ყრმა ყურს უგდებს ზღაპარსა.—გამოვიდა რა ხოზრევსკი კნენიანდგან, ღიმდებოდა თავმოწონებით.

ამ დღიდგან ხოზრევსკის ჰქონდა უფლება ევლო* კნენასთან, და ასუ მშვიდათ სარგებლობდა ამ ნებას, რომ ხშირად გამოსცხად-

* თავდაპირველად დაუწერია: „შესულიყო“.

დებოდა ბიჭი ამ სიტყვებით: „კნენინამ გთხოვთ მობძანდეთ ამ დილით“, ან „კნენინამ მიბრძანა მოგახსენოთ, რომ სალაპოზედ შინ იქნება და გთხოვთ მობძანდეთ“. ამ უკანასკნელ შემთხვევებში, ხოზრევსკი გამოცხადდებოდა* რა, მარტოს იპოვნინა კნენინას. — აღრინდელემ მუსაიფობდენ ერთად და ის აღრინდელემ იჯდა, როგორც შაგირდი ოსტატთან, ყურს უგდებდა ასე მღუპარებით, როგორც მოწაფე მრისხანე გუვერნოროთან, რომელიც ეუბნება თავის შეგირდს: იყავ ჩემათ, როცა მე ვლაპარაკობ.

ხოზრევსკის გონება იყო კნენინასათვის ჰსწორეთ ტუალეტის სარკე, სადაც გამოსარკევედებოდა** მისი ნიჭიერება. — ასე გავიდა რამდენიმე კვირა. დიდ ქვეყანაში ლაპარაკობდენ, რომ კნენინა სევედიანობსო. — და მართლათაღ იშვიათათ ხედვიდენ ბალსა და რაუტში. კნენინას დოკტური ანობდა, რომ კნენინას ძარღვების სისუსტე აქვსო. თვითონ კნენინა ანობდა, მოსკოვი დიდათ მომწყინდაო და ყველა მოსკოველები ანობდენ — დიდათ ცხადია ეგაო და ყოველი მიმდინარებდა თავის წესით: სიცოცხე, ქარიშხალი, სადილები, რაუტები, ბალები, ჭორები სალონებში. მაგრამ ქვეყანაში ყველასა აქვს დასასრული, თითქმის მოსკოვის ზამთარსაც. უეცრად, როგორც ჩვენში მოხდება ხოლმე, გაქრა სველი თოვლი ქუჩებში, განჰქრა თეთრი ღრუბელი ჰაერში და მოსკოვში მოვიდა უეცრად გაზაფხული; იმპროვიზაცია[ა] ჩენი ჩრდილოეთის ბუნება. საზოგადო სახის ცვლილებასთან იქმნა ცვლილება მოსკოველების დროს გატარებაშიაც, იწყეს ძველი ცერემონია, პირველ მოთბო დღეში დაგულაობდენ ტვერის ბულვარზედ.

ერთ მშვენიერს დილას ბულვარი სხვადასხვაგვარ ფეროვნობდა ტანთსაცმელებით, მშვენიერთ სქესთაგან და აგრეთვე კაცთაგან, და გძელ ხეივანში დავიდოდენ ეკიპაენი, დატვირთულნი ქალბატონებით და ქალებით. — საუცხოვო ორის შაფის ცხენით მოვიდა ეკიპაენი კნენინა აღინასი. ხუთიოთ ყმაწვილმა კაცმა, ახლოს მდგომთა, მიისწრაფეს მისასალმებლად, როდესაც მოვიდა მათთან ახლო ბრწყინვალე ქვრივი, რომელსაც მოსდევდა ნასტასია პავლოვნა.

შემდგომ კნენინას გაცილებისა, რასაკვირველია, შეიქნა ლაპარაკი.

* ამის შემდეგ გადაბახულია: „კოვე...“ ** თავდაპირველად დაუწვრია: „გამოსჩნდებოდა თუ“, შემდეგ გადაუხაზავს.

რა მშენიერათ იცის ჩაცმა.

შენა ბძანე, რა არ იცის?

თუ გინდათ სანაძღვოს დავიჭერ, სულ ტყუილია.

რა.

ვითომ დურაკ ხოზრევსკიზედ ყურადღება ჰქონდეს.

იქნება ტყუილია, იქნება ტყუილი არ იყოს.

გამიკითხეთ, რა არის ხოზრევსკი?

აბა ეგ არის, რომ არაფერი არა არის რა.

ეგ არ არის მიზეზი, რომ ქალს მოეწონოს.

წინააღმდეგ, ძალიან კარგი მიზეზია; ხოზრევსკი გახლავთ შავი პურის ნაჭერი კანფეტისა და ტბილის საკმლის შემდგომ.

მოსკოვის ცრუ ქორებია.

ვისმერ, ვისმერ, აქ მობძანდით, აქ თქვენთვის საინტერესო ლაპარაკია.

რაზედ არის,—ჰკითხა ახლოს მოსულმა ვისმერმა.

ჩვენ ვლაპარაკობთ თქვენ რაყიფზედ.

რომელ რაყიფზედ?

ხოზრევსკიზედ.

რაში ვარ მე რაყიფი იმ ცუდისა?

ნუ ფარისევლობთ, ვინ არ იცის, რომ თქვენ ხართ თაყვანისმცემელი კნენა ალინასი.

მიბძანეთ, ვინ არა ჰსცემთ თაყვანსა.

ანბობენ, ხოზრევსკი უფრო მიღებული ჰყავს, ვინემ თქვენა.

თვითონ მე მოგახსენებთ შაგას.

მაგრამ მაინც არ იშლით, დასდევთ და იარშიყებით იმას, ყველგან იძებთ, გუშინ კონცერტში არ მოშორებხართ, ეხლაც უაპყვლად აქ იმისთვისა ხართ.

იქნება. განა კნენა აქ არის?

აგერ დადგა იელსკის ქალებთან, პირისფერის ზონტიკით.

რადგან ვარ იმის თაყვანისმცემელი, მივალ, თავს დაუკრავ.

შენ გაგიყვებით გიყვარს, ვისმერ?

ვისმერმა გაიღიმა და წავიდა ქალისაკენ.

ყმაწვილებიც წადგნენ წინ.—მათ მალე შეხვდათ ბულვარის ბოლოს ის მდიდრული კაბა ვერცხლისფერის ელვარებითა. გამობრწყინდა სხვა შლაპებთან უმჯობესი შლაპა თეთრი *chef-d'œuvre*¹⁵ პარივისა, დაჩრდილებული ნაზის ზონტიკითა. გვერდით ჰსჩანდა

შევეგრძენი სახე კაცისა. ის დახრილი ელაპარაკებოდა მშვენიერს კნინას მხიარული; ის ქალი სიცილით უპასუხებდა და ამავე დროსა მოუთმენელად ათამაშებდა ლორნეტსა, რომლისა შემწეობითა მიმოიყურებოდა ყოველ მხარეს, თითქო ეძებდა ვისმე, რომლისგან* ელოდა თავის გამოსხნას.

მრავალ სკამებთა შორის, რომელნიც დგანან დასასვენებლად ნოვულავეთა, იჯდა ხოზრევსკი გვერდით ერთის ბერიკაცისა, რომელიც ვისაც უნდა ენახა, პირველსავე ნახვით შენიშნავდა, რომ ის იყო მოსკოვის დიდებული კაცი, ნახამდა რა, როგორ იყო დაყრდნობილი თავის ჯოხზედ, როგორ ანპარტავნათ უყურებდა თავის ნაცნობთ, როგორ ისწორებდა ოქროს სათვალეებს, როგორ შეირხვედა ამპარტავნულად ტუჩებს.—ტროფიმ ლუკინმა დაინახა რა კნინა აღინა, საჩქაროთ წამოდგა თავის ალაგიდგან, დაუკრა თავი უსაზღრო პატივისცემითა,¹ და ჩაიარეს ორთა ნათესავთა ქალთა. შემდგომ კვლად გამოსჩნდნენ ეს ქალნი იმავე სკამეიკასთან; ვისმერ კიდევ ელაპარაკებოდა კნინას; თვალნი კნინასი გამოიყურებოდენ** მოუთმენელობითა და უეცრად დაინახეს ხოზრევსკი, რომელიც მიახლოვდებ[ო]და მშვიდათ.—თუ კნინას ჰსურდა შემწეობა ვისიმე*** და ეძებდა კაცსა ამ მინუტში, რომელიც მიმხვდარიყო და მოხმარებოდა გამოსასხნელად, მაშინ ამოოდ დაინახა საწყალი*** ტრაფიმ ლუკინი. ქალი იყურებოდა ირგვლივ, როდესაც თავის ჩვეულებრივის სიმშვიდის ხმით წარმოსთქვა ხოზრევსკიმ:

შემინდეთ, უ. ვისმერ, მე უნდა მოგახსენოთ თქვენა. მე მომივიდა სისულელე, ცოტა თქვენზედ ვიმეტიჩრე. ვისმერმა შეხედა მღიმიარებით.

ეგ როგორ?

შემინდეთ ამ კითხვაზედ,—უთხრა ხოზრევსკიმ,—მოგონია თქვენ გუშინ ბძანეთ, რომ გსუროდათ გენახათ კარტინა დიურერისა¹⁴, რომელიც მოიტანა ზაგრანიციდგან გრაფ სეიმონ ეგნატიჩმა.

არა, მე არ მითქვამს.

მაშ მართლა სულელობაში მომსვლია, გთხოვთ, რომ მაპატიოთ. მე

* თავდაპირველად დაუწერია: „ანუ“. ** თავდაპირველად დაუწერია: „ათვალიერებდენ“. *** ამის შემდეგ გადახაზულია: „კაცისა“.**** თავდაპირველად დაუწერია: „უმანკო“.

დარწმუნებული ვიყავ. ვითომ თქვენ გსურდათ გენახათ ის მხატვრობა და ეს არის ეზლა ვაცნობე გრატსა. გრატმა მოჰანდო მოგახსენოთ თქვენ, დიდათ სასიამოვნო იქნებოდა შეეტყო თქვენი ჰაზრი -- მართლა ნამდვილია ის მხატვრობა. თუ არა; და რადგანაც გრათი დღესვე შიდის თავის აოლოვის მა²ულში, იპან დიდათა გთხოვათ ერთათ წაბძანდეთ იმის სახლში და ერთათ გაჩხრიკოთ ის მხატვრობა. გრათი დარწმუნებული არის, რომ დააკაყოფილებთ როგორც იპას, რსე თქვენს თავსა. -- ვის²ერ მიახლოვდა სკამიკას, სადაც იჯდა მოხუცი დარბაისელი გრათი, რომელმაც სიამოვნებით გაუღიმა. წამოდგა. გაუყრა ხელი მკლავში ვის²ერს და წაიყვანა.

მშვენიერი თვალნი კნეინა აღინასი ასეთის განსხვავებულის გამოხატვით უყურებდენ ხოზრევსკის, რომ თითქო იმის სიტყვით დაამარცხეს ქვეყნის ორატორები, და ასე ნარნარად გაუღიმა, რომ ნასტასია პავლოვნას შეეძლო ათასნაირად ეფიქრებინა. ტროფიმ ლუკიჩმა, ვგონებ ჩვეულებისამებრ. ვერ შენიშნა გა²ვირვებითი შეხედვა კნეინასი და არ შერაცხა. რომ იყო მიზეზი იმ ს²მშვენიერის ღიმილისა და ორჯერ ჩაატარა მშვენიერი ნათესავნი ქალები ბულვარზედ და მერე ჩასხა ექიპაჟში*, სადაც კნეინამ გამოართო ხელი და მოუპირა არა ნებით.

ხოზრევსკი წავიდა შინ. ღრმად დაფიქრებული. ხომ არ ეძებდა მიზეზს მიხედვარყო ამ ხელის მოჭერას?

კარზედ მხიარულებით მოვიდოდა ბრწყინვალე გაზაფხულის წვიმა, უე არი და მოკლე. ვითა ქალთა ტინიანობა. ახლოს პოაჯირის (ბალკონის) ღია კართან, კნეინასთან იჯდა კიდევ ხოზრევსკი, რომელნიც ყოველ დღე ატარებდენ ასე დროსა. ქალა მართლად კისრათ ილო განაერცელოს და აღზარდოს ხელახლად ხოზრევსკი. იყოს მიზეზი ამის განათლებისა, შეადგენდა ქალისათვის ახალსა სასაცილოსა შრომასა და მართლა ხედვიდა წარმატებასა თავის შრომისაგან, -- ტრათიმ ლუკიჩს მართლა თითქო თვალები ეხილებოდა. ახალმა აღზოდაც დიდათ არგო. და მართლა ქალნი, რომელნიც არიან უგრანობიერესნი არსებანი, უზეტესად ნიჰიერი არიან იყურადღებონ მანედ, რაზედაც შრომას ეხილებენ. -- როდესაც მშვენიერი აღმზრდელი ქალი ლაპარაკობდა მშვენიერ მეტყველებით, როგორც ყოველთვის, თვალნი მოწათისა იყვნენ ყურადღებით სმე-

* თაუდაპირველად დაუწერია: „კარეტ აში“.

ნაზედ და ის მხოლოდ* თვალნი ისმენდენ ქალის ლაპარაკს და თითონ ცუდათ ესმოდა და უპასუხებდა ხშირად თითონაც არ იცოდა რასა. ენინა დიდსულოვნებით აპატივებდა ამ შემცდარის** პასუხებისათვის და არ უწყინებდა, რომ ის იყო ფიქრით დაფანტული.

ფიქრში წასვლა ხოზრევსკისა მართლა შესანდობი იყო: იმ დროს, როდესაც ენინა ასწავლიდა. ბევრი რაჟა ჰქონდა ტროფიმ ლუკინს შესახედავი, რომ თვალი გაეშტერებინა; ეხლაც ქალი იჯდა ისევ ისე მშვენიერად. მშვენიერებით და სიმდიდრით გარეხეულს ალაცს. ახლოს ამა ქალისა სუნელოვანობდენ მრავალნი გიაციანტნი. ლაპარაკში თამაშობდა კიტაიის მარათი. ქალი განსაჯიდა გასაოცებულ მეთოთხმეტე ლუდოვიკის¹⁵ დროებას. ლაპარაკობდა საშინელ მარკიზა*** დო ბრენვილზედ¹⁶. უანბობდა მთელს ისტორიას იმ იშვიათის ვეშაპის**** დედაკაცისას, აურიცხველსა ბოროტმოქმედებასა, რომლითაცა აღასრულებდა მარკიზა საშუალობითა მიუგნებელის საწამლავეითა, რომელსაც აძლევდა იმისი საყვარელი, გარყვნილი სენტკერუა¹⁷; უანბობდა, როგორ მოწამლა მამა, ძმანი და და ამისთვის, რომ დარჩენოდა***** მათი საძვიდრებელი; უანბობდა. როგორ საშინლად განვრცელდა ხასიათი კაცის მოწამელისა, ასე რომ, იმან დაიწყო უმიზეზოთ დაწამელა ხალხთა; უანბობდა სიკვდილსა ბოროტმოქმედის სენტკერუასასა და დასჯასა მარკიზისასა; და შემდგომ ამა საშინელისა დასჯისა, კვალად განვრცელდა იოწანვლა ყოველთ ხარისხთ საზოგადოებაში. ასე რომ, მამას ეშინოდა შვილისაგან, ძმას ძმისაგან; შემდგომ ვითა იპოვნეს ბებერი დედაკაცი, რომელიცა ჰყიდა იმ საწამლავსა, და მასვე უპოვეს ვრცელი სია ჩინებულთ გვართ სახელები, ვისაც ეყიდნათ. — ენინა უანბობდა მშვენიერად, განუფრცელებდა შემაშინებელსა ჰაზრსა, რომელ საშუალ განათლებულთა საზოგადოებაში კა კი მხეცებრ მიიღებს მძვინვარე ხასიათს კაცის კვლისას და აღასრულებს სიამოვნებითა. ხოზრევსკი იჯდა ქალის წინ უღრმესის ყურათღებითა. ის უყურებდა—ვითა კრუჟაეოს კარონჯა, ვადაფარებული ოსტატის

* თავდაპირველად დაუწერია: „ხშირად“. ** თავდაპირველად დაუწერია: „მშვენიერის“. *** ხელნაწერშია: „მარკიდ“. **** ხელნაწერშია: „ვეშაპი“. ***** თავდაპირველად დაუწერია: „დაჩენილიყო“.

შე თმაზედ, გამოაჩენდა განსაკვირვებელს სახის მოყვანილობას, ჟურებდა—მშვენიერად შეიყრებოდენ წვლილი წარბნი, ვითა მშვენიერად ეწყო ხავერდის ბალიშზედ ხელები.

და ეს არის გასაკვირველი ამ საზიზღარ მკვლელობაში,—განაგრძელა კნენამ, ეს გულგრილობა იმ დროს საზოგადოობისა. იმ საწამლავს დაარქვეს* პარაშოკი poudre de successions (პარაშოკი შემკვიდრეობისა,). მე ვგონებ, უსაზიზღრესი არა იქნება რა, როგორც იყო იმ დროს საზოგადოობის სული; ვგრეთვე უსაზიზღრესად მეჩვენება პირველ ფრანციის რევოლუციიაში, რომ აღასრულებდენ მაშინდელ მოდას: უნდა გამოცხადებულყვნენ შეყრილობაში კაცის სისხლით შესვრილის ხელებითა, და დაწესება ბალებთა de victoires¹⁸, უკეთებდენ პრაზნიკებს ცოლებს, შვილებს, ძმებს და ხოცილებისას. ეს ასეთი სახე არის მაშინდელის საზოგადოობისა, თუ რომ შევადაროთ, კანიბალებს¹⁹ შეეძლოთ ეკვებნათ** ზნეობაზედ. მართალი არ არის?

კნენამ შეხედა კითხვის მხედველობით შეურხვევლს ხოზრვესკის, ელოდა იმის ჰაზრებს, მაგრამ მალე ვერ მიიღო პასუხი,—ის იყო გართული ფიქრში.

მე ვგონებ, აქ ხშირათ არ უნდა ვიარო,—ჰსთქვა ხოზრვესკიმ და წამოავლო შლაპას ხელი. დაავიწყდა თავის დაკვრა. კნენას არ ეწყინა ეს შეცთობა.

იმე საღამოზედ გვიან, ანუ, ჰსწორეთ ესთქვათ, მეორე დღეზედ ადრე, მესამე საათზედ შუალამიდგან, კნენა აღინას შევიცარს მოესმა ძილში კარეტის თვლების გრიალი. წამოეარდა სკანდგან, რომელზედაც ჰსთვლემდა და გაულო კარები. კნენამ გაიარა ელვასავით, გადაავლო პოლზედ ბურნოსი, რომელიც ლაქიამ ვერ მოასწრო დაქერა, აირბინა თუჯის კიბეზედ, ზევით ატეეაში; პერედნაში სხვა ლაქია წამოეარდა, მოიწმინდა თვალები და მძინარემ ვერც კი გაიგო ბრძანება კნენასი, სამთელი კაბინეტში!—დაიყვირა კიდევ კნენამ. მოახლე მართა ტერენტევენა***, გაღვიძებული კარეტის ხმისაგან, შევარდა კნენას სპალნაში, რომ გაეხადნა ტანისამოსი, მაგრამ ტყუილათ ჩქარობდა მართა ტერენტევენა****,—

* თავდაპირველად დაუწერია: „უწოდეს“. ** თავდაპირველად დაუწერია „დაეგუნათ“. *** თავდაპირველად დაუწერია: „პეტროვნა“. **** თავდაპირველად დაუწერია: „პეტროვნა“.

კნენა არ შევიდა სპალნაში. ასე გაოცდა ერთგული მოახლე, რომ უზჯობესად შერაცხა თითის წვერებით მივიდეს კარებთან და შეხედოს რას აკეთებდა იმისი ქალბატონი. კნენა ჰაეროვანის თავისის საღამოს ტანისამოსით დავიდოდა ოთახში აქეთ-იქეთ, ძალიან გაჯავრებულის სახით. დასასრულ, მივიარდა საწერელს და კალამს სტოლზედ, დაწერა რამდენიმე ტრიქონი, წამოხტა საჩქაროთ, კინალამ დაეჯახა მარტა ტერენტევენას, გავიდა მეორე ოთახში და მაღალის ხპით დაიძახა: გაგზავნეთ დილაზედ ადრე იური პეტროვიჩ ვისმერთან. შეიტყუეთ სადა დგას. იელსკიასს ჰკითხეთ, იქ იციან. ტანისამოსი გამზადეთ.—ახლა უფრო დაერწმუნა მარტა ტერენტევენა—იმის ქალბატონს ჰქონდა სნეულობა ძარღვების სისუსტისა.

თითქო გაზაფხულის მზემ იცოდა, რა წარმოდგენა ემზადებოდა მდიდარს კნენას კაბინეტში, ასე ცდილობდა თავისის სხივით დაენახა ჩამოშვებულის პიოისფერის ფარდებ ქვეშ.—კნენა იჯდა მარტო, თავის ჩვეულს ალაგს. ახლოს მალახიტის პატარა სტოლთან.* იური პეტროვიჩ ვისმერ გახლავთ,—მოახსენა მოსამსახურემ.

მობძანდეს,—უპასუხა კნენამ და პირი მიაქცია კარებისაკენ. ვისმერ შემოვიდა ნელის ბიჯით, დაუკრა მძიმეთ თავი. კნენამ ხელით მოიწვია და აჩვენა კრესლა, რომელიც იდგა პირდაპირ. ის დაჯდა ჩუმათ.

მე იძულებული ვიყავ, რომ უნდა მამეწვივნეთ ჩემთან,—უთხრა კნენამ. თქვენ მიიღეთ ჩემგან ბარათი?

პასუხის მაგიერ თაკი დაუკრა.

უფალო ვისმერ! (თამანი, დიდ ქვეყანაში შეჩვეული ქალი დაბრკოლდა, რომ დაეწყო ლაპარაკი ადრევე მომზადებულის ჯაზრებისა). უფალო ვისმერ! მე უნდა თქვენ გკითხოთ, დიდხანს[ს] გსურთ, რომ მე მსდევნოთ?

როგორ?

როდესაც მე გკითხავთ ჰსწორეთ, თქვენც გმართებთ მიპასუხოთ ჰსწორეთ. გონიეროთ კაცო არ უნდა ერთხანერთთან იფარისეგლონ, ჩვენ ამგვარ არ უნდა ვილაპარაკოთ ერთმანერთთან.

ერთმანეთთან,—განიმეორა ვისმერ მწარის ღიმილით.

თუ გნებავს, როგორც მტერმა მტერთან.

თუ ეგ სურვილი გაქვსთ,—და შეხედა თვალებში.

* ხელნაწერში: „სტოლთან“.

რადგან აგრე არის, იყავით კეთილშობილური მტერი მაინც.
ესე იგი?

თქვენ კარგათ გესმის, რასაც ვანაობ! არ შემოძლიან ერთი ბიჭი გადაედგა სადმე, სადაც თქვენ არ დაწხვდეთ წინა. მე ყველგან უნდა მოვიგეორო თქვენი ლაპარაკი, ავიტანო თქვენი მოუცილებელი მხედველობა, თქვენი უკადრისი ლაპარაკში გარევა, როდესაც სხვას ველაპარაკები, ბრუდუ შეურაცყოფები, — განა ეს ეკადრება. კეთილშობილს კაცსა? განა ამგვარი ქცევა უნდა მაღალ საზოგადოებაში?

თქვენ მართალი ბრძანდებით, კნენინავ! — უპასუხა ვისმერ თავის სასიამოვნოს ხმით. — დიდ საზოგადოებაში უფრო სხვაგვარ იქცევიან; შეურაცხვენილი სიკრუე, ფარისევლობა და ორპირობა, სენინდისის თამაშობა ყოველ გრძნობაზედ, საზიზღარი გაცემა, ცივისსხლიანობით გარდახდომა, — აი, როგორ იქცევიან მაღალ საზოგადოებაში. მართალს არ მოგახსენებ?

დაუტეოთ ბაირონიზმობა²⁰ და მძლავრი სიტყვები. მე არ მიყვარს პატეტური ფრაზები. ჩვენ ვილაპარაკოთ უბრალოთ. — მე თქვენ გკითხვამთ, რას მდევნით? რა გინდათ ჩემგან?

არაფერი. მე მივახწიე რაც მსურდა.

უფალო ვისმერ? — ქალმა შეიკავა მრისხანე სიტყვა. ერთ მინუტს იყო მდუმარება.

თქვენ მე გძულვართ? — ასე ხელოსნურად იყო გამოთქმული* ეს სიტყვა, როგორის ცოდნით და გრაციით გარდაეხარა და მიეყრდნო კრესლას, ასე რომ, თითქო იმისი ფიგურა გამოსთქვამდა: განა შეიძლება მე შემოძულოს ვინმე[მ]? ვისმერმა გადააელო ავ ფიგურას თვალი, როგორც უყურებდა მხატრობის მოდელებს.

კაცი როგორ შესცდება! — უთხრა ვისმერ, — მე მეგონა, თქვენ ამისთვის დამიბარეთ. კნენინავ, რომ მეტყოდით მაღლობას.

კნენინა ასე არ ელოდა ავ სიტყვას, რომ არა ნებით შეირხა, რომელიც არ შემთხვევია თავის დღეში.

როგორ? თქვენ გითხრათ მაღლობა?

მე გამოვიხატე, რომ თქვენ დაათასებდით ყოველს ჩემს ზდილო-

* თავდაპირველად დაუწერია: „ნათქვამი“.

მას, რომელსაც ვხმარობ თქვენზედ.—ქალი ანთო. კინალამ მისცა ნება სიტყვებს, რომელიც გულში უღულდა.

განაგრძელეთ,—უთხრა მწაჩეთ. რატომ კაცს შეუძლიან შეაწყუხოს ქალი ყოველის სახით, დაცინებით და სიბრწყინით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დარწმუნებული არის, რომ ის მოქმედობს დაუსჯელად.—განაგრძელეთ, მე მსურდა* შემეტყო და მენახა თქვენ სადამდის შეხვედით. ისარგებლეთ შემთხვევითა.—ვისმერადვა, გაიარ-გამოიარა საჩქაროთ ოთახში. კიდევ მივიდა ახლოს კნეინისა და დაჯდა. ირონიული ღიმილი შესწყდა იმის სახიდგან. ის დაიხარა ცოტა წინ. შეხედა თვალებში კნეინას მწარის შეხედვით და დაიწყო ლაპარაკი სხვაგვარის ციეის გამბედობითის ხმითა გნებავთ დაეაბოლოოთ ჩვენი** ერთმანერთთან ანგარიში? ინებეთ.

—ოთხის წლის წინათ, როდესაც ბრწყინვალე კნეინამ იწყო თანაშობა საბრალო ხელოსანთან. მაშინ, როდესაც უსაქმობობისაგან იწყო გაგარჯიშებითი გამოცდა მაზედ, ძალიან უბრალო მიზეზი იყო, — კნეინას გაართობდა ამგვარი დროს გატარება.—ამ დროს რომში დიდი სკუნძობა იყო; კაცნი, რომელნიც მსურდა ენახა კნეინას, ხელაი აღარ იყვნენ. კნეინამ ცხოველად იწყო უეცარის შემთხვევით პოვნის გართობას(?) და იწყო იმაზედ ეარჯიშობა: მიიყვანდა დღეში ასჯერ კაცსა ალტაცუბიდგან განწირულებასში, მიიყვანდა იმედამდე და შერმე გახდიდა უიმედოდ.—ეს უველა, ვგონებ, მართალია? ამ საქმეში ძალიან გამოცდილი იყო კნეინა.—სიამოვნებით მოქმედობდა და მართლა სასიამოვნოც არის. ერთხელ შევიდა მასთან მხატვარი გაყვითლებული და სახიდგან შემოილი; ხელში ეჭირა წიგნი: დედა მისი კვდებოდა რუსეთში, იბარებდა შვილსა. კნეინამ ამაში დაინახა ახალი შემთხვევა, თავის ხუმრობა უმეტეს გაამახარაოს და დაიწყოს ახალი გამოცდა. არ შეიძლებოდა დაენებებინა თავი თამაშობისათვის, როდესაც თანდათან ესიამოვნებოდა. შესაძლო არის დიდებულ ქალს ასე ძვირათ არ დაეფასებინა ეს შექცევა, თუ რომ არ მიეღო ანბავი თავის ნათესავის სიკვდილისა და ამისთვის ვერ გამოვიდოდა სამი კვირა ქვეყანაში და ვერც ვეჩერებს გააკეთებდა. ამაში ხედავდა შემთხვევას, რომ მოწყენით არ გაეტარებინა დრო არა ნებით დანწყვედულობაში.

* ამის შემდეგ კიდევ წერია: „მე“. ** პირველად დაწერილია: „ჩვენთან“.

კნენამ გამოიღო თავსა,—არ გაუშვას შვილი მობაკედავ დედასთან და კიდევ აღასრულა თავის სიტყვა.

ვისმერმა სული მოიბრუნა, ის ლაპარაკობდა განსხვავებულის დაწყნარებითა და ლაპარაკში თითქო თანდათან ცივისსხლიანობდა.

— ქალმა აღასრულა თავის სიტყვა. ყმაწვილი კაცი არ იყო ცუდი შვილი, მაგრამ ქალი იყო დიდათ დახელოვნებული და იხმარა ყოველი მეცადინეობა, ჰქონდა ნიჭი არტისტული. რაც ძნელი იქნებოდა საქმე, იმისთვის იყო უმჯობესი; საქმე არ იყო მსუბუქი. დღითი დღე უნდა ცდილიყო, ეხმარა ყოველი თავის ცოდნა, მოეჭო საათიდან საათი, გაერთო, მოეტყუებინა, გაეპრიყუებინა, გამოეყვანა გონებიდან. დიახ, ქალს დიდათ ესიამოვნებოდა ესა. პოახდინა რამდენიმე ჰსცენები, სხვადასხვა ეფექტები; არ დაიშურვა წმიდანი ფიცნი.—ერთ საღამოზედ, როცა მოვიდა შინ, ნახა ტელეგრაფით მოსული წიგნი, სადაც ეწერა დედის სიკვდილი. ეორეს დღეს ძნელი იყო კნენასათვის ის დაეყენებინა, მაგრამ თავის სიტყვა გაიყვანა.—ძლიერი ღონისძიება მოუნდა ამაზედ*. კნენა სტიროდა (რა მშვენიერად სტიროდა), დაუჩოქა წინ, და აღასრულა თავის სიტყვა. ზოითინეთ, ნე ჯერ არ დამისრულეპაა.—ამ დროს რომე მოვიდა ამ ყმაწვილის მეგობარი, გულითადი პეგობარი. კაი დროს მოვიდა, ამისთვის რომ კნენას მოსწონდა ამასთან თამაშობა და შესაფერს დროს წარმოუდგა ახალი დრამა, პასიამოვნო საქმე. რასაკვირველია, ქალმა არ დაკარგა დრო, და ანელიც არის კაცმა დაუშალოს ვისმე, რომ არ მოიხმაროს თავისი ნიჭიერება თქვენ გესმით, რომ არა ეძრახე იმ ქალსა, და წინააღმდეგ, იმ ქალის ქცევა არის ბუნებითი. როგორც მე წელან მოგასენეთ, იყო ნიჭიერი, არტისტულის წინაგრძნობებითა; მოსწონდა დრამატიული** აზრი—ქენას ორნი მეგობარნი მტრად და რაყიფად, და ასრე ხელოსნურად მოიყვანა საქმე, რომ რამდენსამე კვირას უკან ორნი მეგობარნი იდგნენ ერთნაერთის პირდაპირ გულში განიშნულის დამბაჩებით,—როდესაც*** სასიკვდილოდ დაახლოვდნ ერთმანეთს, იმან, რომელმაც კნენას სიამოვნებისათვის დაუტევა

* ამის შემდეგ გადაბახულია: „კნენას“. ** თავდაპირველად დაუწერია: „დრამატიკული“. *** ამის შემდეგ გადაბახულია: „საშინლად“.

მამაკედავი დედა,—თვითონ ის იყო. ვინც გამოითხოვა დოქტორი
თავის მეგობარი,—იმასვე ეროვ სროლა.

—ვის ეროვ კიდევ გაჩუმდა ერთ მინუტს, შემდგომად იწყო ლაპარაკი,
არც მალის, არც დაბლის ხმითა. ცივი გამოთქმა სიტყვებისა
ჟმატებდა იმას ეფექტებს.—გაფარდა დაიბაჩა, მეგობარი დაეცა.
აქ გაჩოჩნდა მცირედი შეცთობა კნენინასი. ვერ მიხვდა, რა მოქმედება
აქვს კაცზედ, რონელიც დაღვრის მეგობრის სისხლსა და
შეებლალემა ხელნი მეგობრის სისხლითა, მეველი დაეცა გულზედ
მომაკედავსა და დაქრილიც შოებვია მეგობრულათ და ხელით მი-
იკრა დაქრილ მკერდზედ. ღმერთმან დაიფარა გარდახდომილი.
იმის მეგობარი არ მოკვდა და. როდესაც ის მორჩა, მორჩა იმის
მკვლელიცა. იმ დამბაჩის სროლით განჰქრა ჯადოსნობა, როგორც
ზეციერის ხმით განჰქრება არაწინდა სული.—ორნივე მეგობარნი
წავიდნენ რუსეთში.—აილა ნება მომეცით ჩე დავასრულო. ის კაცი
და ის კნენინა შეხედებიან ერთმანეთს. კაცს ვეხვდა შემთხვევით
მცირედი ნივთი, უსიამოვნო ქალისათვის, უბრალო ბარათი ქალის
ხელით ნაწერი; მაგრამ ისეთი არა არია რა, რომ საძრახისი იყოს
რამე,—კნენინას ვერაფერს განჰსჯის გაუფრთხილებლობითა, ის არას
დროს არ დასწერს ერთ ტრიქონსაც, რომელიც ავნიქს იმის
ზნეობას. ბარათის], რომელზედაც ჩე ვანბობ, დამწერი ძალიან
უდანაშაულო არის,—ოთხი გვერდი თაბახისა არის დაწერილი
ბოროტსიტყვაობა. კნენინა ამ ბარათით ძალიან მახვილგონიერებით
დასცინის ბებერს თავის დედის დას და სასაცილოს ანბებს ჰსწერს
იმისას. დაცილება ძალიან ბოროტი იყო, მაგრამ მაშინ შევლო
კნენინას დაეცინა, ვერაფერს გადაახდენებდა, და კნენინაც, თუმცა
გონიერი იყო, მაგრამ ვერ მიხვდებოდა, რომ ის ბებერი ქალი-
კუდიანი, როგორც წიგნი უწოდებს, შეიქნებოდა ოდესმე მის-
თვის საკირო პირი; რას მიხვდებოდა, რომ ამ ბებრის ძმები უკო-
ლონი დაიხოცებოდნენ ხოლერით და, შემდგომ ამ ბებრის სიკვდი-
ლისა, კნენინა დარჩებოდა შემკვიდრედ. მრავლის მანულისა და ქო-
ნებისა.—რასაკვირველია, ამისთანა შემთხვევაში მაშინდელი წიგნი
ძალიან საშიში იქნებოდა კნენინასათვის და თუ ჩაგდო დედის დას
ის წიგნი, უთოთ შემკვიდრობიდან გამორიცხავდა მახვილგო-
ნებიანს დისწულს. ახლა ის წიგნი არის იმ კაცის ხელში, რომლი-
თაც კნენინა თამაშობდა და ერთობოდა მოწყენის დროს ერთხანად.

ნება უბოძეთ, იმასაც ერგოს რიგი, ისიც გაერთოს და შეექცეს კენინაზედ. ჩვენ გადამართლეთ დროს გატარება არისტოკრატკასი; შიქუშვით პლებეიც გაერთოს სიამოვნებით. დიდებულ ქალს ჰქონდა კაპრიზი შეაწუხოს საწყალი კაცი; რატომ საწყალსაც არ ექნება თავის კაპრიზი. კაპრიზი ყმაწვილის კაცისა არის მშვიდი, ზრდილობიანი; მხოლოდ მცირეს ნებას აძლევს ზრდილობიანათ აწყყინოს ბრწყინვალე კენინასა, იყოს მსუბუქი უსიამოვნება, მზგავსად მცირედის კენქისა, რომელიც ჩაუვარდება ბაშმაკში. ის არის კმაყოფილი იმითი. რომ ქალმა არა ნებით უნდა აიტანოს მალ-მალ იმისი ნახვა, იმისი მხედველობა, იმის ზრდილობიანი თავის დაკერა. კენინა ხომ შეექცეოდა იმისი ტანჯვითა, იმასაც უხარბან, რომ ამეგებით აწყყენებს კენინას. ეს ყოველი ბუნებითია. — ახლა ნება პომეციტ გკითხოთ, რა გნებაუთ ჩეგან?

კენინამ მოისმინა ბოლომდის ასე, რომ არ შერხეულა; ის დარწმუნდა ისევე ამ მშვენიერის პოზითა, ოგორც იჯდა, მიყრდნობილი ვძელს კრესლის ზურგზედ, უყურებდა ვისმერს პირდაპირ. იქნება ამ ლაპარაკით ფეხის თითები ეკვლანქებოდა ბაშმაკაში, მაგრამ პუნჯარი ჰფარევდა ფეხებს.

თქვენ არამცთუ კარგი მხატვარი ბრძანდებით, შესანიშნავი ამბის მბობელიც ბრძანებულხართ, — უთხრა ქალმა მრისხანების შეყენებულის ხმითა, — თქვენ მოთხრობასა აქვს დიდი ეფექტი და დიდ თხზულებასთანაც შეედარება. ნაგრამ მე არ ვგონებ, რომ თქვენ გსურდათ ბრწყინვალეთ გეჩვენებინათ ტალანტი მთხვველისა. როგორც მე შემოდლიან განვსაჯო, თქვენი განზრახვა იყო გვანბნათ საბუთები და ამისთვის ნება* მაქვს არ განვამშვენიერებინოთ, თუ ჩვენ არა ვხუმრობთ.

მგონია, რომ არა! — უთხრა ვისმერ.

მაშ თუ ჩვენ დავიწყებთ ერთმანერთთან ანგარიშს, და თუ ჩვენ ვლაპარაკობთ და არ დავბრკოლდებით არა რომლის უკადრისობაებითა, მაშინ ნება მიბოძეთ გკითხოთ: ვინ დაგაყენათ განმსჯელად სხვის სინიდისისა? ვინ მოგვკათ თქვენ უფლება გაპქეკოთ აზრი სხვის კაცისა და ილაპარაკოთ იმის შექცევაზედ? თქვენ ჩახედეთ იმ დედაკაცის სულში? მართალია, აქვს დანაშაული, რომ არ გა-

* ამის შემდეგ გადახაზულია: „მიბოძეთ“.

უშვა შეილი დედასთან. მაგრამ რისთვის ცდილობდა დაეჭირა ის უმაწვილი თავისთან? ეს იციან მხოლოდ იმ ქალმა. იყო თამაშობა, თუ გართობა გრძნობათა, ვინ გადასწყვეტს ამას? თქვენ შეგიძლიანთ მხოლოდ ჰსთქვათ: აი, იმ ქალმა რა მოახდინა. მაგრამ თქვენ როგორ ჰხედავთ თქმასა — რასა ჰფიქრობდა. რა ჰსურდა და რასა გრძნობდა? თქვენ როგორ ჰხედავთ ლაპარაკობთ იმის ცრემლებზედა? ქალმა არ დაითხოვა თავის საზოგადოობიდან და ყოველ დღე მიიწვივდა, რომელსაც რაცხდა თავის მეგობრად. დაარქვეით ამას თუგინდევგოისტობა, თქვენ ის არ გესპორებათ; დაყვედრეთ მსუბუქპაზროვნება, ის მიიღებს ამ ყვედრებას. და რომლის სიმართლით უნდა უპასუხოს სხვის საქმეს? — ეს ძალიან საშუალობა არის დაიმშვიდოს: „კაცა სინიდიისი და დაიდოს დანაშაული. — ხმა კნენინასი ცივდებოდა და აღარ იყო ისეთი ჰსწორი, ისე აღარ იჯდა კრესლაში*, აღარ იყო მიყრდნობილი ზურგითა, ხელები ჩამოეშენენ, თვალნი უბრწყინავდენ.

გქონდეთ შეპყრობილი იმ ქალის შემთხვევები. ის არა გთხოვთ მოახდოს ბოდიში. თვითონ აღიარებს თავის დედობრივ სისუსტეს. — შესაძლო არს ცდილობს. რომ გარდაიხადოს; თქვენ ნახეთ: ის ქალი დიოელის შემდგომად? განა თქვენ იცით, იტანჯებოდა თუ არა? რა იცით თქვენ, რა რიგათ ჰსტანჯავს ეხლაც სინიდიისი, როცა მოაგონდება ხოლმე? რა იცით**, რომ არა ჰყვედრის თავის თავს. არ შეუძლიან, რომ...

ვისმერ ადგა, აილო კუშმეტკოდგან ნაკერი ბალიში და დაუდო ფეხებ ქვეშ კნენინას.

შენიშნეთ, კნენინავ, — უთხრა ვისმერ. — მე არ დავრჩი ისე უბედელი, როგორც ვიყავ რომში, — მაშინ ნება მოგეცით, რომ ჩემ წინ დაიჩოქეთ და არ დაგიდეთ ბალიში.

ქალი შეირბა. გაფთხილებული, ანგარიშიანი ცბიერი არსებავანჰქრა. დარჩა საშინელი გაცრცვილი დედაკაცი...

მე არ ვფიქრობდი, — უპასუხა ქალმა მთრთოლვარის ტუჩებითა, — რომ თქვენ მომცემდით*** ჰაზოსა სასიამოვნოსა, რომ ვარ

* თავდაპირველად დაუწერია „კრესლაზედ“. ** ხელნაწერია: „რაგეთა“
*** თავდაპირველად დაუწერია: „ჩამიდებდით“.

თქვენს ხელში. მე ეხლა მსურდა, არამთუ მხოლოდ ჩემი სიმდიდრე, ჩემი სიცოცხლეც იყოს დამოკიდებული თქვენზედ; მაშინ უფრო უმჯობესად გეტყოდით რა საშინელი საზიზღარი ხართ ჩემთვის. ჩემთვის უსიამოვნესი იყო დამეგრეობებიც თქვენთვის, რომ ეს სიძულელი გარდამეტობს ყოველს ჩენს შინსა და გითხრათ პირში: კაცი, რომელიც ეტყევა ასე ქალს*, ღირსია სიძულილისა. გმადლობთ, რომ ასე დამდაბლდით ჩემ თვალში.

მებრალეებით, კნეინავ. — უპასუხა ვისმერ, — რომ ვერ შეიკავეთ თქვენი ხასიათი და ძლია** მოისხანებამ თქვენი გონიერება. მეთანხნებათ, რომ თქვენი სიტყვები იყო ძალიან ადრე ნათქვამნი, ჯერ არ უნდა გეთქვათ ეგენი. ეს რომ ჰსთქვა, ამოიღო უბიდგან წიგნი***, ერთი თაბაბი დაწერილი.

აი, ანისთვის უნდა მოგეტყოდნათ. ეხლა შეგიძლიანთ უშიშრად მლანძლოთ და შემძულოთ, მე მდუმარე მოვისმენთ.

კნეინამ აიღო ქალაღი და თავი დახარა. — ორნივე იყვნენ ჩუპათ. ვისმერმა აიღო შლაბა.

Je vous salue, monsieur. — თავს გიკრავთ, უფალო, — უთხრა კნეინამ. ის იღმა კნეინას წინ და ზეიდან დაჭხედა ამპარტავან არისტოკრატკას, რომელიც აიწია და დაუკრა თავი.

Nous sommes quittes, madame!²¹

— გიანბეთ რა არა ჩემგან მოგონებული, არამედ კეშმარიტ შეძთხევა, როგორც მე ნიანბეს. დიდათ ვწუხვარ, რომ არ შემიძლიან ვიციოდე, მზგავსად რომანის მთხველთა, მივსწედე მოქმედ პირთ გულის სიღრმეს და წავეკითხო კედლის იქით დახშულ ოთახში და გამოვაცხადო მათი საიდუმლო, — რას ფიქრობდა, რას მოქმედებდა კნეინა მარტო თავის კაბინეტში შენდგომათ, რაც ვისმერ გავიდა. მე ეს არ ვიცი და არ შემიძლიან გიანბოთ. ვიცი მხოლოდ ესა, რომ იმ დილაღვეზედ, როცა მოვიდა ხოზრევსკი, იმან ნახა, რომ კნეინა დავიდოდა ჩქარის ბიჯით თავის ოთახში. როდესაც დანახა ხოზრევსკი, კნეინა ნივიდა ჩქარის ნაბიჯით იმასთან, მოუქირა ისე მაგრა ხელი, რომ ხოზრევსკიმ შეხედა კნეინას და ჰკითხა:

* თავდაპირველად დაუწერია: „ღედა“ [კაცსა]. ** თავდაპირველად დაუწერია: „გძლიათ“, შემდეგ მხოლოდ ბოლო ასო გადაუხაზეს. *** თავდაპირველად დაუწერია: „ბარათი“.

რა დაგმართვიათ?

არაფერი. მე ძარღვების სისუსტე* მომივიდა, დაბძანდით, და თითონ საჩქაროთ ჩაჯდა კრესლაში.

მე მოვიტანე,—დაიწყო ტროფიმ ლუქიჩმა და დასდო წიგნი სტოლზედ.

merci (მადლობელი ვარ),—უთხრა ქალმა.

ეს წიგნი ძალიან ჰკვიანურათ არის დაწერილი,—დაიწყო ხოხრევსკიმ.

ღმერთმა შეინახოს,—უპასუხა მოკლედ კნენინამ; გონებისაგან გზა არა მაქვს, გონება დიდათ შესაწუხარია, გონება ქალისათვის სატანჯველია.

თქვენ მაგას არ იტყოდით, კნენინავ,—უპასუხა მშვიდმა სტუმარმა,—თუ თქვენ ჰგრძნობდეთ თქვენში გონების ნაკლებობას.

რაში შეჭეწევა მე ჩემი გონება?—უპასუხა**მალალის ხმით კნენინამ,—რათ უნდა იყოს ძვირფასი ჩემთვის, რაც უნდა დიდი გონიერი ვიყო. განა გონება მშველის რასმე? განა დამიჯიარავეს უკურაქებებისაგან? რა სარგებლობა მაქვს გონებისაგან?

ეს სარგებლობა გაქვთ, ყველანი ჰკვირდებიან თქვენს გონებას. კნენინავ!

და მაგისთვის უფრო პატივს არა მცემენ!

რას ბრძანებთ, კნენინავ?

განა თქვენ არ იცით, რომ როდესაც ქალს აქებთ გონებითა, თქვენ იმას ლანძღვთ; განა კაცნი არ არიან დარწმუნებულნი, რომ ვისაც გონება აქვს, გული არა აქვს; განა ეს გადაწყვეტილი არ არის, რომ კაციანი დედაკაცი ეზგავსება რალაცას ვეშაპს, რომელიც არასა ჰგრძნოს? ჰკითხეთ ვისაც გინდათ, ყველანი ამას გეტყვიან.

ვინ გაჰბედავს, კნენინავ, რომ თქვენზედ ჰქონდეთ უსარგებლო ჰაზრი?

მართლა? აბა გაუგონეთ იმათ, განგებ გამოსცადეთ, იმათთან ჰსთქვით, რომ მე არასდროს თავის დღეში არა მქონია გულის მოძრაობა, არაფითარი შერხევა; რომ მე არა ვარ ნიკებული უსყიდვე-

* ამის შემდეგ გადახაზულია: „მაქვს“. ** თავდაპირველად დაუწერია: „მეფე-გა“.

ლის გრძნობისა; არ ვიცი და არ მესმის, რომ ვენა რამე კეთილი; რომ ყოველიფერი ჩემი მოქმედება არის ანგარიშით; რომ მე ვარ ქმნილება უსულო და უსენინდისო;—თქვენ ნახავთ, რომ არავინ დაგიწყებთ ამანდელ წინააღმდეგ ბაასსა. ისინი ეზათ არიან მითხრან ეს ყველა პირში. ვინ დაუშლის იმათ?—შეიქმნა კვალად დუმილი. კნენინა ჰსწიწკნიდა კორდელიერკის ფუნჯსა, რომელსაც ეჭირა პენუარი გარე მშვენიერის წელისა. ხოზოვესკი უყურებდა განკვირებულად; ანგვარი ქცევა კნენინასი მოიყვანდა ხოზრვესკის ახალს ჰაზროვანებაში. კნენინა ეხლა უფრო სხვაგვარ მოსწონდა და თითქმის ეხლა უფრო მეტათაც. ვინემ აღრე.—იმის სახის მოძრაობაში, მწარის ინტონაციის* ხმაში იზოვებოდა რაღაც მინზიდველობა, იყო ყოველი მშვენიერ ბუნებითი.—კნენინას, ვგონებ, პირველად შეხვდა, რომ თავის თავი გაიქნა, პირველად შევიდა თავის თავის ანგარიშში, პირველად დაინახა, რომ არის უპატრონო. ყმაწვილ კაცს ეს მოდა თავის მინზიდველობა თუ არა. არ ამორებდა თვალს კნენინას, ჯერეთ გამოუცნობელს მისთვის**, სუსტს, შეწყუხებულს, რომლისათვის საჭირო იყო პატრონი.

კნენინაე! — წარმოსთქვა ხოზრვესკიმ ძლიეს,—თქვენ შეუძლოთ ბძანდებით, ეხლა ყოველიფერი ბნელად გეჭვენებათ, თვენ არ შეგიძლიანთ იჩივლოთ ბედზედ, თქვენი მდგოიარეობა შესაშურებელი არის.

ძალიან!—უპასუხა ქალმა ცივის სიცილით.

თქვენ ყველა გაქვსთ, რასაც კაცი ისურვებს: მშვენიერება, ნიჭიერება, ყოველი უპირატესობა, სიმდიდრე, თავისუფლება.

ღიაბ, სრული თავისუფლება! მოკვდეს ჯავრით და სევდით, ვის რა ენალვლება!

ყველანი ეძებენ თქვენ გაცნობას, თქვენთან დაახლოვებას.

ღიაბ, ყველანი, ვისაც უყვარს პრაზნიკები და კარგი სადილები.

გარს გეზივიან. ყველანი შესანიშნელი გვანნი, ყველანი გონიერნი და ნიჭიერნი ხალხნი, აოტისტნი. თქვენ იმათში მხიარულებთ ხოლმე.

ღიაბ, ღიაბ! ძალიან მხიარულათა ვარ ხოლმე!—მიუგო გაჯავრებულის ხმითა,—ძალიან მხიარულათა ვარ ხოლმე!

* ხელნაწერშია: „ინტონაციის“. ** შემდეგ გადახაზულია: „ახლა ზედავდა“

ტროფიმ ლუკინი დაჩუმდა, ნახა რომ ამო იყო თავის მეცადინეობა დაამშვიდლოს მრისხანება ბრწყინვალე კნენისა.

და თქვენც იმ ჰაზრისა ხართ!—უთხრა უეცრად კნენიან, შეჰხედა იმას,—თქვენც აგრე ჰფიქრობთ, რომ ჩემში არ არის არაფერთარი გრძობა, გარდა თავსმოყვარებისა და ეგოისტობისა. მართალი არ არის?

განა თქვენ უნდა ზრუნავდეთ ჩემს ჰაზრზედ, კნენიან?—წარმოსთქვა საწყალმა ხოზრევსკიმ.—განა მე შემოდლიან ვიყო თქვენი მსაჯული.

მაგრამ თქვენ მაგას ხომ ფიქრობთ? მე თქვენთვის ვარ არსება საზიზღარი, — განაგრძელა კნენიან და უუბრუნებდა თვალებში, თუმცა ხედვიდა მათში წინააღმდეგ ამა დამტკიცებისა.

კნენიან, თქვენ მაგას სერიოზნათ ვერ იტყვით,—უპასუხა ხოზრევსკიმ,—თქვენ იცით...

ქალმა არ გაათავებინა.

ახ, ღმერთო ჩემო! დიახ მე ვიცი, რომ თქვენ აფასებთ ჩემს ტალანტებს, ჩემს განათლებას, ჩემს გონიერებას და ნიჭიერებას, ყველას, რასაც სხვანი აფასებენ; მაგრამ თქვენც ისე მიყურებთ, ვითა ბრწყინვალე ვეშაპს. თქვენ არა გწამთ, რომ მქონდეს გული, არც მიზიღვა გრძობათა, არაფერი, რითაც განსხვავდება ღელაკაცი. ასე არ არის? აღიარეთ!

ხოზრევსკი გაჩუმდა; ქალს გამოუბრწყინდა თვალებში ცრემლები.

ასე არ არის? მსთქვით, როგორც პატროსანი კაცი.

კნენიან, — მიუგო, — მე თქვენ მიბძანებთ ვსთქვა სინიდიისითა. არ შემოდლიან წინა აღვიდგეთ, მე აღარ უნდა ვიფიქრო, რომ თქვენ გამიწყრებით, ან როგორ ძნელი იქნება ჩემთვის თქვენი წყრომა. მეც ისეთი სულელი არა ვარ, რომ არ მესმოდეს ჩემი მდგომარეობა; მე ეს ვიცი. განჰსჯა ჩემისთანა კაცისაგან თქვენზედ არაფრათ არა ღირს. მე მესმის, რომ უთოთ უნდა ვითხრათ ჩემი ჰაზრი, — კეშმარტათ სხვა არა არის რა, როგორც ერთი მინუტის კაპრიზი. — მაგრამ მე ძვირად დამიჯდება, თუმცა უნდა აღვასრულო! კნენიან, თქვენ იცით, რომ მე არა ვარ გავარჯიშებული და არ შემოდლიან ვაპოვსთქვა სიტყვები, როგორც რიგია; მე შემოდლიან მხოლოდ მოგახსენოთ სიმართლით; რადგან თქვენ გსურსთ, აღვიარებ: მე ვგონებდი, რომ საზოგადო ჰაზრი თქვენზედ მართალი იყო.

აა! — დაიძახა კნეინამ.

მე თქვენ მეჩვენებოდით მომეტებულ კვიანად. მე მეჩვენებოდა. სხვა ყოველი გრძნობა იყო შეპყრობილი მომატებულის გონებისაგან, და ბოლოს ესეც, რომ თქვენ ხომ ყველაში არ გეკნებოდით ღირსება; თქვენგან არ შეიძლება მოითხოვოს ტფილი გრძნობა. მოველოდით თქვენგან ბრმა დიდსულოვნებას. თქვენ შეგიძლიანთ ჰყოთ ყოველი გონივრად.

თქვენ აგრე ჰფიქრობთ? — ჰკითხა კნეინამ და შეხედა თვალებში. მე აგრე ვფიქრობდი.

ეხლა?

ეხლა ასე ვფიქრობ, რომ შემცდარი ვიყავ. რომელ შექთხვევაში?

კნეინავ! თქვენ ხომ კარგათ გესმისთ. ნუ გამომკითხავთ წვლილად, — კარგად მოგეხსენებათ, მე არა მაქვს ნიჰი ლაპარაკისა.

მაგრამ შეგიძლიანთ მითხრათ, ეხლა თქვენ ჩემზედ რას ფიქრობთ?

თქვენთვის არ არის საინტერესო და ჩემთვის ძნელია.

თუკი მე მინდა ვიცოდე?

თქვენ იცით.

კნეინა დაფიქრდა.

ასეა, — უთხრა კნეინამ, — თქვენ ჰფიქრობთ, რომ მე მხოლოდ მოექმედობ ანგარიშით და ვეძებ მხოლოდ ჩემს სარგებლობას.

კნეინავ! რასაკვირველია, მე მაქვს დანაშაული, მაგრამ მაგას ჩემთან ასე ხშირად ლაპარაკობენ ხოლმე.

დიახ, ყოველნი ჩემნი მეგობარნი, ჩემნი თაყვანისმცემელნი. ეს არის იმათი კეთილი ჰაზრი ჩემზედ, და თქვენთვის რაღა საჭირო იყო სხვაგვარ დამტკიცება.

ეს ხომ ცნობილია, კნეინავ, რომ თქვენ ქმარი შეირთეთ არა სიყვარულისათვის.

ამისთვის, რომ მე მინდოდა ტიტული, — მიუგო ქალმა მწარის ღიმილით, — ეგ იმათ აგრე დააბოლოვეს, და ესეც, რომ მე ყოველფერში შევექცევი, და ყოველი, რაც გრძნობა გაიფლის ჩემს გულში, არის სიცრუე! და რადგანაც ასე გადაწყვიტეს, ყოველ მათგანს აქვს უფლება შეურაცხმყოს, მლანძლოს მე*. კიდევ დაჩუმდა კნეინა

* ამის შემდეგ გადაახულოა: „კვალად და“ [ჩუმდა].

და მიეყრდნო თავის კრესლას. საბრალო ხოზრევსკის არ შეეძლო მოეშალა ეს მრისხანე ღუმილი.

კნენინავ!—დასასრულ ამოიღო ხმა.—კნენინავ არ შეხედა.

კნენინავ!—განამეორა ყმაწვილმა კაცმა, ვერ გაბედა შეხედვა პირის-პირ განრისხებულს მშვენიერ ქალსა,—მე დ-ვლუბე თავი, მე ეგ ვი-ცოდი, მაგრამ თქვენ მაიძულებდით. მე აღეასრულე თქვენი ნება; თქვენ მიბძანეთ, რომ ყველა გამოჰეთქვა და აღეასრულე!

კნენინავ შეხედა თავის გამქვერის თვალით, მღუმარებით და ფიქ-რით, და უეცრად ადგა კრესლიდგან.

კარგი,—წაიზურჩულა ქ ლმა,—მე დაუპტკიცებ, ნახვენ, იქნება ამას არ მოელოდენ და მაშინ, იქნება... ვნახოთ.

ტროფიმ ლუკიჩმა აიღო შლაპა და არ იცოდა რა უნდა ექნა.

კნენინავ!—შეხედა მორჩილის თვალით,—საბრალოთ დღუმატა: თქვენ ეხლა არ შეგიძლიანთ მაპატიოთ. მე მესმის, ვაჰ ახლა და-თხოვნილი თქვენის სახლიდგან, ჩეთვის ყოველი გათავდა.

ხოზრევსკი!—უთხრა ქალმა, გაუწვირა ხელი, — მოდით ჩემთან დღეს საღამოზე.

საღამოზედ მოახლოვდა რა კნენინას სახლსა. ტროფიმ ლუკიჩ შედგა და მერე მობრუნდა სხვა ქუჩისაკენ; იმან ათჯერ გაიარ გამოიარა ტროტუარზედ, ასე განსხევებულს ფიქრითა, ასე რომ გამლეღ-გამო-მვლელნი შესცქერო-ენ იმას*. მაგრამ იმას არ ჰსცალოდა; კნენინას სიტყვები—„ხოზრევსკი, საღამოზედ მოდით ჩემთან“—რადასაც დიდ-რასმე ნიშნავდა და შესაძლო არის არას ნიშნავდა.—საბრალო, ამოღდ არ დაეთრეოდა დიდ საზოგადოებაში. იმან აიტანა მრავა-ლი, აურაცხელი შეურაცხება და მოიპოვა იწარე გამოცდილება.—პირველად, როდესაც დაუახლოვდა მშვენიერ კნენინას, ის უთოოდ უწყინრად გაუტყდა თავის თავს, როგორც უბრალო ჩვეულებითი საქმე, რომ იმასა ჰყავს ერთი რაყიფი, კნენინას თუთიყუში, რომ-ლითაც მოცალების-დროს ატარებს დროსა, უ-ლერსებს ეგრეთვე უმანკო ყურადღებითა. ასე რომე ტროფიმ ლუკიჩზე** ხოზრევსკიზედ

* ამის შემდეგ გადახაზულია: „კნენინას სი“ [ტყუბი]. ** თავდაპირველად დაუწერია: „ლუკიჩზედ“

კნენა აღინას ერთ მინუტსაც არ შეეძლო ეფიქრნა რამე, რასაც ჰფიქრობს დედაკაცი კაცზედ.

არ არის ადვილი,—ხოზრევსკის ესმოდა ნორჩი ხმა ყმაწვილისა ქალისა, რომელსაც ეწინოდა ეთარგნა ეს ფრაზი: „ხოზრევსკი, მოდი საღამოზედ ჩემთან“, და ცდილობდა შემაგრებულყო, ვერ ბედამდა გამოეცნო, რომ კნენა იყო ასეთს სულის მდგომარეობაში, რომლითაც აღსრულდებიან დედობრივი განსაკვიფრებელნი შემთხვევანი და სულელური მოქმედებანი. ტრაფიმე ლუკინი ავიდა* ძლიერ მღელვარე კნენას სახლების კიბეს და ორ საათს უკან ჩამოვიდა უმეტესის მღელვარებით, იმ კაცის სახით, რომელსაც შემთხვევია, ღმერთმან უწყის, რაღაც.—ეს შემთხვევა, რომ კნენამ უთხრა: „ხოზრევსკი, მე თქვენ გიყვარვართ და ვერ ბედამთ მითხრათ მე... თქვენ ხართ კაი კაცი, მე ვარ თქვენი“.

ტვერის ბულვარზედ, დიდ გოსტინებში, კლუბში გაისმა ხმა, რომ კნენა აღინა დაინიშნა ხოზრევსკიზედ. მოსკოვი მოიცივა ძლიერად ამ ახალმა ანბაემა, რადგან ახალი არა ჰქონდათ რა სალაპარაკო. ლაპარაკი იყო სხვადასხვაგვარი. შეიქმნა საყოველთაო სასიხარულოდ და საქორავად.

საუცხოვოთაც ჰქმნა, — უპასუხა ნასტასია პავლოვ[ენამ ბებერ დამას, რომელიც შეხვდა რუსის მალაზიაში.

კნენამ დაამტკიცა, რომ იცის ფასი ღირსის კაცის სიყვარულისა და უშალღეს და უმაღლეს ყველაზედ მიაჩნია ესრეთი ღრმა გრძნობა. ნე დიდათ მამწონს ეს საქმე. ეს არის პასუხი კნენასი იმათთვის, ვინცა ჰსწამობდენ, ვითომ კნენას არა ჰქონდა გული. ამგვარი შემთხვევა არის კეთილშობილური და არც ინანებს ხოზრევსკი ამისთანა ბედნიერებას.—მეორე ოთახში, იმავე მალაზიაში, ორნი გაუთხოვარნი ქალნი ყიდულობდენ შერსტის ძაფს ბალიშის შესაკერავად.

იცით თქვენ, რომ კნენა გათხოვდა დედის დის** ბძანებითა? დიახ, გაეიგონე! მაშ ეგ მართალია?

მართალია! ბებერი გაგიყებულობა ხოზრევსკისათვის და გამოუცხადებია კნენასათვის, რომ თუ სხვა ქმარს შეირთავს, გამოორიცხად.

* ამის შემდეგ გადახაზულია: „მძიმეთ“. ** ხელნაწერშია: „დედის“. შინაარსის მიხედვით უნდა იყოს „დედის დის“.

ხაგს თავის მემკვიდრეობიღვან. და რა უნდა ექმნა? ანობენ, კნენია ძალიან გამხდარა.

აღვიარებ, კნენიამ იპოვნა კაცი!—უთხრა ყმაწვილმა კაცმა თავის ცოლს სადილზედ, როდესაც იღებდა მცერიან როსტბიფსა,—წარმოიდგინე შენა, რომ ქალი გაგიყვებულა თურქეთა იმისთვის და თითონ ქალს დაუსწვრია სიყვარულის გამოცხადება. საუცხოვო გამოჩრჩევა არის. აი, თქვენი მალალის დედაკაცის ქეუა.

ჩემის მხრით, უცხო საქმე უქნია კნენიას,—ჰსთქვა კლუბში ქალაღლის თამაშობაში მდიდარმა იჯარაღარმა,—ამაში ორი სარგებლობა არის ქალისათვის: იშოვნა ქმარი სულელი, რომელიც არას დაუშლის, და მოურავი თავის ყმა და მამულისა, რომელიც არას მოჰპარავს. ქეშმარიტად დიდი ქვეიანი ქალი ყოფილა!

ჰსწორეთ რამანია, —უანობდა. ასხამდა ჩაის ქალი საშუალ წლოვანი, თავის სტუმრებს,—ანობენ, რომ ხოზრევსკი შესულა კნენიას კაბინეტში გატენილის დანბაჩებით და უნდოდა ქალის წინ თავი მოეკლა. და ასე შეშინებულა კნენია, რომ თანახმა გამხდარიყო შეირთოს ქრმად*.

მე ეგ არა მჯერა,—ჰსთქვა ერთმა სტუმართაღანმა,—კნენია აღინას მაგისთანა შტუკებით ვერავინ მოატყუებს.

ეგ არ შეიძლება, რომ მაგითი დამორჩილებულიყო.

გამიგონეთ, რა მოგახსენოთ,—უთხრა სახლის პატრონმა ქალმა,—მე არავის დაეენაძლევები, რომ ხოზრევსკი არ მოიკლავდა თავსა.

შესაძლებელი არის იმისღან,—შენიშნა ერთმა სტუმარმა,—იმას ამდენი** სულელობა ჰსჭირს. ტყუილათ არ იყო სულელი. იმიტომაც კაცი გახდა.

Mon cher!—იტყოდა ამპარტავანი კობტა კაცი, რომელიც გამოვიდოდა ქუჩით ტროიკის ტრაბტირიღვან ციგარის მწეღარი,—*C'est simplement une envie se jeter par la fenêtre maladie de femme.*²²

—მაისის თბილ საღამოზედ მართა ტერენტევენა კნენიას ჩასაცემელ ოთახში აღებდა*** ზანღუკებს, ღია იაშჩიკებს მშვენიერ ტანისა-

* გრ. ორბელიანი, როგორც წესი, ხმარობს: „ქრმად“, „საქრმოთ“. ** თავდაპირველად დაუწერია: „მაგდენი“. *** ხელნაწერშია: „აიღებდა“.

მოსებით,—კნენინას უნდოდა, რომ ჯვარი დაეწერა თავის სოფელში.—მართა ტერენტეენა ამ მზადებაში არ იყო ჭეიფზედ. მისი არისტოკრატიული სული გლეხურ გვანში განჰსჯიდა ყველაზედ უმეტესად mesalliance¹², მისი ბრწყინვალეების კაპრიზებს, რომ ბაშმაკები უნდა შესცვალოს ქალმებზედ.—დამნაშავე ერთგულის მუახლის ყვედრებითის ბურტყუნისა, იჯდა კაბინეტში ხოზრევსკისთან.—ტრაფიმ ლუკინი იყო დაფიქრებული მომატებულად. რასაკვირველია, ბევრჯელ მოხდება კაცის ცულილებაში, როცა არის ბედნიერი.—კნენინა კითხულობდა წიგნსა მალლა. ყოველთვის, როდესაც დარჩებოდა მარტო ენებთან, კითხულობდა წიგნებს. ამჟამათ ოცნებებდა ეორჟ ზანდის¹³ „Simon“, რომელიც თავდება ქორწილით, აგრეთვე ცოტა რამ ექსცენტრიულად.—ქალი კითხულობდა აღტაცებითა, ესია მოვებოდა, როგორც თავის პორტრეტი, ენერგიული ფიგურა ფიამისა.

რა ხელოსნური მხატრობაა ქალისა!—ჰსთქვა მშვენიერმა სასძლომ. დააყენა კითხვა,—და როგორი ჭეშმარიტი ცნობაა კეთილშობილურისა და პატიოსნურის სიყვარულისა! პატივისცემა თავისა და სხვისა!

რას ჰფიქრობთ?—ჰკითხა ჩუმათ მყოფს ხოზრევსკის.

ბევრს რასმე, კნენინავ.

არ შეიძლება მაგ ბევრიდგან გვითხრათ მცირედი?

მე თქვენზედ ვფიქრობ, კნენინავ (ქალმა გაიღიმა). მე ვფიქრობ ამას, რომ თქვენ ჩემზედ ყოვლისფრით უკეთესი ხართ.

სახით?—ჰკითხა კნენინამ.

ყოვლისფრით*.

თუ ეგ აგრე არის,—უბახუბა ქალმა,—მაშინ მაგ უბედურებას არა ეშველება რა, თქვენ უნდა აიტანოთ, როგორც მამაკაცმა.

ხოზრევსკიმ გაუშტერა თვალი. მშვენიერი იყო ამ მინუტში კნენინა.

კნენინავ!—უთხრა იმან უეცრად გაბედვით,—მე უნდა აღვისრულო ჩემი ვალი. გაჩუმდა და მალევე დაიწყო ლაპარაკი.—თქვენ ერთხელ ჩემგან მოითხოვეთ მეტქვა მართალი, და მე ვნახე, რომ თქვენ შეგიძლიანთ მოისმინოთ. მე ეხლა არ უნდა თქვენთან დავ-

* ამის შემდეგ გადახაზულია: „მიუგო ხოზრევსკიმ“.

ფარო სიმაღლედ.—კნენინამ შეხედა იმას სახეზედ და დასლო წიგნი სტოლზედ.

ჩვენ მდგომარეობაში ერთმანერთთან უთხრა, — ხოზრევსკიმ, .
არ.უნდა იყოს მიშეებული უსინდისობა.

კვალად შეიქმნა ღუმელი მცირე ხანს.

მე ყურს გიგდებთ,—უთხრა ქალმა.—ხოზრევსკი უყურებდა კნენინას განსხვავებულის თვალთ.

თქვენ ასეთი საქმე ჰქენით, კნენინავ, რომელსაც თქვენგან არავინ მოელოდა,—დაიწყო ხოზრევსკიმ არაჩვეულების თვის ხმით.—თქვენ მე გამომირჩიეთ საქრმოთ, რომელსაც არა მაქვს რა, რითაც გამოჩნდება კაცი დიდ ქვეყანაში: არც სიმდიდრე, არც არისტოკრატიური შთამომავლობა*, არც პატივი საზოგადოებაში; თქვენ აჩვენეთ და დაამტკიცეთ თქვენი უანგაროობა; ეს არ არის საკმარო,—თქვენ ჰქმენით საკვირველება: თქვენ გადასწყვიტეთ იყოთ ცოლი იმ კაცისა, რომელსაც ქვეყანა სულელს უძახის. თქვენც ხომ დარწმუნებული ხართ, რომ მე ვარ უბრალო რამ არსება.—კნენინავ! თქვენ შეუცდარი ბძანდებით, როგორც არიან ყველანი შემცდარნი. მე ვისურვე მეჩვენებინა თავი ქვეყანაში სულელად და ვცდილობდი, რომ ყველანი ამ აზრზედ დამყარებულ იყვნენ ჩენზედ, და ამისთვის დიდი შრომა და გონიერება ვიხპარე.—კნენინა უყურებდა განკვირებულნი.—იბან განაგრძელა:

გამიგონეთ, კნენინავ! მე უნდა გიანბოთ ასეთის სიტყვებით, რომელთ მნიშვნელობა თქვენ არ გესმისთ და არ იცნობთ: ს ა ჰ ი რ ო ე ბ ა—ეს სიტყვა არის თქვენგან ბნელად ცნობილი, რალაც გამფრენავე ჰაზრი, ქემშარიტს ჰაზრს ამ სიტყვისას თქვენ ვერ მიხედებით. რას ნიშნავს საჰიროება, ეს იციან იმათ, რომელთაც მოსკულეტს თავის სიმძიმითა. ამისთანა ხალხი ძალიან ბევრია. ყოველ დღე იბრძოდეს საჰიროებისგან. მუშაკობდეს შეუძლებლობამდის საჰიროებისათვის**, ვერსაიდგან ხედვიდეს შემწეობას,—ასეთი მდგომარეობა საშინელება არის. მაგრამ ვმადლობდეთ*** ჩვენ განათლებას, სი-

* თავდაპირველად დაუწერია: „ჩამომავლობა“. ** ამის შემდეგ გადაბახულია: „ეს იციან იმათ, რომელთაც გაუჭყლეთ თავსა თავის სიმძიმითა, ამისთანა ხალხი ძალიან ბევრია; ყოველ დღე“. *** ამის შემდეგ გადაბახულია: „ღმერთსა“.

ღარიბე დიდი სირცხვილია, ამაზედ* არიან მღუმრად, ამისთვის რომ ლაპარაკიდან არა გამოვა რა და გამგონისათვის არ არის სასიამოვნო. მე სიყრმიდგან თავს ვიძლიდი(?), რომლის ღონისძიებით მოვიპოვო პური არსებისა დაქვრივებულის, დაგლახაკებულის დედის ჩემისათვის. ამ საშინელის აზრით მოცული, ვსწავლობდი დიდიდგან საღამომდის, მთელი ღამე ჩავსცქეროდი წიგნებსა, მე ვმუშაკობდი მტკიცის ნებითა, ასე რომ, ჩემის სიმთელის თვისით მოვიპოვე ცოდნა, რომლის მოხმარება ვერსად შევიძელ. ეს ასე** ჩვეულებითი არის, ჩემთვის ეს არ იყო, რაც სხვათათვის შეხედვებით ხოლმე, ყოველი მომდინარეობდა ბუნებითის წესითა. ნიჭებული გონიერებითა და მიხდომითა განვიფრცელე ჩემი გონება მუშაკობისათვის. რაც კი ღონე მქონდა, უნდა მეპოვნა რამე, გინდა უმადლო მძიმე მუშაობა, და მე, ოცის წლის ყმაწვილი, ვიდექ პირდაპირ სიგლახაკისა და არა მქონდა არა რა ღონისძიება. მე არ ვიცი, როგორ ავიხსნათ თქვენ, მცირედიც არის, შინაგანი მდგომარეობა იმ კაცისა, რომელსაც ყოველ დღე, ყოველ ღამე, ცხადად და ძილში, ყოველ საკმეში, ყოველ დასვენებაში, ყოველ მინუტში უწივის ყურებში ერთი და იგივე კითხვა: „რა ვქნა? რას მოვიცილო ხელ?“ წარმოიდგინეთ თქვენ, რომ იმ დღეს, როცა უნდა იყოს დიდი ბალი, რომელსაც დიდი ხანია ელით, თქვენ გეტყვიან: თქვენი განსაცვიფრებელი კაბა, რომელსაც თქვენ აკერვინებდით, რომლითაც უნდა დაგეჩაგრათ თქვენ ტოლების კაბები, არ იქნება მზათა. წარმოიდგინეთ, რამდენჯერ ჰკითხავდით თავსა ხშირ-ხშირად: რა ვქნა, რა მეშველება? — მე იმედი მაქვს, ამისთანა უბედურება თქვენ არსად არ მოგიხდებათ და მოგახსენებთ ამისთვის, რომ აგება უფრო ცხადათ შეიტყუთ ჩემი მოთხრობა. — ღუბერსკის ქალაქში, სადაც მე დავიბადე და სადაც უთოოდ უნდა მოგვედარევიყავ, მე არა მყვანდა გამოსადეგი ნათესაეები, რომელთაც*** გაეხსნათ ჩემთვის გზა. არავეისგან მქონდა შემწეობა, — ვისგან მეპოვნა გზა, ან პროტექცია. — ყოველ მინუტს უნდა ვიხმარო ისეთი სიტყვები, რომელნიც თქვენთვის გამოკანები არიან. თქვენ იცით, კნენიანე, რო-

* თავდაპირველად დაუწერია: „ამისთვის“: ** თავდაპირველად დაუწერია: „ასეთი“. *** ხელნაწერშია: „რომელთაც“.

გორ აჩვენებენ პროტექციას, როგორ ეძებენ, მაგრამ არ იცით, რა რიგით დგანან დერეფანში, როგორ გამოსთქმენ სიმკრთალობით თავის ვედრებას, როგორ მოისმენენ ცივის და მოკლე პასუხს*: „საწუხრად ვერაფერში ვერ შევეწვიეთ“, როგორ გამოვლენ ოთახიდან, რა დაცინებიათ შეხედვას აიტანენ ბრიყვის ლაქიებისაგან, როგორ მოვლენ თავის გლახა ოთახში, სადაც ელის დედა, რომელიც არ გადაეჩვია იმედის გადაწყვეტას. ეს მხოლოდ მესმის ბოროტი მე.

მე მაშინ მივხდი, რაზედ იყო ჩემი საქმე, რაც იყო ჩემი პირველი უბედურების მიზეზი. დაბადებით იყო ჩემი ბედი ასე გადაწყვეტილი. შკოლაში ბავშვები, როცა იყვნენ ჩემზედ გაჯავრებულნი, რომ იმათზედ უკეთესად ვ[ს]წავლობდი, კბილების ღრქენით, თითის ნიშნებით მეძახოდნენ: „იი, ჰკვიანო, ჰკვიანო!“ ამას მეძახდნენ მერე გემნახიაშიაც. ეს სახელი შეიქმნა ჩემ სალანძღავ სახელად. მე ვერ ვმალავდი ჩემის ამხანაგების სიძულვილს იმათ უზღველობაზედ; მე მიხაროდა, რომ იმათზედ გლახაკი, ვიყავ მათზედ უპირატესი ყოველ კლასში. ისინი იძულებული იყვნენ დაეთმოთ ჩემთვის დღითიდღე. — რაოდენსამე წელიწადს ვაიძულე ჩემი თავი მეცადინეობითა და ქცევითა, ისე რომ ჩემი ოსტატები დამაყენებდნენ მე მაგალითად. მაქებდნენ და უმტკიცებდნენ მათ ჩემს ზნეობითს უპირატესობას. — მერე მე წაველ თავდამდაბლებით** იმათ მამებთან, რომ მოეცათ ჩემთვის შემწეობა, ჰსთქვან ჩემზედ ერთი სიტყვა, მიპოვონ რამე ერთი ალაგი. — მე პირველადვე შემავონა მოხუცმა სტრაფჩმა, უცოლომ, რომელთანაც მე დავდიოდი. მამაჩემს როცა შეძლება ჰქონდა, აჰ სტრაფჩს შეეწეოდა ხოლმე და მოხუცი ცდილობდა ცოტაც არის რამ გადა[ე]ხადა შეილზედ, წამიყვანდა ხოლმე ხშირად*** ჩაიზღდ თავისთან. — ეჰ, ჩემო ხეჰწიფევე, — მითხრა ერთხელ იმან, მაშინ როდესაც გადამიწყდა ერთი იმედიცა, რომელსაც მოველოდი, — უმჯობესია, რომ არა ცდილობდე, არაფერი არა გამოვა რა. შენ ბედი არ გექნება.

არ შეიძლება, ჩემო საყვარელო, — მითხრა****, — შენ ისეთი არა

* ამის შემდეგ გადახაზულია: „რომ“. ** პირველად დაუწერია: „მოწიწებით“. *** პირველად დაუწერია: „ხანდახან“. **** ამის შემდეგ გადახაზულია: „ქდ“ [კვალად].

ხარ, ძალიან ჰკვიანი ხარ, მერე კოხტაობ გონებითა. გონება ბევრი გაქვს, და მანდედან კი არა გამოდის რა^ა. ღრო არის მიხვდე.

რასა?—ვკითხე მე.

იცი შენ არაკი,—მიპასუხა,—ორნი ძმანი რომ იყვნენ ჰკვიანები და მესამე სულელი?

ვიცი,—უთხარი მე,—სულელი რომ გაბედნიერდა.—როცა პატარა ვიყავ, მაგ არაკს რომ მეტყოდნენ, მეჯავრებოდა და არა მწამდა, ახლა თითქო უნდა დავიჯერო.

მოხუცმა შემომხედა თავის გამქვერის, გამოცდილის** თვალე-ბით.—ვინ იცის, რომ ივანუშკა იყო მართლა სულელი? ხომ არ აბრეყვებდა ხალხსა? ხომ განგებ არ*** ისულელებდა თავსა? ხომ არ მიხვდა, რომ ისე უფრო ისარგებლებდა? ეგ ზღაპარი, ჩემო ბატონო, არ არის უბრალო. თუ შენ კარგა გეფიქრნა, უფრო კარგ საქმეს იქმდი, აგრე გარიყული არ იჯდებოდი, ჩემო ძამიავ! ვისაც ფული აქვს, ღონებაცა შეენის. ჩვენისთანა გლახებს გონება არ გამოადგება. აი, რას მოგახსენებ.

მე ამ სიტყვაზედ ძალიან დავფიქრდი, ვიფიქრე რამდენიმე ღღე და მე მივიწიე უეჭველს აქსიომა^ადის,—ასე რომ, კაცი, რომელიც ამტკიცებს, რომ ბევრზედ ჰკვიანია, ამტკიცებს, რომ ბევრნი არიან იმაზედ სულელნი, მე მივხდი****, რომ იმათთვის არ იქნებოდა სასიამოვნო. თანდათან თვალი მეხილებოდა; მე შევნიშნე, თუ მრავალათვის არ არის სასიამოვნო იდგეს სხვაზედ დაბლა, ყველა-სათვის წინააღმდეგი არის*****. კაცი კმაყოფილი, ვინც მათზედ მაღლა დგას, არ შეიძლება არ ჰსთქვას კმაყოფილებით: „საბრალო, რა სულელია“,—რომელიც ნიშნავს: „ჰე ჰკვიანი ვარ“. მე იქვე მივხდი,—ხალხი ინსტიტუტურად კარგათ ექცევიან მას და კეთილისურებენ მისთვის*****, ვინც აჩვენებს მათ თავის თავს***** მდაბლა. ამის გამო განვიმეორე მოხუცებულის სტრაფრის სიტყვა: „აი, რა [ა]რის, ჩემო მამავ!—მართალია ყოველი ეს“. მაგრამ ჩემმა ლოლიკურმა

* თავდაპირველად დაუწერია: „გამოვა რა“. ** თავდაპირველად დაუწერია „მოხერხებულის“. *** ამის შემდეგ გადახაზულია: „შერებოდ“. **** ხელნაწერშია: „მიხვდი“. ამდაგვარად ხშირად წერს გრ. ორბელიანი პირველ პირში. ***** ამის შემდეგ გადახაზულია: „ვინცა დგას მათზედ მაღლა; კმაყოფილება“. ***** თავდაპირველად დაუწერია: „მათვის“. ***** ამის შემდეგ გადახაზულია: „[თავ] დაბლობას“.

დამტკიცებამ ვერ სადამდის მიმიყვანა.—ჩემთვის ყოველი გათავებულ იყო. რასაც მივმართე, რაც უნდა აღმეთქო, უსაზღვრო მორჩილება, რაც უნდა ეპიტემია დავდო, უპირობო მორჩილება,—საქმე აღარ გაკეთდა; ჩემზედ კიდევ იყო ჰაზრი შემდგარი პატარა ქალაქში.—არა არის რა ქვეყანაზედ ასე შეურყეველი: ხოზრევესკი არის აუტანელი, გამოუსადეგი, გზადაკარგული, ბოროტი და საშიშარი კაცი. ეს იყო გადაწყვეტილი. ებრალებოდათ საწყალი ღედაჩემი, რომელსაც ღმერთმა თავის გულისწყრომით მისცა ისეთი შეილი! ამაში არაფერი არ არის რა გასაკვირველი, არა არის რა ახალი. ეს იყო ახალი უბედურება ჭკვის საგან* სხვა გვარ! მაგრამ ეს არ შეეძარება, ჩემთვის არ იყო სანუგეშო: ჩაკცი²⁵, რამდენიც** უნდა ელანძლათ, მაინც იყო მაძლარი, შეძლება ჰქონდა, ჩემსა და იმას შუა დიდი განსხვავება იპოვებოდა; ის იმათ მოშორდა, მაგრამ მე სად უნდა წავსულეიყავ?

ასე გავიდა ერთი წელიწადი! მოკლე სიტყვაა.—უნდა ვცდილ-ვიყავ განმეშორებინა დახლოვებული სიგლახაკე, უნდა მომეგონებინა რამე. მაგრამ ვერას ვიგონებდი, როდესაც მე ვიჯექ მთელი ღამე ბნელს თითქმის გაღიაში, ვატანდი ძალას გონებას.—ყოველი იყო ამაო. ძველი არაკი შეიქნებოდა ჭეშმარიტებად. შევხედავდი თვალწინ ცხოველს—ედიპის სფინქსა²⁶,—ის საშინლად მიყურებდა პირში და მეტყობდა: „გამოიცან გამოცანა, თორემ მე გაგსრეს!“ გამოცანა იყო,—რომლის ღონისძიებით არა მქონემ მოიპოვოს საზღო, გამოცანა, რომელზედაც შრომას ჰსწევენ ამაოდ ჩვენი ჩამომავლობა და იშრომებენ ამაოდ მომავალნიცა.

ერთ დილაზედ მათე არტემიჩი მოვიდა ჩემთან და დამასაქმა, მითხრა: ხომ არ გინდა იშოვნო ცოტაც არის ფულები, რომ აღასრულო ძალიან ადვილი საქმე? საქმე იყო ესე: მე უნდა წამელო*** მდიდა მებატონესთან ახლოს სოფელში ერთი დიდი საქმე, წარმოებან სულისა. და უნდა წამეკითხნა იმისთვის და მასთანავე პირადაც დამეტკიცებინა ჰაზრი ამისი და მომეტანა მისგანაც პასუხი მატყვი არტემიჩისათვის. მოხუცს არაეინა ჰყვანდა, რომ ჩემსავით აღესრუ-

* ამის შემდეგ გადახაზულია: „გარბ“. ** ხელნაწერშია: „რამდენიც“.

*** თავდაპირველად დაუწერია: „წავსულეიყავ“.

ლებინა ეს საქმე.—მე სიხარულით მივიღე თხოვნა და წაველ იმავე დღესა.

თქვენ იცნობთ სახელს იმ კაცისას, რომელთანაც მე მივდიოდი, ეს იყო გრაფ ნიკანორ გლებოვიჩი ხოლყოვსკი. თქვენ იმას ნახავდით სადმე გრანიცის გარეთ. თქვენ გეცოდინებათ, რომ ის გაიზარდა პარიჟში, გაატარა თავის ყმაწვილდროება იქა და შეირთო ფრანცუზანკა. რუსეთში იშვიათაო მოდის, მხოლოდ საქართვებისათვის. ამ დროსაც აღასრულებდა მამულის სიყვარულის მოვალეობას ამითი, რომ მოვიდა შეჭკრიძობ ხარჯი სამი ათასის სულისაგან და, რასაკვირველია, ცდილობდა შეემოკლებინა დრო რუსეთში დარჩომისა.—პეტერბურღში დაეგდო ცოლი და დავიდოდა თავის სოფლებში, თან დაჰყვანდა ცხრის წლის თავის შვილი. გრაფი ხოლყოვსკი, რომელმაც არ იცოდა გაპოეთქო თავის სახელი თავის მშობლიურ ენითა, იყო კეთილის გულისა და უყურებდა სიბრალულით, რომელიც არ იყო გრაფი.—მე მიველ საღამოზედ გვიან გრაფთან სასახლეში და მეორეს დღეს გამოვცხადდი იმასთან. გრაფ ნიკანორ გლებოვიჩი ცნობილი არის თავის განსხვავებულის ტონითა და უყვედრულის მიღებითა. ძალიან აღერსიანათ მოგეკცა და გაჩხრიკა მცირედ ქაღალდები, ჩემგან მიტანილი, მთხოვა ორი-სამი დღე დაერჩე იმის სახლში, რომ კარგათ და საფუძელიანად გაჩხრიკოს ქაღალდები და მომცეს პასუხი ნაფიქრები. მერე მიმიწვია საუზმეზედ და დაიწყო სხვადასხვა საგანზედ ლაპარაკი. შევნიშნე, რომ უყვარდა ვიტიისტობა.—ის იყო ჩემგან კმაყოფილი, ჩემის დამშვიდებულის ხასიათისა. იმან მკითხა რა საქმეში ვარ და გაათავა ლაპარაკი ამ დაბოლოებით, რომ ჩემგვარი აღზრდა დიდათ მოსწონს და თუ ადრე გავეცან, ამ საპი დღის წინათ, მაშინ ის მთხოვდა გყოფილევყავ ოსტატათ იმის შვილისა, წამიყვანდა გრანიცის გარეთ. ახლა საწუხრად ვერა მთხოვს, ამისთვის, რომ სხვას ყმაწვილ კაცს მისცა პირობა, რომელსაც ელის მოსკოვიდან ყოველ საათსა.

გამოველ რა გრაფის კაბინეტიდგან, მე დიდხან დავეთრეოდდი* და ვრცელ პარკში, ღრმად დაფიქრებული. კიდევ უბედობა, კიდევ მასხარაობა ბელისაგან; განა არ იქნებოდა, ეს ქაღალდები

* ამის შემდეგ გადაზახულია: „დგორცის“.

ერთი კვირის წინ მოეცა ბედსა და გამეცნა გრაფი? მაშინ მე ვიქნებოდი გამოსხნილი, მექნებოდა დამეკმაყოფილებინა დედაჩემი, გამეტარებინა სიცოცხლე უზრუნველად; წავიდოდი გრანიცის გარეთ, ვნახამდი პარიჯს, იტალიასა და ეს ყოველი მაშინ ადვილად მოხდებოდა! და ეხლა ყოველი ესენი გამიქრა ამისთვის, რომ ბედმა დამაგვიანა ხუთის ან ექვსის დღითა! მე ვეღარ მოვიშორე ეს მწარე ფიქრი, ყოველ ჩემს ბიჯში ტვინში მიაღადა. ეს პარკი, ესეთი სასახლე, ყოველი კომფორტული ცხოვრება, ყოველის სიმდიდრის კუთვნილებითა, ყოველი ესე, რომელთაც ვერ წარმოვიდგენდი,—მეგონა, რომ ჩემი იყო და წამართვეს. მთელი ღამე არ მეძინა.

მეორე დღეს, სადილზედ, მე ვნახე უცოდველი ჩემი ნწუხარების მიზეზი, რომელიც მოსულიყო,—კანდიდატი* მოსკოვის უნივერსიტეტისა²⁷, ბედნიერი, რომელიც უნდა წაჰყოლოდა გრაფსა.—იშვიათათ შემხვედრია ისეთი მინზიდველი შესახელობა, ისეთი ჰკვიანური, სიმპატიური სახე.—გრაფსა და იმას შეეჭნა ცხარე ბაასი. შეჰყენენ სხედასხევა მალალ კითხვებს. კანდიდატი ლაპარაკობდა მშვენიერად, უპასუხებდა გრაფს საფუძელიანად და ნათლად დაუმტკიცებდა თავის** აზრების სიმართლესა. მე არა მქონდა გული შევბოლოდი ბაასში, ვისმენდი მღუმარე. მე მცხვენოდა, რომ ვაჩვენებდი ჩემზედ ასე უსარგებლოდ ცნობასა! ძალას ვატანდი შემებერტყნა გონებისაგან დამამძივებელი ჩემი ფიქრები, მინდოდა მიმელო მონაწილეობა ლაპარაკში, მაგრამ ვერ შევძელ!

სალამოზედ გრაფი იჯდა ტერასზედ და ჩვენ გვერთ უსხედით. გრაფი კიდევ ცდილობდა დამეტკიცებინა ჩვენთვის, რომ ინაზედ არ უთქვამს ჰამლეტს²⁸, როდესაც არწმუნებდა, რომ არის მრავალი ცაში და ქვეყანაში, რომელთათვის*** არა იციან რა და არცა არა ვაეგებათ ფილოსოფოსთა. გრაფის სნეულობა შევნიშნე, რომ ჰქონდა**** ჰუმარიტი ცნობა ყოველიფრისა ქვეყანაზედ. პსიხიოლოლიდგან გადავიდა საკვირვლად პოლიტიკაზედ და იქიდგან სხედასხევა ხასიათებზედ. შეძღვომ გადავიდა ძველადგან ხალხისა ერთმანერთის სიძულვილზედ, მაგალითად, ფრანცუზებისა და ინგლისელებისა.

* ხელნაწერშია: „კანდედატი“. ** თავდაპირველად დაუწერია: „თვისის“.

*** თავდაპირველად დაუწერია „რომლისაც“. ხელნაწერშია: „რომლთათვის“.

**** „რომ ჰქონდა“ ორჯერაა გამეორებული.

იმან წარმოადგინა, როგორც შესანიშნავი ჰაზრი, სიმღერა*—
„მალბრუგ ჩვენს ომში მოდის“. ეს ხარაკტაკური თხზულება ფრან-
ცუზების მდაბლის ერისა,—განაგრძელა მან,—რომლითაც ასე ხალ-
ხის ხასიათის გვარად არის გამახსარავებული გერცოლი მალბო-
რო²⁹.—ამასთანავე დაუმატა რომელიმე გაპნსჯა, რომ რა მნიშვნე-
ლობა აქვს სიმღერას.

როდესაც გაათავა, მოსკოველმა ყმაწვილმა უპასუხა: ნება მი-
ბოძეთ მოგახსენოთ, სიმღერა — „მალბურგ ჩვენ ომში მოდის“ —
ფრანციკული არ არის სრულებით და არც არის ირონიული (და-
ცინებითი). ის სიმღერა არ არის ლერცოლ მალბოროზედ** და
დიდი ხანია, რომ დამტკიცდა არის ძველი ისპანაური სიმღერა.
მიბაძევა შავრთა, სიმღერა ერთ რიცარზედ, რომელმაც მიიღო ხალ-
ხისაგან წოდება მა მ ბ მ ე, კაცი, რომელიც მოყვანილი ყოფილა ბუმ-
ბერაზულად, ღონიერი, და ამ სიტყვიდგან შემდგარა მა ლ ბ რ უ ე.—
მოიგონა ეს სიმღერა რითაც დაბოლოვდება და დაუმატა ესეც,—
რომ ისპანკამ, რომელიც იყო ძიძა ლუდოვიკ XIV-ის^{30***}, ამ ლექ-
სით ანანიავებდა და აქედან ისწავლეს ფრანციაში, და შემდგომად
ფრანცუხის დაბალის ხალხისაგან ძალიან ცუდათ შეიცვალა ნარ-
ნარი შავრთა პოეზია იმის მკუნეარის ხმითა. მერე მიიღეს მარია ან-
ტუანეტას^{31****} სასახლეში ფრანციკულ სატირად, რომელიც არის
უეჭველი შეცდომა.—ყოველი ეს ლაპარაკი ყმაწვილმა კაცმა ახსნა
ჩინებულად, შესაფერის ზრდილობით.—გაიგონა რა გრაფმა, წაი-
ბუტბუტა: C'est bien possible (დიდათ შესაძლებელია), ზარი
დაარაკუნა და მოითხოვა ჩაი. მერე დავიშალენით.

მე შუალამედის დავიდოდი ბნელს ხევანში, უკანასკნელად ვსტებე-
ბოდი ამ მშვენიერის ბალითა, თავისუფლად ვსუნთქამდი წმინდას
ჰაერსა. — ხვალ უნდა წავსულვიყავ, იქ მელოდა გულშემაწუხებელი
ძალა და ფიქრი ერთი ლუკმის პურის შოვნისა, და ყოველი ჩემი
აუტანელი ცხოვრება.—დასამატებლად ჩემის უბედურებისა შემარ-
თებული ფიქრი, რომ ასე ახლო ვიყავ შემთხვევასთან, რომლისაგან
ვიკნებოდი^{*****} გამოსხნილი. მე გული მივიწროვდებოდა მკმუნეარე-

* ამის შემდეგ გადახაზულია: „ფრანციკული“. ** ხელნაწერში: „მარლობა“.

*** ამის შემდეგ გადახაზულია: „ღვირში“. **** ამის შემდეგ გადახაზულია: „სახლ“.

***** ამის შემდეგ გადახაზულია: „დასხ.; გამო“.

ბისაგან. უფალო! რა არის, რომ სხვას სულ ასე შეემთხვევა ბედნიერება, მარტო სულელებსაც არა! აი, ეს ყმაწვილი კაცი ბედნიერია; ეს ტყუილად არა ჰსწავლობდა და მუშაკობდა, ამის შრომა არ დაიკარგა, გამოიყენა; იპოვნა კაცნი, რომელთაც ის დაათასეს. და მე როგორ სულელად გამოვსჩნდი იმასთან: აქ არ უნდა თავი დამემალა*; თუ რომ ჩემი ცოდნა ცოტა რამ გამოემჩინა, იქნება გრაფს რეკომენდაცია მოეცა ჩემთვის თავის ნაცნობებთან. — ეს იყო აუცილებელი ღონისძიება მეპოვნა მზა რაზე, მე ესეც გაუშვი ხელიდან; ვეღარ ჩავიგდებ ხელში! საშინელი საფიქრებელ იყო.

მეორე დილაზედ მარტო მე და გრაფმა მოვილაპარაკეთ ქალაქედებზედ. რითაც ვიყავი გაგზავნილი. როდესაც საქმეზედ ლაპარაკს მოვრჩით და გადავსწყვიტეთ, უეცრად მომიბრუნდა გრაფი და მითხრა ეს სიტყვები: გინდა ჩემთან წამოსვლა? მე დავითხოვე გუშინდელი ყმაწვილი კაცი. მე არ მიყვარს იმგვარი ყმაწვილი კაცები; რომელთაც ჰგონიათ, ყოველიფერი სხვაზედ უკეთ იციან და უნდათ, რომ ყველაზედ ჰქვიანნი იყვნენ. კაცნი, დამყარებულნი ამგვარ ჰაზრზედ, არიან გაუძლებელნი. — მე შევნიშნე თქვენი სიმშვიდე, თქვენი... ერთი სიტყვით, მე მომწონხართ. მე მოგცემთ ცხოვრებას უზრუნველს, ათას მანეთს წელიწადში ჯამაგირს, უმეტესს, რაც მე იმისთვის უნდა დამენიშნა. იფიქრეთ და დღესვე მითხარით პასუხი, — მე ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ თანახმა ვახდებით. — გამომართო ხელი, მომიჭირა და გავიდა კაბინეტიდან. — მე ვიდექ კაბინეტში გაშტერებული, თავბრუდასხმული. გამოველ გარეთ. ჰაზრი, რომელსაც მე ვროტამდი, დამეცა უეცრად თავზედ, მოწყალე ბითა — „მალბრუგ ჩვენ ომში მოდის“ — ამ სიმღერითა. მე დავილოდი უგზოუკლო, მინდოდა შორს სადღე მივფარებულეყავე, სადაც არავინ ყოფილიყო. გავიარე პარკი, როშჩა, მინდორი, გაველ ყრუ ტყეში, დაეჯექ. მაშინ მოველ გონებაზედ, მაშინ მომიგროვდა ფიქრები.

მე მივხვდი, რაზედ იყო სიტყვა, არ იყო ძნელი ამის გამოცნობა: გრაფს, როგორც ბევრთ გრაფთ და არა გრაფთ, უნდოდა შეიღის ოსტატი ყოფილიყო უნიკო, უხარაქტერო და უაზრო, უტალანტო, თითქმის უგუნური; გრაფს ჰსურდა ყოველის ჰაზრით ყო-

* თავდაპირველად დაუწერია: „დამეფარა“.

ფილიყო გრაფი, რომელიც ხალხი იმას ვარს ეხვია; ოსტატი არ უნდა ყოფილიყო არაფერში იმათზედ უპირატესი. იმას სიყრმიდგანვე ჰქონდა სიძულვილი სხვის ჰკუაზედ, როგორც ზოგთ ჰსძულთ კატან ბაბაქუა. მე მივხდი, რა მსხვერპლი უნდა შევიწირა იქ დარჩენითა; პირობა ცხადი იყო,—ზე ყველასათვის სულელად უნდა მეჩვენებინა თავი, ამეტანა იმათი შეურაცხება; მე უნდა მომეკლო კმაყოფილება, გონივრად გართობა კაცთან. მე იძულებულ ვიყავ და მეფარა, როგორც სირცხვილი, რაც იყო ჩემში უმჯობესი, ყოველი, რითაც შემეძლო ამპარტავნება; მე უნდა მეყიდნა ჩემი სიცოცხლე, დაკმაყოფილებული ჩემის ზნეობითის ღირსების ფასითა.—მე მომცეს რაედენიმე საათი ვიფიქრო მაზედ მივიღო თუ არა!

თქვენ წინათვე იგრძენით, მე მივიღე! გულწრფელობით აღვიაჩებ რა ამას, შესაძლო არს, რომ ეხლა უფრო მძიმე მდგომარეობა არის ჩემთვის, ვინემ მაშინდელი ჩემის ღირსების დამდაბლება,—ამ მინუტში, რომელზედაც იყო დამოკიდებული ჩენი მომავალი, ჩემი ოცნება გასაოცრად ცხადი, როგორც კაცს შეხედება დიდ შიშში. მე მივაგენ სრულებით პრაქტიკური მხარე ცხოვრებისა. მე ყველა ვიფიქრე და ავწონე ცივის გონებით*, —დაუფერებლად თავის ძალით დავძლიო უბედურებას და გავიკვალვო გზა! დიახ, შეიძლება დაიბადოს კაცი ყრუ ქვეყანაში, იწოდოს ტრაფიმ ლუკიჩად, იყოს დაგლახაკებული ობოლი, არა ჰყვანდეს არავინ მფარველი, და ყოვლის ამის წინააღმდეგ მიაღწიოს პატივსა და შეძლებამდის, ძალა დაატანოს კაცთა არა ნებით მისცენ გზა; ეს შეუძლიან მხოლოდ გენიულ კაცსა; ბევრთა ჰქმნეს, ბევრნიც იქმონენ. მაგრამ მე არ ვიყავ გენიური კაცი, მე ვიყავ მხოლოდ ჰკვიანი და არ მაქლდა განათლება. ეს არ იყო საკმაო, რომ გზა მეშოვნა; უნდა გადამეგდო ჩემი პატიოსნება; პლუტობა მე არ შემეძლო, მრჩებოდა ერთი ღონე—სიგლახაკე, სიგლახაკე სიკვდილამდის, როგორც აქამდის ვგლახაკობდი.—ბატონები, რომელნიც ლაპარაკობდენ გლახეზზედ**, დაამშვიდებენ თავის გრძნობიერების ნუგეშით, რომ ჩვეულება შეუშუსუბუქებს თვით მძიმე მდგომარეობას. ეს შემბრალებელნი ბატონები დიდათ შემცთარნი არიან,—ტანჯვას ვერ შეეჩვევა კაცი, რამდენიც

* ამის შემდეგ გადაბახულია: „თავის“. ** თავდაპირველად დაუწერია: „გლახაკობაზედ“.

გაგძელდება, იმდენი ძნელია. თქვენ გაგეგონებათ, წვეთი წყალისა, რომელიც ყოველ სეკუნტში დაეცემა კაცს თავზედ, არის უსაშინე-
ლესი ტანჯვა. საპირობა შეიქნა აუტანელ წვეთად. არიან მაგა-
ლითნი, რომ კაცთ აუტანიათ წამება და არ დაეცემულან სულითა;
ზოგი ვერ აიტანს, ნება უძღურდება და დაემორჩილება. გალი-
ლეიმ²² უარპყო თავის დამტკიცება,—მეც უარვყავ ჩემი გონიერე-
ბითი მნიშვნელობა“; მე მოვიპყრ ენა ჩემთ პაზრთა და გრძნობათა.
შე მოვიგონე დედა, მე ზეჩვენა, რომ ვიპოვნე ღონისძიება გამომგუ-
ვანა სიგლახაკიდგან და დამეპშვილებინა. ის ვერ შეიტყობდა, რა
ფასით გამოვიხსენი.

მე ვიყავ საპი წელი გრაფის სახლში. არ გამოვიცვალე ჩემი შე-
ურყვეველი განზრახვა. პირველად ძნელად მეჩვენა, მერე შემისუშმბუქ-
და, მე შევიხილე და შევეჩვიე ჩემს როლსა; მე ვისწავლე დამენახა
უწყენლად, ყოველ კაცის სახეზედ, ვინც მე დამელაპარაკებოდა, გა-
მოებატებოდა პაზრი: „ჰო, რა სულელია!“ მე სასაცილოდ მეჩვენე-
ბოდა, რომ ისინი იყენენ მოტყუებულნი ჩემგან და გავლიმდებოდი
მათ უგუნურ ამპარტავენებაზედ.—მე ვნახე, რომ პარიესა და ღონ-
ღონშიაც პსცხოვრებენ ეგრეთვე კაცები, როგორც ჩემ სამშობლო
ქალაქში და ყველგან სასარგებლო ყოფილა ჩამოეცალო მათს თა-
ვისმოყვარებას.—მე გამოვცადე, რომ შეწევნის ხელს გაუშვერენ. იმას,
ვისაც მაღლით დაპყურებენ.—გრაფი დარჩა ასე ჩემგან მაღლობე-
ლი, ასე რომ, შეიქმნა ჩემი გულითადი მფარველი.—როდესაც იმის
შვილი ჩავაბარე სხვათ ხელში, მე იმან მიშოვნა კარგი ილაგი და
პროტექცია გამოჩენილ დიდკაცებში. იმა დროდგან^{**}, რითაც მე
არაფრით არ ვიყავ გამოსაჩენი^{***}, მე მიმიღეს საუცხოვო კეთილ
კაცად.—მე დავემყარე გონიერს წინათდანახვას მატყვი არტემიჩი-
სას, რომ ასე უფრო პსწორე ყოფილა და დავრჩი ივანუსკა დუ-
რაკად.—მე ჩე'ს თავს ვერ გავიმართლებ. იქნება სხვაგვარ მშველოდა
რამე, თუ მე მქონებოდა მოთმინება. მაშინ უფრო ღირს საპატიო-
სნო ვიქნებოდი კაცისათვის, ვინც იცის თავის პატივი, ვისაც შეუ-
ძლიან უარპყოს კეთილცხოვრება^{****}, რომლითაც დამდაბლდე-

* ხელნაწერშია: „ჩემ გონიერებითს მნიშვნელობას“. ** პირველად დაუწერია
„იმ დროით“. *** პირველად დაუწერია: „გამოჩენილი დიდ კაცებში“. **** ხელ-
ნაწერშია: „კეთილცხოვრებას“.

ბა, ვაგაკურად იბრძოლოს უბედურებასთან. რასაკვირველია, უფრო კეთილშობილური იქნებოდა უბრალო მუშაობა, მემტვრია ქვები დიდ გზაზედ. მე ბევრჯერ მომივიდა თავში და ეხლა უმეტეს მწარედ ვგრძნობ ამ საათში. მე ამას არ მოველოდი, რომ მეფექტრ-ნა ვიღებოდი ქალის* წინ, რომელიც მზათ არის შემომწიროს ყოველი სარგებლობა. მე ამას ვერ წარმოვიდგენდი**. თქვენ შეგიძლიანთ განსაჯოთ, როგორ მიღირს მე ეს აღსარება, რომელსაც აქვს მზგავსება შესარცხვენ მოქმედებასთან.—მე განვსაჯე ჩემი თავი ამ გულწრფელობითის აღსარებითა, დიდათ ჩემთვის მძიმეთა, მაგრამ მე ვხედავ ამაში პატიოსნებას. ეს აღსარება არის თვითნებითი დიდი დასჯა; მე ვაძლევ ხარკსა ჩემს სვინიდიდს.

— ხოზრევსკი დაჩუმდა და დარჩა როგორც იჯდა, ცდილობდა შეემაგრებინა თავი; შეხედა კნეინას, თითქო რაღაც კიდე უნდა, მაგრამ ვერა თქვა რა. კნეინაც იჯდა ვგრეთვე ჩუმათ. სამი მინუტი გავიდა. კნეინამ აიღო ჩალუნული თავი.

მე ხვალ გეტყვით მაგის პასუხს,—უთხრა კნეინამ, წამოდგა და დაუქრა ზარი. ბიჭი შემოვიდა. ხოზრევსკი გავიდა.

მეორე დღეს, დილით, ხოზრევსკის მოუტანეს ვიწრო პირისფერი ბარათი, იმაში იყო მხოლოდ ორი ტრიქონი: „მე ვერ გავებდამ შევიქმნე ცოლი იმ კაცისა, რომელმაც იცის ასე კარგათ ფარისეულობა“. ხოზრევსკიმ წაიკითხა ეს სიტყვები, კიდე წაიკითხა და დაიწყო სიცილი.

ძალიან კარგათ მომივიდა,—წაიბუტბუტა, გადაავლო სტოლზედ ბარათი. მართლა ახლა ვარ სრულიად სულელი. რათ ავხსენი თოკი ჩემს გონებას. წამოვიღრანტალე, რაც გულში დაფარული მქონდა.

— გაათავა აღექსეი პეტროვიჩმა ეს პანბავი, სასიამოვნოდ დალია თავის გაციებული ჩაი.

მერე რა მოხდა,—ჰკითხა სახლის პატრონმა ქალმა,—ჩვენ ბოლოს ველით.

ვწუხვარ, რომ თქვენი ლოდინი უნდა დარჩეს დაუკმაყოფილებელი,—უთხრა აღექსეი პეტროვიჩმა,—ბოლოსას მე ვერას მოგახსენებთ, ამისთვის რომ, როგორც ხოზრევსკი, ისე ვისმერ და კნეი-

* თავდაპირველად დაუწერია: „დედაკაცის“. ** თავდაპირველად დაუწერია: „მე მოვიგონებდი“.

ნა აღინა არ დახოცილან და ქალი არ არის გათხოვებული არც ერთზედ.

თქვენ მაგ თქვენის მოთხოვრებით რა უნდა დაგვიმტკიცოთ?—
ჰკითხა გრაფინამ.

რა მოგახსენოთ, არაფერი.

ხომ არა ფიქრობთ, — უთხრა გრაფინამ, — რომ თუ ეგ შემთხვევა უკუღმა ყოფილიყო, — ხოზოვესკის მაგიერად ქალი და კნენინას მაგიერ კაცი, — მაშინ სხვარიგად მოხდებოდა?

რა მოგახსენოთ, — უპასუხა ალექსეი პეტროვიჩმა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

პოეზია

I დირიკა

1827 — 1883

„ანტონს“. ლექსის ადრესატის ვინაობა უენობი იყო 1935 წლამდე, როცა ეიპოვეთ მასალა ანტონ ორბელიანის შესახებ. ჩვენი ცნობები გაოყენებულია პოეტის ლექსების 1935 წლის გამოცემაში (იხ. გვ. 153) საქ. ცენტრ. არქივია № 173 საქმეში დაცულია გრ. ორბელიანის წერილი ამ ანტონისადმი. ბარათის მეოთხე გერდზე დწერილია მისამართი „Его сиятельству Министру Государя Княви Антону Ягирьевичу Орбелиани“. ბარათი ჩვენს მიერ დათარიღებულია 1834 წლით. გრ. ორბელიანი, სხვათა შორის, საყვედუროს ადრესატს: „სად დაიკარგა ძაობა და მეგობრობა ჩუენი სიყარითგან დაქციებული ბომბებითა და საყვირითა“ (იხ. ბარათის ტექსტი, „წერილები“ ტ. 1, გვ. 19). აქედან ჩანს, რომ ანტონსა და გრიგოლს ერთად უმსახურნიათ 20-იან და 30-იან წლებში, პასკევიჩისა და ერპოლოვი-მთაეარსარდლობის დროს; 1833 თუ 1834 წელს ანტონი საქ. გრენად. პოლკში გადასულა: ამას გვაფიქრებინებს გრ. ორბელიანის სიტყვები ი ავე ბარათიდან: „სადა ხ. რ. როგორა ხ. რ. ჩინი ხომ არ მოგსვლია ან როგორა ხარ ახლ პოლკის კანდიდატან ხაოტ კისტან. — ოპ, სწორედ გითხრა ხაბუტია“ („წერ.“ 1, 20). ხოლო ხამუტსკი მართლაც ითვლებოდა მე-14 ქართ გრენადერთა პოლკის უფროს. დ 1832 — 1834 წლებში, 1835 წელს ანტონ ორბელიანი უკვე ახალ სასახურში შესულად ჩანს დ. ყორღანაშვილი სწერდა 1835 წ. 17 თებერვალს გრ. ორბელიანს: „ანტონ მინარელი შაო“ (საქ. მუზ.-ის Q 155) 1835 წელს ხაუტსკი აღარ ითვლებოდა პოლკის უფროსად (იხ. Военная летопись 14-го Грендерского Грузинского генерала Кавказревенского полка. иф, 1900, დაქტების გვ. 19) ანტონ ორბელიანი ცოცხლი ყოფილა ჭერ კიდევ 1837 წელს (იხ. დ. ყორღანის წერილი გრიგოლისადმი, საქ. მუზ. Q 117/ბ; 40-ან და 50-ან წწ. ბარათებში გრ. ორბელიანი მას უკვე აღარ ასახელებს როგორც ჩანს, გარდ. ცელილა 1840 წლის შემდეგ ან უფრო ადრეც.

„ნინოსადმი“. უეპველია ეძღვნება ნინო ჭავჭავაძეს (1812 — 1857) პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს, გამოჩენილი რუსი მწერლის ალ. გრიბოედოვის მეუღლეს. როორც ცნობილია, გრ. ორბელიანი უი ელოდ იყო შიყვარბული მასზე. მათ შორის ყოფილა მიმოწერა. რომლის მხოლოდ ნაწილს მოუღწევია ჩვენამდე (დაწ. იხ. გრ. ორბელიანის წერილები“. ტ. 1, გვ. 237 და ალექსანდრე ჭავჭავაძის „თხზულებანი“, ი. გრიშაშვილის რედ. 1940, გვ. LX—LXI).

ლექსი „ნ...სადმი“ 1928 წლის გამოცემაში დაბეჭდილია თარიღით „გორი,

1839 წ. მეორე კი („მისევ“ — „ამა სოფელს დამშობიეს...“) — „სადაღ ლექსებშია“ შეტანილი. 1935 წლის გამოცემის რედაქტორი ორივე ლექსს ავტოგრაფების მიხედვით ბეჭდავს და თარიღის გამო დასძენს: ჩვენ ავტოგრაფს უფრო გენდეთო (იხ. გვ. 154). ნდობის საკითხის დასმა სრულიად ზედმეტია: ორივე ლექსის ავტოგრაფი დაუკლბია 1832 წლის შეთქმულების საქმეებში და აშკარაა, რომ 1839 წელს დაწერილი ლექსები ვერ მოხვდებოდა 1832 წლის აღრიხედულ მასალებში...

„გაატერინა ქავჭავაძისა“ ლექსი მიძღვნილია ეკატერინე ქავჭავაძისადმი (1816 — 1882), ნინოს დამ, შემდეგში — ხამეგრულოს დედოფალი, მუზა ნაყ. ბარათაშვილის პოეზიისა. გრ. ორბელიანი დიდი თაყვანისმცემელი იყო ალექსანდრე ქავჭავაძის ამ ასულისა და მასთან მიმოწერა სიკვდილამდე არ შეუწყვეტია (იხ. გრ. ორბელიანის „წერილები“-ს II და III ტომებში).

ეკატერინე ქავჭავაძე ულამაზესი ქალი იყო 30-იან და 40-იან წლების თბილისში. ამასთან იგი ჩინებულად უკრავდა და ცეკვავდა (შტრ. ნ. ბარათაშვილის ლექსი „...ნა, ფორტეპიანოზე მომღერალ“). 1835 წელს გრ. ორბელიანი ბოლონეთიდან სწერდა სალომე ქავჭავაძეს, ეკატერინეს დედას: „ყოველთვის ახალს სიამოვნებით ვიგონებ დღესა შპ, როდესაც ეკატერინა ქუდიჩეცილი დაღისტნელ ლექსებით ლექტურს თამაშობდა და იმდროდა: ბროლის ფიციარი, აფიციარი გულს დავეკონოს“ („წერილები“, ტ. I, გვ. 25). ორივე და საიუნებო არსებებს წარმოადგენდნენ იმ დროინდელი არისტოკრატიული ახალგაზრდობისათვის და უცხოელთა შორისაც დიდს აღტაცებას იწვევდნენ. ოფიცერი ტორნაუ იგონებს: „...მე წერაც ვერ გამოვრკვეველივარ ნამდვილად რომელი უფრო მოწონდა; თუ ეკატერინა ინა სხივოსანი თვალები და მომზიბლაფი: ლიბილი გულს მწვავდა, ნინოს სილამაზე და ანგელანსური ხასიათი გულზედ მალამოდ მედებოდა. თუ ერთისკენ მიასწრაფოდა თვალები და გრძნობა, მეორე დაუძლეველი ძალით იზიდავდა სულს“ (იხ. ალ. ქაქუა, თბულებანი, 1940). უფრო ვრცლად გვიხასიათებს შათ კ. ბოროზდინი: „თავად ალექსანდრე გარსევანის ძე ქავჭავაძის მეორე ქალი, ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადიანისა, სწორედ ისეთსავე პირობებში იყო აღზრდილი, როგორშიაც იზრდებოდნენ მაშინ საზოგადოდ ყველა მდიდარი და საბელოვანო ოჯახები რუს თავად-აზნაურობისა. მუსიკა, სიმღერა, ხატვა, ფრანგული ენა და ცეკვა შეადგენდა მაშინდელი მაღალი საზოგადოების გასათხოვარი ქალის ცოდნისა და ტრანტის ენციკლოპედიას, ხოლო გარეგნობა მის განათლებას ცოტათ თუ ბევრად ფასსა მატებდა და იერს აძლევდა. მისი უფროსი დამ უკვე რამდენიმე წელიწადი იყო რაც ქვრივად დარჩა ჩვენს სახელოვან გრიბოედოვს და ახლა თავისი მოხუცებული დედის მაგიერობა გაუწია თავის დან და საზოგადოებაში გამოჩყავდა. ორივენი კალმით დახატული ლამაზები იყვნენ და ავებრუნს ახევედნენ თბილისის მაშინდელ ახალგაზრდობას. ეს ახალგაზრდობა უმეტესად შესდგებოდა ქაბუკებისაგან, რომელნიც პეტერბურგიდან კავკასიაში მოიქრათოდნენ კარიერის გასაქვებლად და რომელნიც ატარებდნენ დიდ არისტოკრატიულ გეარებს. თვით გრიბოედოვი, როგორც უკვე ვსთქვით, თავის მუდღღმ „მადონას“ ეძახდა იმ არა ამქვეყნიური სახიერებისა და სიმშვიდის გამო, ნინო

ჟღერსანდრეს ასულის საუცხოო თვალბეჭედი რომ გამოიხატებოდა. მის გვერდით იყო სულ მოწინააღმდეგე მშვენიერება — მისი დაჲ, რომელშიაც განხორციელებული იყო მხიარულება, სიფიცხლე, გონების სიმახილე და თან თვალბეჭედი ენთუზიალად ეცხვლებოდა და მათ მყურებელს გულში იმედი ესახებოდა, რომ ეს ქალი მომავალში მთლიან ხასიათის პატრონად გადაიქცეოდა. და აჰა, როდესაც იმ თაყვანისმცემელთა შორის, რომელნიც გარს ეხვივნენ ეკატერინე ალექსანდრეს ასულს, წინ წამოდგა ისეთი საქმრო, როგორც იყო დავით დადიანი, სხვები ყველანი უკან დადგნენ. მშობლები ერთ წუთსაც არ შეეყოყმანებულან: თავისი ქალი მეფეთა დაეითისათვის და იმანაც სამუდამოდ წაიყვანა სამეგრელოში“ (იხ. ბოროზინი, სამეგრელო და სეანეთი. თარგ. თ. სახოკიასი, თბილისი, 1934).

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა სამეგრელოს მართავდა 1857 წლამდე. გარდ. 1882 წ. დაკრძალულია მარტილის მონასტერში (ე. თაყაიშვილი, არქეოლ. მოგზაურობა სამეგრელოში, თბილისი).

„წინანდლის ვარდო...“ — წინანდალი — საგვარეულო მამული ჭავჭავაძეებისა კახეთში. ამ კუთხესთან გრ. ორბელიანის ურთიერთობის შეს. იხ. შენიშვნა ლექსისა „მოგონება“.

„მტრად წინოსი“. ივლისხმება ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა. ლექსი დათარიღებულია 1829 წლით. სწორედ ამ წლის 30 იანვარს მოჰკლეს თეატრანში მისი მეუღლე — ალ. გრიბოედოვი, რომელიც რუსეთის სრულუფლებიან ელჩად მსახურობდა ირანში. ეს ეპიზოდი უძვეეს საფუძვლად იური ტინიანოვის ცნობილ რომანს „ვაზირ-მუსტარის სიკვდილი“ (იხ. ჩვენი „წიგნები და ავტობიოგრაფიები“, თბ., 1941, გვ. 84 — 90). დაქვრებული ნინო, როგორც ჩანს, ხელახლა გამხდარა გრ. ორბელიანის ფარული ოცნების საგანი. ნინო ჰყვარებდა პოეტის ძმას ზაქარია ორბელიანსაც, რასაც ცხადყოფს ამ უკანასკნელის მიმოწერა გრ. ორბელიანთან. მაგ. ეს უკანასკნელი სწერდა ძმას: „სად არის H... და ან როცა ნახე და ან როგორ იყო თქუენი შეყრა, დაწვრილებით მომწერე... — შე გიჟო! რათ მიგდის სიცოცხლე — მე თვით ვიცი, რომ H. არის ჭკვიანი, უმეტეს ლამაზი და უფრო კეთილი; მარამ მერწმუნე, მე გამოცდილებით გეუბნები, რომ არც ერთი დედაკაცი მართლს ქვეყანაზე არა ღირს, რომ ნახევარი ნეკი მოიჭრას მისთვის, და შენ კი სიცოცხლე მიგდის. Как ты слаб! Впрочем желал бы тебе такую жену.—Очень, очень жаль, что нельзя тебе на все жениться.— და სხვა რიგად ეერას გახდები“ („წერილები“, I, გვ. 18). 1835 წ. 12 მარტს ზაქარია სწერდა თბილისიდან გრიგოლს: „...გეტყვი სწორედ, რომ H...დაამწარა ჩემი სიცოცხლე.—ბიჭო არა გრცხენიან? რათ მატყუებდი, შენ ჩემზე მეტად გყვარებია და ჩემ წინ მალაყებს რათ თამაშობდი, ახლა შენ დაგრჩა ბურთი და შოედანი“. („წერა“, I, 227). გრ. ორბელიანი კი იფიცავდა, თითქოს არ უყვარდა: „ბიჭო, ვინ გითხრა, რომ მე კუდღებოდი H. — შენმა გაზრდამ სიცრუეა. — ჰო, მაგრამ ელისაბედ (ორბელიანი) რომ მანდ არის უთუოდ ის გეტყობა.— Хотя она достойна [...], но по моему мнению никакая женщина не стоит и одного вздоха нашей любви. ახლა მგონია დაბერდებოდა, გასქელებოდა“ (წერილი 4 იენისის თარიღით, „წერა“ ტ. I, გვ. 31).

1857 წლის მარტში გრ. ორბელიანმა უკანასკნელად მოიკითხა იგი დასთან, ეკატერინესთან, ერთად: „ჩემი დედოფალი, ჩემი იმპერატრიცა, ქვეყნის თვალი, ეკატერინა თუ არ წაბრძანებულაო მინგრელისა, დიდის და დიდის სიყვარულით მოიკითხე: ე გ რ ე თ ე ე ნ ი ნ ა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო ე ნ ა“ („წერილები“, ტ. II, გვ. 186). იმავე წლის 28 ივლისს ნინო ჰავეიაევი გარდაიცვალა. გაზ. „კავკაზი“ სწერდა: „Тифлис. Наше тифлисское общество понесло значительную потерю. В прошлую пятницу, июля 28, после краткой болезни скончалась Нина Александровна Грибоедова, урожденная Чавчавадзе. Описание тогда ей происходило в прошлом воскресенье в Кашветской Георгиевской церкви при стечении всех уважающих прекрасную личность покойной, бывшей всегда украшением лучших тифлиских салонов и стол равно похищенной из их круга. Тело ее отнесено на руках в монастырь св. Давида и положено под одним сводом рядом с ее супругом, имя которого так известно и дорого всей России“. (სანკა, 1857, № 51).

„მუხამბაზი“ („ნუ მასმეე ლეიოს...“). მუხამბაზი ეწოდება ხუთტაეიანი სტროფებისაგან შედგენილ ლექსებს (მუხამბას (არაბ.) ნიშნავს ხუთტაეიანს), რომელთა სტრიქონების, მარცვალთა და კუპლეტთა რაოდენობა ქართულ პოეზიაში მკაფიოდ განსაზღვრული არაა. ჩვეულებრივ კი ასეთი ლექსები ხუთი სტროფისაგან (ხანასაგან) შედგება, თითოეულ სტროფში ხუთი ტაეპია, რომელთა—მეხუთე ტაეპს გარდა—საერთო რითმა აქვთ, უკანასკნელი ტაეპი (ან რითმა) კი უცვლელად მეორდება მიმდევრო ხანების უკანასკნელ ტაეპებში (მუხამბა). გრ. ორბელიანის „მუხამბაზებში“ არც ტაეპების კანონიერი რაოდენობა (5) არის დატული. მკაცრად არაა იგი დადგენილი XVIII ს. და XIX საუკ. 20-იანი წლების პოეტების შემოქმედებაშიაც.

„ნ...დში“, ლექსი იბეჭდებოდა ინიციალით „მ...დში“, ამიტომაც ადრესატის ვინაობა უცნობი იყო. გრ. ორბელიანის ლექსების 1928 წლის გამოცემის რედაქტორის ვარაუდი, თითქოს ინიციალები („მ...დში“) მანანა ორბელიანს გულისხმობდეს, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ლექსში შექმებულია ქალი, რომელიც პოეტში თავდაიწყებას იწყებს: „როს გზედაე... მაშინ მე, შმაგი, ყოველთა გარე ჩემს საგანთ ვივიწყებო“ — მიმართავს იგი თავის ადრესატს. ასეთი ურთიერთობა არ შეიძლება კჭონოდა ავტორის მანანა ორბელიანისადმი, თავისი ახლო მეგობრისა და ნათესაისადმი. ჩვეულებრივი მიმართებები გრიგოლისა მანანასადმი ასეთია: „ძალუაე, გვებეეფები...“ „ჩემო საყვარელო და უბედურო ძალუაე...“ და მისთ. (იხ. გრ. ორბ., „წერილები“, I, გვ. 38).

ავტოგრაფს, წ. კ. საზ-ის № 2456-ის ვარიანტს და „სისკარში“ გამოქვეყნებულ ვარიანტს აქვთ ინიციალი „ნ...დში“, რაიც უეჭველს ხდის, რომ ლექსი იმავე ნინო ჰავეიაევისადმი მიძღვნილი. ეს კი სრულიად სცელის ჩვენს დამოკიდებულებას ტექსტის შინაარსისადმიც. მაგრამ რატომ შეეცალა თვითონ პოეტმა თავდაპირველი ინიციალი ახლით („მ...დში“)? აშკარაა — პოეტი ერიდებოდა ლექსის ადრესატის ვინაობის გამოხელას გეიანდელ გამოცემებში.

წ. კ. საზ-ის ხელნაწერი № 2456, რომელშიაც ეს ლექსი შეტანილია ინიცია-

ლით „ნ...დმი“, პოეტს ხელთ ჰქონია (მას ფანქრით გაუსწორებია იქ შეტანილი „იარალი“). მაშასადამე — ინიცილის ჰემზარიტება მისთვის საეჭვო არ ყოფილა, ავტოგრაფის ინიციალიც ამასვე ადასტურებს და ლექსის ნამდვილი ადრე-სატის ვინაობა გამოჩვენებულად უნდა ჩაითვალოს.

[დავით ორბელიანზე]. დავით ორბელიანი, ძმა ლუარსაბისა, მეუღლე მანანა ორბელიანისა. გარდ. 1829 წ. (?)

საქ. არქივის № 171-ში (კრებულის შედგენა ეკუთვნის 1831 — 1833 წ.წ.) დაცულია ერთი წერილი დავითისა გრიგოლისადმი 1829 წლის 2 სექტემბრის თარიღით. წერილის დასასრულს, ცარიელ ადგილზე, გრ. ორბელიანს გვიან დაუწერია ჩვენს მიერ გამოქვეყნებული ლექსი.

პოეტი სწერს მანანას ერთს წერილში: „უბედნიერესნი ჩემნი დღენი წარვიდნენ თქვენს ოჯახში საყუარელს დავითთან და ლუარსაბთან, რომელთა სიკვდილით დამემწარა სრულებით სიცოცხლე და გამოცხადდა ჩუენს გვარზე რისხვა ღმერთისა“ („წერ.“, I, გვ. 38 შდრ. გვ. 239).

[დავით ყორღანაშვილზე]. ქართ. გრენად. პოეტის ოფიცერი, გრ. ორბელიანთან დაახლოებული პირი, ცნობილი მოქიფვე, რომელიც ხშირად სწერდა მას ბარათებს საქართველოდან რუსეთში. საქ. არქივის № 171 და საქ. მუზეუმის საისტ. საფონდ. № 1551 კოლექციებში დაცულია მისი წერილები პოეტისადმი. გრ. ორბელიანიც ვრცელი ბარათებით პასუხობდა მას. ერთ-ერთ წერილში რუსეთის მყოფი პოეტი უთელის თავის თბილისელ კორესპონდენტს: „ახ! დავითთან, რამდენს სიამოვნებასა მიძლევენ შენი წიგნები მარილიანად დაწერილები, რომელიც ჩვეულებადა მაქვს, რომ უნდა უბემში მელდს. და ეკითხულბა ხშირხშირად, მანამ მაშევა ახალი. მაშინ ძველს **приишяю по прижизию твоим письям**, და ახალს ეატარებ უბემში მეორე წიგნის მიღებაშდის... ნეტავი ღმერთმან მაღირსოს შენი ხილვა, რომ გაჩენოს შენი წიგნები, სადაც ნახავ თუ ვითარ განვტიტარებია დრო“ („წერილები“, ტ. I, გვ. 30. აგრეთვე გვ. 29, 32 და 232 — 233).

1834 წელს დ. ყ-ი „კარაბინერის პოლკში გადასულა. მსახურობდა დალისტანში. გარდ. 1848 წ. (შდრ. გრ. ორბელიანის სიტყვები: „ჩემის საყუარელის დავით ყორღანოვის სიკვდილი გუშინ შევიტყუე; შენ მიხედვები, რა რიგად გულში ლაზერად შეცა ეს ამბავი“. წერილი ილია ორბელიანისადმი, 1848 წ. 18 ოქტომბრის თარიღით, „წერილები“, ტ. I, გვ. 186).

„მ...დში“ („თაყვანისმცემელთ როს გუნდი...“). ლექსი ეძღვნება უცნობ ქალს, რომლის ინდენტფუაკიას წინა ინიციალებში („ნ...სადმი“) ნაგულისხმე ნინოსთან თითქოს ხელს უშლის ლექსების დაწერის ადგილთა სხვაობა („ნ...სადმი“ ზაქათალაშია დაწერილი, „მ...ს“ კი — პულკოვოში, რუსეთს).

1831 წელს გრ. ორბელიანმა კავკასიიდან რუსეთს წაასხა დარჩეული ქარისკაცები საგანგებო ქვეითი პოლკისათვის, რომელიც ნოვოროდში იდგა. პოეტის ლექსები 1831 — 1833 წლებისა სხვადასხვა ადგილას არის დაწერილი რუსეთს.

„იარალი...“ ლექსი მიძღვნილია იარალი შანშიაშვილისადმი (პ. უმიკაშვილის ცნობა), რომელიც ქართველ ბატონიშვილებს ახლდა რუსეთს, გადასახლებაში. იარალი შანშიაშვილი იყო უკანასკნელი ქართველი მეფეების კარის მგო-

სანი, მომღერალი და თარზე დამკვრელი. პეტერბურგში იგი ფირანოზ ბატონი-შვილთან ცხოვრობდა. აქ გაუცენია იგი გრ. ორბელიანს. ლექსის დაწერის მომენტშიც იარაღი შანშიაშვილი პეტერბურგს ყოფილა („შენ ხარ პეტერბურღს, მე ნოვგოროდსა“). პატრიოტული სულისკეთება, რომლითაც გამსჭვალულია გრ. ორბელიანის ეს ლექსი, საცხებით ორგანული და გასაგები უნდა ყოფილიყო რუსეთის მცხოვრებ ქართულ ლეგიტიმურ წრებთან დაახლოებული ბირისათვის.

ყ ა ბ ა ხ ი — საგირითო მოედანი თბილისში, ახლანდელი კომუნართა ზღის ადგილას. გრ. ორბელიანის საყვარული ყაბახისადმი საერთოდ ცნობილია (გაიხსენებთ ნ. ბარათაშვილის მიმართება თაეისი ბიძისადმი: „ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი...“ ლექსი „ძია ჭრიაგოლისთან“ და სხვ. (შღრ. 1928 წ. გამოცემის გვ. 176).

„გამოხალმება. ხ — ხ“ („ეთა ცის ნამი...“). ზოგი მკვლევარის აზრით მიძღვნილი უნდა იყოს სოფიო ორბელიანისადმი, რომელზედაც ვრიგოლი იყო დანიშნული ბავშვობაშივე. ლექსი დაწერილია 1832 წელს პეტერბურგში, სატრფოსთან განშორების მოგონების სახით, რადგან გრ. ორბელიანი სწორედ წინა წელს (1831 წ.) გაემგზავრა საქართველოდან რუსეთს. ამ პერიოდში კი მას მხოლოდ სოფიო ორბელიანი უყვარდა. 1835 წ. 23 მარტს გრ. ორბელიანი რუსეთიდან სწერდა ხილომე ჭავჭავაძეს: „ახ! ჩემი სოფიო სად არის ნეტავ, ვახსოვარ თუ. შარშანდელ თოვლსაგით არდა ვმპყოფობ იმისთვის. ბედს უყურეთ, მე ვარ დასაელეთს, ის აღმოსაელეთს: როდისღო უნდა შევიყარნეთ“ (გრ. ორბ., „წერილები“, ტ. 1, 25; შღრ. ი. მეუნარგიას მონოგრაფია და გრ. ორბ., ლექსები, 1928 გვ. 178), ან კიდევ: „მე კი, დედოფალო (როგორც ნათქვამია) რიყებე დავრჩი, — ჩემი სოფიო თაერიზშია, მე რილაში, როდის უნდა შეგხედო“ (წერილი მარიამ დედოფლისადმი 1835 წ. 16 აგვ. „წერ.“ I, გვ. 35). მანანა ორბელიანი თბილისიდან ატყობინებდა 1835 წელს: „სასიამოვნო შენი სოფიო აქ არის და ვნახე; კიდევ დაველაპარკეთ მე და ეკატერინე შენზედ. ის უარს არ ამბობს, კიდევ შევიერთამო, ოღონდ ვნახოთ. აბა სადა ხარ, ჩემო სიოცოხლე, რომ ერთს საათს ჭეარს გადაგწერდით და იქნებოდით ბედნიერი? — აბა ვხლა, ჩემო კურკავ, ეცადე, რომ მოხვიდე მალე თორემ რვა თვეზედ წამოვლენ პეტერბურგში და დამჩე ჩემი ცალიერი“ (Q 155/ხ; შღრ. ი. მეუნარგიას მონოგრ. 1941, გვ. 62 და 1928 წ. გამოცემა პოეტის ლექსებისა, გვ. 178; სოფიოს შეს. იხ. აგრეთვე ნ. ბარათაშვილის წერილში გრ. ორბელიანისადმი 1843 წ. 21 აგვისტოს თარიღით).

მაგრამ მათი ქორწილი არ შემდგარა: სოფიო ორბელიანი გაჰყვა კაცკ. მთავარმართებლის საბჭოს წევრს ნიკ. პავლეს-ძე ბეზაკს. „გაბირებ საქართველოში წასვლის, მაგრამ სოფიო გამითხოვდა, ბეზაკმა შეიერთო, რომელიც არის პრავიტლის კანცელარიისა: რაღ ვეყო? მეც ვანუგეშებ თავსა ჩემსა მით, რომ არა მარტო მე ვარ ამ სოფელში მოტყუებული“ (წერილი იმერეთის დედოფალ შარიაშისადმი, იხ. ი. მეუნარგია, „ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა“, კრებულში „ქართველი მწერლები“, თბ., 1941, გვ. 63). ძმა, ზაქარია, სწერდა თბილისიდან პოეტს: „პა ვრიგოლ, ტირილს ნუ მოჰყვები, თორემ ფუღს არ გამოგიგზავნი“ (იქვე).

„ღაში“ („მთავარე ამიკთა მოწამე“). ლექსი დაწერილია 1832 წ. ნოვგოროდს,

ამ ღირსეულ პიესაში ავტორი პოეტური ზმანების სახით აგვიწერს სატრფოსთან (სოფიო ორბელიანთან?) „სულეზრად გაერთიანების“ მომენტს მთავარიან ლამით. ეს ერთადერთი ლექსია, სადაც ნოვალისის მსგავსად დაწყველილია „ღღის უტიფარი ნათება“ (ორბელიანი: „ღღისა დავსწყველე ნათელი“), რომელიც პოეტს ხელს უშლის საოცნებო არსებასთან განუყრელად იყოს. გრ. ორბელიანის ლექსის ლეიტმოტივი შორეულად გვაგონებს ჭელალ ელ-დინ რუმის ზოგიერთ ლირიკულ პიესასაც (მაგ. ცნობილ „ღაზელს“, რომლის პირველი ორი ტაგმა ასეთია: „В очаживный миг мы сидели о тобой—ты и я, // Две формы и два лица—с душой одной—ты и я“). შდრ. გრ. ორბელიანი: „ჩვენ ორთა პაზრნი, თვით სულნი, ერთად შეერთდენ, შედუღდენ“. ორივე ლექსი სატრფოს არა მატერიალურ ხილვას აგვიწერს, ოღონდ გრ. ორბელიანის პოეტურ ზმანებას საერთო არაუფერი აქვს ჭელალ ელ-დინ რუმის სუფიურ მისტუკასთან.

„მირზაჩანას ეპიტაფია“. მირზაჩან მადათაშვილი, გრ. ორბელიანის ნაცნობი, ლხინის მოყვარული და მოქეიფე (პოეტი მას „ლხინის პაპას“ უწოდებს ლექსში „საეთნაყას მიბაძვა“). ერთ ხანს მსახურობდა თარჯიმანად გენ. ა. ბ. გრემოლოვთან (საქართველოს პროკონსული და კავკასიის არმიის მთავარსარდალი 1816—1827 წწ.).

გრ. ორბელიანის ეს ლექსი, როგორც შენიშნულია (იხ. 1928 წ. გამოცემის გვ. 174-175), სახუმაროა, რადგან მირზაჩანა 1832 წელს არ გარდაცვლილა. ასე, მაგ. დ. ყორღანაშვილი სწერს გრიგოლს რუსეთში 1834 წელს: „...გე და მირზაჩანა ყოველთვის ერთად ვართ“ და სხვ. (იხ. გრ. ორბ., „წერილები“, ტ. I. გვ. 229).

„ბ“ („მერცხალნი — თვალნი შენნი“). ლექსი იმავე სოფიო ორბელიანისადმი უნდა იყოს მიძღვნილი (ამ ნაწარმოებსა და „გამოსალმება“-ს წინ უძღვით ერთი და იგივე ინიციალი, ერთნაირია დაწერის დრო და იდგილიც — პეტერბურგა, 1832 წ.).

„ბ — ხა“ („ვიცა გავიცნობს...“). პოეტის ლექსების 1935 წლის გამოცემის შენიშვნებში (იხ. გვ. 115) კატეგორიულად აღნიშნულია: „მიძღვნილია ეკატერინე ჭავჭავაძისადმიო“. მაგრამ საიდან ჩანს, რომ მას ეძღვნება? ეს ათხსტრიქონიანი ლექსი დაწერილია 1832 წელს პეტერბურგში და ექსპროზიტის ხასიათს იტარებს („ვიცა გავიცნობს, ეშუთ ტანჯავს ჰსცნობს“ და ა. შ.). პოეტის ლექსთა 1947 წლის გამოცემაში ჩვენც აღნიშნული გვაქვს (გვ. 130): „ინიციალი შეიძლება გულისხმობდეს ეკატერინე ჭავჭავაძის-მეთქი“. მაგრამ ამაოდ ვარაუდისათვისაც არ გვაგანია საფუძველი; გრ. ორბელიანის პოეტურ და ეპისტოლარულ მიმართებებში ეკატერინესადმი საერთოდ აქცენტირებული არაა ეროტიული მომენტი („ეშუთ ტანჯვა...“). ამრიგად, ინიციალებს ქვეშ ნაგულისხმევად რეგისტრის ვინაობა ჭარჭერობით ამოუცნობია.

„(აღბოშო)“ („როს გარდაშლიდგ...“). გრ. ორბელიანს ეს ლექსი დაუწერია 1832 წელს ქ. ელევს და ეძღვნება ელევსის პოლიციებისტრის ცოლს, როგორც ეს გამოჩვენებულია 1928 წლის გამოცემის შენიშვნებში (იხ. გვ. 175). ლექსი ამო-

ღებულა პოეტის დღიურიდან, სადაც სხვათა შორის ნათქვამია „ვახშმის უკან პოლიცემისტერის ცოლს დაუწერე ალბომში სახსოვრად ლექსებიო“ (ავტორი გულისხმობს ლექსს „როს გარდაშლიდო“.. იხ. იქვე). ალბომის პატრონი ლამაზი ქალი ყოფილა, პოეტის თხოვნით მას დაუკრავს ფორტეპიანოზე და უმღერია ქართული ლექსები — „ახალ აღზავო“ (დ. თუმანიშვილისა) და სხვ. (მღრ, იქვე).

* * * („დღესა ამას სიყვარულმან...“). ნ (ი ნ ა)—ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა.

„კ უ კ ი დ ო მ ა თ ე ი ს ი ს მ ხ რ ი თ...“ — კუპიდონი — სიყვარულის ღმერთი ძველ რომულ მითოლოგიაში.

1833—1851

„მუხამბაზი“ („არაეისთვის დღეს მე არა მცალიან...“). ლექსში მოხსენებულია ორი პირი — სალომე და ბეჟან. სალომე არის პოეტ ალ. ჭავჭავაძის მეუღლე, ერისთავის ასული, დედა ნინო, ეკატერინე და სოფიო ჭავჭ — ბისა. ბეჟან — ტფილისელი მკერვალი, გეარად უმიკოვი (პ. უმიკაშვილის ცნობა).

ლექსი დაწერილია ე. წ. „უაზარმობის“ დროს (ქართველ თავად-აზნაურთა შეთქმულების აღმორჩენის (1832 წ.) შემდეგ. გრ. ორბელიანი, როგორც ამბობების თანამოზიარე, დაპატიმრეს ნოვგოროდში, ჩამოიყვანეს თბილისს და ავღაზარის სატუსალოში მოათავსეს). გამოთქმა „ბეღმან დაამხო რაყიფნი კაცნი“ გულისხმობს 1832 წლის შეთქმულების მოთავეთ.

„სავათნავს მიბაძვა“ („ვიანერო, მაღლად, ტბილად დაუქარ!“). საევათნავა (საიათნოვა), ცნობილი აშლი მე-18 საუკუნისა, რომელიც ლექსებს თხზავდა სამს ენაზე: ქართულად, სომხურად და თათრულად. ერეკლე II-ის კარის პოეტი. მისი სიმღერების გაუღენა განიცადეს მე-18 საუკუნის მიწურულისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მთელმა რიგმა პოეტებმა (მათ შორის ქართველმა რომანტიკოსებმა — ალ. ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა).

ჭ ი ა ნ უ რ ი — ოთხსიმიანი მუსიკალური საკრავი, მიაგავს სკრიპკას (დაწერილებით აღწერა იხ. ია კარგარეთელი, მოკლე პოპულარული სამუსიკო ენციკლოპედია, ტფილ., 1933, გვ. 25).

ხ ი ნ ი კ ო, ხ ი ნ ი კ ი კ ო — ჭიანურის სიმთა ხმის მიბაძვა.

„სალომეს ზეჟანა მყვრვალის მაგიერ“. სალომე — ალ. ჭავჭავაძის მეუღლე, ბეჟანა — მკერვალი (იხ. ზემოთ).

ლექსი დაწერილია ე ი ლ ნ ო შ ი 1834 წელს. ავტორს ის გამოუგზავნია სალომესათვის „სოფიოს დებადებაზე“. ს ო ფ ი ო — მესამე ასული სალომე და ალექსანდრე ჭავჭ — ებისა, შემდეგში — მეუღლე ბარონ ალ. პ. ნიკოლაისა (1881 წელს — განათლების მინისტრი).

სქოლიოში ავტორს მოხსენებული ჰყავს აგრეთვე გიორგი თუმანიშვილი, ე. წ. გარდამავალი ხანის ქართული ეპიგონური პოეზიის ერთ-ერთი წარმომადგენელი (მის შეს. იხ. ქართ. შწ. ანთოლოგია, 1928, გვ. 292, 304).

1835 წ. 23 მარტს გრ. ორბელიანი ვილნოდან სწერდა სალომე ჭავჭავაძეს: „ეს მესამე დღეა, რა მოველ რილიდამ აქა, სადაცა დამხვდა წერილი თქუენი, რომ

მელშიაც მწერთ მესამე ქალის ყოლას, ესე იგი მესამე გრაციას. — მოვილო-
ცათ, მაგრამ, რა გინდა სალომე! აქამდის ორი ქალი გყუანდა და თითქმის
პეტერბურლითვან ისპაანამდის გაგიეებულნი იყვნენ ხალხნი, ახლა ეგ მესამეც. —
ნუ გამოიწყრები კი სალომე! და მგონია ეკვი იყოს ანგარიშიშ მგ ახალ შობილ-
ზე, ბუჟანა მკერელაშ რაღაც მოთხრა ყურში, რომლისა თქმა არ შემოძლიან;
ამიტომ რომ საიდუმლოა და ამისთვის ეს ლექსი ბუჟანასაგან ნათქვამი ახალს სო-
ფიკოს ძეობისათვის მომირთმეგია“ („წერილები“, I, გვ. 25). სალომეს წერილი
გრიგოლისადმი იხ. ალ. ჭავჭავაძის „თხზულებათა“ კრებულში (ი. გრიშაშვილის
რედ. 1940, გვ. LI-X-LXI).

სოფიო ჭავჭავაძე-ნიკოლიას გარდაიცვალა და დასაფლავებულა ქ. ვიბორგს
(იხ. გრიშაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძის მესამე ქალის საფლავი ვიბორგში.
„ლიტერატურული საქართველო“, 1941, № 19 (178). შდრ. მისივე „ნარკვევები“).
„ნ...ს“ („მე საყვარელო, ეის მიერ...“). ლექსი დაწერილია რიგაში, 1835
წელს. ინიციალები გულისხმობენ ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას.

1835 წელს გრ. ორბელიანს საქართველოდან მისვლია სალომეს, ნინოს და
ეკატერინეს მთლიანი წერილი რიგაში. 25 იელისს პოეტი რიგის ჰოსპიტლიდან
სწერს სალომეს „...მოვიდა ჩენი ადიუტანტი და მომიტანა ორი პაკეთი, ერთი
ჩემი ძმისა და ერთი კი ვერ ვიცან, თუმცა დიდხანს დაეკურე პაკეთსა! და ვფიქ-
რობდი ახი ლ—თო ეისგან უნდა იყოს...“. ეთი ჩემს გამოსულელებას, რომ ნინოს
ხელი ადრესზე ვერ ვიცან, მაგრამ როგორ მოვიგონებდი ამ ბედნიერებას. მა-
შინვე სიხარულით დაეძახებინე პესენნიკებს (ანუ მომღერალთ სალდათებს) და
სალამოდის ვაღრიალე. ამათი ხმა რიგაში ისმოდა. ეს რუსული ლხინი
გახლავს. — ეხლა თქვენი წერილი ნაწილებსავით უბეში მაქვს და ყოველდღე
დაუქლონალის მაგიერ ვკითხულობ“ („წერილები“, ტ. I, გვ. 32). გრიგოლის ბა-
რათი სალომესადმი სამი პირისადმი მიწერილ ერთ მთლიან ეპისტოლეს წარ-
მოადგენს — მეორე და მესამე წერილი (სალომეს წერილის გაგრძელებანი) წარ-
მოადგენენ ნინო და ეკატერინესადმი მიმართულ ბარათებს. გრიგოლი მადლობას
უხდის ნინოს: „უსაყვარლესო დოო ნინავ! გმადლობ და კიდევ ჩვიდმეტი ურემი
დაბარგებული მადლობითა მომირთმეგია თქვენთვის. — ჭეშმარიტად არ მოე-
ლოდი თქვენგან მოწერასა და მით უფრო სიხარული ჩემი იყო უმეტეს რაოდენ-
ცა მოულოდნელ...“ და ა. შ. (იქვე, გვ. 33 და შმდ., თვითონ ნინოს, სალომესა
და ეკატერინეს საერთო წერილი გრ. ორბელიანისადმი იხ. ალ. ჭავჭავაძის
„თხზულებანი“, გვ. XL-LVI).

„ჩემს დას ეფემიახ“. ეფემია დიმიტრი (ზურაბის) ასული ორბელიანი-ბარა-
თაშვილისა, გრიგოლის დაჲ, დედა ნიკ. ბარათაშვილისა (გარდ. 1848 წ.). ლექსში
გადმოცემულია პოეტის სულიერი განწყობილება დედის სიკვდილისა და ყაზარ-
მობის გამო, საბატობოდან გამოსვლის შემდეგ. თავის მეგობარ გერშელტს იგი
კარგად აუწყებს სულიერ განცდებს (იხ. შესავალი ნარკვევი და ი. მეუნარგია ქარ-
თველი მწერლები, I, გვ. 56). გ ე რ შ ე ლ ტ ი — პოეტის მეგობარი პეტერბურგიდან
1831 წ. დღიურში პოეტი წერს: „ლერშელტმა წამიყვანა სასიეროდ ნეესკის
პროსპექტზეო“ („Дневн 1831 г.“, т. XXI, в. 4-47/б).

ჯგუფიას პიროვნების დახასიათება იხ. ჩვენს მონოგრაფიაში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (თბილისი, 1947, გვ. 8-9).

„მუხამბაზი“ („სულით ერთნი“...). აღავერდა — თბილისელი მომღერალი (იყო გამოჩენილი მომღერალი მეფეებისვე დროს — გრ. ორბელიანის შენიშვნა). მოხსენებული ჰყავს იოანე ბატონიშვილს „ქალმასობაში“ საიათნოვესთან ერთად.

თარი — აღმოსავლური ინსტრუმენტი, ხუთ-, და ზოგჯერ ექვსსიმინიანი. მიაგავს გიტარას (გრცლად იხ. ია კარგარეთელის წიგნში, გვ. 26-27).

დიპლომატი (ანუ ნალარა) „უფრომით შაქრის თავს წააგავს, ან კიდევ თავმოჭორი კონუსს. ორი ცალი დიდი და პატარა თავმოჭორი ქილა ერთმანეთზე არის გადაბმული; განიერ თავებზე, რომლებიც ზემოთ არიან შიკცეულნი, გადაკრულია სუფთად გაწმენდილი თხის ტყავი. ამ ტყავზე პატარა ჩხირებით სცემენ და გამოჰყავთ ხმების რიტმიული ფიგურა“ (კარგარეთელი, გვ. 29-30).

ლხინის პაპა — მირზაჯანა.

სატრფოს ხალი არს ტახტი სიყვარულის... 1837 წლის 14 იანვარს გრ. ორბელიანი სწერდა თავის ძმას ზაქარიას პოლონეთიდან: „...ხომ იცო პოლშის ქალები რა რომანტისკები (sic) არიან. — ერთი ქალი საკურველად ჰგავს ელენას [ერისთაის ქალი. ა. გ.], მარჯუნა ლოყაზედაც ხალი აქუს, **азѣатскѣи бѣрѣи**. მე პირველმა შემოვიტანე ამათში ხალის ქება, რომელსაც დაეარქვე პრესტოლ **АЮРВИ**“. („წერილები“, ტ. I, გვ. 44).

„სო... ორ...“ იგულისხმება სოფიო ორბელიანი (იხ. შენიშვნა ლექსისა: „გამოსალმება. ს—ს“).

„აღბოში ღრ. ოა...“ ლექსი დაწერილია 1840 წელს ქ. გორში, სადაც იდგა ქართ. გრენად. პოლკი, რომელშიაც გრ. ორბელიანი მსახურობდა რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1842 წლამდე). ამ პოლკის უფროსი იყო გენერალ-მაიორი გრაფი ა. კ. ოპერმანი I, რომლის შეუღლისადმი მიძღვნილ ლექსად.

ა. კარლ-ჰე ოპერმანმა სამხედრო სამსახური დაიწყო 1820 წელს. მონაწილეობას იღებდა რუსეთ-სპარსეთის ომში. 1835 წელს დაინიშნა საქართ. გრენად. პოლკის უფროსად. 1840 წელს მისცეს გენ-შაორის ხარისხი (იხ. **Акты в. т. VIII—IX. аგრეთვე—Боевая летопись 14-го гв. гвенад. полка. 1800; შდრ. გრ. ორბელიანი, „წერილები“, ტ. I, გვ. 243**). ჩვენს პოეტს ახლო ურთიერთობა ჰქონია მის ოჯახთან. 1839 წლის 23 დეკემბერს გრ. ორბელიანი ქ. გორიდან სწერს თავის ძმას ილიას: „გრაფ ოპერმანი უწინდელსავეთ მწყალობელი და მეგობარია ჩემი, უჩვენის კამანდა მამარია პოლკში და ვარ ასრე. დიღით უჩენიე, სადილათ ღრაფთან, საღამოზედაც ან იქვე, ან აქეთ იქეთ“ („წერილები“, ტ. I, გვ. 50).

„მოგონება“ („აჰა, ადგილი...“). ლექსი დაწერილია წინანდალში 1851 წელს და გფლანხმოზს ნინო ჰაეკეაძეს, რომელიც ჩვეულებრივ ზაფხულს მამისეულ მამულში ატარებდა (თავის ძმასთან დავით ჰაეკეაძესთან). აქ შეიქმნიდა ხოლმე გენერალ-მაიორი გრიგოლ ორბელიანიც, რომელიც 1851-1852 წლებში პარბელაქნის სამხედრო ოლქის მმართველი იყო და მთელს ე. წ. „ლეკეთის ხაზს“

განაგებდა. პოეტის მოგონებანი წინანდლთანაც იყო დაკავშირებული და ეს ლექსი საუკეთესო სურათია მისი „გულ-მზიარული“ ჰაბუკობის პერიოდის მოგონებისა; წინანდლის ყოველი კუთხე აღუძრავდა გრ. ორბელიანს წარსულის სურათებს: ჟერ კიდევ 1835 წელს პოლონეთში მყოფ პოეტს სწერდა ნინო ჰევეავაძე: „**Когда бог приведет видеть Вас опять в Цинандали, каждое местечко и уголок здесь напоминает Вас.** როცა მე და კატინა ვთამაშობთ ბილიერს ჰაშინევე ფუცა მოგვაგონდება“ (იხ. აღ. ჰევეავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. LX).

1860—1883

დმიტრი ონიაშვილის დარღები“. გრ. ორბელიანის ნაცნობი, ცნობილი მოქეიფე 50-იანი წლების თბილისში.

თბილისის დემოკრატიულ ფენებთან გრიგოლ ორბელიანის ნადიმობის დამახასიათებლად მოვიყვანთ ორ ამონაწერს მისი ბარათებიდან.

1. 1858 წლის 31 ივლისს პოეტი ტაბახმელიდან სწერდა ბაბალე საგინაშვილსა „პეტრე-პაელობას დღესა — გწყალობდეთ — დიდი მეჭლიში მქონდა ტაბახმელასა, მეწვიენენ სტუმრად იაშაღაშვილი სოსია, ძალღანთ ზალიკა, მგალობლისწეილი, ჟანყულაშვილი პეპანა და სხუანი სულ რჩეულის გვარისანი: გაიშალა ზუფრა მწუანეს მინდორზედ; მოერთუათ სათალი, ყველი, არაყი; ზედ-მოჰყუა ხაშლამა, ფლაეი და მწუადები და ამასთან დიდროანი ჟამები ღვინითა. — დიდება ღმერთსა, ღმერთო გაუმარჯვე ჩვენს ბატონს და სხუანი, და შეიქმნა ღვინი დიდი! ჩვეულებრივი სიმდერა, ღმერთო გვიცოცხლე, და კიდევ ბულბულმა ჰსთქუა, შემოჰსძახეს და შემოჰსძახეს; მერე ფერხული: მერემ კიდევ გადაჰკრეს, ერთმა დაიძახა: ღმერთო აღდგარქელე ჩვენი ჟოლგოიანი ჟალბატონი, — ეარინკა [ორბელიანისა, გრიგოლის რძალი, ა. გ.] იჭდა ჟოლგითა და უყუარებდა — ამის შემდეგ შეიქმნა ფალავნობა“ („წერილები“, ტ. II, გვ. 248).

2. წერილიდან ტასო ოგლობეოსადში (1875 წ. 13 ივნისის თარიღით): „...ამაშ წინად შევიყარენით სულ ყმაწვილი კაცები: მე, ჰილაევი, გიორგი მუხრანსკი, შახავსკოი, მირსკი, ლევან, ისაკ, ჟორჯაძე, სულთან გირეი, სოსიკო, ალააროვი, სტაროსელსკი, — ამ ყმაწვილ კაცებში ყველაზე უფრო ყმაწვილი 60 წლისა მაინც იყო — და წაყედით საღამოზე ორთაჟალას და მტკერის პირზე ჩაესხედით ზურნით, ჰიანურ-თარით და ლაზათიანის მომღერლითა და იყო პაერი მშეენიერი, ღამე მთეარინი. ამ დროს სად იყო, სად არ იყო, წამოვიდა ერთი ნავი დასტითა და სწორედ ჩვენ პირდაპირ და შუა მტკვარზე დადგა. — მოთავემ დაიძახა: წმიდა სანთლები ანთეთ! და აენთო ნავის გარეშე წმიდა სანთლები ჩირადღნადი დაიძახა: გაშალეთ სუფრა! და გაიშალა სუფრა. მოართვეს მოთავეს თეფში ოთხნი სტაქნებით და დალია ოთხივე დიდის მოხდენით; მერე თითონ ააესო ოთხივე და ჩაურბიგა რიგზე ყველას ოთხ-ოთხნი და ამით გაჩაღდა ღვინი, ჩვენი აქედამ, იმით — შუა მტკვრიდამ. გამოჩნდა, რომ ნავის აღმირალი იყო კუნძუას ძმა, ყასაბი. შუა ღვინში რომ შევიდნენ, დაიძახა აღმირალმა — ასე დავარქვით მოთავეს — ახლა

მწვადი მოვიდეს ამ სიტყვაზე ერთი ნავიღამ გადმოვიდა მალაყსა, ჯერ ჩაიღუპა და მერე მძოვარით ამოვიდა, მოუსვა ვეება მკლავები და გამოვიდა ტიტველა შიკიტნის ღუქანთან, საიღამაც ცხელ-ცხელი შამფურები პუტნალაით გაიტანა ნაეში და შეიქნა ახალი ჩამორაგება ოთხ-ოთხის სტუქნებისა ერთად. ჩვენის სა-ზანდრების სიმღერაზე ისინი ძალიან იხრაკებოდნენ და ხშირად იძახოდნენ: „ერთი კიდევ ვეთაყვა! ჭანუმ, ვოზუმ!“ დიდის სიამოვნებით უყურებდა შახავსკო იმათ დარბაისლობით შექცევას. პირველს საათზე ჩვენ აქედამ ავიყარენით და იქიღამაც იმათი ნაეი ნელ-ნელა სურებით წაეიდა ზევით ხიდისაკენ“ (ი. მეუნარგია, ქართული მწერლები, გვ. 157-158).

„მუხამბაზა“ („გინდ მეძინოს...“). ლექსი წარმოადგენს განთქმული ყარაჩო-ღელი მოკრივისა და მეთევზის ლოპიანას მონოლოგს. ლოპიანას ზოგჯერ „ორბელიანის აღუტანტსაც“ ეძახდნენ.

მუხამბაზს ეპიგრაფად წამმღერებელი აქვს ერთი ტაეპი ჩამჩი-მელქოს ლექსიდან. ჩამჩი-მელქო ფსევდონიმია თბილისელი მოლექსის მელქო გულქანოვისა (შამჩი მესანთლესა ნიშნავს). ცხოვრობდა XVIII საუკ. მიწურულსა და XIX საუკ. 20-ან წლებში.

ეპიგრაფი ამოღებულია აშუღის შემდეგი ლექსიდან:

მუხამბაზო, უცხო, ტუბილი ხმა ხარო,
მორაულო, მეჭლისთ ღვინის სმა ხარო,
შავნო წარბნო და წამწანო, თმა ხარო, —
ღეთის წინაშე შემოგფიცავ, ძმა ხარო!
პე, ნათელო, თეთრი ბამბის ქულა ხარ,
უკვდავების წყაროვ, ოქროს ლულა ხარ,
გაეხილ მთეარეე, ღამე ამოსულა ხარ,
მოვერცხილი, მოქედილი კულა ხარ, —
არ ილევო, უღვეელი ზღვა ხარო!
შენის ეშყით თვალთ არ მერჩის ჩინია,
შენი სული მიხაყ-დარიჩინია,
შენთვის დაეალ მულა ჩინ-შაჩინია,
შემიტყვია მუღამ გიყვარს ღვინია, —
შესაქცეად ლაპარაკში ძმა ხარო!
მოდი ღამე ნუ დაზღინარ ქარშია,
შემინახე გული ეშყის ნარშია,
შენ მოირთვი ზარბაზშია, ზარნშია,
შეევედრე არ გაგეავღოს კარშია, —
შამჩი მელქო — ფარანავანის ყმა ხარო!

(ტრ. რუხაძე, „გარდამავალი ხანის“ ლირიკა. ხელნაწერი).

„პასუხი ზვილთა“. ეს პოლემიკური ლექსი გრ. ორბელიანმა დასწერა ე. წ. „შამათა და შვილთა“ („თერგდალეულთა“) ბრძოლის დროს, 70-იან წლებში. ძველ და ახალ თაობათა პირველი ბრძოლა, რომელშიაც გრ. ორბელიანს მონაწი-

ლეობა არ მიუღია, გაიშარა ეურნ. „ციხისკის“ ფურცლებზე 1861 — 1862 წ.წ. ილ. ჰავეკაჰის წერილის გამო რევაზ ერისთავის თარგმანზე კოზლოვიდან (იხ. „ციხისკარი“, 1861, № 4.).

ხელმოკრედ პოლემიკა ახალი სიმწვაით წამოიჭრა 1871-1872 წლებში. დავის საბაბი ისევ ილია ჰავეკაჰის გამოვლენა გახდა (ე. წ. „გამოცანები“, რომლებიც ფარულად ვრცელდებოდა საზოგადოებაში. ამის შეს. დ.წ. იხ. შესავალი წერილი). ამან გამოიწვია გრ. ორბელიანის „პასუხი შეილთა“, რომლის პირველი ვარიანტი („გამოცანების პასუხი“, 1872 წ. იხ. „ვარიანტებში“) მკაცრ შინაარსს შეიცავდა. შერბილული რედაქციით ავტორმა ეს ლექსი დაბეჭდა 1874 წელს ე. წ. „ციხისკარში“ (იხ. ივლის-აგვისტო, 7-8) „ძველი სემინარისტის“-ს ფსევდონიმით. გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებს მოჰყვა ი. ჰავეკაჰის „პასუხის პასუხი“, აკაიის „ხარაბუხა ლენერას“, „ეოლო-ბუზების პასუხი“, „პატრიოტის აღსარება“ და სხვ.

გრ. ორბელიანის პოზიცია სალიტერატურო ენის საკითხებში გარკვეული გეაქვს ნარკვევში „პლატონ იოსელიანი“ (1932) (იხ. ჩენი „ლიტერატურული ნარკვევები“, თბილისი, 1947) და ამ გამოცემის შესავალ ნარკვევში.

„პასუხის“ ბოლო ტაყებში დასახელებულია:

აკაკიები — აკ. წერეთელი.

ჩიო ნელები — ივლისისმება ნიკო ნიკოლაძე, რომელიც „რიონელი“-ს ფსევდონიმით თანამშრომლობდა გერცენის „ეოლოკოლში“.

გოგბიტელები — ივალ. გიორგი წერეთელი, ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი.

მესხი — სერგეი მესხი, 70-იანი წლების ცნობილი საზ. მოღვაწე, პუბლიცისტი და რედაქტორი (1844 — 1883). გაზ. „დროებაში“, რომელსაც იგი რედაქტორობდა. თანამშრომლობდნენ ქართული პროგრესული და ლიბერალური ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

მეველე — გაზ. „დროების“ თანამშრომლის დავით მიქელაძის ფსევდონიმი.

მელიქაძეები — გრ. ორბელიანი გულისხმობს „დროების“ გამომცემელს სტეფანე მელიქიშვილს.

„დროების ათა წლის იუბილე. ფერხული და ბუქნა“. პირველად გამოაქვეყნა სიმ. ხუნდაძემ (იხ. მისი „ნარკვევები“, თ. 1941, გვ. 33-34. მასალა აღმოჩნდა ი. ჰავეკაჰის არქივში, საქ. მუზეუმის ხელნაწერი Q. 5292).

გრ. ორბელიანის ამ სატირულ ლექსში ათა-ო-ათე ყველაზე ადრე მიუთითა ზ. ჰიკინაძემ (მთაწმინდელმა) თავის წიგნაქსი: „ბესიკი, თ. აღექსანდრე ჰავეკაჰე და თ. გრ. ორბელიანი“ (თბილისი, 1886). იგი წერდა (იხ. გვ. 47): „...მან [ორბელიანმა, ა. გ.] შემდეგ ლექსი უძღვნა ერთ პატივცემულ და დაუიწიარ ქართველ მწერალს“ და მოჰყავს სტრიქონები:

ვერ ისწავლა მ—ა წერა, ვერა, ვერა

და არც სწერა, რომ მან წერა

ვერ ისწავლა, ვერა, ვერა“

(ინიციალში ივლისისმება ს. მესხი).

ამავე ლექსზე მიუთითებს (ზ. მთაწმინდელის ბროშურის ზეგაუღწეო ხომ არა?) იონა მეუნარგიაც თავისი მონოგრაფიის იმ თავებში, რომელიც მხოლოდ 1940 წელს დაიბეჭდა (იხ. „ლიტ. მატრიანე“, № 1-2 გვ. 321) და მოჰყავს ორი ტექსტი:

ვერ ისწავლა მესხმა წერა
ვერა ვერა.

გრ. ორბელიანის სატირა გამოწვეულია გაზ. „დროება“-ს იუბილეს გამო: „ლექსი დაწერილია 1876 წლის მარტში. ამ წელს შესრულდა ათი წელი გაზ. „დროების“ დაარსებიდან“ (ს. ზუნდაძე). როგორც ცნობილია, ვრ. ორბელიანს არ მოსწონდა ამ გაზეთის ენა (ვრცლად იხ. ს. ზუნდაძის წიგნში).

მესხი — „დროების“ რედაქტორი.

„ქოისკარი“ — ქართული ჟურნალი. გამოდიოდა 1852 — 1853 და 1857 — 1875 წ.წ. ქართველი არქაისტი-მწერლების („მამების“) სალიტერატურო ტრიბუნა.

„მნათობი“ — ჟურნალი. გამოდიოდა 1869 — 1873 წ.წ.

„კრებულნი“ — ჟურნალი. ბეჭდავდა გ. წერეთელი 1871 — 1873 წ.წ.

II. ეპოსი

1827 — 1870

„სადღეგრძელო“ დაწყებულია 1827 წელს (იხ. პირველი ვარიანტი „ტოლუ-ბაში“-სა ქვევით „ვარიანტებში“). საბოლოო რედაქცია ეკუთვნის 1870 წელს, ვრ. ორბელიანის ლექსების გამოცემელთა შორის პოემის შედგენილობის შესახებ კამათი მიმდინარეობდა უმთავრესად ნიკოლოზ I-ის სადღეგრძელოს გამო, რომელიც პოემის ცალკე თავს შეიცავს. პოემა თვითონ ავტორის სიცოცხლეში ოთხჯერ დაიბეჭდა (1871 წელს — ე. „კრებულში“ და ივ. კერესელიძის გამოცემით, აგრეთვე 1873 — 1879 წლებში). მეფის სადღეგრძელო ოთხივე გამოცემაშია და ავტორს არავითარი საცენზურო მიზნით არ შეუტანია იგი თავის ნაწარმოებში. ქების პირველი ვარიანტი ჩვენ ვგზავნება „1832 წლის საქმეში“ („გულნი ივერთა...“).

„მეფის სადღეგრძელომ“ შემდეგი ევოლუცია გაიარა: როგორც ვთქვით, თავდაპირველად იგი დაწერილი იყო ფრაგმენტის სახით, როგორც შემავალი ნაწილი მომავალი დიდი ქებისა ხელმწიფისადმი. ამის შესახებ უჩვენებდა თვითონ ავტორიც 1833 წელს საგამომცემლო კომისიის თავმჯდომარეს (იხ. „1832 წლის საქმის“ ჩვეული XXI, ფურც. 3742/ა). ფრაგმენტი უსათაუროა, იმპერატორის სახელი აქ ჭერ კიდევ არაა მოხსენებული და იწყება სიტყვებით „გულნი ივერთა...“ (იხ. „ვარიანტებში“).

ეს ნაწყევტი უფრო გავრცობილი სახით (ნიკოლოზ I-ის სახელით შესავალ ტაეებში და ყირიმის ომის (1853-1856 წ.წ.) ამბების ამსახველი სტრიქონებით) ხელახლა დაიწერა 1854 წლის აპრილში (იხ. ვარიანტებში: „ტოლუბაში“-დან). ქების ამ მეორე ვარიანტის ერთ-ერთ ხელნაწერს (საქ. ხალკტ. მუზეუმის № 84) ავტორისაგან აშიაზე მიწერილი აქვს „ესეც ტოლუბაში არის...“ მაშასადამე, ამჭარდაც პოეტი მეფის სადღეგრძელოს ვარაუდობდა, როგორც თავისი ერთადერთი პოემის საბოლოო რედაქციის ორგანულ ნაწილს. პოემა კი საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1870 წელს და „ქებას“ შიგ მოხვდა (სხვა ახალ თავებთან ერთად, რომელთაც პოემის აღრიხნდელ ვარიანტებში — „ტოლუბაში“-ს სახელით რომაა ცნობილი — არ ვხვდებით). ეს საბოლოო რედაქცია ცნობილია 1871 წელს ე. „კრებულში“ გამოქვეყნებული ტექსტის სახით, რაც ყველა დანარჩენი გამოცემების (გარდა 1928 წლის გამოცემისა) საფუძველია. „ქებას“ აქ ჩამოცილებული აქვს ყირიმის ომით შთაგონებული ტაეები და ნაწილობრივ შეფარდებულია პოემაში ასახულ მომენტთან — 1826 — 1828 წ.წ. ომთან.

ამრიგად „მეფის სადღეგრძელო“ პოემის დამთავრებულ ვარიანტში მოხვდა მხოლოდ 1870 წელს, როცა გარდაცვლილ ნიკოლოზ I-ის ქება სრულიად არ იყო აუცილებელი ინფანტერიის გენერლისათვის — რაიმე თავის მართლების მიზნით ან ეიზისათვის პოეტს იგი არ დაუწერია და არც გამოუყენებია. უბრალოდ: ავტორი იცავს ისტორიულ პერსპექტივას: 1826 — 1828 წ.წ. რუსეთ-ირანის ომი სწარმოებდა ნიკოლოზ I-ის დროს და სრულიად ბუნებრივად უნდა მიეჩინოთ იმპერატორის დასახელება ამ კონტექსტში (დაწერ. იხ. შესავალი ნარკვევი).

პოემის მეორე, არაავტორგრაფულ ვარიანტს („ტოლუბაში“) სათაურის ქვეშ აქვს შემდეგი ეპიგრაფი: „ეს ლექსნი 1826 წელსა სპარსეთის ომში არის ნათქვამი, როდესაც ირაკლის თაფაზე იყვნენ ჭარნი დაბინავებულნი“. თარიღი ისტორიულ სინამდვილეს არ შეიცავს. საქმე იმაშია, რომ 1826 წელს რუსის ჭარი „ირაკლის თაფასთან“ (ერევანთან) არ იყო დაბანაკებული. სპარსელები საქართველოს საზღვრებში შემოიჭრენ 1826 წლის 16 ივლისს. პასკევიჩი ამ წელს კიდევ არ იყო ოფიციალურად დანიშნული კავკასიის არმიის მთავარსარდლად, თუმცა მისი სარდლობით რუსებმა სასტიკი დამარცხება აგემეს ირანელებს ქ. ელისაევტ-პოლთან. 1827 წლის 7 ივლისს გენ. პასკევიჩი, რომელმაც ოფიციალურად შესცვალა ე. პ. ერმოლოვი მთავარსარდლის პოსტზე, იერიშით იღებს აბას-ა-ადს, ხოლო 1-ლ ოქტომბერს — ქ. ერევანს. ამრიგად „ირაკლის თაფასთან“ ჭარები 1827 წლის შემოდგომით იყვნენ დაბანაკებულნი და არა 1826 წელს. ამიტომ უფრო სწორია პირველი ვარიანტის („ტოლუბაში“) ავტორგრაფული თარიღი „1827 წელსა“ (საქ. არქივის 171). მართალია გრ. ორბელიანი 1826 წლიდან იღებდა მონაწილეობას ომში, მაგრამ „ერევნის სიახლოეს“ ჭარით დგომა ეკუთვნის 1827 წელს და პოემაც ამ წლიდან იწერებოდა.

პოემა იბეჭდება იმ სახით, როგორც იგი ჩამოყალიბდა ავტორის ხელში, 1827 — 1870 წლების მანძილზე. საბოლოო რედაქცია ამ პოემისა დაიბეჭდა 1871 წელს, რომელშიაც აქა-იქ სტილისტური შესწორებანი შეიტანა პოეტმა (ასეთი

ცალკეული შესწორებანი პოეტმა პოემაში 1879 წელსაც შეიტანა). ჩვენი ტექსტი იბეჭდება 1884 წ. გამოცემის მიხედვით. მისი შედგენილობის შეცვლა რედაქტორის უფლებათა ფარგლებს სცილდება.

ერთი დეტალის გამოც:

„ტოლუბაშის“ სახელწოდებით ცნობილ ვარიანტებიდან მეორე ვარიანტს სათურის ქვეშ აქვს შენიშვნა „მიბაძვა ეუკოესკისა“. „სადღეგრძელოს“ პირველი გამოცემის გამო პ. იოსელიანი 1871 წელს გაზეთ „კავკაზ“-ში ათავსებს ბიბლიოგრაფიას ამ ნაწარმოებზე და დასაწყისშივე წერს:

„На днях вышла из печати на грузинском языке брошюра под названием „Завдравный тост“, „სადღეგრძელო“, сочинение князя Григория Димитриевича Орбелиани. Эта поэма в стихах — есть подражание поэмы, известной на русском языке „Песнь в стане русских воинов“, Жуковского“, (კავკაზ, 1871, № 22; ბიბლიოგრაფია მთლიანად გადაბეჭდილია ჩვენს შრომაში პ. იოსელიანის შესახებ; იხ. „ნარკვევები...“ 1938). ეუკოესკის „მომღერლისა“ და „სადღეგრძელოს“ ურთიერთობის შესახებ ერთლად იხ. შესავალ წერილში. გრ. ორბელიანის პოემის ტექსტის სხვა საკითხების შესახებ იხილე იქვე.

ფ ა რ ნ ა ო ზ ი — ქართლის პირველი მეფე, რომელსაც შემბატონებნი ქართული ანბანის შედგენას მიაწერენ.

მ ი რ ი ა ნ ი — ქართლის მეფე (IV საუკ.).

ე ა ხ ტ ა ნ გ გ ო რ გ ა ს ა ლ ი — ქართლის მეფე, მგ-5 საუკ. მეორე ნახევარი. დაეთოთი — საქართველოს უდიდესი მეფე 1089-1125 წ.წ.

ფ ე ნ ი ქ ს ი — მითოლოგიური ფრინველი, რომელიც სიკვდილის შემდეგ თითქმის ხელახლა ცოცხლდება. განახლებისა და უკვდავების სიმბოლოა.

შ ი რ ე ა ნ ი — ყოფ. შირეანის სახანო, დღევანდელი აზერბაიჯანის აღმოსავლეთი ნაწილი.

დ ე რ ბ ე ნ დ ი — ქალაქი დაღესტანში, კასპიის ზღვის პირას.

დ ი დ ი ო რ ბ ე ლ ი — თამარის ეპოქის მოღვაწე.

შ ო თ ა უ კ ვ დ ა ვ ი — რუსთველი.

ბ რ ძ ე ნ ი ჭ ყ ო ნ დ ი დ ი — ანტონ ჭყონდიდელი, მწიგნობართ უხუცესი.

დ ი დ ი მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი — ზაქარია მხარგრძელი, ამირსპასალარი, გამოჩენილი სარდალი. ეს თანამდებობა მან მიიღო გამრეკელი-თორელის სიკვდილის შემდეგ.

გ ა მ რ ე კ ე ლ ი — ამირსპასალარი გამრეკელი-თორელი.

ს ი ნ ო ბ ი — ქალაქი მცირე აზიაში (თურქეთში) შავი ზღვის ნაპირას.

ა რ ე ზ ი — მდინარე არაქსი.

თ ა ვ რ ი ბ ი — ქალაქი ირანში.

ყ ა ფ ლ ა ნ ქ უ — იდგილია ირანში.

ყ ა შ მ ი ნ ი — ირანის ქალაქი ყაზვინი.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — დედოფალი, დედა თეიმურაზ I-ისა; შამ-აბაზის ბრძანებით აწამეს ირანში 1624 წელს, სჭულის მტკიცედ დაკვის გამო.

ე ა ხ ტ ა ნ გ ო — ქართლის მეფე ეახტანგ VI, სჭულმდებლად წოდებული. მე-

ფობდა 1703 — 1712 და 1719 — 1724 წ.წ. პოეტი და მწიგნობარი. დააარსა პირველი სტამბა თბილისს, სადაც 1712 წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. შეადგინა კანონთა კრებული, სპარსულიდან თარგმნა ასტრონომიული ხასიათის სახელმძღვანელო, „ქილილა და დამანას“ იგავ-არაკები და სხვ. თავმჯდომარეობდა კომისიას, რომელმაც თავი მოუყარა „ქართლის ცხოვრებას“ მართიანებას. 1724 წელს იძულებით დაუტოვა სამეფო ტახტი და გადასახლდა რუსეთს. გარდაიცვალა 1737 წ. 26 მარტს ქ. ასტრახანში.

აზატია — აზატ-ხანი, ავღანელთა სარდალი, 1752 წელს დაიპყრო აზერბაიჯანი. დაამარცხა ერეკლემ ერევანთან (1752 წ.).

ასპინძის ომი მოხდა ზემო ქართლის სოფელ ასპინძასთან, ქართველებსა და ოსმალთა შორის 1770 წლის 20 აპრილს. ქართველებმა ამ ომში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს მტრის მრავალრიცხოვან ჯარზე.

ნიკოლოზ დიდი — რუსეთის იმპერატორი 1825 — 1854 წ.წ.

ზანგა — ზანგა — მდინარეა სომხეთში. გამოდის გოგჩის ტბიდან.

ალექსანდრე ვახტანგისძე ორბელიანი — ქართველი მწერალი (1801 — 1869), შვილი ერეკლე II-ის ასულის თეკლე ბატონიშვილისა და ვახტანგ ორბელიანისა. 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული დრამები და ნარკვევები, მოთხრობები, ლექსები, პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილები და სხვ. ეურნ. „ციცკრის“ თანამშრომელი.

დანარჩენი ისტორიული პირების შესახებ იხ. შენიშვნები თვითონ გრიგოლ ორბელიანისა (ტექსტის სქოლიოებში).

III. მიბაძვები და თარგმანები

(1830—1864)

„უუკოვსკიადამ“ (პოე, სოფელი...) იხ. შენიშვნა ქვემოთ, „ტექსტისათვის“.

„ლხინა (მიბაძვა პუშკინისა).“ ლექსი წარმოადგენს მიბაძვას პუშკინის რვა-

ტაეპიანი ლირიული ლექსისა „Веселый пир“ (1819):

Я люблю вечерний пир,
Где веселье председатель,
А свобода, мой кумир,
За столом законодатель,
Где до утра слово пей
Заглушает крики песен.
Где просторен круг гостей,
А кружок бутылки тесен.

(იხ. А. С. Пушкин, Полное собрание сочинений. В шести томах под ред. М. А. Цяпковского. Изд. „Academia“, 1936, стр. 253).

შეუხედავად ლექსის შინაგანი, ქართული, აქსესუარისა (ჯამი, აზარტეშა,

ყანწი და სხე.) „ლხინი“ პირდაპირ მიბაძვას წარმოადგენს, რის გამოც ის პოეტის ორიგინალურ ლექსებში არ შეგვაქვს.

„აღსარება“. წარმოადგენს ცნობილი დეკაბრისტი პოეტის კონდრატე დოროსოვიჩის (1795 — 1826) ნაწარმოების „ნალიეაიკოს“ მიბაძვას. რუს ავტორს თავდაპირველად განზრახული ჰქონია დაეწერა მთელი პოემა ამ სათაურით. ამგვარად ცნობილი მხოლოდ საერთო გეგმა პოემისა და ცალკეული ადგილები (იხ. Н. Н. Нейман, К. Ф. Рилеев. Жизнь и творчество. М., 1946 стр. 47—50; ნაწარმოების ტექსტი რილეევის თხზულებათა სრულ კრებულში, „Academia“ М.—ქ., 1934). გრ. ორბელიანს ძალზე შეეცვლილი აქვს რილეევის ლექსის შინაარსი, იგი მთლიანად გაქართულებულია: რუსულ პატრიოტიზმს ორბელიანის „აღსარებაში“ სცვლის ქართული მოტივები და გაქვლითილია თვითმპყრობელობისადმი მძაფრი სიძულვილითა და პროტესტანტიზმით. როცა 1832 წლის შეთქმულებასთან იდეური კავშირის გამო გრ. ორბელიანი დაატუსაღეს რუსეთში, ეანდარმერის პოლკონიკმა სხვათაშორის ჰკითხა მას — რილეევის „ნალიეაიკოს აღსარება“ თქვენ სთარგმნეთ თუ არაო (თვითონ გრიგოლის ცნობა, ჩაწერილი ი. მუხნარგიას მიერ). მეორე ეგზემპლარი თარგმანისა ეანდარმერისა უპოვნია ცნობილ სოლომონ დოდაშვილთან.

„ქუქოვსკილამი“ („მხს უბაროდეს...“). თავისუფალი თარგმანია ქუქოვსკის ლექსისა „Песня (подражание и. ш. цыган)“:

Счастлив тот, кому вававы
Игры, майские цветы...

(იხ. Стихотворения В. А. Жуковского, изд. 9-е, т. I, стр. 122—123; СПб, 1895). ქუქოვსკის ლექსი 32 ტაქსს შეიცავს, გრ. ორბელიანისა კი — 24 ტაქსს, ჩვენს პოეტს სულ არ უთარგმნია ორიგინალის უანასქნელი სტროფი, რომელიც იწყება სიტყვებით: „Для души моей печальной“

1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოცემებში ეს თარგმანი ეძღვნება ვინმე და ვითს (სათაურშივე: „და ვითს. (ქუქოვსკილამი)“. ხომ არ იგულისხმება ყორღანაშვილი? თარგმანი, რომელსაც ჰედონისტური იერი გადაკრავს, პოეტის ამ ახლო ნაღონობს უფრო შეეფერება ძღვნად. ვინაობის დადგენა ჭერჭერობით არ ხერხდება. ყოველ შემთხვევაში — არ იგულისხმება დაეით ორბელიანი, რომელიც თარგმანის თარიღის დროს (1832 წელს) გარდაცვლილი ჩანს (იხ. „წერილები“, I, გვ. 239 და აქვე, გვ. 159).

„ვირი და ბულბულა“ (კრილოვიდამ). შედარებით ზუსტი თარგმანია კრილოვის ცნობილი იგავ-არაქისა „Осед и соловей“ („Осед увидал соловья...“), „სოფლელნი და მღინარე“ თარგმანია კრილოვის იგავისა „Крестыяне и река“ („Крестыяне, вышел из тюрении...“)

„ნადირთა ვირი“ (კრილოვიდამ). თარგმანია კრილოვის იგავისა „Мор звероий“ („Лителшшии рич иерис.“)

„მიბაძვა პუშკინისა“ (სიოტცხლევ, ფუჰო...“). ლექსი წარმოადგენს თავისებურ, გავრცობილ ლირიკულ აღსარებას პუშკინის ცნობილი ლექსის „Дар вашрасный, дар слушайный“ საფუძველზე. გრ. ორბელიანის ლექსის მეორე ნახე-

ვარი სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოებია, ხოლო პირველი სამი ტაეპი („სი-
ცოცხლევ, ფუკო...“ და შმდ.), რეფრენის სახით მეორდება და აბოლოვებს მთელ
ლექსს, რაც პუშკინის ორიგინალს არ ახასიათებს.

ლექსი დაწერილია 1847 წელს ქ. თემირ-ხანშურაში (ახლანდელი ქ. ბუი-
ნაკსი), რომელიც სამხედრო-ადმინისტრაციულ ცენტრად ითვლებოდა მაშინდელ
დაღისტანში, სადაც ვრ. ორბელიანი მსახურობდა 1843 — 1857 წ., ვითარცა
ერთ-ერთი გამოჩენილი მონაწილე კავკასიური ომისა (იხ. „წერილები“, I და
II ტ. ტ.).

„მთანი მაღალნი...“ წარმოადგენს თავისუფალ და გეგარტობილ თარგმანს ლერ-
მონტოვისეული თარგმანისას გერმანულიდან „Из Гете“ (1840):

Горные вершины
Спят во тьме ночной;
Тихие долины
Полны свежей мглой;
Не пылит дорога,
Не дрожат листья...
Подожди немного,
Отдохнешь и ты!

ორიგინალში გოთეს (1749 — 1832) ამ ლექსს ეწოდება *Wanderers Nacht-
Hed* (1780) და როგორც სტროფული აგებულებით, ისე შინაარსობლივი
ნიუანსებით, განსხვავდება ლერმონტოვისეული თარგმანისაგან. შდრ. თეთონ
ლექსი:

Über allen Gipfeln
Ist Ruh,
In allen Wipfeln
Spürest du
Kaum einen Hauch;
Die Vögelein schweigen im Walde,
Warte nur, balde
Ruhest du auch.

დაწვრ. იხ. ჩვენი წერილი „გოეტე ქართულ ლიტერატურაში“ (წიგნში „ნარ-
კვევები ქართული პოეტიკიდან“, თბ., 1938 და „ლიტერატურული ნარკვევები“,
თბ., 1947; შდრ. იოჰან ეოლფგანგ გოეტე, ლექსები. თარგმნილი
ხარიტონ ვარდოშვილის მიერ, თბ., 1946. თარგმანი ლექსისა — გვ. 55
და გ. ნადირაძის მიერ შედგენილი შენიშვნები, გვ. 154 — 155).

IV ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ვ ი ს

გრ. ორბელიანის ნაწერების 1948 წ. გამოცემის შენიშვნებში ჩვენ ვწერდით
(გვ. 125):

„გრ. ორბელიანის პოეტური შემკვიდრობის სრული გამოცემისათვის მომა-
ვალში აუცილებელი იქნება ლექსებისათვის ტექსტუალურ-ბიბლიოგრაფიული

ხასიათის ამომწურავი აპარატის დართვა, რაც ნათელს გახდის მთელ რიგ ბუნ-
დოვან საკითხებს. უნდა წინასწარ აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე გამოცემაზე მუ-
შაობამ დაგვარწმუნა, რომ გრ. ორბელიანის ლექსების დამაკმაყოფილებელი გა-
მოცემა დღემდე არ გვექონია. ესაბიძა, რომ სრულიად უნაკლო გამოცემად არც
წინამდებარე პუბლიკაცია ჩათვლება“.

გრ. ორბელიანის ნაწერების ასალი, აკადემიური გამოცემა ემყარება აეტო-
გრაფებსა და პირველ ბეჭდურ გამოცემებს. ჩვენ მოგვიხდა თითოეული ლექსის
ტექსტური ისტორიის გათვალისწინება, ცალკეული ტაეებისა და სტროფების
ეეოლუციის შესწავლა, ხელახალი დადგენა თარიღებისა, სხვადასხვა დროს და
სხვადასხვა პირობებში აეტორის რედაქციულ მუშაობაზე დაკვირვება და ა. შ.
ამგვარმა ძიებამ ნათელყო, რომ გრ. ორბელიანის ნაწერების გამოცემის საქმეში
დღემდე ნამდვილი ანარქია ყოფილა გამეფებული. სხვადასხვა გამომცემლის ხელ-
ში უნებლად შეედომებისა თუ დაუკვირვებლობის წყალობით ლექსების შედგენი-
ლობა იცლებოდა, მათ აღდებოდა ცალკეული ხანები, ტაეები და სიტყვები,
ცუდათ იყო ამოკითხული და დადგენილი თარიღები და ა. შ. ყველაფერი ეს არც
თუ გასაკვირია: მე-19 საუკუნის არც ერთი პოეტის ნაწერების
უნაკლო გამოცემის განხორციელება ისე ძნელი არაა,
როგორც გრ. ორბელიანის ნაწერებისა. ამის მიზეზი ისაა, რომ პოე-
ტის ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი აეტოგრაფების სახით არაა მოღწეული ჩე-
ნამდე. 1833 წლამდე დაწერილი ლექსების აეტოგრაფებიც მხოლოდ 1928 წელს
აღმოჩნდა. ბევრი ამათავანი პოეტის სიცოცხლეში გვიანდელი ასლების მიხედვით
იბეჭდებოდა და აჭრელებული იყო შეედომებითა და არა ზუსტი თარიღებით.
ამგვარი შეედომების მიზეზი ზოგჯერ თვითონ პოეტის სუსტი მესხიერებაც იყო.
გრ. ორბელიანი თავის ლექსებს სიკვილიამდე ასწორებდა, ამიტომაც, რომ გვიან
აღმოჩენილი აეტოგრაფები ყოველთვის როდი გამოდგებიან საბოლოო ტექსტის
დასადგენად. ასე, მაგალითად, 1829 — 1832 წ. წ. აეტოგრაფებთან შედარებით
აეტორის ბევრი ლექსის ცალკეული ტაეები უფრო დაუხვეწია და სტილისტურად
სრულყოფილი გაუხდია, რასაც მკითხველი დაინახავს ქვემოთ დაბეჭდილ ეარიან-
ტებიდანაც. მაშასადამე, აეტოგრაფებს ამჟამად (და უმთავრესად) შეუძლიათ გა-
გვიარკვიონ ლექსების თავდაპირველი თარიღები და ადგილი მათი დაწერისა, ღო-
ლო თვითონ ტექსტები უნდა დაიბეჭდოს იმ სახით, როგორც ჩამოყალიბდნენ
ისინი პოეტის რედაქციული მუშაობის უკანასკნელ ეტაპზე, 1870 — 1880 წ.წ.
მანძილზე.

მეორე დაბრკოლებას რედაქტორი აწყდება თვითონ ლექსების შინაარსობლივი
რეალიების ინტერპრეტაციის დროს. ბევრი ლექსი ინიციალებითაა დაშიფრული.
ადრესატთა ვინაობის დადგენა არც ისე ადვილია და სხვ. ყოველივე ამან გამოიწვია
ერთი და იგივე ლექსის ინიციალის სხვადასხვანაირი წაკითხვა სხვადასხვა გამო-
ცემაში.

გრ. ორბელიანის პოეტური ნაწერების გამოცემისას გათვალისწინებული იყო
მხოლოდ ის პუბლიკაციები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ტექსტის დასადგენად.
ეს პუბლიკაციებია:

1. ბ. უმიკაშვილის გამოცემა 1873 წლისა.

2. ზ. კიკინაძის " 1879 "

3. " " " 1884 "

4. 1928 წლის გამოცემა

5. 1935 " "

6. 1948 " "

7. „1832 წლის საქმის“ XXI რვეულში დატული ავტოგრაფების პუბლიკაცია (პაეღე ინგოროყვა, გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები. ეურნ. „ქართული მწერლობა“, 1928 წ. № 6-7).

ორიგინალებთან შედარებისას ხელახლა მიემართეთ შემდეგს კოლექციებს:

1. „Мелко 1832 г.“ тетрадь XXI (ე. წ. „ლენინგრადისეული კრებული“).

2. საქ. არქივის № 171 (ე. წ. „თბილისის კრებულო“).

3. საქ. სახელმწ. მუზეუმის სხედასხვა კოლექციებში დატული ხელნაწერები (არა ავტოგრაფული) „სადღეგრძელო“-სი და ცალკე ლექსებისა.

4. გრ. ორბელიანის მიერ ნასწორები ხელნაწერები საქ. სალიტ. მუზეუმისა № № 83 და 84.

ამ ხელნაწერთა გარდა მოიპოვება სხვა მრავალი ხელნაწერიც (არა ავტოგრაფული), რომელთაც აკადემიური ტექსტის დადგენისათვის მნიშვნელობა არა აქვთ, ამიტომ მათს აღწერილობას აქ არ ვიძლევეთ.

„1832 წლის საქმის“ XXI რვეულში დატული მასალის აღწერილობა გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ (იხ. დასახელებული წერილი); საქ. არქივის № 171-ში შესული ტექსტებისა კი — პირველად მ. ზანდუკელმა („მნათობი“, 1926, № 7), შემდეგ, მოკლედ, პ. ინგოროყვამ (იმავე წერილში). მასვე ეხება ვ. კოტეტიშვილი 1928 წლის გამოცემაში (შენიშვნებში).

გრ. ორბელიანის ლექსების კრებულის პირველი ბექდური გამოცემა გამოვიდა 1873 წელს პ. უმიკაშვილის რედაქციით. გამომცემელი წინასიტყვაობაში წერს:

„თავადის გრიგოლ ორბელიანის ლექსები დღევანდლამდე აქა-იქ გაფანტული იყო სხედასხვა ქართულს ეურნალებში, „ცისკარში“, „საქართველოს მოამბეში“ და „კრებულში“, გარდა რამდენისაჲმე ლექსებისა (იხ. 3, 22, 47 და 50 გვ.). ცალკე გამოცემულია უ. ივ. კერესელიძისაგან 1871 წ. მხოლოდ სადღეგრძელო. ეხლა შეკრებილ იქმნა ყველა ლექსები და ავტორისაგან გასწორებული ამ წიგნში იბეჭდება წელიწადთა რიგობით.

1873 წ. მაისის 25

ტფილისს.

(იხ. 1873 წ. გამოც. 1 გვ. წინ).

პ. უმიკაშვილს ლექსები შემდეგი თანმიმდევრობით აქვს დაბეჭდილი:

„1827 წ. დაწერილი: ანტონს. 1827 — 1829 წ. — წერილი ლექსებო.

1829 წ. — ეკ. კეკე...სას; მტირალ ნ...ს; მუხამბაზი (ნუ მასმეღ ღეინოს...); მ...ღმი (მნათობო თვით შენ აღმისხენ...). 1831. გამოსალმება ს — ს.

1832 მირზაჯანას ეპიტაფია, დავითს (ყუკოესკიადამ): ლბინი (მიბაძეა პუშ-

კინისა); ღამე; იარაღის; ვირი და ბუღბუღი (კრილოვიდამ); სოფლულნი და მდინარე (კრილოვიდამ);

1833. ნადირთა ვირი (კრილოვიდამ); მუხამბაზი (არავისთვის მე დღეს არა მცალიან); საეთნავას მიბაძეა.

1834. სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ.

1835. ნ... (პე საყვარელო ვის მიერ); ჩემს დას ეფემიას. მუხამბაზი (სულით ერთნო, მოლხინენო...).

1837. ს...ს (ვარდი ხარ? არა...).

მ...დმი (თაყვანისმცემელთ).

1839. ჩემი ეპიტაფია; როს გზედაე მნათო.

1840. ალბომში ლ. თა...: ეინცა ვნახოს, კლაეცა ვნახოს.

1841. სალამო გამოსალმებისა.

1843. პეი გონებაე.

1847. მიბაძეა პუშკინისა.

1851. მოგონება.

1860. დიმიტ. ონ — ის დარდები.

1861. მუხამბაზი (ლოპიანისი).

1864. ლექსი ლერმონტოვიდამ.

1827 — 1870 წ. სადღეგარძელო. (იხ. სარჩევი).

მეორე გამოცემა ეკუთვნის ზ. ჰიჭინაძეს. იგი დაიბეჭდა თბილისში 1879 წელს და წარმოადგენს პ. უმიკაშვილის ტექსტის განმეორებას. ამ გამოცემაში დამატებით შევიდა პოეტის მიერ 1872 — 1879 წლებში დაწერილი ლექსები: 1. „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ (გვ. 73-76); 2. „მუშა ბოქულაძე“ (76-81); 3. „ფსალმუნი“ (81) და 4. „პასუხი შვილებთა“ (82-83). გამომცემელი საგანგებოდ შენიშნავს:

„ეს მეორე გამოცემა გადმოიბეჭდა უფ. პეტრე უმიკაშვილის შერევილი გამოცემიდამა. მხოლოდ ზოგიერთი ლექსები ავტორმა ხელახლად გადაასწორა და აგრეთვე მიუმატა ოთხი სხვა ლექსი, რომლებიც პირველს გამოცემაში არ არის დაბეჭდილნი; პირველი: „თამარ-მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, რომელიც 1877 წ. გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა და შემდეგ ავტორის ცვლილებით 1878 წ. ერთს ჩემგან გამოცემულს „ლექსთა კრებაში“. მეორე „მუშა ბოქულაძე“ ესეც 1877 წ. გაზეთს „ივერიაში“ დაიბეჭდა და მეოთხე (სმც) „ფსალმუნი“ 1879 წ. ჟურნალ „ივერიაში“ 5 და 6 წიგნში. — „პასუხი შვილებთა“ ეს დაიბეჭდა 1874 წ. ერთს „იუსკრი“-ს №-ში, რომელსაც ეხლა ზოგიერთი ადგილები დაუმატა და დაიბეჭდა ისე“ (იხ. ბოლოსიტყვაობა — „გამომცემლისაგან“, გვ. III).

მესამე გამოცემა დაიბეჭდა პოეტის გარდაცვალების შემდეგ, 1884 წელს, იმავე ზ. ჰიჭინაძის მიერ. ამ კრებულში შეტანილია ხუთი ახალი ლექსი: 1. „ხალი“ (გვ. 83); 2. „ნეტარ მას...“ (84); 3. „ამა სოფელს დამშთომიეს...“ (84); 4. „ეჟუკოსკიადამ (პოი სოფელო...)“ (გვ. 92. სარჩევი გამოტოვებულია) და 5. „ახ ვითა გშენის“. (გვ. 93); პირველი ლექსი წარმოადგენს სტროფს გრ. ორბელიანის მუხამბაზისას „სულით ერთნო...“ (აღნიშნულია 1928 წლის გამოცე-

მაში, გვ. VI); „ნეტარ მას“ ეკუთვნის ალ. ჭავჭავაძის (იხ. ვრ. ორბელიანის ცნობა, საქ. სალიტ. მუზ. ხელნაწერი № 84). ლექსი „ახ ვითა გშვენის...“ სადაოა და ჩვენის აზრით ვრ. ორბელიანს არ ეკუთვნის (ნახე ქვემოთ, ამ შენიშვნების ბოლოში).

კრებულს დართული აქვს შემდეგი ბოლოსიტყვაობა („გამომცემლისაგან“):

„თ. ვრ. ორბელიანის ლექსები პირველად უფ. პეტრე უმიკაშვილმა გამოცა 1873 წ., მეორედ მე გამოვეცი 1879 წ. გამოცემაში თვით პოეტმა მიიღო მონაწილეობა და უკანასკნელს კარეკტორას თვით ასწორებდა. ეს მესამე გამოცემა გადმოიბეჭდა ჩემგან გამოცემულის ერთი ეგზემპლარიიდან, რომელიც თვით პოეტის ხელით არის შესწორებული და გარდმოცემული თვით მისგანვე, რომ თუ ოდენსე დაიბეჭდოსო, ამ ეგზემპლარიიდან უნდა დაბეჭდოთო. ჩვენ დაბეჭდვით ეს და დაიციეით ყველა ის, რაც-კი პოეტისაგან რამე ცელილებანია შეტანილი.

ამ გამოცემაში, წინანდელ ლექსებს გარდა, სხუთ სხვა ახალი ლექსიც მიუმატეთ. ერთი „იეერიიდან“ გადმოებეჭდეთ, რომელიც ი. შეუნარგიამ მოამოყა და ოთხი ლექსი კი მე მოვიპოვე განსვენებულის ვრ. (თამარ ბატონიშვილის დამწერ) რჩეულობისაგან შეკრებილს ლექსებში. ეს ლექსები იმევე დროს პოეტსაც ვაჩვენე და იმან ესენი თავის ლექსებდა იცნო, თუმცა სხვებს კი დაუსაკუთრებიათ; ლექსი „ახ ვითა გშვენის“ „ცისკარ“-შია დაბეჭდილი, რომელსაც ასო — „თ“ უზის (შუკთომა: „კ“ უზის. ა. გ.), აქ დაბეჭდილი ეს ლექსი განირჩევა „ცისკარში“ დაბეჭდილის ლექსისაგან (არაა მართალი. ა. გ.). მეორე ლექსი „ნეტარ მას“ არეულია ალ. ჭავჭავაძის ლექსებში (მართებულადაც. ა. გ.). ლექსი „ამა სოფელს დამშთომის“ ესეც არეულია ალ. ჭავჭავაძის ლექსებში. ესევე ლექსი შეტანილია ბროსე-საგან გამოცემულს „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში, იქ ჭოშყარ ჩოლაყაშვილს აკუთვნებენ მას. მეხუთე ლექსი „ხალი“ აქამდის არ ყოფილა დაბეჭდილი.

ამ ლექსების ასე არევიარევიან მე არას ეიტყვი და მოუწოდებ ჩვენის მწერლობის მკლდნე პირთა, რომ იმათ განარჩიონ და განსაზღვრონ ეს; განსაკუთრებით უფ. პ. უმიკაშვილს და ი. შეუნარგიას, რომელნიც კარგათ იცნობენ, როგორც პოეტს, მის ცხოვრებას და მწერლობის კილოს, აგრეთვე მის ლექსებსაცა. მე აქ მხოლოდ პოეტის სიტყვას დაეინდე, რადგანაც თვით მან აღიარა, რომ ეგ ლექსები ჩემებიანო, მაგრამ აღარ მახსოვს როდის დაეწერეთ. ამ ლექსების თითო პირი მასვე დაუტოვე შესასწორებლათა, მაგრამ შემდეგ ისინიც დაიკარგა. თუ მაინცა და მაინც ამ ლექსებს ვრ. ორბელიანის ლექსებდა არ იცნობენ, შემდეგ გამოცემაში გამოსტოვონ“ (გვ. I—II).

დაახლოებით ამასევე იმეორებს ზ. ჰიჭინაძე (ზ. მთაწმინდელი) თავის ბროსურაში „ბესიკი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი“ (თბილისი, 1886 წ. გვ. 55-56): „ვრ. ორბელიანის ლექსები პირველად უმიკაშვილმა შეკრიბა და ცალკე გამოსცა 1873 წ., მეორედ მე გამოვეცი 1879 წ. გამოცემაში თვით პოეტმა მიიღო მონაწილეობა და უკანასკნელს კორექტურას თვით ასწორებდა. ამავ გამოცემის ერთი ეგზემპლარი შეასწორა და გადმოცა მე და მიიხრა, რომ თუ შემდეგაც დაბეჭდოთ, მაშინ ამ გამოცემიდან გადაბეჭდეთ და ყველა ეს ჩემი

გასწორებაც დაიციეითო. მე აღვასრულე მისი თხოვნა და მესამე გამოცემა გადავბეჭდე თვით მისი ნასწორები დედნიდამა“.

ამრიგად — 1884 წლის ტექსტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოეტის ნაწერების აკადემიური გამოცემის განხორციელების საქმეში.

1928 წლის გამოცემაში შევიდა ათი ლექსი, რომლებიც წინა გამოცემებში არ დაბეჭდილა — ექვსი უდაყო და ოთხი სადაო. უდაყო ლექსებია: 1. „ალბომში №-ს“; 2. „გაზაფხული“; 3. „იმედს“; 4. „აზარფეშაზე“; 5. „კინტოს სიმღერა“ და 6. „დავბერდი“. სადაო ლექსები: 1. „დილა“; 2. „ხმა ლომიანას საფლავიდან“; 3. „ნისლი გარს მომხვია“ და 4. „ოღეს მე პირველ...“ თვითუფლი ამ ლექსის ისტორიას მკითხველი გაეცნობა ამ შენიშვნების დასასრულს.

კრებულში დაბეჭდილია აგრეთვე ვარიანტები „სადღეგრძელოსი“ და რამდენიმე სხვა ლექსისა.

1928 წლის გამოცემას წინ უძღვის რედაქტორის ვახ. კოტეტიშვილის შესავალი წერილი. დართული აქვს შენიშვნები.

1935 წლის გამოცემაში შევიდა 1873, 1879, 1884 და 1928 წლების კრებულთა ლექსები და ვარიანტები, აგრეთვე — ბ. ინგოროეყას მიერ 1928 წელს გამოქვეყნებული ლექსები ლენინგრადიდან ჩამოტანილი „1832 წლის საქმის“ XXI რვეულიდან და ზოგი ახალი ფრაგმენტი იმავე „საქმედან“. მაშასადამე — პოეტის ნაწერების ამ კრებულში პირველად დაიბეჭდა შემდეგი მასალა: 1. „თუ ოცნებით ცრემლელთა...“ 2. „დ. ყორ...“ 3. „ზღვის კიდეს დგომით“. 4. „ს — სა“. 5. „ე — სა“. 6. „ნ...“. 7. „მას არ ეწიის თუ გული“. 8. „მასე“ („ნ...დმი“). 9. „შენცა მიმუხთლე“. 10. „ოღეს ოზვრით“. 11. „ლეგი, ოსმალ თუ სპარსი“. 12. „მისი სახელი კიხვითა“. 13. „ჰე ივერიაე!“ 14. „გულნი ივერთა გვაქვს მსხვერპლად“. 15. სატრფიალო ლექსები — ოთხეულები (რიცხვით 5). 16. სატრფიალო ლექსები — ორეულები (რიცხვით 5). 17. რუსთველზე (ფრაგმენტები — 2). 18. ფრაგმენტები (რიცხვით 9). 19. „აღსარება“ — თარგმანი“ (იხ. წინასიტყვაობის გვ. VII—VIII).

1928 წლის გამოცემაში ლექსების ავტორისეული მეტრული წყობა მეტწილად შეცვლილია 8 მარცვლიანი ტაქტებით. 1935 წლის გამოცემა უბრუნდება პოეტის ლექსების კომპოზიციურ სტილს (თუმცა არა ყოველთვის: მაგ. ნახე ლექსის „* * *“-ს („იმედს...“) ბეჭდვის ისტორია ქვემოთ).

1948 წლის გამოცემაში პირველად შევიდა ლექსი „დაეით ორბელიანზე“. არ დაბეჭდილა ე. წ. „სადაო ლექსები“ და ვარიანტები.

1951 წლის აკადემიურ გამოცემაში არ დაიბეჭდა ე. წ. „სადაო ლექსები“. სხვა მასალა დაბეჭდილია ახალი თანამიმდევრობითა და ახალი რუბრიკით. იქვე პირველად დაიბეჭდა რამდენიმე ფრაგმენტი „1832 წლის საქმის“ XXI რვეულიდან და სატირული ლექსი „დროების ათი წლის იუბილე“.

წინამდებარე გამოცემაშიც ტექსტთან ერთად, სქოლიოებში, იბეჭდება თვითონ პოეტის შენიშვნები, რომლებიც მეტწილად ლექსების აღრესატებს, ისტორიულ პირებს, ცალკეულ ეპიზოდებსა და გეოგრაფიულ სახელებს ეხება. ზოგჯერ გაუხსნელად და დატოვებული ის ინიციალები, რომელნიც აღრესატებისადმი

პოეტის სატრფიალო გაწყობილების ვეალირების ფორმებს წარმოადგენენ (მაგ. „სო...არ...“ და სხვ.).

უკუგდებულია ძველი ორთოგრაფიული ნიშნები „ჰ“, „ჟ“, „ჭ“ და მისთანანი. ზოგან დატოვებულია მხოლოდ იოტა (ჟ). გათვალისწინებულია გრ. ორბელიანის ენისა და სტილის ნიშნობლივი თავისებურებანი; თვითონ პოეტს კი სხეისი ხელით გადაწერილი ასლების სწორებისას მთავარი ყურადღება მიუძღვევია ცალკე სიტყვებისა და გამოთქმების უკეთესი ვარიანტით შეცვლისათვის, ხოლო სიტყვების დაწერილობის სიჭრელისათვის ყოველთვის ვერ მიუღწევნებია თვალი (მაგ. გრ. ორბელიანის ავტოგრაფებში სისტემატურად იხმარება ფორმა „ობრაჲ“, რომელსაც გადამწერნი სცვლიან ფორმით „ობერაჲ“ და ა. შ.).

მასალა ქრონოლოგიური პრინციპით არის დალაგებული და საფუძვლად უდევს პოეტის ბიოგრაფიის პერიოდიზაცია, ჩვენს მიერ მიღებული ჭერ კიდევ 1936 წელს (იხ. „წერილები“. I ტომის შესავალი წერილი. შდრ. აქვე წინასიტყვაობა), ლექსების თემატიკისა და მათი ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოს თვალსაზრისით უნდა ეიკოდეთ, რომ პრეტის ცხოვრება სამ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი მოიცავს ყრმობისა და სიჭაბუკის წლებს, სამხედრო კარიერის დასაწყისისა და 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის ხანას (1804 — 1832). მეორე პერიოდი — პოლონეთში სამსახურისა, სამშობლოში დაბრუნებისა და დაღისტანში სამხედრო მოღვაწეობის წლებს (1833 — 1857). მესამე პერიოდი მოიცავს თბილისში სხვადასხვა აღმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნისა, 70-იანი წლების ლიტერატურულ პოლემიკაში მონაწილეობისა და მოხუცი პოეტის ცხოვრების დანარჩენ პერიოდს (1858 — 1883). ამ ქრონოლოგიური ჩარჩოების მიხედვით არის დალაგებული ლექსები წინამდებარე გამოცემაშიც.

ქვემოთ თანმიმდევრულადაა მოცემული თვითეული ლექსის ტექსტური შედგენილობის აღწერილობა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მათი გამოქვეყნების ისტორია, ვარიანტები და ფილოლოგიური ხასიათის სხვა ცნობები. (1951 წლის გამოცემასთან შედარებით ზოგიერთი ადგილი შეესებულება, გასწორებულია ცალკეული ლაფსუსები და კორექტურული შეცდომები).

დ ი რ ი კ ა

1827—1832

„ანტონს“ (გვ. 3). პირველად დაიბეჭდა ე. „ცისკარში“, 1861 წ. № 11 (ნოემბერი), გვ. 331 — 332, სათაურით „ანტ...ადში“ და უთარილოდ. პ. უმიკაშვილისა (1873) და ზ. კიკინაძის (1879, 1884) გამოცემებში ლექსი დათარიღებულია ასე: „ნინოშიდა, 1827“. ლენინგრადისეულ ავტოგრაფში კი სწერია „მუხროვანი, 1829 წელს“. გამოცემებში ინიციალი გახსნილია და ლექსს ეწოდება „ანტონს“. 1873 და 1879 წლების კრებულები პოეტის სიცოცხლეში დაიბეჭდა და, უეჭველია, რომ

აეტორმა თვითონ უკარანაზა გამოშვებებს ინიციალის სწორი წაკითხვა. აეტორ-გრაფში ლექსს აქვს სათაური „რ ჩ ე ვ ა ან...ღმი“ („საქმის“ ფ. 4056 /b).

ვარიანტული განსხვავებანი:

„ცისკარი“ და აეტორგრაფი: „9. ვით ვარდისა სიტურთენი“. 1873, 1879, 1884, 1928, 1935 და 1948 წ.წ. გამოც. „9. ვითა ვარდის სიტურთენი...“

წ. კ. საზ-ის ხელნაწერში № 2456 ამ ლექსის (სათაურით „ან...ღმი“) ვარიანტი ახალს არაფერს შეიტაცს. დანარჩენი განსხვავებანი ორთოგრაფიული და კორექტურული ხასიათისაა. ტექსტი იბეჭდება აეტორგრაფისა და 1873 და 1884 წ. გამოცემათა შეჭერების საფუძველზე. მთავარი ცვლილება, რომელიც ტექსტში ორიგინალის მიხედვით შევიტანეთ, გამოიხატა შემდეგში: დღემდე ცნობილს გამოცემებში („ცისკარის“ ჩათვლით) სტროფი „მეგობრობასა სიციცხლეს“ იბეჭდებოდა მე-5 ხანად, აეტორგრაფში კი იგი მე-4 სტროფს შეადგენს (ისევე, როგორც წინამდებარე გამოცემაში). აეტორგრაფის სტროფთა ასეთი თანამიმდევრობა სავსებით გამართლებულია ლექსის შინაარსის მხრივაც: აღნიშნულ ხანაში აეტორი აგრძელებს ლექსის წინა სამი სტროფისთვის დამახასიათებელ დიდაქტიკურ მოტივს, ხოლო დანარჩენ (5 და 6) სტროფებში მიმართავს აეტოდეკლამაციის სიყვარულზე: დღემდე ცნობილ გამოცემებში ბოლო ორ სტროფს შორის უადგილოდ იყო ჩაჩიხული ეს ხანა „მეგობარსა“...

„ან...ღმი“ (როს გბედავ მნათო...) (გვ. 5). 1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოცემებში ლექსი დაიბეჭდა ნიშნით „* * *“ და თარიღით „გორი, 1839“. აეტორგრაფის მიხედვით გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ (ტ. „ქართული მწერლობა“, 1928, № 6-7, გვ. 267). ხელნაწერში („საქმის“ ფურც. 4057 /b). ლექსს აქვს სათაური „ან...ღმი“ და საერთო თარიღი მიმდევრო ლექსთან „მასხვე“: „ტბილისი, 1829 წელსა მაისის 7 დღესა“. ტექსტი შედარებულია ხელნაწერთან.

„მასხვე“ („ამა სოფელს დამშობიეს...“) (გვ. 6). ამ ოთხტაქიანი ლექსის ისტორია ასეთია: ზ. კიკინაძემ იგი პირველად შეიტანა გრ. ორბელიანის ლექსების 1884 წლის გამოცემაში (იხ. გვ. 84). გამოშვებული ბოლოსიტყვაობაში წერს: „...ლექსი ამა სოფელს დამშობიეს, ესეც არეულია ილ. კავკაიძის ლექსებში [ცისკარში. ა. გ.]. ესევე შეტანილია ბროსესაგან გამოცემულს „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში, იქ ჭიმშერ ჩოლაყაშვილს აკუთვნებენ მას“ (ბოლოსიტყ. გვ. II); აეტორგრაფი აღმოჩნდა ე. წ. „უნივერსალის კრებულში“. გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ (ტ. „ქართ. მწერლობა“, 1928, № 6-7, გვ. 267). 1884 წ. გამოაქვეყნებულ ტექსტსა და აეტორგრაფს შორის არაერთი განსხვავება არაა. ლექსს სათაურად გრ. ორბელიანის ხელითვე აწერია „მასხვე“ (იხ. 1832 წ. საქმის რგ. XXI, ფ. 4057 /b) და თარიღი, რომელიც საერთოა აგრეთვე ლექსისათვისაც „ან...ღმი“. საქ. ლიტ. მუზეუმის ხელ. № 84-ში შეტანილი ვარიანტი (უთარილო) ამ ლექსისა ზოგიერთს განსხვავებულ წაკითხვებს გვაძლევს; მაგ.

აეტორგრაფი და გამოცემები:

„2. ოდეს განელის ცხოვრების გზას და მეწვევის აღსასრული“

№ 84 ხელნაწ. 2. ოდეს განენელი...“ (თვითონ გრ. ორბელიანის ხელითაა ეს სიტყვა მართებულად ჩასწორებული ხელნაწერში).

სამაგიეროდ, არაა სწორი მეორე ვარიანტი პირველი ტაგისა № 84-ით:

„ამა სოფელს დამშენიეს...“

„ეკატერინა ჰე[ვ]ჰვაძი]-სახ“ (გვ. 7). პირველად: „ცისკარი“, 1852, № 2 (თებერვალი), გვ. 2, სათაურით: „ეკატერინა ჰე...“ და თარიღით „22 ივლისს 1836 წელს (?)“. მეორედ: აგრეთვე „ცისკარში“, 1860 წ. № 11 (ნოემბერი), გვ. 43ა-43ბ, უთარილოდ. 1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოცემებში კი — სათაურით „ეკ. ჰა...სახ“. ყველა ამ გამოცემაში თარიღი მოკლეა და ახალი: „წინანდალი 1829“, თარიღი დადგენილია „ცისკარი“-სა და 1873 წ. გამოც. მიხედვით — „22 ივლისს [1829] წ.“.

ვარიანტული განსხვავება არ არსებობს. შეიმჩნევა მერყეობა მხოლოდ ორთოგრაფიაში, უფრო პუნქტუაციის მხრივ.

ერთ-ერთი ვარიანტი ამ ლექსისა მოთავსებულია გრ. ორბელიანის წერილში ეკატერინესადმი, რიგიდან 1835 წლის თარიღით (იხ. „წერილები“, I, გვ. 34-35). ეს ბარათი იწყება ლექსის სამი ტაგით, რომელიც მცირედენ ვარიანტულ სხვაობას გვაძლევს:

წინანდლის ვარდო,

სახით ცისკარო,

სულითა მტრედო.

(იხ. იქვე, 34)

ბარათი თავდება იმავე (მთლიანი) ლექსით (ცნობა იქვე, 35).

წ. კ. საზ-ის ხელნაწერში № 3723 ამ ლექსის ვარიანტი უთარილოა და რაიმე სიახლეს არ შეიცავს.

ზომ არაა ეს ლექსი 1835 წელს დაწერილი? (მით უმეტეს, რომ იგი არ მოიპოვება „1832 წლის საქმეში“ დაცულ ავტოგრაფთა შორის!).

„მტირალ ნ...ს“ („თუ ტურფანი...“) (გვ. 8). პირველად: „ცისკარი“, 1861, № 8 (აგვისტო), გვ. 327, სათაურით „ნი...დმი“ და უთარილოდ. 1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოცემებში ინიციალით „მტირალი ნ...ს...“ და თარიღით „წინანდალი, 1829“. ლენინგრადისეულ ავტოგრაფს უზის თარიღი „ტბილისი, 1829 წელსა“ და სათაური: „მტირალისადმი. ს...“ (იხ. „საქმის“ ფურც. 5055 /b/)

ტექსტის გამოქვეყნებისას გათვალისწინებულია 1884 წლის გამოცემაც, თუმცა „ცისკარის“ ვარიანტს რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია („ცისკრით“: „5. ეგე ცრემლი, ოჰ, ვით გშვენის“; 1873 წ. და შემდგომი გამოც. „5. ეგე ცრემლი, ახ, ვით გშვენის“; ავტოგრაფში: „ეგე ცრემლნი, ოხ! ვით გშვენის“).

ავტოგრაფული ვარიანტი ლექსის უკანასკნელი ოთხი ტაგისა:

ოხ!.. ვით გშვენის ეგე ცრემლნი, თუ ოცნებამ მოაუღინა,

ვითა ნამი ზეციური გამოგბრწყინვის თვალთა შინა;

თუ შეგსწვიტო (სიე) შემნანდების, მშეენიერი მათი ღენა

ვარდებრივთა ლაწვთაზედა, მარგარიტთა გარდმოცივენა.

ქვევით ცალკე მიწერილია ერთი ვარიანტი პირველი სტროფისა:

თუ ონებამ მოავლინა, იგე ცრემლნი, ვითა გშენის
ვითა ნამი ზეციური თვალთა შინა გამოგბრწყინვის.

[მსტორ, არ ვნანობ, ვერც ნუგეშ გცემ, გიშერ ტურფას და მიხარის]
თუ შევსწყვიტო (?) შევინანებ, გიშერ ჩუმათ და მიხარის.

ოთხეუთხ ფრჩხილებში ჩასმული ტაეპი ავტორს გადაუხაზავს, მისი ვარჯიშითა მიმდევრო ტაეპი. ზემოთ წარწერილი სიტყვებით შემდეგ ასეა გასწორებული პირველი სტრიქონი:

თუ ონებით ცრემლთა აფრქვევ, ეგე ცრემლი, ახ, ვითა გშენის.

„მუხამბაზი“ („ნუ მასმევე ლენოს...“) (გვ. 9). პირველად: „ცისკარი“, 1861, №7 (ივლისი), გვ. 243-244. ტურნალში ლექსი უთარილოა. 1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოცემებში ყველგან აღნიშნულია: „თბილისი, 1829“. ტექსტი იბეჭდება ამ გამოცემათა მიხედვით.

„ცისკარი“ ლექსის რეფრენი ანუ პირველი ტაეპის („ნუ მასმევე...“) განმეორებანი თვითთული სტროფის მეექვსე ტაეპში შეკვეცილია და დატოვებულია მხოლოდ „ნუ მასმევე ლენოს...“ გამოცემებში რეფრენი მთლიანადაა დაბეჭდილი.

უკვე 1873 წლის გამოცემაში პოეტს (?) შეუტანია მცირეოდენი სტილისტური ცვლილებანი. მაგ. „ცისკარით“: 1) „24. ისმინე ვუღებო...“ 1873 გამოც. „24. ისმინე, ვღებო...“ 2) „16. მაშ მაგის ნაცვლად მასუნე ვარდს...“ (გამოცემანი); „ცისკარი“: „16. მაგ ვარდის ნაცვლად მასუნე ვარდს...“ 3) „ცისკარით“: „10. მის საჭურველად, იცი, კმარა...“; გამოც. „10. მის დისამონად, იცი, კმარა...“ 4). „17. და გინა მაშინ...“ („ცისკარი“); „17. და მაშინ გინა...“ (გამოცემანი); ცისკ. : „23. გინდ მომკალ...“ გამოც. „23. აწ გინდა მომკალ...“ ტურნალში დაბეჭდილი ტექსტი ზოგან კორექტურულადაც დამახინჯებულია.

ამ ლექსის ერთ-ერთი ვარიანტი შეტანილია საქ. სალიტ. მუზეუმის ხელნაწერში № 84. რეფრენი იქაც შეკვეცილია მეორე სტროფიდან. უახლოვდება 1873 წ. დაბეჭდილ ვარიანტს მცირეოდენი განსხვავებით. თარიღიც ისეთივეა („თბილისი, 1829“).

„ცისკარი“ და გამოც-ბი: „...გეტრფი მთვრალ ეშხით“. № 84 ხელნაწ. „...შართლ ეშხით“.

„ნ...დში“ („მნათობო, თვით შენ აღმისხენ...“) (გვ. 10). პირველად: „ცისკარი“, 1862, № 1 (იანვარი), გვ. 29-30, ინიციალით „ნ...დში“; მეორედ: ავტოგოვე „ცისკარი“, 1864, № 3 (მარტი), გვ. 91-92, იმავე ინიციალით. ორივეგან — უთარილოდ.

წ. კ. საზ-ის № 2456 : „ნ...დში“ და უთარილოდ.

უბიკაშვილის გამოცემაში (და მისი გავლენით ყველა დანარჩენ გამოცემებში) ლექსი დაიბეჭდა (ავტორის მითითებით თუ გამოცემლის შედგომით?) ინიციალით „მ...დში“. 1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოცემებში ლექსს აქვს თარიღი: „თბილისი, 1829“. 1935 წ. და 1948 წ. გამოცემებში ეს თარიღი ლენინგრადისე-

თბილისი

გრ. ორბელიანის

ლექსები

გამოცემა პეტრე უსტეპუილისა

ფსკი 1873 წელს

გრ. ორბელიანის ლექსების 1873 წ. გამოცემის გარეკანი.

ული ავტოგრაფის მიხედვით შეცვლილია ასე: „ზაქათალა, 1830 წელს [ა] ნოემბრის 7 დღესა“ (იხ. „1832 წლის საქმის“ ფურც. 4057 /B) მაგრამ არაა განმეორებული ავტოგრაფის ასომთავრული ინიციალი „ნ...“, რომელიც ემთხვევა ე. „ცისკარში“ დაბეჭდილი ტექსტის ინიციალს. ამიტომაც ჩვენ ვტოვებთ ავტოგრაფულ ინიციალს „ნ...“ ეს გარემოება ტექსტის შინაარსისადმი დამოკიდებულებას სცვლის (იხ. ზემოთ, გვ. 438-439).

ინიციალი „ნ...დმი“ დაუტყვეს წ. კ. საზ-ის № 2456-ის ვარიანტსაც (ეს ხელნაწერი გრ. ორბელიანს ხელთ ჰქონია).

ვარიანტული წაკითხვები უმნიშვნელოა. ცალკეულ რედაქციებს შორის მერყეობაა ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის მხრივ.

განსხვავება სიტყვათა მხრივ: ავტოგრაფი და წ. კ. საზ-ის ხელნაწერი № 2456: „5. მრავალგზის ვფუტყავ არ ვნახო“. გამოცემები: „5. მრავალჯერ ვფუტყავ არ ვნახო“.

ლექსის უკანასკნელ ორ ტაეპს შორის ავტოგრაფში მჭრქალი მელნით ჩაწერილია ზედმეტი ტაეპი:

„ეს იცი და მისთვის ჩემი, ტანჯვა სიცილად მიგაჩნის“.

„ადვილად ორბელიანზე“ (გვ. 11) პირველად: გრ. ორბელიანის „წერილები“ I ტომში, გვ. 239. ავტოგრაფი (იხ. საქ. არქივის № 171, ფურც. 104 /B) წარმოადგენს ძალიან მჭრქალი ფანქრით მინაწერს დ. ორბელიანის ბარათზე გრიგოლ ორბელიანისადმი. წერილს აქვს თარიღი — 1829 წლის 2 სექტემბერი. მეოთხე გვერდზე, სწორედ თარიღის ახლოს, მარჯვნივ, გრ. ორბელიანს გვიან მოუწერია ეს ლექსი, რომლის ერთი ტაეპი „ვითარ გისმენდი...“ სხვა მელნითაა ჩაწერილი (ნაკვალად ფანქრით ნაწერი და შემდეგ ავტორისგანვე მელნით გადახაზული ტაეპისა „მახსოვს ვით გლვჯდენ ოხრეა, კენესა გლახ შენსა გულსა“, რომელსაც ჩვენ აქამდე ვტოვებდით, იხ. 1948 წ. გამოც., გვ. 17). ტექსტი ძნელი ამოსაყოფი იყო. 1951 წელს ხელახალი შედარებისა და დაკვირვების შემდეგ შესაძლებელი გახდა მისი საბოლოო დადგენა.

„[ადვილად] ყორღანაშვილს“ (გვ. 1) პირველად: ეურნ. „ქართ. მწერლობა“ 1928, № 6—7, გვ. 261. (ლენინგრადისეული ავტოგრაფის მიხედვით). ლენინგრ. კრებულის ხელნაწერში (იხ. „1832 წ. საქმის რე. XXI, ფურც. 4048/ა) ლექსს აქვს ინიციალი „დ. ყორ...“ და თარიღი: „ტულით. სეკდემბრის 26 დღესა 1831 წელსა“. ლექსი ძალზე მჭრქალი მელნითაა ნაწერი. ჩვენი ტექსტი შედარებულია ორიგინალთან.

„მ...დმი“ („თავყანისმცემელთ რის გუნდი...“) (გვ. 13). პირველად „ცისკარი“, 1862, № 3 (მარტი) — გვ. 232, უინიციალოდ (**) და უთარილოდ. ვარსკვლავებს ქვეშ არაა დასახელებული სასიმღერო მოტივი.

1873 წლის გამოცემაში ინიციალით „მ...დმი (ჰსძგერს გლახ გულის ხმაზედ),“ 1879 და 1884 წ. გამოცემებში კი ინიციალით „მ...დმი“ (განმეორებულია სასიმღ. მოტივის სახელწოდებად). 1928 წლის გამოცემა უბრუნდება 1873 წლის ინიციალს, 1935 და 1948 წ. წ. გამოცემებში — ინიციალი „მ...ს“, ავტოგრაფში (საქ. არ-

ქივის № 171, ფურც. 174 /ა) სათაურით „გზის გუშაგად მდგომარესა... ხმაზელ“ და თარიღით: „პულკოვა, 1831 წელს, დეკემბრის (?) 9-სა.“

გარდა 1935 და 1948 წ. წ. გამოცემებისა ყველგან აღნიშნულია თარიღი „თბილისი, 1837“. უკ. გამოცემებში ლექსს აქვს მთლად არახუსტად წაკითხული თარიღი „პულკოვო, 1831 წ. დეკ. 9“ (ლენინგრადისეული ავტოგრაფის მიხედვით). ავტოგრაფის თარიღი სწორია: გრ. ორბელიანი 1837 წელს თბილისში არ იმყოფებოდა, იგი 1838 წელს დაბრუნდა პოლონეთიდან. თანაც: 1832 წლის საქმეებში ვერ მოხედებოდა 1837 წელს დაწერილი ლექსი.

ვარიანტული განსხვავებანი:

1) ავტოგრაფი: „1. თაყვანისმცემელთ როს გუნდი გარე შემოგრაფის ფარკანებრ“.

„ცისკარი“ და გამოც: „1 თავსა გველება ფარკანებრ“.

2) „ცისკარი“ და ავტოგრაფი:

„6. არც მოხედვით, არცა სიტყვით არა ღირს მყოფ სანუგეშოდ“.

1873 წ. და შმდ. გამოც:

„6. არცა სიტყვით, არც მოხედვით არა ღირს მყოფ სანუგეშოდ“.

3) „ცისკ.“: „12. დაცინებით ვუმზერ რაყიფთ რომელთგან არაა მეშიშვის“.

ავტოგრაფი „ 12. „ „ „ „ არ
1873 და შმდ. გამოც: „12. შორით ვზივარ, შორით გიმზერ, შემოგხარი და მეცინის“.

4) ავტოგრაფი: „3. ქებათა მათგან უგულოდ...“

„ცისკარი“ და სხვა გამოც: „3. მათ უგულოთა ქებათა...“

დანარჩენი განსხვავებები ცალკე ასობებსა და ორთოგრაფიას შეეხება.

1926 წელს ეს ლექსი საქ. არქივის № 171-ის მიხედვით შეცდომით დაბეჭდა მ. ზანდუკელმა, როგორც „გრ. ორბელიანის გამოუქვეყნებელი ლექსი“ („მწათობი“, 1926, № 7, გვ. 51).

„იარაღის“ (გვ. 14). პირველად: „ცისკარი“, 1858, № 10 (ოქტომბერი), გვ. 63—66, სათაურით „იარაღისა-დმი“ და თარიღით „1834 წელსა. — ქ. ნოელოროდს“. შენიშვნები არა აქვს. მეორედ: „ჩონგური“, 1864, გვ. 124—127; მესამედ: „ცისკარი“, 1870, № 1 (თებერვალი), გვ. 33—37, სათაურით „იარაღისადმი“, უთარილოდ და შენიშვნების გარეშე 1873, 1879 და 1884 წ. წ. გამოცემებში — სათაურით „იარაღის“ და თარიღით — „ნოელოროდი, 1832“; 1928 წ. გამოცემაში — „1834 წელსა ქ. ნოელოროდს“. 1935 და 1948 წ. წ. გამოცემებში — „1832 წელსა, ქ. ნოელოროდს“. ავტოგრაფში — სათაურით „იარაღისადმი“ და თარიღით „მარტის 8-სა 1831 [უ. ა. 1832] წელს ნასლენდისის პრინც პრუსკის შტაბში“ (იხ. „1832 წ. საქმის“ ფურც. 4048 /b(და შმდ.).

ავტორის შენიშვნები პირველად 1873 წლის გამოცემაში გვხვდება.

1858 წ. „ცისკარში“ ლექსი 8 მარცვლიან ტაეპებადაა დაბეჭდილი (მოყოლებული ტაეპიდან „ჩვირნის მწვადი...“ ეიღრე ბოლომდე). გამოტოვებულია შემდეგი ტაეპები:

1. ოთხი ტაეპი, რომელიც იწყება სიტყვებით „გისმენდე, თუ ეით...“ (ჩენი გამოცემით 27 — 30).

2. პატრიოტული სტრიქონები — მოყოლებული ტაეპიდან „წარსულთა დროთა...“ ვიდრე ტაეპამდე „უსულოდ ვეშავს შიწად დასცემდეს?“ (ჩენი გამოცემით — 59 — 67). მათ ნაცელად „ცისკარის“ ტექსტში წერტილებია.

ვარიანტული განსხვავებანი:

1) „ცისკარი“ 1858 წ.: „41. ვისმენდე, თუ ეით...“

„ცისკარი“ 1870 წ.: „41. ვისმენდე...“ (ასევეა დანარჩენს გამოც-ში და ავტოგრაფში).

2) „ცისკარი“ 1858 წ.: „50... და ზრმალთ სრიალი“.

დანარჩენი ვარიანტები: „50... და ხმალთ კრიალი“.

ავტოგრაფი: „50. და ზრმალთ კრიალი“.

3) ავტოგრაფი: „უზანგთა ცემა, ცხენითგან ხტომა, კვალად შეხტომა და ზრმალთ კრიალი“.

„ცისკარი“ 1858 და 1870: „უზანგთა ცემა, ცხენითგან ხტომა კვალად შეხტომა და ხმალთ კრიალი“.

(ასევეა 1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოც-ში).

1928, 1935 და 1948 წ.წ. გამოც.: „ცხენით ქვე ხტომა, კვალად შეხტომა, უზანგთა ცემა...“

4) ავტოგრაფი: „ზოგი ჭირითით, თასსა სიმაღლით, ნიშნადა მჯდომსა, ძირს გადადგდებს“

(ხუთმარცელიანი ტაეპები ავტოგრაფში 20 მარცვლიანებადაა ნაწერი).

„ცისკარი“, 1858 წ.: „54 — 56. ზოგი თოფითა, მარჯვედ სროლითა ქვათგან გადადგდებს თასს ნიშნად ღგმულსა“.

„ცისკარი“, 1870 წ.: „54 — 56. ჭირითი ზოგის

ზუზუნით მოჭკრის

და მოხედა ქვაზე თასს ქვაზედ ღგმულსა“.

1873 და დანარჩ. გამოც.: „54 — 56. ჭირითი ზოგის

ზუზუნით მოჭკრის

და მოხედა ქვაზე თასს ნიშნად ღგმულსა“.

5) ავტოგრაფი, „ცისკარი“ 1858 წ. და 1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოცემები: „49. ცხენთა თქრიალი“

1928, 1935, 1948 წ.წ. გამოც.: „ცხენთა გრიალი“.

6) „ცისკარი“ და დანარჩ. გამოცემები:

„გარეთ მკლავს ყინეა და შინ უგარი“.

ავტოგრაფი: „ხან მკლავს სიცივე და ხან უგარი“.

7) ავტოგრაფი, „ცისკარი“ და 1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოც.

ქაბუკ-მხედარნი ყაბახსა ვრცელსა

ვითა საომრად მომზადებულნი

ვით ალვა რგულნი ცხენზედ უძრავად.

1928, 1935 და 1948 წ. წ. გამოც.:

კაბუჯ-მხედარნი ყაბახსა ვრცელსა
ტურფად დარაბტულ და დაკაზმულნი
ვით ალვა რგულნი, ცხენზედ უძრავად

ფრაზა „დარაბტულ და დაკაზმულნი“ გეხედება „იარაღისადმი“-ს სულ პირველი დედნის (შაეის) ფრაგმენტში, რომელიც თანაერთ არის მიწერილი საქ. არქივის № 171-ის მე-164 ფურცლის მეორე გვერდზე. იქვეა ასეთი ტაეპებიც (ზოგი მელნითაა ნაწერი):

„მე. ხიცივე მკლავს შენ მანდ უღარი“

„ნუ თხრაე ჩემო იარაღი შ—დ ზნელის ღამისა ცისკარი ნათლად... (?)“

„ეს არს მხოლოდ ნატერა ამას...“ და სხე.

8). აეტოგრაფი და 1873, 1879 და 1884 წ. წ. გამოც.:

„დაენატრი დროთა როს აქენდათ ტრფობა...“

შემდეგი გამოცემები:

„დაენატრი დღეთა, როს აქენდათ ტრფობა...“

დანარჩენი განსხვავებანი შეეხება ცალკე ასოებსა, ორთოგრაფიასა და პუნქტუაციის.

„გაზაფხული“ („ყუფელთა სულთა...“) (გვ. 18). პირველად დაბეჭდა მ. ზანდუკელმა წ: „მნათობში“, 1926 წ. № 7-ში (გვ. 51—53); ამოღებულია საქ. არქივის 171-დან (იხ. ფურც. 178 B და ს). ლექსს აქვს თარიღი, რომელიც ზუსტად ასე იკითხება.

„მარტის 28 დღეს 1832 წელი

ნასლედნიეის პრინციის პრუსიის შტაბი.“

ჩვენი ტექსტი ხელახლა შედარებულია ორიგინალთან.

„გამოსაღმება. ს—ს“. („ერთა ცის ნამი...“) (გვ. 20). პირველად: „ცისკარი“, 1852, № 2 (თებერვალი), გვ. 8. სათაურით „გამოსაღმება. გზის გუშავად მდგომიარეს ხმაზედ“, უთარილოდ და უინიციალოდ.; მეორედ — აგრეთვე „ცისკარი“, 1861, № 5 (მაისი), გვ. 31—32, უთარილოდ და უინიციალოდ.

თარიღი „თბილისი, 1831“ და ინიციალი („ს—ს“) სათაურის ქვეშ პირველად ჩნდება 1873 წლის გამოცემაში (გვ. 9). იგივე მეორდება 1879, 1884 და 1928 წ. წ. გამოცემებში. 1935 წლის გამოცემაში ლექსს აქვს თარიღი (აეტოგრაფიდან) „პეტრბურგი, ივლისის 15, 1832 წელსა“ (მდრ. 1948 წ. გამოც.).

ვარიანტები:

1) 1859 წ. „ცისკარი“: „5. ვერცა ცრემლთ ვაფრქვეე, ვერ ვუზნობ თვისსა სიყვარულს, თვის ტანჯვას“.

1861 წ. „ცისკარი“ „5. ვერცა ცრემლს ვაფრქვეე, ვერც ვუზნობ ჩემსა სიყვარულს, ჩემს ტანჯვას“.

1873, 1879 და 1884 წ. წ. გამოც. იმეორებენ 1852 წ. ვარიანტს მცირეოდენი განსხვავებით („ვერც ცრემლსა...“)

ავტოგრაფი (1832 წ.): „5. ცრემლთაჲ ვერ ვაუტკმევ, ვერც ვუბნობ თვისსა სიყვარულს, თვის ტანჯვათ“.

2) 1852 წ. „ცისკ.“: „6... ვერ აღმოვსთქვამ...“

1861 წ. „ცისკ.“: „6... ვერ გამოვსთქვამ...“

გამოცემები: „10 (იმეორებენ 1852 წ. ვარიანტს).“

ავტოგრა.: „10... რომ არა მოჰესთქვამ...“

3) 1852 წ.: „10. და მით უფრო მწვეს ჰე გულო“.

1861 წ.: „10 ...შიგნით მაოხრებს გლახ გულო“.

გამოც. „10. (იმეორებს 1852 წ. ვარიანტს)“.

ავტოგრა. „10 ...შიგნით მაოხრებს ჰე გულო“.

4) 1852 წ. რითმები „გარდმოქანდების || დაუძღურდების“ (11—12).

1861 წ. „ (გარდმოქანებულს || დაუძღურებულს)“.

გამოც.: „ (იმეორებს 1852 წ. ვარიანტს).“

5) 1852 წ.: 13 და 14 ტაქები არის („ესრეთი გული...“ და „თვისსა სიყვარულს...“).

1861 წ.: (არაა:)

გამოც. და ავტოგრა.: (არის).

6) 1852 წ.: „4... ან ჩემად სანუგეშებლად“. 1861 წ. გამოც.: „ანუ ჩემ სანუგეშებლად“. ავტოგრა.: „ან ჩემდა სანუგეშებლად“.

7) 1861 წ.: „16. და დრო მას ველარ შეჰმუსრაავს“. გამოც.: „16. დრო იმას ველარ შეჰმუსრაავს“.

ლექსის სრული ავტოგრაფული ტექსტი დატულია საქ. არქივის № 171-ში (ფურც. 179 /8), ოღონდ ლექსის პირველი ორი ტაქი აქ ადგილმეცვლილი სახით იკითხება (იწყება ტაქით „მარგარიტო ცრემლთა...“, რომელსაც მისდევს 1873 წ. და სხვა გამოცემათა პირველი ტაქი „ვითა ცის ნამი...“). ავტოგრაფი უსათაუროა. ინიციალი („ს—ს“) არა აქვს. თარიღი ზუსტად ასე იკითხება: „პეტერბული, ივლისის 15-სა 1832 წელს“. ვარიანტული სხვაობანი უკვე აღვნიშნეთ.

ლენინგრადისეულ კრებულში (იხ. „1832 წ. საქმის“ ფურც. 4050 /1) მოიპოვება აგრეთვე შემდეგი ავტოგრაფული შავი „გამოსალგების“ 13 ტაქისა. იხ იხილ:

ტრფობა უძღურთ გულთ წყაროს ჰგავს მათაგან გარდმოქანებულს, რაოდენ ველზე შორსა ვალს, ეგოდენ დაუძღურებულს ესრეთი გული ან ცრემლი თან განშორებით განჰქრების თვისსა სიყვარულს, თვისთ ტანჯვათ, და მერმე ნებითა ღზინობს. იგი არს საშიშ შემჭმელი ცეცხლი უხილაე, უალო არ აჩენს გარეთ ნიშანსა, შიგნით გაოხრებს ჰე გულო! მე არ ვსტირ, არც ვუბნობ არც თვის სიყვარულს არც ტანჯვათ. და მით უფრო ვარ უბედურ რომ არა მოჰმთქვამ მსგავსად სხვათ. გატრფი ვიდრემდის ვუბზერ მე მზის სხივთა, შექსა მთოვარის ვიდრემდის ოხრვა გინდ ერთი მშშთომია ნიშნად სიცოცხლის. ჩემსა ტრფობაზე არა აქვს დრო და სიშორეს უფლება

გული კლდოვანი რა ერთხელ მიიღებს ეშის ბეჭედსა
ღრო მისა ევლარ შემუსრავს, თუ არ შემუსრავს თვით კლდესა.

კანონიზებულ ტექსტთან შედარებით ტაქთა რიგი შეცვლილია და მათი თან-
მიმდევრობის აღსადგენად ავტორს ტაქები დაუნომრავს. ნუმერაცია დაახლ.
იყავს ცნობილ წესრიგს.

დამატებით აღნიშნავთ, რომ „გამოსაღმების“ ის ტექსტი, რომელიც № 171-
შია დატული, 1926 წელს მ. ზანდლუკელმა შეცდომით დაბეჭდა, როგორც მანამდე
უცნობი ლექსი პოეტისა („მნათობი“, 1926, № 7, გვ. 53-54).

„ღამე“ („მთვარე, აშოკთა მოწამე...“) (გვ. 22). პირველად: „ციცქარი“, 1852,
№ 2 (თებერვალი), გვ. 6, უთარილოდ. ლექსის ბოლო სტროფს შეცდომით მიკე-
რებული აქვს ყურნალის წინა გვერდზე დაბეჭდილ ლექსის (ორბელიანისავე
„N-ს“) ორი ტაქები („საამო სახილველად...“). ამიტომ ხელმოწერა „თ. გ. ორბე-
ლიანოვ“ აერთებს პოეტის ორ ლექსს — „ღამე“ და „N“. ავტორგრაფი მოთავსე-
ბულია საქ. არქივის № 171-ში (იხ. ფურც. 179/8 და 180/ა), სათაურით „ღამე“
და თარიღით: „პეტერბული 23 სექტემბერი 1832 წელს“. გამოცემაში თარიღი
ერთია „ნოვგოროდი, 1832“ (1928 წლის გამოცემაში კორექტურული შეცდომით
სწერია „1823“).

არსებითი ვარიანტული განსხვავებანი:

1) ავტორგრაფი: „ბულბულიც ბუჩქში ფარულად“.

გამოცემები: „...ბუჩქში დაფარვით“.

2) „ციცქარი“ 1852 წ.: „1. მთვარე აშოკთა მოწამე“. ავტორგრაფი და გა-
მოცემები:

„1. მთვარე აშოკთ მოწამე“.

3) ავტორგრაფი: „9. რათა შეირყა ვარდთ ბუტიქი?“

„ციცქარი“: „რითა შეირყა ვარდთ ბუტიქი?“

გამოც.: „რადა შეირყა ვარდთ .ბუტიქი?“

4) ავტორგრაფი: „15. არდა გვესმოდა გულთ ძგერა...“

„ციცქარი“: „გულთ ძგერა აღარ გვესმოდა...“

გამოც.: „ვედარა ვგვრძნობდით გულ-ძგერას...“

5) ავტორგრაფი და „ციცქარი“: „რთი აღმოჩნდა და განჭქრა?...“

1873 და 1879 წ.წ. გამ.: „ეს რა გამოჰსჩნდა? და განჭქრა...“

1884 წ. გამოც.: „ეს რამ იელვა და განჭქრა?...“

1928, 1935 და 1948 წ.წ.: „რთი აღმოჩნდა და განჭქრა!..“

6) ლექსის ზოგიერთ დაბეჭდილ ტექსტში („ციცქარი“-ს ტექსტის ჩათვლით)
გამოტოვებულია მთელი სტროფი (ჩვენი გამოცემით შეექვსე ხანა: „მთვარე აშოკთ
მოწამე...“), რომელიც მხოლოდ ნაწილობრივი განმეორებაა ლექსის პირველი
სტროფისა. ამ გარემოებამ თუ შეიყვანა შეცდომაში 1928 წლის გამოცემის რე-
დაქტორი და მისი გველენით 1935 წლის გამოცემის რედაქტორიც. მკითხველს
შენიშნავს, რომ ეს ხანა (მე-6 სტროფი) ორგანული ნაწილია ლექსისა და მოი-
პოვება ავტორგრაფულ ხელნაწერშიც (საქ. არქივის № 171, ფურც. 180/ა), აგრეთ-

გე 1873 წლის გამოცემაში. შესაძარებლად მოვიტანთ 1 სტროფს და რედაქტორების მიერ გამოტოვებულ ხანას (ავტოგრაფისა, 1873 წლისა და ჩვენი გამოცემის შიხედვით — მეექვსე სტროფს):

1. მთოვარე, აშოკთ მოწამე, სიამით ნათელს მოჰფენდა,
ნიავი სურნელთ ყვავილთგან ჰკრეფდა და ქროლით მოჰბერდა;
ბულბულიც ბუჩქში დაფარვით ვარდსა გალობით შეჰსტრფოდა,
და მის გულს ცეცხლი ტრფობისა უმეტეს აღგვზნებოდა.
6. მთოვარე, აშოკთ მოწამე, სიამონებით და გე მ ზ ე რ და,
ნიავი სურნელთ ყვავილთგან ჰკრებდა და ქროლით მო გ ე მ ბ ე რ და;
ბულბულიც ბუჩქში დაფარვით ვარდსა გალობით შეჰსტრფოდა,
და მით გულს ცეცხლი ტრფობისა უმეტეს აღგვეზნებოდა.

პირველ სტროფში „მთოვარე, აშოკთ მოწამე“ საერთოდ ჰვენს თავის ნათელს, ხოლო სტროფის ხილვის შემდეგ იგივე მთვარე მე-6 სტროფში ორივეს—პოეტს და მის სატროფს—დაჰშერს („დაგვეზერდა...“). იგივეა თქმული ნიავედაც („მოგებერდა...“) და ა. შ.

1928 და 1935 წ.წ. გამოცემათა რედაქტორებს ამ ნუანსისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ჩვენ აღვადგინეთ ავტოგრაფისა და 1873 და 1884 წ.წ. გამოცემათა შედგენილობა. დანარჩენი განსხვავებანი უმთავრესად ასოებს შეეხება. გამოსათვინიებელია ორი დეტალი: 1) ავტოგრაფი და „ცისკარი“: „23. გულისა სურვილთ...“ გამოცემები: „გულის სურვილთ...“ 2) ავტოგრაფი: „შაგრამ, ახი ემინი სიამისა...“ „ცისკარი“ და გამოცემები: „შაგრამ, ახ, ემინი მის ტკილილ...“

საერთოდ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ავტოგრაფსა და 1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოცემებს: პოეტს დაუხვეწია ლექსის სტილი და ცალკეული გამოთქმანი.

ტექსტი შედარებულია ორიგინალთან და გათვალისწინებულია ავტორისეული შესწორებანი.

„მირზაჩანას ეპიტაფია“ (გვ. 24). „ცისკარი“, 1862, № 12 (დეკემბერი) გვ. 287, უთარილოდ და სათაურით „ეპიტაფია მირზაჩანასის“.

1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოცემებში დაიბეჭდა სათაურით „მირზაჩანას ეპიტაფია“ და თარიღით „პეტერბურლი, 1832“. 1935 და 1948 წ.წ. გამოცემებში—თარიღით: „პეტერბურგი, 1832 წ., 12 სექტემბერი“. ავტოგრაფში (იხ. საქ. არქივის № 171, ფურც. 182/ა—„მირზაჩანას ეპიტაფია“). თარიღი ზუსტად ასე იკითხება: „2-სა ოკტომბერს 1831 სანკეტერბულს“.

ვარიანტული წაკითხვები:

- 1). „ცისკარი“, 1862 წ. და 1928, 1935 და 1948 წ. გამოცემა:
„4. რომ შვე ბედის წინ ჩემებრ მთვრალი უშიშრად დაჰქმლერ“.
ავტოგრაფი: „რომ ვით მე მთვრალი შვე ბედის წინ უშიშრად დაჰმლერ“
1873, 1879 და 1884 წ. გამოცემები:
„4. რომ შვე ბედის წინ შეუპოვრად ხამაღლივ დაჰმლერ“:

- 2) ავტოგრაფი და „ციცქარი“ 1862 წ.: „ნ. ვანდ ცა მოვლო...“
 ყველა გამოცემა: „ნ... ვინდ ცა განვლო...“
 განსხვავებაა სასვენ ნიშნებსა და ორთოგრაფიაშიაც.
- 3) ავტოგრაფი „4. რომ გზა ცხოვრების ღზინით განვლო, ვით მე ვიარე“.
 დანარჩ. გამოც.: „4. რომ გზა ცხოვრების განვლო ღზინით, ვით მე ვიარე“.

ჩვენი ტექსტი ხელახლა შედარებულია ავტოგრაფთან და გათვალისწინებულია უკანასკნელი რედაქციის (1884 წ.) გასწორებანი.

„ს“ („მერცხალნი — თელანი შენნი...“) (გვ. 25). პირველად: „ქართული მწერლობა“, 1928, № 6-7, გვ. 261. ავტოგრაფში (იხ. „1832 წ. საქმის“ ფურც. 4058 / მ) ასომთავრული ინიციალით „ს“ და თარიღით „პეტერბურს 18 ოქტომბერს, 1832 წელსა“. ლექსს შტრქალი ფანქრით გვერდზე მიწერილი აქვს ვარიანტები:

თელანი — მერცხალნი შენნი

შენნი ვარდნი ბაგენი.

„ე—ხა“ („ეინცა გაგიცნობს...“) (გვ. 26). პირველად. „ქართ. მწერ.“, 1928, № 6-7, გვ. 264. ხელნაწერში ლექსის ასომთავრული ინიციალია „ე—ხა“ და აქვს თარიღი: „პეტერბურს 24-სა ოქტომბერს[ა] 1832 წელსა“. 1935 წ. გამოცემაში თარიღი ცუდად არის ამოკითხული („პეტერბურს, 24 დეკემბერს 1832 წელსა“).

„ალბომში“ („როს გარდაშლიდე...“) (გვ. 27). პირველად ეჭურნ. „მნათობი“, 1926, № 7, გვ. 54, ავტოგრაფის მიხედვით (საქ. არქივის № 17, ფურც. 182 / მ) ლექსს თარიღი არა აქვს, მაგრამ ხელნაწერში იგი იმავე მელნითაა ნაწერი (და იმავე გვერდზე), რომლითაც ჩაწერილია წინა ლექსი „მირზაჯანა“, ამიტომ ლექსის ეს ვარიანტი უეჭველად ეკუთვნის 1832 წელს. მაგრამ პოეტის „დღიურის“ მიხედვით გრ. ორბელიანს პირველად იგი 1831 წ. 24 სექტემბერს დაუწერია. ამიტომ წინამდებარე გამოცემაში ლექსს ორმაგი თარიღი უზის. ჩვენი ტექსტი შედარებულია ავტოგრაფთან.

„* * *“ („მისი სახელი კიცხვითა...“) (გვ. 28). პირველად: ქ. „ქართ. მწერლობა“, 1928, № 6-7, გვ. 259. ავტოგრაფში ეს ლექსი სხვა ლექსებთან ერთადაა ჩაწერილი (იხ. „1832 წ. საქმის“ ფურც. 4053 / მ) უთარილოდ და უსათაუროდ. „საქმეშივე“ დაცულია ფანქრით ნაწერი ავტოგრაფული შავი ამავე ლექსისა (იხ. ფურც. 4054 / მ) ტექსტი შედარებულია ორიგინალთან.

„* * *“ („პე, ივრიაე...“) (გვ. 29). პირველად: ქ. მწერლ. 1928, № 6-8, გვ. 260; ტექსტი შედარებულია ორიგინალთან („1832 წ. საქმის“ ფურც. 4050 / მ).

„* * *“ („დღესა ამას სიყვარულმან...“) (გვ. 30). პირველად: ქ. „ქართ. მწერლობა“, 1928, № 6-7, გვ. 264, უსათაუროდ და უთარილოდ. მელნით ნაწერ ავტოგრაფში ლექსის მეოთხე ტაეპის ბოლოს ინიციალი „ს“ ფანქრითაა გახსნილი („ნინა“): ლექსი მიძღვნილია ნინო ჰაეპეაძე-გროზოვდოვისადმი.

ტექსტი შედარებულია ორიგინალთან („1832 წ. საქმის“ ფურც. 4050 / მ).

კარიანტი — „7. რათა შენ მიერ კოდლიმან ოდეს იწყოს ცრემლთა დენა“ — მიწერილია იქვე.

„ფრაგმენტები. წვრილი ლექსები“ (გვ. 31) და „ხატრფიალო ლექსები“ (გვ. 32). ამ რკალიდან პირველი ოთხი დათარიღებული ორტაეპიანი რითმიანი ლექსი (ე. წ. „წვრილი ლექსები“) პირველად დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის გამოცემაში (1873 წ. გვ. 3) და შემდეგ — ყველა დანარჩენ გამოცემაში. უმიკაშვილის გამოცემაში ოთხი-ეცს საერთო თარიღი აქვს: „1827 — 1832“. 1935 და 1948 წ.წ. გამოცემებში თვითვე ორტაეპიანს თავისი თარიღი აქვს, ზოგს — ლენინგრადისეული ავტოგრაფების მიხედვით.

„სატრფიალო ლექსები“ — (ა. ოთხტაეპიანი კუპლეტები. ბ. რითმიანი ორეულები და გ. ნაწყვეტები — რითმიანი და ურითმო) — პირველად დაიბეჭდა ე. „ქართულ მწერლობაში“ (1928 წ. № 6-7, გვ. 262-263) ლენინგრ. ავტოგრაფების მიხედვით. ისინი წერილადაა ნაწერი ერთი ფურცლის ორ გვერდზე („1832 წ. საქმე“ რკ. XXI, ფ. 4050 მ და ბ). მისი აღწერილობა მოგვცა პ. ინგოროყვამ: „ხელნაწერი... ცალკე ფურცელ ქაღალდს წარმოადგენს, ფართო ზომისა, რომელიც რამდენჯერმე გადაკეცილია. ხელნაწერი ყოველის მხრით, ყველა მისი კუთხეები დაფარულია წვრილი ნაწერით. ეს ხელნაწერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან აქ შენახულა, შავების სახით, მთელი რიგი გრიგოლ ორბელიანის უცნობი ლექსებისა (— მათ შორის სამი ლექსი, შეთქმულობასთან დაკავშირებული). სულ აქ მოთავსებულია შემდეგი ახალი, დღემდე უცნობი ლექსები: 1. „ჰე, ივერიე, ვიღრე იყო ქედმოდრეკილი“. 2. „ცხოვრთ ვეგსგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უვის“. 3. „გულნი ივერთა აქვს მსხვერპლად მზადა“. 4. „შენცა მიმუხთლე გონებაო“. 5. „რა უნდა აქვანდეს“. 6. „ღღესა ამს სიყვარულმან“. 7. „სიყვარული არს თავდაიწყება“. 8. „გრწამდეთ, ვის გული“. 9. „ისმინე ჩემი, ჰე სიყვარულო“. 10. „ნეტაეცა კვლავ შენი ხილვა მელირსოს“. 11. „სულისა ჩემის სადგურად“. 12. „ოდეს ოხრეთ მაგონდების“. 13. „წყალში წრე განიერდების“. 14. რუსთველზე (ფრაგმენტები). 15. სხვადასხვა ლექსების ესკიზები და ნაწყვეტები.

გარდა გრიგოლ ორბელიანის ამ ახალი ლექსებისა, ამავე ხელნაწერში მიწერილია პირვანდელი ესკიზები (რამდენიმე პატარა ნაწყვეტი) შემდეგი ცნობილი ლექსების: „სადღეგრძელო“, „გამოსალმება“, „ღამე“, „ნ...ს“ („ჰე, სიყვარულო“) და „სოფლელნი და მდინარე“ (იხ. „ქართული მწერლობა“, 1928, № 6-7, გვ. 239—240. შენიშვნაში იქვე: „ამას გარდა ხელნაწერში ჩანისმულია პირვანდელი კარიანტები უცნობი ლექსებისა „ს...სა“ და „ზღვის კიდეს დგომით...“).

1951 წ. გამოცემის ძირითად ტექსტში შევიდა ყველა ეს ფრაგმენტული ლექსები, რამდენიმე ახლის დამატებით და შემდეგი თანმიმდევრობით:

„რამ მგაშა თუ ქეეყანაზე“... (უმიკაშვილის გამოც. მიხედვით).

„როს ბუღბული...“ (ავტოგრაფის მიხედვით, „საქმის“ ფურც. 4048/ა

„სიყვარულსა ჭერარს...“ (ფ. 4048/ა ზღრ. წ.-კ.

საზის № 3723: „ვესპრომტი ნინა ჰაეკეაძის ასულს“.

„საამოა სახილველად...“ (ფ. 4058 /ა).

„ზღვის კიდის დგომით...“ (ფ. 4048 /ა).

„სიყვარული არს თავდადებულებათ...“ (ფ. 1050 /ა).
 „გარწამდეთ, ვის გული...“ (ფ. 4050 /ა).
 „ისმინე ჩემი, ჰე სიყვარულო...“ (ფ. 4050 /ა).
 „ნეტარ ქელაეცა...“ (ფ. 4048 /ა).
 „მარა არ იწვის თუ გული...“ (ფ. 4059 /ბ).

1935 წლის გამოცემაში ეს ოთხტაქიანი ლექსი („მარა არ იწვის...“) მ. მარცხლიან ლექსადაა დაბეჭდილი და მას მიეკრებულები აქვს კიდევ სამი რეჰარაქციონი კვლავიტი („მივივრის ესდენ სიყვარულსა...“ და ქვევით, იხ. გვ. 33, რომელნიც ხელნაწერში (4050/ბ) დამოუკიდებელ 16-მარცხლიან ტაქებს შეადგენენ (რედაქტორს გადახაზული ვარიანტებიც კი ლექსის ძირითად ტაქებად მიუჩნევიან). აი ტექსტი:

მივივრის ესდენ სიყვარულსა, ვითა იპრობს გული ერთი.

რა ეპყო ვინცა იწვის ეშუით, აქვს ნუგეშად მოთქმა ოდენ.

რა განვშორდე მხოლოდ ცრემლინი მუქმნას ნუგეშად გულისა.

მიპყვება ფანქრით გადახაზული ტაქები:

[ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა, დამბერეელ ეშუის ცეცხლისა]
 ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი უზომო სიყვარულსა.

გადახაზულია ფანქრით:

[რალად შეეშინდე ტანჯვა ვპსცან, ეით სიყვარულის მზრდელისა]

იგი არს ჩემი სამოთხე სადა არს სატრფო გულისა.

1935 წლის გამოცემაში ტაქები აქამდეა ამოწერილი და გაერთიანებული. ხელნაწერში ამის შემდეგ გადახაზულია წითელი მელნით:

[ტანჯვა არ მზრდელი ტრფობისა, რალად ეიშიშო ცრემლისა].

[ზაგენი ვარდთ ქარვად ქმნილნი ღმერთა მოაჩენდნენ სიამეს.]

მარგარიტთ ცრემლი ცრემლთ ჰსდევდა ნიშნად კმუნვისა მის ღაწუთზე,
 ვითა ცის ნაში დილითა ჰბრწყინევალებს ახლად შლილს ვარდზე.

(ტაქები „გამოსალმებიდან“)

ამის შემდეგ მიდის — „ოდეს ობრვით მაგონდების...“

ბოლოც ვხედავთ — ზემოთ მოტანილი ტაქები ერთს მთლიან ლექსს არ წარმოადგენენ. 1935 წ. გამოც. რედაქტორმა კი ისინი გაერთიანა და მიაკრა წინაქულებს: „მარა არ იწვის...“

„* * *“ („ოდეს ოხრვით მაგონდების...“) (ავტოგრაფის მიხედვით, ფურც. 4050/ბ). პირველად: „ქართ. მწერლობა“, 1928, № 6-7, გვ. 262.

„* * *“ („შენცა მიმუხთლე გონებაო...“) (ავტოგრაფის მიხედვით ფურც. 4050/ა).

პირველად: „ქართული მწერლობა“, 1928, № 6-7, გვ. 264. (მესამე ტაეპის რითმას — „ეოცნების“ — ზედ წარწერილი აქვს ვარიანტი — „ებლანდების“).

„წყალში წრე განიერდების...“ (ავტოგრაფის მიხედვით, ფ. 4050/ბ)

„რა უნდა აქენდეს...“ (ფ. 4050/ა).

„დრო და სიშორე ვერ გაჰყარის...“ (ფ. 4050/ა).

„შენგან კოდრიე მწარედ...“ (ფ. 4050/ბ).

„აწსად ხართ გმირნო...“ (ფ. 4050/ბ).

„ესრეთთა ბნელთა...“ (ფ. 4050/ბ).

„მარამა ბელი...“ (ფ. 4050/ბ).

„მის სახე, მის ხმა...“ (ფ. 4050/ბ).

„რა ეჰყო ვინცა იწვის...“ (ფ. 4050/ბ).

„მე იგი მზე მძულს...“ (ფ. 4050/ა).

„აჰა ცის კარიც...“ (ფ. 4050/ბ); პირველად 1951 წ. გამოც. (ფ. 4050/ბ).

„სიტიკობება არს...“ (ფ. 4050/ბ); პირველად 1951 წ. გამოც.

„სიციოცხლე შეენის...“ (ფ. 4050/ბ „ „).

„არა უძღურს ჰყოფს...“ (ფ. 4050/ა „ „).

„სატრფოს ერთი შემოხედვა...“ (ფ. 4050/ა); პირველად 1951 წ. გამოც.

„აჰა ყარიბი...“ (ფ. 4050/ა).

„ვითა ღამეში...“ (ფ. 4050/ა).

„შენ ჰე, დღეო...“ (ფ. 4050/ბ).

1935 წლის გამოცემაში ნაწყვეტებს შორის შეტანილია ორი ტაეპი „სულისა ჩემის სადგურად არს თვალნი შენი ცეცხლებრნი...“ რომელიც ნაწილია კუბლეტისა „მარა არ იწვის თუ გული...“ რელაქტორი ვერ ამჩნევს, რომ ერთსა და იმავე ტაეპებს ორჯერ ბეჭდავს. ეს შეცდომა გავიმოვრეთ ჩვენც 1948 წელს. (მღრ. 1948 წ. გამოც. გვ. გვ. 19 და 34).

1951 წლამდე არც ერთ გამოცემაში არ შესულა „1832 წლის საქმის“ XII რვეულში შეტანილი ზოგი წერილი ფრაგმენტი და შავი ვარიანტები უკვე ცნობილი ლექსებისა. აი ისინი (მოგვეყავს ზოგიერთი):

1

ზღვის კიდეს ღვთობით მარგარიტი ვით იპოვება,
ტრფობისგან წყლულნი მხოლოდ ოხრვით ეის ექარვება,
ვის გტანჯავთ სურვა შევედ მედგრად ზღვას მწუხარების,

რომ მიხედვით საგანს და გელირით წყლულთა კურნება.

(ფ. 4050 /ა; შავია კუპლეტისა „ზღვის კიდეს დგომით...“ ავტორს თეითონ გადაუხაზავს).

2

ნამდვილი ტრფობა გინა რა სიტყვათ ეძებდეს, ვერ პოეებს,
რომე გამოსტქვას თვის გრძობა, არს მუნჯად მარა გვერმეთქეობს.

დრო და სიშორე ვერ განპყრის ორთა გულთა ერთად შეტკობილს,
ურთიერთთვის რომელნიც შობილ იქმნების ამ სოფელს.

(ფ. 4050 /ბ; აშიაზუა მიწერილი; შავია ტაეპებისა ლექსიდან „გამოსალმება“, ჩანაწერები, რომელნიც ჩვენი გამოცემის ძირითად ტექსტში ვერ მოხედნენ:

1

არა ჩვენთა დღეთ სიშრავლე
სიტკბოება არს სიცოცხლე (ფ. 4050 / ხ

2

უნებლიეთ ეინც განახავს (!) შენ თმას
და ვერ ისუნის გულს ლახვარი... (?). (ფ. 4050 /ბ).

3

ტრფობისა ძალმან აღზოცა სრულიად ძალა გონების (ფ. 4050 /ბ).

4

უფრო ძნელია რომ ცოცხალს მომხედეს ვირისა წიხლები.
ვირის წიხლები ცოცხალს მხედეს — სიკვდილზედ უფრო ძნელია.
(ფ. 4050 /ბ).

რომ ვირი წიხლებს მიმზადებს (ფ. 4050 /ბ).

5

მარამა გესმისთ ბარაბანთა ხმა ბანაკის (ფ. 4050 /ბ).

6

დღეს ახალს ჰშვენის ლხინი ახალი
და ჩვენცა პ-ლნი (სიცი) საესე ფიალით (იქვე).

„რუხთველზე“ (გვ. 37). პირველად: „ქართული მწერლობა“, 1928, № 6-7, გვ. 264, 265, ავტორგრაფის მიხედვით. ორიგინალს სათაურები არ აქვს წარმოდგენს ორ უთარილო ფრაგმენტს (იხ. „საქმის“ ფ. 4050/ა). შედარებულია ორიგინალთან.

იმავე „საქმის“ იმავე გვერდზე (4050/ა) ცალკეა დაწერილი ტაეპი: „მის მიჯრ... ჩანგი დაკრული... ესმა ექვსს საუკუნესა“. უპირველია — იგულისხმება რუსთველი. პირველად დაბეჭდა 1951 წ. გამოცემაში.

„მუხამბაზი“ („არავისთვის დღეს მე არა მცალიან...“) (გვ. 38). 1873 წლისა და შემდეგ გამოცემებში დაიბეჭდა თარიღით „აელაბრის კაზარმაში, 1833“. ავტოგრაფი არა ჩანს.

„ნავათნავს შიბაძვა“ („ქიანურო მალღალ...“) (გვ. 40). პირველად: „ცისკარი“, 1863, № 9 (სექტემბერი), გვ. 71-72, უთარილოდ. ავტოგრაფი არა ჩანს. იბეჭდება 1873 და 1884 წ.წ. გამოცემათა მიხედვით, რომლებშიაც (1879 წ. გამოც. ჩათვლით) დაბეჭდილია თარიღი — „აელაბრის კაზარმაში პერობილი, 1833 წ.“ და პოეტის შენიშვნები სქოლიოში. ვარიანტული წაკითხვები არაა.

„ხალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“ (გვ. 42). პირველად: „ცისკარი“, 1863, № 10, გვ. 147-148, სათაურით „ხალ... ბეჟანას მაგიერ“ და უთარილოდ. 1873 და 1879 წ.წ. გამოცემებში — სათაურით „ხალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“; 1884 წ. გამოც.-ში — იმავე სათაურით. თარიღი ყველგან ერთია: „ეილნო, 1834“. ერთნაირია ავტორის შენიშვნებიც სქოლიოებში. ვარიანტული წაკითხვები არაა. იბეჭდება 1873 და 1884 წ.წ. გამოც. მიხედვით.

„ცისკარში“ თითოეულ ორ ტაქსს არ მიჰყვება ამჟამად ცნობილი მესამე ტაქტიკურენი — „მზე, შინ შემოდიო“. 1873, 1879 და 1884 წლების გამოცემებში ეს რეფრენი დაბეჭდილია ასე: „მზეში შამოდიო“. 1928, 1935 და 1948 წ.წ. გამოც.-ში „მზე, შინ შემოდიო“ ეს ქართული ხალხური სასიმღერო მოტივი წმინდა სახით შეგვაქვს გამოცემაში. ავტოგრაფი არა ჩანს.

„ნ...“ („ჰე, საყვარელო ვის მიერ...“) (გვ. 44). პირველად: „ცისკარი“, 1852, № 2 (თებერვალი), გვ. 5. ინიციალით „ნ“ და თარიღით „ლექენბრის 13-სა 1835 წელსა“ (ეს თარიღი სანდოა). მეორედ: „ცისკარი“, 1862, № 10 (ოქტომბერი), გვ. 143-144, ინიციალით „ნ...“ და უთარილოდ. 1852 წლის № 2-ში ამ ლექსის ბოლო ორი ტაქტიკური („ტანჯვა არს...“) შეიკრებულა ძურნალის მეორე გვერდზე დაბეჭდილ ორბელიანისავე ლექსზე „ღამე“.

მესამედ: პ. უმიკაშვილის გამოცემაში (1873 წ.) და შემდეგ პუბლიკაციებში — ინიციალით „ნ...“ და თარიღით „რიგა, 1835“. 1928, 1935 და 1948 წ.წ. — „ნ...ს“ (1928 წლის გამოცემაში ორტაქტიკური სტროფები ოთხტაქტიკურ კულეტეზად და დაბეჭდილი, რომელსაც არც ერთი გამოცემა არ ამართლებს).

საქ. სალიტ. მუზეუმის ხელნაწერი № 84-ით — „მ...ს“ (ტექსტი ნაბეჭდ რედაქციას უახლოვდება).

ვარიანტები:

- 1) „ცისკარი“, 1852 წ. და ხელნაწ. № 84: „1... ძვირფას მიჩნს კვალად სიცოცხლე“.
1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოც. „1... ძვირფასად მიღირს კვალად სიცოცხლე“.
1928, 1935 და 1948 წ.წ. გამოც. „1... ძვირფასად მჩანს კვალად სიცოცხლე“.

- 2) „ცისკა“: „2... წყნარ ღიმილით“. დანარჩ. გამოც.: „წყნარის ღიმილით“, ხელნაწ. № 84: „...წყნარ ღიმილითა“.
 - 3) „ცისკარი“ და 1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოც.: „6... როს მოიდაროს“, 1928, 1935 და 1948 წ.წ. გამოც.: „6... როს მოიდრიკოს“.
 - 4) „ცისკარი“ და 1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოც.: „9. თვით სიშორეცა შემეგქმნა ეშხის (-ეშხის) ცეცხლზედ ცეცხლ დამმართი“ 1928, 1935 და 1948 წ.წ.: „9. თვით სიშორეცა შემეგქმნა ცეცხლზედ ცეცხლის დამმართი“.
- ავტოგრაფი არა ჩანს.

„ჩემს დახ ეფემიას“ (გვ. 45). პირველად: „ცისკარი“, 1858, № 11 (ნომბერი), გვ. 121—126, სათაურით „ჩემს დას ეფ...“ და თარიღით „1834 წ.“ პ. უმიკაშვილისა და შემდგეს გამოცემებში — „ჩემს დას ეფემიას“ და თარიღი „რიგა, 1835“, ეს უკანასკნელი უფრო სწორია: ვრ. ორბელიანმა დიდი ხანი დამყო სწორედ რიგაში 1835 წელს („წერილები“, 1).

1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოცემებში დაბეჭდილი ტექსტი აქა-იქ განსხვავდება დღეს ცნობილ ტექსტისაგან:
1928 და 1935 წ.წ. გამოცემით: „და სწორედ ვიტყვი, მრწამდა იგი ხმად მეგობრისა“

წინა გამოც.: „ვთქვაა, რომ მართლვე მრწამდა იგი ხმად მეგობრისა“.

1928 წ. და 1935 წ. გამოც.: „... იყო ეელურ და საშინელი“.

წინა გამოც.: „... იყო ველურ და საზარელი“.

ხელნაწერი № 84 (საქ. სალიტ. მუზეუმისა) 1873 წლის გამოცემას იმეორებს, ავტოგრაფი უცნობია.

„მუხამბაზი“ („სულით ერთნო...“) (გვ. 49). პირველად: „ცისკარი“, 1863, № 1 (იანვარი), გვ. 54 — 56, უთარილოდ. პ. უმიკაშვილისა და ზ. ჭიჭინაძის გამოცემებში — თარიღით „რიგა“ 1835 წ.“

1928 წლის გამოცემაში მართებულად არის შეტანილი ამ ლექსში მე-5 სტროფად ხანა „სატრფოს ხალი არს ტახტი სიყვარულის“, რომელიც ზ. ჭიჭინაძემ 1884 წლის გამოცემაში შეიტანა დამოუკიდებელ ლექსად (მანამდის „მუხამბაზი“ უამსტროფოდ იბეჭდებოდა) და სათაურით „ხალი“ (იხ. 1884 წ. გამოც. გვ. 83, სარჩევი — „სატრფოს ხალი“). ჩვენს გამოცემაში აღნიშნული სტროფი გასწორებულია 1884 წ. გამოც. მიხედვით.

ავტოგრაფი უცნობია.

„ხო...ორ...“ („ეარდი ხარ? — არა!..“) (გვ. 51). პ. უმიკაშვილის გამოცემაში (1873 წ. გვ. 39-40) ეს ლექსი დაიბეჭდა ინიციალით „ს...ს“ და თარიღით „თბილისი 1837“ (შედგომია), რასაც იმეორებენ 1879 და 1884 წ.წ. გამოცემები. 1928 წლის გამოცემაში თარიღია „რიგა, 1835 წ.“, ხოლო 1935 წლისაში — „რიგა 1835 წ. ნოემბრის 24“. ინიციალი — „ხო...ორ...“

სალიტ. მუზ. ის ხელნაწ. № 84: „ს...ს“ (ცული ასლია გამოცემათა ტექსტისა),

1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოც.: „30. გულ-გამწარებულს“ და „სვე გამწარებულს“.

შემდეგი გამოც.: „30. ზედ გამწარებულს“.

საქ. სალიტ. მუზ-ის ხელნაწერი № 84: „30. ზედ დამწარებულს“.

ავტოგრაფი უცნობია, მაგრამ ეს ლექსი შეტანილია წ. კ. საზ-ის № 3723-ში სათაურით „სო...ორ...“ და აქვს თარიღი „1835 წელს ნოემბრის 24 რიცხვში“.

ჩვენს გამოცემაში თარიღი ამ ხელნაწერის მიხედვითაა შეტანილი, თუმცა ტექსტის დადგენისათვის სხვა მხრივ მას მნიშვნელობა არა აქვს (რამდენიმე ტაბოთ მოკლევადი).

„ჩემი ეპიტაფია“ („როს ვიყავ ცოცხალ...“) (გვ. 53). შესამე, ძირითადი ვარიანტი ლექსისა (პირველი და მეორე იხილე „ვარიანტებში“). „საქართ. სასულიერო მახარებელი“, 1868, № 2, გვ. 64.

პ. უმიკაშვილის გამოცემაში (გვ. 42) ლექსს აქვს თარიღი „გორი, 1839“. ასევე — დანარჩენ გამოცემებში.

თუ გრ. ორბელიანს ლექსი 1863 წელს გაუსწორებია, რატომ უნდა მივიჩნიოთ 1839 წელს დაწერილი „ჩემი ეპიტაფია“ ძირითად ვარიანტად?

ავტოგრაფი არა ჩანს.

„აღბოში ღრ. ობ...“ (გვ. 54). პირველად: „ცისკარო“, 1861, № 1 (იანვარი), გვ. 119 — 122, სათაურით — „აღბოში ღ. ობ...“ და თარიღით: „1840-სა მაისის 5. დღესა, გორს“, 1873 წ. გამოცემაში — „აღბოში ღ. ობ...“ და თარიღით „გორი, 1840 მაისის 5“. 1879 და 1884 წ.წ. გამოცემებში — სათაურით — „აღბოში ღრ. ობ...“ და თარიღით „გორი, 1840“. 1928, 1835 და 1948 წ.წ. — „აღბოში ღრ. ობ...“ და თარიღით „1840 წ. მაისის 5 დღესა, გორს“.

ვარიანტები:

„ცისკარი“, 1861 წ.: „რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა“.

1873 და შმდ. გამოც.: „ნუ დააბნელებ ნიჭთა ციურთა“.

დანარჩენი განსხვავება ცალკეულ ასოებს შეეხება.

ავტოგრაფი არა ჩანს.

„* * *“ („ვინცა გნახოს...“) (გვ. 57). პირველად: პ. უმიკაშვილის გამოცემაში 1873 წ. გვ. 47. თარიღით — „გორი, 1840“. ყველა გამოცემა დამოკიდებულია უმიკა. გამოცემისაგან.

ვარიანტული წაკითხვები არ არსებობს.

იბეჭდება 1873 წ. გამოცემის მიხედვით.

პოეტის მიმართვის საგანი უცნობია. ავტოგრაფი არა ჩანს.

„ხალამო გამოხალმობისა“ (გვ. 58). პირველად: „ცისკარი“, 1860, № 9 (სექტემბერი), გვ. 125 — 128. თარიღით „1841 წ. მაისის 1 დღესა“. 1873 წ. გამოცემაში თარიღით „ვლადიკავკაზი. 1841, მაისის დღესა“ (გამორჩენილია რიცხვი დღისა). ამასვე იმეორებს ყველა გამოცემა. 1928 წ. გამოცემაში სტრიქონები ორადაა გაყოფილი.

„ცისკარი“ 1860 წ.: „1. ვზე ჩავეგნა, მარამა მის შუქი ჭყრაც კავკისსა“.

1873 წ. გამოც.: (იმეორებს „ცისკარის“ ვარიანტს).

1879 და 1884 წ.წ. გამოც.: „მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ეამს კავ-
ჯახსა“.

დანარჩენი განსხვავებანი მარტოოდენ ორთოგრაფიული და კორექტურულ-
ზასიათისაა. ავტოგრაფი არა ჩანს.

„ცისკარი“ (1860, № 9) „სალამო გამოსალმებისას“ წინ უძღვის რამდენიმე
სტრიქონი სათაურით „რედაქტორისაგან“ (გვ. 125):

„მცირედ დაგვიანებით მივიღეთ რედაქციაში კნიაზის გრიგოლ ორბელიანის
ლექსები, რომლისა გამო ვერ გავბეჭდევით ერთ-ერთი ლექსების ნაწილში, რად-
განაც დაბეჭდილი იყო, — ამისთვის ვბეჭდავთ ერთს იმ მშვენიერს ლექსებთაგან,
რომელიცა განაბრწყინვალეს ჩვენს ეურნალს. დღეის შემდგომს თითქმის ყო-
ველს ნომერში პოეზიით თვითო ლექს[ს] ზემოხსენებულის პოეტისას“.

„ეტლი პარბის, სატრფო მშორ დე ბოის...“ დანამდვილებით არ შეიძ-
ლება ითქვას, თუ ვის გულისხმობს პოეტი. ჩვენის აზრით — იგულისხმება ნინო
ქავთავაძე.

„* * *“ („პეი, გონება...“) (გვ. 60). პირველად პ. უმიკაშვილის გამოცემაში
1873 წ. გვ. 50, ნიშნით „* * *“ და თარიღით „თბილისი, 1843“. ასევეა 1879 და
1884 წ.წ. გამოცემებში. დასათაურებულია 1928, 1935 და 1948 წ.წ. გამოცემაში,
ავტოგრაფი უცნობია.

„მოგონება“ („აპა ადგილი“) (გვ. 61). პირველად „ცისკარი“, 1859, № 11
(ნომერი). გვ. 184-185, უთარილოდ. 1873 წ. და შემდგომს გამოცემებში — თა-
რიღით „წინანდალი, 1851 წ.“ ავტოგრაფი არა ჩანს.

ვარიანტული განსხვავებანი:

„ცისკარი“ (1859):

1873 და შემდ. გამოც.

„25. დრონი წარვიდნენ... თანა წარიღეს“

„25. დრონი წარვიდნენ... ჩვენგან
წარიღეს“

„28. იგივე დღეის ნეტარებისა“

„26. იგივე დრონი ნეტარებისა“

„ცისკარი“ (1859), 1873, 1879

1928 და 1935 წ.წ. გამოც.

და 1884 წ.წ. გამოც.:

„8. შენდამო ქებას ტყვილად იტყვიან“ „8. შენდამი ქებას ტყვილად იტყვიან“,
საქ. სალიტ. მუზეუმის ხელნაწერ რეეულში (№ 84) ამ ლექსს (სათაურით
„გრ. ოა.“ გრ. ორბელიანის ხელით მიწერილი აქვს: „თბილისი, 1846“. თარიღი
არაა სწორი — ავტორს დაპიწყენია იგი (რეეულის შედგენა ვკუთვნის 1870 წელს),
1886 წელს გრ. ორბელიანი წინანდალში არ ყოფილა (შდრ. „წერილები“-ს I
ტომი). ლექსი უეჭველად 1851 წელს არის დაწერილი (თანაც: ამ ხელნაწერში
ინიციალი „გრ[აფინია] ოპ[ერმანისას?]“ სრულიად არ შეეფერება თვითონ ლექ-
სის შინაარსს — წინანდლის მიდამოთა მოგონებას და დაღუპული სიყვარულის
დატირებას).

„დემიტ. ონ — ის დარღები“ (გვ. 63). პირველად: „ცისკარი“, 1860, № 10, გვ. 254 — 256, სათაურით „ო... დარღები. მიბაძვა“. უთარილოდ. 1873 და ყველა შემდგომს გამოცემებში — „დემიტ. ონ — ის დარღები“ და თარიღი — „კოჭორო, 1860“. ავტოგრაფი არა ჩანს.

ვარიანტული განსხვავებანი: 1873 წ. და შემდ. გამოც.:
„ცისკარი“ (1860):

„21. ქვეყნის თვალთ, დროა რომ შეშობრალო“ „21. თვალის ჩინო...“

1879 წ. გამოცემაში გასწორდა ორი ტაქტი:

„საკინძ ჩამოხსნილი, ხელში ჭამითა
სიხარულით ვსვამდე შენს სადღეგრძელოს“.

ეს ორი ტაქტი „ცისკარში“ დაბეჭდილია მცირე განსხვავებით:

„საკინძ ჩამოხსნილი, სავსე ჭამითა...“

1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოც. 1928, 1835 და 1948 წ.წ. გამოც.

„32. შენი ეშხი იმდენს მამცემს ძალასა“ „32. შენი ეშხი მომცემს იმდენ ძალასა“, „მუხამბაზი“ („გინდ მეძინოს...“) (გვ. 65). პირველად: ე. „საქართ. მოამბე“, 1863, № II, გვ. 187, სათაურით „ლოთური მუხამბაზი“ და უთარილოდ. ეპიგრაფი აქვს. მეორედ: „ჩონგური“, 1864, გვ. 101—103, უთარილოდ. მესამედ: „ცისკარი“, 1871, № 1 (იანუარი), გვ. 44—45, სათაურით „ლოპიანას დარღები“ და უთარილოდ. ეპიგრაფი არა აქვს.

1873 წ. გამოცემაში სათაურით „მუხამბაზი“ და თარიღით „კოჭორო, 1861“. ეპიგრაფი აქვს. ყველა შემდგომი გამოცემა მას იმეორებს. ავტოგრაფი უცნობია. ვარიანტული წაკითხვები:

„საქ. მოამბე“ (1863 წ.): „30. შენ ეს არ ჰსთქვა, ვიცი სულით ნაზი ხარ“

„ცისკარი“ (1871): „30. ვიცი ამას შენ არ მეტყვი, ნაზი ხარ“

1873 წ. გამოც.: „30. შენ არ იტყვი ამას, სულით ნაზი ხარ“

1879 წ. და შემდგომი გამოც.: „შენ არ მეტყვი, ვიცი სულით ნაზი ხარ“,

„ცისკარში“ ორტაქტიანი რეფრენი შეკვეცილია ასე: „გინდ მეძინოს...“

„საქ. მოამბე“ (1863), „ცისკარი“ (1871), 1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოც.

„ეგ თვალები ცაში ელეა მგონია

ვარდის სუნი შენი სუნთქვა მგონია“.

1928, 1935 და 1948 წ.წ. გამოც.:

„ეგ თვალები — ცაში ელეა მგონია

ვარდის სუნთქვა — შენი სუნთქვა მგონია“.

„მასუხი შვილთა“ (გვ. 67). პირველად „ცისკარი“, 1874, № 7-8 (ივლისი — აგვისტო), გვ. 1—8, სათაურით „მასუხი უღირსთა შვილებთა“, ფსევდონიმით

„მედი სემინარისტი“ და თარიღით „1874 წელსა, აბაღციხიდან“, აქვს ეპიგრაფი: „ასეთმა ფურმა დამწიხლოს, ვგწველელი ამიძსოს. გლებური ანდაზა“. სკოლაში მხოლოდ ორი შენიშვნაა ავტორისა.

მეორედ: ზ. ჭიჭინაძის გამოცემაში 1879 წ. (გვ. 82—89), სათაურით „პასუხი ზვილბთა“, უთარილოდ და ავტორის ყველა შენიშვნებით სკოლიკობში. მესამედ: მისივე გამოცემაში 1884 წ. (გვ. 86—92). ლექსს აქაც თარიღი არა აქვს, არც შენიშვნები. ამრიგად 1879 წლის ტექსტი ძირითად ტექსტად უნდა მივიჩნიოთ.

არც ერთს ცალკე ბეჭდვითს გამოცემაში ლექსს ეპიგრაფი არა აქვს. ტექსტი იბეჭდება 1879 და 1884 წ.წ. გამოც. მიხედვით. ავტოგრაფი უცნობია.

ვაჩიანტული ვანსხეავენანი:

„ცისკარი“ (1874):

1) „ულირსნო შეილნო
გზა დაკარგულნო“

2) „დრო მამებისა
მამაცობისა“.

(იგივე 1879 წ. გამოც.).

3) „და უზრდელობით“

4) „რაც შეესწავათ საუყუნოებს“

5). „ცისკარში“ სულ არაა სამი სტროქონი:
„ღმერთი არ არის?“ და შემდ.

6) „ჭრაა—სიტყვაა“

7) „ჩაქვი ჰსჯობია თავისუფლებას“.

8) „და ამაყობით თავმოწონებას...“
1879 და 1884 წ.წ. გამოც:

1) „სრულ წაგვიბილწეს...“

2) „მ...ს...ი, მეველე, მელიქალები“

ბეჭდვითი გამოცემები:

„პე, განუსჯელნო
უმადლო შეილნო“

1884 წ. და შემდ. გამოც:

„დრო მამებისა
ეაეკაცობისა“.

„და უმეტრებით“.

„რაც შეეძინათ საუყუნოებს“

„სიტყვა — სიტყვაა“

„ოქროს ჩაქვი ჰსჯობს თავისუფლებას“

„და უმეტრების ამაყობასა...“

1928, 1935 და 1948 წ.წ. გამოც:

„სრულ წაგვიბილწეს...“

„მესხი, მეველე, მელიქალები“

„დროების ათი წლის იუბილე. ფერხული და ბუქნა“ (გვ. 73). პირველად გამოაქვეყნა ს. ხუნდაძემ ილ. ჭავჭავაძის არქივიდან ავტოგრაფის მიხედვით. პირველად შევიდა პოეტის ნაწარმოებთა 1951 წ. გამოცემაში.

„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ (გვ. 76). პირველად: გაზ. „ივერია“. 1877, № 6, გვ. 5-6, სათაურით „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, ფსევდონიმით „ქსნისხვეელი“ და უთარილოდ. მეორედ: ზ. ჭიჭინაძის გამოცემაში 1879 წელს (გვ. 73—76), სათაურით „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და თარიღით „1877“ და შემდგომს გამოცემაში. ავტორის ორი კომენტარი დაბეჭდილია გაზეთშიაყ, ხოლო შესწორებული სახით (ალბათ—ავტორის მიერ)—1879 და შემდგომს გამოცემებში. ავტოგრაფი არა ჩანს.

ვარიანტული განსხვავებანი:

გაზ. „ივერია“:	1879 წ. და შემდ. გამოც:
„და ვით წარსულსა“	„და ვით განვილილსა“
„...ვით შერისხულნი“	„ვის შერისხავნი“
„საარწმუნოების გულში დანერგვით“	„და დაღვეს ვერად სხვა ერთა შორის“.
„“	„ . . .“
„შრომით, მხნეობით	„ძღვეის დიდებით
და განჰქრეს ბნელი უმეტრებისა“	საშობლო მიწის სიყვარულითა“
„არუსთაველის ხმა გულის მიმტაცი“	„სიტყვა ქართული რუსთაველისა“
„და მე ველარ მცნობ დამცირებულსა	„და მე ველარ მცნობ გულშემუსერილსა
სულითა მოკლეს, უდბად ქმნილსა	დამცირებულსა
შორს შორეულსა	ხამაიღებულსა
შენს უღირსს შევილსა“	ბედ დაკარგულის ივერიის ძეს“

ამ სტროფს „ივერიაში“ არ მისდევს საში ტაეპი „ეკვით აღვისილსა“ და შემდგომში. გამოტოვებულია აგრეთვე საში ტაეპი „რომ განვილიდინეთ“.. და შემდეგ სკოლიოში ჩატანილი ორი შენიშვნა გაზეთში ასეა დაბეჭდილი:

„* ქართველებმა, შავი ღრო, დაარქვეს სახელად ლანგ თემურის და შაჰ აბაზის შემოსვლასა, რომელთაც სრულებით გააოხრეს საქართველო“.

„* * თამარ მეფე ყოველთვის ჭვარით აკურთხებდა ჭარას. სალაშქროდ გამზადებულს“.

ტექსტი იბეჭდება 1879 და 1884 წ.წ. გამოც. მიხედვით.

„მუშა ბოჭულაძე“ (გვ. 79). პირველად: გაზ. „ივერია“, 1877, № 7. გვ. 8-9. ეელწერით „ქსნისხვეელი“ და უთარილოდ. მეორედ: 1879 წ. გამოცემამ (გვ. 76-81), აგრეთვე უთარილოდ. მესამედ: 1884 წ. გამოცემაში (გვ. 70-83; უთარილოდ.

ვარიანტული განსხვავებანი:

გაზ. „ივერია“:	1879 წ. და შემდ. გამოც:
„და აწ მხოლოდ დამშთა ჩემს ბედად	„და აწ მხოლოდ დამშთა ესე ჩემს
ესე“	ბედად“.
„ივერია“ და 1879 წ. გამოც.:	1884 წ. და შემდ. გამოც.
„მავრამ ჩემთვის დღე სიმწარით დამდება	
„ათა? რისთვის? ეს რა ვერი მოვბარე“	(მეორე ტაეპი აეტორს ამოუღია).

„ივერიაში“ არაა ბოლო სტროფის წინა ხანის შემდეგი სტრიქონები:

„დილითვე ევჯი ქუჩის უწმინდურებას
რომ მის სუნი არ ეწყინოს შენს ცხვირსა“.

რამე ხანის ბოლო ტაეპად მეორდება სტრიქონი: „ათა? რისთვის?...“.

რომელიც მხოლოდ 1879 წ. გამოცემაშია ამ აღვილას. ტექსტი იბეჭედა უმთავრესად 1884 წ. გამოც. მიხედვით.

„უხალმუნო“ (გვ. 83). პირველად: ჟურნ. „ივერია“, 1879, № 5-6 (მაისი და ივნისი), გვ. 157, თარიღით „25 ივნისს 1879 წ.“ იგეგვა განმეორებული 1879 და 1884 წ. გამოცემებში („25 ივნისს 1879 წ.“). აქედან—1928, 1935 და 1948 წ.წ. გამოც.ებში. თარიღი სანდოა—1879 წლის გამოცემა პოეტს თვითონ გაუსწორებია. თავის ჩვენებაში (იხ. ლენინგრ. ფონდი, რე. XVIII, გვ. 3518) გრ. ორბელიანი აცხადებს „უხალმუნო“ შლეგელიდან ამოიწერეთ. ამ ლექსის შეს. იხ. აგრეთვე „დროება“, 1895, № 190.

იბეჭდება „ივერიის“ ტექსტის მიხედვით, რომელსაც შემორჩენენ შემდგომი გამოცემანი (1879 წ. გამოცემაში ვაპარულა კორექტ. შეცდომები, მაგ. „ნათელ-ოსული“ და სხვ.).

„აზარფეშაზე“ (გვ. 84). პირველად: ჟურნ. „ივერია“, 1885, № IV და V (აპრილი და მაისი), გვ. 134. ლექსი დაბეჭდილია ორ ტიპად და უთარილოდ. ჩვენს ტექსტს ეაქვეყნებთ „ივერიის“ მიხედვით.

„კინტოხ ხიმღერა“ (გვ. 84) პირველად: იქვე, გვ. 135. ებეჭდავთ ამ ტექსტის მიხედვით.

„* * *“ („ამედო, ნუ თუ ღმერთი ხარ...“) (გვ. 85) პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „ივერიაში“ (1885 წ. № № IV და V. (აპრილი და მაისი), გვ. 134: „ოთხი დაუბეჭდელი ლექსი თ. გრ. ორბელიანისა“). უთარილო. 1928, 1935 და 1948 წ.წ. გამოცემებში სათაურით „იმედს“. ვიცავთ ჟურნალში დაბეჭდილი ტექსტის ყველა თავისებურებას (1928, 1935 და 1948 წ.წ. გამოცემებში ტაბეები ორიადა გაყოფილი). ეარიანტული წაიხიბებები არაა. აეტოგრაფი არა ჩანს.

ეს ლექსი შორეულად ენათესაება ეუკოვისკის ლექსს „Мечты“.

„* * *“ („დავბერდი...“) (გვ. 86). პირველად: იქვე, გვ. 135, უსათაუროდ და ორ ტიპად. ჩვენ ჟურნალის ტექსტი აღვადგინეთ.

საერთოდ გრ. ორბელიანის ლირიკაში ხშირია ორტაეიანი რითმიანი და ურითმო ლექსები. ამიტომ—„აზარფეშაზე“ და „* * *“ („დავბერდი...“) ამიერიდან ისე უნდა დაიბეჭდოს, როგორც „ივერიაშია“ იგი გამოქვეყნებული.

ე პ ო ს ი

(1827 — 1870)

„სადღეგრძელო“. პირველად: ჟურნ. „ქრებული“, 1871, № 1, გვ. 1—38. სათაური: „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ლხინი, ერეენის სიახლოეს. თ. გრ. ორბელიანისა“. იწყება მიძღვნით: „თ. აღექსა... ვანტ. ძეს ორბელიანს“. შემდეგ: „სადღეგრძელო“ და ტაები: „შეპსწყდა ბინდისას ომი საზარი!..“ დღეს ცნობილი შინაშეგებთ—სამიოდე კომენტარის გარდა—სკოლიოებშია ჩატანილი. ჟურნალში პოემა არაა დათარიღებული. „ქრებულში“ დაბეჭდილი ტექსტი სათუძელად უღვეს ყველა ბეჭდეთს გამოცემებს (გარდა 1928 წლის გამოცემისა).

ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1871 წელსვე: „სადღეგრძელო. თბზულება თაე. გრი-
გოლ ორბელიანისა. გამოცემული ი. კერესელიძისაგან. 1871. ქ. ტფილისს“.
ტექსტს უჭირავს 3—17 გვ. მიძღვნა გადატანილია ბოლოში (იხ. გვ. 17.
„თა...ალ...ე... ორბელიანს“). ავტორის შენიშვნები აქვს. ისტორიულ პირთა სა-
ხელები დაყოფითაა დაბეჭდილი.

პოემა გადაიბეჭდა 1873, 1879, 1884, 1928, 1935 და 1948 წ.წ. გამოცემებში.
ცალკე აღსანიშნავია 1898 წლის გამოცემა, სადაც გრ. ორბელიანის ეს ნაწარმოე-
ბი სხვა ავტორების „სადღეგრძელოებთან“ არის დაბეჭდილი (იხ. „სადღეგრძე-
ლოები“. გამოცემა „გლები“-სა. ტფილისი, 1898 წ. გრ. ორბელიანის „სადღე-
გრძელოს“ უჭირავს წიგნაკის 3—20 გვ. მიძღვნა არაა. იქვეა დაბეჭდილი მამია
გურიელის, იე. კერესელიძისა და სხვათა „სადღეგრძელოები“).

მიძღვნა, რომელიც ყველა გამოცემაში (გარდა „კრებულისა“ და 1873 წ. გა-
მოცემისა) პოემის ბოლოსაა დაბეჭდილი, ასეთი ვარიაციის სურათს გვაძლევს:

„კრებული“: „თ. ალექსა... ვახტ. ძეს ორბელიანს“.

1871 წ.: გამ.: „თ. ა...ალ...ე... ორბელიანს“.

1873 წ.: „თ. ალექ. ვახ. ძეს ორბელიანს“.

1879 წ.: „თ. ალექ. ვახ. ძეს ორბელიანს“.

1884 წ.: „თ. ალექსანდრე ვახტ. ძეს ორბელიანს“.

დანარჩენი გამოცემანი რომელიმე ამ ვარიანტს იჩვენებს.

პ. უმიკაშვილი 1873 წლის გამოცემაში (გვ. 60) სპეციალურად შენიშნავს ამ
პოემის ირგვლივ:

„სადღეგრძელოს“ ზოგიერთი აღგილები თუმცა ერეენის ალების, 1827 წ.
შემდეგ არის დაწერილი, მაგრამ უმეტესი ნაწილი კი დამატებულია და ძველიც
შეცვლილია უკანასკნელად 1870 წელსა, ქ. ტფილისსა“.

რედაქციული ცელოებანი განუცდია მხოლოდ ცალკეულ სიტყვებსა და
ტაეებს. არსებითად „კრებული“-ს ტექსტის შედგენილობა უცვლელი დარჩენი-
ლა. მხოლოდ 1928 წლის გამოცემაში პოემიდან ამოღებულია იმპერატორის სა-
დღეგრძელო, რაიც რედაქტორის თვითნებური რედაქციის შედეგს წარმოადგენს
(იხ. 1928 წ. გამოცემის შენიშვნები).

ტექსტი იბეჭდება უმთავრესად 1884 წ. გამოცემის მიხედვით. გასწორებუ-
ლია უნებლიე შეცდომები.

ვარიანტული განსხვავებანი პოემის ძირითადი ბეჭდვითი გამოცემებისა:

- 1) „კრებული“: „15. გულის პირთ მდევნო, ნიჰო ციერო“.
1873, 1879 და 1884 წ. გამოც.: „15. გულის პირთ მდევნო, ნიჰო ციერო“.
- 2) „კრებული“: „წასულთა ძველად საუკუნეთა“.
დასახ. გამოც.: „წასულთა ძველთა საუკუნეთა“.
- 3) „კრებული“: „ვინ მოდგა? ვინ არს? ვისი აჩრდილი
დაჰმზერს იეერსა ჩაფიქრებითა“.

დასახ. გამოც.: „ეს ეინ გამოჩნდა? ვისი აჩრდილი
ლაკმზერს...“

4) „კრებული“ „სადღეგრძელოს“ დასაწყისი:
და „ხელმწიფეე ჩვენო
1873 წ. ძლიერო ბრძენო
გამოცემა: მხედარნი შენნი
ერთგულნი, მხნენი.

1879 წ. გამოც. „ხელმწიფეე ჩვენო
ძლიერო ბრძენო

აქ აკლია [შენიშენა რედაქტორისა, ა გ.
მხედარნი შენნი
ერთგულნი, მხნენი“.

1884 წ. გამოც.: „ხელმწიფეე ჩვენო
ძლიერო ბრძენო,
ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა!
მხედარნი შენნი
ერთგულნი, მხნენი“

ამრიგად: იმპერატორის სახელი მხოლოდ 1884 წ. გამოცე-
მაში (ე. ი. პოეტის სიკვდილის შემდეგ) ჩნდება პირველად.

5) „კრებული“: „მხოლოდ კაცს აძლევს ნიკს ზენა და არა გვარიშვილობა“.
დანარჩ. გამოც.: „ნიკს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა
გვარიშვილობას“.

6) „კრებული“, 1873, 1879 და 1928 წ.წ. გამოც.:

„ილევა ბინდი ღამისა, ცაში ეარსკვლავნი ჰქრებიან“

1884 წ. გამოც.: (შედომით):

„ილევა ბინდი ღამისა, ცაში ეარსკვლავნი ჰქრებიან“.

ოგორც მკითხველი ხედავს, მცდარი წაკითხვა („ილევა“) მოიპოვება მხო-
ლოდ 1884 წ. გამოცემაში. 1935 წლის გამოცემის შენიშვნებში კი აღნიშნულია:
„ილევა ს მაგიერად უნდა იყოს ილევა. აქ ალბათ კორექტურული შეცდომა
უნდა იყოს პირველ გამოცემებში (?), რომელიც შემდეგ გაიმეორეს
სხვებმა (?). ილევა ბინდი ღამისა... რაღაც უაზროა. ილევა ბინდი ღამისა, ე. ი.
გათენებისას“ (გვ. 160). ნამდვილად კი, როგორც ზემოთ მოტანილ პარალელე-
ზიდანაც დაინახავდა მკითხველი, „ილევა“ მოიპოვება, ვიმეორებთ,
მხოლოდ 1884 წლის გამოცემაში, და იგი შემდეგ არავის
გაუმეორებია. 1928 წლის გამოცემაშიც დაბეჭდილია
სწორედ „ილევა“ და არა „ილევა“.

7) „კრებული“ „ნიაეიე მოქრის დილისა გულისა მაგრილებელი“.

დანარჩ. გამოც.: „მოქრის დილისა ნიაეიე გულისა მაგრილებელი“.

დანარჩენი ტექსტური განსხვავებანი სრულიად უმნიშვნელოა და ეხება მხოლოდ ცალკე ასოებს, უმთავრესად ორთოგრაფიასა და პუნქტუაციას.

„კრებულში“ დაბეჭდილ შენიშვნებს შორის არ მოიპოვება მხოლოდ სამი კომენტარი:

1. შენიშვნა ვახტანგ მეფის მუხარადის შესახებ,
2. „ანტონ კათალიკოზის სიტყვა“.
3. შენიშვნა ზედგინძის გეარისაგან ამილახერიანთა წარმოშობის შესახებ.

„სადღეგრძელოს“ სრული ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი, სხვისი ხელია გადაწერილი, დაცულია საქ. მუზეუმში (საისტ. საეთნ. მუზეუმის №312). ნაბეჭდ ტექსტია და ამ ხელნაწერს შორის განსხვავებათა შეს. იხ. ქვემოთ („ტოლუბაში“-ს II ვარიანტის შენიშვნებში). დანარჩენ ავტოგრაფულ ხელნაწერთა შორის აღსანიშნავია საქ. სალიტ. მუზეუმის ხელნაწ. №84 (მოკლე აღწერილობა იხ. „ლიტერატურის მატრიანე“, 5, გვ. 63-64). 1-ლ გვერდზე დაწერილია მიძღვნა:

„მის ბრწყინვალეობას

ენიანა პელაგია წერეთლისას.

როს დახედავდე,

წაიკითხავდე,

გაიღიშებდე,

გომიგონებდე

მაგრამ ვაი-თუ მე ესრეთ ვარ შესაბარლო ხედისა

რომ აღარ მოგავონდები შეორედ წაიკითხვამდისა.

თ-ა გრიგოლ ორბელიანი [პოეტის ხელწერაა, ა. გ.]

1870 წელსა 17 მაისს

!ორბელიანის ხელია, ა. გ.]

ეს ლექსი წარმოადგენს ზუსტ განმეორებას პოეტის ლექსიანამ „აღბომში“ (1891-1892). მე-2 გვერდიდან იწყება ტექსტი.

სადღეგრძელო

ანუ

ომის შემდგომ ღამე ღზინი ერევის ხაზლოც

ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო

შექსწყდა ბინდისას ომი საზარი...

თავდება მიძღვნით: „თა...ალ...ვახ... ორბელიანს“ (უახლოვდება 1871 წლის გამოცემის ინიციალებს).

რედაქციულად ტექსტი ახლოსაა „კრებულში“ დაბეჭდილ დედანთან. ვინაიდან ეს ხელნაწერი 1870 წელს უკვე გადაწერილი ყოფილა, ამიტომ ჩვენ საქმე გვაქვს იმ საბოლოო რედაქციის ერთ-ერთ ასლთან, რომელიც საფუძვლად დაედო „კრებულში“ დაბეჭდილ ტექსტს. მართლაც: ხელნაწერი №83 შეიცავს

მათქმის უგელა იმ ძირითად ეარიანტულ წაკითხვებს, რომლებიც „კრებული“-ს ტექსტს განასხვავებენ, მაგალითად, 1884 წ. გამოცემის ტექსტისაგან; მაგ. № 83-ში ტაეპი „ეს ვინ გამოჩნდა? ვისი აჩრდილი“, იკითხება ისე, როგორც „კრებულში“- ტექსტში: „ვინ მოდგა? ვინ არს? ვისი აჩრდილი“ (მდრ. ზემოთ). № 83-ს ავლია იგივე შენიშვნები აეტორისა, რომლებიც არ მოიპოვება „კრებულში“- ტექსტის სქოლიოებში. არის მცირეოდენი განსხვავებაც. ასე, მაგ. მეფის სადღეგრძელოში არის ტაეპი, რომელიც „კრებულში“ არ მოიპოვება: „ნიკოლოზ ჯდო სულგრძელებითა“: ეს ტაეპი ბეჭდურს გამოცემებში მხოლოდ 1884 წლიდან ჩნდება. ხელნაწერში ისტორიულ პირთა სახელები ხაზგასმულია და ამ მხრივ უსილოვდება 1871 წლის გამოცემას. ამიტომ ვფიქრობთ: ხელნაწერ № 84-ს შეიძლება საფუძვლად უდევს 1870 წლის ეარიანტის რამდენიმე ასლი (ან შეიძლება გიადიწერს ხელთ ჰქონდა სწორედ ის დედანი, რომელიც „კრებულში“ დაიბეჭდა და შემდეგ კერესელოსის გამოცემასაც დაედო საფუძვლად). ამრიგად: ხელნაწერ № 84-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს „სადღეგრძელოს“ ტექსტის დადგენისათვის.

მიბაძვები და თარგმანები

1830 — 1864

* * * („პოი, სოფელი რად ხარ ესრედ...“) (გვ. 109). პირველად: ძურნ. „ივე-რია“, 1882, №№ IV და V, ამრილი და მისი, გვ. 62, სათაურით „იუოოესკიდამ“. იქვე რიდაქციის შენიშვნა: „ეს ლექსიც ბ. იონა მეუნარგიას დედოფლის ქალაღბში უპოვნია და ჯერ არსად დაბეჭდილა“. ვრ. ორბელიანის ლექსთა კრებულში პირველად შეიტანა ზ. ჰიჭინაძემ (1884 წ. გამოც. გვ. 92). ძურნალსა და კრებულში ლექსს აქვს თარიღი: „1832 წ. ნოვგოროდი“, შეიცავს ოთხ ტაეპს, ასევე 1928 და 1935 წ.წ. გამოცემებშიც (ტექსტი იხ. „ეარიანტებში“). ლენინგრადისეული აეტოგრაფის მიხედვით ეს ლექსი ორი სტრიქონით მეტია „ივე-რის“ ტექსტთან შედარებით: გამოქვეყნდა 1935 წლის გამოცემაში (გვ. 9) თარიღით „მუხროვანი 1830 წელი, იენისის 3 დღესა“ (მდრ. 1948 წ. გამოც. გვ. 10).

„ივერიაში“ დაბეჭდილი ტექსტი შევიტანეთ „ეარიანტებში“, ხოლო ძირითაღ ტექსტი ხელახლა შედარებულია აეტოგრაფთან („საქმის“ ფ. 4057/8), რ ომელსაც ინიციალები არა აქვს, ხოლო თარიღი ზუსტად ასე იკითხება: „მუხროვანი 1830 წელსა იენისის 3-სა დღესა“.

„ღბინი (მიბაძვა ბუშეინისა)“ (გვ. 110). პირველად: „ციხკარი“, 1860, № 11 (ნოუზნერი), გვ. 528, სათაურით „(ბუშეინიდამ)“ და უთარიღოდ. 1873 წლისა და შემდგომს გამოცემებში (გარდა 1935 და 1948 წ.წ. გამოც.). ლექსის სათაური ოღბინი (მიბაძვა ბუშეინისა)“ და თარიღი „პეტერბურღი 1832“.

ვარიანტული განსხვავებანი:

1). „ცისკარის“ ვარიანტი:

„4. ხან ჭამი აზარფეშასა, ხან ყანწი თასსა შესცლიდეს“
1873 წ. და შმდ. გამოც.:

„4. და ჭამი აზარფეშასა და ყანწი თასსა შესცლიდეს“.

2). „ცისკ.“: „6. და ცისკარს სატრფო ხვევნითა წარსულსა ლხინსა
მყვედრიდეს“.

1873 და შმდ. გამოც.: „6. და იგი ცისკრად ხვევენაში წარსულსა
ლხინსა მყვედრიდეს“

1884 წლის გამოცემაში სიტყვას „დალიე“ წინწკლები მოშორებული აქვს. ამ ლექსის ავტორგრაფი მოიპოვება 1832 წლის საქმეში, ე. წ. „ლენინგრადისეულ კრებულში“ (რე. XX I, ფ. 4057 /ა). ლექსს აქვს სათაური: „ლხინი“. ბოლოს, მარჯვნივ, აღნიშნულია დაწერის ადგილი: „ზაქათალას ჭინგვიზოლის კოშკი“. ხოლო მარცხნივ მკრქალი მელნით: „1830 წელსა, ნოემბრის 9-სა“. ავტორგრაფში სულ არაა დღეს ცნობილი ტექსტის ბოლო ტაეპი: „და იგი ცისკრად ხვევენაში...“ და თავდება სტრიქონით „და ჭამი—აზარფეშასა...“ რომელსაც წინ უძღვის წინამდებარე კრებულში მისი მიმდევრო ტაეპი („მეც ვსჭერტდე...“).

„აღსარება“ (გვ. 111). პირველად: ე. ჭკართ. მწერლობა, 1928, № 6-7 გვ. 258-259. ე. წ. „ლენინგრადისეულ კრებულში“ დატული ავტორგრაფის მიხედვით (შდრ. „1832 წ. საქმის“ რე. XX I, ფურკ. 4052-4053). ხელნაწერში აქვს მხოლოდ სათაური „აღსარება“ და ადგილის სახელი „ტიბლისი“.

ამ ლექსის შაეი, რომელიც პოეტს ფანქრით დაუწერია (იხ. ავტორგრაფიან „საქმეში“), შეიცავს „აღსარების“ ზოგიერთი ტაეპების ვარიანტებს:

ა. მის ჟამით მათდა ჩემს გულსა შურით ძიება ითვისა
მიხარის ოდეს ფიქრშია წარმომიდგების მტერთ კენესა.

ბ. ვარ მათის სისხლის მარადეამს დასანთხვევლად მოსურნე.

და ვარიანტები „აღსარების“ ბოლო ტაეპებისა:

ა₁ მსხვერპლისა შესაწირაეად გინა საყდარსა შევიდე

ა₂ გინა საყდარში შესულსა, ეამსა მსხვერპლთ შესაწირავის

ბ. და მისთვის ჩემს ბედს მამაო! სიხარულითა ვაკურთხებ!

1948 წ. გამოცემაში ჩვენ შეტდომით გამოეყავით ამ ლექსის ნაწილი „ღმერთ-სმალო და სპარსი...“, როგორც ცალკე ვარიანტი (იხ. გვ. 28-29).

„[ტუკოვსკიდაში]“ („მას უხაროდეს...“) (გვ. 113). პირველად: „ცისკარი“: 1861, № 3 (მარტი), გვ. 414 — 416, სათაურით „ტუკოვსკიდაში“ და უთაროდ მგორედ: პ. უმიკაშვილის გამოცემაში (გვ. 11) სათაურით „დავითს. [ტუკოვსკიდაში]“ და თარიღით, „პეტერბურღი, 1832“. ამ სათაურსა და თარიღს იმერტარებს 1879 წ. (გვ. 10) და 1884 წ. (გვ. 11) გამოცემები. 1928, 1935 და 1948 წ. წ. გამოცემებში გამოტოვებულია მიძღვნა „დავითს“ და ამის შესახებ არაფერი

თქმული რედაქტორების მიერ (მათ შორის — არც ჩემს მიერ 1948 წლის გამოცემაში).

უსათაურო ავტოგრაფი დაუტოვია საქ. არქივის № 171-ში (ფურც. 177 / A) აქვე თარიღი: „1832 წელს თებერვლის 22 დღესა ნასლედნის პრუსკის პოლკის შტაბში“.

ვარიანტ. განსხვავებანი:

1873 წ. შემდ. გამოც.

ავტოგრაფი — „ა, და ეშვი დღეთა“...

„ა, და ეშვი დღეთა“...

„ცისკარი“ (1861):

..7. ვის გული ტრფობით არ დასტკობიეს“.

..7. ვის გული ტრფობით არ დასტკობიეს“ . (ასეა ავტოგრაფში).

ავტოგრაფი:

-10. მხიარულ მარად დაუღვრომელი“
„ცისკარი“:

„მარად მხიარულ, დაუღვრომელი“ (ასეა „ცისკარშიც“).

..16. და შირბის ესრეთ მისი სიცოცხლე“

ავტოგრაფი და გამოცემანი:
„16. და მისი ესრეთ შირბის სიცოცხლე“

ავტოგრაფი:

..4. იმედსა ვინც ჭერ არ უტენიეს“

..ცისკარი და გამოცემები:
..4. იმედსა ჭერ ვინც არ უტენიეს“.

ავტოგრაფი:

..22. ვინც ჰრქვა ოხრეთ იმედს მშვიდობით“

„ცისკარი“ და გამოცემები:
..22. ვინც უთხრა ოხრით მშვიდობით“.

გრ. ორბელიანის საყვარელი სიტყვა „ოხრეთ“ ყველგან იბეჭდებოდა ფორმით „ოხრით“. ასევე სიტყვა „ეშვი“-ც, რომელიც ყველგან დაბეჭდილია „ეშვი“-ს ფორმით.

ჩვენი ტექსტი იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით, პოეტის გვიანდელი სტილისტური თუ რედაქციული ნუანსების გათვალისწინებით (თუმცა არა ყოველთვის).

„ვირი და ბულბული (კრილოვიდამ)“ (გვ. 114). პირველად: „ცისკარი“, 1858. № 1, გვ. 11-12. მიეწერება იე. კერესელიძეს. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ზ. ჭიჭინაძეს, როცა 1886 წ. წერდა: „1858 წ. „ცისკარში“ დაბეჭდილი ერთი ლექსი, თარგმანი კრილოვიდამ, რომელსაც მთარგმნელად იეანე კერესელიძე აწერდა, სწორედ ესევე თარგმანი მოქცეულია გრ. ორბელიანის ლექსებში. ეს ლექსი „ცისკარში“ მე ეხლა ვნახე, თორემ წინედ რომ მენახა საქმეს გაუიკვებდი, კერესელიძეს ეკითხე და მან მითხრა, რომ ის ჩემი ლექსიაო. არ ვიცი დმერთმანი რა სატყუარ კაცმა, სუ თუ ორბელიანს კი ისე გადაავიწყდა თავისი ლექსები, რომ ევლარ იცნო მისი რომელი იყო და სხვისა. ვნახთ სხვები რას იტყვიან“ (იხ. „ზეისიკი, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე და თ. გრიგოლ ორბელიანი. ზ. შთაწმინდელიძისა“, თბილისი, 1886, გვ. 55-56).

1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოცემებში ეს თარგმანი დაბეჭდილია სათაურით

„ვირი და ბუღბუღა (კრილოვიდამ)“ და თარიღით „ნოვგოროდი, 1832“ (ზოგან არის „წ“). გრ. ორბელიანისეული ავტოგრაფი დატულია საქ. არქივის № 171-ში (ფურც. 177/ა—178/ა), აქვს სათაური „ვირი და ბუღბუღა—ზღაპარი კრილოვის“ და თარიღი „პეტერბურღი 30 სექტემბერს 1832 წელსა“. თარგმანს თვით პოეტის მხრივ განუტედა მნიშვნელოვანი ცვლილებანი. ეს ჩანს ცალკეულ ზეგებების შედარებიდან (გათეალისწინებული არაა საქ. სალიტ. მუზ-ის ხელნაწერ № 84-ში შეტანილი ვარიანტი, რომელიც ბეკლერ რედაქციას იმეორებს):

1) ავტოგრაფი: „4. თუმც უოეელთაგან მსმენია

მარამ არა მრწამს, ვიდრემდის“

გამოცემები: „4. თუმცა ბევრთაგან მსმენია

მარამ არ მჭერა ვიდრემდის“

2) ავტოგრ. „7. მისთვის ფრიად მსურს გისმინო...“

გამოც. „7. მისთვის დიდად მსურს გისმინო...“

3) ავტოგრ. „8. ...დამღერა თავისებურად“.

გამოც. „8. ...შესძახა თავისებურად“.

4) ავტ. „9. ხან დაუსტეინა, დაჰყუდა...“

გამოც. „9. ხან დაუსტეინა, დამღერა...“

5 გამოცემების ძირითადი რედაქცია:

„10—11. ზოგჯერ ნაზად, ნაზად მისი ხმა მისუსტდებოდა

და მაშინ ვითა საამო შორს სალამური ისმოდა“

ავტოგრაფი (ავტორის გადაუხაზავს):

„10—11. ზოგჯერა სალამურივით ნაზად მისუსტდებოდა

და მაშინ ვითა გულმკედარი, მსმენელსა ეჩვენებოდა“.

ამათ ნაცლად საბოლოოდ დაუწერია:

„10—11. ზოგჯერ ნაზად, ნაზად, მისი ხმა მისუსტდებოდა

და მაშინ ვითა საამო სალამურივით ისმოდა“.

6) ავტოგრაფი: „23—24. ჰო მართლად, შენის სიმღერის მოსმენა არუაზ

მოაწყენს.

მარამა მეცოდები კი რომ ვერ იცნობ მამალსა ჩვენს.

გამოცემები. „23—24. ჰო, მართლად. შენი სიმღერა არა მოაწყენს მსმენელსა.

მარამ კი მებრალეები რომ ვერ იცნობ ჩვენსა მამალსა“.

ჩვენი ტექსტი იბეჭდება უმთავრესად 1884 წ. გამოც. მიხედვით. ავტოგრაფიდან აღებულია მხოლოდ თარიღი, თუმცა 1832 წელს არ ეკუთვნის ლექსის საბოლოო რედაქცია.

„სოფლელნი და მდინარე (კრილოვიდამ)“ (გვ. 116). პირველად: „ციცკარი“, 1860, № 1 (იანვარი), გვ. 61-62. მეორედ: „ციცკარი“, 1860, № 3 (მარტი), გვ. 196-197. ორივეჯერ უთარიღოდ. 1873, 1879 და 1884 წწ. გამოცემებში თარიღით „ნოვგოროდი, 1832 წ.“ და სათაურით „სოფლელნი და მდინარე (კრილოვიდამ)“.

„ციკრის“ იანვრის ნომერში თარგმანი შეეწერება ალექსანდრე ჭავჭავაძეს. მართხის ნომერში კი რედაქცია აცხადებს (იხ. გვ. 195: „რედაქციისათვის“):

„ერთის დიდის ბოდიშის მოხდა გემართებს როგორცა საზოგადოებასთან. ისე ბრწყინვალე კნიაზს გრიგოლ ორბელიანთან. ამ წლის, წარსულის იანვრის „ციკარში“ დავბეჭდეთ ჩინებული ლექსი „სოფელური და მდინარე“ კრილოვისა და ამ ლექსის გადმოღება მიეაწერეთ განსვენებულს კნიაზ ალექსანდრე ჭავჭავაძეს მამინ, როდესაც ეს ლექსი გადმოუღია კნიაზს გრიგოლ ორბელიანს. ამისთვის ჭერ პირველად ვითხოეთ კნიაზის გრიგოლისაგან სულგრძელებით მოტყუებისა, რადგან ქართული ანდაზად კარგად მოეხსენება „არ ცოდნა არ ცოდვათ“, შემდეგ დიდის გულისმოდგინებით ესთხოეთ ყველას „ქართველს, ვისაც კნ. გრიგოლ ორბელიანის ლექსები ევლება არ დაგვიჭირონ და გვათხოვონ დასაბეჭდავათა. — ამ ლექსის ხელმეორედ დაბეჭდვა და თვალის გადაღება ჩვენისავე თხოვნით იწება კნიაზმა, რადგანაც აქა-იქ სიტყვებში ცვლილებაც შეინიშნა.“

ვიარიანტული განსხვავებანი (გათვალისწინებული არაა ლიტ. მუზ-ის ხელნაწერი № 84-ში შეტანილი ზუსტი ასლი ამ ივანის ბეჭდური რედაქციისა):

„ციკარში“ (1860, № 3):

1) „ა — 4... აღელდებოდის

გააოხრებდის“

2) „ა — 8... და ზოგს სახლებსა უქცევდა ზოგის ცხვირს, ქათამს ჰსტაცებდა, ზოგის წისქვილი მიჰქონდა

და ესრეთ ხარკსა ძალათა ყოველწლივ სოფლით მოჰკრეფდა“

3) „23. მერე შეჰხედეს ერთმანეთს და თავთავისთვის დაბრუნდნენ“

4) „25. სადაცა ქრთამებს იყოფენ მღვიანნი ნაჩაღნიეებთან“.

დანართ. გამოც:

1). „ა — 4...აღელდებოდა

...გააოხრებდა“.

2). „ა — 8...ზოგსა სახლებსა უქცევდა ზოგისა ცხვირს, ქათამს, ზოგის წისქვილი მიჰქონდა.

და ესრედ ძალად ყოველწლივ ხარკსა სოფლიდან მოჰკრეფდა“.

3). „23. მერე შეჰხედეს ერთმანეთს და თავდაკიდვით დაბრუნდნენ“.

4). „25. სადაცა ქრთამებს იყოფენ მწერლები მღვიანბეგებთან“.

ამ თარგმანის ავტორგრაფი დაცულია იმ ხელნაწერში, რომელიც საქ. არქივის № 171-ში (ფურც. 178/В) მოიპოვება. ივანის ეწოდება „სოფელური და მდინარე — კრილოვის ზღაპრები“. აქვე თარიღი: „პეტერბურლი 6-სა ოკტომბერს 1832 წელს“. ავტორგრაფი ხასიათდება მხოლოდ ზემო მობანილი ტაეპების ვარიანტებით. აი ესენი:

„1. ...ყოველს წელს აღელდებოდის,

...სამინლად გააოხრებდის“.

„2. და ესრეთს ხარკსა ძალათა ყოველწლივ სოფლით მოჰკრეფდა“.

„3. მერე შეხედეს ერთმანეთს და თავდაკიდვით დაბრუნდნენ,

და გზაზედ გულხელ დაკრეფით იგინი ესრეთ უბნობდენ.

მუნს სამართალი ვით ჰპოოს, საწყალმან, ანუ უძღურმან

სადაც ქრთამებსა იყოფენ მწერალნი მღვიანბეგებთან“.—

დაყოფილი ტაეები არც ერთს დაბეჭდილს ტექსტში არაა. იტყობა, პოეტმა ავითონ ამოაგლო იგი.

„1832 წლის საქმეში“ (რე. XXI, ფურც. 4050/გ), შაეის სახით გრ. ორბელიანს ჩაწერილი აქვს ერთ-ერთი პირვეანდელი ვარიანტი იგავის ბოლო ოთხ ტაეპისა ამ სახით:

„შენ სამართალი ვით პპოოს, საწყალშან ანუ უძღურშან
სადაც კრათმებსა შწერალნი იყოფენ მდივანბეგებთან“.

პოეტს თავისი გვიანდელი („ციცკარში“ დაბეჭდილი) ვარიანტი („...მდივანანა ნაჩაღნიკებთან“) უარპყვია და 1873 წლის გამოცემაში ისევ პირველ ვარიანტს დაბრუნებია.

„ნადართა კირი (კრილოვიდამ)“ (გვ. 117). პ. უმიკაშვილის გამოცემაში (1873 წ., გვ. 22—24) დაბეჭდა თარიღით „ნოვგოროდი, 1833“. ამასეე იმეორებენ შემდგომი გამოცემები. თარგმანის ავტოგრაფი დატულია საქ. არქივის № 171-ში, სათურით „ნადირთა კირი — კრილოვის ზღაპრებით“ და თარიღით „ოქტომბრის 14-სა სანკატერბულს 1832 წელსა“.

გრ. ორბელიანის სხვა თარგმანებით ამ იგავსაც განუცდია რედაქციულ-ევილიუზხანი მთარგმნელის მხრივ. შდრ:

1) ავტოგრაფი: „4. დაფრთხნენ შიშითა ნადირნი, შეუპოვარნი აქამდის“
გამოც: „4. და დაფრთხნენ შიშით ნადირნი შეუპოვარნი მანამდის“.

2) ავტოგრაფი: „5. ვერც ხევთა და ვერც მთათ შინა, ვერა მპოვნენი
საფარის“.

გამოც: „5. ვერც ხევებში, ვერც მთებში ვერა მპოვნენი საფარის“.

3) ავტოგრაფი: „13. ესრეთ დროს უბედურების კაცნიც ამაყნი მდაბლობენ“.
გამოც: „13. უბედურობის დროს ესრეთ კაცნიც ამაყნი მდაბლობენ“.

4) ავტოგრაფი: „22-23. ლომშან ნადირთა სარჩევად უხშო დროს ამა ვაების
შოლაწლაწებენ და ძლიესლა სულსა კბილითა იქერენ“.

გამოც: „22-23. ამ ვაების დროს მოიხშო ლომშან რჩევაში ნადირნი,
მოდიან, შოლაწლაწებენ, ძლიეს კბილით სულის მქერელნი“.

5) ავტოგრაფი: „29. ... ღმერთდაში მსხვერპლად შეპსწიროს!“

გამოც: „29 ...ღმერთებსა მსხვერპლად შეპსწიროს!“

6) ავტოგრაფი: „33. ღმერთთ გამწყარალთ დასამშვიდებლად ასე მსხვერპლა
შეწირულა“

გამოც: „33. ღმერთების დასამშვიდებლად მსხვერპლი ასე შეწირულა“

7) ავტოგრაფი: „და ესრეთ გულის სიწმინდით, ყველამ ცოდვანი წარმოასთქოს
ან უნებლიეთ, ან ნებით, რაიცა ვის შეუცოდოს“

შეცინანიოთ პე ძმანო!“

გამოც: „და ვგრეთ გულის სიწმინდით
ყველამ ცოდონი წარმოასთქოს,
ან უნებლიეთ, ან ნებით
რაიცა ვის შეეცოდოს“

ბ). ავტოგრაფი:

„შწყემსიცა 'გამიგლეჯია“

და თავი ჩემი ნებითა მსხვერპლადა მომიზადია!

მარამა ჰსჯობს, რომ ჯერ ყველამ ჰსთქვას თვით ცოდვა რაგირიგად

და ვინც მეტ იყოს შემოდღე, ის შეიწიროს აქ მსხვერპლად:

რომ ღმერთნი უფრო არ გასწყურნენ მართლისა სისხლის თხევითა“

გამოც.: (მღრ. სათანადო ტაეპებს წინამდებ. გამოცემაში, გვ. 118).

9) ავტოგრაფი: „...მელამ კულის ქნევითა“. გამოც. „...კულის მოქნევითა“

„თუ სინდისსა მივლევდეთ...“

„თუ სინდისსა მივლიოთ...“

10) ავტოგრაფი: „რომ ცხეართ უხარისთ კიდეცა როს თქვენ მათ შევმას ინებებთ!“

გამოც.: „რომ ცხვრებსა კიდეც უხარისთ, როს თქვენ მათ შევმას ინებებთ!“

11) ავტოგრაფი: „...ჩვენს მეფედ დაუწესია“; გამოც.: „...ჩვენს მეფედ დაუსახია“

„...ან კლანჭებითა მდიდარნი“; გამოც.: „...ან კლანჭებითა ძლიერნი“

„...წამოიღმუველა თავმდაბლად“...; გამოც.: „თავმდაბლად წამოიღმუველა...“

არსებობს ამ თარგმანის კიდევ ერთი ვარიანტი (საქ. სალიტ. მუზეუმის ხელნაწერი № 84-ში შეტანილი), რომელიც მთლიანად იმეორებს ბეჭდვითს რედაქციას, გარდა ერთი ტაეპისა:

გამოცები: „...ძლივს კბილით სულის მჭერენნი“

№ 84 „...სულს კბილით ძლიესლა იჭერენ“.

„მიბაძვა პუშკინისა“ („სიცოცხლევ ფუჰო“...) (გვ. 120). პირველად: „ცისკარი“, 1863, № 2 (თებერვალი), გვ. 233-234, სათაურით „პუშკინის მიბაძვა“ და უთარილოდ. 1873 წლის გამოცემაში კი (გვ.51) სათაურით: „მიბაძვა პუშკინისა. Дар напрасный, дар случайный“ და თარიღით: „თემირხანშურა, 184...“, დანარჩენი გამოცემები მას იმეორებენ.

განსჯაეებანი:

„ცისკარი“ (1863):

„5. და თუ მიწოდა

არსით არსადა“

„9. გონება იქვით აღელვებული“

1873 წ. გამოც. და შემდ.

„5. და თუ მიწოდა

არსით სოფლადა“.

„9. გონება იქვით შემფოთებული“.

„მთანი მაღალნი“ (გვ. 123). პირველად: „ცისკარი“, 1865, № 1 (იანვარი), კვერდი 26-27. სათაურით „მთანი მაღალნი. Горныя вершины. თარგმანი ლერმონტოვიდამ“; 1873, 1879 და 1884 წ.წ. გამოცემებში Горныя вершины. Лермонтов“ და თარიღი „კოდა“, 1864“ (შემდეგ მიმატებულია — „წ.“). 1928 წლის გამოცემაში — „მთანი მაღალნი. ლერმონტოვიდამ“ (გვ. 135); 1935 და 1948 წ.წ. გამოცემებში — „Горныя вершины. ლერმონტოვიდამ“.

1873 და 1884 წწ.

1879, 1928, 1935 და 1948 წწ.

გამოც:

გამოც:

„3. ღამისა ბინდში“

„3. ღამისა ბნელში“

1873, 1879 და 1884:

1928, 1935 და 1948 წწ. გამოც.

„შედეგ წამს ოდენ“

„შემდეგ წამს ოდენ“

(შეცდომაა. რედ.).

ვარიანტები

„შუკოვსკიადამ“ („პოი სოფელი...“) (გვ. 125). პირველად: „იერიას“ 1882. № № IV და V, აბრილი და მაისი, გვ. 62. იბეჭდება როგორც „იერიას ვარიანტი“. ეურნალში და კრებულებში ლექსს აქვს თარიღი „1832 წ. ნოვგოროდი“. რაიც შეცდომაა და, ალბათ, მომდინარეობს თვითონ ავტორისაგან — მას დავიწყნია თავდაპირველი თარიღი „1830 წელი“ (იხ. ამ ლექსის ძირითადი ტექსტი „თარგმანებში“). გრ. ორბელიანის ამ ლექსის თავდაპირველი ორიგინალი მოხუც და პოეტისათვის 1833 წ. ჩამორთმეულ მასალებში („1932 წ. საქმე“ რეუელი XXI) და ავტორს არ ჰქონდა შესაძლებლობა ზუსტად აღედგინა თარიღი 70-ან წლებში. ამიტომაც „ვარიანტებში“ ეს ლექსი „იერიასი“ დაბეჭდილ თარიღს გარეშე იბეჭდება. დატოვებულია პირველი თარიღი ამ სახით [1830].

„* * *“ („გულნი რერთი...“) (გვ. 126). პირველად: ეურნ. „ქართული მწერლობა“, 1929, № 6-7, გვ. 260. ფრაგმენტი წარმოადგენს პირვანდელ და თავისებურ ვარიანტს მეფის სადღეგრძელოსას პოემიდან „სადღეგრძელო“. იგი ცალკე ლექსის სახითაა შეტანილი ცალკე ფურცელზე სხვა ლექსთა შორის (იხ. „1832 წლის საქმის“ რვ. XXI, ფურც. 4050/ა, უნიციფიკაციო და უთარილოდ, როგორც სხვა ფრაგმენტებიც).

„* * *“ („ლევი, ოსმლო და სპარსი...“) (გვ. 127). იხ. „ქართ. მწერლობა“. 1928, № 6-7, გვ. 250-259. ცალკე ფრაგმენტის სახით გვხვდება „1832 წლის საქმეებში“. უცვლელად შედის „ნალივაიკოს აღსარებაში“ (იხ. აქვე, გვ. 11); მკერდოდენი განსხვავებაა მხოლოდ ბოლო ტაქებში. შდრ. ფრაგმენტი:

„და ესრეთს ჩემსა სიკვდილსა, ადრევე სიამით ვაყურთხებ“.

„აღსარება“:

„და მისთვის ესრეთს ჩემს სიკვდილს ადრევე სიამით ვაყურთხებ“, ფრაგმენტის მესამე ტაქის ბოლო „...მხვეთ არ გამოუფხიზლად“ თარგმანის ძირითად ვარიანტში („აღსარება“) ასეა შეცვლილი — „მხვეთას გამოუფხიზლად“.

„ტოლუზაში“ („სადღეგრძელო“-ს პირველი ვარიანტი) (გვ. 128). პირველად გამოაქვეყნა მ. ზანდუკელმა („მნათობი“, 1926, № 7, გვ. 47 — 64). ვადაბეჭდა პოეტის ლექსების 1928, 1935 და 1951 წლების გამოცემებში. ავტორგრაფი დაცულია საქ. არქივის № 171-ში. რომლის მიხედვით იბეჭდება წინამდებარე გამოცემაში.

1928 წლის გამოცემაში (იხ. გვ. 117 — 126) ეს ვარიანტი დაბეჭდილია სათაურით: „ტოლუბაში ანუ ომის შემდეგ ლხინი და სადღეგრძელო“. იქვე მინაწერი: „ეს ლექსი 1826 წელსა სპარსეთის ომში არს ნათქვამი, როდესაც ირაყლის თაფაზედ იყენენ ჭარნი დაბინავებულნი“ (117). ავტოგრაფში ეს მინაწერა არა და ჩვენ არ ვიცით, საიდან განჩნდა იგი. ვფიქრობთ — რედაქტორმა შეცდომით შეიტანა პირველი ვარიანტის სათაურ ქვეშ ეპიგრაფად ეს რაპიდნიშე სტროქონი „ტოლუბაში“-ს მეორე ვარიანტიდან. რომელსაც სრულიად ანალოგური წინათქმა აქვს (იხ. აქვე, მეორე ვარიანტი).

1935 წლის გამოცემაში ვარიანტი დაბეჭდილია შემდეგი სათაურით: „ტოლუბაში ანუ ომის შემდეგ ლხინი და სადღეგრძელო“. შეცდომაა სათაურის პირველი სიტყვაშივე (ავტოგრაფში „ტოლუბაში“ და არა „ტოლუბაში“), რუსული სისტემატიურად მეორდება შემდეგაც. წინათქმა არა აქვს.

ავტოგრაფი წარმოადგენს უბის წიგნაკის ზომის პატარა რვეულს (საქ. ა.ჯ. 171. „საქმის“ ფურც. 165 — 170), რომელიც ჩაყრებულია საქმეში. რვეულს პირველი ფურცლის მეორე გვერდზე (165/ბ) ცალკე წერია სათაური:

„ტოლუბაში
ანუ
ომის შემდეგ ლხინი
და
სადღეგრძელო
1827 წელსა“.

1928 და 1935 წ.წ. გამოცემებში ტექსტი ცუდათაა დაბეჭდილი. მოვიყვანო მხოლოდ ერთ მაგალითს:

პოემის ბოლოს დაბეჭდილია შემდეგი ტაეპები ამ სახით:

რომ სახე უენი, თვალთა დახშულმან, თანა წარვილო იმიერ სოფელს.

შენ სანუგეშოდ, შენ საშვეებელად, და რათა მითთე ვჰსცნა უყვდავება.

(იხ. 1928 წ. გამოც. გვ. 126.; შდრ. 1935 წ. გამოც. გვ. 120).

გ. ი. ნუგეშა და უეებას სატრფოს მიანიჭებს ის გიარმობა, თუ მიჯნური მისი სახის ხსოვნას წაიღებს „იმიერ სოფლად“. ამ პოეტურ გაუგებრობას ჰქვან ტაეს ავტოგრაფი, სადაც წერია:

154. რომ სახე უენი, თვალთა დახშულმან, თანა წარვილო იმიერ სოფელს.

შენ სანუგეშოდ, შენ საშვეებელად, და რათა მითთე ვჰსცნა უყვდავება!

უნდა აღინიშნოს, რომ რედაქტორები ვერ ამჩნევენ, რომ „სადღეგრძელოს“ ძირითადი ტექსტის ტაეპებიც სწორედ ასე იკითხება (იხ. 1928 წ. გამოც. გვ. 109. შდრ. შესაბამისი ადგილი 1935 წ. გამოცემაში).

საქ. არქივის „საქმე“ № 171 წარმოადგენს კრებულს, რომელიც შესდგა 1827 — 1832 წლების დოკუმენტებისაგან (ჩამოართვეს გრ. ორბელიანს 1833 წ. პარტიში). ამრიგად, პირველი ვარიანტის შედგენის დრო განისაზღვრება 1827 1832 წ.წ.

„ტოლუბაში“ („სადღეგრძელო“-ს მეორე ვარიანტი) (გვ. 136). პირველი

დაიბედა 1928 წ. გამოცემაში (გვ. 127 — 132). აქედან უცვლელად გადაბედილია 1935 წლის გამოცემაში (გვ. 124 — 126), ოღონდ გამოტოვებულია ეპიგრაფი („ეს ლექსნი...“).

1928 წ. გამოცემის შენიშვნებში აღნიშნულია: „წ. კ. საზ-ის მუზეუმში არის ხელნაწერი № 2456, სადაც გრ. ორბელიანის რამდენიმე ლექსი და მათ შორის „სადღეგრძელოც“ „ლხინის“ სახელწოდებით“ (გვ. 180). არაა სწორი: სადღეგრძელო ამ ხელნაწერში არ მოიპოვება. № 2456 წარმოადგენს მცირე რევეულს, სადაც ალ. ჭავჭავაძის ლექსებთან ერთად მოთავსებულია გრ. ორბელიანის ლექსები, სხვისი ხელით გადაწერილი: 1. „ლხინი“ („მე იგი მიყვარს...“ თარგმანი პუშკინიდან). 2. „ნ...დმი“ („მნათობო...“). 3. „ან...დმი“ 4. „ნეტარ მას, ამა სოფელსა...“ 5. „მბირალ ნ...დმი“ („თუ ტურჟანი...“) და 6. „იარალისადმი“, რომელიც თვითონ გრ. ორბელიანს ფანქრით გაუსწორებია.

ის ვარიანტი, რომელზედაც 1928 წლის გამოცემაშია ლაპარაკი, ჩვენთვის უცნობია. რედაქტორის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი კი (ე. წ. II ვარიანტი) ამოღებულია წ. კ. საზ-ის № 3723-დან (იხ. 1928 წ. გამოც. გვ. 181), მაგრამ საშინლად დამახინჯებულია: დარღვეულია პოემის სტროფული წყობა (10-მარცვლიან ტაეპებადაა დაბეჭდილი), გამოტოვებულია თითქმის ნახევარზე მეტი ტაეპებისა, შეცვლილია ცალკეული ადგილების თანმიმდევრობაც. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რედაქტორს სხვა ვარიანტი დაუბეჭდაც, მაგრამ მაშინ პოემის ორი კი არა, სამი ვარიანტი არსებულა! ჩვენის აზრით 1928 წ. გამოცემის რედაქტორს ცალკეული ადგილები ამოუკრებია № 3723 ხელნაწერიდან და ბოლოშიაც შეუკეცია; სქოლიოში ასეთი შენიშვნაა დაბეჭდილი: „შემდეგ მოსდევს ისევე, როგორც პირველ ვარიანტში. მხოლოდ გადასმულია ზოგიერთი ადგილი“ (გვ. 132). ამჟამად მკითხველს შეუძლია ჩვენს მიერ ზუსტად აღდგენილი ორივე ვარიანტი ერთმანეთს შეადაროს და დარწმუნდეს — როგორც წინა, ისე ბოლო ნაწილები I და II ვარიანტისა მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

1928 წ. გამოცემის ყველა ამ უხეშ შეცდომას, ტექსტისადმი თვითნებურ დამოყიდებულებას და შენიშვნებში მოყვანილ უსაფუძვლო ცნობებს ხელნაწერთა შედგენილობის შესახებ იმეორებს 1935 წლის გამოცემაც.

არსებობს კიდევ ერთი ხელნაწერი — საისტ.-საეთნ. საზ-ის № 312, რომლის პირველ გვერდზე წერია: „სადღეგრძელო. შეთხზული თ. გრიგოლ ზურაბის ძის ქ. ორბელიანისაგან“. ტექსტს უჭირავს 1 — 14 გვ. სრული სათაური აქვს მეორე ფურცლის 1 გვერდზე: „სადღეგრძელო ანუ ომისა შემდეგ ლხინი ერევნის სიბლოეს“. ხელშეიფის სადღეგრძელო ამ ხელნაწერში არის. დედანი წარმოადგენს სხვისი ხელით გადაწერილ ასლს პოემის ბეჭდვითი გამოცემებისა და შეცდომებითა აკრელებული. ტექსტის დადგენისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს (მღრ. 1928 წ. გამოც. გვ. 181) და ვარიანტად არ ჩაითვლება.

წ. კ. საზ-ის ხელნაწერი № 3723, რომლის ტექსტსაც ეპიგრაფებთ მეორე ვარიანტის სახით, წარმოადგენს მაგარ ყდაში ჩასმულ, სხვადასხვა ავტორთა ნაწერების კრებულს. გრ. ორბელიანის ნაწერებს უჭირავს 435 — 462 გვ. გვ. საერთო

სათაურით: „თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსნი“. სხვისი ხელითაა გადაწერილი შემდეგი ნაწარმოებნი: 1. „ტოლუბაში“ (გვ. 437—447). 2. „უსტარი ჩემს დას ეფემიას“ (448—452). 3. „ეკატერინა ქავეკავაძის ასულს“ (452). 4. „იარალის“ (453—456). 5. „ღამე“ (456—458) 6. „ექსპროზი ნინა ქავეკავაძის ასულს“ (სამოა სახილველად...)“ (458). 7. „გამოსალმება“ (458—459). 8. „მუხანბაზი“ („ნუ მასმევ ღვინოს...“) (459—460) 9. „სო...ორ...“ (460—461) და 10. „ეპიტაფია მირზაჩანის“ (462).

„ტოლუბაში“-ს მეორე ვარიანტი პირველად და ზუსტი სახით, № 3723-ის მიხედვით, პირველად გამოქვეყნდა 1951 წ. აკადემიურ გამოცემაში. განზრახ დაეთუღა პუნქტუატიური ნაკლოვანებანიც.

[„ტოლუბაში“-დან] (გვ. 145). პირველად დაიბეჭდა 1928 წლის გამოცემაში. აქედანაა გადაბეჭდილი 1935 წლის გამოცემაშიაც.

1928 წ. გამოცემის შენიშვნებში აღნიშნულია, რომ ავტოგრაფი „ინახება წ. კ. სახ. მუზეუმში, № 2456 და დათარიღებულია 1854 წ. აპრილის 5-ით“ (გვ. 181). მაგრამ № 2456-ში იგი არ მოიპოვება და ჩვენ არ ვიცით — რომელ ხელნაწერს ემყარება რედაქტორი.

არსებობს ამ ნაწარმოების სხვა ვარიანტიც, იგი შეტანილია (უსათაუროდ) რვეულში, რომელიც საქ. ლიტ. მუზეუმის № 84-თაა ცნობილი (იხ. „ლიტერატურის მატრიანე“, წიგნი 5, ნაკვეთი მეორე, ხელნაწერთა აღწერილობა. I. შედგენილი ივ. ლოლაშვილის მიერ. თბილისი, 1949, გვ. 64-65). ეს ხელნაწერიც დათარიღებულია 1854 წ. 5 აპრილთ. განსხვავებანი უმნიშვნელოა. № 84-ის ვარიანტის I გვერდზე (ხელნაწერის გვ. 13) გრ. ორბელიანს ფანქრით მიუწერია: „ესეც ტოლუბაშისა არის და უნდა ცალკე ჩაიწეროს“. თარიღი ამ ხელნაწერის მიხედვითაა დაბეჭდილი წინამდებარე გამოცემაში.

ლექსი წარმოადგენს მეფის სადღევრძელოს პირველი ვარიანტის („გულნი იერთა...“) გავრცობის რედაქციას — შიგ შეტანილია ე. წ. ყირიმის ომით (1853—1856) შთაგონებული ტაბეები და ამ მხრივაც უცილობელია, რომ მიძღვნის ეს ვარიანტი დაწერილია 1854 წელს (ლექსის ისტორიული რეალიის გასაგებად იხ. „წერილები“, ტ. II, გვ. 308-309; შტრ. М. Покровский, *Дипломатия и войны царской России в XIX столетии*. Москва, 1923. стр. 106—167).

„ჩემი ეპიტაფია“ („როს ვიყავ ცოცხალ...“) (გვ. 148). „ციცკარი“, 1862, № 12 (დეკემბერი), გვ. 287-288, უთარილოდ. პირველი ვარიანტი შედარებულია ეურნალში დაბეჭდილ ტექსტთან. აქა-იქ გასწორებულია მხოლოდ პუნქტუატიკა. ავტოგრაფი არა ჩანს.

„ჩემი ეპიტაფია“ (გვ. 149). „ციცკარი“, 1863, № 1 (იანვარი), გვ. 56, უთარილოდ. მეორე ვარიანტი ლექსისა „ჩემი ეპიტაფია“. რედაქციის შენიშვნა სქოლიოში: „ეს ლექსი მეორედ იბეჭდება, რადგან ავტორმა ინება გასწორება“. იბეჭდება ეურნალში დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით.

ავტოგრაფი არა ჩანს.

„გამოცანების პასუხი“ (გვ. 150). დაიბეჭდა რამდენჯერმე.

წარმოადგენს „პასუხი შვილთა“-ს პირველ, ვრცელ ვარიანტს, რომელიც ივ-

ტორს შემდეგ შეუბრუნდება. პოეტის სიცოცხლეში პირველი ვარიანტი არ დაბეჭდილა.

ავტოგრაფი არა ჩანს.

რამდენიმე სიტყვა ე. წ. „სადაო ლექსების“ გამოც.

1951 წლის და წინამდებარე გამოცემებში არ დაიბეჭდა ამ სახელწოდებით ცნობილი შემდეგი ნაწარმოებები:

1. დილა.
2. ხმა ლოპიანას საფლავეიდან.
3. * * * („ნისლი გარს მომეხვია...“)
4. ახ, ეთა გშენის...
5. * * * („ოდეს მე პირველ ღმერთმან დამბადა...“)

ეს ლექსები ცალკე დამატების სახით შევიდა პოეტის თხზულებათა 1928 და 1935 წ.წ. გამოცემებში. ორივე გამოცემაში აღნიშნული ციკლის ბოლოს დაბეჭდილია აგრეთვე ლექსი „ამა სოფელს დამშთომიეს...“, რომელიც პირველად ზ. კვიციანიძემ შეიტანა გრ. ორბელიანის ლექსების მესამე გამოცემაში 1884 წელს (იხ. გვ. 84) ავტორისავე ნებართვით. ამ ნაწარმოების პოეტისადმი კუთვნილება საბოლოოდ დაადასტურა ავტოგრაფის აღმოჩენამ (იხ. პაუელ ინგოროყვის წერილი, ქ. „ქართ. მწერლობა“, 1928, № 6-7, გვ. 267). აღსანიშნავია, რომ 1935 წლის გამოცემის რედაქტორი ლექსს „ამა სოფელს...“ პოეტის უდავო ნაწარმოებთა შორის ათავსებს (გვ. 7) და იმავე დროს მექანიკურად შეაქვს იგი „სადაო ლექსებშია“ (გვ. 149), ალბათ, 1928 წლის გამოცემის ზეგავლენით.

დანარჩენი სადავო ლექსების შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ისინი არ არიან დაბეჭდილი გრ. ორბელიანის ენისა და სტილის ნიშნობლივი თვისებებით და პრიმიტიული სისადავით ხასიათდებიან. მხოლოდ გრ. ორბელიანის ინტონაციითა და ანგარიშგაუწყებლობის საფუძველზე შეიძლება მიეწეროს პოეტს ასეთი სტრიქონები:

1. ახ, დილაე, დილაე, კელაე სანეტარო
შენ ჩემი გულის დამამტებოხლო,
გაქებ, გადიდებ, შენ ჩემო დილაე

მამინ შენ ჩემო ლამაზო დილაე
ამ ჩემ სიცოცხლეს შენ შემოგწირაე. („დილა“).

2. მე რად მინდა სამოთხისა დიდება,
თუ რომ სატრფო ჩემზედა შორს იქნება,
ვერას მიზამს ქოჯოხეთის ქანჩები
თუ, ლამაზო, შენ ჩემად მეგულები. („ხმა ლოპიანას საფლავეიდან“);
3. დიდო მფლობელო, კრძალვით გიბედამ
კვადები და ვდნები, ოდეს არ გხედამ.

არას ვინაღელი, თუ რომ მიკითხამენ
სიყვარულს ცოდვით წაიკითხამენ.

შენგან ნაჩუქარს შენსა პორტეტსა
ისე ვლოცულობ, როგორც რომ ღმერთსა. („ოდეს მე პირველ...“).

და სხე.

ანალოგიური ტაბეებისა თუ კუპლეტების ავტორებს არ შეეძლოთ დაეწერათ „ჩემს დას ეფემიას“ და თვით პაწია „ამა სოფელს დამშობიებს“, რომლის სიტყვიერი ფაქტურა სრულიად ორიგინალურია (ოდნავ არკაიზებული და გრ, ორბელიანისეული სპეციფიკური მორფოლოგიითა და ლექსიკით აღბეჭდილი — „დამშობიებს...“ „ესე...“ „შენდამო...“ „სამოთხის წილ...“ და მისთ, შდრ. „შენ დამშობი მხოლოდ“ („ჩემს დას ეფემიას“), „ოღონდ ეახსოვდე ჩემდამო ერთგულს“ („სო...ორ...“) და სხე.) და სრულ კონტრასტს წარმოადგენს დანარჩენი სადავო ლექსებისას.

ახლა თვითონ ამ ლექსების ტექსტური ისტორიის გამოც.

1. „დილა“ პირველად დაიბეჭდა ე. „ცისკარში“ 1860 წელს (იხ. № 8 (აგვისტო), გვ. 305-306), ინიციალით „თ. გ. ო.“ ზოგიერთ ხელნაწერ კრებულში (მაგ. ნ. ბარათაშვილის რეეულში, რომელიც ვეზირიშვილისეულადაა ცნობილი) იგი შეტანილია უცნობი პირის ხელწერით „თ. გ. ორბელიანისა“; მაგრამ ქართულ ხელნაწერებში ავტორების სახელთა აღრევა და ერთი ლექსის მეორისადმი მიკუთვნება ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგალ. არაერთი ხელნაწერი თვითონ გრ. ორბელიანს მიაწერს აღ. ჭაქვაიძის ლექსებს და პირიქით. საბუთად არ გამოდგება აგრეთვე ის გარემოება, რომ სკანდარნოეას „სალხინო საზანდარი“-ს ორს გამოცემაში (გრ. ორბელიანის სიკოცხლეშია დაბეჭდილი) „დილა“ გრ. ორბელიანს მიეწერება. მოხუც პოეტს ყოველთვის როდი შეეძლო მისი სახელით და ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი ლიტერატურული ფალსიფიკაციების თვალყურის დევნება და გამოსწორება. საკუთრივ „დილას“ ავტორობის საკითხი ამჟამად საცილობელი არაა: იგი ეკუთვნის გ. ერისთავის თეატრის პირველ აქტიორს გიორგი დვანაძეს (იხ. ი. გრიშაშვილი, „დილა“ დვანაძეს ეკუთვნის“. გაზ. „ლიტერ. საქართველო“, 1940, № 12). (იგივე მისივე კრებულში „ლიტერატურული ნარკვევები“, 1952, გვ. 382 — 385).

2. „ხმა ლობიანას საფლავიდან“ პირველად დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ 1877 წელს (იხ. № 18, გვ. 6), ხელწერით „თ. გიორგი ორბელიანი“. ჟურნალ „ცისკარის“ თანამშრომელმა შორის ცნობილია პოეტი გიორგი ორბელიანი, რომელსაც — ჩვენის აზრით — თავისი გამოჩენილი მოგვარის განთქმული მუხამბაზის („გინდ მეძინოს...“) ერთგვარი ლიტერატურული დუბლიაჟის შექმნა უცდია. „ხმა ლობიანას საფლავიდან“ მდარე, სტილიზებული და ეპიგონური ლექსია, რასაც ზემოთ მოტანილი ამონაწერიც მოწმობს. თანაც: ძალიან საუკუვოა „ივერიას“ 1877 წელს შეცდომა მოსელოდა და გრ. ორბელიანის ლექსი გიორგი ორბელიანისათვის მიეწერა. მართალია, „ცისკარში“ ყოფილა შემთხვევა ავტორ-

თა სახელების აღრევისა, მაგრამ „ივერია“-ში გრ. ორბელიანის მიმართ არც ერთი ასეთი შემთხვევა ცნობილი არაა. პოეტის ნაწერების 1928 წლის გამოცემის რედაქტორის ეარაუდი — შეიძლება ავტორმა განზრახ არ ისურვა თავისი სახელების გამჟღავნებაო, — სრულიად უსაფუძვლოა. ჯერ ერთი: ლექსი ინიციალებით როდია დაშიფრული, არამედ ხელმოწერილია იმ დროს რეალურად არსებული ეპიგონი-პოეტის სახელითა და გვართ (გვიორგი ორბელიანი“). მეორედ: რატომ მიისაკუთრებდა გრიგოლ ორბელიანი თავისი თანამედროვისა და მოგვიანის სახელს?

რაც შეეხება საბუთს — „სალხინო საზანდარში“ ეს ლექსი გრიგოლ ორბელიანის სახელითაა დაბეჭდილი — საკითხს არ სწყვეტს: საქმე გვაქვს ან უნებლიე შეცდომასთან (ანალოგიურ თემაზე დაწერილი ლექსების ავტორად მაშინ უმთავრესად გრ. ორბელიანს იცნობდნენ!) ან კიდევ შეგნებულ ფალსიფიკაციასთან (თვითონ ლექსის პრესტიჟის ამალღების მიზნით?).

„ხმა ლოპიანას საფლავიდან“ რომ გრ. ორბელიანს არ ეკუთვნის, იქიდანაც ჩანს, რომ გვიორგი ორბელიანს აქვს სხვა ანალოგიური ლექსებიც, აგრეთვე თავისი გამოჩენილი მოგვარის პოეზიის მიბაძვით დაწერილი. ასეთია, მაგალითად, „ციცკრის“ 1860 წლის № 11-ში დაბეჭდილი (იხ. გვ. 537) მისი ლექსი „ლოთის ანდერძი“ (შდრ. გრ. ორბელიანის „ლოთური მუხამბაზი“). გვიორგი ორბელიანს ეკუთვნის აგრეთვე 1861 წლის „ციცკრის“ № 1-ში მოთავსებული ლექსი „ალბომში“. ამავე ნომერშია დაბეჭდილი გრ. ორბელიანის ლექსიც „ალბომში ღრ. ოპ...“. ასეთი მიმბაძველობა, სათაურებშიაც კი, იმას მოწმობს, რომ გვიორგი ორბელიანი ერთ-ერთი ეპიგონია „ციცკრის“ სხვა ეპიგონ-მწერალთა შორის. მის „ლოთის ანდერძშიაც“ იგივე ხმა ისმის, როგორაც ლექსში „ხმა ლოპიანას საფლავიდან“. შდრ:

კარგი იქნება კუბოს მაგიერად
ღვინიან ნაეში რომ ჩამაწეინოთ,
და ვარდის ნაცვლად, როდესაც დამძრათ,
კიტრისა მწნილი ზედ დამაყაროთ. („ლოთის ანდერძი“)

და სხე.

აღსანიშნავია, რომ „ციცკრის“ იმ ნომერშიაც (1860, № 11), სადაც დაბეჭდილია „ლოთის ანდერძი“, მოთავსებულია გრიგოლ ორბელიანის თარგმანი „(მუშუკინიდან)“ სრული ხელწერით. ამრიგად: „ციცკრის“ რედაქციასაც არ აურევია ისინი. „ივერია“ კი გაცილებით ფრთხილი იყო ავტორთა მიმართ.

3. „ახ, ვითა გშეენის...“ პირველად დაბეჭდა 1864 წელს ე. „ციცკარში“ (იხ. № 2 (თებერვალი), გვ. 93-94), ინიციალით „კ“, შეიტანა ზ. კიკინაძემ 1884 წლის გამოცემაში (გვ. 84) პოეტის ნებართვით („თვით აღიარა, რომ ეგ ლექსები ჩემებია, მაგრამ აღარ მახსოვს როდის დაწერეთ“, — იხ. ბოლოსიტყვაობის გვ. 11). 1928 წლის გამოცემის შენიშვნებში აღნიშნულია — „ეს ლექსი და-

ბექდილია 1864 წლის „ცისკარში“-ო (გვ. 188), ხოლო თვითონ ლექსს უზის თარიღი „1869 წ.“ (იხ. იქვე, გვ. 156). ისე გამოდის, თითქოს უკვე 1864 წელს დაბეჭდილი ლექსი აქტორის 1869 წელს დაუწერია. 1935 წლის გამოცემის რედაქტორსაც „1869 წლით“ აქვს დათარიღებული და გადაბეჭდილი ეს ნაწარმოები (გვ. 147). ორივე რედაქტორი ზ. კიჭინაძის შეცდომას იმეორებენ თარიღში და ორივენი ინიციალ „ა“-ს ქვეშ ეარაუღობენ ვრ. ორბელიანის ზედმეტ სახელს — „კურკა“-ს.

ლექსი „ახ ვითა გშვენის“ ყველაზე ახლა ვრ. ორბელიანის (და ნ. ბარათაშვილის) პოეტურ სამყაროსთან — ლექსიკის, ფრაზული წყობისა და სახეთა სისტემის ზოგიერთი ნიშნით. მოგვეყავს ეს ლექსი ორი დიდი ქართველი რომანტიკოსის ლექსებიდან მოტიანილი პარალელუბითურთ:

ა.	ვრ. ორბელიანი	ნ. ბარათაშვილი
ახ! ვითა გშვენის, ღრუბელი კმუნეის მალალსა შუბლსა გამოხატული	კმუნეის ღრუბელი გულ დამაბნელი	ვითა შეენიან როს მონამენ („შემოღამება...“)
მაშინ უმეტესს ოდეს კამკამებს თვალთ შინა ცრემლი განბრწყინებულთ. მეტ მიუყარს გულით შენზე დუმილით შეუწყვეტელად შორითგან შზერა;	ვიდრე მხიარულს არ შეგებია („იქ. ქვეკ...“) სჩანს ძველს კედელზედ გამოხატულად („თამარ მეფის სახე...“) მაშინ რადენა დუმდების	მაშა დუმილი მიმითვალენ შენდამი ლოცვად! („ჩემი ლოცვა“). ხანცა ოხვრანი კაეშენის ხმანი („ჩონგურს“).
ყარიბის მოთქმით, იდუმალ ოხვრით, ნელსეედნიანი კმუნეისა მღერა... კმარა! მწუხარე, ვითა მთოვარე	...მხოლოდ ოხვრა („მ...დმი“). და მისთვის ოხვრავს, მღუმარებს („გამოსალმება“)	მგოსნის ყარიბს გულს ესხიმეფინარე. („იქ. ქვეკ...“).
ეგ სახეტურფა გამომიღარე, რომ შენის ღიმით, ტრფობისა შუჭით ეგებ განვეკრთო სევდიან გულით, დაჩემს თარს შმაგად მოხალხუნელად შეეხოს ხელი მოუთ-	ბაგეთა ზედან იელეებს ღიმი („ჩემს დას ეფეშიას“). მაშინ მე შმაგი... („მ...დმი“) ზოგჯერ მტანჯვენ, შმაგ მყოფენ („ს — სა“).	მოციმციმდი, მოდი, გამომეღარე, შენგან ბნელი გული გამომიღარე. („ჩემს ვარსკვლავს“).

მენელი

და გაბეღეთა

წარმოსთქვან სიშთა

დაუეიწყარი შენი სახელი
(იხ. 1884 წ. გამოცემა,
გვ. 93. ლექსს აქ თარიღად
აქვს „1869“)

მ ფ ი ნ ე შ უ ქ ი გ გ
საოცარი

მ ე ც ა ხ ე ლ ი ე ყ ო
დაუანგებულს ჩემსა
ს ა ნ თ უ რ ს ა
(„აღმოჰხდა“).

მიუხედავად ასეთი შეხვედრებისა, ლექსიც „ახ, ვითა გშენის“ ეპიგონის ნაწარმოებს შიაგავს: გრ. ორბელიანის და ნიკ. ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკის სიღრმე და სიფაქიზე „კ“-სათვის მაინც მიუღწეველია (მაგალ. გრ. ორბელიანისათვის ძალზე პროზაულად ისმის კადენცია: „დაუეიწყარი შენი სახელი“ და მისთ.). თანაც: „ახ, ვითა გშენის“ „ციცქარში“ დაბეჭდილია გრ. ორბელიანის ლექსის „ნ...დმი“ („მნათობო...“) გვერდით და თუ ამ უკანასკნელს არ მოუხსრებებია კონკრეტული ინიციალის მქონე ლექსის („ნ...დმი“) ფსევდონიმით დაბეჭდვა, რად დასჭირდა თავისი ფსევდონიმის ერთი ასოს („კ“) ხელმოწერა განყენებული სატრფიალო ლექსის ბოლოს?

უცნობ „კ“-ს კალამს ეკუთვნის აგრეთვე „ციცქარში“ დაბეჭდილი ლექსები „ნისლი გარს მომეხუია“ და „ოდეს მე პირველ ღმერთთან დამბადა“ (იხ. 1927 და 1935 წ.წ. გამოცემებში), რომელთაც სტილიურად არაფერი საერთო არა აქვთ გრ. ორბელიანის ლირიკასთან (ეს კი, ზემოთ მოტანილ საბუთებთან ერთად, საეპეოლე ხდის თვითონ „ახ ვითა“-ს გრ. ორბელიანისათვის მიკუთვნების საკითხსაც).

ყველა ამ მოსაზრებით შეუძლებლად ეცანით განხილული „სადაო ლექსების“ შეტანა გრ. ორბელიანის წინამდებარე, აკადემიურ გამოცემაში. მომავალი ძიების საქმეა: დაუბრუნდება თუ არა რომელიმე მათგანი პოეტის თხზულებათა შემდეგ გამოცემებს.

დასასრულ უნდა შევჩერდეთ შემდეგი საკითხის გარშემო.

1954 წელს განსვ. ს. ცაიშვილის რედაქციით დაიბეჭდა ი. მეუნარგიას „ქართული მწერლები“, რომლის შენიშვნებში რედაქტორი არააპირდაპირ და დაუსახელებლად ეხება 1951 წელს გამოცემულ გრ. ორბელიანის „პოეზიის“ შენიშვნებში ჩვენს მიერ აღძრულ საკითხებს პოეტის ნაწერების პუბლიკაციის ისტორიიდან. უფრო ადრე იგი იმავე საკითხებს ეხებოდა ჩვენი გამოცემის შესახებ დაწერილ რეცენზიაში (იხ. „მნათობი“, 1951, № 12). რადგან თავის დროზე ჩვენ არ მოგვეცა საშუალება პასუხი გაგვეცა აღნიშნულ შენიშვნებზე და რადგანაც ამ პასუხს მნიშვნელობა აქვს გრ. ორბელიანის შემოქმედებისა და მისი ნაწერების გამოქვეყნების უტყუარი ისტორიის თვალსაზრისით, ჩვენ ამ მოგვიხდება საუბარი განსვ. რეცენზენტის რეპლიკებზე.

თავდაპირველად შევხებებით თვითონ ი. მეუნარგიას „ქართული მწერლების“ გამოცემისა და რედაქციის საკითხსაც, რადგან ეს უკანასკნელი აგრეთვე

ნაწილობრივ გრ. ორბელიანის შემოქმედების შესწავლასთან არის დაკავშირებული.

ი. მეუნარგიას ბიოგრაფიულ-კრიტიკული ნაწერების გამოცემა არა თუ სასურველია, არამედ მისასაღმებელიც. მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლების ამ შესანიშნავ ბიოგრაფს დიდი ღვაწლი მიუძღვის თანამედროვეთაგან გაგონილი ცნობების, სხვადასხვა დოკუმენტისა და, საერთოდ, პირველწყაროების შეკრების დარგში. ამასთან ი. მეუნარგია კარგი სტილისტი იყო, დაჯილდოებული მშვენიერი სისადავის იმ ნიჭით, რაც მის ნაწერებს ერთგვარ მხატვრულ მატრიანებად ხდიან, ხოლო მათ ავტორს სრულიად განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებენ ჩვენი მწერლობის ისტორიაში.

მაგრამ ეს ისე როდი უნდა გავიგოთ, თითქოს ამჟამად ყველა მისი შეხედულების და ცნობის უყოყმანოდ გაზიარება შეიძლებოდეს. ჩვენსა და ი. მეუნარგიას შორის დროის გარკვეული მანძილია, ამ დროის მანძილზე გასული საუკუნის ბევრი მწერალი უფრო ღრმად იქნა შესწავლილი, ზოგის შემოქმედებაც სულ სხვაგვარად დაფასდა, ეიდრე ეს თავის დროზე წარმოედგინა მათს პირველ ბიოგრაფს. ამიტომ დღევანდელ მკითხველს ხელთ უნდა ჰქონდეს ი. მეუნარგიას შრომების მეცნიერული გამოცემა, რაიც ტექსტუალურ-ბიბლიოგრაფიულ სიზუსტესთან ერთად გულისხმობს მათს ჭეოვან კრიტიკულ შეფასებასაც.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რედაქტორს შრომა და მონღომება არ დაუკლია ი. მეუნარგიას ნაწერები კარგად მიეწოდებინა მკითხველისათვის, თავი მოუყრია დამატებით ცნობებისათვის, რომლებიც ავსებენ ჩვენს წარმოდგენას ი. მეუნარგიას ლიტერატურული მუშაობის ხასიათზე. „შენიშვნებსა და კომენტარებში“ გამომცემელს შეაქვს რამდენიმე ნაკლებად ცნობილი დოკუმენტი (გამოუქვეყნებელი ნაწყვეტები, ჩანაწერები, გაზეთებიდან ამოკრებილი რეცენზიები და სხვ.), რომლებიც დაეხმარებიან დაინტერესებულ მკითხველს ი. მეუნარგიას სამწერლო ბიოგრაფიის შესწავლის საქმეში.

გამოცემას წინ უძღვის „წინასიტყვა“, სადაც მოკლედაა დახასიათებული ი. მეუნარგია, როგორც ჩვენი მწერლების ბიოგრაფი. „იონა მეუნარგია თავის ლიტერატურულ კვლევებში ბურჟუაზიულ, ყალბ მეთოდოლოგიაზე დგას“ — ნათქვამია წინასიტყვაში და ამ დებულების საილუსტრაციოდ აღნიშნულია, რომ მან „ეერ შეაფასა სწორად გრიგოლ ორბელიანის პიროვნება“ (გვ. 6). მიუხედავად „მსგავსი ცალკეული შეცდომებისა“ ი. მეუნარგიას ლიტერატურული მემკვიდრეობა“ რედაქტორს „მთლიანად მისაღებად მიაჩნია“. შენიშვნებში გამომცემელი საგანგებოდ შენიშნავს: „შემდგომში მკვლევარებმა, მიუხედავად დიდი მუშაობისა და ძიების ჩატარებისა, ნ. ბარათაშვილის ცხოვრების აღწერას თითქმის ვერაფერი შემატეს საჯულისხმო“ (გვ. 462). ამგვარი დამოკიდებულება შესასწავლ ობიექტისადმი არ ითვალისწინებს ისტორიულ პერსპექტივას ქართული ლიტერატურის წინაშე ი. მეუნარგიას უქვეყლად დიდი დამსახურების შეფასების დროს. „შემდგომში მკვლევარების“ ერთ-ერთი, უადრესად მნიშვნელოვანი მიღწევა იხაა, რომ ამჟამად არავენ დავობს ნ. ბარათაშვილის პიროვნებისა და შემოქმედების გენიალურ ბუნებაზე. ი. მეუნარგია

კი წერდა: „(ბარათაშვილს) დრო მაინც რომ დასკოლდა, მეტი მაინც რომ ეცოცხლა იმას, ტალანტი ქართველის ცხოვრების სიფუჟეს სძლევდა და პატარა პოეტიზმთან დიდი პოეტი დადგებოდა... გაფურჩქევა ნიჟისა არ დასკალდა და ის დარჩა საზღუდლო ტანის პოეტად, ყმაწვილ კაცად, რომლის პირიდან ვაეკაცის ხმა თქმვა მოისმის, მაგრამ მის ყოველ თხზულებას პირველიდან უკანასკნელამდე ჭერ კიდევ ამჩნევია მოზარდი კაცის გამოუცდელი მარჯვენაო“ (გვ. 224-225; ხაზგასმა ყველგან ჩვენია. ა. გ.). ამჟამად ეს სიტყვები როდი შეიძლება მივიჩნიოთ „ცალკეულ“ და „უმნიშვნელო“ შეცდომად! ეხლა ყველასათვის ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილი თილოსი ფილოსოფიური ლირიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია მსოფლიო ლიტერატურაში და რომ იგი ძალზე ადრე მომწიფდა გონებრივად და სულიერად? ი. მენუარგია ქვემოთ თვითონვე აბათილებს თავის უნიკალურ შეხედულებას, როცა ამბობს: „მთელს ქართულ მწერლობაში ბადალი არ მოგპოვება ლექსებს „ჩემს მერანს“ და „სულო ბოროტო“... „ქარგად რომ თარგმნოს კაცმა ბარათაშვილის ლექსები: „ჩემს მერანს“, „სულო ბოროტო“ და ბაირონის „ღონ-უფანში“ ჩაურთოს, ან „ჩაილდ ჰაროლდში“, არა მგონია დიდებული პოეტის ქმნილების ერთიანობა დაირღვესო“ (გვ. 227). აზრთა ასეთი წინააღმდეგოა გასაგებია ისტორიულად: ბარათაშვილის ლირიკას, როგორც ყველა ჰემამარიტად გენიალურ და უადრესად რთულ შემოქმედებას, დროის გამოცდა და საფუძვლიანი ექსპლაცა ესაქპირებოდა. „ყმაწვილმა კაცმა“ ნ. ბარათაშვილმა ეს გათვალისწინებულად დაიჭირა, როგორც თავის დროზე ლერმონტოვი და კიტსმა. მენუარგიას „შემდგომი ექვთარებს“ კი გარკვეული, მრავალმხრივ საგულისხმო, წელილი აქვთ შეტანილი ჩვენი უდიდესი ლირიკოსის სწორედ ასეთი გზების სფეროში, მათ არა ერთი მნიშვნელოვანი ცნობა შესძინეს პოეტის „ცხოვრების აღწერასაც“.

ი. მენუარგიას მტდარი დებულებების ობიექტური, კრიტიკული დაფასება სრულიად არ შებღალავს ბიოგრაფის ლეაწლს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ზემოთ მოყვანილი ციტატა გვხვდება ი. მენუარგიას მონოგრაფიის „ნ. ბარათაშვილი“ იმ თავებში (VI—VII), რომლებიც დღემდე არ ყოფილა შეტანილი შრომაში და ცალკე იყო დაბეჭდილი (ეს თავები პირველად რედაქტორმა შეიტანა ახალ გამოცემაში).

გამოცემის მთავარი ნაკლი ტექსტის პუბლიკაციაშია. მკითხველისათვის კი მნიშვნელობა უმთავრესად ი. მენუარგიას ნაწერებს აქვს.

„ქართველი მწერლების“ ტექსტს თან ახლავს რამდენიმე არსებითი ნაკლი:

1. თვითონ ი. მენუარგიას უნებლიე შეცდომები, რომლებიც გასწორებული არაა;
2. შეცდომები, რომლებიც თავის დროზე გაპარულა ტექსტში. 3. სქოლიოების უსისტემო განლაგება ტექსტშივე, ზოგან-კი — ტექსტისათვის აუცილებელი შენიშვნების უქონლობა და 4. უცხო პირთა ონომასტიკონისა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა აკრეფება არასწორი წაკითხვებით. ყოველივე ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ტექსტის გამოცემის დროს. რედაქტორსაც შეძლებისამებრ

შრომა არ დაუკლია ამ მხრივ: „მოკანდინეთ მხოლოდ ზოგიერთი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ხასიათის შესწორება, გავსწორეთ აგრეთვე ძველ გამოცემაში შემჩნეული ტექნიკური მიზეზებით დაშვებული შეცდომები და ლასუსებო“ (გვ. 15). მეორე ადგილას იგი შენიშნავს („გრ. ორბელიანის“ ტექსტის გამო): „წინა გამოცემებში (1905., 1941 წ. „ქართული მწერლები“, საბლიტგამი) დაშვებული ტექნიკური ხასიათის შეცდომები და ზოგი არა სწორი გამოთქმა ამ შემთხვევაში გასწორებულაო“ (გვ. 447). რედაქტორს გაუსწორებია, მაგალითად, ერთი შეცდომა, რომელიც ი. მეუნარგის მონოგრაფიის „ცხოვრება... გრ. ორბელიანისა“ ტექსტის წინა გამოცემაში გაიპარა. იქ ეწერა, თითქოს ტაბასარანელები (დალისტნელი ტომია, ა. გ.) ამობოდენ „ჩვენ უზღუდელები ვართ, თავისუფალნიო“... უნდა ყოფილიყო, „ჩვენ უზღუნები ვართ, თავისუფალნი“... (უზღუნები—გარკვეული სოციალური ფენა იყო დალისტანში, ა. გ.). ეს შეცდომა ამჟამად გასწორებულა.* მაგრამ ამგვარი შეცდომები ტექსტში მაინც დარჩენილა. ჩვენ ამჟამად არ ეფიქრობთ ამ შეცდომათა საკმაოდ ვრცელი სიის გამოქვეყნებას (თვითუც მათგანის შესწორებას სჭირდება საპეციალური დასაბუთება, რისთვისაც ჩვენ აქ ადგილი არ გვრჩება), დაეკმაყოფილდებით რამდენიმე მაგალითით. სანიმუშოდ ავიღოთ გეოგრაფიული ტერმინები: ი. მეუნარგია წერს (გვ. 71): „...სალათავის მთაგრეხილზე, გამაშის მალლობში... ყარანაევის დაშვებაზე“. გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებანი აქ სწორად არაა გადმოდგენილი. უნდა იყოს „სალათაუხ... დამაშის... ყარანაის დაშვებაზე“ (ი. მეუნარგია კი რუსულის მიხედვით წერს: „ყარანაევის დაშვებაზე“ — Караганевский перевал. არსებობს სოფელი ყარანაი და არა ყარანაევი). 116-ე გვერდზე წერია: „...უიკრატლაში ნაიბი აფიოვი მოკლეს“... ეს არის თარგმანი გრ. ორბელიანის ერთი რუსული ბარათიდან, რომელიც მონოგრაფიის 1905 წლის გამოცემაში ქართული თარგმანის პარალელურადაა მოყვანილი. იქ წერია: ... В Уикратло убили наиба Ажнова „...ეს ადგილი დამახინჯებულადაა დაბეჭდილი და დამახინჯებულადგეა ქართულად თარგმნილი, რადგან აული უიკრატლა არ არსებობს, არსებობს აული უნკრატლი (Ункратл) აშკარაა ასო Н-ს ნაცვლად უ დაუბეჭდიათ (ი. მეუნარგიამ ამოიწერა ბარათი შეცდომით თუ სტამბამ დაამახინჯა იგი — ამჟამად ცნობილი არაა ჩვენთვის). იგივე თქმის აფიოვის შესახებ: იყო ნაიბი მაჩი-იავ (უნკრატლის მმართველი) და არა აფიოვი. საქმე იმაშია, რომ ი. მეუნარგეას უხდებოდა იხეთი დოკუმენტების გამოყენება, რომლებიც მახინჯდებოდნენ პუბლიკაციის დროს, თვითონ ბიოგრაფიცი, ი. მეუნარგია, ზოგჯერ არასწორად ხმაობს ტერმინებსა და სახელწოდებებს, ცუდად ამოუკითხავს ცალკეული სახელები და გვარები გრ. ორბელიანის კერძო წერილებიდან და ა. შ. წიგნის შენიშვნებშიაცაა ანალოგიური შეცდომები. მაგ. ნიკოლა ბუალო დეპრეო (Nicolas Boileau-Depréaux) აღნიშნულია ასე (გვ. 28): „ნიკოლოზ-დეპრეო ბუალო (1636—1711)“. უადგილო

* ამ შეცდომაზე მივუთითებ ჩვენ (იხ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1952, № 18 (9 თებერვალი), გვ. 3.

დღეიხსა და გვარის დაბოლოების შეცვლას რომ თავი დაეანებოთ, ეს „ნიკოლოზი“ მაინც ძალზე ქართულად გამოიყურება. ამ პრინციპის მიხედვით „ჯორჯ ბაირონი“ უნდა ვთარგმნოთ „გიორგი ბაირონად“, ეან რაე რუსო „ივანე-იაკობ რუსოდ“ და ა. შ. ანალოგიური შეცდომები საკმაოდაა შენიშვნებში. მაგ. 189-ე გვერდზე წერია: „დედანში აქ მოყვანილია ფრანგული ტექსტი „ბოსუეტიდან“, უნდა იყოს „ბოსუედან“ (ასევე თარგმნიან რუსებიც). ზომ არ ეწეროთ, მაგ. „მოპასანტ“, „ფლობერტ“ და ა. შ.

შენიშვნებში ზოგან განმარტებულია სოფლების სახელწოდებანი, ზოგან კი არა. ერთ შემთხვევაში თითქოს დახუსტებულია სახელწოდება (გვ. 57, სოფ. უნუქუღას გამო: „ონსოქოლასაც უწოდებენ“), სხეაგან კი განმარტებულიც არაა ანალოგიური სახელწოდებები (მაგ. იმავე გვერდზე არაა განმარტებული „არახთაუ“, „სიუხი“, „ტანუსი“ და სხვ.). იგივე ითქმის ისტორიულ პიროვნებათა შესახებაც: ერთგან აღნიშნულია ზოგი მათგანის ვინაობა (მაგ. ცნობა გენერალ სიმბორსკის შესახებ), დანარჩენ შემთხვევაში კი მათზე არაფერია თქმული. გაუგებარია, რატომაა გამოტოვებული, მაგალითად, კლუპის, ფეუეს, კლდ-შევის, ლახარეის და სხვების მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

„შენიშვნებსა და კომენტარებში“ რედაქტორი აკეთებს რამდენიმე შენიშვნას — ამეადაზ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო — ი. მეუნარგიას შრომების პუბლიკაციის ისტორიიდან. ერთად ჩერდება იგი ი. მეუნარგიას „გრ. ორბელიანის“ გარშემო და აცხადებს, რომ ამ მონოგრაფიის „გაგრძელების“ აღმოჩენა არაეის დამსახურებას არ წარმოადგენს და რომ აღნიშნული „გაგრძელების“ არსებობა მან იცოდა ჯერ კიდევ 1928 წ., როცა ამის მონაწილეობით ზუგდიდის მუზეუმისათვის ჩაუბარებიათ ი. მეუნარგიას არქივი“ (გვ. 445). ეს არქივი კი არაეის დაულავებია ამის შემდეგ „თითქმის 16 წლის განმავლობაში“ (ე. ი. დაახლოებით 1941 წლამდე). რედაქტორის მტკიცებით, „გაგრძელება“ მას 1938 წლამდე ვერ უპოვინა თბილისში და თავდაპირველად „მუზეუმში დაცულ შავებისათვის მიუმართავს ტექსტის აღდგენის მიზნით, მაგრამ აშოდ“, თანაც ეს შავები არ ყოფილა „არამცთუ დაღაგებული, დანომრილი და ზედ დაწერილი, როგორც ეს ნათქვამი იყო ერთს გამოცემაში“ (იგულისხმება ჩემ მიერ 1951 წ. გამოცემული „პოეზია“ გრიგოლ ორბელიანისა. ა. გ.), „არამედ ერთი-მეორეში არეული“ (გვ. 445). რედაქტორი წერს, რომ მან გამოაქვეყნა მხოლოდ 1988 წელს თბილისში ნაპოვნი, სრული და გადათთებებული, პირი „გაგრძელებისა“ („ლიტ. მატრიან“, წ. 1-2, გვ. 297). დასასრულ, რედაქტორი შენიშნავს, რომ 1988 წ. „აღმოჩენილი“ ეს „გაგრძელება“ არც იხე უცნობი და მუთუნახავი იყო. აქედან მთელი თავი (XXV), თეორიული ნაწილი, მისმა აეტორმა მონოგრაფიის ძირითად ტექსტზე ადრე დაბეჭდოა“ (გვ. 446) სქოლიოში (1) ამჭერად დასახელებულია: „გრიგოლ ორბელიანი. ლირიკა. ეპოსი. თარგმანები. 1951 წ. გვ. 232“ (იგულ. ჩენი გამოცემა).

რედაქტორი ამ საკითხში ცოტა სხვა „არგუმენტებით“ იმეორებს იმ აზრს, რომელიც მან გამოსთქვა გრ. ორბელიანის პოეტური ნაწერების ზემოთ დასახელებულ

გამოცემაზე დაბეჭდილ რეცენზიაში 1951 წელს (იხ. ე. „მნათობი“, № 12). ამჟამად შესაძლებლობა გვეძლევა პასუხი გაეცეთ პირველად და უკანასკნელად გამოთქმულ ყველა შენიშვნას.

ჩერ კვალდაკვალ მივყავთ 1951 წ. რეცენზიაში დაბეჭდილ შენიშვნებს.

1. რეცენზენტს არ მოსწონს ჩვენი გამოცემის შესავალი წერილი და აცხადებს, რომ მასში „მოხდენილადაა წამოჭრილი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა სქემატურია, ღრმა ანალიზსა და დამაჭერებელ არგუმენტაციას მოკლებული“ (ეფრ. გვ. 16). მკითხველს შეუძლია იქვე გაეცნოს ჩვენს წერილს გრ. ორბელიანზე და შეამოწმოს რეცენზენტის განცხადების სისწორე. პოეტის შემოქმედების შესწავლის ისტორიაში ჩვენ მგონი პირველად მიუთითეთ მთელ რიგ მომენტებზე. ასეთებია, მაგალითად: გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის პოეტიკის საერთო ნიშნები (საზომები, ლექსიკონი, სახეთა სისტემა); გრ. ორბელიანის დამოკიდებულება პოეტური ფსალმუნებისადმი (ციტატა შლეგილიდან); რადენიშე უცნობი მომენტი მისი ბიოგრაფიიდან და ა. შ. თვითველ ჩვენს დებულებას თან ახლავს კონკრეტული მაგალითი ან ბიბლიოგრაფიული ცნობა და რეცენზენტის საყვედური „არგუმენტაციის“ ნაკლებობაზე — მგონი უსაფუძვლოა.

2. რეცენზენტის აზრით, ჩვენ ვერცლად არ განეხილეთ გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“. ამის გამო უნდა შეენიშნოთ: რომელიმე აკადემიური გამოცემის „შესავალ წერილს“ ყოველთვის როდი აქვს პრეტენზია მწერლის შემოქმედების ყოველმხრივი, ვრცელი და ამომწურავი ანალიზისა. ასეთ ამოცანას ჩვეულებრივ ისახავს ნარკვევი ან მონოგრაფია. „სადღეგრძელოს“ ყოველმხრივ გარჩევა ჩვენი ეტიუდის შინაგან პროპორციას დაარღვევდა. (მით უფრო, რომ ამავე გამოცემის შენიშვნებში მკითხველი დაწვრილებით გაეცნობა პოემასთან დაკავშირებულ ძირითად ლიტერატურულ და ტექსტუალურ საკითხებს. ცალკეული ნაწარმოებების შინაარსის დაწვრილებითი გადმოცემა ყოველთვის სავალდებულო როდია შესავალი წერილისათვის, რომელიც კრიტიკული პორტრეტის სტილითაა დაწერილი. ჩვენი ეტიუდის დამკირების მიზნით, რეცენზენტი მას აიგივებს „საქარტოზითი“ წერილებთან (იხ. ეფრანლის გვ. 152).

3. რეცენზენტის აზრით, შესავალ წერილში მე დაწვრილებით უნდა გამე-შუქებინა გრ. ორბელიანის პოზიცია „მამათა და შეილთა“ პაექრობაში, თანაც რეცენზენტი არ იზიარებს ჩვენს შეხედულებას იმის შესახებ, რომ გრ. ორბელიანი და პლ. იოსელიანი ენის საკითხებში არქაისტებად უნდა ჩაითვალოს. გამოდის, თითქოს გრ. ორბელიანი 60-იანი წლების შემდეგ მარტივი და სადა ენის დამცველი იყო. რეცენზენტი მიმართავს ვრცელ ექსკურსს, მოყავს ამონაწერები პოეტის სხვადასხვა ბარათებიდან, კერძო და შემთხვევითი გამონათქვამებიც, და ასკვნის, რომ პლ. იოსელიანის გვერდით მისი მოთაგება „ყოვლად გაუმართლებელია“. მაგრამ მთელი ეს მტკიცება გაუგებრობის ნიდაგზა ალმოცენებული. ჩვენ მხედველობაში გვქონდა გრ. ორბელიანისა და პ. იოსელიანის თეორიულ დებულებათა მჭიდრო ურთიერთ კავშირი 60 — 70-იან წლებში. მართ-

ლაც და თვითონ გრ. ორბელიანი აშკარად მიუთითებს პ. იოსელიანზე, როგორც თავის ავტორიტეტზე გრამატიკის სფეროში. აი რას წერს იგი ერთ წერილში: „პლატონს რომ არ დაეწერა ღრამატიკა, არც ეს ჩემი სტატია დაიზადებოდა თქვენს შესაწუხებლად“. („ცისკარი“, 1874 წ. სექტ.-ოქტ., გვ. 195). რეცენზენტი კი ემყარება პოეტის მიერ შემთხვევით გამოთქმულ შენიშვნებს და ერთი სიტყვით არ იხსენიებს მის საკმაოდ ცნობილ სტატიას გ. წერეთლის „ეპიკოლიკის“ შესახებ. რომელიც გრ. ორბელიანის ყველაზე საგულისხმო კრიტიკულ-თეორიულ შრომად უნდა ჩაითვალოს. ამ წერილში პოეტი ილაშქრებს ენისა და ორთოგრაფიის გამარტივების წინააღმდეგ, იშველებს ანტონ კათალიკოსის ავტორიტეტსაც და სრულს სოლიდარობას უცხადებს პ. იოსელიანს. ამ უკანასკნელის შესახებ დაწერილ ნარკვევში კი ჩვენ პარალელური ადგილებით ცხადეყავით ეს შეხედულება. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ამა თუ იმ პოეტის თეორიული შეხედულებანი ყოველთვის როდი გულისხმობენ თვითონ ამ შეხედულებათა ბრაქტიკულ რეალიზაციას. გარკვეულ პირობებში გრ. ორბელიანი თეორიულად იცავს უკიდურესი არქაისტების პოზიციას, — ესაა და ეს.

პ. იოსელიანმაც „დაიკვა“ ერთხელ გ. ერისთავის კომედიების სადა ენა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პ. იოსელიანი არქაისტი არ იყო.

რეცენზენტი ერთ-ერთ თავის საბუთად ანეითარებს შემდეგ მოსაზრებას: „მარტივია, სადა და გასაგები გრიგოლ ორბელიანის წერილებიც, განსაკუთრებით კი სამოციანი წლებიდან დაწყებული“-ო (გვ. 154). პირიქით: გრ. ორბელიანის წერილები სადა და მარტივია ხწორედ 80-ან წლებამდე (იხ. ჩენი რედაქციით გამოცემული ორი ტომი პოეტის 1832 — 1859 წ.წ. ბარათებისა). შემდგომი წლებიდან კი, განსაკუთრებით ენის საკითხებში „მამათა და შვილთა“ პაექრობის პერიოდიდან, გრ. ორბელიანი ართულებს თავისი ბარათების ენას არქაიზაციის მიმართულებით (სინტაქსსა და ლექსიკაში), იცავს მეტ პურიზმს და ა. შ.

4. რეცენზენტი შეგვნიშნავს, რომ პერალდია — „ლერბმცოდნეობას“ ნიშნავს და რედაქტორი მას უადგილოდ ხმარობსო. ანალოგიურია მისი მეორე ტერმინოლოგიური ხასიათის შენიშვნაც სიტყვა „სინედრიონის“ გამო. ჩვენ ვწერდით: „პოეტი პრეფერენსს თამაშობს მოხუცი გენერლებისა და მეგობრების სინედრიონში“. რეცენზენტი გვეკითხება: „რატომ იქცა პოეტის ბინა სინედრიონად, რომელიც ძველ ებრაელთა სასულიერო და საერო საქმეების უმაღლესი სამჯაერო იყო? ან კიდევ ვისთვისაა საჭირო ამგვარი გამოთქმები?“

ცნობილია, რომ უცხო სიტყვების ლექსიკონში ტერმინების მხოლოდ ერთი, თავდაპირველი, მნიშვნელობა როდია განმარტებული. იმავე ლექსიკონში სიტყვებს განა მათი მეორე, გადატანითი ან ირონიული მნიშვნელობაც არა აქვს მიწერილი? „პერალდია“ იხმარება არა მარტო „ლერბმცოდნეობის“ მნიშვნელობით, არამედ საგვარეულო ტიტულატურის აღმნიშვნელ ცნებადაც. იგივე ითქმის „სინედრიონის“ შესახებ. იხ. მაგალითად „Словарь иностранных слов“ (Москва, 1946: „Синедрион 1) Сов-т старейших в древней Иудее, до падении

Иерусалима... 2) Ирон. собрание, сборище. ჩვენ ასევე შეგვეძლო გვეჩვენებოდა სიტყვა „არეოზაგი“ ან „სინკლიტი“ მეორე მნიშვნელობით. უცნაური იქნებოდა ვინმეს რომ შეენიშნა: „სინკლიტი“ ხომ წარჩინებულთა კრებას ეწოდებოდა ძველ საბერძნეთშიო“. აკი ამ პირველი მნიშვნელობის გარდა „სინკლიტს“ აქვს ირონიული მნიშვნელობაც (იხ. იმავე „ლექსიკონში: „Синклит“ гр. sinclitos) 1) В древней Греции—собрание высших сановников, 2) Ирон. собрание сборище. შდრ. ჯეკ ლონდონი: „Для чего вы живете? вопрошает он синклит торгашей иреуслевающих в жизни“, „Избр.“, 1951 стр. 683).

5. რეცენზენტს მოყავს ერთი ადგილი ჩვენი წერილიდან თავისი შენიშვნით:

„შესავალ წერილში არის ასეთი ადგილი: „ამ ლაშქრობათა (ლაპარაკია 1826 — 1828 წ.წ. ირანთან ლაშქრობაზე — ს. ც.) ამბები საფუძვლად დაედო მის „სადღეგარძელოს“ და არც ისე ძნელია წარმოდგენა ქართული ოფიცრის სიამაყისა იმ დროს, როცა კავკასიის მხედრების მიერ ძლეული ირანელი და თურქი სერასკირები თავიანთ ბაიარაგებს ჰხრიდნენ სევასტოპოლთან და აბას-აბადთან, ერეკლთან და „ირაკლის თაფასთან“, ზერთვისის, ახალციხის და ყარსის მისადგომებთან (გვ. VI). დაკვირვებული მკითხველი მიხედება, რომ აქ ერთმანეთშია არეული სხვადასხვა ამბები, თარიღები, მოვლენები, ქვეყნისა და ლაშქართა სახელწოდებანი და ტერმინებიც კი“ (ტურნალის გვ. 151).

ჭერ ერთი: ჩვენ ეწერთ ისტორიულ ადგილებზე „რუხეთ-ირანისა და რუხეთ-თურქეთის ომებში 1826 — 1828 წ.წ.“ (იხ. ჩვენი წერ გვ. XI) და არა მარტო „ირანთან ლაშქრობაზე“, როგორც ეს რეცენზიაში შეცდომითაა ამოწერილი. მეორედ: მოტანილ აბზაცში არაფერია არეული, თანამიმდევრობითაა დასახელებული ის ისტორიული ადგილები, სადაც გრ. ორბელიანს უბრძოლია. მესამედ: მოყვანილ აბზაცში არც ერთი უცხო ტერმინი არ გვხვდება.

6. ჩვენს წერილში გრ. ორბელიანის ზოგიერთი ბარათების ენას და შინაარსს ვაღარებთ „იერემიას გოდებას“. რეცენზიაში ამაზე ნათქვამია: „სად არის გრ. ორბელიანის პოეზიაში(?) იერემიას გოდებაო“. მაგრამ ეს გამოთქმა ხომ თვითონ პოეტს ეკუთვნის?! ამასთანავე — ჩვენ ვვულისხმობთ პოეტის ბარათებს 70-იან და 80-იანი წლებიდან და არა მის პოეზიას. ეს ბარათები ხომ სწორედ იერემიას გოდებითაა აღსავსე!!

რეცენზიაში შეფასებულია ჩვენი წერილის სტილიც ამგვარი მეთოდით: მაგ. მოყვანილია ერთი აბზაცი ჩვენი წერილიდან: „გრ. ორბელიანის სასიმღერო შოტვის შემცველ სტროფებში შენახულია ხმა ქართული პოეზიის შორეული და პერიფერიული უბნისა, ისევე, როგორც თანრული გამოხატულებანი თბილისის გარეუბანთა აიენიანი სახლებისა... მრავალწერტილის ნაცვლად კი ჩვენს

წერილში ამ სიტყვას მოხდევს ორი წერტილი და იქვეა მოყვანილი საილუსტრაციო ტაბელები:

ვყარაულობ ერთის ვისმეს კარებსა,
ერთს მოაჭირს, ორ პატარა თანჯარას.

ამის შემდეგ კი მთელი აბზაცის ობრი გასაგები ხდება.

7. რეცენზენტი თავს იყაეებს „მსგავსი ადგილების“ მოყვანისაგან და აცხადებს, რომ „მათი ამოწერა ძლიერ შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ავტორის სტილის ნიმუშად მოყვანილი ადგილები ეპარაო“. ჩვენ კი ვუთქვამთ: ამოსწერად, რომ ვგულებოდეს!.. მაგრამ ესეცა: თვით ტაიტის აბზაციც რომ უწინწყლებოდ შეგვეტანა წერილში, რეცენზენტი უმაღვე მას დაიწუნებდა.

8. „სტილისტიკური ექსკურსის“ შემდეგ რეცენზიაში „წიგნის სხვა მხარეებიცაა განხილული“. მივეყვთ კვალდაკვალ.

რეცენზიაში აღნიშნულია (ყურნ. გვ. 155), თითქოს გრ. ორბელიანის დაბადების თარიღი 1800 წ. — ჩვენ ავიღეთ „ზუგდიდის მუზეუმის შრომების“ I ტომიდან, რომელიც 1847 წელს დაიბეჭდა. 1937 წელს ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ „პოეტის გენეალოგიურ ტაბულაში“ მართლაც 1804 წელია ნაჩვენები. მაგრამ რეცენზიაში მითითებული არაა სხვა წყაროზე. აკი ჩვენს მიერ ჯერ კიდევ 1940 წელს გამოცემულ გრ. ორბელიანის „ლექსების“ წინასიტყვაობაში თარიღად აღნიშნულია „1800 წ.“? (იხ. საბლიტგამის გამოცემა, თბილისი, 1940 წ. გვ. 3: „გრ. ორბელიანი (1800 — 1883)“; ტექსტში: „გრ. ორბელიანი დაიბადა 1800 წელს“ და სხვ.). გარდა ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია თუ ვინ მოაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ 12 წლის გრ. ორბელიანი 1816 წელს სამხედრო სამსახურში ვერ შევიდოდა, ხოლო უკომენტარიო კრიტიკულ ეტიუდში სპეციალურად ვერ შევნიშნავდი, რომ მისი დაბადების თვე და რიცხვი ჩემი აღმოჩენა არაა. თანაც: ეს თარიღი ამჟამადაც სადაოა!

9. რეცენზიაში აღნიშნულია, რომ ჩვენს შენიშვნებში პოეტ გიორგი თუმანიშვილის ნაცელად დასახელებულია მის. თუმანიშვილი. ეს ფაქტი ჩვენგანვე ვახდა ცნობილი და საჭირო იყო მისი აღნიშვნა. რეცენზიაში აგრეთვე თქმულია: „მსგავსი შეცდომები წიგნში მრავალიაო (გვ. 163, 167, 200, 217 და სხვ.)“. აქ დასახელებულია გვერდები გრ. ორბელიანის ნაწერების აკადემიური გამოცემისა, რომლებშიაც არავითარი შეცდომა არ მოიპოვება. „და სხვა“—ც აგრეთვე გარკვეული მიზნით არის ნახმარი: ნამდვილად არაფერი არ შეიძლება მიემატოს უკვე „აღნიშნული შეცდომების რიცხვს“. თუ როგორი ყოფილა ეს „შეცდომები“, შეითხველმა ზემოთ დაინახა.

რეცენზიაში აღნიშნულია „რამდენიმე უხეში კორექტურული შეცდომა (გვ. 29, 106, 118, 162 და სხვა)“. ისევ გვერდების დასახელება და ისევ „და სხვა“, მაგალითი და ნიმუში კი — არც ერთი! დამატებით თქმულია: „არის სხვა

ხასიათის შედრომაც: მაგალითად, საეკეა, რომ გრ. ორბელიანის შესანიშნავი ლექსი—„ღამე“ დაწერილიყოს ქალაქ-ედ-დინ რუმის „ლაზელის“ (sic!) რუსული თარგმანის გავლენით (გვ. 160)“. ურნ. გვ. 156). ეს შენიშვნა დამახასიათებელია რეცენზიისათვის. ჭერ ერთი—ჩვენ არაფერი გვიწერია იმის შესახებ, თითქოს გრ. ორბელიანს ქალაქ-ედ-დინის რუმის „გავლენით“ დაეწეროს თავისი „ღამე“. ჩვენ ვწერთ: „გრ. ორბელიანის ლექსის ლეიტმოტივი შორეულად გვაგონებს ქალაქ-ედ-დინ რუმის ზოგიერთ ლირიკულ პიესასაც, მაგ. ცნობილ „ლაზელს“, რომლის პირველი ორი ტაეპი ასეთია...“ (იხ. გრ. ორბელიანი. პოეზია, 1951, გვ. 160, შენიშვნებში). ნუთუ გამოთქმა — „შორეულად გვაგონებს“ — გულისხმობს გავლენას მითითებას? გავლენა სხვა და პარალელის აღნიშვნა — სხვა. მეორედ: მე არ შემძლო მეთქვა: გრ. ორბელიანის „ღამე“ ქალაქ-ედ-დინ რუმის „ლაზელს“ რუსული თარგმანის გავლენითაა დაწერილი-მეთქი, თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ ჩვენმა პოეტმა „ღამე“ დაწერა 1888 წელს, ხოლო ქალაქ-ედ-დინ რუმის „ლაზელის“ რუსული თარგმანი გამოქვეყნდა 1886 წელს. (იხ. Восток Сб. 2: Литература Ирана X—XV в. в. Академия. Москва—Ленинград 1935, стр. 353).

როგორც იტყვიან — კომენტარები ზედმეტია!

ასეთი „შედომები“ ხომ არაა ნაგულისხმევი რეცენზიის დასახელებულ გვერდებზე და „სხვა“-ში?

10. ჩვენ გავარჩიეთ რეცენზიაში მოყვანილი თითქმის ყველა — ერთის გარდა — „შენიშვნა“.

მკითხველმა თვითონ გამოიტანოს დასკვნები.

დაბოლოს განვიხილოთ უკანასკნელი შენიშვნაც.

ჭერ გვეცნოთ საქმის ვითარებას. რეცენზიაში აღნიშნულია:

„რედაქტორს (ე. ი. ჩვენ, ა. გ.) ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ 1933 წელს ვითომც მან პირველად აღმოაჩინა ზუგდიდის მუზეუმში იონა მეუნარგიას შრომის „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“ — დაუბეჭდავი თაეები და რომ ის 1940 წ. ჩვენ გამოქვეყნებულ ჟურნალ „ლიტერატურულ მატრიანეში“ (№ 1-2) „აღმოჩენების“ დაუსახელებლად (გვ. 232)“.

ჭერ ერთი, ჩვენთვის აღმოსაჩენი არ იყო ის მასალა, რომელიც ჩვენზე ხელით ჩაბარდა ზუგდიდის მუზეუმს 1925 წელს,* მეორედ, დასახელებული მასალა წარმოადგენდა აღნიშნული შრომის პირველი ხელნაწერების ფრაგმენტებს. ი. მეუნარგიას ჭერ გამოუქვეყნებელი მონოგრაფიისა „გრიგოლ დადიანი“. ისინი ერთიმეორეში იყო არეული. ამის გარკვევა-დალაგება მოხდა მხოლოდ 1945 წელს, მუზეუმში კატალოგიზაციის ჩატარების დროს. ასე, რომ შეკლდეარს 1988 წ. მისი დალაგება და დანომრვა არ

* ი. მეუნარგიას „ქართული მწერლების“ შენიშვნებში კი აღნიშნულია: 1926 წელს ჩავაბარეთ; რომელი თარიღია მართალი?!

შეძლო. უერნალ „ლიტერატურის მატრიანეში“ გამოქვეყნებული ტექსტა წარმოადგენს არა იმ ფრაგმენტებს, რომელთა არც ერთი გვერდი ერთი-მეორეს არ მისდევს, არამედ ავტორის შიერ გადათეთრებულ ვარიანტს, რომელიც დაცული იყო თბილისში ექიმ კაპიტან მუენარგიას ოჯახში (ამის შესახებ იხილეთ ჩვენი განცხადება, „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ. № 1-2, გვ. 297, სქოლიო“. (დაყოფა ჩვენია ა. გ.).

აკაკი გაწერელის განცხადება, რომ მან ექვსი წლით ადრე (?) შეისწავლა ზუგდიდის მუზეუმში დაცული გრ. ორბელიანის არქივი, დაუჭერებელია“ (ყურნ. გვ. 155-156).

ამრიგად, რეცენზიის მიხედვით გამოდის, თითქოს: 1. მე შეცდომაში შემიყვანია მკითხველი, როცა გამიცხადებია — ზუგდიდის მუზეუმში ჭერ კიდევ 1933 წელს ვნახე ი. მუენარგიას მონოგრაფიის გაგრძელება-მუთქი. 2. რომ მე არ შემიძლო იქ მოთავსებული მასალის „დანომრება და დალაგება“, რადგან მუზეუმში კატალოგიზაცია ჩატარებულია 1945 წელს.

მოკლედ: რეცენზია მბარალებს სიცრუეს და მკითხველს არწმუნებს: დახეთ, როგორი „კეთილსინდისიერია“ პოეტის ნაწერების რედაქტორიო! რამ გამოიწვია ასეთი ბრალდება?

სარეცენზიო წიგნის (გრ. ორბელიანი, პოეზია, 1951) 232 გვერდზე, „ბიბლიოგრაფიაში“, ჩვენ აღნიშნული გვაქვს:

„1. მუენარგია იონა. ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა (დაუბეჭდავი თაყები). პუბლიკაცია ს. ცაიშვილისა („ლიტერატურული მატრიანე“, 1940, № 1-2, გვ. 295 — 341, [თაყები XXII — XXVII]. გამომცემელი წერს: „ი. მუენარგიას ხელნაწერებში მართლაც აღმოჩნდა გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის ახალი თაყები“ (გვ. 247) და „ეაქვეყნებთ ისე, როგორც ჩვენ ვიპოვეთ და აღვადგინეთ“ (297). მაგრამ ი. მუენარგიას მონოგრაფიის გაგრძელება ეიპოვეთ ჩვენ შვიდი წლით ადრე იმავე ზუგდიდის მუზეუმში 1933 წელს, დავლაგეთ, დავნომრეთ და ზედ დაეწერეთ ფანქარით — „ი. მუენარგიას მონოგრაფიის გაგრძელება“. ცნობას ამის შესახებ მკითხველი ნახავს ჩვენი რედაქციით 1988 წელს გამომცემულ „გრ. ორბელიანის წერილები“-ს I ტომის შენიშვნებში (იხ. გვ. 310: „არქივში აღმოჩნდა აგრეთვე იონა მუენარგიას მონოგრაფიის „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“ (ტფილისი, 1905) გაგრძელება)“.

აი, სწორედ ამ ადგილმა გამოიწვია ზემოთ ციტირებული რეპლიკა. შენიშვნის აზრი ასეთია: როგორ შეიძლო აკაკი გაწერელისა 1988 წელს ენახა ხელნაწერი და იგი „დაეღაგებია“, როცა ზუგდიდის მუზეუმის კატალოგიზაცია მხოლოდ 1945 წელს ჩატარდა!

ჭერ ერთი: რეცენზიაში მოყვანილი არაა ჩვენი შენიშვნა მთლიანად იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველი იკითხავდა: როგორ მოახერხა აკაკი გაწერელიამ ჭერ კიდევ 1988 წელს დაბეჭდილ გრ. ორბელიანის „წერილებს“ I

ტომის შენიშვნებში აღენიშნა ი. მეუნარგიას მონოგრაფიის არსებობა ზუგდიდის მუზეუმში, თუ ამ მუზეუმის მასალის გაცნობა 1945 წლამდე შეუძლებელი იყო? ეს ხომ უბრალო ლოგიკის საკითხია?

მართლაც და, აი რას ეწერლით ჩვენ გრ. ორბელიანის „წერილების“ I ტომის (1986 წ.) შენიშვნებში, სადაც მოცემული გვაქვს პოეტის არქივის მოკლე აღწერილობა. იხ. გვ. 313.

„18. სამეგრელოს მუზეუმში (ქ. ზუგდიდში) დაცული მასალები წარმოადგენს გრ. ორბელიანის ცნობილი ბიოგრაფის იონა მეუნარგიას არქივს. ჩვენ ეს არქივი გავარჩიეთ 1933 წელს და ის მასალები, რომლებიც უშუალოდ ეხება გრ. ორბელიანს, ცალკე დაეალაგეთ. აქ დატულია რამდენიმე ბარათი გრ. ორბელიანისა (ქართულ და რუსულ ენებზე), დ. ყიფიანისა, ყაფლან ორბელიანისა, პ. იოსელიანისა და სხვ. გრ. ორბელიანის რუსული ბარათები სხვა პირის მიერ მელნით გადაწერილ შავებს წარმოადგენს, ქართული წერილები კი მელნით ნაწერ ავტოგრაფებს. არქივში აღმოჩნდა აგრეთვე იონა მეუნარგიას მონოგრაფის — „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“ (ტფილისი, 1905) გავრძელება.“

სამწუხაროდ, ზუგდიდში ყოფნის დროს ჩვენ ვერ მოვასწარიტ გრ. ორბელიანის ბარათების ასლების გადმოღება. მასალა ჩვენ მივიღეთ მუზეუმის დირექტორისაგან მაშინ, როცა პირველი ტომის ბარათები სისტემაში მოყვანილი და დასაბუქდა იყო გამზადებული. მასალის ქართული ნაწილი დაიბეჭდა III ტომის „დამატებაში“.

მკითხველი აქედანაც დაინახავს, რომ ჩვენ კარგად გაეცნობივართ ზუგდიდის მუზეუმში დაცულ მასალას, ძირითადად ეპისტოლარულ დოკუმენტებს (დიდი ხნით ადრე, ვიდრე 1945 წ.). მაშ რატომაა მიჩქმალული ეს ფაქტი? იმიტომ, რომ დამტკიცებულ იქმნას: 1945 წლამდე ზუგდიდის მუზეუმის მასალას აკაკი გაწერელია ვერ გაეცნობოდა, ხოლო 1940 წელს „ლიტ. მითიანში“ დაბეჭდილი „ცხოვრება“ თითქოს სულ სხვა ასლია, ვიდრე ზუგდიდის მუზეუმის ვარიატი. მაგრამ ერთი რამ ხომ იქმნითანელია: ამ მონოგრაფიის გავრძელების არსებობის ფაქტი აღწინნით ჩვენ 1986 წელს. რიცენწიაში კი ეს გარემოება აღწინნული არაა.

ამაში სხვა ფაქტებიც გვარწმუნებენ. აი ისინი:

1. ზუგდიდში ჩვენი ყოფნის (1933 წ.) მეორე წელს იქაური მუზეუმის იმდროინდელმა დირექტორმა აკაკი ჭანტურიამ 22/ II-34-ის თარიღით მომწერა ბარათი, რომელშიაც სხვათა შორის მატყობინებდა:

„გიგზავნიტ ცალკე, საგანგებო ამანათით თქვენს წიგნს და თქვენს მიერ ამორჩეულ გრ. ორბელიანის და პ. იოსელიანის წერილების ასლებს, აგრეთვე რუსული „ვეფხისტყაოსნის“ სათაურს. რაც შეეხება იონას ნაწერებს, მისი ასლის გადაღება ანუ გაგზავნა ჭერჭერობით ვერ მომხებრხებია. არქივი დაცულია განსაკუთრებული პირობით. და ასეთი მოქმედება თორიდიულ საკითხებს წამოაყენებდა. მე მალე ჩამოვალ თბილისში, გნახავთ,

საქმის ეითარებას გაგაცნობთ, რომელიც იქ უნდა მოგვარდეს. მგონია საბოლოო ჩამში თქვენი სურვილებისამებრ გადაწყდება საქმე. კანონის ფარგლებში საქმის მოგვარება უფრო სასურველია, მინემ მისი ვალაზებით, ამის საწინააღმდეგო თქვენც არა გეჭნებათ რა“ (წერილის დედანი ჩვენთან ინახება. ა. გ.).

სწორედ ამ ბარათში აღნიშნული მასალის „ასლების“ შესახებ ეწერა ჩვენ უკვე 1988 წელს გრ. ორბელიანის „წერილები“-ს I ტომის შენიშვნებში: „მასალა ჩვენ მივიღეთ მუზეუმის დირექტორისაგან მაშინ, როცა პირველი ტომის ბარათები სისტემაში მოყვანილი და დასაბუქდად იყო გამზადებული. მასალის ქართული ნაწილი დაიბეჭდება III ტომის დამატებაში“-მეთქი (მასალა, მუზეუმის ბეჭდით შემოწმებული ჩვენთან ინახება).

რომ მასალა მართლაც ქერ კიდეც 1934 წ. (მეორედ კი — 1935 წელს) მივიღეთ, შევხედავ ჩანს, რომ ერთი მთავანი ჩვენ გამოვაცხევეთ კიდეც „წერილების“ მეორე ტომში, რომელიც 1937 წელს გამოვიდა (ი. ი. 1945 წლიდან 8 წლით ადრე) ეს არის გრ. ორბელიანის წერილი გედგონ ივანეს-ძე ბუჭიაშვილისადმი 1852 წლის 9 მაისის თარიღით, რომელიც ჩვენ II ტომის კომენტარებში დაბეჭდეთ ასეთი შენიშვნით:

„შენიშვნა: ამ ბარათის დედანი დაცულია ზუგდიდის მუზეუმში. აქ იბეჭდება იმ ასლის მიხედვით, რომელიც ჩვენ მივიღეთ 1935 წელს ზუგდიდისაგან. რადგანაც მოსალოდნელია ასლში ზოგი რამ კარგად ვერ იყოს გადმოცემული, ჩვენ ის ძირითადად ტექსტში არ მოვითავსეთ“ (იხ. „წერილები“, ტ. II, 1937, გვ. 296).

რეცენზიაში ნათქვამია: რედაქტორს რომ ენახა ზუგდიდის მუზეუმის მასალები, იგი ნახავდა ზოგიერთი მისი „ლექსების („მუშა ბოქლოძის“ და „ფსალმუნის“) ავტორაფებს, რომელთა შესახებ რედაქტორი თავის შენიშვნებში აღნიშნავს, მათი ავტორაფები არ ჩანსო“ (ეფრ. „მნათობის“ გვ. 156). მაგრამ 1933 — 1936 წლებში მე არ ვანზიზრახავს პოეტის ლექსების გამოცემა, მე ვეძებდი მხოლოდ პოეტის წერილებს და დირექტორმაც ძირითადად ეს დოკუმენტები მაჩვენა. თანაც: ჩემთვის ეხლაც არაა ცნობილი — როდის შეიძინა მუზეუმმა აღნიშნული ლექსების ავტორაფები და სხვა მასალა, რადგან 1933 წლის შემდეგ მე ქ. ზუგდიდში არ ჩაესულეარ. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დასახელებული ლექსების შესახებ ჩვენ არაფერი გვაქვს ნათქვამი აღნიშნული გამოცემის შენიშვნებში.

აქვე დავუმატებთ შემდეგს:

ჩვენმა რეცენზენტმა 1988 წელს ვაზ. „საბჭოთა მასწავლებელში“ დაბეჭდა სტატია „გრიგოლ ორბელიანი სკოლის შესახებ“ (იხ. № 31 (453) 19 აპრილი), სადაც იგი სხვათა შორის გრ. ორბელიანის ერთ-ერთი წერილის შესახებ წერს: „ქვემოღმოყვანილი ბარათი ამოღებულია ი. მერნარგიას მიერ შედ-

გენილ გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის დაუბეჭდავ ნაწილიდან, რომელიც ინახება ზუგდიდის მუზეუმში“.

მაშახადამე ი. მეუნარგიას მონოგრაფიის გამოუქვეყნებელი თავები ზუგდიდის მუზეუმში დალაგებული ყოფილა კატალოგიზაციამდე (ე. ი. 1945 წლამდე), რადგან ამის შესახებ თვითონაც მიუთითებდა ჭრ კედევ 1988 წელს.

თაეის რეცენზიასა და ი. მეუნარგიას ნაწერების ახალი გამოცემის შენიშვნებში რედაქტორი დაუინებით ამტკიცებს — ჩვენ „გაგრძელების“ გადათეთრებული პირი დაებეჭდეთო. მაგრამ უწინარეს ყოვლისა ხანტერისოა ფაქტი თვითონ „გაგრძელების“ არსებობისა, რაიც პრესაში კატეგორიულად და ხაზგასმით არ ყოფილა აღნიშნული გრ. ორბელიანის წერილების I ტომის გამოხვლამდე! შორედ კი თვითონ ჩვენმა რეცენზენტმა აღნიშნა იგი 1988 წელს.

საკითხავია: თუ გამოცემელმა „ლიტ. მატრიანეში“ გამოაქვეყნა 1988 წელს თბილისში მოპოვებული სუფთა დედანი და არა ზუგდიდში დაცული შავები, მაშინ რაღად დასჭირდა „აღდგენა“ მონოგრაფიის ტექსტს, რაზედაც იმავე „ლიტ. მატრიანეში“ წერს? თუ „გაგრძელება“ „შეეთუნახავი“ არ იყო — რატომ წერს აქვე — გაგრძელება „ჩვენ აღმოვაჩინეთო?!“ რატომ დასჭირდა 1988 წელს ზუგდიდის „დაულაგებელ“ შავებიდან ამოღება გრ. ორბელიანის წერილისა ხკოლის შესახებ (და მისი დაბეჭდვა გაზეთში), თუ მას იმავე წელს თბილისში მიგნებული გადათეთრებული პირი ხელთ მოეპოვებოდა (ბარათის პირიც ხომ უფრო ხუფთა იქნებოდა?!). რატომ სწერდა კატეგორიულად 1988 წლის „სახალხო განათლებაში“, „გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის დაუბეჭდავი ნაწილი ზუგდიდის მუზეუმში ინახებაო“, თუ 1926 წლის შემდეგ ამ მუზეუმში დაცული არქივი (მეუნარგიასი) არავის დაულაგებია 1945 თუ 1941 წლამდე?! ან როგორ გამოვაქვეყნეთ ჩვენ 1988 წელს დაწვრილებითი ცნობები აღნიშნულ არქივის შესახებ (პირველად ბეჭდური ხაზით?) ან როგორ დაებეჭდეთ 1987 წელს ამ „დაულაგებელი არქივიდან გრ. ორბელიანის ბარათი ბუკუიაშვილისადმი“?

ყველა ამ კითხებიდან დასკვნები თავისთავად გამომდინარეობს.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ჩვენს დაგვიანებულ პასუხს მხოლოდ ერთი მიზეზი აქვს: უცხოელი კომპარტიების აღდგენა, რასაც გრ. ორბელიანის ნაწერების ტექსტოლოგიური კვლევის ისტორიისათვის აქვს მნიშვნელობა. არავითარი სხვა მიზეზით იგი გამოწვეული არაა.

ქ რ ო ზ ა

1. დ ღ ი უ რ ე ბ ი

(1831—1839)

მგზავრობა ჩემი ტფილისიამ პეტერბურამდის

ავტოგრაფი დატულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ლენინგრადის ფონდსა (ლენინგრადის ცენტრალური საისტორიო არქივიდან, შექმულების საქმეები, რვ. X XI, ფურც. 36 — 46, 59 — 64) და განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდში (№ 171, ფურც. 185 — 205).

„მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურამდის“ ამ ორ სხვადასხვა ფონდში გაფანტულადაა მოთავსებული. გრ. ორბელიანს გზადაგზა უწარმოებია დღიური და, ცხადია, მგზავრობის დროს მხოლოდ შავად უწერია. თანაც ერთდამთავრებულ ცელზე სხვადასხვადროის ჩანაწერები და მინაწერები გვხვდება. თუ დაეუმატებთ იმასაც, რომ თავის დროზე თანდარმერიის არქივში ეს ნაწერები დაუღებულად შეუერთა, მაშინ გასაგები იქნება, რომ ტექსტის მთლიანი სახის აღდგენა საქმაოდ ძნელი აღმოჩნდა.

„მგზავრობის“ დახასიათებას აქ აღარ შევეუდგებით (ამის შესახებ დაწერ. იხ. ამავე გამოცემის შესავალ წერილში — გრ. ორბელიანის პრეზა), ოღონდ აღნიშნავთ, რომ ტექსტის ზოგიერთი ადგილისათვის სავამომძიებლო კომისიის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია და ისინი საეკეოდ მიუჩნევია. „მგზავრობის“ ავტოგრაფში მთელ რიგ გვერდებს ჩამოსმული აქვს ხაზი და აწერია: „Пере-
ಖодъ на X.3735“ და სხვ. უფრო საეკეოდ ადგილები სპეციალურად უნდა თარგმნილიყო კომისიისათვის, ხოლო გრ. ორბელიანის საუბარი ი. აფხაზთან საქართველოს მომავლის შესახებ მთლიანად უთარგმნიათ (ურაზას — „მოვიდა კნიაზი ივან ნიკოლაიჩი აფხაზოვი“ — თავზე გამოტანის ნიშანი უნის, ხოლო სქოლიოში აღნიშნულია წითელი მელნით: „პერეუოდ“). აგრეთვე ხაზი აქვს ჩამოსმული შემდეგ ადგილებს: „რომელმან ბოროტმან სულმან...“, „უნებლიეთ გარდამოცილდნენ თვალთაგან ცრემლნი, ეიხილე რა საფლავი მეფისა ირაკლისა...“, „საკურველ არს, თუ ვითარ გადმოვიდა ამა მთათა რუსის ქარი...“, გენერალი აფხაზი „ქარიშ მგ-

ვიღა თაგაურის ხეობაში, სადაცა ორჯელ დამარცხდნენ რუსნი...“, „მერწმუნე, მაიორი—უთხარ მე...“ და სხვ. (ამ „საეჭვო“ ადგილების რუსულად თარგმნის შესახებ უფრო დაწერ. იხ. პ. ინგოროყვა, გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები, ქართული მწერლობა, 1928, № 6-7, გვ. 263. აგრეთვე მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, I, 1956, გვ. 135—136).

ზამორთმეული ნაწერების გასინჯვის შემდეგ, 1833 წლის 20 მარტს საგამომიებლო კომისიას შემდეგი განუცხადებია გრ. ორბელიანისათვის: „При рассмотрении отобранных у вас бумаг, писанных на Грузинском языке, некоторые из них, по существенному содержанию своему, представляющему явное волюнтарство, стремление к свободе Грузии и вообще мысли и предположения, противны долгу чести и святости верноподданнической присяги, обратили на себя особенное внимание высшего правительства“ (საქ. სახელმწ. ცენტრალური არქივი, ლენინგრადის ფონდი, XVIII, გვ. 3502).

„მგზავრობის“ გადათვრებული ნაწილი (დღიური 1831 წ. 9 ივნისიდან 7 აგვისტომდე) გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ (მნათობი, 1940, № 2); რამდენიმე ფრაგმენტი მოსკოვისა და პეტერბურგის შთაბეჭდილებებიდან შეიტანა ა. გაწერელიამ გრ. ორბელიანის „წერილების“ I ტომის შენიშვნებში (იხ. გრ. ორბელიანი, წერილები. I, 1936); „მგზავრობის“ ერთი თავი, კერძოდ „მოსკოვის აღწერა“ დაბეჭდა მ. გოცაძემ (მნათობი, 1956, № 3), ხოლო დღიურის მომდევნო ნაწილებიდან პეტერბურგის აღწერა გამოაქვეყნა ვ. შადურმა (მნათობი, 1957, № 6).

გრ. ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ სრული სახით პირველად ქვეყნდება. ტექსტი იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით*.

აქვე უნდა შევნიშნოთ „მგზავრობისა“ და, საერთოდ, ჩვენს მიერ აქ გამოქვეყნებული პროზაული ტექსტების შესახებ: რამდენადაც გრ. ორბელიანის ნაწერების გამოცემა მასობრივი ტირაჟით გადაწყდა, ამიტომ აუცილებელი აღმოჩნდა სრულ აკადემიურ პუბლიკაციაზე ხელი აგვედო და დაგვნიღ ტექსტში ზოგიერთი ცვლილება შეგვეტანა, კერძოდ, უარყოფილი იქნა არქაული ორთოგრაფია, რომელსაც ავტორი ძირითადად იცავს. ამის შედეგად შევცვალეთ ხმარებიდან ამოღებული ასოები, როგორცაა: უ, ჭ, ჯ, ზ, მ, ზ, ჭ **. ასევე შე-

* ჩვეულებრივ ხმარობენ — „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ (ამდაგვარად აქვს დაბეჭდილი პ. ინგოროყვასაც), ავტოგრაფის სათაურში კი ირის „პეტერბურგამდის“, ამიტომ ჩვენც ასე დაეტოვეთ. გრ. ორბელიანი „მგზავრობის“ ტექსტში პარალელურად ხმარობს ორივე ფორმას.

** ამ მხრივ გამოწაკლისის სახით დაეტოვეთ გრ. ორბელიანის კრიტიკული წერილი (რეცენზია გ. წერეთლის მოთხრობაზე — „ეპიკოლიგი, ჩიკოლიგი და კუდაზნიკა“), სადაც ავტორი ენობრივი ნორმების შესახებ მსჯელობს და პრინციპულად ამტკიცებს მის მიერვე ხმარებული არქაული ფორმების საჭიროებას.

ძველი ასოები შევცვალეთ გრ. ორბელიანის რუსულ ჩანაწერებშიც.

ცელილი იქნა ასომთავრულები, რომლებითაც გრ. ორბელიანი ზოგჯერ იწყებს საკუთარ სახელებს (მაგალითად, იესო, ირაკლი, ივერია), ანდა საპატოო წოდების აღმნიშვნელ სიტყვებს (იმპერატორი და სხვ. იშვიათად ასომთავრულს იყენებს სათაურისა და აბზაცის დასაწყისშიც).

აეტორი უმეტესად ხაზგასმით წერს პირთა და გეოგრაფიულ სახელებს, ჩვენს გამოცემაში ამის ჩვენებად არ მოხერხდა ასეთ აღნიშვნათა სიმრავლის გამო. სხვა მხრივ გამოცემაში ზუსტად დაეუღია აეტორის სტილი და მართლწერა, ოღონდ შეტანილია, ჩვენი აზრით, ზოგიერთი აუცილებელი შესწორება, სახელდობრ: 1) გასწორებულია აეტორის კალმისეული შეცდომები (ყველა მნიშვნელოვანი გასწორება ნაჩვენებია სქოლიოში), 2) გასწორებულია პუნქტუაცია ყველგან, სადაც ეს საჭირო იყო ტექსტის გაგების თელსაზრისით, 3) აეტორი დეფინით წერს სიტყვებს: მართლ-მსაჯულობა, კეთილ-გონიერება, კეთილ-მოქმედი, წითელ-კაბიანი და სხვ., მაგრამ ამ წესს ყოველთვის არ იცაეს. ამიტომ ჩვენ ასეთი კომპოზიტები ერთად დაეწერეთ, 4) აეტორი ხშირად ერთად წერს შემასმენელსა და დამოკიდებული წინადადების კავშირს — რა (იხილავსრა და სხვ.), არსებით სახელსა და თანდებულს (სახლსაშინა, ქვეყანასაზედა და სხვ.), რიცხვით და არაბით სახელებს (ორსაათამდის და სხვ.). ჩვენ ყველგან ერთი წესი დავიცავით და ისინი ცალ-ცალკე დაეწერეთ. 5) აეტორი ზოგჯერ დეფინით წერს რთულ ზმნებს, მაგალითად: ძალ-უძს, ძალ-ედება, წინა-აღუდგების და სხვ. ასეთი ზმნები ჩვენ უდეფინოდ წარმოვადგინეთ.

ჩვენს მიერ გახსნილი შემოკლებულ სახელთა დაბოლოებანი, ან აღდგენილი ადგილები კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული. ასევე კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული ნაწარმოებთა ის სათაურები, რომლებიც აეტორს არ ეკუთვნის.

გამოცემაში ქარაგმები გახსნილია. ეს ქარაგმები საკმაოდ მარტივია და მათი სტერეოტიპული სახე ასეთია: შა (შინა), კკსა (ქორონიკონსა), შდ (შემდგომად), ლთო (ღმერთო), ვა (ეითარცა), კდ (კვალად), ფდ (ფრიად), შს (შორის), რლ (რომელ), კლსა (პირველსა), მრ (მიერ) და სხვ.

უნდა დავსძინოთ, რომ ტექსტში ხშირად გვხვდება რუსული ან უცხო სიტყვები, რომლებიც ფრჩხილებშია ჩასმული. აეტორი ამდგავარად მაშინ იქცევა, როდესაც ქართულად რუსულის შესატყვისს ვერ პოულობს. გამოცემაში ჩვენც ასე დავტოვეთ. რამდენიმე შემთხვევაში გრ. ორბელიანს ცალკე ფურცელზე ამოუწერია ის სიტყვები, რომლებიც ვერ უთარგმნია. კერძოდ, „მგზავრობის“ ხელნაწერში ცალკე ამოწერილი გვხვდება შემდეგი სიტყვები (რა თქმა უნდა, ამათგან ზოგიერთის თარგმნა სრულებით არ იყო საჭირო):

მუზეუმ
მოდელ
მინერალ
მალახით
ღარუზი

კრისტალლ
СМЪМ
პლაიცი
პალმა
მონუმენტ, პამიატნიკ

ობელისკ	კიოტ
Исследств	შპინარ
შლემ	რუბინ
სტატუთა	ემალ
კოლოსალი	ფინიფტ
რეშეტკა	აკვამარინ
პოდვილი	შპიც
ბდენიე	კოსტილი
დერჟავა, ხელმწიფეს რომ უჭირავს	ნოსილიკი
პოპეჩენიე	ჩერეპახოვი
ოლრაჟდენიე	ბულაგა
ობოლჩენიე	ბუზდიახან
უტვარ	დოსპეხი
პანიკადილო	კოლჩულა
ჩიზა	პიშჩალ
ჩიზნიცა	ბერდიშ
კრილო	ლიტავრი
ტემნომალინოვი	შორ
ნარიად	პალაჩ

დასასრულ. უნდა აღენიშნოთ, რომ როგორც „მგზავრობის“, ისე მომდევნო ხანის დღიურების შენიშვნებში, გეოგრაფიული პუნქტების განმარტების დროს, არ ვეხებით დასახელებულ სოფლებს, — იგულისხმება, რომ ისინი შედიან მოხსენებულ საგუბერნიო და სამაზრო ქალაქების შემადგენლობაში. საფუძვლად აღებულია მაშინდელი ადმინისტრაციული დაყოფა. შენიშვნებში აგრეთვე არ ვეხებით იმ ადგილებსა და ღირსშესანიშნაობებს, რომელთა შესახებ ერკლად და უმეტესად სწორად მოგვითხრობს თვით გრ. ორბელიანი.

1. ზ ა ქ ა რ ი ა — ზაქარია ორბელიანი, გრ. ორბელიანის ძმა (1806 — 1847). სამხედრო სამსახური დაიწყო 1824 წელს. 1844 წელს დაინიშნა სამურის ოლქის უფროსად. ამავე წელს მიიღო პოლკოვნიკობა. 1846 წელს დაინიშნა აპშერონის პოლკის კომანდირად (უფრო დაწვრ. იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, 1936, გვ. 220 — 221, ა. გაწერელის რედ. და შენიშვნებით). გრ. ორბელიანი დღიურში აღნიშნავს, რომ ზაქარია „ჩემსავეთ მოსიარულობს ამაოდ, შორს ნათესავთა თვისთაგან და თვისისა მამულისა“. ამ დროს, 1831 წელს, ზაქარია ორბელიანი მართლაც პოლონეთში იმყოფებოდა, სადაც მონაწილეობა მიიღო პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში.

2. ივლისხმებთან თეიმურაზ მეორე (1700—1762) და ერეკლე მეორე (1718—1798).

3. არაგვის ერისთავი ჯიმშერ — 1743 წ. მოკლეს არაგვის ერისთავი ბეჟანი და მის აღვილზე თეიმურაზ მეორემ ერისთავად დასვა ჯიმშერ ჩოლოყაშვილი (1743—1756 წ.წ. იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, 1897, გვ. 534).

4. თარიღი უდრის 23 ივლისს, 1751 წ.

5. ივლისხმება ერეკლე მეორის შეუღლე დედოფალი დარეჯანი. მეფე ერეკლე თავის ოჯახითურთ მთიულეთში გაიხიზნა იმის შემდეგ, რაც სპარსეთის შაჰმა ალა-შაჰმად ხანმა 1795 წ. თბილისი ააოხრა.

6. ქიზიყის მოურავი ზაქარია — ზაქარია ანდრონიკაშვილი, ერეკლე მეორის სიძე. ზაქარია ანდრონიკაშვილი პაპა იყო გრ. ორბელიანისა.

7. არაგვის ერისთავი ბარძიშვილი დავით — (გარდ. 1692 წ.) ერეკლე პირველმა გამეფებისთანავე ბარძიში დაადგინა მსაჯულთუხუცესად. 1691 წ. ბარძიში ქართლს დაბრუნებულ გიორგი მეფეთმეტეს მიემხრო. ამ უკანასკნელმა ბარძიში, გივი ამილახვარი და თამაზ ბარათაშვილი კახეთის დასაპყრობად წარგზავნა. კახელი შემოეგებნენ და ზაფხულის შესთავაზეს, მაგრამ „ბარძიში იყო ამაყი, თავხედი, კადნიერი და არა რაიდ ვინმე ჩნდა და უმეტეს კახი“, „დამთვრალი განრისხნა ფრიად და არა-რა ისმინა ვისიმე და მიეტყუა ბრძოლად“. ამ შეტაკების დროს ბარძიში მოკლეს. (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. კვიციანიძის გამოც. 1913. გვ. 96).

8. იარბილი უდრის 1753 წელს.

რაც შეეხება ტექსტში მოხსენებულ „ვიდაცი ნიკოლოზს“, — ეს არის მხატვარი ნიკოლოზ აფხაზი, რომელსაც მოუხატავს ანანურის ეკლესიის კანკელი და აქვე განუახლებია 13 ასურელი მამის ფრესკები (იხ. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედაქციით, 1936, გვ. 263).

9. ერშოლოვი — ალექსი პეტრეს ძე (1772—1861), ცნობილი სამხედრო პირი, ინფანტერიის გენერალი. თავი გამოიჩინა პირველ სამამულო ომში. საქართველოს მთავარმართებელი 1817—1827 წლებში.

10. არაგვის ერისთავის შვილი ბადნური — „დაჯდა 1697 წ. ცოლი თამარ 1701 წ. ამისგან შეეკრილი ოლარი იხ. ეკლესიის მუზეუმში“ (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 533).

11. გ. ე. და ს...შვილი — (?) პირველ ინიციალებში შეუძლებელია დრამატურგი გიორგი ერისთავი ვიგულისხმოთ, რადგან გრ. ორბელიანი ამ შეხვედრის შესახებ წერს, რომ „ხილვა ჩვენი იყო პირველ“.

12. ელადიკაუკაზი — (ამჟამად ორჯონიძე) — თერგის ოლქის მთავარი ქალაქი მდ. თერგზე.

13. ციციანოვი — პავლე დიმიტრის ძე (1754—1806). ინფანტერიის გენერალი. პ. ციციანოვის წინაპრები საქართველოდან გადავიდნენ რუსეთს, კერძოდ კი მისი პაპა — პაატა ზაქარიას ძე ციციშვილი ვახტანგ VI-ს გაჰყვა 1725 წ. პ. ციციანოვის მამა — დიმიტრი პავლეს ძე საკმაოდ ცნობილი მწერალი იყო რუსეთში: მას ეკუთვნის რამდენიმე თარგმანი ფრანგულიდან, ანდერძი შვილები-

სადმი და სხე. (ყველა დაბეჭდილია). პავლე ციციანოვმა მრავალ ბრძოლაში გამოიჩინა თავი (სუეორიეი მას უწოდებდა: „მამაცი გენერალი ციციანოვი“). 1802 — 1806 წლებში ციციანოვი რუსეთის ქარების მთავარსარდლად იყო საქართველოში (დაწვრ. იხ. **Русский биографический словарь, С.—Пб., 1901**).

14. აფხაზოეი — ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზი (1764 — 1832). გენერალი. 1812 წ. დეკემბერში, ლენქორანის აღებისას, მეთაურობდა ერთ-ერთ რაზმს შაირის ხარისხით. აქ მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებული იქნა წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით. 1821 წ. მიიღო პოლკოვნიკობა. ამავე წელს დაინიშნა ქართ. გრენადერთა პოლკის კომანდირად. როდესაც აფხაზეთში მთავრად დაქდა ღიმ. შერვაშიძე, ი. აფხაზი საგანგებო რაზმით გაემართა მის დასახმარებლად. რათა გაედევნა არსლან-ბეი, რომელსაც სურდა აფხაზეთის ტახტის ხელში ჩაგდება. ი. აფხაზმა მიიღწია სოხუმამდე და გაფანტა ირსლან-ბეის მომხრეები. 1827 წ. იგი დაინიშნა გენ. პანკრატეივის კორპუსის შტაბის უფროსად. 1829 წლადან, უკვე გენერალ-მაიორი, ი. აფხაზი ითვლებოდა სამხედრო-სამხარეო უფროსად რუსეთის პროვინციების ამიერკავკასიაში. 1830 წ. დააწესნარა მთიელები (თაკურები). ი. აფხაზი გარდაიცვალა გზაზე, პოლონეთისაკენ მიმავალი, სადაც იგი გაიწვია გრაფმა პასკევიჩმა (იხ. **Военная энциклопедия, 1911, т. I**).

ი. აფხაზის მამის — ნიკოლოზის შესახებ იხ. პ. იოსელიანის მონოგრაფია — „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 1936, გვ. 263; შეად. აქვე, შენიშვ. 8.

15. ალექსანდრე საგანაშვილი — ალექსანდრე დიმიტრის ძე საგანაშვილი. 1845 — 1850 წლებში მსახურობდა გენერალურ შტაბში. მის შესახებ „კაეკასხკი კალენდარი“ შემდეგ ცნობას გვაწვდის: „**Бомандир роти № 3-го Топографов: Капитан Александр Дмитриевич Саганов**“ (**Кавк. календарь. 1845, стр. 197**) შემდეგში გენერალი (შეად. ნ. ბარათაშვილი, **თბულებანი, 1945, გვ. 116**).

16. ეკატერინოგრაძი — თავდაპირველად სტანიცა თერგის ოლქში. 1786 წლიდან ითვლებოდა საგუბერნიო ქალაქად, შემდეგ სამაზრო ქალაქად. 1822 წ. გააუქმეს ეკატერინოგრაძის ციხე-სიმაგრე და იგი კვლავ სტანიცად გადაიქცა.

17. ღრაფინა პასკევიჩისა — გრაფ ივანე თედორეს ძე პასკევიჩის მეუღლე (იხ. შენიშვნა 31).

18. შიფეე გიორგი — საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII (1746 — 1800).

19. ლანგთემური და ტახტამიში — ლანგთემური (თემურ-ლენგი — 1333 — 1405), მონღოლთა სარდალი, ცნობილია მის მიერ წარმოებული სისხლისმღვრელი ომებით. დიპრო შუა აზია, ინდოეთი და სპარსეთი. 1394 წ. მიიღწია მოსკოვამდე. 1402 წ. სასტიკად დაამარცხა თურქეთის სულთანი ბაიაზეთ პირველი. თემურ-ლენგი პირველად შემოესია საქართველოს 1386 წ. ამ დროიდან მოკიდებული, ვიდრე 1403 წლამდე, მან საქართველო ექვსჯერ დალაშქრა.

თოხთამიში — (გარდ. 1406) — ჩრდილოეთის „ოქროს ურდოს“ მზრუნველი, ჩინგის-ხანის შთამომავალი. 1380 წ. მან დაამარცხა „ოქროს ურდოს“ ხანი შამა. 1382 წ. დაარბია მოსკოვი. თოხთამის სახიფათოდ მიიჩნდა ლანგთემურის

გაძლიერება, ამიტომ მან გადაწყვიტა ამ უკანასკნელისათვის დაესწრო და 1385 წ. აღარბადაგანში შეიჭრა. სწორედ ამან გამოიწვია ლანგ-თემურის პირველი გამოლაშქრება საქართველოზე, რადგან თემური ფიქრობდა, რომ თხოთამიშმა სწორედ საქართველოს დახმარებით მოახერხა აღარბადაგანში შეჭრა. საბოლოოდ ლანგ-თემურმა გაანადგურა თხოთამიში.

20. ეკატერინა ზელმწიფე — რუსეთის დედოფალი ეკატერინე მეორე (1729 — 1796).

21. სტაეროპოლი — საგუბერნიო ქალაქი ჩრდ. კავკასიაში, მდ. ტამლაზე.

22. ჩინგის-ხანი — (1155 — 1227) — ცნობილი მონგოლი დამპყრობი. შეიჭრა ჩრდ. ჩინეთში, აიღო პეკინი. დაამარცხა ხორეზმის შაჰი მუჰამედი. მიადწია რუსეთამდე და 1223 წ. მდ. კალკაზე გაანადგურა სამხრეთ რუსეთის თავადთა ლაშქარი. ჩინგის-ხანის ერთი რაზმი, 20.000 მეომრის რაოდენობით, რომელსაც ჯებე და სუბუდაი მეთაურობდნენ, საქართველოში პირველად გამოჩნდა ლაშაგორგის დროს 1220 წელს.

23. ყაზანი — საგუბერნიო ქალაქი, მდ. ყაზანკაზე. დაარსდა XI ს. XV საუკუნის ნახევრიდან 1552 წლამდე ითვლებოდა ყაზანის სამეფოს სატახტო ქალაქად.

24. ასტარახანი — ასტარახანი — საგუბერნიო ქალაქი, მდ. ვოლგის მარცხენა ნაპირზე. ძველად ითვლებოდა ასტარახანის სამეფოს სატახტო ქალაქად. ეილერე მოსკოვის სახელმწიფომ არ შეიერთა იგი 1557 წ.

25. ემმანუელი — გიორგი არსენის ძე (1775 — 1837), კავალერიის გენერალი. პირველი სამამულო ომის გამოჩენილი მონაწილე. 1826 წ. დანიშნა ჯარების სარდლად კავკასიის ხაზზე და კავკასიის ოლქის უფროსად. რუსეთის იმპერიას დაუმორჩილა მრავალი მთიელი ტომი. 1829 წ. მოაწყო ექსპედიცია იაღბუზზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ. ამის შემდეგ ემანუელი აირჩიეს აკადემიის საპატიო წევრად.

26. შაიორი — იხ. შენიშვ. 57.

27. კავიტანი ფრიდრიქსი — (?) რუსეთის არმიის ოფიცერი. როგორც ჩანს, მსახურობდა სტაეროპოლში (იხ. ტექსტი).

28. კონსტანტინე — დიდი მთავარი კონსტანტინე პავლეს ძე (1779 - - 1831). 1816 წლიდან იყო შეფისნაცვლად პოლონეთში. აღექსანდრე პირველის სიკვდილის შემდეგ უარი განაცხადა ტახტზე და მის მავიერად გამეფდა მისი ძმა ნიკოლოზ პავლეს ძე (ნიკოლოზ I).

29. დიბიჩი — ივანე ივანეს ძე (1785 — 1831). გენერალი. 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე. თურქეთთან ომში 1829 წ. აიღო აღრიანოპოლი და აიძულა თურქეთი დაედო ზავი. 1830 წ. მონაწილეობას იღებდა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში.

30. ანტონ ყარაშვილი — (?)

31. პასკევიჩი — ივანე თედორეს ძე (1782 — 1856), ცნობილი პირი

რუსეთის სამხედრო ისტორიაში. კაეასიის მთავარმართებელი 1827 — 1831 წწ. ანდრიანოპოლის ზავის შემდეგ მიიღო გენერალ-ფელდმარშლობა. აქტიურად მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში, რის შემდეგაც, 1831 წელს, დაინიშნა მეფისნაცვლად „პოლონეთის სამეფოში“ და მიიღო ტიტული „Сверт. Импер. Варшавский“.

32. რ ე ლ უ ლ ი — ივულისხმება რეგულარული არმია.

33. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ე ფ ე — უნდა ივულისხმებოდეს საქართველოს მეფე ალექსანდრე პირველი, კონსტანტინეს ძე (მეფობდა 1412 — 1442 წწ.).

34. ლ ე ო ნ ი დ ი — ი. აფხაზი მართლმადიდებლური ეკლესიის ან ერთ-ერთ წმინდანს გულისხმობს, რომელიც წამებით მოკვდა (ასეთი ორია ენობილი), ანდა სპარტას მეფეს ლეონიდე I, რომელიც 480 წ. (ძვ. წელთაღრ.) შეება სპარსეთის მეფეს ქსერქსეს. მან მცირე ჭარით თავი შეაკლა მტერს, რათა მთავარი ძალები-სათვის უკან დახევის საშუალება მიეცა.

35. პ ო ლ კ ო ვ ნ ი ე ი ი ლ ი ნ ს კ ი — (?) რუსეთის არმიის ოფიცერი (იხ. ტექსტი).

36. პ ო ლ კ ო ვ ნ ი ე ი ფ ლ ი გ ე — (?) რუსეთის არმიის ოფიცერი (იხ. ტექსტი).

37. ზ ა ქ ა რ ი ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — (იხ. შენიშვნა 1).

38. გ რ ა ფ ი ს ი მ ო ნ ი ჩ ი — რუსეთის ელჩი სპარსეთში (დაინიშნა 1832 წ.), თეიმურაზ ბატონიშვილის ქვისლი (ცოლად ჰყავდა სარდლის ოთარ ამილახვარის ქალი). თეიმურაზის თხოვნით მან თან წაიყვანა თავროში საელჩოს თანამშრომლად ს. რაზმაძე, რომელიც იმ დროს უკვე 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი იყო.

39. ღ ე ლ შ ე რ ტ ი — ივულისხმება გრ. ორბელიანის მეგობარი გელშერტი, ოფიცერი, რომელსაც შემდეგ ხანებში პოეტი ხშირად წერდა წერილებს რუსეთში (იხ. ი. მეუნარგია, ქართული მწერლები, I, 1941, გვ. 56 — 57, ს. ცაიშვილის რედ.). ამავე დღიურში 1831 წ. 11 ნოემბერს გრ. ორბელიანი აღნიშნავს: „ღელ-შერტმა წამიყვანა სასიეროდ ნეესის პროსპექტზე“. ჩანს, მთ ერთად იმგზავრეს პეტერბურგამდე.

40. ზ ა ქ ა რ ი ა ი ო ს ე ბ ის ძ ე ს უ ლ ხ ა ნ ი შ ე ი ლ ი და შ ა ლ ი კ ა შ ე ი ლ ი — (?) . როგორც ჩანს, ესენიც რუსეთის არმიის ოფიცერები იყვნენ (იხ. ტექსტი). მეორე ამთავანი ხომ არ არის სვიმონ ოსების ძე შალიკაშვილი, ჭარტ. გრენადერთა პოლკის ოფიცერი, რომელსაც გრ. ორბელიანი ხშირად ახსენებს თავის წერილებსა და დაღესტნის პერიოდის დღიურში?

41. შ ა რ ვ ა მ ი ძ ე — (?) .

42. პ ო ლ კ ო ვ ნ ი ე ი ტ ი მ ე რ მ ა ნ ი — (?) .

43. ს ვ ი ს ტ უ ნ ო ვ ი — კამერპერი. გარდ. 1818 წ. (იხ. ტექსტი).

44. რ ო ს ტ ო ვ ი — ივულისხმება დონის-როსტოვი, საპორტო ქალაქი მდ. დონის მარჯვენა ნაპირზე.

45. ნ ა ხ ჩ ე ე ა ნ ი — ივულისხმება დონის-ნახჩევანი. აღმინისტრაციულად გავრთიანებული იყო როსტოვთან.

46. ჩერქასკი — სტანიცა მდ. დონზე, ჩერქასკის ოლქში.

47. ნოვოჩერქასკი — საოლქო ქალაქი მდ. აესაიასთან და ტუზლოვთან. დაარსებულია გრაფი პლატოვის მიერ (დაწვრ. იხ. ტექსტი).

48. ალექსანდრე ხელმწიფე — რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I (1777 — 1825).

49. გრაფ პლატოვი — მათე ივანეს ძე (1751 — 1818), დონის ჯარების ატაშანი, 1812 წ. სამამულო ომის გმირი (დაწვრ. იხ. ტექსტი).

50. შალახოვი — (?) თედორე ვასილის ძე, მკურნალი (იხ. ტექსტი).

51. ვორონეჟის გუბერნია — რუსეთის ერთ-ერთი შიდა-გუბერნია, ტერიტორია 57,900 კვ. ვერსია, მცხოვრ. რაოდენობა 3,080,000; საგუბერნიო ქალაქი ვორონეჟი, მდ. ვორონეჟზე.

52. პაელოვსკი — სამაზრო ქალაქი ვორონეჟის გუბერნიაში, მდ. ოსერე-დაზზე.

53. კონსტანტინე ცესარევიჩი — იხ. შენიშვ. 28.

54. იხ. შენიშვ. 31.

55. მოტაისკი — სამაზრო ქალაქი მოსკოვის გუბერნიაში, მდ. მოჟაისკზე.

56. ვორონეჟი — იხ. შენიშვ. 51.

57. სიერ. — (?) ზოგჯერ ტექსტში გვხვდება მაიორი სი... (24 სექტ. დღიური) როგორც დღიურიდან ჩანს, ეს მაიორი მეთაურობდა იმ რაზმს, რომელთანაც ერთად გრ. ორბელიანი პეტერბურგისაკენ მიდიოდა. დღიურიდანვე ჩანს, რომ გრ. ორბელიანი ამ მაიორის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა.

58. სენეაგინი — ივანე გრიგორის ძე, მემამულე ვორონეჟის გუბერნიაში (იხ. ტექსტი).

59. ზადონსკი — სამაზრო ქალაქი ვორონეჟის გუბერნიაში, მდ. დონზე.

60. მიკულინი — (?) მემამულე ვორონეჟის გუბერნიაში (იხ. ტექსტი)

61. ელცი — სამაზრო ქალაქი ორლოვის გუბ., მდ. სოსნაზე.

62. „ახალ აღნაგო“ — ლექსი დიმიტრი იოსების ძე თუმანიშვილისა (გარდ. 1821 წ.). დ. თუმანიშვილისა და მისი ლექსის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს ბ. იოსელიანი: „დიმიტრი, იოსებ მდივნის შვილი, გვართ თუმანიშვილი. მოლექსე. მოკვდა 1821 წელსა. ახლდა მეუღის ძეს მიხაილს ს. — პ. ბ. მისგან დაწერილსა ლექსსა სიყვარულისა:

„სიოცხლეს შენგან მოველი,
უკვდავება ხარ ცხოველი“

უქმნა დაწუნება ლექსადვე მღვდელმან ეგნატე იოსელიანმან. ამის შეუდგინეს ბასი“ (ბ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 262. დიბ. თუმანიშვილის ამ ლექსის შესახებ უფრო დაწვრ. იხ. ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954).

63. „ათშაბუტაშლარო“ — „ნუ ისერი ამ ქვებს“ (თურქ.).

64. ვფრემოვი — სამაზრო ქალაქი ტულის გუბ., მდ. კრასივიაა შჩაზზე.

65. გრაფი ბობრიცკი — (?) მემამულე ტულის გუბ. (იხ. ტექსტი)

66. ბოგოროდიცკი — სამაზრო ქალაქი ტულის გუბ., მდ. ლესნოი უპე-რუსზე.

67. ტულა — საგუბერნიო ქალაქი, მდ. უპაზე.

68. ნედერტონსი — (?)

69. სერპუხოვი — სამაზრო ქალაქი მოსკოვის გუბ., მდ. ოკის მახლობ-ლად.

70. პოდოლსკი — სამაზრო ქალაქი მოსკოვის გუბ., მდ. პახრაზე.

71. შენშინი და შურახანოვი — (?) როგორც ჩანს, რუსეთის არ-მის ოფიცრები იყვნენ. ახლო ურთიერთობა ჰქონიათ ქართველებთან (იხ. ტე-ქსტი).

72. მეჩნიკოვი — ეეგრაფი ილიას ძე (1770 — 1836), სენატორი.

73. ტრუბეცკოვი — (?) მემამულე მოსკოვის გუბ. (იხ. ტექსტი).

74. „თაეისუფალნი მსაქულნი, ანუ ბარბაროსობის დრო-ნი“ — პიესა (იხ. ტექსტი).

75. „პირველი სიყვარული“ — ვოდეილი (იხ. ტექსტი).

76. „ნინა, ანუ სიყვარულით გაგიყებულნი“ — ბალეტი (იხ. ტექსტი).

77. ოქროპირ ბატონიშვილი — გიორგი XII-ის ძე (1795 — 1857). რუსეთში გადასახლდა 1803 წ. თავის დედასთან — მარიამ დედოფალთან ერთად. 1832 წ. შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. გრ. ორბელიანს თბილისელ შე-თქმულთაგან დავალებული ჰქონია, რომ მას ოქროპირ და დიმიტრი ბატონი-შვილებთან უშუალო კავშირი დაემყარებინა (იხ. შენიშვ. 312).

78. თარხნიშვილი ესტატე — (?)

79. პოპეიკა დოქტორი — (?)

80. გიორგი ავალოვი — გიორგი ივანეს ძე ავალიშვილი (1769 — 1850), ცნობილი მწერალი და დიპლომატი, ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორ-მეტის ელჩი რუსეთში. გ. ავალიშვილმა დიდად შეუწყო ხელი რუსეთთან საქარ-თელის დაახლოებას. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, იგი თითქმის მუდმივად ცხოვრობდა მოსკოვში. უკანასკნელ წლებში მას უბოძეს „დეისტვი-ტლნი სტატსკი სოვეტნიკის“ ხარისხი. 1819 — 1820 წლებში გ. ავალიშვილმა აღმოსავლეთის ქვეყნებში იმოგზაურა და აღწერა კიდევ: „მოგზაურობა თბილისით იერუსალიმისადმი საბერძნეთსა ზედა...“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ ა. სუმაროკოვის პიესების თარგმნა ქართულ ენაზე (უფრო დაწვრ. იხ. ტ. რუ-ხაძე, ქართული ეპოსი „გარდაამავალი ხანის“ ლიტერატურაში, 1939).

მოსკოვიდან წასვლის შემდეგ, გრ. ორბელიანს მიწერ-მოწერა ჰქონია გ. ავა-ლიშვილთან (იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, ა. გავერლიას რედ., 1936).

81. დავით ჭავჭავაძე — პოეტ ა. ჭავჭავაძის ვაჟი (1818 — 1884). გე-ნერალ-ლეიტენანტი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1834 წ. მოსკოვში მისი ყოფ-ნა გიორგი ავალიშვილთან შემთხვევითი არ არის: გ. ავალიშვილი დავით ჭავჭა-ვაძის ბიძა იყო დედის მხრივ.

82. ვლისაბედ დიმიტრეენა — გიორგი ავალიშვილის მეუღლე, დიმიტრი ბაგრატიონის ასული.

83. ციციანოვი და დავიდოვი — (?)

84. ათანაძე — არქიმანდრიტი. მუღმივად ცხოვრობდა მოსკოვში, დონის მონასტერში. გრ. ორბელიანის ნათლია (იხ. ტექსტი). მართალია, გრ. ორბელიანი გარკვევით წერს: „ათანაძე“, მაგრამ ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უფრო სწორია „ათანასე“? მით უმეტეს, რომ იმ ხანად დონის მონასტერში არქიმანდრიტად იყო ათანასე პეტრიაშვილი. ამ უკანასკნელის შესახებ ბ. ესაძე შემდეგ ცნობას გვაწოდის: „Афанасий, архимандрит Донского монастыря, шв рода Петровых, р. 28 сент. 1774 г. в Князире, +17 окт. 1832 г.“ (Б. Эсадзе *Детство Грузий*, 1913, стр. 359).

85. მარიამ დედოფალი — ივლისხმება გიორგი XII-ის მეუღლე მარიამი, გიორგი ციციშვილის ასული (1768 — 1851). 1803 წ. მარიამ დედოფალი. გენერალი ლაზარევის მკვლელობის გამო, გაგზავნეს რუსეთს და შოათაესეს ბელგოროდის დედათა მონასტერში. 1811 წლიდან იგი ცხოვრობდა მოსკოვში. გარდაიცვალა იქვე. მისი ცხედარი გადმოსვენეს საქართველოში და დაკრძალეს მცხეთას (იხ. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936).

86. ირაკლი ბატონიშვილი — გიორგი XII-ის უმცროსი ვაჟი (1795 — 1859).

87. ეახტანე ციციშვილი — (?)

88. „ქალაღის მოთამაშის ცხოვრება“ — პიესა ფრანგი დრამატურგის ვ. დიუჟანისა (1783 — 1833). დიუჟანეი მელოდრამატული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე ტიპური წარმომადგენელია. აღნიშნულ პიესას ფრანგულად ეწოდება: „Trente ans ou la vie d'un joueur“. იგი ევროპისა და რუსეთის შრავალ სცენაზე იღმებოდა. ეს პიესა ქართულად თარგმნა და „ცისკარში“ დაბეჭდა ი. კერესელიძემ (1866, № 8, 9, 10). ი. კერესელიძის მიერ თარგმნილი „ქალაღის მოთამაშის ცხოვრება“ ხშირად იღმებოდა ქართულ სცენაზეც (იხ. მაგალითად, რეცენზია გაზ. „ოზორში“, 1880, № 408).

89. მაჩალოვი — პავლე სტეფანეს ძე მოჩალოვი (1800 — 1848), ცნობილი რუსი მსახიობი. სახელი გაითქვა შექსპირის პიესებში ტრაგიკული როლების შესრულებით. დიუჟანეს პიესაში თამაშობდა მარკიზ დე-ფერმონის როლს.

90. ხელმწიფე — ივლისხმება რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I (1796 — 1855).

91. დიმიტრი ბაგრატიონი — დიმიტრი გიორგის ძე, იესე მეფის შვილიშვილი (1746 — 1826). 1766 წ. დიმიტრი ბაგრატიონი ერეკლე მეორის წინააღმდეგ შექმნილ ოპოზიციის იღებდა მონაწილეობას, რის გამოც ერეკლემ იგი საქართველოდან გააძევა. ამის შემდეგ დიმიტრი ბაგრატიონი მუღმივად ცხოვრობდა რუსეთში. დ. ბაგრატიონი ქართველ ემიგრანტთა წრეში ცნობილი პოეტი იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, რომელიც 1819 წ. დაიბეჭდა.

დ. ბაგრატიონის ლექსების ხსენება გ. ავალიშვილის სახლში, რასაც აღნი-

შნავს გრ. ორბელიანი, ბუნებრივია, რადგან გ. ავალიშვილს ცოლად ჰყავდა დ. ბაგრატიონის ასული ელისაბედი. ამ უკანასკნელს მიუძღვნა მამამისმა ლექსი „ელისაბედიანი“ (დაწვრი. იხ. ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, 1939).

92. ბორის გოდუნოვი — რუსეთის მეფე (1552 — 1605). დაწინაურდა ჩერ კიდევ ივანე მრისხანის დროს. ივანე მრისხანის შვილის — თედორეს ტახტზე ასვლის შემდეგ მთელი სახელმწიფო ძალაუფლება ფიქტიურად ბორის გოდუნოვმა ჩაიგდო ხელში. გოდუნოვი მეფედ აირჩიეს 1598 წელს, თედორე ივანეს ძის სიკედილის შემდეგ.

93. ივანე დანიელის ძე კალიტა — (გარდ. 1340 წ.) — 1305 წლიდან მოსკოვის მთავარი, 1328 წლიდან დიდი მთავარი.

94. ცრულიმიტრი — ცრულიმიტრი I, მოსკოვის მეფე. ფიქრობენ, რომ ეს ცრულიმიტრი იყო გრიშკა ოტრეპიევი, ჩუდოვის მონასტრიდან გამოქცეული ბერი. მან თავი გამოაცხადა დიმიტრი უფლისწულად, ივანე მრისხანეს შვილად, რომელიც, წინათ გავრცელებული ხმების მიხედვით, თითქმის ბორის გოდუნოვმა მოაკვლევინა უგლინში 1591 წ.

ცრულიმიტრი მოსკოვის ტახტზე ავიდა 1605 წელს და 11 თვის შემდეგ, 1606 წელს, მოკლული იქნა ბოიარების მიერ, რომელთაც ვასილი შუისკი ხელმძღვანელობდა.

95. ევჩე — (სიტყვისაგან „ВЕЧЕ“ — ლაპარაკი, თათბირი) — ძველ რუსეთში ეწოდებოდა სახალხო კრებას. ევჩე გამოხატავდა ხალხის ნება-სურვილს სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტის დროს. ქალაქის ევჩეს საქმიანობაში მონაწილეობას იღებდა ყველა სრულწლოვანი მამაკაცი: მოქალაქეები, სამღვდელეობა, ბოიარები და ზოგჯერ მთავარიც. ევჩე კონტროლს უწევდა მთავრის ხელისუფლებას. ეველაზე მეტად იგი განვითარდა ჩრდილო-დასავლეთ რუსეთში — ნოვგოროდსა და პსკოვში, — სადაც ევჩეს უფლებები ძალიან გაიზარდა. მაგალითად, ნოვგოროდში ევჩემ შეზღუდა მთავრის ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებები; ევჩეს დისტურის გარეშე მას არ შეეძლო ომის წარმოება, არ ჰქონდა უფლება თემების მმართველად დაენიშნა არანოვგოროდელი მოქალაქე, არ შეეძლო სასამართლოს გარეშე გადაეყენებინა თანამდებობის პირები და სხვ. ევჩემ დაშლა იწყო მე-13 ს. მეორე ნახევრიდან, თათართა შემოსევების შემდეგ. ნოვგოროდში ევჩე გაუქმდა 1478 წ.

გრ. ორბელიანი თავის დღიურში ხშირად ლაპარაკობს აღტაცებით ნოვგოროდის ევჩეს შესახებ და მას რესპუბლიკურ წყობილებასთან აიგივებს, რაც, ცხადია, შეცდომაა.

96. იაროსლავი — იაროსლავ I, ბრძენად წოდებული, ვლადიმერის ძე (978 — 1054), ნოვგოროდის მთავარი. 1036 წლიდან, ძმის — მსტისლავის სიკვდილის შემდეგ, ერთმპყრობელი მთავარი. დიდ ყურადღებას აქცევდა განათლების საქმეს. ნოვგოროდელებს მრავალი შეღავათი მიანიჭა.

97. იოანე მეოთხე — რუსეთის მეფე ივანე მრისხანე, ვასილი მესამის ძე (1530 — 1584). ტახტზე ავიდა 1547 წ.

98. მიტროპოლიტი პეტრე — სრულიად რუსეთის მიტროპოლიტი. ივანე კალიტას მმართველობის დროს, 1325 წელს, გადმოიტანა სამიტროპოლიტო კათედრა ვლადიმირიდან მოსკოვში. გარდ. 1326 წ.

99. ეპისკოპოსი პეტროსი — რუსეთისა და იაროსლავის ეპისკოპოსი. გარდ. 1328 წ. ავტორია საეკლესიო ხასიათის რამდენიმე ნაწარმოებისა.

100. მიტროპოლიტი ფილიპე — მოსკოვისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტი 1464 წლიდან. გარდ. 1473 წ.

101. იოანე ვასილის ძე — ივანე მესამე, მოსკოვის მეფე და დიდი მთავარი, ვასილი ბნელის შვილი (1440 — 1505). ვანთაიესუფლა რუსეთი თათართა უღლებან. მის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა მოსკოვის სახელმწიფო.

102. ამუროლ არისტოტელ ბოლონსკი — ალბერტი ფიორავენტი, იტალიელი (ბოლონიელი) მექანიკოსი და ხუროთმოძღვარი. მიიწვიეს რუსეთში. აქ იგი ცნობილი იყო არისტოტელის სახელით. მიტროპოლიტი გერონტის დაავლებით მან 1476 წელს დაიწყო მოსკოვის მიძინების ტაძრის განახლება და დაამთავრა 1479 წელს.

103. მიტროპოლიტი გერონტი — სრულიად რუსეთის მიტროპოლიტი 1473 წლიდან. გარდ. 1489 წ.

104. მეფე მიხეილი — მიხეილ თედორეს ძე (1596 — 1645), რუსეთის პირველი მეფე რომანოვთა გვარიდან; არჩეული იქნა 1613 წელს.

105. ვლადიმერ მონომახი — ვლადიმერ ესეკლოდის ძე მონომახი (1053 — 1125). 1113 წლიდან კიევის დიდი მთავარი. მოაწესრიგა რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. მის დროს რუსეთი საქაოლ გაძლიერდა.

106. იმპერატორი ალექსანდრე — რუსეთის იმპერატორი ილექსანდრე I (1777 — 1825).

107. მიტროპოლიტი პლატონი — მოსკოვის მიტროპოლიტი პლატონი (1737 — 1812), ავტორი მრავალი საღვთისმეტყველო ნაწარმოებისა: „შეშოკლებული ქრისტიანული ღვთისმეტყველება“, „რუსული ეკლესიის მოკლე ისტორია“, „სარწმუნოების მართლმადიდებლური მოძღვრება“ (თარგმნილია ევროპულ ენებზე) და სხვ.

108. მიტროპოლიტი ისიდორე — მოსკოვის უკანასკნელი მიტროპოლიტი ბერძენთაგან. 1438 წ. ხელი მოაწერა ფლორენციის უნიას დასაქლეთისა და აღმოსაქლეთის ეკლესიების გაერთიანების შესახებ რომის პაპის მეთაურობით. ამის გამო მოსკოვის დიდმა მთავარმა ვასილი ბნელმა იგი მიტროპოლიტიბიდან გადააქუნა, რის შემდეგაც ისიდორე რომს გაიქცა და იქ გარდაიცვალა 1462 წ.

109. პაპი ევგენიოს — ევგენიოს IV, რომის პაპი 1431 — 1447 წლებში.

110. ვასილი ვასილის ძე — ვასილი II ბნელი, მოსკოვის დიდი მთავარი (1415 — 1462). 1446 წ. დიმიტრი შემოიკამ (იხ. შენიშვ. 148) ჩამოაგდო ტახტიდან და თვალები დათხარა, მაგრამ ვასილი ბნელმა კვლავ დიბრუნა ძალეუფლება. მის დროს რუსეთის ეკლესიამ, დამოუკიდებლად კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან, დაიწყო თავისი მიტროპოლიტიების არჩევა.

111. მიტროპოლიტი ფილიპე — მოსკოვისა და სრულიად რუსეთის

მიტროპოლიტი (1507 — 1569). თავდაპირველად იყო სოლოვეცის მონასტრის იღუმენი, 1567 წ., ივანე მრისხანის სურვილით, მიიღო მოსკოვის მიტროპოლიტობა. შემდეგ, შერისხული მეფის მიერ, მოკლა მალიუტა-სკურატოვმა (იხ. შენიშე. 112).

112. სკურატოვი — მალიუტა-სკურატოვი, გრიგოლ ლუკიანეს ძე, ივანე მრისხანის უახლოესი პირი, ერთადერთი კაცი, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა მეფის კეთილგანწყობილება. სკურატოვმა დიდად შეუწყო ხელი კარაიერის შექმნაში თავის სიმეს ბორის გოდუნოვს. მოკლეს 1573 წ. ვაისენშტაინის ალყის ჯროს.

113. ანდრეი ბოგოლუბსკი — იური დოლგოპრუჟის ძე (1110 — 1174), 1157 წლიდან სუზდალის მთავარი. მიისწრაფოდა ერთმმართველობისაკენ. დაიწოჩილა შეროში და რიზანის მთავრები. სატახტო ქალაქი გადაიტანა ვლადიპირში. ანდრეი ბოგოლუბსკი მამა იყო თამარ მეფის პირველი ქმრის გიორგი ბოგოლუბსკისა.

114. მეფე ემანუელი — (იხ. შენიშე. 147).

115. ვლადიმერი — ვლადიმერ სვიატოსლავის ძე (გარდ. 1015 წ.), თავდაპირველად ნოვგოროდის მთავარი, 980 წლიდან კიევის მთავარი. დაახლ. 987 წ. მიიღო ქრისტიანობა და იგი ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა.

116. რუსაიბეგი და მურადბეგი — სპარსეთის მეფის შაჰ-აბას პირველის ელჩები რუსეთში (შეად. ტექსტი).

117. მეფე არჩილი — ცნობილი ქართველი მეფე-პოეტი, ვახტანგ V შანავეზის შვილი (1647 — 1713). პირველად გაემგზავრა მოსკოვს 1685 წ. საბოლოოდ დასახლდა მოსკოვის მახლობლად სოფ. ვსესვიატსკოეში 1699 წელს, დასაფლავებულია დონის მონასტერში.

118. თავადი იური — ივანე მრისხანის ბიძა. დიდი მთავრის — ვასილი ივანეს ძის გარდაცვალების შემდეგ, სახელმწიფოს მართავდა დიდი მთავრის ქერიკი ელენე (ივანე მრისხანის დედა), რომელმაც საპყრობილეში ჩასვა მისი მმართველობით უკმაყოფილო მაზლები — იური და ანდრეი. იური მოკლეს 1547 წ. (შეად. ტექსტი).

119. სემეონ ამპარტავანი — მოსკოვის დიდი მთავარი, ივანე კალიტას შვილი (1317 — 1353). ტახტზე ავიდა 1340 წ.

120. დიმიტრი დონსკოი — მოსკოვის დიდი მთავარი (1350 — 1389), ივანე მეორის შვილი. ტახტზე ავიდა 1363 წ. კულუიკოვის ველზე 1380 წ. დაამარცხა თათართა წინამძღოლი შამაი. მართალია, ამ გამარჯვებამ რუსეთი საბოლოოდ ვერ გაანთავისუფლა თათართა უღლისაგან, მაგრამ მას იმ მხრივ ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ აღნიშნულ ბრძოლაში რუსეთის მხედრობამ პირველად დაამარცხა თათართა ურდოები და შეარყია ამ უკანასკნელთა ძლიერება.

121. ვასილი შუისკი — ვასილი ივანეს ძე შუისკი, 1606 წელს აირჩიებ მოსკოვის მეფედ, იმის შემდეგ, რაც მან დაამარცხა ცრუდიმიტრი I (იხ. შენიშე. 94). ეომებოდა პოლონეთს. 1610 წ. ჩამოაგდეს ტახტიდან და გაგზავნეს ვარშავაში, სადაც, ბერად აღკვეცილი, გარდაიცვალა 1612 წ.

34. გრ. ორბელიანი

122. მეფე ალექსი მიხეილის ძე — მეორე მეფე რომანოვა გვარადან (1629 — 1676). მეფობდა 1645 წლიდან. მის დროს რუსეთის სახელმწიფო საკმაოდ გაფართოვდა.

123. ალექსანდრე სიფალირევეის ძე — ყაზანის ხანის შვილი. მამამისი — საფა-გერაი (გარდ. 1549 წ.) გამუდმებით ებრძოდა მოსკოვის დიდ მთავარს ვასილი III და რამდენიმეჯერ იქნა ჩამოგდებული ტახტიდან.

124. მეფე იოანე ალექსის ძე — ივანე V (1666 — 1696). 1682 წლიდან მმართველობდა პეტრე პირველთან ერთად მოსკოვის მეფე. შეურვედ ჰყავდათ უფროსი და — სოფიო ალექსის ასული.

125. პეტრე პირველი — რუსეთის პირველი იმპერატორი პეტრე I (1672 — 1725).

126. მეფე თედორე ალექსის ძე — (1661 — 1682), პეტრე პირველის უფროსი ძმა. მეფობდა 1676 წლიდან.

127. პეტრე მეორე — რუსეთის იმპერატორი პეტრე ალექსის ძე, პეტრე პირველის შვილიშვილი (1715 — 1730). გამეფდა 1727 წ.

128. იოანე და ფეოდორ — ივანე მრისხანის შვილები. პირველი — ივანე (1554 — 1582) შემოაქვდა მამას განრისხების დროს. მეორე — თედორე (1557 — 1598) ტახტზე ავიდა 1584 წ. მან ცოლად შეირთო ბორის გოდუნოვის და ირინე. რელიგიური ეკზალტაციით შეპყრობილი თედორე ნაკლებად ზრუნავდა სახელმწიფო საქმეებზე. მის დროს მთელი ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ბორის გოდუნოვმა (იხ. შენიშვ. 92).

129. უგლიჩი — სამაზრო ქალაქი იაროსლავის გუბ., მდ. ვოლგაზე. 1591 წ. აქ მოკლეს ივანე მრისხანის უმცროსი ვაჟი დიმიტრი (1583 — 1591), რომელიც უგლიჩში დედასთან ერთად ცხოვრობდა მას შემდეგ, რაც ტახტზე ავიდა თედორე ივანეს ძე. გავრცელებული აზრი დიმიტრის მკვლელობაში ბრალს ბორის გოდუნოვს სდებს (შეად. შენიშვ. 94). გრ. ორბელიანი ცდება, როდესაც აღნიშნავს, რომ ბორის გოდუნოვმა თითქმის მოაკლევინა თედორე ივანეს ძის ვაჟი. მეფე თედორეს შვილები არ ჰყოლია.

130. მიხეილი — მიხეილ ვსევოლოდის ძე, ჩერნიგოვის დიდი მთავარი. მოკლეს 1245 წ. თათართა ურდოში, რადგან უარი განაცხადა წარმართული წესების შესრულებაზე.

131. მეფე სვიმეონ — იგულისხმება ყაზანის უკანასკნელი მეფე ედიგერი (იადიგარი), რომელიც 1552 წ. დამარცხებული იქნა რუსთავან, ტყვედ ჩაეპარდა და, გადმოცემის მიხედვით, შემდეგ ქრისტიანობა მიიღო.

132. აეტრას აქ შეცდომა მოსდის: შიტრაპოლიტი ისილორე გარდაიცვალა 1462 წ. (იხ. შენიშვნა 108).

133. გრიშკა ოტრეპიევი — (იხ. შენიშვ. 94).

134. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე — შემდეგ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II, ნიკოლოზ I-ის შვილი (1818 — 1881).

135. ბოიარინი მათეევი — არტემონ სერგის ძე (1625 — 1682), მეფე ალექსი მიხეილის ძის უახლოესი პირი. მან აღზარდა ნატალია ნარიშკინა,

მეფე ალექსის მეუღლე. დიდ მონაწილეობას იღებდა რუსეთთან უკრაინის შეერთებაში. მათევევი თავისი დროისათვის ფრიად განათლებული კაცი იყო. წერდა რუსეთის ისტორიის შესახებ, დაარსა სასახლეში თეატრი. მოკლეს აჭანუბულმა „სტრელცებმა“.

136. პ რ ი ნ ც ი ი ო ა ნ ე — შვილი დანიისა და ნორვეგიის მეფის ფრიდრიხ მეორისა (ფრიდრიხ მეორე — 1534 — 1588).

137. ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — რუსეთის დედოფალი ელისაბედი, პეტრე პირველის ასული (1709 — 1761). ტახტზე ავიდა 1741 წ.

138. შ ი ხ ე ლ დ ი მ ი ტ რ ი ს ძ ე ც ი ც ი ა ნ ო ე ი — (1767 — 1841), სენატორი, პავლე ციციანოვის ძმა (იხ. შენიშვ. 13). 1806 წლიდან იყო „იარაღის პალატის“ ზედამხედველი, 1813 წლიდან მოსკოვის მშენებლობის ექსპედიციის დირექტორი. დასაფლავებულია ვსესვიატსკოეში (იხ. РУССКАЯ ЭНЦИКЛОПЕДИЯ, С.—ПБ., 1901).

139. ე კ ა ტ ე რ ი ნ ე პ ი რ ვ ე ლ ი — რუსეთის დედოფალი ეკატერინე ალექსის ასული (1684 — 1727), პეტრე პირველის მეუღლე.

140. ს ტ ა ნ ი ს ლ ა ვ ა გ ვ ი ს ტ ო — პონიატოვსკი (1732 — 1798), პოლონეთის უკანასკნელი მეფე. მის დროს მოხდა პოლონეთის დანაწილება რუსეთსა, პრუსიასა და ავსტრიას შორის. 1795 წ. სტანისლავ პონიატოვსკიმ დატოვა სამეფო ტახტი. გარდაიცვალა პეტერბურგში.

141. ს ო ფ ი ო — (ზოია) თომა პალეოლოგის ასული, ძმისწული ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის კონსტანტინე მეორემეტისა. სოფიო ცოლად ჰყავდა მოსკოვის მეფეს ივანე მესამეს (იხ. შენიშვ. 101).

142. ი ვ ლ ი ს ხ მ ე ბ ა ს ა პ რ ს ე თ ი ს მეფე შაჰ-აბას I (1557 — 1628).

143. ს ო ფ ი ო — ალექსი მეფის ასული, პეტრე პირველის და (1657 — 1704). მართადა რუსეთს 1682 წლიდან, თედორე ალექსის ძის გარდაცვალების შემდეგ. მოაწყო „სტრელცების“ აჭანუბა, რათა ძალაუფლება წაერთმია პეტრეს დედისათვის. როდესაც პეტრე სრულწლოვანი გახდა, სოფიო კვლავ შეეცადა აეჭანუბინა „სტრელცები“, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ამის შემდეგ სოფიო განდევნეს და ერთ-ერთ მონასტერში მოლოზნად აღკვეცეს.

144. პ ა ე ლ ე პ ი რ ვ ე ლ ი — რუსეთის იმპერატორი პავლე პირველი (1754—1801).

145. ა რ ო ნ ი და მ ო ს ე — ბიბლიური გადმოცემის მიხედვით, აბრამის შვილები. არონი—უფროსი ძმა—თვლება ებრაელთა პირველ მღვდელმთავრად. მათ გამოიყვანეს ებრაელები ეგვიპტიდან და დააბრუნეს პალესტინაში.

146. ვ ა ს ი ლ ი დ ი მ ი ტ რ ი ს ძ ე — ვლადიმირისა და მოსკოვის დიდი მთავარი 1389 — 1425 წლებში, შვილი დიმიტრი დონელისა. მის დროს რუსეთს შემოესივნენ თემურლენგი და ედილეი.

147. ი მ პ ე რ ა ტ ო რ ი მ ა ნ უ ე ლ ი — ბიზანტიის იმპერატორი ემანუელ II პალეოლოგი, მეფობდა 1391 — 1426 წლებში.

148. დ ი მ ი ტ რ ი შ ე შ ი ა კ ა — გალიციის მთავრის იურის ძე. ებრძოდა დიდ მთავარს ვასილი ვასილის ძეს (იხ. შენიშვ. 110). გარდაიცვალა 1453 წ.

149. იმპერატორი მაქსიმელიანი — რომის იმპერატორი მაქსიმელიანი I (1459 — 1519).

150. ვასილი ივანეს ძე — მოსკოვის დიდი მთავარი ვასილი III (1479 — 1533).

151. პაპი გრიგოლ შერეე — გრ. ორბელიანი ცდება, სინამდვილეში უნდა იყოს პაპი გრიგოლ XIII (რომის პაპი 1572 — 1585 წ.წ.). სწორედ გრიგოლ XIII ჰქონდა კავშირი ივანე მრისხანესთან. ამ უკანასკნელთან გამოგზავნა მან თავისი დიპლომატიური რწმუნებული, სწაელული იეზუიტი პოსევეინი, რათა რუსეთშიც გაეგრძელებინათ კათოლიკობა.

152. პატრიარქი ფილარქი — სრულიად რუსეთის პატრიარქი, მეფე მხეილ რომანოვის მამა (1560 — 1633). ერისკაცობაში ებრძოდა ბორის გოდუნოვს, რომელმაც განდევნა იგი და 1601 წ. ბერად ილკვეცა. პატრიარქად აირჩიეს 1619 წ.

153. მართა — მეფის მხეილ თედორეს ძე რომანოვის დედა, ფილარქის მეუღლე.

154. პეტროვი იაკობი — კურლანდის პეტროვი იაკობ ვილჰელმის ძე, მართადა კურლანდიას 1642 — 1682 წლებში.

155. აელან-მაჰმადი — (?) იურღენის მეფის ძე, გაქცეულა რუსეთში მეფე მხეილ რომანოვის ღრს (იხ. ტექსტი).

156. მარინა — მარინა მნიშევი, პოლონელი ეოეოდას ქალიშვილი. ცოლად წაყვა ცრუდიმიტრი პირველს (იხ. შენიშვ. 94). ამ უკანასკნელის სიკვდილში შემდეგ, თავის ქმრად აღიარა ცრუდიმიტრი მეორე. გარდაიცვალა საპყრობილეში 1614 წ.

157. შაჰ-აბასი — (იხ. შენიშვ. 142).

158. მეფე თეიმურაზი — ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი (1589 — 1663). თეიმურაზი მოსკოვში ჩავიდა 1659 წ. 20 ივნისს და გამობრუნდა იმავე წლის 21 სექტემბერს.

159. შაჰ-აბასი — სპარსეთის მეფე შაჰ-აბას II (მეფობდა 1641 — 1666 წლებში).

160. ანა — რუსეთის დედოფალი, მეფე ივანე მეხუთის ასული (1693 — 1740). ტახტზე ავიდა 1730 წ.

161. იმპერატორი კონსტანტინე — უნდა იგულისხმებოდეს ნაბერძნეთის იმპერატორი კონსტანტინე XII პალეოლოგი, მოკლული 1453 წელს, როდესაც თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს.

162. მსტისლავ ელადიმეჩის ძე — (1075 — 1132), კიევის დიდი მთავარი 1125 წლიდან.

163. ალექსანდრე ნეველი — დიდი მთავრის იაროსლავ მეორის შვილი (1220 — 1263). 1247 წლიდან ნოვეგოროდის მთავარი, 1252 წლიდან ვლადიმირის დიდი მთავარი. 1240 წ. მდ. ნევაზე დაამარცხა შვედები, საიდანაც მიიღო ზედწოდება „ნეველი“.

164. ყაზანის მეფე ალექს — უნდა იგულისხმებოდეს ყაზანის ხანი

შახალი, რომელიც 1518 წ. ყაზანის ტახტზე დასვა მოსკოვის დიდმა მთავარმა ვასილი მესამემ.

165. მართა პოსადნიცა — ისაყ ბორეცის მეუღლე. როდესაც მოსკოვის მეფემ იეაზუ მესამემ ვარლამეა ნოვეგოროდის წინააღმდეგ, მართა სათავეში ჩაუდგა ნოვეგოროდელებს და ამხნევებდა მათ. 1479 წ., როდესაც იიღმ ნოვეგოროდი, მართა შეიპყრეს და გაგზავნეს მოსკოვს.

166. კარლოს მეთორმეტე — შვეციის მეფე (1682 — 1718). ტახტზე ავიდა 1697 წ. ებრძოდა პეტრე დიდს. პირველი წარმატებების შემდეგ, სასტიკი დამარცხება განიცადა პოლტავის ბრძოლაში 1709 წ.

167. მენშიკოვი — ალექსანდრე დანიელის ძე მენშიკოვი (1670 — 1729). წარმოშობით მდაბიო, იგი დაიხლოვა და აღაზრდა პეტრე პირველმა. 1707 წ. უკვე ფელდმარშლობა მიიღო. პეტრეს სიკვდილის შემდეგ, მას მფარველობდა დედოფალი ეკატერინე პირველი, რომლის დროს მენშიკოვმა თითქმის მთელი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში. ეკატერინეს სიკვდილის შემდეგ, პეტრეზე მოახერხეს მენშიკოვის დამარცხება და იგი ბერეხოვში გადაასახლეს.

168. ანდრეი ჩოხოვი — (ანუ ჩეხოვი) ზარბაზნის ჩამოსხმის ოსტატი. ჩამოსხმას სამი ზარბაზანი. ამათგან ყველაზე ცნობილია „Парь пуща“, რომელიც ჩოხოვს შეფე თედორე ივანეს ძის ბრძანებით დაუმზადებია 1586 წ.

169. მარტეშინ ოსიფოვი — ზარბაზნის ჩამოსხმის ოსტატი. მას შეფე ალექსი მიხეილის ძის ბრძანებით ჩამოსხმას ზარბაზანი 1590 წ.

170. ოლგერდი — ლიტვის დიდი მთავარი (1345 — 1377), შვილი მთავრის გედემინისა, რომელმაც დაიკავა მთელი დს. რუსეთი. თვით ოლგერდმა მიაღწია მოსკოვამდე.

171. ედიღეი — „ოქროს ურდოს“ ერთ-ერთი სარდალი (გარდ. 1440 წ.). თავდაპირველად სამსახური დაიწყო თემურ-ლენგის ჯარში. მას ცოლად ჰყავდა დემურის და. 1407 წ. მოკლა თოხთამიში. 1408 წ. შეიჭრა მოსკოვის სამთავროში და დაარბია სერაპუხოვი, კლინი, ნიჟნი-ნოვეგოროდი, რიზანი და სხვ.

172. მამად-გირეი — ყირიმის ხანი 1577 — 1584 წლებში. მოკლა სკეთარმა ძმამ.

173. ბასმანოვი — პეტრე თედორეს ძე. ბორის გოდუნოვის დრომ გზროდა ცრუდიმიტრი პირველს. დაამარცხა იგი 1604 წ. შაგრამ 1605 წ. გადავიდა მის მხარეზე. 1606 წ. ბასმანოვი მოკლეს, როდესაც იცავდა ცრუდიმიტრის.

174. მინინი და პოჟარსკი — კლუბმა მინინი — ნიჟნი-ნოვეგოროდელი ვაჟარი. 1611 წ. მან ხალხს მოუწოდა გაენთავისუფლებათ მოსკოვი პოლონელებისაგან. გარდ. 1616 წ.

დიმიტრი პოჟარსკი — თავადი (1578—1641). 1612 წ. პოჟარსკი სათავეში ჩაუდგა ლაშქარს, რომელიც მიდიოდა მოსკოვის გასანთავისუფლებლად და მოსკოვის მახლობლად დაამარცხა პოლონელთა ლაშქარი. მისი მხარდაჭერით იქნა არჩეული მეფედ მიხეილ თედორეს ძე რომანოვი.

175. ეკიმოვი და მარტოსი — ვასილი პეტრეს ძე ეკიმოვი (იგივე იაკიმოვი — 1758 — 1837), ლითონის ჩამოსხმის ოსტატი. მონაწილეობა მიიღო პეტრე

რე პირველის (პეტერბურგში) და მინინისა და პოჟარსკის (მოსკოვში) ქანდაკებების ჩამოსხმაში.

ივანე პეტრეს ძე მარტოსი — ცნობილი რუსი მოქანდაკე (1750 — 1835). პროფესორი, მრავალი ქანდაკების ავტორი. მის ნაწარმოებთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მინინისა და პოჟარსკის ქანდაკება მოსკოვში.

176. ქაიხოსრო ლევანის ძე — ვახტანგ V შაჰ-ნაეზის შვილიშვილი, ძმა ვახტანგ VI-ისა. მამასა და ბიძასთან — გიორგი მეთერთმეტესთან ერთად იბრძოდა ირანში ბელუჯთა და ავღანთა წინააღმდეგ. მოკლეს 1711 წ. ავღანებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს. ქაიხოსრო ქართლის მეფედ ითვლებოდა 1709—1711 წლებში.

ქაიხოსროს მეუღლე ორი შვილით — დავითითა და ანათი — ვახტანგ მეექვსეს გაყოლია რუსეთს (ვახტანგ VI-ის ამაღის 1724 წლის ნუსხა — იხ. ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, 1955, გვ. 142).

ქაიხოსროს მეუღლის საფლავის შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის ბ. ესაძე: „Грувицкая, Екатерина Егоровна, жена „Грувицкия земли блаженныя памяти Его Высочества царя Кайхосра Леововича“; +3 мая 1730 г. (Николаевский греческий монастырь; в нижней Нивольской церкви)“ (Б. Эсадзе, Летопись Грузии, 1913, стр. 362).

177. ფარსადან პაპუნაშვილი — ფარსადან პაპუნაშვილი ვახტანგ მეექვსეს გაყოლია რუსეთს. ვახტანგ VI-ის ამაღის 1724 წლის ნუსხაში ვკითხულობთ: „თავადი ფარსადან პაპუნას შვილი ციცი, მეფის დროშის უფროსი“ (იხ. ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, 1955, გვ. 123). ფარსადან პაპუნაშვილის საფლავის შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის ბ. ესაძე: „Кроме того (изуლისსმებიან ქაიხოსრო მეფის მეუღლე და სხვანი, იხ. შენიშვ. 176 — ქ. ქ.) здесь же покоятся грузинский генерал Парсадан Палунов, скончавшийся 16 мая 1733 г.. В самой церкви кахетинский князь (князь Отар) Челоквель, скончавшийся 24 февр. 1744 г.“ (Б. Эсадзе, Летопись Грузии, стр. 362).

178. ოთარ ჩოლოყაშვილი — ოთარ ჩოლოყაშვილიც ვახტანგ მეექვსეს გაყოლია რუსეთს. ვახტანგის ამაღის ნუსხაში აღნიშნულია: „თავადი ოთარ საბლთხუის შვილი ჩოლოყაძე“ (იხ. ს. ყუბანეიშვილი, დავ. გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, გვ. 124, შეად. გვ. 173). ოთარ ჩოლოყაშვილის საფლავის შესახებ იხ. შენიშვ. 177.

179. კლინი — სამაზრო ქალაქი მოსკოვის გუბ., მდ. სენტრაზე.

180. ტვერი — საგუბერნიო ქალაქი მდ. ვოლგასა და ტვერცაზე.

181. მაიორი კოროტკოვი — (?) რუსეთის არმიის ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი).

182. გენერალი კლეიმიხელი — პეტრე ანდრიას ძე კლეიმიხელი (1793 — 1869), გენერალ-ადიუტანტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი.

183. ტარკოვი — ტორჟოვი, სამაზრო ქალაქი ტვერის გუბ., მდ. ტვერცაზე.

184. ივანე ყორანაშვილი — (?)

185. ვიშნივოლოჩოკი — სამაზრო ქალაქი ტვერის გუბ.

186. ვალდაი — სამაზრო ქალაქი ნოვგოროდის გუბ., ტბა ვალდაისთან.

187. კრესტცი — სამაზრო ქალაქი ნოვგოროდის გუბ., მდ. ხოლოვაზე.

188. პეტროვი ვირტემბერგის ალექსანდრე — კაელურიის გენერალი (1771 — 1833). თავდაპირველად მსახურობდა ავსტრიის ჯარში. 1800 წელს, სუეპოროვის რეკომენდაციით, ჩარიცხეს რუსეთის არმიასში. წარმატებით იბრძოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ. იყო ბელორუსიის გენერალ-გუბერნატორი. 1822 წლიდან გზათა სამმართველოს უფროსი.

189. გენერალ-ადიუტანტი ორლოვი — უნდა იგულისხმებოდეს ალექსი თედორეს ძე (1787 — 1862). მონაწილეობას იღებდა ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებულ ყველა ბრძოლაში. მონაწილეობდა დეკაბრისტთა აჯანყების ჩაქრობაში. სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1844 წლიდან ეანდარმთა შეფი.

190. ცარსკოე სელო — სამაზრო ქალაქი პეტერბურგის გუბ. ცნობილია როგორც სააგარაყო ადგილი.

191. თეიმურაზ ბატონიშვილი — გიორგი XII-ის ძე (1782 — 1846). ცნობილი ქართველი მეცნიერი. თეიმურაზ ბატონიშვილი საბატოო წევრი იყო პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიისა, წევრი-კორესპონდენტი კომენაგენის ანტიკვარული საზოგადოებისა და პარიზის საზოგადოებისა. მის მრავალრიცხოვან შრომათაგან განსაკუთრებით საინტერესოა „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“.

თეიმურაზი რუსეთში ცხოვრობდა დაახლ. 1810 წლიდან.

დღიურში მოხსენიებული ზოგიერთი ბატონიშვილის დახასიათება გრ. ორბელიანის მხრივ იხ. ი. მუხარაგაის წიგნში — „ქართველი მწერლები“, I, 1941, გვ. 51 — 52.

192. ორანიენბაუმი — ქალაქი პეტერბურგის გუბ., პეტერგოფის მაზრაში, 37 ვერსზე პეტერბურგიდან. გრ. ორბელიანი ხშირად „ორანიენბაუმის“ ნაცვლად წერს — „ორენბაუმი“.

193. კრონშტადტი — ქალაქი პეტერბურგის გუბ., პეტერგოფის მაზრაში, ცნობილი თავისი ციხე-სიმაგრით. ჰქონდა სამხედრო და სავაჭრო ნავსადგურები.

194. ტიმოტოტი — ალექსანდრე ივანეს ძე (1790 — 1848), გენერალ-ლეიტენანტი. აქტიურად მონაწილეობდა ნაპოლეონ პირველის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

195. პეტერგოფი — სამაზრო ქალაქი პეტერბურგის გუბ., ფინეთის ყუროის სანაპიროზე, 27 ვერსზე პეტერბურგიდან.

196. კომანდირი ფროლოვი — როტის კომანდირი ფროლოვი (იხ. შენიშვ. 303).

197. ლეჟერევიე — (?) ოფიცერი (იხ. ტექსტი).

198. დელშერტი — იხ. შენიშვ. 39.

199. ლუარსაბ ბატონიშვილი — იულონ ბატონიშვილის ძე, ერცლე ბიარის შვილიშვილი. დაიბ. 1787 წ. 1805 წლიდან ცხოვრობდა რუსეთში.

200. ფარნაოზ ბატონიშვილი — ერეკლე მეორის ძე (1777 — 1852), ძმასთან — თლონ ბატონიშვილთან ერთად თავგამოდებით ებრძოდა რუსეთის ხელისუფლებას. 1804 წლის მთიულეთის აჯანყების აქტიური მონაწილე. 1805 წ. გადასახლეს რუსეთში.

201. პრასკოვია ნიკოლაევა — (?).

202. მორიკონი — იტალიელი მომღერალი ქალი. საგასტროლოდ ყოფილა ჩამოსული რუსეთში (იხ. ტექსტი).

203. ბეში — მეგიოლინე (იხ. ტექსტი).

204. „პარლოს მეთორმეტე“ — პიესა (იხ. ტექსტი).

205. ანა — ფარნაოზ ბატონიშვილის მეუღლე, ელიზბარ ერისთავის ასული.

206. სალომე და ელენე — ფარნაოზ ბატონიშვილის ქალიშვილები (სალომე გარდ. 1860 წელს, ელენე — 1867 წ.).

207. ანასტასია და რიფსიმე — ანასტასია ბატონიშვილი — უნდა იფიქროს ლისხმებოდეს ილია ბატონიშვილის მეუღლე, გიორგი XII-ის რძალი; რიფსიმე ბატონიშვილი — გიორგი XII-ის ასული.

208. ნიკოლაი დავითიჩი — (?).

209. დედოფალი მარიამი — იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ მეორის მეუღლე, კაცია დადიანის ასული. გარდაიცვალა 1841 წ. პეტერბურგში. გრ. ორბელიანი საქმაოდ დაახლოებული ყოფილა მარიამ დედოფალთან და, როგორც ჩანს, ზირი მიმოწერაჲ კჳონია მასთან (შეად. გრ. ორბელიანი, წერილები. ტ. I, ა. გაწერელის რედ., 1936).

210. დარია სემიონოვნა — (?).

211. სერდენიჩილაევი — სერგი გაბრიელის ძე ქილაშვილი, შემდეგ გენერალ-მაიორი, შემაბის სახმედრო გუბერნატორი და სამოქალაქო ნაწილის მმართველი (იხ. АЕТЫ, X, СТР. XXIII, შეად. გრ. ორბელიანი, წერილები. II, ა. გაწერელის რედ. და შენიშვნებით, გვ. 281).

212. შამაიონა — იგულისხმება ცნობილი შვიგნობარი ბერი იონა ხელაშვილი (გარდ. 1837 წ.). 1812 წ. მან დაამთავრა ალექსანდრე ნეველის აკადემია (ფილოსოფიისა და ლეთისმეტყველების კლასი). იონა ხელაშვილი წერ იყო დავით ბატონიშვილის, ხოლო შემდეგ ანა დედოფლის კარის ეკლესიის მოძღვარი პეტერბურგში. იონას ეკუთვნის ორიგინალური და თარგმნილი მრავალი საეკლესიო ნაწარმოები (დაწერ. იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, 1941, გვ. 369 — 372).

213. გრაფი სტროგანოვი — (?) თავდაპირველად სტროგანოევი შეძლებული ვაჰრები იყვნენ. ივანე მეოთხის დროს მიიღეს უფლება პერმის მიდამოებში ეწარმოებინათ თავიანთი ოპერაციები, სადაც მათ ჰქონდათ პატარა ქალაქები და ჰყავდათ დეჰირაეებული ქარი. ამ გვარმა ბევრი სახელმწიფო მოღვაწე მსსკ რუსეთს.

214. გრაფი ბეზბოროდკო — უნდა იგულისხმებოდეს ილია ანდრას ძე (1756 — 1815), სენატორი.

215. გრაფი ორლოვი — ალექსანდრე გრაიგოლის ძე ორლოვი (1737 — 1807) — გამოჩენილი მონაწილე რუსეთ-თურქეთის ომისა 1769 — 1774 წლებში. 536

ჩესმასთან განადგურა თურქეთის ფლოტი. 1762 წ. ხელი შეუწყო ეკატერინე მეორის ტახტზე ასვლას.

216. დიდი თავადი კონსტანტინე — იხ. შენიშვ. 28.

217. სუვოროვი — ალექსანდრე ვასილის ძე (1730 — 1800), გამოჩენილი რუსი მთავარსარდალი.

218. თავადი სალტიკოვი — უნდა იგულისხმებოდეს ნიკოლოზ ივანეძე ძე სალტიკოვი (1736 — 1816), ფელდმარშალი, იმპერატორ ალექსანდრე პირველის აღმზრდელი.

219. აპრაქსინი — ცნობილი გვარი რუსეთის ისტორიაში. აპრაქსინება ატარებდნენ გრაფის ტიტულს.

220. რუშჩიანცევი — იგულისხმება პეტრე ალექსანდრეს ძე (1725 — 1796), გენერალ-ფელდმარშალი. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1769 წ. რუსეთ-თურქეთის ომში.

221. შიტროპოლიტი ამბროსი — ნოვგოროდისა და პეტერბურგის შიტროპოლიტი (1742 — 1818).

222. ანდრიაპირველწოდებულ — მოციქული, წმ. პეტრეს ძმა. გალ. მოციქულის მიხედვით, ქადაგებდა ქრისტეს სარწმუნოებას სკვითთა ქვეყანაში და აღმართა ჟეარი იქ, სადაც ახლა ქალაქი კიევი.

223. იოანე ნათლისმცემელი — გადმოცემის მიხედვით, ქრისტემ წინამორბედი. მას თითქმის 32 წ. (ქრისტეს შობის შემდეგ) თავი მოკვეთა მეფე იროდემ.

224. დავუ — ლუი-ნიკოლა (1770 — 1823), ნაპოლეონ პირველის ერთგრთი ყველაზე გამოჩენილი მარშალი. მონაწილეობას იღებდა ნაპოლეონის ლაშქრობაში რუსეთის წინააღმდეგ. რესტავრაციის პერიოდში დავუს ჩამოერთვა მარშალის წოდება, მაგრამ შემდეგ შეურიგდა ლუი მეფერამეტეს და 1819 წ. იგი აირჩიეს საფრანგეთის პერად.

225. კუტუზოვი — მიხეილ ილარიონის ძე (1745 — 1813), გენერალ-ფელდმარშალი, ცნობილი რუსი მთავარსარდალი.

226. დიდი თავადი ალექსანდრე — ალექსანდრე ნეველი (იხ. შენიშვ. 163).

227. სტაროვი — ივანე იაგორის ძე (1743 — 1808), რუსი ხუროთმოძღვარი, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

228. მარია ფეოდოროვნა — რუსეთის იმპერატორის პავლე პირველის მეუღლე (1759 — 1828), დაარსა მთელი რიგი სასწავლო-სააღმზრდელი დაწესებულებები.

229. ბლონდელი, ეობანი და პაგანი — არქიტექტორები, რომელთა ჩვენით დაუწყიათ პეტერბურგის ციხის შენება 1706 წ. (იხ. ტექსტი).

230. ანდრეიტრესინი — იტალიელი ინჟინერი, რომლის ზედამხედველობითაც დაუწყიათ პეტერბურგის ციხის შენება 1706 წ. (იხ. ტექსტი).

231. შინიხი — გრაფი ბურხარდ-ქრისტეფორე შინიხი, სახელმწიფო მოღვაწე და მთავარსარდალი (1683 — 1767). მიიწვია პეტრე პირველმა საინჟინერო სამუშაოების შესასრულებლად. მიიღო ფელდმარშლობა. იყო სამხედრო კოლეგიის

პრეზიდენტი. მისი ხელმძღვანელობით დამთავრდა პეტერბურგის ციხის მშენებლობა 1740 წ.

232. პეტრე და პავლე — ქრისტეს მოციქულები. პეტრე ქრისტეს სარწმუნოებას ქადაგებდა იუდეაში, ხოლო პავლე — მცირე აზიაში, მაკედონიასა და საბერძნეთში. გადმოცემის მიხედვით, ორივენი აწამეს რომში ნერონის დროს.

233. იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი.

234. ზახაროვი — ანდრეან დიმიტრის ძე (1760 — 1811), არქიტექტორი. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

235. პეტრე ლესი და მინერვა — პეტრე ლესი — ლათინური სახელწოდება ბერძნული თქმულებების გმირის პეტრაკლესი, რომელმაც შეასრულა 12 ქველი საქმე. წარმოადგენს ფიზიკური ძალისა და სათნოების განსახიერებას.

მინერვა — რომაულ მითოლოგიაში სიბრძნის ქალღმერთი, რომელიც მთარველობდა მეცნიერებას, ხელოვნებას და ხელოსნობას.

236. ლეიბნიცი — გოტფრიდ-ვილჰელმ ლეიბნიცი (1646 — 1716), ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი, იდეალისტური „მონადოლოგიის“ შემქმნელი. ლეიბნიცის რჩევით დაარსა პეტრე პირველმა მეცნიერებათა აკადემია.

237. ბლუმენბერგისტი — ლაერენტი ლაერენტის ძე (1682 — 1755), პეტრე პირველის მთავარი ექიმი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი.

238. ალბერტ ზეზი — ზოოლოგი (იხ. ტექსტი).

239. რუიშევი — ანატომი (იხ. ტექსტი).

240. პალასი — პეტრე-სიმონი (1741 — 1811), ბუნებისმეტყველი და მოგზაური. 1768 წ. ეკატერინე მეორემ მიიწვია რუსეთში. 1770 — 1773 წლებში გამოიქვლია კავკასია და რუსეთის ტერიტორია ურალიდან ჩინეთის საზღვრამდე. ცნობილია მისი ნაშრომი: „მოგზაურობა რუსეთის სახელმწიფოს სხვადასხვა პროვინციაში“.

241. გრაფი შინიხი — იხ. შენიშე. 231.

242. შენიშევი — იხ. შენიშე. 167.

243. რუშიანცევი — იხ. შენიშე. 220.

244. ფერზენი — გრაფი ივანე ევსტაიის ძე (1747 — 1799), ინჟანტერიის გენერალი. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თურქეთთან ომში (1769—1775). მანვე დაამარცხა აჩანყებულები პოლონელები, რომელთაც კონსტანტინე მეთაურობდა და თვით კონსტანტინე ტყვედ ჩაიგდო.

245. კამენსკი — ნიკოლოზ მიხეილის ძე (1776 — 1811), გენერალი, სუვოროვის თანამებრძოლი. თავი გამოიჩინა შვეიციაში (1808 წ.) და თურქეთის (1810 წ.) წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

246. ვეისმანი — ბარონი ოტო-ადოლფ ვეისენშტეინი (ვეინმანი), ლიფლანდიელი აზნაური, ეკატერინე მეორის ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო გენერალი. იბრძოდა სუვოროვისა და რუმიანცევის არმიებში თურქების წინააღმდეგ. გარდ. 1773 წ.

247. მონტალამბერტოვის რედუტი — იგულისხმება ფრანგი სამ-

ხედრო ინჟინრის მარკ-რენე მონტალამბერის (1714 — 1800) მიერ გამოგონებული სისტემა სიმაგრეების აგებისა.

248. ტურჩანინოვი — (?) რუსი მრეწველი უნდა იყოს (იხ. ტექსტი).

249. რაზუმოვსკი და ბობრინსკი — რაზუმოვსკი — (?) რაზუმოვსკები წარმოშობით უკრაინელი კაზაკები იყვნენ, დაწინაურდნენ დედოფალი ელისაბედის დროს. ამთავან ცნობილია რამდენიმე სამხედრო პირი და დიპლომატი.

ბობრინსკი — (?) ამ გვარიდან უფრო ცნობილია ალექსი ალექსის ძე (1800—1868), რომელმაც რამდენიმე ავრონომიული ინსტრუმენტი გამოიგონა და დააფუძნა ქარხლის შექრის წარმოება რუსეთში.

250. გრაფი სტროგანოვი — იხ. შენიშვ. 213.

251. გატჩინა — ქალაქი ცარსკოე სელოს მახრამში. ითვლებოდა იმპერატორის საკუთრებად.

252. ჰერკულესი — იხ. შენიშვ. 235.

253. ფლორა — რომაულ მითოლოგიაში ყვავილებისა და გაზაფხულის ჯალღმერთი.

254. იგლისხმება ნიკოლოზ პირველის მეუღლე ალექსანდრა თედორეს ასული (1798 — 1860).

255. გრაფი ზუბოვი — (?) ამ გვარიდან რამდენიმეა ცნობილი: პლატონ ალექსანდრეს ძე (1767 — 1822) — ეკატერინე მეორის ფაეორიტი, ვალერიან ალექსანდრეს ძე (1771 — 1804) — სახელმწიფო საბჭოს წევრი.

256. გრიგოლ ორლოვი — გრიგოლ გრიგოლის ძე ორლოვი, გრაფი (1734 — 1783), მონაწილეობდა 1862 წლის გადართილებაში, რასაც ეკატერინე მეორის ტახტზე ასვლა მოჰყვა. როგორც ეკატერინეს ფაეორიტი, გრ. ორლოვი დიდი გავლენით სარგებლობდა სამეფო კარზე.

257. სტანისლავ პონიატოვსკი — იხ. შენიშვ. 140.

258. პოტიომკინი — გრიგოლ ალექსანდრეს ძე (1739 — 1791), გენერალ-ფელდმარშალი, ეკატერინე მეორის ფაეორიტი. განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა სამეფო კარზე.

259. ლაოკოონი — ქურუმი, რომელმაც გააფრთხილა ტროას მცხოვრებლები, რომ არ მიეღოთ ბერძენთა საჩუქარი — ხის ცხენი, რომელშიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, შეიარაღებული მებრძოლები იხსდნენ. ლაოკოონმა ისარი სტეორცნა ხის ცხენს, მაგრამ იმჟამსვე იგი, შეილებთან ერთად, დახარო ორმა გველმა. ამ თემაზე შექმნეს ცნობილი „ლაოკოონის ჩგუფი“ როდოსელმა მოქანდაკეებმა: აგესანდროსმა, ათენოდორუსმა და პოლიდროსმა (ინახება ვატიკანის მუზეუმში). საუკეთესო ასლი „ლაოკოონის ჩგუფისა“ ეკუთვნის მიქელ-ანჯელოს.

260. კლეოპატრა — ეგვიპტის დედოფალი (68 — 30 ძე. წელთაღრ.). 46 წ. კლეოპატრა განდევნეს, მაგრამ ტახტი დაუბრუნა იულიოს კეისარმა. კეისარის სიყვარლის შემდეგ მას მფარველობდა ანტონიოსი, რომელიც მოხიბლა კლეოპატრამ. ანტონიოსის დამარცხების შემდეგ, მან თავი მოიწამლა, რადგან არ სურდა დამცირებულყო გამარჯვებული აგვისტოს წინაშე. კლეოპატრას ცხოვრება ბელეგნების სხედასხვა ეანრში მრავალგზის აისახა.

261. ენდომიონი — ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ზევის შვილი, რომელსაც ახსიათებდა მარადიული ახალგაზრდობა, სილამაზე და მარად ეძინა.
262. დიანა — რომაული მითოლოგიის მიხედვით, იუპიტერის ასული. მთვარის, ნადირობისა და ტყეების ქალმერთი.
263. აშური — რომაულ მითოლოგიაში სიყვარულის ღმერთი, ვენერას ვაჟი. ხატედნენ ზევის სახით, რომელსაც ხელთ მშვილდ-ისარი უპყრია.
264. ფსიქეა — ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, არაჩვეულებრივი სილამაზის გოგონა, რომელიც შეუყვარდა ეროსს (რომაულ მითოლოგიაში ამურს), ერთისა და ფსიქეას სიყვარულის თემა მრავალგზის აისახა ხელოვნებაში.
265. აპოლონი — ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ზევსისა და ლეტო კაჟი, მზის ღმერთი, ხელოვნების მფარველი.
266. ანტინოი — მშვენიერი ქაბუჯი, იმპერატორ ადრიანეს საყვარელი. დაიხრჩო ნილოსში 130 წ. მისი ხსოვნის უკედავსაყოფად იმპერატორმა დააარა ქალაქი და აავო ტაძარი.
267. ხოსრო-მირზა — ირანის პრინცი (?). როგორც ჩანს, იგი ახლად ფეტრალი-შახის ვაჟს აბას-მირზას, რომელიც გრიბოდოვის მკვლელობის გამო წამოვიდა პეტერბურგში 1829 წელს, რათა დაეშვიდებინა რუსეთის საიმპერატორო კარი.
268. რაფაელი — რაფაელ სანტი, იტალიელი მხატვარი (1483 — 1520) აღორძინების ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი.
269. დალამბერტი — ჟან-ლე-რონ დალამბერი (1717 — 1783), გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი, ცნობილი „ენციკლოპედიის“ გამომცემელი.
270. ეოლტერი — ფრანსუა-მარი-არჟე (1694 — 1778), გამოჩენილი ფრანგი მწერალი და მოაზროვნე.
271. დედეროტი — დენი დიდრო (1713 — 1784), ცნობილი ფრანგი ენციკლოპედიისტი.
272. ბუშინგი — გეოგრაფოსი (?) (იხ. ტექსტი).
273. პოტერი — პაულ პოტერი, პოლანდიელი მხატვარი (1625 — 1665). უმოთარესად ხატავდა ცხოველებს.
274. ლორენი — კლოდ ლორენი (1600 — 1682, მისი ნამდვილი გვარია ევლე), ცნობილი ფრანგი მხატვარი. ლორენს „პუიზაჟის რაფაელს“ ეძახდნენ.
- გრ. ორბელიანი შეცდომით წერს: „დღის ოთხი დრო“, სინამდვილეში სურათს ჰქვია „წლის ოთხი დრო“. ამ შემთხვევაში აშკარად კალმისეულ შეცდომა-თან გვაქვს საქმე. ამიტომ ეს ადგილი ჩვენს მიერ ტექსტში გასწორებულია.
275. რუბენსი — პიტერ-პაულ რუბენსი (1577 — 1640), გამოჩენილი ფლამანდიელი მხატვარი, ე. წ. „ბრაბანტის სკოლის“ მეთაური.
276. ტენირსი — დავით ტენირსი უმცროსი (1610 — 1690), ფლამანდიელი მხატვარი. დღევანდელ ტენირსის სურათს ეწოდება: „ანტეკრუპენი მსროლელთა დღესასწაული“.

277. ბერღეიმი — ნიკოლოზ ბერგკემი (ანუ ბერხემი), პოლანდიელი მხატვარი (1624 — 1683).

278. ლებეი — ჰემა, ბერძნულ მითოლოგიაში ახალგაზრდობის ღმერთ-ქალი.

279. ამური, პსიქეა, აპოლონი — იხ. შენიშვ. 263, 264, 265.

280. ჰერკულანი — ქალაქი ქვემო იტალიაში. 79 წ., ვეზუვის ამოხეთქიდან დაიწყო, დაიფარა ფერფლით. 1706 წლიდან დაიწყო გათბრები ჰერკულანის მიღამოვებში და მრავალი ძველებური ნიკეთობანი აღმოჩინეს.

281. კოკსი — ინგლისელი მექანიკოსი (იხ. ტექსტი).

282. სნიდერსი — ფრანს სნიდერსი (1579 — 1657), ფლამანდიელი მხატვარი. ცნობილია როგორც ნატურმოხრტის მსტატი.

283. ანაპაელოვნა — რუსეთის იმპერატორის პაულე პირველის ასული.

284. გრეიცი — ფრანგი მხატვარი (იხ. ტექსტი).

285. ფერნეტი — ფრანგი მხატვარი (იხ. ტექსტი).

286. პუსენი — ნიკოლა პუსენი (1594 — 1665), ფრანგი მხატვარი, კლასიციტი მხატვრული მხარტულეების წარმომადგენელი ხელოვნებაში. ერმიტაჟში დაცულია პუსენის ოცზე მეტი ნაწარმოები.

287. გობელინი — ფრანგი მხატვარი (იხ. ტექსტი).

288. ფუეტი — ფრანგი მხატვარი (იხ. ტექსტი).

289. ლაგირი — ფრანგი მხატვარი (იხ. ტექსტი).

290. ლებრუნი — ფრანგი მხატვარი ქალი, რომელსაც 1814 წ. რუსეთში იმპერატორის აღექსანდრე პირველისათვის მიუძღვნია სურათი (იხ. ტექსტი).

291. „Alexandre le magnanime. Paris. 31 mars“ — „ალექსანდრე დიდსლოვანს (ქველს). პარიზი, 31 მარტი“ (ფრანგ.).

292. თედორე აპრაქსინი — (1661 — 1728), აღმირალი, პეტრე პირველის თანამებრძოლი. 1708 წ. იცავდა პეტერბურგს შვედებისაგან.

293. გრაფი რასტერლი — ბართლომე რასტრელი (1700 — 1771), ცნობილი არქიტექტორი. ააშენა პეტერბურგში სმოლნის მონასტერი, ცარსკოე სელოსა და პეტერგოფში სასახლეები და დაიწყო ზამთრის სასახლის შენება.

294. ფალკონეტი — ეტიენ-მორისი (1716 — 1791), ფრანგი მოქანდაკე. გეტრინე მეორის დეალებით 1766 წ. ბრინჯაოსაგან ჩამოსახა პეტრე პირველის ცნობილი ქანდაკება.

295. რუმბიანცევი-ზაღუნაისკი — იხ. შენიშვ. 220.

296. ბრენი — სასახლის არქიტექტორი, რომლის ზედამხედველობით აღუზარათ ობელისკი რუმბიანცევისათვის (იხ. ტექსტი).

297. სუვოროვი-რიმნიკსკი — იხ. შენიშვ. 217.

298. აგვისტო — კეისარი — რომის პირველი იმპერატორი (63 — 14, ძვ. წელთაღრ.). გააძლიერა რომის იმპერია. მფარველობდა ხელოვნებასა და მეცნიერებას.

299. ინდელგარდი — (?) ალბათ, უნდა იყოს ენგელგარდი.

300. მ ი ხ ე ლ პ ა ე ლ ო ე ი ჩ ი — დიდი მთავარი, იმპერატორ პავლე პირველის შვილი, ნიკოლოზ პირველის ძმა (1798 — 1848).

301. გ რ ი ბ ო ე დ ო ე ი — ცნობილი რუსი მწერალი ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი (1798 — 1829).

302. გ რ ა თ ი ა რ ა კ ო ე ე ე ი — ალექსანდრე ანდრეას ძე (1769 — 1834). დიდი გავლენით სარგებლობდა ალექსანდრე პირველის დროს. 1808 წლიდან სამხედრო მინისტრი. უკიდურესი რეაქციონერი.

303. ფ რ ო ლ ო ე ი — ოფიცერი, როტის კომანდირი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი, შეად. შენიშვ. 196).

304. ე მ ე ლ ი ა ნ ო ე ი — რუსეთის არმიის ოფიცერი (იხ. ტექსტი).

305. ბ ი კ ო ე ი — რუსეთის არმიის ოფიცერი (იხ. ტექსტი).

306. ი ლ შ ე ნ ი ს ტ ბ ა — ტბა ნოვგოროდის გუბერნიამი.

307. გ ე ნ ე რ ა ლ ი ნ ა ბ ო კ ო ე ი — ივანე ალექსანდრეს ძე (1787 — 1852), გენერალ-ადიუტანტი. მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებსა და პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში. 30-იან წლებში, გენერალ-მაიორის ჩინით, მეთაურობდა გეარდიის მე-3 დივიზიას, ხოლო შემდეგ გრენადერთა კორპუსს.

308. ს ა მ ს ო ნ ი — ძველ ებრაელთა ლეგენდარული გმირი, არაჩვეულებრივი ღონის მქონე. ებრაოდა ფილისტიმელებს. სამსონი მტრებს ხელში ჩაუგდო მისმა საყვარელმა დალიდამ.

309. ნ ი კ ო ლ ა ი ნ ი კ ო ლ ა ი ჩ ი — იმპერატორ ნიკოლოზ პირველის შესამე ვაჟი.

310. ნ ე პ ტ უ ნ ი — რომაულ მითოლოგიაში ზღვის ღმერთი, იგივე ბერძენთა პოსეიდონი.

311. კ უ პ ი დ ო ნ ი — რომაულ მითოლოგიაში სიყვარულის ღმერთი. ხატადნენ ბიქის სახით, რომელსაც ხელთ მშვილდ-ისარი ეპურა (შეად. შენიშვ. 263).

312. დ ი მ ი ტ რ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ე ი ლ ი — იულონ ბატონიშვილის ძე, ერეკლე მეორის შვილიშვილი. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. როგორც ე. ერისთავი და ა. ორბელიანი აცხადებენ, მათ პირდაპირ დაუვალებით გრ. ორბელიანისათვის, რომ „ოქროპირ ბატონიშვილთან და დიმიტრი ბატონიშვილთან იქონიე შეერთება და ლაპარაკი ამ ჩვენს განზრახვასა ზედა, რომელიც ადგვიოქვა აგრე აღუასრულებო“ (იხ. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1935).

დღიურში გრ. ორბელიანი აღნიშნავს, რომ „შემდგომად სხვადასხვათა უბნობათა დიმიტრი ბატონიშვილთან, ლაპარაკი გქმონდა პირველთ მუზიკანტებზე“. ცხადია, გრ. ორბელიანი ფრთხილობს და განგებ არ აღნიშნავს, თუ რას ეხებოდა ეს „სხვადასხვა უბნობა“.

313. მ ო ც ა რ ტ ი — ვოლფგანგ მოცარტი, გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი (1756 — 1791).

314. ვ ე ბ ე რ ი — კარლ-მარია ვებერი, ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი (1786 — 1826). რომანტიზმის წარმომადგენელი მუსიკაში. მისი „ფრეიშოუცი“ პირველად 1821 წ. დაიდგა ბერლინში.

315. როსინი — ჯოაკიმო როსინი, ცნობილი იტალიელი კომპოზიტორი (1792 — 1868). გრ. ორბელიანი გულისხმობს მის ოპერას „სევილიელი დალაქი“.

316. ქერუბინი — ლუიჯი ქერუბინი, იტალიელი კომპოზიტორი (1760 — 1842). დაწერილი აქვს ოპერები: „ანაკრეონტი“, „მედეა“ და სხვ. აგრეთვე ცნობილია მისი საეკლესიო მუსიკალური ნაწარმოებები.

317. კორეჯიო — ანტონიო-ალეგრი კორეჯიო, ცნობილი იტალიელი მხატვარი (1494 — 1534). ითვლება სინათლისა და ჩრდილის შეხამების ოსტატად.

318. მიქელანჯელო-ბუონაროტი — გამოჩენილი იტალიელი მხატვარი და არქიტექტორი (1475 — 1564), ალორძინების ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი.

[გლიური 1836 წლისა]

გრ. ორბელიანის დღიურის ეს ნაწილი დაცულია საქართველოს სსრ აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H—2768). ეს არის ავტოგრაფული ხელნაწერი. იგი წარმოადგენს სქელი ქაღალდისაგან შეკინძულ პატარა ზომის რვეულს, შედგება 16 ფურცლისაგან (რამდენიმე გვერდი ცარიელია). პაგინაცია, რომელიც თვით პოეტიც მიერ არის შესრულებული, მოდის მე-15 გვერდამდე. ტექსტი დაწერილია ნაირი მელნით, ხოლო ერთ შემთხვევაში ფანქრით, რაც მოწმობს, რომ პოეტი გზადაგზა, მგზავრობის დროს წერდა დღიურს. ეს არის დღიურის შავი, რომლის შესწორება და გადათეთრება გრ. ორბელიანს აღარ უცდია. დღიური ავტორს უწერია 1836 წლის 5 იელისიდან 14 დეკემბრამდე, ხან სისტემატურად, ხან რამდენიმე დღის გამოშვებით (ერთ შემთხვევაში მთელი თვის გამოშვებითაც).

ყდას, რომელიც მოგვიანო ხანისაა, ს. გორგაძის ხელით გაკეთებული აქვს წარწერა: „გრ. ორბელიანის დღიური“.

დღიურის ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტს თავისი ისტორია აქვს: მას პირველად იონა მეუნარგიამ მიაკვლია. იგი წერს: „ერთი პატარა დღიური პოეტისა, რომელიც ჩვენ ვიპოვნეთ მის ქაღალდებში და რომელიც ეკუთვნის იმ დროებას, ნათლად წარმოგვიდგენს ორბელიანის მაშინდელ ყოფა-ცხოვრებას“ (ი. მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ. გრ. ორბელიანისა, 1905, გვ. 31).

რამდენიმე ფრაგმენტი ამ დღიურიდან ი. მეუნარგიამ კიდევ გამოიყენა თავის წიგნში (იქვე, გვ. 31-33). უნდა შევნიშნოთ, რომ ხელნაწერის ზოგიერთ ფურცელს გვერდზე ფანქრით ჩამოსმული აქვს ხაზები. ეს ი. მეუნარგიას მიერ უნდა იყოს გაკეთებული: სწორედ ეს ხაზჩამოსმული ადგილები, ორიოდეს გამოკლებით, გამოაქვეყნა მან თავის წიგნში.

ხელნაწერი შემდეგ ს. გორგაძის ხელში მოხვედრილა და მის მიერვეა შეტანილი მუზეუმის კათალოგში. კათალოგის აშიაზე მინაწერიდან ირკვევა, რომ ს. გორგაძეს იგი უპოვნია ექვ. თაყაიშვილის ქალაქებში.

ტექსტი სრულად პირველად გამოქვეყნდა 1946 წელს „მნათობში“ ქ. ქუმბუროძის წინასიტყვეთა და შენიშვნებით (მნათობი, 1946, № 7). ამ გამოცემისათვის ტექსტი ხელშეორედ შეჭერებულია ავტოგრაფთან.^ა

* * *

1. ს ტ ა რ ი კ ო ვ ი — (?) ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად პოლკში (იხ. ტექსტი).

2. ტ უ ფ ი ა ე ვ ი — (?) როგორც ჩანს, მსახურობდა ადიუტანტად პოლკში (იხ. ტექსტი).

3. ვ ო ბ ო ლ ნ ი კ ი — დაბა კოენოს გუბერნიაში, პონევეჟის მაზრაში, მდ. ვობოლზე, 39 ვერსზე ჩრდ.-აღმოსავლეთით პონევეჟიდან.

4. პ ო ნ ე ე ე ი — სამაზრო ქალაქი კოენოს გუბ., მდ. ნევიჟზე, 139 ვერსზე ჩრდ.-აღმოსავლეთით კოენოდან. რუსეთმა შეიერთა პოლონეთის მე-3 დანაწილების შემდეგ 1796 წ.

5. ც ი ც ი ა ნ ო ვ ი — უნდა იგულისხმებოდეს გენერალი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი (1754 — 1806), რუსეთის ჯარების მთავარსარდალი საქართველოში (1802 — 1806 წ.წ.).

6. ს ა ლ მ ა ნ — (?) ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად პოლკში (იხ. ტექსტი).

7. რ ი გ ა — საგუბერნიო ქალაქი დას. დვინის მარჯვენა ნაპირზე. შეიერთა რუსეთმა ჩრდილოეთის ომის შემდეგ.

8. ვ ი ლ ნ ო — საგუბერნიო ქალაქი ლიტვაში, მდებარეობს მდ. ვილეიკისა და მდ. ვილიას შესართავთან. საბოლოოდ შეიერთა რუსეთმა 1795 წ.

9. კ ო ე ნ ო — (ლიტუერად კ ა უ ნ ა ს) ქალაქი ლიტვაში, მდებარეობს მდ. ნე-მანის მარჯვენა და მდ. ვილიას მარცხენა ნაპირზე. საბოლოოდ შეიერთა რუსეთმა 1795 წ. გრ. ორბელიანის მგზავრობის დროს. კოენო ჭერ კიდევ არ ითვლებოდა საგუბერნიო ქალაქად.

10. რ ე მ ი ლ ო ლ ი — რემიგოლა, დაბა კოენოს გუბ., პონევეჟის მაზრაში. მდ. უპიტზე, 24 ვერსზე სამხრეთ-დასავლეთით სამაზრო ქალაქიდან.

11. შ ა ტ ი — დაბა კოენოს გუბ., ვილკომირის მაზრაში, მდ. აბელზე, 35 ვერსზე სამაზრო ქალაქიდან.

12. შ ე ვ ე მ ი — დაბა კოენოს გუბ., ვილკომირის მაზრაში.

^ა დიურის ცარიელ გვერდებზე გრ. ორბელიანს აღუნიშნავს: „Купить войштони, бритвы, ножовы, воски, цветную бумагу, головную штыку“.

დიურის დაწვრილებითი დახასიათება იხ. ამავე გამოცემის შესავალ წერილში — „გრ. ორბელიანის პროზა“.

13. მაიორი გონზაგო — (?) ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი).

14. ბარონესა შულც — (?) მაიორ გონზაგოს დიასახლისი (იხ. ტექსტი).

15. ალექსევი — (?) ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი).

16. ვილექა — მღ. ვილიას მარცხენა შენაკალი, ერთვის მას ქ. ვილნოსთან. როგორც ჩანს, გრ. ორბელიანი აქ ცდებოდა: ისინი მიჰყვებოდნენ არა მღ. ვილექას, არამედ მღ. ვილიას ნაპირს, რადგან აკონოსთან ნემანს მღ. ვილია უერთდებოდა.

17. მელიტონი — იგულისხმება მელიტონ ბარათაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა.

18. დეისმარნი — თედორე კლიმენტის ძე გეისმარი (1783 — 1848), გენერალ-ადიუტანტი. თავი გამოიჩინა ნაპოლეონ პირველის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში. მონაწილეობდა 1831 წ. პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში. შემდეგ იყო I ქვეითი კორპუსის უფროსად ვილნოში (იხ. *Военная энциклопедия*, **Пб.**, 1912, **т. VII**).

19. გ. ე. — იგულისხმება დრამატურგი გიორგი ერისთავი (1811 — 1864). გ. ერისთავი და გრ. ორბელიანი, 1832 წ. შეთქმულების საქმის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხეს გეისმარის I ქვეით კორპუსში, რომელიც ვილნოში იმყოფებოდა (შეად. დ. ყიფიანი, *მეშუარები*, ს. ხუნდაძის რედ., 1930, გვ. 134; ი. შეუნარგია, *ქართველი მწერლები*, II, ს. ცაიშვილის რედ., 1944, გვ. 21). გ. ერისთავის წერილებიდან ირკვევა, რომ ისინი ხშირად ხედებოდნენ ერთმანეთს 1835—1836 წლებში. მაგალითად, გრ. ერისთავი სწერს გრ. ორბელიანს: „თუ შეგეძლოს გამოდი...“ (წერილი 1835 წ. თარიღით), „ვერ მოიძალე? გამოდი და ერთმანეთს შეეჩიელოთ, ვიღონოთ ამ ჩვენს უკულმა ძაღლურს ბედზე...“ (იმავე წლის თარიღით), ანდა ეკითხება, თუ სად იმყოფება იგი: „არ ვიცი სად ხარ, წიგნი მოგწერე...“ (წერილი 1836 წ. თარიღით. იხ. გ. ერისთავი, *თხზულებანი*, 1936, შ. რადიანისა და ი. ბალახაშვილის რედ., გვ. 363 — 364).

20. გრაფი ჩერნიშოვი — ალექსანდრე ივანეს ძე (1785 — 1857), სამხედრო მინისტრი 1827 წლიდან, 1840 წ. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, დეკარისტთა საქმის საგამომიბელო კომისიის მთავარი ზღვრმძღვანელი.

21. გარჩეოვი — უნდა იგულისხმებოდეს მიხეილ დიმიტრის ძე გორჩაოვი I (1793 — 1861), გენერალ-ადიუტანტი, მონაწილეობდა პირველ სამამულო ომში. 1831 წ., პოლონეთის აჯანყების დაწყების დროს, დაინიშნა I ქვეითი კორპუსის შტაბის უფროსად. თავი გამოიჩინა ყირიმის ომში. 1855 წ. დაინიშნა ყირიმის არმიის მთავარსარდალად მენშიკოვის ნაცულად, ხოლო 1856 წ., პასკევიჩის სიკედილის შემდეგ, — მეფისნაცულად პოლონეთში (იხ. *В. ӘНД.*, **т. VIII**, 1912).

22. პასკევიჩი — ივანე თედორეს ძე (1782 — 1856), გენერალ-ფელდ-მარშალი, კავკასიის მთავარმართებელი 1827—1831 წ.წ. პოლონეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ დაინიშნა მეფისნაცულად „პოლონეთის სამეფოში“ და მიიღო ტიტული „Светл. князь Варшавский“ (შეად. ამავე წიგნში „მზავრობის“ შენიშვ. 31).

35. არ. ორბიოიანი

23. ეარშაესკი — იხ. შენიშე. 22.

24. ხელმწიფე — იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I (1796 — 1855).

25. იორდანი — (?) ოფიცერი ვილნოს I ქვეით კორპუსში (იხ. ტექსტი).

26. მაიდელი — (?) ოფიცერი ვილნოს I ქვეით კორპუსში (იხ. ტექსტი).

27. ნაპოლეონი — საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ I (1769—1821).

28. ალფრესკო — აკვარელით შესრულებული მხატვრობა კედლებსა და კერზე.

29. იმპერატორი ალექსანდრე — რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I (1777 — 1825).

30. ფელდმარშალი — იგულისხმება პასკევიჩი (იხ. შენიშე. 22).

31. ლობანოვ-როსტოესკი — უნდა იგულისხმებოდეს ალექსი ალექსანდრეს ძე (1786 — 1848), სენატორი. 1621 წ. იგი დაინიშნა რიაზანის სამოქალაქო გუბერნატორად, ხოლო 1835 წ. საარტილერიო და საინჟინრო ნაწილის საკონტროლო კომისიის მმართველად. 1840 წლიდან საიდუმლო მრჩეველი (იხ. Русский биографический словарь, т. — II, 1914).

32. ლარჩეკოვი — იხ. შენიშე. 21.

33. დოლგორუკი — ვასილი ანდრეას ძე დოლგორუკი (1803 — 1886), გენერალ-ადიუტანტი, მიიღო მონაწილეობა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში. 1835 წ. პოლკოვნიკი. 1852 წლიდან სამხედრო მინისტრი. 1856 წლიდან ეკავა ფანდარმთა შეფის პოსტი (იხ. В. Энци., т. IX, 1912).

34. შედე. გრ. ორბელიანის წერილი ილია ორბელიანთან 1836 წ. 16 სექტ. თარიღით (იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, 1936).

35. ალექსანდრე — შეიძლება ეს იყოს პავლე კონსტანტინეს ძე ალექსანდრე (1808 — 1857), დიდი მთავრის კონსტანტინე პავლეს ძის უკანონო შვილი, გენერალ-ადიუტანტი. მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში. 1836 წ. ირიცხებოდა ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკში და სწორედ იმ ადგილებში იმყოფებოდა, რომელთაც გრ. ორბელიანი იხსენიებს თავის დღიურში (იხ. В. Энци., т. I, 1911).

36. დიტრიხსი — უნდა იგულისხმებოდეს დიტრიხს მე-2, ეგორ ივანეს ძე, გენერალ-მაიორი. 1831 წ. მონაწილეობდა პოლონეთში წარმოებულ ბრძოლებში, კერძოდ კი ვარშაის აღებაში. 1834 წ. დაინიშნა ქართული ოქმის საარტილერიო გარნიზონების უფროსად. მანამდე იმყოფებოდა კომანდირად დინაბურგის საარტილერიო გარნიზონში (იხ. АКТЫ, т. VIII, Тифлис, 1918, стр. XII).

37. ილიკო — პოეტის უმცროსი ძმა ილია ორბელიანი (1814 — 1853). 1845 წ. კაპიტანი, 1849 წ. პოლკოვნიკი, 1852 წ. მიიღო გენერალ-მაიორობა. მონაწილეობდა დაღესტნის ბრძოლებში. 1853 წ., ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს, სასიკვდილოდ დაიჭრა ბაშკადიკლართან (უფრო დაწერ. იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, 1936, ა. გაწერელის რედ., გვ. 222. დღიური აღნიშნულ ფაქტებს შეად. წერილები ილია ორბელიანთან 1836 წ. 16 სექტემბრისა და 28 ნოემბრის თარიღით, იხ. იქვე).

38. გ. ე. — გიორგი ერისთავი (იხ. შენიშვ. 19).

39. — შეად. წერილი ილია ორბელიანთან 1836 წ. 16 სექტ. თარიღით, (იხ. წერილები, I, 1936).

40. ტ რ ო ფ ი მ ო ე ს კ ი — (?) ოფიცერი, მე-7 როტის უფროსი ეილნოს I ქვეით კორპუსში (იხ. ტექსტი).

41. ს ტ ე ფ ა ნ ო ე ი — (?) პავლე სტეფანოვი, ოფიცერი, მსახურობდა გრიგოლ ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი).

42. ღ ა ლ კ ო ე ს კ ი — (?) ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი).

43. ვ რ ა ნ გ ე ლ ი — კარლ კარლის ძე მე-2 (1800—1872), ბარონი, ინფანტერიის გენერალი, სამხედრო საბჭოს წევრი. მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში, თავი გამოიჩინა ვარშავის აღების დროს. 1834 წ. პოლონეცი. (B. 984, т. VII, 1912, შეად. АЕТН, т. IX, 1884, стр. XVII).

44. ლ ი ს ე ნ კ ო — (?)

45. რ ა ტ ო ე ტ ი — (?) შემამულე კოვნოს გუბერნიაში (იხ. ტექსტი).

46. ს ე ე ჩ ნ ი კ ო ე ი — (?) ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი).

47. ს ტ ე ფ ა ნ ო ე ი — (?) ნიკოლოზ სტეფანოვი, ოფიცერი (იხ. ტექსტი).

48. ვ რ ა ნ გ ე ლ ი — იხ. შენიშვ. 43.

49. ღ რ ე ნ ლ უ დ ი — (?) ოფიცერი (იხ. ტექსტი).

50. ნ ი ნ ი კ ა — ნინიკა ბაქრაძე, გრ. ორბელიანის მოსამსახურე. ერთგულად ემსახურებოდა პოეტს 40 წლის განმავლობაში. ახლდა მას რუსეთსა, და-ლესტანსა და თბილისში (უფრო დაწერ. იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, ა. გაწერელისას რედ. და შენიშვნებით, გვ. 225).

51. ე ი ლ ბ ო ა — (?) ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად პოლკში (იხ. ტექსტი).

52. პ ე ტ ე რ ს ო ნ ი — (?) ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი).

53. ვ ი რ ც ა ნ ო ე ი — (?) ოფიცერი, მსახურობდა გრ. ორბელიანთან ერთად (იხ. ტექსტი).

54. ლ ე კ ა რ ი — (?) პოლკის ექიმი (იხ. ტექსტი).

55. ი ა ნ ო ე ო — დაბა იანოვი, კოვნოს გუბ., მდ. ვილიაზე, 31 ვერსზე ჩრდ.-აღმოსავლეთით კოვნოდან.

56. ე ი ლ კ ო მ ი რ ი — (ვილკომერეი) სამაზრო ქალაქი. კოვნოს გუბ., მდ. სვიანტაზე, 66 ვერსზე ჩრდ.-აღმოსავლეთით კოვნოდან. რუსეთმა შეიერთა 1796 წ. გრ. ორბელიანის მგზავრობის დროს შედიოდა ეილნოს გუბერნიაში (1842 წლამდე).

57. ს ტ ა შ ე ჟ ნ ი შ კ ი — დაბა კოვნოს გუბერნიაში, ეილკომირის მაზრაში.

58. კ ი ს მ ე ნ ს კ ი — (?) იუნკერი, როგორც ჩანს, ირიცხებოდა გრ. ორბელიანის როტაში (იხ. ტექსტი).

59. დიდროი — (?) ოფიცერი (იხ. ტექსტი).

60. სკაენი — სწორად სკეშიანი, დაბა კოენოს გუბ., ვილკომირს მზრაში, 39 ვერსზე სამაზრო ქალაქიდან.

61. გრაფ. სტრა... — (?).

62. უციანი — უციანა (უტენა), დაბა კოენოს გუბ., ვილკომირს მზრაში, მდინარე უციანასა და ტბა ვიენატიისის ნაპირზე, 60 ვერსზე სამაზრო ქალაქიდან. ოდესღაც წარმოდგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს.

63. დოვდელი — (დავგელი) დაბა კოენოს გუბ., ნოვო-ალექსანდროესკის მაზრაში, 30 ვერსზე სამხრეთ-დასავლეთით სამაზრო ქალაქიდან.

64. დედუცი — (დეგუცი) დაბა კოენოს გუბ., ნოვო-ალექსანდროესკის მაზრაში, 15 ვერსზე სამხრეთ-დასავლეთით სამაზრო ქალაქიდან.

65. ელიპტუნ — (?)

66. დინაბურგი — სამაზრო ქალაქი და პირეელხარისხოვანი სიმაგრე ვიტებსკის გუბ., ტბა შჩუნასა და მდ. დას. დენაზე, 276 ვერსზე ჩრდ.-დასავლეთით ვიტებსკიდან. თით დინაბურგის სიმაგრე ააგო 1582 წ. სტეფან ბატორმა, ხოლო ძველი დინაბურგი, რომლიდანაც აღარაფერი დარჩენილა — 1278 წ. დააარსეს ლიონელმა რაინდებმა. დინაბურგი საბოლოოდ შეიერთა რუსეთმა 1772 წ.

67. ზალმანი — იგივე სალმანი (იხ. შენიშვ. 6).

68. რუკტეშელი — (?) ოფიცერი რეველის პოლკში (იხ. ტექსტი).

69. პრინცი ეილდელში — ვილჰელმ I (ვილჰელმ-ფრიდრიხ-ლუდვიგი — 1797 — 1888), 1861 წლიდან პრუსიის მეფე, 1871 წლიდან გაერთიანებული გერმანიის პირველი იმპერატორი. იმ ხანებში, რომელსაც გრ. ორბელიანის დღიური ეხება, ვილჰელმი რუსეთში იყოფებოდა (იხ. E. Marcks, Kaiser Wilhelm I, Leipzig, 1910, შეად B. III., т. VI, 1912).

70. პოპოცი — (?) ოფიცერი, როგორც ჩანს, ირიცხებოდა ვილჰელმის ამაღლებაში (იხ. ტექსტი).

71. ლინკოეი — დაბა კოენოს გუბ., პონევეეს მაზრაში, მდ. კროზე, 57 ვერსზე ჩრდ.-დასავლეთით სამაზრო ქალაქიდან.

[გლიური 1839 წლისა]

ღლიურის ეს თრამენტი (ავტოგრაფი) დატულია საქართველმ სსრ აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H—2768). ტექსტი შესრულებულია ფანქრით. გადაუთვთრებულია. ქვეყნდება პირველად.

ღლიური ეხება შამილის რაზმების წინააღმდეგ ბრძოლის ჩამდენიმე ეპიზოდს. ტექსტი დათარიღებული არ არის, მაგრამ გრ. ორბელიანის წერილებთან შექერებით იტყვევა, რომ იგი დაწერილია 1839 წელს (ყერძოდ, შეიძ. გრ. ორბელიანის წერილი ი. ორბელიანისადმი 1839 წ. 11 მარტის თარიღით, იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, I, 1936).

1. ნუბა — (ნობუ) სამაზრო ქალაქი ელიზავეტოპოლის გუბ., კასპიის ოლქში.

2. ტიზენლაუზენი — ტიზენლაუზენი, მე-14 გრენადერთა ქართ. პოლკის ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი. მოკლეს 1839 წ. (შეად. გრ. ორბელიანის წერილი ილია ორბელიანისადმი 1839 წ. 23 დეკ. თარიღით, იხ. წერილები, ტ. I, 1936).

3. ყუბა — სამაზრო ქალაქი ბაქოს გუბ., მდ. ყუდსოლ-ჩაიზე.

4. ნაზიმ. — (?) ოფიცერი, პოდპოლკოვნიკ ტიზენლაუზენის ადიუტანტი (იხ. ტექსტი).

5. დენერალი — იგულისხმება ანდრია მიხეილის ძე სიმბორსკი, გენერალ-მაიორი, 1836 წ. მსახურობდა კავკასიის ჯარების კორპუსში. 1839 წ. სიმბორსკი მეთაურობდა მცირერიცხოვან რაზმს, რომელსაც დახმარება უნდა გაეწია გრაბესა და რავესკის მთავარი რაზმებისათვის (დაწერ. იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, 1936, ა. გაწერელის რედ. და შენიშვნებით, გვ. 242).

6. მაიორი აღუესკი — მე-14 გრენად. ქართული პოლკის ოფიცერი.

7. გრენგამერი — (გრენგაბერი) მე-14 გრენად. ქართ. პოლკის ოფიცერი. მოკლეს 1839 წ. მთიელებთან ბრძოლის დროს (შეად. გრ. ორბელიანის წერილი ი. ორბელიანისადმი 1839 წ. 23 დეკ. თარიღით, იხ. წერილები, I).

8. ბრაზორშჩიკი პაზოშოვი — მე-14 გრენად. ქართ. პოლკის ოფიცერი.

9. სემონშალიკოვი — სემონ იოსების ძე შალიკაშვილი, მე-14 გრენად. ქართ. პოლკის ოფიცერი 1830—1850 წლებში. 1850—1854 წლებში მსახურობდა შაქათალის ოლქში და ებრძოდა მოთარგმე ლეკებს (იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, I, გვ. 272).

10. მაიორი ანტონოვი — მე-14 გრენად. ქართ. პოლკის ოფიცერი.

11. სიმბორსკი — იხ. შენიშვ. 5.

II. მსატერული ესკიზები

(1824—1835)

ან . . . დმი

ავტოგრაფი დაკულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ე. წ. ლენინგრადის ფონდში (ლენინგრადის ცენტრ. ისტ. არქივიდან, 1832 წ. შეთქმულების საქმეები, რე. XII). ცხიდა, იგი გრ. ორბელიანისათვის ჩამოურთაშევიდა სხვა ნაწერებთან ერთად 1832 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ. ტექსტი შესრულებულია მელნით.

ინციდალებში ან...დში იგულისხმება ანტონ ორბელიანი, პოეტის ახლო მე-

გობარი, რომელსაც გრ. ორბელიანი 1829 წ. ლექსი მიუძღვნა (ამ ადრესატის შესახებ იხ. ამავე წიგნში ლექსის — „ანტონს“ შენიშვნები).

ტექსტი პირველად 1940 წელს გამოაქვეყნა ი. ბალახაშვილმა (იხ. ჩვენი თაობა, № 10). მაგრამ გამომცემელმა გრ. ორბელიანის ადრესატად შეცდომით წინო კვაკავაძე მიიჩნია (ამის შესახებ დაწერ. იხ. ს. ხუციშვილი, გრ. ორბელიანის პროზაული თხზულებები, ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, II, 1947, გვ. 91-92).

„ან...დმი“ დაწერილია 1824 წელს და ამდენად იგი, თარგმნილ თხზულებასთან — „ალელგორიასთან“ ერთად, გრ. ორბელიანის ერთ-ერთ პირველ პროზაულ ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ.

ტექსტი იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით.

[ზამთრისა ქარი გრიალებს...]

ავტოგრაფი დაცულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ე. წ. ლენინგრადის ფონდში (1832 წ. შეთქმულების საქმეები, რე. X XI). ტექსტი შესრულებულია მელნით. იგი პირველად 1947 წ. გამოაქვეყნა ს. ხუციშვილმა (იხ. ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, II).

„ზამთრისა ქარი გრიალებს...“ ლირიკული პროზის საუკეთესო ნიმუშია. მასში მოცემულია ღრმა მედიტაცია. ავტორი ცხოვრების წარმავლობის საკითხს უფიქრდება და თითქოს ეკლესიასტის ავტორის აზრს იმეორებს: „აზოება აზოებათა და ყოველივე აზოა“. მაგრამ სწორედ ისაა მნიშვნელოვანი, რომ ამ მსჯელობას ავტორი ცხოვრების უარყოფამდე კი არ მიჰყავს, არამედ სიცოცხლის აზრისა და მშვენიერების აღიარებამდე: „თუმცაღა ეკვდები, მარამა სიცოცხლე ჩემი იყო ესრეთ ნათელ, ვითარცა მწკნეიერი განთიადი გაზაფხულისა“. ტექსტი იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით.

ნ. ე. მ.

ავტოგრაფი დაცულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ე. წ. ლენინგრადის ფონდში (ლენინგრადის ცენტრ. ისტ. არქივიდან, შეთქმულების საქმეები, რე. X XI). იგი გრ. ორბელიანისათვის ჩამოუერთდევიათ 1832 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ. ტექსტი შესრულებულია მელნით.

ინიციალებში — ნ. ე. მ. იგულისხმებიან ა. კვაკავაძის ასულნი — ნინო და ეკატერინე და ივანე (მირმანოზ) ერისთავის ასული მანანა — დავით ორბელიანის მეუღლე. ს. ხუციშვილი, რომელმაც 1947 წ. მეორედ გამოაქვეყნა

ეს ტექსტი, ფიქრობს, რომ მესამე პირად უნდა ვიგულისხმოთ არა მანანა ორბელიანი, არამედ მაიკო ორბელიანი: „პირველი ორი სრულად შეუფერება ნაწარმოებში მოცემულ დახასიათებას, მესამე-კი იმ დროს უკვე დაქალაქებული და შეიღის პატრონი მანანა ორბელიანი არ უნდა იყოს, არამედ მაიკო — ქაიხოსრო ორბელიანის ასული, ალ. ჭავჭავაძის ასულთა ტოლი და მეგობარი“ (იხ. ს. ზუციშვილი, გრ. ორბელიანის პროზაული თხზულებები, ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწ. პედაგოგიკის შრომები, II, 1947, გვ. 92).

პატივცემული მეგობრის ეს მოსაზრება ძნელად გასაზიარებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეპისტოლარული პროზის ეს ნიმუში მეგობრული სიყვარულის აპოთეოზს შეიცავს და ის გარემოება, რომ მანანა ორბელიანი უკვე დაოჯახებული იყო, მნიშვნელობას მოკლებულია. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ მანანა ამ დროს მხოლოდ 23 წლის ქალია, მაშინ ტექსტში მოცემული დახასიათება შეუფერებლად არ მოგვეჩვენება. და განა ნინო ჭავჭავაძეც ამ დროს უკვე არამც თუ „დაქალაქებული“, არამედ დაქვრივებულიც არ იყო? თანაც, როგორც ცნობილია, ა. ჭავჭავაძის ქალებთან და გრ. ორბელიანთან სწორედ მანანა იყავანსაკუთრებით დაახლოებული.

ასე რომ, ევრ ვხედავთ საფუძველს, რათა ტრადიციული შეხედულება უარყოფოთ.

გამოთხოვება, რომლის შესახებაც ლაპარაკია ტექსტში, დაკავშირებულია გრ. ორბელიანის გამგზავრებასთან 1831 წ. პეტერბურგს, სადაც მან შთაეარსარდლის, გენერალ პანკრატევის ბრძანებით კავკასიის კორპუსის რჩეული ჭარისკაცები წაიყვანა „საგანგებო ქვეითი ჭარის პოლიესათის“.

ტექსტი სრული სახით პირველად 1940 წელს გამოაქვეყნა ი. ბალახაშვილმა (იხ. ზენი თაობა, 1940, № 10).

ტექსტი იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით.

ანბავი რიგის ლოშპიტალში ნათქვამი

ავტოგრაფი დატულია საქართველოს სსრ აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H.— 2517). ტექსტის თავდაპირველი სათაური ყოფილა: „სხვადასხვანი ანბავი რიგის ლოშპიტალში ნათქვამნი“. როგორც ჩანს, გრ. ორბელიანს განზრახული ჰქონია რამდენიმე ანბავი აღეწერა. შემდეგ რატომღაც გადაუფიქრებია და სათაურიც შეუცვლია.

ტექსტი შესრულებულია მელნით. გადაუთვთრებელია. იგი პირველად 1945 წელს გამოაქვეყნა ჯ. კუმბურძემ (იხ. გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 14).

ტექსტი ხელმოწერად შედარებულია ავტოგრაფთან.

III. შენიშვნები და ჩანაწერები

(1830—1865)

ცნობები ლექების შესახებ

ავტოგრაფი დატულია საქართველოს სსრ აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H—2516). გრ. ორბელიანის რამდენიმე ნაწარმოები („საქართველო ჩემი ღრისა“, „ცნობა ლექების შესახებ“, „პაზრნი მსწავლულთა ჩვენის პლანეტის შექმნისათვის ანუ მიწისა“) თავის ღროზე ს. გორგაძეს მოუთავსებია საერთო ყდაში და წაუწერია: „გრ. ორბელიანის ნაწერები“. როგორც კათალოგის მინაწერიდან ირკვევა, ყველა ეს თხზულება ს. გორგაძეს უპოვნია ექვ. თაყაიშვილის ქაღალდებში. დასათაურება მეორე ხელნაწერისა („ცნობა ლექების შესახებ“) თვით ს. გორგაძეს ეკუთვნის.

ტექსტი შესრულებულია მელნით. ქვეყნდება პირველად.

საქართველო ჩემის დროისა

ავტოგრაფი დატულია საქართველოს სსრ აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H—2515). ტექსტი შესრულებულია თანკრით. იგი წარმოადგენს გეგმას კრედი შრომისას, რომლის დაწერაც ავტორს განზრახული ჰქონია. ეს გეგმა ცხადპყოს, რომ გრ. ორბელიანს სურდა წარმოედგინა იმდროინდელი ისტორიულ-საზოგადოებრივი ურთიერთობის საკმაოდ ვრცელი სურათი. სამწუხაროდ, ავტორის ეს განზრახვა შეუსრულებელი დარჩა. ხელნაწერი უთარილოა. მაგრამ მასში მოცემული ისტორიული რეალების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს გეგმა-კონსპექტი შედგენილია XIX ს. 30-იან წლებში. ნიშანდობლივია, რომ ავტორი ეხება მხოლოდ XVIII ს. დამლევისა და XIX ს. პირველი ათეული წლების ამბებს: გრ. ორბელიანი ერმოლოვის მმართველობისა და მისი წინა პერიოდის ამბებს აღწერს, ხოლო არ ეხება პასკევიჩისა და შემდეგი დროის მთავარ მმართველებს. მას აღნიშნული არ აქვს ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები XIX ს. საქართველოს ისტორიიდან, როგორცაა ქართული თეატრის დაარსება, ახალი თაობის გამოსვლა, ბატონყმობის გაუქმება და სხვ. ჩვენს მოსაზრებას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ გეგმა-კონსპექტში გამოსჭევივის გრ. ორბელიანის პროტესტული განწყობილება, რაც ასე დამახასიათებელია პოეტის შემოქმედებისათვის 1832 წლის შეთქმულების გამეღვენებადღე. ეხება რა კახეთის აჯანყებას, ამ უკანასკნელის მიზეზად ავტორი მეფის რუსეთის მოხელეების თავგასულობას სთვლის. ასევე ხაზგასმით აღნიშნავს იგი „სასამართლოს გარყვნილი მოხელენის“ მკვრთამეობას და სხვ. ასე რომ, ჩვენ ვერ დაეთანხმებით მკვლევარებს — ს. ზუციშვილსა და ნ. ტატიშვილს, რომელთა აზრით, ხელნაწერი „უნდა ეკუ-

თნოდეს პოეტის ცხოვრების უკანასკნელ წლებს“ (იხ. ს. ხუციშვილი და ნ. ტატიშვილი, გრ. ორბელიანის უცნობი კონსპექტი, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI — Б, აქვე იხ. ხელნაწერის დაწვრილებითი დახასიათება).

ტექსტი პირველად გამოაქვეყნეს 1941 წელს ს. ხუციშვილმა და ნ. ტატიშვილმა, სათანადო წინასიტყვიითა და შენიშვნებით (იხ. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XI — Б, 1941).

ტექსტი იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით.

* * *

1. ა ლ - მ ა მ მ ა დ - ხ ა ნ ი — ალა-მამამად-ხანი ყაჩარი, ირანის შაჰი (მოკლეს 1797 წ.). გრ. ორბელიანი ვულისხმობს ალა-მამამად-ხანის მიერ თბილისის აოხრებას 1795 წ.

2. დ ა ე თ ს ა რ დ ა ლ ი — დავით ორბელიანი (1716 — 1796), ვრეკლე მეორის ასულის — თამარ ბატონიშვილის მეუღლე. პ. იოსელიანი ასე ახასიათებს მას: „... იყო კაცი მხნე და ძლიერი სიტყვითა. ამან დააშენა სომხითი შტერ-თაგან გაოხრებული“ (პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 253). დავით ორბელიანი ცნობილი იყო არა მარტო როგორც სარდალი, არამედ როგორც პოეტი და მთარგმნელი (მისი ერთი ლექსი — „პირზედ გაქვს ხალი“ — დაბეჭდილია „ანთოლოგიაში“, II; ცნობილია მის მიერ თარგმნილი სალევგმბრო რომანი „ყარამანიანი“. შეად. ს. ხუციშვილი, ნ. ტატიშვილი — გრ. ორბელიანის უცნობი კონსპექტი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XI — Б, გვ. 229).

3. ი ე ა ნ ე ს ა რ დ ა ლ ი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ მონაწილეობას იღებდა რუსეთის არმიის სამხედრო ექსპედიციებში. მის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს პ. იოსელიანი: „ოდეს პ. ციციანოვისა დროსა წარვიდა ჩარში, მაშინ ესე და ასლანცა და სხვანი თავადნი იგდეს ტყვედ სპარსთა. ფათალიშახმან ნახა ესე იოანე და ოდეს იხილა მისსა გულზედ მარსკვლავი ანასისი, ზოძებელი იმპერატორისაგან, მაშინ ჰკვივრდა მრავალთ, მისწვდა თითი ვარსკვლავსა, მოგლიჯა იგი და გარდააგდო და უბრძანა: „ამისთვის უღალატე შენს მეფესა და ქვეყანასათ?“ — მოქცეული თვისდა გარდაიცვალა თფილისს“ (პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 266).

4. ე რ მ ო ლ ო ე ი — ალექსი პეტრეს ძე (1772 — 1861), ცნობილი სამხედრო პირი, ინფანტერიის გენერალი. საქართველოს მთავარმართებელი 1817 — 1827 წლებში.

5. ხ უ რ ა ბ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — გრიგოლ ორბელიანის მამა (გარდ. 1827 წ.). რუსეთის ხელისუფლების დამყარების შემდეგ მსახურობდა თბილისის საბაჟოს ზედამხედველად და მსაჯულად უზენაეს სასამართლოში.

6. ა ს ლ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — პ. იოსელიანი მის შესახებ გადმოგვცემს: „უმიკაღაბში მეფისა, მკოდნე სპარსულისა ენისა, დასაფლავდა შთაწმინდს თფილისში... წიღსა 1826. ერმოლოვისა თხოვითა დაამშენდა აღრეულობა ყაზახში და

არცა მიუღდა მეფის ძეს ალექსანდრეს, რომელთა წერილთა არ უმაღევედა ერმოლოესა. შემდგომად სპარსთა დამარცხებისა შამქორს ერმოლოემან ჰკითხა ასლანს: „შითხარ, გიყვარვარ თუ არაო?...“ ასლანმან უპასუხა: „სარდალო, არც მყვარებხარ და არც მიყვარხარო“. — შოიწონა ესე სწორე მისი თქმა და უთხრა: ერევანსა რომ შემოვადგებით, მაშინ შეერივდებითო“ (პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეფეებისა, გვ. 265 — 266). გრ. ორბელიანის ჩანაწერი ასლან ორბელიანის შესახებ საყვებით ემთხვევა პ. იოსელიანის მიერ მოწოდებულ ცნობებს.

ჰაზრნი მსწავდელთა ჩვენ ს პლანეტის შექმნისათვის ანუ მიწისა

ავტორაფი დაცულია საქართველოს სსრ აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H — 2518). თავდაპირველად ფანქრითაა ნაწერი, შემდეგ გაცხოველებულია მელნით.

ავტორი ქართულს რუსულ შესატყვისს ან თავზე აწერს, ანდა მას ქართული სიტყვის გვერდით ფრჩხილებში ათავსებს. ჩვენ ყველგან უკანასკნელი წესი დავიკაეთ.

ეს შენიშვნები დაწერილია XIX ს. 30-იან წლებში, პოეტის რუსეთში ყოფნის დროს.

ტექსტი პირველად ქვეყნდება.

1. ტ ა უ ტ ი — იხ. შენიშვ. 2.

2. ღ ე რ მ ე ს — ავტორი გულისხმობს ჰერმეს ტრისმევისტს (ტ რ ი ს მ ე გ ი ს ტ ი — სამგზის დიადი), გამოგონილ ავტორს თეოსოფიური მოძღვრებისას, რაც გადმოცემულია ეგვიპტურ-ბერძნული წარმოშობის ზოგიერთ წიგნში. ჰერმეს-ტრისმევისტი მიჩნეულია ეგვიპტურ ღვთაებად, რომელმაც თითქოს ხალხს ასწავლა წერა, ხელოვნება და მეცნიერება. ამ ე. წ. „ჰერმეტულ წიგნებში“ მოცემულია ფანტასტიკური მოძღვრება ღმერთისა და სამყაროს შესახებ. ამ მოძღვრებამ დღე გაკლენა მოახდინა ალქიმიკოსებსა და მასონებზე.

როგორც აღნიშნავენ, ეგვიპტური სახელი ჰერმესი შემთხვევით არ არის ადგილობრივი ბერძენთა ღმერთის ჰერმესისაგან, რომელიც მიჩნეული იყო სულთა წინამძღვრად და საიდუმლო ცოდნის მფარველად. ამ უკანასკნელს ეგვიპტურ მითოლოგიაში ენაცვლება ტ ა უ ტ ი.

3. ე ბ ი ე უ რ ი — ძველი ბერძენი ფილოსოფოსი (341 — 270, ძვ. წელთაღრ.).

4. ღ ე კ ა რ ტ ი — რენე ღეკარტი (1596 — 1650), ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი, ე. წ. კარტეზიული რაციონალიზმის ფუძემდებელი.

5. ლეიბნიცი — გოტფრიდ-ვილჰელმ ლაიბნიცი (1646 -- 1716). ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი, იდეალისტური „მონადოლოგიის“ შემქმნელი.

6. მალეტო — (?).

7. ბუფონი — ეოტე ლუი ლეკლერკ ბიუფონი (1707 — 1788), ცნობილი ფრანგი ბუნებისმეტყველი.

8. დელიუჯი — ჟან-ანდრე (1727 — 1817), ფრანგი გეოლოგი და მეტეოროლოგი.

9. ნევეტონი — ისააკ ნიუტონი (1643 — 1727), ცნობილი ინგლისელი მათემატიკოსი და ფიზიკოსი.

10. დელამეტერი — ეიულიენ ლამეტრი (1709 — 1751), ფრანგი ფილოსოფოსი, მატერიალისტი.

11. მოდენა — პროვინცია იტალიაში, მდ. პოს ევლზე.

12. ნეპოლი — მთავარი ქალაქი ნეაპოლიტანიის პროვინციისა იტალიაში.

13. სანტორინი — კუნძული ეგეოსის ზღვაში.

[სხვადასხვა შენიშვნა]

ეს შენიშვნები გაფანტულია გრ. ორბელიანის სხვადასხვა ხელნაწერში. ამ შენიშვნების ერთი ნაწილი (აზნაყამდე — ვარდევანამდე — ნორველიანამდე) გვხვდება გრ. ორბელიანის „მგზავრობის“ სწოლოებში (საქ. ცენტრ. სახელმწიფო არქივი: განსაკ. მნიშვ. საქმეთა ფონდი, № 171 და ე. წ. ლენინგრადის ცენტრ. ისტორიული არქივიდან, რეული XII), რასაც „მგზავრობასთან“ არაერთი ორგანული კავშირი არ აქვს (ტექსტი შესრულებულია ფანქრით, ხოლო შემდეგ გატბოვებულია მელნით). შენიშვნების მეორე ნაწილი დატულია საქართველოს სსრ აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (X — 2518), მეორე გვერდზე ხელნაწერისა: „ქაზრნი მსწავლულთა...“ (ტექსტი შესრულებულია ფანქრით).

ჩვენ ეს გაფანტული ცნობები გავერთიანეთ და წარმოვადგინეთ სათაურით: „სხვადასხვა შენიშვნა“.

შენიშვნებ დაწერილია XIX ს. 30-იან წლებში, პოეტის რუსეთში ყოფნის დროს.

ქვეყნდება პირველად.

* * *

1. გრ. ორბელიანს უნდა დაეწერა სახელი რობერტ ფულტონისა, მაგრამ, ჩანს, ვედარ მოუგონებია. ფულტონმა (1765 — 1815) ორთქლით მავალი გემის იდეა პრაქტიკულად 1807 წ. განახორციელა, რაც დაახლოებით სწორად აქვს აღნიშნული გრ. ორბელიანს.

2. ხეობის ს პირამიდა — სახელწოდება მიიღო ეგვიპტის მეფე ხეობ-სისაგან (იგივე ხუფუ), რომელიც ცხოვრობდა დაახლოებით 2800 წლის წინათ. მემფისის შახლობლად მან ააგებინა 480 ფუტი სიმაღლის პირამიდა.

3. ვარდეელ — ვარდე (ვარგავეი), ქალაქი ნორვეგიაში, კუნძულ ნორდ-ზეზე.

4. სალისბური — სალისბერი, მთავარი ქალაქი ვილტშირის საგრაუო-ში, ინგლისში. ამ ქალაქში არსებულ ტაძარს წმინდა-გოთიკური სტილის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევენ.

5. შლიჩკა — ქალაქი გალიციაში.

6. ნანკინი — ჩინეთის ყოფილი სატახტო ქალაქი, მდ. იანტსუკიანგზე.

7. იგულისხმება ფუ-ჩე-ფუ (ფუ-ჯოუ-ფუ), ჩინეთის პროვინციის ფუკიანის მთავარი ქალაქი, მდ. შინზე.

8. სფინქსი — ბერძნულ მითოლოგიაში არსება ლომის ტანითა და ადამიანის თავით, რომელიც ჰკლავდა ყველას, ვინც კი მის გამოცანებს ვერ ამოხსნიდა. შთოლდოდი ილიპოსმა მოახერხა პასუხის გაცემა და მაშინ სფინქსმა თავი მოიკლა. ეგვიპტელების წარმოდგენით კი, სფინქსი იყო სიმბოლური გამოხატულება შშისა.

გრ. ორბელიანი ამ შემთხვევაში გულისხმობს გიზეს პირამიდასთან არსებულ სფინქსს, რომელიც მთლიანი კლდისაგან არის გამოკვეთილი და 25 საფეხი სიგრძე აქვს.

9. სალარა — საპარა, უდაბნო ჩრდილოეთ აფრიკაში.

10. კეთილი იმედის კონცხი — ასე ეწოდება აფრიკის მატერიკის სამხრეთ ნაწილის დაბლობებს.

11. სეშელი — 74 კუნძულისაგან შემდგარი ჯგუფი (სეშელის კუნძულები) ინდოეთის ოკეანეში. მთავარი ქალაქია პორტ-ვეიკტორია კუნძულ მაგეზე.

12. მაგელანი — ფერდინანდ მაგელანი (1480 — 1521), ცნობილი პორტუგალიელი მეზღვაური. 1520 წ. აღმოაჩინა წყნარი ოკეანე და სრუტე, რომელიც სამხრეთ ამერიკას ჰყოფდა ცეცხლოვანი მიწისაგან. მაგელანი მოკლეს ველურებმა ლადრონის კუნძულებზე.

13. სეზასტიან კანო — ესპანელი მეზღვაური (გარდ. 1526 წ.). ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ ზომბლს, რომელიც მაგელანის ექსპედიციაში შედიოდა. 1522 წ. მან ჩამოიყვანა ევროპაში ამ ექსპედიციის უკანასკნელი ზომბალი. კანო დაიღუპა მფორე მოგზაურობის დროს ინდოეთში. სეზასტიან კანო ევროპელ მეზღვაურთაგან პირველია, რომელმაც მსოფლიოს შემოუარა.

14. კოლუმბი — ქრისტეფორე კოლუმბი (1446 — 1506), ცნობილი მეზღვაური, რომელმაც აღმოაჩინა ამერიკა.

15. ვესტმინსტერის დარბაზი — მოთავსებულია ლონდონის ვესტმინსტერში. ეს უკანასკნელი წარმოადგენს შენობას, სადაც მოთავსებულია პარლამენტი და სხვადასხვა სასამართლო დაწესებულება.

[სიტყვა წარმოქმული 1863 წელს თბილისის გუბერნიის
თავად-აზნაურთა კრებაზე]

აეტოგრაფი დატულია საქართველოს სსრ აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (გრ. ორბელიანის პირადი საარქივო ფონდი № 16, ხელნაწ. № 12). ტექსტი შესრულებულია ფანქრით, წარმოადგენს შავად ნაწერს.

ეს სიტყვა გრ. ორბელიანს წარმოუთქვამს 1863 წელს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე. თავის სიტყვაში გრ. ორბელიანი, როგორც მეფის რუსეთის ოფიციალური მოხელე, ცხადია, მხარს უჭერს ბატონყმობის გაუქმებას და „მსხვერპლის გაღება“ თავადაზნაურობის მხრივ აუცილებლად მიაჩნია.

სიტყვა, ოდნავ შეკვეცილი სახით, პირველად გამოუყენებია თავის ბიოგრაფიულ ნაშრომში ი. მეუნარგიას („ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“). მაგრამ ამ ნაშრომში, რომელიც 1905 წელს გამოქვეყნდა, გარკვეული მიზეზების გამო შეტანილი არ იქნა სწორედ ის თავი, რომელშიც ავტორს გამოუყენებელი ჰქონდა გრ. ორბელიანის ზემოაღნიშნული სიტყვა (ეს დაუბეჭდავი თავები იხ. ლიტერატურის მატიანეში, 1—2, 1940, ს. ცაიშვილის პუბლიკაცია) სრული სახით ეს სიტყვა პირველად გამოქვეყნდა 1933 წელს პროფ. სიმ. ხუნდაძის ნარკვევში „პოეტი-სარდალი“ (იხ. სალიტერატურო გაზეთი, 1933, № 10).

ტექსტი იბეჭდება აეტოგრაფის მიხედვით.

ჩემი პაზრი ბატონ-ყმობის საქმეზე

აეტოგრაფი დატულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდში, № 172. ტექსტის ერთი ნაწილი შესრულებულია ფანქრით, ხოლო მეორე ნაწილი (წინადადებიდან — „ღაუთრიგოს განთავისუფლებულთა გლეხთა...“, მუხლი მე-7) — მეწიით. ვარსკვლავის შემდეგ მოთავსებული ტექსტი („ხიზნობა იყო ძველს დროშივე...“) დაწერილია ცალკე, პატარა ზომის ქაღალდზე და „ჩემი პაზრის“ შემდეგ ჩაყვრებულია საქმეში. ლოგიკურად იგი წინა ტექსტის 11 მუხლის დამატებას წარმოადგენს.

„ჩემი პაზრი“ მოთავსებულია საქმეში, რომელსაც გარედან კალიგრაფიული ხელთ აწერია: „Мнония и проекты князя Григория Дмитриевича Орбелиани“. ამავე საქმეშია მოთავსებული გრ. ორბელიანის შემდეგი ნაწერები: „განთავისუფლებისათვის გლეხთაზე მებატონეთ ყმობისაგან და სამგობინაროდ მათის მდგომარეობისა“, „Мнение по вопросу о введении общеобязательной военной повинности в Кавк. Наместничество“, „Предметы подлежащие обсуждению Совета Общества восстановления христианства на Кавказе“, „Приложение о защите Кахетии“, „Мнение о проекте предложенном г. Бешиа-

ნი და უტვრჯდენი **Общест. Банка**“ და სხვა ოფიციალური მიმართებები და მოხსენებები. სამწუხაროდ, ჩვენს გამოცემაში არ მოხერხდა ზემოაღნიშნული რუსული წერილების შეტანა.

გრ. ორბელიანის „ჩემი პაზრი“ დაწერილი უნდა იყოს არა უადრეს 1864 წ. არილისა და არა უგვიანეს ამავე წლის ივნისისა (იხ. ა. სოფია, გრ. ორბელიანის დამოკიდებულება საგლეხო რეფორმისადმი, სუხუმის სახელმწ. პედაგოგიკური უნივერსიტეტის შრომები, 1952, № 7).

„ჩემი პაზრი“ გრ. ორბელიანს წაუეთხოვს 1864 წ. ამიერკავკასიის ყმა-გლეხთა მომწყობი ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელზეც მოწვეული იყო 35 მებატონე. იგი არსებითად წარმოადგენს ე. წ. „უმცირესობის პროექტის“ დაცვას. საქმე იმაშია, რომ დემ. ყფიანის მიერ შედგენილ საგლეხო რეფორმის დებულების პროექტს, რომლის განხილვაც 1863 წ. მოხდა, 552 შემეშვლიდან მხარი დაუჭირა 536 კაცმა (მცირეობდენი შესწორებით), წინააღმდეგ გაილაშქრა 16. ამათგან 14 კეთილშობილმა, გრიგოლ და ალექსანდრე ორბელიანების ხელმძღვანელობით, ცალკე შეადგინა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის „უმცირესობის აზრი“ და წარუდგინა მთაერობას 1863 წ. დეკემბერში (იხ. ა. სოფიას დასახ. ნაშრომი, შეად. შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, 1950). პროექტს ხელს აწერენ: გენ.-ადიუტანტი გრ. ორბელიანი, თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლი ა. ორბელიანი, გუბერნიის როტმისტრი თავ. ჭავჭავაძე, მაიორი თავ. ორბელიანი, „ტიტ. სოვეტნიკი“ თ. ნიკ. ორბელიანი, მაიორი თ. დემ. ვაზირაშვილი, პოდპორუჩიკი გრიგოლ ერისთავი, პრაპორშჩიკი თ. ეანო ერისთავი, „ნაღვორნი სოვეტნიკი“ თ. გიორგი დავითის ძე ერისთავი, თავ. პატა აბაშიძის ასული კნენა ერისთავისა, პრაპორშჩიკი თ. ესტატე ერისთავი, ქსნის ერისთავის ასული, გენ.-მაიორ ჭავჭავაძის ქვრივი მარიამი და ქსნის ერისთავის ასული ქვრივი კნენა მანანა ერისთავისა (დაწვრ. იხ. ა. სოფიას დასახელებული ნაშრომი. „უმცირესობის“ პროექტის დედანი დატული ყოფილა პროფ. პ. გუგუშეილის პირად არქივში, ხოლო საქ. ცენტრალურ არქივში დატულია მისი ორი რუსული ტექსტი („Мнение меньшинства дворянства Тифлисской губернии“, განსაკუთრებული მნიშვნ. საქმეთა ფონდი, № 172, 256), ერთიც საქართველოს სსრ აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (მთხ. თუმანიშვილის პირადი საარქივო ფონდი. დაბეჭდილი ტექსტი იხ. შ. ჩხეტიას წიგნში — საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, 1950).*

* „უმცირესობის“ პროექტის ტექსტს, რომელიც დატულია საქართველოს ცენტრალურ არქივში (№ 172), მარტენა აშიაზე გრ. ორბელიანის მიერ ფანქრით მიწერილი აქვს შემდეგი: „Крестные, которые будут стеснены малоземельем, конечно, перейдут на казенные или церковные земли, которые составляют значительную часть в Грузии. Кроме того на 1½ млн. именья грузин-помещиков заложены в Приказе; из них, наверное, по решению этого вопроса—продаться половина. В дворянстве денег нет, следов., или мужики купят эти именья, или же казна купит для мужиков. Само

უნდა ითქვას, რომ „უმცირესობის აზრი“ მცირედ განსხვავდება „უმრავლესობის“ რეაქციული პროექტისაგან. ისიც მოითხოვს გლახთა პირად განთავისუფლებას, ოღონდ მემამულეთა მიწების გარეშე, თავად-აზნაურთა „ზარალის“ ანაზღაურებას და სხვ. — „უმრავლესობის“ პროექტისაგან განსხვავებით, „უმცირესობის“ პროექტი ცნობს გლახთა უფლებას, გარდა მოძრავისა, უძრავ ქონებაზეც (ბალ-ვენახი, ნაგებობანი და სხვ.), ე. ი. იმაზე, რაზედაც გლახის შრომა იყო დახარჯული. „მაგრამ, თუ გლახს არ მოეწონებოდა მებატონის მიერ წამოყენებული პირობები, მაშინ შეეძლო მხოლოდ მოძრავი ქონება წაეღო, უძრავი ქონება კი გაეყიდა იმ პირობით, რომ მიყიდველს ეკისრა მიწით სარკველობის გამო ის ბეგარა და გადასახადები, რომლებსაც ასრულებდა გამყიდველი გლახი მებატონის წინაშე. ამ პროექტით გამოდის, რომ გლახს თვითონ უნდა მოეძებნა თავისი ყმური უღლის მიყიდველი, რომლის მოხალისე აღარაიქნა იყო. ხოლო გლახი, თუ ვერ მონახავდა აღნიშნულ პირობებში სახლ-კარისა და ბალ-ვენახის მიყიდველს და არც თვითონ მოისურვებდა ეზიდნა მძიმე ვალდებულება, ამ შემთხვევაში სახლ-კარი, როგორც ბეითალმანი მამული, მებატონეს უნდა დარჩენოდა“ (იხ. ა. სოფია, დასახ. ნაშრომი, გვ. 82).

გრ. ორბელიანი რომ დიდი აღტაცებით არ შეგებებოდა ბატონყმობის გაუქმებას, ჩანს „ჩემი პაზრიდან“, სადაც პოეტი მხოლოდ ზაზინასა და ეკლესიას ავალბებს მიწით გლახობის უზრუნველყოფას და აცხადებს, რომ ბატონყმობის გაუქმებამდე „...ათი წელმოწადი, გინდა ოცდაათიც რომ განვიდეს, სამწუხაროდ არ უნდა მიაჩნდეს არცა მმართველობასა და არცა ხალხსა...“

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დაახლოებით ათიოდე წლის შემდეგ, დგას რა უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე, გრ. ორბელიანი, როგორც თანამდებობის პირი, ერთ-ერთ სიტყვაში თავადაზნაურობას არწმუნებს, რომ ბატონყმობის გაუქმებას ამ უკანასკნელისათვის ზიანი არ მოუტანია: „ბატონ-ყმობის მოსპობამ დაგვლუპაო. ეს მართალი არ არის: ჯერ ბატონ-ყმობა სად იყო მოსპობილი, რომ ჩვენ ვალები გვქონდა და გაპირებაში ვიყავით! ბატონ-ყმობის მოსპობა კი არა, თვითონ ჩვენა ვართ, ბატონებო, ამაში დამნაშავე. აი მოგახსენებთ. — რა ენთო მამა ჩემს? ქონის სანთელი. — ტანთ რას იცეამდა მამა ჩემი? უბრალო ლეკურ შალს. სულ ყველაფერი იაფი და უბრალო იცოდნენ მამა ჩვენებმა. ჩვენ კი? თქვენც კარგათ იცით, თითოეულ ახლანდელ თავად-აზნაურს რამდენად უჯდება

правительство должно оказать свое могущественное содействие в облегчении решения трудного крестьянского вопроса. Во всяком случае правительство должно принять выдоговоренно меры к принятию и расселению крестьян, которые в больших массах будут переходить из настоящих мест их жилища. где весьма стеснены малоземелием и где были прикованы только силою крепостного права.“ (იხ. შ. ჩხეტიას დასახ. წიგნი, გვ. 409). ამ მიზანწერი გატარებულ იქნა საკვებით ემთხვევა იმ დებულებებს, რომლებშიც გრ. ორბელიანს ჩამოყალიბებული აქვს წერილში „ჩემი პაზრი ბატონყმობის საქმეზე“.

ცხოვრება“ (ანგარიში თბილისის თავად-აზნაურთა საზოგადო კრებისა მარშლე-
ბის არჩევის შესახებ, დროება, 1876, № 48).

ტექსტი „ჩემი პაზრი ბატონ-ყმობის საქმეზე“ სრული სახით პირველად
გამოქვეყნდა ა. სოფიას ნარკვევში: „გრ. ორბელიანის დამოკიდებულება საგლეხო
რეფორმისადმი“ (სუხუმის სახელმწ. პედინსტიტუტის შრომები, 1952, № 7).
1956 წ. ა. სოფიამ და ს. შარიაშ რატომღაც ხელმეორედ გამოქვეყნეს იგივე
ტექსტი სათაურით: „გრ. ორბელიანის ერთი დღემდე უცნობი საბუთი
ბატონყმობის გაუქმების შესახებ საქართველოში“ (გორკის სახელობის სოხუმის
სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX. ხაზი ჩვენია — ქ. ჯ.).

ტექსტი იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით.

* * *

1. **Tarso** — ძველ რუსეთში ბეგარა, რომელსაც გლეხები იხდიდნენ სა-
ხელმწიფოს სასარგებლოდ. ბატონყმობის დროს კი იგი აღნიშნავდა ოფახში მყოფ
წყვილს — ცოლსა და კმარს, რომლებიც ითვლებოდნენ ერთ მუშა ერთეულად.
გრ. ორბელიანი სწორედ უკანასკნელი მნიშვნელობით უნდა ხმარობდეს ამ
სიტყვას. ჩვენი აზრით, მართალი არ არის მკვლევარი ა. სოფია, რომელიც ფიქ-
რობს, რომ ამ შემთხვევაში **Tarso** გლეხების მძიმე მდგომარეობას გამოხა-
ტავს ნადელების ჩამოჭრის გამო (იხ. ა. სოფია, გრ. ორბელიანის დამოკიდებუ-
ლება საგლეხო რეფორმისადმი, სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუ-
ტის შრომები, 1952, № 7, გვ. 84).

2. დიდი ფრიდრიკი — იგულისხმება პრუსიის მეფე ფრიდრიხ II
(1712 — 1786).

3. ლანგთემური — (1333 — 1405), მონგოლთა სარდალი. თემურ-
ლენგი პირველად შემოესია საქართველოს 1386 წ. ამ დროიდან შოკიდებული,
ეიღრე 1403 წლამდე, მან ექვსჯერ დალაშქრა საქართველო (შეად. ამავე
წიგნში „მგზავრობის“ შენიშვ. 19).

4. შაჰ-აბასი — უნდა იგულისხმებოდეს სპარსეთის მეფე შაჰ-აბას I
(1557 — 1628), რომელმაც რამდენჯერმე ააოხრა ქართლ-კახეთი.

5. მეფე ვახტანგი — იგულისხმება ვახტანგ VI (1675 — 1737).
გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს ვახტანგის ხელმძღვანელობით შედგენილი
საყოლიფიკაციო შრომა, ე. წ. „ვახტანგის კანონები“.

განთავისუფლებისათვის გდებთასა მებატონეთ ყმობისაგან და სამჯობინაროდ მათის მდგომარეობისა

ხელნაწერი დატულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის
განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდში, № 172. ტექსტი შესრულე-
ბულია მელნით. ხელნაწერი არაა ავტოგრაფი, ოღონდ ბოლო მინაწერი — „ამ
ხარებასა და ბეგარაში ზოგი არის ნაპატიებ და ზოგიც ნასენები არ არი“, —

ჩვენი აზრით, შესრულებულია პოეტის ხელით. ხელრთვაც — „გრ. ორბელიანი“ მასვე ეკუთვნის.

„განთავისუფლებისათვის გლეხთასა მებატონეთ ყმობისაგან“ დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით 1864 წელს. მასში გრ. ორბელიანი რამდენადმე მეტ დათობაზე მიდის, ვიდრე მოხსენებაში „ჩემი პაზრი“ და „უმცირესობის“ პროექტში. კერძოდ, როგორც ჩანს, ავტორი თანახმაა გლეხობას მიეცეს არა მარტო ბალ-ვენახი, არამედ სახნავი მიწების ნაწილიც (რა თქმა უნდა, არა უსასყიდლოდ).

◆ექსტი პირველად ქვეყნდება.

შენიშვნები თბილისის ამქართა მღვდევარების შესახებ

ავტორადი დაცულია საქართველოს სსრ აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, გრ. ორბელიანის პირად საარქივო ფონდში (ხელნაწერი № 11). ტექსტის ნაწილი შესრულებულია ფანქრით, ნაწილი — მელნით. გადაუთვთრებელია.

ტექსტი სრული სახით პირველად ქვეყნდება.*

გრ. ორბელიანის ეს შენიშვნები, ცხადია, დაწერილია 1865 წელს, როდესაც ადგილი ჰქონდა „ამქრების აჯანყებას“. როგორც ცნობილია, 1865 წ. 26 — 28 ივნისს თბილისში მოხდა გამოსვლები, რომლებშიც მონაწილეობდნენ უმთავრესად ხელოსნები და ქალაქის ბურჟუაზია. ბოლოს მათ შეუერთდნენ მუშები და მოსახლეობის უღარიბესი ფენები, ასე რომ, მოძრაობამ საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო. მღვდევარების საბაბი ის იყო, რომ ქალაქის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად ხელისუფლებამ მოსახლეობას ახალი გადასახადები შეაწერა. ამქრული ორგანიზაციები, რომლებიც ისტორიული აუცილებლობის შედეგად ისედაც ირღვეოდნენ და კონკურენციას ვეღარ უძლებდნენ, ახლა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამიტომ სწორედ ამქართა კორპორაციებმა დაიწყეს გამოსვლები და მათ მოსახლეობის სხვა ფენებში შეუერთდნენ. როგორც ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს — „ახლად შემოღებული გადასახადების სიმძიმე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ნახევრად მშვიერ მუშებსა და ჯარისკაცებს აწებოდა; იგი გზადაგზა მოქალაქეებსაც აწუხებდა; მამასადამე, თითქმის დანამდვილებით და წინდაწინვე შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ხალხის უკმაყოფილებას საზღვარი ვერ დაედებოდა და იგი შეიძლებოდა ჯარიშხლად გადაქცეულიყო“ (იხ. ნ. ნიკოლაძე, ივნისის დღეებში ტფილისში, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 198, ს. ხუნდაძის რედ.).

გრ. ორბელიანი ამ დროს კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა.

* აქვე, ერთ-ერთი ფურცლის თავისუფალ გვერდზე, ფრანგულად წერია ევანჯელიკონე ჰეპკავაძის პარიზის მისამართი:

„France. Paris. A Son Altesse sérénissime Madame la Princesse Catherine Dadian de Mingrèlle. L'Hôtel du Louvre“.

ამიტომ იგი უშუალოდ ჩაერია საქმეში და შეეცადა მოლაპარაკების გზით დამშვიდებინა ხალხი, მაგრამ ამან ნაყოფი არ გამოიღო (ამის შესახებ დაწერ. იხ. ი. შეტნარგია, ქართველი მწერლები, I, 1941, გვ. 96—98, შეად. ა. ფირცხალაი-შვილი, თბილისის ამქრების 1865 წლის გამოსვლის ისტორიისათვის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XI, 1940).

ბოლოს რამდენიმე შეტაკება მოხდა სამხედრო ნაწილებსა და ხალხს შორის და მღელვარება ჩააქრეს. ხელისუფლებაც თითქოს ერთგვარ დათმობაზე წავიდა: გადააყენეს ქალაქის თავი შერმაზან-ვართანოვი, გრ. ორბელიანი შეპირდა აჯანყებულებს, რომ ამქრების მოთხოვნებებს დააკმაყოფილებენ, გამოსვლის მონაწილეებს არ დასჯიან, ახალი გადასახადის აკრფვას შეაჩერებენ და ქალაქის მართვა-გამგეობაში მონაწილეობას მიიღებენ ხალხის მიერ არჩეული პირები (იხ. ა. ფირცხალაიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 70).

მაგრამ ეს დაპირებანი ხელისუფლებამ, ცხადია, არ შეასრულა: გამოსვლების მრავალი მონაწილე დასაჯეს, 1866 წელს გამოიკა დებულება ქალაქის თეთ-მმართველობის შესახებ, რომელიც ფაქტიურად ამკირებდა „პირველხარისხოვან“ მოქალაქეთა წინანდელ უფლებებს და, დასასრულ, 1867 წ. გამოიკა დებულება ამქართა შესახებ, რომლის შედეგადაც 100 ამქრიდან დარჩა 17, რომლებიც ემორჩილებოდნენ ხელისანთა სპეციალურ სამმართველოს (დაწერ. იხ. ა. ფირცხალაი-შვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 81—82. ამქართა ამ გამოსვლებს გრ. ორბელიანი ეხება თავის წერილებშიც კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძისადმი, — იხ. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, განსაკუთრებული მნიშე. საქმეთა ფონდი, № 174).

როგორც თანამდებობის პირს, გრ. ორბელიანს საკმაო გულმოდგინება გამოუჩენია და მრავალი ცნობა შეუქრებია ამქართა მღელვარების შესახებ. ყურადღებას იქცევს ის გარემოებები, რომ გრ. ორბელიანი აღშფოთებულია ლიბერალურად განწყობილი იმ პირების საქმიანობით, რომლებიც ქადაგებდნენ „ნაციონალნობას... და მატერიალიზმს“.

* * *

1. გა ლ ა ვ ა — იგულისხმება ქალაქის თავი ვალუსტ შერმაზან-ვართანოვი. იგი ქალაქის თავად აირჩიეს 1864 წელს. შერმაზან-ვართანოვი ვადმოსახლებული იყო ირანიდან, ამიტომ მოწინააღმდეგე პარტია მას თბილისის მკვიდრ მოქალაქედ არ თვლიდა. შერმაზან-ვართანოვი ყოველნაირად უჭერდა მხარს ხელისუფლების კოლონიურ პოლიტიკას. ახალი გადასახადების გაწერის საქმეში მთავარ დამნაშავედ გამოსვლების მონაწილენი შერმაზან-ვართანოვს „სახელუბდნენ. ამიტომ ბუნებრივია, თუ აღლევებული მოქალაქენი, უპირველეს ყოვლისა, ქალაქის თავის სახლისაკენ გაემართნენ და დაარბიეს იგი. შერმაზან-ვართანოვმა გაქცევით უშველა თავს. იენისის ამბების შემდეგ იგი გადააყენეს თანამდებობიდან და მის მაგივრად ქალაქის თავად დანიშნეს თბილისის მკვიდრი სოლომონ აბესალომოვი

(იხ. ი. ფირცხალაიშვილი, თბილისის ამქრების 1865 წლის გამოსვლის ისტორიისათვის, სტალინის სახელობის თ. ს. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XI, 1940. ცნობები შემდეგაც უმთავრესად დასახელებული ნაშრომიდან მოგვეყავს).

2. ა მ ბ ა რ ც უ მ ე ფ ე ნ ე ი ა ნ ც ი — უფრო სწორად ე ნ ფ ი ა ნ ჭ ი ა ნ ც ი, გამოსვლების აქტიური მონაწილე. ენფიანციანი იყო თბილისის საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობის წევრი. მას, როტინიანცა და სუნდუკიანთან ერთად, ჰქონდა სტამბა, სადაც სცემდნენ სომხურ გაზეთს „მელუ აისატან“ („სომხეთის ფუტკარი“). იენისის დღეებში ენფიანციანცის სტამბაში დაიბეჭდა ფურცლები, რომლებსაც ავრცელებდნენ ხალხში (ამ ფურცლებში გადმოხევედილი იყო ვაზ. „კავკაზიდან“ ქალაქის თავის განკარგულებანი გამოსაღებების შესახებ). მღელვარების დაცხრომის შემდეგ, პასუხისგებაში მისცეს 80 კაცი, რომლებიც დაჰყვეს 12 კატეგორიად. ამბარცუმ ენფიანციანი მოხვდა მე-12 კატეგორიაში 37 „პირველხარისხოვან“ მოქალაქესა და მოხელესთან ერთად. სასამართლო პალატამ და სენატმა ისინი ყველანი გაამართლა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ხელისუფლებამ აღარ სურდა მეტისმეტად გაენშაურებინა საქმე და ამ ამბისათვის პოლიტიკური ხასიათი მიეცა.

3. გ რ ი გ ლ ი ზ მ ი რ ო ვ ი — გამოსვლების აქტიური მონაწილე, „ნადვორნი სოვეტნიკი“. ქალაქის თავი შერმაზან-ვართანოვი თავის ჩვენებაში მას ახასიათებდა, როგორც გამოსვლების მთავარ ხელმძღვანელს. გრ. იზმიროვის ბინაზე ხშირად იკრიბებოდნენ ხელოსნები, უსტაბაშები და თათბირობდნენ შექმნილი ვითარების შესახებ. გამოძიების დროს იგი ჩარიცხეს ბრალდებულთა მე-12 კატეგორიაში.

4. მ ი დ დ ი ს ი გ რ ი ქ უ რ — ბაყლების უსტაბაში (იხ. ტექსტი). როგორც ჩანს, მონაწილეობდა გამოსვლებში, ხოლო შემდეგ, ჩვენების ჩამორთმევის დროს, დაასახელა გრ. იზმიროვი.

5. ი ვ ა ნ ე — სირაჯების უსტაბაში (იხ. ტექსტი). ჩანს, ამაყ დაუსახელებია გრ. იზმიროვი.

6. ს ა ი ბ ო ვ ი — როგორც ჩანს, ქალაქის მმართველობის წევრი იყო (იხ. ტექსტი).

7. ს უ ნ დ უ კ ი ა ნ ც ი — გაბრიელ სუნდუკიანი, თბილისის საჭუბერნიო სამმართველოს მრჩეველი. შერმაზან-ვართანოვი მას გრ. იზმიროვის ერთ-ერთ მთავარ თანაშემწედ ასახელებს. სუნდუკიანი ენფიანციანთან ერთად სცემდა გაზეთს (იხ. შენიშვ. 2). გამოძიების დროს ჩარიცხეს ბრალდებულთა მე-12 კატეგორიაში.

8. ი ვ ა ნ ე ა დ ა მ ი ს ძ ე ფ ო რ ა ქ ო ვ ი — საპატიო მოქალაქე, გამოსვლების მონაწილე. ივანე ფორაქოვისა და მისი ძმის ილარიონის ბინაზე თავს იყრიდნენ უსტაბაშები, რომელთაც ფორაქოვები ქალაქის თავის წინააღმდეგ აქეზებდნენ. გამოძიების დროს ი. ფორაქოვი ჩარიცხეს ბრალდებულთა მე-12 კატეგორიაში.

9. მ ო ს ი კ ო ს ო ლ ა დ ო ვ ი — თბილისელი მოქალაქე. შერმაზან-ვართანოვი მას ასახელებს გრ. იზმიროვის ერთ-ერთ თანაშემწედ. გამოძიების დროს ჩარიცხეს ბრალდებულთა მე-12 კატეგორიაში.

10. კობიევი — კობიაშვილი, მსახურობდა ქალაქის სამმართველოში (იხ. ტექსტი).

11. პეტრუზ კონდახსაზოვი — ქურქთა უსტაბაში. 24 ივნისს პეტრუზ კონდახსაზოვი, სხვა სამ უსტაბაშთან ერთად, ამქრებმა გადააყენეს ანამდებობიდან, რადგან ეს ოთხი უსტაბაში მხარს უჭერდა შერმაზან-ეართანოვს და მათ თანხმობა განაცხადეს გადასახალი შეეტანათ.

12. დანიელ იშმიროვი — თბილისის საპატო მოქალაქე, გრ. იზმიროვის ძმა. მას თბილისში ჰქონდა საკუთარი არაყის ქარხანა. გამოძიების დროს ჩარიცხეს ბრალდებულთა მე-12 კატეგორიაში.

13. შაქარ სულხანოვი — თბილისელი მოქალაქე. მონაწილეობდა ამქართა გამოსვლებში.

14. ალექსანდრე შაქარიას ძე ბაბანოსოვი — ბოქაული (იხ. ტექსტი).

15. ნაზარ ნაზარბეგოვი — თბილისის საპატო მოქალაქე. მონაწილეობდა ამქართა გამოსვლებში. გამოძიების დროს ჩარიცხეს ბრალდებულთა მე-12 კატეგორიაში.

16. პეტრე რიგიანოვი — თბილისელი მოქალაქე. მონაწილეობდა ამქართა გამოსვლებში.

17. ვასილ არტემის ძე ეართანოვი — თბილისელი მოქალაქე, წისკელის მეპატრონე (იხ. ტექსტი). როგორც ჩანს, იგი ხალხში ავრცელებდა ენფიანჯიანტის სტამბაში დაბეჭდილ ფურცლებს (იხ. შენიშვ. 2).

18. პეტროს სიმონიანცი — გაზ. „მელე აიასტანის“ რედაქტორი (ნეად. შენიშვ. 2). კომისიამ არ სცნო საჭიროდ მისი დაბატიმრება. გამოძიების დროს ჩარიცხეს ბრალდებულთა მე-12 კატეგორიაში.

რაც შეეხება გრ. ობედლიანის შენიშვნას „სომხის სარწმუნოების“ შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს მართლაც გამწეავებული ურთიერთობა იყო სომხეთის პატრიარქსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის. ხოლო გამოსვლების მონაწილენი ბრალად სდებდნენ ქალაქის თავს შერმაზან-ეართანოვს, რომ მას თითქმის სურდა „სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის გაერთიანება მართლმადიდებლურ ეკლესიასთან“.

19. ხატისოვი — მიხეილ ხატისოვი, თბილისის საპატო მოქალაქე. მონაწილეობდა ამქართა გამოსვლებში. ნაძარცვი ნივთების მითვისების ცდისათვის მიესაჯა 2 წლით პატიმრობა.

20. მიანსაროვი — (?) როგორც ჩანს, თბილისელი მოქალაქე იყო. დაახლოებული ყოფილა პეტროს სიმონიანცთან (იხ. ტექსტი).

21. ნაზარიანცი — სტეფანე ისაიას ძე (1812 — 1879), თბილისელი სომეხი მღვდლის შვილი. დაამთავრა თბილისის სომხური სემინარია, შემდეგ დერპტის გიმნაზია და უნივერსიტეტი. აკადემიკოსების — ფრენსია და ბროსეს რეკომენდაციით, 1842 წ., დაინიშნა სომხური ენის კათედრის აღიუნქტად ყაზანის უნივერსიტეტში. 1849 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია — „ფირდოუსი ტუსელი — შემოქმედი წიგნისა, რომელიც ცნობილია შამ-ნამეს სახელწოდებით“. მი-

ილო სომხურ-სპარსული სიტყვიერების დოქტორის ხარისხი. 1848 წ. დაინიშნა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში სპარსული და არაბული სიტყვიერების პროფესორად. სტ. ნაზარიანი აგრეთვე ცნობილია როგორც პუბლიცისტი და ჟურნალისტი. იგი, ნაღბანდიანთან ერთად, მოსკოვში ცემდა ჟურნალს „ჩრდილოეთის ცილი“ (1858 — 1864). როგორც აღნიშნავენ, ეს იყო პირველი ერთთვიური ჟურნალი ევროპული ტიპისა სომხურ ენაზე რუსეთში (იხ. **Русский биографический словарь, С.-Пб., 1914**).

22. გოგობერიძე — იგულისხმება ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ბესარიონ ლოღობერიძე (იხ. ს. ხუნდაძე, ნარკვევები, 1941, გვ. 28).

23. შანშიევის შვილები — (?) საფიქრებელია, ყოფილი მოსკოველი სტუდენტები იყვნენ. დაახლოებული ყოფილან პროფესორ ნაზარიანთან (იხ. ტექსტი).

24. პეტრე შანშიევი — (?) დაახლოებული ყოფილა პროფესორ ნაზარიანთან. ასევე დაახლოებული ყოფილა სიმონიანსა და ხატისოვთან (იხ. ტექსტი, შუად. შენიშე. 18, 19). საფიქრებელია, ისიც მონაწილეობდა იენისის გამოცემაში.

IV. კ რ ი ტ ი კ ა

(1873)

მგზავრობა სვანეთისაკენ გ. ნ. (განხილვა)

გრ. ორბელიანის ამ კრიტიკული წერილის ავტოგრაფი არ შენახულა. სტატია დაიბეჭდა „ცისკარში“ 1874 წელს (№ 9, 10), „ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით. იგი მიმართულია გიორგი წერეთლის წინააღმდეგ, კერძოდ, შვიცაეს გ. წერეთლის „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“ კრიტიკულ განხილვას (გ. წერეთლის ეს ნაწარმოები გამოქვეყნდა „კრებულსა“ და „ღროებაში“ 1866 — 1873 წლების მანძილზე). წერილი მეტად მნიშვნელოვანია გრ. ორბელიანის ლიტერატურულ-ენობრივი პოზიციის გასარკვევად. სტატიაში თავი იჩინა „მამათა“ ბანაკის მოძველებულმა მრწამსმა ენის საკითხში. კერძოდ, ეს ითქმის ძველი ასოების ხმარების შესახებაც, რასაც თავგამოდებით იცაეს გრ. ორბელიანი. ავტორი არც იმას მალავს, რომ იგი პ. იოსელიანის გრამატიკულ შეხედულებებს ეყრდნობა. მაგრამ აქვე უნდა დაესძინოთ, რომ, მიუხედავად სტატიის ზემოაღნიშნული ნაკლისა, ავტორის კონკრეტული ენობრივი ხასიათის შენიშვნები გ. წერეთლის მისამართით, უმეტეს შემთხვევაში, მართებულია. გრ. ორბელიანის ბრძოლა ენის სიწმინდისათვის ამ პოზიციიდან უდავოდ მისაღებია. არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს გრ. ორბელიანის შემდეგ განცხადებასაც: „ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი: „ხალხის ენაზედ ვაჟწეროთო“. მაშ რა ენაზე უნდა დაჰსწერონ?

მაგრამ, ეს კი უნდა ახსოვდეთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუქმნე-
ვებელი; ვიდრე დახელოვნებული მწერალი მასალასა მას არ გადააჩენეს, კირგსა
უფარგისისაგან არ გაჰსწმენდს, არ გაამშვენიერებს და დიდებულებითა არ აღი-
ყვანს სალიტერატუროს სამფლობელოსში; მერე, იმ გაღამაზებულსა ენასა გამ-
შვენიერებულის ფორმითა გადმოჰსცემს მოსახმარებლად ისე იმასვე ხალხსა,
რომელიცა არის პატრონი ენისა, და რომელიცა შეითვისებს იმას, ვითარცა საკუ-
თრებასა; და ამ სახით უმეტეს და უმეტეს მშვენიერდება ხალხის ენა და მით
უმეტეს ნათლდებაცა მისი გონება!*

ანდა: „რისგან მოხდა, რომ „საქართველოს ისტორია“ და „ქაიხია ადამიანი“
რამდენჯერმე წაეიკითხე დიდის სიამოვნებით, და კიკოლიკის მგზავრობა მეჩვენა
ესრეთ საზიზღრად? მაშ ამით შორის, მართლად, რომელი არის ქართული?“

გრ. ორბელიანის ეს განცხადება არა მარტო ახალი ქართული რეალისტური
მწერლობის აღიარების ფაქტს გამოხატავს პოეტის მხრივ, არამედ იმ ტენდენციე-
ბის გაგებასა და მეტ-ნაკლებად გაზიარებასაც, რომელთაც თავი იჩინეს სალიტე-
რატურო ენის სფეროში რეალისტური მწერლობის დამკვიდრებასთან ერთად.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გრ. ორბელიანის ამ წერილს იმდროინ-
დელი ინტელიგენციის ყურადღება მიუქცევია და ბუერს მოსწონებია იგი. ასე,
მაგალითად, ცნობილი პუბლიცისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი მის. თუმანი-
შვილი 1875 წ. 21 იანვარს სწერს შვილს გიორგის: „ინტერესით წაიკითხვა შეიძლე-
ბა მხოლოდ ძველი სემინარიის ტიპის სტატიისა, რომელიც ამჟღავნებს
არა მარტო მის დიდ კრიტიკულ ტაქტს და ესთეტიკურ გემოვნებას, არამედ აგ-
რეთვე საუბორო ფილოლოგიურ ცოდნას, რაც არ ჩამოუვარდება პროფ. ცაგარ-
ლის ცოდნას სისწორისა და სიზუსტის მხრით“ (იხ. სალიტერატურო-საზოგადოებ-
რივი წარსულიდან, 1938, გვ. 106).

გრ. ორბელიანის აღნიშნული სტატია 1874 წელს ცალკე ამონაბეჭდის სახითაც
გამოვიდა. 1956 წ. იგი შეიტანა ქართული კრიტიკის ქრესტომათიაში ს. ხუცი-
შვილმა (იხ. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, II, ს. ხუცი-
შვილის რედ. და შენიშვნებით).

ჩვენს გამოცემაში გრ. ორბელიანის ეს წერილი იბეჭდება „ცინკარში“ გამო-
ქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

V. თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

(1824—1833)

ა ღ ღ ე ლ ო რ ი ა

ავტოგრაფი დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში
(ე. წ. ლენინგრადის ფონდი, შეთქმულების საქმეები, რე. IX I). ტექსტი შესარუ-
ლებულია მელნით. პირველად გამოაქვეყნა ს. ხუციშვილმა 1947 წ. (იხ. ნ. ბარ-
თაშვილის სახელობის გორის სახელმწ. პედინსტიტუტის შრომები, II).

ნაწარმოებში გატარებულია აზრი, რომ სათნოება იმარჯვებს ბოროტებაზე, რომ ადამიანის სიყვითე და დიდსულოვნება საბოლოოდ ღირსეულად ჭილდოვდება. უეჭველია, ნაწარმოები თარგმნილია, ხოლო ზოგიერთი ენობრივი მონაცემის მიხედვით აშკარაა, რომ თარგმნილია რუსულიდან (შეად., მაგალითად, გრ. ორბელიანის შენიშვნა: „ფერხსაცემლი — Tyფ. III“. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ გრ. ორბელიანი, საერთოდ, მხოლოდ რუსული ენიდან თარგმნიდა). ტექსტი იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით.

სამნი მეგობარნი

ავტოგრაფი დატულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ე. წ. ლენინგრადის ფონდში (1832 წლის შეთქმულების საქმეები, რ. XX I). ტექსტი შესრულებულია მელნით; გადათეთრებულია. „სამნი მეგობარნი“ პირველად 1945 წ. გამოაქვეყნა ს. ხუციშვილმა სათანადო წინასიტყვიით (იხ. ვახ. ლიტერატურა და ხელოვნება, № 21).

როგორც მინაწერიდან ჩანს, ნაწარმოები გრ. ორბელიანის მიერ თარგმნილია რუსულიდან: „ნემეცურიით რუსულად გადმოთარგმნილიდამ“. მისი ავტორი არის ცნობილი გერმანელი მწერალი იოჰან-გოტფრიდ ჰერდერი (1744 — 1803).

ამ თხზულების როგორც იდეა (ცხოვრება სულისათვის, კეთილი საქმის ჩადენა), ასევე სიუჟეტიც ძალზე გავრცელებული იყო ქრისტიანულ მწერლობაში. მაგალითად, საესებით ანალოგიურ იგავს ჩვენ ვხვდებით ცნობილ „სასულიერო რომანში“ „სიბრძნე ბალაჰარისი“ (იხ. სიბრძნე ბალაჰარისი, ილ. აბულაძის რედ., 1937, გვ. 22-24). როგორც ჩანს, ეკეთიმე ათონელის მიერ ქართულიდან ბერძნულ ენაზე თარგმნილი ამ ნაწარმოების წყალობით გავრცელდა აღნიშნული სიუჟეტი ახალი საუკუნეების მწერლობაშიც.

ტექსტი იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით.

მ ა ც თ უ ნ ე ბ ე დ ი

ავტოგრაფი დატულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდში, № 171. ტექსტი შესრულებულია მელნით. გადათეთრებულია. ქვეყნდება პირველად.

ტექსტის დასასრულს ვხვდებით მინაწერი რუსულ ენაზე: „Период с русскою повесть Цхоке“.

იოჰან-პაინრიხ-დანიელ ცშოკე (1771 — 1848) გერმანელი მწერალია. იგი მსახურობდა შვეიცარიაში და, როგორც საიმპერიო კომისარმა, ბუერი გააყვითა კანტონების ორგანიზაციისათვის. შვეიცარიაში ცშოკემ სასტიკი დევნა განიცადა, რადგან მას ბრალად სდებდნენ რევოლუციური შეხედულებებისადმი თანაგრძნობას, რელიგიისადმი შტრომას და სხვ.

ცშოკე ცნობილია აგრეთვე როგორც ჟურნალისტი. მაგრამ მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი თავისი შრომებით შვეიცარიის ისტორიის საკითხებზე.

მხატვრულ შემოქმედებაში ცშოკე არ შეხებია თავისი ღრის მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებს. იგი იყო „ბოვტი-ეკლექტიკოსი“. მაგრამ მდიდარი წარმოსახვა და თბრობის უნარი ხელს უწყობდა მისი ნაწარმოებების პოპულარობას.

ამ მოთხრობაში ცშოკე აყენებს ზნეობრივი თვითაღზრდის საკითხს. ბოროტების მიზეზი თვით პიროვნებაშივეა ჩამარხული. აღამიანი უნდა ებრძოდეს საკუთარ ვნებებს და დაადგეს სათნოებისა და ქვეშაირიტების გზას.*

ცშოკეს ერთი მოთხრობა — „ოქროს მოყვარულები“, თარგმნილი ელენე წერეთლის მიერ, 1896 წ. ცალკე წიგნად გამოიცა თბილისში.

* * *

1. ა მ უ რ ი — რომაულ მითოლოგიაში სიყვარულის ღმერთი, ვენერას ვაჟი. ხატავდნენ მშვენიერი ბიჭის სახით, რომელსაც ხელთ მშვილდ-ისარი ეპყრა.

2. ე ო ლ ტ ე რ ი — ფრანსუა-მარი-არჟე ვოლტერი (1694 — 1778), გამოჩენილი ფრანგი მწერალი და მოაზროვნე.

3. შ ე ლ ი ნ გ ი — ფრიდრიხ-ვილჰელმ-იოჰან შელინგი (1775 — 1854), გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი, იდეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

4. მ ა კ ე დ ო ნ ი ის მ ა მ ა ც ი — იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი (356 — 323 ძვ. წელთაღრ.).

5. ბ ე ლ ზ ე ე უ ლ ი — ბელზებელი, არაწმინდა სულების მეთაური, ეშმაკი. თავდაპირველად ფინიციელთა ღვთაების სახელი (ბაალ-ზებუმი).

6. დ ე მ ო ნ ი — თავდაპირველად ბერძნული ღვთაება. წარმართობის პერიოდში დემონი ეწოდებოდა ყოველგვარ სულს — ბოროტსაც და კეთილსაც. ქრისტიანობის პერიოდში დემონი მხოლოდ ბოროტი სულის, ეშმაკის მნიშვნელობით იხმარებოდა.

7. მ ე რ კ უ რ ი — იგივე პერმესი. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ზევსის შვილი. მიჩნეული იყო სამოვრების, გზის, ვაჭრობის, მოხერხებულობის, მკვიერ-მეტყველების და სხვ. ღმერთად. აგრეთვე ითვლებოდა ღმერთების შიკრიკად.

8. მ ე ფ ის ტ ო ფ ე ლ ი — ძველ გერმანულ თქმულებებში ეწოდებოდა ბოროტ სულს. მეფისტოფელის სახე მრავალგზის აისახა ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში.

* „მატუნებლის“ თარგმანსთან დაკავშირებით, გრ. ორბელიანს, ჩვეულები-სამებრ, ცალკე ფურცელზე ამოუწერია რუსული სიტყვები, რომელთა ქართულ შესატყვისის იგი ეძებდა. ასეთებია: **искуситель, голубые глаза, бумажные, досада, багровоокрасный, во минах, палач, окули** და სხვა.

9. ეინცინატი — რომელი მხედართმთავარი (ცხოვრობდა V ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). მრავალჯერ გადაარჩინა რომი საფრთხეს. ყოველი გამარჯვების შემდეგ, ბრუნდებოდა თავის პატარა მამულში და ამუშავებდა მიწას.

10. ელენე, არმიდა, ამანდა — ელენე — ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ასული ზეუსისა და ლედასი. განთქმული იყო თავისი მშვენიერებით. იგი ცოლად ჰყავდა სპარტას მეფეს მენელაოსს. მაგრამ ელენე გაიქცა პარისტან ერლად, რამაც გამოიწვია სისხლისმღვრელი ომი აქაეელთა და ტროაელთა შორის. არმიდა — ტორკვატო ტასოს პოემის „განთავისუფლებული იერუსალიმის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი. საერთოდ, მაცუური მზეთუნახავი. ამანდა — (ლათ.) საყვარელი, სასიამოვნო (სასიყვარულო, საალერსო სიტყვა, ამ შემთხვევაში ქალის მიმართ).

11. დოქტორი ფაუსტი — იოჰან ფაუსტი, შუა საუკუნეების ლეგენდების გმირი. გადმოცემის მიხედვით, ფაუსტმა სული მიჰყიდა ეშმაკს (მეფისტოფელს) და სამაგიეროდ განიცადა და იხილა მრავალი რამ, რასაც ჩვეულებრივი მოკვდავი მოკლებულია. ეს თემა ხელოვნებაში მრავალჯერ დამუშავდა.

12. ანდრემელეხი — ადრამელეხი — ეს სახელი გვხვდება თეოდორე ვლესელის „ცხოვრებაში“, რომელიც თავდაპირველად დაწერილი ყოფილა ბერძნულ ენაზე, ხოლო შემდეგ უთარგმნიათ არაბულსა და ქართულ ენებზე (ერთი ენაზოდი ამ „ცხოვრებისა“ იხ. „კიმენში“, ტ. I, 1918, კ. კეკელიძის რედ.). ქართულ თარგმანში ამ მეფეს ეწოდება აზდალ-მელქი (ბერძნულად — ადრემელეხი), — იგულისხმება აბდალ-მელიქი, ერთ-ერთი პირველი ხალიფი ომეიადების დინასტიიდან (685 — 705. ამ წყაროებზე მიგვიითა პრაუფ. კ. კეკელიძემ, რისთვისაც მადლობას მოვასწენებთ).

საფიქრებელია ისიც, რომ ეს იყოს სახელი მეფე ციციასის ეთიოპელი მსახურისა (აზდემელეხი, სლავურ ბიბლიაში — ავდემელეხი). თალმულში განმარტებულია ებედ-მელეხი, როგორც „მონა მეთისა“ (იხ. *Еврейская энциклопедия*, С.—Пб., XVI).

როგორც ჩანს, ავტორი ამ სიტყვას ხმარობს ურწმუნოს, ან ეშმაკეულის მნიშვნელობით.

13. სტაროსტა — ასე უწოდებდნენ პოლონეთში გამოჩენილ პანებს, რომელთაც მეთისაგან გამგებლობაში მიღებული ჰქონდა რომელიმე ქალაქი მისივე ნიღამოებით.

14. ბლოკსბერგი — მრავალი მთის სახელი გერმანიაში, კერძოდ კი ასე ეძახიან ჰარცის მწვერვალს. გერმანული თქმულებების მიხედვით, პირველი მთისის წინაღამეს — ვალპურგის ღამეს, ბლოკსბერგზე ეშმაკები იყრიებოიან გერმანიის ყველა კუთხიდან და იქ ღრებობს მართავენ.

15. კაინი — ბიბლიური გადმოცემით, ადამის უფროსი ვაჟი, რომელმაც შოკა თავისივე ძმა აბელი.

16. ფურიები — იგივე ევმენიდები, შურისძიების ქალღმერთები. უმეტესად ცნობილი იყო სამი: ტინიფონა, ალეკტო და მეგერა.

სალამოს ჩაიზე

აეტოგრაფი დატულია საქართველოს სსრ აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფონდი H — № 2804). ტექსტი შესრულებულია მელნით. ქვეყნდება პირველად.

ნაწარმოების ენისა და შინაარსის მიხედვით აშკარაა, რომ იგი რუსულიდანაა თარგმნილი. ისიც ცხადია, რომ ავტორი რუსი მწერალია, მაგრამ სახელდობრ რომელი, ჭერჭერობით ვერ გამოვარკვეით.

მოთხრობა თარგმნილი უნდა იყოს XIX ს. 30-იან წლებში (ამ ხანებშია შესრულებული, საერთოდ, გრ. ორბელიანის პროზაული თარგმანების უმრავლესობა). საყურადღებოა, რომ გრ. ორბელიანს ხელი მოუვიდია ისეთი ნაწარმოების თარგმნისათვის, რომელშიც მოცემულია არისტოკრატიული საზოგადოების მძაფრი კრიტიკა. მოთხრობის ტენდენცია აშკარაა: იმპროინდულ საზოგადოებაში არ არსებობს ჰუმანიტარული სიყვარული, მეგობრობა. გარეგნული ბრწყინვალეების იქით იმალება საშინელი ეგოიზმი და ანგარება; ნამდვილი ტალანტი გზადანშულია. მხოლოდ სულელები და მლიქვნელები ახერხებენ ცხოვრებაში გზის გაკაფვასა და საზოგადოებაში სათანადო ადგილის დაკვირვას. მოთხრობის მთავარი გმირის — ხოზრევესის ცხოვრების ისტორია ამის ტიპიური მაგალითია. ხოზრევესის თავდასაყალი ჩაცვის ტრაგედიას ეხმარება.

მოთხრობაში რამდენადმე ქალთა აღზრდისა და ემანსიპაციის საკითხიცაა დასმული.



1. *Vae victis* — ვაი დამარცხებულთა (ლათ.).

2. *Tout de choses on deux mots. C'est une belle langue que la langue turque* — ყველაფერი ეს ორი სიტყვით. თურქული ენა ლამაზი ენაა (ფრანგ.).

3. ვ ა ტ ი კ ა ნ ი — პაპის სასახლე რომში. აგებულია V ს. შედგება დაახლოებით 11 ათასი ოთახისაგან. ცნობილია ხელოვნების იშვიათი ძეგლებით.

4. ა მ ა ზ ო ნ კ ა — ბერძნული მითოლოგიის მიხედვით მცირე აზიაში არსებობდა მემომარი ქალების, ე. წ. ამაზონების სახელმწიფო. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამ გადმოცემაში უნდა დაეინახოთ მატრიარქატის კვალი.

5 *Bon soir, monsieur Wismer* — ღამე მშვიდობისა, ბატონო ვისმერ (ფრანგ.).

6. *Sens reume* — (?) დამახინჯებულია ფრანგული ფრაზა.

7. *Pour tout de bon* — ყოველ შემთხვევაში.

8. *À de fins* — დახვეწილი.

9. მ ი ს ე ჯ ე ო რ ტ ი — მარია ეჯორტი, ინგლისელი მწერალი ქალი (1767 — 1849). მისი რომანი „ელენე“ თარგმნილია რუსულ ენაზე.

10. *Ennui* — მოწყენილობა.

11 Bon soir chère princesse — ღამე შვიდობისა, ძვირფასო კნეინა (ფრანგ.).

12. პითია — აპოლონ ღმერთის ქურუმი ქალი, წინასწარმეტყველი დელფის ტაძარში (დელფის ორაკული).

13. **chef-d'œuvre** — შედეგრი (ფრანგ.).

14. დიურერი — ალბრეხტ დიურერი, ცნობილი გერმანელი მხატვარი (1471 — 1528).

15. ლუდოვიკო მეოთხეტე — საფრანგეთის მეფე ლუი XIV (1638 — 1715). ტახტზე ავიდა 1643 წ. მის დროს გაძლიერდა ცენტრალური ხელისუფლება და სახელმწიფომ გარეგნულად დიდ ბრწყინვალეობას მიაღწია.

16. მარკიზა დობრენელი — მარია-მადლენა დე-ბრენელი, ცნობილი ისტორიაში თავისი ბოროტმოქმედებით. იგი შეგობობდა რიტმისტრ ჟან-ბატისტ დე-გოლენთან, სინიორ სენ-კრუსთან, რომელიც მალე მისი საყვარელი გახდა. სენ-კრუსმ მარკიზას ასწავლა საწამლაის მომზადება, რომლითაც ამ უკანასკნელმა მოწამლა მამა, ძმები და დები, რათა მათი ქონება დარჩენოდა. 1672 წ. სენ-კრუს მოულოდნელად გარდაიცვალა მისგანეუ მომზადებული საწამლაისაგან. სიყვდილის წინ მან მარკიზას წერილი გაუგზავნა, რომელიც სხვებს ჩაუვარდა ხელში. საიდუმლოება გამჟღავნდა. მარკიზა გაიქცა საზღვარგარეთ, მაგრამ შეიპყრეს და თავი მოკვითეს 1676 წელს.

ამ საწამლაეს ეძახდნენ „მემკვიდრეობის ფხენილს“.

17. სენტკრუსა — იხ. შენიშე. 16.

18. **des victoires** — გამარჯვებათა (ფრანგ.).

19. კანიბალი — ანტროპოფაგი, კაცისშეშაველი.

20. ბაირონიზმობა — იმ ლიტერატურული ტენდენციის მიმდევრობა, რომელმაც ბაირონიზმის სახელწოდება მიიღო (უარყოფითი დამოკიდებულება არსებულისადმი, გულგატეხილობა, მსოფლიო სევდა, ძლიერი პიროვნებისა და ენებების აპოლოგია და სხვ.).

21. **Nous sommes quittes, madame** — ბარიბარსა ეართ, ქალბატონო (ფრანგ.).

22. **C'est simplement une envie se jeter par la fenêtre madame de femme** — ეს უბრალოდ სურვილია გადაეარღე ფანჯრიდან ქალის ავადმყოფობის გამო (ფრანგ.).

23. **Mesalliance** — მეზალიანსი, არათანაბარი ქორწინება.

24. ეორტ ზანდი — ფსევდონიმი ცნობილი ფრანგი მწერალი ქალის ავრორა დიუჟენისა (1804 — 1876).

25. ჩაკცი — მთავარი პერსონაჟი ა. გრიბოედოვის ცნობილი კომედიისა „ნუი კუისიანს“.

26. სფინქსი — ბერძნულ მითოლოგიაში არსება ლომის ტანითა და ადამიანის თავით, რომელიც ჰკლავდა ყველას, ვინც კი მის გამოცანებს ეერ ამო-

ხსნიდა. მხოლოდ თიბიოსმა მოახერხა პასუხის გაცემა და მაშინ სთინქსმა თავი მოიკლა.

27. კანდიდატი მოსკოვის უნივერსიტეტისა — ძველ უნივერსიტეტებში კანდიდატს ეძახდნენ სტუდენტს, რომელიც უკვე ამთავრებდა უმაღლეს სასწავლებელს და ემზადებოდა დიპლომის მისაღებად.

28. ჰამლეტი — შექსპირის ტრაგედიის „ჰამლეტის“ მთავარი გმირი. ავტორი გულისხმობს ჰამლეტის შემდეგ სიტყვებს:

„ბევრი რამ ხდება, პორაციო, ზეცად და ქვეყნად,
რაც თილოსთფოსთ სიზმრათ არც კი მოლანდებიათ“.
(ი. მაჩაბლის თარგმანი).

29. ჰერცოგი მალბორო — ჯონ მალბორო (1650 — 1722), ინგლისელი მხედართმთავარი და დიპლომატი.

30. ლულოვი XIV — იხ. შენიშვ. 15.

31. მარია-ანტუანეტა — საფრანგეთის დედოფალი, ლუი XVI-ის მეუღლე (1755 — 1793). 1789 წ. რევოლუციის შემდეგ, შეეცადა გაქცევას, მაგრამ შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

32. ვალილეი — ვალილეო ვალილეი, ცნობილი იტალიელი სწავლული (1564 — 1642), მრავალი აღმოჩენის ავტორი ასტრონომიაში. ვალილეო იდასტურებდა და ავრცელებდა კოპერნიკის თეორიას მზის სისტემის შესახებ, რის გამოც სასტიკი ჯენა განიცადა ეკლესიის მხრივ.

ბიბლიოგრაფია*

ა. ზოგადი მსატკრული შემკვიდრება

ა. პოეზია:

1. სადღეგრძელო. თხზულება თავ. გრიგოლ ორბელიანისა. გამოცემული იე. კერესელიძისაგან. ტფილისი, 1871 [პირველად: ქ. „კრებული“, 1871, № 1, გვ. 1—38].
2. თავადის გრიგოლ ორბელიანის ლექსები. გამოცემა პეტრე უშიაკაშვილისა [„წინასიტყვაობა“ — პ. უ.].
3. თავადის გრ. ორბელიანის ლექსები. გამოცემა მეორე. გამოცემული ზაქ. კვიციანიძისაგან. ტფილისი, 1879 [გარეკანზე: 1880].
4. თავადის გრ. ორბელიანის ლექსები. მესამე გამოცემა. გამოც. ზ. კვიციანიძისაგან. თბ., 1884.
5. გრ. ორბელიანის რჩეული ლექსები სკოლებში და ოჯახში საზმარებელი. გამოც. წიგნის მალ. „ცოდნა“-სი. თბ., 1904.
6. ქართულ პოეტების ლექსები. „ზრომა“-ს გამოც. თბ., 1904.
7. გრიგოლ ორბელიანი. ლექსები. ვახტ. კოტეტიშვილის შენიშვნებით და კრიტიკული წერილით. „ქართული წიგნი“, ტფ., 1928.
8. გრიგოლ ორბელიანი. ლექსები. მიხ. ზანდუჯელის რედაქციით, შენიშვნებითა და კრიტიკული წერილით. სახელმწიფო გამომცემლობა, თბ. 1935.
9. გრიგოლ ორბელიანი. ლექსები (აკ. გაწერელის რედ.) თბ., 1940.
10. გრიგოლ ორბელიანი. ლირიკა, ეპოსი, თარგმანები. აკ. გაწერელის რედაქციითა და შენიშვნებით. „საბჭოთა მწერალი“, თბ. 1948.
11. გრ. ორბელიანი, პოეზია (ლირიკა, ეპოსი, თარგმანი). აკ. გაწერელის შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით. „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1951 (აკადემიური გამოცემა).
12. გრ. ორბელიანი. პოეზია და პროზა. ერთ ტომად (წინამდ. გამოც.)

* სია არაა სრული. შეყვეტილია მასალა შემდეგი რუბრიკებისა: B. G. და C

ბ. პ რ ო ზ ა

1. [ნაწყვეტი გრ. ორბელიანის დღიურისა „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამ დი“] (იხ. პ. ინგოროყვას წერილში „გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები“, ტურნ. „ქართული მწერლობა“, 1928, № 6—7, გვ. 247—250).

2. გრ. ორბელიანის მგზავრობა ჩემი... (პუბლიკაცია პ. ინგოროყვასი. „მნათობი“, 1940, № 2; დედანი: **Дело 1832 г., тетрадь XXI. ფურც. 4037/ა—4044/ა.**)

3. გრ. ორბელიანის უცნობი კონსპექტი „საქართველო ჩემის დროისა“. (პუბლიკაცია ს. ხუციშვილისა და ნ. ტატიშვილისა, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. „საქ. სახ. მუზეუმის შოამბე“, 1941, XI—B. დედანი: საქ. მუზეუმის ხელნაწ. II—2515).

4. [გრიგოლ ორბელიანის „ამბავი რიგის დოშპიტალში ნათქვამი“] (იხ. ჟ. ჭუმბურიძე — გრიგოლ ორბელიანის ზოგიერთი უცნობი ნაწარმოების შესახებ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945, № 14 (67). დედანი: სახ. მუზეუმის ხელნაწ. II—2517).

5. [იოჰან ჰერდერის პატარა პროზაული ნაწარმოები „სამნი მეგობარნი“ გრ. ორბელიანის თარგმანი]. (ს. ხუციშვილი — გრ. ორბელიანის თარგმანები. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945, № 21. დედანი: „1832 წ. საქმე“, რე. XXI).

6. გრ. ორბელიანის „დღიურის“ გამოუქვეყნებელი ნაწილი (ჟ. ჭუმბურიძის პუბლიკაცია შენიშვნებითა და წინასიტყვაობით. „მნათობი“, 1946, № 7).

7. [პროზაული ორიგინალური ნაწარმოებები: 1. „ან...დმი“, 2. „ზამთრისა ქარი გრიალებს...“ 3. „ნ. ე. მ.“ და 4. თარგმანი „აღლელორია“]. (იხ. ს. ხუციშვილი — გრიგოლ ორბელიანის პროზაული თხზულებები. „ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, ტ. II, 1947; დედნები: „1832 წ. საქმე“, რეეული XXI).

8. მოსკოვი [დღიურის ნაწილი]. (დოც. მ. გოცაძე: გრიგოლ ორბელიანის „მოსკოვის აღწერა“. „მნათობი“, 1956, № 3, ტექსტი: გვ. 172 — 180). დღიურას კიდევ ერთი ნაწილის „პეტერბურგის“ პუბლიკაცია ვ. შადურისა (იხ. „მნათობი“, 1957, № 6).

9. „ჩემი ჰაზრი ბატონყმობის საქმეზე“. (ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, გვ. 174 — 176. სოხუმი. 1956). სრული სახით პირველად ქვეყნდება ამ გამოცემაში.

10. [მოსკოვისა და პეტერბურგის პერიოდის (1831 — 1832 წ.წ.) დღიურები]. („1832 წ. საქმე“, რეეული XXI და საქ. არქივის № 171. ნაწყვეტები იხ. გრ. ორბელიანის „წერილები“ I ტომში, გვ. 218 — 220).

რიგიდან [1835 წ.] 25 ივლისის თარიღით). (იხ. ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები. ს. ფირცხალავას გამოცემა. ტფილისი, 1922, გვ. 242-243).

5. [გ. ორბელიანის წერილი ნ. ბარათაშვილის დედასთან. 1847 წ. 8 მარტის თარიღით, ჟუნგუთით]. (იქვე, 244-245).

6. გ. ორბელიანის წერილები. აკაკი გაწერელიას პუბლიკაცია შენიშვნებით („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, თბ., 1935, ტ. I, გვ. 596 — 614. პოლიანად შევიდა პოეტის „წერილები“-ს I და II ტტ.).

7. გრიგოლ ორბელიანის წერილები. ტ. I [1832—1859]. აკაკი გაწერელიას წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბ., 1936. რეცენზიები: გ. ნადირაძისა („კომუნისტი“, 1936, № 142), კონსტ. გამსახურდიასი („საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 7-8) და სხვ.

8. გრიგოლ ორბელიანი. წერილები. ტ. II. [1851 — 1859] აკაკი გაწერელიას რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1938. რეცენზიები: მკითხველის (გ. ნატროშვილის), იხ. „მნათობი“, 1938, № 8 და სხვ.

9. გრიგოლ ორბელიანის წერილი სალომე მიუტრატისადმი. აკ. გაწერელიას პუბლიკაცია (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938, № 16 (17). გამოტოვებულია შენიშვნები. შევა III ტომში).

10. გრიგოლ ორბელიანი სკოლის შესახებ. პუბლ. ს. ცაიშვილისა (გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი“, 1938, № 31 (453)).

11. გრიგოლ ორბელიანის წერილი ილია ქავექავეაძისადმი, 1879 წ., 25 ივნისის თარიღით) (იხ. ს. ხუციშვილი — ორი პოეტის ურთიერთობიდან— „ლიტერატურული საქართველო“, 1941, № 24 (183), 13 ივნისი).

12. გრიგოლ ორბელიანი. წერილები (პუბლიკ. ს. ცაიშვილისა. „ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები“, თბ. 1947, გვ. 297 — 344).

13. გრიგოლ ორბელიანი. წერილები. ტ. III. (1860 — 1883). (მზადდება).

პოეტის კერძო პარათებისა და პროზაული ეპისტოლეების დედანთა კოლექციების აღწერა იხ. „წერილები“-ს I ტომში, გვ. 310 — 313; აგრეთვე: „ლიტერატურის მატეანე“, 5.

გ. ორბელიანის წერილების ნაწყვეტები გაბნეულია სხვადასხვა მონოგრაფიებში (მაგ. ი. მეუნარგაას შრომაში), ცალკეულ სტატიებში (მაგ. იხ. გაზ. „წითელი არმიელის“ ლიტდამატება, 1932, № 2, 11 ივნისი) და სხვ.

3. თარგმანები პოეტის ნაწარებისა:

(რუსულ და უცხოურ ენებზე):

1. Тхоржевский Ф. Грузинские поэты в образцах. Тифлис, 1889 и 1897 (ტხორჯევსკის თარგმანები თავდაპირველად იბეჭდებოდა რუსულ პრესაში, მაგ. Новое обозрение-ში და სხვ.).

2. Реуло, Н. Из грузинских поэтов. 1914.

9. Орбелиანი, Григорий. Стихотворения. Издательство „Заря Востока“, Тбилиси, 1939.

4. Грузинские романтики. (А. Чавчавадзе, Н. Бараташвили, Г. Орбелиани, В. Орбелиани). В переводах русских поэтов под редакцией Н. С. Тихонова и Ю. Н. Тынянова. Ленинград, 1940 (გვ. X — XI: გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ; გვ. 65 — 128; თარგმანები: გვ. 233 — 239: შენიშვნები; აღ. ჰავკავადისა და ვახ. ორბელიანის ბიოგრაფიები და მათი ლექსების შენიშვნები კუთუნის ვ ლ ე ნ ე ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე ს).

5. Антология грузинской патриотической поэзии. Изд. „Заря Востока“, Тб., 1945 (გვ. 32—35: თარგმნი ერთი ლექსისა და ნაწყვეტისა პოემიდან).

6. Орбелиანი, Григорий. Стихотворения. Пер. Н. Заболоцкого. Изд. „Заря Востока“. Тб., 1947.

7. Заболоцкий, Н. Грузинская поэзия. Избр. переводы. Изд. „Заря Востока“, Тб., 1948. (გვ. 1:—45: თარგმ. 16 ლექსისა).

8. Орбелиანი, Григорий. Стихотворения. С грузинского перевел Н. Заболоцкий. Огиз, Москва—Ленинград, 1949. ვ. გ ო ლ ც ე ე ს წ ი ნ ა ს ი ტ - ვ ვ ა ო ბ ი თ დ ა შე ნ ი შ ე ნ ე ბ ი თ. თარგმნილია 44 ლექსი და „სადღეგ ძელო“.

9. Грузинская поэзия [антология]. Москва — Ленинград, 1949. (გვ. XVIII—XIX: გრ. ორბელიანის შესახებ; გვ. 225—243: თარგმანები).

10. Антология грузинской поэзии. М., 1958.

11. Leist, Arthur, Georgische Dichter. Dresden u. Leipzig, 1900 (გვ. 2—26; თარგმნილია 19 ლექსი გრ. ორბელიანისა). იხ. აგრეთვე ამ წიგნის პირველი გამოცემა. 1887.

12. Antology of Georgian Poetry. Translated by Venera Urushadze. Tbilisi, 1948. (გვ. 16: გრ. ორბელიანის შესახებ; გვ. 43—45: თარგმნილია „თა- შარის სახე ბეთანის ეკლესიაში“ და „გინდ მეძინოს...“). მეორე გამ. თბ., 1958.

პოეტის ბიოგრაფიის წყაროები

ა. ზოგადი:

1. Полный служебный список генерал от инфантерии, генерал-ад'ютанта князя Орбелиани. Составлен в дек. 1866 года (თვითონ გრ. ორბელიანის მიერ შედგენილი. იხ. „ზუგდიდის მუხ. შრომები“, 3 9—372).

2. Орбелиани, Гр. Дм. („Русский биографический словарь“).

3. Краткая биография военных, гражданских и др. деятелей („Кавк. Календарь на 1889 г.“).

4. [Эсадзе С.] Путеводитель по Кавказскому военно-историческому музею. Издание 4-е, Тиф., 1913, стр. 118—119. (არსებობს ამ წიგნის რამდენიმე გამოცემა).

37. გრ. ორბელიანი

5. Акты... т. т. VIII—XII (აქტივები წყარო პოეტის სამხ. ბიოგრაფიის შესასწავლად).

6. Берже, Ад. Алексей Петрович Ермолов („Русская Старина“, 1872, т. VI, стр. 455. ცერმოლოვის აზრი გრიგოლ ორბელიანის შესახებ).

7. Старожины [Туманов]. Словарь кавказских деятелей. Тиф., 1890, стр. 50. (ძოკლე ბიოგრაფია).

8. Зиссерман, А. Фельдмаршал Князь Александр Иванович Барятинский, т. т. I—III (1890...) (გაბნეული ცნობები პოეტის შესახებ).

9. Потто, В. Иван Давидович Лазарев. Тиф., 1900 (გაბნეული ცნობები პოეტის შესახებ).

ბ. 1843—1863

10. Окольников, Н. А. Перечень последних военных событий в Дагестане (1843 г.). „Военный сборник“, 1859, I—V (გრ. ორბელიანი დაღისტანში 1843 წ.).

11. Юров, А. 1843 год на Кавказе („Кавказский сборник“, 1882, т. VI, стр. 1—219).

12. Юров, А. 1844 год на Кавказе („Кавк. сб.“ 1863, т. VII, стр. 158—382. გენერ. ლიდერის ლაშქრობა აფუშაში (დაღისტანს) 1844 წელს და გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობა. იხ. გვ. 195).

13. Николай, А. П. Из воспоминаний о моей жизни. Салтинский поход в 1847 г. („Русский архив“, 1891, № 61).

14. Документы, касающиеся до похищения Хаджи-Муратом ханши Нох-Бико („Кавк. сборник“, т. XXXI, 1—49. გრ. ორბელიანის რაპორტები 1846 წლისა და სხვა მასალები.).

15. გ. ბ. (ბალსარაშეილი, გ.) მასალები ცხოვრების დასაწერად გარდაცვალებულის პოეტის თ-ის გრიგოლ დიმიტრის ძის ორბელიანისა. I. ავარიის განმგებლისა, შაიორის თავ. გრიგოლ ორბელიანისაგან მონაწილეობის მიღება ჰაჯი-მურადის საქმეში. II. მიღება მონაწილეობისა ავარიის განმგებლისა შაიორის თ. გრიგოლ ორბელიანისაგან შამილის უმცროსის შეილის ტყვეობიდან განთავისუფლებაში. III. აქუშის ომში დასწრება პოლკოვნიკის თ. გრიგოლ დიმიტრის ძის ორბელიანისა. IV. მეტულის ხანის ქერიის ნობიქასი ჰაჯი-მურადისაგან ტყვედ წაყვანა და პოლკოვნიკის თ. გრიგოლ ორბელიანისაგან ამ ტყვის და მისს შვილების დახსნაში მონაწილეობის მიღება. V. მოკმედებანი ლენერალ-ადიუტანტ თ. გრ. ორბელიანისა შემდეგ აჩანებისა ზაქათალას ლეკებისა 1863 წელსა („დროება“, 1883, № 77 და 79. გრ. ორბელიანი დაღისტანში 1843 და 1846 წ.წ. და ზაქათალაში 1863 წ.).

16. Волконский, Н. А. Трехлетие в Дагестане, 1847 год. Осада Гергебили и ваятие Салты („Кавк. сб.“ 1882, т. VI. იხ. გვ. 494; გრ. ორბელიანის შეტაკება წაიბ აბაქართან).

17. Волковский, Н. А. Трехлетие... 1848 год. Взятие Гергебля („К. Сб.“ 1833, т. VII).
18. Экспедиция 1850-го года на Лезгинской линии („Кавк., Сб.“ 1884, т. VII).
19. Солтан, В. Очерк военных действий в Дагестане в 1852 и 1853 годах („Кавк. Сб.“ 1888, т. IX).
20. Кавказ, 1854, № 1 (11 февраль) [მ. ს. ვორონოვის მაღლობა გრ. ორბელიანისადმი. იქვე: ნიკოლოზ 1-ის „Высочайшая грамота“ კასპიის მხარეთა მმართველობისათვის 1822-1823 წ.წ.]
21. [მ. ს. ვორონოვის ბრძანება კავკ. ჯარებისადმი 1854 წ.]. („Кавказ“ 1854. № 8 (8 თებ.); გრ. ორბელიანის დანიშვნა კასპიის მხარეთა ჯარების სარდალად).
22. Вести из Дагестана („Кавказ“, 1854, № 57. გრ. ორბელიანი სალათაუში 1854 წ. 8 ივლისს).
23. Солтан, В. Очерк военных действий в Дагестане в 1854 г. („Кавк. сборник“, 1887, т. IX).
24. Drancy Anna (M—me). Les princesses russes prisonnières au Caucase. Paris, 1857 (მეორე გამოც. P., 859. იგივე რუსულად: Пленницы Шамиля. Воспоминания г-жи Дрансе. Пер. Дзюбинского. Тиф. 1858. შეიცავს ცნობებს გრ. ორბელიანის შესახებ ლეკების მიერ კახეთიდან ქართველი ტყვე ქალების გატაცებასთან დაკავშირებით).
25. Вердеревский, Е. Плен у Шамиля (Спб., 1856. მეორე გამოც.: 1857, იგივე ინგლისურად Captivity of two Russian Princesses in the Caucasus... London, 1857. შეიცავს ცნობებს გრ. ორბელიანის მონაწილეობის შესახებ ტყვე ქალების გამოხსნის საქმეში 1854 წ.).
26. Солтан, В. Обзор военных событий в Дагестане в 1855-1856 годах („Кавк. сборник“, т. XII; ცნობები გრ. ორბელიანის სამხ. თვრეატიების შესახებ 1855-1856 წ.წ.).
27. Укрепление Ишкарты („Кавказ“, 1857, № 2. ცნობები გრ. ორბელიანს ს შესახებ 1856 წ.).
28. А в т ы... т. XII (გრ. ორბელიანის „სამხ. რამატიები“ 1856-1857 წწ.).
29. Солтан, В. Занятие Салатави в 1857 г. („Кавк. сб.“ 1884, т. VII. стр. 335-397. მასალა გრ. ორბელიანის შესახებ).
30. Военные известия („Кавказ“, 1857, № 80. გრ. ორბელიანი სალათაუში).
31. Л. Укрепление Буртупай [20 октября 1857 г.] „Кавказ“, 1857, № 91. ჯამბაზი კერძი გრ. ორბელიანთან სალათაუში. შდრ. А. Руновский, Записки о Шамиле, СПб., 1860 стр. 49-50 და გრ. ორბელიანი, წერილები ტ. II, გვ. გვ. 224, 362).
32. Костемеревский. Окончательное занятие Салатави войсками Прикаспийского края [1857 г.] („Кавказ“, 1859, № 1).

33. Из Каспийского края („Кавказ“, 1858, № 9).

34. Л... Последние пятнадцать дней Салатаевской экспедиции („Кавказ“, 1859, №№ 16—19. შდრ. „Русский инвалид“, 1858, №№ 56, 64, 65. მასალა გრ. ორბელიანის შეს.).

35. В. Еще несколько слов о Салатаеве („Кавказ“ 1858, № 21, გრ. ორბელიანის ბრძოლები სალათაუში).

36. Угрюнович, К. Г. Краткий обзор военных действий на Кавказе в 1857 г. („Русский вестник“, 1858, №№ 3, 4).

37. Экспедиция в Дидо 1857 года („Русский худ. листок“, 1858, № 32 სალათაუს აღება გრ. ორბელიანის მიერ).

38. [ბარიატინსკის მადლობა სალათაუს აღებისათვის]. „Кавказ“, 1858 და Солтан-ის წერილი Кавკ. сб., VII, стр. 393. შდრ. „წერილები“, ტ. II, გვ. 366).

39. Богуславский. История Апшеронского полка, т. II (ცნობები სალათაუს ექსპედიციის შესახებ).

40. Костоморелский, И. Вести из Дагестана („Кавказ“, 1858, № 1-აული ბურთენი. გრ. ორბ-ის რაზმის დაბრუნება თემირ-ხან-შურაში).

41. Гаджи-Али, Сказание... (Сборник сведений о кавказских горцах, 1873, т. VII, стр. 51: Поход князя Орбелиани на старый Буртунай, перевод с арабского; ქართ. თარგმანი: ჰაჯი-ალი, თავადის ორბელიანის გალაშქრება ძველ ბურტუნაისკენ ციხის ასაშენებლად. თარგმ. მოსე ჯანაშვილისა („დროება“, 1884, № 25, გვ. 3).

42. Фаддеев, Шестьдесят лет на Кавказе. Тифлис, 1860. (ებება სალათაუს ექსპედიციას 1857 წ.).

43. Чичагов, М. Н. Шамилъ на Кавказе и в России. СПб. 1869, стр. 84-85. სალათაუს ექსპედიცია 1857 წ. გრ. ორბელიანი).

44. Хроника Мухаммеда Тахира Ах-Карахи. Перевод с арабского А. М. Барабавова, предисловие асад. И. Ю. Крачковского. сб. Труды института востоковедения, XXXV, Москва—Ленинград, 1941, стр. 242; მოკლე ცნობა ბურთენიაში ციხე-სიმაგრის აგების შესახებ.

ტაჰირ ყარახელის ქრონიკის ამ გამოცემის ერთ-ერთი არაბული ვარიანტი, რომელიც თბილისიდან ლენინგრადში გადაეგზავნა აკად. ი. კრაჩკოვსკის, ჩვენ ეიპოვეთ ავილტაში (დალისტანს) 1935 წელს. გამოცემაში ეს ფაქტი აღნიშნული არაა.

45. Эсадзе, Штурм Гуниба... Тифлис, 1909, стр. 184-185 (ბურთენის აღება. სალათაუს ექსპედიცია 1857 წ.).

46. The Russian Conquest of the Caucasus by John I. Baddeley. New-York, Bombay and Calcutta, 1909 (I, part II: The Murid war. Chapter XXVII. 1857—1859; გვ. 458—482; ავტორი ებება 1857 წელს „თავად ორბელიანის“ მიერ ბურთენის აღებას, „სალათაუს-ექსპედიციის“ დროს).

47. Костемеренский. Вести из Дагестана („Кавказ“, 1858, № 26. გრ. ორბელიანის დანიშვნა თბილისში 1858 წ.; გამოთხოვება ჭართან თემირ-ხან-შურაში. საილი. გრ. ორბელიანის სიტყვა. შდრ. „წერილები“, ტ. II, გვ. 369).

48. **Кавказская летопись** („Кавказ“, 1869, № 41. გრ. ორბელიანი დროებით ასრულებს ბარიატინსკის მოვალეობას. „ბრძანება კავკასიის ჯარებისადმი“).

49. [გრ. ორბელიანის სიტყვა 1864 წ. თავადაზნაურობის მარშლის არჩევის გამო]. (იხ. ნ. ყიფიანის წერილში, „მოამბე“, 1894 № 4 და ა. ფურცელაძის მოგონებანი „Варяжская речь“, 1912, №132).

50. 1865 წ. აპრილის 19. — თბილისის გენერალ-გუბერნატორ გრ. ორბელიანის მოხსენება კავკასიის მეფისნაცულისადმი ქ. თბილისში ახალი გადასახადების შემოღების შესახებ, № 176 (იხ. ლეონ მელიქსეთ-მევი, საარქივო მასალები ამჟამათა 1865 წლის „გამოსვლის“ ისტორიისათვის. „სასისტორო მოამბე“, 1947, წიგნი 3, გვ. 7—9).

51. 1865 წ. აგვისტოს 8. გენერალ-ადიუტანტ თავ. ორბელიანის მოხსენება კავკასიის მეფისნაცვალ დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს, მისი რეკრუიტის ზალში გამოცხადების შესახებ, № 708 (იქვე, გვ. 38—39).

53. 1865 წ. სექტემბრის 4. — თავად ორბელიანისაგან თბილისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღმსრულებლისადმი, საამქროების უსტაბამების სიის, კრებების მოწვევისა და გადასახადების შეკრების შესახებ, — № 797 (იქვე, 57—58).

54. 1861 წ. ოქტომბრის 6. — თავ. ორბელიანის წინადადება 27 და 28 ივნისის არეულობის გამომწიებელ კომისიას, № 238 (იქვე, გვ. 71).

55. 1865 [წელი]. გრ. ორბელიანის შენიშვნები ამჟამათა გამოსვლის შესახებ. „გამოსვლის მონაწილეთა დასახელება, ეინაობა“. (იქვე, 143. დამატება. თხოვნები, რჩევები და წერილები გრ. ორბელიანისადმი მთავარბარათებისა და სხვებისა, იქვე, 1—4).

56. [ამჟამებს აკრეფა ტფილისში 1865 წ. 27-28 ივნისის დღეებში. ვა. ორბელიანის როლი აჯანყებულ ჯარებში]. (იხ. „Кавказ“, 1865, № 53 (ოფიც. კრება); № 63 (დიდი მთავრის მიხეილის რეკრუატი); № 64 (რეკრუიტის წაერთხვა აკლესიაში რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე).

56. **Рио Ноды** [Н. Николадзе]: **Июньские дни в Тифлисе**. („Колово“, 1885, № 204, стр. 1673—1676; თარგმანი: იენისის დღეებში ტფილისში მოხდენილი აჯანყებები. ტ. I, 1931).

58. სიტყვა ნეტარ-სენებულის ქ. ნ. მიხაილსკიმეთნის ძის კორნეიოვის სენებასაზე და. თქმული რუსულად, სადილზე 26 მარტს 1867 წ. დენერალ-ადიუტანტის თავადის გრიგორი დიმიტის ორბელიანის მიერ თარგმანი ზ. მ. ზეცვინიძისა („საქ. სასულიერო მხარობელი“, 1867, აპ. წიგნი იენისის, 252—262).

59. „25 და 26 მარტი ტფილისში“ [მ. ს. კორნეიოვის ძეგლის ღადგმა. სიტყვები: მეუის მოადგილის, ბარონ ნიკოლაის, გრიგოლ ორბელიანის, დიპლომატიკოსიანის, ვრეკლე გრუზინსკის]. („დროება“, 1867, № 14, გვ. 1-3).

60. ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის შეყრილობაზე ქანკის დამტყვევებელთა კრება. წესდების შემდგენელი კომიტეტის თავმჯდომარედ დ. ვაჟია-

ნის და საპატო პრეზიდენტად გრ. ორბელიანის არჩევა. თელავის მაზრიდან ი. ჯავახიძის არჩევა). („დროება“, 1867, № 20, გვ. 1-2).

61. ბერძენოვი, ნ. უმიკაშვილი, პ. წერეთელი, გ. ძველი წიგნების გამოცემაზე [მ. ბროსეს, ჩუბინაშვილის, მ. ს. ვორონოვის და პ. იოსელიანის ლეწლი ამ საქმეში. უქანასკნლად გრ. ორბელიანის ინიციატივით გამოცემლობის განახლება]. („დროება“, 1869, № 52, გვ. 1-2).

62. Офиц. летопись. Тифлис, 22-го сентября („Кавказ“, 1871, № 11; „უმადლესი რესკრიპტი“ გრ. ორბელიანის დაჯილდოებაზე ანდრია პირველწოდებულის ორდენით, თბილისში ჩამოსულ იმპერატორს ალექსანდრეს მიერ).

63. დღიური [თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ჩვეულებრივი კრების დამთავრება და მაღლობის გამოცხადება გრ. ორბელიანს ბანკის დახმარების გამო]. („დროება“, 1875, № 17, გვ. 1-2).

64. უკეცო. საზოგადო კრება. ტფილისის თავადაზნაურობა მარშლების ამორჩევა [გრ. ორბელიანის სიტყვა ბატონყმობის გამო]. („დროება“, 1876, № 48, 19 მაისი).

65. ტფილისი, 4-ს ოქტომბერს [პარაკლისი თბილისში მუხრან-ფაშას დამარცხების გამო რუსეთ-ოსმალეთის ომში 1877 წ. გრ. ორბელიანის მისალმება აშქრებისადმი]. („ივერია“, 1877, № 32).

66. მამათელი. „მოგვხსენებთ „დროების“ მკითხელებს“... [გრ. ორბელიანის თანდასწრებით ორბელიანთ ეკლესიაში მოსმენილი ქართული ვალობა მაქსიმე ჩხატარაშვილისა და პ. კარბელაშვილის მონაწილეობით]. („დროება“, 1878, № 180, გვ. 3).

67. მილიციონერების სადილი [თბილისის ბაღში. გრ. ორბელიანის სიტყვა]. („დროება“, 1878, № 193, გვ. 31).

68. დღი. [გრ. ორბელიანის ცხენი და მასზე მჭლომი ნინია ბაქრაძის მარცხი]. („დროება“, 1878, № 215, გვ. 1).

69. დღი. [საერთო შედეგები. დღის შოწონება. გრ. ორბელიანის ცხენის შეფასება]. („დროება“, 1878, № 216, გვ. 1).

70. ს. მ. [სურგვი მესხი]. სადილი ახლად შემოერთებულ ქართველებისათვის, თ. გრ. ორბელიანის სიტყვა... („დროება“, 1878, № 239, გვ. 1-3).

71. „წარსულს ბარასკევს“... [ქართულთა ორი ქვეითი დრუჟინის საპატივსაცემოდ გამართული სადილი თბილისის ალექსანდრეს ბაღში, გრ. ორბელიანის სიტყვა]. („ივერია“, 1878, № 38).

72. [ორბელიანი, გრიგოლ]. „ქართული ვაზეთით მოხსენებული გვენებათ“... [თხოვნა საზოგადოებისადმი საჩუქარი კომიტეტის მიერ „ევეზის ტყაონის“ ტექსტის შესწორებისათვის ხელნაწერების დროებით გაგზავნის შესახებ. ხელმოწერა: „თქვენი გულთადაი პატივის-მცემელი თავადი გრიგოლ ორბელიანი“]. („დროება“, 1880, № 266, გვ. 2).

73. ახალი ამბები [ქართული არქეოლოგიური ბიბლიოთეკისა და მუზეუმის წესდების განზრახვა დ. ბაქრაძის მიერ. დამწველ სომხეთის სოფლებს დახმარება გრ. ორბელიანისაგან...]. („დროება“, 1880, № 43, გვ. 1-2).

74. ახალი ამბები [სხეთაშორის — გრ. ორბელიანის მიერ ახალი პოემის დაწერა თამარ მეფეზე]. („დროება“, 1880, № 208, გვ. 3-4).
75. შეუწარგია, ი. ვეფხის-ტყაოსანი (პირველი სხდომა რედაქციისა 6 თებერვალს). [დამსწრე პირთა სია და სხდომის ანგარიში. თავმჯდომარე გრ. ორბელიანი, წამოთხვეული რაფ. ერისთავი]. („დროება“, 1881, № 31, გვ. 3-4).
76. ქალაქის ბანკეტი არბ. კრების წვერთა პატივსაცემად [ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვები. ხეოლსონის სიტყვისაგან ცუდი შთაბეჭდილება და განსაკუთრებით ამის აღნიშვნა გრ. ორბელიანის მიერ]. („დროება“, 1881, № 196, გვ. 1-2).
77. ადგილობრივი ამბები [გრ. ორბელიანის იუბილეს შესახებ და სხვ.]. („შრომა“, 1882, № 36, გვ. 3).
78. დღიური [გრ. ორბელიანის იუბილეს განზრახვა და სხვ.]. („დროება“, 1882, № 189, გვ. 1-2).
79. დღიური გრ. ორბელიანის მომავალი იუბილეს შესახებ („დროება“, 1882, № 192, გვ. 2-3).
80. დღიური [გრ. ორბელიანის მომავალი იუბილე და სხვ.]. („დროება“, 1882, № 195, გვ. 2).
81. დღიური [გრ. ორბელიანის იუბილეს შეს. და სხვ.]. („დროება“, 1882, № 196, გვ. 2-3).
82. გელოქანი, ქაიხოსრო გრიგოლ ორბელიანის იუბილეს გამო („დროება“, 1882, № 227, გვ. 1-2).
83. „Кавказ“, 1883, № 63 (18 марта) [ცნობა პირველ გვერდზე გრ. ორბელიანის ავადმყოფობის („ბუცლის ტიფი“) შესახებ].
84. ადგილობრივი ამბები [გრ. ორბელიანის შემკვიდრების გამო]. („დროება“, 1883, № 16, გვ. 1-2).
85. დღიური [გრ. ორბელიანის ავადმყოფობა]. („დროება“, 1883, № 39, გვ. 2).
86. დღიური [გრ. ორბელიანის ავადმყოფობა და სხვ.]. („დროება“, 1883, № 59, გვ. 2).
87. Хроника („Кавказ“, 1883, № 66) 22 марта (ცნობა გრ. ორბელიანის გარდაცვალებაზე 21 მარტს, ნაშუადღევს 4 საათსა და 35 წ. შემდეგ მიპყვება ორ სვეტიანი ნეკროლოგი).
88. „ორშაბათს, 21 მარტს, ნაშუადღევს 4 საათ. და 35 წამ. გარდაიცვალა თ. გრიგოლ ორბელიანი [მიყვება ტექსტი — სამგლოვიარო განცხადება გრ. ორბელიანის გარდ. შესახებ]. („დროება“, 1883, № 61 (22 მარტი). გაზეთის ფურცლის პირველი გვერდი (და მეორე გვერდის ნაწილი) უპირაგს ი. შეუწარგიას წერილს „გრიგოლ ორბელიანის სიკვდილი“. მეორე გვერდზე დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა — დღიური).
89. „გუშინწონ, ორშაბათს, 21 მარტს, ნაშუადღევს 4 საათ. და 35 წ. გარდაიცვალა თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი“ („შრომა“, 1883, № 12, გვ. 1).
90. Хроника („Кавказ“, 1883, № 67, 23 марта). [დიდი შთავრის მიხედვით

დებეშა — სამხიმარი გენ. ლ. მელიქიშვილისადმი გრ. ორბელიანის გარდ. გამო, წინასწარი ზომები დასაფლავების ცერემონიალთან დაკავშირებით. იგივე: „ღრობა“, 1883, № 62 (23 მარტი), „დღიური“.

91. **Кавказ, 1883 № 68 (24 марта) და № 69 (25 марта)** (თ. გიორგი ილიას ძე ორბელიანის სამგლოვიარო განცხადება პოეტის გარდ. და პანაშვილის შესახებ. იგივე: „ღრობა“, 1883, № 62 (23 მარტი) და № 64 (25 მარტი) დაკრძალვის შესახებ და დებეშების მიმოხილვა. „ღრობა“, 1883, № 63).

92. **Кавказ, 1883, № 69 (25 марта)**. (იმპერატორ ალექსანდრეს სამხიმარო გრ. ორბელიანის ოჯახისადმი, გენ. ლევან მელიქიშვილისთვის გამოგზავნილ. იქვე: **Хроника** (დებეშების მიმოხილვა). შდრ. „ღრობა“, 1883, № 64 (25 მარტი), გვ. 4).

93. **Хроника. Похороны генерал-адъютанта князя Григория Дмитриевича Орбелиани („Кавказ“, 1883, №70 (27 марта) 1 და 2 გვ.** შდრ. [ი. შეუნარგია] — თ. გრიგოლ ორბელიანის დასაფლავება. გვირგვინები და ბალიშები. ი. ჭაქვიანი და სხვ. სიტყვები. გაზ. „ღრობა“, 1883, № 65 (27 მარტი), გვ. 2-3; აგრეთვე დებეშებისა და პანაშვილების მიმოხილვა. „ღრობა“, 1883, № 68 (1 აპრილი), № 69 (5 აპრილი), № 70 (6 აპრილი). შდრ. „შრომა“, 1883, № 13, გვ. 1-2).

94. სოსლანი, დაეთთ [კეზელი]. პოეტის სახელს... (გრ. ორბელიანის გარდაცვალების გამო). („ღრობა“, 1883, № 65, გვ. 3-4).

95. ი. ჭაქვიანის სიტყვა [გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე]. („ღრობა“, 1883, № 65, გვ. 3).

96. ნ. დ. ყიფიანის სიტყვა [გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე]. („ღრობა“, 1883, № 66, გვ. 1-2).

97. აკაის სიტყვა [გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე]. („ღრობა“, 1883, № 66, გვ. 2-3; გაზ. „შრომა“, 1883, № 14, გვ. 2-3).

98. ჭიჭინაძე. ზაქარია. „1880 წ. მე გამოვეცი თ. გრ. ორბელიანის ლექსები... ამ ლექსების შესწორება ავტორის მიერ და პორტრეტის შეტანვა ახალი გამოცემისათვის“. („ღრობა“, 1883, № 65, გვ. 4).

99. დღიური [გრ. ორბელიანის გარდაცვალების გამო მიღებული დებეშები და სხვ.]. („ღრობა“, 1883, № 66, გვ. 1-3).

100. დღიური [ზარკოვის და ოდესის ქართველ სტუდენტების დებეშები გრ. ორბელიანის გარდაცვალების გამო. გრ. ორბელიანის პანაშვიდი ხონის სემინარიამდე]. („ღრობა“, 1883, № 68, გვ. 1-2).

101. „ოცდაერთს მარტს გარდაიცვალა... პოეტი გრიგოლ ორბელიანი“ [ნეკროლოგი]. („მედი“, 1883, № 2).

102. ნეკროლოგი. თავად გრიგოლ დემიტრის ძე ორბელიანი („ივერია“, № III, გვ. 138-140).

103. დღიური „სიტყვა არქიმანდრიტის გრიგორისა, წარმოთქმული 26 მარტს ანჩისხატის სმოროში, თ. გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებაზედ“ (გვ. 1-2) და „სიტყვა მღვ. დ. ჯანაშვილისა“ (გვ. 2-3) („ღრობა“, 1883, № 67 (30 მარტი). არქიმანდრიტის სიტყვა იხ. აგრეთვე: გაზ. „შრომა“, 1883, № 14, გვ. 2).

104. სიტყვა მაღალ ყოვლად სამღვდელოს საქართველოს ეგზარხოსის პავლესა, წარმოთქმული თავად გრიგოლ ორბელიანის წირვის ეპოს ანნისხატის ეკლესიაში 26 მარტს, დასაფლავების დღეს. („დროება“, 1883, № 69, გვ. 2-3. იმავე გაზეთში — წერილი-კორესპონდენცია გრ. ორბელიანის გარდაცვალებაზე და პანაშვილების გადახდის შესახებ „დროებითი პეტერბურღელისა“ და სხე.).

105. გ. ბ. [ბაღსარაშვილი, გ.]. თ.-ხ.-შ უ რ ა 2 2 მ ა რ ტ ს (პანაშვიდი გრ. ორბელიანის გარდაც. გამო). („დროება“, 1883, № 69, გვ. 2).

106. დ დ ი უ რ ი [ტურიაშვილის დებეშა დი ახალსენაკის მასწავლებელთა წერილი გრ. ორბელიანის გარდაცვალების გამო]. („დროება“, 1883, № 69, გვ. 1-2).

107. „ხ ა შ უ რ ი დ ა მ შ ი ე ლ ე თ პ ე ტ რ ე ც ი მ ა ე უ რ ი ძ ის ა ვ ა ნ შ ე მ დ ე გ ი წ ე რ ი ლ ი ...“ [გრ. ორბელიანის გარდაცვალების გამო. ალექსანდრე ნათაძის სიტყვა პანაშვილებაზე]. („დროება“, 1883, № 70, გვ. 1).

108. მ. ს. უ რ ი ა თ უ ბ ა ნ ი, 30 მ ა რ ტ ი [გრ. ორბელიანის პანაშვიდი]. („დროება“, 1883, № 72, გვ. 2).

109. თ ა ე . გ რ ი გ ო ლ დ ი მ ი ტ რ ი ს ძ ე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი [ნეკროლოგი]. („დროება“, 1883, № 13, გვ. 1).

110. „შ კ ი თ ხ ე ე ლ ე ბ მ ა ი ც ი ა ნ , რ ო მ გ ა ნ ს ე ე ნ ე ბ უ ლ ის თ ა ე . გ რ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ის გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა მ ძ ა ლ ი ა ნ შ ე ა წ უ ბ ა ყ ვ ე ლ ა ნ ი ...“ [აგრეთვე ქუთაისის საზოგადოებაც]. („დროება“, 1883, № 14, გვ. 1).

111. მ გ ზ ა ე რ ი . ა ხ ა ლ ი ც ი მ დ ა მ [პანაშვიდი გრ. ორბელიანის გარდაცვალების გამო... გრ. ორბელიანის ღვაწლი და სხე.]. („დროება“, 1883, № 72, გვ. 1-2).

112. ს ო ს ლ ა ნ ი , დ ა ე ი თ [ქეზელი]. ს ა კ ე რ ი ა ო მ ა ს ლ ა ა თ ი . კ ი ს რ უ ლ ი („დროება“, 1883, № 74 (10 აპრილი), გვ. 1-3); [ფიქრები გრ. ორბელიანის გარდაცვალებისა და მისი დაკრძალვის გარშემო].

113. დ დ ი უ რ ი („დროება“, 1883, № 75 (12 აპრილი). წერილი ქ ა ი ხ ო ს - რ ო გ ე ლ ო ე ა ნ ის ა პ ო ე ტ ის გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა ზ ე .

114. „დ რ ო ბ ე ი ს“ კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ც ი ა („დროება“, 1883, № 81 (24 აპრილი), გვ. 3-4); „ეინშე მესხი“ (ივანე გვარამაძე) კორესპონდენციაში — „ხიზე ზაყრა, 10 აპრილს“ — ეხება ორბელიანთა ვენეალოგიან პოეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ლიბარტ ორბელიანს და სხე.).

115. ს უ მ ბ ა თ ო ვ ი , დ ა ე ი თ . „უ მ ო რ ჩ ი ლ ე ს ა დ ე ს თ ო ვ ე თ ...“ [თბილისის გუბ. თავადბუნაურთა კრება გრ. ორბელიანის სახელის უკვდავსაყოფად]. („დროება“, 1883, № 81, გვ. 1).

116. დ დ ი უ რ ი („დროება“, 1883, № 82, (26 აპრილი), გვ. 2. ეხება გრ. ორბელიანის სახელის უკვდავყოფისათვის მისაღებ ზომებს).

117. [გიორგი ილიას ძე ორბელიანის განცხადება გარდაცვალებულის პანაშვიდის შესახებ]. („დროება“, 1883, № 83, (27 აპრ.) და 84 (28 აპრ.) იგივე: **Кав-кас**, 1883, № 94, (27 აპრ.) და № 95 (28 აპრ.).

118. დ დ ი უ რ ი [გრ. ორბელიანის ძეგლის ასაგებად ფულის შეკრების ნებართვა და სხე.]. („დროება“, 1883, № 84, გვ. 1-2).

119. დ დ ი უ რ ი („დროება“, 1883, (28 აპრ.). გრ. ორბელიანისათვის ძეგლის ასაგებად ფულის შეგროვება).

120. შინაური ქრონიკა. [თავადაზნაურთა კრების გადაწყვეტილება გრ. ორბელიანის ძეგლის ასაგებად და სხვ.]. („ღროება“, 1883, № 204, გვ. 1-3).
121. კახელი, ი. [ცისკარიშვილი]. „თქვენი პატივცემული ვაზუთის...“ [გრ. ორბელიანის ძეგლის აგების საკითხი და სხვ.]. („ღროება“, 1883, № 242, გვ. 2-3).
122. [ნანეიშვილი, ალ.]. რა ძეგლი აუფგოთ გრიგოლ ორბელიანს? („ღროება“, 1883, № 252, გვ. 1).
123. 1883-ე წელიწადი. თბილისი, 1 იანვრის 1884 წ. [1883 წელში გრ. ორბელიანის და ს. მესხის გარდაცვალება და სხვ.]. („ღროება“, 1884, № 1, გვ. 1).
124. შინაური ქრონიკა [ფოტოგრაფი რიონიშვილის შემოწირულება გრ. ორბელიანის ძეგლის ასაგებად]. („ღროება“, 1884, № 4, გვ. 1).
125. თბილისის ქალაქის გამგეობაშე... [ხელის მოწერა გრ. ორბელიანის ძეგლის აგებისათვის ფულის შესაგროვებლად]. („ღროება“, 1885, 150, გვ. 3-4).

პოეტური მიძღვნები.

- ბარათაშვილი, ნიკოლოზ. ძია გრიგოლის თან [ლექსი]. 1836 წ. („ივერია“, 1882, № 4-5. შდრ. პოეტის თხზულებათა აკადემიურ გამოცემებში).
- კერესელიძე, ივ. კნიაზ გრიგორი დიმიტრის ძეს ორბელიანს [ლექსი] („ცისკარი“, 1858, № 5).
- ზაალთაძე, ზაალ. თავადის გრიგოლ დიმიტრის ძის ორბელიანისადმი [ლექსი]. („ცისკარი“, 1861 № 3).
- ერისთავი, რევაზ შალვას ძე. მის ბრწყინვალეებას გრიგოლ დიმიტრის ძეს თავად ორბელიანს [ლექსი]. („ცისკარი“, 1864, № 2).
- სამუქაფოდ [გრ. ორბელიანს, პ. იოსელიანს და სხვა შერლებს]. („ღროება“, 1874, № 431 და № 432).
- გლეხი. [ი. დავითაშვილი]... „საქართველოზედ მდიდარი...“ [ლექსი სხვათაშორის მოხსენებულია გრ. ორბელიანიც]. („ღროება“, 1880, № 143, გვ. 1-3).
- აკაკი [წერეთელი]. სადამო. ეუძღენი თ. გრ. დ. ორბელიანს [ლექსი]. („ღროება“, 1882, № 62, გვ. 1).
- გ. თ. [ორბელიანი, ვახტანგ]. თავადის გრიგოლ ზურაბის ძის ჯამბაკურ-ორბელიანის გარდაცვალებაზედ. [ლექსი]. („ღროება“, 1883, № 65 (27 აპრილი), გვ. 1 (შდრ. მისი ლექსების კრებულებში).
- უაგარელი, ა. დიდებულის პოეტის აჩრდილს [ლექსი]. („ღროება“, 1883, № 65 (27 აპრილი)).
- კერესელიძე, ივ. თავადის გრ. ორბელიანის გარდაცვალებაზედ [ლექსი]. („ღროება“, 1883, № 65, გვ. 1).

11. სილოვან. გრ. ორბელიანის გარდაცვალებაზე [ლექსი]. („დროება“, 1883, № 72, გვ. 1).

12. გრემელი, დიმ. პოეტის გარდაცვალებაზე [ლექსი]. („დროება“, 1883, № 79 (22 აპრილი)).

С. კრიტიკულ-ბიოგრაფიული ლიტერატურა.

ა. ძირითად მნახვ:

1. [გრ. ორბელიანის თაოსნობაზე ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეში] („მნათობი“, 1869, ნოვმ.-დეკემბ.).

2. ბიბ. — ბიძია დონიკე. („ციცქარი“, 1871, № 2, გვ. 113-132. რეცენზია წიგნზე: „სადღეგრძელო. თქმული ლექსად თ. გრ. ორბელიანისაგან... გამოცემული ივ. კერესელიძისაგან. 1871, ქ. ტფ.“). იგივე: ს. ზუციშვილი, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის. ქრესტომატია. ტ. 11, 1956, გვ. 114-120.

3. დიმიტრიძე, ნიკ. [ბიბლიოგრაფია]. („დროება“, 1871, № 9 (27 თებერვალი). დადებითად განხილულია „ქრებულში“ (1871, № 1 და 2) დაბეჭდილი „სადღეგრძელო“. იგივე: ქართული ლიტ. კრიტიკის ისტორიისათვის. ქრესტ. II, გვ. 121.

4. შავჭავჭავაძე, ილია. „გამოცანა“ [„მოხუცია იგი ჯმუხი“...], 1871 წ. 7 დეკ. (სატირული ლექსი) (იხ. პოეტის თხზულ. აკადემიურ გამოცემებში).

5. წერეთელი, აკაკი. ახმედ-ფაშა კახაბერი [ალეგორიულ ხასიათის პამფლეტი]. („დროება“, 1872, № 29).

6. წერეთელი, აკაკი. 1. „ხარაბუზად ეწოდება“ (ზეპირი ვარიანტი პოეტის სატირული ლექსისა. ი. გრიშაშვილის პუბლიკ., „ლიტერატურული გაზეთი“, 1935, № 5); 2. „კოდო-ბუზების პასუხი“; 3. „პატრიოტის აღსარება“ და სხვ. სატირული ლექსები. იხ. პოეტის თხზულ. აკად. გამოცემებში).

7. წერეთელი, აკაკი. გრიგოლ ორბელიანი (პოეტის გარდაცვალების შემდეგ დაწერილი პორტრეტი. იხ. აკაკის თხზ. აკადემიურ გამოცემებში).

8. ხკანდელი, ნ. [ნიკოლაძე]. ჩვენნი მწერლოზა („ქრებულში“, 1873, № 3, გვ. 145-202. რეცენზია ბ. უმიკაშვილის მიერ 1871 წ. გამოცემულ გრ. ორბელიანის „ლექსების“ შესახებ. იგივე: ქართ. ლიტ. კრიტიკის ისტორიისათვის. ქრესტომატია, 1956, გვ. 204-221; ნ. ნიკოლაძის სხვა შენიშვნები გაფანტულია პუბლიცისტის სხვა ნაწერებშიაც).

9. სკანდელი, ნ. [ნიკოლაძე], „ჩანდაბა“ („დროება“, 1873; პართიული ფელეტონი, რომელშიაც აღწერილია: „წლოური სხდომა ქართულის მწერლობის მოყვარულთა“. გრ. ორბელიანი გამოყვანილია „მოხუცი თაემჭლომარის“ სახით).

10. „ამას წინეთ ჩვენ ვაცნობთ“... [გრ. ორბელიანის ლექსები გასაღება და მეორედ გამოცემის საჭიროება]. („დროება“, 1878, № 138, გვ. 1)

11. [თუ მანიშვილი, გ. მ.]. შარშანდელი მწერლობის გადავალაქება [სხვათა შორის „მუშა ბოქულის“ განხილვა]. („ალმანახი“. 1878, წიგნი 1).

12. ეურცელაძე, ანტონ. აკაკი წერეთელი. [სხვათა შორის გრ. ორბელიანისა და ი. ჰევეიხის ლაშლის შეფასება]. („დროება“, 1879, № 246, გვ. 3-4; № 249, გვ. 2-3).

13. რიონიხონი. რუსთაველის პირით თანამედროვენი [გრ. ორბელიანს და სხვა მწერლებს]. („დროება“, 1881, № 173, გვ. 1-2).

14. ვითომ ოსუნჯი. ერთი ჩემი მეგობრისაგან მომივიდა წერილი... [ქართულ მოღვაწეთა ინიციალებზე გამოთქმული სიტყვები. მათ შორის: გრ. ორბელიანი და სხვები]. („დროება“, 1882, № 242, გვ. 2; № 255, გვ. 3).

15. ხუნდაძე, სილოვან. ისტორიული კილო გრ. ორბელიანის ლექსებში (პოეტის იუბილეს გამო). („ივერია“, 1882, № 12. იგივე: ქართ. ლიტ. კრიტიკის ისტორიისათვის. ქრესტომათია, II, 1956, გვ. 494-507).

16. ჰაყვავაძე, ილია. შინაური მიმოხილვა („ივერია“, 1883, № 5. [გრ. ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი]. (იხ. პოეტის თხ. აკადემიურ გამოცემებში).

17. ივერის „ნარკვევის“ გამორკვევა [კამათი გრ. ორბელიანის „სამოღვაწის“ ლექსების გარშემო]. („თეატრი“, 1883, № 33).

18. იოსელიანი, ეგ. ქართული ლიტერატურა (წერილი პარველი). კრიგოლ ორბელიანი [მისი ლიტერ. და საზოგ. მოღვაწეობის შეფასება]. („ივერია“, 1883, № 2 იგივე: ქართ. ლიტ. კრიტიკის ისტორიისათვის, II, 511-519).

19. მენუნარგია, ი. გრიგოლ ორბელიანის სიკედილი. („დროება“, 1883, № 61).

20. ტრევენზია გრ. ორბელიანის ლექსების შესახებ. კვიზნაძისეულ გამოცემას. („დროება“, 1884, № 49, გვ. 2).

21. ტრევენზია წიგნზე: „ქართული კალენდარი“ 1884 წ. გამოც. ზ. შთაშინდელიდან. ავტორი: ა. ნანეიშვილი [წახება ს. მესხისა და გრ. ორბელიანის ბიოგრაფიებს]. („დროება“, 1884, № 24).

22. ზ. გედევანოეს გიბსისაგან შეუდგენია გრ. ორბელიანის მოღვაწეობის. („თეატრი“, 1885, № 16. გრ. ორბელიანის ცნობილი პორტრეტის ავტორია ავრეთეე გ. გაბაშვილი).

23. შინაური ქრონიკა [ი. მენუნარგიას მიერ გრ. ორბელიანის ქალღმრთ. ბარათაშვილის წერილების პოვნა და სხვ.]. („დროება“, 1885, № 114, გვ. 1-2).

24. სამ დღეებში ჩვენა ენახეთ... [გრ. ორბელიანის ნაქონი ვაზ. „დროებას“ ძველი ნომრები პოეტის შენიშვნებით]. („დროება“, 1885, № 117, გვ. 1).

25. ორი წერილი ნიკ. ბარათაშვილისა [მიწერილი გრ. ორბელიანისადმი]. („დროება“, 1885, № 206, გვ. 1-3) .

26. სურათები ჩვენი პოეტებისა და მწერლებისა („თეატრი“, 1886, № 4).

27. გრიგოლ ჯამბაყურ-ორბელიანი [პორტრეტი]. („თეატრი“, 1886, № 2).

28. მოაწმინდელი, ზ. [კიკინაძე]. ბესიკი — თ. ალექსანდრე ქაეჯავაძე და თ. გრიგოლ ორბელიანი. თბილისი, 1886.

29. მოკლე ბიოგრაფიები ქართველ მოღვაწეთა. („საქართველო“, 1882).

30. უპიკაშვილი, [პ]. ნ. ბარათაშვილის გვამის გადმოტანა და თ. ლევან მელიქიშვილის წერილი პოეტზე [გრ. ორბელიანის]. („კვალი“, 1893, № 3, გვ. 7-10).

31. ზ. კ. პლატონ იოსელიანი. ტფილისი, 1893.

32. ზამბარის დროშა გაშალეს... [გრ. ორბელიანისა]. მუსიკა მელიქონ ბალანაშვილისა („საქ. კალენდარი“, 1896).

33. ხაშიძე, კიტა. ეტიუდები ქართული ლიტერატურისათვის. გრიგოლ ორბელიანი. 180: — 1883. („მოამბე“, 1898, № 5, გვ. 1-2, გვ. 40-69; ნახე მისავე „ეტიუდებში“).

34. ვ. შ. წერეთელი, ვასილ. კრიტიკული წერილები. I. ხელოვნური ლიტერატურა, II. სამი პოეტი: გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი („აკაკის კრებული“, 1899, № 5, განყ. II, გვ. 33-63).

35. მესხი, სერ. ნაწერები. თბილისი, 1903.

36. დიპტაქტი. ჩვენი მწერლები და მწერლობა [ნ. ბარათაშვილი, ვ. ერისთავი, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი]. („მოგზაური“, 1904, № 7-8).

37. მეფენარგია, იონა. ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა („მოამბე“, 1904, № № 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 12, 1905, № 2, 3; ცალკე გამოცემა: თბ., 1905, იგივე წიგნში: „ქართველი მწერლები“... 1941).

38. თბილისის ამბოხება ანუ დიდი ბუნტი 1865 წ., პოეტი ორბელიანი და ნიკ. ჭავჭავაძე. ზ. კიკინაძისა. თბილისი, 1906. 32 გვ.

39. ხაშიძე, კიტა. ეტიუდები... I ნაწილი. ქუთაისი, 1912.

40. ხაზანაშვილი, ალ. ქართული სიტყვიერების ისტორია (ეტიკანტიკა საუკუნე). გამოც. მეორე, ტფილისი, 1917, გვ. 24-32 (ა. ხაზანაშვილი გრ. ორბელიანს ეხება აგრეთვე ეურნ. „ნაკადულში“ 1910, № 10).

41. ხომლელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო. თბილისი, 1920.

42. ნიკ. ბარათაშვილის წერილები გრ. ორბელიანთან (იხ. ნიკ. ბარათაშვილის თხზულ. აკადემიურ გამოცემებში: თბილ., 1922, 1939 და 1945 წწ.).

43. ჩანდუკელი, მიხ. გრიგოლ ორბელიანის გამორჩევი

ნებელი ლექსები („მნათობი“, 1926, № 7, გვ. 47-64. პუბლიკაცია ლექსებისა „გზის გუშაგად“... „გაზაფხულო“, „მარგალიტ ცრემლთა“... „ალბომში“ და „ტოლუბაში“. ამავე წერილში გრ. ორბელიანისადმი მიკუთვნიებული აკაკის ლექსი „ქართველი ძეგლის წინ“ და ს. რაზმავის „დათვი და ცხვარი“. შდრ. „ქართული მწერლობა“, 1928, № 6-7, გვ. 241).

44. ზანდუჯელი მიხ. გრიგოლ ორბელიანი და მისი შემოქმედება („მნათობი“ 1926, № 8-9).

45. ზანდუჯელი, მიხ. ქართული რომანტიზმი („მნათობი“, 1927, № 6).

46. ანთოლოგია. ტ. III. (XIX საუკ. პირველი ნახევარი). ია ვკლადის გამოცემა. თბილისი, 1928.

47. ინგოროყვა, პავლე. გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები („ქართული მწერლობა“, 1928, X 6-7, 228-267).

48. ყიფიანი, დიმ. მემუარები. ს. ხუნდაძის რედაქციით. თბ., 1930, Записки Дмитрия Ивановича Книшани. Русская старина“, 1888, т. 49, ст. 517-539. ქართული თარგმანის გვ. 97, 133-134 და სხვ.

49. ზანდუჯელი, მიხ. ახალი ლიტერატურა, ნაწ. I, თბ., 1932. (არსებობს რამდ. გამოცე.)

50. გოზალიშვილი, გ. 1832 წლის შეთქმულება. თბ., 1932.

51. გაჭერელია, აკაკი. პლატონ იოსელიანი („მნათობი“, 1933, № 6-7, შდრ. მისივე „ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“, თბ., 1938 და „ლიტერ. ნარკვევები“, თბ., 1947. განხილულია პ. იოს-ისა და გრ. ო-ის ლიტერატურული ურთიერთობანი).

52. ხუნდაძე, სიმ. პოეტი-სარდალი. პოეტის პოეზიის (სალიტ. გაზეთი“, 1933, № 10. შევიდა მისსავე წიგნში „ნარკვევები“, 1941).

53. გრიშაშვილი, ი. გრიგოლ ორბელიანის დახადების თარიღი („ლიტერ. გაზეთი“, 1934. მისივე წიგნში: „ლიტერატურული ნარკვევები“, 1952, გვ. 114-116).

54. მინსვეტაშვილი, აკაკი. მოგონებანი: ნახული და გაგონილი. ლ. ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენაშენებით. თბილისი, 1936 (გვ. 14-15 და გვ. 126-130).

55. ხოსელიანი, პლატონ. ცხოვრება გიორგი მცკამეტისა. აკაკი გაჭერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენაშენებით. თბ., 1936.

56. ნადირაძე, გიორგი. პოეტი და ადამიანი. ნიკოლოზ ბარათაშვილი. თბილისი, 1938.

57. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის ახალი მასალები („მნათობი“, 1938, № 12. ილია ორბელიანის, ეფემია და შელიტონ ბარათაშვილებისა და ლევან მელიქიშვილის წერილები გრ. ორბელიანთან).

58. ქიქოძე, გერონტი. რომანტიკოსების თეობა (იხ. მისი „ლიტერატურული ნარკვევები“, 1938, გვ. 65-73).

59. გაწერელია, აკ. ნატროშვილი, გ. ქეკელიძე, ბ. მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის კრესტომათია. თბილისი, 1939 (შდრ. 1940, 1941, 1944, 1948, 1949 და 1950 წ.წ. გამოცემები).

60. ლიტერატურის შატინე, № 1-2; თბ., 1940.

61. მეუნარგია, იონა. ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა (დაუბეჭდავი თავები). პუბლიკაცია ს. ცაიშვილისა („ლიტერატურის შატინე“, 1940, № 1-2, გვ. 295-341 თავები XXII-XXVII).

62. ასათიანი, ლევან. ცხოვრება აკაკი წერეთლისა. თბილისი, 1940 (გვ. გვ. 200, 219, 256-264).

63. ჰავჭავაძე, ალექსანდრე. თხულებანი. ი. გრიშაშვილის წინათქმით, შენიშვნებით და რედაქციით, თბ., 1940.

64. შახარაძე, ა. გრიგოლ ორბელიანი. თბ., 1944.

65. ქილაია, სერგი. გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული ურთიერთობისათვის („მნათობი“, 1944, № 3. აგრეთვე მისივე წიგნში: „ლიტერატურული წერილები“, თბილისი, 1946, გვ. 3-27).

66. გაწერელია, აკ. გრიგოლ ორბელიანი [ბროშურა]. თბ., 1945.

67. რედ[აქცია]. გრიგოლ ორბელიანის უცნობი პორტრეტი (გზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946, № 3 (99)).

68. რადიანი, შ. ნიკ. ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი. თბ., 1946.

69. ასათიანი, ლევან. გრიგოლ ორბელიანი. მონოგრაფია. თბ., 1947.

70. ქიქოძე, გერონტი. ქართული ლიტერატურის ისტორია XIX საუკ. თბ., 1947.

71. რადიანი, შ. ლიტერატურული შემკვიდრეობა, წიგნი I, თბ., 1947.

72. ნატროშვილი, გიორგი. გრიგოლ ორბელიანი (მის წიგნში „ლიტერატურული ეტიუდები“, თბ., 1947, გვ. 126-146).

73. გაწერელია, აკ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. მონოგრაფია, თბ., 1947.

74. გაწერელია, აკ. ლიტერატურული ცნობებში სგზ. „საბჭოთა მსწავლებელი“, 1949, № 40 (1048). გ. ორბელიანი — მკითხველა ნაადისა და ვაგიფის ლექსთა რუსული თარგმანებისა. ეხება აგრეთვე ალ. ჰავჭავაძის მიერ საადისა და ჰაფიზის ლექსების ქართულად თარგმნის საკითხებს). შდრ. მისივე ლიტერატურული წერილები. თბ., 1954.

75. რადიანი, შ. ახალი ქართული ლიტერატურა. თბ., წიგნი I, 1949.

76. მკირეთეატრი და გრ. ორბელიანი („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, № 93 (288)). წერილი წარმოადგენს გრ. ორბელიანის „წერილებ-

- ბის“) ტომში გამოქვეყნებული პოეტის „დღიურის“ ნაწყვეტების თაემოყრას წყაროს დაუსახებლად. შდრ. „წერილები“, ტ. I, გვ. გვ. 218-219).
77. გვარსამია, სერგო. გიორგი ერისთავის თეატრი. თბ., 1950.
78. გვარჯელია, აკაკი. გრიგოლ ორბელიანი. თბ., 1950, სპ. ქარ. სსრ პოლიტიური და მეცნიერული ცოდნის გამაერცელებელი საზოგადოები. გამოცემა (ნაწყვეტი ამ ბროშურიდან სათაურით „გრ. ორბელიანის პოეზია (დაბადებიდან 150 წლის შესრულების გამო)“ იხ. გვ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1950, № 39 (336)).
79. გორგაძე, ს. ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან. („მნათობი“, 1925, № 3).
80. გულთუნელი, მ. სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულისათვის. თბ., 1938.
81. გორცხალაიშვილი, ალ. თბილისის ამქრების 1865 წლი. გამოსვლის ისტორიისათვის (სტალინის სახ. თ. ს. უნივ. შრომები, ტ. XI, 1940).
82. გვარჯელია, კ. გრ. ორბელიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შრომები (ალ. წულუყის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები, VI, 1946).
83. გორცხალაიშვილი, ი. ლიტერატურული ნარკვევები. 1952. გორგამ. 1957.
84. გვარჯელია, აკაკი. პოეტი და პატრიოტი (გრ. ორბელიანის გარდ. 70 წლის თავის გამო). „კომუნისტი“, 1953, № 78, 2 (პრილი).
85. გვარჯელია, სერგო. გრიგოლ ორბელიანი (ლიტერატურული ნახედი). 1953, № 9, 10 (პრილი).
86. გვარჯელია, ჯუშუბერ. გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ და გვარჯელიას „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“. (სტალინის სახელ. თბილისის სახელმ. უნივერსიტეტის შრომები, 1954, ტ. 53, გვ. გვ. 179-204).
87. გვარჯელია, იონა. ქართული მწერლები. I. ს. ციხვილის რედაქციით. თბილისი, 1954.
88. ჯანდუკელი, მიხ. ახალი ქართული ლიტერატურა. I. თბ., 1956. გვ. 130-183. („გრიგოლ დიმიტრის (ზურაბის)-ძე ორბელიანი“).
89. გრიგოლ ორბელიანი (მწიგნობი: „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“. თბილ. სახ. უნის გამოცემა, 1956).
90. გოცაძე, მ. დოც. გრიგოლ ორბელიანის „მოსკოვის ილწურა“ (ე. „მნათობი“, 1953, № 3, გვ. 169-180. შესავალი — გვ. 169-171).
91. ბოლთია, ალ. და შარია, ს. გრიგოლ ორბელიანის ერთი დღე მდ. ეცნობი საბუთი ბატონყმობის შესახებ საქართველოში. („ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, ტ. IX, სსრგამ, 1956. გვ. 173-177). იმავე საკითხზე: ა. სოფია, გრ. ორბელიანის

დამოკიდებულება საგლეხო რეფორმისადმი. (სუხუმის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, 1952, № 7).

92. ქართული კრიტიკის ქრესტომატია, ტ. II, ს. ხუციშვილის რედაქტორობით, თბ., 1956.

93. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია. I. თბ., 1956, გვ. 118-162.

94. ჭუჭუბუჩიძე, ჭუჭუბუჩიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან. თბ., 1958.

95. გეწაძე, ა. გრიგოლ ორბელიანი. გარდაცვალების 75 წლისთავი (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1958, № 41 (1648) 5 აპრ.

96. შახარაძე, აკ. დოტ. გრიგოლ ორბელიანი (გაზ. „კომუნისტი“, 1958, № 78 (11082) 2 აპრილი).

97. შუშანიძე, ეთერ. დიდი ქართველი პოეტი (გრ. თბილისის გარდაცვალების 75 წლისთავი) (გაზ. „თბილისი“, 1958, № 66 (1469) 17 ნოემბერი, 2 აპრილი).

ბ. რუსულ და უცხოურ ენაზე:

1. Иоселиани, Платон. Библиографическая заметка. „Кавказ“. 1871, № 22 „სადლეგრძელს“ განხილვა.

2. Энциклопедический словарь Брокгауза и Эфрона, т. 18. стр. 800, СПб. 1893.

3. Хачапов, Александр С. Очерки по истории грузинской словосности. Выпуск 4-й. Литература XIX века. Москва, 1906 (стр. 163-164, князь Гр. Орбелиани (1804—1883).

4. Большая советская энциклопедия, т. 19, стр. 482, Москва, 1930.

5. Тавзаришвили, Г. Орбелиани Григорий (1804—1883). об. „Литературная энциклопедия“, т. 8, стр. 309-310. 1934.

6. Грузинские романики. Л.-д. 1940.

7. Борисов, Б. Григорий Орбелиани (к 60-летию со дня смерти) (газ. „Заря Востока“, 1943, № 76 (5924).

8. Гапероლი, Акакий. Николай Бараташвили. Монография. Изд. „Заря Востока“, 1945 (რეცენზია В. Шадური-ის, об. „Советская книга“. Москва, 1946, № 6-7, стр. 116-117).

9. Церетели, Акакий. Пережитое. Второе переработанное издание. Пер. Е. Гогоберидзе. Москва 1950 (стр. 128—131; „Григорий Орбелиани“).

10. Радвани, П. Выдающийся грузинский поэт („Заря Востока“, 1953, № 78, 4 апреля).

11. Барамидзе, А., Радвани П., Жгенти, В. История грузинской литературы. М. 1953, стр. 85—90). მეორე გამოც. М., 1954.

12. შადური ვანო. Дезабриетская литература... Изд. „Варя Востока“, Тб., 1968.
13. Literatura Gruzinska Art. Leist. „Ateneum“, Marsee, 1884 (იხ. „ფურია“, 1889, № 5—6. მოხსენებელი ყოფილა გ. ორბელიანი).
14. Leist, Art. Das Georgische Volk. Dresden, 18.
15. Die Grosse Brockhaus. Siebenter Band.
16. Die Literaturen Westasiens und der Niländer von Alexander Baumgarten S. I. Freiburg in Breisgau 1925 („Die georgische Literatur“).
17. Die Nene Russland, Oktober, 1926, p. 58—60.

შ ი ნ ა ა რ ს ი

აკაკი გაწერელია — გრიგოლ ორბელიანი 05
 ჟუმბერ ქუმბურჩიძე — გრიგოლ ორბელიანის პროზა 094

ღ ი რ ი კ ა (1827—1883)

1827—1832

1. ანტონს	3
2. ნ-დმი [როს გხედავ, მნათო]	5
3. მასვე	6
4. ეკატერინე ქ[ეჭავაძე]ისას	7
5. მტირალ ნ...ს	8
6. მუხამბაზი [ნუ მასმევ ლეინოს...]	9
7. ნ...დმი [მნათობო, თვით შენ აღმისენ...]	10
8. [დავით ორბელიანზე]	11
9. დ[ავით] ყორ[ღანაშვილს]	12
10. მ...დმი [თაყვანისმცემელთ როს გუნდი]	13
11. იარალის	14
12. გაზაფხული	18
13. გამოსალმება	20
14. ღამე	22
15. მირზაჯანას ეპიტაფია	24
16. ს [შერცხალნი — თვალნი შენნი...]	25
17. ე-სა [ვინცა გავიცნობს...]	26
18. ალბომში [როს გარდაშლიდე]	27
19. * * (მისი სახელი კიცხეთა...)	28
20. * * [ქე ივერიაუ...]	29
21. * * [დღესა ამას სიყვარულმან...]	30
22. ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი . წ ე რ ი ლ ი ლ ე ქ ს ე ბ ი	31
23. ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო ლ ე ქ ს ე ბ ი	32
24. [რუსთაველზე]	37

1800 — 1851

25. მუხამბაზი [არაქისთვის მე დღეს არა მცალიან...]	36
26. საეთნოვას მიბაძეა [ჭიანჭრი, შალად...]	40
27. სალომეს ბეენა მკერვალის მაგიერ	42
28. ნ... [ჰე, საყვარელო, ვის მიერ...]	44
29. ჩემს დას ეფემიას . . .	45
30. მუხამბაზი [სულით ერთნო...]	49
31. სო...ორ... [ვარდი ხარ? — არა!...]	51
32. ჩემი ეპიტაფია . . .	53
33 აღმომში ღრ.აქინია; ოპერმანისას]	54
34. *-* [ვინცა ვნახოს...]	57
35. საღამო გამოსალმებისა	58
36. *-* [ჰეი. გონებაე...]	60
37. შოგონება	61

1860 — 1868

38. დიმიტრი; ოს იკაპელიჯის დარღები	63
39. მუხამბაზი [გინდ მეძინოს...]	65
40. პასუხი შეილთა	67
41. ღროების ათი წლის იუბილე . . .	73
42. თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში	76
43. მუშა ბოჭულაე . . .	79
44. ფსალმუნი	83
45. აზარფეშაზე	84
46. ენტოს სიმღერა	86
47. *-* [იმედო...]	85
48. *-* [დაბებრდი...]	86

ე პ ო ს ი (1827—1870)

49. სა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ო

მიბაძეები და თარგმანები (1830 1864)

50. *-* [ეუკოესკიადამ...]	109
51. ლხინი [მიბაძეა პუშკინისა]	110
52. აღსარება [მიბაძეა რილევეისა]	111
53. ეუკოესკიადამ (მას უზაროდეს...)	113
54. ვირი და ბულბული (კრილოვიდამ)	114
55. სოფლელნი და მდინარე (კრილოვიდამ)	116

56. ნადირთა ჰირო (კრილოვიდამ)	117
57. მიბაძეა პუშკინისა (სიცოცხლე ფუჰო)	120
58. მთანი. მაღალნი (ღერმონტოვიდამ)	122

ვარიანტები (ღექსებისა და პოემებისა):

59. ეჟუოესკილამ [ჰოი სოფელო...]	125
60. * * * [გულნი ივერთა...]	126
61. * * * [ლეკი, ოსმალო და სპარსი...]	127
62. ტოლუბაში (I)	128
63. ტოლუბაში (II)	136
64. „ტოლუბაში“-დან	145
65. ჩემი ეპიტაფია (I)	148
66. ჩემი ეპიტაფია (II)	149
67. გამოცანების პასუხი	150

პ რ ო ზ ა (1824—1878)

I. დღიურები (1881 — 1889)

68. მგზავრობა ჩემი ტფილისილამ პეტერბურლამდის	155
69. [დღიური 1836 წლისა]	265
70. [დღიური 1839 წლისა]	283

II. მხატვრული ესკიზები (1884 — 1885)

71. ან...დმი	289
72. [ზამთრისა ქარი გრიალებს]	290
73. ნ. ე. მ.	291
74. ანბაეი რიგის ლოშპიტალში ნათქვამი	293

III. შენიშვნები და ჩანაწერები (1880 — 1886)

75. [ცნობები ლექების შესახებ]	296
76. საქართველო ჩემის დროისა	298
77. ჰაზრნი მსწავლულთა ჩვენის პლანეტის შექმნისათვის ანუ მიწისა	300
78. [სხვადასხვა შენიშვნა]	301
79. [სიტყვა წარმოთქმული 1863 წელს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე]	304
80. ჩემი ჰაზრი ბატონ-ყმობის საქმეზე	305
81. განათვისუფლებისათვის გლეხთასა მეზატონეთ ყმობისაგან და სამ-ჯობინაროდ მათის მღვდლომარებისა	308
82. [შენიშვნები თბილისის ამქართა მღვდლომარების შესახებ]	310

IV. კ რ ი ტ ი კ ა (1878)

83. მგზავრობა სენეთისაჲენ გ. წ. (განხილვა) . 312

V. თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი (1884 — 1888)

84. აღლელორია .	331
85. სამნი შეგობარნი	333
86. მიცთუნებელი	335
87. სილამოს ჩაიზედ	382
შენიშვნები (ლირიკისა, ეპოსისა და თარგმანებისათვის)	435
ტიქტიხისათვის (" " ")	453
შენიშვნები (აროზისათვის)	517
ბიბლიოგრაფია	573
გამომცემლობისაგან	599

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ი ს ა ბ ა ნ

ეს წიგნი გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა სრული კრე-
ბულის ბირველი გამოცემაა. წიგნში თავმოყრილია ავტორის
დღემდე ცნობილი ყველა პოეტური და პროზაული ნაწარმოები.
გრიგოლ ორბელიანის ნაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი
ბირველად ქვეყნდება.

გრიგოლ ორბელიანის პოეტური ნაწერები გამოსაცემად
მომზადა, შენიშვნები დაურთო და ბიბლიოგრაფია შეადგინა
ა. გაწერელიამ, ხოლო პროზაული ნაწერები გამოსაცემად მო-
ამზადა და შენიშვნები დაურთო ჯ. ჭუმბურიძემ.

ГРИГОЛ ОРВЕდიანი

Полное собрание сочинений

(На грузинском языке)

Вып-во „Сабчота Мцрალი“

• •

Типография изд-ва „Сабчота Мцрალი“

19 Тбилиси 59

Плехановский, 181

• •

რედაქტორი სერგო ჭილაია

გამ-ბის რედაქტორი ნ. ხომერიკი

მხატვარი ი. ჯანაშვილი

ტექნიკური რედაქტორი ნ. ნანეიშვილი

კორექტორი თ. იოსელიანი

• •

**გადაეცა წარმოებას 15.IX, 1958 წ., ხელ-
მოწერილია დასაბეჭდად 3.III, 1959 წ.,
ანაწეობის ზომა 6x9,25, სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბაზი 35,17, სასტამბო
თაბაზი 44,25, კალაღდის ზომა 60x84¹/₁₆,
ტირ. 30.000, შუკვ. № 646, უგ 01030**

• •

გამ-ბა „საბჭოთა შუქრალის“ სტამბა

თბილისი, პლენანოვის, 181

ფასი 22 მან. 50 კპ.